ალი და ნინო

ფარისევრები

კატო ბაბილოძე

ჩანაწერები ნანუკაზე

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1963

I

საშინელი ბნელი ღამე იყო, წვიმდა კოკისპირულად; ცას გაჰქონდა საზარლად გრიალი ქუხილისაგან; წამდაუწუმ ელვა, მოდებული ჰაერში მრავალს ადგილას, ანათებდა ქვეყანას და უმსჭვალავდა კაცსა საშინლად თვალებს.

გაბმულს, დაბურულს ტყეში, საშინელს ჭაობნარსა და ჭანჭრობიანს ბილიკებზედ, სადაც გარდა მეგრელისა და აფხაზისა, ყოველი კაცი დღისითაც კი ვერ გადასდგაბდა ვერც ერთს ნაბიჯს, რომ ან თვალი არ გამოეთხარა ხის ტოტებისაგან, ან არ ჩაფლულიყო ჩამპალს ადგილებში, — სამი კაცი ცხენებით, გახვეულნი ყაბალახში და მოკლე ნაბადში, მოდიოდნენ ისე სწრაფად, თითქო კარგი ნათელი დღეა და მოდიან ფოსტის გატეხილს გზაზედაო. ყოველს ადგილას იმათ ეღობებოდათ გზაში ან გარდიგარდმო წაშვერილი, ან ძირამდინ დაშვებული ხის ტოტები; მაგრამ ეს სამი მხედარი თითქო ამათ ყველას ჰხედავსო; თავ-თავის დროზედ ღუნავდნენ თავსა და მირბოდნენ ტოტებქვეშ, ან უქცევდნენ გზას ამ ტოტებსა და ახტუნებდნენ ზედ ცხენებს. ყოველს ნაბიჯზედ უხვდებოდათ მათ საფლობები, მაგრამ არც ერთგან არ ეფლობოდათ ცხენები: ისინი ყოველს საფლობეს, ან უვლიდნენ გარსა, ან ერთის დეზის შემოკვრით ახტუნებდნენ ზედ ცხენებსა.

ისინი წაადგნენ ერთ საშინელს ღრეს, რომლის საზარელ ბორცის პირზე მიდიოდა ერთი ვიწრო ცალფეხი ბილიკი და გადაჰყურებდა ოვალშეუწვდომელ მაღლობიდან ერთს შესაზარავ ჭექა-ქუხილით მომდინარე წყალს.

— აქანაი კი გვმართებს ჩამოხტომა, თვარა შენმა მტერმა მეიტეხოს კისერი, ჩვენ აქ დევიმტვრევით ამ გამოუცდელს ცხენებზედ, — თქვა ერთმა.

— კი! მარა, ჩვენც კი გვმართებს აქანაი შიში, — დაუმატა მეორემ. — აქანაი დღისითაც ჭირს გავლა ამისთანა დარში, ამაღამ რომ სადმე შევისვენოთ, ურიგო არ იქნეს, შენ არ მოუკვდე!

— იმე! რავა იტყვი მაგას! რომ გვიკივლონ, ხომ ქე ვჭამეთ სირცხვილი და ე ნაშოვარიც დარჩა ოხრათ. ჩვენგვარ კაცს რავა უნდა

აჩერებდეს ამგვარი ამბავი, — შეუტია მესამემ, — გათენებამდის თუ ცივს არ ვართ, მის დღეში ნუ იფიქრებ, რომ ჩვენ მივიღოთ იმერეთიდან ნაშოვარი. ჩვენ უნდა მივგვაროთ ყულაშელებს ეს ცხენები და გამოვართვათ, იქ რომ მოუსხამთ, თვარა, თუ დროით არ დაბრუნდნენ შინ, ან თუ მდევარი მეეწია და უნახეს ის ცხენები, მაშინ ჩვენი სირცხვილი იქნება მათი დაკარგვა.

ამ თქმაზედ შემოჰკრა მესამემ ცხენს ქუსლი და დაეშვა ვიწრო ბილიკზედ. იმას მიჰყვა ორივე ამხანაგი. გაიელვა საშინლად და ბორცვიდან გამოჩნდა მოდიდებული მღელვარი წყალი, რომელიც თითქო ეწეოდა ამ საშინელს ბორცვებზედ მიმავალ, გამბედავ მხედრებს თავის ზვირთებისკენ.

— ფრთხილად! — დაიძახა წინა მგზავრმა და ოთხზედ გალართხული იმისი ცხენი წავიდა ძირისაკენ ხრიკინით.

მეორენი, შემკრთალნი ამ ამბით, გაჩერდნენ. უკან გაბრუნება შეუძლებელი იყო, რადგან, ბილიკის ვიწროობის გამო, ცხენი არ მოტრიალდებოდა. ისურვეს გადმოხტომა, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს, რადგან ცალ მხარეს იყო პირდაპირ ამართული კლდე, სადაც ფეხი არ მოიკიდებოდა, და მეორე მხარეს ხრანცვი და მღელვარე წყლის კიდე, სადაც აგრეთვე კაცი ვერ გაიმართებოდა. წინ წასვლას ვერა ბედავდნენ, რადგან იმათ თვალწინ გაჰქრა იმათი მესამე ამხანაგი, რომელიც უფრო გამბედავიცა და უფრო მარჯვეც იყო ამათზედ.

— აპა ჩვენი დაღუპვის დღე ეხლა მოვიდა! — ძლივს წაილულლუღა ორივემ ერთად. ცხენები თრთოდნენ წინა ფეხებ ტალახწაბჯენილები და ასდიოდათ ხვირთქლი სიმწარისაგან.

— კოჭოიავ, ოუ! ძგვიბიავ, ოუ! — თითქო ქვესკნელიდან შე მოსძახა დაცურებულმა ამხანაგმა.

— ა! მაცია! შენ ხარ... დევიღუპეთ, დეიღუპოს შენი მტერი! — ჩასძახეს ამათ განწირულებითა.

— რავა უდგეხართ მანდ! დოუშვით ცხენები.

— რა უბედურება დოუშვათ, რომ აღარ ვართ, აღარ!

— აპა და მეიცადეთ მანდ.

აქ მაციმ მიაბა თავისი ცხენი კლდის ძირას ბუჩქებზედ და წამოვიდა თავის ამხანაგებისაკენ.

— მაგითი ბიჭობას კი არ და შერცხვენის მეტს ვერ იზამთ თქვენ, — ეუბნებოდა მაცი, როდესაც ავიდა თავის ამხანაგებთან ამან მოჰკიდა ამათ ცხენებს აღვირში ხელი და თითო-თითოდ ჩაიყვანა ძირსა.

ჩავიდნენ თუ არა სამშვიდობოს, მოაჯდა მაცი ცხენს და სამთავემ ფონისაკენ გასწიეს.

— მისთანა შერცხვენილს გზებში რავა ბიჭობას ითხოვ შენ! — ეუბნებოდნენ გულდამშვიდებულნი ამხანაგნი მაცის. — მისთანა გზებში ამისთანა ღამეს ჯიხვიც არ დარბის და კაცს რავა ჰშვენის მაგი.

— თქვენგან კაი ვაჟკაცობას არც სხვაგან ველი, თვარა ნანახი კი მყევხართ.

— მაგას რავა იტყვი, მაციავ! აპა, მაგი ვინ იყო, ხონელებს რომ ერთი ჯოგი ცხენი უცებ დასხლიტა.

— აწი, დასხლიტა კი არაა ბიჭობა, ბიჭობა ისაა, რომ შეგრჩეს შენი უნარი. სადაა აწი ის ჯოგი! კი, მაგი იქნებოდა, რომ შარაშიას მიჰგვარე სასახლეში და ჩაგითვალა ოსმალოს ბაჯაღლოები.

— შენ არ მოუკვდე, რომ ბედისწერას ვერ წეუხვიდე, თვარა შენც კი ბევრი ბიჭობა გაგფუჭებია ტყუილა. აწი ეგე კი არაა, რომ ერთი და ვორი შემრჩა და ყველა შემრჩება. შენ ჯერ ბოვში ხარ და ბევრი არ გიცდია, თვარა, შენ ნუ მოუკვდე, რომ ათას უნარში კაი ბიჭობაა, თუ ვორი შეგრჩა!

ამ დროს ამათ მიატანეს ფონს და ის იყო აპირებდნენ წყალში შესვლას, რომ წყლის პირიდან უცებ გავარდა რამდენიმე თოფი. სამთავემ ფიქრის უმალ ისკუპა თავ-თავის ცხენიდან, ანება ცხენს თავი და შეერია წყლის პირას ატეხილს ბუჩქნარებსა და მურყნებს.

— ოუ, ოუ! — შეიქნა წყლის პირას ყიჟინი.

— ოუ, ოუ! — შეიქნა ყიჟინი მეორე მხარეს.

— ოუ, ოუ! — შეიქნა მესამედან და მოედო ეს ხმა ყოველს ძხარეს.

ამ ყიჟინში სამი ამხანაგი დაძვრებოდა იმისთანა ეკლებსა და გაბმულს ბუჩქებში, სადაც შაშვიც კი ვერ გაძვრებოდა, რომ არ შეენძრია რტოები, მაგრამ ამათგან არა რტო, არა ბუჩქი არ ინძრეოდა, თითქო ხელიკი დაძვრებაო, ისეთნაირად ძვრებოდნენ ყველა ჯაბმულსა და გახლართულს ეკლოვანებში. საითაც მიმართეს, ყველგან დაუხვდათ წინ ყიჟინა. ყოველს ამგვარს ყიჟინაზედ ისინი იცვლიდნენ გზას და პატარა ხანს უკან მთლად ასცდნენ ამ ყიჟინს და გავიდნენ სამშვიდობოს.

— აპა, კაი ბიჭობა მაგას ქე ჰქვიან! ღმერთი რომ კაცს ხელს არ უმართავდეს, რავა უნდა გაბედოს კაცმა ღვთის წინააღმდეგი. მისთანა გზას ამისთანა დროს რომელი ქრისტიანი კაცი შებედავდა, ჩვენ რომ შევბედეთ, იქანა რომ დავრჩენილიყავით, ეს საქმე არ დაგვემართებოდა, — ამბობდა კოჭოია.

— რაც იქნა, იქნა, მარა ყულაშელებთან თუ ცარიელები მივედით, შერცხვეს შენი მტერი — ჩვენ შევრცხვებით: უნამუსობა თუ გინდათ — ეგ იქნება, — დაუმატა მაციმ.

— აპა და ნუ მიხვალ ცარიელი, თუ გერჩიოს. დილამდინ რომ შეგვეცადა მთის წვერას ციხეში, არ დაგვემართებოდა მაგი უპირულობა, ახლა რავა იზამ, რომ არ შერცხვე! — თქვა კოჭოიამ. რომელსაც ჯერაც კიდევ მისდევდა ბილიკზედ ნაჭამი შიში.

— კი ვიზამთ, თუ მარჯვეთ მოვიქეცით! — უპასუხა ძგვიბიამ,— კაი ღმერთმა მოგცეს, კაი ცხენები აქანა ერთს ჩემ ნაცნობს ხუცესს ჰყვანდეს. სამ-სამი მისთანა ბედაური ჰყავს, რომ დადიანს ეკადრება საჯდომათ.

— აპა და რაღას ველით! ღმერთს ჩვენთვის ხელი მოუმართნია და რავა უნდა გავუშვათ ისრე, — დაუმატა მაციმ, რომელსაც დიდად აწუხებდა, რომ ყულაშელები, რომელთა შორისაც ამან, არ არის დიდი ხანი, რაც დაიწყო ნაქურდალი ცხენების ცვლა. დასწამებდნენ უპირულობას და უხეირობას.

II

დიდი ხანია მღვდელი ოდიშარია იყო განთქმული აქეთ მხარეს თავისი სიმდიდრით. იმის ცხენზედ რჩებოდა თვალი ხშირად თვით სამეგრელოს მთავარსაც. მაგრამ ოდიშარია იყო იმისთანა კაცი. რომლისაგანაც ძვირად თუ ან მთავარი, ან ქურდი კაცი რასმე გაიტანდა. მთავართანაც და ქურდებთანაც იცოდა ოდიშარიამ როგორც უნდა მოქცეულიყო. მთავრის ყოველს ნახვაზედ, რაკი იცოდა, რომ ის უთხოვარს არ გაუშვებდა, დაიწყებდა ისეთნაირს ტირილს თავის სიღარიბეზედ, თავის უკანასკნელობაზედ, მოჰყვებოდა ისეთს საჩივრებს თავის შევიწროებულ ცხოვრებაზედ, რომ მთავარი იძულებული ხდებოდა დაენებებინა მისთვის თავი. ოდიშარიას ჰქონდა დიდი შეძლება, მაგრამ ის იდგა ისეთ ფაცხაში, რომელშიაც დგანან უკანასკნელი მეგრელი ყაზახები; იმისი ცოლ-შვილი გამოდიოდა ყველაზედ უკანასკნელად, რომ არ შემიტყოს მთავარმა ჩემი შეძლება და არ წაძლიოს ხელმა ამათს წარტაცებაზედაო; ოდიშარიას ჰყავდა ლამაზი ქალები, მავრამ გათხოვებამდის ძვირად თუ ვინმეს გააგონა იმათი სილამაზე; ეფიქრებოდა, რომ ესენიც მთავარმა არ გამომაცალოს ხელიდანაო. ოდიშარიას ჰყავდა სახლში ერთიც კიდევ გასათხოვარი თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ქალი, რომლის სილამაზე, დიდი ხანია იყო გავარდნილი გარეშემო მცხოვრებლებში. მამა ცდილობდა ამისიც მურდლად გამოჩენას, რომ ამის სილამაზეს

არ მიეღწია მთავრის სასახლემდის. მაგრამ ქალი გრძნობდა თავის მშვენიერებას, და როდესაც კი დაიგულებდა თავს თავისუფლად, ის თავისი დასუფთავებულის სახით ეჩვენებოდა მეზობლობას, რომელიც ვერა ძღებოდა ამის ყურებით. რაც შეეხება ავი კაცის ხელს, ოდიშარიამ იცოდა ამათი მოვლაც. ჯერ ერთი ესა, რომ ის უპატრონოდ არა დროს თავის საქონელს არ უშვებდა დღისით სხვებივითა, ღამე თავისი ცხენები და ჯორი ება თავისთან ფაცხაში, რომელსაც ყოველთვის ჰკეტავდა ისე მაგრა, რომ იმისი გაღება დიდად გასაჭირი იყო. ამასთან ოდიშარიამ იცოდა ისეთი იარაღის ხმარება, რომ ამითი იყო ის მთელს გარეშემო მცხოვრებლებში განთქმული. ბევრჯერ შეჰბედეს ამას ავაზაკებმა, მაგრამ არც ერთხელ ისინი უხიფათოდ არ დაბრუნებულან.

ძინავს ოდიშარიას გულის ძილითა, ძინავს იმის ცოლ-შვილს დამშვიდებითა. დიდი ხანია ქურდს კაცს აღარ შეუბედნია ამათის ქონებისა და ცხენებისთვის. დიდი ხანია შუაღამე გადასულა, მოტანებულია თითქმის გათენება. ამ დროს უფრო ტკბილია ყველასათვის ძილი და ძინავთ აქაც უფრო ტკბილათა, ძინავთ, და გარედან ფრთხილად, ხანჯლის წვერებით, ჩვენი ნაცნობი მაცი, ძგვიბია და კოჭოია მუშაობენ ფაცხის საძირკველ ქვეშ. უთხრიან ძირს ფაცხას ისე ფრთხილად, ისე ჩუმად, რომ ვერ გრძნობენ ამას თვით ის ავი ქოფაკი ძაღლებიც კი, რომელნიც ჰყავს ოდიშარიას და რომელთა შიშით ღამე ვერა ბედავდა ამ არემარეზე გავლას ვერა კაცი. გააკეთეს ხვრელი და შეძვრა ძგვიბია ფაცხაში, შეჰყვა თან კოჭოია, და დარჩა გარედან მაცი, რომელსაც უნდა ეყარაულნა ამათთვის და მიეღო ცხენები და ჯორი ოდიშარიასი.

ფაცხაში უკუნი ბნელი იდგა. თვალთაგან არაფერი არა გაირჩეოდა რა. ძგვიბიამ მოუსვა ფრთხილად ხელები კერისპირას და მოხვდა საბნის გარეთ ხელებგადმოყრილი და წელზევით უსაბნოდ გულაღმა მწოლი ოდიშარიას გასათხოვარი ქალი. ძგვიბიას დაუწყო გულმა საშინლად ძგერა. იმას შეხვდა გადაღეღილი მკერდი ქალისა. ძგვიბიას ეცა სისხლი თავში. ქალმა ამ ცივი ხელების მოხვედრებაზედ უნებურად გაიფათურა. ძგვიბია ჩაცუცქდა, აიტაცა ხელები და უცებ გადურბინა გუნებაზედ აშფოთებულმა სისხლმა. ის მოვიდა გონს და გაუელვა მსწრაფლად თავში, რომ ამ საქმით ის უბრალოდ გაიბამდა თავს მახეში. ის შეყუჩდა პატარა ხანს, რომ ქალი ჩავარდნილიყო ისევ გულისძილში. ქალი მაშინვე მიეცა ტკბილ ძილს. ძგვიბია წამოდგა ფრთხილად, მოუსვა ხელები და ამგვარის ხელების ფათურით მივიდა კარებთან გასაღებად. კოჭოია ამგვარისავე ხელების ფათურით მივიდა ცხენებთან და აპირებდა ამათს

აშვებასა, რომ ამ დროს დაიხვიხვინა ცხენმა, რომელსაც ეგონა, რომ პატრონი მოვიდა და სიმინდი მომიტანაო.

— კი! ვერ წახვალ, ვერ, — დაიძახა ოდიშარიამ, რომელმაც ამ ცხენის ხვიხვინზედ აჭყიტა თვალები და მიხვდა მაშინვე, რასაც ნიშნავდა ესა.

ძგვიბია და კოჭოია ამ დაძახებაზედ უცებ დაერჭვნენ გამოთხრილს ხვრელთან. ძგვიბიამ შეჰყო საჩქაროდ თავი და გაძვრა ხვრელში, შეჰყო კოჭოიამაც თავი და ის იყო აპირებდა ტანის გაძრომასაც, რომ სტაცა ოდიშარიამ ფეხებში ხელი; ქალმა საჩქაროზედ გაჩხრიკა ცეცხლი და გაანათა ფაცხა, კოჭოიას სტაცეს გარედან ძგვიბიამ და მაციმ ხელებსა და თავში ხელი. შიგნიდან ოდიშარიას მოეშველნენ ცოლი და ქალი და დაუწყეს შიგნითკენ წევა. ამ ბრძოლამ გასტანა რამდენიმე ხანი. ძგვიბიამ და მაციმ დაატყვეს, რომ საჩქაროზედ ისინი კოჭოიას ვერ წაართმევდნენ, გაიძრო ძგვიბიამ უცებ ხანჯალი, დაუჭირა მაგრად კოჭოიას კისერი, შემოჰკრა ერთი, შემოჰკრა მეორე, სტაცა ქოჩორში ხელი, შემოჰკრა მესამე და შერჩა კოჭოიას თავი. უთაო კოჭოია, მთლად სისხლში მოსვრილი, შეათრიეს შიგნით. ძგვიბიამ გაიტაცა თავი კოჭოიასი და გაჰყვა მას თან მაცი უნებურად.

— რა ჰქენი ეგ, რა! — ეუბნებოდა მთლად სისხლადუღებული მაცი ძგვიბიას: — რავა გეიმეტე ქრისტიანი კაცი, შენი აფხანიკი, შე ულმერთო! თანთარი არ იზამს მაგას, რაც შენ ჰქენი.

— აპა, ვის უძრახოდი შენ ბიჭობას, რომ თვით ლაჩარი ყოფილხარ! ბიჭობა აგია, რომ ბნელ ღამეში კლდეზედ ცხენი დავახრიკინო?! აპა ბიჭობა მაგია, რომ თავი მახეს გადავარჩუნო. შენ გგონია, კოჭოია რომ იქ თავიანა გაგვეშვა, არ გვიცნობდნენ მის აფხანიკებს? მაშინ აპა კოჭოიაც და ჩვენც მთლად დევიღუპებოდით.

— აჰ, შენ არ მოუკვდე, მე შენ ამას იქით ვერ გენდო და აღარც დევიჭირო შენთან საქმე. აფხანიკის მოღალატეს რავა ენდობა კაცი!

— აპა, ნუ მენდობი და ყულაშელებთანაც შენ გეიკეთებ პირს. აწი კი ვნახავ დღეს ყულაშელებს და ვაცნობებ შენ ბიჭობასაც. — ძგვიბიამ გასწია ერთ მხარეს, მაციმ მეორეს — საშინლად აშფოთებულმა და აღელვებულმა.

ძგვიბიამ იმავე ღილით მოჰგვარა ყულაშელებს სამი ცხენი და უამბო იმათ მაცის შერცხვენა.

III

მშვენიერნი არიან მეგრელი ქალები, მაგრამ უმშვენიერესი ამათში არიან ხორგელები.

სოფელი ხორგა არის გაჭიმული ოცდარვა ვერსზედა მდინარე ხობის ორთავე ნაპირებზედ შავი ზღვისაკენ. ცხელი და მრჩოლი ადგილებია ზაფხულში ეს ადგილები. სოფელი თითონ, როგორც სამეგრელოს სხვა სოფლები, დგას დაბურულს ტყეში. მაგრამ აქაური ტყეები განესხვავებიან სხვა ტყეებსა. ასე მაღლა და სწრაფად არსად არ იზრდება ხეები. აქაური მურყანი, აქაური მუხა წარმოგიდგენენ რაღაცა თვალშეუწვდომელს და შესაზარავს სანახაობას. ადგილებია საშინელი ჭანჭრობიანი, რომლის გამო აქ ძალიან ხარობს ბრინჯიც. ჰაერი აქვს საშინელი დამცდელი: ყოველ ზაფხულს მკათათვიდან დაწყებული გიორგობის თვემდის თითქმის ნახევარი ხალხი მამაკაცთაგანნი ყრიან ჭერახებივით ციებისა, ცხელებისა და საოფლისაგან შეპყრობილნი. ნახევარზედ მეტს მამაკაცთ აქ ადევთ ნიადაგ ციების ფერი. მაგრამ ეს ჰაერი თითქო რგებთ ქალთაო: აქაურ ქალთ გააქვთ ნიადაგ წითლად ღაჟღაჟი, ციებ-ცხელება თითქო ერიდება ამათო.

მშვენიერნი არიან აქაურნი ქალნი. აქაურს ქალს ეტანებოდნენ ხშირად მეკობრენი, თვით ხონთქარის ჰარამისათვის წარსატაცებლად; აქაურს ქალს ეტანებოდნენ აფხაზეთის მთავარნი და პირველნი თავადნი. აქაურნი ქალნი არიან განთქმულნი მთელს სამეგრელოში და ძვირად იქნებოდა თავმომწონე შემძლებელი მეგრელი, რომ აქ არა ჰყოლოდა საცოლე არჩეული. ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ხორგელმა ქალებმა და ამითი უფრო კეკლუცობდნენ ისინი. ამათზედ მორთული, ამათზედ ცოცხალი, ლხინისა და შეჭცევის მოყვარული ქალნი ძვირად თუ გამოვიდოდნენ მთელს სამეგრელოში. ბერძნების და ლაზების ვაჭართა ფულები, რომელნიც კი ვაჭრობდნენ სამეგრელოში, დიდი სიუხვით გადადიოდა აქაური ყმაწვილი ქალებისა და იმათი შუამავლების ხელში, და ქალებიც არ იყვნენ არასოდეს უარზედ კარგის საჩუქრებისა. მშვენიერნი არიან აქაურნი ქალნი, მაგრამ ყველას უმშვენიერესი იყო ეკა ჩილაჩავას ასული. ბევრნი ცდილობდნენ ეკას გულის შეპყრობას ფულითაც, მაჭანკლებითაც, ბიჭობითაც და დარდიმანდობის გამოჩენითაც, მაგრამ ეკას გული ვერავინ შეიპყრო მაცი ხვიტიას მეტმა.

მაციმ და ამან ნახეს ერთმანეთი ამ ერთი წლის წინათ სხაპუაში. ყმაწვილი, მოყვანილი, ტანადი და თვალთაგან ცეცხლის მფრქვეველი მაცი ამ სხაპუაში ერჩეოდა ყველა ტოლს. იმისი წმინდა ხმა და კილოიანი ცოცხალი სიმღერა, რომელსაც თითქო მთელი თვისის სხეულით ბანს მოსძახისო, იმისი მკვირცხლი მოძრაობა და ყოველივე სხეულის მოქნილობა მოიყვანდა აღტაცებაში თვით გარეშე მზერალსაც.

მეორე მხრივ, თექვსმეტის წლის ქალწულის მშვენიერი, შავი, რაღაცნაირად ცოცხლად და ტრფიალებით გამომზირალი თვალები, რომლის გვართაც ვერავინ დაიკვეხებს მეგრელ ქალთა გარდა, მშვენიერი და მაღალი, და, თითქო გამოქანდაკებული, მოყვანილი წელი და მხარ-ბეჭი, შავი გიშერივით თმა-წარბი, თეთრ-წითელი ნაზი ფერი, სიცოცხლის მოძრაობა და მეტყველება პირისახისა, რაღაცნაირი წმინდა, ტკბილი, თითქო გულში კაცს რაღაცა ნეტარებას ასხამსო, კილოიანი ხმა, რაღაცა იდუმალება მოძრაობაში ჩაუთუთქავდა ყველას პირველსავე ნახვაზედ გულს.

ეკას ნახვაზე მაციმ უფრო მოიწონა თავი. მაცის ამ ნახვაზედ მოემატა ერთიორად ყოველი ღირსებანი. მაციმ პირველმა გამართა ცხენის ჭენაობა და თამაშა და ვერავინ ვერ მოდიოდა იმასთან. ეკას აეგზნო ამაზედ გული. მაციმ შენიშნა ესა და უფრო გაიტაცა ეკას სურვილმა. პატარა ხანს უკან მაცი ჩაება ეკასთან ფერხულში. ცალკე მაციმ და ცალკე ეკამ უმატეს სიმღერასა და ფერხულის აყოლებას. ცეკვავდა და აყოლებდა მკვირცხლის თამაშობით სიმღერის ხმას მაცი ფეხებსა და აჭარბებდა მეცადინეობით და თვის ცოცხალის მოძრაობით. იძახოდა მაცი და მოსძახოდა ეკა და იმათი მელოდიური, მაღალი, წმინდა ხმა რაღაცა სიცოცხლითა და ნეტარებით სრულიად ირჩეოდა სხვა ხმებში და გაჰკიოდა ვერცხლებრივ წკრიალით დაბურვილს ტყისაკენ. ერთია მხოლოდ კაცის ცხოვრებაში ამგვარი ნეტარების წუთი. იქნება ბევრჯერ შეხვდეს კაცს ნეტარება, მაგრამ სხვა ნეტარება ვეღარ ადის ამ ნეტარებამდის. როგორც მაშინ, როდესაც პირველად შეჰხარებს სრულის სიწრფელით და სისრულით ყრმა მიჯნურთ გული ერთმანეთს და როდესაც იმათ შეუძლიათ უჩვენონ ერთმანეთს თავისი თავი სრულის ღირსებით და მით გამოუსახონ ერთმანეთს თვისი გრძნობა ურთიერთისადმი. აქ ჰაბუკნი სრულის სიწრფელით ეგებებიან ცხოვრებას, რომელსაც შეჰყურებენ სრულის იმედით, ნდობით და მომავლის ნეტარებით, მაგრამ ხშირად აქედანვე იწყება შეწამული შეტაკება ცხოვრების სინამდვილესთან, იმის ყოველს ნაბიჯზედ დაბრკოლებასა და დაუდგრომლობასთან, და ბოლოს უძლური ბრძოლა მის მძლავრს და შემმუსრავ ხელთან. ხშირად ცხოვრების ძლიერების ფეხქვეშ განპყრობილი და შებორკილი თვით უპირველესი გმირი გაჰყურებს ნატვრით თვის წარსულს სიჭაბუკეს, როდესაც ის მზად იყო დაემხო პირქვე ყოველი დაბრკოლებანი და გაესწორებინა მიწასთან ყოველი ვითარებანი, რომელნიც უშლიან კაცს ტკბილ ცხოვრებას და უწამლვენ ბედნიერ ლტოლვილებათა; მაგრამ ეს ნატვრანი რჩებიან ნატვრად და წარსული ეჩვენება სიზმრებრ



კი! — უპასუხა ეკამ ხმის კანკალით: — მარა მამაჩემი კი უნდა ნახო.

განპნეულ ნეტარებად. ბედნიერადა ჰრაცხს ხშირად თვით პირველი ცხოვრების ბრძოლის გმირი იმათა, რომელნიც გამოსალმებიან სოფელს მაშინ, როდესაც ისინი ყოფილან სავსენი იმედით ამ სოფლის სისრულეზედ და არ შთაუხთქავთ ჯანი და არ დაუკარგავთ იმედნი ამის ამაოდ ბრძოლაში. სიყვარული ეკუთვნის იმ ჟამს, როდესაც ჭაბუკი არის აღსავსე მომავლის იმედებით და მომავალში ბედნიერად ცხოვრების გატარებით; ეკუთვნის იმ ჟამს, როდესაც კაცი არის სრული ჯანით, გულით და ლტოლვილებით, რომელიც იმას ეკარგება შემდეგ ცხოვრების წვრილმანს ბრძოლაში, ნიადაგ ხელის მოცრასა და იმედების გაამაოებაში.

მაცი იქნებოდა ოცდაერთის ან ოცდაორის წლის ჭაბუკი, როდესაც ნახა ეკა და ეკა იქნებოდა თექვსმეტის წლისა. ისინი სრულის გულით და სრულის იმედით მიეგებნენ ერთმანეთს, როგორც შეშვენის მხოლოდ ჭაბუკთ.

გათავდა სხაპუა; მოატანა საღამომ და მოვიდა ჟამი ხალხის დაშლისა. ფერხულის გათავების დროს მაციმ რაღაცა უთხრა დაბალის ხმით, ეკა აენთო თონესავით, ჩაღუნა თავი და რაღაცა გამოუთქმელის ცეცხლით გაუელვეს თვალებშა.

— კი! — უპასუხა ეკამ ხმის კანკალით: — მარა მამაჩემი კი უნდა ნახო.

დაიშალა სხაპუა. ეკა თავის მეზობელ ტოლ ქალებთან წავიდა შინისაკენ. პატარა ხანს უკან მაცის არ მოუთმინა გულმა, მოარტა თავის ცხენს და გამოეკიდა იმ გზას, საითაც უნდა ევლო ეკას. ეკას დანახვაზედ იმან ლაზათიანად შემოჰკრა ცხენს ქუსლი და გაუქროლა გვერდით, თითქო ერთიც კიდევ უნდა ეთქვა: აბა ჩემისთანას ვის შეირთავო.

IV

მაციმ ბევრი არ მოიცადა და მიუგზავნა ეკას მამას კაცი.

— იმე! გაკოტრებულ მაციას რავა მივცემ ქალს! — იუარა ეკას მამამ, ხვიჩა ჩილაჩავამ. — ქონება მაგას არ აქ და ბიჭობა მაგისი არვის გაუგონია.

მართლადა ღარიბი იყო მაცი ხვიტია. იმის მამა, ბურდღუ ხვიტია, იყო განთქმული მთელს ოდიშში როგორც ქონებით, აგრეთვე როგორც აბრაგი კაცი. ის იყო დიდად მიჩნეული თვით მაშინდელი მთავრობისაგან, რომელსაც საუკეთესო თავის ნაშოვარ ცხენებს მიართმევდა ხოლმე. აბრაგობა იყო პირველი საკვეხური სახელი სამეგრელოში და მხოლოდ მარჯვე აბრაგთ შეეძლოთ მცირეც არის ცხოვრება, ცხოვრება იმ კაცისა, რომელიც არ გასდევდა

აბრაგობას, ქურდობას, იყო ძნელი სამეგრელოში. მუშა კაცს არ რჩებოდა თავისი ნამუშევარი, რადგან ამის ღვაწლითა და ოფლით შეძენილს სარჩოზედ ეჭირათ ნიადაგ თვალი ქურდთა და აბრაგთა. აბრაგობა და ცხენებისა და საქონლის პარვა შეადგენდა უფრო მაღალი საზოგადოების მოქმედებას. მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ და შეძლებისდაგვარად სდევნიდნენ ამას მუშაკნი, რომელნიც ამათის მოწყალებით რჩებოდნენ ცარიელი თავისის ნამუშავარისაგან. სხვა მხრივ აბრაგობა, ქურდობა იყო საქებელი და პირველი ვაჟკაცობის ხძა ჰქონდა იმას, ვინც უფრო იჩენდა ამაში თავს. მრავალი ქონება შეიძინა ბურდღუმ თავისი აბრაგობით. მთელი აფხაზეთი და იმერეთი ძრწოდა იმისი შიშით; მრავალი დანაკარგი საქონელი უპოვეს ამას პატრონებმა, მრავალჯერ შევიდა ამაზედ საჩივარი მთავართან, მაგრამ ყველაფერი იყო ამაო. წაქეზებული ამითი, ბურდღუ თანდათან თამამდებოდა და უფრო და უფრო შემძლებელ კაცთ აწვდიდა ხელს. ერთხელაც ბურდღუმ მოასხა იმერეთიდან იმისთანა ცხენები, რომლის ბადალიც არ მოიპოვებოდა მთელს იმერეთსა და ოდიშში. საუკეთესო ცხენი ამან მიჰგვარა მთავარს და მთავარს ეს ცხენი ისე მოეწონა, რომ იმას ჰყავდა ის ნიადაგ თავის საჯდომად.

გავიდა რამდენიმე ხანი და მთავარი ეწვია იმერეთის მეფეს სტუმრად. მთავარი ბრძანდებოდა ამ ცხენზედ. მეფემ იცნო ის. ის იყო იმის საყვარელი საჯდომი ცხენი, რომელიც მიიღო საჩუქრად აჭარის ფაშისაგან. მეფემ, როგორც შეშვენის იმერლის ზრდილობას, ამჟამად არა ჰკადრა რა მთავარს. ამან მოიკითხა დაწვრილებით და შეიტყო, რომ ეს ცხენი მიართვა მთავარს ბურდღუ ხვიტიამ, რომელსაც აგერ რაცახანია უჩიოდა მთელი იმერეთი მეტის შეწუხებისაგან. რამდენსამე ხანს უკან ეს აცნობა მეფემ მთავარს და შეუთვალა: „თუ ჩემს თავს არ გერჩიოს, ისე უნდა დასაჯო ხვიტია, რომ სხვა მეგრელმა კაცმა ვეღარ გაბედოს იმერეთში საქურდლად ფეხის გადგმა". ეს ითაკილა მთავარმა ბურდღუსაგან, რომ იმან შეატყუა ცხენი დიდებულის მეფისა და გამოიყვანა იმასთან ქურდების მფარველად. მთავარმა იმის დასამტკიცებლად, რომ ის არადროს ჰზოგავს თავის სამთავროში ავაზაკებს და, ამასთან ამგვარის გაბრიყვებისა გადასახდევინებლად, ერთ მშვენიერს დილას, ბურდღუს ჯარი დაასხა, წაართვა, რა ქონებაც კი მოასწრო და რაც წამოიღებოდა, ხოლო რაც არ წამოიღებოდა — გადაუწვა, თითონ ბურდღუ დაიჭირა, დასთხარა თვალები და ჩაამწყვდია ციხეში, სადაც ბურდღუმ დაასრულა თავისი დღენი.

მაცი იყო მაშინ თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა, სხვა ძმები ამას არა ჰყავდა. დედამისი დარჩა მთლად უნუგეშო: ოთხ-ოთხი პატარა

ქალი დააწვა კისერზე. რაკი მისმა დედამ იწვნია ერთხელ წვენი თავის ქმრის აბრაგობისა, იმას უნდოდა, რომ შვილი დამდგარიყო ისეთს ხელობაზე, რომ შესძლებოდა ალალი ლუკმის შეძენა. მაგრამ რა ხელობა გამოდგებოდა ამათს ქვეყანაში, რომლითაც საკმაო სარჩო შეეძინა კაცსა, რომ თითონაც ეცხოვრა და შეენახა უძლური სახლობაცა. არა ხელობა, არა სწავლა, არა მუშაობა სამეგრელოში, გარდა ქურდობისა და აბრაგობისა. თუმცა ხალხში მრავალნი იყვნენ მსურველნი რამე ხელობის სწავლისა, მაგრამ ამ ხელობის სასწავლებლად ისინი უნდა წასულიყვნენ სხვა ქვეყნებში, სადაც სასწავლებლად წასვლის ნებას მთავარნი არ აძლევდნენ. რადგან ჰხედავდნენ, რომ იქიდან ნასწავლნი კაცნი მოდიოდნენ სხვა გულითა. იმათ აღარ მოსწონდათ ოდიშში არსებული წესები, აღარც მოსწონდათ იქაური უქნარობა მაღლა მდგარის წოდებისა. ისინი ჰხედავდნენ თავის მაღალნიჭიერ ხალხს სრულს უშვერობასა და უმეცრებაში, რომლის მიზეზნი ხდებოდნენ იქაურნი მთავარნი და პირველნი პირნი. და ამგვარი ცნობა მეგრელთაგან არ მოსწონდათ იქაურ მთავრებსა და არა ხედავდნენ ამას თავის სასარგებლოდ. მაცის დედა, გუქიტიმ არჩია ამის სამღვდელოდ გაზრდა, მაგრამ აქაც შეხვდათ დიდი დაბრკოლება. მთავარი, განრისხებული ბურდღუზე, აღარ უპირებდა დატკბობას ამის ცოლ-შვილსა, და უარი უთხრა გუქიტის მაცის სამღვდელოდ მიმაგრებაზე. გუქიტიმ შეუჩინა მთავარს უპირველესი პირნი ოდიშისნი, მაგრამ ვერა რა გახდა. ამითი მთავრისთვის ჩაესმინათ ბურდღუს სახლობის მტერთა, რომ ბურდღუს, ვითომც, დარჩენოდეს დაფარული დიდძალი განძეული და ქონება, და ის მოელოდა მაცის დედისაგან ამ ქონების განაწილებას. ეს შეიტყო გუქიტიმ და არ იცოდა, როგორ დაერწმუნებინა მთავარი, რომ, არამცთუ იმას არ დარჩა არავითარი ქონება, რომ, პირიქით, ის იყო ყოვლად უნუგეშოდ დარჩენილი. მაგრამ მთავარი უსასყიდლოდ არ უპირებდა მაცის განთავისუფლებას. გუქიტი იყო საშინელს მწუხარებაში ჩავარდნილი; ის განწირულებით იმტვრევდა ხელებს, მოთქვამდა თავის ქვრივ-ობრობას და პატრონი არავინ ჰყავდა. გრძნობიერი მაცი ხედავდა თავის დედის მწუხარებას და უკვდებოდა გული. კარგს ცხოვრებას დაჩვეულნი, ახლა ისიცა და იმისი დედა და დებიც იყვნენ უკანასკნელობაში.

— ნუ სტირი! — უთხრა ერთხელაც მაციმ თავის დედას: — არ გაგიხდი საქმეს სატირლად და მალე მოგიკვდეს მტერი, მალე მაციმ შენ გამოგიხსნას მწუხარებიდან.

აქ მაცი დაიკარგა სამს დღეს და მესამე ღღეს მთავარს მოუვიდა სანდო კაცის ხელით ერთი კარგი ბედაური ცხენი თავისის იარაღით

და ერთი ხელი საგანგებო თოფი და იარაღი. სად იშოვნა მაციმ ესენი და სად არა, ღმერთმა უწყის.

— მაგი ისეც კაი ყოფილა, — ბრძანა მთავარმა, — და რაღა სტავლა უნდა.

ვერცარას ამითი გახდა გუქიტი და მაციმ დაიწყო მუშაობა. ყანის სამუშაოდ იმას სჭირდებოდა უღელი ხარი და ვერ ეშოვნა.

— აჰ! მაგოდენა კაცს რავა ვერ გიშოვნია ერთი უღელი უხეიროო ხარი! — უთხრა მას მისმა მამიდამ, რომელსაც ესმოდა მაცის ნაკლებულება, — არ გვანებიხარ მამაშენს ბურდღუს: კაი კი იქნებოდა... რომ შეჭირვებული ენახა კაცს! სადაც ვის რამეს დააგულებდა, ყველა იმისი იყო.

მაცის ეს სიტყვები ცეცხლად მოედო. იმას ახსოვდა თავის მამის თავგადასავალი და ერიდებოდა ამგვარს ბოლოს, მეტადრე ხათოს უჭერდა თავის დედას, რომელიც სულ იმას ავედრებდა თავის შვილს, რომ ის არ გაჰყოლოდა ამგვარს საქმეს და არ მიებაძნა სხვა თავის ტოლებისთვის, მაგრამ მისი ამპარტავანი ხასიათი, სიცოცხლით სავსე აგებულება ვერ იტანდა ამგვარს დაცინვას და თაკილობდა თავის ამხანაგების ჩამორჩენას, რომელნიც იყვნენ საშოვარში და რომელნიც ყველას ჰყავდათ საქებურადა.

— აწი ამ ერთ უღელ ხარს ვიშოვნი, რავაც იქნება, — იფიქრა მაციმ, — და შერმე, რაკი მოვიმჯობინებ საქმეს, იქნება ასთე საძრახისათ არვის ჰქონდეს ჩვენი უკანასკნელობა.

იფიქრა მაციმ და შეასრულა კიდეც. იმან გაიჩინა ხარები, მოხნა, მოიყვანა ღომი და სიმინდი. ის უპირებდა ამას გაყიდვას და ზოგიერთი სახლის საჭიროების ყიდვას; მაგრამ ერთ დილას ნახა თავისი ბეღელი და მთლად ცარიელი დახვდა. ის აიტანა ბრაზმა, მაგრამ საშველი არ იყო: ქურდი ვერსად ვერ იპოვნა. გავიდა ხანი და დაჰპარეს ხარებიცა. მაციმ სიბრაზით არ იცოდა რა ექნა. იმან გამოიდო თავსა და დაუწყო თავგამოდებით ძებნა ხარების ქურდსა. — იპოვნა ერთი სამურზაყანოელი მეგრელი, მაგრამ ვეღარ იპოვნა ხარეი, და ქურდი კი ისეთი ღარიბი გამოდგა, რომ არამც თუ ხარებს ვერ გადაახდევინებდა, ამ ქურდს და იმის გამრავლებულს სახლობას მთელი პერანგიც კი არ მოეპოვებოდა. მაცის შერჩა ამაოდ შრომა ამ ქურდის ძებნაშიაცა.

— კი! მარჯვე ბიჭი ხარ შენ, მაცი! — ეუბნებოდნენ ამას ტოლები დაცინვით, — უღელი ხარი შეიძინე და ისიც ვერ მეიხმარე.

ამ ლაპარაკით მაცი მოთმინებიდან გამოდიოდა, მაგრამ დედის ცრემლებისთვის ვერ ემტყუნებინა და იკავებდა კიდევ თავს.

ერთხელაც გაიმართა დოღი. დოღის საყურებლად შეყრილიყო მთლად გარეშემო სოფლების ხალხი; ყველა ამისი ნაცნობი ქალი და კაცი დოღში ერია. ბევრი ამისი ტოლი აჭენებდა ცხენებსა, დგებოდა გაჭენებულს ცხენებზედ, ესროდა გაჭენებულ ცხენიდან ნიშანს, ახტუნავებდა ცხენს თხრილებსა და ბორცვებზედ; იწონებდა მაყურებლებთან თავსა. მაყურებელი ყმაწვილი და მშვენიერი ქალები მოდიოდნენ აღტაცებაში ამ ცხენების თამაშობით. მაცი ხედავდა ამას, ჰკლავდა თავმოყვარეობა: ეს არ იყო არავიზედ ნაკლები ცხენოსანი მსროლელი, ერჩოდა გული, მაგრამ არა ჰყავდა ცხენი და არ შეეძლო თავის გამოჩენა. საშინლად დაღვრემილი შეჰყურებდა ამ თამაშობას, თითქმის ცრემლები მოსდიოდა, რომ არ შეეძლო იმათში გარევა, მაგრამ არა ჰქონდა საშველი.

— აპა და შენ რავა არ გეერიე ამათში? — ჰკითხა მაცის ერთმა ლამაზმა გასათხოვარმა ქალმა, რომელსაც ეჭირა მაციზედ თვალი და რომელთანაც მაციც ძალიან იწონებდა თავს. — შენ მათზედ ნაკლები ხარ?

მაციმ იკბინა ტუჩებზედ, ჩაეთუთქა გული და არა სთქვა რა. იმას ის უფრო სირცხვილად მიაჩნდა, რომ გაეგო მის მოწონებულს ქალს, რომ მაცის არა ჰყავდა ცხენი. როგორ თუ თავმომწონე მეგრელს არ ჰყავდეს ერთი კაი ცხენი მაინცა! და რას იფიქრებს მაშინ ყმაწვილი ქალი ახალგაზრდა თავმომწონე ყმაწვილზედ: „მთლათ შერცხვენილი ლაჩარი ყოფილა, რომ სხვას ჰყავს და იმას კი არა!“ მისთანა ყმაწვილს რიგიანი მეგრელის ქალი კაცადაც არ ჩააგდებს.

— აჰ! მაგას რავა ჰკითხავ მაცის! — მიატანა ვიღამაც ქალს იმის კითხვაზედ, — მაცის არა ჰყავს ცხენი და არც ქე ეყოლება. დედა მაგისს კაბა არა აქვს, რომ ჩეიცვას და ქვეყანაში გამოვიდეს. მაგი რავა ეკითხვის მაცის!

მაცის ამის გაგონებაზედ აემღვრა სისხლი, აენთო თვალები და იტაცა ხანჯალზედ ხელი. მაგრამ მთქმელი დაიცვა იმან, რომ ის იყო ქალი და ნათესავი მისი დედისა.

„აპა, მაცი და შერცხვენილი ყოფილხარ მართლა, — იფიქრა მაციმ თავის გუნებაში, — რომ ამისთანაებს ათქმევინებ ყველას შენზედ“.

რამდენიმე დღის შემდეგ მაცის ჰყავდა ცხენებიც, ჯორებიც და საქონელიც.

ეს ის დრო იყო სწორედ, როდესაც მაციმ გაიცნო ეკა ჩილაჩავას ქალი და უარი მოუვიდა იმის შერთვაზედ.

ამ უარის თქმაზედ იმას უფრო მოუვიდა გული.

„რავა მიძრახამს იმ მამიჩემის შვილს ბიჭობას! რავა მიძრახამს ის კონტრობას!“ — ფიქრობდა ის, — „აპა და ვნახავ, თუ არ მამცემს ის ქალიშვილს“.

ამ დროს მაცი ცოტ-ცოტათი კიდეც იყო შეჩვეული საშოვარზედ სიარულს და ახლა უფრო თავგამოდებით შეუდგა ამ ხელობას. „აწი ჩემმა ეკამაც უნდა ქე მიძრახოს ბიჭობა! აპა და ვნახავ, ვინ ბიჭობია მე ბიჭობით და ვინ შეიძენს ჩემზედ მეტს!“

ამ დროიდან გააბა მაციმ ყულაშელებთან კავშირი, რომელთაც დადებულს დროს, დადებულს ადგილას უნდა მიეგვარათ მისა და იმის ამხანაგებისთვის იმერეთში მოპარული ცხენები, რომლის საწაცვლოდ ამას თავისი ამხანაგებით უნდა მიეგვარა იმათთვის სამეგრელოში ან საოფხაზოში მოპარულები. ამგვარისავე გაცვლისთვის მაციმ აიჩინა რამდენიმე აფხაზი. ეს დრო იყო, როდესაც მაცი დაუამხანაგდა კოჭოიას და ძგვიბიას.

V

მშვენიერია სამეგრელოს ბუნება და უფრო მშვენიერია ის გაზაფხულზე, როდესაც ტყე დაბურული შეიმოსება მწვანითა და სხვადასხვა ყვავილებითა და სურნელებითა. მშვენიერია სამეგრელოს ბუნება და მშვენივრადაც იცის ყოველმა მეგრელმა თავისი საცხოვრებელის ამორჩევა. მშვენიერი დიდი ფართო ეზო ზამთარ-ზაფხულ მწვანე ხავერდისავით კოინდარით შემკობილი, გარშემო დაბურული ხშირი ტყე, სავსე ხეხილითა, რომლის ხეები თითქო ზეცას უწვდებიანო, შეამკობს თითქმის ყოველი მეგრელის საცხოვრებელს. გაზაფხულზედ სამეგრელოს ბუნება აღვიძებს ყოველი ჭაბუკის გულში ტრფიალებას; ყველა მიჯნურს უღვიძებს ეს დრო ერთიორად თვის მიჯნურის სურვილს; აყვავებული და ნაზად ამწვანებული ბუნება, დაბურული ტყის რაღაცა გამოუთქმელი იდუმალება, მშვენიერი გალობა ბულბულთა, ჭიკჭიკი აურაცხელთა ფრინველთა, ტკბილი ჩხრიალი ყოველს ნაბიჯზედ მოკამკამე ნაკადულთა, ყველა ჩასძახის კაცის გულს რაღაცა ნეტარებას, რაღაცა საიდუმლო ტკბილს გრძნობას, რომლისაც გაზიარება სურს ყოველს კაცს თვის მახლობელთა, იმისთანა მახლობელთა, რომელიც გრძნობით დაგიგდებს ყურს, რომელიც იმედით აგივსებს გულს, რომელიც წაახალისებს შენს ლტოლვილებას და სიყვარულით შეჰხარის შენს აღსარებას.

დადგა გაზაფხული და მაცის გულმა დაუწყო ერთიორად ცემა,

საყვარლის დაახლოების სურვილმა უმატა მეტის სიცხოვლით. ხშირად მაცი ადგებოდა დილით, როდესაც ეძინა ყველა იმის შინაურსა და სხვასაც, შევიდოდა იმ ხშირს დაბურულს ტყეში, სადაც იმედი ჰქონდა, რომ არ მოხვდებოდა იქ კაცის ფეხი და არ შეუშფოთებდნენ მას ნეტარს ფიქრს. ჯდებოდა ის სადმე მჩქეფარე წყლის პირას, ეძლეოდა თან მტანჯველსა და თან ტკბილ ფიქრებს და აძლევდა ამ ფიქრებს ანკარა წყლის ტალღათა. თითქო მხოლოდ ამათ უამბობდა თავის საიდუმლოებათო. ის ფიქრობდა თავის ეკაზედ; ფიქრობდა იმ ნეტარს დროზედ, როდესაც იმას შეეძლებოდა ეთქვა ეკასთვის, რომ ეხლა შენ ჩემს მეტი პატრონი აღარავინ გყავს და შენს თავს ვეღარავინ შემეცილებაო. მაციმ ამ ხანებში უფრო და უფრო უმატა თავის ხელობას. ის ცდილობდა, რომ მალე გავარდნილიყო იმის ბიჭობის სახელი, რომ შეეძინა საკმაო ქონება, რომ ამ ხმით მიეღწია მალე ეკასა და იმის მამამდის, რომ აღარ მიეღო უარი ეკას შერთვაზედ. მაცი კიდევ ყურს არ უგდებდა არც ეკას მამის აზრს თავის შესახებ, არც არავის სხვას, ის ეკას ისეც ჩაიგდებდა ხელში; ძნელი არ იყო იმისი მოტაცება და გაქცევა, თუ ეცოდინებოდა, რომ თვით ეკა იქნებოდა ამაზედ კარგის აზრისა. მაგრამ მაციმ იცოდა, რომ იქაური ქალი თუ არ იყო კარგად დარწმუნებული თავის საყვარლის სახელსა და განთქმულს ბიჭობაზედ, ძვირად თუ გულით შეიყვარებდა და გაჰყვებოდა მამის სახლიდან გასაქცევად. ამის გამო, მაცი ატარებდა მოუსვენებლად ცხოვრებას, რომ ეკასთვის მოეწონებინა საკმაოდ თავი.

ცდილობდა მაცი და მართლაც თანდათან გაისმა მაცის სახელი. თანდათან გასათხოვარი ქალები ჩუმად ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ მაციზედ დაწყობილს სიმღერებსა, რომ ამ დროს მოხდა ის საქმე, რომელიც იყო ზემოთ აღწერილი მღვდლის, ოდიშარიას სახლში შეპარებაზედ.

ძგვიბი ღურწკაია, რომელიც ხედავდა, რომ მაცი მართლაც და აჭარბებს ამას ბიჭობაში, სიმარდეში, მოხერხებაში და სხვა აბრაგულს საქმეში, ცდილობდა, რომ როგორმე დაემცრო ის ქვეყნის თვალში და ეჩვენებინა, რომ მაცი არ იყო ისეთი, როგორც იმაზედ ისმოდა ხმები.

ძგვიბიამ ისარგებლა იმ აღშფოთებით, რომელიც მაციმ იჩინა კოჭოიას თავის მოჭრის დროს. იმან უამბო ყულაშელებს, რომ მაცი არ არის სანდო აბრაგი, რომ მაცი ვერ უზამს იმათ ამხანაგობას და პირველს შემთხვევაში არც გასაცემლად დაინდობს იმათ.

— აპა და, თუ კაი კაცი იყვეს ის, რატომ არ მომყვა ეხლა აქ! —

მიტომ, რომ შეშინდა, რავაც ინდაური. მისგან შერცხვენის მეტი კი არა გამოვა რა.

— არა გამოვა და შეარცხვინა ღმერთმა ეგეც და მაგის კაცობაც. თვარა ჩვენ კი ბევრ აფხანაკს ვიშოვნით ოდიშში.

— კი! მოგეცა ღვთის წყალობა! — დაუმატა ძგვიბიამ, რომელსაც ეამა, რომ ყულაშელებმა, რომელნიც ყველაზედ უფრო იყვნენ აბრაგობაში განთქმულნი და ნიადაგ ბევრის საშოვრით მოდიოდნენ. დაუჯერეს ამას.

ძგვიბი, დაბრუნებული აქედან, წავიდა ხორგას, სადაც იცოდა რომ მაცის ჰყავდა საყვარელი, და მოჰფინა იქაც მაცის შერცხვენის ხმა.

მოატანა იმ დროს, როდესაც ხორგას დღეობა და თამაშა უნდა ყოფილიყო.

მაცის კოჭოიას სიკვდილის შემდეგ არ ასვენებდა საშინელი აღმაშფოთებელი საქმე ძგვიბიასი. იმას აქნობამდის არ ენახა ჯერ სისხლი კაცისა, კაცისავე ხელით დაღვრილი. ის ვერას დროს ვერ წარმოიდგენდა, თუ რა აზრი ჰქონდა კაცის ძალით სიკვდილს, როდესაც ეს ხდება იმის თვალწინ; და მერე რარიგ სიკვდილს: ამხანაგი სჭრის ამხანაგს თავს! სჭრის ისე გულგრილად, ისე აუსწრაფებლად, თითქო ყასაბს ჩაუგდია ხელთ საკლავი და მშვიდობიანად ჰლადრის ყელსაო. მაცის უდგა თვალწინ თავი კოჭოიასი, რომელიც ქოჩრით ეპყრა ძგვიბიას და მიარბენიებდა; უდგა თვალწინ მისი თან გაოცებული და თან თითქო შებრალების მაგვრებელი თვალები, იმის თითქო შეჩვენებისა და მრისხანების გამომეტყველი ტუჩები, იმის ვანწირული სახის გამომეტყველება, რომელიც თითქო თან ემუქრებოდა, და თან არცხვენდა ამათ ამხანაგის ასე გამეტებისათვის. მაცის სდევნიდა ეს სახე, არც ცხადლივ, არც ძილში ის არ აძლევდა ამას მოსვენებას. მაცი ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ კაცის მოკვლა ექნებოდა ვისმე საკვეხურად და ჩაუთვლიდა ვინმე ვისმე ბიჭობად, იმას აღშფოთებდა ძგვიბიას კვეხნით ლაპარაკი ამგვარის საქმით თავის გადარჩენაზედ და ვაჟკაცურ საქმეში მითვლაზედ.

ამ ფიქრებით იყო მაცი გატაცებული და შეპყრობილი, როდესაც მოატანა ხორგას დღეობამ. ის დიდი ხანია ელოდა იმ დროს, რომ ჰქონოდა შემთხვევა თავისი ეკას ნახვისა; და ახლა ხომ უფრო ეშურებოდა ეს დღეობა, რომ ეგება საყვარლის ნახვით გადაეყარა გულიდან ის საშინელი ფიქრები.

მოვიდა დღეობა და მაცი თავის სოფლიდან წავიდა ხორგას, აქ მრავალი ხალხი იყო შეყრილი, ყველა მხიარულობდა, ყველა ეტანებოდა თამაშს. მაგრამ მაცის გული ვერ გაიტაცა ვერა თამაშამ.

მან ყველა ნაცნობში თითქო რაღაცა ცვლილება ნახა, ყველა თითქო რაღაცა სხვანაირად ეგებებოდა მას, ცივად და იჭვნეულად. უწინ იგივე ნაცნობები ცდილობდნენ მაცისთან ლაპარაკს, იმასთან გართობას და თითქო ბედნიერადაც ჰრაცხდნენ ამასთან შეხვედრას და ახლა უცებ ამგვარი ცვლილება. მაცის წარმოუდგა კიდევ აჩრდილი კოჭოიასი; მაცი აიტანა იჭვმა, რომ უთუოდ შეიტყვეს ჩვენგნით კოჭოიას ღალატი და სიკვდილიო. მაცი ამ ფიქრმა მთლად ააღელვა, მთლად დაუკარგა დავთრები. ის ცდილობდა ამოეკითხა თავის ნაცნობების სახეზე, რომ მართლა იცოდნენ ეს ამბავი თუ არა, და იმათმა ცივად მოპყრობამ უფრო და უფრო დაარწმუნა ეს ამაში.

— აპა და რაღად მინდა თავი ცოცხალი, — იფიქრა იმან, — თუ ეს ჩემი საძაგლობა გაგებული აქვს ჩემს ეკას.

ის იყო აპირებდა მაცი ცხენზედ შეჯდომას და სადმე გადავარდნას, რომ ამ დროს დაინახა ამან ეკა, რომელიც იმ დროს ჩაება ფერხულში.

„ეჰ, — იფიქრა კიდევ მაციმ, — ერთიც კიდევ ვნახამ და გამოველაპარაკები ჩემი გულის მკვლელს და მერე რაც უნდა დამემართოს“.

მან დაძალა როგორც იყო თავი, ჩაერია ფერხულში და ამოუდგა ეკას გვერდით: ეკა არ იყო ძველებურად მხიარული, იმისი თვალები აღარა ელავდნენ ისეთის ცეცხლითა, იმისი ფეხები აღარა ცეკვავდნენ თავისებურად მსუბუქად და სწრაფის სიმარდითა. მაცის დანახვაზედ ეკა თითქო აენთო, გამხიარულდა, მაგრამ ამ სიმხიარულეში აღარ ისახებოდა ის გატაცება, რომელიც პირველს შეხვედრაზედ ნახა ამაში მაციმ, ახლა ისახებოდა უფრო რაღაცა საყვედურების კილო, რაღაცა მიუნდობლობა.

— რავა მოგწონს მამიშენის უარი? — ჰკითხა ამას მაციმ გულის ცემით ფერხულის გათავების შემდეგ.

ეკა ჯერ გაჩერდა და თითქო რაღაცას შეფიქრდაო.

— ყულაშელებმა რავა დაგითხოვეს შენ ამხანაგობიდან? — ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ ეკამ, თავჩაღუნულმა.

მაცი შეკრთა, მაგრამ თითქო რაღაცა იმედი მიეცა. იმან იფიქრა, რომ ეს ცივად მიღება ყველასაგან იქნება მარტო ყულაშელებთან ამხანაგობის მოსპობაზედ იყოს და კოჭოიას სიკვდილი არ იცოდნენო.

— ყულაშელები რავა დამითხოვდნენ! — უპასუხა მაციმ იმედმოცემულმა. — მათ კი არ დამითხოვეს, მე თვით დავანებე თავი იმათ.

მაცი ამას არა ტყუოდა. კოჭოიას სიკვდილის შემდგომ მაცი იმათ აღარ გამოხმიანებია და ის კი აღარ იცოდა, ძგვიბიამ როგორ ჩააგონა ეს იმათა და რა განიზრახეს მაციზედ.

— კი! ყველამ ქე იცის რავაც დაგითხოვეს. ძგვიბი ტყუილს არ იტყვის.

მაცი მიხვდა, რომ არც ეკა უნდა ტყუოდეს და ეს უნდა მართალი იყვეს, რაკი გაიგონა ძგვიბის სახელი. იმას მოაგონდა ძგვიბის დამუქრება.

„აპა და თუ დამითხოვეს კი გიჩვენებ მათს უნარს“.

პატარა ხანს უკან ეკა და მაცი დაშორდნენ ერთმანეთს, ეკას გულში ისევ გაიღვიძა მაცის ბიჭობაზედ და ვაჟკაცობაზედ ნდობამ, და მოუთმენლად ელოდა, რითი გაათავებდა მაცი თავის შუქარას.

VI

ქროდა საშინელი ქარი. შავი ზღვა, აღელვებული ამ ქარისაგან, ხუოდა და გაჰქონდა საშინელი გრიალი, თითქო დამდგარა მეორედ მოსვლა და ინგრევა ცა და დედამიწაო. აზვავებული ზვირთნი ამ შფოთიანის ზღვისა ირეოდნენ მილიონობით, ცეკვავდნენ, ხტოდნენ და თითქოს თამაშით მოდიოდნენ ზღვის პირისაკენ, სადაც ეხლებოდნენ ნაპირებს, სკდებოდნენ ამ მოხეთქებით და ხრიანცელით ბრუნდებოდნენ უკან, თითქო ეომებოდნენ ხმელს და დამარცხებულნი იმისაგან ეშვებოდნენ თავის ბუნაგისაკენ, იმ აზრით, რომ აშფოთებულნი ხელმეორედ დასჯახებოდნენ შეუდრეკელს ნაპირებს, რომელნიც თითქო უდგნენ ზღვას მცველად, რომ იმას თავის ტალღებით არ წაელეკნა დედამიწა და იმაზედ მცხოვრებლები. ამ აღელვებულს ზღვაში მოდიოდა ერთის პატარა ფელუკით ორი ნაბადში გახვეული და ყაბალახშემორტყმული კაცი, რომელთაც ეჭირათ ხელით ორ-ორი ცხენი, ზღვის ღელვის და შიშისაგან მწარედ მოკუნტულნი და მთელის სხეულით მძრწოლარენი; იჯდა ორიც ნიჩბის მომსმელი, რომელნიც საშინელის სისწრაფით და სიმარჯვით ატარებდნენ და ატრიალებდნენ ფელუკას აშფოთებულს ტალღებს შუა. ფელუკა ხან ადიოდა მაღლა, თითქო ეს არის ეხლა გადატრიალდება გულაღმაო; ხან ეშვებოდა თავქვე, თითქო ეს არის მოიქცა პირქვეო; ისე გადადიოდა და გადმოდიოდა გვერდზედ, რომ მაყურებელი დაჰკარგავდა სასოებას: ეს არის დაინთქა და საშველი აღარა აქვსო; გამრავლებული და მაღლად ასული ტალღები ელალებოდნენ ფელუკას და წამდაუწუმ ის მთლად იმალებოდა ამ ზვირ-

ებში და პატარა ხანს უკან ისევა ჰყოფდა ამ ზვირთებიდან თავს. თითქო აქ არა ამბავია რაო. მომსმელებს ასდიოდათ ხვირთქლი ოფლისა დაღლისაგან, მაგრამ მაინც არა ჰკარგავდნენ მხნეობას და უმატებდნენ მოსმას. ფელუკამ მოატანა ნაპირს, მაგრამ უცებ ის წაიღეს ტალღებმა ინგურისაკენ, სადაც ის ერთოდა ზღვას და სადაც ზღვა დამშვიდების დროსაც კი არ არის მოსვენებული და ღელავს. აქ ფელუკას ელოდა უეჭველად დანთქმა, რომ უცებ ისკუპა ერთმა მომსმელმა თოკით ხელში, რომელიც იყო ფელუკაზედ მოდებული, გადაერია ზღვის ზღვირთებში და შთაინთქა მთლად. მომსმელი სრულებით აღარა ჩანდა, რომ პატარა ხანს უკან იმან ამოჰყო თავი ნაპირზედ, გავარდა საჩქაროდ ხმელზედ და დაუწყო თოკით წევა ფელუკას ნაპირისკენ. პატარა ხანს უკან ერთმა ცხენის დამჭერმაც მისცა თავისი ცხენები ამხანაგს, გადავარდა ზღვაში და მიეშველა თოკის მწეველსა; ფელუკა მიათრიეს ნაპირზედ და ამგვარად ყველანი გავიდნენ სამშვიდობოს.

ცხენოსნები გადასხდნენ აქ მეორე ფელუკაში, რომელიც მუშაობდა ინგურზედ და გავიდნენ ანაკლიას.

აქ, ერთ თათრის დუქანში ისინი ჩამოსხდნენ პატარა ხანს, აჭამეს ცხენებსა, გაიშრეს ტანისამოსი და შებინდდა თუ არა, გაებნენ ზღვისპირა ტყეებსა და გასწიეს გულდამშვიდებით.

— შენმა მტერმა იპოვოს, რავაც ეხლა გვიპოვის ჩვენ ნაქები მარშანია. ბევრი ვეწვალეთ, მარა ეს ცხენებიც კი ღირს იმ წვალებათ, — სთქვა ერთმა.

ესენი იყვნენ ერთი ძგვიბი ღურწკაია და მეორე ომარ მარღანია. პირველი აბრაგი სამურზაყანოსი, რომლის შიშითაც ძრწოდა მთლად გარშემო ხალხი.

— უბედურ ხვიტიას ეგონა, რომ მისთანა ბიჭობას ვერვინ იქს. მთლად შერცხვენილი ყოფილა და მარტო ქალებში კვეხულობს თავის უნარებს, — განაგრძო ძგვიბიამ.

ამ დროს გავარდა ორი თოფი ერთად, და თითქო რამდენიმე ხმამ დასცა ამათ საშინელის რიხით მწარე ყიჟინა. ორივე მხედარმა ისკუპა უცებ ცხენებიდან და გადაეცლო ტყეში. ყიჟინა და სროლა სდევნიდა ამათ თითქო რამდენიმე მხრიდან. ისინი სისწრაფით ეშურებოდნენ ხშირს და მიუდგომელს ტყეებსა. ყიჟინა და სროლა დიდს ხანობამდის არ ასვენებდა ამათ. ისინი გავიდნენ სამშვიდობოს, ყიჟინამ ძლივს დაანება მათ თავი.

დამხვედრი და ყიჟინის დამცემი იყო მარტო მაცი, რომელმაც მიაგნო კვალს. რომ ძგვიბის აქეთკენ უნდა გამოეტარებინა ცხენები იმან ორი თოფი და რამდენიმე დამბაჩა წამოიღო განგებ. რომ იმათ

დამსვედრი მარტო არა ჰგონებოდათ. ხმას დიდის სიმარჯვით იცვლიდა მაცი: ხან თითქო აქვე სცემენ ყიჟინას, ხან ცოტა მოშორებითა და ხან შორსაო. ამგვარად მაციმ დააყრევინა იმათ ცხენები. ის დაბრუნდა, დაიჭირა ძგვიბისა და მარღანიასაგან დაყრევინებული ცხენები, მოაჯდა ერთ-ერთს, დაიჭირა სხვები ხელში და გასწია საჩქაროდ. გზაზედ მიაბარა ერთს თავის კარგ ნაცნობს სამი ცხენი და ერთი საუკეთესო ცხენით თვითონ გაეჩქარა იქითკენ, სადაც ეგულებოდა ყულაშელები სხვა ცხენებით, რომლებიც უნდა იმათ გაეცვალათ მარღანიასა და ღურწკაიასთვის.

გათენების ჟამი იყო, როდესაც მაცი თეკლათსა და ჭალადიდს შუა შევიდა ერთს საშინელს, ყრუ მუხის ხის ტყეში. ერთი თხუთმეტი ვერსი უნდა გაგეევლო ამ ტყეში, რომ მცხოვრებლებს ვერსად შეხვდებოდი. ზამთარ-ზაფხულ ტყეში საფლობია და თავის დღეში ვერ ნახავს კაცი აქ გამშრალს ალაგს. ცამდინ აწვდენილი მუხის ხეები ჰფარავენ დედამიწას მზის სხივებისაგან, რის გამო ადგილი მთლად ჭაობნარად ქცეულა და, თუ არ დიდი გვალვის დროს, ძვირად შეჰბედავს ამ ტყის სიღრმეში შესვლას ცხენოსანი. ამ ტყეში რამე შემთხვევით შესული მოგზაური გრძნობს თავის თავს დაკარგულად და გადავარდნილად რაღაცა სხვა უცნაურს ქვეყანაში, რომელიც შეადგენს სრულებით სხვა სამყოფს, სხვა საცხოვრებელს. ძნელად მოხვდება აქ კაცის ფეხი: ძვირად თუ მონადირე, გატაცებული ნადირის სურვილით და ნადირის კვალით, შევა ამ მიუდგომელსა და საფლობ ადგილებში. ეს არის ქვეყანა გარეულ ღორთა, ირემთა და სხვა მხეცთა და ნადირთა, რომელნიც განრიდებიან კაცთა დევნასა და იმათს გაუძღომლობას; არის ადგილი თავისუფლად მოჰიკჭიკე ფრინველთა, რომელნიც კმაყოფილებით ჭყრიპინებენ, თითქო შეჰგალობენ ბუნებას, რომ გააჩნია ისეთი ადგილიც, სადაც კაცის ფეხი ვერ შეუშფოთებდა იმათ განცხრომას.

მაცი მოდიოდა ამ ადგილებში ერთს ბილიკზედ, რომელიც უფრო მხეცებისა და გარეული ღორებისაგან იყო გაკვალული, ვიდრე კაცისაგან.

აქ, ამ ადგილების არემარეზედ იყო ერთი მეძროხეების ქოხი ზამთარში სადგომად და აქ ჰქონდათ ხოლმე ყულაშელებს ხშირად დანიშნული ადგილები ცხენების საცვლელად.

მაციმ ძლივს გამოლია ის მიუდგომელი ყრუ ადგილები და მიატანა უფრო ფართო ადგილას ტყეში, სადაც სიარული კიდევ მოხერხდებოდა; ის შეჩერდა, პატარა ხანს უკან გადმოხტა ცხენიდან და მიაბა ცხენი. მაციმ მოხსნა ცხენს ნაბადი, მოიხადა თითონაც თავისი ნაბადი, გადაფინა ფეხწინ, გადიარა ზედ, აიღო ისა, გადა-

ფინა ახლა ცხენის ნაბადი, გადიარა ამაზედაც და გადაფინა ისევ თავისი ნაბადი. ამგვარად მაცი თვალის დახამხამების უმალ იცვლიდა ნაბდებს და მიდიოდა თითქმის ისეთის სისწრაფით, როგორც ყოველთვის უვლია ფეხით. ამგვარად მაცი მივიდა უკვალოდ ქოხთან.

ქოხში ეძინათ ტკბილად ყულაშელებს და თავის დღეში ვერ მოიფიქრებდნენ, თუ ამისთანა ადგილას ამ ქურდებს გამოუჩნდებოდათ ქურდები. ეძინათ ტკბილად იმათ, როდესაც მაციმ შეაღო კარი და გამოიყვანა ერთი ცხენი, რომელიც იმავ კარებში შეაყენა ნაბადზედ და იმავე წესით, რა წესითაც იქ მივიდა, ატარა ცხენი, ვიდრე სამშვიდობოს გაიყვანდა. მაცი დაბრუნდა და გამოიყვანა მეორე, შემდეგ ამგვარათვე მესამე და მეოთხე.

დილაზედ დაიღვიძეს ყულაშელებმა და შენს მტერს ის ელდა, რაც იმათ ნახეს: ოთხი ბედაური ცხენი აღარსად იყო. ეცნენ მაშინვე კვალს და კვალი არსად ჩანდა.

— კი! კაი მარჯვე ყოფილა, ვინცაღაა, — თქვეს იმათ და თითონვე მოეწონათ იმისთანა მარჯვე ქურდობა.

ისინი ვერას დროს ვერ მოიფიქრებდნენ, რომ ოთხ ცხენს ვინმე წაიყვანდა იმ ჩემს აწერილის ტყის მხრივ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი წაიყვანეს მეორის მხრივ, საიდანაც თუმცა დიახ ძნელი იყო, მაგრამ მაინც და მაინც შეიძლებოდა ვაითა და ვაგლახით სიარული.

— კი, ბევრს ხანს ვერ ატარებდნენ იგინი უკვალოთ ოთხ ცხენს, — თქვა ერთმა, რომელსაც უფრო გული ეწოდა, — და გვმართებს კი კვალის მონახვა.

სამმა ამხანაგმა დაუწყო სამ მხარეს ძებნა; მათ დიდხანს ეძებეს კვალი, ბევრი გზაც გაიარეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი ნახეს რა.

— კი! კაი ყოფილა! — გაიმეორეს კიდევ იმათ უიმედოდ უკან დაბრუნებულებმა და გასწიეს შინისაკენ, სხვა ახალი საქონლის შესაძენად.

ომარ მარღანია მაშინვე დაბრუნდა შინ, რაკი ამას და ამის ამხანაგს დააყრევინა მაციმ ცხენები. ძგვიბი შებრუნდა იქვე მახლობლად ერთს თავის ნაცნობთან და იქ გაატარა ღამე. ძგვიბის ვერ წარმოედგინა, თუ რარიგად უნდა გაეგოთ ცხენების პატრონებს, რომლებიც მოპარეს აფხაზეთში მარშანიებს, რომ ისინი სწორედ ამ დროს და იმ გზაზედ გამოივლიდნენ; ან როგორ მოხდა, რომ მდევარი ამ ცხენებისა მიეწია ამათ ამ სიშორეზე. ამის გამო ამან დაიწყო აქა-იქა გამოკითხვა, თუ ვინ იყო, რომ ქურდებს ცხენები დააყრევინა ამა და ამ ადგილას, მაგრამ ეს ამბავი არავინ არ იცოდა და

უკვირდა ყველას, რომ ეს პირველად ესმოდათ. ძგვიბიმ იფიქრა, რომ აქ სხვაფრივ არის საქმეო. ის დილით ადრიანვე ადგა, მივიდა იმ ადგილას, სადაც ამათ დააყრევინეს ცხენები და გაჰყვა ამ ცხენების კვალს. ამ კვალმა მიიყვანა იქ, სადაც ბიაბარა ბაცია ცხენებთან. ძგვიბიმ მოჰკრა აქ მაცისაც თვალი, რომელიც ყულაშელებიდან დაბრუნდა აქ ამ ცხენების წასაყვანად. ძგვიბიმ იკბინა ნეკზე: „აი თურმე რა ყოფილა! — იფიქრა იმან. — აპა საცაღას წეიყვან შენ მაგ ცხენებს მეც კი ვნახამ!“ აქ ძგვიბი დაფაცურდა ერთს თავის ნაცნობთან, რომელიც არ იყო ამ ადგილზედ შორს, და გამოართვა ერთი კარგი ცხენი. იმან გატენა თოფი და დამბაჩა, დააყარა საპირისწამლე, შემოჰკრა ცხენს ქუსლი და დაუწყო თვალიერება მაცის გზას.

ბინდი ჰკრა, რომ მაცი გაუდგა გზას; ის სრულებით დამშვიდებული მიდიოდა, ამაყის ფიქრით, რომ შერჩა ორი ამგვარი დამარცხება იმ კაცებისა, რომელნიც ამას არა ჰრაცხდნენ ღირსად თავის ამხანაგობისა.

„კი და, აპა ეხლა ჩემმა ეკამ სცნას ვინცაა უღირსი და შერცხვენილი! — ფიქრობდა მაცი გზაზედ. — არ მამცემს ხვიჩა მის თავს და თვით ეკა გამამყევება. აწი კი დეიჯერებს ეკა, რომ მისი ღირსი ჩემს გარე არავინაა“.

მიდიოდა მაცი გულდამშვიდებული, გართული ათას ტკბილს ფიქრებში თავის ეკას შერთვასა და მომავალს ბედნიერებაზედ. მიდიოდა ის ასე და მისდევდა ამის კვალს გაცხარებული ძგვიბი. მაცი გავიდა ერთს ეწერში, რომ ამას მოესმა ცხენის ფეხის თქარა-თქური. მაცი უცებ შეკრთა და იტაცა თოფს ხელი. მანამ იარაღს მოიმარჯვებდა, გაიზუზუნა ტყვიამ და გაუარა ბარკალში; მაცი გადმოვარდა ცხენიდან და ფიქრის უმალეს იძრო დამბაჩა. მაგრამ მანამ ეს მოისაზრებდა საიდგან იყო ნასროლი, უცებ წამოადგა ამას დამბაჩაგამოწვდილი ძგვიბი.

— სად წახვალ, სად! — დაჰყვირა ძგვიბიმ. გავარდა დამბაჩა ძგვიბისა და გაუარა მაცის თეძოში. ამავე დროს გავარდა მაცის დამბაჩა და შუბლში მძიმე დაჭრილი ძგვიბის ცხენი შედგა ყალყს, დაეცა და მოიტანა ძგვიბი ქვეშ. მაციმ იძრო თოფი. ძგვიბი მსწრაფლად გამოძვრა ცხენს ქვეშიდან, იფეთქა მაცის თოფმა და ძგვიბი გაეხვია თოფის წამლის კვამლში. ტყვიამ გაუარა იმას გულში. მაგრამ სანამ ძგვიბი იგრძნობდა ამას, ის გამწარებული, ვეფხის სისწრაფით, ერთის ნახტომით ხანჯალამოღებული დაიბადა მაცისთან. მაციმ იძრო ხანჯალი და ორივემ თვალის დახამხამების უმალ ჩაუსვეს თითო ხელით ერთმანეთს ტარამდის ხანჯალი, თითო ხე-

ლით ეტაკნენ ერთმანეთს და ორივენი, თითქო საყვარელნი მოხვევიან ერთმანეთსაო, უგონოდ ერთმანეთზედ გადახვეულნი დაეშვნენ ძირს.

VII

ამ თოფის სროლაზედ მოცვივდა რამდენიმე გარშემო მცხოვრები. ნახეს მაცი და ძგვიბია ერთმანეთზედ გადახვეულნი და ყელამდის სისხლში მოსვრილნი ეყარნენ უგონოდ; ძგვიბი იყო უსულო და მაცი კიდევა ფეთქავდა. მაცი მოასულიერეს, მაგრამ ისე მძიმედ იყო დაჭრილი რამდენსამე ალაგას, რომ მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა. მაცი გადაიყვანეს ერთს მის ნათესავთან, რომელიც არ ცხოვრობდა აქედან შორს. იმას დაჰხვიეს მრავალი ექიმი, მაგრამ დღითიდღე იმის სიცოცხლე მიდიოდა უკან და უკან. მაცი კვდებოდა და იმას თითქო არა ენანებოდა რა ამ სოფლის განშორებით. მხოლოდ სანატრელად ესღა ჰქონდა, რომ ერთი სიკვდილის დღეს კიდევ ენახა თავისი მკვლელი ეკა; უნდოდა ერთი იმის კალთაში გამოეტირნა თავისი ყმაწვილკაცობა და მასუკან ამას სიცოცხლე აღარც სანანურად დარჩებოდა. მაგრამ ვინ აჩვენებდა ამას ეკას? დანიშვნა რომ მოესწრო, კიდევ იქნება მშობლებს ნება მიეცათ ეკასთვის ამის ნახვისა, მაგრამ ეს არამც თუ დანიშნული არ იყო, როგორც წინათაც იყო ნათქვამი, მამისაგან დიდი უარიც მოუვიდა ეკას შერთვისა. მაცის სწყუროდა ეკას ნახვა, ჰკლავდა იმის გამოუსალმებლობა, მაგრამ ეს თავისი მწუხარება ვერავისთვის გაეზიარებინა, რადგან არც იმედი ჰქონდა თავისი სურვილის შესრულებისა და არც უნდოდა, რომ ვისმე გაეგო ამათი დაახლოება, რომ ამითი არ დაემცრო ქვეყნის თვალში ის ადამიანი, რომელიც ყველაზედ ძვირად უღირდა.

ძევს მაცი საშინელი შეწუხებული, იმედგადაწყვეტილი. თმაგაწეწილი დედა, ძიძა და სხვა ნათესავნი და მორდუნი * საშინელის გულის გასაგმირის ხმით გასწივიან, თითქოს მთელს ქვეყანას უძახიან საშველად, რომ დაგვიბრუნონ ჩვენი მაცი, ჩვენი მარჩენალი და შემნახველიო; თითქო ამ ხმით უნდა გაგმირონ ან შებრალება გააღვიძონ შეუბრალებელის სიკვდილის გულშიო. ძიძა და მორდუები საშინელის ზარით მოსთქვამდნენ. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა დედას, დებს და ძიძას ცემისა და კაწრისაგან დახეთქილს თავ-პირიდან. მოზარენი იყვნენ შეყრილნი მაცის გამოსატირ-

* ძიძეულნი.

ლად. მაცი ძლივსღა სცნობდა თავის გარშემო მყოფთ. .ამ დროს ვიღაცა ცხენიანი საშინელი სისწრაფით მოადგა იძ სახლს, სადაც იწვა მაცი. თავპირგახვეული ყაბალახში, მოკლე ნაბადმოკუნტული მხრებზედ, ის შევარდა პირდაპირ სახლში.

— სადაა მაცი? — იკითხა მან ხმის კანკალით და აჩქარებით.

ამ უცნობი კაცის შემოსვლამ სუყველა გააოცა; დაუწყეს იმას გაშტერებით ცქერა.

— აე, მაცი! — უჩვენა ერთბაშად ყველამ.

— გადით ყველანი აქედან! — უთხრა გადაწყვეტილის კილოთი მოსულმა.

ყველა წავიდა.

— ყველა, ყველა! — დაუმატა იმან, როდესაც დაატყო, რომ დედა, დები და ძიძა გაჩერდნენ კარებთან.

ისინიც რაღაც უნებლიეთ გავიდნენ.

მოსული მიჰყვა იმათ კარებამდის და ჩაკეტა მაგრად კარები. მოიხსნა ნაბადი და ყაბალახი და რაღაცა გულამომჯდარის აღშფოთებით გაექანა მაცისკენ.

— მაცი! რას ვხედავ მაგას?!. მიცან აპა შენი ეკა?!

მაციმ გაახილა თვალები. იმან იცნო ეკა და ისინი გამწარებულნი ჩაეკვრნენ ერთმანეთს. დიდხანს იყვნენ ასე ჩაკრულნი, დიდხანს აღიოდათ ცრემლები და ვერა შორდებოდნენ ერთმანეთს, თითქო ეშინოდათ, რომ ამ მოშორებით საუკუნოდ არ მოშორებოდნენ ერთმანეთს.

— აწი, რავამც ცოცხალი გნახე, არ მოგკლამ შენ! — უთხრა ეკამ, როდესაც ძლივს აიღო თავი მაცის გულიდან. — უმალ ეკას გულზედ ნახავ მიწას, ვიდრე ეკა ნახავდეს მაცის მკვდარს.

— კი, აღარ მიჭირს სიკვდილი, შენ რომ გნახე. — ეუბნებოდა მაცი საშინელის სუსტისა და გაპარებულის ხმით. — ახლა ქე მჯერა, რომ ღმერთს ჩემი სიბრალული კი ჰქონია.

აქ ეკამ გადაიწია თავისი გრძელი ჩოხა, ჩაიყო გრძელს ახალუხის ჯიბეში ხელი და ამოიღო რაღაცა შუშით წამალი. იპოვნა სადღაც ერთი ხის კოვზი, დაუსხა ეს წამალი და დაალევინა. პატარა ხანს მაციმ იგრძნო რაღაცა ყუათი. შემდეგ ამოიღო ეკამ მალამოები, გაუსხნა დაკოდილები მაცის, მოჰბანა კარგად, დაადო ეს მალამოები და შეუხვია ყველა თავისი ხელით.

— ახლა მშვიდობით! — ის მივარდა ცხარედ მაცის, ჩაეკვრნენ ისინი კიდევ მაგრად ერთმანეთს და გამოესალმნენ. — ეს მალამოები ყოველ დილა-საღამოთი იდე და ეს წამალი დღეში სამჯერა სვი. მე მეტს ხანს აქ ვერ დავრჩები, თვარა მშობლები ქე შემიტ-

ყობენ. ჩემი აქ ყოფნა არავინ უნდა იცოდეს. ვინც გკითხოს, უთხარ დედოფლის ექიმის კაცი იყო თქვა. მე კიდევ გნახავ.

აქ ეკა გაეხვია ისევ ყაბალახსა და ნაბადში, მოახტა მარდად ცხენს და გასწია სასწრაფოდ.

VIII

გაიგო თუ არა ეკამ მაცის დაჭრა, იმდენს ეცადა, რომ გადმოვიდა ერთს მახლობელს სოფელში სტუმრად თავის ნათესავებთან. აქედან ეკა ადევნებდა ყურს მაცის მდგომარეობას და იყო საშინელს განწირულებაში. ბოლოს, როდესაც გაისმა ხმა, რომ მაცი უფრო და უფრო უარესად ხდება და იმისი შველა შეუძლებელიაო, ეკამ იხმარა უკანასკნელი ღონისძიება. მას გაეგონა, რომ დედოფლის ექიმმა, თუნთიხემ იცის ჩინებული წამლობა ჭრილობისა და ასეთი წამლები არავინ არ იცისო. ზუგდიდი, სადაც ცხოვრობდა ეს ექიმი, არ იყო შორს. ეკა საპარასკეობოდ დაეთხოვა თავის ნათესავებს ზუგდიდს წასასვლელად, ვითომც თავის ნათესავებისა და პარასკეობის სანახავად და სხვადასხვა სავაჭროების სასყიდლად.

ბინდმა ჰკრა, რომ ეკა საშინელის გულის ცემით შევიდა ამ ექიმ დედაკაცთან. თუნთიხემ რომ შეხედა, გააოცა ის ეკას მშვენიერებამ. იმისი შავი მაყვალივით თვალები, შავი გიშერივით მობზინვარე თმა, საშინელი ცოცხალი სახე და ის საშინელი მწუხარება რაღაცა გამოუთქმელს გრძნობასა, რაღაცა პატივისცემას აღვიძებდნენ კაცის გულში.

თუნთიხე დიდხანს გაშტერებული უყურებდა ეკას მშვენიერებას და ბოლოს ძლივს გამოელაპარაკა.

— აპა, და ვისაც შენ შეიყვარებდი, ის კაცი ეღირება იმათ, რომ ჩემთან მოსულიყავ. მარა თუ უღირსი კაცია, კი არ მოგცემ მისი სიყვარულის წამალს.

— არა, ჩემო დიდებულო ბატონო! მე სიყვარულის წამალი არ მიჭირს; მე სხვაფრივ მიჭირს შენი თავი. — აქ ეკამ ამოალაგა ჯიბიდან რაც კი სადმე ძვირფასი ნივთეულები ჰქონდა, დაულაგა წინ, დაეცა მუხლებზედ და მოეხვია ფეხებზედ თუნთიხეს. — აწი მიშველი შენ და მომკლავ შენ, — დაიწყო გულამოჯდომით ტირილი ეკამ.

თუნთიხემ ააყენა ეკა, მოეხვია და აკოცა.

— აპა და თუ შენისთანა ლამაზს არ ვუშველი, მაშ მე შველასულ აღარავისი შემძლებია. მითხარი, რაში გიჭირს ჩემი თავი.

აქ ეკამ უამბო ყოველივე მაცის ჭრილობის შესახებ.

— ვინაა მაგი ბედნიერი, ვისთვისაც შენ აგრე ცდილობ? ჰკითხა თუნთიხემ.

— ძაგი, აქ მოსაჭრელი თავი რომ აქ მომჭრან, ვერ გეტყვი. - უთხრა ეკამ, — და თავის დროზედ კი შეიტყობ.

— მართალი ხარ შენ. შენი ხნეობა ნებას არ გაძლევს მაგგვარი საქმის გახმიანებას. აპა და მოგცემ წამალს, მარა, როცა მორჩება, უნდა მითხრა, ვინცაა მაგი ბედნიერი.

— კი, შენი მუხლების ჭირიმე! — და ეკა ხელმეორედ დაეცა მუხლებზედ და მოეხვია სიხარულით თუნთიხეს.

თუნთიხემ დაუწყო მზადება წამლებსა. ეკა იჯდა იმედმიცემული და ცოტა არ იყოს გაუმხიარულდა სახე.

ამ დროს შემოვიდა თუნთიხესთან ოდიშის ბატონის ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ვაჟი. იმან შემოალო ფრთხილად კარები და, დაინახა თუ არა ეკა, გაოცებული ამ მშვენიერებით, გაშტერდა იქვე, მიეყუდა გარეთ კარებს და დაუწყო იქიდან ცქერა. იმას აუვარდა თავში სისხლი. იმან დააპირა იქვე კარების ჩაკეტვა და ამგვარად ქალის ხელთ ჩაგდება, მაგრამ ეკას დამშვიდებულმა და სრულიად უმზაკვრო, უმანკო სახემ გააჩერა ისა.

„აჰ! თუ ეგ არ ჩევიგდე ხელთ და მაშ ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა“, — განიზრახა იმან გულში და თანდათან საშინელის თვალების ბრიალით და გულის ცემით სინჯავდა თავიდან ფეხებამდის ეკას.

თუნთიხემ გააკეთა წამლები და მისცა ეკას, დაარიგა როგორც უნდა ეძლია ავადმყოფისთვის. ეკამ სიხარულით დაუკოცნა ხელები და გასწია სწრაფად.

— ეგ წამალი რომ გამოელევა, კიდევ უნდა მნახო, თუ არა მარტო ეგ არ ეყოფა, — უთხრა მიმავალს ეკას თუნთიხემ.

— კი, სქანი ჭირიმა! — მოაძახა მადლობით ეკამ და გასწია სირბილით.

ეკა მეორე დღეს დილით იყო მაცისთან.

— მაგი მშვენიერი ვინ იყო? — შემოვიდა უცებ და ჰკითხა მემკვიდრემ თუნთიხეს, რომელთანაც ეს ყმაწვილი კაცი დაიარებოდა, ყმაწვილს ქალებთან დასაკავშირებლად და შესაქცევრად.

— აჰ, კი, ბატონიშვილო, შენც ნახე მაგი რა მშვენიერი იყო? შენ რავა გამოგეპარება, ჩემო დღეგრძელებავ, მისთანა ლამაზები! — ეუბნებოდა თუნთიხე.

— აჰ! უმაგისოდ თავი ცოცხალი არ მინდა! მითხარ, ვინ იყო ეგ ჩემი მკვლელი, ეგ?

— არ მითხრა თვით ვინ იყო, მაშინვე კი შენ გამახსენდი, ჩემო ლამაზო ბატონიშვილო. შენ არ მომიკვდე. შენს მეტს ეგ არვის მოუხდეს.

— აპა, და თუ შენ ეგ ჩემთვის გინდოდა, რავა არ შემატყობინე?

— კი, მარა, მისმა მშვენიერებამ და მისმა მწარე თხოვნამ სულ მთლად დამაბნია. სხვისისაც კი მაგი ჩვენს ხელთაა და, შენ არ მომიკვდე, შენს გარეისად ეგ სხვას არავის ვარგუნო.

— ჰოდა. თუ მაგას არ მამიგვარებ, კი გნახავ. რავა იხეირებ ქვეყანაშიდ.

— კი, კი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, ჩვენო დიდებულო ხელმწიფევ!.. ჩემს მწყალობელს რავა დაგიკარგავ შენ მაგას.

— მაგრე, ჩემო თუნთიხე, თვარა არც შენ და არც მაგის პატრონებს არ დავაყრი კეთილს.

— მაშ მოკვდეს შენი თუნთიხე. თუ უმალ არ შეგისრულო შენი წადილი.

— რაც მალე იქნება, იმდენ უფრო მიიღებ ჩემგან მადლობას.

— ჯერ შეექეც სხვებთან, ვინც მყავს შენთვის დამზადებული და მემრე ეგ იქნება. ისიც აქანაა და, თუ მიბრძანებ, შემოვიყვან

— აჰ, შენ არ მომიკვდე, მაგის მნახველმა მე სხვა არ ვინდომო. თუ იქნება — ეგ, თუ არა, გამოესალმე სიცოცხლეს. — ამ სიტყვებით გავიდა ყმაწვილი ბატონიშვილი.

IX

ამ წამლებით მაცი უცებ მომჯობინდა და შევიდა უკეთობაში. მაგრამ რადგან ბევრი ჰქონდა ჭრილობა, წამლები მალე შემოელია.

ეკა ამავე წესით წავიდა ზუგდიდს პარასკეობას და მივიდა თუნთიხესთან.

— ჰა, დაბრძანდი, ჩემო მშვენიერო. შენ წამლებს რავა დაგიჭერ. წამლებს არა და შენ ისეთს ბედნიერებას გწიო, რომ შენი დღენი სულ ჩემი გზა ლოცო. ჩვენ პატონსქუამ, მთავრის შვილმა, რავამც გნახა შენ, ისტე გედირია, რომ თქვა, უიმისოთ ცხოვრება არ შემიძლიაო. აპა, ბედნიერება უკეთესი რავა ეწევა კაცს! აწი რავარც შეიტყობს შენს აქ მოსვლას, იმწამს აქანა დეიბადება და გაბედნიერდი საუკუნოდ.

ეკა აენთო საშინლად. ამ სიტყვებზედ მას მთელმა ტანმა დაუწყო თრთოლა. იმან დიდხანს ვერ მოახერხა, რა პასუხი მიეცა. ამგვარს შემთხვევას არასდროს არ მოელოდა.

— რა ბედნიერება! — დაიწყო იმან ხმის კანკალით. — ბატონიშვილს ჩემი რა ბედნიერება შეუძლიან? ჩემი ბედნიერება ის იქნება, რომ ის მომირჩეს, ვინც მე მინდა. თუ არა და ჩემი ბედნიერება ერთ ჩალად არ მიმაჩნია და არც ვიცოცხლებ თავს.

— არა და მაგ ბედნიერებასაც ქე დაჰკარგავ და არც ის მოგირჩება. აწი, როგორც გიჯობდეს, ისე მეიქეც.

ეკა დაფიქრდა და დაიწყო ტირილი. იმას წარმოუდგა, რომ მაცის სიცოცხლე იყო დამოკიდებული თუნთიხეზედ და უამისოდ უნდა საუკუნოდ გამოსალმებოდა თავის სატრფიალო მაცის.

— აპა, — ფიქრობდა ის,— გევიფუჭო თავი და რაღათ უნდივარ გაშინ მაცის! რაღა პირით მივეგებები იმას! რაღა თვალით შევხედავ ქვეყანას! არა და მაშინ უნდა მოკვდეს მაცი. — ამ უკანასკნელს ფიქრზედ ეკას გაუელვა საშინლად თავში: როგორ თუ უნდა მოკვდეს მაცი! მაშინ ან ქვეყანა რაღად უნდა ამასა, ან რაღაში დააფასებს ქვეყნის აზრსა.

— „აპა, და მაშ რაღა ქალი ვყოფილვარ, თუ მაცის არ ვანაცვალებ თავს!“ — აქ ეკამ დაანება ტირილს თავი, შეიმაგრა გული და მიუბრუნდა თუნთიხეს.

— აწი, შენი მუხლების ჭირიმე, ფაჭაჭიავ, მიბოძე წამლები და რავარც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი. ჩემგან დიდებული პატონსქუა რავა დეიწუნება. კი, სიბრიყვით მომივიდა, რომ წეღან უარი ვთქვი.

გახარებულმა ამ სიტყვებისაგან, თუნთიხემ მაშინვე აფრინა ერთი პატარა ბიჭი მემკვიდრესთან და თითონ დაუწყო მზადება წამლებს.

— ბევრი გააკეთე, შენი ღმერთის ჭირიმე, რომ დაკოდილი ბევრი აქვს, თვარა მე ვერ ვბედავ იქანა მისვლას, და ის დროზედ ვერ მაგებინებს და რჩება სამი-ოთხი დღე უწამლოთ.

— კი, ჩემო სურნელიანო! შენთვის ყველაში მზა ვარ, ოღონდ შენ ასიამოვნე ჩვენს დიდებულს პატრონს.

აქ თუნთიხემ მოუმზადა ბლომად წამლები და მისცა ეკას. ეკამ ჩაიწყო ისინი ჯიბეში და ის იყო აპირებდა გამოვარდნას, რომ ამ დროს შემოვიდა ყმაწვილი მემკვიდრე და მოიკეტა კარები. მეორე კარიდან გავიდა თუნთიხე, გაუშვა ისინი მარტონი და ჩაკეტა გარედან კარები. მემკვიდრე, თავში სისხლავარდნილი და საშინლად სურვილისაგან აღელვებული, გაექანა ხელებგაწვდილი ეკასაკენ, რომ უცებ გაიკრა ეკამ კაბის კალთის ქვეშ ხელი, იძრო დამბაჩა, მომართა ჩახმახი და დაუმიზნა ყმაწვილ კაცს გულში.

— აპა, პატონსქუავ, და თუ წამოსდგამ წინ ფეხს, მაშინ ნახავ, რაც დაგემართება.

ბატონიშვილი, შემკრთალი და შეშინებული იმ მოულოდნელი ამბით, დაეშვა იქვე ერთს გრძელს ხის სკამზედ. ეკა ეცა უცებ კარებს, დამბაჩით ხელგაწვდილი, გააღო კარები, გამოვარდა საჩქაროზედ, და გულისქაცქაცით და საშინელის შემკრთალის სახით დაბრუნდა შინ. მეორე დღეს ის იყო მაცისთან წამოღებულის წამლებით.

X

დიდხანს ვერ მოვიდა გონს ყმაწვილი პატონსქუა. იმას ვერ წარმოედგინა, რომ გაბედავდა ვინმე ოდიშში მასთან ამისთანა უარსა. ამგვარმა უარმა უფრო და უფრო გააღვიძა ამის გულში სურვილი ეკასი.

„მაგი ვინ უნდა იყვეს? — ფიქრობდა ის თან შემკრთალი და თან გაბრაზებული. — მე პირველი თავადიშვილის ქალი ვერ გამიბედავს უარს და მაგი ვინაა, ვინ!.. ალბათ არაა ოდიშელი ქალი, თვარა მაგ უარისაგან რავა ხეირს უნდა მეელოდეს მაგის პატრონი!..“

— თუნთიხე! — დაუძახა ფაჭაჭიას ყმაწვილმა.

თუნთიხე ამ დროს ამ ამბისაგან შეწუხებული იგლეჯდა მეორე ოთახში თმებსა და გაჰკიოდა თავის ბედს, რომ ასეთი შემთხვევა მიეცა, რომლითაც შეიძლებოდა საუკუნოდ გაუბედურებულიყო.

„სიდამ გამომიტყვრინა ბილწმა ეშმაკმა მაგი გულმკვდარი! — ფიქრობდა ისა და მოსთქვამდა. — რავა გაუბედა უარი და ჩამაგდო ცეცხლში!..“

პატონსქუას დაძახებაზედ თუნთიხემ ბოიწმინდა ცრემლები და გავიდა. ის მაშინვე დაეცა მუხლებზედ.

— აჰ, ბატონო! ამოიღე სატევარი და მომჭერი თავი!.. კი. ღირსი ვარ, შენ ნუ მომიკვდები... რავა მოველოდი მაგ სირცხვილს!

— აპა, და ადექ, ქოფაკო! შენი ცრემლებით რავა გინდა მომხიბლო! აწი კი არა, და თუ მალე არ შემიტყვე ვინცაა მაგი, მაშინ კი ნახავ, რავარც იცოცხლებ, შე კუდიანო!.. შენი დღეები დათვლილია.

ამ სიტყვით გავიდა ყმაწვილი პატონსქუა.

— კი, შენ ნუ მომიკვდე, — სთქვა სიხარულით ფაჭაჭიამ. მართლაც და იმდენი ეცადა ფაჭაჭია, რომ ბევრი ძებნის შემდეგ, ძლივს გაიგო ყოველი გარემოება და ვინაობა ეკასი.

„აჰ, რაკი ოდიშელია — თქვა სიხარულით პატონსქუამ, — აწი კი ჩემს ხელთ ყოფილა. კი, მისი სილამაზე მეც კი შემიტყვია. მისთანა ლამაზებს მაციებისათვის კი არ სცალიათ“.

პატონსქუამ მაშინვე მიმართა თავის დედას გურანდუხტა დედოფალს და უამბო ყოველი თავგადასავალი ეკასთან და სთხოვა, რომ ის შემოეყვანა დედას სასახლეში პირისფარეშად.

ამ სიტყვის გაგონებაზედ, რომ მაცის საყვარელი ყოფილა ეკა, გურანდუხტას გადაჰკრა ფერმა.

— კი! — უთხრა დედოფალმა თავის შვილს. — შენ რავარც გიამება, ისე მოვიქცეთ. აწი ვუბრძანებ ბოქაულებს, რომ ამ ერთს კვირაზედ მომგვარონ აქ პირისფარეშად.

პატონსქუამ სიამოვნებით დაიწყო ზმორვა და რაღაცა ტკბილი ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ის წინათვე ისახავდა თვალწინ, თუ როგორ ჩაიგდებდა ეკას ხელში და გასწევდა სიამოვნებას.

„კი ვეტყვი, რომ რაც იარაღი ექნება, ყველა წაართვან. მერე ცარიელი ხელით დეიწყებს ძალადობას, მარა მე ისტე უფრო მიამება, რომ ძალაზედ დაადგეს... დემიწყებს ხვეწნას მარა: შენი საქმე აჩ არის თქვა და!.. აჰ... — აქ უფრო ტკბილმა ფიქრებმა გაუელვეს იმას თავში“.

„კი, მაცი საყვარელს ვერ გეიჩენს, — ფიქრობდა დედოფალი თავის მხრივ, რაღაცა შეწუხებულის გულისცემითა. — მაცის არ უნდა ჰყავდეს საყვარელი. მისთანა ვაჟს არ შეჰფერის სხვა არავინ!.. თუ ჰყავს და მალე მოვაშორებ... მან არ იცის, მაგი ვისაც უყვარს, თვარა არც გაბედავდა სხვის სიყვარულს!..“

თქვეს და კიდეც შეუდგნენ შესრულებას.

რაკი მაციმ მოიხედა კარგად, ეკას მეტი დარჩენა აღარ შეეძლო თავის ნათესავებში, საიდამაც ყურს ადევნებდა მაცის. დიდი ხანია დეი-ძაძა ატანდა ძალას, რომ დაბრუნებულიყო შინ.

მაციმ დაიწყო სიარული, შეძლო ცხენზედ ჯდომაც; მაშინ ეკა წავიდა შინ გულდამშვიდებული და იმ ფიქრითაც, რომ რაწამს მაცი მორჩებოდა და შეძლებდა, მაშინვე ხელმეორედ ეთხოვნა ეკა მამისთვის და თუ მამა უარს ეტყოდა, მაშინ უნდა გაქცეულიყვნენ და ისე დაეწერათ ჯვარი.

XI

მაციმ სთხოვა მამას კიდევ, მაგრამ ხელმეორედ მოუვიდა უარი; მაშინ ეკამ დაუნიშნა ვადა მაცის, რომ მოსულიყო იმასთან ცხენებით ღამე და გაქცეულიყვნენ.

მაცი დანიშნულს ვადაზედ მივიდა დანიშნულს ადგილას, მაგრამ აქ ეკას მაგივრად შემოესმა საშინელი წივილ-კივილი და ხოჯაგლეჯა ეკას სახლიდან. ამ ხმაზედ მაცი საშინლად შეკრთა და მაშინ-

ვე გაუელვა თავში, ეკას ხომ არ აუტყდა რაო. იმან მაშინვე აფრინა ერთი პატარა თავისი ნათესავი ყმაწვილი, რომელიც თან წაიყვანა მოტაცებაში დასახმარებლად. ყმაწვილმა პატარა ხანს უკან მოუტანა ამბავი, რომ ეკა ეს არის ეხლა წაიყვანეს სასახლის ბოქაულებმაო.

ამ ამბავზედ მაცის ეცა სისხლი თავში. იმას მაშინვე წარმოუდგა, რომ ის საკეთილოდ არ იყო წაყვანილი.

„ეჰ, მაცი! — იფიქრა იმან გუნებაში, — რაღათ გინდა შენი თავი და შენი სიცოცხლე, თუ სჭამ იმისთანა სირცხვილს? ეკამ, ყმაწვილმა ბოვშმა, შენთვის რაები ჩაიდინა, გადაგარჩინა სიკვდილს და შენ, ვაჟკაცმა, უნდა ცოცხალი თავით დაანებო ვისმე მაგი სირცხვილის საჭმელად?!. აჰ! მოკვდეს მაშინ მაცი“.

ამ ფიქრით უცებ მიუბრუნდა თავის ამხანაგს.

— შენ წადი შინ და არაფერი თქვა, თვარა ვაი შენს თავს. ე ცხენებიც წეიყვანე და ე შენი თოფი და ფიშტო მომე აქანა.

მაციმ აჰყარა იმას თოფი და დამბაჩა და შემოჰკრა ცხენს ქუსლი. მაცი არ წავიდა ბორანზედ, რომელზედაც უნდა ევლოთ ეკას წამყვანებს ხობის წყალში გასასვლელად და რომელიც უვლიდა ერთი ათი ვერსით შორს. ცხენი შეაგდო პირდაპირ ღრმა ხობის წყალში. ცხენი ჩაიმალა ყურებამდის და გაცურდა. მაციმ უზანგები გადააჯვარედინა ცხენზედ და ამგვარად დაება ზედ, რომ ან თითონ არ დასველებულიყო და ან არ დაჰსველებოდა იარაღი; ცხენი თან მიცურავდა ყურებდაცქვეტილი და თან გაჰქონდა ფრუტუნი წყლის წინააღმდეგ, რომელიც ეტანებოდა ნესტოებში შესასვლელად. პატარა ხანს უკან მაცი გავიდა წყალსა; იმან საჩქაროზედ გაწურა ცხენი, მოახტა ხელმეორედ და გასწია ვიწრო ბილიკზედ, რომელიც უფრო სწორედ მიდიოდა და სჭრიდა ზუგდიდის შარას. მაცი მივიდა ცაიშს ჯუმის წყლის ხიდზედ და დადგა იქა. მგზავრები, რომელთაც ეს ელოდა, ვერ ასცდებოდნენ ამ ხიდს. ცხენი ტყეში მიაბა და თითონ მიინაბა ხეების უკან.

შუაღამე გადასულიყო. მთვარემ ამოანათა ცაიშის მთის წვერიდან და შიგადაშიგ ჩამოუშვა თავისი თეთრი სხივები ცამდინ აწოდებულ ხეებს შუა. მაცი, განაბული და თოფგაწვდილი, გულის ძგერით ელოდა მგზავრებს. პატარა ხანს უკან შემოისმა მისუსტებულის ხმით წივილ-კივილი და მოთქმა ქალისა. მაციმ იცნო ხმა თავისი ეკასი, რომელიც განწირულებით, თითქო ეძახოდა მაცისა და სთხოვდა შველასა. მაცის თავზედ ბალანი აებურძგლა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. იმან საჩქაროდ თოფი ფეხზედ შეაყენა. პატარა ხანს უკან გამოჩნდნენ მგზავრებიცა. მაციმ მიუშვა ისინი თოფის სროლის სიახლოვეს.

— კი, გაჰკივლე, გაჰკივლე, ლამაზო! — ელაზღანდარებოდა გზაზედ ეკას ერთი ბოქაული: — ურიგო დროს გაგატარებიებს შენ პატონსქუა.

— აჰ! რავარც ჩეეკრობი, მაშინ კი დალოცავ ჩვენს გზას და იქნება ჩვენსკენაც კი მეიხედო წყალობით, — ელაზღანდარებოდა მეორე.

— ჩვენ რავა გვიკადრებს მაშინ! ქალბატონი ქე იქნება... კი არ გმართებს გადიდკაცება ჩილაჩავას ასულს... ის პატონსქუაა, თვარა იქნება არც ჩვენ ვიყვნეთ ნაკლები! კი გმართებს ჩვენიც გამოცდა, — ელაზღანდარებოდა მესამე.

— აპა და თუ იმაზედ უარესი გამოვდგეთ, რო არ გვიკადრო, არ დაგენდურებით, — ელანზღანდარებოდა მეოთხე.

აქ ჩამოუშვა მაციმ ჩახმახი და ერთი ბოქაულთაგანი, რომელსაც ტყვიამ შიგ შუბლში გაუარა, გადმოვარდა ცხენიდან, ფიცხლავ გაციებული. სხვები, შემკრთალნი ამ ამბისაგან, შეჩერდნენ და დაუწყეს თვალიერება საიდან იყო ეს ამბავი და შეჰქმნეს ყიჟინა. გავარდა მეორე თოფი, გადმოვარდა მეორე ბოქაული და სხვებმა იკადრეს უკან გაბრუნება. შეშინებულმა სხვა სამმა ბოქაულმა ანებეს თავის მკვდრებს და ეკას თავი, შემოჰკრეს ცხენებს ქუსლი და სანამ მიადგებოდნენ ისევ ბორანს, არ შეუყენებიათ ცხენები.

მეორე თოფის დაცლაზე მაციმ იძრო დამბაჩა და გადაერია, მაგრამ სანამ ეს მოვიდოდა, ბოქაულები შეერივნენ გაცხარებულნი ტყეში. ეკა, შეწუხებული ჯავრისა და მგზავრობისაგან, შეკრთა ამ ამბავზედ და მოვარდა თუ არა მაცი ამასთან, უგონოდ დაეშვა მაცის ხელებზედ.

მაციმ ყაბალახით საჩქაროზედ ამოარბენინა ჯუმიდან წყალი, დაასხა ეკას, მოასულიერა და თითქმის უგონოდ მყოფი, შემოიგდო ცხენზედ, დილამდის გავიდა ინგურში და ამოყო თავი სამურზაყანოს, სადაც ერთს თავის ძიძის თავისიანთან გაუშვა ეკა და თითონ წავიდა ომარ მარღანიასთან, რომელსაც გამოუცხადა, რომ სურდა იმის ამხანაგობა და მისცა ფიცი, რომ არასდროს არ უღალატებდა.

XII

როდესაც სახელმწიფოს მოშლია ჩარხი მმართველობისა, ძნელიღა ყოფილა ამ ჩარხის მომართვა, თუ რომ ის მთლად საძირკვლიანად არ შეიცვალა და არ დაიბადა ის წესი, რომელიც სრულებით სხვარიგად წარმართავს საქმესა და მისცემს სულ სხვა მიმართულებასა.

ძველ საქართველოს სამეფოს დაემართა ისე, ერთხელ როდისღაც მჭიდროდ შეკრებილი სამეფო, თვისი მმართველების უნიჭობის გამო, გაიყო ათას ნაწილად, და რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენად ისეც მცირე ერი თანდათან ცალკევდებოდა ერთმანეთს, თანდათან უძლურდებოდა. იქამდის იჩინეს უძლურება საქართველოს მეფეთა, რომ თითონ ძლიერს და დაუნდობელს კაცს, რომელსაც თავის თავის მეტი არა ახსოვდა რა და ფეხებზედ ეკიდა ქვეყნის სარგებლობა და იმის საცოდაობა, შეეძლო ადვილად შეედგინა თავისთვის პატარა სამეფო, ანუ სამთავრო ისეც პაწაწინა საქართველოში, და მეფენი უძლურნი იყვნენ ამ ავაზაკებსა და ქვეყნის დამცემლებთან. ერთხელ როდესღაც ერისთავნი, რომელნიც ინიშნებოდნენ ხალხისა, მამასახლისებისა და ბოლო დროს მეფეებისაგან, იქცნენ, უძლურებისა გამო ქვეყნის მმართველებისა, მემკვიდრეებად, გადუდგნენ მეფეთა და დააწესეს ცალკე სამთავროები, რომლებითაც ისინი არამც თუ არა შველიდნენ თავის ნათესავ ერს და თავის მეფეებს, პირიქით არ უშლიდნენ მტრობას, არ ისვენებდნენ არც თითონ და არ ასვენებდნენ არც სხვა საქართველოს ხალხს და იმის მეფეებს.

ომარ მარღანია იყო უბრალო სამურზაყანოელი აზნაური. თვით სამურზაყანო იყო აფხაზთა მთავრისაგან წართმეული ნაწილი სამეგრელოსი და შეერთებული აფხაზეთთან. შემდეგ ეს ერგო წილად მურზაყან შერვაშიძეს და შეადგინა ცალკე სამთავრო. და ახლა ამ ერთიბეწვა ნაფლეთს სამურზაყანოში წესდებოდა სამთავრო ნაბაკევისა და საბერიოსაგან, სადაც დამკვიდრდა გამოჩენილი აბრაგი ომარ მარღანია.

მარღანია იყო დიდი ერთგული მაშინდელი სამურზაყანოს ბატონის ალიშბეისა. ყოველ ნაშოვარს ომარი უყოფდა ალიშბეის. ალიშბეი იყო დაშინაურებული მარღანიასი. ერთხელაც ალიშბეი ჩვეულებისამებრ ეწვია ომარსა. ის დარჩა იქ ღამე. ომარ დიდად დაუხვდა თავის ბატონსა და პატრონს, და ვითარცა შეშვენოდა იქაურს ჩვეულებასა, ომარმა აახლა ქვეშაგების დასაგებად და ძილისპირების სამღერლად თავისი და ჩეჩეტია, რომელიც არ იყო დიდი ხანი, რაც დაბრუნდა შინ ძიძეულთაგან. სამეგრელოს და აფხაზეთში ზოგჯერ გათხოვებამდის რჩებიან ქალები ძიძეულთან.

ჩეჩეტიამ დაუგო ალიშბეის ქვეშაგები, დაბანა ჩვეულებისამებრ ფეხები, მოასვენა ქვეშაგებში, თითონ შემოიტანა ფანდური, მოუჯდა ფეხთ, ახალი მთვარის მსგავსად გაკეთებულს ხის სკამზედ, დაუკრა და დაამღერა მშვენიერის ნაზის ხმით ტკბილი სიმღერანი.

ალიშბეი რამდენიც უცქეროდა, იმდენი უფრო რჩებოდა ჩეჩეტიაზედ თვალები. იმის მსხვილი, მშვენიერი ლურჯი კილოიანი თვალები, აბრეშუმისფერი წმინდა ბზინვარე გრძელი თმა, ცოცხალი თეთრ-წითელი პირისახე და რაღაცა ქვეშქვეშად მოტრფიალე მღიმარე ტუჩები უდუღებდნენ გასათხოვარი ქალების დევნაში დაბერებულს ალიშბეის სისხლს.

ალიშბეიმ მოიდო რაღაცა მიზეზი და გაისტუმრა ფაცხიდან თავისი მხლებლები და დაუწყო ჩეჩეტიას ლაპარაკი.

— არ გინდა შენ, ბოშო, რომ გახდე სამურზაყანოს ქალბატონი?

— კი, მარა, მე ვინ მომცემს მაგ ალაგს? — უპასუხა ჩეჩეტიამ ნაზის ხმით და თავჩაღუნვით.

— აპა, შენ ინდომე, და მაგისი მე ვიცი. — აქ გაიკრა ალიშბეიმ ქისას ხელი და ჩაუყარა ჩეჩეტიას კალთაში ოქროები. — აი, სულ ესე ოქროებში გამყოფებ და შენ იქნები მთელი სამურზაყანოს დედუფალი.

ჩეჩეტიას ამდენი ოქროების დანახვაზედ აუჭრიალდა თვალები.

— გინდა დედუფლობა? — ეკითხებოდა გულის კანკალით ალიშბეი და თვალები უწყებდნენ თანდათან ბრიალს, თითქოს ეს არის უნდა ჩაყლაპოს თავისი გამოუცდელი მსხვერპლიო.

— კი, მარა, დედუფალი ხოა და რავა მიბრძანებ მაგას!

— არა, დედუფალი ამას იქით შენ იქნები. ის დედუფალი გენაცვალოს შენ. მას გავაგდებ და შენ დაგსვამ, — და აქ გაცხარებული ეცა ალიშბეი ჩეჩეტიას.

მას აქეთ ალიშბეიმ უფრო ხშირად დაიწყო მარღანიასთან სიარული და მეტადრე უმარჯვებდა იმ დროს, როდესაც ის არ ეგულებოდა შინ.

ჩეჩეტიას გამოაჩნდა კვალი თავის ტრფიალებისა.

— როგორ! ალიშბეიმ ეგ აკადრა ჩემს სახლს?.. მაშ მოკვეტეს ომარ! — და ამ დამუქრებასთან ის შეუდგა სამაგიეროს გადახდას.

ერთს ღამეს შეიქნა საშინელი ყიჟინი, გავარდა ხმა, რომ ალიშბეის თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ქალი მოიტაცესო. სამი დღის შემდეგ ქალი დაბრუნდა შინ დაღალული, დაქანცული, მთლად სისხლში მოსვრილი და გამოუცხადა მშობლებს, რომ ეს ამბავი მიყო ომარ მარღანიამ, რადგან მამაშენმა გააუპატიურა ჩემი დაო.

ალიშბეიმ მაშინვე დაუძახა ჯარს და წავიდა მარღანიაზე ასაკლებად. მარღანია ელოდა ამ დღეს და იმან წინათვე დაიჭირა თადარიგი. იმან შეკრიბა მთლად მარღანიები, იმათი მორდუები და ნათესაობანი, თავიანთი საყმოებითა და ამას გარდა თავის ამხანაგები აბრაგობაში ოდიშიდან და მოულოდნელად დაუხვდა ალიშ-

ბეის გზაში. გავარდა ომარის თოფი და ალიშბეი მკვდარი გადმოვარდა ცხენიდან. სხვებმა მალე აქციეს ზურგი.

ალიშბეის შემდეგ დაჯდა სამურზაყანოს ბატონად იმისი შვილი კვაჯი, რომელმაც რამდენჯერმე დააპირა კვალად დასჯა ომარისა, მაგრამ ყოველთვის ომარი ასწრობდა ამას.

მას აქეთ ომარმა არამც თუ აღარ გაატარა შერვაშიძე ნაბაკევსა და საბერიოში, პირიქით დაუწყო საშინელი შეწუხება დანაშთენს სამურზაყანოს და სადაც კი მოხვდებოდა, არა ჰქონდა აღარავის დაზოგვა. ომარმა დაიწყო ამ ორს თემში სრული ბატონობა და ისე დაიმონავა აქაური ხალხი, რომ ისინი, გარდა ომარისა, სხვას ბატონადა და პატრონად აღარავის ცნობდნენ. თქმა აღარ უნდა, რომ ომარი გახდიდა ამ ორს თემს თავის სამკვიდრო სამთავროდ, რომ დასცალებოდა და უდროოდ არ მოღებოდა ბოლო.

ომარი იყო საშინელი სანახაობის კაცი. მსხვილი ტყვიისფერი თვალები, წითელი, წვეტებით გაკრეჭილი წვერი, მსხვილი, გაფშეკილი ულვაშები, სქელი და თვალებზედ წამოხურული წარბები, რომელნიც სიგრძით არ ჩამოუვარდებოდნენ ულვაშებს, საშინელი სიმაღლე, განიერი მკერდი და ახირებული მხარ-ბეჭი წარმოგიდგენდნენ რაღაცა შესაზარავს კაცსა, რომელიც ცალკე შესახედაობით აღვიძებდა კაცის გულში შიშს და თითქო გეუბნებოდა, რომ ის არა ღონისძიების წინ არ დაბრკოლდებაო.

ყველა აბრაგის ბუნაგი — სამურზაყანოსი, აფხაზეთისა თუ ოდიშისა —იყო სახლი ომარისა. ომარი იდგა ერთ ყრუ ტყეში და სანამ არ წაადგებოდი ამის სახლს, ვერ წარმოიდგენდი, თუ ამ დაბურულსა და მიუდგომელს ტყეში იცხოვრებდა ადამიანის შვილი. იმისი სახლი და ცხოვრება იყო განთქმული მთელს სამურზაყანოში. სახლი შედგებოდა ერთი ფაცხიდან და მეორე ყუდედგან, ესე იგი ერთი კაი დიდი წნულიდან, სადაც იდგა თითონ თავისი ცოლ-შვილით. წნულს არა ჰქონდა არც ბუხარი, არც ფანჯარა, არც ბანი, მხოლოდ იყო დაწნული ხელოვნურად და იყო შიგნიდან თეთრი თიხით გალესილი და დახურული ლელითა; და მეორე იყო პატარა ფიცრული ოთახი წაბლის ხისა და აგრეთვე არა ჰქონდა არც ბანი, არც ფანჯრები და იყო დახურული აგრეთვე ფიცრითა. მოწყობილება ერთისაცა და მეორე ოთახისაც იყო შემდგარი რამდენიმე გრძელი სკამისაგან, რომელთაგან ზოგნი იყვნენ განიერნი და სახმარნი დასაწოლათაცა, და მეორენი ვიწრონი; ესენი იხმარებოდნენ როგორც საჯდომად, აგრეთვე სუფრათაცა, იყვნენ ამოჩუქურთმებულები სხვადასხვა სახეებით, მხოლოდ ამ გარჩევით, რომ შინა საწოლი სკამები, ანუ უკეთა ვთქვათ, ფეხიანი და მოძრავი ვიწრო

ტახტები იყვნენ დაფენილი უბრალო სვანური ნაბდებით და მეორენი ოსმალურის სუფთა ქეჩებით. ცხენების სადგომად ჰქონდა ცალკე ფაცხა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არც ერთს სადგომს. მხოლოდ თავისიცა და ცხენის იარაღიცა გაირჩეოდნენ ყველა ავეჯეულობისაგან. ფაცხისა და ყუდეს კედლებზედ იყვნენ ჩამოკიდებულნი ვერცხლითა და ოქროთი შეჭედილი თოფები: სიათა, ხორასანი, ყირიმი, სტამბოლი და სხვები; სხვადასხვა ჯურისა და ზომის ხანჯლები, ხმლები და დამბაჩები, რომლებიც მხოლოდ მოაგონებდნენ მცირეც არის ქონების პატრონს კაცს; აგრეთვე ცხენის იარაღი, რომლებიც ეკიდა მრავლობით, იყვნენ მშვენიერს, ხელოვნურად დასირმულს ვერცხლსა და ოქროში შეჭედილი.

ჯერ არაფრად იამა ომარს მაცის ნახვა, მაგრამ რაკი იმას მოჰყვა ერთი კარგი აბრაგი და ძიძისშვილი ომარისა, მაძინა ფერთხელავა, ომარმა მიიღო და დაიამხანაგა მაცი, მით უფრო, რომ დიდი ხანია ესმოდა ამას მაცის უნარები; რაკი ახლა გაიგონა ამგვარად მაცისგნით თავის საყვარლის გადარჩენა, უფრო ჰპოვა ეს სასარგებლო ამხანაგად, მეტადრე ამ დროს, როდესაც ომარზედ იშლებოდნენ აფხაზეთისა და სამურზაყანოს შერვაშიძეები.

XIII

ჭკას ეს მწუხარება, დანჯღრევა და შიში გადაექცა სახადად და იდო უგონოდ ერთ კაი გაკეთებულის ყაზახის, ჯოღორია ცომაიას სახლში, სადაც ეყენათ პატრონებს ცხენები და საქონელიცა. ცეცხლი, თუმცა არ იყო ზამთარი, ენთო გაუქრობლად შუაგულს ფაცხაში. არც კვამლის გასასვლელი, არც სინათლის შემოსასვლელი გზა არსაიდან, გარდა კარებისა, ამ ფაცხას არა ჰქონდა. ამის გამო ორივე კარი ღია იყო, მაგრამ რაკი ქარი უბერავდა ფარღალალა კარებში, კვამლი გამოულეველად ტრიალებდა შიგა და სწვავდა ადამიანს თვალებს. ცეცხლში იყო შეკეთებული მთელი ხის ძელები, ცეცხლზედ ჩამოკიდებულს საკიდელზედ აუღებლივ ეკიდა ერთი პირგანიერი, მომრგვალო ყურიანი თუჯის ქვაბი, რომელშიაც წამდაუწუმ იხარშებოდა ღომი. კედლები ფაცხისა იყო გაულესავი და იმის მილიონს ჭუჭრუტანებში შემოქშუტუნებდა ქარი. სახლში ირეოდნენ ბავშვები ფეხშიშველა, უპერანგისამხანაგონი, ცარიელ დაფლეთილი პერანგისამარანი, რომელთაც თავის დღეში არ მოხვედროდათ წყალი; უფრო მოზრდილთ ქალთა და ყრმათა ეცვათ პერანგის ამხანაგები, ან შალის შარვლები, ან ათას ნასხმულ ნაოჭად იუბკები და ძველი ახალუხები. უფროს კაცებს ეცვათ ჩოხებიც, რომელშიაც

აღარ გამოსჭვიოდა ის საშინელი სიღარიბე, რაც ისახებოდა ამ სახლის სხვა შვილებში. თოფ-იარაღსა და ცხენის იარაღში კი გამოსჩანდა ვერცხლის ხელობაცა. სახლი იყო დახურული უბრალო ღომის ნამჯითა, რომელიც ჟამთა ვითარებისა გამო ისე იყო გამხმარი, რომ თითო თითის მოპვედრებაზედ ცვიოდა ათასობით ნამტვრევი, და შიგნიდან კვამლისაგან ისე იყო გაჭვარტლული, რომ გაჰქონდა შავად კრიალი, თითქო გიშრისაგან არის შემდგარიო. როგორც სხვა აქაურს სახლებს, თქმა აღარ უნდა, არც ამ ფაცხას არ ეხურა ჭერი, რადგან ჭერის ხმარება სრულებით უცხოა აქაურებისთვის. ფაცხა იყო დახურული უბრალოდ, ყავრულად. საშინელი გაცხოველებული ცეცხლის ნაპერწკლები მილიონობით ადიოდნენ ამ დახურულს ნამჯასთან, მაგრამ თითქო ცეცხლს დაუკარგავს აქ ძალაო, ჰქრებოდნენ უმალ და არ აძლევდნენ არავითარს ვნებას ამ საშინლად გამხმარს და გაფიცხებულს ნამჯას.

— კი, ბევრი თავადიშვილი შემონატრის ამ ყაზახის ცხოვრებას, მარა, შენ არ მოუკვდე, ვერ მოვლენ მასთან, — იძახოდნენ გარშემო მცხოვრებლები ცომაიაზედ.

მართლაცდა ცომაია ცხოვრობდა მრავალს თავადიშვილზედ უკეთ. ძვირად თუ ვისმე თავადიშვილს ჰქონდა ამისთანა ფაცხა. მომეტებული ნაწილი აქ მცხოვრებლებისა იდგნენ უბრალოდ ქოხებში, რომლებსაც კედლების მაგივრობას უწევდნენ ეწერსა ან ჭაობებში მოგლეჯილი ბალახები; ისინი იყვნენ მოყრილნი რამდენსამე ბოძზედ მოყუდებულს მურყნის ხეებზედ, ან უკეთ ვთქვათ, ტოტებზედ; და ამგვარსავე ბოძებზედ იყვნენ ლაფნები გადაფარებულნი და ეხურათ ამათ ამგვარივე ბალახი.

ამგვარს ცხოვრებასთან თქვენ გაგაკვირვებთ ქვეშაგები. რაც გინდა ღარიბი კაცის სახლში მოხვიდე, ძვირად რომ არ შეხვდე ერთს ხელსაც არის სუფთა ქვეშაგებს, რომელიც აქვთ შენახული სასტუმროდ. მაგრამ იმედი კი ნუ გაქვთ, რომ ეს ქვეშაგები ან გვერდებზედ გადაგწვდეს, ან ფეხებზედა.

ამ საშინელს მურტლიანს ქოხში ეკა იწვა ფარჩის სუფთა საბანში და კარგს ლეიბსა და ბალიშზედ.

სახლში ჭიანჭველის გროვასავით ირეოდნენ პატარა ბავშვები, რომელთა სახე ცოცხლად გამოიყურებოდა მურტლიან და ძველ ტანისამოსიდან. ყველა ბავშვისა და მეტადრე ქალის სახეზე ამოიკითხავდით სიცოცხლით სავსე მეტყველებას, სიმკვირცხლეს და ძლიერს ნიჭს, რომელიც ბოლო დროს უნდა დამარხულიყო ფუჭად. შრომა იყო ამაო, რადგან ხშირად შენი ნაშრომი რჩებოდა სხვასა და ყველა იმდენად შრომობდა, ისიც ყაზახები, რამდენადაც საჭირო

იყო, რომ წლითი წლობამდის გამოკვებილიყვნენ თითონ ძაღლუმადურად და გამოეკვებნათ თავისი ბატონები; სხვარიგი შრომა, შრომა ცხოვრების გაუმჯობესებისა, არ იღვიძებდა არავის თავში, რადგან გარშემო არ ხედავდნენ მაგალითებს და არც აძლევდნენ ერთმანეთს ამისთვის მოსვენებასა და სიმყუდროვეს.

უგონოდ მყოფს შეშფოთებულს ეკას არ აძლევდნენ მოსვენებას ასე აუარებელი ხალხი სახლში და მეტადრე აურაცხელი ბავშვები. ცომაიას სახლში თვით ჯოლორია და იმისი ძმები იყვნენ ექვსნი სულ ცოლშვილიანები, თითო ამათგანს ჰყავდა სამ-სამი, ოთხ-ოთხი ცოლშვილიანი შვილი და ყველანი ესენი ცხენებითა და საქონლითურთ იყვნენ, ცხოვრობდნენ, სჭამდნენ და ეძინათ ერთს ფაცხაში.

ერთს ღამესაც, როდესაც ეკა უფრო შეჭირვებული და უგონოდ იდო ქვეშაგებში, მოვიდა ცომაიასთან ერთი ფეხშიშველა, კანგადაღლეჭილი ყაზახი და გამოუცხადა, რომ ის იყო მორდუ ძიძის ქმარი ეკასი; ითხოვა, რომ ეჩვენებინათ ეკა. ის მიიყვანეს.

— ეკა, რავა იქ, შენი ღორონთის ჭირიმე! ეკა, აპა მიცან შენი გამზრდელი, შენი სუხუია! რავა არ მომცემ შენ ჭირს!.. უი ჩემს სიცოცხლეს! — და იტაცა თმებში ხელი და მორთო საშინელი წივილ-კივილი. თმა და წვერის ნაბდღვენები გადადიოდა აქეთ-იქით.

ამისმა ასეთმა მწუხარე ტირილმა აატირა სხვებიც და პატარა ხანს უკან გაიმართა კივილი, ტირილი და თმის გლეჯა სახლში, ძლივს დაჩუმდნენ იმ მოფიქრებით, რომ ამითი უფრო შეწუხდება ავადმყოფიო.

ყველა გაჩუმდა, მაგრამ ვერ ენუგეშა ვერაფრით სუხუიას. ის ქვითინებდა ჩუმად, იცემდა გულში ხელს, იხოკდა თმას და გაიძახოდა: ვაი ჩემს თავს! ვაი ჩემს ღორონთს, ვაი უბედურებას!.. სახლში მყოფნი ანუგეშებდნენ შეწუხებულ მორდუს და ეუბნებოდნენ, რომ ღმერთი მოწყალეა და ეკას მალე დაუბრუნებს სიცოცხლესო.

შუაღამე მოტანებულიყო, რომ ყველა დაღლილნი დაეყარნენ. ეკა მიეცა ცოტა მოსვენებას: ამის მნახველებმა სხვებმაც ძილს მისცეს თავი. მხოლოდ შიგადაშიგ ისმოდა შეწუხებული მორდუს სლოკინი და მოთქმა.

გაჩუმდა მორდუც. ის უგდებდა სულგანაბული ყველას სუნთქვას ყურს და ცდილობდა გაეგო, ეძინა თუ არა. ყველანი ტკბილ ძილში იყვნენ.

აქ წამოდგა მორდუ, გააღო კარები ისე ჩუმად, რომ თითონაც არ გაუგონია იმისი ჭრიალი, აუშვა საქონელი, ცხენები და გაასხა ჩუ-

მად გარეთ, სადაც ჩააბარა ერთს თავისავით ტიტველა ყანაზს, რომელიც იქ სასიმინდესთან იყო აჩრდილივით აყუდებული მთელი ღამე. მორდუ მობრუნდა, ჩამოიღო რაც იარაღი ეკიდა კედლებზედ, ჩამოხსნა უნაგირები და მიაწოდა ესენიც ამხანაგს; მობრუნდა და გაიტანა ერთი ყუთი, რომელშიაც ეგულებოდა რამე ნივთეულები; გავიდა და გაიკეტა თან კარები. სანამ ყუთს გატეხდა, მეორემ მსწრაფლად შეკაზმა ორივე ცხენი და ერთი ჯორი, აჰკიდა საჩქაროზედ სასიმინდედან გამოზიდული ტომრებით სიმინდი და ღომი; მოაჯდა შემდეგ ორივე ცხენს და საქონელი გაირეკა წინ.

ამგვარად იარეს ერთი ათი ვერსი. აქ შერეკეს ერთ ყაზახის ეზოში საქონელი და ცხენები. ჩამოხტნენ საჩქაროზედ ცხენებიდან, გააკრეს ყველა ცხენსა და საქონელს ფეხებზე ნაბდები, გაირეკეს მეორე ეზოს კარიდან და გასწიეს.

გამოიღვიძა ცომაიას სახლობამ და ნახა ორთავე კარები დაკეტილი. გაამტვრიეს კარები და ნახეს, რომ სახლი იყო მთლად გაფხეკილი, სასიმინდე ნახევარზედ დაცლილი და მორდუ გაპარული.

წარმოიდგინეთ ელდა მთელის სახლობისა: დაიძინეს გაკეთებული და გამოიღვიძეს მთლად ღატაკთა, რომ ახლა უკანასკნელი ყაზახი სჯობდა ამათ.

შემდეგ ბევრის წივილ-კივილისა და მოთქმისა, ბოლოს უკივლეს ამათ მეზობლებს.

შეყარეს მეზობლობა და უამბეს თავისი უბედურება.

მსწრაფლად რამდენიმე მარჯვე ბიჭმა აიღო აქვე მოპარული საქონელის ფეხების კვალის ზომა; გაჰყვნენ ამ კვალს. ამ კვალმა მოიყვანა ისინი პირდაპირ იმ ყაზახის ფაცხაში, რომლის ეზოშიაც, ქურდებმა აუბეს საქონელსა და ცხენებს ნაბდით ფეხები.

ცხადი საქმე იყო, რომ ქურდი უნდა ყოფილიყო ეს ყაზახი, რაკი ნაქურდალი საქონლის კვალი შევიდა აქა და სხვაგან აღარ მიდიოდა. მდევარმა სტაცა ამათ ხელი. ესენი გაოცებულნი უყურებდნენ მდევარსა, თუ რაში მდგომარეობდა საქმე. მდევრებმა და ცომაიებმა ბევრი არ უგდეს ამათს თავის მართლებას და ხვეწნას ყური. იმათ მიათრიეს ის ყაზახები კვაჯისთან, რომელმაც გადუწყვიტა ერთი შვიდეულად ზღვევა.

ამ ყაზახებს არამც თუ ერთი შვიდეულად, მეშვიდედის გადახდაც არ შეეძლოთ. ცომაიებმა აიკლეს ისინი, წაართვეს რაც ებადათ, დახადეს თითონაცა და იმის ცოლ-შვილსაც ტანისამოსი, გამოზიდეს ქვეშაგები, ავეჯეულობა, წლის საზრდო ღომი და სიმინ-

დი, და რაკი აღარ აუვიდათ გადასახადში, ბრაზმოსულთ დაუნგრიეს და გადუწვეს სადგომი ქოხიცა.

ათი-თხუთმეტი სული ამ აკლებული ყაზახისა დარჩა მთლად ტიტველი, შიშველი, მშიერი, უბინაო და უნუგეშო. დარჩა ერთი ნუგეში, რომ არ დახოცილიყვნენ მთლად... ქურდობა.

XIV

მეორე დღესვე შეიტყვეს სასახლეში, რომ მოტაცება ეკასი და ბოქაულების დახოცვა იყო საქმე მაცისა.

ამავე დღეს დაესხა მაცის სახლს ჯარი, აიკლო ისა, წამოიღო რაც წამოიღებოდა და დანაშთენი მისცა მთლად ცეცხლსა და გაანადგურა მიწასთან. დედა და დები მაცისა დაატუსაღეს რუხის ციხეში, რომელიც მდებარეობს ინგურის პირას და არის ამ წყლით დაშორებული სამურზაყანოზე.

დიდხანს არ იცოდნენ, სად იმალებოდა მაცი და სად არა. იმას ეძებდნენ იმერეთში და არა ჰქონდათ იმედი, რომ ის დაიმალებოდა სამურზაყანოში: იცოდნენ, რომ ომარ მარღანია იყო მეგობარი ძგვიბისა, რომელიც მოკლა მაციმ.

მაციმ შეიტყო თავისი სახლის გაოხრება, რომელიც შემდეგ გაოხრებისა და აკლებისა მამის დროს, ძლივს წამოიყვანა წინ და შრომით მოიწყო. შეიტყო აგრეთვე დატყვევება თავის დედისა და დებისა და ელდა ეცა. იმას ცალკე ეკას განწირული ავადმყოფობა და ცალკე თავის სახლის და დედისა და დების დატყვევება არ აძლევდნენ, არც დღე და არც ღამე მოსვენებას. ბოლოს გადაწყვიტა გუნებაში, რომ უნდა გაენთავისუფლებინა ტუსაღობიდან დედა და დები. მაციმ შეიტყო, სადა და რა მხარესაც იყვნენ საკანში ჩაყრილნი ისინი და შეუდგა საქმეს.

მშვენიერი სანახავია რუხის ციხე. მშვენიერია თავისის არქიტექტურით კი არა, თვისის ბუნებრივი მდგომარეობით და ბუნებისმხრივ შემკობით. ის არის ამართული ერთს პატარა გორაკზედ, რომელსაც ძირშივე მოუდის ჩხრიალით ერთი დიდი ნაკადული, ზამთარ-ზაფხულ წმინდა, როგორც ალმასი, ერთ ნახევარ ვერსზედ დაჰყურებს ის საშინელს ფიცხს და შფოთიანს ინგურს, ისეთსავე გაუტეხარს და შეუპოვარს, როგორც ის მთანი, საიდანაც ის გამომდინარეობს. გარშემო კედლები ამ ციხისა თავიდან მოკიდებული, არის ზამთარ-ზაფხულ შემკული მწვანითა, კედლებზედ არის ასული და შეფურთქნული უხუნარი სურო, ასე რომ ძნელად იფიქრებს კაცი, რომ ამ მშვენივრად აყვანილს და ერთიერთმანეთში სქლად

გაპმულს და გაქსოვილს მწვანეში იფარებოდა კაცის ხელით ამართული მტკიცე კედლები, ერთ რიგად დასაცველად კაცთა და მეორეს მხრით დასატყვევნად და სატანჯველად კაცთავე. მაისში ეს ციხე წარმოგიდგენს თავიდან ბოლომდინ ალისფრად აყვავებულს კედლებს და ზღუდეებს, თითქო თვით ციხე არის აშენებული მწვანე ფოთლებისა და ყვავილებისაგანაო.

ბევრს ამგვარს სანახავს ნახავ ბუნებისაგან შემკულს ოდიშში. ამ მდიდარს ბუნებას ახვევია ამგვარივე ბუნებრივის ნიჭით და მშვენებით შემკობილი ხალხი და გული გიკვდება, რომ წარმოგიდგება, რომ ამ ხალხს არა ჰქონია შემთხვევა მშვიდობიანად და წესიერად ამ ბუნების მოხმარებისა და ჰქონია იმისთანა საძაგელი წარსული, რომელსაც არ დაუბადნია ამათთვის მისთანა მიმართულება, რომ თვისის სურვილით გახსნილიყო ამათი ძლიერი ნიჭი.

შიგადაშიგ ამ მწვანე ფოთლებსა და ყვავილებში გამოიყურებოდნენ სათოფურები და პაწაწინა სანათურები ციხის სენაკებისა და საკნებისა.

კედლები ციხისა იყო მაღლა ამართული პირდაპირ აწოდებულს გორის პირებზედ და თუ არ მოსავალ კარიდან, ამ კედლებს ვერ მიუდგებოდა კაცი.

მაღლა, მეორე სართულში ამ ციხისა, ერთს პაწაწინა ბნელს საკანში, რომელსაც არა ჰქონდა არსაიდან სანათური, გარდა ერთის პაწაწინა სარკმელისა, რომელიც გადიოდა ციხის კედლის გარეთ, თითქმის ზედ ციხის კენწეროზედ, თავის დღეში არ ენახა მზის სხივი, სინოტივე ჩამოსწვეთდა კედლებიდან და ობობას ქსელივით იყვნენ გვარჯილის კუნწულები ჩამოკიდებულნი, რომელშიაც ემწყვდია გუქიტი, — მაცის დედა, თავისის ქალებით. ამისთვის არც ქვეშაგები, არც სახურავი არსად იყო. ცარიელი პერანგისამარანი, როგორც მოასწრეს და დაიჭირეს, ეყარნენ სინოტივისაგან სველს, ცარიელს მიწაზედ. საზრდოთ ეძლეოდათ დღეში თითო ციცხვი ღომი. სხვა საჭმელი ამათთვის არ იყო. დიდი ხანია ცდილობენ გაიგონ ამათგან, თუ სად არის დამალული მაცი ეკათი, მაგრამ ვერას გამხდარან. მესამე დღე იყო, რაც აღარ აძლევდნენ ამათ სასმელ-საჭმელსა, რომ ამითი მაინც გაეტეხნათ ისინი, მაგრამ ვერც არას ამითი გახდნენ, რადგან არც გუქიტიმ და არც ამისმა ქალებმა არ იცოდნენ, სად იყო მაცი და სად არა და თვით იმისგნით ეკას მოტაცება იყო ამათთვის პირველი გაგონება. ამ დღეს უკანასკნელად შემოვიდა ამათთან მაძიებელი ამ საქმის შესატყობრად, მაგრამ ვერც არას ამითი გახდა.

— არ იტყვით მაშ? — ეუბნებოდა იმათ მუქარით გამომძიებელი.

— რავა უნდა მოგახსენოთ შენი მუხლების ჭირიმე, — ეუბნებოდნენ შიმშილისა, წყურვილისა, შიშისა და ტანჯვისაგან შევიწროებულნი და ილაჯგატეხილნი ტუსაღები. — ჩვენ რავა გვაცნობებდა მაგ ამბავს, რაკი იცოდა, რომ ჩვენ თქვენ ხელთ ჩავცვიოდით...

— დაგვხოცეთ, ბატონო, — ეხვეწებოდა ორი პატარა ქალი,— და მოგვარჩინეთ ამ ტანჯვას. კი ღირსვართ, რომ დაგვხოცოთ! მაცის სახლობა რაღად უნდა დაარჩინოთ ქვეყნად, რომ მისთანა საქმეები ჩაიდინა.

— აჰ! როცა დაგხოცთ, მაგი ჩვენ ვიცით! კი! ისე არ დაგხოცთ, რომ არ გევიგოთ, მაცი სადაა. აპა და ვნახავ, რავარც არ იტყვით! აპა და მაგენს შეუკარით ხელ-ფეხი. — უჩვენა მაძიებელმა ქალებზედ იქვე მდგომ ციხის მცველებსა. იმათ დაუწყეს კვრა. — მაგრა მოუჭი, რო თითებში მთლა სისხლი წამოუჯდეთ. — იმათ გაუჭირეს და ქალებმა შეჰქმნეს წივილ-კივილი. — კი, თქვენი მაცია გიშველით!.. გაუყარეთ უკან ბაწარში მაგათი თმები და გედუწიეთ უკან კისრებს. — მცველებმა შეასრულეს. ქალებს მეტის თავის უკან გადაწევისაგან შეეკრათ ნახევარზე სასა და ძლივსღა ამოდიოდა იმათ ყელიდან ხრიალი, რომლითაც სთხოვდნენ შებრალებას.

— აწი აქანა მოდით! — დაუძახა იმან მცველებს და უჩვენა გუქიტაზედ. მცველები მოვიდნენ. — შეუკარით ამასაც ხელ-ფეხი. — შეუკრეს მაგრად. — გამოაბით თმებზედ ბაწარი. — გამოაბეს — გეუყარეთ მაღლა კავში და ასწიეთ მაღლა! — იმათ გადაუგდეს თოკი ჭეთებში გაყრილს კავზედა, ასწიეს გუქიტი და საცოდავი მოხუცი დაეკიდა მაღლა ჰაერში თმებით. ის იყო ჩუმად და არ იღებდა ხმასა. ის მწუხარებით დაჰყურებდა თავის ქალებსა, რომელნიც ცალკე ტკივილისა და ცალკე დედის ასე დაკიდებისაგან ცდილობდნენ კივილსა და კივილის მაგივრად გაჰქონდათ ხრიალი, თითქო ყელში უშერენ და ახრჩობენო.

— არ იტყვით ახლაც? — დაეკითხა კიდევ მრისხანედ მაძიებელი.

— არ ვიცით, ბატონო! — ხრიალებდნენ ქალები. გუქიტი იყო გაქვავებული და არ იღებდა ხმას.

— მაშინ და აპა ხვალამდინ დარჩებით მაგრე და თუ მინამდი არ იტყვით, მაშინ თქვენ სხვაფერ მოგიგვარებთ საქმეს.

ამ სიტყვებთან მაძიებელი გავიდა და გაჰყვნენ თან მცველები.

ხელ-ფეხშეკრული ქალები ეყარნენ ცარიელს ნოტიო ადგილზედ; ხრიალისაგან წაერთვათ ხმა და თითქმის მიხდათ გონება. გუქიტის მოაწვა თავში სისხლი და ევედრებოდა გულგაქვავებული ღმერთს, სიკვდილით მაინც არის ხსნას ამ მწუხარებისაგან.

ამ მდგომარეობაში მყოფთ, იმათ მოესმათ სანათურთან რაღაცა რკინის ცემა და რაკუნი კედელზედ. უცებ მოესმათ ხმა მაცისა.

— აწი ნუ გეშინიათ! — შესძახა მაციმ ამათ სანათურიდან, — მე აქანა ვარ და ეხლავ დაგისხნით მაგ ტყვეობიდან.

მაცის სიხარულისა და პასუხის მაგივრად შემოესმა განწირულების ხრიალი და რაღაცა მიხრწნილი კნავილი თავის დედისა.

თითქმის შუაღამე იყო, რომ მაცი და ომარ გამოვიდნენ ინგურზედ, სადაც იქვე ატეხილს ჭალებში მიაბეს ცხენები თავისიცა და ტუსაღებისთვისაც წამოყვანილები და ჩუმის ნაბიჯით მიიპარნენ ციხის ძირასა. აქ მაციმ დააყენა ომარ, თვით შემოირტყა გრძელი და საკმაოდ წვრილი თოკი. გაირჭო წელზედ ერთი დიდი რკინის კეტი სატეხის პირითა და როგორც მაჩვი დაიწყო ფოფხვა ხელისგულივით ამართულს კედლებსა და კედლის ბორცვებზედ. ის რამდენსამე წუთს უკან იყო იმ სანათურთან, რომელიც შედიოდა იმის დედისა და დების საკანში. როდესაც ავიდა მაცი ამ ადგილამდის, ამოიღო ხანჯალი, დასხიპა სუროები, დაახვია საბელივით და ცალი ხელით დაეკიდა ზედა. მეორე ხელი გაიძრო რკინის კეტსა და რამდენსამე წუთს გაიკეთა საფეხურები კედელში, აქ მოიკიდა მაგრა ფეხები და დაუწყო ნგრევა სანათურსა. აქ მისცა ხმა დედასა და დებსა და რაკი გაიგონა იქიდან ამგვარი ხრიალი და ხავილი, გულის ძგერით უჩქარა სანათურის ნგრევას. ქვითკირი ნაფოტივით გადმოდიოდა მაცის მარჯვე და გამოცდილი ხელიდან. ერთი საათის შემდეგ მაცი ჩახტა საკანში. გაჰკრა კვესსა, მოუკიდა აბედსა და დაჰბერა; შენმა მტერმა ნახოს ის სანახავი, რაც ამანა. საჩქაროდ ჩამოსჭრა გონებამიხდილი დედა, დაუხსნა ხელები დებსა, რომელთაც თქრიალით სდიოდათ მეტის მოჭერისაგან ფრჩხილებიდან სისხლი და ჰქონდათ თვალები სისხლისაგან გავსილი. საჩქაროზედ მოაბა დედას თოკი და ჩაუშვა ძირსა, სადაც მიიღო ომარმა; ამგვარათვე ჩამოუშვა სხვა დები. მას უკან გამოაბა ეს თოკი იმ კავს, რომელზედაც ეკიდა იმისი დედა და ხრიკინ-ხრიკინით ჩამოეშვა ძირსა. იმან მოსასულიერებლად ამოალბო დედა და დები იქვე მომდინარე წყალში, მოიყვანა გონსა და როგორც იყო, მიათრიეს ცხენებამდის. აქ შესხეს ცხენებზე და ნახევარ საათს შემდეგ იყვნენ სამშვიდობოსა.

XV

მაისის დილა იყო, რომ სამეგრელოს მთავრის ცხენისა და საქონლის ჯოგი გამორეკეს მეჯოგეებმა ნიკოსიას საძოვრებში, ინგურის მახლობლად. დათქვირებული ცხენები, დამტკბარნი მაისის

უხვის და მაძღარი ბალახით, ჭიხვინებდნენ და გაჰქონდათ კუნტრუში. ყმაწვილი, ლაზღანდარა მეჯოგენი, მოცულნი ამ მშვენიერის დილის მსუბუქის, ღამის ნაავდრის ჰაერით, რაღაცა ტკბილის სიზარმაცით შეპყრობილნი, დაეყარნენ მაღალის გვერდის პირად, რომელიც დაჰყურებდა აშფოთებულს ინგურსა, და ღიღინებდნენ დაბალის ხმით რაღაცა ლაზღანდარა, გოგო-ბიჭურს სიმღერას. თითქო მათს სიმღერას ბანს მოსძახიანო, ბულბულნი და ტოროლანი ფრთების კრთოლვით და ფიფინით ჰგალობდნენ მშვენივრად და უშტვენდნენ გარშემო ატეხილს მაღალს ხეებზედ მსხდომარენი. მოწმენდილს ჰაერში ამოყო მზემ თავისი ნათელი სხივებით მთის წვერებიდან და გამოჰკრთა ამ სხივთა შუქებს შორის ზღვის პირებიდან მშვენიერის წითელის ლაჟვარდით. მთელი გარშემო ბუნება გაწითლდა ამ შუქთა გამოკრთომით. ამომავალი მზე მოჩანდა უზარმაზარის ზომით, რა ზომითაც ძვირად თუ სხვაგან, გარდა სამეგრელოსი, ნახავს კაცი. მზეკარა ოდნავა სცემდა და ამითი უღვრიდა კაცს გულში რაღაცა სიამოვნებას, რაღაცა ტკბილს ნეტარებას.

— აპა და ბიჭობა მაგი არაა, რომ მაცის უქნია!— დაიწყო ერთმა მეჯოგეთაგანმა. — დედა და, რავა ევიდა მისთანა სიმაღლეზედ? კი, მაგი კაცი არ უნდა იყვეს, თვარა ადამიანიშვილი რავა იზამს!

— კი, მოგეცა ღვთის წყალობა! ესტეა ჩვენი პატონსქუა მოკუნტული. ჩილაჩიხე მაგას ქე სდომებია, მაცის საცოლო, და აწი მაცი დამუქრებია... შენ არ მუუკვდე, რომ იგი ვეღარ გამოდიოდეს სანადიროთ. გარეთ მარტო ვერ გუუვლია, — დაუმატა მეორემ.

— რავა სიმღერა დუუწყვიათ მაგაზედ ქალებს, მისთანა არ მსმენია.

ვოდა, მაცი ხვიტია,
მარდია და ცქვიტია,
ვოდა დელა, დელა მაცი
ვინაა მისებრ მამაცი...

— კი, არვინაა, შენ ნუ მოუკვდე! — წამოადგა ამათ უცებ თავს მაცი და ომარ: — აპა და წადი, შეატყობინეთ თქვენს მთავარს, რომ მაციმ თავის საქონელში წეიყვანა შენი ჯოგი-თქვა.

მეჯოგენი, შემკრთალნი და შეშინებულნი მაცისა და ომარის უცებ თავს წამოდგომისაგან, დიდხანს დარჩნენ ისე გაშეშებულნი და შემდეგ უცებ ანებეს ჯოგს თავი და გაერივნენ ტყის ხშირს ხეებში. აქ შეჰქმნეს საშინელი ყიჟინა, ყიჟინა მოტაცების ნიშნისა. ელვის უმალვე გავარდა ხმა მთავრის ჯოგის მოტაცებისა და ყოველ მხრივ იწყო ხალხმა დენა თოფ-იარაღით, მდევართ გამოსაკიდებლად.

მაციმ და ომარმა სხვა ერთი ათი-თორმეტის აბრაგით გაირეკეს წინ საქონელი და გასწიეს ფონისაკენ, რადგან დიდი ნაავდრობისა გამო ამ დროს არ შეიძლება, თუ არ მეტად დაფანტულს ადგილებში, ინგურში გასვლა. იმათ ერთი ნახევარი ვერსიღა აკლდათ ფონამდინ, რომ ამ დროს მოესმათ თოფის სროლა და ყიჟინა მდევრისა. გასწრება იყო ძნელი. ომარმა და მაციმ აიყვანეს რამოდენიმე აბრაგი, შეარჩიეს ერთი ვიწრო ადგილი, სადაც ვერ ასცდებოდა მდევარი გზასა, დანაშთენებს მიანდეს ჯოგის გარეკვა ინგურში, თითონ ჩასაფრდნენ გზაში.

მოვიდა მდევარი საშინელის ყიჟინითა და თოფის სროლით. მათ მოუძღოდა რუხის მოურავი, ბახვა დგებუაძე, განთქმული თვის ვაჟკაცობით და მთავრის ერთგულებით მთელს მხარეს. მოადგნენ ისინი საფარს. აქ უცებ იფეთქა რამდენიმე თოფმა და რამდენიმე მდევარი გადმოვარდა ცხენიდან. მდევარი შეჩერდა. გავარდა კიდევ რამდენიმე თოფი და ინაცვალეს კიდევ რამდენიმე მდევარი. მდევარმა იდრიკა ზურგი.

— სად მიდიხართ, სად, თქვე შერცხვენილნო, თქვენ! — დასცა ბახვა დგებუაძემ ყიჟინა მდევარსა და გაიძრო ხმალი.

ზოგნი მდევართაგანნი შეშინებულნი და ზარდაცემულნი ამ უცების დახვედრისა და ამხანაგების დახოცვისაგან, არ უგდებდნენ ბახვას ჯავრობას ყურს და გარბოდნენ. ბახვა გაბრაზებული, ამგვარის იმათის შეშინებისაგან, წამოეწია ერთს, შემოუსვა ხმალი და გაჰკაფა ზედ შუაზედ.

— ვინც თვის დედის შვილია და აქედან ცოცხალი წავა! — აქ ბახვა ხმალგაწვდილი გადაეღობა სხვებს. ისინი შეჩერდნენ და დაიწყეს ყოყმანი. რაკი დაატყეს ეს ომარმა და მაციმ თავიანთის ამხანაგებით, უცებ იძრეს ხმლები და გადმოერივნენ საშინელის ყიჟინით. ამ ამბავმა და ომარისა და მაცის დანახვამ უარესი ზარი დასცა მდევარსა და გაიქცნენ ყველანი. გაიქცა ბახვაც, რაკი დაატყო, რომ დარჩა მარტო. მაცი და ომარი დიდხანს მოსდევდნენ ამათ ყიჟინით, მინამ არ იდროვეს, რომ ახლა ყველანი დაფანტულები იქნებიან და სამჯობინარო იქნება, რომ დავბრუნდეთ სამშვიდობოსაო.

ისინი დაბრუნდნენ, მაგრამ ბახვა არ ანებებდა იმათ ასე თავს. იმან საჩქაროზედ მოუყარა ერთი ოციოდე მარჯვე და სანდო ბიჭებს თავი და გამოეკიდა. საჩქაროზედ წამოსწვდა იმათ, ვიდრე ისინი მიატანდნენ ინგურს. ატყდა სროლა. მაცი და ომარ ჩასაფრდნენ ამხანაგებით ნახნავების ღობეებში, რომელსაც შეადგენდა მსხვილი ხეების მოყრილი ხერგი, და ისროდნენ იქიდან. ბახვაც თა-

ვისი ამხანაგებით აეფარნენ ხეებს და უმიზნებდნენ იქიდან. ბახვამ მოახდინა განკარგულება და ეოთი შვიდიოდე ბიჭი გაგზავნა ამ საფარის შორიახლოს მოსავლელად. მაციმ და ომარმა შენიშნეს ესა და დააპირეს ხმალდახმალ გადარევა კიდევ. ამის გულისთვის წამოიწია ომარმა. იფეთქა აქ ბახვას თოფმა, რომელიც სულ ამათს მოძრაობას ადევნებდა ყურსა, და ომარ, მძიმედ დაჭრილი, დაეშვა მაცის ხელებზედ. მაციმ შემოიგდო დაჭრილი ომარ ზურგზედ და გასწია. ამათი ამხანაგები საფრებიდან ისროდნენ და იგერებდნენ მდევარს. მაციმ მსწრაფლად მიიტანა ომარ ცხენამდის, შემოიგდო წინ ცხენზედ და გაჰკრა ქუსლი. სხვა ამხანაგებიც დაედევნენ ამის უკან, რაკი დაატყეს, რომ ველარ გაიმაგრებდნენ იქ თავს. მდევარი სროლითა და ყიჟინით მოსდევდა. მაცი თან მიარბეინებდა ცხენს და თან უბრუნდებოდა თოფით მდევარს, ესროდა და ძნელად თუ აცდენდა, ვისაც კი უმიზნებდა. მაციმ ადიდებულს ინგურის წყალში შეაგდო უალაგოდ ცხენი. ცხენი, დატვირთული ორორის სრულის კაცით, წააქცია ფიცხმა ინგურის წყალმა. მაცი და ომარი მოიტანა ცხენმა. მაცი გამოძვრა ცხენქვეშიდან, ანება ცხენს თავი და სტაცა ომარს ქოჩორში ხელი. დიდხანს ათრია შფოთიანმა ინგურმა მაცი, ბევრჯერ ჩაიტანა ღურღუმში და დამალა თვის მოუღალავს, მაღლად მსროლს ზვირთებში, მაგრამ მაცი არა ჰკარგავდა მხნეობას და არ ანებებდა ომარს თავს.

მდევარი, რომელსაც ამხანაგები ომარისა და მაცისა იმაგრებდნენ აქნობამდინ, მოადგა ინგურს, ესროდნენ წყლისაგან წაღებულს მაცის თოფებს და შემოცვივდნენ წყალში.

მაციმ ჩაიყურჭუმალავა წყალში და დიდხანს, თითქო მთლად დაიღუპაო, აღარა ჩანდა; ჩანდა ოდნავ მარტო ცარიელი თავი ომარისა. მდევარი ალალბედზედ ესროდა თოფებს მაცისა და ომარს. მაციმ უცებ ამოყო შორს ნაპირზედ თავი და გაათრია ომარი.

აქ იმან მისცა ომარი ერთს თავის ამხანაგთაგანს და დაუძახა სხვებს, რომელნიც მოცვივდნენ ამასთან, რაკი მოტაცებული ჯოგი დაიგულეს სამშვიდობოსა. ინგურის პირს მაცი ამხანაგებით ამოსხდნენ ბუჩქებში და რამდენიც შემოდგა მდევარმა წყალში ფეხი, იმდენი ეს მდევარი ჩააწვინეს და მისცეს ადიდებულ წყალს. დიდხანს ეწია მეცადინეობას ბახვა დგებუაძე წყალში გასასვლელად, მაგრამ ყოველივე იყო ამაო: მაცისა და იმის ამხანაგების მოუცადი ტყვია ინაცვლებდა ყველას, ვინც კი ჰბედავდა ინგურში შესვლას.

დგებუაძე ბევრის და ამაო მეცადინეობის შემდეგ, დაბრუნდა უკან მთავართან ამ ამბის საცნობებლად. მაციმ ომარი მიიყვანა ცომაიებთან, სადაც ჰყავდა ეკაც დამალული. ომარი და იმის პატრო-

ნობა იმათ ჩააბარა; გაგზავნა ერთი სამოციოდე მარჯვე აბრაგი და თავისა და ომარის მომხრენი და უბრძანა, რომ ეყარაულნათ ინგურის პირას, რომ ვინიცობაა მოსულიყო დადიანის ჯარი, შეეშაგრებინათ, მანამ თითონ მიეშველებოდა. მაციმ გაირეკა ნახევარი ჯოგი და გასწია ოჩამჩირეს, სადაც იმჟამად იმყოფებოდა აფხაზეთის მაშინდელი მთავარი.

XVI

მაცისაგან გაგზავნილი კაცები ადევნებდნენ ყოველ მოძრაობას ყურს, რომელიც კი ხდებოდა ინგურის გაღმა ოდიშში. დიდს ხანს არაფერი ჯარის მოძრაობა არ ჩანდა. ამათ გადაუწყდათ იმედი, რომ ოდიშის მთავარი მოინდომებდა თავისი ჯოგის გამოკიდებას და აპირებდნენ კიდეც შინ დაბრუნებას, რომ უცებ ჯარი ჩუმჩუმად გამოძვრა ტყის ხშირებიდან და დაიწყო მოდენა ინგურის ფონისაკენ. ბახვა დგებუაძე და რამდენიმე სხვა გამოჩენილი ვაჟკაცი თავადი მოუძღოდნენ ჯარს. მაცისა და ომარის კაცები ჩასაფრდნენ ფონის მახლობლად ინგურის ჭალებში, და შემოდგა თუ არა ჯარმა წყალში ფეხი, ერთბაშად უფეთქეს თოფები. რამდენიმე კაცი ჩაწვა ინგურში. დგებუაძემ უბრძანა დაბრუნება. ჯარი შევიდა ისევ ტყეში და პატარა ხანს უკან გამოვიდა ისევ და დაუწყო ფონს ტანება. ომარის ხალხმა დატენეს თოფები და ემზადებოდნენ კიდევ ერთბაშად ფეთქებას. მთავრის ჯარი ხან შედიოდა ფონში, ხან ბრუნდებოდა ისევ უკან. ბოლოს იმან ატეხა სროლა იმ მხარისაკენ, სადაც იყვნენ იმათი წინააღმდეგნი ჩასაფრებულნი. ამ სროლაზედ იმათაც მოსცეს თოფებით პასუხი და პატარა ხანს ატყდა სრულებით უვნებელი სროლა, რადგან არც ერთის მხარის ტყვია არ მიდიოდა ერთმანეთთან.

დგებუაძე, რომელიც აქამდის იჯდა ერთი მაღალის ხის წვერზედ, უცებ ჩამოეშვა ძირს, მოახტა ცხენს, იძრო ხმალი და დასცა ყიჟინა.

— აპა, მომყეთ აქანეი, ე! — და გადაერია წყალში.

ჯარი ყიჟინით მიჰყვა ამას თანა. მაცის ხალხმა დააპირა კიდევ თოფების ერთბაშად ფეთქება, შეაყენეს თოფები ფეხზედ, უმიზნებდნენ და ელოდნენ, რომ ისინი მისულიყვნენ იმ სიახლოვეს, რათა ტყვიას ძალა ჰქონოდა, რომ უცებ ერთმა ასმა კაცმა უკანიდან დასცა ამათ ყიჟინა და დაახალა თოფები.

მაცის ხალხი ამ მოულოდნელის ამბისაგან უცებ წამოიშალა და დაინახა, რომ გარშემორტყმული იყო დადიანის ჯარებითა. ამათ ანებეს საფარს თავი, იძრეს ხმლები და გადერივნენ უკანიდან წა-

მოსეულს ჯარზედ. გაიმართა პატარა ხანს ხელდახელი ბრძოლა. ბახვა დგებუაძე გამოვიდა ფონში ჯარებით და შემოუტია. ომარისა და მაცის ხალხმა არჩია გაცლა და გაიქცა, საითაც მოხერხდებოდა. დადიანის ჯარი, გამარჯვებული, გაჰყვა ზოგი მათ, ზოგმა გასწია პირდაპირ ომარის სახლისკენ. მიდიან ესენი გამარჯვების ყიჟინით, რომ უცებ ერთ ხშირ ტყეში, კლდის ვიწრო ბილიკზედ, ნახეს ისინი საფარში შეტყუებულნი.

მაცი ის იყო მოდიოდა აფხაზეთის ჯარით, რომელიც მიიღო იქაური მთავრისაგან, და სხვა მარღანიებით, თავისა და ომარის ხალხთან მისაშველებლად, რომ მოესმა თოფის სროლა. მაციმ იცოდა, რომ სამოცი კაცი ვერ გაუმაგრდებოდა დადიანის ჯარებს და შეატყო კიდეც, რომ იმათ დამარცხებულთ მოსდევდა ოდიშელობა; საჩქაროდ დააბრუნა უკან თავისი ჯარი, გაყო სამ ნაწილად, — აარჩია ერთი ვიწრო ბილიკი, რომელიც მიდიოდა ერთი ტყიანი კლდის პირას, რომელსაც ერთ მხარეს ჰქონდა მიუდგომელი ფლატე და მეორე მხარეს ამართული ტყიანი მთის პირები და რომელსაც ვერ ასცდებოდა ოდიშის ჯარი: ერთი ნაწილი თავის ჯარისა გაგზავნა ამ ბილიკის მთლად სიგრძივ ტყიანის მხრიდან ხეებში ჩასასაფრებლად და უბრძანა, რომ სანამ ჯარი მთლად ამ ბილიკის სიგრძეს არ დაიჭერდა, არ ესროლათ და მაშინ აეტეხათ სროლა; მეორე ჯარი გაგზავნა ბილიკის თავში ჩასასაფრებლად და უბრძანა, რომ არ გაეშვათ იქითკენ ჯარი; მესამეთი თითონ ჩაუსაფრდა თავში.

შედგა ჯარი ამ ბილიკზედ და მიდის ყიჟინითა და „ორერაშას“ სიმღერით, რომ უცებ აუტყდათ ტყის პირებიდან სროლა. ამათ გააჩქარეს გასვლა მეორე მხარეს და აქ ერბაშად უტყუპეს მრავალი თოფები; დააპირეს გამობრუნება, რომ უცებ მაცი თავისი ამხანაგებით თოფების დაცლის შემდეგ გადმოერივნენ ამათზედ ხმლებითა. ოდიშის ჯარი აირია და არ იცოდნენ, საით გაესწროთ. ბევრი იმათგანი, შიშით ზარდაცემული, დაგორდა ცხენიან-კაცებიანად კლდეებზედ და სულიან-ხორციანად მთლად დაიკარგა და დაიმტვრა. ბახვა დგებუაძემ მსწრაფლ მოისაზრა, რომ გაცლა ისევ მაღლა ტყის პირებისაკენ სჯობდა და ავარდა თითონ ტყის პირებისაკენ ქვეითად და უბრძანა სხვებსა, რომ ცხენებისთვის თავი ენებებინათ და ქვეითები გაშორებულიყვნენ მაღლა ტყისაკენ. ვინც გადაურჩა მტრის ტყვიასა და კლდეზედ გადაცვივნას, ანებეს ცხენებს თავები და გაეშურნენ ტყისაკენ. თუმცა არც აქ ასვლა დაუჯდათ იაფად, მაგრამ ავად იყო თუ კარგად, აქეთ მხარეს ბევრმა მოასწრო გაცლა.

მაციმ, რაკი დაატყო, რომ იქით მხარეს ძნელი იყო იმათ შემაგრება, წამოუარა თავისი ამხანაგებით მეორე მხარეს და შეუტია კიდევ. ოდიშის ჯარი გარბოდა თოფდაუცლელად. ბახვა დგებუაძე ველარ იმაგრებდა თავის ჯარებს. ის განწირულებით ეძებდა ან სიკვდილს, ან მაცის შეხვედრას. და აი გამოჩნდა მაციცა.

— აპა და, მაცი! — შესძახა ბახვამ: — ბიჭობა მაგი როდია, რომ ჯარით მაჯობო! მარტუამ, მარტუამ ვნახოთ ერთმანერთი.

— კი! შენ ნუ მოუკვდები! — მიატანა მაციმ და ის გადმოხტა ცხენიდან.

მაცი და ბახვა გაექანენ ერთმანეთისაკენ ხმალდახმალ და დიდხანს გაჰქონდა მათ ხმლებს ლაპლაპი და წკრიალი ჰაერში. ისინი იბრძოდნენ ჩუმად და შიგადაშიგ ისმოდა მხოლოდ წამოძახილი: „კი“, როდესაც რომ მარჯვედ მოქნეულს ხმალს მარჯვედ აუკრავდა მოწინააღმდეგე: „კაი იყო!“ ისმოდა ხამუშ-ხამუშ. მებრძოლნი თვალის დახამხამების უმალ უქნევდნენ ერთმანეთს ხმლებსა და თითო აკვრით იცდენდნენ წინააღმდეგის მოქნეულსა. ისინი ხან მიდიოდნენ ერთმანეთზედ და ხან უხტებოდნენ განზედ ფეხის მოსანაცვლებლად და თავის შესამაგრებლად. იმათ თანდათან გაცხარებით უწყეს ერთმანეთს ბრძოლა. ორივეს დაღალვისაგან გადასდიოდათ ხვირთქლი. ბოლოს კბილების ღრჭენით მიმართეს ერთმანეთს.

— ჰყურობ მაგ ლაწირაკს! — დასძახა ბახვამ და ყოვლის თვის ძალით მოუქნია მაცის ხმალი. მაციმ აუკრა ხმალს ყოვლის თვის ძალით და ორივეს გასცვივდათ ხმლები.

ბახვამ მოისვა ხანჯალს ხელი და ნახა, რომ ხანჯალი აღარა ჰქონდა ზედ: ტყეში გლაჯუნით და სირბილით დასწყვეტოდა ქამარი და ხანჯალიცა და დამბაჩაც თან გაჰყოლოდნენ ქამარს. მაციმ თვალის დახამხამების უმალ იძრო ხანჯალი, სტაცა ბახვას საყელოში ხელი და გაიელვა მაღლა ჰაერში მაცის ხანჯალმა. ბახვა, ხმაამოუღებლივ, ელოდა მსწრაფლ სიკვდილს, რომ მაციმ უცებ შეაყენა ხელი ჰაერში და შენიშნა, რომ ბახვა იყო უიარაღოდ.

— კი, ღალატით ვერ მოგკლამ! — მიატანა მაციმ: — მაგი არაა ვაჟკაცის წესი.

მაციმ გადააგდო ხანჯალი და აიღო ისევ თავისი და ბახვას ხმლები. მისცა ბახვას თავისი ხმალი და თითონ დაიჭირა თავისი.

— აწი, ასტე კაცურებ დევიხოცნეთ კი სჯობს.

— რავა იქნება, — მიატანა ბახვამ: — აწი კი შენი ვარ და სირცხვილი ქე იქნება, შენზედ კიდევ ხელი ავმართო.



მისცა ბახვას თავისი ხმალი.

— სწორედ არ გვმართებს ჩვენ ერთმანეთის დახოცვა, — მიატანა მაციმ და ისევ მეგობრულად გადეხვია ბახვას. — აწი წადი შენს სახლს, შენს ცოლ-შვილში.

ამ სიტყვებთან მაციმ უბრძანა თავის ამხანაგებს და ჯარს, რომ ბახვასთვის ხელი არ ეხლოთ. გამარჯვებული მაცის აფხაზობა და ამხანაგობა გაჰყვნენ ოდიშელებს ინგურს გაღმა, აქ წაესივნენ იქაურს მცხოვრებლებს, სადადიანო ხალხს და მთელი ერთი დღე და ღამე არა ჰქონდათ იმათ დაზოგვა. მრავალის ნატყვევარისა და ნაალაფევის შოვნის შემდეგ, აფხაზნი და სხვა მაცის ამხანაგნი დაბრუნდნენ უკან, დატვირთულნი ყოველ რიგის საშოვრით, რომელიც კი მოიპოვებოდა იმ სოფლებში. ეს იყო ჯილდო, რომელიც იმათ მიიღეს მაცისა და ომარის დახმარებაში. ამის შემდეგ მაცი დაბრუნდა ცომაიებისაკენ, სადაც იწვნენ ეკაც და ომარიც.

XVII

ოდიშის მთავარს თავის ჯარის დამარცხება საშინლად ეწყინა და ითაკილა, როგორ თუ მაცი და ომარ უბედავენ ამას ამგვარებსა. იმან გასცა მთლად სადადიანოში ბრძანება, რომ შეყრილიყო რაც კი ჯარი გამოვიდოდა და განიზრახა გუნებაში მთლად ომარისა და მაცის განადგურება.

— ვის უბედავს მაგი, პილწი მარღანია, მაგენებს! — ჯავრობდა მთავარი. — ეგებ მაგენებს მე ალიშბეი ან კვაჯია ვეგონო. მთლათ ავატუტებ, ამტუტდეს შენი მტერი!

მთავარი იმავე დღეებში აპირებდა დასხმას, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჯარი არა გროვდებოდა. საუკეთესო ვაჟკაცნი, ზოგიერთებს გარდა, არა გროვდებოდნენ საომრად და იმალავდნენ თავს: ზოგისას სახლობა იძახდა, იმერეთში არიან წასულიო, ზოგისას — სვანეთშიო, ზოგისას — გურიას და ზოგისას სულ არ ცოდნას.

— რავა წავალ მარღანიაზედ საჩხუბრათ, — ეძრახებოდნენ ისინი ერთმანეთს: — მის პურ-მარილი ჯერაც კისერში ამამდის.

— რავა რჯულს გედუდგები და მარღანიას დაუწყებ ჩხუბს, — იძახოდნენ სხვები: — მისგნით მიდგია სული. მაგი რომ არ მეწეოდეს სარჩოს შეძენაში და ყველა ნამალევს არ მინახავდეს და არ მიფარავდეს — მთლა გავწყდები ცოლ-შვილით მშიერი.

— მისთანა აფხანიკ კაცს რავა გავიმეტებ სათოფეთ. — გაიძახოდნენ მესამენი: ყველა ნაშოვარში მათთან გვივლია. ცხენები ერთად გვიტაცნია და ტყვე ერთად გვიყიდნია და ახლა უნდა გულში სატევარი ჩაუყაროთ ურთიერთს!

— კი, ჩხუბი კაია მარღანიასთან, — გაიძახოდნენ მეოთხენი, — მარა საქმე მაგი კი არაა!.. შეგარჩენს მარღანია მაგისთანა საქმეს?.. მარღანია თავს არ მოგაკვლევინებს და ვაი მისი ბრალი, ვინც კი შტრად გამოუჩნდება: სახლს არ შეგარჩენს, თავს და ცოლ-შვილს სათათრეთში გაგიყიდის... მაშინ მთავარი კი ვეღარ გიშველის.

ამგვარად მთავარმა შეყარა საომრად მარტო მცირე ყაზახობა და ისიც იმისთანანი, რომელნიც არ იყვნენ არა საგარეო საქმეში დახელოვნებულნი. სხვა გამოსადეგნი იყვნენ ცოტანი.

ის ისე იყო აშფოთებული, რომ თვით უპირებდა ამ ჯარს გაძღოლას და მარღანიაზედ მისევას, მაგრამ მოუვიდა ამბავი, რომ მაცი შერვაშიძის ჯარით არის მზად და უპირებს დახვედრასაო და ამასთან ოდიშელებიც ბევრი გავიდნენ იმასთან მისაშველებლადაო. მთავარი დაბრუნდა და დააპირა გულის ბუხრის ყრა იმათზედ, რომელნიც არ გამოვიდნენ საომრად და დაუპირა იმათ მთლად განადგურება.

იმან პირველად მიუსია ჯარი ჩიჩუას; მაგრამ რადგან თითონ ამ ჯარში ერივნენ თვით ჩიჩუას კაცნი, ისინი ერთი ჩიჩუას ბრძანებით გადუდგნენ მთავარს; ჩიჩუამაც შეყარა ჯარი და დაუხვდა დადიანს. დადიანმა ვეღარ შეჰბედა და მიმართა სხვებს, მაგრამ რაკი სხვებმაც შეიტყვეს ეს ამბავი, მაგრად დაუხვდნენ. მაშინ მთავარმა ანება ამათ თავი და დაუწყო აკლება ისევ აზნაურებს, რომლებისაც ეგულებოდა, რომ ვერ გაუწევდნენ წინააღმდეგობას. იმან სულ დედამიწასთან გაასწორა რამოდენიმე აზნაურობის გვარი. მაგრამ არც ამათ ეძინათ. ესენი მიემხრნენ ერთმანეთს, მიიმხრეს ის თავადებიც, რომელთაც ეკუთვნოდნენ სათავადოდ, და იწყო მთელმა ოდიშმა მოძრაობა. მთავარი იძულებული გახდა აეღო ხელი თავის განზრახვაზედ. ის დაბრუნდა შინა. აიკლო მხოლოდ რამდენიმე გამოჩენილი აბრაგი ყაზახების სახლობანი.

დაბრუნდა შინ და იყო საშინელი აღელვებული ამ გარემოებით. ის აპირებდა ხონთქართან წასვლას საჩივლელად და ჯარების სათხოვნელად, რომ ეყარა მარღანიას ჯავრიცა, და მეტადრე თავის ხალხის ჯავრი. ის განიზრახავდა მთლად სამეგრელოს ამობუგვას; მაგრამ არ იცოდა, რა საჩუქარი წაეღო ხონთქრისა და იმის კარის კაცებისათვის. საუკეთესო ცხენები და საქონელი სხვებმა წაასხეს. ლამაზი ქალებისა და ბიჭების წაყვანაც აღარ მოხერხდებოდა, რადგან ამითი უფრო აიღელვებდა ისეც გადამდგარს ხალხსა.

ამ მდგომარეობიდან გამოიხსნა გურანდუხტ დედოფალმა.

— რავა სწუხ მაგას! — უთხრა ერთხელაც იმან: — რაზედ დაჰ-

ხოც ხალხს, რომ შენი საქონელი ისტევე შეგიძლიან უსისხლოთაც დეიბრუნო. ოდიშში კაცი ვერ ნახე, რომ მაცისაც და ომარისაც სჯობდეს ქურდობაში! დაჰპირდი კაი ქრთამს და ხვალვე ვოგვრიან შენ ჯოგს, ვისიც ჯავრი ქე გჭირს, მათ მემრე დეესხი. მოუდე სხვა მიზეზები, ეიკელ ღა შენი სასახლეც გააპატიოსნე მათი სარჩოთი და მათი ჯავრიც ქე იყარე. აწი ყური მიუგდო მათ, სხვა არაფერი საშუალებაა.

ეს დარიგება ცოლისა დაუჯდა მთავარს. იმან დაიბარა საიდუმლოდ რამდენიმე განთქმული ქურდი და აღუთქვა, რომ იმათ სრულს ნებას მისცემდა, რაც უნდა ექნათ თავისის ხელობით, ოღონდ არ ეჭმიათ იმისთვის მაცისა და ომარის ჯავრი.

იმათ აღუთქვეს და კიდეც შეასრულეს.

მაციმ ის იყო მოახდინა განკარგულება, რომ მეორე დღეს გაერეკათ ჯოგი პთაში. იმ ღამეს მეჯოგეებს ტკბილად ეძინათ ერთს დიდს სახნავი მიწის შემოღობილში, სადაც ეყენათ ჯოგიცა, რომ რამდენიმე კაცი შეიპარა ამ შემოღობილში. ისინი თითო-თითოთ მიადგნენ მძინარე მეჯოგეებს და მინამ ისინი გაიძვროდნენ, თვალის დახამხამების უმალ დაღადრეს ყელები.

ამათ გამოირეკეს ჯოგი და პატარა ხანს უკან შემორეკეს ინგურში. იმათ, რაკი ზუგდიდი შორს ეგულებოდათ და ეშინოდათ მდევრის მოწევისა, დიდხანს ატარეს წყალ-წყალ, რომ ამით დაეკარგნათ მდევრისთვის კვალი. მასუკან გარეკეს ჯოგი ისევ უკან სამურზაყანოში, დაირეკეს წყლის პირპირ და დიდხანს იარეს ესრე. აქ გარეკეს ინგურში და მორეკეს სასახლესთან.

მაცი თავისი ამხანაგებით მაშინვე გამოეკიდნენ ამ კვალს. კვალმა მიიყვანა ისინი ინგურთან. ინგურს გაღმა აღარ მიდიოდა. მაცი მიჰხვდა, რომ წყალ-წყალ ატარებდნენ და დაადევნა აღმა-დაღმა მდევარი მაძებრებით, მაგრამ ის ეძებდა გაღმა და არა გამოღმა კვალსა; იმას, თავისი ამხანაგებით შერჩა შრომა. ის გვიან მიხვდა, რომ ჯოგს ისევ გაღმა გარეკავდნენ და მერმე ისრე გაასხამდნენ, როცა იმან იპოვა ეს კვალი, ჯოგი კიდეც ჰყვანდა დადიანს მიგვრილი.

XVIII

ომარმა დიდხანს არ შეიმჩნია თავისი ჭრილობა და ჯანჯღარი, რომელიც გადახდა ამას ჯოგის მოტაცების დროს. იმისი წყლულები გასაოცარის სისწრაფითა რჩებოდნენ და ხუთი-ექვსი დღის

განმავლობაში ის იდგა ფეხზედა. იმას არაფრად იამა მაცისგნით ბახვა დგებუაძის განთავისუფლება.

— რავა უნდა აპატიოს კაცმა მტერს! — ჯავრობდა ის: — მტერს მტრობა უნდა გუუწიოს და მოყვარეს — მოყვრობა. ბახვა რავა უნდა წაგვსლოდა ჩვენ ცოცხალი! კი, მე კი არ ვარ მაგეთი გულჩვილი! არ შერჩება მას ჩემი სისხლი და მოვაგლეჯიებ მის ცოლ-შვილს მის ლეშზედ თავს. ოდიშელი კაცი რომ ომარს მაგენებს აკადრებდეს, მაგეთი კაცი ჩვენგან რავა დეითმობა!

ომარმა თავისი მუქარა მალე მოიყვანა აღსრულებაში.

ერთ ღამესაც ბახვა ის იყო აპირებდა დაძინებას, რომ ვიღაცამ დაუძახა. ბახვა საჩქაროზედ გავიდა და მინამ ის გაარჩევდა ვინ ეძახდა, ომარმა საგდებელი თოკი, რომელიც ჰქონდა გამობმული ცხენზედ, გადუგდო უცებ კისერზედ, შემოჰკრა ცხენს ქუსლი და გაიტაცა თან თრევით. ბახვამ, უცებ თოკწაჭერილმა ყელში, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო.

ამ მოტაცების უკან, რამდენიმე ხნის შემდგომ ბახვას სახლს და ყველა შენობას გაუჩნდა ცეცხლი. პატარა ხანს უკან მთლად ყველა შენობა იქცა ნაცრად და ცოცხალმა ადამიანებმა ცარიელის პერანგებით ძლივს გადაირჩინეს თავი, სხვა ყველაფერი მოჰყვა შიგა და გადიბუგა შეუწყალებელის ცეცხლისაგან.

ბახვა მეორე დღეს იპოვეს ინგურის პირას, ერთს ხეზედ, ტიტველა, თავქვე დაკიდებული. იმას ჰქონდა ხელები გაკრული. იმის დაღრეცილს პირისახეს, საზარლად გადმოკუჭულს თვალებს, თოკებისაგან დაფლეთილს ფეხის წვივებს და ხეზედ ქნევისაგან მრავალგან გახეთქილს თავს ეტყობოდა, რომ ბახვა ბევრს ეწვალა და ბევრი ბრძოლა გაეწია სიკვდილთან.

ეს ამბავი მაცის საშინლად ეწყინა და ამ ნაწყენის გულით დაბრუნდა ომართან, რომ ომარისას იმას დაუხვდა უფრო საზარელი სანახავი.

ერთი ოცი-ორმოცი სულ ყმაწვილი, ქორფა, ათი-თორმეტი წლიდან თხუთმეტ-თექვსმეტ წლამდინ მშვენიერი ქალები და ბიჭები იყვნენ დამწყვდეულნი ერთს დიდ ფაცხაში. აქედან გამოჰყავდათ ყმაწვილი ქალები, შეჰყავდათ იქვე მახლობლად თავლაში და ატიტვლებდნენ თავიდან ფეხამდინ. აქ რამდენიმე თათარი პატარა მაშებით ხელში და დიდის გულმოდგინებით სინჯავდნენ ქალთა სიმშვენიერეს, მოყვანილობას და უმანკოებას. ამ სინჯვაში იღებდა მონაწილეობას თვით ომარიც. ყველა ქალის გასინჯვაზედ ხდებოდა ვაჭრობა. ვაჭრობა თავდებოდა ქალთა სხეულისა და

უმანკოების ღირსებებით. ზოგი ქალი ბედავდა წინააღმდეგობასა და ყვირილსაც, მაგრამ იმათ უკრავდნენ ალიკაპებით პირს და აქცევდნენ ერთს გრძელს სკამზედ და აკრავდნენ მაგარის თოკებით. ისინი ისინჯებოდნენ ამგვარად.

ეს ქალები და ყმაწვილები, შემდეგ ფასზედ შერიგებისა, დაირეკეს ღამით თათრებმა საოსმალოში გასარეკად და გასასყიდად.

ეს ყმაწვილები იყვნენ ომარისა და იმის ამხანაგებისაგან დატაცებულნი ტყვენი: ოდიშს, აფხაზეთს, სამურზაყანოსა და თითქმის სვანეთშიაც.

ამ ბავშვების ჟრიამულმა და გულის საკლავმა მოთქმამ და თმის გლეჯამ თავის სამშობლოსა და მშობლების გამოსალმებაზედ მაცის სისხლი აუმღვრია. იმან იცოდა, რომ ამაზედ ლაპარაკით მხოლოდ მოიმდურებდა ომარს და გადიკიდებდა. ამის გამო ის პატარა ხანს შევიდა ფიქრში, რომ დასცემოდა ამ თათრებს ჩუმად გზაში, დაეყრევინებინა ისინი და გაენთავისუფლებინა. მაგრამ ეს ფიქრი დარჩა ისევ ფიქრად. იმან ჯერ ერთი მოისაზრა, რომ გინდა კიდეც დაეყრევინებინა, მანამ იპოვიდა ყველა ამათ პატრონებს, ომარი უეჭველად გაუგებდა; თუ გაეშვა ისე უპატრონოდ, სხვები დაიჭერდნენ და დაჰყიდიდნენ; მეორეც ესა, ჰქონდა მიცემული ომართან სიტყვა, რომ იმას არ უღალატებდა.

მაცისთვის ამგვარ კაცთან ყოფნა და ამხანაგობა სამძიმო ხდებოდა. ის ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე დაეღწია თავი. მაგრამ ჯერობით ვერ ახერხებდა, რადგან ეკა არ იყო ისეთს ჯანზედ, რომ შესძლებოდა ბევრი ნჭყრევა და ჭანჭყალი. თუ ეკასთვის დაენებებინა სამურზაყანოში თავი და წასულიყო ომარისაგან, მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ომარი მაცის ჯავრს ეკაზე იყრიდა.

მაცი ელოდა ეკას სრულს განთავისუფლებას. ჯვრის დაწერაც და ისე გაცლას ომარისაგან.

XIX

მაცის უნდოდა ომარისაგან თავის დაღწევა, მაგრამ ომარს უფრო განზრახულიცა ჰქონდა მაცის განშორება.

ომარი ატყობდა, რომ მაცი უფრო და უფრო იძენდა ამხანაგობასა და თვით ომარისავე სამფლობელოში სახელსა. ის ატყობდა, რომ მაცი იძენდა დღითიდღე დიდ გავლენას ყველა ამათს მომხრეებზე. ომარი შიშობდა, რომ უპირატესობა მაცის არ დარჩენოდა. შურდა იმისი ვაჟკაცობაც და ამგვარი სახელის შეძენაც. იმას არ

იამებოდა თავისზედ უკეთესი. ისიც ვერ ეპატივებინა მაცისთვის, რომ იმგვარის თავგანწირვით გადაარჩინა ომარი სიკვდილსა და განსაცდელს. ეს ნატკენობად ჩააჩნდა გულში ომარს.

ომარმა დიდი ხანია განიზრახა მაცის სიკვდილი. მაგრამ ამის აღსრულებაზედ შეაყენა ის ერთმა შემთხვევამ. თავის ავადმყოფობის დროს ცომაიასთან ის ყოველ დღე ხედავდა ეკას. იმისი მშვენიერება და მიბნედილი, ავადმყოფობისაგან მისუსტებული, ცეცხლით სავსე თვალები ჰკლავდა ომარს. ომარი უფრო აღაგზნო იმან, როდესაც დაინახა, რომ ეკა, თითონაც ავადმყოფი და ახალ რჩენაში გადასული, ისე გულით ცდილობდა მის მოვლას და პატრონობას. ეკას გულში იყო გაღვივებული მადლობა, რომ მან შეიფარა მისი ძვირფასი მაცი. ამას მისცა ომარმა სხვა მნიშვნელობა.

დიდი ხანია ომარი დადის ქვეყნად, ბევრი მშვენიერი ქალი უნახავს და, თუ მოსწონებია, ძვირად თუ წასვლია, მაგრამ ასე ამისი გული არავის აუგზნია. ომარი იყო შუახანს გადასული კაცი. იმ ხანს აღარ შეჰფეროდა ამგვარი სურვილით გატაცება, მაგრამ თითონაც არ იცოდა, რა ხდებოდა იმის თავსა. თითონ ეკას წარმოდგენაზე ომარს იტანდა ჟრჟოლა და არ იცოდა, როგორ დაახლოვებოდა. დაახლოვებას საიმგვაროდ ვერა ბედავდა, რადგან ატყობდა, რომ იმასთან ამგვარი საქმე არ იყო საფიქრებელი. ამის გამო ერთი ღონეღა იყო დარჩენილი — შეერთო. მაგრამ როგორ შეერთო, თუ მაცი იქნებოდა; მეორე ესა, რომ თითონაც ცოლიანი იყო. მოეკლა მაცი?! მერე ვაითუ ამითი სიძულვილი განეღვიძებინა ეკას გულში?

ეს იყო მიზეზი, რომ ომარმა არ მოკლა მაცი არც შურით, არც იმისთვის, რომ ეკა ჩაეგდო საკუთრად.

ამის გამო იმან განიზრახა საქმე სხვაფრივ. იმან განიზრახა მაცის ჩუმად ოდიშელების ხელში გადაცემა.

ამან ჩუმად მიჰყიდა მაცი დადიანს, რომლისაგანაც აიღო საკმაო ფული.

ერთ ღამეს ომარმა წაიყვანა მაცი მთავრის სახლთუხუცესის საჯინიბოში, ცხენების გამოსასხმელად. ორივენი შევიდნენ და აუშვეს თუ არა ცხენები, ამ დროს უცბად ჩაუკეტეს კარები. ომარი მოაწვა ერთს კარს, კარი გაიღო და გამოვარდა. რამდენიმე თოფი დაუშინეს მას ჰაერში, მაცი მოემწყვდია.

ომარი იმავე ღამეს წამოვიდა მაცის გამოსახსნელად ერთი ოციოდე მარჯვე ბიჭით, მაგრამ იმას ინგურის პირას დაუხვდა ჯარი თოფის სროლით და ის დაბრუნდა უკან, დიდად შეწუხებული.

XX

რაკი ომარმა მოაგვარა ამგვარად მაცის მოცილება, ის დარწმუნებული იყო, რომ იქ იმას უმალ ბოლოს მოუღებდნენ. ახლა დარჩა ერთიც კიდევ მოსაშორებელი თავიდან — ცოლი. ბევრი არ იფიქრა ამაზედ. ერთს ღამეს, როდესაც იმის ცოლს ეძინა, წამოდგა ომარი გულგრილად, ამოიღო ხანჯალი, სტაცა სწრაფად გრძელს თმებში ხელი და ერთი თვალის დახამხამებაზედ მოსჭრა თავი. ახლა დაუწყო ლოდინი, რომ მოსულიყო მაცის სიკვდილის ამბავი. ეს ამბავი იგვიანებდა. ომარი ველარ ითმენდა და დაუწყო ეკას გამოლაპარაკება. მაგრამ აქ ისეთს უარს შეხვდა, რომ ეკა თითქო ვერც კი ხვდებოდა მის ლაპარაკს.

ეკა იყო გართული მაცის ფიქრში. ის იმხნევებდა თავს მაცის ტყვეობაში და ფიქრობდა, რომ ეგება როგორმე გამოსდგომოდა რაშიმე კიდევ იმას. ის ადევნებდა ყურს ყოველს იმის ამბავს. იმის ამბები ესმოდა საკმაოდ. მთელი ოდიში და სამურზაყანო ლაპარაკობდა მაცისა, იმის დაჭერასა და ტყვეობაზედ. იმის დაჭერის ამბები ციხეში ისმოდა ათასნაირად. ხან ისმოდა ლაპარაკი იმის ტანჯვაზედ საპყრობილეებში, ხან ისმოდა იმისი მოკვლა, ხან გაქცევა. ისმოდა ამბები, რომ ვითომ მაცის ბორკილები ერთი ფეხის გაქნევით დაემტვრიოს, გაენგრიოს კედელი, ნახევარზედ მეტი ყარაულები დაეხოცოს და ისე გაქცეულიყოს; ხან ისმოდა, რომ ვითომც მაცი ცხრა ბორკილით ყოფილიყოს გაბოჭილი და ჩაგდებული ღრმა ქვესკნეთში, სადაც არც სინათლე და არც ჰაერი ჩადიოდეს და თავს ასი ყარაული სდგომოდეს. მართალი არავინ იცოდა. ეკა ცდილობდა მართლის შეტყობას, მაგრამ ვერ შეეტყო.

ამ ფიქრებით შეპყრობილი ეკა, მართლაც და ვერ მიხვედრილიყო ომარის ლაპარაკს, და ვერც წარმოედგინა, რომ გუშინ იმგვარი ამხანაგი და მაცისთვის ასე თავდადებული, ისე გაიმეტებდა და ცოლად მოინდომებდა მაცის საცოლოს, — ომარი, რომელსაც ის შეეფერებოდა შვილად, რომელსაც ამაზედ ბევრით უფროსი შვილები ეხვივნენ გარსა, ომარი, რომელიც არ არის ორი თვე, რაც მაციმ გადაარჩინა სიკვდილსა.

ვერ მიხვედრილიყო, მაგრამ მიხვდა მაშინ, როდესაც ის უცებ მოიტაცა ომარმა ერთს ღაწეს და არბევინა მთელი დღე და ღამე მოუსვენრად.

ერთს უდაბურს ადგილას, სვანეთსა და სამურზაყანოს შუა, შინელს აწოდებულს მთებს შორის, დიდსა და შეუვალს ტყეში აიყვანა ეკა ომარმა. ეს იყო სამალავი ადგილი ომარისა, სადაც

ვინიცობაა გაჭირდებოდა, ჰქონდა გამზადებული სიმაგრეები მტერთაგან; ეს იყო ადგილი, სადაც ფარავდა მრავალს ქონებას, შეძენილს მთავართა და მეფეთაგან, ჩუმად მოტაცებულსა და მოპარულებს; ეს იყო ადგილები, სადაც ის მალავდა ხშირად სვანეთისა, აფხაზეთისა, ოდიშისა და იმერთა მეფისაგან დევნილ აბრაგებს, რომელთაც ჰქონდათ ამასთან კავშირი.

რაკი დაატყო ეკამ, რომ საშველი არსად იყო, უცებ შესცვალა ქცევა ომართან, მიიღო მხიარული სახე, თითქო ბედნიერათა რაცხსო თავსა ამ მოტაცებით.

— შემეყარა შენი ჭირი, ჩემო დიდებულო ვომარო. აწი კი თავს მოვიკლავდი, რომ შენ დაგცდენოდი. ვუბედური მაცი კაი იყო, მარა, რავარც გიხილე შენ, აჰ! შენ არ მოუკვდე, იგი მთლათ არ შემივიდა სახეშიდ... დამატყვევა ვუბედურმა, აღარ მამხილა მშობლებს. ჩემ ჭირისუფალს აწი მკვდარი კი ვგონივარ. დემიტოვა ვინცაღა უაზახებთან ვუპატრონოთ. კინაღამ ქე გავგიჟდი. გაფიქრული მქონდა, რომ რავაც მოვიძლებ გავიპარო-თქო. მარა, რაკი შენისთანა დიდებულმა მიკადრა — აჰ! მთლათ გენაცვალონ ჩემი მშობლებიც და ყველა ჩემი ნათესავებიც... ნუღარ გემიმეტებ შენი მუხლების ჭირიმე და ნუღარ მიმცემ მაციას... მაცი ვის ეკადრება შენს უკან...

ღამე გადასული იყო. ამ სიტყვებმა სულ აიტაცეს ომარი. ის ელოდა ჩქარა დაბინავებას.

ისინი მოვიდნენ ბინაზედ ერთ ძველებურს მაგარს ციხეში. ომარი აიტანა ციების კანკალმა. ის აჩქარებდა ეკას.

— კი, ვომარი! მარა, რაზედ მჭრი ყელს. აწი ისე რავა მეკიდები, რავარც როსკიპს!.. რავა ეკადრება შენებრ დიდებულს... მეუბნებოდი, ჯვარს დავიწერო და აწი წასახდენად გეგიმეტნივარ... შენს მეტი პატრონი არვინ გამაჩნია... რავარც ღმერთს, ისე მომინდვია ჩემი თავი და რათ იკადრებ მაგენებს.

— კი, შენ ნუ მოუკვდე, ჩემო ღმერთა, ჩემო ეკა, ჩემო სულის სამოთხევ!.. შენთვის დავღუპე მაციც და ჩემი ცოლიც... ბურღღუიავ! დუტუიავ! ბოშოხუხუ, ხვინჭაიავ!.. აპა, ჰა! გეზი და ხვალ დილით ადრიან აქანა იყვეს ხუცესი. აი აქანა, ამ ჯიხაში უნდა ვიფსკვნათ მე და ეკამ გვირგვინი... კი, ჩემო სამოთხევ.

ამ ბრძანებაზედ ოთხი მხლებელი ომარისა, პატარა შესვენების შემდეგ, წავიდნენ მღვდლის მოსაყვანად, თუ ნება არ ყოფილიყო უნდა მოეყვანათ ძალად ომართან და ცხენების ყურის საგდებლად დარჩა მეხუთე. ომარმა უმალ ის გაგზავნა ცხენებთან. თითონ ეჩქარებოდა ეკასთან მარტო დარჩენას.

დარჩნენ მარტო და ის იყო აპირებდა ომარი ეკას ძგერებას, რომ ეკამ დაუძახა.

— ვინემ ჯვარს დეიწერდე, შენ ძმა და მე და.

— აჰ! შენ არ მომიკვდე!.. მამკლა, ის მირჩევნია! — და აქ კიდევ მიეტანა ომარი.

— ომარი! — უთხრა რაღაცა წყრომით და ბრძანების კილოთი ეკამ. — ვუმალ ნახამ ეკას ლუკმა-ლუკმა დაკუწვილს, ვინემ გავტეხდე და-ძმობას.

ამ გადაწყვეტითი კილოს სიტყვებმა მთლად გააჩერა ომარი.

— აპა, შენც გეჩქარება და მეც შენთან გულში ჩაკვრა. ყველა შენ ხელთაა, უბრძანე, რომ დილამდინ ხუცესი მოგგვარონ: შენი ვარ და შენი,— მიატანა ეკამ.

— კი, კაი იქნება. ხუცესი ამაღამვე უნდა იყვეს აქ. პერტეიავ, ოუ! — დაუძახა ომარმა უკანასკნელ მხლებელს.

პერტეია მოვიდა.

— აპა, გეზი და უთხარ, რომ დილამდინ ვუთუოთ აქანა იყვეს ხუცესი. გეზი მთლა, უკან არ მეიხედო, თვარა ვაჰ შენს თავს!

პერტეია მოაჯდა ცხენსა და გასწია სწრაფად.

— აწი, ცოტა რომ დავნაყრდეთ, ურიგო არ იყვეს, შენ ნუ მოუკვდე, — უთხრა ეკამ ომარს, რაკი გაიგულა უკანასკნელი მსახურიც.

— კი, ჩემო ადამანტო!.. შენთვის ყველა მზა მაქვს.

აქ ომარი მივიდა, მოიტანა ხურჯინი, საიდანაც ამოიღო მჭადები, ღვინო, ახალი სულგუნები, ხმელი თევზი, შემწვარი და ცივად მოხარშული ქათმები, კარგი ცივად მოხარშული დეკეულის ბეჭი. დაიწყეს ჭამა.

— არც კი მე ვყოფილვარ უმადო, — დაიწყო ომარმა. მან დაასხა ღვინო და დალია ყანწითა.

ეკამაც დაასხა ღვინო.

— აპა და კეთილი იყვეს ჩვენი გვირგვინი და არ გაგამეტებიოს ჩემი თავი წინანდელი ცოლივით.

— აჰ! ნუ იტყვი მამიშენის მზეს!.. შენ მეყოლები დედუფალად, რავარც კარგი დედუფალი.

ეკამ დალია მცირე ღვინო და გაუვსო ომარს ყანწი. ომარმა დასცალა.

ეკამ დალია ახლა ომარის სადღეგრძელო და დააცლევინა კიდევ სავსე. ამგვარად ეკა ისხამდა მცირეს და ასმევდა სავსეს ომარსა. დაღალული ომარი სიამოვნებით სვამდა და სცლიდა სავსე ყანწებს. ის კარგა შეზარხოშებული და მოწყვეტილი ღელვისა და მგზავრობისაგან, მიეგდო ნაბადზედ. პატარა ხანს უკან ამოუშვა ფშვინვა.



გამოიტაცა ომარის იარაღი, მოახტა ომარის ცხენს და გასჭია.

იმას ეძინა ღრმა ძილით. ის იყო მთლად გულდამშვიდებული, იცოდა, რომ ამ ადგილას ვერ მოაგნებდა მტერი და ვერც აგრე ადვილად მოუდგებოდა. ეკა ეგულებოდა თავისად.

ეკამ გულის ცემით დაუწყო ყურის გდება ყოველს იმის სუნთქვას და ძლივს დარწმუნდა, რომ ომარი იყო ღრმა ძილში.

ეკა წამოდგა ფეხების და ხელების კანკალით და მივიდა თოფთან. თოფის ხელის მოკიდებაზედ დაუწყო საშინლად გულმა ცემა, თითქო გამოვარდნას უპირებსო; სისხლი აუვარდა თავში; თვალთ დაუბნელდა. იტაცა გულზე ხელი, ჩახუჭა მაგრად თვალები, შეანჯყრია რამდენჯერმე მაგრა თავი და მოვიდა გონს. საჩქაროზედ ჩამოიღო თოფი. თოფმა დაიჩხაკუნა. ეკა, შემკრთალი გაშრა და გაჩერდა. მან შეაჯყიტა ომარს თვალები: ხომ არ გაიგონაო. ომარს არ ესმოდა არაფერი. ეკამ შეაყენა ჩუმად თოფი ფეხზედ, ფეხმა გაიწკატუნა. ეკას დაუწყო კიდევ ხელმეორედ საშინელის ძალით გულმა ცემა. ის შეჩერდა კიდევ გულის შესამაგრებლად. შეიმაგრა გული და მივიდა ომართან საშინელის ხელებისა და ფეხების თრთოლით. აქ მიიტანა თოფის ტუჩი ზედ ომარის შუბლთან, ჩამოუშვა ჩახმახი, იფეთქა წამალმა და გავარდა ეკას თოფი ხელიდან. ომარს ტყვიამ გაუარა შუბლში და გავარდა კეფაში. ვეღარც კი მოასწრო გაძვრა.

ეკა ატაცებულივით, თითქმის უგონოდ ეცა იქვე ომარის ნაბადს, ყაბალახს და რაც კი ტანთ ჩაიცმოდა და მოიკუხებოდა. გამოვარდა, გამოიტაცა ომარის იარაღი, მოახტა ომარის ცხენს და გასწია, საითაც შეხვდა, რადგან არ იცოდა გზა. ეკა მხოლოდ მესამე ღამეს დაბრუნდა ოდიშში თავის სიძეულთასა და სთხოვა, რომ არ გეცათ ისა, არ შეეტყობინებინათ ამისი დაბრუნება თვით მშობლებისთვისაც. იმან იცოდა, რომ ამხანაგები და ნათესაობა ომარისა არ დასთმობდნენ ამასა და ცუდად გადუხდიდნენ ომარის მოკვლას. ეკამ ჩაიცვა ბიჭური ტანისამოსი და დადიოდა ამგვარად.

ეკა არ ივიწყებდა მაცის. ყოველი იმისი გონება იყო მიპყრობილი მაცის მდგომარეობაზედ. ბოლოს სრულიად მიწყდა მაციზედ ხმა: არავინ იცოდა, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი.

XXI

გავარდა ელვასავით მთელს ოდიშსა, სამურზაყანოსა, აფხაზეთსა და სვანეთში ომარის სიკვდილის ხმა. მისგან შეშინებული ხალხი არ იჯერებდა მის სიკვდილს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ომარს ტყვია ვერას უზამდა. ომარი, რომელიც მარტო ათას კაცში

ხშირად გადარეულა და ათასის ნასროლს ტყვიას ვერა გაუწყვია რა; ომარი, რომელიც შიშისზარს სცემდა სამს სამთავროს, ომარი, რომელსაც ვერ უმაგრდებოდა ვერა მტერი, — ეს ომარი მოკლა ეხლა ერთმა უბრალო ქალმა! ამას არასდროს არავინ დაიჯერებდა და ყველა ფიქრობდა და მოელოდა, სადაც არის ომარი გაჩნდება და დასცემს ყველას უარეს შიშისზარს და გაასწორებს დედამიწასთან არამც თუ თავის მტრებს, არამედ იმათაც, ვინც ამისი სიკვდილი დაიჯერაო.

ნახეს თუ არა ომარი მოკლული იმისმა ხუთმა მხლებელმა, რომელნიც ადრიან დაბრუნდნენ ხუცესით, რომელსაც უნდა ამ ტყეში ომარისთვის ეკაზედ ჯვარი დაეწერა, ისინი ისეთმა შიშისზარმა აიტანა, რომ მაშინვე დაუყოვნებლივ გაიქცნენ ამ ადგილებიდან ისე შეშინებულნი, რომ არამც თუ გარდა თავის ცხენებისა, არა წაიღეს რა აქედან, თვით ომარის გვამიც დატოვეს იქა. იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ ომარის სიკვდილში არ ერია ერთი ათასი კაცი მაინც, რომელნიც ელოდნენ ამათს ჩამოსვლასაც აქა და დახოცვასა. იმათს თავში მაშინვე გაიელვა ფიქრმა, რომ თუკი ომარი დასძლია ტყვიამ და სიკვდილმა, ესენი რაღას უნდა ჰლოდებოდნენ ამ გარემოებაში. ომარი თვით ამათაც ეგონათ უკვდავი და უძლეველი, და ახლა ეს კაცი ეგდო უძალოდ, გაუნძრეველი, უსულო. ამათ არჩიეს თავის გადარჩენა და მსწრაფლ გაიფანტნენ, ვინც საითკენ მიასწრებდა.

გაიგო თუ არა კვაჯი შერვაშიძემ ეს ამბავი, მეორე დღესვე შეესია საბერიოს და ნაბაკევს და მისცა ცეცხლს რაც კი არ წამოიღებოდა. ყველას, ვინც შეხვდებოდა და მოასწრებდა ჯარი, არა ჰქონდა ამაოგან დაზოგვა: არც ქალს, არც კაცს, არც მოხუცს, არც ყრმასა, ყველა უწყალოდ და შეუბრალებლად იმუსრებოდა ამათის ხელით. მხოლოდ ატყვევებდნენ ლამაზ ქალ-ყრმათ ოსმალოში გასასყიდლად.

ხალხი და თვით ვაჟკაცობით გამოჩენილი მარღანიები შიშის ზარდაცემულნი ომარის სიკვდილით, ველარ ბედავდნენ გამკლავებას. ყველა მიიმალ-მოიმალა, ვინც სად მოისწრო და როგორც მოისწრო. იაფად არ დაუჯდათ იმათ ნათესაობა და დახმარება ომარისა: ორი დღის შემდეგ ნაბაკევისა და საბერიოს კვალიც აღარ დარჩა. ოჯახი არ იყო, სადაც არა სტიროდნენ ორ სამს მოკლულსა და დატყვევნილს. ომარის შვილები დატყვევნილი გაყიდა კვაჯიმ სხვა ტყვეებთან ოსმალოში.

დანაშთენთ, გადევნულთ და დამალულთ მიუდგომელს ტყეებსა და ჭაობებში, შიმშილისა, სიტიტვლისა და გარეთ გდებისაგან შე-

ვიწროებულთ მიუგზავნეს თხოვნა კვაჯის, რომ ეპატივებინა, აღარ ედევნა ესენი, და აღუთქვამდნენ ფიცით საუკუნო ერთგულებას. კვაჯიმ მოსთხოვა ამათ სამოცი ყმაწვილი გასათხოვარი ქალი და ამდენივე ბიჭი. ამათ, ამ გაჭირვებაში შთავარდნილთ, მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა გახდომოდნენ თანაწმა.

ასოცი საუკეთესო მშვენიერი ქალ-ვაჟი, თხებივით დაარჩიეს დევნილთა, დააშორეს გულის მოკვდავი გლოვითა და ხოჭა-გლეჯით განწირულ და გულმოკლულ მშობლებსა. ისინი ტიტვლები, მშივრები და დაფეთქილები მწუხარებისა და მგზავრობისაგან მორეკეს ოსმალოში,

კვაჯიმ გაჰყიდა ოსმალოში.

პატარა ხანს უკან კვაჯის სახლმა აიწია. იმას ფულებიც ბლომად გაუჩნდა, საქონელიც და დაიდგა ერთი რიგიანი ბზის ხის სასახლეცა. კვაჯი აღარ უვარდებოდა აფხაზეთის მთავარს. ამას გაუვარდა ძლიერი კაცის ხმაცა. ხალხში დაიწყეს ლაპარაკი, რომ ომარიც თითონ კვაჯიმ მოკლა თავის ხელითაო და ის განგებ ეჩვენა იმას ქალათაო.

კვაჯის დაუწყეს სიფრთხილითა და, ცოტა არ იყოს, შიშითაც ყურება ოდიშისა და აფხაზეთის მთავრებმა. იმათ დაიწყეს მეცადინეობა იმასთან დამეგობრებისა, მაშინ როდესაც აქამდინ არც კი უყურებდნენ ამას მთავრადა და თავის ტოლად.

თავის მხრივ საბერიომ და ნაბაკევმა დაიწყო მოშენება. იმათს მოშენებას არ უნდოდა ბევრი ამბავი: ეწერისა და ჭაობის ბალახი და მურყნის ხეები და ტოტები ბევრი იყო. მეტი იმათ შენობას არ უნდოდა რა. იმათ საჩქაროზედ გაიჩინეს საქონელიცა და ცხენებიც, ღომიცა და სიმინდიც. მაგრამ ოდიშსა, სამურზაყანოსა და აფხაზეთში ერთიორად გახშირდა ქურდობა და აბრაგობა.

ერთს-ორს წელიწადს ეს ორი სათემო სოფელი გაშენდა ისე, როგორც ყოფილა მანამდის, მხოლოდ დიდხანს ვერ შეხვდებოდი აქ წინანდებულს მშვენიერ ქალ-ვაჟთა.

XXII

მაცის დაშერამ მთელი სამეგრელო ფეხზე დააყენა. მრავალი ხალხი მოაწყდა ჭკადუას სახლთუხუცესის სასახლეს და ცდილობდნენ როგორმე დაენახათ მაცი, რომელიც რაღაცა საანდაზო და საზღაპრო პირად გახდა ხალხის თვალში.

მაცის დაადეს ხელ-ფეხსა და კისერზე ბორკილები, გადუბეს ჯაჭვებით ბორკილები ერთმანეთზედ და ასე მძიმედ გაბოჭილი.

ცხენის მუცელქვეშ გარდიგარდმო გაკრული გამოისტუმრეს ზუგდიდს სასახლეში, სადაც ელოდა ამას ერთიოცად მეტი ხალხი. მოიყვანეს მაცი მრავალი თოფ-იარაღით შემორტყმულის ხალხით. მოსეირე ხალხი ვერა ბედავდა გაბოჭილ მაცისთან მიკარებას. მაცი იყო ჩუმად და არა ძრავდა კრინტსა. იმის სახეზედ ისახებოდა მხოლოდ ბრაზი, რომ არ შეეძლო გამკლავება ამ მოუდრეკელ ძალასთან და თითქოს ამბობდა, რომ ბრალი თქვენი, თუ აქედანაც წაგივლითო.

იმავე დღეს გადაწყვეტილი იყო, რომ მაცი საქვეყნოდ დაეხრჩოთ. მაგრამ გურანდუხტას გულში არამცთუ ამ გარემოებისაგან არ გაქრა სურვილი მაცისა, პირიქით, იმის გულში, რამდენათაც გავარდა მაცის საქმეები და იმის სახელი, იმდენი იმას თანდათან ეგზნებოდა მაცის სურვილი.

— ვინაა მისი ღირსი! — ფიქრობდა ხშირად გურანდუხტი გულში. — აპა სამთავრო კაცი მაგია და ვინ ზის მთავრათ. რავა ღმერთმა ერთი ბეწო მის კაცობაში წილი არ დუუდო ჩემს ვუბედურს გვირკვინს... რავა ღმერთი არ გარისხდება, რომ მისთანა კაცს სდევნიდნენ მისთანაები სასიკვდილოთ!

გაიგო თუ არა გურანდუხტამ მაცის დაჭერა და მის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა, შეეჭრა ქმარს.

— მისთანა კაცს რავა იმეტებ სასიკვდილოთ! ვინღაა მერგელი, რომ მაცის უდრიდეს!.. სიკვდილი კი არ და მისთანა ყოფაში. ხარ, რომ გმართებს მისი დაახლოება. ვერ ჰხედავ, ვუბედურო, რავა ანღრეულა მთლა ოდიში, ყურს არავინ გიგდებს და კაცათ არვინ გაგდებს. რატომ? — და მიტომ რომ არ გყავს მაცისთანა კაცები. მარტო ხონთქარი რავა გიშველის, თუ თვითც არ გექნება ძალა. აპა მაციას კი ნუ მოკლამ, შეინახე მაგრა ციხეშით და გიჩვენებ რავა ერთგული გავხადო მაგ შენი სახლის. გიჩვენებ მერე, რავაც გაბედავს ოდიში შენს წინააღმდეგს.

მთავარი ატყობდა თავისზე უფრო დიდს ძალას თავის მეუღლეს და ამჟამადაც არ შეეძლო არ დაეჯერებინა იმისთვის. ის უნებურად ემორჩილებოდა თავის მძლავრ თანამეცხედრეს, რომლისაც ხალხს უფრო ეშინოდა, ვიდრემ თვით მთავრისა.

მაცი ჩააგდეს საპყრობილეს ერთს, ღრმად ქვითკირით ამოყვანილს ორმოში.

მაცი რამდენიმე დღე იყო ამ მდგომარეობაში. იმან არ იცოდა, თუ ამის მოკვლაზე ხელი აიღეს და ის სიკვდილს ელოდა, როგორც ხსნას ამ ტყვეობიდან. ის რჩეობდა სიკვდილს, ვიდრე ასე შებოჭვით ამ საბნელეთში გდებას, სადაც ცალკე სინოტივე და უჰაერო-

ბა უგუბებდა სულსა, ცალკე სინათლის ნაკლებულობა აწუხებდა და ცალკე ასე მძიმედ შებოჭვა.

ელის მაცი განწირულებით ყოველს წუთს სიკვდილსა და ეს სიკვდილი არ უახლოვდება იმას. ეს დახანება უფრო და უფრო ამძიმებს მაცის. ის არის იმ მოუთმენელს მოლოდინში, რომელიც უფრო სამძიმოა ყველა მწუხარებაზე, ყველა ჯავრზე. მაცის ყოველ ფაჩაფუჩი, ყოველი ფათური, ყოველი ხმაურობა ჰგონია მკვლელების მოსვლის ხმაურობა და ფეხის ხმა; ელის, მაგრამ ეს მოლოდინი დღეში ასჯერ ცრუვდება. მაცი განწირულებით ეცემა ნოტიო ადგილზე და ცდილობს თვის ფიქრების მოსპობას, თვის აღელვების დახშობას. ყოველ დღე ერთი და იგივე ამბები. მაცი აღარ მოელის თვის მდგომარეობის დასასრულს.

ერთს დღესაც მაცის მოესმა ყარაულების ხმაურობა. იმას დაუწყო ხელახლათ გულმა ცემა. ახლა ეს ხმაურობა არ იყო ოცნება და მოჩვენება, ეს იყო ნამდვილი, მაცის მიეცა იმედი, რომ ახლა კი დასრულდა ჩემი ტანჯვაო. ის ამოიყვანეს ყარაულებმა და გაუშვეს საკანში, რომელშიაც იმყოფებოდა მაცის სამწყვდევი ორმო.

მაცი გაუშვეს მარტო, ხმაგაუცემლად. ყარაულები გავიდნენ. მაცი ელოდა კიდევ ახლა სხვების შემოსვლას, რომელნიც წაიყვანდნენ სახრჩობელაზე, ან შემოვიდოდნენ და აქვე მოსჭრიდნენ თავსა. ამ სინათლის დანახვაზედ, უფრო მსუბუქი ჰაერის ჩაყლაპვაზედ, მაცის მოაგონდა თავისი ყმაწვილობა, მოაგონდა თავისი უდარდელი ცხოვრება, მოაგონდა გაშლილი ზღვის პირები, სადაც ჰაერი ისე მსუბუქად და ტკბილად ახარებს კაცის გულს და უვსებს ნეტარებით გვამს, მოაგონდა ხშირი, სურნელოვანი, ნადირთა და ფრინველებით სავსე ტყეები, შემოსილნი მშვენიერის ხასხასის მწვანითა, მოაგონდა თავისი ეკა და დანანდა სიცოცხლე. დაუწყო გულმა თავისუფლებისთვის ცემა. იმან იგრძნო გულში რაღაცა უცნაური ძალა. გადაავლ-გადმოავლო საკანის კარებს თვალები. თითქო იმას ემცირა ამათი სიმაგრეო, დაუწყო ჯაჭვებს და ბორკილებს წევა, თითქო ეს არის სულ ნაკუწებად აქციაო, რომ ამ დროს შემოვიდა ჩუმის ნაბიჯით გურანდუხტა.

მაცი ამის შემოსვლაზე შეკრთა საშინლად, მაგრამ უცებ შეიმაგრა თავი და შეხედა ამაყად დედუფალსა.

გურანდუხტას უცემდა გული, მაგრამ იმანაც მსწრაფლ შეიკავა თავი.

— არ მოელოდი, მაცი, განა ჩემს ნახვას? — უთხრა გურანდუხტამ მაცის, რაკი პატარა შეიმაგრა გულის ცემა.

— უბადრუკ მაცის რავა ექნებოდა იმედი დიდებული დედუფლის ხილვისა.

— კი, აწი არ ხარ ვუბადრუკი, შენი თავი მაპატივა მთავარმა, აწი სიკვდილის ნუღარ გაქვს ფიქრი.

— ცარიელ სიცოცხლეს რაი უქნა ამ ჯურღმულშიდ. რომ მომკლან, ბრევლით კი მიჯობს.

— აქედამ გასვლა აწი კი შენზედ არის დამოკიდებული.

— კი, ბორკილებს თუ შემხსნიან და გამიღებენ საპყრობილეს კარს.

— მაგი ყოლისფერი იქნება, თუ ინდომებ ჩემს ფარეშუხუცობას.

— აჰ, შემეყარა შენი ჭირი, დიდებულო დედუფალო! — აქ მაცი დაეცა მუხლებზედ. — ვინ ღირსა მაგ დიდებას. ჩემ სიცოცხლეს შენ შემოგწირავ საუკუნოთ. ერთგულს უკეთესს ვერ ჰპოვი მთელს დუნიას.

გურანდუხტამ ააყენა მაცი და დაუწყო ხელმეორედ გულმა ცემა.

— მარა, — დაიწყო გურანდუხტამ ხმის თრთოლით და აღელვებით, — უნდა შენს ეკაიაზედ ეიღო ხელი და მისცე დავიწყებას მისი სახსენებელიც.

ამ სიტყვების გაგონებაზედ მაცის დაუარა ტანში ჟრუანტელმა. იმან გაოცებით გაუყარა გურანდუხტს თვალებში თვალი. გურანდუხტამ შეიმაგრა თავი და თითქო აქ არა ამბავია რაო, თითონაც კითხვითის თვალით შეჰყურებდა მაცის. ისინი ამგვარად იყვნენ კარგა ხანს.

— ეკაც თვის დღენი იქნება თქვენი ერთგული. თქვენს წინააღმდეგს ის არასოდეს არ გაბედავს.

— კი, მარა, იმას შენობა არ უნდა ერქვას. — აქ დაუწყო ისევ გულმა ცემა გურანდუხტას. —მაგი არაა ღირსი შენებრ გმირი ვაჟკაცის... შენ შეგფერის ყოველი დიდება... ყოველი დიდებული...

მაცი მთლად გაშრა. იმას მთლად წაერთვა ყოველი მოსაზრება. ის ისმენდა და არ უჯერებდა თვის ყურს. ერთრიგად თავისუფლება და ფარეშუხუცესობა სასახლეში, მეორე მხრივ დიდებულების კადრობა და სხვების ამისი უღირსობა, და ამასთან ეკას დაკარგვა; თუ არა და ან სიკვდილი და ან საუკუნოდ საკანის ორმოში გამოლპობა და წვეთ-წვეთად ტანჯვით სიცოცხლის გამოსალმება აღელვებდნენ მაცის ტვინს.

— კი, დედუფალო, — დაიწყო მაციმ შემდეგ დიდი ღელვისა და ფიქრისა: — არვინ ღირსა შენს დიდს წყალობას, მარა... უეკაოთ ცხოვრებას, რომ მომკლათ კი მირჩევნიან.

— გირჩევნიან და აწი კი დალპები მადანეი. ძე ხორციელი კაცი ვერ გიხსნის მაგ ორმოდან. — აქ გურანდუხტამ მთლად ანთებულმა, უჩვენა მრისხანედ მაცის ორმოზედ, საიდანაც არ იყო დიდი ხანი რაც ის ამოიყვანეს.

ამ სიტყვებიდან გურანდუხტა გამობრუნდა და გავიდა საკნიდან, პატარა ხანს უკან შემოვიდნენ ყარაულები და მაცი ჩააგდეს ისევ თავის ორმოში.

XXIII

გურანდუხტას ბრძანებით მაცის მას დღეს იქით აძლევდნენ მარტო ცარიელს ღომს დღეში ერთხელ და დღეში ერთხელვე ასმევდნენ წყალს. ერთი სიტყვით მაცის ეძლეოდა იმდენი სასმელი და საჭმელი, რომ ნიადაგ ყოფილიყო შეწუხებული, მშიერი და მწყურვალი და არც მომკვდარიყო უსაზრდოობითა.

ამ შეწუხებით ცდილობდა გურანდუხტა, რომ როგორმე ეელებინა ეკაზედ მაცისთვის ხელი.

მაციდან დაბრუნებული გურანდუხტა იყო დიდხანს აშფოთებული და არ იკარებდა არავის.

— ვინცხა ჩილაჩავას ასულს, ერთი გლახა აზნაურის ტრიკს, ჩემს თავს უნდა არჩევდნენ!.. კი, მაშ მე დედუფალი არ ვყოფილვარ!.. მაშ მე თავზედ ჩიქილა არ მხურვია... კი, არც ზეცას, არც ქვენსკნეთს იგი მე ვერ დამემალოს. ისტე მოუღო მე მას ბოლო, რომ ძე ხორციელმა ადამიანმა მის სახსენებელიც ვერ მოძიოს... მისთანა ქალებს სათათრეთში კი უფრო ეკადრებათ ყოფნა... იქ ხონთქრის საჭურისებს დუუმეგობრდეს, მაგია მის საკადრისი.

აქ გურანდუხტამ განიზრახა ეხმარნა ყოველი ღონისძიება ეკას საპოვნელად და ან ჩუმად მოკვლეინება მისი, ან გასყიდვა საოსმალოში.

გურანდუხტა განეზრახა კიდეც ამაზედ რამდენსამე თავის დაახლოვებულს პირს. იმათ აღუთქვეს უეჭველად შესრულება.

ამ ჟამებში მოატანა ზუგდიდის დღეობამ, რომელიც მოდის მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ.

მთავარი მაცის დაჭერით იყო კარგს გუნებაზედ და ამის გამო თითონაც ხელს უმართავდა დღეობის გამშვენებას.

დედუფალიც, სევდის გასართობად, გავიდა ერში.

დიდს ზუგდიდის მეიდანზედ გაიმართა დოღი. დოღის საყურებლად იყო მაღალი საჯდომი გამართული წამოჩარდახებული ფარდულით, მთავრის და დედოფლის საჯდომად.

დედოფალი დაფიქრებული უყურებდა დოღს, რომ ამისი ყურადღება მიიქცია ერთმა ყმაწვილმა, სუფთად ჩაცმულმა და მშვენიერმა თვალად-ტანადმა აფხაზმა. ის აქნობამდინ ერია ცხენით თამაშობაში, ეჭირა ხელსახოცი, რომელიც ამისათვის ცხენდაცხენ უნდა წაერთმიათ რამდენიმე ცხენოსანს, მაგრამ ვერა გზით ამ ცხენოსნებმა ის ვერ შეიპყრეს, ყოველს გზის გადაღობებაზედ, ან წამოწევაზედ, ისე სწრაფად ასხლიკუდებდა ცხენს, ისე უძვრებოდა ყველას ხელებში, რომ ვერასგზით ვერავინ ვერ წაართვა ხელსახოცი.

დედოფალი ამ ყრმის ყურებით თითქო გამოფხიზლდაო, ისე დაიწყო ყურება. იმას გულში რაღაცა იმნაირმა ფიქრმა გაუარა, რომ თითქო ინატრა: ნეტა შენ ჩემი ან ძმა გქნა, ან შვილიო.

ბოლოს ეს ყმაწვილი გაჰყვა მედოღეებს წითელს წყალზე, საიდამაც უნდა ერბეინებინათ ცხენები მთავრისა და დედოფლის საჯდომამდის. აგერ წამოვიდა რამდენიმე ერთად წამოტყუპული ცხენი წითელახალუხა მხედრების ყიჟინით.

რამდენსამე ამათგანს იმედი ჰქონდა მთავრისაგან ჯილდოს მიღებისა თავისის ცხენების მისწრებით, რომ ამ დროს წამოვიდა ქარივით ერთი უკან დარჩენილი ცხენი, რომელიც მოჰქროდა განაბული, თითქო ფეხებს მიწაზედ არ აკარებს და ისე მოფრინავსო. მხედარი, თითქო ზედ არა ზისო, ისე შეურყევლად მოქროდა და მოაპობდა ჰაერს. მხოლოდ შიგადაშიგ ისმოდა მაღალი შტვენა. ის წამოეწია და გაასწრო ყველა დაიმედებულს. გასწრებულმა მხედრებმა დაუწყეს მათრახით საშინელი ცემა თავის ცხენებს. ზოგს დაუხვდნენ კიდეც მაშველები გზაში, რომელთაც დასვენებულის ცხენებით უტაცეს იმათ ცხენებს აღვირებში ხელი, გაუძღვნენ წინ და თითქმის ძალად ასხამდნენ დაღალულს ცხენებს ფრთებს: ზოგი ეღობებოდა ამ მხედარს გზაში, რომ შეეჩერებინათ ამისი ცხენი და მიეცათ შემთხვევა სხვების გასწრებისა, მაგრამ ყველა ამაო იყო. ეს ბედნიერი მხედარი მოვიდა ყველაზე წინ სამთავრო საბრძანებელთან, დასცალა მარდად დამბაჩა, შეაყენა უცებ ცხენი და თვალის დახამხამების უმალ გადმოხტა დედოფლის წინ. ის იყო დედოფლისაგან მოწონებული აფხაზი.

მთავარი და დედოფალი მოვიდნენ აღტაცებაში. ყველა უყურებდა გაოცებით. ყველანი ეკითხებოდნენ ერთმანეთს ამის ვინაობას და არავინ იცოდა ვინ იყო.

— რა გსურთ?.. — უთხრა მშობლიურის სიყვარულით დედოფალმა ამ ყმაწვილს. — შენ ღირსი ხარ ყოველრიგი ჯილდოსი, რასაც კი ითხოვ.

— მე მსურს თქვენთან ხლება და თქვენი სამსახური. მე არ მყავს სხვა პატრონი, ვარ ტყვე პატარაობით დაკარგული, არ ვიცი ვინ და სიდან, ვინაა ჩემი პატრონი, არა მაქვს შეტყობილი. თუ მიკადრებთ და გამაბედნიერებთ თქვენთან ხლებით, კი გასიამოვნებთ და არც მინდა თქვენს გარე არვინ პატრონი. ტყვეობიდან გამოქცეულს თქვენი დიდებისთვის შემიფარებია ჩემი უბადრუკი თავი და ცხოვრება.

დედოფალს ეს დიდად იამა და აიყვანა თავის საკუთარ მხლებლად. ის უყურებდა იმას, როგორც პატარა სათამაშოს და სატრფიალო რასმეს. ის აღვიძებდა ამის გულში იმგვარს სიბრალულს, რომ თითქო ამბობდა: აფსუსი არ არის შენ ვისმე დაბალი კაცის შვილი ხარ და არა დიდი კაცისაო.

პატარა ხანს უკან ის გახდა გულის სანდო მხლებელი დედოფალისა და დედოფალი ყველა თავის საქმეს აჩემებდა იმას.

XXIV

გურანდუხტამ იდროვა, რომ აწი მაცი მოქცეული იქნებაო და სცადა ერთიც იმის გამოლაპარაკება. იმას უფრო აშფოთებდა ამგვარი გაუტეხაობა და ეკას ერთგულება მაცისა. ის არა ზოგავდა არა ღონისძიებას მის გულის დასამორჩილებლად.

მაცი ამავე წესით ამოიყვანეს ორმოდან და გაუშვეს მარტო. მაცი თითქმის აღარ იცნობოდა.

შევიდა გურანდუხტა.

— მაცის გამარჯვება ნუ მოაკლო ღმერთმა, — უთხრა გურანდუხტმა და დაადო ცალი ხელი მხარზედ.

— კი, მარა, თუ მაგრე სატანჯველათ ქრისტიან კაცს გეიმეტებდი, არ მეგონა, დედუფალო!

— შენ სატანჯველად კი არა, მეგონა, საცხოვრებლად მინდიხარ-მეთქი, მარა, რავა აიტანოს ჩემმა გულმა, ოდიშის დედუფალს მანაცვლებდე ჩილაჩავას ტრიკს... კი, ჩემო მაცი! შენ მარტო ფარეშუხუცესათ არ მინდიხარ. — აქ აუკანკალდა გული გურანდუხტას...— შენ მინდიხარ ჩემ გვირგვინათ... მთავარსაც და შვილებსაც მთლა შენ განაცვალებ...

აქ შეჩერდა გულის თრთოლით გურანდუხტა და გაუყარა მაცის თვალი თვალში.

— კი! შენ გაგხდი მთლა ოდიშის ბატონათ. შენს მეტი არვინაა მისი ღირსი.

მაციმ გაოცებულმა ამ სიტყვებისაგან უნებურად ჰკითხა.

— რავა იზამ მაგას, დედუფალო?

— აჰ, შენ მეინდომე, თვარა მაგისას მე მოვაგვარებ... შენ და მე ერთათ რავა გაგვიჭირდება. ისტე გაგხდი ბატონათ, რავარც არის მთავარი... ჩემი ქმარი და შვილები, რომ შენ განაცვალო და გამოაკლდნენ წუთისოფელს, არავისთვის დანაკლისი არ იყვეს, კი ვიცი.

გაოცებულმა მაციმ არ იცოდა რა ეფიქრა და გაშტერებული შეჰყურებდა გურანდუხტს.

ამ მაცის კითხვამ, იმისმა ბოლოს არც ჰოს, არც არას თქმამ გააღვიძა გურანდუხტას გულში იმედი.

— აპა, დაფიქრდი კარგათ... აწი ისიც იცოდე, ურიგო არ იქნეს, რომ შენი ეკა აღარაა ცოცხალი.

ამ სიტყვებით გამობრუნდა გურანდუხტა და გამოვიდა, სრულიად დარწმუნებული მაცის გულის შეპყრობაზედ. „კი, — ფიქრობდა გურანდუხტა: — მაგი კი არ შემიკრავს ჩემი ქმარივით ხელს“.

ამ სიტყვების გაგონებაზედ, რომ ეკა აღარ არის ცოცხალიო, მაცის გაუელვა თავში საშინლად და გულწასული მიეყრდნო კედელზედ. ყარაულებმა მოასურიელეს ის და ჩააგდეს ისევ საკანში, მაგრამ აძლევდნენ საჭმელ-სასმელს საკმაოდ.

მაცი, რომელსაც აქამდინ არ მოსვლია თვალზედ ცრემლი, რომელსაც ვერა ტეხდა ვერა მწუხარება, მოჰყვა ტირილს და სიბრაზით ჰღრღნიდა კბილებით ჯაჭვებს და ბორკილებს და ჰღმუოდა როგორც ლომი, რომელიც დაუმწყვდევიათ რკინის გალიაში და აღარ ადგება თავის ძალა რკინის კედლების გამოსანგრევად.

მაცი ამ გაგონების შემდეგ მზად იყო დაეგლიჯა კბილებით ამ ამბის მომტანი. იმის გულში, სიყვარულის მაგივრად, აღიძრა საშინელი სიძულვილი გურანდუხტასი. ის ჰღრღნიდა და გრეხდა ჯაჭვებს და ბორკილებს. მაგრამ ყველა იყო ამაო. ისინი იყვნენ მაგარნი და მკვიდრნი და უიარაღოდ ვერა კაცის ძალა ვერას გახდებოდა იმათთან.

გურანდუხტს დაბრუნებულს შინ, იმედმიცემულს მაცის გულის მოგებაზედ, საშინლად უნდოდა, რომ ვისთვისმე გაეზიარებინა თავის სიხარული და რამე საგანზე გაეახლებინა მაცის მოგონება. იმან არ-ჩია ყველა ამის გაზიარება თავის ახლად შეძენილ ყმაწვილ აფხაზთან.

— შენ, ბოშო, იცი ვინ აბრაგი გვყავს აქანა საბნელეთს დაპყრობილი? — გამოელაპარაკა ის ყმაწვილ ნატყვევარს აფხაზს.

— მაციო, პატონი?

— კი.

— კი, შემიტყვია. ვინაა მაგი აბრაგი, რომ ყველა ოდიშელი მაგაზედ ლაპარაკობს?

— მის ამბები თუ შეიტყო, კი გაგაკვირვებს. მისთანა კაცი ოდიშს ქე არ უნახავს... შენ წერა-კითხვა იცი?

— რავა მეცოდინება, შემეყარა შენი ჭირი, აფხაზეთში დატყვევებულს ბღარს... წიგნი რაია არ კი გამეგონა მანემდის.

— აპა და, თუ ხარ ჩემი ერთგული, რავარც მოგცე წიგნი, ყოველთვის მიუტანე მას და პასუხი ჩემთან; და შენი პატრონობის კი მე ვიცი.

— კი, დიდებულო დედუფალო! შენი სიტყვა ჩემი ღმერთია. რო მიბრძანო, კლდეს გადავარდიო, წამს განაცვალებ თავს.

რამდენსამე დღის შემდეგ გურანდუხტამ დაწერა წიგნი და მისცა თავის სანდო აფხაზს.

— ჰა, ა წიგნი და მოუცადე პასუხს. ნაბრძანები ქე მაქვს, ყარაულები შეგიშვებენ.

გურანდუხტა სწერდა მაცის შეეტყობინებინა ნდომობდა გურანდუხტას თავს თუ არა. თუ არა და — გამოსალმებოდა წუთისოფელს. „აწი ეკა ვეღარ დაგიშლის, ეკამ საუკუნოთ თავი დაგიკრა და შენს ლოცვაში მიაბარა ღმერთს სული!“

მაციმ გურანდუხტას ნახვისა და ეკას სიკვდილის შეტყობის შემდგომ დაკარგა ძილი. იმას თავიდან არ გამოსდიოდა თავისი ეკა. ის იმედსაც კარგავდა, რომ როგორმე გაეგო მიზეზი ეკას სიკვდილისა. იმისთვის საათები გადიქცნენ წელიწადებად. ტანჯვას მისას აღარ ჰქონდა საზღვარი. ის დნებოდა სანთელივით და არა ხედავდა დასასრულს თავის ტანჯვისას. ის ფიქრობდა, რომ კიდევ მოვიდოდა გურანდუხტა ამასთან გამოსალაპარაკებლად და ეს უფრო ჰკლავდა, რომ იმისი პირველი საძულველი ადამიანი ცდილობდა ამისთვის ეკას სანაცვლობას. იმან ამ ტანჯვას არჩია დროით სიცოცხლის ბოლოს მოღება. ამის აღსასრულებლად ერთი ღონეღა იყო დარჩენილი: შეემტვრია თავი ორმოს ქვითკირისათვის. მაცი გაექანა და საშინელის ძალით ახალა თავი ერთს უფრო გამოშვერილს ქვითკირის ქვას. ის უგონოდ დაეცა ძირს. პატარა ხანს უკან მოვიდა ისევ გონს და იგრძნო, რომ იყო ცოცხალი; იმან პატარა მოიმაგრა თავი და წამოდგა თავის მიხეთქების გასამეორებლად, რომ უცებ ჩამოვარდა ორმოში წიგნი, ქლიბი და ხანჯალი.

გაოცებულმა მაციმ აიღო ისინი, ამ სიბნელეში შეჩვეულ მაცის თვალს არ გაუჭირდა მსხვილი ასოებით დაწერილი წიგნის წაკითხვა, სადაც ეწერა: „მაცი, შენი ეკა აქანეია. დედუფლის წიგნის მაგივრათ გიგდებ ჩემს წიგნს, ქლიბს და სატევარს. დაამსხვრიე ბორკი-

ლები და შუაღამეს იქით გიცდი ჩხოუშიას პირს ცხენებით, რუხის გზისკენ“.

მაციმ მოიფშვნიტა თვალები, რომ სიზმარში ხომ არ ვარო. იმან იგრძნო, რომ იყო ცხადი. დაუწყო ეხლა თითებით სინჯვა ქაღალდსა. სწორედ არა ტყუვდებოდა, ეს იყო ცხადი. მაციმ მიიკრა ტუჩებზედ წიგნი და სიხარულით დაიწყო ტირილი.

— ეხლა კი აღარა გამიჭირდება რა, — თქვა იმან გადაწყვეტით და შეუდგა ჯაჭვების და ბორკილების ქლიბვას.

გათენება მოტანებული იყო, რომ მაცი ძლივს წვალებით ამოვიდა ორმოდან ბორკილებდამტვრეული, კიბე-კიბე, რომელიც გააკეთა დიდი სიფრთხილით ხანჯლის წვერით, რომელიც ჩაუგდო იმას ეკამ. შიგ საკანის კარებში ეძინათ ტკბილად ყარაულებს. მაციმ ფრთხილად გადაალაჯა იმათ და წავიდა ძირის კარებისაკენ, მაგრამ ის კარები იყო დაკეტილი. იმან მოიხედა სანათურისაკენ. სანათური იყო კარგა მოზრდილი. ის მეორე სართულის წვერიდან დაჰყურებდა ძირის სართულის საპყრობილეს კარებს, სადაც ერთი ყარაული, თოფზე თვლემით დაყრდნობილი, იდგა გაჩერებული. მაცი შეხტა სანათურზედ, გაყო თავი, გაიმართა. აქ ისკუპა უცებ და დაახტა მძინარე ყარაულს ზედ მხრებზედ. ყარაული დაეცა უგონოდ. მაციმ გამოსტაცა თოფი და გადერია ჩხოუშიას ჭალებისაკენ. მინამ ყარაული მოვიდოდა გონსა, ეკამ მოაგება მაცის ცხენები და იმათ სწრაფად გაჰკრეს სამშვიდობოსაკენ ქუსლი.

XXV

ყარაული, რომელსაც ზედ დაახტა მაცი, დიდხანს ვერ მოვიდა ფიქრს, თუ რა მოხდა იმის თავს. ბურანში მყოფს იმას რაღაც დაეცა ზედ, ის წაიქცა და შეშინებული მინამ გონს მოვიდოდა, აღარც არავინ იმის გარშემო ჩანდა და აღარც რა სადმე იმის თოფი იყო. ამან უფრო შიშისზარი დასცა. იმას მაშინვე წარმოუდგა ეშმაკეული და მთლად ჩაუვარდა ენა. უნდა დაიწყოს ყვირილი და ვერ დაუძრავს კრინტი; უნდა გაიქცეს და არ ემორჩილებიან მუხლები. ამ ყოფით ის ძლივს მოახერხებს საპყრობილეში შესვლას, ერთს დაიძახებს: „ვაი ჩქიმს პირის უფალს!“ და დაეცემა ზედ ყარაულებს. შეშინებული ყარაულები წამოცვივიან და ნახავენ თავის ამხანაგს უგონოდ. ისინი ძლივს ჩააგდებენ იმას გონსა.

— რა იყო, რავა მოგივიდა? — ჰკითხავენ ყველანი გაოცებით.

— ვუბედურება!.. ვაი ვუბედურებას!.. ეშმაკი... ეშმაკმა თოფი ქე წამტაცა...

— რავა იტყვი მაგას!.. ეშმაკი რავა მოგტაცებდა თოფს.

— კი შენ ნუ მოუკვდე... ისტე წამტაცა, რავარც ეხლა გიმზერ თქვენ... მისთანა უშველებელი არ კი სმენია ჩემს ყურს... თვალები, რავარც ცეცხლი ისტე უბრიალებდა... მისთანა კუდი კაი კამეჩისაც კი არ მინახავს, რავარც გველი, ისტე იხლაკნიდა... ვაი ჩქიმს ღორონთს! ვაი უბედურებას!..

ამ ცხადი საბუთებისათვის არ შეეძლოთ არ დაეჯერებინათ სხვა ყარაულებს და დილამდის არც ერთ იმათგანს არ დაუხუჭავს თვალი, იმ აზრით, რომ ეს ეშმაკი კიდევ ეწვეოდა ამათ რისამეს მოსატაცებლად.

დილით ეს საკვირველი ამბავი აცნობეს სასახლეში. აქაც ამ ამბით შეფიქრიანდა ყველა. ამ დროს საპყრობილიდან მოიტანეს ამბავი, რომ მაცი ხვიტია აღარ არისო თავის ორმოში, იქ მხოლოდ ყრია დამტვრეული იმისი ჯაჭვები და ბორკილებიო.

ამ ამბავმა მთელი სასახლე, მთელი გარშემო მცხოვრებლები აღძრა და დააყენა ფეხზედ. ყველანი გაოცებულნი მირბოდნენ ერთმანეთთან, ჰკითხავდნენ და უამბობდნენ ერთმანეთს მაცის გაქცევას. ზოგი იძახოდა, რომ ვითომც მაცის ყველა ყარაულისათვის ყელი დაეღადროს, კედლები გამოენგრიოს და გაქცეულიყოს, ზოგი ამბობდა, რომ ვითომც მაცის ეშმაკისთვის სული მიეყიდნოს და ეშმაკს ამოეძვრინოს ის საპყრობილედან, და რომ თოფი არ ესროლონო, ყარაულებისათვის თოფი წაერთმიოს; ზოგი იძახოდა, რომ აფხაზეთის მთავრის ჯარი შემოსეულიყოს ჩუმად ზუგდიდს, გაეტეხნოს საპყრობილე და ისე წაეყვანოს მაცი. ამგვარი ხმები დადიოდა გაოცებულსა და განცვიფრებულს ხალხში. ხალხი ათასობით მოდიოდა საპყრობილესთან დამტვრეულის კედლების და დახოცილი ყარაულების სანახავად. ისინი კიდეც მიუთითებდნენ დამტვრეულ ადგილებზედ.

— აი, აი, პატონი, ვუმზირე, ვუმზირე, რავა გახეთქილია კედელი, — მიუთითებდა ზოგი ოდნავ გაბზარულის კედლების ნალესს კირზედა. — აქანა მაცის კი არ გაუჭირდებოდა გაძრომა.

— ვარ, ვარ სქანი ჭირი, — გაიძახოდნენ სხვები. — მაგი არაა. კედლები შიგნითაა, რომ გაუნგრევია მაცის. მაცი გარეთ რავა გამაანგრევდა, რომ შეეტყოთ მცხოვრებთ.

— ა! ისტე ყრია კისრებდაღადრული ყარაულები, ა! — გაიძახოდნენ სხვები იმგვარის რწმუნებით, რომ თითქო ეს არის ზედა სდგომოდნენ ამ ყელებდაჭრილ ყარაულებსაო.

ყარაულები თავის მხრივ მართლულობდნენ თავს.

— აჰ, ისტე დაგვაძინა ეშმაკმა, რავარც მკვდარი. კი ვგრძნობდით, რომ ეშმაკი უნდა ყოფილიყვეს დამძინებელი, მარა, აჰ! შენ არ მოუკვდე, ჩვენ ვეღარ გევიძარით... აპა, ეშმაკის წინააღმდეგი კაცს რა-ვა შეუძლიან.

— კი, მარჩიელმა კი მითხრა, — გაიძახოდა ერთი ყარაული, — რომ თუ ილორში არ ილოცე, ეშმაკის საფრთხე კი დაგდევსო... რავა ი დალოცვილმა ღმერთმა არ დამაცალა ლოცვა... შემეყარა მისი ჭირი, რავარც დავბრუნდები შინ, კი მაშინვე გეუდგები ილორის გზას... რა სახუმარია: დაგეძინა ერთ ღამეს, დაგაწვა ეშმაკი თავს და წეიღო შენი სული ჯოჯოხეთს.

აქ რომ ეს ამბავი იყო, სასახლეში აღარა ჩანდა ყმაწვილი — დედოფლის აფხაზი. ის ეძებეს და არც ის, არც იმისი ცხენი არა ჩანდა. არსად იყო თვით დედოფლის საჯდომი ცხენიც.

ამან უფრო შეაფიქრა ყველა.

ყარაულებმა დაჰყარეს ხმა, რომ ეშმაკი, რომელმაც ესენი დააძინა და მაცი გააპარა, იყო სწორედ ეს ყმაწვილი აფხაზი, რომელიც შშვენიერი ყმაწვილის სახეში შეეპარა დედუფალსაო. ეს ხმა მოეფინა ხალხში და ხალხი ერთიანად უფრო აზვიადებდა ეშმაკის უნარებს. თვით იმისი ცხენიც გამოიყვანეს ეშმაკად.

— კი, ცხენიც ეშმაკი იყო, შენ ნუ მოუკვდე,— გაიძახოდნენ ისინი: — ნახე, რავარც ქარი, ისტე მოჰქროდა დოღში. შენი თავი არ მოკვდეს, რომ მას ადგილზედ ფეხი არ დეეკარებიოს... დედა, დედა, რავა უცნაური მოხდა!..

აქ რომ ეს ამბავი იყო ცხენზედა, ერთმა ვიღამაც სასახლეში შენიშნა, რომ ცხენი მარღანიას ცხენს გვანდა. ამ ამბავმა სხვებიც მოიყვანა გონს და ბევრმა დაიწყო მტკიცება, რომ სწორედ ეს ცხენი იყო მარღანიას საჯდომი ცხენი. ამ ცხენის ვინაობის შეტყობამ მოიყვანა სხვებიც ფიქრზედ.

— კი, ძალიან არა ჰგავდა მაგი აფხაზი ჩილაჩავას ასულს, ეკას.— თქვა ერთმა ხორგელმა კაცმა, რომელიც ვაჭრობდა ზუგდიდში.

— კი, შენ ნუ მოუკვდე, — იტაცა თმებში ხელი ყმაწვილმა მთავრის მემკვიდრემ, ჯამლეთმა. — მთლა, რავარც ვნახე მაგი აფხაზი, ვფიქრობდი, რომ მინახავს-მეთქი საცხა... ვიცნობ-მეთქი და კი ვერ მოველ აზრს... მთლა ისტე ეკა იყო ეგ, რავარც მე ვარ მთავრის მემკვიდრე...

— ჰი, შენ არ მოუკვდე, ომარი არ იყვეს მკვდარი, — გავარდა ხალხში ხმა, ნახე რავა საქმე მოახდინა! მთლა ქვეყანა დაატყუა, მკვდარი ვარო და აწი მაცი მას მოუტაცნია... აპა და ის დედუფლის

ყმაწვილი აფხაზი თვით მარღანია ყოფილა... ვაი, აწი ქვეყნის ვუბედურებას... ვაი, ვუბედური კვაჭის ბრალი... აჰ, შენ არ მოუკვდე აწი ჩვენს მთავარსაც აქანა არ ედგომინოს... დედა, დედა, დედა, მისთანა უნახავის ნახვას!..

ხალხში რომ ეს ამბავი იყო, გურანდუხტს არ ეძინა. იმან საჩქაროდ მოახდინა განკარგულება, რომ სადაც უნდა ყოფილიყო ეძებნათ და ეპოვნათ მაციცა და ეკაც. ის იყო საშინელი აღელვებული ამ უცნაურის მოტყუებით; იმისი თავმოყვარეობა გადაიქცა ახალ შურისძიებად, მაცის სიკვდილის მეტი აღარა ტრიალებდა რა მის გულში.

— ვერ წახვალ ვერსად, მოგიძიებ თვით ცის კიდეზედაც და ისტე ჩემ თვალწინ შეგაწვეინებ ნელს ცეცხლზედ და ვაყურებინებ ქვეყანას შენს სატანჯველს, — განიზრახავდა ის გულში.

ის ყოვლის თვისის ძალით შეუდგა თავის აზრის შესრულებას, და მინამ იმათ იპოვნიდა, უბრძანა შეპყრობა ეკას სახლობისა.

XXVI

ოდიშის დაბალი ხალხის მდგომარეობამ მიაღწია უკანასკნელობამდის. ცალკე ნიადაგ ცარცვა და ცალკე თავადაზნაურობის და მთავრის სახლის ამათს კისერზედ დაწოლამ მოიყვანა ისინი განწირულებაში. გლეხკაცობა იყო სრული კუთვნილება თავის ბატონისა და მთავრისა. იმას უნდა შეენახა ესენი სულიან-ხორციანად. თვით ცოლნი და ასულნი ამათი იყვნენ სრულს ბატონებისა და მთავარის უფლებაში უფრო, ვიდრე ამათსაში; გლეხკაცი ითმენდა ყველა ამას უნებლიეთ. მაგრამ ყველას თავის ბოლო აქვს. ისინი მივიდნენ უკანასკნელობამდის, მაგრამ კიდევ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ღონეს არა ხედავდნენ. ხალხში შეიქნა მითქმა-მოთქმა, ამათ ნახეს ერთ თავის სახსნელ ღონედ კეისრის თხოვნა. კეისრის სახელმა გააღვიძა ამათში მხნეობა და იმედი, თუმცა არავის ხალხში არ გაეგებოდა ნამდვილი მნიშვნელობა ამ სახელისა, მაგრამ ჰქონდათ გაგონილი, რომ კეისარი არის ძლიერი; და თუ არ დიდს ძალას ამათი შველის ღონე არავისა ჰქონდა. მთავარსა და სხვა თავის დაწყობილებებში არა ხედავდნენ იმ ღონეს, რომელთაც ამათთვის ეშველა.

რაკი ეს სახელი გაიხადეს ხელმძღვანელად, ხალხს ეგონა, რომ ყოველს ჩვენს გაჭირვებაში კეისარი უმალ მოგვეშველება, რაკი ერთს ვახსენებთ იმის სახელსა და გამოვიდებთ იმისთვის თავსაო. ამ ფიქრით ხალხში შეიქნა მოძრაობა. ყოველგან ისმოდა მხოლოდ კეისრის სახელი. ხალხში დავარდა ხმა ამ სახელის ხშირად ხსენებით, რომ

კეისარი მოდის თავისის ჯარით ჩვენს სახსნელადაო. ამ ხმებმა უფრო და უფრო გაამხნევეს ისინი. იმათ უფრო და უფრო გამოიდეს თავსა. ბოლოს აღელდა ხალხი, მოხდა შეთქმულება.

თავადაზნაურობა არ ათხოვებდა ამათ ყურსა და იგდებდა მასხარად, რაკი არა ჰქონდა ჩვეულება ყაზახების წინააღმდეგობისა. იმათ ფიქრათაც ვერ წარმოუდგენიათ იმგვარად დაჩაგრულთა და მორჩილთაგან ფხისა და ძალის გამოჩენა. ისინი არ ერწმუნებოდნენ ამას, ვიდრე ერთს მშვენიერს დღეს არ გაიღვიძეს და არა ნახეს თავის კარებზედ თავისს ყაზახებში გაბარებული. ძუძუმწოვარი ბავშვები აკვნებით; მინამ არ დარჩნენ უსადილონი და უსაზრდოონი.

ამ საშინელებას სამეგრელოს მაღალი წოდება ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა. ის ყველას მოიფიქრებდა, და იმას ვერ მოიფიქრებდა, რომ მეგრელი გამზრდელი ასე გაიმეტებდა თავის გაზრდილებსა და უძუძუოდ მოუყრიდნენ უსუსურ ბავშვებს პატრონებსა. მაგრამ ამ უბედურებასთან, ისინი დარჩნენ სრულებით უსაზრდოოთაც. ყაზახებმა მოუსპეს დიდკაცებს გზავნა სადილ-ვახშმის სამზადისისა, ამის გამო იმათ მოელოდა ცალკე ბავშვების უძუძოდ დახოცვა, ცალკე თავათ შიმშილით ამოწყვეტა, რადგან არ იყო ჩვეულება, რომ ოდიშის დიდკაცს თვით გაეჩინა წლის საზრდო. ისინი ცხოვრობდნენ გლეხკაცის ხარჯზე. რიგით უნდა ეჭმია ამათთვის გლეხკაცს პური, რიგით უნდა ეზიდნა ამათთვის დღიური საზრდო. უფრო ღარიბნი, რომელთაც ამგვარად შენახვით ვერ აუვიდოდნენ თავისი ყაზახები, ცდილობდნენ თითონაც წლის სარჩოს დამზადებასა, მაგრამ ბევრი გლეხის პატრონები არ იმცირებდნენ ასე თავს, რომ თვით ეზრუნათ წლის საზრდოსათვის.

ისინი ამ უცები და უცნაური ამბით ჩავარდნენ საშინელს განწირულებაში. დიდხანს არ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს მიმართეს მთავრის დახმარებას. მთავარი თუმცა ჰპირდებოდა პირად დახმარებას, მაგრამ საქმით არაფერს გამჭრიახობას არ იჩენდა. იმას გულში ჰქონდა ჩანახსოვრებული ამ დიდკაცობის ნიადაგ წინააღმდეგობა და ერთმხრივ მოსურნეც იყო, რომ ესენი დასჯილიყვნენ და დასტყობოდათ ამისი დაუხმარებლობა.

აქ რომ ეს ამბავი იყო, ყაზახობა უფრო გაამხნევა ამათმა უმოქმედობამ. იმათ აშკარად ამართეს ამათზედ იარაღი. შეიყარა ჯარი და მისცეს ცეცხლი რამდენიმე თავადაზნაურის შენობას და სარჩოს. იმათ აირჩიეს რამდენიმე მოთავე, დასხეს მძიმე ხალიჩებით გადაფენილს ტახტრევანზედ, დაიდვეს თავზედ, ატარებდნენ ამგვარად სოფლიდან სოფლამდე და უწოდეს ამ მოთავეთ ახალი დადიანობა. იწყეს ამათ სასარგებლოდ ხარჯის კრეფა.

განდეგილი ყაზახები, ვისაც კი შეეძლო იარაღის ხმარება, გაიყო სამ ნაწილად: ერთი შეიკრიბა ჯვარსა, მეორე ტაიას, მესამე კურძოს. აქედან თარეშობით ესხმოდნენ თავადაზნაურობას. სარჩო საცხოვრებელს მათსას აძლევდნენ ცეცხლს, ქალებს აუპატიურებდნენ საქვეყნოდ. ერთი სიტყვით არც ზნეობით, არც ქონებით არა ზოგავდნენ ისინი თავიანთ მოწინააღმდეგებს.

თავადაზნაურობა, თავზარდაცემული, ეცა ერთმანეთს და იწყო ალაგ-ალაგ გროვება და ერთობა.

ყაზახობა თანდათან აიშალა და მოძრაობა მოედო მთლად ოდიშს. იმათ აიღეს სამუშაოზე ხელი და მოდიოდნენ ათასობით განდეგილებში შეყრილ ჯარებთან. მთლად ოდიში დადგა ფეხზედ.

რაკი თავადაზნაურობამ ნახა თავი უპატრონოდ და განწირულებაში, შეიდეს თავს; — ერთიღა დარჩენოდათ: ან უკანასკნელობამდის გამოედოთ თავი, ან დახოცილიყვნენ მტრის ხელით, შიმშილითა და უბინაობით. ამათი მდგომარეობა აღარ ითმენდა დაყოვნებას. ამათ გამოიდეს თავი.

ყაზახობამ რომ ჩრდილოეთისაკენ მოიყარა თავი, თავადაზნაურობამ სამხრეთისაკენ იწყო გროვება. იმათ იწყეს მზადება დასასხმელად. ალაგ-ალაგ იწყეს კინკლაობაცა. ომები იწყობოდა სამთავროში, თითქო მთავარი არსად იყვესო.

ამგვარი მთავრის ჩაუგდებლობა და მთავრის უთაურობა, საშინლად აღელვებდა გურანდუხტ დედოფალს.

— აპა, მთავარი მერქვას, მეფის დარი კაცი ვიყვე და ჩემი საყმო მთლა არაფრად მაგდებდეს!.. დეიღუპოს მისთანა კაცი, რომ თვის გვირგვინს ვერ მოიხმარდეს, კი სჯობია!

ამგვარის ფიქრებით იყო აღელვებული გურანდუხტ, რომ ერთს დღესაც სწვდა ის ყრონტში თავის მეუღლეს — ვამეყს.

— რას იზამ, შე უბედურო, რას!? რა გქვიან შენს სამთავროში?! მეფე ხარ გვირგვინოსანი და უკანასკნელი ბილწი ყაზახები თავს წამოგსხდომიან... რავა უზრახოდე უნდა შენ დედაკაცს დედაკაცობას, რომ თვით დედაკაცზედაც უარესი ყოფილხარ!.. შენ თუ არ იქ და მე გავალ თვით საჩხუბრათ... რომ მოვკვდე, კი მიჯობს მისთანა დამცირებას ჩემს სამთავროში... ვინღა შერცხვენილი იქნება, ან შენ მთავრად ან მე დედუფლად ჩაგვაგდოს. ისტე უკანასკნელათ გაგვხდიან, რავარც პამპულას.

აქ ვამეყს მეტი ჩარა არა ჰქონდა, უნდა როგორმე ფხა გამოეჩინა.

ამან გაუგზავნა გლეხკაცებს კაცი, რომ თუ არ დამშვიდდებოდნენ, ის ავად მოეპყრობოდა მათ.

ყაზახებმა პასუხის მაგივრად, გაუგზავნეს მთავარს გაგზავნილი კაცების თავები და შემოუთვალეს, ჩვენ კეისრის გარდა ბატონი და პატრონი არავინ გვიცვნიაო.

ამ ამბის მიტანამ უფრო ააღელვა გურანდუხტა.

— აჰ! კი არ ღირს მისთანა მთავრობა და დედუფლობა, რავარც ვართ ჩვენ, ჩემი ქმრის ხელში... დიდებულს დიდება არ აჩნდეს — მისთანა სიცოცხლეს კი ცალფულათ არ ავიღებ... მუდამ შერცხვენია ჩემი არაა ჩემგან დასათმობი... კი ვაცემინებ ჩემთვის თაყვანს. კი ვათაყვანებ მათ ჩემს გვირგვინს... კი, ჩემი ქმრის ხელთ უკეთეს პატივს არ უნდა ველოდე, მარა... ჩემს დიდებას არ ვანაცვალებ არც ქმარს და არც შვილს... უნდა ჩემს გვირგვინს სცემდნენ შესაფერს პატივს... მარტუა მიჯობს ჩემი დიდების მოვლა!.. აქამდისაც, მემართა ჩემი თავის პატრონობა ამდენ სირცხვილს...

XXVII

ამ ამბის მოტანამ ააღელვა თვით ვამეყიცა. ის შეუდგა ფიქრსა, რომ მიეღო ზომიერი ღონისძიება ამ არეულობის ბოლოს მოსაღებად. ის შუაღამემდის იყო უძილოდ და ფიქრობდა ხვალისათვის საქმის შედგომას.

ის ფიქრობდა და ამ ფიქრსა და აღელვებაში ატანდა ჩიბუხს ძალას; აქ იმან იგრძნო საშინელი მოწყვეტა და დაუწყო საძილედ თავმა ძლევა. ის გაუხდელად მიესვენა ტახტზედ მძიმედ შეკერილს მუთაქებზედ და დაეძინა ღრმა ძილით... ძილით, რომლიდგანაც არავის არ გაუღვიძნია.

დილით შევიდნენ მსახურნი გასაღვიძებლად და წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, როდესაც ვამეყ ნახეს უსულოდ გაფიჩხებული. ის იდვა ისე, თითქო მართლა სძინავსო, მხოლოდ აღარ სუნთქავდა.

ამ ამბავზე შეიქნა საშინელი ალიაქოთი და წივილ-კივილი.

გურანდუხტა, ამ ამბის გაგონებაზედ, დაეცა გულშემოყრილი და ძლივს მოიყვანეს გონსა. ის საშინელის განწირულებით გაბწიოდა. იგლეჯდა თმებსა, იხოკდა სახესა და მოთქვამდა გულის საკლავის სიტყვებით. ჩაუცივდა თვალები, მიუმტკნარდა სახე. აღარავინ ელოდა იმის გადარჩენას მწუხარებისაგან, ყველა ელოდა მის ვამეყთან თან გადაყოლებას. ყველანი ნუგეშცემით და მწუხარებით ეხვეოდნენ გურანდუხტს, და ასულიერებდნენ წამდაუწუმ გულშემოყრილს. უფროსი შვილი ადგა განუშორებლივ დედას თავსა, ტიროდა და სცემდა ნუგეშსა. შეწუხებული გურანდუხტა პატარა ხანს მოვიდა გონსა, იმან შეჰხედა თავის სიყრმის შვილს. ის განწი-

რულებით მოეხვია იმასა, მიიკრა გულში, დაეწაფა ტუჩებზედ და დიდხანს გულის კვნესით ჰკოცნიდა და უწუწნიდა ტუჩებს.

— შვილო, რატომ მე არ დამმარხეთ ჩემს გვირგვინის, ჩემს ვამეყამდის... შვილო გამაძღე შენის მზერით, შენის ხვევნით, რომ გულით მივეგებო ჩემს ვამეყს... შვილო, თქვენ უნდა ორივე ერთად დაგვიტიროთ.

შემდგომ ამგვარის მწარის მოთქმისა, გურანდუხტა დაეცა უგონოდ. ხალხი მოეხვია და უწყეს ისევ სულიერება. იმას წამდაუწუმ მისდიოდა გული და ყოველს მოსულიერებაზედ ისვამდა ტუჩებზედ რაღაცა წამალს და უჩიოდა ტუჩების სიფიცხეს. ყველა შეჰყურებდა ამის მწუხარებას განწირულებით.

გავიდა პატარა ხანი მას შემდგომ, რაც თავისი შვილი ისე ცხარედ გულსა და ტუჩებში ჩაიკრა დედამ. მთავრის უფროსს შვილს, ჯამლეთს, რომელსაც ისე მწარედ ესალმებოდა განწირული გურანდუხტა, გულმა ფერება დაუწყო, იმას უმატა თანდათან სისუსტემ. შეიქნა ეხლა ამაზედ ჟრიამული. დედოფალს ვერავინ ატყობინებდა ახალს სამწუხარო ამბავს. მემკვიდრემ საღამომდის დალია სული.

თუმცა ამ უბედურებასაც დიდხანს უმალავდნენ გურანდუხტს, მაგრამ იმას თითქო გული უგრძნობსო, დაუწყო წამდაუწუმ კითხვა თავის უფროს შვილსა.

— სადაა ჩემი ნუგეში? სადაა ჩემი სამოთხის გზა?.. მომგვარეთ, გავძღე მისი ყურებით, ვიდრე მიდგია პირში სული. — გაიძახოდა გულის ყრიდან მობრუნებული გურანდუხტა. მაგრამ მომგვრელი აღარავინ იყო. შვილი იმისი უსულოდ იდო.

რაკი აღარა და აღარ აჩვენეს უფროსი შვილი, დაბუსტებისას მიკნავებულის ხმით დაიწყო განწირულებით ძახილი.

— რა მომდის, ქრისტიანებო!.. რას მითქვამს გული... მამკალით, ნუღარ მაცოცხლებთ... რას მითქვამს ჩემი გასაქვავებელი გული!.. სადაა ჩემი ჯიგარი?.. სადაა ჩემი სიცოცხლე?.. სადაა ჩემი ჯამლეთ? ვის გიყვართ სული, მამკალით, რომ აღარა ისმინოს ჩემმა ყურმა სხვა უარესი უბედურება...

აქ ვეღარავინ შეიმაგრა ტირილისაგან თავი და ყველა აქ მყოფთ დაიწყეს ამ მწარე სიტყვებისაგან შემაგრებული ქვითინი. ისინი გრძნობდნენ, რომ მშობლიური გული დედისა გრძნობდა სხვა უარესს და უცნაურს უბედურებას.

— თქვით! — გაიძახდა განწირულებით გურანდუხტა: — გამიყარეთ გულში დანა... მითხარით ჩემი უკანასკნელი უბედურება.

აქ ის თითქმის უსულოდ დაეცა ძირსა.

ყველა ელოდა: აცა ეხლა, აცა ეხლა ესეც თან გაჰყვება თავის ქმარ-შვილსაო.

იმ ღამეს გურანდუხტამ მოიკითხა თავისი ექიმი თუნთიხე.

— თუნთიხე, — მიმართა გურანდუხტამ მიხრწნეულის ხმით: — ჰიშველე, ნუ მამკლავ: ჩემი სიცოცხლე კიდევ კი საჭიროა ჩემი წვრილი შვილებისთვის. ისევ მე, გაუბედურებულს, მიჯობს ვიტანჯო ცოცხლით ჯოჯოხეთის ცეცხლით, ვიდრე დევიგულებდი უპატრონოთ ჩემს დანაშთენს შვილებს...

თუნთიხემ დაუწყო რაღაცა მოსაღონიერებელი წამლების ძლევა. იმ ღამეს დედოფალს დაეძინა ტკბილად. მეორე დღეს გაიღვიძა უფრო გამხნევებულმა. მაგრამ ქმარ-შვილის დასაფლავების დროს ის დიდხანს ეგდო უსულოდ. უკანასკნელად დაემხო იმათ კუბოს და ძლივს აგლიჯეს თითქმის სრულიად გაცივებული.

მაგრამ თუნთიხეს მარჯვე წამლები ამხნევებდნენ გურანდუხტას. ამ წამლებისაგან ის მეორე დღეს იყო კარგა მოღონიერებული, თუმცა საშინელი მწუხარება და დავრდომილება ისახებოდა იმის სახეში.

თუნთიხეს წამლებმა ისე მოაღონიერეს, რომ ის საშინელის სიმხნევით შეუდგა სამთავროს მართვას. საკუთარის ხელით მისწერა აფხაზეთის მთავარს და კვაჯი შერვაშიძეს, სამურზაყანოს ბატონს წიგნი, და სთხოვდა ჯარების დახმარებას აღელვებული ოდიშის დასამშვიდებლად. ის მშვენიერის სიტყვებით სახავდა იმ უბედურებათა, რომელიც ასე უცნაურად მოადგა მისი ცოდვების მოსაკითხად; ის უჩვენებდა და უმტკიცებდა ცხოველის სიტყვებით, რომ ესენი ყოველს ბედსა და უბედურებაში უნდა ყოფილიყვნენ ერთნი, რადგან ყველანი არიან ერთრიგად ღვთისაგან გვირგვინნაკურთხნი და ერთს ბედსა და ერთს რიგს ხალხში ჩავარდნილი. ის მარჯვე სიტყვებით აღვიძებდა იმათ გულში თავის მოყვარეობასა, ძველს ამათ შორის მეგობრობასა და ურთიერთობასა. მეორე მხრივ გურანდუხტა გზავნიდა ამგვარივე წიგნებით სულთანთან, რომელსაც სწერდა, რომ მეგრელნი არიან ამისი საყმონი და თუ ამას არ ემორჩილებიან, არც იმას დაემორჩილებიან, მისცემენ იმერეთს თავს.

ერთი სიტყვით, გურანდუხტა ერთი-ორი დღის შემდეგ აღარ იცნობოდა. იმან მაგრა დაიჭირა სამთავრო სადავეები ხელში და განემზადა სრულიად არეულობის მოსასპობლად.

— აწი კი ჩემს ხელთხა ყოლიფერი და არვის ჩემ წინააღმდეგს არ ვაკადრებიებ, — სთქვა იმან გულდამშვიდებით და შეუდგა საქმეს. — დედუფალს უნდა თავის შესაფერი დიდება.

XXVIII

აქ რომ გურანდუხტას დარჩა ამგვარი გამარჯვება და ჩაიგდო ხელთ სამთავროს სადავეები, იქ ასეულს ყაზახებს ემატებოდა თანდათან ძალა.

არ ეძინა არც თავადაზნაურობას. მათ სრულიად თავისუფლად მოიყარეს თავი, დააწყეს რაზმები და დაიძრნენ კურძოსაკენ, სადაც იყო შეყრილი ერთი ნაწილი განდეგილებისა.

შეყრილი ყაზახობა სრულს განცხრომაში იყო და ეწეოდა ქეიფს ნაალაფევის ქონებითა. მოთავენი იყვნენ ნიადაგ დამთვრალნი და ქეიფში, ისინი აღუთქვამდნენ ხალხს ყოველს ბედნიერებას.

— კი, მისთანა საქმე მოვახდინოთ, რომ ჩვენს უბედნიერესი არ მოიძეოდეს მთლა დედამიწის ზურგზედ, — უქადაგებდნენ ისინი ხალხს.

— შეგვეყარა თქვენი ჭირი! — გასძახოდა ამათ ყაზახობა, სრულიად დაიმედებული მომავალის ბედნიერებით. ისინი, დამაძღარნი და საკმაოდ დალეულნი ამჟამად, მოელოდნენ ნიადაგ ამგვარ ცხოვრებას.

— გვიბრძანეთ, დიდებულნო, გვიბრძანეთ, ახალო დადიანებო, მისთანა საამური სიტყვები, — შეჰღაღადებდა კიდევ ხალხი.

— ჰოდა მოსულა ჩვენი დრო: აწი ჩვენ შევიქნებით ბატონები და ბატონები უნდა გავხადოთ ჩვენ ყმად. აპა და არ შევირცხვენთ თავს და მოხმარებას კი შევიძლებთ... რაც მათ კაი საჯდომი ცხენი და ჯორი ჰყავთ, ნთლა ჩვენ დევიმკვიდრებთ და ვერცხლის დეზებით გოუდგებით თბილის ქალაქის, ქუთაისის და ყულევის შარას...

— ვო, სქანი ჭირი! ვო, სქანი ღორონთი! — შესძახოდა აღტაცებით ხალხი.

— კი, დავბრძანდებით ჩვენი ბატონების სასახლეში, ფარსულს ნოხებზედ, მოუსხდებით მათ სავსე ჭურებს, ჩვენი ვენახებიდან რომ აქვთ სავსე, და მთლა არ გამოვილევთ კაი ღვინოს და კაი ყალიონს... სადაც მათი ასული მოგვეწონება, ქე დავისხათ სასახლეშით მუახლეთ და ვამღერებინებთ კაი ძილიბირებს და ტკბილათ ქე ვაფხანიებთ ბროლის თითებით ფეხის გულებს.

— ვო, სქანი დიდება! — შესძახა კიდევ მომავალი ბედნიერებისაგან გატაცებულმა ხალხმა, რომ ამ დროს შეიქმნა რაღაცა არეულობა.

უცებ მოვიდა ამბავი, რომ თავადაზნაურობა დაგვესხმებაო.

ხალხს ჩაუვარდა ენა. ზოგნი არეულნი ეცნენ მაშინვე ტყეს, ზოგნი გამშრალნი იდგნენ ალაგობრივ და არც იცოდნენ, რა ექნათ.

ამ დროს შეიქმნა მწარე ყიჟინა: ერთი ხუთასი ცხენოსანი, მშვენივრად დაიარაღებული თავადაზნაურობა მოადგა ამათა.

ერთმა ამათმა დანახვამ დასცა ამათ შიშის ზარი. უცებ ბატონების დანახვამ გააღვიძა ამათს გულში ის შიში და მოკრძალება, რომელიც დედის ძუძუდანვე ჰქონდათ ამათ სისხლში შეწოვილი. იმათმა საშინელმა მრისხანე ყიჟინამ არია ეს სამი ათიათასამდინ შეყრილი ყაზახობა და ისინი, გამაგრებისა და დახვედრის მაგივრად, ეცნენ უთოფოდ ტყესა და იმავე დღეს ეცნენ თავის სახლებსა.

თავადაზნაურობა აქედან ეძგერა ქოყოს შეყრილს ხალხსა და აქაც ეს ამბავი მოხდა, რაც კურძოს. დარჩა მარტო ჯვარს განდეგილები. იქ შეჩვეულნი უფრო თავისუფლებას და გაჩვეულნი სხვადასხვა მეზობელს თავისუფალს ხალხებში ტრიალსა, სიარულს და აბრაგობას, დაუხვდნენ ამათ მაგრა და დიდხანს ვერას აწყობდა ამათთან თავადაზნაურობის ჯარი.

ჯვარელობამ მოიმხრო თავისუფალი სვანეთიდანაც ჯარი და დაუწყო თვით მოსევა თავადაზნაურობას, რომ ამ დროს მოუვიდათ ამბავი ამ ჯარში მყოფთ სხვა ოდიშის ალაგებიდან მოსულთ ხალხთ, რომ დედოფლის ჯარი შეესია თქვენს სახლებსა და იკლებსო. იმათ ჰპოვეს საჭიროდ თავის სახლობების მიშველება და თითო-თითოდ ანებეს განდეგილობას თავი და გაეჩქარნენ ცოლ-შვილსა და დედამამასთან. პატარა ხანს უკან ჯვარს შეყრილის ჯარისა აღარ დარჩა მეოთხედიცა.

ამ მცირეთაც მოადგათ, სხვა თავადაზნაურობასთან ერთად, დედოფლის კარის კაცნიც ოსმალთა ჯარიც, რომელიც მოითხოვა გურანდუხტმა.

ჯვარელობამ შეუკრა ამათ გზები და გაიმაგრა სიმაგრეები. ისინი უკანასკნელობამდის აპირებდნენ ბრძოლას და მოელოდნენ, რომ ამათთან გამოიდებდა სხვა ოდიშელობაც თავს. მაგრამ ყველა იყო ამაო. მეომრად დარჩნენ მარტო ესენი. საგძალი შემოაკლდათ, ცოლ-შვილს მტერი შეესია. იმათ მეტი ღონე არა ჰქონდათ, აიღეს ხელი თავის განზრახვაზე და დაიშალნენ თავთავის სახლებისაკენ, ცოლ-შვილის მისაპატრონებლად.

XXIX

ის დრო იყო. როდესაც ეკას მოუვიდა ცნობა, რომ იმას დედამა და ძმები დაუტყვევეს და ყავთ სატანჯველში, რათა ესწავლებინათ, სად არის დამალული ეკაო. იმან შეიტყო, რომ მის მშობ-

ლებსა და და-ძმათ მიცემული ჰქონდათ ვადა და თუ ამ დროს არ მოიყვანდნენ ისინი ეკას, ყველას თავებს დაჰკრიანო.

ამავე დროს რაკი შეიქნა მოძრაობა სამეგრელოში, მაცემ არჩია გაცლა სვანეთში. ის იყო აზნაური და ამის გამო ყაზახებს ვერ მიუდგებოდა, და თუ მისდგომოდა თავადაზნაურთ, იცნობდნენ ამას და უეჭველია, რომ მოღალატე გამოუჩნდებოდა და გადასცემდნენ მთავარს. ამის გამო იმან დროებით ეკა გაუშვა ისევ ცომაიებთან სამურზაყანოს და თვით გავიდა თავისუფალს სვანეთში, სადაც აპირებდა ბინის მოკიდებას და იქ დასახლებას თავის ეკათი და სახლობით, რომელნიც აგრეთვე ჰყავდა ცომაიებთან.

ეკა ამ ამბის გამგონე, იყო საშინელს განწირულებაში. ახლა იმისი საყვარელი მშობლების, იმის პაწაწინა და-ძმების სიცოცხლე იყო დამოკიდებული ამის გამოჩენაზედ. თუ გამოჩენილიყო, უნდა გამოსალმებოდა საუკუნედ თავის უძვირფასეს მაცის, რომელსაც ამოდენა შრომა და ტანჯვა გაეწია ამისთვის და რომელზედაც თვით ეკას ჰქონდა აურაცხელი ამაგი; ამასთან ამ გამოჩენით თვითონაც უნდა გამოსალმებოდა სიცოცხლეს. თუ არ გამოჩენილიყო, და უნდა ამის გულისთვის დახოცილიყვნენ სატანჯველით ამისი დედმამა, ამისი და-ძმანი.

ეკას ფიქრისა და ჯავრისაგან დაეკარგა ძილი, დაეკარგა მადა, ის საშინლად ჩამოდნა. მთელი დღე იყო ჩუმად და არავის ხმას არა სცემდა, იმას დაეკარგა თვით ცრემლებიც, რომ ამითი მაინც არის გაეგრილებინა თავისი გული, თავისი მწუხარება.

ის შეუდგა მეცადინეობას, როგორმე მშობლები ჩუმად გამოეხსნა, მაგრამ ყოველი შრომა შერჩა ამაოდ. იმათი განთავისუფლება იყო შეუძლებელი. ისინი იყვნენ მიუდგომელს ადგილს დამწყვდეულნი, მცველები ჰყავდათ ისინი, რომელთაც თვით დედოფალი იცნობდა და რომელთაც გულით მიენდობოდა.

მოატანა ვადამ, რომელიც ჰქონდა ეკას სახლობას დადებული, ხსნა იმათი არსაიდანა ჩანდა.

ეკამ გადაწყვიტა გულში თავის განწირვა და თითქო მოეშვა გულზედაო, ის შეიქმნა მხიარული.

მოვიდა დღე, რა დღესაც უნდა დაეხოცნათ ეკას მშობლები და და-ძმანი.

წინა დღეს ეკა ისევ ჩავარდა ფიქრში. ის იმ დღეს შეიქნა უარესი მწუხარე. სახლში ვერავინ მიხვედრილიყო ამის მწუხარებას. მაცემ, რომელიც ჯერეც იმავ სვანეთში იმყოფებოდა, არ იცოდა ეს ამბავი.

ეკა არავის უტყდებოდა თავის მწუხარებაში, იცოდა, რომ რაკი შეიტყობდნენ, ყველაფერში ხელს მოუცრიდნენ. ის იყო ჩუმად. გამოუთქმელობა უფრო ჰკლავდა.

დაღამდა. ხვალ დილას უნდა გამოსალმებოდნენ ამისი მშობლები და და-ძმანი სიცოცხლეს.

ცომაიების სახლში ყველა მიეცა ძილსა. ეკას არა ძინავს. იმას უძგერს საშინლად გული, ის ესალმება გონების ფიქრით ყველაფერს, რაც იმისთვის ყველაზედ უძვირფასესია სიცოცხლეში; ის ეგზავნის უკანასკნელ სალამს თავის სანატრელს მაცის; ის ესალმება უკანასკნელად სიცოცხლეს. იმას აქ წასკდა ცრემლები და დიდსა და დიდხანს იღვროდა ეკას გული ცრემლითა.

— კი, მაინცდამაინც უნდა მოვკვდე მაცის დანატრულებული. უნდა მოვკვდე, როდესაც ჯერ არც კი მიცხოვრია... აქნობამდის რომ ვცხოვრობდი, მაგრამ სიცოცხლე კი არა, სიკვდილზედ უარესი იყო... სიცოცხლეს სხუმის ველოდი და, აჰ!..

აქ ჩაუვარდა ეკას ენა, იმას შეაწყვეტინა ფიქრი ქვითინმა. თავი შეიმაგრა. დრო იყო. დახანება დაღუპავდა იმასაც და იმათაც, ვისთვისაც თავსა სწირავდა.

— მშვიდობით ჩემო მაცი! — წამოსცდა ეკას უნებლიეთ პირიდან და ის წამოხტა ქვეშაგებიდან.

იმან გადაავლო იქაურობას გამოსალმების სახით თვალი და დაიწყო ჩაცმა.

ღამე იყო ნათელი: სავსე მთვარე ჰფენდა დამშვიდებულს ბუნებაში, მშვენივრად მოწმენდილს ცაზედ, თვის ნათელ, მკრთალ სხივებსა. ვარსკვლავები მხიარულად კამკამებდნენ ცის კამარაში; თვით ტყე იყო დამშვიდებული და არ იძროდა არც ერთი ფურცელი. ყველა იდუმალებდა. ყველა თითქო რაღაცა ტკბილს განცხრომას და მოსვენებას მისცემოდა. ისმოდა შორს მხოლოდ მრისხანე ინგურის ხრიალი და შფოთვა. ამ დროს ერთი მხედარი, სწრაფის ნაბიჯით მიეშურებოდა ზუგდიდის გზას. ის იყო ეკა. ეკა აძლევდა უკანასკნელს სალამს მშვენიერს ბუნებას, მშვენიერ ღამეს. ის მიაშვერდა თავის თავს ჯალათის ხმლისაკენ, რომ ამით გამოეხსნა ისინი, რომელნიც ამის გულისთვის უბრალოდ უნდა დასჯილიყვნენ.

ინათლა დილამ. მთელი ზუგდიდის ხალხი ირეოდა მოედანზედ. შუაგულს მოედანზედ იყო შეყრილი ჯარი, ერთს ამართულს ფიცრულს მაღლობთან, სადაც ამ დღეს უნდა დაეჭრათ თავები ეკას მშობლებისა და და-ძმათათვის.

შეიყარა ბრბო. ყველა ჩუმად იყო, თითქო რაღაცა საშინელებით მოცულნი. ყველა ლაპარაკობდა დაბალის, იდუმალის ხმით,

ყველა ელოდა საშინელს სანახავს. ხალხი მოუთმენლად იყურებოდა საპყრობილესაკენ. საპყრობილეს ეხვია ჯარი.

პატარა ხნის შემდეგ დედოფალი გამობრძანდა მრავალის ამალით, ყოვლის დიდებით შემკული. იმას ედგა თავზედ გვირგვინი. აიგვარის დიდებით ხალხს ჯერ არ ენახა თავისი მთავრის სახლი.

დედოფალი დაბრძანდა იმისთვის განგებ გაკეთებულს მშვენიერად ხალებითა და ოქროს ქსოვილებით შემკობილს, მაღალს ტახტზედ.

გამოიყვანეს საპყრობილედან ხვიჩა ჩილაჩავა თავისის ცოლით და ოთხი პატარა ქალ-ვაჟით. დედა ეკასი იყო მთლად ფერწასული. ის არ გაირჩეოდა მკვდრებში, იმას ყოველს ნაბიჯზედ ეკვეთებოდა მუხლთა. ის ვერა ძრავდა კრინტსა: იყო მთლად გაჩუმებული. პაწაწინა და-ძმანი ეკასი, საშინელის გადაკრულის ფერით, გაჰკიოდნენ მწარის, გულის გასაგმირის ხმით. ისინი ეხვეწებოდნენ მცველებს, ეცემოდნენ მუხლზედ, უკოცნიდნენ ხელებს და სთხოვდნენ შებრალებასა. ხვიჩა, მამა ეკასი იყო აქამდინ მხნედ; მაგრამ რაკი დაინახა თავისი ცოლ-შვილი, ჩაეთუთქა გული, მოერია ცრემლები. იმან დაუწყო ხვეწნა მცველებს.

— აპატიეთ თქვენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოდ ჩემ ცოლ-შვილს, ჩემს პაწაწინა შვილებს. მე მამკალით... მე ვარ ყოლიფერში დანაშაული... მაგათ არაფერში არ მიუძღვით არაფელი ცოდო... თქვენი ღვთის გულისათვის...

აქ ხვიჩა დაეცა მუხლებზედ, დაუწყო ხვეწნა ყარაულებს.

ხვიჩა ჯიგლაგებით წამოაგდეს და გაიძღოლეს წინ.

რაკი გადიწყვიტა იმედი, ხვიჩამ იწყო მხნეობა და უწყო მაგრება თავის ცოლ-შვილს, რომ ამისი შეშინებით ისინი უფრო არ მისცემოდნენ განწირულებას.

— ნუ გეშინიათ, — ამხნევებდა ეხლა იმ ცოლ-შვილს, — დედუფალი რომ ნახავს თქვენს სიმართლეს, შეიბრალებს ჩემს თავს და არ გაგიმეტებთ უბრალოთ წასახდენათ... დედუფალი კი არაა ამათთანა უღმერთო!..

ისინი მოიყვანეს სასჯელის ალაგს. მღვდელმა აუგო ანდერძი.

ხვიჩა დაეცა მუხლის თავებზედ და ხელგაპყრობილი ევედრებოდა დედოფალს ცოლ-შვილის პატიებას. იმას წაუშინეს კიდევ ჯიგლაგები. იმედგადაწყვეტილმა, რომ არ უყურო ჩემი ცოლ-შვილის საცოდაობასაო, თვითონ უთქმელად გასწია დასასჯელს მაღლობ ადგილზედ, რომ დავასწრო ცოლ-შვილს სიკვდილიო.

— მაცის მოჰკითხოს ღმერთმა ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ცოდო! — დაიძახა ხვიჩამ და გადასდო სამკვეთელოზედ თავი. ჯალათმა გაიძრო ხმალი და დაუწყო ლესვა.

ხალხი კრინტმიწყვეტილი შეჰყურებდა ამ ამბავს, რომ უცებ შეიქმნა რაღაც ჟრიამული.

დედოფალის წინ წადგა ცხენდაცხენ ისევ ის ყმაწვილი აფხაზი, რომელმაც დოღში გამოიჩინა თავი და ეყმო დედოფალს. ის იჯდა იმავე ცხენზედ; ეცვა იგივე ტანისამოსი, მხოლოდ სახეზედ იყო საშინლად შეცვლილი.

ამის დანახვაზედ დედოფალმა უნებლიეთ შესძახა: აჰ! და აუქნია ჯალათს ხელი, ჯალათმა ამართული ხმალი დაუშვა ძირსა.

დედოფალმა ბრძანა სასიკვდილოების განთავისუფლება.

XXX

ყაზახები დამშვიდდნენ და დაემორნენ თავის მბრძანებლებს, მაგრამ იმათ თავისმა გაბრიყვებამ და აშლამ მუქთად არ ჩაუარა. იმათ სახლებში შეესია ოდიშში მოწვეული ჯარი და თვით ოდიშის ჯარიცა და მიჰქონდათ, რაც კი მოეძეოდათ.

დედოფალს უჭირდა თავის სახლის გამართვა და ღონე არსად იყო; ღონედ გამოუჩნდა აშლილის ყაზახების გადახდევინება. საუკეთესო ქალი და ვაჟი მოჰყავდათ სასახლის დასამშვენებლად, სარჩო-საცხოვრებელი სასახლის გასამდიდრებლად.

დედოფალს აწი ძალა ჰქონდა ხელთა: ოსმალთა ბრძანებით ერთი სამეფოს და სამი სამთავროს ჯარი ახლდა თანა, რომელთაც ჯილდოდ ჰქონდათ გადაწყვეტილი ოდიშის ხალხის ნაალაფევი. იმან ამათ იმედით გუნებაში განიზრახა დასჯა იმ გამოჩენილთ თავადაზნაურთა, რომელნიც არ უდებდნენ აგრე რიგად თავს ამას და საზოგადოდ მთავრის სახლს. მან დაუწყო მიზეზების კრეფა და თითო-თითოდ კლება იმათა.

შეშინებული თავადაზნაურობა და შემძლე გლეხობაც გაეცალა გარშემო სამთავროებსა და სამეფოში. თავადაზნაურობა ისეც არ უყურებდა სიამოვნებით ამათს გლეხებზედ მოსეულს ჯარებსა, რომელნიც თუმცა, ვითომც ამათის გულისათვის სჯიდნენ, მაგრამ იმ გლეხების წახდენა იყო ამათი პირდაპირი ზარალი, რადგან, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, აქაური დიდკაცობა არ იყო დაჩვეული პირად შრომასა; ისინი იყვნენ დამყარებულნი ყაზახების სარჩოზედ. ყაზახების აკლებით ესენი უნდა დაშთენილიყვნენ უსაზრდოოდ.

ამათ პირველათვე გაუგზავნეს დედოფალს თხოვნა გლეხების პატივებისა, მაგრამ ის არამც თუ არ ისმენდა ამათს თხოვნას, არა-მედ ჩაუდგა ბევრს ამათგანს მიზეზშიაც და იმათი საცხოვრებელიც, რომელიც შესდგებოდა ცხენებისა, იარაღისა და ავეჯეულობათაგან, გადადიოდა მთავრის სახლში და ჯარების ხელში.

ამ შემთხვევით ისარგებლა მაციმ, რომელსაც მოუვიდა ამბავი ეკას შეპყრობისა და დაიწყო ტრიალი ჩუმჩუმად ზოგიერთა სამეგრელოს ადგილებში. ის ეზრახებოდა სხვადასხვა ძლიერ თავადებს.

ერთ დღეს მივიდა მაცი მანუჩარ დადიანთან, რომელიც ყველა თავადებში ირიცხებოდა გამოჩენილ მძლავრ კაცად და პირიან ადა-მიანად.

დიდი ხანია მანუჩარის სახლი და სახლი მაშინდელ მთავრისა ერთმანეთთან შუღლში იყვნენ. მანუჩარის სახლობა რაცხდა თავის თავს დაჩაგრულად, რადგან უფროსი სახლისანი იყვნენ ესენი და მთავრობა ეკუთვნოდათ ამათ. მაგრამ ამის მამა-ბიძების სიყმაწვი-ლეში აწინდელთ მთავართ დაიპყრეს ტახტი და დასხდნენ ოდიშის მთავრად.

გურანდუხტმა იცოდა, რომ მანუჩარის სახლობა ელოდა მარჯვე დროს, რათა დაებრუნებინა თავისი დიდება და ოდიშის ბატონობა. ამის გამო ის ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ მოესპო ეს გვარი. მარჯვე შემთხვევაც ეს იყო: იმას ყავდა მრავალი ჯარი.

მაგრამ მაცის შემწეობით მანუჩარი გადურჩა ამ უბედურებას. მაციმ ურჩია მანუჩარს გაცლა, მინამ აქ იყვნენ ჯარები.

მანუჩარი, რომელიც თითონაც ფიქრობდა ამას, ერწმუნა მაცის და გაეჩქარა თავისუფალი სვანეთისაკენ.

გავიდა თუ არა მანუჩარი, შემოესია ჩუმად ღამე ამის სასახლეს ჯარი, მაგრამ სასახლე დაუხვდა ცარიელი. იმათ, გაჯავრებულთ, მისცეს სახლს ცეცხლი.

დატვირთული მრავალის ნაშოვრითა და ნაალაფევით, მოსული სხვა სამთავროებიდან და იმერეთიდან ჯარი, აღარა რაცხდა საჭი-როთ სამეგრელოში დარჩენას. იმათ მობეზრდათ დიდხანს სახლ-კა-რისა და ცოლ-შვილის დაშორება. ისინი ცოტა-ცოტათი გაემგზავრ-ნენ თავის სახლებისაკენ. მალე დედოფალს მხოლოდ თავის სახლის ერთგული ოდიშელობა დარჩა. ისინი იყვნენ მცირენი.

მაცი, რომელიც დადიოდა ჩუმჩუმად სამეგრელოში, ამხნევებდა ხალხს და პირდებოდა მალე მიშველებას და ხსნას, განეზრახა დევ-ნილ თავადაზნაურთა და გლეხთ. მაცის შემწეობით, მანუჩამ შეკრიბა საკმაო ჯარი დევნილთაგან და მოისყიდა მრავალი მეომარი თავი-

სუფალ სვანეთიდან. ის დაიძრა სამეგრელოსაკენ. ხალხი ათასობით გადადიოდა მანუჩარისაკენ.

გურანდუხტა ხედავდა თავის ცუდ მდგომარეობას და გაუძღვა თითონ ჯარებს. დედოფალი დაუხვდა მანუჩარს ჯარებით მუხურს და აუტეხა უცებ ბრძოლა. გაცხარებულს ომში გურანდუხტა, კაცურად ჩაცმული, თვით ამხნევებდა და ამაგრებდა ჯარებსა. ცხარე ბრძოლის დროს მანუჩარის ჯარებმა იწყეს უკან დაწევა და თითქმის გარბოდნენ, რომ ამ დროს მაცი მოვიდა ახალი ჯარით. გურანდუხტა თითონ გადადიოდა ხმალდახმალ მტრის გუნდში, მაგრამ საშინელმა შემოტევამ მაცის ახლად მოსული ჯარისამ და შემდეგ თვით მაცის გამოჩენამაც, დასცა შიშის ზარი გურანდუხტას ჯარს. იმათ ადრიკეს ზურგი და გამოიქცნენ, გამორბოდა თვით დედოფალიცა. იმას უკრავდნენ გზას მაცისა და მანუჩარის ჯარები, რომ არ გაესწროთ ზუგდიდისაკენ. გურანდუხტა მხნედ ჰკრეფავდა დაფანტულსა და დამარცხებულს ჯარს. იმან ამ შეკრეფილის ჯარით შეაბრუნა ჭაქვიჯის ციხეში. აქ აპირებდა გამაგრებას, მაგრამ ციხეა მთლად შემოერტყა გარს ჯარი. საგძალი არა ჰქონოდათ საკმაო, რომ შესძლებოდა დიდხანს გამაგრება; ციხეს გარშემო შემოუწყეს მანუჩარის ჯარმა ფიჩხი და მისცეს ყოველმხრივ ცეცხლი, ციხიდგან ისროდნენ თოფებსა, ზამბურაკებს, მაგრამ აღარც საკმაო წამალი ჰქონდათ.

გურანდუხტა შევიდა ფიქრში, რომ ჯარი წაესეოდა მალე ზუგდიდს და დაიჭერდა სასახლეს ამის სარჩო-საცხოვრებლით და შვილებით. იმან განიზრახა როგორმე ციხიდან ჯარებით გამოსვლა, გაპობა მტრის ჯარისა და გასწრება ზუგდიდისაკენ, ის დაესხა უცებ ჯარს, მაგრამ პატარა ხანს უკან მაცის და მანუჩარმა აქციეს ის უკან.

გურანდუხტა ამითიც არ მიეცა განწირულებას. იმან შუაღამისას ჩაიცვა ეკას ტანისამოსი და გამოვიდა ციხიდან. ის პირდაპირ მიადგა მაცის ჯარებს და გამოუცხადა, რომ ის არის ეკა და ვითომც გამოპაროდეს დედოფალს. იმათ სიამოვნებით გაუშვეს ის მაცისაკენ. გურანდუხტა ამგვარად გავიდა ამათ ჯარებიდან და იმავე ღამეს იყო თავის სასახლეში.

XXXI

გურანდუხტამ არ მოკლა ეკა. იმან იფიქრა, რომ როგორც ეკა ჩავიგდეთ ამის მშობლების დაპყრობით, ისე ეკას დაპყრობით ჩავიგდებ მაცისაო. ის განიზრახავდა საშინლად მაცის დასჯას. დაჭე-

რის უმალ უპირებდა მაცის თვალწინ ყოველდღე უპატივრებით დასჯას ეკას, ვიდრე ამ სატანჯველში ამოუვიდოდა სული. შემდგომ თვით მაცის უპირებდა თავის ერთგულ საყვარელ ეკასთან მზითვათ გაყოლებას.

გურანდუხტამ ჩაამწყვდევინა ეკა ისევ რუხის ციხეში. იმას ჰქონდა განზრახული, რომ მაცი კიდევ მოვიდოდა ამის გასანთავისუფლებლად. გურანდუხტამ ეკას სამყოფ საკანთან გამართა თავისის ხელით, ძირიდან მოყოლებული შიგ საკანის სანათურამდის, რამოდენიმე, სხვადასხვა ხელოვნების დაფარული ხაფანგი, რომელნიც რაწამ მოხვდებოდა კაცის ფეხი, მოეშვებოდნენ და შეჰბოჭავდნენ კაცს. ამ დაშვებაზედ ყველა ხაფანგი იღებდა ზარის ხმას, რომლითაც გააღვიძებდა ყარაულებს. ყარაულები იდგნენ ეკას საკანს გარშემო, რომელთაც ჰქონდათ სასტიკად ნაბრძანები ფრთხილად ყოფნა. ამას გარდა დედოფალმა დაუნიშნა ეკას ვადა, რომ თუ ამ ვადაზედ არ მოვიდოდა მაცი, მოსჭრიდა ამას თავს და გაუგზავნიდა მაცის. მეორე მხრივ პირდებოდა, რომ თუ მაცი მოვიდოდა — აპატიებდა ორივეს.

ეკამ რაკი ნახა, რომ ასე მალე არ მოკლეს ისა, მიეცა იმედი, რომ მაცი როგორმე გამანთავისუფლებსო. ის თითქმის ყოველ ღამე მოელოდა რამე შემთხვევას თავის გასანთავისუფლებლად, მაგრამ ყველა იყო ამაო: მაცი არსადა ჩანდა, მთქმელიც არავინ ჰყავდა მაცის ამბისა.

რაკი მაციმ თავისის ჯარით უკუაქცია დამარცხებული დედოფალი ჭაქვიჯის ციხეში, იმან განიზრახა გუნებაში, მცწრაფლ წასვლა რამოდენიმე ჯარით რუხის ციხისაკენ. ის ელოდა დილას, რადგან საფიქრებელი იყო, რომ დედოფალი ისარგებლებდა ღამის სიბნელითა და დაესხმოდა ამათ კიდევ ჯარითა. ამის გამო საშინელი იყო ღამე ჯარის დასუსტება და იმის გაცლა.

ინათლა თუ არა, მაცი ერთი ხუთასამდე მარჯვე ბიჭით ეძგერა რუხის ციხეს. მეციხურები დიდხანს არ გაუმკლავდნენ ამასა და მისცეს უმალ ციხე ხელში. მაცი ავარდა ციხეში, და ეკა აღარ დაუხვდა, სადაც ეგულებოდა. მას უთხრეს, რომ დედოფალმა გადაიყვანა ის, რაწამს წამოვიდა მანუჩარზედ საომრადაო.

რუხის ციხიდან ეკა გადაიყვანეს ზუგდიდს, სწორედ იმ ორმოში, სადაც ემწყვდია მაცი.

ისევ ღამე იყო, რომ ქვეითი დედოფალი, ეკას ტანისამოსით, რომელიც წაიღო ამგვარის გაჭირვებისათვის და რომელიც ეკას ეცვა თავის აფხაზურს ტანისამოს ქვეშ, მოიჭრა თავის სასახლეში. შეკრიბა საჩქაროზედ თავის ერთგული მსახურები, მხლებლები და



დედოფალმა გაასწრო გუდავიდან. ის აქედან გავიდა სტამბოლს.

ერთი სამოციოდე სასახლეში დარჩენილი მცველი. შეკრიბა საჩქაროდ ცხენები და ჯორები, აბარგა ყველა ისინი ყოველის ძვირფასის ნივთეულებით და ავეჯეულობით; შესხა ზედ თავისი, ამ მოკლე ხანებში მშობლებისაგან მოტაცებული მშვენიერი ყმაწვილი ქალები და ბიჭები და გაემგზავრა მსწრაფლად ანაკლიისაკენ.

გავარდა ელვასავით დედოფლის დამარცხება, ჭაქვიჯის ციხეში შემწყვდევა და მანუჩარის გამარჯვება. ამ ხმამ მიატანა თვით ეკამდისაც, რომელსაც ერთი ყარაული ეხვეწებოდა, რომ მაცის მაპატიებინე და მე უჩვენებ იმას შენს ბინასაცაო.

ეკა გამხიარულებული ელოდა ყოველს წუთს მაცის და იმის ჯარებს.

იმას უცებ მოესმა ხმაურობა და კითხვა ეკასი. ეკას დაუწყო მხიარულად და სიამოვნებით გულმა ცემა. ის ელოდა მაცის და ემზადებოდა იმის ყელზედ მოსახვევნად, რომ ამასთან ამისავე ტანისამოსით და რამდენიმე მცველით შევიდა გურანდუხტა.

— აპა, აქანეი წამოდი შენ, ქალბატონო!.. არ გავახარებ კი შენზედ შენს მაცის... გეძიოს მან სათათრეთში... იქ მე უფრო დამჭირდება შენი თავი... შენ სილამაზეს მე კი მევიხმარ... დაგღუპავ, დეიღუპოს მაცის თავი.

ეკას სტაცეს ხელი და ხელფეხშეკრული წაათრიეს სასახლესთან. აქ შესვეს ის სხვა ლამაზ ყმაწვილებთან ერთს ბარგწამოკიდებულს ჯორზედ და გაიძღოლეს წინ.

რუხიდან მაცი გამწარებული ეცა ზუგდიდის საპყრობილეს. იქ შეიტყო ეკას გატაცება. მაცი ხალხით გამოეკიდა ანაკლიას გზას. ანაკლიას სცნო, რომ დედოფალი არ ჩასულა იქა. მაციმ შეიტყო, რომ დედოფალმა შესცვალა გზა, რაკი იფიქრა, რომ აქეთკენ გამოეკიდებოდნენ და წავიდა გუდავასაკენაო. მაცი გამოეკიდა გუდავას გზას, მაგრამ აქ შეუკრა გზა კვაჯი შერვაშიძემ.

დედოფალმა გაასწრო გუდავიდან. ის აქედან გავიდა სტამბოლს.

XXXII

გურანდუხტა მივიდა თუ არა სტამბოლს, დაიჭირა ერთი კარგი სუფთა სასტუმრო ყოველის თვის მოწყობილობით და დადგა. იმან რამდენსამე დღეს არ გამოუცხადა არავის თავის სტამბოლში მოსვლა.

გურანდუხტა თუმცა იყო შუახანს მიტანებული დედაკაცი, მაგრამ სახე ჰქონდა ისე სუფთა, როგორც შეფერის ახალგაზრდა ქალსა. თუმცა იმის სახეში ისახებოდა, რომ ამას ბევრი ფიქრი და გა-

მოცდილება უნდა გამოეცლოსო, მაგრამ თავის დროზედ გურანდუხტამ იცოდა იმგვარის საბის მიღებაც, თითქო ამის თავს ბუზი არ გადაფრენილაო. ყოველრიგი უმანკოების გამოსახვა შეეძლო გურანდუხტას თავის პირისახეზე. ის იყო მაღალი, მშვენიერი, წარმოსადეგი დედაკაცი. სანახაობა ჰქონდა მართლაცა და დიდებული; ლაპარაკი, როცა საჭირო იყო, მძლავრი და შემაგონებელი. ყოველ თვის მოხაასეს უნებლიეთ იმონებდა ისა და ხდიდა თავის მსმენელად და მორჩილად. იმავ სიყმაწვილით გურანდუხტას ემონებოდნენ მისი ტოლები; იმავ სიყმაწვილით ის თაოსნობდა ყველასა და გაუძღოდა თვის სათამაშო საქმეებშიაც; იმას არამც თუ თავისი ტოლები, თავიზედ ბევრით უფრო უფროსებიც ემორჩილებოდნენ და უგონებდნენ ყველა საქმეს. სადაც იყო გურანდუხტა, იქ იმისი მეტი სხვა საქმის დამწყები არავინ გამოჩნდებოდა, და თუ კიდეც გამოჩენილიყო, ისე ეჭირა გურანდუხტას თავი, თითქო ყველა ამისი სახისმეტყველება გამოსთქვამდა, რომ იწყებ კი საქმესა, მაგრამ ნუთუ უჩემოდ რამ შეგიძლიანო. ასე რომ თვით ამ საქმის დამწყები უნებლიეთ ეკითხებოდა ამას რჩევას. ის ტოლებში არავის არ უყვარდა, მაგრამ საკვირველი იყო, რომ თითქო ვერც უამისოდ სძლებდნენ. იმისი ერთი შეხედვა იმ ყმაწვილის, რომლისაც რამ ამას არ მოეწონებოდა, მთლად აშრობდა იმ ყმაწვილსა: მათ ანახსოვრდებოდათ ამისი ამგვარი ამაყად და დამცრობით იმათთან ქცევა, მაგრამ ერთი ამის დამშვიდებით იმათზედ გადახედვა მოჰყავდა ისინი ალტაცებაში და თითქო ამითი სულში ჩაუძვრაო. იმას არამც თუ თავის ტოლები და ამხანაგები, თვით დედ-მამაც რაღაცა მოწიწებით და კრძალვით უყურებდა. ყოველ თავის სურვილს თვით მშობლების წინ ისე მკაცრად ადგა, რომ თუ არ შეუსრულებდნენ, ის თვით შეასრულებდა, თუნდა ეს შესრულება ვინ იცის რა ფასად დასჯდომოდა. ამგვარად იზრდებოდა გურანდუხტა, შეჩვეული იმ ფიქრსა, რომ ყველა ამაზედ დაბლა იდგა, ყველა ამას უნდა დამონებოდა. ის ცხადადა ხედავდა თავის ძალას და სხვების ძლურებას ამასთან.

ამასთან გურანდუხტა, გარდა თვის წარმოსადეგობისა, რომელიც მოგაგონებდა უფრო ამაყს რაინდს, ვიდრე უძლური ქალის ყავლასა, ულამაზოც არ იყო. თვალები იმისი ბრიალებდნენ ძალისა და გამბედაობის გამომეტყველებით, თითქო გეუბნებოდნენ: თუ შენ არ შეასრულე ჩემი ნება, მე შენ შენს უნებურად შეგასრულებინებო. იმისი ალისფერი და ცალმხარეს კიცხვის ღიმილით აპრეწილი ტუჩები თითქო გეუბნებოდნენ, რომ ვინ შენა და ვინ მეო: შენ უნდა იყვე ყოველი ჩემი სურვილის შემსრულებელიო. იმისი აბრეშუმებრ

ჭერა თმა-წარბი თითქო აძლევდნენ სანახაობას იმის სახის გამოჩეტყველებას. ერთი სიტყვით ის ყოვლის თვის სანახაობით, მოჯრაობით, მიხრა-მოხრით გამოსთქვამდა თავის უპირატესობას და უმაღლესობას სხვებზედა.

გურანდუხტა შემდეგ თვის სტამბოლს მისვლისა, მესამე დღეს ყველა თავისგნით წამოყვანილის ლამაზი ქალ-ვაჟებით წავიდა აბანოში. აქ თითონაც საკუთრივ დაიზილა სხვადასხვა გამასუფთავებელის და გამმშვენებელის წამლებით; უბრძანა ამგვარათვე დაზელა სხვებისაც. იმან აქ უბრძანა ყველას სუფთად და ლაზათიანად დართვა. ერთის კვირის განმავლობაში არ მისცა იმან ნება იმათ კარში გამოშვებისა, რომ აღარ დამჩნეოდათ მგზავრობა და დაღალვა. უბრძანა აგრეთვე კაი საჭმელების მაძღრისად ძლევა; ყოველ დღე ზელა კვალად დამასუფთავებელის წამლებითა. იმისი თუნთიხე იყო ამათში ყველაფერში დახელოვნებული. ერთს კვირას ეს საუკეთესო ოდიშის მშვენიერნი, შეიქნენ ერთი ორად უმშვენიერესნი. იმათ ყველას ედოთ დიდკაცური სახე, თითქო ეს არის ყველანი ეხლა გამოუყვანიათ რომელიმე რომის პატრიცის სახლებიდანაო. მართლაცა და საკვირველია ოდიშის მშვენიერება. თვით უღარიბესი ყაზახის სახლში, რომელიც იმავე მამა-პაპიდან სიღარიბისა და მუშხარებიდან არ გამოსულან, შეხვდები ყმაწვილ ქალ-ვაჟთა, ტიტვლებს. შიშვლებს, ჭუჭყიანებს, რომლებისაც სრულიად ვერ დაიჯერებ. რომ არ იყვნენ ესენი შვილნი რომელისამე ძველათვე მდიდარის გამშვენიერებულის სახლისა.

გურანდუხტამ შეკრიბა ცნობა ყველა დიდკაცისა, რომელთაც ჰქონდათ გავლენა სულთანზედ; შეჰკრიბა ცნობა ყველაზედ, რომელთაც ჰქონდათ გავლენა ამ დიდკაცებზე და ყველას საჩუქრებად გაუგზავნა სამეგრელოდან წამოყვანილი მშვენიერი ქალ-ვაჟი. მაშინ უფრო ბევრნი უმშვენიერესნი მოიპოვებოდნენ სამეგრელოში, რადგან ნიადაგ ამ მშვენიერთა გაყვანა უნდა მომავალში დამჩნეოდა ოდიშს და ეკლო მშვენიერებისათვის.

უკეთესს საჩუქარს კოლხიდის დედოფლიდან არ მოელოდნენ ოსმალთა დიდკაცნი: ეს იყო საუკეთესო და უძვირფასესი ნივთი იმათთვის, რომელთა სამოთხესა და ბედნიერებას შეადგენდნენ მშვენიერი ყრმანი, და უმშვენიერეს ყრმათ ისინი ვერსაიდან ვერ მიიღებდნენ.

შემდეგ ამ საჩუქრების მიღებისა, გურანდუხტას სურვილით, მოვიდნენ სანახავად რამდენიმე პირველი ვეზირის დაახლოვებული პირი და ზოგიერთა თვით სულთანის კარისკაცი.

გურანდუხტამ მიიღო ისინი, როგორც ნამდვილმა დედუფალმა. გურანდუხტა არც თუ მდიდრულად, არც თუ დედოფლურად იყო ჩაცმული; ის იყო უბრალო ტანისამოსში, მაგრამ იმისმა დიდკაცურმა ყავღამ, იმისმა ერთრიგად შეწუხებულმა სახემ, როგორც იციან შეწუხება მხოლოდ დიდებულთ, და ერთრიგად ბატონ-კაცურმა სანახაობამ, მნახველნი მოიყვანა რაღაცა მოკრძალებაში.

გურანდუხტა ამათ არ ელაპარაკებოდა ისე, როგორც მაჩივარი, ან როგორც დაჩაგრული, რომელიც გამოელის წყალობას. ელაპარაკებოდა იმათ, როგორც დედოფალი სხვა ხელმწიფის მაღალ პირებს და რომელთაც უნდა აბსოვდეთ, ვისთანაც აქვთ საქმე. ისინი არ მოელოდნენ ამგვარ შეხვედრას. მაგრამ უცებ ნახეს, რომ იმათ იმისთანა ადამიანთან არა ჰქონდათ საქმე, როგორსაც მოელოდნენ. იმათ უცებ იგრძნეს რაღაცა მოკრძალება. ისინი შეჰყურებდნენ გურანდუხტს, როგორც ადამიანს, რომელიც არ არის იძათი ტოლი და რომელსაც ისინი ეკადრებიან მხოლოდ მხლებლად.

მაგრამ ამ ქცევასთან გურანდუხტა იყო ისე ლმობიერი ამ თავის სტუმრებთან, ისე მწყალობელის კილოთი და ყურადღებითა, ისე პატივისცემითა, რომ ეს სტუმარნი უნებლიეთ გრძნობდნენ თავს წყალობაში ჩავარდნილად და ბედნიერად, რომ ამგვარი დიდებული ქალრულობს ამათთან ასე თავმდაბალ ლაპარაკს.

ისინი დაბრუნდნენ შინ აღტაცებულნი, არამცთუ მარტო ამის პიროვნებით, არამედ მშვენიერებითაც. პატარა ხანს უკან გავარდა კოლხიდის დედოფლის მშვენიერების ხმა მთელს სტამბოლში.

ამგვარების გამგონემ, პირველმა ვეზირმა ვალად ჩარაცხა დაესწრო თვით ნახვა დედოფლისა.

დედოფალმა ეს უფრო სხვაფრივ მიიღო: მიიღო ისე, როგორც შეჰფეროდა მის ხარისხსა. ისე კი არ მიიღო, ვითომც ის ამისი ტოლი ყოფილიყვეს; იმასაც აგრძნობინა თვისის ერთის სანახაობით, რომ ის თუმცა დევნილი იყო და უჭირდა ამისი თავი, მაგრამ მაინცდამაინც იყო დედოფალი გვირგვინოსანი, ხოლო ვეზირი — უბრალო ძლიერი კაცი.

ამგვარი გურანდუხტას ქცევა ცოტა არ იყოს ეჩოთირა დიდს ვეზირს ოტამანისას, რომლისაც ხელთ არის დაუსრულებელი სახელმწიფოები, რომლისაც წინაშე თრთიან ევროპის ხელმწიფენი და ცდილობენ ამის დამეგობრებას და ამხანაგად იხდიან. ერთი პაწაწინა სამეგრელოს დევნილი და ახლა უბინაო დედოფალი არამც თუ ისე ეპყრობა, როგორც თავისზედ უფროსს, არამედ ეპყრობა დე-

ღოფლურად, მაშინ, როდესაც თვით ბრწყინვალე და დიდებული სულთანი არის ამის ხელთა და ატრიალებს, როგორც სურს. ვეზირმა ისურვა იმგვარად თავის დაჭერა, რომ ეგრძნობებინა გურანდუხტასთვის თავისი ვინაობა, მაგრამ რაღაც უცნაურად გრძნობდა თავის უძლურებას. გურანდუხტას სახე, გურანდუხტას ქცევა უნებლიეთ აგრძნობინებდა იმას, რომ პართლაცდა ჩემზედ უდიდებულეს ადამიანთან მაქვს საქმეო.

იმას ამ ჩოთირმა გაუარა, როდესაც საშინელის სიტყვებით დაიწყო თავის მწუხარების გამოსახვა; როდესაც ვეზირმა იგრძნო, რომ რა მწუხარება უნდა ყოფილიყო მართლაცა, როდესაც ამისთანა დიდებული მძლავრი ადამიანი მისულა იმ დამცირებამდის, რომ თავისზედ უმდაბლესს შესჩივის და სთხოვს დახმარებას, იმას ყოველი თავის მოყვარება ჩაეშალა, როდესაც ამ მშვენიერს, მძლავრს, დიდებულს სახეზედ დაინახა ცრემლები თავის ქმრისა და შვილის დახოცვაზედ.

— კი, დიდებულო ვეზირო, ესტე თვალწინ, გულით მძინარეს მომიკლეს უცნაურის საწამლავით მანუჩარის მოგზავნილთ კაცთ ჩემი დიდებული მეუღლე, რომლისა წინაშე თრთოდა მთლად კავკასია, და ჩემი იმედი და იმედი მთელი თვის სამთავროსი, ჩემი სიყრმის და ჩემი გულის საკუთარი შვილი.

— დიახ! — გაიფიქრა დიდმა ვეზირმა გულში: — აი სწორედ ხელმწიფე ადამიანი... ამგვარს ხელმწიფეს არ აფასებდეს თავისი ერი და ეწინააღმდეგებოდეს, სწორედ ოირსეულად არის დასასჯელი.

გურანდუხტას მწუხარებამ და ცრემლმა გაუარეს ვეზირს შიგ გულში. ახლა ვეზირი იმე გრძნობდა თავის თავს, რომ ეს ღირსიკ არ იყო იმისი ხლებისა.

ვეზირი იქამდის დაიმონა გურანდუხტას დიდებულმა სანახაობამ, ქცევამ, ცრემლმა, რომელსაც ვეზირთან ეს ხმაროზდა ისე დარდის შესაგონებლად არა, როგორც დამშვენებად, რომ ვეზირმა წასვლის დროს დაიჩოქა ცალის მუხლით, დაიდო დედოფლის ხელი თავზედ და აღუთქვა ყოველი სათხოვარის შესრულება და პირადაღ სულთანის ნახვა.

ვეზირი გამოვიდა და დიდხანს უდგა თვალწინ უბედურებაში შთავარდნილი დიდებული მშვენიერის კოლხიდის დედოფალი: იმისი მაღალი გამომეტყველი სახე, იმისი ცოცხალი და დიდების მფრქვეველი თვალები, იმისი წყალობისა და სიბრალულის გამომთქმელი გული, იმისი ლმობიერი სანახაობა და სიტკბოება.

პირველი ვეზირის მოხსენებითა ისურვა სულთანმა გურანდუხტას ნახვა. ის მოვიდა მისი ნახვით აღტაცებაში. ის პირველად შეხვდა დედაკაცს, რომელიც იჭერდა თავს ამის თანასწორად, როგორც დიდებული, და როგორც ხასიათის ძალა, ამის უმაღლეს. სულთანს ეს ეჩვენა უმშვენიერესად, მან აღუთქვა ყოველი დახმარება და სთხოვა მიეცა ნება ხშირად ნახვისა.

გურანდუხტამ ამ თხოვნით თითქო აზრითაც არ მიიღო რასა ნიშნავსო და ტკბილის ღიმილით გამოუცხადა თავის სიამოვნება მისი ნახვისა ყოვლად უმზაკვრო სახით. მაგრამ სულთანი უფრო გამოცდილი იყო ამ საქმეში, ის მოუთმენლად ელოდა გურანდუხტას შეხვედრას.

გურანდუხტა ყოველს მისვლაზედ ეგებებოდა სულთანს, როგორც სახელმწიფო საქმისთვის მოსულს, კეთილის გულით და უმზაკვროდ და სულთანს გადაკვრით ლაპარაკზედ აგონებდა შეუნიშნავად, რომ სულთანის სურვილის შესრულება იყო დამოკიდებული გურანდუხტას თხოვნის შესრულებაზედ.

სულთანის ბრძანებით შეუდგნენ ჯარების მზადებას სამეგრელოში გასაგზავნად. მრავალი საჩუქრები ძვირფასის ნივთებისა მოსდიოდა გურანდუხტას სულთანისაგან. სულთანი მიხვდა შემდეგ ბევრის მეცადინეობის სურვილს. ყოველ საღამოს სულთანი მიდიოდა მარტო, რამდენიმე მხლებლის ამარა და ატარებდა გურანდუხტასთან დროებას.

მოატანა გამოსალმების დრომ. გურანდუხტა უნდა დაბრუნებულიყო ჯარებით თავის სამთავროში. სულთანს ემძიმებოდა იმის დაშორება. ის ეყოვნებდა გურანდუხტს. გურანდუხტს ეჩქარებოდა თავისი მტრების სისხლში ბანება.

— კი, ჩემო დიდებულო სულთანო, უკეთესი კი მყავს შენთვის გამზადებული... იყოლიე ჩემათ, ვიდრე მოგებეზრდებოდეს და მე უმალ გნახავ ისევ აქანა, რავარც დავამშვიდებ ჩემს ხალხს და დავემკვიდრებ სამთავროს, — უთხრა ერთხელაც გურანდუხტამ, რაკი ატყობდა, რომ აყოვნებდა იმას სულთანი.

ამ სიტყვებთან გურანდუხტა გავიდა და შემოიყვანა ეკა.

ეკას ნიშვენიერებამ მთლად გააოცა სულთანი. ის დიდხანს უყურებდა გაშტერებული ეკას, და შემდეგ უბრძანა გასტუმრება თავის ჰარემში, სადაც უნდა ჩაებარებინათ ეკა საჭურისებისა და ჰარემის მომვლელ ქალებისათვის. თვითონ დარჩა უკანასკნელად გურანდუხტასთან.

მეორე დღეს გურანდუხტა მრავალის ჯარით, მრავალის ფულითა და ძვირფასის ნივთეულობით, რომელიც მიეღო სულთანისაგან, გაემგზავრა სამეგრელოსაკენ.

XXXIII

მოულოდნელად მოადგა გურანდუხტა დიდძალი ჯარით სამეგრელოსა. მანუჩარ დადიანმა რაკი შეიტყო შემოსევა გურანდუხტასი, მაშინვე დაუწყო გამაგრება ციხეებს. ის ჯერ დაუხვდა რუხის ციხესთან, მაგრამ ჯარი დიდძალი ახლდა გურანდუხტას და მანუჩარი არ მოელოდა დროთი ჯარების მოშველებას, ამის გამო ამან დააყენა რუხს მეციხეები სანდო მოთავე კაცებით და თვითონ გაეჩქარა ჰაქვიჯის ციხისაკენ. აქ დაუხვდა საკმაო ჯარი. ამან შეაზიდვინა საკმაო საგძალი ციხეში და შეეგება კვალად მიმავალს ამაზედ გურანდუხტას. ბრძოლა გაიმართა ყულისკარს, სასწაულთმოქმედის წმიდა გიორგის ეკლესიასთან. გურანდუხტაც და მანუჩარიც ცხარე ცრემლით ევედრებოდნენ ღვაწლით შემოსილს წმიდა გიორგის გამარჯვებასა და აღუთქვამდნენ აურაცხელს შესაწირავსა, ბრძოლა იყო ცხარე და ხანგრძლივი, მაგრამ ვერ უდგრო მეგრელობამ დიდძალს ოსმალოს ჯარსა, რომელსაც მოეშველა აფხაზეთის მთავარიც, რომელთანაც წამოიღო გურანდუხტამ სულთანის ბრძანება. მანუჩარი, რაკი ნახა ახალი ჯარიც, გაეჩქარა ციხეში. თავისი ცოლი, კესარია, გაისტუმრა სხვა ჯარების მოსაკრეფად და მოსაშველებლად. თვითონ გამაგრდა.

ბევრს ხანს ადგა გურანდუხტა ამ ციხეს, მაგრამ ამისი მიდგომა გახდა შეუძლებელი, თავის მხრივ მანუჩარი არ ასვენებდა ამათ და წამდაუწუმ ესხმოდა თავსა და აძლევდა ზარალსა. აფხაზობას მობეზრდა აქ ტრიალი; თხოულობდნენ დათხოვნას. მეორე მხრივ ისმოდა, რომ მანუჩარის ცოლმა შეყარა დიდძალი ჯარი და მოდის ქმრის მისაშველებლადაო. გურანდუხტას საქმე იყო სათუო: მარტო ოსმალოს ჯარს ეს ვერ ენდობოდა, იმან მიმართა ხერხსა.

ჰაქვიჯის ციხე დგას ერთს დიდს, მაღალს კლდის ბორცვზედ და გადაჰყურებს მაღლიდან ჭანის წყალს. მისადგომი ამ ციხეს არა აქვს არსაიდან, გარდა ერთი ბილიკისა, რომელიც მოსდევს ჭანის წყლიდან ყულისკარისაკენ. ამ მაგარს, მიუდგომელს მაშინდელის დროსა და იარაღისათვის, ციხეს ჰქონდა ციხის კედლებიდან ერთ ვერსამდინ გვირაბით გაჭრილი კლდე და ეს გვირაბი გადიოდა ბილიკის მეორე მხრიდან, ე. ი. ჩრდილოეთიდან ჭანის წყალზედ. ეს გვირაბი იყო დამალული, მტერთაგან საიდუმლოდ გასასვლელ-გამოსასვლელი სხვადასხვა საჭიროებისათვის. მაგრამ ამ გვირაბის ამბავი გურანდუხტამ უკეთ იცოდა.

იმან ერთ ღამეს გასცა ბრძანება, რომ ჯარი მზადა ყოფილიყო გვირაბის კართან. თვითონაც უცებ გაქრა რამდენსამე სანდო კაცითა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ უცებ ციხის ყარაულებს მოადგა მანუჩარის ცოლი კესარია. ყველამ ხმასა, მიხრა-მოხრასა და ტანისამოსში იცნეს კესარია.

— ჩქარა გემიშვით მანუჩართან, თვარა დეიღუპოს ჩვენი მტერი, რავარც მთლა დევიღუპეთ ჩვენ. გურანდუხტას ჯარი მთლა ეიყარა აქედან და წეესია მოდინახეს და მუხურს. ჩემი ჯარი გაუშვი იქანა საჩხუბრათ და გამოვეშურე აქეთკენ, ახლა კი გვაქვს დრო, რომ მივეშველნეთ.

ყარაულებმა საჩქაროზედ გააცილეს ციხემდის კესარია თავისი ბხლებლებით და ჩააბარეს ციხის კარის ყარაულთ. იმათ საჩქაროზედ შეუშვეს ისა. ის გაეჩქარა მანუჩარის სადგომისაკენ და უბრძანა, რომ მანუჩარი არ გაეღვიძებინათ. მსახურთ იცნეს კესარია და შეუშვეს მანუჩარის საწოლში. კესარია შევიდა და შეიკეტა კარი.

მანუჩარს ეძინა მაგრად მთელის დღის მოუსვენრათ გატარების შემდეგ. კესარია მივიდა ფრთხილად და ამოიღო ჯიბიდან რაღაცა სასუნებელი. იმან ეს სასუნებელი მიუტანა ფრთხილად მანუჩარს ცხვირთან. კესარიას ცალ ხელში ეჭირა სასუნებელი და ცალ ხელში ამართული ხანჯალი. თუ ვინიცობაა მანუჩარი იგრძნობდა ამ სასუნებელს და გაიღვიძებდა, მზად იყო რომ იმავე წამს გაეგმირა ის ხმა ამოუღებლივ. მანუჩარი გაუგებრივ ისუნთქავდა ამ სასუნებელს. მანუჩარი თანდათან მიეცა უფრო ტკბილს და სასიამოვნო ძილს. ის ჰხედავს სიზმარში დამარცხებულს ოსმალოს ჯარს და დაჭრილს გურანდუხტას, რომელიც ამას შეწყნარებას ეხვეწება. მერმე ხედავს თავს შემკობილს რაღაც მძიმე გვირგვინით, მძიმე უბრწყინვალეს ძვირფასს ტანისამოსში... ხედავს, რომ ვითომც ის ზის ხონთქრის ტახტზე და ყველა თაყვანსა სცემს, როგორც ხონთქარსა. მერმე თანდათან ერევა სიზმარში, ეძლევა რაღაცა ნეტარებით სიტკბოებას. შემდეგ კარგავს გრძნობას. ეკაოგება სუნთქვა. კესარია ადევნებს ყველა ამის სუნთქვას და სუნთქვის მოძრაობას ყურსა, ბოლოს რწმუნდება, რომ მანუჩარი აღარ არის ცოცხალი. ის დაფარავს ხანჯალს კაბის ქვეშ და გამოდის საჩქაროზედ გარეთ.

— ნურვინ შეაწუხებთ მთავარს! მას დაღალულს დაუძინია. ჯარებსაც ნურვინ შეაწუხებთ, მოისვენონ ამაღამ, რომ ხვალ დიდი გზა და დიდი ჩხუბი გვმართებს, — უბრძანა იმან კარისკაცთ და მსახურთ და თვითონ გასწია გვირაბის კარისაკენ.

იქ კესარიამ გამოსცვალა ყარაულები.

— აწი თქვენ დაიძინეთ და მეისვენეთ, რომ ხვალ დასვენებული უნდა გაუდგეთ გზას, და ესენი უყარაულებენ: ესენი არ არიან ისე

დაღალულები, როგორც თქვენ. მარა ხვალ კი გმართებთ გასჯა და ჯილდო მე მომთხოვეთ.

ყარაულებს დიდად იამათ დათხოვნა. იმათ დიდი ხანია ძილი ერეოდათ.

კესარიამ თავისთან მოყოლილი მხლებლები დააყენა კარებთან და თვითონ ერთის კაცით გასწია გვირაბისაკენ, სანათურით ხელში. გავიდა გვირაბს და იმან გადიძრო აქ ტანისამოსი კესარიასი: ის იყო გურანდუხტა დედოფალი. ის შემოუძღვა გვირაბში ჯარს და ღამის სიბნელეში გაავსო ციხე თავის ჯარით. აქ უცებ დაესხა მძინარე მანუჩარის ჯარს. მანუჩარის კაცნი ეცნენ მანუჩარს, მაგრამ ის უსულოდ იდო.

გახელებულმა ჯარმა, გურანდუხტას ბრძანებით მუსრეს მძინარე ჯარი მანუჩარის, მანამ დაიღლებოდნენ და გაძღებოდნენ სისხლითა. ათასში ერთმა ბედნიერმა ძლივს გაასწრო ცოცხალმა, სხვები დატყვევებული გამარჯვებულებმა თან წაასხეს.

ამ ამბავმა დასცა შიშის ზარი მთელს ოდიშს. ყველა ეჩქარებოდა თავის ერთგულების გამოცხადებას. ვისაც არ ჰქონდა პატიების იმედი, გარბოდა სადადიანოდან.

XXXIV

სად იყო ამ ხანებში მაცი? — მაცი დაედევნა მაშინვე გურანდუხტას და გავიდა სტამბოლს. ის დიდხანს დაეძებდა გურანდუხტას სადგომს და კითხულობდა იმის ამბავს, მაგრამ ყველა იყო ამაო.

მაცისთვის უცნობსა და უზარმაზარ ქალაქში, რომელიც სრულებით არაფერს არას აგონებდა ამას სამეგრელოსას, ის ვერას მიხვედრილიყო.

მაცი, როგორც უცხო და უცნაური კაცი, რომელიც როგორღაც სულ სხვანაირად იქცეოდა სტამბოლში, დაიჭირა სტამბოლის პოლიციამ. ბევრი ეკითხნენ ამას ვინაობას, მაგრამ მაცი არას ეუბნებოდა. იმან იცოდა, რომ რაკი გაიგებდნენ ამის ვინაობას, დაუბრუნებდნენ გურანდუხტას და იქ საბრჭობელას მეტი სხვა არა მოელოდარა.

რაკი ბევრი გამოკვლევის შემდეგ ვერ გაიგეს ამის ვინაობა, სტამბოლის მართებლობამ მიიღო ის შემოჩენილ კაცად, რომელსაც უნდა გაეგო სტამბოლის მდგომარეობა და გაეცა მტრის ხელთა. მას გადაუწყვიტეს მოკვლა. მაგრამ აქ მაცი გაიქცა. ის, როგორღაც, უცებ შეხვდა ყულევში მოვაჭრე ბერძნებს. ის გამოეცნაურა იმათა. ისინი ჯერ შეკრთნენ მაცის დანახვაზედ, შემდეგ, რაკი დაინახეს ის

მეგობრულის სახით, იამათ ამათაც, რომ ნახეს ნაცნობი მხარის კაცი ამ სიშორედ. ისინი გამოელაპარაკნენ ამას.

ამ ბერძნებმა უამბეს, რომ გურანდუხტა დაბრუნდა სამეგრელოში დიდძალი ჯარითა, მოკლა მანუჩარი, გასწყვიტა იმისი ჯარი და ამოწყვიტა მთლად თავისი წინააღმდეგნი და დაიმორჩილა მთლად სამეგრელოო. უამბეს საშინელი გამდიდრება გურანდუხტასი და იმის მეფურად ცხოვრება, რომელიც აქნობამდის სამეგრელოს არ უნახავსო. ამათგანვე შეიტყო, რომ ეკა დედოფალს ხონთქარისათვის მიუცია ჰარამშიაო.

ამ სიტყვების გაგონებაზედ მაცის დაესხა თავბრუ. იმას მოაწვა სისხლი თავსა და პირში და დიდხანს, თოფნაკრავივით იყო სუნთქვა შეკმენდილი.

ამათგან მაცი გამოვარდა მთლად უგონოდ, გიჟივით ატაცებული და გასწია. იარა დიდხანს, უგონოდ, მოუსაზრებლად. ის გავიდა ქალაქგარეთ, ზღვის პირას, დაემხო აქ პირქვე და მორთო ტირილი.

იმის შორიახლო ირეოდნენ ათასობით ხომალდები, ნავები, ფელუკები და სხვადასხვანაირი ზღვაში სასიარულო კაზმულები. ხალხი ჭიანჭველის გორასავით მოდიოდა და მოდიოდა ამ ადგილებისაკენ. ყველა მოძრაობდა, ყველა ეჩქარებოდა ცხოვრების გზას და იჩენდა სიცოცხლეს. ხოლო მაცის გული იყო მკვდარი. იმას ბევრით უჯობდა სიკვდილი ამ ცხოვრებას. ის ტიროდა თავის ბედს, იხ მზად იყო გაევმირა თავისი ხელით თავისი გული.

„რა შევცოდე მისთანა ღმერთს, — ფიქრობდა ის, — რომ არ მამცა ერთი დღეც არის ეკას შეყრისა?.. რატომ მე გამომარჩია ამგვარის მოუნელებელის ცეცხლისთვის!“

მაცი რამდენჯერმე წაეტანა დამბაჩას გულში მისაცემლად და რამდენჯერმე ისევ შედგა.

„ეკას უნახავათ? — ეკითხებოდა ის თავის თავს. — მოკვდე და ერთი კიდევ არ ვნახო ჩემთვის დაღუპული ეკა?!. იქნებ იმანაც ვერ მეინელოს ჩემი სიკვდილი?.. იქნებ მას კიდევ ახსოვდეს იმისთვის გაწირული უბადრუკი მაცი?!.“

„რავა ეხსომება მას მისთანა ბედნიერებაში ჩემი თავი! — მიუბრუნდებოდა შემდეგ მაცი თავის თავს. — რავა გაახსენდება ხონთქარის სასახლეში, დიდებაში მყოფს, — მშვარტლიან ფიცარში, ნაბევარზედ ნადირივით ტყეში მგდები, ყისინის ჩოხიანი, გულმოკლული მაცი...

„კი მარა, — ფიქრობდა თან და იმხნევებდა გულს მაცი, — თუ ის იქნება ბედნიერი, არც მე მმართებს მის ბედნიერებით თავის მოკვლა. მისი თავი მისი ბედნიერებისათვის მინდოდა... თუ ის უბე-

დური იქნებოდა, ერთ დღესაც არ ვიცოცხლებდი თავს... ამაზედ ბედნიერი ჩემს ხელთ რავა იქნებოდა ის... მაშ რათ უნდა წუხდე მის გაშორებას, თუ მას ბედნიერათ ვიგულებ?!!"

იმხნევებდა ამით მაცი გულს, მაგრამ ეს არ იყო იმისი გულის პასუხი. ყოველს წარმოდგენაზედ, რომ ეკა დაშორდა იმას, ეკა ეკუთვნის სხვას და არა ამას, გული ეკოდებოდა და უწყლულდებოდა ათასფერად.

მაცის ვერასდროს ვერ წარმოედგინა იმგვარი ქალთა დამწყვდევა, რომელიც სუფევდა მაჰმადიანთა დიდკაცობის სახლებში. დაჩვეული ქალთა თავისუფლებას, ის ფიქრობდა, რომ ეკა თავისუფლად ივლიდა სერალში. ამის გამო იმან გასწია პირდაპირ სერალისაკენ, ბევრი უარა გარშემო სერალს. უარა ერთი დღე, ორი დღე, სამი, იყურებოდა ყოველს ჭუჭრუტანასა, ყოველს სანათურაში, ყოველს კარში, მაგრამ არსად ეკა არ ჩანდა. მაციმ რის ვაი-ვაგლახით გაივო ჰარამის სამყოფი. კითხულობდა ეკას ამბავს, მაგრამ ვერა შეიტყო რა: სად, ან რა ალაგას იყო.

მაციმ განიზრახა ღამით გადაპარვა ჰარამში.

იმან დანიშნა სერალის კედლები და ნახა, რომ ამაზედ ისე ადვილა შეუძლებელი იყო. იმის კედლებს არც კიბე ასწვდებოდა.

ის მივიდა ღამე ამ კედლებთან სატეხით, დაუწყო საფეხურების კეთება. იმისათვის საკმაო იყო მცირეც არის ხელ-ფეხის მოსაკიდებელი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო თითის წვერების მიბჯენაც არის, ის თან ადიოდა ამ კიბურებზე, თან თავიზედ მაღლა იკეთებდა საფეხურებს. ის თითქმის ნახევარ კედელს ასული იყო, რომ მოესმა ხმაურობა და ფეხისხმა სერალის გარს მავლელი ყარაულებისა, რომელთაც მოესმათ ეს რაკუნი. იმათ დაინახეს მაცი კედელზე და გამოექანნენ კედლისკენ. მაციმ უცებ ისკუპა და გადმოევლო. გამოეკიდნენ, მაგრამ ნახევარზედაც ვერ მოსწვდნენ. იმას დააყოლეს თოფები. შეიქნა ყიჟინა.

ამ ხმაურობამ დააყენა ფეხზედ მთლად სერალის მცხოვრებლები, ერთს წამს წამოცვივდნენ იანიჩარები და სხვა ჯარები, მაგრამ გვიანღა. მაციმ უშველა თავსა.

ამ ამბავმა მიაღწია სულთანამდის. სულთანმა შეიტანა ეჭვი ცოლებზედ. მაგრამ ვისთან მიდიოდა ეს გამბედავი ღამის მუშტარი, არავინა ტყდებოდა, თუმცა სასტიკი საიდუმლო გამოძიება მოახდინეს ყველას თავს.

მეორე დღესვე გამოვიდა სასტიკი ბრძანება, რომ ეპოვნათ ეს სერალის სიწმინდის დამრღვეველი. პოლიციამ მთელი სტამბოლი გადმოაბრუნა, მაგრამ ვერაფერი აზრიც ვერავიზედ ვერ მიიტანეს.

სულთანმა რამდენიმე ცოლი გამორეკა სერალიდამა, რომელიც უფრო მოძველებული და მობეზრებული ჰყავდა და რომლებზედაც ამის გამო უფრო შეიტანა ეშვი.

მაციმ დაატყო, რომ საქმე ცუდად იყო და ერთს უცხო ქვეყნის სომალდზედ გამოიპარა რამდენიმე ხნობით, ვიდრე ამაზედ მიწყდებოდა ხმები. ის აპირებდა კვლავად სტამბოლში დაბრუნებას ეკას საძებნელად. მაგრამ ამ დროს იმას მოასწრეს ერთს ოსმალოს ქალაქში, როგორც საეშვო კაცს, შეიტყვეს აქ ბევრი ძიების შემდეგ, რომ მაცი იყო მეგრელი და გამოისტუმრეს სამეგრელოში.

XXXV

ჰაქვიჯის ციხის აღების და მანუჩარის სიკვდილის შემდგომ, კესარიამ ძლივს გაასწრო გურანდუხტას ლეჩხუმს. აქედან, თავის მახლობლების რჩევით, ის წავიდა სტამბოლს.

ბევრი მეცადინეობის შემდგომ, კესარიამ მოიტანა ფირმანი, რომ სულთანი აძლევდა ამას ნებას სამეგრელოში თავის მამულებში ცხოვრებისას. მეორე მხრივ მოვიდა გადაწყვეტილება სამეგრელოში, საიდამაც დიდძალი საჩივრები შედიოდა სულთანთან, რომ მემკვიდრენი ვამეყისა რჩებიან მთავრად სამეგრელოში, მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე ამათ მთავრობა მოსათმენი იქნება ოდიშის ხალხისაგანაო.

გურანდუხტა ამან უფრო ააღელვა და აგებინა შური მანუჩარის სახლობისათვის. იმას ამ სულთნის ფირმანის შემდეგ, ცხადია, წინააღმდეგობა აღარ შეეძლო კესარიასი.

თავის მხრივ კესარია არ ივიწყებდა თავის ქმრის სისხლსა და ნიადაგ ცდილობდა ხალხის აღელვებას და სამდურავს გურანდუხტაზე.

ისინი ერთს ყალიბში არა თავსდებოდნენ.

გურანდუხტა ხედავდა, რომ მანამ მანუჩარის სახლისა არის ვინმე, არ მოისვენებდა არც ესა და არც ამის შთამომავლობა. კესარია ხედავდა, რომ მანამ გურანდუხტა და ამისი შთამომავლობა არის, ამისი შვილები, რომელნიც იყვნენ ნამდვილი მემკვიდრე მთავრის შთამომავალნი, არ ეღირსებოდნენ თავის სამკვიდროს. ისინი შეუდგნენ ყოვლის ღონისძიებით ერთმანეთის მოსპობას. ისინი ცდილობდნენ ეხმარათ ყოველი ოსტატობა, ყოველი ხერხი თავისი საწადელის შესასრულებლად. ცხადი ბრძოლა ამათგან შეუძლებელი იყო, რადგან დამნაშავეს ხონთქარი ავად მოეპყრობოდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და უცებ მოუკვდა კესარიას შვილი, გავიდა რამდენიმე ხანი და გადაჰყვა მეორე შვილი თან. პატარა ხნის

უკან მოუკვდა მაზლი, უნცროსი ძმა მანუჩარიასა. იმას გადაჰყვნენ თან ორი მოზრდილი შვილი კესარიასი; ამათ გადაჰყვნენ მთელი მაზლისწულები კესარიასი. დარჩა ერთიც კიდევ, ძუძუმწოვარი ბავშვი კესარიასი, რომელიც იყო გაბარებული ძიძასთან. კესარია იძულებული გახდა გასცლოდა თავის მოწინააღმდეგეთ თავის უკანასკნელი ბავშვით სვანეთში.

გაძლიერებული და გამდიდრებული გურანდუხტა არა სჯერდებოდა მარტო თავის სამჯავროს. ის თავის სასახლის გასაძლიერებლად უცებ შეესია ლეჩხუმს, რომელზედაც დიდი ხანია ჰქონდა წინააღმდეგობა და დავა იმერთა მეფესა და დადიანებს. გურანდუხტამ მოიმხრო კვაჯი შერვაშიძე და აფხაზეთის მთავარი. ამათ შემწეობით დაამარცხა იმერთა ჯარები, დაიპყრო ლეჩხუმი და გამოაცხადა სამთავროდ.

შემდეგ შეურიგდა იმერთა მეფეს და გადააგდო კვაჯი შერვაშიძე და დაიპყრო სამურზაყანო; აქედან პატარა ხანს უკან დაეცა სვანეთს და დაიპყრო ერთი ნაწილი სადადიშკელიანო სვანეთისა. გურანდუხტამ გაზარდა სადადიანო; ის აღარ ჩამოუვიდოდა არც ერთს ქართველ მეფეს.

ამ ღელვასა, ნიადაგ ომებსა და დაუცხრომლობაში მიაღწია სამეგრელომ უკანასკნელობამდის. საუკეთესო აბრაგნი და ქურდი კაცნი გაწყდნენ ბრძოლასა და ღევნაში. ერთმანეთში აღარა ჰქონდათრა, რომ ეპარნათ, ნამუშევარი აღარ მოდიოდა, რადგან მუშაობა მთლად შედგა, რაკი არც მოსვენება იყო და ყველა ხარჯი ომისა და აღელვებისა დააწვა მუშა ხალხს. თვით პირველ პირთა მიაღწიეს უკანასკნელობამდის. ისინი აღარა ხედავდნენ დასასრულს თავის მდგომარეობისას. აშლისა და შეთქმულებისა აღარა ჰქონდა იმედი კესარიასა და იმის მომხრეების მეცადინეობით და შეგნებით იქათ განიზრახეს ჩუმად სათხოვრის გაგზავნა ხვანთქართან, რომ ჩამოეშორებინათ ამათთვის თავის მთავრის სახლი.

დაწერილი ქაღალდი გაიგზავნა რამდენიმე არჩეული კაცის ხელით სტამბოლისაკენ. გადაყენება მთავრის სასახლისა იყო უეშველი იმ ფირმანის ძალით, რომელიც აძლევდა ნებას ამათ მთავრობისას, ვიდრე ეს იქნებოდა მოსათმენი ხალხისაგან. ახლა ხალხი თხოულობდა ამათგან განთავისუფლებას.

ეს შეიტყო გურანდუხტამ. ის უცებ გაჰქრა სასახლიდან.

როდესაც არჩეულნი ქაღალდის მისართმევლად მივიდნენ ტრაპიზონს, იმათ უცებ სთხოვეს, რომ მისულიყვნენ ტრაპიზონის ფაშასთან.

აქ უცებ დაუხვდათ ამათ გურანდუხტა.

ისინი ჯერ არამც თუ შეკრთნენ, კიდეც შეშინდნენ საშინლად. მაგრამ რაკი გურანდუხტა წახეს ალერსით და ტკბილის სახით, ისინი გამხნევდნენ. ერთი-ორი დალაპარაკების შემდეგ გურანდუხტასთან, ისინი თითქო სინანულშიაც შევიდნენ. „ამისთანა მშვიდობიანს, ამისთანა ტკბილს და მაღალსულოვანს ადამიანს, როგორ გამოუვა ხელიდან იმისთანები, რასაც ჩვენა ვფიქრობთ და რასაც ჩვენ უჩივითო. ალბათ დამნაშავენი ჩვენ თითონ უნდა ვიყვეთ ამასთან და სხვები უნდა აწუხებდნენ ამასა, თორემ განა ამის ხელიდან წყალობისა და სიტკბოების მეტი რამ უნდა გამოვიდესო!“ უტრიალებდათ ამათ ფიქრი თავში, როდესაც უყურებდნენ ისინი ტკბილად მოლაპარაკეს, დიდკაცურის სიამაყით და თავაზით მომზირალს გურანდუხტს. მაგრამ, როგორც მოაშორებდნენ თვალს და მოსწყვეტდა გურანდუხტა ლაპარაკს, იმათ აგონდებოდათ ის დღე და მწუხარებანი, რომელნიც მის ხელში გამოსცადა ოდიშმა და თვით ამათაც. ისინი ისევ განიზრახავდნენ თავის მინდობილი საქმის შესრულებას.

გურანდუხტას მჭევრმეტყველობამ, გურანდუხტას ლმობიერმა და მწყალობელმა სახემ, მეორე მხრივ იმისმა დიდკაცურმა სანახაობამ, თითქო ქვეყნის საქმეები ამის ხელთ იყვეს და ქვეყნის გაცემა ამას შეეძლოსო, შეაფიქრიანა ისინი. დაიწყეს ყოყმანი.

ყოყმანი გადაიქცა ყაბულად, რომელიც ამ მჭევრმეტყველობას და სანახაობას დაერთო მრავალი ოქროებიცა და მრავალი დაპირებაცა.

ამ ქალალდის მაგივრად სულთანს ამავე კაცების ხელით მოუვიდა სტამბოლს ქალალდი, სადაც მეგრელები სთხოვდნენ, რომ საუკუნოდ დაემკვიდრებინა ვამეყის სახლობა და მოესპო მანუჩარის წილობისთვის ყოველი საკუთრება და ცხოვრება სამეგრელოში.

XXXVI

გურანდუხტამ კარგად იცოდა, რომ ეს მეცადინეობა იყო კესარიასი და იცოდა, რომ კესარია არ არის ისეთი ადამიანი, რომ აგრე ადვილად შეარჩინოს ამას თავისი უბედურებანი. იმან იცოდა კარგად, რომ კესარია იყო ამისთვის საშიში, და თუ ეს ამას არ გაემგზავრებინა წიაღთა შინა აბრაამისსა, მაშინ, თვით უნდა გამგზავრებულიყო ამ გზაზედ. ამის გამო გურანდუხტა შეუდგა თავის მეცადინეობასა. იმან დაიწყო გამოკვლევა, თუ ვინ იყო დაახლოვებული და სანდო პირები კესარიასი, რომელთაც შეძლებოდათ მისვლა-მოსვლა კესარიასთან. იმან შეიტყო ესა. კესარიას ჰყავდა

ერთი მამიდა მონოზნად მარტვილის მონასტერში, რომელსაც გაეზარდა თვით კესარიაცა. კესარია სცემდა ამას დიდად პატივსა და მას დიდი გავლენა ჰქონდა კესარიაზედ.

ერთხელ მიბრძანდა გურანდუხტა მარტვილს სალოცავად, შემდეგ მხურვალეს ლოცვისა, ის მიუბრუნდა სიდონია მონაზონს.

— მთელ ოდიშში თქვენს ღვთის მოყვარეობაზედაა ლაპარაკი: თქვენი ლოცვა — ლოცვაა და წყევლა — წყევლა. მე დიდად მიყვარს ღვთის მოყვარე ადამიანი. ამოდენა მწუხარებაში, ამოდენა მოუსვენრობასა და არეულობაში, რომ ღმერთს არ მოენიშნა ჩვენთვის თქვენგვარი ღვთის მოყვარენი და ღვთის მოსავნი, მთლად ოდიში გასწორდებოდა დედამიწასთან... ხშირად მინახავხართ თქვენ სიზმარში ბრწყინვალებით შემოსილი, ღვთისადმი ხელებგანპყრობილი და მავედრებელი ოდიშის და ჩემი შვილების, და მინატრია: ნეტავც მის ბედნიერებას და მის სიწმინდეს-მეთქი... კი, იმედი მაქვს, დედაო სიდონია, რომ თქვენს ლოცვებში არ გექნებათ დაივიწყებული ჩემი ობოლი, დაჩაგრული შვილები.

სიდონია მონოზანი არასოდეს არ მოელოდა ამგვარს წყალობით მოპყრობას იმ საშინელის დედოფლისაგან, რომლისა წინაშე თრთოდნენ ყველა იმის მტერნი. პირიქით, ის ყოველ წუთს ელოდა ან მოკვლას, ან განდევნას იმისგან, რადგან იყო მამიდა კესარიასი. ამგვარმა მოპყრობამ ის პირიქით შეიყვანა დიდს ეჭვში, რომ ნუთუ მართალი უნდა იყვეს, რასაც ამაზედ ლაპარაკობენ. „ღმერთო! რა ცილს არ დეეწამებიან კაცს! ისტე წასწყმედენ კაცს, რო თვით არაფერ შუაში არ იყვეს!“ გაიფიქრა იმან გუნებაში.

საღამოზედ სიდონია მონოზანს მოუვიდა მრავალი საჩუქარი გურანდუხტასაგან. სიდონიამ იტირა სიხარულისაგან. იმას ამოდენა წყალობა სხვისაც არ ენახა, არამცთუ თავისი. ის იმავე საღამოთი წავიდა დედოფალთან, დაიჩოქა და ცრემლებით მოახსენა მადლობა.

— ვინ ღირსა, დედუფალო მაგოდენ შენს წყალობას. მე უღირსი, მე წაწყმენდილი, აქამდინ არც კი ვბედავდი შენს თაყვანებას... მარა, ისთე ღმერთმა შეიწიროს ჩემი სული, რომ ჩემს ყოველს ლოცვასა და ღაღადისში' ვიყავ მავედრებელი თქვენი და თქვენის შვილების.

გურანდუხტამ ააყენა სიდონია და აკოცა მხარზედ, როგორც უფროსს და როგორც ღირსეულს. სიდონიას გული ამან კიდევ უფრო შეიპყრო. ვინ? გურანდუხტა დედოფალი კოცნიდა ამას მხარზედ, ხდიდა იმას თავიზედ უფროსად. ის ხელმეორედ დაეცა მუხ-

ღებზედ მოსახვევნად, მაგრამ გურანდუხტამ არ მიუშვა და აიტაცა.

— შენებრ მწყალობელი დედუფალი, შენებრ ღვთის მოყვარე და ღვთის მოსავი დედუფალი, დადგეს, თუ სმენოდეს ჩემს ყურს. ვინაა იგი უბადრუკი, რომ გიბედავს წინააღმდეგობას, ვინაა იგი წაწყმედილი, რომ ბედავს შენს შეწუხებას! — შესძახოდა სიდონია.

— მაგითი გმართებს ჩემი შებრალება, ჩემო დედავ და ჩემი სულის მავედრებელო, — შესჩივლა გულდაწვით და სრულიად დაჩაგრულის უმანკოს კილოთი გურანდუხტამ, — ჩემი მტრები არ მაძლევენ მოსვენებას არც შინ და არც გარეთ, თვარა, რავა ღმერთმა არ უნდა შხამათ შემარგოს და ოხრათ დამინარჩუნოს ქონება, რომ შენებრ ღვთის მოსავს ადამიანს არ გაუწევდეს საკადრის პატივისცემას. მაგრამ რას იზამ, რომ მთელი ჩემი ქონება მიაქვს მტერს ჩუმათ თუ წარტაცებით... ჩემი მტერი არ სჯერდება ჩემი ობლობის დაჩაგვრას და მის გაცარცვას, ჩემი საყვარელი ქმარი, ჩემი გვირგვინი, ჩემი ნეტარება, — ჩემი ვამეყ; მასთან ჩემი სიყმის შვილი, ჩემი სულის ჩამდგმელი, ჩემი ტახტის დამამშვენებელი — ჩემი ჯამლეთ, ესთე ჩემი თვალების წინ, ერთს დღეს დამიხოცეს მტრებისგნით შემოჩენილთ კაცთა!.. ვაი ამ დღის მომსწრეს! — აქ გურანდუხტამ იტაცა თავში ხელი და დაიწყო ღვრა ცრემლებით. ის სტიროდა გულის მწარითა და მოსთქვამდა თავის ქვრივ-ოხრობას.

სიდონიას ამ მწუხარებისაგან აუტირდა გული, ნუგეშის ცემის მაგივრად, მანაც მოჰყვა მოთქმას თავის დიდებულს მთავარსა და იმის ძეს ჯამლეთზედ, რომლისაც მავედრებელი არის ეს ყოველ წუთს წინაშე ჩვენის მაღალის მეუფისა.

სიდონია არ გაუშვა ვახშმად გურანდუხტამ, ვახშმათ უკან სიდონია დაბრუნდა შინ გაგიჟებული გურანდუხტას დედაკაცობისა და დიდებისაგან.

იმ ღამეს თითქმის გათენებამდის არ დაუძინია სიდონიას. ის თან იგონებდა გურანდუხტას და თან შინჯავდა მისგან გამოგზავნილს საჩუქარს. ყველა ნივთი იყო ერთმანეთზე უკეთესი, ყველა იყო მძიმე ხელოვნებისა, ყველა იყო ოქრო და მარგალიტი, ან ოქროთი და მარგალიტით შემოსილი. ის შინჯავდა და კოცნიდა ამ ნივთებს. იმან რამდენჯერმე გაშინჯა, დაკოცნა და ჩაიხუტა გულში, შემდეგ, მოსვენების დროს დაიჩოქა ხატების წინ და დაიწყო ცხარის ცრემლებით ვედრება გურანდუხტას და იმის შვილებზედ.

— მიეცი, მეუფეო, ჩემი ყოველი წყეველა და დარისხება გურანდუხტასი და იმის შვილებისა დავიწყებას; მე ვარ ცოდვილი წი-

ნაშე შენსა, რომ გასმენდი მისთანა დიდებულს, მისთანა ღვთის მოსავს ადამიანს და მათ უმანკო შვილებს. მიითვალე ყოველი ჩემი წყევლა და შეჩვენება მათდა დღეგრძელობათ და ბედნიერებათ.

შემდეგ ამგვარის მხურვალე ვედრებისა, სიდონიას დაეძინა ტკბილად. ის ხედავს სიზმარში გურანდუხტას, რომელიც ამას მოსცემს სულ ოქროსა და დიდებაში, დაყავს ყოველთვის თავისთვის და ისვამს გვერდით ოქროს ტახტზედ და უცხადებს ქვეყანას, რომ პირველი დედუფალი ეს არისო, ეს არის ჩემი მარჯვენა მხარეო. ხალხი და თვით ჰყონდიდელიც ამას სცემენ თაყვანსა და იდრეკენ ამის წინაშე მუხლსა და სხვა...

მეორე დღეს საღამოზე ეწვია თავის ფეხით ამის საკუთარს სენაკში გურანდუხტა დედოფალი. მაშინ ხომ სიდონია მთლად დადნა. გურანდუხტა, რომელიც თვით ჰყონდიდელთანაც არ კადრულობს ჩისვლას, მოვიდა თავის საკუთარის ფეხით ამასთან. ამას ხედავს ყველა მონასტერში მცხოვრები. ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ სიდონია მართლაცა და არავის ტოლი არ არის.

ამ ნახვასთან გურანდუხტამ მოუტანა მას თავის საკუთარის ხელით მშვენიერი ბრილიანტით შეკრული საჩუქრები და მარგალიტის კრიალოსანი. სიდონია იყო ატაცებულივით სიხარულისა და ბედნიერებისაგან.

ამ ამბების შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე ნახა გურანდუხტამ სიდონია მონაზონი, მიიწვია თავისთან, და მასუკან გაემგზავრა ისევ ზეგდიდისაკენ.

გავიდა ერთი-ორი კვირა და გავარდა ხმა, რომ დედოფალი უპირებს სიდონია მონოზანს დაჭერას და მოკვლასო. ამ ხმების გავარდნაზე სიდონია მონოზანი გაიქცა ოდიშიდან. რა დღესაც იქ გაიქცა, იმავე ღამეს დაესხნენ ამის სენაკს გურანდუხტას კაცები. მაგრამ სიდონია აღარ დაუხვდათ აქა: ის გავარდა სვანეთში, თავის ძმისწულ კესარიასთან.

— ეჰ ჩემო ძმისწულო, ჩემო ბედნიერებავ! — ეხვეოდა ის კესარიას, — მეც მეწვია შენი ბედის საწერი: კინაღამ წავიწყმინდე სული და ჩაუვარდი ხელთ მას ამძვინებულს. გვდევნის არა თუ მარტო მე და შენ, არამედ უპირებს ყველა ჩვენი მისადევარის მოსპობასაც, მოსპოს მისი სული ღმერთმა.

აქ რომ სიდონია მონოზანი მოვიდა, გურანდუხტასთან ამ დროა გაგზავნილი ჰყავდა კესარიას ერთი მარჯვე მეთოფური სვანი. იმას გეეთქვა ჩუმად კესარია. ეს გათქმა არ იცოდა თვით კესარიას გარდა არავინ.

— აპა თუ მამყრი მის ჯავრს, — მკვიდრი დედუფალი ოდიშის მაშვინ მე ვიქნები და გაგაკეთებ, გააკეთოს ღმერთმა ჩემი სული და ჩემი ერთი შვილი, იმდენს ოქროსა და ვერცხლს მოგანიჭებ, რომ გეყოთ შენ და შენს ცოლ-შვილს საუკუნოთ.

ამ პირობების გარდა, კესარიამ მისცა თავის ქმრის, მანუჩარისეული თოფი და იარაღი და ზოგიერთა სხვა საჩუქრები.

სვანი შეუდგა საქმეს. ის ყოველ დღე ყარაულობდა გურანდუხტას და ეძებდა მარჯვე დროს.

ერთხელაც გურანდუხტა აპირებდა ჯარით გურიის მთავარზედ გასევას და ჰქონდა ამის დაწყობილობა, რომ ამასთან შევიდა სიდონია მონოზანი და გამოუცხადა კესარიას და იმის ვაჟის ერთს დღეს დახოცვა. გურანდუხტა გახარებული მოეხვია იმას და აღუთქვა მრავალი წყალობა.

— აწი კი ჩემი სახელი არის ბედნიერი შენგან, ჩემო დედის უძვირფასესო სიდონიავ! ჩემი შვილები იქნებიან შენგნით საუკუნოთ დავალებულნი. აწი მე ვარ მთლა მოსვენებული: სხვა მტრის მე არ მეშინიან. კესარია იყო ყველაზედ უფრო საშიშარი ჩემთვის. იმისი ბოროტი გული ამოიჭამდა, ჩემს გარე, ჩემს შვილებსაც. აწი კი ღმერთს მოუხედნია ჩემსკენ.

პატარა ხანს უკან ის, გახარებული, გაემზადა ჯარის გასასინჯათ, რომელიც უნდა შეყრილიყო რუხის ციხესთან.

ის მშვენიერის რახტით შეკაზმულ ცხენით გაემგზავრა რუხისაკენ. მას ახლდა მრავალი ამალა, სულ მშვენივრად დაკაზმულნი. იმ სრულიად ჰგვანდა ბრწყინვალე დედოფალს: ოქროსა და ვერცხლს გაჰქონდა ლაპლაპი, ბრილიანტები, რომელიც უბოძა ამას სულთანმა და რომელიც ხშირად ეყარა დედოფალს, მოსჭრიდა კაცს თვალებს.

დედოფალი თავის ამალით ჩავიდა ერთს ვიწრო დალმართს, რომელიც ხევად მიდის ნიკოსიდან რუხს. გახარებული დედუფალი ანავარდებდა თავის მშვენიერს ცხენს, რომელიც თითქო თვითაც აცაყობდა, რომ ამისთანა დიდებული დამყავს ზურგითაო, გურანდუხტა ასე მხიარული არასდროს არ ენახათ. ყველანი იყვნენ ამის მოლხენით მხიარულად. გურანდუხტა აღუთქვამდა ყველას წყალობას.

ამ დროს გავარდა ტყის სიღრმიდან ტყვია და გაუარა გურანდუხტას გულში.

ამალა აირია.

გურანდუხტა უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან.

XXXVII

გურანდუხტას სიკვდილი მოვიდა სტამბოლს. ამ ხანებში მოკვდა ჯავრისაგან მისი მწყალობელი სულთანიც, რომელიც ამჟამად ეომებოდა რომელსამე ევროპის ხელმწიფეებს და ნიადაგ მოსდიოდა თავისი ჯარების დამარცხების და ნახევარ საოსმალოს მტრისაგან დაჭერის ამბავი. აჭამდის დაუმარცხებელი და მტერთათვის შესაზარავი მფლობელი შეურყეველის ოტომანის ბრწყინვალეს ძორტისა ვერ ინელებდა ამ თავის დამარცხებას. ის გზავნიდა ახალახალ ჯარებს, ახალახალ სარდლებს, მაგრამ ყველა იყო ამაო: ჯარისკაცები იყვნენ ბრიყვნი და მოუხეშავნი, მანქანის მსგავსად გამოწყობილნი და გონებაც მანქანად ქცეოდათ; სარდლები იყვნენ გონებაგაუხსნელნი, დაჩვეულნი განცხრომით ყოფნას და დაიმედებულნი მხოლოდ თვის გარეგანს მუშურულს სანახაობაზედ, — ისინი იყვნენ დახელოვნებულხი მხოლოდ ხაზინისა, ჯარებისა და თავისვე ხალხის ცარცვაში, რომელსაც იმათ სულთანი არასდროს არ უშლიდა და თვითაც ხელს უმართავდა, რადგან ისიც თავის მოხელეებივით უყურებდა ხალხს, როგორც პირუტყვთ, რომელთაც მხოლოდ უნდა ემუშავნათ თავის პატრონებისათვის. ამის გამო ამ ომებში სარდლები მხოლოდ ცდილობდნენ, რომ თვითონ გამდიდრებულიყვნენ, და სალდათებმა კი, შიმშილით და სიტიტვლისაგან შეწუხებულთ, არ იცოდნენ რაზედ უნდა გამოედოთ თავი და შეჰკვდომოდნენ მტერსა. პირველსავე შეხვედრაზე არა ჯარები უფრო გარბოდნენ, არა სარდლები: სარდლებს ენანებოდათ იმოდენა ქონების დატოვება და უნდოდათ კიდევ ეცოცხლათ, რომ დამტკბარიყვნენ თავისის მრავალის საცხოვრებლითა; ჯარისკაცები ინახავდნენ თავს თავისის უპატრონოდ და უსაზრდოდ დატოვებულის ცოლ-შვილის საპატრონოთ. ამ ამბავმა სულთანი თანდათან შეაშფოთა და იმან ირჩია, რომ არ მოსწრებოდა თავის საშინელს დამცრობას, გადაუწყვიტა თვითვე თავის თავს სიკვდილი.

ეს დროება იყო, რომ მოუვიდა ამბავი სტამბოლს გურანდუხტას შვილს კოწიას, რომელიც აქ გაგზავნა იმავ პატარობითვე გურანდუხტამ სასწავლებლად, რომ მოკვდა დედაშენი და მოეპატრონე შენს სამთავროსო. ის მაშინვე დაბრუნდა სამეგრელოში და მიიღო მთავრობა.

გაზრდილს ოსმალთა დიდკაცთა შორის, იმას არავითარი შრომა არა გააჩნდა რა, იმის სიცოცხლის აღსარება იყო: მშვენიერი ქალი, კაი ძაღლი, კაი ცხენი და ნიადაგ განცხრომით შექცევა.

— უამათოთ, შენ არ მოუკვდე, კაცი მანყულათ არ ღირდეს! — ეუბნებოდა ის თავის დაახლოებულებთ.

იმან მიჰყო ხელი დედისგნით დატოვებულს ცხოვრებას და დაიწყო ქეიფი. ყოველ კვირას ჰქონდა გამართული დოღი, სადაც თვითონაც ხშირად იღებდა მონაწილეობას და აჩვენებდა თვის ცხენებს და მხედრობას; ყოველ დღე იცვლიდა თითქმის მშვენიერთ ქალწულთ ქალს და სადაც კი დაიგულებდა, ამათ საშოვნელად არა ზოგავდა არავითარს ხარჯს, არავითარს ნივთს; ყოველ დღე ატარებდა ნადირობაში დროს, ყოველ ღამე ჰქონდა გამართული ლხინი.

მმართველობა ხალხისა ამისთვის იყო გაუგებარი. იმას უკვირდა, რომ არ იყო გზები სამეგრელოს მშვენიერს ვაკე ადგილებზე და ვერ წარმოედგინა, რომ გზები, რომელიც ამას ენახა სხვა ქვეყნებში, იყვნენ მმართველობის თაოსნობით და ხალხის ხელით გაკეთებული; უკვირდა, რომ ხალხი იყო ამ სიღარიბეში და ვერ მოიფიქრა, რომ ამგვარს ღარიბ ხალხს მისი ყველფა უფრო კიდევ უარესად აღარიბებდა და ამის უთაურობა უფრო ძირსა სცემდა. ის ხალხის ღარიბულად ცხოვრებას აბრალებდა იმათ უნდომურობას, თორემ „ისტე ღარიბი კაცი რავა იქნება, რომ კაი ცხენი, კაი სახლი, კაი ტანთსაცმელი და სადილად კაი ირმის ხორცი არ ჰქონდეს. ირემი რავა ძნელი საშოვარია: გადი ტყეში, წეიყვანე მეძებრები, ესროლე თოფი და მოჰკალ! მარა, ისტე მურტლობას და შიმშილს რო არიან დაჩვეულნი, შენ არ მოუკვდე, ველარ გადაჩვეულან!“ ამგვარის იმათის სიცუდკაცისათვის ის არა ხედავდა საჭიროდ, რომ შეებრალებინა ისინი და უარესად ართმევდა იმათ უკანასკნელს სარჩოს.

ამგვარს ამის მმართველობის დროს წაიჭიმეს აფხაზებმა თავი და დაიწყეს შემოსევა სამეგრელოში და ცხადლივ დღისით ტაცება საქონლისა და საცხოვრებლისა. თვით სამეგრელოში ერთიორად იმატა ქურდობამ და მტაცებლობამ. კვაჭი შერვაშიძემ დაიწყო ცხადლივ ბატონობა სამურზაყანოში; დადიშკელიანები აღარ აძლევინებდნენ წართმეულს სვანეთს დადიანისათვის ხარჯს. კოწია ეწეოდა ქეიფს, ის არაფერს არ უგდებდა ყურს, ის თვის შესაქცევად ართმევდა უკანასკნელს გროშს თავის გაღატაკებულს ხალხს.

შეჭირვებულმა ამ ცხოვრებისაგან, მეგრელთ ჩუმად შეუთვალეს ბიზანტიელებს დაპყრობა სამეგრელოსი და აღუთქვეს თვით დახმარება ამ საქმეში, მეგრელთ მოისაზრეს, რომ უკეთესს ვერავის მიმართავდნენ, რადგან სარწმუნოება ერთი ჰქონდათ. მაშინ ბიზანტიის მეფემ შემოუსია ჯარი ოდიშს. ის დიდი ხანია ეძებდა მარჯვე დროს, რომ დასხმოდა სამეგრელოს, გადაეყარა დადიანები

და დაეპყრო ოდიში. მარჯვე დროც ეს იყო: გურანდუხტა აღარ იყო ცოცხალი, მანუჩარის ცოლი, კესარია, რომელიც იყო სამეგრელოს მთავრობის მოდავე და საშიში, აღარც ის იყო ცოცხალი; გურანდუხტას სახლის მწყალობელი სულთანი მოკვდა. ოსმალო იყო ომებში გაბმული და შეწუხებული; გურანდუხტას მემკვიდრე, კოწია, იყო უძლური დარდიმანდი, ხალხი თხოულობდა ბიზანტიასთან შეერთებას.

იმარჯვეს ეს დრო ბიზანტიელთა და შემოესივნენ სამეგრელოს დიდძალის ჯარით. ხალხი ხელგაპყრობილი ეგებებოდა ბიზანტიელებს, თავის მხსნელებს.

ეს ამბავი მოუვიდა კოწიას და არ იცოდა, რა უნდა ექნა, თავისთანა ყველა მახლობელი ჰყავდა იმისთანა კაცები შერჩეულნი, რომელნიც სრულებით ყველაფერში ჰგავდნენ ამასა: ქალებზედა და მხეცებზედ ნადირობის მეტი არა იცოდნენ რა. ამ ამბის გაგონებაზედ ისინი კოწიაზედ უარესად დარჩნენ პირდაღებულნი. ოდიშში კაცი არ გამოჩნდა, რომ გამოეჩინა ბიზანტიელთათვის წინააღმდეგობა. ბიზანტიელნი შემოერტყნენ ზუგდიდს სწორედ იმ დროს, როდესაც კოწია ბრძანდებოდა განცხრომაში ერთს მშვენიერს ქალწულთან. იმის მახლობელნი ღამითვე, კოწიას გაუგებრივ, გაიქცნენ ზუგდიდიდან. კოწიას არც კი შეატყობინეს, რომ ამისთანა უბედურება ადგებოდა თავზე. კოწია ასე უცებ არ მოელოდა ამ ამბავს. ის თავის დღეში არ შეხვედროდა პირისპირ არა გაჭირვებას და არა მწუხარებას; იმას ესეები გაეგონა მხოლოდ როგორც ანდაზა, როგორც გასართობი ამბავი. ამის გამო ის ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ანდაზადა და შესაქცევრად მოგონილი ამბები იქნებოდნენ ნამდვილი მოვლინებანი ცხოვრებაში და თვით ამასაც მოელოდა ეს დღენი. როდესაც იმას მოსდიოდა ამბავი, რომ ბიზანტიელნი შემოესივნენ ოდიშსაო, იმას ეს უფრო ხუმრობასა და შექცევასავით მიაჩნდა, ვერ მოეფიქრა, რომ ისინი აქამდინაც მოაღწევდნენ. „ალბათ თავის ქვეყანაში მობეზრებია შექცევა, — ფიქრობდა კოწია გუნებაში, — და აქანა წამოსულა შესაქცევრათ, ჩემს ქვეყანაში. მეც, როცა მომბეზრდება ოდიშში შექცევა, შევესევი მათ ლამაზ ქალებს და წამოვასხავ იქიდან რაც კაი ცხენები და კაი ძაღლებია; მოუკიდებ გაშხმარი ხის ოდებს და ფიცრებს ცეცხლს და ვუმზერ სიამოვნებით, რავარც ალი დაიწყებს ცას ტანებას და შეიქს გუგუნს“. იმან, გაზრდილმა ნებივრობასა და ფუფუნებაში უცხო ქვეყნის დიდკაცებთა შორის, არ იცოდა გაჭირვება და უცებ ქვეშაგებში მყოფს, შექცევით დროს გამტარებელს მოახსენეს შეშინებულთა და დასისხლიანებულთ მსახურთა, რომ ჯარი შემო-

ერტყა ზუგდიდსა და დაიჭირა ბაზარიო. ამათმა შეშინებულმა სახემ და სისხლმა დასცა რაღაცა განწირულების უძლურება კოწიას. იმან არ იცოდა რა ექნა. თოფის სროლა, ყიჟინა და მწუხარების ჟრიამული თანდათან უახლოვდებოდა ამის საპაჭლეს. მას დაუწყო გულმა და ფეხებმა ერთნაირად თრთოლა. ის ვერ ახერხებდა ვერაფერს, ვერც გაქცევას, ვერც დაყვირებას, ვერც ტირილს, თუმცა ყველაფერზედ ეს მზად იყო. იმას ამ მდგომარეობაში მოასწრო სასახლეში შესულმა ჯარმა და ცარიელი პერანგის ამარა, თავისის ღამის ამხანაგითურთ მიგვარეს სარდალს.

სარდლის მრისხანე დანახვაზედ ვერ მოახერხა კოწიამ ვერაფერი, იმას წაერთვა თვით ხმაცა და ენის მოძრაობაცა, იმან მხოლოდ ესღა მოახერხა, რომ არ მოეკლათ და ეპატივებინათ თავის ღმერთისათვის: დაიჩოქა ორთავე მუხლებზედ, განიპყრო ხელები და უცნაურად შეჰბღავლა მოზვრულის ხმით, უსიტყვოდ, ენის შეუძვრელათა, აქ წასქდა ტირილი, ის იღვროდა ცრემლითა.

სარდალმა უბრძანა გასტუმრება. ის წაიყვანეს.

სარდალმა დაიმკვიდრა მთავრის სასახლეში, გაგზავნა ჯარი ყველა სადადიანო ადგილებში და მთლად სადადიანო გამოაცხადა ბიზანტიის საბრძანებლოდ.

ამით გათავდა იმჟამად დადიანთა მთავრობა სამეგრელოში. კოწია დადიანი შეაყენა ბიზანტიის სარდალმა ბერად ერთ რაჭის მონასტერში ცოდვების მოსანანიებლად. და რადგან კოწია სრულიად დაემონა თავის ხვედრს და აღარ იჩენდა კვალად დადიანობის სურვილს, ამის გამო სარდალმა ბოლოს უწყალობა იმას წინამძღვრობა იმავე მონასტერში. ერთხელ შიშნაჭამი კოწია ველარ ბედავდა კვალად გამთავრების ფიქრსაც, ოღონდ ნუ დაუშლიდნენ ლამაზ ქალებს, კაი ცხენებს და კაი ძაღლებს, რომელთაც სარდალი სრულიად არ უშლიდა, ოღონდ ის თავის მხრივ ნუღარ გაიფიქრებდა თავის სამკვიდროს დაბრუნებას.

XXXVIII

ეს დროება იყო, რომ მაცი მაგრად შებოჭილი მოიყვანეს სამეგრელოში. შემდეგ ბევრის ტანჯვისა, ბევრის მეცადინეობისა და ბევრის ღელვისა, მაცი დაბრუნდა ისევ თავის ქვეყანაში.

მაცი სიამოვნებით მოკვდებოდა, მაგრამ ამას აშინებდა ის სატანჯველი, რომელიც მოელოდა გურანდუხტას ხელში. ამ სატანჯველის მოლოდინში, ის გულმოკლული მოდიოდა სამეგრელოში, სადაც აღარ ეგულებოდა თავისი ეკა, რომლის ძებნაში გაატარა რამდენიმე წელიწადი საოსმალოში. ის ბრუნდებოდა ხელცარიელი,

იმან ვერც კი მოასწრო ნახვა და დაწვრილებით ამბის გაგება თავისი სასურველი ეკასი. მაცის ვერასდროს ვერ წარმოედგინა, რომ იმას თავისი ეკა დაემალებოდა სადმე და ნახვასაც არის ვერ მოაგვარებდა, მაგრამ ეს აზრი წაუხდა. ერთმხრივ ეს აღელვებდა კიდევ მაცის გულს. ის სრულებით თავგადადებული ბრუნდებოდა სამეგრელოში, რომ გზაში გაიგონა გურანდუხტას სიკვდილი და იმის შვილი კოწიას შეპყრობა და ბიზანტიელთაგან სადადიანოს დაპყრობა.

ის იმავ თაობითვე უმალავდა ოსმალებს თავის სახელსა და გვარს და რაკი გაიგონა, რომ ბიზანტიელთ უჭირავთ ოდიშიო, მაშინ ხომ სრულებით აღარ ამბობდა თავის ვინაობას.

ოსმალებმა ის ჩააბარეს ბიზანტიელთ. ამათ ჩასვეს ის ციხეში და დაიწყეს გამოკითხვა ვინაობისა. მაცემ უამბო, რომ ის იყო ტყვეთ წაყვანილი საოსმალოში პატარაობითვე და რაკი არ მიიღო თათრების რჯული, ამის გამო გამოისტუმრეს ისევ აქაო.

— გვარი და სახელი ჩემი ასტე მახსოვს, რომ პატარაობით მიწოდებდნენ კიკოლიკას სახელად და გვარად კიწავას.

ბიზანტიელნი შეფიქრიანდნენ, უპირებდნენ სარდალს ამ ამბის მოხსენებას, რომ უცებ ეს კიკოლიკა კიწავა მართლაცდა კი წავიდა ერთს ღამეს ციხიდან.

შენს მტერს ის საქმე, რაც შიში ამისმა წასვლამ დამართა ბიზანტიელთ. გავარდა ხმა, რომ ეს ტუსაღი იყო ხონთქრის ვეზირი და განგებ იყო გამოგზავნილი, რომ შეეტყო ციხეების სიმაგრეები, ბიზანტიელთა ძალა და მეგრელების მდგომარეობა, რომ უფრო ადვილად გაერეკათ ბიზანტიელნი სამეგრელოდანაო. სარდალმა გასცა ბრძანება, რომ ვინც იმას დაიჭერდა, აჩუქებდა ხუთას ოქროს. ყარაულებს, რომელთაც ეს გაუშვეს, ზოგს დააჭრა ყურები და ზოგს დასთხარა თვალები, რომ ეგ თვალები იმიტომ გქონდათ, რომ დაგენახათ ტუსაღი, და ყურები იმისთვისა, რომ გეგდოთ იმისთვის ყურიო.

ხუთასმა ოქრომ მთელი სამეგრელო დააყენა ფეხზედ; მაგრამ ყველას შრომა შერჩათ ამაოდ. მესამე დღესვე გავარდა ხმა, რომ ერთ ოსმალურ ხომალდში ჩაჯდა ვეზირი სულ ოქროს ტანისამოსში და წავიდა ოსმალეთისაკენაო.

ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ოდიშელებიც და ბიზანტიელნიც ამ ხმის სინამდვილეზედ. ბიზანტიელნი აიტანა შიშმა. სარდალმა დაიწყო მზადება და უმატა ჯარებსა. ის იყო ყოველ დღე მოლოდინში, მანამ არ მოუვიდა ამბავი, რომ თითონ ოსმალები დიდს გაჭირვებაში არიან და საამისოდ იმათ არა სცალიანთო.

მაციმ მართლაცდა ისარგებლა ამ ხმის გაგონებით. მან მეორე დღესვე მოჰკრა ყური, რომ ვითომც ეს ვეზირი ყოფილიყვეს. საცაღას ჩაიგდო ერთი მდიდარი ოსმალოს ვაჭარი, გახადა ტანისამოსი, ჩაიცვა და ავიდა ერთს სავაჭრო ოსმალურ გემზედ, რომელიც იყო ყულევს მოსული. იქ იმან გაიხადა ეს ტანისამოსი, ჩაიცვა თავისავე ჩოხა და გამოვიდა. ეს იყო ის ვეზირი, რომელსაც ასე შიშით უყურებდნენ ბიზანტიელები.

მაციმ რაკი ამგვარად ატყუა თავის მდევნელები, ხელმეორედ განიზრახა გუნებაში დაბრუნება საოსმალოში ეკას საძებნელად. ის თავის თავს ჰრაცხდა ახლა უფრო გამოცდილად და ჰქონდა იმედი როგორმე ეკას ნახვისა. მაგრამ იქ წასასვლელად იყო საჭირო ფულები, რომელიც უნდა რამე ღონისძიებით შეეკინა, აგრეთვე უნდოდა ენახა თავისი დედა და დები, რომელნიც უნდა დაემშვიდებინა, რომ ეს იყო ისევ ცოცხალი. მაგრამ ეხლავე ამათი ნახვა იყო საშიშარი, რადგან გავარდებოდა სამეგრელოში ამისი მოსვლის ხმა და ელოდა ხიფათი, რადგან რაც დაიმკვიდრეს აქ ბიზანტიელთა, იყო საშინელი დევნა ყველა ქურდისა და აბრაგისა. ამის გამო იმან დაინახა საჭიროდ, რომ ჯერჯერობით გასულიყო სვანეთს, საიდანაც შეეძინა საკმაო ფულები და მერე გზად ენახა თავისი დედა და დები და აქედან გასულიყო ოსმალოში.

XXXIX

უპირველეს თავის ვალად ჰრაცხა სარდალმა, რომ მოესპო სამეგრელოში ქურდობა და აბრაგობა. იმან გამოუცხადა ხალხს, რომ არც ერთს ქურდს, არც ერთს აბრაგს არ დააყენებდა ოდიშში და სულ კორტოხს იქით გადაჰყრიდა, იქ, სადაც თვით მზეც აღარ ამოდიოდა.

შეჩვეულნი ამგვარს ცხოვრებას, გადაჩვეულნი შრომით ცხოვრებას, გაუსწავლელნი ყოველრიგს ხელობასა და ხელოვნებაში, მეგრელნი ვერ გადაჩვეულიყვნენ ქურდობას და აბრაგობას. ამის გამო სარდლის ამ ბრძანებაზედ იმათ ყურიც არ გაიბერტყეს.

მაშინ სარდალმა დააწესა ქურდობისა და აბრაგების გადასაწყვეტი სამსაჯულო და შეუდგა ქურდებისა და აბრაგების ჭერას. იმან ამათ მოსაძებნად არ მოანდომა ბევრი ხანი. გამოაცხადა, რომ ვინც აღმოაჩენდა ვისმეს ხელში ნაქურდალს, ან ვინც აღმოაჩენდა ქურდსა და აბრაგს, ეძლეოდა იმას ამ ქურდისა და აბრაგის ნახევარი ცხოვრება. იმან იქირავა მცხოვრებლები გამოჩენილთ ქურდთაგან, რომელნიც ფარულად იყვნენ მმართებლობასთან შესულნი და ხალხში

ისევ ხალხის ერთგულებას იჩენდნენ. მაშინ დაიწყო დენა მრავალისაგან მრავალმა გამცემმა ხალხმა და აძლევდნენ მმართებლობას ხელთ, ვისაც კი ცოტაც არის ეგულებოდა ამგვარი ხელობა. აღარ იყო აქ დანდობა არც ძმის, არც ნათესავის, არც თვით ამხანაგის ავ ხელობაში. მეფისაგან დაწესებული სამსაჯულო თითქმის ნახევარს ამათგანს ჰპოვებდა დამნაშავედ და ისტუმრებდა კორტოხს იქით, სადაც თვით მზეც ძლივს ამოდიოდა, მუდამ აუღებელს თოვლიანს და ყინვიანს ადგილებში.

ამგვარმა უცებ ცხოვრების შეცვლამ შეარყია სამეგრელო ძირფესვიანად. ყველანი შიშის ზარდაცემულნი ელოდნენ: აცა ეხლა ვისმეს დაბეზღებით დაგვესხმიან სარდლის კაცები და წაგვასხამენ მსაჯულებთანა, აცა ეხლაო. ამ მოლოდინსა და შიშსა ყველა ცდილობდა, რომ თითონ გადარჩენოდა ამ უბედურებასა და რომ თითონ კარგ კაცად გამოსულიყო, შეჰქონდათ ერთმანეთზედ ბეზღობა ჩუმჩუმად და არა ზოგავდნენ თვით უუმართლეს კაცთაცა.

ამ ცხოვრებაში ჩაცვივნულნი, ისინი თანდათან ღარიბდებოდნენ და ყველა სახლი ისაკლისებდა თითოს ან რამდენსამე წევრს ოჯახიდან, რომელნიც ინახავდნენ ამ ოჯახებს. ამითი უფრო უჭირდათ ამათ ცხოვრება და უფრო და უფრო ცდილობდნენ ერთმანეთის ბეზღებას, რომ ამითიც არის გაეჩინათ თავისი საზრდო. ჩაცვივნულნი ამ გაჭირვებაში ისინი კიდევ უფრო ვერ ითმენდნენ, რომ არ ეპარნათ, რადგან ეს ერთი ხელობაღა იყო, რომლითაც შეეძლოთ თავის შენახვა, ამის გამო ქურდობამ, კლების მაგივრად — იმატა, მხოლოდ ქურდობა გაჩნდა უფრო ჩუმი; ქურდობდნენ უფრო საწყალთ ხალხთა, რომლებისაც ჰქონდათ იმედი, რომ ვერ შეებძლებდნენ ქურდობის დევნას და პოვნას.

შთაცვივნულთ ამ გარემოებაში, დაიწყეს ქურდობა თვით იმ მუშაკთა, რომელნიც აქამდის ცხოვრობდნენ მიწის ნაყოფიერებით, ან პირუტყვთა მოშენებით, რადგან აღარ რჩებოდათ ამათ ქურდებთაგან არავითარი საზრდო.

სარდალი ხედავდა ამ ქურდთა დევნაში ყოველს სამეგრელოს ბედნიერებას, ამ ქურდობის მოსპობით ფიქრობდა ხალხის გამდიდრებას და წარმატებას. ამის გამო, რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო ხმარობდა ყოველ ღონისძიებას ქურდობის მოსასპობად. ის ვერ მიხვედრილიყო ნამდვილს მიზეზს ამ სიწამხდრისას, ვერ შესდგომოდა ნამდვილს საქმეებს და წესებს, რომლითაც მოისპობოდა ეს უცნაური ცხოვრება და ჩვეულება ახლად დაპყრობილი ხალხისა.

სარდალი, შთავარდნილი განათლებულ ხალხთა შორის, ცდილობდა იმათ მიბაძვას ყველაფერში და ყოველ თვის ქცევისა და დაწყობილების გარეგანს სანახაობას ამსგავსებდა განათლებულს ხალხთა, ხოლო შინაგანი მსგავსება, მიბაძვა შინაგანის მოძრაობისა და მოწყობილობისა იმას ვერ შეენიშნა დაწინაურებულ ხალხში, და ამის გამო შინაგანს გარემოებებში ის სრულებით არა ჰგავდა ევროპიელთა. მაგალითად შეტყობილი ჰქონდა, რომ არის სასწავლებლები ევროპაშიო და ამანაც დააწესა სასწავლებლები, სადაც გარდა ღვთის მეტყველებისა და თრინჯულისა და ასურულის ენისა არას ასწავლიდა. ამ სასწავლებლებიდან გამოდიოდნენ მხოლოდ თავხედი სწავლულები, რომელთაც თავის ზევით კაცი არ გააჩნდათ და თავის ცხვირს იქით არას ხედავდნენ, აგრეთვე შეეტყოთ ბიზანტიელთა, რომ ევროპაში სხვა რიგი სამართალია და ამათაც დააწესეს მათგვარი სამართალი. ამ სამართალში იყვნენ ბრალმდებლებიც, ნაფიცი რწმუნებულებიც, ისე ადვოკატებიც, მაგრამ მოსამართლეთ კანონად ჰქონდათ, რომ დამყარებულიყვნენ კანონზედ და არ მიეცად ნება თავის სინდისისა და კაცობრივის გულის მხილებისათვის. ამას გარდა, თუნდაც სამართალს გაემართლებინა კაცი, თუ ეს კაცი არ მოსწონდა მმართებლობას, ოცდაოთხ საათის განმავლობაში შეეძლო თუნდა სახრჩობელაზედ აეგზავნათ. თუ ვინიცობაა იცოდა მმართებლობამ, რომ ამადაამ კაცს სამართალი ვერ უპოვის საკმაო გასამტყუნარს საბუთს, მაშინ ის თვით უსამართლოდ რასაც უნდოდა უზამდა ამ კაცს. დააწესა სხვათა განათლებულთა სახელმწიფოთა მიბაძვით შინაგანი საერო სამმართველოცა, სადაც ყველა ფულისა და ხარჯის მოთხოვნა და თვით ეს მმართველობაც იყო სრულს მმართველობის ნებაზედ. ერთის სიტყვით გარედან ის ჰგავდა განათლებულს სახელმწიფოს, შიგნიდან იყო იგი მოშლილი ჩარხი, იგი თვითნება ბრძანებელი, რომლისათვისაც გარეშე თვით სურვილისა არ არსებობდა არავითარი ნება, არავითარი სიმართლე.

ამავე მიბაძვით გაიმართა სარდლის ბრძანებით სამეგრელოში განათლებული სამართალი, სადაც ყველა დამნაშავეს ჰქონდა ნება თავის სიმართლის დასაცველად მოეყვანა მცოდნე მოლაპარაკე კაცნი და მმართებლობას თავის მხრივ ჰყავდა ბრალმდებელი. მხოლოდ ბიზანტიელთა მმართებლობამ ამაოდ მიიჩნია ხალხთაგან ამორჩეულ მოსამართლეთა მოხმობა და დაფიცებულ ბჭეთა დაწესება. რადგან დიდი სურვილი ჰქონდა მმართველობას, რომ სამეგრელოში ყოველი საქმის წარმოება ყოფილიყო ბიზანტიელთა ენაზედ, მეგრელებმა ყველამ არ იცოდა ბიზანტიური, რომ შესძლე-

ბოდათ გასამართლება ამ ენაზედ, რასაკვირველია მოსამართლენი, რომელნიც იყვნენ მეგრელებისათვის ბიზანტიელთაგან დაწესებულნი, რომელთაც არც იცოდნენ მეგრელთა ჩვეულება, არც იმათი საზოგადოებრივი ცხოვრება, გადმონაცემი ადათები, არ იცოდნენ იმათი ჭკუისა და აზრის მდგომარეობა, იმათი ისტორიული ცხოვრება და აღზრდა, — ყველა მეგრელის მოქმედებას უყურებდნენ იმ თვალით და აზრით, რაშიაცა და როგორც თითონ იყვნენ აღზრდილნი. ყოველს მეგრელის მოქმედებაში, რომელიც არ იყო ბიღებული ამ მოსამართლეების და მმართველობის ქვეყანაში, ჰხედავდნენ საშინელ დანაშაულად და წინააღმდეგ საქმედ. რამდენიც აქაური ცხოვრება არა ჰგავდა იმათს ცხოვრებას, იმდენი ჰპოვებდნენ, რომ მეგრელნი არიან მთლად წამხდარნი და არ არიან არაში დასაზოგავნი. ახლა აძგვარს აზრს ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ეს უცხო ადგილებიდან მოსულნი მოსამართლენი და მმართველნი, შეჩვეულნი ამ ახალს ხალხში, ხამნი და უცხონი სრულიად ამათის ჩვეულებებისა და ქცევისა, ამათის შინაურისა და გარეულის ცხოვრებისა, დამორებულნი თავის ქვეყანას, მეგობართ და მახლობელთ, — ესე ყოველი იმღვრევდა იმათ გულსა და ბრაზს იყრიდნენ მეგრელებზედ, რომელთაც თითქო ჰპოვებდნენ ყველა ამაში დამნაშავედ. მის მაგივრად, რომ თითონ შეჩვეულიყვნენ ამათს ცხოვრებას, დაახლოვებოდნენ ამათა, შეესწავლათ ცხოვრება და გარემოება ამათი, რომ ამითი შეძლებოდათ ამათის ავისა და კარგის მხრის დაფასება, ისინი სდევნიდნენ და დასცინოდნენ ყოველს ამათს ცხოვრებას, ყოველს ამათს მოქმედებას. რაკი ხედავდნენ, თავისის აზრით გამოყვანილს ამათს ცუდს ცხოვრებას, იმათ მოინდომეს ამათი შეცვლა და ქცევა იმ ხალხად, რომელსაც თითონ ეკუთვნოდნენ. ამის გულისათვის არა ზოგავდნენ არავითარს ღონისძიებას. შემოიტანეს ბიზანტიური ენა ყველა საქმის წარმოებასა, ყველა სამმართველოსა და სასამართლოს საქმეებში; აღკრძალეს ქართული ენა სასწავლებლებში; სდევნიდნენ თვით იმათაც, ვინც ამათთან ილაპარაკებდა ქართულს. რაკი იცოდნენ, რომ არა ხალხი აგრე ადვილად არა თმობს თავის ჩვეულებებს, რჯულს, ენასა და ხალხოსნობას, ამის გამო ყოველთვის იჭვში იყვნენ, რომ უთუოდ მეგრელნი ამ ჩვენს ქცევას არ უყურებენ მეგობრულადაო, და ამის გამო ყოველს იმათ სიტყვაში ხედავდნენ თავიანთ წინააღმდეგ საქმეებსა; აზვიადებდნენ ყველა ამას და აძლევდნენ პოლიტიკურს და ამსახველს მნიშვნელობას. ყოველი უბრალო საქმე, გაზვიადებული და გადაკეთებული თავისებურად, მიჰქონდათ უმაღლეს მთავრობას-

ოან და აბეზღებდნენ სრულიად უბრალო ხალხს. გარდა ყველა ამისა, ეს მოსამართლენი და მოხელენი, გაზრდილნი იმ სკოლაში, სადაც კაცს თავისი გარე ქვეყანა ჩალად მიაჩნია, უყურებდნენ, არამც თუ მეგრელთა, არამედ თავის ხალხსაც, როგორც თავის კუჭის საზრდოს, — უყურებდნენ მეგრელებს, როგორც თავის საყმოს, რომელმაც უნდა ესენი აცხოვრონ. მაგრამ რაკი თავისის აზრით არა სცნობდნენ ამათ ღირს ხალხად, რომელსაც ცოდნოდა პატივი და ყადრი ამგვარ დიდებულთა, ამისა გამო იმათ გამოჰყავდათ ის აზრი, რომ მეგრელნი არ იყვნენ ღირსნი იმ მშვენიერს მდიდარს მაშულში და უხვს ბუნებაში ცხოვრებისა, რომ ამ მამულს ესენი უფრო კარგად მოიხმარდნენ უამათოდ, ამის გამო ისინი კიდეც განიზრახავდნენ გუნებაში მეგრელთ გადასახლებას იმათ ადგილ-მამულიდან სადმე საოსმალოში, ან სხვა შორეულ უნაყოფო ადგილებში, და ამათ მამულების დაჭერას და დაყოფას, სადაც დაასახლებდნენ ხიზნად თავიანთ ხალხთა. ამ აზრის შესასრულებლად ისინი იგონებდნენ ხან აღრევას ბიზანტიელთა გასარეკად, ხან შეთქმას სხვა ხალხებთან და ამგვარებთა და ასმენდნენ ამისთანაებით ამ ხალხს მეფესა.

თავისის მხრით, მეგრელნი, რომელნიც ხელგაპყრობილნი მოეგებნენ ბიზანტიელთა შემოსევას და ჰპოვებდნენ ამათ მხსნელად თავისის ძველის საძაგელის მმართველობის და გარემოებათაგან. ახლა თანდათან რჩებოდნენ ამგვარის თავის მხსნელების ქცევისაგან სახტადა. ისინი ფიქრობდნენ და ვერ მოეფიქრებინათ მიზეზი იმათგან ამგვარის ამათი დევნისა და დაჩაგვრისა. ისინი ცდილობდნენ ყოველგვარს ამათის სურვილის შესრულებას, ყოველს ამათს ბრძანების დამონავებას, მაგრამ ვერც ამითი იგებდნენ იმათ გულს. ისინი თანდათან მიხვდნენ თავის საძაგელს მდგომარეობას. მაგრამ კიდევ ვერ გასტეხოდნენ თავს, ვერ მოეფიქრათ, რომ ისინი იქნებოდნენ. ასე გამეტებულნი იმ ხალხთაგან, რომელსაც ხედავდნენ თავის მეგობრად, რომელიც პირველსავე შემოსვლაზე ეფიცებოდა ამათ სიყვარულს. ისინი გულხელდაკრეფილნი შესცქეროდნენ იმათს ქცევას და ელოდნენ, აცა რით გათავდება ამათი ეს ხუმრობაო. ამათ თვალწინ უდგათ ამათი თითქმის უმიზეზოდ დაღუპული მეზობელი ხალხების მაგალითი; მაგრამ ისინი არ ენდობოდნენ თავის თვალს, ისინი არ ენდობოდნენ გამოცდილებას. ისინი თავის თავს ხედავდნენ შემცდარად შესახებ თავის ახალი მმართებლობის ქცევისა.

XL

რაღა თქმა უნდა, ჩემი მკითხველი მოუთმენლად ელის ეკას ამბის გაგებას და უცემს გული: ნუთუ ეკა დარჩა სულთანსა და გამოეწირა მისთვის თავდადებულ მაცისაო. საწყალო მაციო.

ნამდვილს ცხოვრების მოვლინებაში უფრო შესაძლებელია, რომ აგრე მომხდარიყო, როგორც მკითხველი ფიქრობს; მაგრამ მე, როგორც რომანისტს, რომელსაც უყვარს თავის რომანის გმირი ქალი, აგრე ადვილად არ დამეთმობა ჩემი არჩეული პირი, რომ მკითხველის თვალში მოეცხოს რამე დასამცირებელი ჩირქი, თუნდა რომ ეს ჩირქი იყვეს ყოვლად აუცდენელი.

ამის გამო დავუბრუნდეთ ეკას იმ მდგომარეობას, რომელიც ამ რომანისათვის არის საჭირო და რომელიც ყოველთვის მოსალოდნელია ამგვარი ქალისაგან.

სულთანის ბრძანებით ეკა მიიყვანეს სერალში და ჩააბარეს ჰარამის ქალებსა და საჭურისებს. იმ ღამეს სულთანი განისვენებდა გურანდუხტასთან, მეორე ღამისთვის უბრძანა გაემზადებინათ მისთვის ეკა.

ეკამ ეს ამბავი მიიღო ბედნიერებად და ყოველს სერალის უფროსების სიტყვას ასრულებდა სიამოვნებით და უცხადებდა თავის სიამოვნებას ამ ბედნიერებისათვის.

ეკას მშვენიერებამ, იმისმა ლმობიერმა სანახაობამ, იმისმა ცოცხალმა თვალებმა მიიზიდეს ყველა მომვლელი ქალისა და თვით შეუბრალებელი საჭურისების გულიცა. ეკამ სთხოვა, რომ ეჩვენებინა ამისათვის ყველა სადგომი და უცხო სანახავები სერალში. იმათ შეუსრულეს დიდი სიამოვნებით. ეკა დაკვირვებით სინჯავდა ყველა გარემოებას სერალისას, ის ათვალიერებდა და იხსომებდა ყველა შესავალ-გასავალს. ის კითხულობდა დაწვრილებით კარები სად მიდიოდა და ვისთან მიდიოდა. ის კითხულობდა ყველა მცველისა და მცხოვრებლის სამყოფს ადგილებსა, იქაურს ადათებს და დაწყობილებას.

იმას იმავე დღესვე ჩააცვეს სულთანის საყოლი შესაფერი ტანსამოსი და იმავე ღამეს წაიყვანეს მარმარილოს აუზიანსა და ოქროს ვარაყიანს აბანოში, სადაც ის დაზილეს ასის სურნელიანის საზელავით. ჩააცვეს ძვირფასი, სუფთა სარეცხი და მოიყვანეს თავის საკუთარს, მშვენიერს, სულ ხავერდითა და ოქროს ქსოვილებით შემკულს სამყოფს ოთახში.

დაბრუნდა თუ არა აბანოდან, ეკამ მოინდომა მოსვენება. ის დააწვინეს ძვირფასს ყუთუყებში, რომელთაგანაც მოჰბერდა მშვე-

ნიერი სუნი სხვადასხვა სუმბუქის სასურნელებისა. ეკას დაუწვინეს ყარაულად და მხლებელად ერთი მოხუცებული და ჰარამში დიდი ხნის გამოცდილი საჭურისი. დაწოლის უმალ ეკამ ამოუშვა ფშვინვა. საჭურისმა დახედა ეკას, დარწმუნდა მის ღრმა ძილზედ, გაიხადა იმანაც და პატარა ხანს უკან მიეცა მოსვენებულს ძილს.

ეკამ გამოახილა თვალები და გადმოხედა გულის კანკალითა. შენიშნა, რომ საჭურისი იყო მართლაცდა ტკბილს ძილში, ეკამ დაიწყო ფათური. საჭურისს არ ეყურებოდა. ეკამ დაიწყო ხველება, საჭურისს არ ესმოდა არც ეს. ეკა წამოდგა საშინელის სიფრთხილით და მივიდა საჭურისის ტანისამოსთან, იმან ეს ტანისამოსი ამოიდო იღლიაში და წამოვიდა კარისაკენ. გააღო ფრთხილად კარები, გავიდა, გახურა თან და ჩაიცვა აქვე ფრთხილად ეს ტანისამოსი. იმან გასწია პირდაპირ სულთანის სადგომისაკენ. ჯერ აგრე რიგად არ იყო გვიანა. მცველებმა რა ნახეს ტანისამოსი ნაცნობის მოხუცებულის საჭურისისა, მაშინვე გაუშვეს ისა. ეკა გავიდა სასახლეში. აქაც გაუშვეს ეს მხლებლებმა, რაკი მიიღეს საჭურისად. აქედგან ეკა გამოვიდა ქუჩაზე და გავიდა ქალაქში.

აქ ეკამ ამოისუნთქა თავისუფლად. ახლა ის იყო თავის ხელთა. მაგრამ როგორ უნდა მოეხმარნა მას თავისი მოპოვებული თავისუფლება? საით უნდა წასულიყო, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ კვალად არ ჩავარდნილიყო სერალში და სხვა სერალზედ კიდევ უარესს ადგილას სხვის ხელში: ერთრიგად არ დაზოგავდნენ ამის სილამაზესა, ეს სილამაზე გინდა ქალისა ყოფილიყო, გინდა კაცისა. სტამბოლში თუმცა ის ორი თვე იყო გურანდუხტასთან, მაგრამ არც კი იცოდა სად აღმოსავლეთი იყო, სად დასავლეთი, რადგან გურანდუხტა ამას მზესაც კი არ უჩვენებდა. ნაცნობნი უფროც იმას აქ არავინ ეგულებოდა და თუნდა კიდეც რომ ჰყოლოდა, რას გაიგებდა იმის სადგომსა, რომ არც ერთი ქუჩა სტამბოლისა ამას არ ენახა.

იმან მოუსაზრებლად გასწია, საითაც შეხვდა. იარა, დიდხანს იარა, მთლად ფიქრებაღელვებულმა და გზაკვალაბნეულმა და თითქმის გათენება იქნებოდა, რომ გავიდა ქალაქს გარეთა. აქ მოესმა რაღაცა საშინელი გრგვინვა და ხუილი. იმან იცნო შფოთიანი შავი ზღვის ხმა. ის მივიდა ზღვაზე. ზღვა იმ ღამის ნაავდრობისა გამო ღელავდა საშინლად და ახშობდა ყოველს ხმას, ყოველს მოძრაობის ხმაურობას გარშემო. ეკას ამ საშინელი შფოთიანი ზღვის გრიალისაგან დაეხშო და მოუჩლუნგდა დარდები და მწუხარება. იმან დაუწყო გულისცემითა და გასატანჯი იმედით ცქერა იმ მხარეს, სადაც ზღვის გაღმა ეგულებოდა თავისი ოდიში, თავისი სატრ-



ეკა საშინელის განწირულების ყვირილით მისდევდა მაცის. ამ ყვირილზე მაცი უფრო გარბოდა...

ფო მაცი, რომლის გულისათვისაც ამან დატოვა დიდება, დატოვა მაღალი და ამისთვის სიზმრადაც მოუფიქრებელი ცხოვრება.

ის იჯდა ამგვარ გაბრუებით დაფიქრებული და მოწყვეტილი. დაღალვისა და ღელვისაგან მიეყუდა ერთს ძელს, რომელიც, როგორც ეტყობა, უნდა ყოფილიყო გემის ძელთაგანი. ის შევიდა ისევ თავის სამეგრელოსა და მაცის ფიქრში, რომ ამ დროს მოესმა რაღაცა ხმაურობა. სიტყვები თითქმის ეჩემა მეგრულადაც. თითქო მოესმა თავის სახელიც. ეკამ ცქვიტა ყურები. დილა კარგა გარიჟრაჟი იყო. იმან მოჰკრა თავის შორიახლოს მეგრულ ჩოხას თვალი. იმან იცნო მაცი. ამ დანახვაზედ ეკამ ერთი შეჰკივლა და დაუბნელდა თვალთ. რამდენსამე წუთს ეკამ მოიფშვნიტა თვალები, მოიმაგრა გული და გაექანა იმ ადგილისაკენ, სადაც დაინახა მაცი, მაგრამ მაცი იქ აღარ იყო. ეკა, შემკრთალი, შეჩერდა და შევიდა იჭვში, ხომ არ მომეჩვენა რაო, რომ ამ დროს დაინახა შორს მაცი გარბოდა სწრაფის ნაბიჯით. ეკა საშინელის განწირულების ყვირილით მისდევდა მაცის. ამ ყვირილზედ მაცი უფრო გარბოდა, რადგან ეკა ამ უცხო ტანისამოსში იმან მიიღო სტამბოლის პოლიციის მოსამსახურედ, რომელიც დასდევდა ამას დასაჭერად, როგორც საეჭვო კაცს. ეკამ ველარ მოჰკრა თვალი მაცის. ის განწირულებით, უნებურად, მთლად უგუნოდ გარბოდა უგზო-უკვლოდ საშინელის კივილით: „ვო მაცი! ვო მაცი!“ მაგრამ მაცი იყო შორსა და არ ესმოდა იმას ეკას ძახილი. ამგვარად უგონოდ სირბილში, ეკა მიიწურა ზღვის პირამდის. აქ მთლად მოწყვეტილი და გონებამიხდილი დაეშვა უძლურად ზედ ზღვის კიდეზედ, სადაც თითქმის ზედ ესხმოდა ზღვის ტალღები და უსველებდა ტანისამოსსა. ის ეგდო თითქმის უსულოდ.

XLI

როდესაც ეკა მოვიდა გონს, იმას თავს დასტრიალებდა რამდენიმე კაცი და ქალი; ეს პირნი იყვნენ ეკასათვის სრულებით უცხონი. ამგვარი ადამიანის შვილები ამას თავის დღეში არამც თუ კი არ ენახა, არც გაეგონა. ეკა იფშვნეტდა ამ სანახავზედ თვალებსა, იგონებდა თავის გარემოებას და ვერ მოეფიქრებინა. ის იწვა ერთს კარგს საუცხოო სახლში, იდო მშვენიერს ლოგინზედ. იმას მოაგონდა ჰარამი და შევიდა იჭვში, ისევ იქ ხომ არა ვარ და იქიდან გამოქცევა სიზმარი არ იყოო. ეკა გამოელაპარაკა ამათ თურქულად, მაგრამ ამის ლაპარაკი ვერავინ გაიგო, გამოელაპარაკა ქართულად და არვინ იცოდა, გამოელაპარაკა მეგრულად, აფხაზურად და არც

არავის ეს ენები ეყურებოდა. თავისი მხრივ იმისი ახალი მეპატრონენი ელაპარაკებოდნენ ამას რაღაცას გახარებულნი, რომ ნახეს ეს ძლივს გონს მოსული, ანიშნებდნენ რაღაცას და ეკა ვერაფერს ვერ მიხვედრილიყო, ვერაფერი ვერა გაეგო რა.

პატარა ხნის შემდეგ ეკასთან შემოვიდა ერთი შნოიანად მორთული, თითქმის შუახანს მიტანებული, კაი სანახაობის და კარგი მოყვანილი ქალი. იმას შემოჰყვა თან ერთი მეტად სუფთად ჩაცმული და დაწმენდილი, აგრეთვე შუახანს მიტანებული კაცი.

ამ ქალსა და კაცს სიამოვნებით გაუცხადეს ავადმყოფის მომვლელებმა, რომ ავადმყოფი მოვიდა გონსა და რაღაცა გაუგებარს ენაზედ ლაპარაკობსო. ქალი და კაცი გამოელაპარაკნენ ეკას, მაგრამ ეკამ ვერა გაიგო რა. ეკამ დაუწყო ლაპარაკი და იმათ ვერა გაიგეს რა.

მაშინ სუფთად ჩაცმული კაცი მივიდა ეკასთან, უნახა მაჯა და გამოუცხადა, რომ ახლა აღარა უშავს რა, კარგად არის, ოღონდ გაფრთხილება უნდა კიდევ და არ უნდა ჰქონდეს აშფოთება და აღელვებაო.

როდესაც ეკა დაეცა ზღვის პირად უგონოდ, ამ დროს მოვიდნენ ერთი მარსელელი სავაჭრო გემის მატროსები სტამბოლიდან და უპირებდნენ გემს აშვებას, რადგან ღამით ვერ გავიდნენ, რაკი ზღვა ღელავდა, და დაინახეს მახლობლად რაღაცა კუნძივითა. ისინი დააკვირდნენ და ემცნაურათ კაცის გვამადა. იმათ იფიქრეს, რომ უთუოდ ზღვაში დამხრჩვალა ვინმე და გამოუგდია ზღვას ნაპირზედაო. ერთი ამ მატროსთაგანი მოვიდა უნებურად ამ გვამთან და ნახა, რომ გვამი სუნთქავდა. ის დააკვირდა იმის სახეს და გააოცა იმისმა მშვენიერებამ. იმან დაუწყო ამხანაგებს ძახილი. ამხანაგები მოცვივდნენ, იმათ საჩქაროდ დაუხსნეს ღილები, დაასხეს წყალი, თუმცა მოასულიერეს, მაგრამ ვეღარ მოიყვანეს გონსა: ისა როტავდა რაღაცას და გაიძახოდა ხშირად: „ვო, მაცი! ვო, მაცი!“ იმათ დააპირეს ოსმალოების დაძახება და ჩაბარება სტამბოლს პოლიციისთვის, რომ ამ დროს მოადგა კაპიტანი გემისა. იმან რომ დახედა ეკას მშვენიერებას, დარჩა სახტადა. სახე ეკასი არ ეჩემა იმას არც ოსმალურ სახედ, არც ბერძნულად და არც ევროპიულად. ის აკვირდებოდა იმის სახეს და ვერც მოეფიქრნა, რა ხალხს უნდა ჰკუთვნებოდა. იმან დაუგდო ყური ეკას ბოდვას და ძახილს და ეს ლაპარაკი ვერ იცნო. იმან იფიქრა, რომ უთუოდ ღამის ზღვის ღელვამ სადმე ხომალდი დაღუპა და ეს იქიდან ზღვას გამოუგდიაო. ამის გამო ამანაც დააპირა, რაკი მიმავალი იყო, რომ გადაეცა ეს პოლიციისათვის, იქნება იმან გაიგოს რამე ამისი და

გაგზავნოს სამშობლოში, ან უპოვოს პატრონებიო. მაგრამ, როდესაც ამის ბრძანებით გახადეს ეკას სამოსი და ნახა, რომ ამ კაცის ტანისამოსში იფარებოდა მშვენიერი ყმაწვილი ქალი, იმან ბრძანა ეკას გემში გადაყვანა. აქ ეკა ნახა გემის პატრონის ცოლმა, რომელიც ამჟამად მოგზაურობდა ამ გემზე, და სთხოვა რომ ეს ყმაწვილი ქალი დაეთმო ამისთვის. იმათ დაუთმეს.

რამდენსამე კვირის უკან ეკა იყო მარსელში, სადაც ამ დიდ ვაჭრის ცოლმა დააწვინა თვით თავის საწოლში და დაჰხვია თავს საუკეთესო მარსელის ექიმები.

ეკა თითქმის ორი თვე იყო ამ უგონობაში და აი ახლა ძლივს მოვიდა გონს.

ეკა კითხულობდა სად იყო და ვის ხელში, და ვერავინ უგებდა კითხვას; ყველანი ელაპარაკებოდნენ ფრანგულად, რომელიც მას თავის დღეშიაც არ გაეგონა. მაგრამ ეკამ ეს კი იგრძნო, რომ ის არ იყო ჰარამში, არ იყო ოსმალოებში, ეს მიაჩნდა იმას დიდ ნუგეშად და ამ ნუგეშთან ის კიდევ უფრო ანუგეშებდა, რომ ამას პატრონობდნენ როგორც საკუთარს — დიდის ყურადღებითა და ფუფუნებით.

იმან დღითიდღე იწყო მოკითება და ერთს თვეს უკან იყო ფეხზედ.

ის უგდებდა ყურს იმათ ლაპარაკს, ყოველს იმათ სიტყვის მნიშვნელობას და თანდათან მიხვდა იმათ ენას. ერთი წლის განმავლობაში ეკამ ისწავლა კარგად ფრანგული.

რაკი შესძლო ეკამ ფრანგული ლაპარაკი და აზრების ახსნა. იმან გააგებინა იმათა, რომ ეს აჩუქა სულთანს სამეგრელოს მთავარმა — გურანდუხტამ ჰარამისათვის და ეს საჭურისის ტანისამოსით გამოიპარა იქიდან. აუხსნა, რომ ის იყო ქრისტიანი, და სანამ არ ანიშნა ადგილები, სადაც ამათ ქვეყანაა, ვერ მიხვდნენ თუ რა ხალხი უნდა ყოფილიყვნენ მეგრელები. როდესაც ნახეს ქარტაზედ, სად იყო სამეგრელო, მაშინ მიხვდნენ, რომ ეკა იყო იმ ზღაპართქმული კოლხიდელი, რომლის ქალთა მშვენიერება განთქმული იყო ძველადვე ყველა განათლებულ ქვეყანაში. ეკას დაარქვეს ამის გამო ახალი მედეა. რამდენიც რჩენაში შევიდა ეკა, იმდენად მისი მშვენიერება, მისი დიდკაცური სანახაობა უფრო აკვირვებდა მის მნახველებს. ამასთან მისი კოლხიდელობაც აცხოველებდა მის მშვენიერებას ბერძნების მითოლოგიაზედ გაზრდილს ახლა ნაცნობების თვალში. იმის სანახავად მოდიოდნენ მრავალნი ნაცნობნი ამ დიდი ვაჭრისა და ამის ცოლისა. ეკამ შეიკერა მეგრული ტანისამოსი, რომელიც მას საშინლად შვენოდა და ყველა მნახველი მოყავდა

აღტაცებაში. ეკამ დაიპყრო მრავალი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცის გული. მრავალნი ელაპარაკებოდნენ სიყვარულზედ, მაგრამ მას არ ავიწყდებოდა თავისი მაცი.

ეკა ჩაეარდა თავის უნებურად ამ თავისუფალს ხალხში, სადაც ვერა ხედავდა კაცი ქალ-ვაჟში გარჩევას, სადაც სულ სხვა რიგი ცხოვრება იყო, ვიდრე ამათ ოდიშში, მაგრამ ცხოვრება იყო უფრო ტკბილი, ხალისიანი, შემრგო და დამშვიდებული, — იმას შეუყვარდა ეს ქვეყანა, შეუყვარდა ეს ხალხი, მაგრამ თავის მაცის დაშორება ანატრულებდა კიდევ ოდიშსა.

ეკას შეუყვარდა თავის მშობლებზედ მომეტებულად ეს თავისი გადამრჩენელი ფრანგის დიდი ვაჭრები. ის შეეჩვია ამათა და შეუტკბა. ისინიც უყურებდნენ ამას, როგორც შვილს. მისმა მშვენიერებამ, საკვირველმა ტკბილმა და აუჩქარებელმა ხასიათმა, მრავალი ამაგის გაწევამ შეაყვარა ის მეტის სიყვარულითა. ის გამოჰყავდათ ქვეყანაში, როგორც საკუთარი შვილი. ისინი უგდებდნენ ყურს მის სურვილს, მის გულის მოძრაობას. ისინი ელოდნენ, რომ ეკას ვინმე მოსწონებოდა და უბირებდნენ რიგიანად გათხოვებას, მაგრამ ვერ ატყობდნენ, რომ ეკას გული ვისმე მიეზიდოს.

ჩავარდნილი ამ მდგომარეობაში, ეკა ვერ ბედავდა გამოეცხადებინა იმათთვის, რომ მასა ჰყავდა გულის საყვარელი თავის ქვეყანაში, ურომლისოდაც ვერ გასძლებდა, და ამის გამო საჭირო იყო აბისთვის შინ დაბრუნება. ვერა ბედავდა ამის გამოცხადებას მით უფრო, რომ არა ჰქონდა საშუალება თავისი ხარჯით დაბრუნებულიყო; ემძიმებოდა, რადგან თავის თავს ისეც დიდად დავალებულად რაცხდა იმათგანა. ამასთან ამას უჭირდა კიდევ სხვაფრივაც ფული, რომ დაბრუნებულიყო სამეგრელოში, შეძლებოდა რამდენიმე ხანი თავი ერჩინა, რომ არ გამოსჩენოდა არავის, არ ეცნოთ ის და არ მიეგვარათ გურანდუხტასთვის.

ეკას დაუწყო მაცისათვის გულმა წუხილი. რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო შეიპყრო ეკა მაცისზედ მწუხარებამ. ბოლოს და ბოლოს ის შეიქმნა სრულიად დაღვრემილი. ძვირადღა თუ ვინმე ნახავდა ამის სახეზედ ღიმს.

დიდხანს ვერ მიხვდნენ ამის მოამაგენი ამის მწუხარებას და ღაფიქრება მიაწერეს სიყვარულს. ისინი ამაში არა ცდებოდნენ, მაგრამ იმათ ვერასდროს ვერ მოეფიქრათ, რომ იმისი გული სცემდა სხვაგანა. იმათ ეგონათ, რომ ეკას შეუყვარდა ვინმე მარსელში.

ერთს დღესაც მოიმარჯვა დრო მადამ ჟოზეფინამ, ეკას მოამაგე ქალმა, რომელმაც ეკა აიყვანა გემში საპატრონოდა, და დაუწყო

კამოკითხვა. ეკა კიდევ ვერა ბედავდა ვერაფრის თქმას. მადამ ჟოზეფინამ დაუწყო გადაწყვეტით ლაპარაკი.

— ჩვენში როდია სირცხვილი, — უთხრა ჟოზეფინამ, — სიყვარული, როგორც სხვა ქვეყნებში. სიყვარული ჩვენს თავზედ არ არის დამოკიდებული, რა სირცხვილია! ყმაწვილი ქალი ხარ, შენ რომ არავინ შეგიყვარდეს — უფრო სირცხვილიც არის. ეს დაამტკიცებს, რომ ან სნეული უნდა იყვე, ან მოშლილი აგებულებისა. თქვი ვინ გიყვარს და ვინ იქნება ისეთი, რომ შენმა მშვენიერებამ ისიც არ მიიზიდოს. თუ მზითევზედ იქნება დამოკიდებული საქმე, მაგაზედ არავის არ დავიყოვნებთ. როგორც ჩვენ საკუთარ ასულს, ისე ღირსეულად გაგისტუმრებთ.

აქ მეტი ჩარა არ იყო, უნდა ეკა გატეხილიყო და ამაზედ მარჯვე დროსაც ვერ ნახავდა. ეკას მოუვიდა ცრემლები და მოეხვია მაგრა ჟოზეფინას.

— უნდა გაგიტყდე ყოვლისფერში, — დაიწყო ეკამ, — დაფარვა აღარ შეიძლება.

აქ ეკამ უამბო ყოველი თავისი და მაცის თავგადასავალი და თავისი მაცის სიყვარული. ეკა ამას უამბობდა იმ საშინელის მოგონებით, იმ გულის სიმხურვალით, რომელიც ამტკიცებდა მის საშინელს გაუტეხელს ხასიათს და მოუდრეკელს გულს. ჟოზეფინა განცვიფრებული უყურებდა ამ საშინელი დრამის გვრინვას. ის სინჯავდა თავიდან ფეხებამდის ეკას და უკვირდა, როგორ უნდა გამოსულიყო ეს ამბები ამ უმანკო და ნაზი სახიდან და სხეულიდან. მავრამ ეკას მხურვალე და წრფელი ლაპარაკი არწმუნებდა ამას ყოველს ამ ნაამბობის ჭეშმარიტებაში. ამ ამბის შეტყობამ ერთიორად გააღვიძა ჟოზეფინას გულში ეკას სიყვარული. ამასთან ჟოზეფინას ჰოუნდა საშინლად მაცის ნახვა.

აქ ჟოზეფინამ სიამოვნებით გამოუცხადა, რომ მისცემდა ყოველს ღონისძიებას სამშობლოში დაბრუნებისას, ოღონდ სთხოვდა, რომ ჯვარისწერის შემდეგ დაბრუნებულიყო და ეჩვენებინა ამისათვის მაცი; და თუ მოისურვებდა ეცხოვრათ მარსელში, სადაც პირდებოდა მიეცა ვაჭრობის ღონისძიება.

ეკა დაჰპირდა ამ სათხოვარის შესრულებას. ეკამ არ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი მადლობა. ის კვალად გამხიარულდა, კვალად შეიქნა მთელი საზოგადოების მომლხენელი და მოსაწონებელი.

რამდენიმე კვირის შემდეგ ეკა, გამზადებული ყოველ რიგის საგზაურით და საკმაო ფულით, გაუდგა გზას. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ჩამოვიდა ყულევში, ჩაიცვა ოსმალური ტანისამოსი და დაიწყო კითხვა მაცის ამბისა; არავინ არა იცოდა. ეკა ავიდა ხორგას

ამავე ტანისამოსით და სახეშეცვლილი, რომ არავინ მიცნოსო. იმან მიატანა თავის მამის სახლს და დაუწყო გულმა საშინლად ცემა. ასე დაფარულად უნდა შესულიყო თავის გამზრდელ სახლში და არ გამოეცხადებინა თავისი ვინაობა, რომ არ გასულიყო მისი მოსვლის ამბავი. ამას უცემდა გული, დამხვდებიან თუ არა მთლიანად ყველანი შინაო. აქას უცემდა გული, რა რომ ადარებდა თავის მამის უბრალო თიხით გალესილს ფაცხას, სადაც ზამთარ-ზაფხულ კომლი თხრიდა კაცს თვალებსა, სადაც ზამთარ-ზაფხულ ნახევარზედ ტიტველი და მშიერი ამის დედ-მამა და და-ძმანი ტრიალებდნენ დაურეცხავად და დაუსუფთავებლად, და ესენი ირიცხებოდნენ კიდევ საუკეთესო გაკეთებულ აზნაურიშვილად, — იმ მდიდარ სასახლეებთან და ცხოვრებასთან, რომელსაც ეს ორი-სამი წელიწადი შეეჩვია მარსელში. იმას კიდევ სხვა ათასნაირი მღელვარებით უცემდა გული. ის გრძნობდა, რომ იმისთვის ამ ცხოვრებაში გაძლება იქნება ძნელი. ის ფიქრობდა, რომ დროით ეპოვნა თავისი მაცი და დაბრუნებულიყო იმ ქვეყანაში, სადაც ასე თავისუფლად სუნთქავს ხალხი, სადაც თანასწორობა არის დამკვიდრებული, სადაც ყველას შეუძლიან თავის ნებაზე ცხოვრება. თავის ნებაზე შრომა, სადაც არა აქვს მმართებლობას და მთავრისდარ კაცებს უბრალოდ დასჯისა და წვალების ნება, სადაც ყველა კაცი ცუდ საქმეზედ ეძლევა პასუხისგებას, სადაც ხალხი ცოცხლობს, მოძრაობს და ელტვის უკეთეს ცხოვრებას და გაუმჯობესებას. საშა წელიწადს მარსელში ყოფნამ არ ჩაუარა უქმად ნიჭიერს და მხვნე ეკას. იმან მადამ ჟოზეფინას მეცადინეობით ისწავლა ფრანგული წერა-კითხვა, მსჯელსა და გონიერს ხალხში სიარულით, სადაც ეს დაჰყავდა ჟოზეფინას და რომელნიც დაიარებოდნენ ამასთან. მალე მიხვდა ფრანგთა ჭკუის მოძრაობას და ლტოლვილებას; იმან დაიწყო წიგნების კითხვა და თანდათან კითხულობდა იმ წიგნებს, რომელნიც უხსნიდნენ ამას თვალებს ნამდვილს ცხოვრების მნიშვნელობაზედ. ამის ყველას მნახველი, ამის ყველას მცნობელი, იმ ბრუნდებოდა ისევ თავის გუნებით დაძინებულს, მაგრამ ნიჭიერს ხალხში, თავისი უშვერი და მოუხეშავი მმართებლობის ხელში, სადაც ვერ ნახავდა რიგიანად მსჯელს კაცს, რიგიანად ცხოვრების მცნობს ადამიანს. ეკას გონება იყო გაღვიძებული. ის იყო სავსე ჭკუის საზრდოს სურვილით. სამეგრელოში მას ესენი არ მოელოდნენ.

ეკა შევიდა თავის მამის სახლში საშინელის გულის კანკალით. იმან არ იცოდა, როგორ შეემაგრებინა თავი, რომ ერთი მაგრად არ ჩაჰკვროდა თავის მშობლის გულს, ერთი გული არ ეჯერებინა

მათთან თავის გულის პასუხის გამოთქმით. მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა იმას ყველა გრძნობა დაეხშო.

ეკას დედაც, მამაც და ძმანიც შინ დაუხვდნენ. ამასთან ამის დედას ეჭირა ერთი ძუძუს ბავშვიცა, რომელიც სრულიად გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ეკას.

ეკამ ამოიღო რამდენიმე ოქროს ნივთი და აჩუქა პატარებსა. იმან თავის დედ-მამას გამოუცხადა, რომ იყო მგზავრი და დაღალული და სთხოვდა დასვენებას.

ეკას დაუბეს ცხენი და მოუმზადეს სადილი: კაი სულგუნები ცხელს ღომში, კაი შემწვარი ყვერული ბროწეულის წვენით და ნიგვზით შემზადებული დედალი.

ეკას მართლაცდა შიოდა. იმას დიდი ხანია აღარ ეჭამა მეგრული საჭმელი და სიამოვნებით მიჰყო სულგუნსა და ცხელს ღომს ხელი.

— აქანა სხუმისაც კი ვყოფილვარ, — დაუწყო ეკამ თავის დედმამას, — მაშინ აქ ერთი ყმაწვილი ქალი გყავდათ, ეკას უწოდებდნენ; კაი ლამაზი ქალი კი იყო, მახსოვს. ვეჭვობ გაგითხოვებიათ.

— რავა, უბედური დღისას, რავა ეღირსა მას გათხოვება! — დაიწყეს წრიპინით დედამაც და მამამაც. — მისთანა უბედურის დღის შობილიყვეს — კი არ გამიგონია.

აქ მოუყვნენ ისინი ცრემლით ეკას ამბებს და ბოლოს უთხრეს, რომ გურანდუხტამ მისცა იპ ხონთქარს და მაციც თან გაჰყვაო.

— მას აქეთ მაცი არ დაბრუნებულა ოდიშს? — ჰკითხა ეკამ.

— ვინ იცის ეშმაკის გზა! იქნება დაბრუნდა კიდევაც, მარა რავა გამოუჩნდება გურანდუხტა დედოფალს?! ნახე რავა გაძლიერდა მთლა დეიპყრო სამურზაყანო, ლეჩხუმი, სვანეთი, იმერეთს და აფხაზეთს მისი შიშით ვერაფერი ვერ მოუხერხებიათ. მანუჩარ დადიანი მთლათ ამოწყვიტა მისი მისადევარით. მისმა ცოლმა კესარიამ ძლივს გაასწრო სვანეთს და არც იქ მოუსვენებს მას გურანდუხტ... რავა გაჰბედავს მაცი გამოჩენას, თვარა სტამბოლს რავა დადგება, რომ თვით ეკაც დაკარგულა ხვანთქარის სახლიდან. დედუფალს უმალ კი მოუვიდა წიგნი. ვინ იცის იქნებ თვით მაციმაც მეიტაცა და გადაღუპა, გედიღუპოს მისი თავი... იქნება ჩვენმა ეკამ, ჩვენმა ცხოვრებამ, ზღვაშიც დეირჩო თავი — არ გათათრდეს გურანდუხტას სული, რომ ეშმაკმა დაიპყრას.

— მაშ სულ არ ისმის ხმა მაცისა, მოვიდა თუ არა სტამბოლიდან?

— კი, რატომ, ზოგი ამბობს აფხაზეთსააო, ზოგი იმერეთსაო, ზოგი ალანეთს, მარა მართალი არვინ იცის.

ეკამ ჯამა თავის დედ-მამასთან სადილი და სადილთუკან გამოეჭარა ყულევისაკენ. იმას უნდოდა ერთი დღეც არის გაეტარებინა თავის მშობლების სახლში, თავის გამზრდელს ჭერს ქვეშ, მაგრამ, შეშინებული იმ ფიქრით, რომ ვაითუ თავი ვერ შევიმაგრო და წამოვსთქვა ჩემი ვინაობა, ან რაშიმე ვემცნაურო ჩემს დედ-მამას და გამივარდეს მისვლის ხმაო, იმან არჩია დროით გაცლა.

წამოსულს მამის სახლიდან, საშინლად დაუწყო ეკას გულმა ცემა. იმან დაანება იმისთანა ბედნიერ ცხოვრებას თავი, სადაც ძლივს იგრძნო თავი თავისუფლადა, დაანება თავი მშობლებზედ უფრო ნაამაგარ კაცებს მაცისთვის, და მაცი არსად ჩანდა. ეკა ამაზედ დაწვრილებით მაცის ამბავს ვერსაიდან შეიტყობდა. იქნება მაცის დედას ცოდნოდა მაცის ამბავი, მაგრამ როგორ უნდა შეეტყო იმათგან ეს? თუ ისე ეკითხნა, არას დროს არ ეტყოდა, რადგან ეშინოდა, რომ არ გამცესო; თუ გამოსცნაურებოდა, რომ მე ეკა ვარ. მაშინ ვაითუ იმათაც არ ცოდნოდათ მაცის ამბავი, ეკას მოსვლის ხმა გავარდებოდა და გურანდუხტა მას უპოვნელს არ გაუშვებდა.

ან სად უნდა ეძებნა ეკას მაცი? ეს კიდევ უფრო უწყლულებდა ამას გულს. სტამბოლს? და რისთვის უნდა დამდგარიყო მაცი იქა. რაკი გაიგებდა, რომ ეკა გაიქცა იქიდან საქართველოში? და არ იცოდა, რომელს მხარეზედ იქნებოდა დაფარული.

დიდსა და დიდხანს იყო ეკა ამ საშინელი ფიქრებით შეპყრობილი; დიდხანს უღელავდა საშინელის ფიქრებით გული. იმას უდუღდა მთლად ტვინი, უღელავდა გრძნობა და არ იცოდა, რა ღონისძიებებისთვის მიემართნა. დაბრუნებულიყო მარსელში? მაშინ ხომ უნდა საუკუნოდ გამოსალმებოდა თავის მაცის, მაცის, რომელიც ამას უყვარდა თავის თავზედ მომეტებულად, რომელიც ერჩივნა თითქმის მთელს ქვეყანას.

ეკამ გადაწყვიტა გუნებაში დარჩენა და მოძებნა საქართველოს არემარეზედ მაცისა.

ის დაბრუნდა ყულევს და მისწერა თავის ნაამაგევ ფრანგებს გამოსალმების წიგნი. ეკამ გადაცა წიგნი. ხომალდი დაიძრა. ეკა ესალმებოდა ამ ხომალდით იმ უკანასკნელ გარემოებას, რომელიც აგონებდა ამას თავის საყვარელს მოამაგე ფრანგებს, თავის საყვარელ მარსელს, სადაც ის მიხვდა ნამდვილს ცხოვრების მნიშვნელობას, სადაც იმან იგემა პირველად ნამდვილი თავისუფლების ნეტარება. ის დიდხანს ადევნებდა ხომალდს თვალსა. ხომალდი სისწრაფით მიცურავდა, გაჩქარებული ზურგქარისაგან, თითქო თვით

ბუნება აშურებდა იმასა, რომ გაშორდი ამ დახშულს ქვეყანასაო. რამდენიმე ხანს უკან ხომალდი გაქრა ეკას თვალთაგან, თითქო მთის წვერიდან ჩაეშვა მთის ძირასა და მოეფარა მთის კალთებსაო. ეკამ მოიფარა თვალებზედ ხელი, დაემხო იქვე პირქვე და დაიწყო საშინელის მწუხარებით ტირილი. ის დარჩა ახლა აუცილებლად იმ ქვეყანაში, სადაც ტრიალებდა ამდენი უსამართლობა, სადაც პირველს გაგონებაზედ დალევდნენ ამის ერთს მუჭა სისხლსა, სადაც ვერ ამოესუნთქა კაცს თავისუფლადა; სადაც იმ ვერ ჰპოვებდა იმ სიამოვნებასაც, რომელთაც მცირეც მაინც დაეხშო თავის მწუხარება: ის ვერ დადგებოდა თავის მშობლებსა და გულის საყვარლებში, გერ გამოუცხადებდა თავის ვინაობას და უნდა ობოლი, დაკარგული ტყვესავით ევლო თავის სამშობლო ქვეყანაში, თავის მშობლებსა და ნათესავებში.

ეკამ მოისაზრა, რომ ტყუილი გლოვა და ოხვრით დაკარგულს ბედნიერებაზედ ის საქმეს ვერ უშველიდა. იმან მოისაზრა, რომ სჯობდა შესდგომოდა მაცის ძებნის საქმესა. ამის გამო ის გავიდა ჯერ გურიაში, სადაც უფრო ადვილი იყო აბრაგობა. შეიტყო ყველა განთქმული აბრაგების გვარი, სახელი, სოფელი და მოდგმა, მაცის ხსენება არსად იყო. იქ ყველას გაეგონა მაცის ვაჟკაცობა, მაგრამ აქ იმის მოსვლისა არავის რა გაეგონა. აქედან გადვიდა იმერეთს, რაჭასა, სვანეთს, ოსეთს, ალანეთს, აფხაზეთს, მაგრამ არც არა აქ რამე ისმოდა მაცისა. ყველგან ესმოდა, რომ რაც მაცი სტამბოლს წავიდა, არავის გვინახავს, თუმცა ბევრი აბრაგი ირქმევდა მაციობასაო.

ეკა უნუგეშოდ დაბრუნდა ისევ ოდიშში და იკითხა მაცის დედა. უთხრეს, რომ ის რაცა ხანია აფხაზეთშია, რადგან გურანდუხტა დასდევს სასიკვდილოდაო. ეკა გავიდა ხელმეორედ აფხაზეთს. იქ იმან იპოვა გუქიტი. გუქიტიმ სრულებით არა იცოდა რა.

ეკამ არ დაკარგა მხნეობა, იმან მოისაზრა, რომ ისევ დამდგარიყო ოდიშის მახლობლად სადმე საცხოვრებლად და ედევნებინა ყური მაცისთვის, რომელიც უეჭველი იყო, რომ თითონაც ამას ეძებდა, და დღეს იქნებოდა თუ ხვალ, იპოვნიდნენ ერთმანეთს.

ამის გამო ეკამ სთხოვა აფხაზეთის მთავარს ოჩამჩირეს დუქნის გახსნის ნება. იმან გააღო იქ ფარჩეულისა და ჩითების დუქანი და დაიწყო ვაჭრობა იმ ფულებით, რომელიც იმას გამოჰყვა და დარჩა მარსელიდან წამოღებული ფულიდან.

ეკამ ამაშიაც გამოიჩინა ნიჭი. იმან, გარდა ჩითეულისა და ფარჩეულისა, დაიწყო სხვა ნივთეულობებითაც ვაჭრობა და აღებ-მიმცემლობა. როგორც აფხაზებსა და მეგრელებთან, აგრეთვე თურქებ-

სა და ბერძნებთან. იმან დაუწყო ყურის გდება, რა ნივთებს უფრო ჰქონდა მოთხოვნილება ორთავე მხრივ, თანდათან ამ ნივთებით იწყო ვაჭრობა. ამასთან კარგად შენიშნა, — როგორც მარსელშიც გაეგონა, პირიანად და საღი საქონლის გაყიდვა უფრო ბევრს მუშტარსაც მოაგებინებდა. იმას კარგად ჰქონდა მოსაზრებული ხარჯი ყოველი თვის ვაჭრობის მოძრაობისა, მოქმედებისა, ქირისა და გასავლისა, რათა შეეტყო კარგად სადამდის შეეძლო ფასის დაკლება, რომ კიდევაც საკმაო მოგებაში ყოფილიყო. იმის სავაჭრო საქმეები ძალზე კარგად წავიდა. მთელ ოდიში და აფხაზეთი მას ეტანებოდა. თურქები და ბერძნები შეიქმნენ პირველი მისი მუშტრები. ეკამ გამართა ერთი კარგა ლაზათიანად სუფთად გაწყობილი დუქანი, რომელიც მოგვაგონებდა წმინდა ევროპიულს მაღაზიას. ამ შენობამ კიდევ უფრო მოიზიდა ხალხი, რომელიც ხშირად უფრო სანახავად მიდიოდა ამ შენობისა, ვიდრე საყიდლად.

ეკას სიმდიდრის ხმა გავარდა მთელს გარშემო ქვეყნებში. ქურდებმა და აბრაგებმა უკრიჭეს ამას კბილები და ერთს ღამესაც დაესხნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება, როდ ეს ყმაწვილი მეგრელი, რომლითაც ეკა ეჩვენებოდა იმათა, დაუხვდა ისე მაგრად, რომ რამდენიმე ამ აბრაგთაგანი ინაცვალა და სხვები გაიქცნენ, რაკი მიეშველნენ გარშემო მცხოვრებნი. აბრაგები კიდევ შეეცადნენ ამ მდიდარი დუქნის გაცარცვას. ისინი მოვიდნენ ჩუმად და დაუწყეს საძირკველს თხრა, მაგრამ ამაოდ. საძირკველი შენობას ჰქონდა დუღაბისა. სანამ გასთხრიდნენ, გაუგეს და კიდევ გააქციეს. ბოლოს აბრაგები ჩავიდნენ ჭერიდან, შევიდნენ დუქანში, აანთეს სანთელი, მაგრამ წარმოიდგინეთ ამათი უარესი გაოცება, რომ ვერცარა სადმე მედუქნე ნახეს, ვერცარა საქონელი. დუქანი იყო სრულიად ცარიელი. იმათ მოჩხრიკეს ყველა კუთხე, დაამტვრიეს ყველა კარი, მაგრამ ვერსად რა იპოვეს. ბოლოს მიადგნენ ერთს რკინის პატარა კარებსა, გამოსწიეს და გაიღო. შეხედეს იქ აწყვია რკინის ყუთები, ყველანი გახარებულნი შეცვივდნენ შიგა და დაუწყეს ყუთებს მტვრევა... შეცვივდნენ ისინი და დაიკეტეს იმათ უკან პატარა რკინის კარებიც. მიაწვნენ აბრაგები და ვერ გააღეს; დაუწყეს მტვრევა, მაგრამ ცარიელი ხანჯლებითა და ხმლებით ვერას გახდნენ. ეცნენ ფანჯრებსა, მაგრამ ფანჯრები ჰქონდა რკინის ჩარჩოიანი, კედლები ქვიტკირისა, აბრაგებმა არ იცოდნენ რა ექნათ. იმათ კარებისა და ფანჯრების მტვრევით სრულიად დაამტვრიეს ხანჯლები, ხმლები და თოფებიც, რომლებითაც ცდილობდნენ კარების ჩამოგდებას. დარჩნენ ტყვედ. მეორე დღეს ისინი ხელებშეკრულნი მიჰგვარეს მთავარს, რომელსაც ეკამ ამ

ტყვეებთან გაუგზავნა კარგი საჩუქარიცა, რასაც არასოდეს არ აკლებდა ეს იმასა. მთავარი მოეპყრო იმათ ღირსეულად, მით უფრო, რომ თითონ მთავარივე ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ რამე მიზეზით შეეპყრო ამ გაკეთებული ვაჭრის ქონება. ეკას დუქნის საშინელება და შეუვალობა გავარდა ყველგან. ვეღარა ქურდი, ვეღარა აბრაგი ვეღარა ბედავდა შემართვას. ეკა თანდათან მდიდრდებოდა, თანდათან ამშვენიერებდა თავის დუქანს.

XLIII

აქ რომ ეკას საქმეები კარგად მიდიოდა, მეორე მხრივ მოუვიდა ამბავი, რომ გურანდუხტა მოკლესო. გავიდა ხანი და მოვიდა ამბავი, რომ მეგრელებმა შემოიყვანეს ბიზანტიელნიო და მთავარი ჯამლეთ, გურანდუხტას შვილი, ტყვეთ მისცესო. პატარა დავაცადოთ და ბიზანტიელთ დაიპყრეს სამურზაყანოცა. შეიქნა ალიაქოთი აფხაზეთშიაც. მთავარმა იწყო საომრად მზადება. მ.ოიმხრო უბუხები, აბაზოელები, ჯიქები. შემოვიდნენ ბიზანტიელნი და შეიქნა ომი. დიდხანს გაუწია აფხაზთა მთავრობამ წინააღმდეგობა, მაგრამ დამარცხებული, ის შეიპყრეს ერთს ღამეს უცებ ტყვეთა და გადაკარგეს ისეთს ადგილებში, სადაც იმან ვერ გასძლო ერთი თვეცა და მოკვდა. დაიპყრეს აფხაზეთიც ბიზანტიელთ და დამკვიდრდნენ. გავრცელდა ბიზანტიელთ მმართველობა აქაცა. აქაც ქურდებსა და აბრაგებს დაადგათ ის დღე, რაც სამეგრელოში.

ამ ხანებში მაციმ ჩუმად დაიწყო აბრაგობა სხვის სახელობაზე, რომ არ მიმხვდარიყვნენ ამის ვინაობასა. რამდენიმე ხნის განმავლობაში იმან შეიძინა საკმაო ფული, რომ ამ დროს მოესმა ოჩამჩირის ერთი გაკეთებული ვაჭრის სიმდიდრე, ამას უთხრეს ამ ვაჭრის სიმაგრე, რომ ვერა აბრაგი და ქურდი ვერ უდგებაო. მაციმ განიზრახა გასვლა ოსმალში კვალად ეკას საძებნელად და გზად ცდა, რომ როგორმე გაეცარცვა ოჩამჩირის გაკეთებული ვაჭრის დუქანი. ამის გულისთვის განიზრახა ჯერ კარგად დათვალიერება დუქნისა და შემდეგ შედგომა საქმისა. თავის მხრივ მაცის მარჯვე აბრაგობამ და ხალხის შეწუხებამ არ გაიარა მუქთად. ხალხში ლაპარაკობდნენ, რომ ეს ახალი გამოჩენილი აბრაგი არის მაციო. ამ ხმამ მიაღწია ბიზანტიელთ მართებლობამდის. იმათ საიდუმლოდ გასცეს ბრძანება, რომ ედევნებინათ იმისთვის ყური და შეეტყოთ იმისი ბინა. მიჩნეულთ კაცთ მალე იპოვეს კვალი და უწყეს ძიება, რომ როგორმე მოესწროთ იმისთვის ბიზანტიელთა საბრძანებელში, რათა შეეტყობინებინათ მმართებლობისთვის და ჩაეგდოთ იმათს

ხელში. მაცის დღეები იყო დათვლილი, მაცის ყოველი მოძრაობა იცოდნენ. მაცი ჰგრძნობდა ამასა და ეშურებოდა გაცლასა. იმას ჰქონდა საკმაო შეძლება, რომ წასულიყო ეკას საძებნელად. ის წავიდა და ერთიც კიდევ უნდა ეცადნა თავისი ბიჭობა ოჩამჩირეს იმ შეუვალს დუქანთან.

იჯდა ეკა თავის დუქანში და კითხულობდა წიგნსა, რომელიც გამოპკვა იმას მარსელიდან. დაღალული წიგნის კითხვით, ის დაყრდნობილიყო ცალს მკლავზედ და გაშტერებული მისცემოდა ფიქრსა. გავიდა ამდენი ხანი და მაციზედ ჭორების მეტი იმას არა ესმოდა რა. გარშემო თვისს არა ხედავდა არავითარს გონივრულს ცხოვრებას და მოქმედებას. ხალხი, მმართებლობა, ყველა იყო ველური. ესმოდა ნიადაგ ცარცვა, ტყვევნა, ხოცვა და დაუდგომლობა. ის ადარებდა ამ ცხოვრებას იმ გონივრულ ცხოვრებასთან, რომელიც ნახა საფრანგეთში. იმას დაუწყო კვალად გულმა ცემა ამ განათებული ცხოვრებისთვის. ის ატყობდა თავსა, რომ ჩავარდნილი მარტო ისევ ძველს ცხოვრებაში, ის ჰკარგავდა ახლად ამისგნით მიღებული აზრების ლტოლვილებას. ის ხედავდა თავს ტყვედ და ატყობდა, რომ თუ კიდევ რამე ხანი დასცლოდა — შეეჩვევოდა ამ ტყვეობას. ამგვარი მომავალი, ამგვარი გარემოებანი აღვიძებდნენ ამის გულში უკანასკნელს ბრძოლას და ამის დამრევ ღონისძიებათა ხედავდა მხოლოდ გაცლას ამ ცხოვრებიდან.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ მოესმა ეკას რაღაცა ნაცნობი ხმა თავის დახლიდართან. ამ ხმამ თითქოს გულში გაჰგმირაო, ისე აენთო ეკა. იმან მიიხედა გატაცებით ამ გაგონებულის ხმისაკენ და ცეცებ შესძახა: „მაცი!“ და უღონოდ დაეშვა სკამიდან ძირს.

მაცი, რომელიც იყო მოსული ამ დუქნის დასაზვერად, ამ ხმაში იცნო ეკას ხმა. ამ დაძახებაზედ შეხედა და ამ გულწასულს ადამიანში იცნო ეკა. მაციც ცალკე გახარებულის, ცალკე განწირულების ხმით შესძახა „ეკა! ჩემი ეკა!“ და მაშინვე ეძგერა გულშემოყრილ ადამიანს.

ამ ამბავზედ ყველა მუშტარი და დუქანში მყოფი შეკრთა. ჯერ ერთი ესა, რომ უცებ საიდანღაც გაუჩნდათ მაცი, რომელიც აქ სრულებით ვერავინ იცნო და მეორეც ესა, მაცი ამ მდიდარ ყმაწვილ მედუქნეს ეძახის ეკას, ქალის სახელს, იმ ქალისას, რომლისაც ხმა იყო მთელს სამეგრელოსა და საათხაზოში გავარდნილი და რომელმაც მაცისთვის გამოიჩინა გასაოცარი საქმეები, ისინი უყურებდნენ ამ ამბავს და არ ჯეროდათ, თუ იყვნენ ცხადლივ. ზოგიერთი მშიშარა გულის პატრონი კიდეც იცქირებოდა აქეთ-იქითა, რომ მაცის არ მოჰყვეს თან ჯარი და ყელები არ დაგვაღა-

ღროსო. მეორე მხრივ ეს ამბავი გავარდა ელდასავით ბაზარში. უცებ თქრიალით მოცვივდა ხალხი და გაოცებით დაუწყო ყურება ამ გასაკვირელს ამბავსა. მთელი ოჩამჩირე დადგა ფეხზედ.

მაცის თხოვნით დახლიდარმა მაშინვე მოიტანა წყალი, ძმარი და სხვა სასუნებლები. ეკა რამდენსამე წუთს უკან მოვიდა გონს და დაეკიდა მაცის კისერზედ. მაცმ ჩაიკრა ის გულში და დიდხანს იყვნენ ისინი ამ მდგომარეობაში.

იმათ იმავე დღეს განიზრახეს ჯვარისწერა და მაშინვე გაცლა უცხო ქვეყნებში.

პატარა ხანს უკან ეკა, ჩაცმული მშვენიერს ქალის ტანისამოსში და მაცი მორთული მშვენიერს იარაღში, წამოვიდნენ ეკლესიისაკენ, სადაც ელოდათ მღვდელი. იმათ მშვიდობიანად დაიწერეს ჯვარი, ემთხვივნენ ჯვარს, ხატებს გულმხურვალედ, რომ აღირსეს ამათ კიდევ ერთმანეთის თავი. ისინი აღვსილი ნეტარებითა, ის იყო გამოვიდნენ ეკლესიიდან და აპირებდნენ პირდაპირ გამგზავრებას ზღვისკენ ოსმალეთში გასასვლელად, რომ უცებ რამდენიმე თოფიარაღიანმა სტაცეს მაცის ხელი და შეიპყრეს. მაცმ მიიხედა და ნახა, რომ გარშემო ეკლესიას ეხვია მრავალი ბიზანტიელთა ჯარი. იმან დააპირა იარაღის ხმარება, მაგრამ გვიანღა იყო. იმას გაუკავეს მკლავები.

ეკას შეუღონდა გული.

XLIV

მაციზე დაინიშნა სასტიკი გამოძიება. მაცის მაგალითით უნდა დაეშინებიათ სხვა ქურდები და აბრაგებიცა. ამასთან მაცი იცნეს რამდენიმე ციხის კაცთა და ყარაულთაც, რომელსაც ეს გაექცათ და ეგონათ, რომ სულთანის ვეზირიაო. ამან კიდევ უფრო ააღელვა ახალი მმართებლობა. ამასთან, რაკი ესეც შეიტყვეს, რომ მაცი გახდა ქმარი ეკასი, რომელიც ყოფილა საფრანგეთში და დაკავშირებია იქაურს ბევრს გავლენიან და გამოჩენილთ პირთა, ამის გამო, რომ არ მიეცათ მიზეზი ეკასათვის, მიეწერა ამათი უსამართლობა იმისთანა განათლებულს ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, სადაც უიმისოდაც სწამებდნენ ამათ ბარბაროსობას და ეჩვენებიათ თავისი სამართლიანობა, მმართებლობამ გასცა ბრძანება, რომ მაცის გამოძიების და ყოველს გასამართლების პროცესზედ ეხმარათ ყოველნივე ფორმანი, რომელსაც ხმარობენ განათლებულს ქვეყნებში. გასცეს აგრეთვე ბრძანება, გასამართლება მაცისა მომხდარიყო დაფიცებულ ბჭეთა დასწრებითა. მაგრამ რადგან არ ენდო-

ბოდნენ მეგრელთა, ეს დაფიცებულნი ამორჩეულიყვნენ ბიზანტიელთაგან.

ეკამ ამაში დაინახა შეღავათი თავის ქმრისათვის. იმან არ დაჰკარგა იმედი მაცის გამოხსნისა. იმას მაშინვე მოაგონდა ერთი გამოჩენილი მარსელის ადვოკატი და განიზრახა თავის უკანასკნელი ღონისძიების დადება და იმისი დაბარება. იმან მაშინვე მისწერა წერილი თავის ნაამაგევ მარსელელ დიდ-ვაჭრებსა ამის შესახებ. ადვოკატმა არ დაიზარა წამოსვლა იმ სიშორე ქვეყნიდან.

ამ ამბავმა მოაღწია ახალს მმართებლობამდის და დაატყვეს, რომ ცვივდებოდნენ ზარალში, რადგან არა ჰყავდათ რიგიანი ბრალმდებელი. ამის გამო ბრალმდებელად ამოარჩიეს საუკეთესო თავის ქვეყნის ადვოკატი.

მოვიდა დღე მაცის გასამართლებისა. ორი გამოჩენილი ადვოკატი ერთი ბრალმდებელად და მეორე დამცველად უნდა შეყრილიყვნენ იმისთანა კაცზედ, რომლისაც მოქმედებები ცხადად იყვნენ დამტკიცებულნი არამც თუ მარტო სხვა პირთა ჩვენებებითა, არამედ თვით დამნაშავისგან გამოტეხით.

მრავალი ხალხი შეიყარა ამ ამბის საყურებლად არამც თუ მარტო სამეგრელოსა და აფხაზეთიდან, თვით ქართლისა და იმერეთიდანაც. თვით მთავარსარდალი დაესწრო ამ სჯაში. შემოიყვანეს მაცი და მაცის თანამოზიარენი. იმათ შემოჰყვნენ თოფ-იარაღიანი ყარაულები და ხმალამოღებულნი კაცნი საიდუმლო პოლიციისა. შემოვიდნენ მოსამართლენი და დაფიცებული ბჭენი. შემოვიდა ბრალმდებელიცა. შემოვიდა მაცის ადვოკატიცა.

ბრბო ხალხისა სულგანაბული იყო გაუნძრევლადა და მოელოდა საქმის დაწყობასა. ეკა იჯდა შორიახლოს და ელოდა ბოლოს საშინელის აღელვებით და გულისცემითა. ადვოკატი რაღაცას გამოელაპარაკა ეკას, ეკას პირზედ გადაჰკრა სიამოვნებამ. იმან მადლობის კილოთი დაუქნია თავი ადვოკატს.

მაცი წამოაყენეს, წაიკითხეს ბრალმდებლის ქაღალდი და ჰკითხეს: რაცხდა თავს ამ საქმეში დამნაშავედ თუ არა. მაციმ აღიარა, რომ ის ყველა ამ საქმის მომქმედი არის.

ეკას უარესად გადაჰკრა ფერმა. ცხადი საქმე იყო, რომ მაცის აღარ უნდა შველებოდა. იმან წინაშე სამართლისა თავისის პირითვე აღიარა ყველა ამ საქმის მოქმედება. ეკამ განწირულებით შეხედა თავის ადვოკატს და სტაცა ხელში ხელი. ადვოკატმა კიდევ რაღაცა წასჩურჩულა ეკას, ეკამ მოიმაგრა გული.

„აი, უფალო მოსამართლენო, — იწყო ბრალმდებელმა, — ბრალდებული უფალი მაცი ხვიტია, თვითვე თავის პირით აღიარებს თა-

ვის დანაშაულს ყველა იმ საზარელს საქმეზედ, რომელიც თქვენ მოისმინეთ როგორც გამოძიებიდან, აგრეთვე ბრალდების ქაღალდიდან. მაგგვარი დამნაშავენი, ჩვენი კანონების ძალით (მუხლი ესა და ეს) მაცი ხვიტია უნდა დაისაჯოს თავის სამშობლოდან დაკარგვით საუკუნოდ მადნებში სამუშაოდ. თქვენ ხედავთ, უფალო მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ არავითარი შემასუმბუქებელი სიმართლე არ მიუძღვის ხვიტიას თავის საქმეში. რაც თავს მოსწრებია ყოველთვის ქურდობასა და აბრაგობაში ყოფილა. რეუ-ლა ყოველრიგს მმართებლობის წინააღმდეგ საქმეში, ურევია და უბრიყვებია ხალხი. ხალხი და მმართველობა შეუჯახებია ერთმანეთისათვის და უღვრია უმანკო სისხლი. არა ჰქონია მაგისგან მოსვენება არამც თუ მარტო ოდიშს, არამედ თვით აფხაზეთს, სვანეთს. გურიას და იმერეთს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენმა განათლებულმა მმართებლობამ შემოსვლის უმალ ოდიშში გამოაცხადა, რომ ყოველ ძველს აბრაგს და ქურდს ვანებებთ თავსა. ოღონდ ახლად ქურდობა და აბრაგობა ნუღარ იქნებაო. მაგრამ ხვიტიამ არამც თუ დაიშალა, პირიქით, დაიწყო უარესი ქურდობა და ავაზაკობა. არ გაუმაგრდა მაგას არც დაკეტილი, არც ციხე და არც სიმაგრე; არც მდიდარი და არც ძლიერი კაცი — ყველა მაგისათვის იყო ერთი, ყველა მაგისათვის იყო ხსნად. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელსაც მისწვდებოდა მაგისი ხელი! ყოველივე საკუთრების პატრონი კარგავდა შეძენის ხალისს, ყოველი მუშაკი კარგავდა სასოებას, რადგან არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შერჩებოდათ თავისი ღვაწლი. ყველა მხოლოდ იმას ელოდა, რომ თვალთმაქცი მაცი და იმისი მსგავსნი, წაიღებდნენ და მოიხმარებდნენ მათ ღვაწლითა და ოფლით შეძენილს სარჩოს. ამგვარს ნიადაგ მოუსვენარსა და უიმედო ცხოვრებას მოსდევს ის სიღარიბე, რომელსაც თქვენ ხედავთ დღეს ოდიშსა და მის მსგავს ქვეყნებში. ყველა ცხადად ხედავდა, რომ შრომა და ღვაწლი არა რჩება ხელში და ფიქრობდა, რომ ვიშრომებ თუ არ ვიშრომებ. ყველა ერთ ბარში გამოვალთო. ამის გამო ყველანი რჩებოდნენ ისევ გულხელდაკრებით ყოფნას ან ქურდობითა და აბრაგობით ცხოვრებას. მოსპეთ ქურდობა და აბრაგობა, მაშინ ნახავთ რარიგად დაწინაურდება ხალხი, მეტადრე ამისთანა მდიდარს და უხვს, ყოველრიგის ბუნების დაწყობილებით შემკობილს ქვეყანაში, როგორიც არის სამეგრელო და აფხაზეთი. ეხლა ჩვენს განათლებულს მმართებლობაზე არის ვალად დებული, რომ მოსპოს ეს ბოროტება ამათ ხელში ჩაცვივუღ ხალხში და დააწესოს რიგიანობა, სამართლიანობა და წესიერება; მისცეს ყოველს მუშაკს და მოღვაწეს ღონისძიე-

ბა მშვიდად და გულდასმით საქმის შედგომისა, რომ მფარველობის ქვეშ განათლებულის სახელმწიფოსი გავრცელდეს კეთილდღეობა და ბედნიერება ხალხში, სადაც ყველა მუშაკს გაბედვით შეეძლოს თქვას, რომ ჩემი შრომა შემრჩება ხელთა და ვეღარავინ წამრტაცებსო. ამგვარად შრომით დაჯილდოება და თავის ღვაწლით შეძენილ სარჩოს დამკვიდრება წაახალისებს ყველას საქმეზედ, ყველა შეუდგება მხნეობასა და შრომას; ყველა ეცდება სარჩოს წარმატებას, ხალხი გაბედნიერდება, გამდიდრდება, და დღეს, უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, თქვენს წინაშე სდგას ის საშინელი დამნაშავე, რომელიც არის მოთავე ყოველრიგის წესის დარღვევისა, საკუთრების შეურაცხმყოფელი და წინააღმდეგი ყოველრიგის წარმატებისა და მომსპობი შრომისა და მუშაკობისა. ერთი სიტყვით ძირი ყოველრიგის ბოროტებისა და ხალხის უბედურებისა. მაგგვარ კაცთან, როგორც წეღან მოგახსენეთ, წარმოდგება უხალისობა მუშაკისა; უხალისობისაგან წარმოდგება სიღარიბე, რომელსაც მოსდევს თან შიმშილი და სიტიტვლე. შიმშილს და სიტიტვლეს უნდა დაკმაყოფილება. ამ დასაკმაყოფილებლად მეტი გზა არ არის, უნდა მოახდინონ ბოროტება: ან გაცარცვონ, ან იქურდონ, ან მოკლან კაცი, თავის თავის დასაცველად მზად არის ყოველის ბოროტებისათვის. ახლა, უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, თქვენ გაძევთ დიდი ვალი, რომ დაეხმაროთ თქვენს განათლებულს მმართებლობას ამ დიდს, მძიმეს და ყოვლად მაღალს კეთილს საქმეში, როგორც ბედნიერება ხალხისა და მოსპობა ხალხთა შორის ბოროტებისა, რომელიც აგდებს მთელს ამოდენა ხალხს სიღარიბესა და სიავაზაკეში. თქვენ თქვენის დასჯის გადაწყვეტილებით, ხვიტიას სახეში დასჯით ყოველთ მაგის მიმბაძავთ და მიმდევართ, და ამით ჯერ ერთი, რომ იხსნით სხვებს მრავალ უბედურებისაგან, რომელშიაც ისინი უეჭველია ჩაცვივიან ხვიტიას დაუსჯელობით, რადგან მაგის მაგალითი წაახალისებს მათაც ბოროტებაზედ; მეორეც ესა, დაიხსნით ხალხთ ბოროტთა ხელთა და საქმეთაგან და გაუხსნით გზას კეთილდღეობისა და სინდისიერის შრომისათვის. ხვიტია არის შემცოდე, ჩვენი კანონი სჯის შემცოდეთა. თქვენი ვალია, ათასთა საბედნიეროდ დასაჯოთ ერთი. ხვიტია ღირსია ყოველრიგის სასჯელისა“.

ამ ბრალმდებელის სიტყვებზედ ყველამ შეხედა ერთმანეთს. მოსამართლენი კმაყოფილებით იქნევდნენ თავსა. დაფიცებულნი ჩურჩულებდნენ. ეკამ სრულიად გადიწყვიტა იმედი, ხალხში შეიქმნა ღიდღადი.

— თქვენ რას იტყვით, ბრალდებულის დამცველო, ამაზედა? — ჰკითხა თავმჯდომარე მსაჯულმა მაცის ადვოკატს.

— მე ბევრი სათქმელი მაქვს, — უპასუხა იმან, — და ვითხოვ უგულითადესად მიაქციოთ როგორც თქვენ, აგრეთვე დაფიცებულთ სრული ყურადღება ჩემს საბუთებს. ამასთან, უფალნო მოსამართლენო და ბჭეებო, მე გთხოვთ ამ ჩვენს მსჯელობის დროს გამოხვიდეთ იმ აზრებიდან, რომელიც ჩვენგნით გასარჩევს საგანზედ წინათვე გაქვთ აღებული. მე გთხოვთ დაღგეთ ამ საგანზედ, როგორც გარეშე პირი, რომელსაც არც არა წახდენია რა და არც არაფერში დასწვია გული იმგვარად მოქმედებათაგან, რომელსაც ბრალად სდებენ ხვიტიას. უამისოდ შეუძლებელია საქმისა სიწმინდით გადაწყვეტა და სამართლიანად გაბჭობა. ძნელია მოსამართლედ დაყენება იმ კაცისა, რომელიც გასასამართლებელს პირს ხედავს თავისსავე მტრად, მაშინ მოსამართლე სამართლიანის თვალით კი არ უყურებს ბრალდებულს, უყურებს ისე, როგორც ბრალდებული და ზღვევის მთხოვნელი. მაშინ რაღა თქმა უნდა, არ უნდა მოველოდეთ სამართალს, უნდა მოველოდეთ მხოლოდ სასჯელს, ზღვევას ნატკენობისათვის, როდესაც თქვენ დადგებით იმ აზრზედ, როგორც გარეშე პირი ამ საქმისა, გამოიღებთ თავიდან წინათვე გულში ჩანერგილს აზრებს, შესახებ გასარჩევის ბოროტებისა და მოისმენთ ყურადღებით ორთავე მხარის საბუთებს, მაშინ შეგიძლიათ წმინდის სამართლით გადაწყვეტა და გაბჭობა საქმისა. შევუდგები საქმესა.

აქ დაიწყო ადვოკატმა.

„სრულიად ამაოდ ვრაცხ იმ ცარიელი სიტყვებით, მჭევრმეტყველებას, რომელსაც ხშირად ხარჯავენ ხოლმე თქვენს წინაშე თქვენი გულის მოსალბობლად. ამგვარი ჩემი ქცევა დაამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ თქვენი გონებისა და მართლმსჯელობის იმედი არა მქონია. მჭევრმეტყველობით მოტყუვდება მხოლოდ ბავშვი და ბავშვებრ გონებაგაუხსნელი კაცი. მე მინდა მხოლოდ გასაგონარის ენით გელაპარაკოთ ამ საგანზედ მეცნიერების გამოკვლევის ძალით, რომლისა წინაშე ყოველი მჭევრმეტყველობა არის უძლური. მე მინდა გელაპარაკოთ ასე უფრო იმისათვის, რომ ცხადი საბუთებით დავიმტკიცოთ, რომ დანაშაულს უნდა უყურებდნენ სრულიად სხვა თვალით, ვიდრე უყურებთ ჩვენა და ჩვენი კანონები. ამის დამტკიცება უფრო იმისათვის მინდა, რომ თქვენ ხართ შთაცვინული იმ ხალხში, რომელიც არ არის ჯერ ცრუ ცივილიზაციის წამხდარი აზრებით გონებადაზიანებული და რომელსაც, როგორც ჯერედ გონებაგაფუჭებულს ბავშვს შეუძლიან მიიღოს ყოველი

ახალი რიგიანი საქმე და ჩაინერგოს გულში, თუ ამ საქმეებს მმართებლობა შეუდგება გულმოდგინედ და ცოდნითა.

ბრალმდებელმა ცხადის საბუთებით დაამტკიცა დანაშაულობა უფალი ხვიტიასი. ამაზედ ყველა თქვენგანის გული დარწმუნებულია. რასაკვირველია, იმ აზრზედ მდგომთათვის, რომელშიაც ჩვენა ვართ აღზრდილი, ბრალმდებელის დამტკიცება საკმაოა და ცხადია, მაგრამ ავიღოთ ხელი ჩვენში ჩანერგული აზრებიდან, ჩავაკვირდეთ კარგად საქმეს, ავწონოთ მეცნიერების ძალით და მაშინ დავინახავთ, რომ უფალი ბრალმდებელი სარგებლობს ჩვენის უმეცრებით, აქეზებს ჩვენს წამხდარს მიდრეკილებათა და ნაცვლად იმისა, რომ გამოგვიყვანოს შემცდარი აზრებიდან, გვამყარებს უფრო და უფრო ამ აზრებზედა, გვიღვიძებს სიბრალულის მაგივრად სიძულვილს სრულიად უმანკო კაცებზედ, რომლების ალაგას ჩვენ იქნება უარესი საქმეები გვექნა და რომელთათვისაც ჩვენი საქმეები იქნება უფრო ბოროტათა ჩანდეს, ასე რომ შეიცვალოს გარემოება, ჩვენი საქმეების გასამართლება, — იმ საქმეებისა, რომელიც ჩვენ დიდ პატიოსნებად მიგვაჩნია, — შეხვდეთ იმათა, იქნება უარესს სასჯელს მიგვცენ.

მე გთხოვთ, უფალო მოსამართლენო და დაფიცებულნო, გამოადევნოთ გონება ჩემს ლაპარაკს და გადავიდეთ ძველს მეგრელთა ცხოვრებაში. ძველისძველადვე, სადამდისაც კი კაცის გონება და ხსოვნა მისწვდება, ვხედავთ კოლხიდას განათლებულ და განვითარებულ ქვეყანათა. ის გასაოცარი საქმენი, რომელიც მედეამ ჩაიდინა წინაშე არგონავტთა, ამტკიცებენ, რომ მეცნიერება დიდად გახსნილი და განვითარებული ყოფილა აქა, ასე რომ, სხვა ხალხები და თვით ბერძენნიც, რომელნიც ირიცხებოდნენ მაშინ განათლებულად, ვერც კი მიხვედრილან ამ მეცნიერებას და უწოდებიათ ამგვარი მედეის საქმეებისთვის მისნობა და ჯადოქრობა. ამას გარდა, დიდი ჰომიროსი კოლხიდის ღვინოებს ასმევს ბერძენთა ღმერთთა, როგორც ღმერთების საკადრისს ღვინოსა, ისე სახელოვანი ყოფილან მაშინდელი ნაწარმოებნი მეგრელთა. ძველი მეისტორიენი გვიამბობენ, რომ რუკა ყველაზედ წინ შეუდგენიათ კოლხიდაში. ასე ყოველივე ამტკიცებს დიდს ნიჭს და დიდს ლტოლვილებას მეგრელთა მეცნიერებისა და განათლებისადმი. არც ერთის ძველის მოგზაურისა და არც ერთის მატიანესაგან ძველს დროში არ გვესმის, რომ ამგვარი ქურდობა და ავაზაკობა გავრცელებული ყოფილიყვეს სამეგრელოში. ამას მხოლოდ ვხედავთ ბოლოსა და ბოლოს; და შემდეგ გამოჩენილის მოგზაურის შარდენისაგან გვესმის საშინელება ამგვარის საქმეებისა სამეგრელოში. რა იყო მიზეზი, რომ უცებ ხალხმა აიღო ხელი თავის კულტურაზედ, თავის სამეცნიერო-

სა და განათლების გზაზედ? ცხადი საქმეა, რომ, როგორც სხვა ყველაფერი, არც ეს უნდა მომხდარიყო უმიზეზოდ. უნდა დიდი ხანგრძლივი ყოფილიყო ეს მიზეზი, რომ აეღებინა და დაევიწყებინა ხალხისათვის ის საქმენი, რომელნიც ამას აძლევდნენ წარმატებას და კეთილდღეობას. არც ერთი ხალხი, არც ერთი კაცი, თავის გონებაში მყოფი ხელს არ აიღებს იმისთანა საქმეზედ, რომელიც ამას აბჯოფებს მოგებასა და მოსვენებაში. მიზეზი ამგვარს მდგომარეობაში ჩავარდნისა, ცხადია, არ იყვნენ თვით მეგრელნი. მიზეზი ამისა იყო შემოსევა მძლავრის მტერისა, რომელმაც შემუსრა თავისუფლება და თვით არსებობა მეგრელთა. ერთხელ დარეულს და მოუძლურებულს ხალხს აღარ უსვენებდნენ მტრები და ნიადაგ ესეოდნენ, სტაცებდნენ სარჩო-საცხოვრებელს, ქონებას, ცოლ-შვილს უხოცავდნენ, არ უყურებდნენ არავითარს ნაღვაწსა. ამასთან შემოერტყნენ ამათ გარშემო ის გაცარცული მტერთაგან ხალხი, რომელთაც შეეძლოთ რჩენა მხოლოდ ცარცვითა და ტაცებითა, ხალხნი ისეთნი, რომელნიც თავის უშვერებისა გამო ვერ იხმარდნენ თავიანთ მწირს ადგილებსა, რომელნიცა თხოულობდნენ დიდს ცოდნასა და შრომასა. ეს ხალხნი ესხმოდნენ ამათ ნამუშევარს მინდორსა და სახლში. მეგრელთ დაუკარგეს ამათ ხანგრძლივის მოუსვენარის ცხოვრების ძველი ცოდნა და ხალისი. მეგრელნი დაღარიბდნენ, დაიმშნენ, დარჩნენ უბინაონი, დაავიწყდათ თავისი ძველი ცხოვრების გზა; ისინი ხედავდნენ მხოლოდ ცარცვასა და ბოროტებასა. თითონ აღარა ჰქონდათ ცოდნა და არც ასვენებდნენ იმათ ამისათვის. შიმშილი აჭირვებდა, შიმშილი თხოულობდა დაკმაყოფილებას. წეღან უფალმა ბრალმდებელმა სამართლიანად აღიარა, რომ შიმშილი არის ყველას გამბედველი. კაცთა თავისი თავი ყველას ურჩევნიან. კაცის თვისება და აგებულება ისეთია, რომ თავის გარეშე სხვა ყველას ისე უყურებს, როგორც თავის რჩენისა და კეთილდღეობის ღონისძიებას. შიმშილი არის პირველი შემძვრელი კაცისა. ქვეყანა არის სარკე კაცისა. შიმშილი აღვიძებს კაცის გულში სურვილსა, რომელსაც უეჭველი დაკმაყოფილება უნდა, თუნდა რომ კაცი თვით რკინის ხასიათისა იყვეს, სურვილს შესრულება უნდა. ყველანი ვინც კი არტყიან მეგრელთა, თავის სურვილს იკლავენ ცარცვითა და მტაცებლობითა; მეგრელნი არა ხედავენ სხვა მაგალითსა. ყველა იმას სწავლობს, რასაც ხედავს. ყველა იმას მოქმედობს, რასაც სხვები სჩადიან. რაც არ უნახავს და უსწავლია კაცს, იმის წარმოდგენაც არ შეუძლიან. მაშ რა უნდა ექნათ მეგრელთა თავის ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? ეს მოთხოვნილებანი ისეთნი არიან, რომ თუ არ დააკმაყოფილე, გემუქვრის სიკვდილით და კი-

დეც მოკვდები. ისიც როგორ მოკვდები! ერთბაშად კი არა, რომ მორჩე და მოისვენო. არა, კვდები სატანჯველით, წვრილ-წვრილად, მოუსვენრად. მაშ დარჩა მხოლოდ შესწავლა იმ ხელობისა, რომლითაც ცხოვრობდნენ შემოსული და გარშემო მცხოვრები ხალხები, რომელთაც უშვერებისა და ადგილსამყოფის სიმწირის გამო, სხვათა შორის ცარცვა და ქურდობაღა დარჩენოდათ რჩენის ღონედ. ამას შეეჩვივნენ თანდათან, წვრილ-წვრილად მეგრელნი. შემდეგ იწყეს ამ საქმეებში ხელოვნება და როგორც მაღალი ნიჭის პატრონი ხალხი, ამ საქმეშიაც გამოიჩინეს დიდი ნიჭი. შემდეგ ეს საქმე გადაიქცა საქებურათაც და საკვეხურათაც, რადგან შეიქნა საყოველთაო და ამასთან რჩენის ღონეთ. ყველა მხნე და ნიჭიერი ვარჯიშობდა ამ ხელობაში, ყველა უხეირო, უნიჭო და უძლური რჩებოდა მშვიდობაში და ყოველი ნიჭიერი მხნე იყო შემდგარი ქურდობისა და აბრაგობის საქმეზე. ამგვარი კაცნი იყვნენ მოსაწონარნი ყველასაგან. ამგვარ კაცებს აქებენ მშვენიერნი ქალნი სამეგრელოსანი. ამათთვის აწყობდნენ ტკბილსა და ქების სიმღერებსა და მღეროდნენ დღეობებსა და ლხინში. ამათ უფრო ადებინებდნენ თავს ვაჟკაცთა. როგორც შიმშილი არის კაცის გამამხნევებელი სარჩოს შეძენაში, ეგრეთვე ლტოლვილება ქალისადმი არის გამღვიძებელი კაცის გულში ქალის მოწონებისა და იმის მოსაწონარი საქმის შესრულებისა. შიმშილი, ქალთა მოწონება, საზოგადო აზრი, — ყველა იმას ჩასძახოდა, რომ ვისაც შეეძლო ყოფილიყო მარჯვედ იმ საქმეში, რომელიც ეხლა ჩვენ ასე დიდ დანაშაულად მიგვაჩნია. თავის მხრივ ქალნი ამგვარის აზრის შედგენით და კაცთა ცარცვასა და ქურდობაზედ წახალისებით არ იყვნენ გასამტყუნარნი. ისინი, ჩაცვივნული ოჯახობაში, შვილებისა და სახლის მოსავლელად, იყვნენ დიდს შიმშილსა და მოთმინებაში, რაკი მტერთ დაუკარგეს თავისუფლება და მშვიდობიანობა. ამის გამო კაცი რაც უფრო ქურდი და აბრაგი იყო, უფრო კარგად არჩენდა და ინახავდა მათ. მაგ მდგომარეობაში მყოფთ კაცთათვის უფრო კარგი და საქებური ის არის, ვინც უფრო მოუვლის და შეინახავს. ამის გამო იმათ ქურდებსა და აბრაგებზედ შეადგინეს კარგი აზრი. რადგან ისინი უფრო პატრონობდნენ ამათა.

ეს ისტორიული მიზეზნი. ახლა გადავიდეთ მეორე მხარეზედ. რომლითაც ჩვენ ეს საქმენი არ უნდა გვეჩვენნენ ასე საზარლად, როგორც გვეჩვენება.

ჩვენ გვაღელვებს ისა, რომ ჩვენის ღვაწლითა თუ შრომით შეძენილს სარჩოს გვაცლიან ხელიდან, — ერთი სიტყვით გვაკლებენ ჩვენს საკუთრებას, რომელსაც ჩვენს მაგივრად ხმარობენ ისინი.

გთხოვთ კიდევ დაკვირვებასა და ამ შედარების კარგად გარკვევასა. მე ვამბობ, რომ ჩვენ ქურდობა და ცარცვა იმისათვის გვაღელვებს. რომ გვაკლებენ ჩვენს საკუთრებასა და ჩვენს ღვაწლს ხმარობენ ისინი. სხვა მიზეზი ამ საქმეებზედ აღელვებისა ჩვენ არა მიგვიძღვის რა. ახლა ვნახოთ მარტო ამგვარი საქმით გვერთმევა ჩვენი საკუთრება და ნაღვაწლი. ამას რომ კარგად განვიხილავთ, ჩვენ ვნახავთ როგორც მეგრელნი ქურდობასა და აბრაგობასა არიან შეჩვეულნი და მიაჩნიათ საქებურად, აგრეთვე სხვა ყველა ხალხი შესჩვევია სხვა უარესათ და უფრო საძაგელთ საქმეთა, რომლითაც ერთნი ცარცვავენ მეორეს, აკლებენ უკანასკნელ საკუთრებასა, თითონა მდიდრდებიან, ხოლო ღარიბნი უფრო და უფრო უკანასკნელდებიან. ჩვენ ვნახავთ, რომ ბევრით ის საქმენი, რომელნიც ჩვენ საქებურადა და საკვეხურად მიგვაჩნია, უფრო მავნე და საძაგელნი არიან ხალხისთვის, ვიდრე ქურდობა და აბრაგობა. სხვათა შორის ავიღოთ აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, რომელიც ყველა ოდნავ განათლებულ ქვეყანაში გავრცელებულია. საქონელი უჭირავს აღებმიცემის კაცსა. მე დამჭირდა საქონელი. მივდივარ აღებ-მიცემის კაცთან და ვევაჭრები საქონელსა. იმას საქონელი დასჯდომია მანეთი. ეს ნამდვილი ფასი ამ საქონელისა მხოლოდ თვითონ აღებ-მიმცემმა იცის. ფასი საქონელისა არც მე ვიცი და არც მაქვს შემთხვევა, რომ შევიტყო. ვაჭარი მანეთიანს საქონელს მიფასებს ორ მანეთად. ის სარგებლობს ამ შემთხვევაში ჩემის გაჭირვებითა და უმეცრებითა. ამის გამო, საქონელში, რომელშიაც ბევრი-ბევრი მანეთებზედ ორი შაური ერგებოდა თავისი ღვაწლის ფასი, მართმევს მანეთზედ მანეთს მოგებასა.

აქ თითო მანეთში მპარავს მე ის ოთხ აბაზ უზალთუნსა. ასე, რომ ასი მანეთისა რომ ვივაჭრო, ის იგებს, ანუ უკეთა ვთქვათ, მპარავს მე ოთხმოცდაათ მანეთსა, ათ მანეთის მაგივრად, რომელიც იმას ერგებოდა. ეს ვაჭარი თანდათან მდიდრდება და იძენს ქონებასა. საწყალი კაცი უფრო ღარიბდება, რადგან იმას ყოველთვის უჭირს საქონელი და ამ საქონელში ნიადაგ ატყუებენ და პარავენ. გკითხავთ მე, უფალო მოსამართლენო და ბჭენო, გვაღელვებს ჩვენ ეს საქმეები? უყურებთ ამ საქმეებს ცუდად? ვსჯით კანონით ამგვარ კაცთა? ან საზოგადო აზრი თაკილობს იმათა? არ მიგვაჩნია ამგვარად გამდიდრებული კაცი პატივცემულად? რატომ არ უნდა გვაღელვებდეს ჩვენ ესა და გვაწუხებდეს?! წეღან ვთქვით, რომ ქურდობა და ცარცვა იმისთვის გვაწუხებს, რომ გვაკლებენ ჩვენს საკუთრებასაც. ნუთუ, როდესაც ერთი გვპარავს ის დასაკლისია და საწყენი, და როდესაც მეორე — ეს კი არა? რომ დავაკ-

ვირდეთ, ის ქურდობა და ცარცვა უფრო შესაწყნარებელია, რომელსაც ვსდევნით, ვიდრე ის ქურდობა, რომელიც ჩვენ შეგვიწყნარებია და პატივსაცემათაც მიგვაჩნია. გავსინჯოთ კარგად, რომ ეს აზრი უსაფუძვლო არ გეგონოთ. ქურდს და აბრაგს ყოველთვის ეშინიან, რომ არ მოასწროს პატრონმა და არ დაიჭიროს, ამის გამო ის ყოველთვის ვერა ბედავს თავის ავკაცობასა. ქურდსა და აბრაგს დაუმალავ, დაუკეტავ, დაუდგები იარაღითა და ძალითა და არაფერს დაანებებ. ქურდსა და აბრაგს თუ უპოვე ნაქურდალი ერთიორად დაიბრუნებ. ქურდი და აბრაგი მოიპარავს და მოიტაცებს, და მოჰპარავენ და მოსტაცებენ სხვა იმათზედ უფრო გაჭირვებულები. მაგრამ, რას უზამთ თქვენ მაგალითად აღებ-მიცემის კაცთა? გიჭირს საქონელი. გიფასებს მამასისხლად. გინდა იყიდე, არ გინდა წაბრძანდი. ტანისამოსი, ფეხსაცმელი, დასახურავი, სახლის ავეჯეულობა და სხვანი მრავალნი, ისეთი საჭიროებანი არიან, რომ უამათოდ არ შეიძლება. მეტი ჩარა არა გაქვს — უნდა იყიდო და აძლევ იმ ფასსა. რომელსაც გთხოვენ. ვთქვათ გაიგე კიდეცა, რომ ვაჭარმა მოგატყუა და მანეთში ორი მანეთი ანუ მეტი გამოგართვა — რას იზამ? — არაფერსა. იმიტომ რომ ამგვარი ქურდობა ჩვენგანაც და კანონისაგანაც შეწყნარებულია. რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი უფრო ქვეშ ვეგებით და პატივსა ვცემთ, თუმცა რამდენიც უფრო მდიდარია, იმდენი ამისი სიმდიდრე იმას ამტკიცებს, რომ უფრო ბევრი მოუტყუებია და გაუცარცვავს. ამასთან რაც უფრო მდიდარი ვაჭარია, იმდენი უფრო შეუძლიან ატყუოს სხვები და სხვები ამას ვერას გამორჩებიან, რადგან აქვს ამას ღონე უსხვებოდ შესძლოს რამდენი ხანიც უნდა, და სხვები კი უამისოდ ვერ შეძლებენ, რადგან არა აქვთ ის საჭირო ნივთნი, ურომლისოდაც ვერ გაძლებენ და რომლებიც ამისგან უნდა მიიღონ. მეორე მხრივ, რაკი ამგვარი ძალა აქვთ ხელთ აღებ-მიცემის კაცთა, ისინი მეტად სარგებლობენ ამ ძალითა. მუშტარი კი, რომელიც მოკლებულია ღონეს, რომ ამანაც თავის მხრივ ამგვარად ატყუოს სხვები, თანდათან ღარიბდება, რადგან ყველა ნივთში ართმევენ ერთი ხუღათა. ამის შრომა და ღვაწლი გადადის ცრუ და გაუმაძღარი აღებ-მიცემის კაცების ხელში, და ბოლოს მუშტრები ღატაკდებიან, და აღებ-მიცემის კაცები ცვივდებიან ნეტარებაში. მაშინ მუშტარი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უეჭრო მდაბიო ხალხნი, ხდებიან სრულნი მონანი აღებ-მიმცემთა, გარდა იმისა, რომ ყიდულობენ საქონელს მამასისხლად, რაკი ცვივდებიან მეტს გაჭირვებაში, სესხულობენ ფულსა ეგრეთვე მამასისხლადა და ამგვარად სულიან-ხორციანა ცვივიან იმათს ხელში. რაც ხანი გადის ამგვარს მდგომარეობაში, იმდენი უფრო მოდის მეფობა ვაჭართა,

იმდენი ისინი იჭერენ ძალასა და ჭონებას ხელთა, და იმდენი უფრო ღატაკდებიან და მონად ხდებიან მილიონობით ხალხი. რა მიზეზია. რომ ამგვარს ბოროტებას, რომელსაც უფრო დიდი და საზოგადო უბედურება მოსდევს, ვიდრე ცარცვასა და ქურდობასა, ჩვენ ვცემთ პატივსა? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ შევჩვევივართ ამ საქმეებსა. ჩვენთვის შეიქნა დიდად საჭირო აღებ-მიცემობა, რათა დაგვეკმაყოფილებინა ჩვენ მრავალი ბუნებრივი მოთხოვნილებანი. ამის დასაკმაყოფილებლად გამოჩნდნენ კაცნი. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს კაცნი და იმათი მოქმედებანი, რაკი მოგვცეს ღონე ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებისა. ამ სიამოვნებამ ისინი წაახალისა და დაიწყეს ისე ქცევა, როგორც ერჩივნათ. უშვერებისა გამო ჩვენ არ ვიცოდით, როგორ დაგვეჭირა საქმე, რომ აღებ-მიცემა ასე საზარალო არა ყოფილიყო ჩვენთვისა და ზარალის მაგივრად ნამდვილი სარგებლობა მოეტანა. ჩვენ შევეჩვიეთ ამასა. ამით ისინი გამდიდრდნენ. სიმდიდრესა, მხნეობას და ოსტატობასა იმათსას ვეცით პატივი. ვეცით პატივი ჩვენს ცხადად გამტყავებელთა. მაშ რად გვაღელვებს ასე ისა, რომ მეგრელნი აბრაგობენ და ქურდობენ, ჩვენი აღებ-მიცემობა და იმათი ქურდობა, ორივე წარმოსდგნენ თვით მომქმედთა უნებურადა, ისინი ამაში ცოდვას კი არა, დიდს სიკეთესა ხედავენ და ჰგონიათ, რომ თუ ასე არ მოვიქცევით უფრო სირცხვილიაო. ახლა როგორ გინდა დანაშაულად დასდოთ ის კაცსა, რაზედაც ის სრულის გულით არის დარწმუნებული, რომ არის კარგი და არა ცუდი საქმე. ნუთუ თქვენ დასჯით ან დასდებთ ბრალთა, რომ მაჰმადიანი არ არის ქრისტიანი, როდესაც ის დარწმუნებულია, დედის ძუძუდანვე შეგონებული და ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი აზრი, რომ მაჰმადიანთა უკეთესი სარწმუნოება არ არის ქვეყანაზედაო? ნუთუ დასდებთ ბრალათა რომელსამე ხალხის შვილსა, რომ ის იმ ხალხის შვილია და არა სხვა ხალხისა? როგორც არ არის ჩვენი ნება, რომ დავიბადო მაგალითად, გერმანელად, როდესაც ვშობილვართ ქართველად, აგრეთვე ჩვენთვის შეუძლებელია შევისწავლოთ გერმანელების აზრები, ადათები, თუ ჩვენ სხვა აზრები და ადათები გვაქვს შესწავლილი. ამავე მდგომარეობაში უნდა იყვნენ ჩვენთვის მეგრელთა აბრაგები და ქურდები. რასაც შინა ხედავდნენ, ის აქვთ გასწავლული და ძვალსა და რბილში გამჯდარი. რაც არ უნახავთ და არ უსწავლიათ — ის არ მოეთხოვებათ.

რასაც ვნებას აძლევენ ქურდნი და აბრაგნი მეგრელთა ხალხსა, ამგვარს სავნებელს საქმეებს ჩვენ ყოველს ნაბიჯზედ შევხვდებით თვით უუგანათლებულს ქვეყნებშიაცა, რომლებიც წარმოსდგება

ისევ ხალხების უმეცრებისაგან. როგორ მოვთხოვოთ ახლა ხალხსა და დავსაჯოთ ისინი, რათა ხართ მაგ უმეცრებაშიო? გარდა აღებმიცემობისა, ავიღოთ თუნდა დიდი მამულების პატრონები, რომლებიც აქირავებენ თავის მიწებსა. ვინც ქირაობს მიწასა, ალბათ უჭირს, ან სრულებით არა აქვს, ან თუ აქვს, საკმაო არა აქვს, რომ ქირაობს. ვინც აქირავებს — იმას ბევრი აქვს და აქირავებს. ყველა კაცი არის ბუნების შვილი. ბუნება ყველა კაცს ბუნებითად აძლევს მხოლოდ ჯანს და გონებას, რომლითაც უნდა იცხოვროს ყოველმა კაცმა. გარდა ჯანისა და გონებისა კაცს საკუთრება არა აქვს ბუნებად დაყოლილი. სხვა ყველა ეკუთვნის ბუნებასა. კაცმა თავისის შრომით უნდა გამოიტანოს ბუნებიდან საცხოვრებელი. ვინც ქირაობს მიწასა, ის შრომობს და შრომით მოჰყავს საზრდო. ვინც აქირავებს მიწებს (ან თუნდა ფულსა), ის მუქთად ზის და თავის ჯანს ტყუილად ათას გასართობსა და შესაქცევ საქმეებში ღუპავს. რაში აძლევს ახლა ეს მშრომელი კაცი თავის ნაშრომს მიწის პატრონს? ის ტყუილად კარგავს თავის ჯანსა, ეს ჯანს ხმარობს სასარგებლოდ. ის იღებს მხოლოდ იმ მიწაში ქირას, რომელიც ეკუთვნის ბუნებას, და ბუნებისგნით მხოლოდ ამ ბუნებაზედ მშრომელს კაცს. რა არის ამგვარი მიწისა ანუ სხვა რისგანმე ქირის აღება, რომელიც ყველაზედ უფრო მომეტებულად ეკუთვნის კაცსა, რომელიც არის მხოლოდ ნამდვილი საკუთრება კაცისა. ჯანიანს კაცს მართებს მუქთად შენახვა მხოლოდ უჯანო და სნეული ხალხისა. ჯანიანისგნით სხვის კისერზედ წოლა არის ქურდობა, რადგან თავის ჯანს არა სჯის და სარგებლობს სხვის ჯანითა, რაკი ხედავს იმის გაჭირვებასა და იცის, რომ ის ძალაა თუ ნება უნდა ემსახუროს ამას. ჩვენ არამც თუ ვითმენთ, რომ ერთი კაცი სარგებლობდეს ერთი კაცის ჯანით და ნაღვაწითა, — ჩვენ იმდენი უფრო საქებურათა გვყავს ის კაცნი, რამდენიც ამ კაცთ უფრო ბევრი სხვა კაცის ჯანი ელევათ. რამდენიც უფრო ბევრი კაცის ჯანს იმსახურებენ იმ ადგილებშია. რომელნიც არ არის ამათის ჯანითა და ჭკუით შეძენილი. ზოგჯერ ერთი კაცი ჰნთქავს ათასობით კაცის ჯანს მიწის მიქირავებასა თუ ქარხნებსა და სხვა ამგვარ სამუშაოებში, და ჩვენ ამ კაცთ უყურებთ დიდებით და ღაღადებითა. ამგვარი უსაზომობით და უწესობით არის ქვეყანა მოცული. ჩვენ ამათ უყურებთ სრულიად გულგრილად. რადგან თვალიცა და ყურიც შეჩვეული გვაქვს, რადგან ამ მდგომარეობაში გავზრდილვართ, რადგან სხვა ცხოვრება ჩვენ არ შეგვისწავლია და ჩვენთვის არავის ჩაუგონებია ამათი სიცუდე და სიბოროტე, რადგან ჩვენ თვითონ ყველანი გამზადებულნი ვართ ამ საქმისათვის, ჩვენ თითონ ყველანი ვურევივართ ამ საქმეში. რომ გავარ-

ჩიოთ კარგად, ჩვენ ცხოვრებაში არ დარჩება სამართლიანობის კვალი, ყველანი გამოვალთ ბრალდებულნი ამ უსამართლობასა და უწესობაში, თუ ეს ყველა ჩაგვივარდა დანაშაულად, მაშინ ყველანი შევიქნებით დასაკარგნი და ადგილსაც ვეღარ ვიპოვნით ჩვენ დაკარგვისას. რა არის საკუთრად დანაშაული? დანაშაული მხოლოდ ის არის, როდესაც კაცი დარწმუნებულია, რომ ესა და ეს საქმე ცუდია, შეუძლიან რომ ეს ცუდი საქმე არ მოახდინოს, და მაინც და მაინც მოახდენს. როდესაც კაცი სრულიად დარწმუნებულია, რომ ჩადის კარგს საქმესა და ეს ამისი მოწონებული საქმე სხვის თვალში არ ვარგა და არც იცის, თუ ეს სხვისთვის ცუდიაო, ეს დანაშაულად არავის არ ჩაუვარდება. აგრეთვე, როდესაც კაცი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს საქმე ცუდიაო, მაგრამ სხვა ღონე არა დარჩენია რა, რომ უნდა ჩაიდინოს, არც ეს არის დანაშაული, რადგან ამაზედ არ იყო ამ საქმის ჩადენა დამოკიდებული. ამგვარი შეცოდებანი ისეთებივე არიან, როგორც მაგალითად უცაბედი საქმენი. უცაბედოსათვის არა სჯის კანონი იმიტომ, რომ ან არ იცოდა, რომ მოხდებაო ან არ უნდოდაო. ამგვარივეა სწორედ ეს საქმენიცა, ხვიტია და მაგის მსგავსნი კაცნი მთელის ხალხით დარწმუნებულნი არიან, რომ არ არის რა მაგათს საქმეებში ცუდი. მაგათ სრულიადაც არ უდევთ ცუდი საქმე გულთა, მაგრამ მაგათდა უნებურად, მაგათდა უცოდველად ხდება ცუდი საქმე მაგათ ხელიდან. თუ დაისჯებიან ესენი, უნდა მაშასადამე დაისაჯნენ უცაბედი საქმის მომხდენნიცა.

ჩასაკვირველია, რაკი ჩვენ სასჯელს შეჩვეულნი ვართ, არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ სხვა ღონისძიება ხალხთა ზნეობისა და ცხოვრების გასასწორებლად. მე რომ ამეებს ვამტკიცებ და ვლაპარაკობ, თქვენ იქნება გულში ჯავრიც მოგდით, რომ ერთ მხრივ გიმტკიცებთ, რომ ყველა ცუდში, ყველას წილი გვიდევსო, მეორე მხრივ გიკრძალავთ თითქმის სასჯელსა და კი არ გიჩვენებთ ღონესა, რომლითაც ეშველოს ქვეყანასა უწესობისა და უსამართლობისაგან. მე მსურს ამ მოკლე სიტყვით მიგიყვანოთ იქამდინ, თუ რა წარმოდგება იქიდან, რომ ვსაჯოთ ყველა ხვიტიას მსგავსი კაცები. მე ვგონებ, ის საკმაოდ დავამტკიცე, რომ იმათ არ მიუძღვით თავის საქმეებში დანაშაული; ისინი თავისდა უნებურად და გაუგებრად ახდენენ ცუდ საქმეებს, ეს საქმეები არიან საქებურნი ხალხისაგან. ვინც ამათ ჩაიდენს, არიან საჩინონი, შვრებიან მოსაწონარ საქმეებსა. ვინც არ ჩადის ამასა, არ ჩადის იმიტომ, რომ არის უღონო, შეუძლებელი. საზოგადო აზრი უყურებს იმათ, როგორც უვარგისთ. რიგიანი ქალი იმათ ქმრათ არც კი იკადრებს. მაშასადამე საზოგადო

აზრში ესენი არიან უფრო დამნაშავენიც, რადგან ვერ ასრულებენ საზოგადო მოსაწონ საქმეებსა. მაშასადამე აქ ვისაც კი შეეძლო, ყველა უნდა შესდგომოდა საზოგადო მოსაწონარ საქმესა. და ასეც იყო. აიღეთ, გასინჯეთ კარგათა, შეადარეთ აბრაგები მშვიდობიანთა ხალხთა სამეგრელოში; შეადარეთ მარჯვე და გამოჩენილი ქურდი უბრალო, უმანკო მეგრელს და თქვენ ნახავთ, რომ საუკეთესო ვაჟკაცნი, საუკეთესო ნიჭიანი კაცნი შესდგომიან ქურდობასა და აბრაგობასა და ყოვლად უხეირონი და უნიჭონი დარჩენილან ამ ხელობის გარეთა. არამც თუ სამეგრელოში, ყველგან ისეა, რომ საუკეთესო, მხნე და ნიჭიერნი შესდგომიან იმ საქმეებსა, სადაც უფრო გამოსაჩენი და შესაძენი საქმეა. თუ კაცი არ შესდგომია იმ საქმეს, რომელიც საზოგადოებისაგან მოწონებულია, თუნდა რომ ეს საქმე ცხადი სავნებელიც იყოს, ის კაცი არ ვარგა სრულიად. რიგიანი კაცი არა მოწონებულს საქმეში არ დარჩება უკანა, თუ არ არის გონებით გახსნილი და არ არის დარწმუნებული, რომ ეს საზოგადოების მოწონებული საქმე ცუდიაო. ამგვარნი კაცნი იპოვებიან ძალიან ძნელად თვით უგანათლებულესთ ხალხთა შორისაც და სამეგრელოში ხომ ან სულ არ უნდა იყვნენ, ან თუ არიან — უნდა იყვნენ იშვიათად. სხვები თუ არ გაჰყოლიან საზოგადოებისაგან ნაქებს საქმესა, ამტკიცებს სრულს იმათ უნიჭობასა, უძლურებასა და უხეირობასა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქურდსა და აბრაგს გადაუწყვიტეთ დაკარგვა და დაღუპვა თავის სამშობლოდან, მაშინ როგორა ფიქრობთ: სარგებლობას უშვრებით ხალხსა, თუ ზარალსა? რასაკვირველია სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ სარგებელსა, მაგრამ აი რა ზარალს უშვრებით და ვნებას აძლევთ ქვეყანას და თქვენდა უნებურადა ხდებით თვით ისეთი დამნაშავენი, რაოდენსაც ვერც ერთი დამნაშავე, რომელსაც თქვენა სჯით, ვერ იზამს. წეღან დავამტკიცე. რომ საუკეთესონი არიან ქურდნი და ავაზაკნი, უარესნი და უხეირონი — ამ ხელობის გარეთ დარჩენილნი. დაიკარგნენ საუკეთესო ძენი ქვეყნისა, დარჩნენ უარესნი, ჯერ ერთი ესა, რომ ამ უარესთ, როგორ უნდა შეინახონ ქვეყანა და ხომ დარჩნენ ამ დაკარგულთ ვაჟკაცთა ცოლ-შვილი უსაზრდოოდ, რომელთაც მხოლოდ ესღა დარჩენიათ, რომ ეხლა თითონ იქურდონ, და პატარა ხანს უკან თითონაც თან გაჰყვნენ ქმარ-შვილსა. მაშინ, გკითხავთ, ვისთვის არის ეს თქვენი ზრუნვა?! მეორეც ესა, თუნდა ასეც არ მოხდეს, და მოისპოს ამით ქურდობა და აბრაგობა, რა მოუვათ იმ ნიჭიერთა და მოძრავთ მეგრელთა? თქვენ ყველამ კარგად იცით და შემჩნეული გექნებათ ბუნების კანონი, რომ კარგი დედ-მამისაგან ჩამოდიან კარგი შვილები, ცუდებისაგან — ცუდნი. ამ კარგებს რომ დაჰკარგავთ,

ხომ გაწიოკდა, გაუნიჭოვდა, გაბედხეირდა ამისთანა ნიჭიერი და მახვილი ხალხი, როგორც მეგრელნი. რაკი გაუნიჭოვდებიან, წახდებიან და დაიგვალებიან, ხომ გაგიხდათ თქვენვე თავში საცემრადა და დაგაწვათ კისერზედა! ამაზედ, თქმა აღარ უნდა, ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ აქ გმართებთ დიდი დაფიქრება, თუ არ გინდათ, რომ ჩააგდოთ თქვენი თავიცა და მთელი ქვეყანაც საუკუნო უბედურებაში, თუ არ გინდათ შთამომავლობისთვის, რომელიც უეჭველია მიხვდება ავსა და კარგსა, დარჩეთ უსამართლოდა და მთლად უშვერ ხალხათა.

ახლა გადავიდეთ იმ ღონისძიებასთან, რომელიც არის ნამდვილი წამალი ამგვარად საზოგადოების სიწამხდრისა და აშლისა. როგორც ხალხი არის წამხდარი ცუდის მაგალითებით, რომელსაც ისა ხედავს თავის გარშემო, როგორც არის წამხდარი ცუდის გაზრდილობითა, ისე ამ ხალხს გააკეთებს მხოლოდ კარგი მაგალითი და კარგი გაზრდილობა. როგორც კაცს აქნევინებს შიმშილი და სიღარიბე ცუდს საქმეებსა, ისე როცა ჩააგდებ ხალხს კარგს მაგალითებში, კარგს გაზრდაში და მისცემ ცხოვრებისა და შრომის სახსარსა, ის შეიძლება გახდეს კარგი და კეთილი. ამის გამო არის უპირველესად საჭირო, რომ გახადოთ ყველა კაცი თავის საქმეში თავისუფალი, მხოლოდ ამ თავისუფლებით არ ავიწროებდეს სხვის თავისუფლებას, რამდენადაც საზოგადო წრეში იმას ეს თავისუფლება ერგება; მიეცით ხალხს ადგილი სახელმწიფო საქმეებსა და მმართველობაში. დაუმართეთ გზები, მიეცით საყოველთაო სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც ავითარებდეს იმას ბუნების კანონების გამოკვლევასა და მოვლენებში და საზოგადო კანონებსა და მოვლენებებში. მიეცით საღსარი, რომ არ შეეძლოს ერთს მეორეზე წარმატება. ამ გზაზედა დგას დღეს საფრანგეთი; ყოვლის თვის ძალითა ამაზე დგანან და ზოგში კიდეც მიუხწევიათ ამერიკას, შვეიცარიას და კიდე ზოგიერთებს. თქვენში უფრო ადვილია ეს საქმენი, რადგან, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, თქვენში ცრუ ცივილიზაციის აზრი არ არის დამკვიდრებული და ძვალსა და რბილში გატანებული. თქვენი მაღალი ნიჭი, თქვენი უხვი ბუნება, თქვენი მდებარეობა ყველა გაძლევთ ნებასა, რომ ყველაზედ უფრო ადვილად შეასრულოთ ეს საქმენი და თქვენი ხალხი ჩააგდოთ ბედნიერებაში; ერთი სიტყვით მოაშორეთ ბოროტის მომქმედი ამ საქმის აღმძვრელნი გარემოებანი და მაშინ აღარ მოგინდებათ იმ კაცთა დასჯა, რომელთაც თავის ცოდვებში არ მიუძღვით არავითარი დანაშაული; მაშინ აღარ მოგინდებათ თქვენ სინდისზე აღება ათასის კაცისა და იმათის ცოლ-შვილის საცოდაობისა. ახლა იმედი მაქვს, რომ არც ერთი თქვენთაგანი არ იკისრებს

ხვიტიას დასჯას, რადგან ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხვიტია არის ცუდი საქმეების მომქმედი, მაგრამ არა აქვს დანაშაული. დასჯა შეესაბამებათ მხოლოდ დამნაშავეთა. შემცდართ იმიტომ არა სჯის კანონი, რომ არ ესმის თავისი დანაშაული, ესე იგი, იმათი გონება არა ხედავს ამ საქმეში არაფერს ცუდსა. აგრეთვე ხვიტია და მაგის მსგავსნი არა ხედავენ არაფერს თვის საქმეებში ცუდსა. მაგათი გონება დედის ძუძუდანვე შეჩვეულია მაგ ცუდს საქმეებსა, როგორც კარგს და რიგიანს საქმესა, ეგენი სრულებით ვერა ხედავენ მაგათს სიცუდეს".

აქ მარსელელმა ადვოკატმა გაათავა. ბრბო ხალხისა სულგანაბული უგდებდა ყურს ამ პირველად იმათგან გაგონილს სჯასა. გაათავა ადვოკატმა და რამდენიმე წუთით ხალხი ისევ გაჩუმებული და გაშტერებული უყურებდა ადვოკატს. მერე უცებ შეიქნა დგრიალი და ღაღანი. ეკა ეცა ადვოკატს, დაუჭირა ორივე ხელით ხელები და გახარებული უცხადებდა მადლობას. ბრალმდებელმა რამდენჯერმე ჩაახველა და წამოდგა. ხალხი ისევ დაეშვა ძირსა და განაბა სული. ისინი ელოდნენ მოუთმენლად, თუ რა პასუხს უგებდა ადვოკატს. იმან დაიწყო.

— არ შემიძლიან არ დავეთანხმო ბევრში უფალ ადვოკატს, მაგრამ არ შემიძლიან კიდევ, უფალნო მოსამართლენო და დაფიცებულნო, არ მივაქციო თქვენი ყურადღება რამდენსამე გარემოებას, რომელიც გაუშვა მხედველობიდან უფალმა ადვოკატმა და ურომლებოთაც თქვენ მართლაცდა უნდა გეჩვენოთ, ვითომ ხვიტიას დასჯით ჩაიდენდით უსამართლობას. უფალი ადვოკატი გვიმტკიცებს, რომ თითქმის ყოველი ცუდი ზნე კაცისა, წარმოდგება გაზრდილობისა, გარემოებისა და ცუდის მაგალითებისაგანაო. ამაზედ შეუძლებელია, რომ არ დავთანხმდეთ. ამის წამალი არისო, ბრძანებს ისა, რომ ეს გარემოებანი ჩამოვაცალოთ, მივცეთ კარგი შესაფერი გარემოებანიო და სიცუდე და ბოროტება მოისპობაო. ესეც ყოვლად ჭეშმარიტია. მაგრამ როგორც ხალხის წახდენისთვის არის საჭირო ბევრი ხანი, აგრეთვე იმის ამ სიწამხდრიდან გამოყვანისთვის. ამგვარად ხალხის შეცვლას, როგორსაც გვიქადაგებს ადვოკატი, უნდა დიდი ღონისძიება, უნდა კაცნი, რომელთაც შეეძლოთ ღირსეულად დაჭერა სახალხო სასწავლებელი ადგილისა, რომ თავისის ცოდნით, თავისის ზნეობით, თავისის ხალისით გადაახალისონ და გაწვრთნან ხალხი. სად არის, ვკითხულობ მე, ამოდენა ღონისძიება სახელმწიფოში, რომ ერთბაშად დაიმართოს მაღალი სასწავლებლებიც და სახალხო სასწავლებლებიც, სადაც ასწავლიდნენ ნამდვილს მეცნიერებას, კაცის გონების გამხსნელს და ბუნების

დამმორჩილებელს? ამასთან სად არის, ვკითხულობ მე, ამოდენა ღონისძიება სახელმწიფოში, დავაყენოთ თითოც არის სწავლული? ამ ღონისძიების მოპოვებას და ამგვარად კაცთა მომზადებას უნდა მრავალი ხანი. კიდევ უფრო ბევრი დრო უნდა ახლა ამ კაცთაგან თვით ხალხის გაწვრთნასა. ეს ძალიან გვიანი საქმეა, ამას უნდა მოველოდეთ მხოლოდ შორს მომავალში. მანამ რა უნდა ვქნათ? მანამ ხომ იტანჯა მუშა და მშრომელი ხალხი? მანამ ხომ ამოუვიდა სიღარიბეში ხალხს სული? ქურდობა და აბრაგობა ისეთი ბოროტებაა, რომ როგორც სხვებს უკარგავს ხალისს შრომასა და შეძენაზედ, რადგან ყოველი მოღვაწე თავის ნაღვაწლს არა რაცხს თავისად, აგრეთვე არა მდიდრდებიან და არა კეთდებიან აბრაგნი და ქურდნი, რადგან ისინი ნიადაგ ცდებიან ამ საქმეზედ და მაშასადამე თავისის ღვაწლით არა მატებენ ბუნებიდან არაფერს საზოგადოებასა და ცხოვრობენ სხვისი შრომითა, რომელიც რასაკვირველია, არ ეყოფათ ორივე მხარეს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს მშრომელნიც ამ ქურდთა და აბრაგთა გადამკიდე არა შრომობენ საკმაოდ; მეორეც ესა, არა მდიდრდებიან, იმიტომ, რომ შურებენ ნაქურდალსა და ნატაცები საქონლის მალე გასაღებას და ჰყრიან თითქმის უფასურადა; მესამედაც იმიტომ, რომ ხშირად თვით ამითაც ცარცვავენ და ქურდავენ სხვები; მეოთხეც იმიტომ, რომ ხშირად პატრონები პოულობენ ამათს ხელში ნაქურდალებს და ახდევინებენ ერთი ორად, ერთი შვიდად. ამგვარს მდგომარეობაში ცხადი საქმეა, რომ ხალხი ნიადაგ გაჭირვებას და სიღარიბეში უნდა იყოს. რაკი ხალხი იქნება ღარიბი და გაჭირვებული, ჯერ ერთი, რა გული ექნება სწავლისა და წვრთნისა; მეორეც ესა, რა ღონისძიებითღა შეეძლება, რომ დაიმართოს გზები, სასწავლებლები და რიგიანი წესდებულებანი. ამათ ყველას უნდა დიდი ღონისძიება. და საიდან შეიძენს ხალხი ღონისძიებას, თუ ეს წესი სხვა რამე ღონისძიებით მცირეც არის არ შეიცვალა? მომავლის ბედნიერება დამოკიდებულია იმ ღონისძიების მოპოვება-მოსპობაზედ, რომელიც ჰბადავს უღონისძიებლობას. ეს გარემოებაც ის არის, რომ მოისპოს ქურდობა და აბრაგობა. თუ არ მოისპოს — შემცირდეს მაინცა. მართალია, თუ ყველა ქურდი და აბრაგი მოვსპეთ ახლად დაპყრობილ ქვეყნებში, ზარალის მეტს, სარგებლობას ვერ მოვუტანთ, რადგან საუკეთესო ხალხისა და მომეტებული ნაწილის მოსპობა მოგვინდება. მაგრამ თუ მეორე მხრივ სულ მთლად დაუსჯელად გავუშვით და მივანებეთ თავი ყველასა, მაშინ ჩვენ ვნახავთ იმ საშინელებას, რომ ძმა ძმას აღარ დაინდობს და შვილი მამასა. ამის გამო მაგალითისათვის უნდა დაისაჯნენ პირველი გამოჩენილნი ქურდნი და აბრაგნი სამაგალითოდ.

რომ ამათნი მნახველნი სხვებიც შეფიქრიანდნენ და შეიკავონ თავი ავაზაკობისაგან. ამითი, მართალია, მთლად და ერთბაშად იქნება არ მოისპოს ავკაცობა, მაგრამ უეჭველია, შემცირდება. შემცირდება ამითი მაინც, რომ უარესნი მოაკლდებიან მხარესა და ამათთან მაინც ექნებათ დასვენება ხალხსა. მაშინ ხალხი ცოტ-ცოტათი ისევ წახალისდება საქმეზედ, ცოტ-ცოტათი დაწინაურდება ღონისძიებით და ცოტ-ცოტათი დაიწყებს იმ წესების შემოღებას, რომელსაც გვასწავლის უფალი ადვოკატი. ამის გამო, უფალო მოსამართლენო და ბჭენო, თქვენ არ უნდა გაუშვათ დაუსჯელად მაცი ხვიტია, რომელიც არის უპირველესი აბრაგი სამეგრელოში და რომლისაც დასჯით თქვენ მოუტანთ დიდ სიკეთეს მთლად სამეგრელოს და რომლითაც თქვენ გაწმენდთ თქვენს სინდისს მით, რომ გექნებათ სახეში დაშინება სხვათა ქურდთა და აბრაგთა და ამით წარმატება ხალხისა. თუ არა და ყოველს შემთხვევაში, როდესაც გაიგონებთ თქვენ სამეგრელოს სიღარიბესა და ავაზაკთაგან შეწუხებას, თქვენი სინდისი ჩაგძახებთ, რომ თქვენა ხართ ამაში დანაშაული.

— უფალი ბრალმდებელი გახდა ყველაში ჩემი თანახმა. იმან ვერც კი იკისრა, — დაიწყო ისევ ადვოკატმა,—შესდგომოდა დამტკიცებას, რომ ხვიტია და მის მსგავსნი კაცნი არიან თავის საქმეში დამნაშავენი, მაშასადამე ის გახდა თანახმა, რომ იმათ არ მიუძღვით დანაშაული. მეც ეს მინდოდა, რადგან კანონიც და სინდისიცა მხოლოდ სჯიან დამნაშავეთა. უფალი ბრალმდებელი თხოულობს, რომ დაისაჯოს ხვიტია ისე კი არ ვითარცა დამნაშავე, არამედ დაისაჯოს მაგალითისათვის. წეღან მე დავამტკიცე და თვით ბრალმდებელიც გამიხდა თანახმა, რომ რაკი ქურდობა და აბრაგობა საქებური იყო გკითხავთ, ვინ უნდა დაისაჯოს მაგალითისათვის? რომელნიც პირველი გამოვიდნენ მთელს ხალხში თავისი ნიჭიერებითა და იმ საქმეებში, რომელნიც იყვნენ საჩინონი მთელს ხალხში? ეგ გამოდის ბოროტების დევნა კი არა, ნიჭიერების დევნა, რადგან ხვიტიამ სრულიათაც არ იცოდა, რომ ჩადიოდა ბოროტ საქმესა და არც მოელოდა, რომ შეუერთდება იმ ხალხსა, რომელსაც ამისთანა საქმეები არ მოსწონს. იმას ჰქონია მაღალი ნიჭი, დიდი სიმკვირცხლე და ესენი იჩინა იმ ხელობაში, რომელნიც ამაღლებდნენ კაცს ქვეყნის თვალში. რაც შეეხება იმასა, რომ ხალხი გაღარიბებულია ქურდობისა და აბრაგობისაგან და არ შეუძლიან შეიტანოს ის წესები და დაწყობილებანი, რომლებიც იმას გადაახალისებს და დააყენებს სხვა გზაზედაო, ამის ღონე სრულიათაც არ არის დასჯა უდანაშაულოთა. ერთს მოსპობთ, მეორე გამოჩნდება. აქ კანონი ბევრს ვერას გახდება, რადგან ყველასათვის საზოგადო აზრი უფრო ძლიერი

და აღმძვრელია, ვიდრე შიში და კრძალვა კანონისა. კანონს აქ დიდი ძალა, რა ხალხის აზრზედაც ის არის დაწერილი, რომლითაც კანონი სჯის იმ კაცთა, რომელნიც თვის ქცევით არიან წინაღმდეგნი საზოგადო აზრისა და შემოღებულისა. ამის გამო არც ერთს რიგიანს ხალხს არ შეჰფერის სხვა ხალხში იმ კანონების შეტანა, რომელნიც აღძრულან და დაწესებულან სხვა ხალხის ცხოვრებასა და გარემოებაში. ყველა ხალხს აქვს თავის საკუთარი გარემოებანი, ჩვეულებანი, დაწყობილებანი. ერთი ხალხის ისტორიულს ცხოვრებას რომ ერთნაირი ჩვეულება და აზრები შეუმუშავებია, მეორე ხალხში შეუმუშავებია სრულებით წინააღმდეგნი. ახლა როგორ უნდა დავსაჯოთ ერთი ხალხის კანონით მეორე, როდესაც ერთიც თავის შემუშავებულ მხარეს ჰპოვებს სამართლიანად და მეორეცა? აი ამგვარად, მეგრელების მსგავს ხალხში არ გამოდგება სხვების კანონები. ამათ მხოლოდ გონების გახსნით უნდა დაანახონ თავისი შეცდომილებანი. ღონისძიებაც ამგვარად გონების გახსნისა არ არის სასჯელი, როგორც ჰპოვებს უფალი ბრალმდებელი. ჯერჯერობით თუ ხალხს ფული ან სხვა ღონისძიება არა აქვს, ჯანი კარგი აქვს, გამოიყვანეთ ეს ხალხი და დაამართვინეთ გზები. რაკი ექნებათ გზები, ამასთან ნაყოფიერებას ექნება გასავალი გარეშე ხალხში. რაკი აქედან დაინახავენ სარგებლობას, მრავალი ჭკურდი და აბრაგი მიჰყოფს ხელს ნაყოფიერებას და ჰპოვებს, რომ აქედან უფრო სარგებლობაში არიან, ვიდრე თავისი ხელობითა. ამას გარდა, რაკი ექნებათ გზები, დაიწყებენ აქ სიარულს უცხო ქვეყნელები, რომლებსაც, თუ სხვაში არა, ტანისამოსსა და გარეგანს სანახაობაში მაინც მიჰბაძვენ, და ყველგან განათლება ეპარებათ უშვერს ხალხებს გარეგანის სანახაობის გადაღებიდან. შეიძენენ მცირე ფულებს თავისის ნაყოფიერების გასაღებით, ექნებათ კარგი გზები და გავლენა სხვა ქვეყნებში, ნახვენ იქაურს ცხოვრებას და დარწმუნდებიან, რომ იმათი ცხოვრება და მდგომარეობა სჯობს ამათსას. მაშინ თითონაც მიჰბაძავენ იმათა. რაკი გაეღვიძებათ ამგვარი მოთხოვნილებანი, დაინახავენ საჭიროდ ვაჭრობასა, რომ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებანი. ვაჭრობა გაუიაფებს იმათ გარედან შემოტანილ საქონელს და მოაგებინებს შიგნით მოყვანილს საქონელში. ამგვარად შეიძვრის ცხოვრება, დატრიალდება სარჩო. აქ შესაძლებელიც იქნება ცოტ-ცოტათი სასწავლებლების დაწესება. ამას გარდა, დღეს დიდი ალაგი უჭირავს სესხსა. დაუწესეთ რივიანი ბანკი, საიდანაც შეეძლოთ სესხი. ამას გარდა პირველ დაწყობილებისთვის უშოვნეთ და მიეცით სარგებლითა. ამ ნასესხი ფულებით

დაუმართეთ ის სასწავლებლები, რომელიც საჭიროა ამათის ბუნებისა და გარემოებისათვის. ეს სასწავლებელი ამათ უცებ დაანახვებს, რომ ამათს ბუნებაში ცარცვა და ქურდობა არ არის სასარგებლო. რომ ბუნება უფრო უხვად აჯილდოებს, ვიდრე ქურდობა. შევლენ ცოდნასა და წარმატებაში და თავის ვალს მალე გადიხდიან. აქ საჭიროდ არა ვრაცხ ყოველი ღონისძიების ჩამოთვლას. ეს ორი მაგალითიცა კმარა ჩემს საბუთად. აქედან მოვა ყველა ახალს წესზედ, აქ მხოლოდ არის საჭირო რიგიანი ხელმძღვანელობა. რიგიანი ხელმძღვანელნი ამ ნიჭიერს ხალხს, ამ უხვს და შემკულს ბუნებაში, მალე დააყენებს ფეხზედ, ასე რომ რამდენიმე ათის წლის განმავლობაში, იქნება ეს ხალხი აღარც კი ჰგავდეს თავის თავს. მაშასადამე, აქაც ამაო ჩნდება დასჯა იმ კაცთა, რომელთაც უდანაშაულობაზედ დამთანხმდა უფალი ბრალმდებელი და რომელთაც მაღალს ნიჭიერებაზედ არ არის იჭვი. ამის გამო, მე ვფიქრობ უფალო მოსამართლენო და დაფიცებულნო, რომ დიდი შეცოდება იქნება წინაშე სინდისისაც და წინაშე კანონისაცა კისრად ღება უდანაშაულო კაცის დასჯისა. პირიქით ამგვარი კაცები არიან პატივსაცემნი. რადგან სხვა მდგომარეობაში ესენი თავისის მაღალის ნიჭით და მხნეობით იქნებოდნენ ქვეყნის ფეხზედ დამყენებელნი.

აქ დაფიცებულნი ბჭეები გავიდნენ მაცის შესახებ გადაწყვეტილების მოსასაზრებლად.

ხალხი მოუთმენლად ელოდა გადაწყვეტილებას. ეკას ეცვლებოდა წამდაუწუმ ფერი, ხან ენთებოდა თონესავით, ხან ფითრდებოდა სულ მთლადა. ის ყოველს მოძრაობაზედ, ყოველს ჭრაჭუნზედ, ხტებოდა და იყურებოდა იმ მხარისკენ, საიდანაც უნდა გამოსულიყვნენ დაფიცებულნი, თვით ადვოკატიც დიდის მოუთმენლობით ელოდა გადაწყვეტილებას და იკვნეტდა ტუჩებსა.

მაცი უფრო სხვა ფიქრებში იყო იმ დროსა, ისა ფიქრობდა, რომ როგორ მოეხერხებინა, რომ გაქცეულიყო.

შემდეგ ბევრის ხნის განშორებისა, დაფიცებულნი ბჭეები გამოვიდნენ, ხალხი წამოდგა ფეხზედ და მთლად გატაცებული ელოდა გამოცხადებას. დაფიცებულთ გამოუცხადეს, რომ ისინი არ არიან მომზადებულნი ამგვარი ორთავე მხრივ წამამდგარი აზრების გადასაწყვეტად და ამის გამო ვერ კისრულობენ ვერც გამტყუნებასა. ვერც გამართლებას.

ამ დროს წარმოდგა მთავრობის ერთი მოხელე, რომელსაც ებარა იმჟამად სამეგრელოს გამგეობა, და გამოაცხადა კანონის სახელით.

რომ ის იჭერს მაცი ხვიტიას და უწყვეტს მადნებში სამუშაოდ დაკარგვას. მაცის შემოერტყნენ თოფიანი ჯარისკაცნი და გაუძღვნენ საპყრობილესაკენ.

XLV

მთვარიანი ღამე იყო. აქა-იქ ირეოდა ღრუბლები. საშინელი ტალახი, რომელიც დამდგარიყო დღის ავდარზედა, საშინლად აბრკოლებდა ერთ ორიოდე ყარაულსა, რომელნიც მიელალებოდნენ მაცის და სამს სხვა ავადმყოფს ტუსაღს ქუთაისისაკენ, საიდანაც უნდა გაესტუმრებინათ ისინი მადნებში სამუშაოდ. მაცი უცებ შეიქნა ავად. ყარაულებმა მისცეს ნება ურემზედ დაჯდომისა. მაცი დაუჯდა ხელფეხშებორკილი და გაეხვია ნაბადში. უცებ მოისმა შორიახლო სამი თოფისა ერთად გავარდნა. ყარაულებმა ცქვიტეს ყურები. იმათ დაამზადეს თოფები. გავიდა ხანი და არავინ გამოჩნდა.

— ალბათ თუ ვინმე მასხრობს, — გადასწყვიტეს ყარაულთა და დაიმშვიდეს ისევ გული.

— მაცი კი ავად არის და ვერ წაგვივა, თუნდაც რომ მოეშველნენ, — დაიმშვიდეს იმათაც გული და დაიწყეს ისევ ლაზღანდარობა და აქეთ-იქით ჭყიპურტება.

თოფების ხმის გაგონებაზედ, მაცი მთლად მოიბღუნძა ნაბადში, როგორც მუცელდაგვრემილი კაცი. იმან დაიწყო ხელებზედ ბორკილების წევა. ისინი ედებოდნენ სახსრებზედ. მაციმ გასწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიძრო ცალი ხელიდან. სისხლი თქრიალით წავარდა. ბორკილს თან გაჰყვა მთლად ხელის ზურგის ტყავი. გაიძრო მეორე ხელის ბორკილი და დარჩა მეორე ხელის ზურგიც უტყაოთ; მან დაიწყო მუშაობა ფეხებზედ. აქ უფრო გაძნელდა საქმე. ბოლოს გასწია და გაიძრო მარჯვენა ფეხიდან, რომელზედაც ბორკილი ჰქონდა გაკეთებული სამად ჩაკეცილს შარვლის ტოტსა და პაჭიჭზედ. მაციმ გაიძრო და გაატანა თან მრავალი ხორციცა მარცხენა ფეხიდან. იმან უცებ ისკუპა და გადახტა წინ ურემზედ, რომლიდანაც გადააგდო ძირს მეურმე. ჰკრა ქიშტი და დასცა წინა ყარაული, რომელსაც უცებ გამოსტაცა თოფი: აქ მოაგონდა მაცის ნაბადი; რომელიც დარჩა ურემზედ. მობრუნდა ერთი თვალის დახამხამებაზედ, ეცა ნაბადსა, აიტაცა და გასწია. ამ უცნაურს ამბავზედ ძლივს მოვიდნენ ყარაულნი გონსა. ამათ ერთბაშად დაადევნეს თოფები. ერთმა ტყვიამ გაუარა მარცხენა მხარში. მაციმ არ შეიმჩნია და გარბოდა საშინელის სისწრაფით. ყარაულები დაედევნენ უკან და შეჰყვნენ თან ტყეში. აქ უცებ დაინახეს ყარაულთა, რომ მაცის მიაგება



ეკამ გაუშვა თავისი ცხენი და შემოუჯდა მაცის უკან.

ვიღაცამ ცხენი და გასწია. ყარაულნი შეწუხებულნი დაბრუნდნენ და ამცნეს მახლობლად მყოფთ მთავრობის მოხელეთა. იმათ მსწრაფლ აცნობეს გარეშემო მცხოვრებთ. მთელი სამეგრელო თითქმის ამავე ღამეს დააყენეს ფეხზედ.

იმავე ღამეს მაცი და ეკა, რომელმაც დაახვედრა ამას გზაში ცხენები, ჩავიდნენ ყულევს გემზედ ჩასასხდომად, რომ გასულიყვნენ სამეგრელოდან. იმ ღამეს არ იყო გემი. მეორე დღეს გამოჩნდა ძლივს გემი, რომელიც უნდა მოსულიყო გზათა, წაეღო აქედან ბარგი და წაესხა წამსვლელები. მაცის და ეკას დაუწყო გულმა სიბარულით ცემა. ისინი შორდებოდნენ იმ ქვეყანას, სადაც გამოიარეს ამდენი მწუხარება, ამდენი ტანჯვა, თრევა, უპატიურობა, ტყვეობა და სხვა ამგვარები. ეკა გახარებული ეხვეოდა მაცის.

— აწი კი ვერავინ წარმტაცებს შენს თავს. კი ნახავ, რავარც გონივრული და ადამიანური ცხოვრებაა, სადაც მე ჩავარდი უშენოთ. შენს დღეში ოდიში აღარ გაგახსენდება. მაგ წყლულებს კი მალე დაგირჩენ, აწი კი ღმერთია მოწყალე.

— ჩვენ დამშვიდება მაშინ გვმართებს, როდესაც მივალთ მის ადგილას, მანამდის ჩვენი თავი კიდევ საფრთხეშია.

აქ რომ ესენი ამას ლაპარაკობდნენ, უცებ მოჰკრა ყური, რომ ჯარი მოდის და მაცის ეძებენო. აქ გემის მოცდა აღარ იქნებოდა. ისინი შესხდნენ მაშინვე ცხენებზედ და გასწიეს ანაკლიის გზისაკენ იმ იმედით, რომ იქაც არის იქნება შევხვდეთ გემსაო. იმათ დაიწყეს ისევ ჩქარა სიარული, რამდენსაც კი ნებას აძლევდა მაცის წყლულები. მეტმა სისხლის დენამ და ტკივილებმა მაცი მთლად დაასუსტეს. ისინი ვერ მიდიოდნენ იმდენად ჩქარა, რამდენადაც კი საჭირო იყო, რომ გასცლოდნენ მდევარსა. მდევარი მოსდევდა ამათ კვალ და კვალ. ანაკლიაში ამათ ვერა ნახეს გემი. ჯარის ხმაურობა თითქმის ესმოდათ; მაცი შიმშილისა და ჭრილობისაგან შეწუხდა. ის ვერ იმაგრებდა ცხენზედ თავს. ის ეჭირა ეკას ცალის ხელით და მიერეკებოდნენ ისე ცხენებს. ამათი უკან დაბრუნება აღარ იქნებოდა. ეკამ მოისაზრა გასვლა გუდავში, სადაც იქნება რომ დახვედროდა გემი. მაცის მეორე ცხენზედ შემაგრება გაჭირდა. ეკამ გაუშვა თავის ცხენი და შემოუჯდა მაცის უკან. იმან შუაღამისას შეაგდო საშინელს ინგურში ცხენი და შემდეგ მრავლის ტანჯვისა, გავიდა გაღმა, სადაც ცხენი დაღალული მგზავრობისა და წყალთა ბრძოლისაგან, სრულებით მოეშვა და დაწვა. ამავე ღამეს ეცა განარჯიას მუხირს ერთს ყაზახის სახლს, იშოვნა ბლომად ღომის ჩალა, სიმინდი, სულგუნები, ღვინო და მჭადი, იშოვნა შესახვევები და მოვარდა საჩქაროზედ. მან შეუხვია მაცის წყლულები, მოანაყრა პატარა დაალე-

ვინა ღვინო, აჭამა ცხენს ჩალა ღა სიმინდი. გაიხედა მთვარიანს ღამეზედ და დაინახა ინგურის პირზედ გაღმიდან ჯარი მოსული, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ათვალიერებდა, თუ როგორ უნდა გამოსულიყვნენ აქ ამასთან. ეკამ შენიშნა, რომ ჯარი ბრუნდებოდა ქვემოთკენ, როგორც ეტყობოდა ფულუკებით გამოსასვლელად. მაცის არ შეეძლო სიარული და უჭირდა მოსვენება. ცხენი აგრეთვე იყო მოქანცული. დასვენება უჭირდა ამასაც. ეკამ მოისაზრა, რომ ჯერ კარგა შეუგვიანდებოდა ჯარსა. ამის გამო განიზრახა შესვენება, ვიდრე მაცი და ცხენი შეისვენებდნენ. ეკამ მოიფიქრა, რომ დაეთვალიერებინა ზემო მხარეცა. ის წავიდა კარგა მოშორებით, შენიშნა დიდი ჯარი, რომელიც როგორც ეტყობოდა, ერტყმოდა ტყეს და უახლოვდებოდნენ იმასა. ეკა მაშინვე ეცა მაცისა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ისინი იყვნენ საშინელს საფარშიც. ერთ მხარეს ზღვა, მეორე მხარეს ინგური, მესამე მხარეს ჯარი, მეოთხეს ტყე, სამურზაყანოს ზღვის პირის ტყე, საშინელი, შესაზარავი, საშინელი მიუდგომელი და უკაცური. ეკას მეტი გზა არ დარჩენოდა. უნდა შეფარვოდა ტყეს, რომელსაც ყოველ მხრივ ერტყმოდა მართებლობის განკარგულებით დიდძალი ჯარი, რომ არსად გასცლოდა მაცი თავისის ეკათი. ეკა მიელალებოდა ცხენს, რომელზედაც იჯდა ცოტა მოღონივრებული და შესვენებული მაცი. ეკას ცხენი ეჭირა სადავითა და მოუძღოდა წინ, ისინი შევიდნენ საშინელს უდაბურს და ჭაობიანს და საფლობიანს ტყეებში. მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ. ესმოდათ ჯარების ხმაურობა, რომელნიც, როგორც ეტყობოდა, მისდევდნენ კვალდაკვალ. ცხენი თანდათან იფლობოდა და ვეღარ ამოდიოდა საფლობებიდან. მაცი თანდათან მოუძლურდა, ხმაურობა თანდათან მოახლოვდა. კვალზედ ისინი ვეღარ წაუვიდოდნენ. ეკამ გადმოსვა მაცი ცხენიდან. დაუშინეს ცხენს მათრახი და გააგდო უკან. ცხენმა ფრუტუნით გასწია ტყიდან გასასვლელად და შეეფეთა ჯარსა, რომელმაც მსწრაფლ სტაცა ამას ხელი იარეს კვალზედ კიდევ ჯარებმა და უცებ დაიკარგა კვალი ცხენისაცა და კაცისაც. ჯარები გაოცებულნი ეძებდნენ კვალსა, რომელიც უეჭველია უნდა დასჩნეოდა ამ მუდამ ტალახიანს და საფლობს ადგილებში, აქ ჩიტიც ვერ გაივლიდა, რომ კვალი არ დასჩნეოდა და ორი კაცის კვალი კი სრულიად არსად ჩანდა. ჯარს აერია დავთარი.

ეკამ როგორც გადმოსვა მაცი ცხენიდან, მიებჯინა მხარში და უმარჯვა იმ ხშირს ტყის ადგილებსა, სადაც ბლომად ეყარა დამტვრეული და დაყანდებული ხე. იმან იარა და ატარა მაცი ამ ხეებზედ, რომ იმათი ფეხი არ მოხვედროდა მიწასა, სადაც კვალი ფეხისა ცხა-

დად აჩნდებოდა, იარა ისე, ვიდრე შესძლებდა მაცი სიარულსა. მაციმ ვეღარ შესძლო სიარული. ეკამ შეისვენა პატარა და მოიგდო მაცი ზურგზედა. ამგვარად ხეებზედვე სიარულით ატარა ეკამ მაცი კარგა ხანსა, ვიდრე შეიყვანდა იმისთანა ყრუ ადგილას, სადაც ძნელიღა იყო იმის მიგნება. მაცისა და ეკას გამოელიათ საგძალი. მაცის ამ თრევისა და სირბილისაგან სისხლმა დაუწყო ისევ დენა საშინლად. ეკამ გახვია მაცი თავის ნაბადში, დაუგო მეორე ნაბადი, რომელიც თითონვე ესხა ზედა. გასწია ამგვარივე ხეებზედ სიარულით, ვიდრე შეიძლებოდა, საითაც მოხვდა. იმან იარა დიდხანს და ეძება კაცთა საცხოვრებელი. არსად კაცის კვალი არ ჩანდა. მხოლოდ ესმოდა ტყეში ხმაურობა მდევართა, რომელნიც დაეძებდნენ ამათა. მოატანა საღამომ, რომ ეკა ძლივს გამოვიდა პატარა ნათელში ამ საშინელის დაბურულის ტყიდან, სადაც მზის შუქი ვინ იცის რამდენი წელიწადია დედამიწას არ ენახა, მაღალი ხის ტოტებისაგან დაბურულსა; აქ მოჰკრა ეკამ თვალი მეძროხეების სადგურსა. იმან დაანახვა მეძროხეებს ფული. ამ ფულის დანახვაზედ აღუთქვეს იმათ ყოველრიგი სამსახური, მაშინ სთხოვა ეკამ, რომ ესწავლებინათ იმისთვის დაჭრილობის და სისხლის შემწყვეტი წამალი. იმათ ასწავლეს. აქ ეკამ სთხოვა ამათ რძე, ყველი და მჭადები. იმათ ფულში ესე ყოველი დიდი სიამოვნებით შეუსრულეს. ეკა დაბრუნდა საჩქაროზედ და დაეკარგა გზა ღამის სიბნელეში. ტყეში ღამე, როგელიც, ცოტა არ იყო, კიდეც მოიღრუბლა, თვალთაგან თითქმის არა ჩანდარა. მხოლოდ ალაგ-ალაგ ხედავდა ეკა მდევარის ცეცხლებს, რომელნიც დაენთოთ იმათ ღამითა და მოსწოლოდნენ ნაბდებზედ გარშემო. ეკა მოსწყდა ამ ძებნაში. იმას ეკვეთებოდა მუხლები, მაგრამ რა რომ მოაგონდებოდა მაცი იმ განწირულებაში გაშავებული, ის იმხნევებდა თავს და მიეშურებოდა, რაც შეეძლო. ინათლა, რომ ეკამ ძლივს იცნო ის ადგილები, სადაც გაუშვა მაცი. იმის მახლობლად მოჩანდა ცეცხლები, რომელნიც, როგორცა ჩანდა, უნდა ნთებოდა მდევარსა. ამან წარტაცა ეკას უკანასკნელი სასოება. ის გაეჩქარა მაცისაკენ საშინელის გულის ძგერით. მაცი ძლივსღა სუნთქავდა. ის იყო მთლად დაცლილი სისხლისაგან. ეკამ მთლად სისხლაღელვებულმა, დაუწყო მაცის წყლის სმა და სურიელება. მაცი მოვიდა ოდნავ გონსა, ერთი შეხედა გამოსალმების თვალით ეკას და მოეშვა სულ მთლად უგონოდ. ეკამ სტაცა გიჟივით ხელი, ჩაიკრა გულში და ჩაუვარდა ენა. ამ დროს წამოადგა ამათ თავს მდევარი. იმათ დასცეს ყიჟინა და დაახალეს თოფები. ეკას აღარა ესმოდარა. ის არავისა ხედავდა. ის იყო შთანთქმული მაცის დაკარგვის ფიქრითა. შეშინებული მაცის საქმეებისგან, მდევარმა

ვერ შებედა ახლო მისვლა და დაუშინეს ხელმეორედ თოფები. ეკას გაუარა რამდენიმე ტყვიამ გულში და ის დაეშვა ზედ მაციზედ, იმის გულზედ ზედ დაკონებული. ამ თოფსა და ყიჟინაზედ, მაცის ერთი კიდევ გაახილა თვალები. ამ დროს ეკა დახვრეტილი ტყვიისაგან დაეშვა იმის გულზედ. მაცის მოხვია ხელი და ჩაიკრა გულში, თითქოს ამით უნდა დაიცვას ის მტრის ტყვიისაგანაო. რამდენიმე ტყვიამ გაუარა მაცისაც გულში. იმან ახსენა ერთიც კიდევ ეკას სახელი და დალია სული.

———————

I

კარგი რამ არის სოფელი ტაბლაძიანთ-კარი. მშვენიერია, როგორც მდებარეობით და ჰავით, აგრეთვე ნაყოფიერებით. არ იპოვება აქ არც ერთი ფეხის დადგმა ურწყავი ადგილი. აქ იზრდება მშვენივრად თუთა, ხარობს თუთის ჭია, ვენახები იცის კარგი, ხილი მშვენიერი, ტყე აქვს ზურგს უკანვე, წყალი აუარებელი, საძოვარი დიდძალი, ბაზარი ახლო. ერთი სიტყვით, ჩინებული რამ არის. ოღონდ, კაცო, გაისარჯე, გასძარ ხელი და მოიხმარე ჰკუა და სიმარჯვე.

როსტომ ტაბლაძე, მებატონე ამ სოფლისა, დიახაცა და ჭკვიანი კაცი იყო, არც მხნეობა აკლდა, არც მეცადინეობა, მაგრამ ისეთი ანგარიშის კაცი იყო, ისე უყურებდა ყველას აწონითა, რომ თუ არ დაატყობდა ცხადლივ საქმის მოგებასა, არასდროს ხელს არაფერს არ მოჰკიდებდა. როსტომი იმის მაგივრად, რომ ცდილიყო მამულებისა და მოსავლის გაუმჯობესებას, ცდილიყო რიგიანს წესზეღ დაეყენებინა თავისი სახლ-პატრონობის მდგომარეობა, იმან გაიჩინა მამაპაპურად მთელი გუთნეული თავისის იარაღით. იმის მაგივრად, რომ ჩაეყარა კარგი ვაზი, ის ისევ ძველს ვაზსა ჰყრიდა ვენახებში, რადგან ამბობდნენ, აქ რაც უნდა ვაზი ჩაიყაროს, ისევ გადიცვლება და აქაური ვაზივით შეიქნებაო. ერთი სიტყვით, როსტომს არ უყვარდა ახლად შემოღებული არაფერი. „მამა-პაპა ჩვენზედ უფრო კარგები ყოფილან, რომ ისე უცხოვრიათ, და ჩვენც იმათი შვილები არა ვართ?“ ამბობდა ისა. რასაკვირველია, როსტომი ისეთი ანგარიშის კაცი არ იყო, რომ თუ ახალიდან ცხადი მოგება დაენახა. მამა-პაპისათვის მიებაძა. მაგრამ იმას აყენებდა უკან ისა, რომ იმან ნახა ზოგიერთა კაცის თავს მაგალითი, რომ ახალი დაწყობილება არ მოუხდათ კარგადა და ამის გამო ის ყველა ახალს წესს და წყობილებას სახლოსნობაში ერიდებოდა.

როსტომი იყო განთქმული მთელს იქით მხარეს. იქაური მებატონეები უყურებდნენ მას მოკრძალებითა და შურით. იმას ჰქონდა

ჭკუისა და სიმდიდრის ხმა. ის იყო, როგორც თითონაც ამბობდა ხოლმე, საზოგადოებაში ნამყოფი, იცნობდა გენერლებს, რომელნიც ზოგჯერ კიდეც ეწვეოდნენ ხოლმე, რამაც უფრო ყურადღება და შური ააღებინა სხვა დიდს მებატონეებს და დაარწმუნა ისინი, რომ იმათსა და როსტომს შუა იყო დიდი საზღვარი, თუმც გვარითა და შთამომავლობით ბევრი ამათგანი დიდი იყო იმაზედა.

ამგვარი სახლის პატრონსა და ღენერლების მიმდევარს კაცსა, რასაკვირველია, კიდეც უნდა ეცხოვრა შესაფერათა, — ამასთან მართებდა კიდეც ფეშქაშების გზავნა აქეთ-იქით, რომ უფრო მოეგო დიდკაცობის გული. რასაკვირველია, ამგვარად მცხოვრებს კაცს უნდა კიდეც სათდანმე მოეპოვა ამისთანა დიდი ცხოვრებისთვის ღონისძიება. ყმა და მამული იმოდენა არა ჰქონდა, რომ ასვლოდა ცხოვრებას; მამაპაპური მოვლა მამულებისა და სახლოსნობისა კი არ იყო საკმაო ამის მოპოვებისათვის.

განათლებამ ჩვენს მებატონეებში იმოქმედა მარტო სარჩოს ხარჯვაზედ, იმის რიგიანად მოპოვება კი არ ასწავლა. ძველად ქართველი მებატონე, ყველამ ვიცით, რასაცა სჯერდებოდა, იმას არა ჰქონდა ბევრი მოთხოვნილება. ახლა განათლებამ დაბადა მრავალი საჭიროება და ამის დასაკმაყოფილებლად კი ღონისძიებას არა ჰბადავდა თავისთავად და ჩვენი განათლებულები კი თითონ ღონისძიების მოსაპოვებლად არა ხმარობდნენ არაფერს სახსარს და მეცადინეობას.

ამგვარს მდგომარეობას, ბევრის მოთხოვნილებას, რასაკვირველია, უნდა როგორმე თავი დაეკმაყოფილებინა. აქ განათლებით მცხოვრებთ ჩაიგდეს ხელში ადვილი ღონისძიება: ვაჭრებმა სიცრუვე და ერთიორად მოგება (თუმცა ეს ძველათვე არ აკლდათ ამათა), მებატონეებმა — ყმები და მძლავრობა.

როსტომს თუმცა ჰქონდა ფული, მაგრამ თუ ამ ფულის ხარჯვისათვის მიეყო ხელი, მალე გამოელეოდა. რაკი ფული გამოელეოდა, უნდა გამოსალმებოდა თავის სახელსაც და მნიშვნელობასაც.

რაკი სამსახური სასარგებლოდ აღარ დაინახა და დაბრუნდა როსტომი შინა, რაღა თქმა უნდა, მაშინ უფრო აგრძნობინებინა თავის ხალხს თავისი თავი. იმას კარგად ახსოვდა, რომ ყმა სულს იქით ბატონს ეკუთვნოდა, ახსოვდა ეს და კიდეც სარგებლობდა ამითი.

— ეგ რა სამსახურია, — ეუბნებოდა თავისი ცოლი შუშანა როსტომსა: — კვირაში ერთხელ არ გამოდიან და ისიც ოჯახიდან თითო პურიც შენი უნდა აჭამო. შენც ისე იმსახურე, როგორც წესია:

კვირაში სამჯერ გამოიყვანე კაცი და დედაკაცი სათითაოთა და პურიც თავისი სჭამონ. ხომ გაგიგონია, რუსეთში როგორ იმსახურებენ. თუ არა, რითი უნდა ვიცხოვროთ?!

როსტომს ამაზედ თავის ცოლის დარიგება აღარ უნდოდა. იმან დიდი ხანია ეს იცოდა და მოფიქრებულიცა ჰქონდა. დაბრუნდა თუ არა როსტომი შინა, სახლისა და მდგომარეობის მოსაწყობად შეაწერა გლეხკაცებს ფული. ამოდენა ფული იმათ ჯერ არსად შესწეროდათ და კიდეც გაუჭირდათ ამისი შოვნა. გლეხკაცები აგვიანებდნენ ფულის გაღებას. როსტომი დიდხანს არ ელაპარაკა იმათა და მალე უჩვენა თავისი ძალა. იმან ჩაუყენა ზეკუცია. ზეკუციამ იჩინა თავი. გლეხებს დააყენა ის დღე, რასაც სრულებითაც არ მოელოდნენ. ბევრი იმათგანი თავისის წინააღმდეგობისათვის დააწვინეს როზგს ქვეშა, ბევრი ჩაჯდა იმისთანა ალაგას, სადაც ჯერ არ მჯდარიყვნენ. ბევრი გაიგზავნა რამდენიმე წლობით სხვადასხვა ციხეებში სამუშაოთა, გამოურეკეს საქონელი, გამოიტანეს ქონება და დაუყიდეს ვალში.

ერთი სიტყვით, იმათ დაადგათ ის დღე, რასაც არაოდეს არ მოელოდნენ.

იმათ წაერთვათ ხვედრი, ძალა იყო თუ ნება, და სხვა სასჯელი სხვა იყო. მაშინ იგრძნეს იმათა რა კაცთანაც ჰქონდათ საქმე.

ამ დროს აქეთ აეშალათ ბატონს და ყმებს ერთმანეთში ღვარძლი. მას აქეთ დაუწყეს ერთმანეთს ბღვერა.

II

სიყმაწვილე როსტომისა და მისი საცოლო შუშანა

როსტომ ტაბლაძე იყო ესე ორმოცდაათის წლის კაცი. ის იყო შვილი გოგია ტაბლაძისა, რომელიც ძალიან შესული იყო მეფე ირაკლისთან. თავის ექვს ძმაში როსტომი იყო ყველაზე უმცროსი. მამა ამისი იყო დიდი მომხრე და ჭარუმადათი იულონ ბატონიშვილისა. იულონ, რომელიც ეძებდა მეფობას და რაცხავდა თავის თავს მამის მემკვიდრეთ, იყო ძალიან მინდობილი გოგიაზედ და კიდეც ჰქონდა ამის იმედი, მართლაცა და გოგია იყო საიმედო კაცი. ის იყო ერთი იმ ქართველ კაცთაგანი, რომელთაც ყველანი უყურებენ პატივისცემით და ნდობით. ამას ჰქონდა დიდი გავლენა თავადაზნაურებზედ და ნამეტნავად მთის ხალხზედ, რომელიც ამის ერთ თქმაზედ თუნდა კლდეზედ გადაცვიოდნენ.

მაშინ, როდესაც ვოგია ასეთი საყვარელი იყო იულონისა, ის ეჯავრებოდა სხვა საქართველოს, ტახტის მძებნელს და ნამდვილს მემკვიდრეს, დავითს, მეფის გიორგის შვილს. დავითს არამც თუ ეჯავრებოდა გოგია, კიდეც ეშინოდა ამისი. დავითმა ბევრჯერ მიუგზავნა ამას მკვლელები, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ამის მოკვლა. ერთხელ კიდეც დაესხა ამას ჯარით თავს, დაუწვა სახლი, ვენახები და რაც კი რამ დაიწოდა და ცეცხლი მოეკიდებოდა; მაგრამ თითონ გოგიამ გაასწრო და არამც თუ გაასწრო, იმან მალე თითონაც შეჰკრიბა ჯარი, გამოუდგა ბატონიშვილს და დააყრევინა საქონელი, რომელიც მიუდიოდა იმის ჯარს. რასაკვირველია, აქ უომრობა არ იქნებოდა, თუ თითონ დავით ბატონიშვილიც აქა ყოფილიყო, მაგრამ ის თავისის ამალით დაწინაურებულიყო და წასულიყო შინა.

ამ არეულობაში, როდესაც ირაკლის ყველა შვილი და შვილის შვილი ეძებდა ტახტს და ამავე დროს რუსები ყველას იჭერდნენ და ჰგზავნიდნენ რუსეთში, на водворение, იულონ ხშირად იმალებოდა გოგიას სახლში და ხშირად არცხვენდა იმას გოგია თავისის გაუბედაობისა და უსაქმურობისათვის.

— შენ როგორი ირაკლის შვილი ხარ, — ეუბნებოდა ხოლმე გოგია იულონს, — იმის ვაჟკაცობა ქვეყანაზედ იყო გავარდნილი... რა მეფობა უნდა გასწიო, თუ სულ ეგრე სამალავებიდან არ გამოხვალ, ქვეყანას არ უჩვენებ მეფურს გმირობას.

მაგრამ იულონზედ ამ სიტყვებს ბევრი არაფერი გავლენა ჰქონდა. იმას უნდოდა სხვისი ხელით ნარი მოეგლიჯა. ის ეფარებოდა გოგიასა და სხვა თავის მომხრეებს, იმალებოდა გოგიასა და სხვა ერთგულთა ზურგთუკან და შესთხოვდა იმათ, რომ დაეფარათ მტრისაგან, ჩაეგდოთ ამისთვის ტახტი ხელში.

გოგია არა ზოგავდა არაფერს ღონისძიებას თავისი საყვარელი ბატონიშვილის საშველათა, ის მზად იყო შეეწირა იმისთვის თავისი თავი. მაგრამ იმის შველა ყოვლად შეუძლებელიღა იყო. ყველა ძმები იულონისა და შვილები მეფის გიორგისა ცალ-ცალკე იწვევდნენ, ყველანი თავის თავს ბატონათა რაცხდნენ, ყველას ჰყავდა ძლიერი მომხრეები საქართველოში. ახალი მთავრობის მომხრენი თანდათან მატულობდნენ. ახალი მთავრობა ძლიერდებოდა, იულონს სდევნიდნენ დასაჭერად. იულონი, რომელიც აქამდის იმალებოდა გოგიას სახლში, გაიქცა იმერეთს ამალითა და უბრძანა გოგიას ბრძოლა. გოგიამ შეკრიბა ჯარი, რაც კი მოასწრო საჩქაროზედ, ერთი მუჭა ხალხით დაუხვდა დავითისა და რუსის ჯარს.

გოგია პირველსავე მისვლაზედ დაიჭრა, ჯარის დამწყობი აღარავინ იყო და შემდგომ პატარა ხნის ცხარე ბრძოლისა, გოგიას ჯარი გამოიქცა ზარბაზნებისაგან შეშინებული, ძლივს გამოასწრო დაჭრილმა გოგიამ გამარჯვებულებსა.

ჯარი შევიდა გოგიას მამულში. გოგიაც გაიქცა იმერეთში თავის საყვარელ ბატონიშვილთან. აქ გოგია ამხნევებდა დედაკაცივით შეშინებულს იულონსა.

იულონმა თავისი მშიშარობით მალე შემოიფანტა და დაჰკარგა თავისი ერთგული მომხრენი: ამის გამო ის მალე ჩაუვარდა სხვის ჯარებს ხელში ტყვეთა და ამოუყვეს თავი იქა, რომლისაც ასე ეშინოდა იმასა.

გავიდა ხანი, შეიცვალა დეკორაცია და საქართველომ მიიღო სულ სხვანაირი სანახაობა. გაუჩუმდა ახალს მდგომარეობას, თუმც ძველის დროისთვის იმას კიდევ გული უცემდა.

გოგიას, როგორც ზემოთაცა ვთქვით, ჰყავდა ექვსი ვაჟიშვილი. ამან არც ერთი არ მისცა სასწავლებელში გასაზრდელათ. იმას არა სწამდა ახალი არაფერი. ბოლოს, როდესაც დაატყო, რომ თუ არ სასწავლებელში გაზრდილი და ახალი დროის კაცი დიდი მნიშვნელობა არა აქვთ რა, იმან გაბედა უმცროსი შვილის მიცემა სწავლაში. ამისთვის კიდევ უფრო გაბედა ეს გოგიამ, რომ როსტომში ის არა ხედავდა რიგიანს მომავალსა.

როსტომი სახლში იმავე სიყმაწვილიდან არავის არ უყვარდა: არ უყვარდა არც მამასა და არც ძმებს. საკვირველია ზოგი კაცის ბედი, რაკი ერთი ამოიჩემებენ და აითვალწუნებენ, ყველა უყურებს ამას, როგორც გველსა, ყველა უბღვერის და ყველა თითქო ეუბნება: შენ რა გასაჩენი იყავიო. ესევე საქმე დაემართა როსტომს იმავე სიყმაწვილითვე, რა იყო მიზეზი ამის ამოჩემებისა, თითონაც არ იცოდნენ. ის, მართალია, საშინელი მტირალა და გაუჩუმებელი ბავშვი იყო. რასაკვირველია, ერთი მიზეზი ესეც იქნებოდა. ამ ტირილით და ჩხავილით ის აბეზრებდა ვიწროთ სახლში მცხოვრებლებს ძმებსა და საზოგადოდ მთელს სახლობას. ამასთანავე იქნება მიზეზი ესეც იყოს, რომ ამის ძმები, რომელნიც ბავშვები აღარ იყვნენ, თავის თავსაც მეტად რაცხდნენ თავის მამის სამკვიდროზედ; მამას კი, რომელიც ახალს დროს გაკეთებულს ხიდზედაც კი არ გაივლიდა ხოლმე და ახალ დროს ნაკურთხს მღვდლის წირვაზედ არ წავიდოდა, უფრო იმიტომ არ უყვარდა, რომ ახალს დროს იყო დაბადებული.

რამდენიც იზრდებოდა როსტომი, იმდენი ხედავდა, რომ ეს ყველას ამოჩემებული ჰყავდა დედის მეტსა. ის ხედავდა, რომ სხვა ამხელა ყმაწვილებს ყველანი უალერსებდნენ, თავს ევლებოდნენ, ულაქუცებდნენ და ამას კი ისე უყურებდნენ, თითქო ერთს მეტს რასმე ბარგსაო. თუ ლაპარაკს დაიწყებდა, გააჩუმებდნენ ერთის შებღვერით, თითქო ეუბნებოდნენ, შენ რაღა ქვეყანაში გასარევი ხარო! მოინდომებდა რასმე — შეუტევდნენ და გააკმენდინებდნენ ხმასა. ერთი სიტყვით ხედავდა, რომ ყოველი იმის მოძრაობა, მოქმედება, ყველას ეჯავრებოდა. ამგვარი ქცევა მოქმედებდა იმაზედ საშინლად. ის შეიქნა თანდათან ჩუმი და ღრძო გულისა. ის ერიდებოდა ყველასთან ლაპარაკს, თამაშობას და ხუმრობაზედ აიღო ხელი და სულ გაბუსხული იჯდა სადმე კუთხეში, ჯავრით გასცქეროდა სხვის ლაპარაკსა და მოძრაობას; გაეღვიძებოდა რამე გულში სურვილი, არ ანდობდა არავის გულის თქმას, რაკი იცოდა, რომ არავინ ყურს არ ათხოვებდა, დაიხშობდა გულში, ან ეცდებოდა ისე იმის შესრულებას, რომ არავისთვის არ შეეტყობინებინა. ვერასდროს ვერავინ ვერ შეატყობდა იმას სახეზედ ვერც სიამოვნებას, ვერც უსიამოვნებას: ის იყო ნიადაგ დაღვრემილი და მტრულად და შურით გაჰყურებდა ყველას. ეს ხასიათები რამდენიც იზრდებოდა, იმდენი უფრო თანდათან შთაებეჭდა გულში, მეტადრე მაშინ, როდესაც ის მისცეს სასწავლებელში. როსტომს ჩაგონებული ჰქონდა და იცოდა თავისი ოჯახის სახელი და შთამომავლობა. ამითი ის ამაყობდა და ესღა ჰქონდა ნუგეშად გულში დაჩაგრულს და გოროზი გულის პატრონს ბავშვსა; და ყველაზედ კი თითქმის უკანასკნელად ეს გამოდიოდა თავის ტოლებში. ამ ტოლების უკეთესად გამოსვლას ეს თაკილობდა და ცდილობდა დაეფარა თავისი ნაკლებულება ამათთანა: ერიდებოდა და ჩვეულებისამებრ მტრულად გაჰბღვეროდა ამათაც. ტოლებიც, რაკი ხედავდნენ, რომ ეს იმათ სხვანაირად უყურებს, არ ერევა ამათში ტოლ-მეგობრულად, ამასთან ამათზედ ნაკლებად გამოდიოდა, ესენიც უფრო არაფრად აგდებდენ ამასა, თითონაც თაკილობდნენ, ცდილობორენ ამის დაჩაგვრასა და დაბრიყვებას.

საკვირველად უყურადღებო იყო ამაზედ მამა. ისე ამოთვალწუნებული ჰყავდა, რომ არც კი ახსოვდა ჰყავდა სადმე ამას შვილი როსტომი, თუ არა. იმან, როდესაც მისცა ეს სასწავლებელში, ჩააბარა ერთს მეწვრიმალე სომხის დედაკაცს, გადუკვეთა წელიწადში რამდენიმე კოდი პური, სამარხო და კიდევ ცოტა რაღაც რამა და მეტი თითქო ბავშვისთვის საჭირო არა იყორა, ისე მიანება თავი.

ეს მეწვრიმალე დედაკაციც რაკი ხედავდა რომ დედ-მამა ამას არა პატრონობს და უყურადღებოდ ჰყავთ, თითონაც უფრო რას ინაღვლიდა. იმას არა ჰყავდა მოსამსახურე და მსახურის მაგიერად იყენებდა როსტომს: აზიდვინებდა წყალს, გზავნიდა ბაზარში, აყრევინებდა ნაგავს, აზიდვინებდა აბანოში და აბანოდან სარეცხს. ერთი სიტყვით ყოველრიგს მოახლეობას აწევინებდა. არავინ იცის, რა ხდებოდა მაშინ ამპარტავანი როსტომის ვულში, რარიგად იკუმშებოდა და იბღუნძებოდა, რომ ამ საქმეზედ ის ნაცნობებს არავის დაენახათ... რამდენჯერ დააპირა გაქცევა, მაგრამ არ იცოდა, სად წასულიყო... ეს ერთხელ მაინც და მაინც გაიქცა და რის მოწიწებით მივიდა შინ. აქ შენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც როსტომს ცალკე მამამ და ცალკე ძმებმა დღე დააყენეს. როსტომმა თავისი მწუხარება დედას შესჩივლა, მაგრამ დედამაც ვეღარ უშველა. როსტომი სულ ცემით ჩაჰგზავნეს თავის სახლის პატრონთან.

— ან მოკვდი და ან ისწავლე რამე, — უთხრეს ამას თავისმა ძმებმა და მამამ, თითქო როსტომი გამოჰქცეოდა სწავლასა და არა სახლის პატრონის მტარვალობას.

როსტომი დამორჩილდა თავის მდგომარეობას, მაგრამ იმის გული კი გაუსო გესლით. იმას ეს ნაწყენობა ყველაფერი ჩარჩა გულში და ყოველთვის იყო იმისთვის დაუვიწყარი.

— დაიცადეთ, — ამბობდა ის ბრაზით თავის ძმებზედა: — სუყოველთვის მამაჩემი ცოცხალი არ იქნება და მეც სულ ასე უძლური არ ვიქნები... მაშინ...

ამას კარგა მკვიდრად ინერგავდა გულში და ჰქონდა დაუვიწყარი.

რაკი სახლობისგან ასე ამოჩემებული იყო როსტომი, ამას არაფრად აგდებდნენ არც ყმები და არც მოსამსახურები, რომლებშიაც ფიქრობდა, მოეპოვა თავისზედ უმცროსები და გამგონებლები. ყოველს ამის დასაქმებაზედ და ბრძანებაზედ, ისინი თითქო კაცი არ ელაპარაკებაო, ყურსაც არ იბერტყდნენ და პასუხსაც არ აღირსებდნენ. როსტომს ეს ყელში სისხლსა ჰგვრიდა. ეჩივლა მამასთან ან ძმებთან. ვინ გაუგონებდა, უნდა ისევ გაჩუმებულიყო, დაებრუნებინა გულში ბრაზი. ამან რამდენჯერმე მოთმინებიდან გამოსულმა მოსამსახურეების ჩაუგდებლობითა, ვეღარ მოითმინა და მივარდა საცემრად. მაგრამ ისინი უარესადა სცემდნენ და უსრესდნენ ყურებს, როგორც ერთს ვისმე უკანასკნელსა. როსტომი გაბრაზებული მიჯდებოდა სადმე კუთხეში და ტიროდა. ამის გამსამართლებელი არავინ იყო. იმის გულში ბრაზი თანდათან გველად იქცეოდა.

ამგვარად გადიოდა როსტომის ყმაწვილობა, რომ ამას არც სიდიდეში არავინ რად აგდებდა, თითქო ერთი ვინმე უკანასკნელი შსახური გდიაო.

რაკი ვერავისგან შეწყნარებას ვერა ხედავდა, რაკი ვერავის ვერ დაუახლოვდა და ვერავისზედ დაიმშვიდა გული, ისა ცდილობდა, რამე ღონისძიება ეპოვნა თავის დასაცველად ამხანაგების დაბრიყვებისაგან მაინცა, და ეს ღონისძიებაც გამოუჩნდა — მეუფროსეები სასწავლებელში. რაკი ერთხელ და ორჯერ შეიწყნარეს ამისი საჩივარი ამხანაგებზედ, ეს ყოველს უბრალო საქმეზედ მიდიოდა მათთან საჩივლელად. რაკი ამათში იპოვა თავისი მფარველი, ამან დაიწყო ცდა — ამათი გული როგორმე მოეგო, რომ ამათის მხრივ მაინც მისცემოდა ამას სიმშვიდე. დაუწყო ამან იმათ ლაქუცი და იმათაც ეს იამათ. შეატყო, რაც იმათ იამებოდა და როსტომმაც შეუწყო იმათ ამაზედ ხელი. იპოვეს მეუფროსეებმაც თავისი ერთგული და ამხანაგების მტერი და შეუჩინეს ის ამხანაგებს. როსტომმა დაუწყო ამხანაგებს თვალთვალობა და ყოველს ამათს მოქმედებას ამცნებდა ჩუმჩუმად მეუფროსეებსა. მეუფროსეებმა უფრო თავზე ქონი წაუსვეს და უფრო წააქეზეს ამ ხელობაზედ. რასაკვირველია, ეს არ დაემალათ ამხანაგებს და უფრო ამოიჩემეს. როსტომი თანდათან დაუახლოვდა მეუფროსეებს, შეიქნა იმათი მონა. რასაკვირველია, რაკი მეუფროსეები ამისკენ იყვნენ, შეგირდებმა ვერა დააკლეს რა. მაშინ კიდევ უფრო სასარგებლოთ ნახა მეუფროსეების პატივი და ის შეიქნა სრული იმათი მონა. შეგირდებსა და იმის შუა მოისპო ყოველრიგი დამოკიდებულება. აქამდის ეს ჰყავდათ დაჩაგრული შეგირდებს და ახლა შეგირდების სული იმის ხელში იყო: ერთი ამისი სიტყვა და შეგირდი უატესტატოდ დაბრუნდებოდა სასწავლებლიდან.

როსტომი რომ სასწავლებელში იყო, საკვირველი უბედურება ეწვია იმის მამას, გოგია ტაბლაძეს. იმან გაისტუმრა თავისი ორი შვილი სპარსეთში საომრად.

— მაგათგან ვართ დღეს დაღუპულები, — ეუბნებოდა ის შვილებსა, — საქართველომ რომ მაგათი სისხლი სვას, კიდევაც ვერ გადაუხდის სამაგიეროს.

რა იცოდა საწყალმა გოგიამ, რა მოელოდა იმის ორს საუკეთესო შვილს ომში, სადაც ის ამათს საზღვრადა ჰგზავნიდა. პირველსავე ომში ორივე ძმები დახოცეს ერთადა. მთელი ნაცნობები და ვისაც კი გაეგონა ამათი სახელი, ყველა საშინლადა სწუხდა ამათს უბედურებასა, გოგია კი გულმაგრად მიეგება ამასა: ის ნუ-

ვეშობდა ამითი, რომ იმისი შვილები დაიხოცნენ საქართველოს სისხლის მსმელებისა და დამღუპველების ბრძოლაში.

გავიდა ერთი წელიწადი და ეწია უარესი ცეცხლი გოგიასა. იმას მოუკვდა მესამე შვილი, რომელიც შვიდის წლის წინათ თვის სიკვდილისა, მოიწონა ერთმა ფრიად დიდმა კაცმა და მილიციიდან გადაიყვანა პოლკში. აქ იმან თავის თავად გაიკვეთა რუსული ენა და წიგნი, შემდგომ ის არ დასჯერდა ამასაც, დაიწყო ფრანციცულისა და ნემეცურის სწავლა და აქაც მალე გაიკვეთა ეს ენები. ის შეიქმნა პოლკში სამაგალითო ოფიცერი. ამან დაუწყო მამას შემწეობა სადაო საქმეებში სხვადასხვა მძლავრს გვარებთან, დაუწყო აგრეთვე შველა და შემწეობა ბევრს საწყალს და დაჩაგრულს გვარებს. ერთი სიტყვით, ის შეიქნა საყვარელი ყველა დაჩაგრული კაცისათვის და ჩამოიმტერა ყველა მძლავრი და ძლიერი გვარები და კაცები. აქ რომ ეს ამ სახელში იყო და მამა ნუგეშობდა ამითი თავის ორს ჯარში დახოცილს შვილს, ის უცებ შეიშალა ჭკუაზედ. რამდენსამე ხანს დაჭკვიანდა და უცებ კიდევ შესცდა, სამს კვირაზედ ის გადაჰყვა თან ამ შეშლას. დადიოდა ხმა, რომ ის შესცდა ჭკუას საწამლავისაგან და იმანვე გადიტანა თანაო, კიდეც უჩვენებდნენ მომწამლელებს. ესენი იყვნენ დიდი ხნის მტერნი და შურნი ტაბლაძიანთ გვარისა და ახლა უფრო ამისი, რომელიც აგრე ადვილად არას უთმობდა ამათ. საწყალი გოგია მოიხარა ჯავრისაგან წელში, ის ფიქრობდა და არ იცოდა, როგორ გადაეხადნა სამაგიერო თავის შვილის მკვლელებისათვის. „ვაიმე, რომ დრო შეიცვალა!“ ამბობდა ის მწუხარებითა და სტაცებდა ხოლმე ჩიბუხს ხელსა.

ჯერ ეს ვარამი ისევ გულზედ აწვა, რომ მკვდარი შვილი, ასო-ასო დაჩეხილი კარებზედ მიაყენეს, ვინ მოკლა ისა და ვინ არა, არავინ იცოდა. ის იპოვეს მკვდარი გზაზედ ტყის პირას და მხოლოდ ტანისამოსითღა იცნეს. აქ საცოდავად დაძაბუნებულმა გოგიამ ესეც თავის გვარის მტრებს მიაწერა. ის ფიქრობდა მძიმე ფიქრსა. „ეხლა რაღათ მინდა თავი ცოცხალი!.. რიღასთვის უნდა დავზოგო ჩემი თავი... მინამ არ ავიღებ ჩემი შვილის სისხლს, მე საფლავშიაც ვერ მოვისვენებ...“ ის ელოდა ჟამსა... ის კი არა თუ თითონ გოგიაც თან გააყოლეს თავის შვილებსა.

ერთხელ გოგია იჯდა ზამთარში ცეცხლაპირას, ტყავში გახვეული, ჩიბუხით პირში, იგონებდა თავის უბედურს შვილებსა და თავის ძველს დროსა, რომ უცებ შემოვარდა ერთი მისი ყმა და მოახსენა, რომ იმისი მისხის-მისხის მტერი, თავადი ეფვთიმე მთისთაველი დაესხა იმათა და აოხრებს. მოხუცმა გოგიამ ცალკე გაფიცხე-

ბულმა ამ ამბისაგან, ცალკე გახარებულმა, რომ მიეცა შემთხვევა თავის შვილების სამაგიეროს გადახდისა, წამოავლო ხელი თავის ერთგულს სიათას, შემოირტყა იარაღი, დაუძახა თავის ერთგულ მსახურებს და გაეშურა თავის ყმების საშველადა.

— მე ვუჩვენებ იმათა, — ამბობდა გაჩქარებული გოგია: — რომ მე ისევ ის გოგია ვარ, რომელიც კვლავ უნახივართ... ეხლა გამცენ პასუხი ჩემი შვილებისა... ეხლა დავლევ მაგათს სისხლსა.

გოგია გაჩქარებული ავარდა თავის ყმებთან. მხლებლები იქ იყვნენ და თითონ თავადი ეფვთიმე არსადა ჩანდა.

— სად არის ეფვთიმე? — შესძახა გაცოფებულმა გოგიამ, — აბა ეხლა გამოიჩინოს თავისი ბიჭობა, თუ კაი კაცია!.. ეხლაა_მაგისი ვაჟკაცობა...

ეფვთიმე არსადა ჩანდა.

— გამოდი, ეფვთიმე!.. ერთი დაგინახო შენა, ჩემი დამღუპველი... ერთი მე და შენ მივესალმოთ ერთმანეთს ძმურათა... როგორც ერთმანეთს ვემართლებოდეთ... გამოდი, შე ლაჩარო!... აგრე როგორ შეგაშინა ჯავრისაგან დაძაბუნებულმა გოგიამ!..

— ნუ ცხარობ, სენი წირიმე, — ეუბნებოდა ერთი ნაცნობი მეგობარი ოსი გოგიასა, — ცვენ სეგარიგებთ... ყველაფერი დაგიბრუნებს... — და ეს ოსი თანდათან უახლოვდებოდა გოგიას.

— ერთი დამენახოს... ერთი დამენახოს ჩემი წამწყმედელი... ჩემი საყვარელი ეფვთიმე... გამ...

აქ უცებ გავარდა... ყარაბინი. გოგიას მოჰკვეთა მუხლები. წაუვიდა ფერი და დაეშვა ბალახზედ. იმისი ერთგული მსახურები ამ მოულოდნელს ამბავზედ ერთს წუთას დაიფანტნენ. გოგია საჩქაროზედ მობრუნდა. ეფვთიმეს ხალხი შორიახლოს უყურებდა ჩოჩქოლით. მკვლელი უფრო ახლო იყო და თითქო ელოდა, რომ თუ ცოცხალი გამოდგა, კიდევ ვესროლოო. გოგიამ წამოიწია და დახოცილი მუხლები აღარ აჰყვნენ. იმან მოისვა სიათას ხელი და ხელებმაც უღალატეს. აქ გავარდა მეორეთ თოფი და გაუარა გოგიას შუბლში. მკვლელი შევარდა ტყეში, თითქო ეს თავის მომხრე ხალხსაც მოერიდაო.

დარჩა ახლა როსტომს მარტო ერთი ძმა სვიმონ. ის ამ საშინელს უბედურებებს ისე უგდებდა ყურსა, თითქო ამისი არავინ მომკვდარაო. ხალხში თითქო სწუხდა ამ ამბავსა და ჩუმად კი კიდეც უხაროდა. რამდენიც ძმა მოუკვდა, იმდენი ის ფიქრობდა გუნებაში. რომ ჩემს სამკვიდროს ემატებაო. ახლა ხომ სულ უფრო გულის სურვილი შეუსრულდა. ამას ეხლა ერთი ეს აწუხებდა, რომ ამასაც

ეს დღე არ დასდგომოდა. „მაგრამ არა უჭირს რა, — ფიქრობდა ის თავის გუნებაში, — მე ჩემს თავს გაუფრთხილდები, არავის თავს არ შევაკლავ იმათსავითა.

ამ ძმებისა და მამის ასე უბედურად გადაგებაზედ არაფერს მწუხარებას არ გაუვლია როსტომის გულში. იმას თითქო კიდეც უხაროდა ეს ამბავი. როდესაც მოიგონა მამის სიკვდილიცა, ამას სხვანაირად დაუწყო გულმა ცემა: „ეხლა კი მე დამრჩა ბურთი და მეიდანიო!“ იფიქრა იმან.

როსტომი იყო ოცდასამი წლისა, როდესაც მოუკვდა მამა. ის ამ დროს კიდეც ასრულებდა კურსსა. „რომ გამოვიდე სასწავლებლიდან და დავბრუნდე შინა, რა ვიქნები, — ფიქრობდა ისა, — რა უნდა მერქვას! რაც აქამდის ვიყავი ჩვენი ყმების და მეზობლების თვალში, ის ეხლა ვიქნები: ძაღლად არავინ ჩამაგდებს. ამას გარდა, სასამართლოში მე არა ვარ გამოცდილი, დავიდარაბისა მე არა გამეგება რა: უბრალო კაციც კი დამიბრიყვებს და ყველასთან სახვეწური მექნება. არა, მე ისე უნდა მოვიქცე, რომ მე დავიბრიყვო და დავჩაგრო სხვა და არა სხვამ მე“. ამის გულისთვის იმან გადასწყვიტა სამსახურში შესულიყო, გამოცდილიყო. თუ სამსახურში კარგად წავიდოდა, დარჩენილიყო იქ ხანი, შეეძინა ფული და ფულთან ყველაფერი იქნებოდა. „თუ არა უფულოდ, გამოუცდელად, რა უნდა მერქვას!“ სთქვა იმანა და გადასწყვიტა სამსახურში შესვლა.

აქ ის შევიდა ფიქრში, თუ რა სამსახური აერჩია. „ყველას სამხედრო სამსახური სჯობია, — ფიქრობდა ისა, — მაგრამ ბალა ეს არის, რომ იქ ვერც გამოიცდება კაცი და ამასთან ჩვენს გვარს ტყვია ემტერება. სუდის ნაწილში, იფიქრა იმანა, იქ იმისთანა დიდს ალაგას მალე ვერ მიაღწევ და უიმისოთ კი ფულს ვერ შეიძენ!“ აქ იმან ისევ პოლიციის ნაწილი ირჩია. „ეს უფრო სამხედრო სამსახურსაცა ჰგავს და თუნდა პატარა ალაგიც გეჭიროს, თუ იმისთანა ალაგია, ფულსაც იშოვნი. ამას გარდა ხალხიც უფრო პოლიციას უყურებს და ეშინიან“.

შეასრულა თუ არა სასწავლებელი, ის შევიდა პოლიციის ნაწილში. ამან აქ გამოიჩინა საკვირველი სიმარჯვე მეუფროსეების ერთგულებისა. ის შეჰყურებდა იმათ თვალებში, უწევდა ყოველრიგს სიამოვნებას, უსრულებდა ყოველს გულის წადილსა, რაც კი ამისაგან შესაძლებელი იყო და ამით ისე შეაყვარა იმათ თავი, რომ ის პირველსავე შემთხვევაში დანიშნეს ერთს მსუქანს უჩასტკაში დიამბეგის პომოშნიკად. იმან აქ მალე შეისწავლა ყოველი ოსტატობა, რაც კი საჭირო იყო ფულის შესაძენად. მოკლე ხანში ამან

კარგად გაივსო ჯიბე. ფულს ფული უნდაო, ამბობს ქართული ანდაზა: ამ ფულების შეძენას ის არ დასჯერდა. ამას მოუვიდა ახლა თავში ფიქრი, ცოლიც ფულიანი შეერთო. რადგან სოფელ ალაგას არ იშოვებოდა კარგი ფულიანი ქალი, ამის გამო იმან დაიწყო ცდა, ისევ ქალაქს დაბრუნებულიყო სასარგებლო რასმე ადგილში და აქ ედევნებინა ყური კაი მსუქანი გასათხოვარი ქალებისათვის. „თუნდა გონჯი იყვეს, — ფიქრობდა ისა, — ოღონდ ბევრი ფული ჰქონდეს: ფულს ყველა აპატიებენ და ქალი როგორიც უნდა იყვეს, რას მომცემს, ან რას წამართმევს!“ ამან თავისგნით შეძენილის ფულით მალე იშოვნა იმისთანა ალაგი, როგორსაც ეძებდა; ის დანიშნეს გამომძიებელ პრისტავად. აქაც მალე იჩინა თავი. იმის ჯიბეს თანდათან მოჰყავდა თავის პატივისცემაში. რასაკვირველია, ის ასე ვერ იპარპაშებდა, თუ დაევიწყებინა თავისი მეუფროსეები: ჯერ ერთი ესა, რაც უნდა ებრძანებინათ იმათა, ეს ყველას ამასრულებელი იყო და ყველაში მონა და მოსამსახურე იმათი, მეორეც ესა, არ აკლებდა ამათ პატივისცემას. როგორც თითონა სარგებლობდა სხვების პატივისცემით, ისე თითონაც ყოველთვის უფროსები ჰყავდა პატივისცემაში. ამის გამო ის იყო იმათში ძალიან მიჩნეული და როგორც უნდოდა ისე შლიდა ფრთებსა. ბევრჯერ გაიმართა როსტომზედ საჩივარი, ბევრჯერ დაინიშნა იმაზედ გამოძიება, მაგრამ ყველა ამაოთ: ყოველთვის მოჩივრები ტყუვდებოდნენ. აქ როსტომი დაიბარებდა მოჩივრებს და, როგორც შეშვენოდა იმათს უსამართლო საჩივარს, იმგვარს სასჯელს აყენებდა.

„თქვე კრუა არამზადებო, თქვენა! თქვენ მე ჩივილს მიბედავთ!.. თქვენ იქნება გეგონოთ ხლებნიკოვი, ან ჩამჩოევი!.. მე თქვენ გაცნობებთ თავსა!..“ აქ მოჩივრები შეხედავდნენ ერთმანეთს როგორღაც სხვანაირად, იტყოდნენ რაღაცა თათრულს ანდაზას და წავიდოდნენ თავთავისთვის შინ, იმ ფიქრით, რომ კვლავ არასდროს, რაც უნდა მოსვლოდათ, აღარ ეჩივლათ.

რასაკვირველია, რამდენიც ჯიბე ეზრდებოდა როსტომს, იმდენი უფრო მდიდარს ქალს ეძებდა. რამდენიც აუჩნდა საცოლე. იმდენი მათ არ გამოაჩნდათ ამის გულის შესაჯერებელი ფული. „რაში მეჩქარება? — ამბობდა ისა, — რა ხანი მე გამსვლია! მანამ არ შევირთავ, მანამ კარგი ფულიანი ქალი არ გამოჩნდება, ააჰა!..“

გავიდა ამაში ხანი. როსტომს მოუკლეს უკანასკნელი ძმაცა და გამოჩნდა იმისი საჯერო საცოლე ქალიცა.

ერთხელ, თითონაც არ იცოდა როგორ მოხდა ესა, იმიტომ რომ დიდ ცოდვათა რაცხდა ამასა, — ისა და ერთი ჩინოვნიკი — მი-

კირტუმ მიკირტუმიჩ ტერ-მიკირტუმოვი შევიდნენ ფეთხაინში სომხების წირვაზედ. ამის უცნობი საცოლე იქ იყო.

საკვირველია, რომ ამისმა საცოლემ შუშანა ხეჩატუროვნამ ის ნახა სიზმარში. აი როგორ: შუშანა დგას ვითომც ფეთხაინში, სადაც ამათ გარდა სხვა მრავალი ხალხია, იმის გარშემო ირევა და დგას ხალხი: მოხუცებული დედაკაცები ჩადრში თეთრად გახვეულნი დგანან, იცემენ გულში მუშტსა მეტის სასოებითა, ლოცულობენ და წარმოთქვამენ რაღაცა მხურვალე სიტყვებსა; შემოდიან მოხუცნი და შუახანს გადასულნი გრძელსახელოებიანს ჩოხებში, ულვაშებგაკრეჭილი კაცები და არ უყურებენ ქალებსა, ვერც ერთი ლამაზი ყმაწვილი ქალი ვერ იზიდავს იმათს გონებას, მხოლოდ როგორღაც უნებურად, როგორც კატას ძეხვზედ, რჩებათ თვალები ლამაზს ყმაწვილს ბიჭებზედ და აქ მოსდით სასოება და ოხრავენ; შემოდიან ახალგაზრდა საცოლო ვაჭრის შვილებიც, რომელნიც შუშანას აგრერიგად არ ეპიტნავებიან, თითქო იმათ კაცადაც არ აგდებენ; შემოდიან ყმაწვილი ჩინოვნიკები. აქ შუშანას როგორღაც სხვანაირად უცემს გული, მაგრამ ამ თავის სხვანაირად გულის ცემას არ ამჩნევინებს შუშანა და ნაზად უშვებს ძირს თვალებსა და ღუნავს თავსა, თითქო არც კი შეუნიშნავს ისინიო. აგერ შემოვიდა იმისი ნაცნობი ჩინოვნიკი მიკირტუმ მიკირტიჩ ტერ-მიკირტუმოვი, ამა შემოჰყვა თან ერთი დაკენკილი შავთვალწარბა პოლიციის ჩინოვნიკიცა, პოლიციის ჩინოვნიკი იყო როგორღაც დაღვრემილი, ჰქონდა მრისხანე სახე და ამ მრისხანებაში ეჩვენა შუშანას თითქო რაღაცა დიდკაცური და მაღალი, პოლიციის ჩინოვნიკმა შეხედა შუშანას. შუშანა გაწითლდა და სირცხვილით ჩაღუნა თავი ძირს. იმ დროს ვიღაცამ წასჩურჩულა და თითქმის კარგა ხმამაღლა უთხრა: „ეგ არის შენი ქმარი. შენ და ეგ ერთმანეთს არ ასცდებით. ეგ უეჭველად შეგირთავს შენა...“

ამ სიტყვებზედ ისეთნაირად დაუწყო გულმა ცემა შუშანას, ისეთნაირად აემღვრა გრძნობა გონება, რომ თითონაც არ იცოდა რა იყო იმის თავსა. შუშანას მაშინვე ჩაუვარდა გულში სახე დაკენკილი პოლიციის ჩინოვნიკისა და ისეთნაირად შეუყვარდა, რომ როდესაც კი გამოიღვიძა, იმისი სახე უდგა ცხოვლად თვალწინა, თითქო ეხლაცა ხედავსო. ის მაშინაც კიდევ გრძნობდა იმის უცნაურს სიყვარულსა და ვერ იშორებდა გონებიდან იმის სახეს.

გამოიღვიძა თუ არა და მოვიდა გონსა, იმან სთხოვა დედას, რომ ის გაეგზავნა ფეთხაინში. დედამ მისცა ნება და უთხრა წაჰყოლოდა თავის მამიდა თათელასა. „აჰა! ეს ხომ ამიხდა, — ფიქრობდა

შუშანა, — ფეთხაინში მივდივარ, მაშ ისიც ამიხდება, რომ იმ ჩასტის აფიცერსა ვნახამ... მე დაცდილი მაქვს ჩემი სიზმრები: თუ ერთიც არის, რასაც სიზმარში ვნახამ, ამიხდა, ყველაფერი ამიხდება... რა ლამაზი რამ არის და... როგორი დიდკაცური შეხედულობა ჰქონდა!.. უთუოდ ძალიან დიდი კაცის შვილი უნდა იყვეს... რომ არ ამიხდეს სიზმარი და აღარ შემირთოს!.. ამისთანა საქმროს დაკარგვა ამ ხნის ქალსა...“ აქ იმას დაუწყო გულმა საძაგლად ცემა, მაგრამ ისევ მალე მოიბრუნა იმითი გული, რომ რაკი სიზმარში ნახა თავისი თავი ფეთხაინში და კიდეც აუხდა, მაშასადამე სხვაც ყველაფერი ახდება. რადგან ასე ჰქონდა დაცდილი.

შუშანამ გამოიქნა პირი, წაისვა კარგა მაგრა ფერ-უმარილი, ჩაიცვა საუკეთესო ტანისამოსი, გაიშავა ლოყაზედ განგებ გაკეთებული ხალი და გასწია წირვაზედ.

საყდარში ის დადგა კარებთან ახლო, როგორც სიზმარშიაც ენახა. ერთიც ვნახოთ, წარმოიდგინეთ თქვენ შუშანას გაოცება, შემოდის იმავე წესით ხალხი, როგორც ენახა სიზმარში და, ერთიც ვნახოთ, შემოვიდა ჩინოვნიკი ტერ-მიკირტუმოვი და შემოჰყვა თან დაკენკილი პოლიციის ჩინოვნიკი. პოლიციის ჩინოვნიკმა მაშინვე გადაავლო იქაურობას თვალი, შუშანასაც შეხედა. თუმცა ბევრად არაფრად მიიჩნია, მაგრამ შუშანამ მაინც ჩაღუნა თავი და ჭარხალივით გაწითლდა. იმას აემღვრა გრძნობა, დაუწყო გულმა ცემა და რაკუნი. თითქო კარში გამოვარდნას აპირებსო... ტერ-მიკირტუმოვმა დაუკრა შუშანას თავი, შუშანამ ვერ შენიშნა.

— ვინ არის ეგა? — ჰკითხა პოლიციის ჩინოვნიკმა ტერ-მიკირტუმოვსა.

— დიდი მზითვის პატრონია, — უპასუხა მან თავის კანტურითა: — ეგ არის ქალი ხეჩატურ ჩაიფხანოვისა.

— აააა! — წაიდუდუნა ცხვირში როსტომმა და ჩაიტანა ეს გულში. იმან ერთი კიდევ მიიხედა ქალისაკენ, რომ გაესინჯა როგორი რამ იყო.

შუშანამ შენიშნა ეს შეხედვა და უარესად აენთო. იმან ჩაღუნა მორცხვად თავი და კიდევ იფიქრა: რა დიდკაცური სანახაობა აქვს! და აქ კიდევ იგრძნო იმის სიყვარული. „ნეტავი კი შემირთოს, — ფიქრობდა შუშანა, — თორემ ასეთ ცოლობას გაუწევდი, ასეთნაირად შევიყვარებდი და თავს დაუდებდი, რომ არავის არ შესძლებოდა... საკვირველია, რამდენი მაგაზედ ლამაზი მინახავს, რამდენი უფრო ყმაწვილი და უკეთესი კაცი მინახავს, მაგრამ აგრე გული არავისზედ არ შემვარდნია!..“ თუმცა შუშანას ერთი ყმაწვილი ვა-

ჭარი მარზუკ ოხანეზიან ტერ-ოხანეზოვი ისეთნაირად უყვარდა ამ ორიოდე წლის წინათ, როდესაც გაიგო, რომ იმას ასტრახანში ცოლი შეერთო, კინაღამ ჭკუაზედ შესცდა; იმის წინათ კიდევ ეს კინაღამა გიჟდებოდა ერთი ყმაწვილი ქართველი თავადიშვილი მურილოკიაშვილისთვის: იმის წინათ გიჟდებოდა კიდევ ერთი რუსის ჩინოვნიკის ჩორტოხვოსტოვისთვის და ამათიც ყველასი ისე ეგონა, რომ ასე არავინ მომწონებია და არავინ შემიყვარდებაო. „ნეტავი ერთი მალე მაინც ამიხდებოდეს სიზმარი!“ ინატრა შუშანამ. ის მთელი წირვა სულ ამ ფიქრში იყო. ის შეეცადა რამდენჯერმე მოეშორებინა თავიდან ამგვარი ფიქრები და მდგარიყო სასოებით ეკლესიაში, მაგრამ ვერა ეშველა რა, ვერ მოიშორა თავიდან ეს ეშმაკის საფრთხე გულისთქმა: იმას სულ ის ელანდებოდა, როგორ წავიდოდა ეკლესიაში თავის მოწონებულს პოლიციის ჩინოვნიკთან ვვირგვინით, მოსდიოდა ფიქრებში თავისი ტოლი ქალები, როგორ დაუწყებდნენ ამას შურით ყურებას და ეს ამათს ყურებსაც აღარ იკადრებს და დაუმტკიცებს, რომ თუმცა ისინი დასცინოდნენ — დაბერდი და აღარავინ შეგირთავსო, ეს შეირთო იმისთანა კაცმა, რომელიც ყველა იმათს ქმრებზედ მაღალი და დიდი კაცია. „აბა ჰაშინლა დამცინონ, აი“!.. იფიქრა გახარებით შუშანამ.

შუშანა რომ ამ ფიქრებში იყო, წირვა კიდეც გამოვიდა და ხალხი ზოგი მიდიოდა ხატებთან სამთხვევლად, ზოგი კიდეც გამოდიოდა ეკლესიიდანა. შუშანამ მიიხედ-მოიხედა, ტერ-მიკირტუმოვი იქ იყო და დაკენკილი ჩასტის ოფიცერი—შუშანას როსტომ ტაბლაძე კვარტალნი ეგონა, და რომ სცოდნოდა, თუ გამომძიებელი პრისტაჟი იყო, მაშინ უფრო შეუყვარდებოდა, — აღარსად ჩანდა. შუშანას ისეთი ეწყინა, რომ სატირლად გული აემღვრა. ამას შეუვიდა იქვი და თითქმის იმედიც გადიწყვიტა, რომ როსტომი იმას არ შეირთავდა. მაგრამ ბოლოს კიდევ გაიმაგრა გული. „არა უეჭველად შემირთავს, — ფიქრობდა ისა, — ყველა ამიხდა, რაც სიზმარში ვნახე და ესეც აუცილებლად უნდა ახდეს — მე დაცდილი მაქვს“. პატარა ფიქრს უკან შუშანას უცებ ფერმა გადაჰკრა. იმას მოაგონდა, რომ სიზმარში ვიღაცამ უთხრა: ეგ შეგირთავსო და ცხადლივ კი არავის უთქვამს. „მეორეც ესა, — იფიქრა კიდევ იმან, — მე მართო მითხრეს, რომ შეგირთავსო და მართლა ხომ არ შეურთავს სიზმარში, რომ ცხადლივაც ამიხდეს...“ აქ დაუწყო შუშანას გულმა ბრაზობა და მიეყუდა კედელს. „დიდი საჭიროა, თუ არ შემირთავს“, — გაიმაგრა კიდევ იმან გული, — მაგისთანები არიან ქვეყანაზედა!.. შემირთავს — კარგია, არ შემირთავს და არცა ვსაჭი-

როებ!.. მამაჩემთან კიდეც მირჩევნია... ვინ იცის იქნება ისეთიც რამ იყვეს, რო!..“ ის ამ ფიქრით გამოტრიალდა ეკლესიიდან ხატების უმთხვეველად, თითქო შემოსწყრაო და წამოვიდა შინისკენ. მამიდაც გვერდით აედევნა.

შუშანა რომ შინ დაბრუნდა, იმისი დედა, გაიანე, უჯდა სათამაშო ქაღალდს და შლიდა. ის გვერდზედ ყინწმოგრეხილი გაჰყურებდა ბუბნის ხელმწიფეს და მხიარულად იღიმებოდა.

—შუშანჯან, შენ გათხოვებთ, — დაინახა თუ არა მიახარა შუშანასა. — ქა! აი ქაღალდი ისრე ამბობს, ვიღაცა ვინმე დიდი კაცი გირთავს... სულ კარგი ქაღალდი ახვევია... აი, მოდი, შვილო, ნახე.

— იჰ, დედილო! ნეტავი შენა, რომ ქაღალდი გჯერა!.. ქაღალდი რა დასაჯერებელია!..

თუმცა ამას ასე ლაპარაკობდა, მაგრამ შუშანამ მაინც ჩუმად შეხედა ქაღალდს. შუშანას ქაღალდის გარშემო სულ წითელი ქაღალდი იყო და ალაგ-ალაგ ელაგა ტრეფები, გულზედ ედო ბუბნის ხელმწიფე. „სწორედ ის არის!..“ აქ სიამოვნებისაგან დაუწყო გულმა ცემა და მიეცა ჩასტის ოფიცრის შერთვის იმედი, სიყვარული კიდევ უფრო აღეძრა.

— კარგი ქაღალდი მოდის, დედაშვილობამ... რომ ერთმა დიდმა ვინმემ შეგირთოს, დიდი ღვთის მოწყალება არ იქნება!..

— ეჰ, ნეტავი თქვენა, სულ შერთვა გაგონდებათ... ნეტავი ერთი იცოდეთ! მე ფეთხაინში ვდგევარ და მიკირტუმ მიკირტუმოვიჩთან შემოვიდა ერთი ვიღაც ჩასტის ოფიცერი. იმან ისეთნაირად დამიწყო ყურება, ისეთი ჩამაცქერდა, რომ სირცხვილით კინაღამ გამოვიქეც საყდრიდან... რა ურცხვები არიან ზოგიერთა კაცები!..

— რომ გეუბნებით, შვილო, უჩადრობა კარგი დრო არ არისმეთქი... უწინ როგორ შეგვეძლო უჩადროდ სადმე გავსულიყავით... კაცის საქმე მის დღეში აგრეთია: უჩადრო ქალს ცქერას დაუწყებენ... კვლავ, შვილო, უჩემოდ აღარ გაგიშვებ არსადა... თორემ, ვინ იცის, რამდენი არამზადა ხალხი დადის დუნიაზედა...

— დიდკაცური სახე კი ჰქონდა, ვიღაც იყო... ქართველსა ჰგავდა.

— ქა! დაკენკილი ხომ ვინმე არ იყო, შავთვალწარბა?

— მგონია... რა ვიცი, მე ხომ იმას არ დავუწყებდი ყურებასა... ძალიან საჭიროა, ვიღაც უცხო კაცის ყურება. თუნდაც დიდი კაცი იყვეს, თუნდა პატარა!..

— ჰოო, შვილო, აბა? რომ გეუბნები, კარგა გაიკეთე პირი მეთქი!.. ის უთუოდ კნიაზი ტაბლაძე იქნებოდა, პრისტავი... დიდი ყმისა

და მამულის პატრონს ამბობენ, ფულიც ბევრი აქვსო... ის ცოლის შერთვას თურმე აპირებს და მზითვიანს ცოლს ეძებს... ვინ იცის, იქნება შენზედაც უჭირავს თვალი! უთუოდ ისე იქნება, თორემ სომხის საყდარში რა უნდოდა, ის ხომ ქართველია... უთუოთ შენს გასასინჯად იქნებოდა და შენ კი, ვინ იცის ეგრე გათხუპნული წახვედი უპირშუშტაკოთა და უფერ-უმარილოთა!.. აბა ჩემი სიტყვა რომ არ გჯერა, თითქო შენი უცხო ვინმე ვიყვე. ეხლა რომ არ მოეწონო იმასა, ხომ დაჰკარგე მაგისთანა ბედი... მერე მაგისთანა ვინმეს სადღა შეირთავ, ქალო დაბერდი. ჩვენისთანები მაგას თავს ადგიან... კნიაზია.

— არ შემირთავს და ნუ შემირთავს!.. დიდი საჭიროა... განა თქვენ მოგბეზრდით...

— ქაა! ოცდაშვიდი წლის ქალი ხარ... გაუთხოვარი ხომ არ გინდა დაბერდე!..

— გამათხოვეთ რა, მერე ვინ გიშლით!.. მე როდის დაგიშალეთ!.. თქვენ ხუთს გროშს ზედ დაჰკანკალებთ, რიგიანს მზითევს არ იმეტებთ, და უმზითოთ თქვენისთანა მურჯიკის ქალს რიგიანი კაცი ვინ შეირთავს!..

— ქაა! სულ ხომ შენ არ მოგცემთ, რაც ჩეხომ ფული უშოვნია! შენს გარდა კიდევ ორი ქალმა სხვა მყავს და ვაჟიშვილია... ეხლა ჩვენ კაი კაცები არა ვართ, ცხოვრება არ გვინდა?!.

— მაშ ვიღას ამტყუნებთ!..'თუ აგრეა, კიდეც გამათხოვეთ, როგორც იცოდეთ, მე რაღას მეუბნებით...

— გათხოვება ხომ მარტო ფულით არ იქნება, — უნდა შენც პატარა შნო და ლაზათი გქონდეს, და შენ კი ფერ-უმარილის წასმაც გეზარება.

— უფ, უფ, უფ! ფერ-უმარილით კი ძალიან მოატყუებთ! თქვენ ასე გგონიათ კაცებმა არ იცოდნენ, რომ ჩვენ ფერ-უმარილს ვისვამთ! იმათ ჩვენზედ უფრო კარგადაც იციან და დაგვცინიან.

— კიდეც მაგიტომ მოვიდა ცუდი დრო, რომ ეხლანდელი ყმაწვილები გაეშმაკდნენ და ფულის მეტს სხვას ყურს აღარას უგდებენ... ღმერთიც იმიტომ არის, შვილო, ჩვენზედ აგრე ხელაღებული. ჩვენ დროში, დედაშვილობამა, სხვანაირათ იყო. აი მამაშენმა ერთხელ მნახა, მოვეწონე და შემირთო. არც ფული, არც მზითევიო, არცარა თითონა ჰქონია მაშინდელს დროში...

— სუყველას თავისი დრო მოსწონს... მე რა ვქნა, რომ მეც მაშინდელს დროში არ დავიბადე, რომ თქვენ მზითევზედ აღარავის შეეწუხებინეთ და უმზითოთ ღრაფ შერემენტს შევვრთე. ეხლა,

ხომ ხედავთ, უმზითოთ არავინ ირთავს... მეტადრე მე, რომ თქვენ სიძუნწით დამაბერეთ...

აქ შუშანას მოერია ცრემლები და აუდუღა გული. აქ ის დაემხო პირქვე მუთაქაზედ და დაიწყო ტირილი. გავარდა საჩქაროზედ მეორე ოთახში, რომ არ ატირებულიყო დედასთან. „იმის გულისთვის, რომ ხუთი გროში გაქვთ საანგარიშოთა, მე უნდა გაუთხოვარი დავრჩე!..“ ფიქრობდა ის, მტირალი მდუღარე ცრემლითა. „თუ ეხლა ესეც გაუშვეს ხელიდან, მერე სიკვდილამდინ, თუნდა ხელმწიფე იყვეს, აღარავის შევირთავ“...

შუშანა რომ ამ ცრემლებში იყო, გაიანე მართლა მიეცა თავის უფროსს ქალზედ ფიქრსა. „ტაბლაძეს უთუოთ გულში უძევს შუშანას შერთვა, — ფიქრობდა ისა, — თუ არა, რა უნდოდა სომხების საყდარში და რათ უყურებდა ისეთნაირათ შუშანას?.. ბოლოს მილანქაროვი როგორღაც გადმოკვრით გველაპარაკებოდა ამაზედა... არა, დრო კია ახლა, მართლა, გავათხოვოთ, თორემ ქვეყანა სულ ჩვენზედ ილაპარაკებს: ქალი გაუთხოვარი დააგდესო... რა კარგი იქნება, რომ კნიაზ ტაბლაძეს რუსულათ შეუყვარდეს ჩემი შუშანი და უმზითოთ გვთხოვოს...“ აქ დაუწყო შუშანას სიხარულით გულმა ცემა. „არა, თუნდა იმან მზითვი არ ითხოვოს, ჩვენ თითონაც უჯიბისფულოთ შუშანი არ შაუშვებთ ლოტოსთვისა... მეტი კი რათ უნდა: თითონაც მდიდარია, ფული ბევრი აქვს და, თუ ღმერთმა დღე მისცა, უფრო ბევრიც იშოვის... ვინ იცის, იქნება კიდეც უყვარს იმან შუშანი! სუყველა ისრე ამბობს, რომ, როცა განათლებული კაცი ბევრი უყურებს ქალმა, იმან იმას უყვარსო... უთუოთ უყვარს. შენმა მზემა! მაშ ის პოლოზა რათ ლაპარაკობდა ისრე სხვანაირათ?.. უთუოთ იმან პოლოზას უთქვამს და პოლოზა ჩვენ სწორეთ არ გვეუბნება, რომ ეგება ხეჩუას ფულებმა დავსტყუოვო... ერთი რა ენაღვლება იმ ტუტუცმა ჩვენ სწორეთ გვითხრას!.. ერთი მალე უთხრა ხეჩუასა, ეგება იმან რამე მოაგვაროს“...

გაიანე რომ ამ სჯაში იყო და არწმუნებდა თავის თავსა იმაზედ, ვითომც ტაბლაძეს შუშანა უყვარდა და პოლოზა უმალავდა, ამ დროს შემოისმა გარედან ამისი ქმრის, ხეჩო ჩაიფხანოვის ხმა.

„კაი რომ ხეჩოც მოდის!..“ იფიქრა გაიანემ და აპირებდა კარზედვე გაგებებას, რომ ამ დროს დაინახა ხეჩოსთან უცხო კაცი. იმას მოსდევდა პოლოზ მინანქაროვი. „ძაღლი ხსენებაზედა“, სთქვა თავის გულში გაიანემ გახარებითა და გამობრუნდა უკან სარკისაკენ, სადაც გაისწორა კავები და წარბები, გადაიკრა საჩქაროზედ პირშუშტაკი და დაჯდა გულხელდაკრეფილი პატარძალივითა.

— გაიანე! ეს რა არის, რომ ამ ოთახში ათასი, ემე, ზედიზედ ჰყრია?.. მე სტუმარი მომიყვანია, შენ კი მანდა ემესა შვრები, ცუდათა ზიხარ...

გაიანე გავიდა.

— ოჰ! პოლოზ კარაპეტიჩ! ხომ მშვიდობით ბრძანდებით... რა არის ასე ჩვენი დავიწყება?

— გაიანეს მზემ, არა-მეთქი! დავიწყება რომელია... ათასი ვინმე დიდი კაცები მოცალებას არ მაძლევენ. სულ პოლოზ კარაპეტიჩ და პოლოზ კარაპეტიჩ! თორემ ხათრიჯამი იყავი. გაიანეს მზემ...

— ჰო, შენ და შენი დიდი კაცები!

— ახ, მეხლას! — დიდკაცობაა რაღა!.. აი ეხლაც მინდოდა ღერანალ ბურცკომსკისთან ჩავსულიყავ — დავებარებინე, მაგრამ ხეჩატურ ივანიჩს ხათრიჯამი აღარ გამიტეხია, — რა ვქნა...

— ეს პოლოზ კარაპეტიჩი სადილათ დამიპატიჟნია, ხომ იცი კარგი დახვედრა უნდა!.. რა გაქვს დღეს სადილი? — ჰკითხა ხეჩატურ ივანიჩმა გაიანეს.

— ქა! სადილი წინდაწინ რა საკითხავია!.. ხომ იცი უსადილოთ, კვირა დღეა, არ ვიქნებით.

— ჰო, ვინძლო, ჩემი გაიანე, ხო ვიცი შენი, ემე, დედაკაცობა.

— ვა! გეუბნები-მეთქი, და!

— თუ არა ჰკუას წააგებ... პოლოს კარაპეტიჩ საქმემ უნდა გააკეთოს.

— მაგან რომ შენი საქმე გააკეთოს, ჩემი სადილისა რა ბრალია!

— შენი საქმე-მეთქი.

— ქა, პოლოზ კარაპეტიჩს ჩემთან რა საქმე აქვს?

— ვა! გეუბნები, შუშანი უნდა გაგვითხოვოს.

— მერე ვინ უნდა მისცეთ? რატომ მე არ მეტყვით? მე უბრალო ვინმე ჩემი შუშანი არავის მივცემ, კადასაგდები ქალმა ხომ არა ჰყავს! რაში მეჩქარება, რა ხანი იმას წასვლია!

— ვა! განა მე გიჟი ვარ უბრალო ვინმე გადავაგდო? კარგი ვინმეა. ჩასტის აფიცარ კნიაზ ტაბლაძე როსტომ, დიდი ყმა და მამულის პატრონი, დიდი ფულის პატრონი, ხომ გაგიგონია?

— ჩასტის აფიცარი რომელია!.. — გააწყვეტინა პოლოზ კარაპეტიჩმა, — ჩასტის აფიცარი ვისი ტოლია!.. კაცი სლესტვენი პრისტავია, შენ ჩასტის აფიცარი აგიჟინია.

— უფრო უკეთესი.

— უკეთესი კი არა, — მაგისთანა არავინ იქნება-მეთქი. ჯერ ერთი რომ კნიაზია: სიატელსტო, რუსები ეტყვიან... თქვენი ქალმა, ხვ-

ჩატურ ჩაიფხანოვი ერთი უბრალო ვინმეს ქალმა მაგისთანა დიდი კნეინა გახდება...

— ქა, ხეჩოჯან! ეგ რეები დაგიწყვია! მერე როგორ აძლევ მაგისთანა ვინმეს ქალმა? ვინ იცის, როგორი კაცია... ან ჩვენი შუშანი რომ სოფელში გაგზავნოს, როგორ გასძლებს... მერე კნიაზია და ჩვენი სიტყვა სულ არ გაიგონებს: რათ გინდა მაგისთანა სიძე!.. არა მე ჭკუაში არ მომდის...

პოლოზ კარაპეტიჩმა დაცინვით გაიღიმა.

— თავმაც რო იდებთ, ეგ თუ კნიაზ ტაბლაძე გაიგებს, თქვენი ქალი ათას მილიონათ არ შეირთავს... ჩვენისთანა სამასი კომლი ყმა კარებზედ უსახლია. გაიანეს მზემა... ან რას დახარბდება თქვენს ქალსა... ასეთი დიდი ვინმეები აძლევენ ქალსა... ღენარლები არ დაუჭერენ, ისეთი ვინმეა.

— ეე, პოლოზ კარაპეტიჩ! გაიანემ რას ელაპარაკები!.. ქალმა თმა გრძელი აქვს, ჭკუა მოკლე... გაიანე, შენ წადი სადილი მოგვიმზადე, ჩვენ პური გვშიან... საქმეს უშენოთაც გავარიგებთ.

გაიანე გავიდა, ვითომც უკმაყოფილოდ, რომ ტაბლაძეს შუშანას ურიგებდნენ.

— მაშ შენ ნახამ რაღა, პოლოზ კარაპეტიჩ, კნიაზ ტაბლაძესა?

— რომ გეუბნები... ხელცარიელი კი ვერ შევალ, უნდა რამე მიუტანო, თორემ უფრო ქეიფზედ არ იქნება... სადმე ვისმეს გამოურთმევ ჩაი-შაქარსა და ისე მივალ: მაშინ უფრო კარგს ქეიფზედ მოვა. ხომ იცი დიდი კაცის გული ნებიერია.

— ეხლა, ისე უნდა ემე ქნა, რომ არ მიხვდეს, თუ შენ ჩვენგნით ემექნილი ხარ.

— ვა! მაშა! თქვენი მტერი ვარ!

— მზითევიც ის იქნება, რაღა.

— ხეჩო! — დაუძახა მეორე ოთახიდან მოუთმენლის კილოთი გაიანემა, რომელიც სულ ყურს უგდებდა ამათს ლაპარაკსა.

— ჰო!

— ეხლა?

ხეჩო გავიდა. გაიანემ გაიყვანა განზედა.

— შენ მზითევი კიდეც გითქვამს?

— ვა! მაშ!

— აი, დაგიდგა ჭკუა!..

— ვაა! — შეაჭყიტა გაკვირვებით თვალები ხეჩომ თავის მეუღლეს ამ სიტყვებზედა, — დედაკაცო, გაგიჟდი!

— შე ჭკუადამდგარო, არ იცი რომ კნიაზ ტაბლაძე გაგიჟე-

ბულია შუშანასთვის... იმან უნდა შუშანი რუსული სიყვარულით შეირთოს — უმზითოთა.

ხეჩო გაოცდა და იამა ძალიან ეს ამბავი.

— ვა, მართლა, გაიანეს მზემა?!

— გეუბნები-მეთქი!

— მერე შენთვის ვის უთქვამს?

— ქა, რა თქმა უნდა: დღეს შუშანა ფეთხაინში იყო და მაგისგნით თვალი არ მოუშორებია.

— ახლა?

— ჰოდა, უყვარს შუშანა.

— მერე ვინ გითხრა?

— ქა, ვინ უნდა მითხრას? მე თითონ ჰკუა არა მაქვს...

— აი გაგიხმეს გოგრა! — შებღვირა გაჯავრებით ხეჩომ და ჩამოაგლისა ხუთივე გაშლილი თითი ცხვირ-პირზედ,—ოხერო! მე ბებერი კაცი, როდესაც ლამაზი ქალ ვნახამ, მეც უყურებ! იმან ყმაწვილი კაცია, ერთი შეხედა და უყვარს ე შენი ბებერი ქალი?!. მაშ რამდენიც ქალი შევხედე, თუ ყველა შევირთე, ასი ათასი ცოლი მექნება ეხლა!..

— ცა! ასი ათასი რომელია! ცოლი ერთი გამიგონია...

— მაშ მეც ვირთამ რაღა, რამდენიც ქალს შევხედამ?..

— შენ სხვა ხარ, გაუნათლებელი მურჯიკი და ის განათლებულია, რუსებში გაზრდილი, დიდი კაცი.

აქ ხეჩომ სიბრაზით გააფურთხა.

— ერთი გაჩუმდი, მამა გიცხონდა, გულს ნუ მიხეთქ! — და ის გავიდა.

თუმცა ხეჩომ არ დაუჯერა გაიანეს როსტომის სიყვარული და უმზითოდ შუშანას შერთვა, მაგრამ მაინც კი ვერა მოითმინა და წასვლის დროს შეეკითხა პოლოზ კარაპეტიჩსა.

— კნიაზ როსტომს ჩემი შუშანი რუსულათ უყვარს, შემიტყვია... დღეს ფეთხაინში ჩემი შუშანა თვალი არ მოაშორა...

— კარგი ერთი მამა გიცხონდა! მაშ შენ როსტომ იაგორიჩი არ გიცვნია... იმან ქალი არავინ უყვარს, იმან ფული უყვარს. იმან სომხური კაცია, სხვა ქართველი კაცივით ქარიმარი არ არის... ფულის ყადრი იცის, — უპასუხა პოლოზ კარაპეტიჩმა და წავიდა.

გაიანე სულ გუნებაზე არ იყო ამ ამბის შემდეგ და ბრაზობდა. როდესაც წავიდა პოლოზ კარაპეტიჩი, მაშინ გაიანე სწვდა ხეჩოსა.

— შენგან შენს დღეში განა ხეირი იქნება!.. შენს დღეში ოჯახის დამღუპველი და უდოვლათო ყოფილხარ შენის უხეიროზითა... თუ

ბე არა, შენ დღესაც ისევ დალალ ხეჩო იქნებოდი... უხეირო და ყველაფერში უდოვლათო... ეხლა რომ ბევრი მზითვი ითხოვოს და ცოტას არ დასჯერდეს, სულ შენგნით ვიქნებით დაღუპულები... გეუბნები, კაცებს ჭკუა არა გაქვთ-მეთქი... თითონ ბანქო ქაღალდი თქვა, რომ ტაბლაძემ შუშანი უყვარს...

— ერთი წადი, მამა გიცხონდა და!.. — აქ ხეჩო წამოდგა, წამოავლო ქუდს ხელი და გაეცალა.

ეს ჩხუბი გაიგო შუშანამ. მანამ მამა იქ იყო, კი ვერა გაბედა და გაიცილა მამა თუ არა, ეხლა ესა სწვდა გაცხარებული დედასა.

— არა, რა იცით, რომ უყვარვარ იმ ჩასტის აფიცერსა!.. არა, აბა რითი იცით?.. რომ ხუთი გროშისთვის ისევ უნდა გაუთხოვარი დამაგდოთ თავის დღეში!

— ქა, რა იცი, რომელია! მაშ ი ქაღალდში რათ მოდიოდა? მაშ ქაღალდი ხომ ტყუილს არ იტყვის?

— ქაღალდი!.. რა იცით, რომ ქაღალდში ის იყო... იქნება სხვა იყო.

— ვინც უნდა იყვეს, დიდი კაცი ხომ იყო.

— დიდი კაცი!.. ეხლა ვინ დიდი კაცი უნდა იყვეს... მე სხვა დიდი კაცი არავინ მინდა, მაგის მეტი...

— უი! ერთი უყურე ამ ურცხვსა... აგრეც არის შენი საქმე; რომ მაგისთანებსა ჰბოდავ... შენ რომელი რუსისა და ფრანცუზის ქალი ხარ... შენ რატომ აგრე წაგიჭამია ენა!..

— გაწყერით ძალიან... ხუთის გროშის გულისთვის ამდენი ხანი ყველა ჩემი ტოლების სასაცილოთ გამხადეთ... როგორ არა, ტაბლაძე გაგიჟებულია თქვენი ქალისთვისა, რაკი ერთი შემოხედა, — მოუმატა უფრო ტირილს შუშანამ: — ყველა კაცები აგრეთი ურცხვები და მოურიდებელი არიან, მაშა ყველას ვეყვარებით, რაღა!.. თქვენი ტაბლაძე კიდევ უფრო ურცხვი და მოურიდალია და რასაკვირველია ვეყვარები!..

— ბევრი გაგეგება გუშინდელ გომბიოსა, — დაიწყო გულნაკლულად გაიანემ, რაკი არავინ უჯერებდა და თითონაც იჭვი შეუვიდა ეხლა თავის აზრში, ვითომ როსტომი სიყვარულით უმზითოდ ირთავდა შუშანას, — მე ხომ აგრე მითქვამს და ეხლა თქვენ იცით, თუნდა ე მთელი სახლი სულ იმას მიეცით; მე ერთი დედაკაცი სადაც იქნება შშიერი არ მოვკვდები.

აქ გაიანე გავიდა შეწუხებული, რომ არ უჯერებდნენ იმას თავის აზრსა და დაუწყო მეთულუხეს ჩხუბი.

შუშანას ამოუჯდა გული და უფრო მოუმატა ტირილს. „მაშ თავი მომიკვდეს, — ფიქრობდა ისა, — თუ ეგეც დამაცდინეს, თუ არ გადვიკარგო, ან თავი არ მოვიკლა: ჩემზედ ღარიბები, ჩემზედ კოთხუნჯები რაცა ხანია დათხოვდნენ, შვილებით გაივსნენ და მე კი თავის დღეში ქმრის სახელიც არ უნდა ვახსენო“...

III

პოლოზ კარაპეტიჩი და იმის მაჭანკლობა

პოლოზ კარაპეტიჩი იყო შუამავალი მცხოვრებლებსა და მოსამსახურე პირებს შუა, როდესაც უნდა ერთის ხელიდან მეორეში გადაცემულიყო რამა. ამგვარად, პოლოზ კარაპეტიჩი იყო შესული და მიღებული მოსამსახურე პირებთან. როდესაც პოლოზ მივიდოდა რისთვისმე იმათთან, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს უბრალოდ არ იყო მისული და ამის მისვლას შესამატი რამ მოჰქონდა.

პოლოზ კარაპეტიჩი ერთხელ როდესაც თითონაც იყო სამსახურში და, თუმცა ალაგი არა ეჭირა რა, მაგრამ ლუკმაპურის შოვნა კი იცოდა. აქ უცებ დაიჭირეს ეს ერთს ცოდოზედ. ეს დაითხოვეს სამსახურიდან და დაინიშნა ამაზედ სასტიკი გამოძიება. პოლოზ კარაპეტიჩმა, როგორც ჩინებულმა მცოდნემ რუსულის კანონებისა, მოითხოვა, რომ იმისთვის, კანონისამებრ, დაემტკიცებინათ ეს შემთხვევა მოწმეებითა. თუმცა ამგვარი ცოდო ძნელი საფიქრებელია მოწმეებთან მოხდეს, მაგრამ, იმის საუბედუროდ, მოწმებიც გამოჩნდნენ. კანონისამებრ გადაწყვიტეს, რომ პოლოზ კარაპეტიჩი გაგზავნილიყო ციმბირს მადნებში სამუშაოდ. ბედი პოლოზისი. რომ ეს საქმე ჩაუვარდა ერთს იმისთანა კაცს ხელში, რომელსაც ჰქონდა ამგვარივე ცოდვა. ამან შეუმსუბუქა სასჯელი და გადუწყვიტა სამი წლით უდაბნო, სადაც უნდა მოენანიებინა იმას თავისი ცოდვა.

აქ, უდაბნოში, ისეთნაირად მოიკატუნა თავი პოლოზ კარაპეტიჩმა, ისე ლბილი და სათნოიანი ხასიათი უჩვენა ბერებს, რომ ისინი გასაოცებელს მოდიოდნენ: დავიჯერო ამისთანა ანგელოზი კაცი იმისთანა მზაკვარებას ჩაიდენდაო! უთუოდ ცილი შესწამეს, — ფიქრობდნენ ისინი, — ზოგჯერ ხომ უნდა მართალი და კეთილი კაცი დაისაჯოს უსამართლოთა!..

პოლოზ კარაპეტიჩი მალე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ყველას. ყველას მალე ჩაუძვრა სულში.

პოლოზ გამოვიდა უდაბნოდან. ფული რაც შეეძინა სამსახურში, სულ შემოეხარჯა გამოძიებებსა და უდაბნოში ყოფნის დროს.

ცხოვრება უჭირდა. სამსახურში აღარ მიიღებდნენ, იმან დაიწყო ვაჭრებსა და აღებ-მიმცემლებში ალაგის ძებნა. პოლოზამ აქ მალე იპოვნა კარგი სასარგებლო ალაგი: ერთმა კარგა შემძლე ვაჭარმა აიყვანა პრიკაშჩიკათა. პოლოზამ წაიყვანა რიგიანად, როგორც თავისი, აგრეთვე თავისი აღას საქმე. იმან მალე შეიძინა საკმაო ფული. თითონ აღაც ძალიან მადლიერი იყო. მაგრამ წარმოიდგინეთ ამის უბედურება: აქაც ვერ დაიჭირა თავი. აღამ მალე დაატყო, რომ აქ სასუმარო აღარა იყო რა. დაატყო და უცებ კიდეც დარწმუნდა ცხადი საბუთით. დარწმუნდა, და ატაცებინა ხელი თავის მსახურებს. პოლოზ გაჭიმეს რუსულად, თავით ფეხამდის ტიტველი. შინდისა და ნერგის წკეპლებმა დაიწყეს ცხარედ შხაპუნი პოლოზას დედისშობილა ტანზედ.

— ახია შენზედ, პოლოზ კარაპეტიჩ! — იძახდა თითონ პოლოზ კარაპეტიჩი. — მოუსვენარო, პოლოზ კარაპეტიჩ, უსირცხვილო, პოლოზ კარაპეტიჩ!.. უპურმარილო, პოლოზ კარაპეტიჩ!.. შენ მინაი სერგეიჩს რომ მაგას არ ემართლებოდი, შენზედ ცემა ცოტაა, წაწყმენდილო, პოლოზ კარაპეტიჩ!.. ნუ მაცოცხლებთ, მინაი სერგეიჩ... უბრძანეთ მომკლან... შენი მოღალატე პოლოზ კარაპეტიჩმა არ უნდა იცოცხლოს!..

— დამაცადე, ჯერ სადა ხარ!.. შენისთანა ძაღლმა უნდა მოვაკვლევინო და ცოდო დავიდო!.. მე შენ ისეთი საქმე გიყო, რომ სიკვდილზედ უარესი იყვეს...

— მომკალ, მომკალ, მინაი სერგეიჩ, ჩამომახრჩე, ციმბირში დამკარგე, იქ არის ჩემი ალაგი... ჩემთვის ჯოჯოხეთი ცოტაა... ცოცხლივაც უნდა წავწყდე, ჩემზედ ყველა ახია...

— დაიცადე, შენ მაგითი ვერ ემეს იზამ...—ცხარობდა გულდამწვარი აღა პოლოზასი: — ეყოფა ცემა, წამოაყენეთ ერთი ეგ თავის საკადრისს აბანოში ვაბანოთ...

დასისხლიანებული პოლოზ წაათრიეს ბიჭებმა ერთს ვიწრო სურნელოვან ოთახში. მოაბეს პოლოზას მხრებში თოკი. აქ კი შეჰქმნა პოლოზამ ღრიალი.

— მინაი სერგეიჩ! მამიშენის სულისთვის ნუ იზამ მაგ საქმესა... მინაი სერგეიჩ, მამა გიცხონდება... მინაი სერგეიჩ, შენი ცოლშვილის გულ-ღვიძლის ჭირიმე... ვაი! მინაი სერგეიჩ, ჩემო ღმერთო, ღმერთის ღმერთო... მოვკვდები...

— არ მოკვდები... მე შენისთანა ძაღლები არ მოვაკვლევინებ... ჩაუშვი, ბიჭო!

ბიჭებმა ხელი სტაცეს. პოლოზა გაჭირვეულდა.

— მინაი სერგეიჩ! — შეჰქმნა ღრიალი საშინელის ხმით პოლოზამ და იღრიჯებოდა საცოდავათა.

პოლოზას სტაცეს ხელი და შეუბრალებლივ ჩაუშვეს ორმოში. პოლოზა მოებღაუჭა ორმოს პირებსა.

— მამა გიცხონდებათ!.. თქვენ მაინც მაპატიეთ... შეეხვეწეთ...

— ჩაუშვით! — შეუტია აღამ და ბიჭებმა გააშვებინეს პოლოზას ორმოს პირიდან ხელები. პოლოზა წავიდა ძირს განწირულების ღრიალით.

ორმოდამ შემოისმა ფრთხიალი და თქლაფუნი.

— ეყოფა, — უბრძანა მინაი სერგეიჩმა.

პოლოზა ამოიღეს თავით ფეხამდის ამოვლებული. იმას უპირებდნენ ასრე გაგდებას, მაგრამ რაკი ახლო ვეღარავინ ეკარებოდა, ის დასტოვეს იქვე ისე ტიტველი. საღამომდის ეგდო ისე ნახევრად უგონოდ ჩვენი პოლოზ კარაპეტიჩი. ღამე ჩუმად კედელ-კედელ გაიპარა მტკვრისკენ რაღაც ძველი ჭილობწამოსხმული, იქ გაიბანა და მივიდა შინ, სადაც ჩაიცვა თავისი ძველი ტანისამოსი.

— ეგ რა არის შენ თავსა? — ჰკითხავდნენ შინაურები.

— დავიღუპე და დავნელდი, — შესჩივლა პოლოზამ მწუხარებით: — აღისა შვიდას-რვაასი თუმანი მეტი მედო ჯიბეში, დამიხვდნენ ავი კაცები და ის ფულიცა და ჩემი ტანისამოსიც სულ წაიღეს.

თუმც ეს ამბავი ამ ღამეს დააბრალა პოლოზამ ქურდებს, მაგრამ მეორე დღესვე ამ ამბავმა დაუარა მთელს ქალაქს ელვასავით და მოეფინა ყველგან.

— ვა, იცი ციმბირსკის (ასე ეძახდნენ პოლოზ კარაპეტიჩს ქალაქში, რადგან ის რომ უდაბნოში იყო გაგზავნილი, ციმბირში ეგონათ გაგზავნილი) რა მოსვლია? — ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ვინც კი ვის შეხვდებოდა.

— აბა დედა ვაცხონე და მამა მინაი სერგეიჩისა, — უპასუხებდნენ ახლა სხვები: — ოხერი!

ეს ხმა რაკი ჩავარდა ბაზრის ხალხისა და ბიჭების პირში, საწყალს პოლოზას აღარა ჰქონდა მოსვენება იმათგან. დაინახავდნენ თუ არა კარზედ გამოსულს, მედუქნეები მაშინვე ჩამოჰკრავდნენ როგორღაც სხვანაირად ზარსა და დასცემდნენ აქეთ-იქიდან ყიჟინასა. შეიქნებოდა ყოველ მხრივ ძახილი და ზარის რეკა, მინამ საწყალი პოლოზა არ მიაფარებდა სადმე თავსა. დასცინოდნენ პოლოზას ყველანი.

ბოლოს, როცა იყო და არ იყო, ხალხს თანდათან დაავიწყდა ეს საშინელი თავგადასავალი პოლოზასი, თანდათან აიღეს ხელი ამის

დაცინვაზედ და პოლოზასაც დაავიწყდა ეს სირცხვილი. ამან ხელ-მეორედ დაუწყო ძებნა ალაგას სადმე, მაგრამ ყველა მეცადინეობა და გამოცდილება. ტყუილად შერჩა: იმან ველარსად ვერ იშოვნა ალაგი. ვერ იშოვნა ალაგი და არც გასწია დიდი დარდი. ჩვენი ქართველი კაცივით არ დარჩა ის უსახსროდ. იმან მალე გამოიჩინა სხვა რიგი ნიჭი. ის შეუჩნდა კარგი ალაგის მჭერელს ჩინოვნიკებსა და დაუწყო შუამავლობა ამათსა და ხალხს შუა. აქ მალე მოიპოვა ნდობა და სიყვარული ორთავ მხრივ, თუმცა ორთავე მხარე ხედავდა, რომ ციმბირსკი იყო დიდი პლუტი, მაგრამ მაინც ორთავე მხარისთვის გახდა საჭირო კაცი. პოლოზ კარაპეტიჩივით ვერავინ გაურიგებდა და ვერც არავის ასე იაფად მორჩებოდა, ესეც იმიტომ, რომ ამის მეგობარია და ეცადა მოჩივრის გულისთვის. აგრეთვე ვერც არავინ ჩინოვნიკს დაარწმუნებდა ისე მოჩივრის სისაწყლესა და სიღარიბეზედ, როგორც ესა და ვერც არავინ ამისავით მოაგვარებდა, რომ ყოველთვის მიეცა ჩინოვნიკებისთვის შემთხვევა. ამგვარად ის სარგებლობდა ორთავე მხრითა და არწმუნებდა ორივე მხარეს, რომ ამას სარგებლობა არა ჰქონდა რა, რომ ეს მხოლოდ მარტო ამათთვის ცდილობდა.

ციმბირსკი რაკი ამაში დახელოვნდა და გამოიჩინა მარჯვე ნიჭი, ამან შეჰქმნა სხვარიგი მაჭანკლობაც. აქედან ჩვენი პოლოზ კარაპეტიჩი იჩენდა ლუკმაპურსა და არამც თუ ლუკმაპურსა, კარგა ფულსაც.

ამ ხელობიდან იცნობდა ჩვენი ციმბირსკი ჩვენი მოთხრობის პირს, როსტომ ტაბლაძესაც. ამან იცოდა როსტომის ფასი და როსტომმა ამისი ყადრი. გულში ორივენი ერთმანეთს აგიხებდნენ და ამბობდნენ: ღმერთს ამისთანა პლუტი და არამზადა კიდევღა გაუჩენიაო! პირითა და საქმეში კი ერთმანეთს მეგობრობდნენ. ეს იყო კარგი შესული კაცი როსტომთან და როსტომიც უჯერებდა ამას სიტყვას.

პოლოზ კარაპეტიჩმა, გამოსულმა ხეჩო ჩაიფხანოვიდან, შემოუარა ჩაი-შაქრის დუქნებს და უთხრა, რომ როსტომ ტაბლაძეს ჩაი-შაქარი შემოაკლდა. იმათ მაშინვე, მეტადრე ვისაც საქმე ჰქონდა როსტომთან, სიხარულით მიართვეს.

პოლოზ კარაპეტიჩმა გასწია როსტომისკენ.

ამ დღეს როსტომმა თუმცა გულში ჩაისახა შუშანას შერთვა, თუ კარგს მზითევს მისცემდნენ, მაგრამ ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ამას უცებ მოუვიდოდა მაჭანკალი. ის იმ დღეს იყო დაპატიჟებული ბაღში სარქისა ჯაჰნაბოვთანა, მაგრამ არ წავიდა, როსტომს არა

ჰქონდა ჩვეულება წვეულებებში სიარულისა, თუ მასპინძელი იყო იმისი სახელქვეითო. იმან კარგად იცოდა, რომ წვეულების შემდგომ მასპინძელი ისე ველარ მოეპყრობოდა, როგორც უცხოსა, ამ წვეულებით როგორღაც დავალებული რჩებოდა კაცი და ამაში ბევრსა ჰკარგავდა. ამ მიზეზით არ წავიდა ის უფალს ჯაჰნაბოვთან, თუმცა ის ძალიან გულით ეხვეწა. როსტომმა, შემდგომ ფეთხაინიდან გამოსვლისა, იარა პირველს საათამდის აქეთ-იქით და მეორე საათზედ დაბრუნდა შინ დაღალული. მსახური ამისი სოსიკა, ერთი თვრამეტ-ცხრამეტის წლის კარგი შესახედაობის ბიჭი, სწმენდავდა სამზარეულოში ქვაბებს. როსტომს ეჭირა ორი ოთახი და, როდესაც გადიოდა შინიდან, კეტავდა სახლსა და იდებდა გასაღებს ჯიბეში.

როსტომმა გააღო კარი, შევიდა შინ და დაუძახა დიდკაცურის ხმით ბიჭსა.

— ბატონო! — მოსცა ხმა სამზარეულოდან ბიჭმა და გამოსწია ბატონისკენ.

როსტომმა მრისხანედ აათვალიერ-ჩამოათვალიერა ის თავით ფეხებამდის.

— ეგ რა არის, რომ თავით ფეხებამდის მოთხუპნულხარ?! მე ჯერ ვერ გასწავლე შენ აქამდის სუფთაობა?! შე არამზადავ, შენა!

— ქვაბებსა ვსწმენდავდი, — უპასუხა გულგრილად სოსიკამ.— ის დიდი ხანია შესჩვეოდა ბატონის ამგვარს მრისხანებას.

— რა გვაქვს დღეს სადილად?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი!

— ფული არ მოგიციათ.

— რა ფული გინდა, შე ბრიყვო შენა! რომელ ყასაბს, ან რომელ ბაყალს და მედუქნეს შეუძლიან ფული გთხოვოს!..

— თქვენ არა გიბრძანებიათ რა და...

— რა ჩემი ბრძანება გინდა, შენ თითონ არ გეყურება მაგდენი, რომ პურის ჭამა გვინდა?.. დათვო!.. წადი თათუაშვილთან სამზარეულო დუქანში და უთხარ, რომ კარგი სადილი და ღვინო გამოგზავნოს.

სოსიკა წავიდა და ნახევარი საათის უკან მოიტანა სადილი. საჭმელები იყო კარგად გაკეთებული და ღვინოც კარგი იყო, მაგრამ როსტომი სულ იგინებოდა.

— ჰმ! ერთი ამ კოტლეტს უყუროს კაცმა და!.. ფლავი! ფლავი! ღვინო ხომ სულ არ დაილევა!.. დამაცადონ, მე იმათ ვუჩვენებ თა-

მაშსა!.. არა, სადა გქონდა, შე რეგვენო, ე თვალები და გონება! — დაუწყო ეხლა სოსიკას გინება როსტომმა: — ზედ თავზედ უნდა დაგესხა იმ არამზადაშვილებისათვის ეს საჭმელები და ღვინო... არა, ერთი რა გამოუგზავნიათ, არა ნახავდი!.. შენ უნდა გაგაწვინოს კაცმა და რაც სიგრძე გაქვს, ის სიბრტყე მოგცეს... დამაცადე, მე შენ მოგარჯულებ.

თუმცა ამ საჭმელებსა და ღვინოზედ ისე ჯავრობდა როსტომი, მაგრამ კარგა ლაზათიანად მიაძღა საჭმელებსაც და ღვინოსაც. სადილთუკან ის ცოტა მომხიარულდა და რაღაცა სიამოვნება ტრიალებდა იმის თვალებსა და პირისახეზედ. ამ ყოფაში ის ძვირად იყო ხოლმე და ისიც მხოლოდ სადილთუკან, ან როდესაც მოლოდნელად რასმე შეიმატებდა. ეს მხიარულება მაშინვე შენიშნა როსტომს თავისმა მსახურმა. სოსიკამ აალაგა თუ არა სუფრა, მივიდა ბატონთან გაბედვით.

— დღეს მოურავი გახლდათ აქა.

— რაო?

— ფული მოგართვათ, კაცებზედ რომ იყო გაწერილი.

— სულ აუკრეფია?

— ორზედღა დარჩენილა: შალგიაანთ ქვრივი რომ გახლავთ, ნენე, იმაზედა და დათვიაანთ ბეროზედა.

— იმათზედ რაღათ დარჩენილა?

— ვერ უშოვნიათ და კალოზედ მოგართმევთო, მოუხსენებიათ.

— ოჟ! დიდი არამზადაა ეს მოურავი. მე თუ ეგ არ გამოცვალე, არ იქნება. მაგრამ არ ვიცი, ვინ დავაყენო მაგის მაგიერად... მე წინათაც მინდოდა შენი ძმა წამეყენებინა, მაგრამ ვაითუ ისიც მაგის კვალზედ წავიდეს და დაიწყოს ბატონის მუხანათობა. — დაუწყო როსტომმა სოსიკას, თუმცა გუნებაში სრულებითაც არ ედო იმას იმის ძმის მოურავად დაყენება. ეს რაკი კარგს გუნებაზედ იყო, უნდა ეჩვენებინა სოსიკასათვის თავის წყალობის თვალით ყურება. მაგრამ სოსიკა უფრო კარგად იცნობდა თავის ბატონსა და აქვე მიახალა უარი.

— შნტწუ! ჩემი ძმის საქმე არ გახლავთ მოურაობა... იმას არ შეუძლიან ათასნაირი ეშმაკობა და ორყაბაზობა...

როსტომს ეს უარი ეწყინა და შეიცვალა სახეზედ. იმან იმავე წამს შესცვალა ლაპარაკი. ამ დროს მოვიდა კიდეც მოურავი. ის შემოვიდა როსტომთან ქუდმოხდილი, თავმოკატუნებული.

— ბატონი ჩემი ადღეგრძელა ღმერთმა.

თუმცა როსტომი ამაზედ ცუდის აზრისა იყო, მაგრამ ერთი ისეთ-

ნაირად თავდაბლად და სხვანაირის მოწიწებით შემოსვლამ, თითქოს ეს ძალიან კარგად აფასებს ამის დიდებასო, შესცვალა როსტომი გუნებაზედ.

— ამბავი, ხიზანავ?

— მშვიდობა და თქვენი დღეგრძელობა, შენი ჭირიმე.

— რა ჰქენ, სულ აკრიფე შეწერილი ფული?

— რაც შესაძლებელი გახლავთ, თქვენს სამსახურს როგორ დავიზარებდი... ღვთისა და ბატონის სამსახურს კაცი ვერსად წაუვა, შენი ჭირიმე.

— რა აიღე?

— სულ ავკრიფე, შენი ჭირიმე, მარტო შალგიაანთ ქვრივს ნენეზედ და დათვიაანთ ბეროზედ დარჩა თითო თუმანი. ისინი ძალიან შეუძლებელი გახლავან და ვედრებითა გთხოვს, რომ კალომდის დააცადოთ, მაშინ მე თითონ მოგართმევთ იმ დანარჩენ ფულსაცა.

— ახლა ვინ იცის, შენც რამდენს აჰკრავდი! ვინ იცის, ტყავს აძრობ ყველასა.

— აბა რათ გვიბრძანებ, შენი ჭირიმე...

— განა არ გიცნობ: დიდი არამზადა ხარ.

— ვაი შენ ჩემო თავო! მერე ღმერთმა არ უნდა ამოაგდოს ბატონის მუხანათი კაცი!.. ღმერთი ახეირებს ღვთისა და ბატონის ორგულს კაცს?.. ღმერთმა შენი რისხვაცა და თავის რისხვაც მომცეს, თუ მე გროში, მანყული ვიცოდე ვისგანმე, რაც შენი წყალობა არ გახლდებათ... განა თქვენი წყალობა მაკლია, რომ თქვენს მუხანათობაში ჩავდგე... ღმერთმა თქვენი თავი მიდღეგრძელოს, თორემ მინამ თქვენ ცოცხალი ბრძანდებით, ხიზანას აგრეთი არა გაუჭირდება რა...

როსტომმა როგორღაცა იგვნეულად ჩაიღიმა, მაგრამ იფიქრა კი, რომ მე რა მენაღვლება, თუნდაც ისეც რომ იყვესო, მე ხომ არას მაკლებს და ჩემს სამსახურს ასრულებსო. ამან აიღო და ხუთი მანეთი აჩუქა, აგრეთვე უბოძა უღელი ხარი, რომელიც ამას მოართვეს ამას წინათ თათრებმა რაღაცა საქმეში.

ამათ რომ აქ საქმე გაათავეს, უცებ შემოყო თავი პოლოზ კარაპეტიჩმა.

— Здрави желаимъ, князь! — დაიწყო იმან რუსულად, რუსული ლაპარაკი საკვირველად უყვარდა პოლოზ კარაპეტიჩს.

პოლოზ კარაპეტიჩს შემოჰყვა ბიჭი ჩაი-შაქრითა.

— ა! პოლოზ კარაპეტიჩ!.. ეგ რა არის?

— Это всо для вашумъ благородинъ.

— რათ გარჯილხარ, პოლოზ კარაპეტიჩ?

— ე, კნიაზჯან, შენ კარგათა ბრძანდებოდე, თორემ პაველ კარაპეტიჩი (ეს თავისთავს პაველ კარაპეტიჩს ეძახდა) შენთვის თავის თავიც არ დაიშურამს.

— იქნება შენ თითონ შესწუხდი რაზედმე?

— ვა! თუნდა მე შევწუხდე ვითომ რა ვალათ წამივა!.. მაგრამ ვინ მისცა საწყალ პაველ კარაპეტიჩს მაგდენი ფული, თორემ იმან რომ კნიაზ როსტომ იაგორიჩ სლესტუნ პრისტავ პატივი სცეს, რა იქნება!.. იმ ემემ, სტეფან მარკოზიჩ მუტრუკოვმა, რომ შენ იმან აბიჟაითი არ უყო ხოლმე.

— კეთილი, პოლოზ კარაპეტიჩ, კეთილი.

მოურავი და სოსიკა გავიდნენ. პოლოზ დაჯდა და არ იცოდა საიდან დაეწყო. ჩაი-შაქრის მომტანი ბიჭი გაისტუმრეს, როსტომი გაერთო გონების ფიქრით მოტანილის ფულის ანგარიშში. პოლოზას ენა ჩაუვარდა. ორივენი ისხდნენ დიდხანს ჩუმათა.

— Саводни жарка, — დაიწყო კიდევ რუსულად ციმბირსკიმ.

— დიახ, კაი ცხელი დღეა.

ორივენი გაჩუმდნენ, თითქო სათქმელი აღარა აქვთ რაო.

— Галустовъ дрошка нога сламалъ და ბრუცინცკი კვარტალნიმ იმანვე პოლიციაში ჩაუსვავ.

— იმასვე რაღას ემართლებოდა?

— კაი კაცი როა, იმიტომა.

— ალბათ საქმე რამ იქნებოდა, თორემ კვარტალნი ისე უბრალოდ კაცს რათ ჩასვამს!

— ვა! იმან რა აქვს, რა საქმე უნდა ჰქონდეს!..

— მაგისი ბრუსნიცკიმ იცის.

პოლოზამ გააქნია თავი. ლაპარაკის საფანელი კიდევ შემოაკლდათ. პოლოზა ჩაფიქრდა. როსტომი გაართო ისევ თავისი ყმების ფულმა...

— На кого?

— На корпусни камандиръ.

— რაზედა?

— Ему заменаяти сделутъ.

— რათა?

— Другой будитъ на его места приедитъ.

— Кто?

— ჯერ არ ისმის.

— მაშ ვინა სთქვა?

— Такъ всеки говоритъ.

— ტყუილი უთქვამთ, ჩემო პოღოზ კარაპეტიჩ, ხელმწიფეს ისე უყვარს ეგა, როგორც თავისი თვალის ჩინი.

— არც მე მჯერა, ტყუილი უნდა იყვეს.

პოღოზ კარაპეტიჩი გაჩუმდა და დაიწყო ფიქრი, თუ საიდან ან როგორ ჩამოეგდო შუშანაზედ ლაპარაკი. ის წამოდგა და დაიწყო წინ და უკან სიარული.

— კნიაზ როსტომ იაგორიჩ! დღეს ფეთხაინში მე ვერა მნახე?

— იქ იყავ განა?

— ვა! рази мене тебе ни видалъ, как всо тибе Шушана, Чаипхановъ дочь смотрилъ!..

— Какая Шушана? მე იქ არავინ მინახავს.

— ვა! ვა! ვა! ვითომ და რაღა! მაშ რათ უყურებდი, იქ რომ ერთი ლამაზი ქალი იყო?.. მე შემიტყვია, რომ შენ იმან გიყვარს.

როსტომი გაოცდა.

— ვინ მიყვარს!.. გაგიჟდი!..

— არა, კნიაზ, მე რას მიმალავ... მე იქნება უფრო გამოგადგე... ხო იცი მე ყველა მდიდარი კაცი ვიცნობ... გინდა გაგირიგებ ცოლათა, თუ კარგი თარჯიმანი გადიხდი.

— შენ მგონი მოგიცლია... მერე იმოდენა რა მზითევი იქნება, რომ მე შევირთო.

— ვე! მზითევი? Если Хечо Чаипхонов мзитевиი наиту, маш кому есть?!

— რა მზითევი აქვს!..

— რა მზითევი?.. კიდევაც მისცემს იმან თავისი ქალი, თუ შენისთანა კარგი ქმარი უშოვნის, სამასი თუმანი.

— ფუ! სამასი თუმანი და ის ბებერი გონჯი ქალი?!.

— ვა! კნიაზ იმან არის გონჯი!.. იმან არის ბებერი!.. მამაჩემი კარაპეტა მიცხონდა. შუშანი სულ ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა მეტი არ იყვეს. ისიც რათ იქნება... მე რომ მანასტირში გამგზავნეს, ხუთი წლის ჯერ არ იყო.

— თუნდა ათი წლისა იყვეს, მუჟიკის ქალს სამას თუმნად შევირთავ!

— ვა! ს-ა-მ-ა-ს-ი თუმანი! კნიაზ, ეხუმრები... ქართველი მეფე არა ჰქონდა მაგდენი ფული.

— ის დრო სხვა იყო, ეს სხვა არის. იმათ არა ჰქონდათ, მე მაქვს... დავამცირო ჩემი სისხლი და ისიც სამას თუმნათა და ისიც სომხის ქალისთვის.

— ვა! Арменин не человек?!.

— რა უყოთ, რომ человек! მაგრამ ჩვენ სხვა ვართ და ისინი სხვა... შენი ჩაიფხანოვისთანა ასი კომლი მისახლია ზედ კარებზედა.

— ე, კნიაზ, ფული იყვეს, თორემ ფული მუჟიკი კნიაზი გახდის.

— სამასი თუმანი ფულია?!

— მა რა ერთი გინდა, კნიაზჯან?

— ათას თუმან ნაკლებ მე სომხის ქალს არ შევირთავ.

— ათასი თუმნის გაგონებაზედ პოლოზ კარაპეტიჩმა თვალები გააჭყიტა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს ათასი თუმანი მართლაცა და გასაოცარი იყო.

— ვა! ვა! ვა! ვა! მერე მაგდენი ფული ვის ექნება... ხონთქარი, ყეენი იმათაც არ მისცემენ მაგდენი ფული თავისი ქალი.

— არ მისცემენ და არც შევირთავ. რაში მეჩქარება: ქალები ყველგან ბევრია. მზითევს მე არვინ დამიჭერს. რამდენიც ხანი გავა, იმდენი მაღლა წავალ და უფრო ბევრს მზითევს ავიღებ. დღეს სლედსტვენი პრისტავი ვარ, ხვალ ჩასტნი პრისტავი ვიქნები, მერე პოლიცმეისტერი, მერე ვიცი ღუბერნატორი და სხვა. რამდენიც დიდი ალაგი მექნება, იმდენი უფრო მაღლა დავფასდები. აბა რა საქმე მიჭირს, რომ სამას თუმნად ჩემი სისხლი, ხარისხი და წოდება არ დავამციროო მუჟიკის შერთვითა.

ციმბირსკი ამ ლაპარაკში შეჰყურებდა გაშტერებული როსტომსა და კინაღამ ეგონა, რომ ის მართლა ვიცე-გუბერნატორს ელაპარაკებოდა. ამაზედ უმაღლესი ადგილი ვეღარ წარმოედგინა. ამასა სჯეროდა ესა და ამის გამო ნახა საჭიროთ კიდევ დაემატებინა ასი თუმანი, რომ ეხლავე ხელში ჩაეგდო ვიცე-გუბერნატორი და ამითი დაემადლებინა ხეჩატურ ჩაიფხანოვისთვის.

— მაშ ოთხასი თუმანი რომ მოგცენ?

— მნწუ! მე ხომ სომეხი არა ვარ, თითო გროშზედ ვივაჭრო. რაც მითქვამს-მითქვამს.

— არა, მე შენ სწორე მოგახსენებ: არავინ არ შეუძლიან მაგოდენა ფულის მოცემა. ვიცი ღუბერნატორი არა და პოლკოვის კომანდირიც რო იყვეს, მაგოდენ მზითევს ვერავინ მოგცემს: რო არ არის.

— არ არის და არ მინდა. ჩემი ტოლი კაცის ქალს შევირთავ და სამას-ოთხას თუმანს ყოველთვის ავიღებ. მე ღენერლებიც არ დამიჭერენ ქალსა.

— არა, თქვენთვის ემეს ვშვრები, კნიაზის მზემ, თორემ არც კი ვიცი ხეჩო ჩაიფხანოვი ოთხასი თუმანი მისცემ თავისი ქალი, თუ არა... ღმერთმა ქნას, ორი ათასი თუმანიც აიღო[1], შენმა მზემ მიამება.

— ორი ათასი არ იყვეს, ათასი არ იყვეს, — შესცვალა კილო როსტომმა, რაკი დაატყო რომ ციმბირსკი ისე მაღლა ვერ ასწვდებოდა: — რვასს ხომ ავიღებ.

— რვაასიც ბევრია, შენმა მზემ-მეთქი. არავინა აქვს მაგოდენა. აი, ხომ მოგეხსენება, კნიაზ გრიგოლ ხუთასი თუმანი აიღო, დაბალი კაცის ქალი, ცალი თვალით ბრმა და ცალი ფეხით კოჭლი; მუცელიც ცარიელი არ წაჰყვა. იმისთანა ქალს ხომ შენ არ იკადრებ, რომ შეირთო!..

— იმისთანა რათა! ქალი იყვეს, ქალი ერქვას.

ციმბირსკიმ, როგორც ამაში გამოცდილმა კაცმა, დაატყო როსტომს მორბილება და არ მიმიხვდეს, რომ ხეჩოსაგან მოგზავნილი ვარ და თითონვე დამიწყოს ეხლა ამაზედ ლაპარაკიო, შესცვალა ლაპარაკი. „ეხლა რაკი გულში ჩაუგდე, თითონვე დამიწყებს უკან დევნასაო“ იფიქრა იმან.

— კნიაზჯან! ახალი ამბავი შეგიტყვია? ლორის-მელიქი და ჩვენი პატრიარქი უნდა ქართველი გახდეს... უნდა ყველა სომეხი მოინათლოსო... დიდი ჰამბებია.

— არ გამიგონია. რა ურიგო იქნება? ეხლა მოხვედით ჭკუასა! ჩვენი რჯული — რჯულის თავია.

— ვა! ახლა ჩვენებს ჰკითხე: სულ თავებს იხოცამენ. Все бунтъ сделаютъ.

— ოჰო! ციმბირში ცოტა ალაგია! სუყველას კამჩატკაში თავს ამოაყოფინებენ და ჩამოახრჩობენ.

პოლოზ კარაპეტიჩი შეჰკრთა, თითქო ეს არის მართლა ყველას ახრჩობენო. ისე ჩაფიქრდა, თითქო მართლა ესე ყოველივე მოხდებაო.

— მწტწა! Ни хороши делъ буди́тъ! — დაიწყო იმან მწუხარებითა: — Скора и Антихристъ придотъ.

— იმიტომ მოვა, ანტიქრისტე, რომ სომხები დაქრისტიანდნენ.

— არა, მაინც ცუდი დროა კნიაზის მზემ! ეხლანდელს დროში ქრისტიან კაცს ძნელად ნახავ. На церку для хороши девица ви-

---

[1] რა იცოდა საწყალმა პოლოზ კარაპეტიჩმა, ქართველი კნიაზები სამოცი ათას თუმანსაც აიღებდნენ და სამოცი ათას თუმანს სამი კაპეიკივით ჰფლანგავდნენ რისაკებსა და პრიმალინებზედა.

далъ идотъ всяки. ქალები უჩადროთ დადიან და აღარავის პირს არ არიდებენ, лубезничитъ; ძმა ძმას აღარ ინდობს, აგინებს, სჩაგრავს, შვილი დედ-მამას აღარ უგონებს, უმცროსი უფროსს პატივს არა სცემს; ქალები დედ-მამის უნებურათ ქმარს ირჩევენ. ერთი სიტყვით ცუდი დროა, მეორეთ მოსვლა უნდა მოხდეს, ჩვენი „ეფემვერდი“ ამბობს. — თავისი ცოდო კი, რომელსაც თანდათან უფრო მისდევდა, ცოდოდ არ ჩააგდო პოლოზამ და ამორიცხა ცოდვებიდან.

ამ დროს საჩივარზედ როსტომმა ვერა უპასუხა რა. იმან თითონაც არ იცოდა როგორ ეფიქრა: ძველი დრო სჯობდა თუ ახალი. რაც ცოდოები ახალი დროსი ციმბირსკიმ ჩამოსთვალა, ამასაც არ მოსწონდა და თანახმა იყო, რომ ამითი დრო არ ვარგოდა, მაგრამ სომხებს, რომ დაქართველებას უპირებდნენ, ეს კი მოეწონა. ამ ფიქრებმა მხოლოდ ეხლა გამოიღვიძეს პოლოზას ლაპარაკზედ როსტომის თავში, თორემ იმას აქამდის ფიქრადაც არ მოსვლია ძველი და ახალი დროს შედარება. ამან ერთი ეს კი იცოდა. რომ ძველ დროში ეს ამოდენა ფულს ვერ შეიძენდა. თითონ ციმბირსკისაც არსად მოსვლია ეს ფიქრები თავში და არც აგრე რიგად ეპიტნავებოდა, მაგრამ ეხლა ისე მოჰყვა ლაპარაკსა, რადგან მეტი ვეღარა მოახერხა რა და უნდა ეჩვენებინა, რომ იმასაც ეყურება რამა.

პატარა ხანს კიდევ იყვნენ ისინი ამგვარს ლაპარაკში და მერე წამოდგა პოლოზა წასასვლელად. „თუ უნდა, ეხლავე თითონვე გამომელაპარაკება“. იფიქრა კიდევ პოლოზამ, „თორემ თუ კიდევ მე დავუწყე ლაპარაკი, უფრო თავს გამოიდებს“.

— მშვიდობით, кнiазъ! Мене теперь на полицимайстер дом пойдом. Полицимайстер да важни дел есть.

ციმბირსკი წავიდა, როსტომს ჯერ ეგონა ის უნდა ყოფილიყო ხეჩო ჩაიფხანოვისაგან მოგზავნილი, მაგრამ როდესაც შენიშნა იმას გულგრილად და უნდომურად ლაპარაკი, ეჭვში შევიდა. თუმცა ეჭვში შევიდა, მაგრამ ამ ლაპარაკმა აუშალა საღერღელი ერთ შვიდას-რვაასი თუმანის მზითევათ აღებისა. „ეჰ! რა უჭირს, — ფიქრობდა ისა, — თუნდა უბრალო სომხის ქალი იყვეს, თუნდა ვინც უნდა იყვეს, თუნდა ბებერი და კოთხუნჯიც იყვეს! საცა ფულია, იქ ყველა კარგია... ერთი რვაასი თუმანი რომ ავაძრო... მაშინ უყურე კნიაზ გრიგოლს. ნაბიჭვრიანი ქალი, ძალზეც მახინჯი შეირთო ჴუთასის თუმნის გულისთვის და ასე ჰგონია ჩემისთანა აღარავინ არისო, — ისე იჭიმება, მეხი კი დაგეცეს, რომ ამაზედ ნაკლები მზითვიანი ქალი შევირთო... ერთი ვნახოთ პოლოზა კიდევ რას

იტყვის... ოთხას თუმანზედ ეხლავე ავიდა. პატარა ხანს რომ გავჩუმდე, თუ ჩაიფხანოვისაგან არის მოგზავნილი, უთუოდ მოუმატებს — რვაასს მოაცემინებს. არა, ჩემისთანას ვის მისცემენ... მპა! რვაასი თუმანი ძალიან კარგი იქნება... რვაასი თუმანი რომ გაარიგოს პოლოზამა, ასი თუმნის ნახევარს იმას მივცემ; ოღონდ ერთი დავანახო ჩემს მტრებსა და სუყველასა, რომ მე სხვა ვარ და ისინი სხვები არიან... ერთი კნიაზ გრიგოლს გაუხეთქო გული... იმ საწყალს, დიდი რამა ჰგონია თავისი თავი. ნეტა რუსული მაინც ეყურებოდეს რიგიანათა... ან თანამდებობა ეჭიროს: თავის დღეში, რაც მილიციაში არა, სხვა სამსახურისა არა იცის რა... ან კი მილიცია რა დიდი სამსახურია!.. მგონი ჯავრით დაჭლექდეს... ვნახოთ ერთი ციმბირსკი რას იტყვის!“

როსტომი მოელოდა, რომ ციმბირსკი ამას ეტყოდა რასმე, მაგრამ გადიოდა ხანი და ციბირსკის თითქო თავის დღეში ამაზედ ლაპარაკი არა ჰქონიაო, ისე იყო გაჩუმებული. რვაასი თუმანი მაცდურივით არც დღე, არც ღამე არ აძლევდა როსტომს მოსვენებას. „აბა თუღა სთქვას რამე იმ შეჩვენებულმა პოლოზამ. იქნებ არც კი იყო ხეჩოსაგან მოგზავნილი!.. ვაი! ეგ ფული არ მედოს გუნებაში, განა პატიოსანი კაცი პოია სომხის ქალს შეირთავს! მაგრამ ერთი მინდა რომ დავანახო ყველას, მე რაცა ვარ... აცა, ცოტას კიდევ დავუცდი პოლოსას...“

პოლოსა ჩუმად იყო. იმან თითქო იცოდა, რაც ცეცხლი დაატრიალა როსტომის გულში და ელოდა, რომ ის ცეცხლი როსტომს თავათვე გაექრო თავის თავის მოდრეკითა. „ერთი ვნახამთ ვიღაც მისცემს იმან შვიდას-რვაას თუმანი, — ფიქრობდა თავის გუნებაში პოლოზა, — რო არავინ მისცემს, მაშინაც არ შეირთავს შუშანას. ეს ხო ვიცი, ფული მაგის ღმერთია, ფულისთვის რაც გინდა — ყველას იზამს... ქართველი ჯერ სულ ბედოვლათია და თუ გამოვიდა ხარბი. თავის ქრისტეს გაჰყიდის ფულში. სომხის ქალია, გლეხის ქალია, კნიაზი ბრძანებს! ოთხასი თუმანი ხიხია ეგონოს ქართველი კნიაზი და მერე ისიც მთელი ქალი. კნიაზ გრიგოლ არ იყო, უფრო დიდი კნიაზი მაგაზედა, რომ ხუთას თუმნათ ქვეყნის სასაცილო ქალი შეირთო“.

როსტომი გამოდიოდა მოთმინებიდან პოლოზას სიჩუმეზედ. თავის გუნებაში ახლა შვიდას თუმანსაცა სჯერდებოდა როსტომი. „ეჰ! ჯანი გავარდეს შვიდასი თუმანი იყვეს. ეს მაინც იქნება, რომ მახინჯი და ნაბიჭვრიანი არ არის შუშანა, გრიგოლის ცოლივითა“.. მაგრამ პოლოზა არსად იყო და დაჰყარა ხმა, რომ შუშანა

თხოვდებოდა, ვითომც, ერთს ვიღაცა ასტრახნელს სომხის ჩინოვნიკზედა. ეს ხმა მივიდა როსტომამდინაც. როსტომს ეცა ელდა. ის უნდა შვიდას თუმანს გამოსალმებოდა. ამისთანა მზითვიანი ქალი აღარავინ ეგულებოდა. გადაელია როსტომს გული ლოდინში და ეხლა კი გაება მახეში. იმან ვეღარ მოითმინა და გამოელაპარაკა პოლოზას. ერთხელ პოლოზა მივიდა როსტომთან ერთი ბაყლის საქმეზედ. აქ როსტომმა, სხვათა შორის, იპოვა დრო შუშანაზედ გამოლაპარაკებისა, მაგრამ ისე კი დაუწყო ლაპარაკი, თითქო ეს ისე მოიყვანა ლაპარაკში და შერთვა კი სულაც გუნებაში არ უძევსო.

— მაშ ეგრე, ჩემო პოლოზ-ბეგ! შენ გინდოდა შენი შუშანა ოთხას თუმნად გაგესაღებინა, ჰა! მერე ისიც ვიზედა! მაშ ვერ გიცვნივარ მე კარგათა.

— ვა! კნიაზის მზემა-მეთქი, მამიჩემის ცხონებამა, რომ ეხლა ხეჩო ათხოვებს თავისი ქალი და სამასი თუმანი მეტი არ აძლევს. ასტრახნელი სომეხია, დიდი კაცია, ხემწიფის სამსახურშია, დიდი ვინმეა... ისიც ჩემი სულის მზემა, მე ჩემათ მითქვამს, რომ ხეჩოს არ გაუგია, ато вамъ знаитъ Хечо какой человекъ!.. არა მე კი დავიყაბულებდი!..

— არა, ოთხასი თუმნით თქვენ ჩემთან ფონს ვერ გახვიდოდით... რვაასი თუმანი რომ მოეცა, მაშინ კი იქნება გამებედნა.

— კნიაზჯან! ეხლა შენ იფიქრე, არის ჩვენ ქალაქში მაგოდენა მზითვიანი ქალი.

— არ არის და არც შევირთავ, რა ძალა მადგია, ცოტა ნაკლებს ავიღებ და ჩემი ტოლი კაცის ქალს შევირთავ.

— არა, მე შენ მოგახსენებ, შენმა მზემა-მეთქი, რომ მართალია შუშანა დიდი კაცის ქალი არ არის, მაგრამ იმისთანა ხაზეიკა, იმისთანა ემექმნილი, დიდი კაცის ქალმაც არსად იქნება. კარგი რამ არის-მეთქი. ერთიც ესა, მინდა იმოდენა ფული ერთი ოხერი ვინმეს ხელში არ ჩავარდეს... შენთვის მემეტება ღმერთია მოწამე... კნიაზჯან ეხუმრები ოთხასი თუმანი, თუ გაიმეტა და მოგცა... ოთხასი თუმანი ერთ კვირეს ვერ დასთვლის ზოგი კაცი, თუნდა თავადიშვილი, გეუბნები მაგისთანა ხეირს შენ ვერსადა ნახავ-მეთქი; თორემ შენი ნებაა... მე, ხომ იცი! შენთვის ემექმნილი, თავდადებული ვარ.

— მნტწუ! ოთხასი თუმანი ტყუილი ლაპარაკი იქნება... მამაჩემი ამომელოს საფლავიდან, თუ მე შუშანა ოთხას თუმნად შევირთო. ტყუილი ლაპარაკი — ტყუილი იქნება.

— ვა! მაშ რაერთი გინდა? რვაასი თუმანი არ შეუძლიან-მეთქი...

— ეგ არის, რვაასი, რაღა. თუ გაარიგებ რვაასსა, ორმოცდაათ თუმანს შენ მოგცემ.

— არა-მეთქი, კნიაზ როსტომ იაგორიჩ. მართალი სიტყვა ჩემს თავს მირჩევნიან. სულზედ უკეთესი კაცს არა აქვს რა; ჩემი სულის ცხონებამ, რომ ხეჩო მინაიჩ მაგოდენა არ შეუძლიან. მართალია მაგისთანა მდიდარი ძვირია, მაგრამ, აბა იფიქრე, ორი ქალი სხვა ჰყავს, ახლა ვაჟიშვილი, მაგამ ყველას ფული უნდა. სად არის მაგოდენა ფული!

— რვაასი თუმანი რომ მომცეს, კარგი იქნება.

— რვაასი არ შეუძლიან. ჩემი ხათრის გულისთვის, იქნებ ოთხას ორმოცი თუმანი მოგცეს, ისიც უნდა სხვა ქალებს დააკლოს.

— რვაასი თუმანი-მეთქი თუ ჭკუა გაქვს.

— რვაასი რომელია, თუ კი არა აქვს. ახარ შენც უნდა ცოტა კაცმა შეიბრალო...

— არა. რვაასი თუმანი.

— შენი ნებაა! იმან სამასი თუმნათ კიდეც ათხოვებს, საცაა ქორწილი გააჩაღებს.

— მეც რომ ასტრახნელი ვიყვე, მეც სამასად შევირთავდი, მაგრამ აქ ჩემისთანა კაცი მაგისთანა ქალს და იმასაც ბებერს, რასაც მე ვთხოულობ, ნაკლებ არ შეირთავს.

— თუ შერთვა გინდა, ღმერთმა კარგი მისცეს პაველ კარაპეტიჩსა, კარგი მზითევი და კარგი ჭკუა შენ გეუბნები; თუ არ გინდა და მაშინ სხვა არის.

— არა, ეგ ძალიან ცოტაა.

— მაშ რაერთი გინდა?

— რვაასი.

— თუ სწორე გინდა — ხუთასი, თუ არა და ტყუილი ლაპარაკი იქნება.

— კარგი შენი ხათრის გულისთვის შვიდასორმოცდაათი და ამ პირობითა, რომ რვაასად დასწეროს და არავინ იცოდეს, რომ რვაასი არ მოუცია, თორემ ქვეყანა ვინ იცის რას იფიქრებს: სომხის ქალი შეირთო, გვარი დაამცირა და მზითევიც რიგიანი ვერ აიღოვო.

— ვა! რიგიანი რომელიღაა! აბა ერთი მიჩვენე სხვა ვინ აიღო ხუთასი თუმანი, ე მანდ არ იყო კნიაზ გრიგოლ ხუთას თუმნათ როგორი ქალი შეირთო... ერთის სიტყვით, როგორც იქნება ხუთასს თუმანს მოვაცემინებ და ისე დავაწერინებ, რვაასი თუმანი მოგეცი, შენ კნიაზ როსტომ-მეთქი.

— არა შვიდას ორმოცდაათი.

— არ შეუძლიან. თუ გინდა ჩავაცივდები, რომ ხუთას ორმოცდაათი გაჰბედოს.

— Ну! შვიდასი იყვეს და ნაკლებ კი აღარ შემიძლიან.

— შენი ნებაა! მაგდენი ვერ შეუძლიან... ექვსასი რომ მოგცეს, სხვა შვილებს ყელები უნდა დასჭრას... მეტი რა გინდა, თუ გაჰბედა... ან შენ რაღა ლაპარაკი გმართებს, დღეს ხვალიობაა... ვინ იცის ერთმანეთის თავი როგორ დაგჭირდეთ.

— მაშ ისე დააწერინე უეჭველათა, რომ რვაასი თუმანი-თქო შენ არსად წამოგცდეს, თუ რვაასი თუმანი არ ავიღე.

— ჰო-მეთქი, შენმა მზემ! დაჰკარ მაშ ხელი.

როსტომმა მისცა ხელი.

პოლოზ კარაპეტიჩს არ ჰქონდა ხეჩო ჩაიფხანოვისაგან ამოდენა ფულის გარიგების ნება, ამის გულისთვის არც ხეჩო და არც იმისი ცოლი, გაიანე, არა სთანხმდებოდნენ ამოდენა ფულის მიცემასა.

— ვა! ოხხერარ! გეუბნები, კაცი საცაა პრისტავი იქნება, მალე ვიცი გუბერნატორი იქნება... ბევრი რომელია! შენი ოხერი ფული, შენი შვილებისთვის არ გინდა... მაშ ვინ შეირთავს შენი ბებერი ქალი მაგაზედ ნაკლებად. მე და ჩემმა სულმა ათას თუმან ნაკლებ არა სჯერდებოდა. ამ ექვსას თუმანსაც ჩემათ გეუბნები. ვინ იცის იქნება იმან არც კი დასჯერდეს.

— ვა! პოლოზ კარაპეტიჩ, ახარ, ღმერთი არ გაქვს! ხომ არ დავიღუპები... რიყეზედ ხომ არ ამიკრეფია ფული, ოფლი, დამიღვრია... რამდენი შეჭირვება, შიმშილი, სიცივე და ათასი ვაგლახი მინახავს... ეხლა ავიღო და სულ მუქთათ სხვას მივცე!.. რომელი ჭკუაა.

— მუქთათ რომელია!.. Твой старуха дочь такой большой князь возьмитъ: скора полицимейстеръ будитъ... ეს მუქთაა?!. ერთი, მამა გიცხონდა, ბევრი ნუ ლაპარაკობ...

— ვა! მაშ ჩემ ოხერზედ მე არ ვილაპარაკო!.. ექვსასი თუმანი ჰალა-ჰალაა!

— ილაპარაკე, თუ გერჩივნოს, შენი ბებერი ქალი რომ გაუთხოვარი დარჩება, ზოგი მაშინ ილაპარაკე.

— დამრჩეს, თუ დამრჩება... ექვსასი თუმანი იმან მიეცი, ორმოცი თუმანი შენა... მერე ჩემი ოჯახი დავღუპო?! დარჩეს ი ჩემი ქალი გაუთხოვარი: შინ ვერ შევინახამთ, თუ! კარგს ჩავაცმევთ, კარგს დავხურამთ, კარგს ვაჭმევთ და კარგს ვასმევთ.

— მაშ, ხეჩო, რომ ინანო?!

— ვინანო რომელია!.. რა მაქვს სანანური... ხუთას თუმნად შეირთავს ხომ კარგია, არა, და ყველამ თავისი იცის...

— მაშ, არ აძლევ, რაღა?!

— ვა! არ შემიძლიან-მეთქი... ექვსასი თუმანი, ემე ხომ არ არის!..

— მაშ მშვიდობით... მე ვალი ამიყრია... კნიაზ ტაბლაძე ეხლაც აძლევს ერთი ღენერალი ოთხასი თუმანი... მე შენი ხათრისთვის შევაცდევინე, მითქვამს იქნება შვიდასი მოვაცემინო და შენ ექვსასიც არ გინდა.

— არ გინდა რომელია... აბა ერთი ექვსასი სხვამ მისცეს.

პოლოზა გაჯავრებული წავიდა.

პატარა ხანს უკან წავიდა შინიდან ხეჩოცა.

მანამ მამა შინ იყო, შუშანა იმაგრებდა თავსა და როცა გაიცალა მამა, დაეტაკა ისევ დედასა.

— არა, რა გინდათ ჩემგან! რას მემართლებით!.. გინდათ ეხლა ეს ბედიც დამიკარგოთ, რაღა!.. არა, ვინ შეირთავს თქვენს ბებრუხანა ქალსა!.. აგერ ოცდარვაში გადავდექ... რატომ ღმერთს მადლობას არა სწირავთ, რომ ხუთას თუმნათ მირთავს... ნუ გამათხოვებთ!.. დეე, ნუ გამათხოვებთ, ვნახოთ ვინც ინანებს... მე ჩემი თავი მაინც გამეტებული მაქვს... მე თქვენს სახლში ცხოვრება არ შემიძლიან... ჩემს თავსაც შევარცხვენ და გავაუპატიურებ და თქვენც საქვეყნოთ თავს მოგჭრით... მე ჩემს თავს აღარა ვზოგავ... რაღათ მინდა!

აქ ამოუშვა შუშანამ ქვითინი.

— ქა! ერთი უყურე ამ ურცხვსა, რაებს ამბობს... ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ჰქენი... ოჰ, ოჰ, ოჰ! ძალიან არ შემაშინე... ძალათი ხო არ მიგცემ, თუკი არ შეგირთავს...

— თუკი არას მისცემთ, რას შემირთავს... არ მინდა არავის შერთვა, ვნახოთ ვინც ინანებს, მე ჩემი თავი აღარ მენანება...

— არ გენანება და ნუ გენანება... თუკი შენ არ გენანება, მე უფრო რა დარდს გავსწევ...

— აიმ ხატების მადლი გამიწყრეს, ფეთხაინის მადლი მრისხამდეს, თუ მე თქვენს სახლში დავდგე.

თუმცა გაიანე ამაყად დაუდგა შუშანასა და კიდეც შესტუქსა, მაგრამ ამისმა ასე თავის გამოდებამ ძალიან შეაფიქრიანა. შუშანას ეს ამბავი კვლავ არსად უქნია. საღამოზედ გაიანემ დაუწყო ლაპარაკი ხეჩოსა, რომ მიეცა ექვსასი თუმანი ტაბლაძისთვის. ხეჩო კიდევ უარზედ იდგა და კიდეც გალანძღა თავისი ცოლი. ამაზედ არც არა ცოლის მუქარამ გააწყო რა, არც არა ჩაგონებამ.

აქ უცებ გამოცვალეს პრისტავი და მისცეს ალაგი როსტომსა.

— რომ გეუბნები, მალე პოლიცმეისტერი იქნება კნიაზ ტაბლაძე მეთქი, — უთხრა პოლოსამ ხეჩოსა, — არა გჯეროდა.

მაშინ კი უარი ვეღარა სთქვა ხეჩომა და მისცა ექვსასი თუმანი მაგრამ ახლა თავი გამოიდო როსტომმა და ხეჩო იძულებული გახდა მიეცა ახლა შვიდასიც...

როსტომმა მოითხოვა წინ და წინ ფულის ჩაბარება, რომ ამისთვისაც არ ექნათ ის საქმე, რაც სხვებს დამართვიათ, რომ ბევრი აღუთქვამთ და გროშიც არ მიუციათ. იმას ჩააბარეს.

როსტომა გადიხადა კარგი ქორწილი, ჰყავდა მოწვეული მრავალი დიდკაცობა, სხვათა შორის ღუბერნატორიცა. მას აქეთია შუშანა და როსტომი შეიქნენ ცოლ-ქმარნი. შუშანას შეუსრულდა სიზმარი, როსტომს გულის პასუხი: ყველა ამბობდა ტაბლაძემ რვაასი თუმანი მზითევი აიღოვო, და ყველა შურით უყურებდა როსტომის ბედნიერებას.

შუშანა გამოდგა მართლა კარგი „ხაზიაიკა“, როგორც ეუბნებოდა პოლოზ კარაპეტიჩი, იმან იცოდა ფულის ყადრი და ყველა გროშს ხელს უჭერდა. სტუმრები ეჯავრებოდა, თუ კარგი დიდი კაცი არ იყო; ჩაცმა-დახურვაში აგრე რიგად ბევრს ფულს არა ხარჯავდა, რადგან მზითევში ყველაფერი საკმაო მოჰყვა და არც აგრე რიგად უყვარდა მორთვა, ოღონდ პირველად კი იცვამდა საგანგებოდ და დადიოდა ეკიპაჟით, რომ თავის ტოლი ქალებისთვის გული გაეხეთქა და ეჩვენებინა, რომ ამან იმათზედ კარგი დიდი კაცი ქმარი შეირთო.

IV

კოკა წყალზე გატყდება

ცხოვრობდა მას აქეთ როსტომი თავისი სანატრელი შუშანათი და ივსებდა თანდათან ჯიბეს. საჩივარს ვერავინ ბედავდა იმაზედ. ცხოვრობდა თავისთვის განსვენებით და განცხრომით. თუმცა სრულებითაც არა ჰქონდა შუშანას ცოლ-ქმრობის სიყვარული, მაგრამ არცა სძულდა შუშანა ამას, რადგანაც ეს იმაში ხედავდა თავის მხარსა და მარჯვენა ხელსა. შუშანაც ვერ დაემდურებოდა ამას ამაზედ, რადგან როსტომს თავის დღეში იმაზედ ძლიერ არავინა ჰყვარებოდა, ანუ უკეთა ვთქვათ, სრულებითაც არავინა ჰყვარებია დაწყებული დედ-მამიდან. შუშანას როსტომი ძალიან უყვარდა და ისე უყვარდა, რომ არც არავინ იმაზედ ლამაზი და არც არავინ იმაზედ დიდი ეგონა. თუმცა ხედავდა, რომ ეს სხვის ხელქვეითი იყო, მაგრამ ჯერ ერთი ეს დარწმუნებული იყო, რომ როსტომიც ერთხელაც არის თითონაც მიაღწევდა იმათს ალაგას და

მეორეც ესა ამისი უფროსები კნიაზები არ იყვნენ და ეს თავის თანამდებობასა და ფულებთან — თავადიც იყო.

ცხოვრობდა ტკბილად და განცხრომით როსტომი და არ ელოდა იმის თავს რა ღრუბელი ზავდებოდა და რა მეხი აპირებდა ჩამოვარდნას. რაღა მოაფიქრებდა იმას, რომ ეხლა კიდევღა გაბედავდა ვინმე ამაზედ საჩივარსა! არა ფიქრობდა ეს იმას, და შევიდა კი ამაზედ უცებ საჩივარი და ისიც საიდუმლო ქაღალდი უმაღლეს მმართველობასთან, სადაც ვინ იცის რაები არ დაეწერათ. აეწერათ ამ ქაღალდში ყოველივე მოქმედება როსტომისა, აეწერათ ის ცოდოებიც კი, რომელნიც თითქმის ამის მეტმა და ამის უფროსის მეტმა არავინ არ იცოდა. ქაღალდში იყო მოხსენებული ვითომც როსტომ ტაბლაძეს ჰყავდა გუნდი ქურდებისა და ავაზაკებისა და აცარცვინებდა ჩუმად ხალხსა, ნახევარს თითონ იღებდა და ნახევარს იმათ უყოფდა და მალავდა მმართველობისაგან ამ ავაზაკებსა და სხვა მმართველებს იჭერდა და აბრალებდა იმათ ყველაფერსა და ახდევინებდა; იყო მოხსენებული, რომ როსტომ ტაბლაძე უქრთამოდ ერთი ნემსის დანაფასევს საქმესაც არავის ურიგებდა; იყო მოხსენებული, რომ ტაბლაძის ბრძანებითა და დასტურით ხოცავდნენ და ახრჩობდნენ ქურდები და ავაზაკები იმათა, რომელნიც შეუტყობდნენ იმათ ავკაცობასა და უპირებდნენ გაცემას; იყო მოხსენებული, რომ ტაბლაძე აპარებდა ყველა დაჭერილს ამ გუნდიდან ავაზაკსა, და კიდევ, ვინ იცის რაები არა.

დაინიშნა სასტიკი გამოძიება.

რაკი ერთი გამოძიება დაინიშნა და რაკი ერთი ნახეს წაქცეული, როსტომი, ცულიანი და უცულო სულ ზედ მიადგა. შევიდა საჩივარი საჩივარზედ და იმათაც კი შეიტანეს როსტომზედ საჩივარი, ვიზედაც როსტომს სრულებით გუმანი არა ჰქონდა.

გაება როსტომი და დაუწყეს წინ და უკან თრევა. გადააყენეს სამსახურიდან. გამოძიება ცუდად დატრიალდა. გამოჩნდნენ პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ როსტომზედ შეტანილს ქაღალდებში მოხსენებულს საქმეებს, გამოჩდნენ ის პირნიც, რომელთანაც როსტომს ჰქონდა ამგვარი საქმეები. შენი მტერი იყვეს, როგორც როსტომი. ფიქრობდა და არ იცოდა; ვინ უნდა ყოფილიყო ამ ქაღალდის შემტანი. „ეს ამბები არავინ არ იცოდა, — ამბობდა ისა, — იცოდა ეს მარტო ჩემმა მეუფროსემ, და ის ამას არ მოახსენებდა, რადგანაც თითონაც შიგ ერია; იცოდა ციმბირსკიმ მარტო... მაგრამ, რა ვიცი ციმბირსკი როგორ იზამდა ამ საქმესა: ჩემი პირველი მეგობარია, ეხლაც ყოველ დღე მწუხარებით დადის ჩემთანა!..“

ფიქრობდა, ფიქრობდა როსტომი და არ იცოდა, რა ეფიქრა. როსტომი რომ ამ მწუხარებაში იყო, გამომძიებლები თავისას არ იშლიდნენ და ძალიან დაბღუნძეს როსტომი. ხარჯავდა როსტომი, ცდილობდა აქეთ-იქით, მაგრამ ყველა ამაო იყო. როსტომის საქმე საციმბირეთ იყო გამზადებული. იაფად არ დაუჯდა როსტომს ეს ამბავი. დაეხარჯა ზღვათა აუარებელი ფული, როგორც თითონ ამბობდა ხოლმე გულნატკენი; მაგრამ არა გაეწყო, რა, გამომძიებლები იყვნენ მოუდრეკელი თვისების კაცნი: ფული იმათ ვერ აცდუნებდა. ბოლოს, რაკი ვერა გაეწყო რა, როსტომს მოაგონდა ერთი თავისი მეუფროსე, რომელთანაც კი სახელი ჰქონდა ამას პოლიციმეისტერიდან გაკეთებული და არც უპატივცემო ჰყავდა როსტომს ისა. მართალია ეხლა ძნელი საფიქრებელი იყო, რომ იმას თავი გამოედო როსტომისთვის, რადგანაც იმნაირი ცუდი საქმე იყო, მაგრამ იფიქრა როსტომმა: ცდა ბედის მონახევრეაო. იმან ერთს დილას გასწია იმ მეუფროსესთან, რომ შეებრალებინა იმისთვის თავი და მოეგონებინა თავისი ერთგული და დაუშრომელი სამსახური. მეუფროსემ მიიღო ის ძალიან ცივად, თუმცა აქამდინ ხელსაც ჩამოართმევდა ხოლმე და ძალიან ალერსითაც ელაპარაკებოდა.

— რისთვის გარჯილხართ? — ჰკითხა ცივად მეუფროსემ.

— თქვენო აღმატებულებავ! — და მოუვიდა აქ როსტომს ცრემლი, — ჩემი უბედურება, უსამართლო უბედურება, რომელიც ეხლა **მე** მომადგა...

— მე არაფერი არა შემიძლიან რა თქვენ გიშველოთ, — უთხრა ცივათა და გადაწყვეტით მეუფროსემ.

როსტომი ამითი არ შეშინდა. ამგვარ შემთხვევაში როსტომი იმ მეუფროსეზედ ნაკლები დიპლომატი არ იყო.

— თქვენო აღმატებულებავ! თქვენ ამდენი ხანია თვითონ მიცნობთ, თვითონ განსვენებული ეფიმ ერემეიჩიც მოგახსენებდათ, რომ მე ჩემს დღეში არ დამიშურნია ჩემი მეუფროსეების პატივისცემა და სამსახური, რაც კი შემძლებია... თქვენი ერთი სიტყვა მე ციმბირიდან და უბედურებიდან გამომიხსნის, და მეც, ისეთი არ გახლავართ, თორემ, წეღანაც მოგახსენეთ, თქვენც კარგად მიცნობთ, რომ...

— მართალია, როსტომ იაგორიჩ, — დაიწყო მეუფროსემ მორბილებით, — რომ ჩემზედ იყვეს დამოკიდებული, ხომ იცი — მე თქვენთვის კვლავაც არ დამიშურნია ჩემი შემწეობა, — მაგრამ ეხლა მთელი კამისიაა და თითონ თქვენ იცით, რა ძნელია: ერთს ჩააგონო, მეორე გაჭირვეულდება, მეორეს ჩააგონო, მესამე უარესს

იზამს... მაინც მე, ხომ იცით!.. — აქ მეუფროსემ გამოსწია უჯრას, თითქო რაღაცას ეძებს და ვერ იპოვნაო, — ახ! უკაცრავად, როსტომ იაგორიჩ! მე ეხლავე შემოვალ. — იმან გასწია მეორე ოთახისაკენ და უჯრა დააგდო ოდნავ ღია.

დიდი გამოცდილი კაცი იყო როსტომ იაგორიჩი! ძალიან კარგად იცოდა ყოველივე მოქმედება თავისი მეუფროსეებისა; არ დაემალებოდა იმათ სახესა მოძრაობაში არავითარი წარმოთქმულება და სურვილი... იცოდა კარგად როსტომ იაგორიჩმა, რომ ამისთანა მეუფროსეს აგრე ადვილად პირდაპირ ვერავინ რას გაუბედავდა, რომ პირდაპირ გამბედავებთან უზაკველი სიმართლის პატრონები იყვნენ... იცოდა ყველა როსტომ იაგორიჩმა და იგრძნო კიდეც ეხლა უფრო...

როსტომ იაგორიჩმა, რაკი დაინახა უჯრის გაღება და ღია დაგდება, პატარა სიამოვნებით ფერმა გადაჰკრა. იმას მინამდინაც ჯიბეში ხელი ეყო. ამან უცებ ამოიღო ჯიბიდან ხელი, მივიდა, საჩქაროზედ და ჩაატაკა უჯრაში. უჯრა უცებ მიხურა და დადგა ისევ განზედ. როსტომს სახე გაუმხიარულდა. პატარა ხანს უკან შემოვიდა მეუფროსე. უჯრა რაკი იმავე მდგომარეობაში არ დაუხვდა, ცოტა არ იყოს ისიც გამხიარულდა.

— მაშ, თქვენო აღმ—ავ! იმედი მექნება თქვენის საფარველისა, მართალი დამნაშავე რომ გახლდეთ, კიდევ ჰო! მაშინ ვეღარც თქვენ გაგიბედავდით შემწეობის თხოვნას... მეც, ხომ მოგეხსენებათ, ცოლშვილის პატრონი გახლავართ... თქვენი საფარველი მაინც სხვა რამე გახლავთ.

— მე წეღანაც გითხარით, როსტომ იაგორიჩ, რომ რაც კი ჩემგან შესაძლებელია, უნდა დარწმუნებული იყვეთ, მეტადრე თქვენთვის მე ვერაფერს დავიშურებ: თქვენ ისეთი ერთგული და გამრჯელი მოსამსახურე იყავით...

მეუფროსე ჯერ ვერ ბედავდა პირობის მიცემას, რადგანაც არ იცოდა როსტომის პატივისცემა ღირდა იმათა თუ არა. შემდგომ როსტომის წასვლისა, დარწმუნდა რომ — ღირდა.

მეორე დღეს ამ მეუფროსემ გაუკეთა ვიზიტები ყველა გამომძიებელს.

როსტომს, თავის მხრივ, რაც შეეძლო ცდილობდა. გამოძიებამ ზურგი უჩვენა. ცოტა ხანს როსტომი გამართლდა, მხოლოდ ის დაითხოვეს თავის ადგილიდან.

დაფიქრდა როსტომი, თუ რა ექნა, როგორ ეპატრონებინა თავის თავისთვის: „დავბრუნდე შინა, — ფიქრობდა ის მწუხარეთა, — რა იქნება უფულოდ! ფული, რაც ამოდენა ხნის სამსახურში შევიძინე

ოფლითა და ღვაწლით, ზღვათა აუარებელი ფული ჩავაბნიე ამ ჩემს უბედურს საქმეში და ეხლა ისევ გატლეკილი როსტომ დავბრუნდე შინა, რა მერქმევა!.. არა, ისევ უნდა იმისთანა რამ სამსახური ვიშოვნო“... ამგვარის სამსახურის საშოვნელად უნდოდა კიდევ მაინც ფული. თითონ თავისი შეძენილი ფული უიმისოთაც ძალიან ცოტა დარჩა და ცოლის ფულს კი გროშსაც არ აკლებდა. ამის გამო ამან მიმართა ისევ გლეხკაცებსა. აკრიფა ხელდახელ ორასიოდე თუმანი და შეეტაკა ერთს იმისთანა ადგილს, რომელიც გაიხსნა მოკლე ხანში და ელოდა ვინც მეტს გაიღებდა. როსტომს ვერავინ აჯობა. გაღებით კი არა — აღებითა. იმან იცოდა სად როგორ უნდა მოქცეულიყო, ვისთან რა უნდა ეთქვა და რა ექნა. ერთი სიტყვით როსტომმა ეს ალაგი უფრო ოსტატობითა და გამოცდილებით აიღო.

ეს ახალი ალაგი ისეთი მსუქანი ალაგი იყო, რომ როსტომმა სამოთხ წელიწადში შეიძინა თავისი ზღვათააუარებელი, უბედურს საქმეში ჩაბნეული ფული. რასაკვირველია, როსტომი ამ ალაგს აგრე ადვილად არ დაანებებდა თავს, რომ არ გამოცვლილიყო იმისი მწყალობელი თავი მეუფროსე. ახალმა მეუფროსემ მოიყვანა თავისები — ახლები და თხებივით გამორეკა ძველები. როსტომს წინათვე შეატყობინეს, რომ იმას გამოსცვლიან. „За семь бед — один ответ—“, იფიქრა იმან. „მაინც მცვლიან და მაინცა, მაშ ხელცარიელი რათ გავიდეო“. უცებ დარიგდა იმის უეზდში ბრძანება, რომ მალე დედოფლის დღეობა იქნება, ითამაშებს და ყველანი თითო მანეთს ფულს შაბაშს უნდა ჩამოხვიდეთო. უეზდიდან სასწრაფოდ შეგროვდა ორი ათასი თუმანი ფული, და კიდეც დაუკრა როსტომმა სამსახურს თავი.

როსტომი ჩამოვიდა თბილისში. აქ ამის ბედზედ ხდებოდა არჩევანი დეპუტატთა, გასარჩევად გვართა, რომელნიც ეკუთვნოდნენ თავადაზნაურობას. როსტომი ამოირჩიეს დეპუტატად.

დაიწყო საქმის გარჩევა და გაიმართა ნამდვილი ვაჭრობა დეპუტატთა და მაძიებელთა შორის. შემძლებელნი ტყავდებოდნენ, ღარიბნი რჩებოდნენ გარეთ და კარგავდნენ ძველადვე შეძენილს ხარისხს, თავის ნამდვილს წოდებას...

გლოვა, ტირილი, ლანძღვა, ქადილი ამათზედ და ამათ გამო იყო მოდებული მთელს საქართველოში, მაგრამ ყველა ამაო იყო... უფულოდ და უძალოდ არაფერი იმათს ხელში არა რიგდებოდა. არც ცხარე ცრემლი, არც მუხლებზედ ხვევნა. არც ტიტველი ტანი, არც წვრილშვილი, არც თვეობით სასამართლოს კარებზედ მშიერი გდება, არ აღვიძებდა ამათს გულში სიბრალულს, კაცობრივს გრძნობას... დეპუტატნი გაივსნენ...

საკვირველი საქმე დაემართათ ბოლოს ამ საქმეში მოსამსახურე პირთა. თითქო განგება მართლა სჯიდა იმათა თავისი წარსული საქმეებისთვის; თითქო მართლა არისო რამ უმაღლესი სამართალი, და იმამდის მიაღწია ამოდენა ქვრივ-ობლისა და უსამართლოდ დაჩაგრულთა ცრემლმა და გოდებამაო.

არ შერჩათ არც ერთს ამ წევრთაგანს ეს უსამართლობა ამოდენა საწყლის, იმათგან დაღუპულის ხალხისა, და სიხარულით ისმენდა ამითქმის ყველა ამათს უბედურებასა. ძვირად იპოვებოდა კაცი, რომ არ გახარებოდა ამათი უბედურება და სასჯელი; ქვეყანა უყურებდა ამათ, როგორც ჯალათებს და ქვეყნის დამღუპველებს.

უცნაურად გადაეგნენ ესენი ყველანი. ერთმა ამათგანმა, რომელიც იყო ფრიად დიდი გამოჩენილი მთელს საქართველოში და იყო ფრიად დიდი შეძლების პატრონი, დაჰკარგა ერთს პატარა უბრალო ბრძოლაში თავისი ერთადერთი განთქმული და სახელოვანი საყვარელი შვილი და შემდგომ იმისა აღარც თითონ იხეირა; მეორეს შავმა საოფლემ დაუხოცა, ოთხ-ოთხი ვაჟიშვილი და დარჩა ერთი გარყვნილი და ბედოვლათი შვილი, რომელიც როცა კი გაუჭირდებოდა, არც საცემრათა ზოგავდა თავის მოხუცებულს და უძლურს მამას და თავისავე მამის სიცოცხლეში ყოვლად უმსგავსებაში გადააგდო მამის შეძენილი ქონება; მესამეს ცოლ-შვილი თვალწინ დაეხრჩო წყალში; უყურებდა როგორ წაიღო წყალმა ამისი ურემი, გადაიღო ისინი ურმიდან ცოფიანმა წყალმა, აყურჭუმელავებდა იმათ: აწვდიდნენ ისინი ხელსა, ეხვეწებოდნენ მამას შველას და იმას კი იმათი შველა არსაიდან შეეძლო. ერთიც იმ წევრთაგანი მოკვდა ცოფით. ესე ყოველივე მოხდა როსტომის თვალწინ. როსტომს ფიქრათაც არ მოუვიდოდა, რომ იმასაც ეს დღე მოელოდა. მართლაც როსტომი ჯეროვნით კარგად იყო და, როგორც იმისი მტრები ამბობდნენ: ცოდომ ისე აუხვია თვალები, რომ არა ხედავდა იმის ყოველს თანამოსამსახურეებზედ მიყენებულს სასჯელსა.

როსტომი გაივსო ფულით, გაუვიდა არჩევანის ვადა და ახლა კი საჭიროთა ნახა დაბრუნებულიყო შინა...

V

ერთი დარდიც

როსტომს დიდი ხანია ერთი დარდი ვერ ამოეღო გულიდან. ეს დარდი იყო, რომ იმას დარჩა ერთი ძმიდან შვილი. ყველა ძმები დაეხოცა და ამოუწყდა, მამაც მოუკვდა, როგორც შევატყობინეთ

ზემოთ ჩვენს მკითხველებს, და როგორც თვალში ეკალი დარჩა ერთი ძმისწული თავისი დედითა: სხვა ძმებს ცოლებიც არ დარჩათ. „უსამართლობა კაცს არ შერჩება!“ ამბობდა როსტომი თავის გუნებაში ყველა ძმების დახოცვაზედა. „ამოიბუგნენ ცოლ-შვილით თუ არა!“ მაგრამ იმ ერთს ძმას, რომ ცოლი და შვილი დარჩა ის კი არაფრად ეპიტნავებოდა. ცოლს კიდევ არაფერს ინაღვლიდა: საქვრივოს მისცემდა და მოიშორებდა თავიდან, მაგრამ ძმისწულისათვის რა უნდა ექნა? ხუმრობა იყო, იმოდენა ყმა და მამულის ნახევარი იმას უნდა დარჩენოდა. როდესაც როსტომი ქალაქში იყო, ხშირათ კითხულობდა თავისი ძმისწულის დავითის ამბავს, ვითომც სწუხდა იმისთვის და იმისი კითხვა კი სხვა რამ იყო: უნდა შეეტყო — იქნება ღმერთმა ჰქნა და აუტყდა რამეო.

არა, საკვირველი საქმე მოუვიდა ამ შემთხვევაში როსტომსა, მოუკლეს უკანასკნელი ძმა. „მადლობა ღმერთსა!“ იფიქრა იმან თავის გუნებაში, «იმასაც მოვრჩი, და დავრჩი მარტოკა». ის კი არა თუ ცოლი იმის ძმისა, ყმაწვილი კეკე გამოდგა ორსული, ეცა ელდა როსტომსა. რაღა მოაგონებდა, თქვენი ჭირიმე, თუ ასე უცებ გაუტყვრებოდა რამე იმას და ნახევარი ყმა და მამულის მოცილე გაუჩნდებოდა.

როსტომი შეუდგა ფიქრსა, რომ ეგება წაეხდინა როგორმე რძლისთვის მუცელი. ერთხელ რძალს დაახვედრა გზაში ოსები, ეგება შიშით მუცელი წაუხდესო. ოსებმა გაცარცვეს კეკე, ერთ-ორიოდე კიდეც წაუთაქეს, რომ არას ანებებდა და დამბაჩებიც დაახალეს; მაგრამ კეკეს შერჩა მუცელი. კეკე დარჩა სამშობლოში, მინამ არ მოილოგინა.

რაკი მუცელი არ წაუხდა კეკეს და მიეცა ვაჟიშვილი, ახლა შეუდგა როსტომი სხვა ფიქრსა. იმას მოუვიდა ერთი კარგი განზრახვა თავში. მან მოინდომა საჩივრის შეტანა, რომ დავით არ იყო კანონიერი შვილი იმის ძმა სვიმონ ტაბლაძისა. ამის დამტკიცება კიდეც მოისაზრა როსტომმა. კეკე, შემდგომ ქმრის სიკვდილისა, დარჩა ორი კვირის ორსული. მაშასადამე ძნელიც არ იყო, რომ ეჩვენებინათ სვიმონის სიკვდილი თვით წინა იმის სიკვდილზედ. როსტომმა ამის დასამტკიცებლად კიდეც მოიპოვა მოწმეები და აღრიცხა დრო ძმის სიკვდილისა. მოიპოვა აგრეთვე მოწმეები, რომელნიც იტყოდნენ სამართალში კეკეს ცუდ ყოფაქცევასა, თუმცა კი იმაზედ ცუდი არსად რა გაგონილიყო. ერთი სიტყვით ყველაფერი მოისაზრა და დააწყო, მაგრამ ეხლა ერთი რამ აღონებდა. არ იცოდა რა მოეხერხებინა დედისათვის, რომელსაც უეჭველად ჰკითხავდნენ დროს შვილის სიკვდილისასა და რძლის ყოფაქცევასა. როსტომს უძნელდებო-

და, თავისი დედა რითიმე მოემხრო თავისკენა. მაინც იფიქრა ერთი ვცდიო. ამ ფიქრით ის ცოტ-ცოტათი შეუჩნდა დედასა. მაგრამ როდესაც თავისი აზრი გაუმჟღავნა იმასა, ერთი ისეთი გაოცდა მოხუცებული თინათინი, ერთი ისეთი გაშტერდა, რომ არ სჯეროდა თუ ამას ის ცხადლივ ისმენდა.

— ვინა?! შვილო! ჩემი პაწაწა დავითი ჩემი სვიმონის შვილი არ არის?! ჩემი რძალი კეკე უნამუსოა, ნაბიჭვრებსა ჰყრის?! ბარემ მოიტა და ყელი გამომჭერ რაღა!.. რაღად მინდა, შვილო, თავი ცოცხალი! ეგ რომ სხვამ გაიგონოს, ხომ მართალი ეგონებათ და შერცხვა ჩვენი გაუსვრელი სახელი და გაუტეხელი გვარი და შეიქმნა ქვეყნის სასაცილო და თითით საჩვენებელი...

ამ ამბავმა ისე შეაწუხა მოხუცებული თინათინი, რომ ამას კინაღამ თან გადაჰყვა. და როდესაც ის ასე შეწუხდა, როსტომი მოუთმენლად ელოდა, ეგები ასტეხოდა რამე ამის დედას, რომ შეესრულებინა თავისი დაწყებული საქმე. ის სრულებით უპატიურად ამყოფებდა დედასა, რომ ეგება უფრო მეესწრაფოს დღეო, მაგრამ იმის საუბედუროდ, არ აღსრულდა იმის გულის წადილი. თინათინი შეიქნა უკეთ.

რაკი არცარა თინათინს აუტყდა, როსტომს უსივდებოდა ჯავრისაგან გული. იმას ბოლოს გულში გაუელვა ფიქრმა, რომ მოეწამლა დედა. მაგრამ აქამდის გაბედვა აღარ მიუწვდა. როსტომს ჯერ არა ჰქონდა მაშინ ის გამოცდილება და გაბედულობა, რაც შეიძინა ბოლოს. რაკი ვერცარას ამითი გახდა, იმან მოიცა სხვა თანხები და გაიმაგრა სხვაფრივ გული. „ვინ იცის ცოლის შერთვამდის იცოცხლებს თუ არა!“ ფიქრობდა როსტომი. ამის გულისთვის იმან განიზრახა დავითის რუსეთში გასტუმრება და კიდეც მიაღებინა დედის ჩუმად სასწავლებელში, როდესაც დავითს მოუვიდა სწავლის დრო; მაგრამ კეკემ თავი გადიკლა და არ გააგზავნინა იმ სიშორეზედ.

— შენისთანა ადამიანს თუნდა სიკეთე უყოს კაცმა, თუნდა არა! — წყრებოდა როსტომი.

რაკი რუსეთში ვერ მოახერხა გაგზავნა, ამან მოინდომა დავითის სამხედროდ გაზრდა. „იქ მაინც აუტყდება რამე“, ფიქრობდა როსტომი: „ტაბლაძეა, ტაბლაძეს ტყვია და ხმალი არ ასცდება“. ამისათვის როსტომმა მოინდომა ამისი სადმე პოლკების სამხედრო სკოლებში მიცემა, მაგრამ დედამ არც ეს ინდომა. როსტომი შემოსწყრა, მაგრამ კეკე არც იმისმა შემოწყრომამ შეაშინა. კეკე ეცადა აქეთიქით ნათესავებში და მიაცემინა შვილი პანსიონში, სახელმწიფო ხარჯზედ.

— ერთი ვნახოთ რაღაც გამოვა მაგ შენი პანსიონიდან, — ეუბნებოდა წყრომით როსტომი კეკეს:—არა, რა უნდა გამოიტანოს მანდედან, მამაშენის მზესა... არც ჩინს, არც ალაგს მანდ თავის დროზედ არ მიიღებს, და თუკი შენ არას მოესწრები, მერე თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა. სამხედრო სამსახური სხვა არის: იქ კაცი მალე დაწინაურდება, ხალხიც სხვანაირად უყურებს... მაგრამ, თუ მოინდომებს მანდედანაც კი შეუძლიან სამხედრო სამსახურში გამოსვლა...

როსტომი კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ დავითს მიაცემინებდა სამხედრო სამსახურში. მაგრამ ვერ მოახერხა: „რა შეჩვენებული დედაკაცია ჩემი რძალი კეკე! — ამბობდა ის გულდამწვარი, — უთუოდ ჰყავს ვინმე ჩამგონებელი, თორემ დედაკაცს ეგეები რათ უნდა შეეძლოს...“

დავითი რომ აქ სასწავლებელში იყო, ამისმა დედამ დაუწყო თხოვნა ოპეკასა, რომ გაეყარათ ამისი შვილი ბიძასთან. როსტომის ჩაგონებამ ვერა გააწყო რა კეკესთან. კეკე ხედავდა, რომ როსტომი სრულებით ყურს არ უგდებდა არც ამასა და არც ამის შვილსა და მათის წილის ყმა და მამულით მხოლოდ თვითონა სარგებლობდა, ამის გამო ის იდგა გაყრაზედ. კეკე კიდეც შეასრულებდა თავის აზრსა, მაგრამ ის უცებ მოკვდა თავის საქრმეულოში და, მინამ მოხედავდნენ ნათესავები, როსტომმა საჩქაროზედ დაამარხვინა. როგორც მოგეხსენებათ, მტრის საქმე, იმათ მოიგონეს, ვითომ კეკე როსტომმა მოაწამლინაო, მაგრამ როსტომის მოკეთეები კი ფიცავდნენ და იოცებდნენ, რომ როსტომისაგან ეგეები არასდროს არ მოხდებაო.

შემდეგ დედის სიკვდილისა, როსტომმა დაუწყო ალერსით ქცევა დავითსა, რომ არ ეჩვენებინა იმისთვის ცუდად თავი და იმასაც არ აეხირებინა გაყრა. დავითს სჯეროდა როსტომის გულწრფელობა, როსტომიც ოქროს ზოდებს უქადიდა თავის გამოუცდელს ძმისწულსა. როსტომს ბევრჯერ უელვა თავში დავითის მიპინტრიშებამ, როგორც იტყოდა ხოლმე, მაგრამ ეშინოდა, აშკარად არ მიხვედროდნენ, ცალკე იმის დედაზედ კინაღამ ერთი ხათაბალა გადახდა.

დავითმა როგორც იყო ვაითა და ვაგლახითა და რის წვა და დაგვითა შეასრულა სასწავლებელი და მოინდომა რუსეთში წასვლა. ბიძამ ურჩია სამხედრო სამსახური, მაგრამ დავითისთვის ჩაეგონებინათ სამხედრო სამსახურის წინააღმდეგი აზრები და იმან უარჰყო თავის ბიძის კეთილგანზრახული აზრი.

დავითმა მოინდომა უნივერსიტეტში წასვლა. როსტომმა ამაზედ უფრო მოუმართა ხელი დავითსა: ეგება იქაურმა ჰავამ აუტეხოს რამეო.

დავითი წავიდა უნივერსიტეტში, მაგრამ შენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც დღე იმას ერთს წელიწადს უკან დაადგა. დავითს უნდოდა და ეგონა კიდეც დიდკაცურად ცხოვრება, როგორც მომეტებული ნაწილი ჩვენი შეძლებული ნასწავლი ყმაწვილები ცხოვრობენ, მაგრამ ბიძა არამც თუ არ უგზავნიდა იმოდენასა, რომ იმას იქ დიდკაცურად ეცხოვრა, იმოდენასაც არ აწოდებდა, რომ საჭიროებისამებრ ეგდო თავის თავისთვის ყური. დავითმა სწერა წიგნი ბიძასა, მაგრამ იმისგან მოსდიოდა ყოველთვის პასუხად: „რა ვქნათ, შვილო, უნდა მოითმინო. ხომ იცი ჩვენი ქართველი თავადისა და აზნაურის ცხოვრება! შემოსავალი ჩვენ ყმა და მამულიდან არა გვაქვს რა და ფაბრიკები ჩვენ არა გვაქვს. უნდა მოითმინო. მოთმინების მეტი არა გაგვეწყობა რა!..“ რასაკვირველია, ეს არაფერი სანუგეშო იყო. დავითმაც ითმინა, ითმინა და გულდამწვარი დაბრუნდა შინ — ბიძის დაუკითხავად. შენს მტერს ეცვს ელდა, რომ როსტომს ელდა ეცა დავითის დანახვაზედ. იმას მაშინვე თავში უელვა: „კიდევ ცოცხალი არ დაბრუნდაო!..“

ბიძა და დავითი მალე შერიგდნენ. როსტომმა მალე დაარწმუნა თავისი ძმისწული, რომ იმას ყოვლის გულითა სურდა ამისი შველა და შემწეობა, მაგრამ ხომ თითონაც ხედავს რომ არსაიდან შემოსავალი არ არის. „მინამ სამსახურში ვიყავ, მინამ კიდევ შევიძლებდი შემწეობასა, ჯამაგირი მეძლეოდა, მაგრამ აბა ეხლა საიდან? განა არ იცი!..“ დაუმატებდა ხოლმე როსტომი თავის გასამართლებლად და სჯეროდა შაქარგულა დავითსაც.

VI

ჯერ ფითელქოჩორა ბიჭი არ შეჰხვედრია

...რაკი შინ დაბრუნდა როსტომი და დაამშვიდა თავის გლეხკაცები, მერე მიჰყო ხელი თავის მეზობლებს და მეტადრე სახლიკაცებს. სახლიკაცები იყვნენ ოთხნი ძმანი, ბიძაშვილები როსტომისა, და სამი ამთაგანი კარგა ხანში შესულები. საკვირველი საქმე იყო ამ ოთხი ძმის თავსა! ძნელად მოხდებოდა, რომ იმათი გვარის კაცი შუახანს გადასცილდებოდა, ან თავის დღით მომკვდარიყო, და ესენი კი თავისთვის მშვიდობიანად და ტკბილად აღამებდნენ თავის წუთისოფელსა. ამათ ვერცარას თოფი აკლებდა, ვერცარას კეტი და ვერც-

არას მტერი, თითქო ესენი ტაბლაძიანთ გვარისანი არ არიანო. „დიდება შენთვის ღმერთო! საკვირველი არ არის! — უკვირდა თვითონ როსტომსაც: — აბა თუ ამათ აუტყდეთ რამე! მათუსალებად არ ონ როსტომსაც: — აბა თუ ამათ აუტყდათ რამე! მათუსალებად არ ამათი ხანგრძლივი სიცოცხლე, რომ ბევრჯერ ეჭვში შევიდა: იქნება ესენი ტაბლაძიანი არ იყვნენო, და კინაღამ უპირებდა ხოლმე ამაზედ სუდში დავის ატეხას. როსტომმა და იმისმა მეუღლემ დაარქვეს ამათ გვარს ბაიყუშები, რადგანაც იმათს ხსოვნაში ამათის გვარისა ბევრი დაიხოცა და ესენი კი ცოცხლები დარჩნენ.

გარდა ამისა, რომ ესენი არიან საკვირველნი თავის ხანგრძლიობით, წინააღმდეგ თავის გვარის ჩვეულებისა, ესენი არიან საკვირველნი კიდევ თავის თავათ. თუ იმათი ცნობა არა გქონდა, ანა არ იცოდი იმათი გვარტომობა, ვერ გაიგებდი ან რა თაობას, ან რა ხალხს, ან რა საზოგადოებას, ან რა წოდებას ეკუთვნოდნენ. ჩვენ აქ გვაქვს უფროს სამს ძმაზედ ლაპარაკი, რადგანაც ესენი არიან შინა, და მეოთხე ძმა უფრო ამათს კრებულს არ ეკუთვნის. ამათმა მამამ, რომელიც საშინელი გაუგებარი და მოუსვენარი კაცი იყო, და თავისი დღე იმითი დაასრულა, რომ თავი გამოახრჩობინა ბოლოს თავის აღამაჰმად ხანს აქეთ ბუხარმოშლილს ოთახში, — დააგდო ესენი უსწავლელად და, არა თუ არ მისცა არსად სწავლაში, შინაც კი არ ასწავლა იმდენი მაინც არის ქართული წერა-კითხვა, რომ ბარათი ვისგანმე მოსვლოდათ — წაეკითხათ, ან თავისი სახელი და გვარი მოეწერათ. „აბესალომ და ეთერი, ღმერთმა შეჰყარა ერთფერი“: როგორც თვითონ იყო ეს, თავის უთაურობით ბოლში გამოხრჩობილი მოხუცი, ღმერთმა მეუღლეც ისეთი მისცა: აგორდა ქოთანი და იპოვა სარქველი! სანამ კი ცოცხალი ჰყავდა ამას თავისი მზეთუნახავი თუთალა, ისხდნენ ცოლ-ქმარნი და თავის წუთისოფელს აღამებდნენ ნარდის თამაშობაში, კითხულობდნენ გაჭიანურებულს საგლოვს ხმაზედ, ათჯერ გადაკითხულს, ლურჯს, სქელს ქაღალდზედ დაწერილს «ვეფხისტყაოსანს», რომლის აზრს ისე არ ადევნებდნენ გონებასა, როგორც ტირილის კილოზედ წარმოთქმულს თავის ხმასა; და როცა დიდმარხვა იყო, მაშინ ბეჯითობდნენ დავითნს და დაუჯდომელსა, რომელთაც შვიდის კვირის განმავლობაში წაიკითხავდნენ ერთი ოცდაათჯერ მაინცა, რომ, როგორც თითონ იტყოდნენ ხოლმე, სამოთხის კარის ხიდი გაედოთ. შვილებსაც ეს უხაროდათ, რომ დედ-მამა ასე უყურადღებოდ იყვნენ ამათზედა და არ უჩენდნენ არაფერს საქმესა. ინათლებდა თუ არა, ესენი ამოიჩრიდნენ იღლიაში პურს, ამოიღებდნენ წათხიდან ყველს და დაიკარგებოდნენ, მანამ კიდევ პურის ჭამის დრო მოუვიდოდათ. თუ ზაფხული იყო,

წავიდოდნენ ტყეში სოკოს, ან სატაცურის საძებნელად, ან წყალზედ სათევზაოდ და თავის დღეში კი ვერაფერსა პოულობდნენ; ან არა და არც ერთი და არც მეორე, ისე დაწვებოდნენ სადმე დიდ ჩრდილიანს კაკალს ქვეშ გულაღმა, დაიფარებდნენ ცალს კლავს თვალებზედ, მიეცემოდნენ რაღაცა ტკბილს გამოურკვეველს ფიქრსა და შემდგომ ან დაეძინებოდათ, ან გადავიდოდნენ ცოლის შერთვის ფიქრზედ. თუ ზამთარი იქნებოდა, მაშინ გროვდებოდნენ ვისმეს ბოსელში, სადაც იკრიბებოდნენ სოფლის ახალგაზრდა ლაზღანდარა ბიჭები და ეთამაშებოდნენ ან კოჭებს, ან აყინულა-ბაყინულასა, ან არა და ამბობდნენ სხვადასხვა ცხრათავიანი დევებისა და მთის ოდენა გველეშაპის არაკებს. როცა მოშივდებოდათ პური, მოდიოდნენ კიდევ შინა და ხელდახელ რაც კი მოხვდებოდათ ხელში მაწონი იქნებოდა, დო იქნებოდა, ქათამი, მწვადი, კარაქი, თუ რაც უნდა ყოფილიყო, შესჭამდნენ საჩქაროდ და ისევ უმალვე გაქრებოდნენ ახალ მოშივნებამდისინ, და შიმშილი კი იშვიათად არ იცოდნენ: დღეში რომ ოთხი-ხუთი ჯერი ეჭამათ — კიდევ ცოტა იყო.

რაკი პატარა თავს მოესწრონენ, მაშინვე შეუდგნენ ცოლის შერთვის თავდარიგს და, რაღა კითხვა უნდა, ამას წინ აღარა უდგა რა: გასათხოვარი ქალები ბევრი იყვნენ და ვინც უნდა ყოფილიყო, ამათ ყველა მოსწონდათ, ოღონდ კი ქალი რქმეოდა და ცოლობა შესძლებოდა; დედ-მამასაც უხაროდათ, რომ თავის სიცოცხლითვე ასახლკარებდნენ შვილებს და მოესწრონენ იმათს ბედნიერებას; ქალების პატრონებიც უარს როგორ ეტყოდნენ დიდი ტაბლაძის ოჯახის შვილებსა... შეირთეს სამთავემ ცოლები და სამივენი თავისი ცოლ-შვილით თავსდებოდნენ ერთს ძველებურს დარბაზში, რომელშიაც დღეცა და ღამეც შიგ იდგნენ, მხოლოდ ახალს ჯვარისწერაზედ კი ნეფე-დედოფალს აწვენდნენ ცალკე მარანში, ან სათონეში, რომელიც იყო იქვე დარბაზის გვერდით.

სხვა უამათო ხალხი ამ სივიწროვეში ან გაყრას იფიქრებდა, ან შენობის მომატების თავდარიგს შეუდგებოდა, მაგრამ ამათ არც ერთს ფიქრში არ მოსდიოდა ეს: შენობას მხნეობა უნდოდა და ამათ ეს არ შეეძლოთ; გაყრასაც შრომა მოსდევდა, და ამის გამო ვერც ერთი ვერა სთმობდა მამას, რომელიც ავად იყო, თუ კარგათა, ინახავდა ამათ თავიანთის ხიზნითა. ყმები ამათ ძაღლადაც არ აგდებდნენ, ხვნა და თესვის თავი ამათ არა ჰქონდათ; ვენახის შემუშავება ამათ არ შეეძლოთ და ამასთანავე საიდანღაც შეჰპაროდათ ეს უბედური ფიქრი თავში, ვითომც თავადაზნაურისაგან ამგვარი მხნეობა და შრომა დიდი საძრახისი იყვეს. რასაკვირველია ეს ისე სიამპარტავნით არ მოსდიოდათ, როგორც სიზარმაცით, რადგან თუ ამპარ-

ტავნობა სადმე ჰქონდათ, თავის უნარს ცხოვრებასაც ითაკილებდნენ და საქმეზედ თავს შეიდებდნენ.

ამგვარად აწვნენ ესენი კისერზედ მოხუც მამას, რომელიც ნახევარ თავის სიცოცხლეს ატარებდა დავაში და რომელიც, თუმცა თითონაც არას აკეთებდა, მაგრამ ეს მაინც იყო, რომ ეშინოდათ და ეხათრებოდათ ამისი გლეხკაცებსა და, ძალა იყო თუ ნება, აკეთებინებდა საქმეს, ჰგლეჯდა რაც შეეძლო და რასაც მოახერხებდა. მაგრამ საუბედუროდ, როგორც ზემოთაც ვთქვით ეს, ერთს მშვენიერს ღამეს გამოიხრჩო ბოლში თავის ალიზის ოთახში, რომელსაც ისე საძაგლად ჰქონდა მოშლილი ბუხარი, რომ ქვეყანაზედ ქარი არსად ყოფილიყო, აქ უქროლავდა და ატრიალებდა ბოლს ოთახში. ერთხელ ეს მოხუცებული მოსულიყო ვიღაცა გლეხკაცის ქორწილიდან ძალზედ გამობრუჟული და დასძინებოდა კარებდახურულ ოთახში.

ოთახი, რასაკვირველია, გატენილი იყო ბოლით და როდესაც გამოიღვიძა, ბოლისაგან სული ძალზედ შეგუბებული ჰქონდა. ის ძლივს წამოდგა ფეხზედ და დაუწყო კარებს ძებნა გასაღებათ; მაგრამ საუბედუროდ ცალკე ბოლი ახრჩობდა და ცალკე ბოლისაგან შეწუხებულს მუხლსა ჰკვეთავდა და ვეღარ იპოვა კარები, აპირებდა დაყვირებას, მაგრამ აქაც ხმამ უმტყუნა და დაეცა — სულშეგუბებული უგრძნობლად. მეორე დილას შევიდა უფროსი შვილი და შუა ოთახში დაუხვდა გაშეშებული მამა. იმან თითქო იცოდა, რომ იმის მამა დამხრჩვალიაო, ერთი ესე კი სთქვა აქეთ-იქით თავის განძრევით: ნწუ, ნწუ, ნწუ, ნწუ! და წავიდა შესატყობინებლად ძმებთან, რომელნიც აგრეთვე მოვიდნენ, დაადგნენ გაშეშებულს მამას თავს, აგრეთვე წარმოსთქვეს აქეთ-იქით თავის ქნევით „ნწუ! ნწუ! ნწუ! ნწუ! დიდი ღვთის ბრძანება არ არის!“ და მერე ძლივს მოიფიქრეს, რომ შუა ოთახში იმის გდება რიგი არ იყო და დაუწყეს წევა ტახტზედ დასადებათ.

ამ ამბავზედ შემოცვივდნენ ამათი ცოლები და მოსამსახურეები წივილ-კივილითა და თმის გლეჯით; მოაწყდა მთელი სოფლის კაცი და დედაკაცი, განცვიფრებულნი და შეწუხებულნი. მოხუცებულნი უტირებდნენ შვილებს მამის უეცარს სიკვდილს და ესენი კი ტირილსაც ვერ ახერხებდნენ, თითქო ამათ არავინ მოჰკდომიათო. «ეჰ!.. ალბათ!..» ეუბნებოდნენ ესენი მომტირლებსა. მამის სიკვდილის შემდგომაც კიდევ ვერ მოიფიქრებდნენ და ვერც მოახერხებდნენ ესენი გაყრას, თუ რძლებს ერთმანეთში ჩხუბი და წეწა არ ჰქონოდათ. უფროსი რძალი დედამთილობას ჩემულობდა: უმცროს რძლებს კიდევ უფრო სხვაფრივ მოჰქონდათ თავი და არას უთმობდნენ არც უფროსს და არც ერთმანეთსა. ამგვარად ისინი ყოველ-

დღე სჭამდნენ ერთმანეთს და აგდებდნენ ძმებში უსიამოვნობასა. რძლებმა გაიწიეს განზედ და გაითრიეს ქმრებიცა.

რაკი მამა ცოცხალი აღარა ჰყავდათ და ხელის შემწყობი აღარავინ ეგულებოდათ, რასაკვირველია, მეტი ღონე აღარ იყო, უნდა, შესდგომოდნენ როგორმე ცხოვრების თავდარიგსა. რაღა თქმა უნდა, რომ გლეხებზედ კარგს თავის საცხოვრებლად ესენი ვერას მოიგონებდნენ და გახდნენ ამათ სარჩენად. მაგრამ იაფად კი არ უჯდებოდათ ამათ გლეხკაცობის სამსახური. გლეხკაცები არას უგონებდნენ... აქ ეს მებატონეები დაიწყებდნენ დიდ ფათაფუთსა: „ჰაი-ეხლავე წავალთ სასამართლოში, მოვიყვანთ ზეკუციას და სულ დაგანიავებთ! ჰაი, სულ ციმბირში დაგაკარგვინებთ მართებელსა!..“ და ყოველივე ეს მუქარა და ბაქიბუქი იმითი კი თავდებოდა, რომ დამნაშავე გლეხები, რომელთაც ზედ დაამტვრიეს თავი და პირი მებატონეებსა, მოართმევდნენ ამას ძღვენსა სხვადასხვა დარბაისელი სოფლის კაცის ხელითა, მისცემდნენ, რაც შესაძლებელი იყო, სამსახურსა და შერიგდებოდნენ. ბევრჯერ ისე გაცხარდებოდნენ ხოლმე ეს მებატონეები, რომ აღარც ვისმეს თხოვნას შეიწყნარებდნენ და გაჯავრებული მიდიოდნენ ან დივანბეგთან, ან ნაჩალნიკთან ყმებზედ საჩივლელად. მაგრამ აქ საჩივარში კიდევ უფრო საცოდავები იყვნენ: მოვიდოდნენ და აიტუზებოდნენ უპრავლენიის კარებთან, მინამ ერთი ღვთისნიერი ადამიანი — მწერალი, ან იასაული ვინმე არ აუჩნდებოდათ და არა ჰკითხავდნენ, რისთვის მოსულან, ბოლოს რითაც იქნებოდა დიდი დავი-დარაბით ძლივს მიაღწევდნენ ისინი ან დივანბეგთან, ან ნაჩალნიკთან, რომელნიც აძლევდნენ იასაულებზედ ბრძანებასა, რომ დაეჭირათ დამნაშავე გლეხები; მაგრამ იმათ კვალსაც კი ვერ იპოვიდნენ ხოლმე, თუმცა ეს გლეხები სულ შინ იყვნენ, მუშაობდნენ და სოფელს იქით, მინამ დამჭერლები არ მოვიდოდნენ, მინამ არსად არ მიდიოდნენ. საკვირველი იყო, როცა როსტომის კაცები დააშავებდნენ რასმე, დივანბეგის ან ნაჩალნიკის მოხელეები მაშინვე პოულობდნენ, სადაც უნდა დამალულიყვნენ, და ამათ კაცებს კი ვერას დროს ვერ იპოვნიდნენ ხოლმე, თუნდა იქვე საქათმეში სადმე ყოფილიყვნენ დამალულნი. ამაში გადიოდა ხანი, მებატონეებსაც გადუვარდებოდათ წყენა ცოტ-ცოტათი გულიდან და ბოლოს კიდევ საქმე ძღვნით და შერიგებით თავდებოდა.

გვარიშვილობითაც, რასაკვირველია, ძალიან თავი მოჰქონდათ ამათ და თავს არ უყადრებდნენ სხვა მეზობელ მებატონეებს, რომელნიც ამათ ჭკუაში გვარიშვილობით ამათზედ ნაკლებნი იყვნენ, მეტადრე ამათი სათქმელი და საკვეხარი იყო ვიღაცა ამათი მამა-

პაპა, რომელიც ყოფილა რაღაცა მოხელე რომელიღაც ქართველთ მეფესთან.

„მამაჩემი არ წამიწყდება! — იტყოდნენ ხოლმე ხშირად. — პაპა ჩვენი იოთამ ისე ჰყოლია მეფე ერეკლეს (თუმცა ერეკლეზედ ბევრით წინ იყო, მაგრამ ესენი ყველა ქართველ მეფეს ერეკლეს ეძახოდნენ) მიღებული, რომ სულ ნიადაგ გვერდს უჯდა და ხშირად თურმე ეტყოდა „შენისთანა ერთი ოთხი ყმა კიდევ მყავდეს, ყველა მტერს დავიმორჩილებდიო“... ამასთანავე დიდად საძრახისად და სასაცილოდ მიაჩნდათ, თუ საწყალი ვინმე მებატონე ატარებდა ქალამნებსა და მსხვილი შალის ჩოხებს. თითონ კი ყველაზედ უნასად ეცვათ. ოღონდ კი წაღები და ქოშები ჰრქმეოდათ და ქალამნები არ ყოფილიყვნენ და თუნდა სანაგვეზედ აკრეფილებსაც ჰგვანებოდნენ, არ გაიხდიდნენ ფეხიდან. რადგანაც უფრო დარბაისლურია და დიდკაცობის შესაფერი, ატარებდნენ მაუდის კაბებს, მაგრამ ვაი ამ კაბობასა, რომ ისინი კაბები იყვნენ! ფარატინები და ნაფლეთები დაფრიალებდნენ ყოველს სიოს შემობერვაზედ და რიგიანს ქარს რომ დაებერნა, არამც თუ დააყრევინებდა ამ ფარატინებსა, და სადაც კიდევ სიმთელე ეტყობოდა, დომხალივით დამდნარს მაუდს, იმასაც სულ შემოაფლეთავდა. ახალუხს ატარებდნენ ფარჩისას; მაგრამ ესენიც იქამდინ ნაცვეთი იყვნენ, რომ რაც უნდა კარგი თვალი გქონოდა, თუ წინდაწინ არ იცოდი, ვერ გაიგებდი ან რა ფარჩა იყო, ან ჩითი იყო, თუ დიმიკოტონი. წაღებიდან ხშირად გამოეყოთ ყველა ფეხის თითებს თავი, თითქო ვარსკვლავების თვლას აპირებენო, ან უნდა ჩუმად გამოძვრნენ და გაეპარნენ სადმე პატრონსაო. ერთი სიტყვით, ფეხშიშველა სიარულს ირჩევდნენ და ქალამანს კი არ ჩაიცვამდნენ; ახალუხის სახელოებიდან გამოეყოთ იდაყვებს საცოდავად თავი და იღლიებში ფარღალალად შესდიოდათ ქარი; მაგრამ მაინც ნუგეშად ესა ჰქონდათ, რომ ფარჩის ახალუხი ეცვათ და მაუდის კაბა. მეტადრე ერთს იმათგანს ეცვა ზარბაბის ახალუხი, რომელიც აჩუქა იმას მამამ ოცდაათის წლის წინათ ჯვარის საწერად. და რომელიც აგერ ხუთი წელიწადია, სხვა ახალუხის უქონლობის გამო, გაუხდელად სცმია. რაკი იქამდინ გაცვდებოდა კაბა, რომ აღარც დაკერება გაეწყობოდა, არც ტანზედ დაადგებოდა, ამ დღისთვის იმათ ჰქონდათ გრძელი ტყავები, და ზამთარ-ზაფხულს არ იშორებდნენ ტანიდან, ოღონდ კი მსხვილი შალის ჩოხა არ ჩაეცვათ ტანზედ. ამ გრძელს უზედატანო ტყავში, მაღალს წოწოლა გალესილს და გამჭვარტლულს ძველს ბუხრის ქუდში, ქუსლებგამოფლეთილს მსხვილს მატყლის წინდებში და წელათრეულს ქოშებში კიდევ უფრო უცხო სანახავი იყვნენ ესენი. ერთი სიტყვით,

ტიტველი დარჩებოდნენ და იმას არ ჩაიცვამდნენ, რასაც იცვამდნენ გლეხები. მაგრამ ამ ტანისამოსში, თუ არ კარგა შეჩვეული თვალი, ვერ გაარჩევდა ამათ გლეხებში. აი რა ამბავი დადის ამათზედ ამათის სოფლის მცხოვრებლებში. ეს ამბავი მომხდარა ზაფხულის პაპანაქება სიცხეში. ქვეყანა სამკალათ თურმეა გასული და აბა ესენი რათ იკადრებდნენ თითონ მკასა და არც მუშა ჰყოლიათ, რომ თავს დასდგომოდნენ (თუკი ან მუშას ადგებოდნენ როდისმე თავსა!) უფროს ძმას მობეზრებია თავის სიმინდის ძარსქვეშ ტიტველა ქვებზედ ჯდომა, წამომდგარა და ჩვეულებისამებრ გაუწევია დუქნისკენ საბაასოდ. დუქანი დაკეტილი დახვედრია. მერე უთვალიერებია, ბანზედ ხომ არავინ ზისო, წავიდე ვემუსაიფოო. იქაც ვერავინ დაუნახავს და გაუწევია მეწისქვილისაკენ წისქვილში. იქაც წისქვილი დაკეტილი დახვედრია. უფიქრია, სად წავიდეო? და ვერა მოუფიქრებია რა. აქ გაურთვია წისქვილის ჩახრიალას, წყლის ჩხრიალსა და ხუილსა, დამჯდარა იქვე წისქვილის კართანა, მოუკიდებია შინდისტარიან პატარა ჩიბუხისთვის და მისცემია რაღაცა გამოურკვეველს ტკბილს განცხრომას, რომელშიაც იმყოფება ბანგმიღებული კაცი, რომელსაც მოჰრევია ძილი და ფიქრის თავი აღარა აქვს. ამ მდგომარეობაში, — რომლიდანაც ოდნავ გამოვიდოდა ხოლმე მხოლოდ იმისთვის, რომ აქეთ-იქით ეჭყიპურტებინა მწარე თამბაქოსაგან მოსული ნერწყვი, — მოადგა თავს ცხენით ყაზახი, რომელიც ვერ შენიშნა სრულებით ამ მოხუცმა.

— ეი! კაცო, ა გდე მამასაკლისი?

ამან გაიგონა ეს ხმა, მაგრამ დაეზარა, რომ კარგა გამორკვეულიყო თავის ტკბილის განცხრომიდან და არც კი მიიხედა იქითკენ, საიდანაც ელაპარაკებოდნენ.

— ტებე გოვორიატ, სადა მამასაკლისი?

ამან ძლივს გაანძრია თავი მისახედავად და გაოცდა, რომ ყაზახი თავს ადგა და რაღასაც ელაპარაკება.

— ჩავოჟ ტი, ჩორტ ნე ოტვეჩაეშ, ა?! სადა მამასაკლისი?

ამ ყაზახის ლაპარაკისა რაკი ვერა გაიგო რა, წამოდგა და გასწია თავშეუდებლად, ნელა-ნელ შინისკენ ნაწყენის გულით, რადგანაც ეგონა, რომ ყაზახმა ის მამასახლისად ჩააგდო, ერთი ეს კი წაიბუტბუტა:

— ნიატუ, ბრატ, ნიატუ!.. მამასახლისი სხვა არის.

ყაზახი გამოვიდა მოთმინებიდან, მოისვა თავისებურად მათრახს ხელი.

— ვოტ ტებე ი ნიატუ! ვოტ ტებე ი ნიატუ!

— კნიაზ! შე ღდინ ძ — ო! ია კნიაზ! — დაიძახა მოხუცმა, რომელიც არასდროს არ ელოდა ამგვარს მოქცევას.

— პოდი, ტეპერ ხოშ კნიაზიუ ჟალუის, ხოშ კამუ ხოჩეშ!..

აი ამგვარს ხალხთანა ჰქონდა როსტომს საქმე. ამან მიჰყო ხელი ცოტ-ცოტათი და ჯერ საცა კარგი მიწები ჰქონდათ, ამან წააართვა; მერე დაუწყო რთმევა საუკეთესო ხოდაბუნებისა და შემდგომ წაართვა უკეთესი ვენახებიცა. სადაც ძალაზედ დაუდგებოდნენ, იქ როსტომის კაცები და მსახურები ცემით ტყავს აძრობდნენ; თუ გაჰპედავდნენ საჩივარსა, მაშინ ხარჯის მეტს სამართალს ვერ ხედავდნენ. ბოლოს იქამდის მიახწია საქმემ, რომ ტყეშიაც კი აღარ ატარებდა როსტომი ამ სამს ძმას. ჯერ იმ მიზეზით, რომ ისინი ბევრნი იყვნენ და ბევრს შეშას ხარჯავდნენ. მერე უფრო კარგი მიზეზი მოუდო: მოუგონა რაღაც კანონი... ვითომც ტყე ეკუთვნოდეს იმას, როგორც უფროსი ძმის შვილს და დასამტკიცებლად ამ კანონის სიმართლისა, წარუდგინა ის მიზეზი, რომ ძმების გაყრაში იმათ მამას ერგო საუმცროსოში სახლ-კარი, კალოს-საბძელი, ბაღი და სხვა, და იმის მამის საუფროსოში სხვა საუფროსოს გარდა უნდა რგებოდა ტყეცა. ისე გაუჭირა საწყალს ბიძაშვილებს საქმე, რომ ცხადად ისინი ველარ დადიოდნენ ტყეში.

როსტომმა არამც თუ მარტო თავის სახლიკაცები მოიყვანა ამ პონობაში და მძლავრობდა, იმან ესევე დღე დააყენა სხვა ამაზედ უფრო ფხიანს მეზობლებსაც. მიიმძლავრა ცოტ-ცოტათი იმათი მამულები, ტყე და სხვა; შეუკრა სარწყავი წყალი და მინამ ბეგარა არ მოუმატა ერთიორად, მინამ არ დაანება. სადაც გაუმძლავრდებოდნენ, — როსტომის კაცები იჩენდნენ ბატონის ძალას და ტყავს აძრობდნენ ცემით, არამც თუ გლეხებსა, ბევრს თავადაზნურებსაც საკვირველი იყო როსტომის გლეხებისა და მსახურების საქმე. ესენი თუმცა ასე საცოდავად იყვნენ ბატონისაგან შეწუხებულნი, რომ სულთადგმა აღარა ჰქონდათ, მაგრამ სხვა საქმეში, ბატონის წინააღმდეგებთან, ბატონისთვის თავდადებულნი იყვნენ და არა ზოგავდნენ თავს სასიკვდილოდ ბატონისაგანაც ისე წაქეზებულები იყვნენ ამგვარს საქმეში, რომ კაცი შემოჰკვდომოდათ, იმედი ჰქონდათ. ბატონი გამოიხსნიდა. ერთი სიტყვით, ვერა დააკლეს რა ვერც სახლისკაცებმა, ვერც მეზობლებმა: ძალითაც ეს ერეოდა და სამართლითაც. ამგვარად ყველა შეაშინა, ყველა თავის სოროში შეაძვრინა, ყველას ხმა ჩააკმენდინა, ასე გასინჯე, ისინიც კი შეაშინა, რომლების შიშით სხვა მეზობლები ძრწოდნენ, ისინიც როსტომის წინ მოიკაკვნენ ქეციან თხასავითა. ბევრჯერ მოინდომეს ამ წითელ-ქოჩორა ბიჭებმა როსტომის პირდაპირ ჩხუბი და შეჯახება, მაგრამ ის თვალითაც არ დაენახვებოდა და გამოუსევდა ოცობით კეტიანს ბიჭებსა და აქ აღარაფერი ბიჭობა არ გამოადგებოდათ. ბევრ-

ჯერ ისინიც გამოუსევდნენ ხოლმე კაცებს; მაგრამ როსტომის ოდენა ყმები და არც ისე საავკაცოდ დაგეშილები იმათ არა ჰყავდათ, და ამის გამო ყოველთვის უბრუნდებოდნენ შინ თავის ნაქები ბიჭები თავპირდასისხლიანებულები.

VII

ᲬᲘᲗᲔᲚᲥᲣᲠᲐ ᲑᲘᲭᲘ

ბოლოს ძლივს დაბრუნდა მილიციიდან გიორგი, უმცროსი ძმა ვეარის ბაიყუშებისა.

გიორგი იყო კარგი მოყვანილი და კარგი შეხედულების ვაჟკაცი, იყო ძალიან ხელძლიერი და მაგარი ხასიათისა. ჯარში ჰქონდა დიდი ვაჟკაცობის ხმა და იყო თითონ შუახნამდის მიხწეული უცოლო კაცი.

ყველა მებატონე მოელოდა იმისგან დიდს ამბებსა თავის ბიძაშვილს როსტომთანა, რადგან გაეგონათ ამის ვაჟკაცობა და ისიც იცოდნენ, რომ როსტომისთვის იყო აქ მოსული. ყველა მოუთმენლად ელოდა ამის როსტომთან შეჯახებას და სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ, თუ საიდან დაიწყებდა საქმეს.

გიორგი რომ დაბრუნდა შინ, ზაფხული იყო, — მკის დრო მოტანებული.

გიორგის თავის ყმები თუმცა სიხარულით მიეგებნენ და გაიშალნენ პატარა წელში, რადგან იმედი მიეცათ, რომ ეს ცოტა ფრთებს ჩააშლევინებდა როსტომს და ამის გლეხებს, რომლებისაგანაც სულთადგმა აღარა ჰქონდათ ამათ, მაგრამ თავის ძმის კაცები კი ნახა, რომ მეტად გაიალაღებულნი იყვნენ და მოუჭირა ამათ. პატარა ხანს ესენი უძალიანდებოდნენ ამასაც, მაგრამ, რაკი ნახეს, რომ იმათი ბატონისებური კაცი არ იყო, მალე მოიკაკვნენ წელში. როსტომის კაცები კი როგორღაც უბღვეროდნენ ამას და ყოველს შემთხვევაში ცდილობდნენ ეწყენინებინათ რამე, ან შარი მოედოთ, რომ ერთი ეჩვენებინათ თავისი და თავის ბატონის ძალა, მაგრამ არც ამათ გამოადგათ თავის ბიჭობა; მანამ ისინი მოიფიქრებდნენ რასმე, გიორგი კიდეც ეძგერებოდა და იდებდა ქვეშ. თუ გაბედავდა ვინმე შველას, ის მოისვამდა ხელს ან დამბაჩას ან ხანჯალს და მაშინ რაღა მეტი ილაჯი იყო, უნდა მორიდებოდნენ. ასე დაიფორიაქა გიორგიმ როსტომის ყმები, რომ ველარავინ იმათში ველარა ბედავდა ამასთან ხელდახელობას, მეტადრე მას აქეთ, რაც ამან ცემა სამთა ძმათ ჩხიკვაძეთ, რომელნიც ყველაზედ განთქმულები

იყვნენ მთელს სოფელში თავის სიავკაცით და რომელნიც დიდი დამუქარებულნი იყვნენ გიორგიზედ.

გიორგი იარაღს, თუ არ გაჭირვებაში, არასდროს არა ხმარობდა: «ეგ ქალაჩუნა კაცის საქმეა» — იტყოდა ხოლმე ის; მაგრამ გაჭირვებაში კი, როდესაც დაატყობდა, რომ მეტი ღონე აღარ იყო, კაცს სასიკვდილოდ არ დაზოგავდა. თუმცა გიორგი არავის არას უთმობდა და კაცის სიკვდილი და ცემა ხუთ გროშად არ მიაჩნდა, მაგრამ თითონ კი არასდროს უბრალოდ კაცს არ აწყენინებდა. და თუ ატყობდა, რომ სადმე სიმართლე ჰქონდა, იქ თავის ცოცხალის თავით არავის რას დაუთმობდა. საჩივლელად ხომ, თუმცა ქართველი კაცი იყო და თავისი მამისშვილი, მაგრამ კაცი ნუ იფიქრებდა, რომ ის სადმე ან ვისთანმე წასულიყო. „მე იქამდის არ გავიჭირვებ საქმეს, რომ ეუჩივლო ვისმე, — ამბობდა ხოლმე გიორგი: — დეე ისევ მე მიჩივლონ“ და ეს კიდეც ასრულებდა თავის სიტყვებს: სადაც ხედავდა თავის სიმართლეს, იქ მაშინვე მიმართავდა ძალას, და თუ გაჭირდებოდა, ორი კაცის სამართალს ჯერდებოდა, თუმცა ამასაც ძვირად.

გიორგიმ რაკი პატარა ანგელოზები დაუფრთხო როსტომის კაცებს და თავის ძმის კაცებიც კარგა დაბღუნძა, მაშინ ერთს მშვენიერს დღეს დაიბარა თავისი და თავის ძმის კაცები, ქუდზედ კაცი სამკალად და წაიყვანა ერთს საუკეთესო ხოდაბუნში, რომელიც როსტომს წაერთმია ამისა და ამის ძმებისთვის და ეთესა ყანა.

ეს ამბავი, როგორც ელვა ისე გავარდა არამც თუ სოფელს ტაბლაძიანთ-კარში, არამედ მთელს გარშემო მახლობელ სოფლებშიაც. ყველა მოუთმენლად ელოდა, რითი გათავდებოდა საქმე. მებატონეები, ბატონები და ქალბატონები გადაწყვეტით კიდეც ლაპარაკობდნენ, ვინც აჯობებდა; ბატონები ამბობდნენ: როსტომი აჯობებსო, ქალბატონები — გიორგიო.

— იმას როსტომთან სად შეუძლიან! — იძახდნენ გაცხარებული ბატონები.

— არა, თქვენმა მზემ! გიორგი აჯობებს! გიორგი ჯარში ნამყოფი კაცია, სისხლის ჯვრებით გული სავსე აქვს, და აბა თქვენს როსტომს რა აქვს?! — იძახოდნენ ქალები.

— მნწუ, — არა! როსტომთან როგორ იქნება! იმისი კაცები ძალიან დაგეშილები არიან... მერე უფროსობაც იმისკენ არის, ყველა უფროსს ისე ელაპარაკება პირდაპირ, როგორც მე შენა, და აბა გიორგის სად შეუძლიან ეგეები!

— რა იცი, რომ გიორგისაც არ შეუძლიან? ის უფრო ჯარის სამსახურის კაცი არ არის!

ესე და ამგვარი ლაპარაკი და ბაასი ისმოდა ყველგან ორშაბათ დილით, მკათათვის სამს რიცხვსა, როდესაც გიორგიმ შეუშვა მუშა როსტომის მოყვანილს ყანაში.

მთელი სოფელი ტაბლაძიანთ-კარი სულ არეულობაში იყო. როსტომის კაცები, ვისაც კი ეწვნია გიორგის სუსხი და ახსოვდა კიდეც ის, მიიმალ-მოიმალნენ. სხვა სოფლიდან კი მოაწყდა მრავალი ხალხი ამ ხოდაბუნის გარშემო სეირის საყურებლად და მიიმალნენ ჭალებში, რომ მაჩხუბრებს არ დაენახათ და მოწმად არ დაესწროთ საჩივარში...

შუშანა, გაფითრებული სიბრაზისაგან, სულ თმებს იწეწდა და აჩქარებდა ბიჭებს, რომ მალე შეეკრიფათ გლეხები გიორგისთან საჩხუბრათ გასაგზავნად. ბიჭები დარბოდნენ გაცხარებულნი და ერეკებოდნენ თავის ბატონის გლეხკაცებს სამუშაოდან. შეიყარნენ ბლომად სულ კეტიანი გლეხკაცები და სულ იმგვარი ხალხი, რომელთაც სჭირდათ ჯავრი გიორგისა. შუშანა აჩქარებდა, რომ მალე წასულიყვნენ და ჰპირდებოდა დანარჩენი ხალხის მიშველებასაც „სულ შენი ბრალია — ეუბნებოდა ის თავის ქმარს: — რა ხანია გეუბნებოდი: ნუ აქეზებ! ან დააჭერინე ეგ რაზბონიკი, ან ერთი კარგად აცემინე-მეთქი და შენ ყურს არ მიგდებდი, აბა ნახე ახლა რა საქმეს სჩადის! შენ რომ მაგისთვის ერთი კარგად რუსულად საქვეყნოდ როზგით გეცემა, ეგ მაგ ამბავს აღარ ჩაიდენდა... ეხლა ისე აღარ გაუშვა; დააჭერინე ბიჭებს და იქვე თავის ძარქვეშ სცემე ტიტველაზედ, თორემ ეგ არ მოგვასვენებს".

აქ რომ ეს ამბავი იყო და შუშანა და ამათი ყმები, ვისაც გული ერჯოდა, ცხარობდნენ და აშურებდნენ დაცემას, გიორგი თავისთვის მშვიდობიანად, თითქო აქა არა ამბავიაო, ღილებგახსნილი, ახალოხით უდგა მხარში საუკეთესო მომკლებს, აგრიალებდა „ჰოპუნას" და მკიდა სხვის დათესილს ყანას.

მოსეირე ხალხი სულგანაბული მოელოდა და ხშირად იხედებოდა ჭალიდან და ბუჩქებიდან დასანახავად — მოდიან თუ არა როსტომის კაცებიო. მაგრამ ყველა ლოდინი ტყუილად შერჩათ: ამ დღეს საქმე მშვიდობით გათავდა. როსტომმა აიღო-დაიღო საქმე და, თუმცა შუშანა ქოჩორს იგლეჯდა, მაგრამ მაინც დაითხოვა ხალხი და გასცა ბრძანება, რომ ხვალ დილაზედ ქუდზედ კაცი კარგი კეტებით და რამდენიმე საძნე ურმით შეყრილიყვენ.

— ვაი იმის ბრალი, ვინც ხვალ აქ არ მოვა! სულ დავანიავებ და ციმბირს იქით დავაკარგვინებ!.. .

გიორგიმ ჩამკო ის ხოდაბუნი, მომკო კიდევ ორი სხვა პატარა მიწა, რომლებიც აგრეთვე წაერთმია ამათთვის როსტომს და დაე-

თესა ყანები, და საღამოზედ დაბრუნდა შინ თავისის მამითადით და ფერხულის სიმღერით. საღამოზედ მისცა მუშას თითო პური, მეთაურებს — თავი; დაალევინა თითო დიდი ჯამი ღვინო, ერთიც კიდევ დააბმევინა ფერხული, დააკრევინა „ცანგალა“, ათამაშა ლეკური, დაითხოვა მუშა შინ და უთხრა, რომ ხვალ პირველს ბრძანებაზედ ყველა მზად ყოფილიყო.

მეორე დღეს დილა ადრიანად როსტომმა მრავალის კეტებით შეიარაღებული ხალხით გასწია გიორგისგან მომკილი ყანებისკენ. გიორგიმაც მაშინვე შეკრიბა თავისი და თავის ძმების კაცები (ძმები კი სადღაც მიიმალნენ), ერთი კარგა ლაზათიანად კიდევ გადააკრევინა და მოამზადა საჩხუბრად. აგრეთვე უბრძანა ოთხს თავის ჯარისკაცს, რომ სულ თოფ-იარაღში ჩამჯდარიყვნენ და როცა უბრძანებდა — სასიკვდილოდ აღარავინ დაეზოგათ.

როსტომის ურმებს უნდა გამოევლოთ ზედ გიორგის კალოს პირზედ. გიორგიმ დააყენა გზაზედ ყარაულები, რომ შეეტყობინებინათ, როდესაც როსტომის ურმები გამოჩნდებოდნენ. „მე თუ მაგათ ისე არ უყავ, მელამ რომ ტყავი შინ მიუტანა მონადირეს, არ იქნება“,— ამბობდა გიორგი.

გიორგის აცნობეს: მოდიან ურმებიო. გიორგიმ გაირჭო წელში დამბაჩა, შემოიკრა ხანჯალი და გაუძღვა თავის გლეხებს. გამოჩნდნენ ურმებიც და მოადგნენ გიორგის კალოს.

— დააყენეთ! — დაუძახა გიორგიმ და გადაეღობა თითონაც ურმებს: — აბა გადმოიღეთ! — დაუძახა თავის კაცებს, რომელნიც ერთს წუთზედ აცვივდნენ ურმებზედ.

— არიქა, — დაუძახეს მეურმეებმა როსტომის ხალხს, რომელნიც იქვე მოსდევდნენ ურმებს.

ამ ხმაზედ გამოექანა როსტომი და დაუძახა თავის მრისხანე ხმით: აბა, ბიჭებო, მაგათა!

და დაირივნენ გიორგისა და როსტომის კაცები ერთმანეთში. როსტომი გმირულის ბრძანებით ხალხის უკანიდამ იძახოდა: „დაჰკა! მოჰკალ! დაიჭი ეგ საციმბიროები ეგა!..“ და ამ ყვირილსა და ბრძანებაში იმან ვერ შენიშნა დიდ ხანობამდის, რომ იმის ხალხს თანდათან აკლდებოდა. ბოლოს ძლივს დაინახა, რომ გიორგი ძალიან ახლოს იყო იმასთან მოსული და იწევდა იმისკენ.

— დაიჭით!.. შეჰკარით!!. — შესძახა როსტომმა. მაგრამ დამჭერი და შემკვრელი ბევრი აღარავინ იყო. ბევრმა როსტომის კაცმა, რაკი დაატყო, საქმე ცუდად იყო, დაიწყო შუამავლობა და აშველებდა ორთავ მხარეს.

— ღმერთი გადღეგრძელებს, ბატონო გიორგი!.. აი ჩვენ რაც გინდა გვიყავი... ძმები ბრძანდებით, მოითმინეთ! — ეუბნებოდნენ ისინი გიორგის.

— ჩამომეცალეთ თუ ჭკუა გაქვთ! — იძახდა გაშფოთებული გიორგი, — თორემ მეტი აღარ შემიძლიან!..

როსტომის გლეხები, ვინც დარჩა, სულ აქ შეიკრიბნენ ბატონის დასაცველად, მაგრამ ამ დროს მოცვივდნენ ყველა მხრივ გიორგის გლეხები, რომლებიც გამოსდგომოდნენ გაქცეულს როსტომის კაცებს, და დაუშინეს კეტი. თავპირგასისხლიანებული გლეხები ზოგი გარბოდა, ზოგი კიდევ, ვისაც შეეძლო, ჩხუბობდა; მაგრამ ჩხუბის ძალა კი აღარა ჰქონდათ.

— არიქა, ბატონო! უშველე შენ თავს!— შესძახა ვიღაცამ როსტომს, რომელიც აპირებდა თითონაც წევას გიორგიზედ.

როსტომმა, რაკი დაინახა, რომ ყველა თავისი გლეხები შემოეფანტნენ, იკადრა დაძვრა; მაგრამ მინამ ის სამშვიდობოს გავიდოდა, სწვდა გიორგი საყელოში, და ერთს თვალის დახამხამებაზედ ამოიდო ფეხქვეშ. გიორგიმ მისცა ორთავ მუხლის თავები გულში და ეძახდა:

— მოგკლა!.. მოგკლა!.. შე ბოროტო!.. არამზადავ!..

— ყარაულ!!. — ხრიალებდა როსტომი ქვეშიდან. როსტომის გლეხკაცთა, რომელნიც იყვნენ დამალულნი საბძლებთან და საბძლებში, ბევრს არ მოუთმინა გულმა თავის ბატონის ამ უპატიურებაზედ და გამოექანნენ მოსაშველებლად, მაგრამ ისევ მალე იკადრეს გაჩერება, რაკი დაინახეს, რომ გიორგის კაცები გაცხარებულები ეძგერნენ.

გიორგიმ ასწია საყელოში და აიყვანა როსტომი.

— არა!.. სისხლი გინდა?! სისხლი გწყურიან!!

და ამ დროს შოლტივით გაიტყლაშუნა პრისტაულმა სილამ და როსტომს მოხვდა ძირს ზღართანი.

— თქვენ რაღა გინდათ?! — შეუტია გიორგიმ როსტომის კაცებს, რომელნიც თანდათან ისევ გროვდებოდნენ, — აბა კეტი მაგათ!.. როსტომის კაცები აპირებდნენ გამძლავრებას, მაგრამ წინანდელზედ უარესი დღე ახლა დაადგათ და დაიფანტნენ.

ამ დროს მოისმა შუშანას ხმა:

— დადექით!.. დაჰკარით მაგ მ...ს!.. დაიჭირეთ! — მაგრამ ვინღა იყო ყურის მგდებელი.

— შენ მომიკალ ქმარი?! შენ მომიკალ?.. შე საციმბირო!.. საციმბირო!.. კაენო!.. ჰა!.. შენა?!.

— არა, რა გნებავთ!.. რა თქვენი საქმეა?..—მიუბრუნდა გიორგი, რომელიც ძლივს იმაგრებდა თავს.

— შე კაენო, შენა... გვემონო... შე ძმის მკვლელო!.. შე ჩამოსახრჩობო!..

— კარგი, კარგი! თავს პატივი დაიდე...

— მე გაჩვენებ შენ თამაშას... დამაცადე... დამაცადე... — ყვიროდა თონესავით ანთებული, გაკაპასებული შუშანა და მიიწევდა გიორგიზედ.

— გამაცალეთ ერთი, თუ ღმერთი გწამთ, არ შემომაკვდეს!.. — დაუძახა გიორგიმ თავის კაცებს. ჯარისკაცები მივიდნენ შუშანასთან.

— ვინა! მეე?! მე უნდა გამაცალონ!!. აბა გაბედეთ!.. — და იმან წამოავლო ქვას ხელი, — აბა მობრძანდით!..

— გეხვეწებით, თავი დამანებეთ-მეთქი! — ეუბნებოდა მოთმინებიდან გამოსული გიორგი.

— შენა! შენა!! შენ დაგანებო თავი; კაცის მკვლელსა?!. შენ არ იცი ვის ელაპარაკები!!. — და შუშანამ კიდევ უფრო მიიწია.

ჯარისკაცებმა რაკი დაატყეს, რომ გიორგი მოთმინებიდან გამოვიდა და იმის ჭკუისაგან საკვირველი არ იყო, რომ არც ამას დაზოგავდა და ერთს ბიაბრუობას აჭმევდა, შუშანას წყნარად ხელი მოჰკიდეს.

— ქალბატონო, დამშვიდდით!.. ღმერთი გადღეგრძელებთ...

— ყარაუუულ!! — დაიწყო საკვდავს ხმაზედ ღრიალი შუშანამ. — მოწმები იყავით... მცემენ, თქვენი ჭირიმეთ, მცემენ... მცემენ... კარგი, კარგი!.. ვიჰ!..

ამ ღრიალში გადაფითრდა შუშანა და ჩაეკეცა მუხლები.

— წყალი!.. მომკლეს! — იძახდა შუშანა მისუსტებულის ხმით და შეუღონდა გული.

როსტომი, რომელსაც ასულიერებდნენ და რომელიც უფრო და უფრო იმკვდარუნებდა თავს, წამოჯდა უცებ.

— წამიყვანეთ შუშანასთან!.. მიხედეთ ქალბატონს!.. — დაიძახა იმან და გასწია ცოლის მოსასულიერებლად.

გიორგიმ მიანება ამათ თავი და წავიდა ურმების დასაცლელად.

როსტომის კაცები ცოტ-ცოტათი შეიკრიბნენ და მალე მოასულიერეს შუშანა.

როსტომს დაუსივდა ყბა.

ის გაცხარებული აპირებდა საჩივარს, მაგრამ მერე მოიფიქრა, რომ საჩივარი საჭირო არ იყო და უპირებდა თითონვე გადახდევინებას. „დაიცადოს, ფიქრობდა ის: — მაგას ერთი დავაჭერინებ რო-

დისმე და საქვეყნოდ ტიტველა ტანზედ როზგით სულ ტყავს გავაძრობ, დედაკაცებსაც კი ვაყურებინებ".

მაგრამ შუშანა არ შეჯერდა ამ გონივრულ ფიქრს და აღარ უსვენებდა დღე და ღამე.

— როგორ თუ თავი უნდა დაანებო! — ჩასჩიჩინებდა ის: — ამ აბიდას ისე უნდა თავი დაანებო, მინამ შენ მაგასა სცემდე? სცემო კი არა, მთავარმართებელი მოიყვანე აქ და თითონ იმას გამოაძიებინე... თითონ ხელმწიფესთან უჩივლე და როგორც ძაღლი, ისე ჩამოახრჩობინე თავის კარებზედ.

და ბოლოს დაიყოლია ცოლმა როსტომი. თითონაც კი ბოლოს ფიქრს მოვიდა. „ცემით, ვინ იცის, ვცემ თუ არა!.. ეგ. ისეთი რაზბონიკია, რომ იქნება კიდეც მომკლას, ისევ საჩივარი სჯობია!" ჩივილით იმედი ჰქონდა, რომ რაკი ბევრს უფროს კაცს იცნობდა, თუ ციმბირში არ დააკარგვინებდა, ჩინებს მაინც ჩამოართმევინებდა და ციხეში რამდენიმე წლით დააჭერინებდა.

ეს ხმა, რასაკვირველია, გავარდა ძალიან შორს. შემდგომ ამისა ხშირად თავადი და აზნაური, ვისაც ჯავრი სჭირდა როსტომისა, გაურბენდნენ ხოლმე კარებზედ, გვერდზედ ხმალშემოკანკურებულნი ცხენის კუნკურით, თითქო იმითი უნდა ეთქვათ: ჰე! მოგხვდა თუ არა! ეხლა ჩვენც აღარ გვეშინიან შენიო! როსტომს ბრაზით გული უსივდებოდა ამ ამბავზედ და, სხვას რომ ვეღარავის რა დააკლო, მოიგდო ერთი აზნაურიშვილი, რომელსაც წისქვილში ურმით საფქვავი მიჰქონდა და იმის კარებზედ გამოიარა, დააჭერინა, ჯერ ერთი კარგად სჯულზედ სცემა, მერე საფქვავი სულ წყალში ჩაუყარა და საქონელი დაუმწყვდია წასართმევად.

VIII

ზოგი ძალლი კაცზედ ძვირათა ფასობს

რაც გარეთ იყვნენ როსტომი და იმის შუშანა, ის შინ, თითო უბრალო საქმეზედ და უჯერ-მაჯეროდ შინამოსამსახურეები თუ ყმები ჰყავდათ სულ შიშსა, ტუქსვასა და ცემა-ტყეპაში, ამათგან არა ჰქონდათ დანდობა, არც დარბაისელ მოხუცს, არც თავმოყვარე ყმაწვილს, არც თავმომწონე ქალს, ყველა ამათთვის ერთი იყო და ყველას თანასწორ გზავნიდნენ და აროზგვინებდნენ დიამბეგს.

რასაკვირველია, როგორც შეშვენის ამგვარ ქართველ დიდკაცს, იმათ ჰყავდათ უმრავლესი შინამოსამსახურეები და მოახლეები. რა თქმა უნდა, მოახლეებს ესენი გათხოვების ნებას არ აძლევდნენ

სიკვდილამდის და სხვაფრივ თუ რამეს გაუგებდნენ, მაშინ შენი მტერი! შუშანა როგორც ოჯახის პატიოსნობის დამცველი ქალი, ადევნებდა ყურს თავის მოახლეების ყოველ მოძრაობას და მოქმედებას და ვაი იმათი ბრალი, — თუ ერთი ბეწვასაც არის რასმე შენიშნავდა. რასაკვირველია, ბუნება თავისას არ იშლიდა. მართალია, ისეთი სასტიკი ყურადღება ჰქონდათ, მართალია, ცუდი ამბები ელოდათ, მაგრამ მაინც ვერ უმაგრდებოდნენ ბუნებას და ყმაწვილი მსახურების მაცდურობას. რასაკვირველია, ეს არ ემალებოდა დიდხანს შუშანას. მაშინ, არ შეგიძლია წარმოიდგინო, მკითხველო, რაც ყოფა და ამბავი ამ გოგოებს ადგებოდათ, თუ არ გინახავს როსტომ ტაბლაძის ოჯახი და არ შეგისწავლია იმათი დამოკიდებულება თავის გარემო პირებთან. სცემდნენ საწყლებს, თავის ხელითა და როზგით; ყოველს შემთხვევაში, უცხოსთან, თუ მეცნიერთან არცხვენდნენ და უხრჩოლებდნენ თვალებში თავის შეცდომას. დადიოდა ხმა ვითომ შუშანა ზოგიერთ გოგოს გახურებული შამფურითაც დაღამდაო ამგვარი ცოდვებისათვის. ამასთან ამგვარ შემცდარს გოგოებს ორსულობაში აყენებდა დაუჯერებელ სასჯელს და სატანჯველს ლოგინობაზედ.

— ზედ არავინ შეხედოს, ზედ არავინ შეხედოს, მაგ უნამუსოებსა! — ჯავრობდა ხოლმე შუშანა, — თორემ ვაი იმისი ბრალიცა! დეე ძაღლივით უპატრონოდ სული ამოხდეთ, რომ ამათი მაგალითით სხვამაც არავინ გაბედოს.

ზამთარში საბანს არ აძლევდნენ, რომ დაეხურათ, უბრალო ნაბდის ძველას არ მიაწვდიდნენ, რომ დაეგოთ. ბებიებსაც კი უკრძალავდნენ ახლო მიკარებას, რომ მოემშობიარებინათ მელოგინეები. რასაკვირველია, ბევრი თან გადასდევდა მუცელს, მაგრამ ვერც ეს აკრძალვინებდა სხვებს ამ საქმეებსა. „ბუნება ძლიერია!“ სთქვა ვიღაცა მეცნიერმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, შუშანა არ იცნობდა. ვერ მორეოდნენ საწყალი მოახლეები ბუნებას. იქნება კიდეც მორეოდნენ, თუ მაცდურები გვერდით არა ჰყრიდნენ და თვალწინ არა ჰყოლოდნენ. ერთი სიტყვით, არც ერთი მოახლე არ გადურჩა ამ შეცდომილებას. ძნელიც იყო. როსტომი თავის საყმოდან გოგობიჭებს სულ საუკეთესო თვალადებს და ყმაწვილებს არჩევდა. გადარჩა შეცდომილებას მარტო მართა. მართალა ეგონა შუშანას სანდო. მართალიც არის, რაც სოსიკა დაითხოვეს სახლიდან მართას გულისათვის, მას აქეთი მართას აღარა შემჩნევია რა. შუშანას მოსწონდა თავის ქმართან მართათი თავი.

— ვინც იცის, ეგეც რომ ჩემი გაზრდილი არ იყვეს, — ეუბნებოდა შუშანა, — ეგ სხვებზედ უარესი ყოფილიყო.

მართალია შუშანას მოსწონდა მართათი თავი, მაგრამ ის კი ვეღარ შენიშნა, რომ რაც სოსიკა დაბრუნდა ლაღოდახიდან, ისინი ისევ დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. მართალია შუშანა იყო ოსტატი, მაგრამ მართამაც ისწავლა ოსტატობა, იმდენი მაინც, რომ სხვებივით მაშინვე ვერ გაუგეს, თუმცა, რა თქმა უნდა, შუბი გუდაში არ დაიმალებოდა.

მართა არ იყო როსტომის ყმის ქალი. მართა და ერთი ურემი პური აჩუქა შუშანას მამას, ხეჩოს, ერთმა მდიდარმა ჩვენმა მებატონემ.

ხეჩატურ მინაიჩ ხშირად დადიოდა ხოლმე სოფლებში კნიაზებთან ვალების ასაკრეფად, თამასუქების გამოსაცვლელად, სარგებლების ასაღებად და სხვა ამგვარი საჭიროებისათვის.

ერთხელაც წავიდა ჩვენი ხეჩატურ მინაიჩი ცხენით, ხურჯინგადაკიდებული სოფლებისაკენ. ერთიც ვნახოთ, ერთს უკაცურს ალაგას, ერთი რუსული მეძებარი ძაღლი, რომელიც დაჰკარგოდა ნადირობაში პატრონს, დაედევნა ხეჩატურ მინაიჩს, ხეჩოს ეცვალა ფერი: იმას ძაღლი ცოფიანი ეგონა. ხეჩომ გააჩქარა ცხენი, ძაღლიც აჩქარდა. ხეჩოს უარესად გადაჰკრა ფერმა და შემოჰკრა ცხენს ქუსლი. ძაღლიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოუდგა ყეფით. შენს მტერს ის ამბავი, რაც ხეჩოს დღე დაადგა. «ყარაულ!» შეჰქმნა ხეჩომ ყვირილი. მაგრამ ძაღლი თავისას არ იშლიდა და უარესად მოსდევდა. ბოლოს, როდესაც ძაღლი მოეწია და ზედ არ დაუწყო ვარდნა, მაშინ ის მოვიდა თანდათან გონს. ხეჩომ შეაყენა ცხენი. შედგა ძაღლიც: ხეჩო პატრონად არ ეცნობოდა. ხეჩომ დაუწყო ძაღლს ჯავრობა. ძაღლმა გააჭყიტა გაკვირვებით თვალები და დაუწყო ხეჩოს გაოცებით ყურება. ხეჩომ ისევ გასწია თავის გზაზედ, ძაღლი ისევ დაედევნა. „ერთი ამ ოხერს უყუროს! — სთქვა ბრაზმოსულმა ხეჩომ: — რას ამტეხია ოხერი ბაიყუშივითა! ნწა-მეთქი, შე უპატრონო, ვიღასაც ტიალ-ოხერი ხარ! ამისთანა ხათაბალა იქნება!..“

ძაღლი მაინც არ მოშორდა. რაკი ნამდვილად დარწმუნდა ხეჩო, რომ ის ძაღლი ცოფიანი არ იყო, გადმოხტა ცხენიდან და დაუწყო ძაღლს ქვების სროლა. ძაღლი გაიქცა, მოეფარა ბუჩქებს და წავიდა თუ არა ხეჩო, დაედევნა ისევ შორიახლოს უკან.

— ვა! ვა! ვისი რა არის ეს ოხერი! გაგონილა!.. პატრონს დაუკარგავს, მე დამდევნებია, თითქო ერთი კარგი რამ დოვლათი იყვეს. ძაღლი რათ გინდა, კნიაზი ხომ არა ვარ.

აქ კნიაზის ხსენებაზედ ხეჩოს მოაგონდა, რომ ის კნიაზებთან მიდიოდა და იფიქრა, თუ იყიდდა ვინმე — მიეყიდნა, თუ არა და ეფეშქაშებინა ვისთვისმე.

— ერთი-ორი მანეთიც რომ მომცენ — ისიც კარგია, — იფიქრა იმან და აღარ დაუწყო ტუქსვა ძაღლს. გზაში პურიც გადაუგდო. ხეჩო და ძაღლი დამეგობრდნენ, მაგრამ ხეჩო ჯერ ხელის წასმასაც კი ვერ ბედავდა.

ხეჩო ჩამოხტა ერთს თავის მოვალე ყმაწვილ მებატონესთან. ხეჩომ მაშინვე შენიშნა, რომ ის როგორღაც კბილებს უკრეჭდა ამ ძაღლს. ხეჩომ მაშინვე განიზრახა გუნებაში ძაღლის მიყიდვა. „ეტყობა ძალიან ყვარებია!.. იქნება ერთი თუმანიც მომცეს, ან ერთი შვიდი-რვა კოდი პური...“

— რა კაი ძაღლია, ხეჩატურ მინაიჩ,—უთხრა სახლის პატრონმა ხეჩოს: — რათ გინდა შენ ამისთანა ძაღლი?

— ვა! კნიაზჯან! რათ მინდა რომელია! ეგ არის ჩემი ოჯახის შემნახველი. მამა მიცხონდა, მგელი შესაჭმელად არ ეყოფა ხოლმე.

— მგელს კი არა, დათვს კი შესჭამს. ეს სამგლე ძაღლი კი არ არის — მეძებარია, ძალიან კარგი ჯიშისაც არის.

აქ იმან დაუწყო ძაღლს ალერსით ტანზე ხელის სმა, ძაღლიც სიამოვნებით ტოკავდა და იქნევდა კუდს.

— მამაჩემის ცხონებამ, შარშან ორი ირემი დაიჭირა ყარაიაზედ. გაფრენილ ფრინველს იჭერს, ისეთი რამ არის.

— ვინა! მეძებარმა ძაღლმა დაიჭირა ირემი?.. მეძებარს შეუძლიან მხოლოდ გამოაგდოს ნადირი და არა დაიჭიროს, მერე ისიც ირემი; ისიც ორი!..

— კნიაზის მზემ-მეთქი! შენ მზეს ხომ ტყუილად არ დავიფიცავ...

— ეჰ, შენ რა იცი ძაღლის ყადრი, უნდა ნახევარ ადლი ხელში გეჭიროს და ფარჩებს ზომავდე. დამითმე მე ეს ძაღლი.

— ვა! დათმობა რომელია! მე თითონ მიყიდნია რუსისგან ხუთ თუმნათ, — გაჭირვებული იყო.

— მეც მომყიდე, — მუქთად ხომ არა გთხოვ.

— კნიაზ ილიკოს მზემ, მეც ძვირად მიღირს. ჩვენი სახლის შემნახველი ეგ არის. ჯერ რამდენჯერ მოურჩენივართ ქურდებისაგან... არ შეუძლიან უცხო კაცს ამისი შიშით ჩვენს კარმიდამოზედ გავლა — როგორც წიწილა, ისე გაგლეჯს. ამას ერთი მუშა ძლივს გავაგდებინეთ... და მინამ არ დაღამდება ძალიან, სულ ჯაჭვითა გვყავს-ხოლმე დაბმული.

კნიაზ ილიკოს გაეცინა.

— უცნაური ტყუილი თუ გინდა, ეს არის. არა, ვისგან გაგონილა

ამისთანა მეძებრისგან კაცის კბენა. ჯერ დაყეფითაც არ დაჰყეფს, თუ სხვა ძაღლი არ დაინახა მყეფარი.

— ჰოდა სხვა ძაღლიცა გვყავს, ჯერ ის დაიყეფამს და მერე ეგ მივარდება-ხოლმე.

აქ უფრო გადაკუჭდა ძაღლის მუშტარი.

— არა, ხეჩო, მე გირჩევ გაჰყიდო ეგ ძაღლი: როგორც ვირს ხურმისა, ისე შენ ამ ძაღლისა არა გაგეგება რა.

— არ გამეგება რომელია! — გამოიდო თავი წყენით ხეჩომა. — მაშ ტყუილს ხომ არ ვიტყვი. არა ვთქვა, რაც ჩემი თვალით მინახავს.

— არა, ეგ ხომ მე არც სამგლეთ მინდა, არც საყარაულოთ, მე ეგ მინდა სანადიროთ, რომ ნადირი იპოვოს და სხვა ძაღლებს, რომელთაც დაჭერა შეუძლიანთ, იმათ გამოუგდოს-ხოლმე. ეგ ძაღლი მარტო მეძებარია.

— ჰოდა ეგეებიც შეუძლიან. ჩემი ცოლი რომ რასმეს დაჰკარგავს, სულ მაგან აპოვნინებს-ხოლმე. ნემსი არ დაემალება.

ილიკოს კიდევ უარესად წასკდა სიცილი. ხეჩოს უკვირდა, თუ რა სთქვა ამან ისეთი სასაცილო.

— არა, ხეჩო, ძაღლი შენი საქმე არ არის. კაი ფასს მოგცემ, თუ გაიმეტებ.

— კაი ფასი რომელია! გეუბნები ხუთი თუმანი ნაღდი მიმიციამეთქი.

— მე ერთ კარგს მოახლეს მოგცემ მაგაში. შენ ხომ გოგო არა გყავს საკუთარი

— ვა! გოგო როგორ იქნება! ძაღლი ოცდაათი თუმნათ არ მივცემ. სამი კომლიც რომ მომცე, არ მოგცემ.

— არა, სამ კომლ კაცს კი მაგაში არავინ მოგართმევს. აი, იმისთანა რომ იყვეს, ბიძაჩემმა ზაქარიამ რომ იმერლისგან მწევარი იყიდა, ის კი! ჯეირანი არ წაუვა-ხოლმე.

— ვა! ამან უფრო ჯერანი არ იჭერს.

— რაებს ლაპარაკობ! მეძებარი და ჯეირანისა და ირმის დაჭერა რატომ არ გამიგონია! შენ საცაა იტყვი, ტახებს იჭერსო.

— ჰოდა, მე და ჩემმა სულმა!.. ეს სხვანაირი ძაღლია, ეს იმისთანა ძაღლი კი არ არის, რომელიც შენ გინახავს...

— კარგი ერთი, მამა გიცხონდა, ხეჩატურ! შენ სხვა სთქვი, თორემ ძაღლებში კი ვერ მომატყუებ... ერთი სიტყვით, სთქვი შენი ძაღლის ფასი, რომ მოგცე.

— ბიძაშენს რა მიუცია?

— იმან მისცა სამი კომლი ოსი.

— მე ყმები რათ მინდა! მე ერთი გოგო-ბიჭი და ხუთიოდე ურემი პური მომეცი. ესეც შენი ხათრის გულისათვის, კნიაზის მზემ, თორემ მაგისთანა ძაღლი კაი კაცი შინიდან გაიმეტებს?

— თუ გინდა, მე სწორედ გეტყვი: ერთი გოგო და ერთი ურემი კარგი დარკვეული პური, თუ არა და არც ძალიან საჭიროა: ერთი ოცდახუთი კიდევაც მყავს მაგისთანა მეძებარი, ზოგს ათას მაგისთანაშიაც არ მივცემ.

— რა შვილი ხარ! ათას მაგისთანაში არ მისცემ! თითონ ვინც მომყიდა, იმან უთქვამს ჩემთვისა, რომ მაგისთანა ძაღლი არავინა პყავსო.

— ერთი სიტყვით გინდა — ეგ არის, არა და შენი ნებაა.

— ერთი გოგო და ხუთი ურემი პური.

— მე ჩინჩვლა და ლაპარაკი არ ვიცი. სომეხი ხომ არა ვარ.

— სამი ურემი იყვეს.

— ნწუ! არა-მეთქი, ეგ არის, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა!

— ერთი ურემი! ცოდო ვარ კნიაზის მზემა.

— ცოდო, მე ვიცი, ხარჯი მოგსვლია.

— ვა! ხარჯი როგორ არ მომსვლია, ხუთი თუმანი მიმიცია, ორი წელიწადია მყავს. აბა ახლა ხუთი თუმნის სარგებელი იანგარიშე, ახლა რამდენი ხორაგი შეუჭამია...

— აბა, შენ დამაჯერე, რომ ხეჩატურ მინაიჩი ძაღლში ფულებს მისცემდა, უთუოდ ან გაჩუქებდა ვინმე, ან იპოვიდი.

— ვა! მაშ ძაღლი ჩამეკლას მამიჩემის სულში, თუ მე ეგ მეპოვნოს... პოვნა რა ჰალა-ჰალა ხომ არ არის... პატრონი მაგისთანა ძაღლს დაჰკარგავს... ეს არის, რაღა, ეხლა პური მიჭირს, ფული არა მაქვს ვიყიდო, თორემ ვინ თავლაფიანი გაიმეტებს მაგ ძაღლსა. ისე მენანება, როგორც ჩემი სული.

— მაშ ეგ არის, იძლევი რაღა იმ ფასათა?

— შენ ხათრს რა გაეწყობა, თორემ, მამა მიცხონდა, დაღუპული ვარ. ეგ ძაღლი ათასი თუმანი ღირს. შენ ნახავ რამდენი გასიამოვნოს.

IX

ვისი ტყე, ვისი სარეზი ვისთვის რა საშველია

ხეჩომ გაირიგა საქმე და გასწია მხიარულად ქალაქისკენ.

„ვა! კინაღამ ი ძაღლი არ დავკარგე!.. კაცს რომ ღმერთი დოვლათს მისცემს — მისცემს და მისცემს...“ ფიქრობდა გზაში ხეჩო. „როგორ გაეხარდა კნიაზი, ძაღლი რომ ნახა... მამა უცხონდა! სწო-

რეთ ხეჩო ძაღლში ფულს მისცემდა. განა ქართველი კნიაზი ვარ! მალე კი დაიჯერა და. ვა! ძაღლში ფულს როგორ მივცემ, კაცზედ მეტსა სჭამს“.

კნიაზ ილიკოს გოგო და პური ერთად უნდა ჩაეტანა ქალაქში ხეჩოსთვის. საწყალს ხეჩოს სიხარულისაგან დაავიწყდა წინდაწინვე გარიგებოდა, რომ კარგი და გამოცდილი გოგო მიეცა იმისთვის ილიკოსა. „ერთი ძლივს არ მოვატყუე სომეხი“, ფიქრობდა ილიკო. „ამ ძაღლს ვინ მისცემდა ასე იაფად! აი სომხის ჭკუა. მგონი კიდეც უხაროდა, რომ თავიდან მოიშორა, ოღონდ ერთი მჭამელიც მოეშორებინა. გოგოსაც როგორსაც მინდა, ისეთს მივცემ ეხლა. ავიღებ და ერთი ოსის გოგოს ვისმე მივუგდებ“. აქ ილიკომ დაუძახა თავის მოურავს.

— ერთი ობოლი ოსის გოგო არავინ გეგულება ჩვენს საყმოში? — ჰკითხა ილიკომა.

მოურავმა ჩაღუნა ძირს თავი, ხანჯალზედ ხელებდაბჯენილმა, და ჩაფიქრდა.

— რა მოგახსენოთ! მეგულება ერთი ორი-სამი, მაგრამ ორს ძალიან ავი ბიძები ჰყავს და ვაითუ თავი გამოიდონ, ერთი აბეზარი და ავაზაკები არიან.

თავი გამოიდონ რა, მეფე ერეკლობა ხომ არ არის! ციმბირი და მაგათი ჯანი! ალაგს ვერ უპოვი თუ.

— არა, ბატონის წინააღმდეგი კი როგორ შეუძლიანთ: დღესაც შენები არიან — ხვალაცა, მაგრამ, მე შენ მოგახსენო, ერთი უპატრონო გოგო მეგულება, დედის შეტი და პატარა ძუძუმწოვარი დაძმის მეტი არა გააჩნია რა. ეს არის ძალიან მაღლა, მთაში გახლავთ. ქართული სულ არ იციან.

— რომელია?

— მართა ჰქვიან სახელათა, თუ გახსოვთ აქაც ხშირად გახლდათ ხოლმე, მონადირე ოსი იყო, ქუჯი, — იმისი გოგოა. ის ხომ აგერ ერთი წელიწადია თქვენი ჰირი წაიღო, და ეგ გოგო თერთმეტთორმეტის წლისა დარჩა.

— ვინც უნდა იყვეს — სულ ერთია, ოღონდ ერთი ეს სომეხი მოვიშოროთ თავიდან.

— ის ძაან კარგი გახლდებათ, დედას არა შეუძლიან რა და სხვა კი პატრონი არავინა ჰყავს.

— მაგისი შენ იცი. ერთი სიტყვით, შენ ამ ერთს კვირაზედ უნდა ჩაჰგვარო ის გოგო და ჩაუტანო ერთი ურემი პური ხეჩო ჩაიფხანაშვილსა. გესმის?

— ბატონი ბრძანდებით შენი ჰირიმე, მე ხვალვე წავიყვან სამიოდე იასაულსა და წავალ.

X

მ ა რ თ ა

რა მოაგონებდა მართასა, რომ ის როდესმე დაშორდებოდა თაკის სამშობლოს თვალაუწდომელსა და საშიშარს მთებსა, თავის პატარა და-ძმასა და თავის საყვარელს დედას, ბოსიკონსა. რა მოაგონებდა, რომ ის ამ მოკლე ხანში ჩაეარდებოდა იმ ხალხში, იმ საზოგადოებაში, სადაც არც ჩვეულებით, არც ცხოვრებით, არც ყოფაქცევით, არც ენით და არც არაფრით სხვით არა ჰგვანან იმის მშობელს ხალხსა და საზოგადოებას. ცამეტი წლის მართა თავისთვის გულდამშვიდებით დადიოდა ცივს ყინვაში, წითელი შალის პერანგში და ფეხშიშველა ფეხითა გუდურებისთვის საშინელს კლდიანსა და მიუდგომელს ტყეებში. მართა დიდი ხანია შეეჩვია აქ სიარულსა და კანჯარივით ხელისსიწრო ბილიკებსა და ბორცვებზედა, თითქო სწორე პიტალო გზაზედ დაიარებოდა და დახტოდა.

მართა ვერასდროს მოიფიქრებდა იმაზედ უკეთეს ცხოვრებას, რასაც ხედავდა თავის გარშემო. არც ეძებდა უკეთეს ცხოვრებას. მართალია ამისი დედა უფრო ღარიბი იყო ზოგიერთა მეზობლებზედა, მაგრამ მართა არც ამასა ხედავდა. არც ეცალა იმისთვის, რომ ეგრძნო სხვის სიმდიდრე. ის სულ საქმეში იყო გართული. ნახევარზედ თავისი სახლი სულ იმის კისერზედ იყო. იმას უნდა თავის ზურგით ეზიდნა გუდურებით შეშა სახლის საჭიროებისთვის, უნდა მოევლო ძროხისა და ხუთიოდე რაღაცა თხები ეყარათ, იმათთვის, უნდა საფქვავი წაეღო და მოეტანა, ქარჯინები და ხმიადები გამოეცხო; უნდა ბავშვებისთვის ყური ეგდო, ექსოვა იმათთვის და თავისთვის წინდები, შალები და სხვა. ერთი სიტყვით, ის მოუცლელად იყო საქმეში გართული. ამას ყველას ისეთი ხალისითა და სიამოვნებით აკეთებდა მართა, რომ ის სრულებითაც ყურს არ უგდებდა, სხვები როგორ ცხოვრობდნენ. მართა თავისი ხალისიანობითა და სილამაზით ყველას უყვარდა. ძვირად თუ ვინმე გაიგონებდა მართასგან ურიგო სიტყვას, ძნელად თუ ვინმე მოიგონებდა იმისგან ნაწყენობას. თითონ ამისი დედა ბოსიკონა, რომელიც იყო საშინელი ბრაზიანი და ავგული დედაკაცი, ვერ უპოვიდა ხოლმე მართას მიზეზსა, რომ გაჯავრებოდა. მართას არ უყვარდა ამხანაგებში სიარული აგრერიგად. თუ ტოლები მოინდომებდნენ ამასთან სიარულსა, ან ერთად საქმესა, ეს არა რეკავდა იმათ თავისაგან, მაგრამ, როდესაც მარტო იყო ხოლმე, უფრო თავისუფლათა გრძნობდა თავსა. მართას ძალიან უყვარდა მარტოობა და მეტადრე მაშინ, როდესაც ის მოექცეოდა ხოლმე წვეროებზედ ერთს

რომელსამე მაღალს ტიტველა მთას შემოდგომის მოწმენდილს ჰაერზედ. ეს ხშირად ადიოდა ამგვარს მთებზედ, გაირეკავდა თან თავის თხებსა, მიანებებდა იმათ ბალახზედ თავსა და დაუწყებდა თითონ მოწმენდილს წმინდას ჰაერში შორს, თვალგაუწდომელს სივრცეს ყურებას. დაუწყებდა რაღაც სხვანაირის გულის ცემით ცქერას მშვენიერს აჭრელებულს და შემკობილს საქართველოს ბუნებას; შეჰყურებდა განცვიფრებით მთებიდან ვერცხლის ზოლებივით, თითქო გველი ხვრელიდან გამომავალს, დაქანებულს წმინდა ანკარა წყლებსა. უყურებდა შორს მთებსა, ველებსა, სახნავებსა, ხნულებსა, ვენახებსა და გაფენილს და ვენახებში გაბმულს სოფლებსა; დაჰყურებდა რაღაცა გაშტერებულის ფიქრით დაუსრულებელს ცის სივრცესა, სადაც ლაჟვარდს ჰაერში ეკარგებოდა გონება ყმაწვილს გამოუცდელს ბავშვსა და რაღაცა ტკბილისა და შემაღონებელის გრძნობით უწყებდა გული ცემასა. იჯდა ხოლმე მართა დიდხანს და გაშტერებული გაჰყურებდა უცნობს, სოფლებსა, ზოგჯერ ის ისე გაერთობოდა ამ სანახაობით, ისე ჩაფიქრდებოდა ხოლმე ამათს ყურებში, რომ ბევრჯერ მოასწრებდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ელვა და ავდარი. საშინელი სანახავი იყო მართა, როდესაც პირველად იმას მოასწრო ერთს ამისთანა მაღალს მთაზედ ავდარმა. უცებ, მოწმენდილს ჰაერში, წამოვიდა ირგვლივ ხეობებიდან რაღაცნაირი ბურუსი და ნისლი. ერთს წუთაზედ მთელი ქვეყანა მოიფინა ღრუბლითა, მართას ფეხთით გარშემო არეს შემოერტყა ირგვლივ ზღვასავით ღრუბელი. ყველა ბნელით შეიმოსა. მხოლოდ მართა იდგა მოწმენდილს წმინდა მზიანს მთაზედ და შეჰყურებდა შეზარებით ძირს შავად თვალგადუწდომელს სივრცეზედ მოფენილს ბურუსსა. ასტყდა ძირს, მართას ქვემოდან საშინელი ელვა და საზარელი ქუხილი, დაიწყო ელვამ გველივით ხლაკვნა და სრიალი ყოველს მხარესა, შეიქნა საშინელის საზარებით ზარბაზანივით სროლა და ხმა ჭექა-ქუხილისა. მართამ გადაავლო თვალი ცის სივრცესა. მის ფერხთ ქვეშ მთელი ქვეყანა იყო შთანთქმული ღრუბლის ზღვაში და თვითონ მაღლა იყო ნათელს მზეში, უმაღლეს ღრუბელთა და ჭექა-ქუხილისა. აიტანა მართა შიშის ზარმა და თრთოლამ, აიტანა საშინელმა გამოუთქმელმა მწუხარე გრძნობამ. მართამ არ იცოდა, რა ექნა. ამას ეგონა მთელი ქვეყანა დაინთქა და მარტო მეღა დავრჩიო. თხები კი თავისთვის გულიანად შეექცეოდნენ მთის წმინდა ბალახსა. პატარა ხანს უკან თანდათან აიწივნენ ღრუბლები, ქუხილმა და ელვამ უკლო. ახლა თითონ მართაც დაიფარა ღრუბელში და ცოტა ხანს უკან თანდათან განათდა ქვეყანაცა. მართამ ცალკე სიხარულით და

ცალკე გაოცებით კინალამ ტირილი შეჰქმნა. იმან დაილალა თავისი თხები საჩქაროდ და წამოვიდა შინისკენ, რომ ეამბო დედისთვის თავისი გაოცება და საკვირველების ნახვა...

ცხოვრობდა ამგვარად მართა თავის სასტიკს და მწირს სამშობლო ბუნებაში, სიღარიბესა და საშინელს ნაკლებულებაში. ითმენდა ბევრს სიცივესაც, სიტიტვლესაც, მაგრამ უკეთესი ცხოვრება იმას არ უნდოდა, არც ეძებდა და არცა ჰქონდა მოთხოვნილება. თავისთვის თავისუფალი, თავისუფალსავე ბუნებაში მცხოვრები მართა ვერ მოიფიქრებდა, თუ სადმე ამასა ჰყავდა ბატონი, რომელიც მხოლოდ გაეგონა, მაგრამ წარმოდგენითაც ვერ წარმოედგინა, რა უნდა ყოფილიყო ეს ხსენება, რომლითაც ამას სიყმაწვილეში აშინებდნენ ხოლმე და ისე მოკრძალებითა და შიშით ლაპარაკობდნენ ყველანი. არ იცოდა მართამ ბატონის ძალა და უფლება და არც ძალიან ფიქრობდა ამაზედ, ამას მხოლოდ ეს კი ახსოვდა და არ ავიწყდებოდა, რომ ერთხელ ამისი მამა, ქუჯი, დაიჭირეს ვიღაებმაც და სთხოვდნენ ბატონის ხარჯს. ახსოვდა, რომ ბევრი სცემეს ამ ვიღაებმაც ამის მამას, ბოლოს დაუყიდეს თითქმის ყველა საქონელი და მასაქეთ ველარ მოიდგა სული, ველარც გამოდგა თავმომწონე ქუჯი და ამის შემდგომ მალეც მოუღო ამას სიკვდილმა ბოლო. მას აქეთია ბატონისა მას აღარა გაეგონა რა და არცა კითხულობდა, რადგან ესე ყველა სიზმარივით ახსოვდა და რაღაც ცუდს გუნებაზედ აყენებდა, როცა მოიგონებდა.

ბოსიკონა თავის მხრივ ახლა სხვაფრივ შეხაროდა თავის ლამაზს მართასა. აქამდის ის აძლევდა სახლში შემწეობასა და ახლა რამდენიმე მთხოვნელებიც აუჩნდნენ და გამოელოდა იმათგან საკმაო ურადსა, რომ ამითი ეგება პატარა სული მოედგა თითონაცა და შვილებიც რითიმე ეცხოვრებინა. ბოსიკონა კიდეც გაურიგდა ერთს ყმაწვილს კარგი ოჯახის შვილს ოსსა ურადზედა. აქედან უნდა მიეღო იმას მართაში ოცდახუთი მანეთი ფული, ათი ძროხა, ხუთი ხარი, ორი თოფი, ხუთი ხმალი და ოცდაათი სული ცხვარი. ამითი ბოსიკონა იმედობდა სამუდამოდ ფეხზედ წამოდგომასა, რომ უცებ კარს მოადგა მართას წასაყვანათ ბატონის მოურავი ოთხის იასაულითა. ბოსიკონამ იტაცა თმებში ხელი და მორთო საბრალოდ გულისმომკვლელი ღრიალი. დიდს და დიდხანს არ ანებებდა ბოსიკონა იასაულებს თავის საყვარელს პაწაწა მართასა, დიდხანსა სთხოვდა მკვდარს ქუჯის თავის უპატრონო ცოლ-შვილის შველასა; დიდხანს გულსაკვდომად შებღაოდა თავის მეზობელს ოსებს შველასა და დახმარებას, მაგრამ ყველა იყო ამაო. მთელი სოფელი: კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა იწოდა ბოსიკონას და ყვე-



იმისთანა ძაღლში, ამისთანა გოგო იქნებაო ოხრობაა რაღაც

ლასგან საყვარელი ფხიზელი და მალხაზის მართას ცოდვითა, მაგრამ შველას ვერავინა ბედავდა.

იასაულებმა დაამწყვდიეს ბოსიკონა სახლში, გამოუკეტეს კარები, შეუბრალებლად შეისვეს გაჭირვებული და თავგადაკლული, თმაგაწეწილი მართა და წაიყვანეს ვაკისაკენ. გაცოფებულმა და გააფთრებულმა ბოსიკონამ გამოგლიჯა ძლივს სახლის ურდული და თმებგაწეწილი, ფეხშიშველა, გულგადაღეღილი, დაჭრილი ირემივით გამოუდგა იასაულებს ვიწრო მთის ბილიკებსა, ბორცვებსა და ოღრო-ჩოღროზედ. გაბოჭილი მართა შორიდან განწირულებით იშვერდა დედისკენ ხელებსა და სთხოვდა შველასა, მაგრამ ყველა იყო ამაო. იასაულები იყვნენ შორსა და თუნდა ახლოცა ყოფილიყვნენ, საშველი არ იყო: ბატონის ბრძანებას ვერ გადაუვიდოდნენ.

მართა თითქმის უგრძნოდ ჩაიყვანეს ბატონთან და აქედან გაისტუმრეს ქალაქს, ხეჩატურ მინაიჩთან.

— აფსუსი კია ამისთანა ლამაზი გოგო იქ გასასტუმრებლათა,— ეუბნებოდა ილიკო თავის მოურავს მართაზედა: — წაუხდენელს არ გაუშვებენ: მოდი სხვა მივცეთ და ეგ აქ დავიჭიროთ. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ჩვენი ყმის გოგო ჩვენი უფრო უპრიანი არ არის!..

მაგრამ მაინც მართას არ ასცდა ქალაქს გასტუმრება. ილიკოს ცოლი მიხვდა, რა აზრით არ იმეტებდა იმის ქმარი მართასა და არ დააჭერინა სახლში.

ვაი სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გეჭირსა...
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა.

ხეჩოს მართას დანახვაზედ ელდა ეცა.

— ვა! იმისთანა ძაღლი მომიცია და ამ ერთიბეწვა გოგოს მაძლევთ!.. ღმერთი არ არის!.. ეს სიტიტვლე რაღაა!.. ერთი ძველი ქალბატონის გამონაცვალი ჩითის კაბას მაინც ჩააცმევდით... კაცა მე ვინ მოცა იმდენი, რომ ეს მოვრთო... ბარემ სულ ტიტველა გამოგეგზავნათ... ძაღლი მომიცია, მე და ჩემმა სულმა, ეხლაც მაძლევენ ოცი ნაღდი თუმანი. გუშინ იყო აქა ერთი რუსი ახოტნიკი... რა უღმერთობაა!..

— თავი არ მომიკვდება, პარუმ ხეჩო, რომ ამისთანა გოგოს შენ ვერსად იშოვნი, მთელი სოფლის თვალი იყო. ასეთნაირათა ტირო და ამის დედა ამის წამოყვანაზედა, რომ იმის ცოდვით ქვა იწოდა... ბატონმა განგებ ეს ამოარჩია, რომ პარუმ ხეჩოს ვასიამოვნოო. თორემ განა სხვა გოგოები არა ჰყავდა, ღმერთმა იცის, ძაღლებზედ უფრო გოგოები ბევრი ჰყავს შინა, არც კი იცის, რა გააკეთებინოს.

— ვა, ეს ასეთი ტიტველა როა, ეს რაღაა?

— ტიტველა, პე შენ მოგახსენო, სხვა მიზეზი გახლავთ. ჩემს ბატონს განა შურდა მაგისთვის ერთი ჩითის კაბა; გაუჭირდებოდა თუ რაა! მაგრამ, აი მაგათი საქმე როგორ გახლდათ. მე მიბრძანა ჩაჰგვარე ვინმე გოგოო პარუნ ხეჩოსაო და მე პირდაპირ წამოვიყვანე. მე და ჩემმა ღმერთმა ჩემ ბატონს არც კი უნახავს... მაგი ჩაცმას, შე დალოცვილო, რა დიდი ანგარიში უნდა...

— ჰო, არ უნდა! მაშ თუ არ უნდა, რატომ არ ჩაგიცვამთ... ჩემი ძაღლი მილიონი ღირდა. წუხელის კინაღამ ქურდებმა აგვიკლეს...

მეტი ღონე არ იყო, უნდა ხეჩოს მიეღო ეს გოგო. ეხლა ერთი ელდაც იმაზედ ეცა, რომ გოგომ ოსურის მეტი ენა არა იცოდა რა.

— იმისთანა ძაღლში ამისთანა გოგო იქნება!.. ოხრობაა, რაღა!— წყრებოდა ის კიდევ მოურავთანა...

— ნეტა ერთი ვიცოდე, რათ უნდა იმ დალოცვილ ჩემ ბატონსაც იმდენი ძაღლები!.. ნეტავი ნადირი მაინც იყვეს ჩვენკენა...

ხეჩო ამ ლაპარაკზედ ცოტა შეიცვალა, ღმერთი არ გაუწყრეს და არ შემეშალოსო.

— მახლას, რაც არის — არის... მამიჩემის ცხონებამა, კნიაზის ხათრმა დამღუპა, თორემ სხვას ეგრე არ დაუთმობდი!..

— ეჰ, აგრე იქნება, პარუნ ხეჩო, ზოგი ხათრი, ზოგი ნაცნობობა. დღეს ხვალაობაა, მაშ როგორ იქნება...

დიდხანს ვერ შეეჩვია მართა ამ თავის ახალს ცხოვრებასა და არ იცოდა ან სად იყო, რომელს ქვეყანაში, ან რომელს ხალხში; არ ესმოდა ამათი არც ენა, არც ადათი, არც ჩვეულება, არც სალოცავი. ქვეყანა იმათსას არ ჰგავს, ხალხი სულ უცხო და სხვა არის. დიდხანს, მინამ შეეჩვეოდა, არ ავიწყდებოდა მართას თავისი სამშობლო ქვეყანა, თავისი დედა და პატარა და-ძმა. არ ახალისებდა ამას არც მდიდრული ცხოვრება, არც კარგი ჩაცმა, არც მაძღრისად ყოფნა, არც დაყვავება თავისი ახალი პატრონებისა. ის ყველას ერიდებოდა, ყველას ჰხამობდა და ტიროდა მდუღარეს ცრემლითა. მაშინაც, როცა შეეჩვია ახალს ცხოვრებას, ახალს ხალხს და ამათს თვისებას, მაშინაც ჯერ კიდევ ღრმად ახსოვდა ბუნება თავისი სამშობლო მხრისა, თავისი საცოდავი დედა, რომელიც ისე გამწარებული მისდევდა ამას გამოსალმების დროს, და მისტიროდა მართას გული კიდევ ძველს თავის ველურს ცხოვრებას. ვინ იცის, რას მისცემდა მართა, რომ ეხლა იმისთვის ერთიც არის დაენახვებინათ თავისი ქვეყანა, თავისი მთებით, დედა და პატარა ნაამაგარი და-ძმები. მაგრამ ამაოღა იყო. მართა საუკუნოდ გამოესალმა ყველას. მართასთვის დაიხურა სამშობლო ქვეყნის კარი სა-

მუდამოდ და დაედვა იმის წინ სხვარიგი ცხოვრება, სხვა მომავალი.

მართა მიუჩინეს შუშანას და დანიშნეს ამის სამზითვოდ. არ გასულა ერთი წელიწადი, რომ შუშანა გათხოვდა თავის სანატრელს როსტომ ტაბლაძეზედ და თან გაიყოლა მართაცა.

მართა იყო ძალიან თეთრი, თვალ-წარბი და თმა ჰქონდა შავი, როგორც გიშერი, ლოყები უღვიოდა თეთრ-წითლათა თურაშაული ვაშლივითა, თითონ იყო კარგი მოყვანილი სრული გოგო, ჯანი და სისაღე ისახებოდა ყოველს იმის მოძრაობაში და იმისი სახე იყო სავსე ეშხითა. მართალია ქალაქში დაჰკარგა ცოტა თავისი საღი ფერი, რომლითაც დიდი გარჩევა აქვთ მთის ქალებს და საზოგადოდ სოფლის ქალებსაც ქალაქის ქალებთან, მაგრამ სისუფთავემ და წმინდათ თავის შენახვამ დასდო ამას თავისი შნო და ლაზათი.

ყმაწვილმა სოსიკამ, თუ ახსოვს მკითხველს, როსტომის მსახურმა პირველათვე იგრძნო რაღაცა ტკბილი აღტაცებული გულისთქმა მართას ნახვაზედ. მართა ჯერ აგონებდა სოფელს, რომელსაც ამდენი ხანია დააშორა ბატონმა, მეორეც ესა ხედავდა ამ სოფლის საღს და ჯანიან გოგოს სუფთად ჩაცმულსა და სუფთად თავშენახულსა. ერთი სიტყვით, მართა ამას თავის მდგომარეობით თითქო აგონებდა თავის ვითარებასაცა. ამასთან მართას ლამაზი ცოცხალი თვალები და ეშხიანი სახის მეტყველება შიგ გულში ეწონებოდა სოსიკას. სოსიკას აღეძრა სხვანაირი გრძნობა და კი ვერ მიხვედრილიყო, რა გრძნობა იყო ეს გრძნობა. იმას შეუყვარდა მართა, როგორც ნამდვილი ყოველი და ჭეშმარიტი სიყვარული დაიწყება ხოლმე, ისე, თითქო და არისო, — დასაეითაც არა, იმიტომ რომ ამისთანა ცხოველს სიყვარულს დასთან ძმა ვერასოდეს ვერ იგრძნობს, — შეუყვარდა, როგორღაც სხვანაირის ცხოველის სიყვარულითა: უნდოდა, რომ ნიადაგ ამისთვის ეყურებინა, ამისთვის ესიამოვნებინა და სმენოდა ამისგან ტკბილი, ალერსიანი სიტყვა. როცა კი გაიგონებდა სოსიკა მართასაგან ტკბილს დაყვავებულს სიტყვას, ისეთი ტკბილად რაღაც დაუვლიდა ხოლმე ტანში, ისეთნაირად შეეკმინდებოდა სული და დაუწყებდა გული ცემას, რომ თითქო ნამდვილს სასუფეველს ეხლა გრძნობსო.

სოსიკა ცდილობდა ყოველთვის დახმარებოდა ყოველს საქმეში მართას, როცა მართას დასაქმებდნენ რაზედმე ბატონები, სოსიკა სტოვებდა თავის საქმეს და ასწრებდა მართას ამ საქმის გაკეთებას. ერთი სიტყვით, თითონაც არ გაეგებოდა სოსიკას, რათ უნდოდა, რომ ეს სულ მართას სიამოვნებასა და მართას მაგიერ საქმობაში ყოფილიყო.

მართა ჩავარდნილი უცხო ქვეყანაში და გულდატყვევებული, ჩავარდნილი იმ ხალხში, სადაც ალერსიანი სიტყვა და ტკბილი ხმა არ გაუგონია, უყურებდა თავის ახლად გაცნობილი კაცის ალერსიან ქცევას გამოუთქმელი მადლობითა. მართას შეუყვარდა სანშინლად სოსიკა და ისიც აგრეთვე გრძნობდა სოსიკასთან დაძმურს სიყვარულს. სხვა ფიქრი, ფიქრი ცოლ-ქმრობისა არც ერთსა და არც მეორეს გულში არ გავლებიათ, — და თუნდა კიდეც მოსვლოდათ ფიქრად, დიდ ცოდოდ შერაცხავდნენ, ისე წმინდის გულით უყურებდნენ ერთმანეთსა. რასაკვირველია, რაკი არც ერთმა არ იცოდა ამათი სიყვარული, რა სიყვარული იყო და გრძნობდნენ ერთმანეთთან ნათესაურს, უმზაკვრო სიყვარულს, ისინი არც არიდებდნენ ერთმანეთს თავის გრძნობასა და მალეც დაუახლოვდნენ ერთმანეთს. იმათ გამოუცხადეს ერთმანეთს თავისი გრძნობები და რადგან უყურებდნენ ერთმანეთს ნათესაურად, მისცეს ერთმანეთს დაძმური პირობა. დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ეუბნებოდნენ ორივენი ერთმანეთს თავის გულის პასუხს, თავის თავგადასავალსა და არ უმალავდნენ ერთმანეთს არაფერს, როგორც და ძმასა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ სოსიკა სულ მთლად აენთებოდა ხოლმე, როცა გაიგონებდა მართასაგან ამბავსა, რომ იმას დედა უპირებდა გათხოვებასა და ურადსაც გარიგებულნი იყვნენ, როდესაც მართა წამოიყვანეს შინიდან. ერთი სიტყვით, ერთი ფიქრი, რომ მართა თხოვდებოდა, ან უნდა გათხოვებულიყო, სოსიკას სულ გულს უხეთქავდა. ისევე ამბავი ემართებოდა მართასაცა, როდესაც წარმოიდგენდა, რომ სოსიკას უნდა ცოლი შეერთო, ან მეტადრე, როდესაც გაიგონებდა სოსიკასგანა, რომ იმას ცოლსა ჰრთავდნენ შინაურები, ბატონს რომ დაეთხოვნა.

რამდენიც დაუახლოვდნენ ერთმანეთს გამოუცდელი და-ძმანი, უფრო უნდოდათ ერთმანეთის დაახლოება და თანდათან ჰხედავდნენ თავის თავში ცვლილებას. ცოტ-ცოტათი შეეპარათ ორთავეს სურვილი, რომ ერთმანეთის ხელი ხელში სჭეროდათ და ერთათა ყოფილიყვნენ მარტონი, სხვა პირების უთანაზიაროდ. ერთმანეთის ხელის დაჭერას რა ცოდოდ შერაცხავდნენ, ან რა საძრახისად ჩაიგდებდნენ, მაშინ როდესაც ესენი ერთმანეთს და-ძმებივით უყურებდნენ და ერთმანეთს და-ძმობა უთხრეს, რასაკვირველია, გაუწითლებლად და დაძმურად დაუწყეს ერთმანეთს ხელის ძლევა, როცა მარტონი რჩებოდნენ: ხალხში ეს სურვილი არ გაელვიძებოდათ-ხოლმე. რაკი დაუწყეს ერთმანეთს ხელის ძლევა, მერე მარტო ხელის ჭერა აღარ აკმაყოფილებდათ ამათა. ამათ მოუნდათ ერთმანეთის შემოხვევა და კიდეც დაძმურის გულისთქმით შემოეხვივ-

ნენ ერთმანეთს. გაუტკბათ ესა და დაუწყეს ხშირად ერთმანეთს ხვევნა. ამანაც აღარ შეიჯერა ესენი. მოუნდათ ერთმანეთის კოცნა. აკოცეს ერთმანეთს... დაძმურათა. მაგრამ ის, რაღაცა ტკბილმა, მწველმა გრძნობამ რომ დაუარათ ორთავეს მთელ სხეულში, ეს კი როგორღაც სხვანაირად ეჭაშნიკათ. მართალია ორთავენი გრძნობდნენ, რომ ამ სიტკბოებას და ძმასთან და ძმა დასთან არ იგრძნობენ, მაგრამ ვერასდროს ვერ მოვიდოდნენ ფიქრსა და ვერც გაიმეტებდნენ ესენი თავსა, სხვა რამე იქვი რომ შეეტანათ ერთმანეთში, ძინამ კოცნაც ცოტა არ შეიქნა იმათთვის. კოცნა გახშირდა. ყოველს კოცნაზედ ორთავეს უვლიდა რაღაცნაირი ალი გულში და ემღვრეოდათ სხვანაირად თვალები. რაკი კოცნაც საკმაო აღარ იყო ამათთვისა და სხვა ფიქრები აეშალათ თავში, მაშინ ძლივს დაიწყეს ამათ მიხვედრა, რასაც ნიშნავდა ამათი სიყვარული. პირველი მართამ შენიშნა ესა და დაფიქრდა. „რას ჩავდივარ! დაიწყო იმან წუხილი: — ხომ დავიღუპე!.. რაღა ვქნა, რომ ბატონებმა შეგვიტყონ... ბე ვერ მივხვდი და სოსიკა ასე დაუნდობრათ მიყურებდა მე...“ იმან ბრალი სოსიკას დაადო. გამოუცდელს მართას ეგონა, რომ სოსიკა აცდუნებდა ამასა. „მე იმას ძმასავით უყურებდი და მერე იმან კი რა ჰქნა! — არ მინდობს!..“ სწუხდა ის და დაუწყო ახლა კი რიდი და ფრთხილობა სოსიკასა. თუმცა ის ბრალს ადებდა სოსიკასა და იმას რაცხდა მაცდურათა, მაგრამ თითონ კი უსოსიკოდ ვერც ერთს წუთას ვერ გაეძლო, როცა სოსიკა წავიდოდა სადმე და არ იყო შინა, მართას დაუწყებდა სული წუხილს, უღონდებოდა დარდისგან გული და არ იყო მოსვენებული. მართა, არამცთუ სწუხდა დაშორებასა, და იმას სულ უბრაზდებოდა გული ქვეყანაზედ, ასე ეგონა, ყველას ისე უყვარდა ამისი სოსიკა, როგორც ამასა და ყველა ეცილებოდა ამას თავის საყვარელსა. მართასთვის ტყვია იყო გულში, თუ ვისმე ქალს ნახავდა სოსიკასთან გამოლაპარაკებულს; ამ ამბავზედ მართას სულ გული უღონდებოდა, სულ ფერი ეკარგებოდა და მზად იყო გაეფლითა შუაზედ ყველა ყმაწვილი ქალი, ვინც გაბედავდა სოსიკასთან ლაპარაკსა. ესევე დღე ადგებოდა სოსიკასა, როდესაც მართას ვინმე ვაჟკაცი გამოელაპარაკებოდა. რასაკვირველია, ბოლოს, როდესაც იყო, ორთავენი კარგად მიხვდნენ, რაც გულით ერთმანეთი უყვარდათ.

ამათი დაახლოვება, რაღა თქმა უნდა, არ დარჩათ შეუნიშნავი ამათს ბატონებს. იმათ დაუწყეს თვალ-თვალობა და ყურის დევნა. ბოლოს შუშანა დარწმუნდა, რომ ესენი აღარა ხუმრობდნენ. აჭ შუშანა ერთს მშვენიერს დღეს ქმარს სწვდა ყანყრატოში.

— არა, ეს მოსათმენია ჩვენგანა! — დაუწყო იმან როსტომსა:— არა ჰყუროზ ჩვენ სახლში რა ამბავია!.. შენი მსახურების გადამკიდე შინ მოახლეები ვეღარ შეგვინახავს... სასალახანო შეიქნა, რაღა ჩვენი სახლი!.. სულ შენი ბრალია, რომ რიგიანი მსახური ვერ ამოგირჩევია სახლში, თორემ ამისთანა მსახურს რიგიანი თავადის შვილი შინ შეინახავს!.. რაღათ მინდა თავი ცოცხალი!.. გოგო შვილივით გამიზრდია და ეხლა ერთმა წუნკლიანმა ბიჭმა გამირყვნას!..

აქ როსტომის წინვე დაუძახა შუშანამ მართას და გაცოფებული სწვდა თმაში.

— მაგისთვის გაგზარდე!.. მაგისთვის გივლიდი შვილივითა, შე სალახანავ!.. რაღათ მინდა თავი ცოცხალი... ან შენ კიდევღა გაცოცხლო!.. მოკვდი, მოკვდი!.. აღარ გაცოცხლებ აღარა! — ეძახოდა შუშანა, და თან უწეწავდა, რაც შეეძლო თმებსა, სცემდა და სჩმეტავდა: — შენ უნდა ჩვენისთანა თავადიშვილის ოჯახი შეარცხვინო... შენა!.. ჰა?! — და თან სიბრაზისგან სდიოდა შუშანას პირიდან დორბლი.

მართა სულგაკმენდილი ვეღარა ბედავდა ვერც გამართლებასა და ვერც ხმის ამოღებასა: იცოდა, რომ ამგვარად გაშფოთებულს ქალბატონთან არაფერი სიმართლე არ გაუვიდოდა. შუშანამ მინამა სცემა, სანამ თითონვე არ მოიქანცა და მერე მოქანცული მუქარითა და უშვერის პირის ლანძღვით მიესვენა ტახტზედა.

როსტომმა არც აცივა, არც აცხელა, ააწევინა სოსიკა, წააყვანინა ჩასტში და დააწვინა როზგქვეშ. სოსიკა სულგაკმენდილი და გულშემაგრებული წვებოდა როზგქვეშ, რაკი ატყობდა, რომ ვერც ძალით და ვერც ნებით ამ თავის მოსაკლავს სირცხვილს ვერ ასცდებოდა. ის ჩუმად, საღმრთო ცხვარივით დაწვა. დიდი ხანი სდიოდა ამას ტანიდან თქრიალით სისხლი, სახე მთლად გაულურჯდა, ძარღვები გაევსო სისხლითა, ხორცისა და ტყავის ნაფლეთები ასდევდნენ წკეპლის წვერებს, თვალები ჩაუსისხლდნენ, და სოსიკამ არც ერთი კრინტი, არც ერთი ხმა არ ამოუშვა პირიდან. ბატონი ელოდა სოსიკას თხოვნასა, მაგრამ სოსიკა ელოდა ბატონისგან სიკვდილს, იმას აღარ უნდოდა ამ სირცხვილიდან ცოცხლივ ადგომა. სოსიკა თითქმის უგონოდ აუშვეს როზგიდან. როსტომმა აუკრძალა იმას იმის სახლში შესვლა.

მოვიდა გონებას სოსიკა და აიტაცა საშინელმა სირცხვილმა. „სადღა უნდა წავიდე! — ფიქრობდა ისა: — ვისღა უნდა ვეჩვენო, ვისღა უნდა დავენახო როზგნაცემი!.. რას იფიქრებს ამაზედ ახლა მართა!.. რაღათ მინდა ამას იქით თავი ცოცხალი!.. არა! მე სასიცოცხლო აღარა ვარ... ამდენი ქვეყნის სირცხვილი უნდა ვჭამო.

ვაჟკაცი მქვიან და...“ აქ ველარ გაათავა სოსიკამ. ის გამწარებული წამოვარდა ალაგიდან და ატაცებულმა გასწია მტკვრისაკენ. ის მივიდა გაბედვით და თავგადადებული მტკვართან; დაიწერა პირჯვარი და აპირებდა მტკვარში შერევას, რომ მოაგონდა თავისი მართა. „ახ, ნეტავი ერთი კიდევ მენახა მაინცა!“ სთქვა იმან თავის გუნებაში. იმას მოუნდა საშინლად თავის გულის მეგობრის ნახვა, უნდოდა წარმოეთქვა იმისთვის თავისი გრძნობა, თავისი სიყვარული. „მე ხომ იმისთვის არ მითქვამს ჯერა, რარიგად მიყვარდა მე ისა!“ იფიქრა იმან. „ერთი კიდევ მაინც ვნახო სიკვდილის დროსა და გამოვესალმო. იცოდეს მაინცა, რომ მე იმისთვისა ვკვდები, მომიგონოს მაინცა...“ აქ შედგა ამ ფიქრით სოსიკა და დაჯდა მჩქეფარე მოდუდუნე მტკვრის პირსა და აიტანა ათასმა ფიქრმა. წყლის ელვარებამ და შხუილმა გაართეს სოსიკა თანდათან უფრო და უფრო ღრმა და სამწუხარო ფიქრში. აუდუღდა აქ სოსიკას ამ ფიქრებისაგან გული და დაიწყო მწარედ მწუხარედ ტირილი. მაშინ, მხოლოდ მაშინ, გამოიღვიძა იმის გულში ფიქრმა, თუ რა მიზეზია, რომ ამას კი არ შეუძლიან ისე ბედნიერად ცხოვრება, როგორც სხვებსა. რა მიზეზია, რომ სხვებს კი შეუძლიათ ერთმანეთის თავის სურვილით შერთვა და ამას და მართას კი არა. ჩვენც კაცები არა ვართ!.. რათ უნდა იყვეს ასე!.. ფიქრობდა ისა და ვერ მიხვედრილიყო ამის მიზეზსა და ვერც განემარტებინა თავის თავისთვის ეს მიზეზები. „ალბათ ღვთის ნება თუა ასე!“ არწმუნებდა ის თავის თავსა. მაგრამ მისი აღელვებული ცნობა და გონება არა სჯერდებოდნენ ამ განმარტებას და ამ პასუხს: ისინი თხულობდნენ დაკმაყოფილებას, რომელიც არ შეეძლო სოსიკას. ის კიდევ ღმერთს ადებდა ბრალსა: „ალბათ ღვთის ნება თუა!“ ფიქრობდა კიდევ, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა იმის შეშფოთებულს ფიქრებს.

დიდხანს და დიდხანს იყო სოსიკა, აქ მტკვრის პირას, გართული ამ სამწუხარო ფიქრებში. ფიქრი ფიქრზედ მოსდიოდა და ერეოდა გონებაამღვრეულს სოსიკას თავში და უფრო უმღვრევდნენ გულსა და გრძნობას. აღელვებული და ანთებული სისხლი ეცემოდა ხოლმე გაშფოთებულს სოსიკას შიგ ტვინში და იმის შერცხვენილი თავმოყვარეობა არ აძლევდა იმას მოსვენებას — ისინი თხოულობდნენ სისხლსა და ზღვევასა შერცხვენისა და დამცირებისთვის. „რა კარგია! — მოუვიდა ფიქრი სოსიკასა: — მე მცემეს და შევე მოვიკლა თავი!.. რა ბიჭობაა!.. ის მოკვდეს, ვინც უსამართლოდ იქცევა!.. სწორედ იმისი სიკვდილი სჯობიან... მაინც ხომ თავი მაქვს გადადებული და სასიცოცხლო აღარა ვარ და ბარემ ერთი

ჯავრი ვიყარო, დავლიო ერთი ბუჭა სისხლი ჩემი მკვლელისა!..“ აქ სოსიკამ იტაცა ხანჯალს ხელი, წამოხტა მრისხანედ ალაგიდან და გასწია საითკენღაც. ღამე, როდესაც იდროვა სოსიკამ, რომ როსტომი დაბრუნდებოდა სამსახურიდან, ჩაუჯდა ხანჯალამოღებული ერთს ვიწრო ქუჩაში და დაუწყო საშინელის გულის ცემით ლოდინი. უცებ შემოისმა ფეხის ხმა. გამოჩნდა როსტომი და... დაუდუნდა ორთავ ხელები სოსიკას. თითონაც არ იცოდა, რა მოხდა იმის თავსა: ისე აემღვრა თვალები, ისე აუკანკალდა გული, ისე მოსწყდა ხელები, ისეთი მრისხანე და საშიშარი ეჩვენა იმას როსტომი, რომ არამცთუ შებედა მოკვლა, სრულებით იმ წუთას ფიქრშიაც აღარ მოუვიდა. სოსიკა რომ ამ ყოფაში ჩავარდა, როსტომმა თავისთვის გულდამშვიდებით გაიარა და არ იცოდა, რა ხიფათი ელოდა იმას ამ წუთას. გვიან მოვიდა სოსიკა გონსა. მაგრამ აქაც კიდევ ვერ გაბედა ბატონის გამოდგომა. ის წელმოწყვეტილი და უარესად შერცხვენილი შეეთრია მახლობელს დუქანში, «დღეს არ იყვეს — ხვალ იყვეს...» სცა თავის თავს ნუგეში, და ჯავრიანს გუნებაზედ ერთი კარგად ჩათვრა. მეორე დღემდის მთვრალი ეგდო დუქნის ოთახში. მეორე დღეს გამოფხიზლდა და ცოტა გულიდანაც გადაევლო დარდებსა და სირცხვილსა. «ეჰ! რაც მოხდა — მოხდა,— იფიქრა იმანა: — ბატონია, რაც უნდა ყველა შეუძლიან ჩვენს თავსა... ყმა, მაშ რის ყმაა!.. სჯობს როგორმე სხვაფრივ მოვუარო ჩემს თავსა...» და აქ გადასწყვიტა ჯარში წასვლა. „იქ იმდენს ფულს შევკრიბავ ერთ-ორს წელიწადსა, რომ მართა გამოვიხსნა. გამოვიხსნი ბატონისგან მართასა და ვიცხოვრებ როგორც იქნება.“ გადასწყვიტა თავის გუნებაში სოსიკამ ლაღოდახში წასვლა და ახლა უნდოდა ენახა თავისი მართა, ეამბნა იმისთვის თავის განზრახვა, გაეგო იმისი აზრიცა და აეღო იმისგან სიტყვა, რომ ის მანამდის მოუცდის ამას და არავის ქმრად არ ინდომებს.

XI

კაცი გახდა, ღმერთი იცინოდა

სოსიკამ ერთი-ორი კვირის შემდეგ ძლივს ჩაივდო მარჯვე დრო მართას ნახვისა. ერთ დღეს შეიტყო სოსიკამ, რომ ბატონიცა და ქალბატონიც საცაღას წავიდნენ. სოსიკა მაშინვე გაექანა მართას სანახავად ბატონის სახლში. რაკი დაიგულეს სოსიკამ და მართამ მარტოდ ერთმანეთი, მოეხვივნენ ერთმანეთს და შეჰქმნეს ხმა-ამოუღებლივ ცხარედ ტირილი. დიდხანს იყვნენ ისინი ასე მდუ-

ღარეთა და დიდხანს არ იცოდნენ, საიდან დაეწყოთ და რა ეთქვათ თავის მწუხარებაზედ, ვერც ერთი ვერ დარეოდა გულამოსკვნით ტირილსა. ბოლოს დაიწყო სოსიკამ.

— მე მინდა ჯარში შევიდე.

მართა შეხტა გაოცებით. იმას მაშინვე გაუელვა თავში — რასაც დღეს უნდა ელოდეს ჯარში წამსვლელი კაცი...

— ჯარში რა გინდა? — ჰკითხა არევით მართამ.

— ის მინდა, რომ შენ უნდა გამოგიხსნა ამ ახტალაამოსასვლელი ოჯახიდან.

— არა! არც გამოსვლა მინდა და არც შენი ჯარში წასვლა... შეხრომ იქ აგიტყდეს რამე, ან გამოსვლა რათ მინდა და ან სხვა რამე!...

— მაშ, რა იქნება ჩვენი ასე ყოფნა!.. შენ ბატონები თავის დღეში არ დაგითხოვენ და მე უშენოდ თავსაც მოვიკლავ... უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლიან...

— ჯარში წასვლა!.. აბა იფიქრე, შენ რომ იქ აგიტყდეს რამე, მე რაღა უნდა ვქნა!.. ჩემი სიცოცხლე ხომ სიკვდილზედ უარესი იქნება... ეხლა ცოცხალი მაინც მეგულები.

— რა უნდა ამიტყდეს იქა!.. განა ყველა, ვინც იქ მიდის, იქ იხოცებიან! აი, რამდენი დადის ჩვენი სოფლიდან, მაგრამ ისევ კი ცოცხლები მოდიან. ამას გარდა, მე იქ არა გამიჭირდება რა: ბატონის ძმა, გიორგი, იქა ბრძანდება და, ღმერთმა ადღეგრძელოს, — ჩვენი ბატონივით უღმერთო კი არ არის, — სუყველა ემადლიერება. ჩვენი სოფლის ხალხი, ხომ სულ ამხანაგურად ჰყავს მიღებული. ვინ იცის, იქნება ჯვარიც მომიტანოს...

მართას მოუვიდა კიდევ ტირილი და მოეხვია სოსიკასა.

— მაშ როდისღა ვნახავთ ერთმანეთსა! — დაიწყო იმან გულამოჯდომით. — ვიღა იქნება ეხლა ჩემი ნუგეში და პატრონი!.. როგორ უნდა გავუძლო ეხლა უშენოდ ამ არწივებსა... ოჰ, ღვთის მშობელო დედავ!.. ეხლა სოსიკასაც უნდა დავშორდე!..

მართამ მიიფარა თვალებზედ ხელი და დაემხო სოსიკას კალთაში.

სოსიკასაც ამოუჯდა გული და თუმცა ცდილობდა თავის შემაგრებას, მაგრამ აემღვრა იმასაც ცრემლებისაგან თვალები.

— ეჰ! ნუ სტირი მართავ! განა ჩემთვის კი ადვილია შენი მოშორება!.. მაგრამ... ეჰ! ალბათ... ასეა და ასე უნდა მოხდეს... მერე უფრო იქნება ღმერთმა მოგვხედოს... გამოგიხსნი და მერე სულ ერთად ვიქნებით...

— ვინ იცის ეგ როდის იქნება! — წარმოსთქვა ცრემლებით მართამ და შეხედა ცრემლისაგან გაწითლებულმა სოსიკას, თითქო ჰკითხაკდა იმასა, რომ ეთქვა, როდის იქნებოდა ეს ბედნიერი ამბავი.

სოსიკა პასუხის მაგივრად მოეხვია მართას და ორივენი ცხარედ ჩაეკვრნენ ერთმანეთს გულში.

დიდხანს იყვნენ ისინი ასე მდუმარედ, დიდხანსა კოცნიდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს. ბევრს ხანს მარტო ყოფნამ და ცხარე ხვევნა-კოცნამ აუღელვა ორთავ ყმაწვილ კაცს სისხლი და დიდხანს იმაგრებდნენ ორივენი ცუდის გულისთქმიდან თავსა. სოსიკა აინთო თონესავით, დაუწყო უწყალოდ გულმა ცემა, აემღვრა გრძნობა და გონება, აღარ ახსოვდა აღარც თავი, აღარც თავისი მოქმედება.

— ბატონები გვიან მოვლენ? — ჰკითხა იმან საშინელი გულის კანკალით მართასა და დაეყრდნო თავით მხრებზედა.

მართა, რომელიც მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს კითხვა, თუმცა ცდილობდა თავის შემაგრებას, მაგრამ როგორღაც უნებურის გრძნობით უპასუხა:

— დაიგვიანებენ... — და აქ დაბნელდა ორთავეს თვალში ყველაფერი, გაჰქრა ქვეყანა მათ თვალწინ...

ცოტა ხანს უკან მოისმა კარებზედ ბატონების ხმაურობა. სოსიკა გავარდა მეორე კარიდან.

მართა დაემხო პირქვე და სტიროდა. რასა? ყველაფერს. იმან შესწირა სიყვარულს თავი. და ის, ვისთვისაც ამან გასწირა ყოველიფერი, რომელიც ამას ერჩივნა მთელს ქვეყანას, თავის თავს, თავის სულს, უცებ მოეგლიჯა გულიდან და მოშორდა, ვინ იცის სამუდამოთაც. ის უნდა დაშთენილიყო ახლა იმ ხალხში, რომელიც ამას ნუგეშის მაგივრად, მტრულად უყურებდა და ყოველს შემთხვევაში ცდილობდა ამის წყენასა და დამცირებას; უნდა დარჩენილიყო იმ ხალხში, რომელიც ამაში ხედავდა პირუტყვს, რომელიც არ ზოგავდა ამას არაფერში.

სოსიკა გავარდა აქედან, მაგრამ იმაში უფრო სხვა რიგი გრძნობა აღიძრა. ის რაღაც სიხარულსა გრძნობდა ახლა გულში და თითქო ერთი რამ მძიმე მოეშვა გუნებაზედაო; ის თითქო დარწმუნდა, რომ ეხლა კი ვეღარავინ წამართმევს ჩემს მართასაო და ამას იქით ის სამუდამოდ ჩემი გავხადეო.

აქედან გასწია სოსიკამ თავის სოფელში. აქ ის ჩაეწერა თავის სოფლის ბადლათა ლაღოდახში მდგომს ჯარში წასასვლელად. ჯამაგირი უნდა ჰქონოდა სოფლიდან თვეში შვიდი მანეთი და სახელმწიფო სამი მანეთი. აქედან, რაკი სახელმწიფო ხარჯზედ იყო, იმან დააწყო, რომ დაეხარჯნა სხვადასხვა მოულოდნელი საჭიროებისათვის თვეში სამი მანეთი და გადაედო შვიდი მანეთი, რომელიც ორს

წელიწადს იმისი ანგარიშით შეადგენდა საკმაო ფულსა, რომ მართა გამოეხსნა. ვინიცობაა ამ ფულსაც არ დასჯერდებოდნენ ბატონები, ფიქრობდა დანაშთენი ფულის სესხებასა და მასუკან ამ ფულის გადასახდელად ისევ ჯარში ჩაწერასა. მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ამჟამად, როგორც წინათ იყო ნათქვამი, როსტომი გამორიცხეს სამსახურიდან. ამას დასჭირდა ფული ახალი ადგილის საშოვნელად. ამან გაწერა კაცებში ფული და სოსიკას მამას შეხვდა რვა თუმანი. ფული, რაღა თქმა უნდა, სოსიკას მამას არა ჰქონდა და ვერც უშოვნა ბატონსა. სოსიკას ფული იყო სოფელზედ ასაკრები. როსტომმა აკრიფა და ჩაიყარა სოსიკას მამის ხვედრს ფულში.

სოსიკამ გაიგო ეს ამბავი, მაგრამ გაიმაგრა კიდევ გული იმითი, რომ ერთს წელიწადსაც წაუმატებდა ჯარში და შეაგროვებდა ისევ იმოდენავე ფულსა. გავიდა მეორე წელიწადი და მოუვიდა ამბავი, რომ ამისი ფული ისევ ბატონის ჯიბეში წავიდა, რადგან სოსიკას რომელიღაც ძმას გაეჯავრებინა ბატონის მოურავი, რის გამოც შეეწირათ ათი თუმანი და რაკი ოჯახში ვერაფერს ილაჯს გამხდარიყო, მიეცათ სოსიკას ფული. სოსიკა გამოვიდა მოთმინებიდან და გაჯავრებული აპირებდა შინ წასვლას, მაგრამ ცოტა მოფიქრების შემდეგ ისევ დარჩა.

— რო წავიდე, უფრო რიღათი გამოვიხსნი მართასა? — სთქვა იმან თავის გუნებაში: — ამ ორ წელიწადს კიდევ და მერე მე მართა ველარსად წამივა.

სოსიკამ მისცა კიდევ თავი მოთმინებასა, მაგრამ აქაც კიდევ მოეცარა ხელი. ის ერთს სროლაში დაიჭრა მაგრად ფეხში. სოსიკა დაწვა ჰოსპიტალში და აღარ იყო იმედი მალე მორჩენისა. იმას აჭუპირებდნენ ფეხის მოჭრასა, მაგრამ გიორგი ტაბლაძემ, რომლის სოტნაშიც იყო სოსიკა, არ მისცა ნება ექიმებს და ურჩია სოსიკას, წასულიყო შინა და ისევ შინ ეწამლა თავის ფეხისთვის. სოსიკას ესეც გაეხარდა, რომ გადარჩა ფეხის მოჭრასა და შეეძლო შინ წასვლა. „ფეხის მოჭრას, ისევ სიკვდილი მირჩევნიან“, ამბობდა ის თავის გუნებაში, — „აქ სიკვდილს, კიდევ შინ, ჩემს დედ-მამასთან მირჩევნიან მოვკვდე: იქ შემიბრალებს ვინმე მაინცა, აქ კი ისე მეკიდებიან, თითქო უბრალო კუნძი რამ ეგდოსო“. გიორგიმ აჩუქა ხუთი მანეთი სამგზავროთა და დაჰპირდა ჯვარზედ წარდგენას.

სოსიკამ იქირავა ძვირად ურემი და ერთი რვა დღის უკან მივიდა შინ ცოცხალ-მკვდარი. დედ-მამა, ძმა და დები მიეგებნენ ტირილითა; დედა და დები მოსთქვამდნენ იმას, როგორც მკვდარსა. მთელი სოფლის კაცი და დედაკაცი შეიყარნენ სოსიკას სანახავად და სარ-

ჩევლად, როგორ მოევლოთ იმისათვის. სოსიკამ რომ ასე გულმტკივნეული ხალხი დაინახა თავის გარშემო, მოუვიდა სიამოვნებით ცრემლი თვალებზედ. „ეჰ! თავის მახლობლები მაინც სხვა ყოფილა!“ იფიქრა იმან გულაჩუყებულმა.

რაკი პატარა შეისვენა სოსიკამ და ცოტა უფრო ღონეზედაც მოვიდა, დაუწყეს იმას სხვადასხვა ამბების კითხვა, ან როგორ მოუხდა ეს დაჭრილობა, ან სად დაიჭრა, ან რა ომი იყო, რომელშიაც ეს დასჭრეს, ან როგორა სწამლობდნენ ამის დაჭრილობასა. სოსიკამ დასუსტებულის ხმით უამბო იმათ ყველაფერი, რაც ენახა და რაც გადახედოდა.

— ღმერთმა ადღეგრძელოს ბატონის ძმა გიორგი, იმისთანა კაცი ღმერთს არ დაუბადნია. იმისთანად არავის გლეხკაცი არ ებრალება... ის რომ არ ყოფილიყო, მე აქამდის რა მაცოცხლებდა...

— უი! ღვთის მშობელმა დედამ ულხინოს და უცოცხლოს, ვისაც იმისი გული შეხაროდეს! — იძახოდა სასოებით მლოცველი სოსიკას დედა.

— ღმერთმა ადღეგრძელოს! — იძახდნენ გლეხკაცი მეზობლები, — აბა ღმერთიც იმას მისცემს, ჩემო ძმაო!.. მადლიან ადამიანს ღმერთი არ დაჰკარგავს...

— იმისთანა ღვთისნიერი ადამიანი არ შეიძლება, — სულ ჩვენთან აკეთებს ყველაფერს, მხარში ამოგვიდგება და როგორც კაი მუშა გლეხკაცი, ისე საქმობს და გვამხნევებს... ვის შეუძლიან ჩვენი წყეინება... სულ თავს მოიკლავს... კაცი იმასა ჰქვიან... ჩვენც. მე და ჩემმა ღმერთმა, იმისთვის თავდადებულები ვიყავით... სული არ გვშურდა... თუ ის არა ყოფილიყო, მე შენ მოგახსენო, ეხლა ან მკვდარი ვიქნებოდი, ან ფეხი აღარ მებმოდა... ფეხი რომ მოეჭრათ, რაღათ მინდოდა თავი ცოცხალი...

— უი, გენაცვალე შვილო! ვის უნდა მოეჭრა შენთვის ფეხი?! — შეჰყვირა შეშინებულმა დედამ, თითქო კიდეც ეს არის ეხლა მოსჭრეს ამის შვილს ფეხიო.

— ლეკრები მიპირებდნენ ფეხის მოჭრასა, თუ გიორგი არა ყოფილიყო.

— უი! მოგიკვდეს დედა! რას გემართლებოდნენ ის ახტალაამოსასვლელები! რაზე დაიდებდნენ ჩემს ცოდოსა და წამაწყმედინებდნენ სულსა!...

ესე და ამგვარი ლაპარაკი არ გამოლეულა სოსიკას გარშემო მთელი ერთი კვირა და სადაც არა მგონი გაისმოდა გიორგი ტაბლაძის ქება და ლოცვა.

— აი ღმერთი კიდეც იმიტომა სწყალობს, — ეუბნებოდნენ ერთ-

მანეთს გლეხკაცები, — აგერ არ არის, გული სისხლის ჯვრებით სავსე აქვს.. კი არა გავს თავის მჭადიჭამია სილიან ძმებსა.

სოსიკას მეორე დღესვე მოჰგვარეს ერთი ქართველი თუ არ ვიცი ოსი ექიმი, რომელმაც სამ-ოთხ დღეზედ რაღაცა მალამოების შემწეობით ამოართვა ფეხიდან ტყვია და ერთს თვეზედ წამოაყენა ფეხზედ...

მორჩა სოსიკა და უკანასკნელი ფულიც მისცა საექიმოში, დარჩა ისევ ხელცარიელი და მართას გამოხსნის იმედი არსად იყო. ამან დააპირა ისევ ჯარში წასვლა. მართას არ მოუთმინა გულმა და მოსწერა ჩუმად სოსიკას წიგნი, რომ თუ გაბედავს კიდევ ჯარში წასვლასა, ის თავს მოიკლავს და მერე ის ფულიც ოხრად დარჩება. სოსიკამ მაინც არ დაიშალა და გაზაფხულზედ ჩაეწერა ბადლათა. „დავიჯერო ეხლაც მომეცაროს ხელი?!“ იფიქრა იმანა და კიდევ ეხლაც მოეცარა. ის რომ ჯარში წასასვლელად გაემზადა, მოუვიდა ბატონის ბრძანება, რომ წასულიყო ქირის ურემზედა. სოსიკამ ითხოვა, იმის ძმა წაეყვანათ, მაგრამ ბატონმა იმის მეტი არავინ ისურვა. სოსიკას მოუვიდა ბრაზი და რომ ვეღარ გააწყო-რა, დაიწყო ბავშვივით ტირილი. იმას მოუვიდა ფიქრად, გაქცეულიყო და მოეტაცნა მართაცა, მაგრამ, რაკი კარგად ჩაფიქრდა, აიღო ამ განზრახვაზედ ხელი. „სად დავემალები სამართალსა? ვინ შემარჩენს მე ამასა?.. ვაიმე... ე... ე... ე!..“ დაახრჩიალა იმან კბილები „შენი ერთი მუჭა სისხლი!.. ერთი შენი სისხლით გაძღომა... დამაცადეთ!.. და ამით გათავდა იმისი მუქარა. ის დაემორჩილა ხვედრსა და წავიდა ქირაზედ.

ორი წელიწადი სოსიკა ათრია ბატონმა ურმებზედ. ორი წლის განმავლობაში დადიოდა სოსიკა ქალაქში, მაგრამ ძვირად თუ ნახავდა ის მართასა და ისიც ერთი-ორი წუთით, დაიწყებდნენ ორივე ტირილსა და თავის ბედის წყევლასა.

— ღმერთო! — ფიქრობდა ხოლმე ნახვის შემდგომ სოსიკა გულჩათუთქული, — დავიჯერო ვერ ვეღირსები მე იმის გამოხსნას? დავიჯერო ვერ მოვესწრები იმ დღესა, რომ მართა ტყვეობიდან გამოხსნილი მყავდეს ჩემს სახლში, ჩემს ოჯახში, რომ აღარ იყვეს ის იმ სისხლით გაუმაძღრების ხელში!..

და ამ ფიქრთან იტაცებდა ხოლმე ქოჩორში ხელსა. ორი წლის უკან ის განთავისუფლდა მეურმეობისაგან და ჩაეწერა ისევ ჯარში.

— თუ ეხლაც მომეცარა ხელი, ან მე უნდა ვიყვე, ან ჩემი ბატონი, — იფიქრა იმან გუნებაში.

გავიდა ერთი წელიწადი მშვიდობიანად. სოსიკამ სიხარულით აკრიფა ფული და შეინახა მძიმედ გამონასკული. დარჩა ერთი წე-

ლიწადი კიდევ. ის, როგორც ბავშვი აღდგომას, ისე მოელოდა მეორე წლის გათავებას, რომ ამ დროს მოუვიდა ამბავი: როსტომი დაბრუნდა შინა, შეაწერა კაცებს ფული და მამაშენს ათს თუმანსა სთხოვსო. მოუვიდა მამისაგან ხვეწნა, გაესტუმრებინა ბატონი. ეცა ელდა სოსიკასა. „ეხლა მაინც აღარავის მივცემ, რომ თუნდა ყელიც გამომჭრან!“ იფიქრა იმანა და შეუთვალა მამას უარი. მაგრამ ორი კვირის უკან, მამა ტირილითა და მწუხარებით დაადგა თავს სოსიკასა.

— რას გვიზავ, შვილო, ყელებს ხომ არ გამოგვჭრი: ზეკუცია კარზედ გვადგია, — სულ დაგვიყიდიან, რაც გვაბადია, და მერე უნდა გულხელი დავიკრიფოთ და გადავცვივდეთ წყალში... ჯერ, შვილო, სამჯერ უცემიათ იასაულებს ამ დროული კაცისათვის... თავი დღეში ავი სიტყვა არავისგან მომაგონდება... ან უნდა ეხლა დაგვიხსნა, ან ერთიანად ყველას ყელები დაგვჭრა...

შეებრალა სოსიკას მამა, მოუვიდა თითონაც ტირილი და დაუთვალა უკანასკნელი ფული გადასახადში.

— ვაჰიმე... ე... ე! — შეჰბღავლა იმან განწირულების ხმით,— როდემდის უნდა ვიყვეთ ჩვენ ამ დღეში მაგისგანა... დამაცადოს! ამ ერთ წელიწადს კიდევ მოვიცდი, და თუ კიდევ არა იქნება რა, მერე კი მე ვიცი... ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!..

ამ სიტყვებთან იმან გადასწყვიტა, თუ კიდევ აღარ მოეცრებოდა ხელი, დარჩენილიყო ორ წელიწადს კიდევ და გამოეხსნა მართა. მაგრამ წლის გასულს მოუვიდა ამბავი, რომ შენი ფული ბატონმა აკრიფაო. სოსიკა ამ ამბავს კი სრულებით აღარ მოელოდა, იმას ეგონა, დასრულდა ჩემი სატანჯველიო... იმან ამ გაგონებაზედ იტაცა თმებში ხელი და ერთი საათი სულ გაშრა, მერე გიჟივით დაიწყო თავსა და პირში ცემა, დაუწყო თავის თავს გინება...

— მოკვდი, შე ოხერო ჩემო თავო, მოკვდი! რაღად გინდა სიცოცხლე... ახია ჩემს ქალაჩუნა თავზედ ყველაფერი... შე უნამუსო, ჩემო თავო, რამდენი სირცხვილი ჭამე, რამდენი მოითმინე და დედაკაცივით გაუჩუმდი უსამართლობასა!.. ახია შენზედ ყველაფერი... — არ გინდოდა და არც მოგცა ღმერთმა... არა, რაღას ელოდი!.. როგორ არ იცოდი, რომ იმ აფთარისაგან ვერ მოისვენებდი!.. არ იცოდი განა... არ იცოდი განა?!. გაოხრდი ჩემო თავო, გაწყდი, გაწყდი, რომ აღარ იყვე... დამაცადე!.. დამაცადე!.. ვიბანებ შენს სისხლში, გავძღები შენი სისხლითა!.. წმიდა გიორგი პატიოსანო, შენ ამომიწყვიტე ოჯახი, სახლ-კარი, თუ ჩემი გულის წადილი არ ავასრულე!.. დამაცადე!..

მოვიდა ჯარში ჩაწერის ვადა, მაგრამ სოსიკა აღარ ჩაეწერა. ის მივიდა გიორგისთან გამოსასალმებლად.

გიორგიმ, რომელიც იყო სოსიკას ასისთავი და მოუტანინა წმ. გიორგის ჯვარი, ისე ტკბილად, ისე ძმურად მიიღო შეწუხებული და ჯავრისაგან და ბრაზისაგან ატაცებული სოსიკა, რომ სოსიკას უნებურად მოუბრუნდა გული და მოუვიდა თვალებზედ ტირილი.

— ახ, ბატონო გიორგი, რატომ მე შენი ყმა არა ვარ და შენ ჩემი ბატონი, — დაიწყო სოსიკამ გულამომჯდარმა: — შენა!... შენ ჩემს სულს, ჩემს თავს შენ განაცვალებდი... თავის დღეში გვერდს არ მოგშორდებოდი... ამ ბატონის ხელში კი უნდა ასე უბედურად გადავეგო... ეხლა ან მე უნდა ვიყვე, და ან ეგა...

აქ სოსიკას ცრემლებმა გააკმენდინეს ხმა.

— როგორ თუ ან შენ იყვე, ან ისა? — ჰკითხა გიორგიმ. თითქო არ იცოდა, რაც ამბავი იყო.

— ეჰ! ნუღარ მკითხავ, ბატონო გიორგი... შენ ყველა კარგად მოგეხსენება... მე შენთან, როგორც ჩემ სულთან, არაფერი დამალული არა მქონია... შენ იყავი ჩემი მამაცა, ბატონიცა, ჩემი ღმერთიცა...

— მე გხედავ, სოსიკავ, რომ ძალიან გულდამწვარი ხარ... დაჯექ, პატარა შეისვენე, ცოტა გული მოიბრუნე... ჩვენი გამოსალმების დროს, ერთი ძმურად კიდევ ჩავსხდეთ და კახურით გული გავიგრილოთ, მერე უფრო კარგად ვიფიქრებთ და დავაწყობთ ჩვენ საქმესა... თუ შევიძელ რამე, დაგეხმარები, თუ არა და, შენ იცი... შენ საქმეს ისევ შენ უფრო კარგად მოუვლი.

სოსიკა დაჯდა თავის საყვარელს მეუფროსესთან რომელმაც ამას ასე მამობრივად და წმინდა მეგობრულად დაუყვავა, დაუმშვიდა გული. პატარა ხანს უკან ისინი ტოლ-მეგობრულად ჩაუსხდნენ სუფრას. როცა პატარა გადაჰკრეს, სოსიკამ გულწრფელად გამოუცხადა გიორგის, რა აზრითაც ბრუნდებოდა ახლა ის შინა.

— მაშ ღმერთმა, ბატონო გიორგი, ჩემი თავი მოგიკლას და ჩემ ზედ ცუდი კაცი ნუღარ გაჩვენოს, თუ მე ჩემი ბატონი კიდევღა ვაცოცხლო!.. მაინც მკვდარი ვარ და მკვდარი... მეტი სირცხვილის ჭამა და ტოლ-მეგობარში გამოკლება აღარ შემიძლიან... აი, ე წმიდა გიორგის გაძლევ თავდებათა, რომ მალე გაგაგონებ, რაც შესძლებია გაჭირვებულ კაცსა...

— გამიგონე, რა გითხრა, — გააწყვეტინა გიორგიმ: — აჩქარებით, ჩემო ძმაო, საქმე არ გარიგდება: შენ რომ ის მოჰკლა, შენ თავსაც მოჰკლავ, შენ საყვარელსაცა, შენს მოხუცებულს დედ-მამასა...

ცა, ცოდოც ცოდოდ დაგედება. მე უფრო კარგს გეტყვი. შენის აზრით, რამდენი თუმანი გეყოფა მართას გამოსახსნელად?..

— ეჰ! რამდენიც უნდა იყვეს, იმათი შოვნა მე აღარ შემიძლიან... მეყო, შენი ჭირიმე, ამდენი ტანჯვა. რვა წელიწადია ჩემი ჯანი და ღონე იმ ფულის შოვნას შევალიე და ის მარტო სულ ჩემი გაუმაძღარი ბატონის ჯიბეში წავიდა...

— აცა, მე რას გეუბნები. შენ ჯერ ეს მითხარ, რაერთი არის საჭირო, რომ გამოიხსნა მართა?

— მე ისე ვფიქრობდი, ერთი თექვსმეტიოდე თუმანი შემეგროვებინა აქა და, თუ კიდევ მეტს ითხოვდნენ, სხვა სადმე ვალად მეშოვნა და მერე გადამეხადნა... მაგრამ... ღმერთმა არ ინება და ეხლა მოხდეს, რაც იმისი ნება იყვეს...

— შენ, ჩემო სოსე, ერთი სამიოდე დღეს მომიცადე კიდევ აქა: მე გიშოვნი, რაც ფული მოგინდება და მე შენ ძალას არ დაგატან. როცა შეიძლო, წვრილ-წვრილად გადამიხადე გინდა ფულათა, გინდა მუშითა, — ერთი სიტყვით, რითაც შეიძლო და როგორც გიჯობდეს. სარგებელი შენი მე არ მინდა. სუყველას, მე მგონი, ესე სჯობდეს: ცოდოსაც ასცდები, მართასაც გამოიხსნი.

სოსიკა არ მოელოდა ამგვარ თავისი საქმის დაბოლოვებას, და ცალკე გაოცებულმა, ცალკე სიხარულით აღტაცებულმა, აღარ იცოდა, როგორ წარმოეთქვა თავისი გრძნობა. იმას მოუვიდა თვალებზედ ცრემლი და მივარდა გიორგის მუხლებზედ. გიორგიმ აიტაცა ის საჩქაროდ.

— ადექ! რას ჩადიხარ?.. გეუბნები, გიშოვნი-მეთქი, — გიშოვნი...

— როგორ უნდა გადვიხადო შენი სიკეთე, ბატონო გიორგი? ღმერთის მეტი, ჩემ სიკეთეს შენ ვერავინ გადაგიხდის... მიმსახურე, როგორც შენი ყმა... სიკვდილამდის მიმსახურე... შენთვის მოვკვდები... თავს დავდებ შენთვისა.

— კარგი, დამშვიდდი და ამ სამ დღეზედ გაგისტუმრებ შენი მართას გამოსახსნელად.

მესამე დღეს გიორგიმ ჩაუთვალა ფული სოსიკას.

— აი ეს ოცი თუმანი, მე ვიცი, რომ თუ გამოგახსნეინა შენმა ბატონმა თავისი მოახლე, ცოტას არ დაგჯერდება, და აქეთ-იქით სესხებას; ისევ ჩემი გემართოს, ის გიჯობს, თუ ნაკლებ დაგჯერდება და, რაც დაგრჩება, სხვაფრივაც დაგჭირდება. ეს ორი თუმანიც ისე უვალოდ მომიცია შენი ერთგულობისა და ვაჟკაცობისთვის. შენი ბიჭობა ომში მე არ უნდა დავივიწყო. ბევრჯერ გინახუსებივარ მტერთანა. შენ შენს დღეში არ ჩამომრჩენიხარ არც ერთს

ცხარე ბრძოლის დროს მხარში და მეც უნდა დავაფასო, ჩემო სოსიკავ, შენი სამსახური. უფრო მეტი ჯილდო გერგებოდა, მაგრამ. ღმერთია მოწამე, მეტი არ მეშოვებოდა, ეგეც ვალად ავიღე: ხო იცი მე ფულს არ ვინახავ. ეს კი კარგა დაიხსომე ჩემგან, სოსიკავ, რომ ყველა საქმეში სიმხნევე უნდა, აგრე მალე შეშინება და ეშმაკის აყოლა არ ვარგა. ღმერთი თავის გაჩენილს უნუგეშოდ არ დააგდებს... მშვიდობით, სოსე, ნუ დამივიწყებ... თუ გაგიჭირდეს, ისევ მე მომმართე. მეც მალე მოვალ შინა. შენს ბატონს სულ გაუტყავებია ჩემი ძმები, უნდა მივეშველო, თორემ ტყუილია.

აქ სოსე და გიორგი მოეხვივნენ ერთმანეთს ძმურათა და გასწია სოსიკამ.

სოსიკა წავიდა პირდაპირ შინისკენ ისეთი სწრაფად, თითქო ფრთები ასხიაო. მეოთხე დღეს იმან ადრე ამოყო თავის სოფელში თავი.

— რარიგად გაეხარდება მართას, ეხლა რომ ფულს მივიტან და გამოვიხსნი. ის ეხლა სულ არ მოელის, რომ მე ფული მაქვს... ვინ იცის, როგორ იმედგადაწყვეტილია...

ესა და ამგვარი ფიქრი ერეოდა სიხარულისაგან აღტაცებულს სოსიკასა. იმის გონების თვალი გზაში სულ მართასთან იყო, მართას უალერსებდა, მართას ახარებდა; ხედავდა როგორ გაეხარდება მართას ამისი ნახვა, ფულის შოვნა. უდგა თვალწინ მართა დახსნილი, ამასთან ერთად მცხოვრები... სრული ბედნიერი...

მოვიდა შინა, მაგრამ მართას ნახვას კი ვერ ახერხებდა. სოსიკა მშობლებსაც კი უმალავდა ფულს, რომ არა მთხოვოსო. თუმცა მართამ იცოდა სოსიკას მოსვლა, მაგრამ გამოხსნის იმედი სულ არა ჰქონდა, რადგან არ იცოდა თუ იმას ფული ჰქონდა, ამის გამო ერიდებოდა იმის შეხვედრას, რომ არ განახლებულიყო იმათი დაახლოება და არ ჩავარდნილიყო ბატონების სატანჯველში.

ბოლოს, როცა იყო, სოსიკამ შენიშნა, რომ მართა დილ-დილით მზის ამოსვლის დროს დაიარება ვენახში ლობიოს მოსაკრეფად ბატონების სადილისათვის. ერთხელაც უთვალთვალა სოსიკამ და დაჯდა ვაზებში, სადაც მართას უნდა ლობიო ეკრიფა. პატარა ხანს უკან გამოჩნდა მართაც კალათით ხელში. მართამ ჩუმად დაუწყო ლობიოს კრეფა და ხშირად რაღაც უნებური ოხვრა ამოხდებოდა ხოლმე გულიდან...

სოსეს დაუწყო გული ცემა და შეეკრა კრიჭა. იმან ძლივს გაბედა გამოჩენა.

— მართას გაუმარჯოს! — წაადგა ის თავს მართასა.

მართა შეშინებული შეკრთა, მინამ სოსიკას იცნობდა.

— ახ, სოსიკავ შენა? — უთხრა იმან კიდევ უფრო შემკრთალმა, — აქ რას აკეთებ?

— შენ სანახავათ მოვედი. უნდა მოგელაპარაკო...

— ახ! დამეხსენ შენი ღვთის გულისთვის, სოსიკა, ნუღარ ჩამაგდებ მეორეთ სატანჯველში, ან შენთვის რა მადლია!..

— უნდა გამოგიხსნა, გოგო...

— კარგი, გეთაყვანე, ნუღარ მატყუებ... გინდა კიდევ შემაცდინო და ამიყოლო... თუ ბატონებმა კიდევ გაგვიგეს რამე, თავს აღარ ვიცოცხლებ... იმათ მოკვლას, ისევ რო მე მოვიკლა თავი, ის მირჩევნიან... რათა დგები ჩემ ცოდოში?..

— გამიგონე, გოგო, ფული მოვიტანე, უნდა გამოგიხსნა...

— ფული! რის ფული? განა არ ვიცი, რომ შენი ფული სულ ბატონმა აიღო... რათ მატყუებ? ჩემი მოტყუება რა მადლია!..

— სხვა ფული ვიშოვნე... ბატონის ძმამ, გიორგიმ, მასესხა.

— ვიცი, რომ მატყუებ... დამეხსენ, გეთაყვანე, სოსიკა, მეყო ამდენი სირცხვილი და ტანჯვა... ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან.

— თავი არ მომიკვდება, არ გატყუებ. აი თუ ვტყუი, — და აქ სოსიკამ გახსნა თავისი ქისა და უჩვენა ფულები.

— სოსეჯან, შენი ჭირიმე, მართლა?.. გამომიხსნი ამათი ხელიდან?.. სოსე, ჩემო სოსე, ჩემო კარგო სოსე!..

აქ მართა უნებურად მოეხვია სოსიკას. სოსიკამ მიიკრა მართა მაგრა გულში.

— წავიდეთ, მართა აი იმ გაბურდნულს ვაზებში... იქ გიამბობ ყველაფერს... იქ დავაწყოთ ჩვენი საქმე.

მართა გაჰყვა.

ისინი შევიდნენ მთლად გაბურდნულს ვაზებში. გარშემო იყო მყუდროება. არსაიდან სიო, არსაიდან კაცის ხმა. შორს დილის მზის დანახვაზედ მაღლიდან დასძახოდნენ მოლაღურები, ისმოდა ატეხილი ფრინველთ ჭყრიპინი. სოსე და მართა უცებ ჩაეკვრნენ ერთმანეთს გულში... რამდენსამე ადგილს გადაშლილი ვაზის შტოებიდან ჩამონათდა ოქროსფერი შუქი მზისა... სოსე და მართა გადიქცნენ ერთ კოცნად, ერთ ადამიანად...

მზე შუბის წვერზედ იყო ამართული, რომ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

შუშანა გაცხარებული ეძებდა და უძახდა მართას...

XII

არას მომცემ, ყბასაც მომტეხ

დიდხანს იყო ფიქრში სოსე, როგორ დაეწყო ბატონებთან საქმე მართას გამოსყიდვისა, დიდხანს თათბირობდა ამ საქმეზედ. მაგრამ ღონისძიება ვერა მოეპოვნა რა. თვითონ პირდაპირ მისვლა და თხოვნას ვერა ბედავდა; მეზობელი მებატონეთაგანი მიეგზავნა ვინმე, ყველასთან ნაჩხუბარი იყო როსტომი და არც არავის რათ აგდებდა, არც არავის პატივსა სცემდა; მამასახლისი მიეგზავნა, და მამასახლისს უფროც ეშინოდა ბატონისა, რაკი დიდხანს ვერა აზრზედ ვერა დადგა და ვერა მოაგვარა რა, ისევ თავის თავს მიმართა.

— ეჰ! რაც გახდეს — გახდეს, — იფიქრა იმან, — მოდი ისევ მე მივალ, იქნება ღმერთმა ხელი მომიმართოს და გასჭრას ჩემმა ბედმა.

რაკი ბატონისა ეშინოდა, ისევ იფიქრა, შუშანას მივმართავო.

— თუ ის მოინდომებს, ბატონიც უარს არ მეტყვის.

ამ ფიქრით სოსიკამ ერთს დღეს, როცა დაიგულა როსტომი სხვაგან წასული, მიმართა შუშანას ძღვნით ხელში.

შუშანაც რაღაც კარგს გუნებაზედ ბრძანდებოდა იმ დღესა.

— ოჰ, სოსიკავ, ამბავი? რას მოუყვანიხარ ჩვენთან?.. მიკვირს მოგგონებივართ!

სოსიკას, რომელიც საშინელის მოკრძალებით შევიდა, ცოტა გული მიეცა ამ გაურისხებელს კითხვაზედ.

— ეჰ, შენი ჭირიმე, ქალბატონო! თქვენ რო დაგივიწყოთ, ვიღა უნდა გვახსოვდეს! ჩვენ დღესაც თქვენი ვართ და ხვალაცა... თქვენს მეტი ჩვენი ბატონი და პატრონი ვინ არის, რომ თქვენ დაგივიწყოთ...

— კარგია, რომ მაგდენი გეყურებოდეთ ჩვენ გლეხკაცებსა, მაგრამ რო არ გესმით მაგდენი...

— რა, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხკაცნი ვართ, ჩვენ რომ თქვენოდენა გვესმოდეს, ხომ ჩვენც კაცნი ვიქნებით... უნდა მოგვიტეოთ...

— ოჰ, სოსე! ჯვარიც მიგიღია?.. კარგია!.. რატომ ცოლს კი ალარ ირთავ?

აქ უფრო კიდევ იმედი მოეცა სოსესა.

— მე, შენი ჭირიმე, ქალბატონო, იმიტომ უფრო გავბედე თქვენთან ხლება... თქვენი წყალობის იმედი ისე მაქვს, როგორც ღვთისა... მე, თქვენ თუ მოგეხსენებათ, მართას აგერა მეცხრე წელიწადია პირობა მივეცი... ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ ხატზედა, რომ

ერთმანეთის მეტი არავინ შევირთოთ... მე, შენი ჭირიმე, თუ არ ესა, ღმერთის წინაშე პირობა დამიდვია, სხვა არავინ შევირთო ცოლათა... აქამდინაც მინდოდა მეთხოვნა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ბატონის ვალია, ხელცარიელი ვერ გიახელით... ეხლა, ქალბატონო, მიბოძეთ ნება მართას გაყვანისა და როგორც თქვენი ნება იყვეს, ისე გვიმსახურეთ... მაინც ჩვენი იმედი და მისამართი თქვენს მეტი არავინ არის... თუ მიბრძანებთ მეცა და მართაცა ისევ თქვენს კარზედ ვიქნებით, ისევ თქვენვე გახლდებით და რაც აქამდინ ერთგულობა გაგვიწევია, ეხლა ერთიორად უკეთ გემსახურებით და თქვენს სამსახურში და ერთგულობაში ორივენი თავს დავდებთ... ოღონდ, შენი ჭირიმე, ჩვენ ერთმანეთს ნუ გაგვყრით და ნუ ინებებთ ჩვენს საუკუნოდ დაღუპვასა... ჩვენ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიან... მაშინ ჩვენ ვიცით და ჩვენმა ნამუსმა და ჩვენმა ადამიანობამა.

შუშანამ მოისმინა ეს ყველაფერი და იკბინა ტუჩებზედ. „ა!“ იფიქრა იმანა: „ამათ ისევ ხსოვნებიათ ერთმანეთი! ესენი უთუოთ ისევ შეუჩნდნენ ერთმანეთსა!.. კიდეც იმიტომ არის მართა ისე უგულისყუროთ ყველა საქმეზედა... დამაცადონ!.. ამათ ესეები უნდა ჩაიდინონ კიდევ ჩემს სახლში!..“

— მე რა მენაღვლება, თუ შენი ბატონი ნებას მოგცემს! მე რო მეუბნები, ჩემი თხოვნა ტყუილი არ არის? თუ ის მოგცემს ნებასა, მე რა უარი შემიძლიან... მე რა მეკითხვის.

— არა, შენი ჭირიმე, ქალბატონო! ნუ ინებებთ, ღმერთი გადღეგრძელებთ, ჩვენს დაღუპვასა... თუ თქვენი ნება გახლდებათ, ბატონი თქვენს სიტყვას თავის დღეში არ წაუვა... თქვენი შვილების სადღეგრძელოდ, ნუ ჩაგვაგდებთ ცეცხლში... ამდენი ხანია იმისთვის ვეწვალები... სისხლი დამიღვრია. თავი გამიწირავს და ეხლა ნუ ინებებთ ჩემს გაუბედურებას... ჩვენი ბატონი, ჩვენი ღმერთი თქვენა ბრძანდებით...

— მე შენ გეუბნები, რომ, თუ შენი ბატონი მოგცემს, მე არა მეთქმისრა-მეთქი. აი ნახე როდისმე შენი ბატონი და გაიგებ სწორესა...

— თქვენც დამეხმარეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ, ღმერთი გაგიზრდით თქვენს ვასილს და ილიკოსა... თავი არ მომიკვდება თავს მოვიკლავ თქვენს წინ, ყელს გამოვიჭრი, თუ მე და მართა ერთად არ შევიყარენით... ღვთის ფიცი დაგვიდვია...

— საღამოზედ მობრძანდება შენი ბატონი და, თუ გინდა, შეგიძლიან ნახო. ყველა იმის ნებაა...

სოსიკა წამოვიდა, მაგრამ, როგორღაც იმედი დაეკარგა, რომ ეს საქმე ასე ადვილად გათავებულიყო.

სოსიკა გასცდა თუ არა კარის ბჭესა, შუშანამ მაშინვე დაუძახა მართასა.

მართა, რომელიც ყურს უგდებდა მეორე ოთახიდან ამ ლაპარაკსა, შევიდა თონესავით წითლად ანთებული.

— სოსიკა ბრძანდებოდა აქა... შენ გიპირებს გამოხსნას... შეხ რაღას ამბობ: გვანებებ თავსა?

მართა უარესად გაწითლდა და ჩაღუნა თავი.

— ნუ გრცხვენიან... გინდა შენც იმის შერთვა?

პასუხის მაგივრად, მართას წასკდა თვალებიდან ცრემლი.

— უ! დამიხედეთ! არა, რა გატირებს?.. მაშ გნდომებია, რაღა!.. თქვი, რასა მალავ!.. გინდა?

— რა მოგახსენო, — წაილუღლუღა ცრემლში მართამ.

— აქ რაღა გიჭირდა ჩვენთანა? ცუდათ გეპყრობოდით? ჭამა გაკლდა, სმა გაკლდა? ჩაცმა-დახურვა გაკლდა?.. ჩვენ შვილებში არც მე და არც ჩემი ქმარი არ გარჩევდით... სხვა რა გაკლდა, რომ ეხლა ერთ ყარტლიან გლეხკაცზედა გვცვლი?..

მართამ უფრო მოუმატა ტირილსა.

— თქვენ სიკეთეს თავის დღეში არ დავივიწყებ, ქალბატონო. ჩემი დედაც თქვენა ბრძანდებით...

— სოსიკას არ უთქვამს შენთვის, რომ უნდა გამოგიხსნას?

— დიახ! — უპასუხა მართამ ჩუმის ხმითა.

— როდისა გნახა?

მართა გაჩუმდა.

— ქა, რასა მალავ! თქვი, რაღა!

— ლაღოდახიდამ რო დაბრუნდა.

„აკი ვთქვი!“ იფიქრა შუშანამა.

— ხშირათა ხედავთ ხოლმე ერთმანეთს?

— ერთხლის მეტად არ მინახავს.

— ტყუილათ არა მალავ!

— წმიდის ღვთისმშობლის მადლმა.

შუშანამ აღარა ჰკითხა რა. იმან ცხადად შენიშნა სიცრუე.

— კარგი, წადი და ვნახოთ ეხლა ბატონი რა პასუხსაც მოგცემთ. გვეყო მაგდენი გულის ხეთქვა თქვენგანა.

მართამ შენიშნა ქალბატონს მრისხანება და გადიწყვიტა იმედის გავიდა უიმედოდ.

დარჩა მარტო შუშანა და დაუწყო გულმა შფოთვა.

„ჰმ! ჰხედავ ამ უნამუსოებს, როგორ კიდევ ერთმანეთისთვის

მიუგნიათ! მაგათგან ამდენი სირცხვილი უნდა ვჭამოთ! ეგ აქლა დასაყენებელია!.. სულ ჩემი ქმარის ბრალია... ვეუბნებოდი: ციხეში ჩაასმევინე-მეთქი! — არ დამიჯერა..., ახლა დახსნასაცა ფიქრობენ... ღორის ტილები...“

საღამოზედ, დაბრუნდა თუ არა როსტომი შინა, სწვდა ყრონტში შუშანა.

— აბა, რო გეუბნები, შენი ყმები და მოსამსახურენი არაფრათ გაგდებენ-მეთქი, არა გჯეროდა!.. წადი, ვენაცვალე ღმერთსა! აჰკურკურებიან სოსიკა და მართა კიდევ ერთმანეთსა... თავები კი მოგვჭრეს და! თითით საჩვენებელი კი გაგვხადეს და!.. ნურცარას ეხლა ეტყვი! აგერა მობრძანებულა სოსიკა და ახლა მართას დახსნასაც თხოულობს. ნეტავი ეხლა სხვაც რამ არა გვთხოვონ, ჩვენ იმისთანა ბატონები ვყევართ იმათა...

— ოჰ, შუშან! შენ ისეთნაირად ამტეხიხარ, რომ ერთ უბედურებას გადამკიდებ... რა გინდა ჩემგანა?.. რაღა შენგან ცეცხლის მოკიდება მინდა!..

— ჰო! მე კი არ ვიცოდი, რომ შენ შენი ყმებისა გეშინიან!.. მე დედაკაცი ვარ და ამ ლეჩაქისა რომ არა მრცხვენოდეს, ეს ლეჩაქი რომ არ მეხუროს, მე ვიზამდი შენს მაგივრობასა... მაგათი უნდა შემეშინდეს... მაშ სამართალი აღარსადა ყოფილა... მაშ ჩვენ ხმა აღარ ამოგვეღება ჩვენ ყმებთან... მაშ რაღაზედ ვიხეთქავთ გულებს! ავდგეთ და დავანებოთ თავი: ეგენი ბატონები იყვნენ, ჩვენ ყმები... ეგ არის, რაღა!.. კაი ბატონ-ყმობაა!..

როსტომი გაჩუმდა. იმას შერცხვა, რომ ცოლმა მშიშრობა დასწამა. შუშანა გავიდა თონესავით ანთებული მეორე ოთახში. როსტომმა დაიწყო ოთახში სიბრაზით წინ და უკან სიარული და თან იკვნეტდა ტუჩებსა.

პატარა ხანს უკან შემოყო სოსიკამ თავი.

— მინდოდა და მოხვედი! — შესძახა როსტომმა: — რისთვის, მოსულხარ?!

სოსიკა დაეცა მუხლის თავებზედ.

— ჩემი სიცოცხლეცა და სიკვდილიც თქვენს ხელთ...

როსტომმა არ გაათავებინა და სწვდა ქოჩორში...

— მე გიჩვენებ შენ სიცოცხლესა და სიკვდილსა! არ გეყო, განა?!. — აქ როსტომმა ჩამოიღო კედელზედ ჩამოკიდებული მათრახი და ჩაქეტა კარი...

— შენ აქ ჩემი მოახლეების გასარყვნელათ დაბრუნდი განა ჯარიდან... შენა ბედავ განა ჩემი სახლის უპატიურებას!.. ჰა! შე არამზადავ!.. არ გეყო!.. არ გეყო!

სოსიკა ძლივს მოვიდა გონს მათრახქვეშა და მოისვა სარტყელზედ ხელი, მაგრამ ხანჯალი ზედ არა ჰქონდა. აქ ის გამოუსხლტა ხელიდან როსტომს, გააღო საჩქაროზედ კარები და დაეშვა ბალკონიდან. ამ დროს დაინახა სოსიკამ მართა. მის დანახვაზედ აენთო სისხლი. იმან დააპირა ბატონისაკენ მობრუნება, მაგრამ რაკი მოაგონდა, რომ იარაღი არა ჰქონდა, ერთი მოიხედა ჯავრით ბატონისაკენ და გასწია ისევ საჩქაროდ, რომ ბატონი კიდევ არ მოსწეოდა.

გადარჩა ბატონს და მიდიოდა სოსიკა სისხლაღელვებული, გული უცემდა მრისხანებით, თვალები აევსო სისხლითა და გადასწყვიტა, რომ ეხლა კი აუსრულებს თავის ამდენს მტანჯველსა და ქვეყანაში გამომსალმებელს. „ეხლა კი მოვიდა შენი დასასრული დღე... მე ხომ მაინც მკვდარი ვარ, და აღარც ჩემს მტანჯველს გავახარებ წუთისოფელში...“

ამგვარად იარა სოსიკამ დიდხანს, დაბოლოს დაეგდო ერთი დიდი კაკლის ქვეშ თავჩაღუნული და ვერ მოსულიყო დიდხნობამდინ გონსა. აქ ძლივს გამოერკვა სოსიკა და გასწია მაგარის ნაბიჯით შინისაკენ, იმან იქ ჩამოხსნა იარაღი, გადიგდო მხარზედ თოფი და გასწია, სახლობის გაუგებრივ, სოფლიდან.

სოსიკას სოფლიდან გასვლა ვერავინ შენიშნა. რადგან ამჟამად. არამც თუ მთელი ეს სოფელი, გარეშემო სოფლებიც იყვნენ გართულნი უფრო სხვა სეირში. სუყველას გონება ჰქონდა მიპყრობილი როსტომისა და გიორგის წინააღმდეგობასა და შუღლზედ. გიორგი, რომელიც ამ ერთის თვის წინათ დაბრუნდა ჯარიდან, იყო შეტაკებული როსტომთან, რომლისთვისაც ის იყო შინ მოსული.

წავიდა სოსიკა სოფლიდან და ორი-სამი დღე ნახევარზედ მშიერ-მწყურვალე დაეხეტებოდა ტყესა და ჭალებში და ზვერავდა იმ ალაგებს, სადაც უფრო ხშირად დადიოდა ხოლმე ამისი ბატონი. ბოლოს ძლივს მოასწრო ამან როსტომს. ის მოდიოდა ცხენით ყრუ ჭალის გზაზედ რაღაცა ალაგების დასათვალიერებლათ. სოსიკა საჩქაროზედ ჩაჯდა ყრუ ბუჩქებში და დაუწყო გულმა ცემა, ხელებმა კანკალი, იმან შემოსვა ჩახმახი და გაამზადა თოფი. როსტომი დაუახლოვდა თოფის სროლის მანძილზედ. სოსემ დაუმიზნა თოფი მარჯვენა საფეთქელში და დაუშვა ჩახმახი... თოფი არ გაუვარდა. სოსეს დავიწყებოდა საპირწამლის მოყრა ფალიაზედ. იმას ეხლა მოაგონდა ისა. ის სასწრაფოდ სწვდა საპირწამლეს... მაგრამ ამ ჩახმახის დაცემინებაზედ, მინამ ის კიდევ თოფს გამართავდა, როსტომმა მოჰკურცხლა ცხენი. ის გულგახეთქილი მივარდა ცხენის ჰენებით შინა და უამბო შუშანას თავისი განსაცდელი.

— ეგ უთუოდ გიორგი იქნებოდა, თქვენმა მზემა!.. იმის მეტი რაზბონიკი და კაცისმკვლელი ვინ არის აქა!.. — მიატანა შუშანამ.

— რას ამბობ! გიორგი სად იყო! მე რომ წავედი, ის უიარაღოდ ვენახში მიდიოდა ნელ-ნელა... ეგ მე ვიცი, ვინც იქნებოდა... ეგ უთუოდ ჩვენი გვარის მტრებმა მოგვიგზავნეს მოსაკლავად ოსი ვინმე. ჩვენი ოჯახი სულ იმათ ამოწყვიტეს...

— აკი გეუბნები: უკაცოთ ნუ დადიხართ-მეთქი. ცარიელი კაცი როგორ უნდა ენდოს ამდენს რაზბონიკებსა....

— არა, აქ უიარაღოდ და უკაცოდ სიარული არ შეიძლება. ერთი მეღა ვარ და ჩემზედაც თვალები უბრმავდებათ... ზოგი მაშინ მომიგზავნონ მკვლელები, რომ მთელს ორ-სამ ნასოფლარს მოვუგებ... სისხლით გაუმაძღრები...

როსტომის თავს რომ ეს ამბავი მოხდა, გიორგი ჩავიდა ვენახში ცხენის გადასანაცვლებლად, მაგრამ ცხენი იქ აღარ იყო. იმას აეგლიჯა და გაქცეულიყო. გიორგი წავიდა საძებნელად. იმან დაუწყო ჭალაში ძებნა ცხენსა და უცებ წაადგა თავს სოსიკას, რომელიც თოფით ხელში იჯდა დაფიქრებული ერთი ჩქარი მდინარის პირსა.

გიორგი ისე წაადგა სოსიკას თავსა, რომ სოსიკამ ვერ შენიშნა.

— მაგ თოფით აქ რას აკეთებ, სოსე! — ჰკითხა გიორგიმა: —გინადირნია, თუ რა არის?

სოსიკა შეხტა, რაკი იცნო გიორგი. წამოდგა ზეზედ.

— დიახ, ვნადირობდი, მაგრამ თოფი არ გამივარდა... საპირწამლის დაყრა დამვიწყებოდა....

— რას ესროდი?

— რასა და ორფეხს ნადირსა, რომელსაც მე დიდი ხანია დავდევ და დღეის მეტად ვერ გავბედე...

— ახ, ღმერთო! კიდევ!.. რა გაქვთ გასაყოფი? რით ვერ გაიყავით.

— განა თქვენც არ გაიგებდით, იმ დღეს რა მიყო ბატონმა?.. შევედი თუ არა მართას სათხოვნელად, ჩამიკეტა კარი, მტაცა ხელი და მომყო მათრახითა... როდემდინღა უნდა უთმინო! კაცი ვარ მეცა ხორციელი...

— მაშ მაშინვე უნდა მოგეკლა... ეხლა ჩუმად მოკვლა ვაჟკაცის წესი არ არის...

— მაშინ დანაც არა მქონდა ხელში, და მუშტით ხომ ვერ მოვკლავდი. რო მცოდნოდა, თუ მაგ საქმეს მიზამდა, მაშინ მე ვიცოდი... მაგრამ... რა გაეწყობა! აგერ ეს მესამეთ გადაურჩენია ეგ ჩემს

ხელსა... ერთიც კიდევ ვცდი და თუ კიდევ ასცდა, მაშინ მე თითონ სასიცოცხლო აღარ ვიქნები.

— გამიგონე, რა გითხრა, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. შენ ცოტა მოითმინე. აგერ საცაა დავითი მოვა შინა, — ეხლა ქალაქშია და მითხრა, მალე მოვალო... შენ ისევ იმას მიმართე: იმას უფრო პატივსა სცემენ...

— ეჰ! რას ბრძანებ, ბატონო გიორგი, ღმერთი გადღეგრძელებს! ძაღლისა ბატკანი ვის უნახავს... მაგისი ძმისწული კარგი რათ იქნება... ეხლა იმანაც ეგ დღე დამაყენოს... მეყო ამდენი სირცხვილის ჭამა და ქვეყანაზედ თავის მოჭრა.

— არა! არა მგონი ის მაგისთანა იყვეს... მე კი მეუბნებოდა, ბიძაჩემი თურმე ავად ეპყრობა გლეხკაცებსა და ეგებ შეღავათი მივაცემინოო... თუ არა სტყუის!.. ჩემთან რა ტყუილი ემართა.

— არა, ძნელათა მჯერა, რომ ჩვენთვისღა ქვეყანაზედ მშველელი გამოჩნდეს... ერთი ღმერთია და იმანაც ხელი აიღო... ალბათ, მართლა მხეცები ვართ გლეხკაცნი, როგორც ბატონები გვეუბნებიან-ხოლმე, თორემ ამოდენა მოთმენა, რასაც ჩვენ ვითმენთ, ხორციელს ადამიანს როგორ შეეძლო!.. არ დაიჯერებთ, ბატონო გიორგი, რომ უკანასკნელი ცოლის ჩიქილები დაჰყიდეს ჩვენი ბატონის კაცებმა... ზოგს საჭმელი აღარა აქვთ, რომ სჭამონ, თავისი მოკეთეებისაგან იკვებებიან სამადლოდ; და ჩვენთვის ხსნის იმედი არსად არ არის... რამდენი ხანია მე მაგას ვიცნობ და კაცი ძაღლს, კაცის სისხლის მსმელს ნადირს ვერ გაიმეტებს ისე, როგორც ეს იმეტებდა ცოცხალს ადამიანებსა... რამდენი უსამართლო სისხლი აძევს მაგას კისერზედ, რამდენი კაცის ცოლ-შვილის ცოდო უკისრია, და მაგის გულში კაცის სიბრალული არ გაღვიძებულა... მაგდენი ცოდო, მაგდენი სისხლი არ ასვენებს მაგასა... უსისხლოდ მაგას ცხოვრება არ შეუძლიან... რას უნდა მოელოდნენ მაგისგნით მაგისი კაცები?..

— ჩემი რჩევა მაინც კიდევ ეგ არის, მე დამიჯერე, დათიკოს მოუცადე... თუ კიდევ არ დაგიშლია და გეჩქარება, მიუგზავნე მღვდელი, მღვდელს უეჭველად პატივს სცემს... მხოლოდ ეს მითხარი: შენს ბატონს ხომ არ დაუნახიხარ, როცა თოფი დააცემინე?

— არა მგონი, გაიგონა თუ არა კვესის ხმა, შეშინდა და გაიქცა: არც კი მოუხედნია ჩემსკენ. მეორეც ესა, მე მოფარებული ვიყავი ბუჩქებში.

— მაშ ადექ და დღესვე მიმართე მღვდელს. ცოტა ძღვენი მიუტანე, ზოგსაც დაჰპირდი და არ დაიზარებს. მეცა ვთხოვ, რომ შეგეწიოს და გაისარჯოს.

— სულ ტყუილი იქნება, თორემ ნახამთ კია... ეგ სისხლისაგან არის ატაცებული და სისხლს ეძებს...

— სცადე და თუ არა იქნება რა, მაშინ დათიკოს მოუცადე. ის უეჭველად გიშველის.

XIII

კვლავ აღარ გაბედო

სოსიკამ დაუჯერა გიორგის და მეორე დღესვე მიადგა მამა ონისიმეს კარებზედ. მღვდელმა იცოდა, რომ სოსიკა მოვიდოდა, რადგან წინადღესვე გიორგიმ პირობისამებრ სთხოვა, არ დაზარებოდა და მიჰგზავნოდა სოსიკას ბატონთან.

ონისიმე მღვდელს იამა მიტანილი ძღვენი და აღთქმული სამოციქულო პატივისცემა, ამის გამო ბედავდა შუაკაცობასა, თუმცა დიდი იმედი არა ჰქონდა გამარჯვებისა.

— მე მიგეგზავნები, შვილო, მაგრამ, რა ვიცი! ძალიანია, თუ შენს ბატონთან გაჰყიდა რამე კაცმა... ერთი უსულო კაცია... არც ერის კაცისა, არც სამღვდელოსი ამას პატივისცემა არა აქვს.

— ერთი სიტყვით, მამაო, მამაშვილობამა, თუ თქვენგნითაც აღარა მეწყელა რა, თავზედ ხელი ამიღია... მე უიმგოგოვოთ სიცოცხლე არ შემიძლიან... ღვთის პირობა მაქვს მიცემული... მე ღმერთს ვერ ვუღალატებ... თუ იქნა, იქნა, თუ არა და მაშინ... ალბათ, მე ვიცი... შენს მეტი ჩემი ღონე აღარ არის... შენ უნდა მომკლა და შენ დამარჩინო...

— მე ჩემსას ვეცდები და ღმერთია ხელის აღმპყრობელი. უღმრთოდ არა იქნება რა...

საღამოზედ, ჩაის დროს, მამა ონისიმე მივიდა როსტომთან მოწიწებით. როსტომი ელაპარაკებოდა მამასახლისს რაღასაც ბრძანების კილოთი და შუშანა აკეთებდა ჩაის.

— მშვიდობა და კურთხევა სახლსა ამას! — ჩამოილოცა შესვლის უმალ ონისიმე მღვდელმა.

— მობრძანდი, მამაო ონისიმე, — მიიწვია როსტომმა მღვდელი და თითონ კი ისევ ელაპარაკებოდა მამასახლისს. — სწორედ თხუთმეტი ურემი უნდა გამოვიდეს ჩემებს გარდა და ამ სამ დღეზედ მოზიდონ დანარჩენი კირი და ქვიშა...

შუშანა მივიდა ხელზედ სამთხვევლად.

— გაკურთხოს ღმერთმა! — და მიუშვირა ხელი ონისიმე მღვდელმა.

— დაბრძანდით, მამაო, — მიუბრუნდა როსტომი — წადი ეხლა, მამასახლისო! — ის გიორგი რაღასაც აპირობს და არ დაგავიწყდეს. უთხარ მთელს ჩვენს კაცებსა, რომ ერთი დაძახება და ქუდზედ კაცის გამოსვლა ერთი იყვეს, თორემ სულ ნაცარს დაუნიავებ! გესმის?!.

— ბატონი ბრძანდებით, შენი ჭირიმე! თქვენ ბრძანებას ვინ წაუვა, ვის შეუძლიან.

— ეგრე!

მამასახლისი წავიდა. როსტომი დაჯდა.

— აბა, შუშან, ჩაი დაგვალევინე. სხვა, რას იტყვი ახალს, მამაო ონისიმე!

— თქვენს მშვიდობას! საღმრთო წერილი ბრძანებს: ჟამნი ახალნი და ერნი ახალნიო.

— ჰეშმარიტია, მამაშვილობამ! რამდენიც ახალი დრო მოდის, იმდენი ახალი რაზბონიკობა იწყობა, იმდენი ბოროტის ხალხით ქვეყანა ივსება...

— ჰეშმარიტი როგორ არ არის! მამაშვილობამა, რომ ეს კარგს არას მოასწავებს. საღმრთო წერილი ბრძანებს: ოდეს აღდგეს ძმა ძმაზედ, შვილი მამაზედ, მამა შვილზედ და აღარ იყვეს ურთიერთის დანდობა, უწყოდეთ რამეთუ მოახლოვებულ არს ჟამიო...

— ამდენი ცოდო ტრიალებს, — დაიწყო შუშანამა, — რომ მიკვირს, აქამდინაც როგორ ითმენს ღმერთი ამდენს გაუტეხრობასა. დიდისა და პატარის გაგონება აღარ არის, რაზბონიკებს სამართალი ყურს არ უგდებს, გაუნათლებელსა და ქვეყანაში გამოუსვლელსა და რიგიანს კაცში გარჩევა არ არის. ათასი ყარტლიანები ქვეყანას ამღვრევენ და არ ასვენებენ. ამაზედ უარესი დრო აღარ იქნება.

— მამაშვილობამ, რომ სულ ჩვენი ცოდოებისაგან მოგვდის. რაკი ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი, ღვთის დიდება და თაყვანის ცემა, იმანაც ჩვენზედ ხელი აიღო, თორემ ვინ მოსწრებია ამ ამბებსა.

— ეჰ! რაც ღვთის ნება იყვეს, ის მოხდეს, — დაუმატა როსტომმა.

— ოღონდა და! ყველა იმისი ნებაა, იმისმა მადლმა! რაც ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების! ბრძანებს საღმრთო წერილი. უღმერთოდ არა იქნება რა, — გაათავა მღვდელმა.

— ჰეშმარიტია! — სთქვა მწარის თავის გაქნევით როსტომმა, რომელიც მღვდელზედ უფრო უიერესად ვერ არჩევდა რუსთაველს და საღმრთო წერილს ერთმანეთში. ყველანი გაჩუმდნენ... შემოაკლდათ საფანელი.

— მე, ბატონო როსტომ, ცოტაოდენი საქმე მაქვს თქვენთან მოსახსენებელი, — დაიწყო ცოტა სიჩუმის შემდეგ ონისიმე მღვდელმა.

— ბევრი გვიბრძანეთ.

შუშანა გავიდა, ვითომ და არ დაუშალოო:

— მე, მამაშვილობამ, ვერ გაგიბედავდით შემეწუხებინა თქვენი მაღალ ბრწყინვალება, მაგრამ, რაკი მეტად შეწუხებული ვნახე და მეტად იხვეწებოდა, ჩემი ვალია, როგორც სულიერი მამისა, მოგახსენოთ. მოციქულობას თითონ საღმრთო წერილი ვალად ადებს ყოველს კაცსა. დღეს ჩვენს მხარეზედ ხელმწიფისდარი კაცი ბრძანდებით. თქვენოდენა არც კაცობით, არც ფულით, არც შეძლებით, არც გონებით — ღმერთმა მოგცეთ, — არც სწავლით და არც სხვაფრივ დღეს ჩვენში არავის შეუძლიან. თქვენ ერთი კაცის აშენებაც და დაღუპვაც ყოველთვის შეგიძლიანთ. თქვენთვის ერთი კაცის გადაგდება და აყვანა, როგორც ზღვაში ერთი ქვიშის მომატება და დაკლება, სრულებით არაფერი შესამჩნევია, და ამითი სხვა კი შეგიძლიანთ საუკუნოდ გააბედნიეროთ და თქვენი შვილები ალოცვინოთ. მე, თქვენო მაღალბრწყინვალებავ, ბატონო როსტომ, იმას მოგახსენებ, რომ მაგისთანა სამადლო საქმე არა იქნება რა, როგორც ქორწინებით შეუღლება ქალ-ყრმათა. თქვენს ერთგულს ყმას და მოსამსახურეს თქვენი მოახლე მართა სურს შესართავათა. თითონ გოგოც არ არის უარსა, და იმისი მოციქული გახლავართ, რომ როგორც გინდა, იმსახურეთ თქვენი ყმა, ოღონდ ნება უბოძეთ, თქვენი შვილების სამლოცველოთ, ქორწინებითი შეუღლებისა და, მეც მამაშვილობამა, როგორც სულიერი მამა. საუკუნოდ თქვენი მლოცველი და ღვთის წინაშე, ყოველს წირვაზედ მავედრებელი ვიქნები. როგორც კიდეცა ვყოფილვარ ყოველთვისა.

— კიდევ არ იშლის? ჰმ! ჰყუროზ იმასა? არ ეყო, განა!..

აქ როსტომი რაღასაც ჩაფიქრდა.

— მერე ფული ვინ მისცა იმასა? — ჰკითხა მოფიქრების შემდგომ როსტომმა.

— მაგისა რა მოგახსენოთ და მოგახსენებთ კი, მამაშვილობამა, რომ, რასაც სამსახურს მიბრძანებენ, ვემსახურები, ოღონდ ნება მიბოძონ, შევირთოო.

— კარგი, თქვენს თხოვნას, რა უარი ეთქმის: თქვენი პატივისცემა, თორემ, ჩვენ, სწორე მოგახსენო, მაგ არამზადას არასდროს მაგის ნებას არ მივცემდით. რაერთი აქვს ამ გოგოს გამოსახსნელათ?

— რასაც თქვენ უბრძანებთ, იმას რა უარი შეუძლიან, თუკი მოეპოვება რამე საჩსარი.

— მე, სწორე მოგახსენო, თქვენი პატივისცემისთვის, თორემ ეგ გოგო რომ გავიმეტო, მაგის მეტი რიგიანი სახლში აღარავინ დარჩება, და ვერც ოცდაათ თუმან ნაკლებ გავცემ.

— ჩემი შეწირულის მადლმა და ჩემი წირვა-ლოცვის მადლს გეფიცებით, გავბედავ და მოგახსენებთ, რომ იმას ოცი თუმნის მეტი ქვეყანაზედ არა მოეპოვებოდეს რა, ეგეც, მამაშვილობის მადლს გეფიცებით, ნასესხები აქვს და მეტს, მთელი ქვეყანა რომ შესძრას, ვეღარ იშოვნის. რადგან ჩემ თხოვნას პატივი ეცით და მაგისთანა ერთგული და შვილივით შეზრდილი გოგო გაიმეტეთ, ათი თუმანიც მე მაპატივეთ და საუკუნოდ თქვენი მონა და მოსამსახურე გამხადეთ. ის კაცი დღესაც თქვენია, ხვალაცა. თქვენს ერთგულებასა და სამსახურში დაუღამებია თავის დღენი და თუ აქამდინ ერთგული ყოფილა, მამაშვილობამ, ამას იქით უფრო გემსახურებათ და გიერთგულებთ.

— კარგი, ეგეც თქვენი პატივისცემა, რომ სულიერი მამა ბრძანდებით ჩვენი და თქვენ ლოცვებში არ გვივიწყებთ, თორემ ის თავის დღეში მაგას არ ეღირსებოდა.

— ღმერთმა გაკურთხოს, კნიაზო როსტომ! მამაშვილობამა, სამღვდელო კაცის პატივისცემას თითონ ღმერთი დაინახავს და გადუხდის ყოველს კაცსა.

აქ მღვდელი წამოდგა ლოცვა-კურთხევით და გასწია სოსიკასთან სახარებლად.

სოსიკამ სიხარულით დაიწყო თითქმის ტირილი და არ იცოდა. როგორ ეთქვა მღვდლისათვის მადლობა.

— მე ვიცი, მამაო ონისიმე და ჩემმა კაცობამ. ღმერთმა ამომწყვიტოს, თუ მე შენი სიკეთე თავის დღეში დავივიწყო. მეცა და ჩემი ცოლიც თავის დღეში თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნებით და მოსამსახურე.

სოსემ იმავე დღესვე ჩააბარა მღვდელს ოცი თუმანი ბატონის მისაცემად და ხუთი მანეთიც მღვდელს გასამრჯელო.

მეორე დღეს მივიდა მღვდელი როსტომთან და ჩააბარა ოცი თუმანი.

— ამისას ბრძანებთ ისესხაო, მამაო?.. თუ იმედი არა ჰქონდა. ხომ ვერც ისესხებდა და არც არავინ ანდობდა, — უთხრა როსტომმა მღვდელს, როცა ჩაიდო ჯიბეში ფული: — მე კი მიმალავენ, შეძლება არა გვაქვსო. აი თუ არა აქვთ! ეს კარგად იცოდენ, რომ სულს აქეთი ჩემნი არიან და რაც მაგათ აქვთ, სულ ჩემია. თუ ამას იქით

კიდევ გაბედავს ეგ ჩემი გოგოს თხოვნას, სულ ციმბირს იქით დავაკარგვინებ!.. ეგ არამზადები ეგენი! როცა ბატონი სთხოვს, არა აქვთ, თუ თითონ მოინდომეს — მაშინ კი აქვთ?! მე ვუჩვენებ მაგათა, როგორც უნდა ბატონის სამსახური!.. დამაცადონ.

ონისიმე მღვდელი გაშტერდა და გაოცდა ამ მოულოდნელს აშბავზე.

— ნუ ინებებთ, ბატონო როსტომ, ღმერთი გადღეგრძელებთ!.. ნუ გამომჭრი ნურც მე და ნურც იმას ყელსა... ნუ გამიხდით ქვეყნის ჩასაქოლად თავსა...

— ეგ თქვენი საქმე არ არის... ჩემი კაცია და მე ვიცი და იძან.. თუ თქვენ კარგი მღვდელი იყავით, თქვენი ღირსება გეცოდინებოდათ... კვლავ აღარ გაბედო ჩემთან მაგისთანა საქმეებისათვის მოსვლა.

მღვდელი გამობრუნდა თოფნაკრავივითა და დაიწყო სიმწარით ტირილი.

სოსე გაშრა და დიდხანს ვერ მოვიდა გონსა. ბოლოს ის გაექანა პირდაპირ ბატონისკენ. კარებზედ შემოხვდა უმცროსი ძმა, რომელიც ახლდა მსახურად სოსიკას მაგივრად ბატონსა. ის მაშინვე მიხვდა, რათაც მოდიოდა სოსე.

— სად მიხვალ? — ჰკითხა იმან შეშფოთებითა და გადაეღობა გზაში.

— ჩამომეცა-მეთქი!.. მე ვიცი, სადაც მივალ...

— ვიცი, სადაც მიხვალ! ტყუილად მიდიხარ: ბატონი სხვაგან წავიდა.

— სად წავიდა?.. სადაც არის, უნდა ვიპოვნო! სად წავიდა.. მითხარი ეხლავე...

— დიამბეგთან წაბრძანდა.

სოსიკამ დაიჯერა და დაეშვა ძირსა.

— დახე მაგის ბედსა!.. სად წავა?!. ქვეშკნეთში! იქაც კი თან ჩავყვები... უნდა კბილით დავგლიჯო მაგისი ხორცი...

სოსე გააბრუნა ძმამ და შეიყვანა შინა. იგი დაემხო პირქვე და სტიროდა ბავშვივითა. კარგა ხანს უკან იმან შეისხა ტანზედ იარაღი და ჩაუჯდა ბატონს გზაში. გვიან ღამემდინ ის ელოდა ბატონის მოსვლასა. ბატონი არსად იყო. შუაღამისას ის დაბრუნდა შინა და შეიტყო, რომ ბატონი არსად წასულიყო. მეორე დღეს ელდასავით გავარდა ხმა, რომ გიორგი როსტომის ყანებსა მკისო.

სოსიკაც ადრიანად მიიჭრა გიორგისთან, სადაც იმას მკა ჰქონდა.

— არ დაუთმო არაფერი მაგას, — დაუწყო სოსემ გიორგის ცხარედ ლაპარაკი. — თუ ვინიცობაა, იმას ბევრი კაცები ჰყავს და გა-

ჯობონ, მაშინვე დამაცადე!.. ეს არის... თქვენმა რჩევამაც მუქთად ჩამიარა... სულ ყელი გამომშრა...

— დაიცა, დაიცა, სოსე, ნუ ჩქარობ! შენ მე ვაჟკაცათ მიცვნიხარ და ვაჟკაცურად მოიქეც, ვაჟკაცობა მარტო ომისა კი არ არის, ვაჟკაცი ყოველ საქმეში ვაჟკაცი უნდა იყვეს!.. პირველი ვაჟკაცი ის არის, ვინც გაჭირვებას მოითმენს და საქმეს ბოლოს გაატანს... შენ მოდი ერთი დაჯექ ჩვენთან, მუცელს პატარა ბოძი მივცეთ, მაშინ ვოვიდეს შენი ბატონი და გველაპარაკოს... თუ გვცემოს, ალალი იყვეს ეს მომკილი და სხვის მიწაში მოყვანილი ყანა — წაიღოს, თუ არა და ამასაც წავიღებთ და ბევრს ამისთანას კიდევ სხვასაცა...

აქ შეგროვდნენ გიორგის მუშები და ერთი დიდი კაკლის ქვეშა და დაიწყეს პურის ჭამა. გიორგი ჩაუჯდა მუშებს შუაში და მოისვა სოსიკა გვერდით. შექეიფიანებულმა მუშებმა და გიორგიმ დაიწყეს სიმღერა. ამ სიმღერამ და ცოტა ღვინომ გადაჰყარეს გუნებაზედ მოწოლილი სისხლის წყურვილი, და ჩაფიქრდა დარდიანად სოსიკა.

— ოჰ, ბატონო გიორგი! — დაიწყო იმან პატარა ხანს უკან:—რა იქნებოდა, რომ მეც შენი ყმა ვყოფილიყავი!.. რა იქნებოდა, ჩვენს ბატონს ცოტაც არის შენი გამოჰყოლოდა რამე... ოჯახი დამექცეს, სახლ-კარი ჰმომებუგოს, თუ ჩემ თავზედ ძლიერ არ მეყვარებოდა, თუ თავს არ დავდებდი იმის ერთგულობასა და სამსახურში... ეხლა კი!.. რა ყოფაა ჩვენი ყოფა... ერთმანეთს სასიკვდილოდ დავდევთ, ერთმანეთის სისხლი გვწყურიან... ორივენი უნდა გავუბედურდეთ!..

აქ სოსიკას მოერია თვალებში ცრემლი, მაგრამ შეიმაგრა ისევ გული, გაამსო ერთი ყანწი და წაიჩოქა გიორგის წინ.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ბატონო გიორგი!

გიორგიმ ძმურად აკოცა:

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო სოსე, შენი ძმობა და სიყვარული ნუ მომიშალოს...

— აბა, რა მოგახსენო, ბატონო გიორგი... მე, გაუზრდელ გლეხკაცს, სიტყვაც არა მაქვს, თქვენი საკადრისი ვსთქვა რამე... ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა წმიდა გიორგიმ ისე გაგაძლიეროს, როგორც გემართლებოდეს ჩემისთანა საწყალი კაცის გული... შენი სიმართლე, შენი გლეხკაცისა და გაჭირვებული კაცის სიბრალული თავი დღეში დაუვიწყარი იქნება, ვისაც კი ერთხელ შენთან საქმე ჰქონია.. კარგთან კარგი ხარ, ავთან ავი!.. კაციც მაგისთანა უნდა... ვენაცვალე შენს ღმერთსა, შენ მასკვლავსა... ღმერთმა გაუმარჯოს, ხალხო, ბატონ გიორგისა!.. ღმერთმა ამოაგდოს ამისი ორგული კა-

ცი და ვინც ამისი ფასი არ იცოდეს... ეს ბატონი კი არ არის, ანგელოზია, მამაა გლეხკაცისა... მთელი მილიცია ამისთვის თავდადებული იყო!.. თავებს დაიხოცავდნენ, რო ეთქვათ, ამის გულისთვისა... ეჰ, ბატონო გიორგი! რამდენი სიკეთე მიგიძღვის ჩვენ კაცთანა... რამდენი მწუხარება და ჯაფა აგვიტანია ერთათა!.. რამდენი ტკბილი დროება გაგვიტარებია... ერთი შენი შემოხედვა, ერთი შენი ტკბილი სიტყვა მაძლევდა ღონესა და შეძლებასა ყველა გაჭირვებაში... ეხლა სად არის ის დრო...

აქ ორატორმა მძიმედ ამოიოხრა და მოიყუდა ყანწი.

— ესე მტერი დაგეცალოს, — და წამოამხო ცარიელი ყანწი სოსიკამა.

— გაგიმარჯოს, ჩემო სოსე! — მიატანეს შექეიფიანებულმა გლეხებმა: — კაი ბატონს ჩვენც კარგად ვემსახურებით... ღმერთმა გვიდღეგრძელოს მაგისი თავი...

პატარა ხანს უკან, ღვინით გამხნევებული მუშები, ცეცხლივით ჩაერივნენ ყანასა და სოსიკამაც წამოავლო ნამგალს ხელი. საღამომდის დაუშრომლათ მკა გიორგისა და სხვა პირველ მომკელებთანა. საღამოზედ ძალზედ მთვრალი და დაღალული დაბრუნდა შინა. მეორე დღეს მოხდა როსტომის თავს ის ამბავი, რომელიც ჩვენ ზემოთ ავწერეთ და სადაც გიორგიმ ის ისე შეარცხვინა და დაამარცხა. ამ ამბავში სოსიკაც, რასაკვირველია, ერია როსტომისგნით გამოყვანილს კაცებში და ერტყა თავისი გრძელი ხანჯალი. ის არა შორდებოდა როსტომსა და ელოდა, ვინიცობაა, გიორგის დაამარცხებდა, ეფუყა იმისთვის ხანჯალი. ბედი როსტომისა, რომ ის დაამარცხეს. როდესაც შეიქნა ცხარე ბრძოლა და როსტომის კაცები გაიქცნენ, ამ დროს ვიღამაც გიორგის კაცებთაგანმა, გაცხარებულმა სდო სოსეს კეტი თავში. სოსეს დაუბნელდა თვალთა და დაბარბაცდა. მობრუნდა თუ არა, იტაცა ხანჯალზედ ხელი, მაგრამ მოვიდა გონსა და მიიხედა, საიდანაც დაჰკრეს. ამ დროს დაინახა, რომ გიორგის ეგდო როსტომი ქვეშა და ჰბუნბლავდა.

— ვაჰ, შენი ჭირიმე გიორგი! — შესძახა უნებურად სოსიკამა:— მოჰკალ! მოჰკალ — და მიიწია სოსიკამაც. მაგრამ გიორგის კაცებმა, რომელნიც ვერ მიხვდნენ, რათაც მიდიოდა, არ მიუშვეს ის იქითკენა და კინაღამ ხელმეორედ გაიზედავეს. პატარა ხანს უკან სოსიკაც გაეცალა გაცხარებულს გიორგის ხალხსა. აქ ცოტა არ იყო მოუსვენა სოსეს გულმა.

— შენი მომრევიცა ვნახე! — იძახდა ის თავის გუნებაში: — ეხლა კი მოვუცდი დავითსაცა და იმისგანაც თუ არა იქნა რა, მაშინ მოსულა მაგისი აღსასრულის დღეცა!..

XIV

დავითის შემწეობა

მესამე დღეს გაემგზავრა როსტომი ქალაქისკენ და სხვა თოფიარაღიან მხლებლებთა შორის, იახლა სოსიკაცა. აქ მისცა როსტომმა მთავარმმართებელს საჩივარი. ამ საჩივარში იყო სხვათა შორის მოხსენებული, რომ გიორგი უპირებდა ამას ხანჯლით მოკვლასა, თუ ხელდახელ არ გაეგდებინებინათ როსტომი იმისთვის ხელიდან და არ ეტაცნათ გიორგისთვის ხელი; იყო მოხსენებული, რომ გიორგიმა და იმისმა მილიციონერებმა დასცეს ამას დამბაჩები, მაგრამ ღმერთმა დაიფარა ისა და გადაარჩინა საშინელს განსაცდელსა; იყო აგრეთვე მოხსენებული, რომ ვითომც გიორგი ჩასჯდომოდეს ამას ჭალაში, ესროლოს ამისთვის ჩუმათ თოფი, მაგრამ დაეცდინოს, და როსტომს ის არ გაემეტოს საჩივლელათა, რადგან იმისი სისხლი და ხორცი იყო; იყო აქ მოხსენებული, რომ ვითომ გიორგი თავისი მილიციონერებით მიხტომოდეს ამას შიგ სასახლეში, ჩამოეთრიოს იმისი ცოლი შუშანა ბალკონიდან, ეთრიოს და სასიკვდილოდ გაემეტოს, თუ გლეხკაცნი არ მოშველებოდნენ; იყო მოხსენებული, რომ ვითომც გიორგი არაფრად აგდებდეს სამართალსა და მოსამართლეებსა და სხვა ამგვარები.

როსტომმა ჩამოუარა სხვადასხვა პატივისცემით ყველა დიდკაცს, ვისაც ხელთ ამის საჩივარს უნდა გაევლო, ან ვისაც შეეძლო, რომ ამგვარს კაცებზედ გავლენა ჰქონოდა. როსტომი ცრეძლით შესტიროდა თავის უსამართლოდ დაჩაგვრას, სახლის გაოხრებასა და ცოლ-შვილის დაწიოკებას, დადიოდა, დაძვრებოდა, სადაც კი რამ შეიძლებოდა, მაგრამ არც გიორგის ეძინა. იმანაც მიმართა ერთს მაღალი ალაგის მჭერალს და დიდი გვარის შვილს ყმაწვილ კაცს, რომელიც გიორგიმ საშინელის თავგანწირულებით გადაარჩინა ერთს ბრძოლაში სიკვდილსა. იმ დროს, როდესაც ერთს საშინელს უალაგო ალაგას მოესწროთ ლეკებს ოთხი ბატალიონის რუსის ჯარისა, ერთი სამასიოდე კაცი ქართველი მილიციისთვის და გამოექციათ ისინი, დაჭრილიყო ის ყმაწვილი ოფიცერი. ის შეწუხებული დაჭრილობისა და შიშისაგან, რომ არ ჩავარდნოდა ცოცხალი ლეკებს, ეძახოდა გაქცეულებს შველას, მაგრამ ყველას თავისი თავი უჭირდა და გარბოდნენ მოუხედავად. აი ისმის ლეკების ჭყივილიც და წამოადგნენ თავს დაჭრილსა. ამან სულგაკმენდილმა გადაიწყვიტა იმედი. ერთიც კიდევ ეცადა წამოდგომას, მაგრამ დაჭრილობამ დასძლია და ის დაეშვა უნუგეშოდ ძირს. ამ დროს დაინახა იმან ცხენოსანი, რომელიც თან ცხენს მოაჭენებდა და თან უბ-

რუნდებოდა ლეკებსა და ესროდა. „მიშველე, თუ ქრისტიანი ხარ!“ შესძახა დაჭრილმა ყმაწვილმა განწირულებით. გიორგიმ მიიხედა და დაინახა ყმაწვილი ოფიცერი, სისხლში მოსვრილი და მწარედ გადაფითრებული. გიორგი ერთი თვალის დახამხამებაზედ გადმოხტა ცხენიდან, ააყენა დაჭრილი, მიუშვირა მუხლი და შესვა უნაგირზედ.

— მაგრა მოჰკიდე უნაგირის თავს ხელი! — მისძახა იმანა და თითონაც შემოუხტა ცხენს უკან და მოუჭირა ქუსლი. მას აქეთ გიორგი და ის ყმაწვილი ოფიცერი დამეგობრდნენ. ყმაწვილი ოფიცერი შეიქნა დიდი კაცი და არ ივიწყებდა გიორგის სიკეთესა. ეხლა თითონ ისიც გამოადგა გიორგის გაჭირვებაში.

შეიტაკნენ ორივ მხარენი — გიორგი და როსტომი და გაჭიანურდა საქმე, რომელიც დღესაც არ გათავებულა.

როსტომმა რაკი ყველანი ნახა, ვინც საჭირო იყო და დაიჭირა ხელში, რაკი სამუშაო დრო იყო, ორი კვირის უკან დაბრუნდა შინა იმ იმედით, რომ გიორგის, თუ ციმბირს არ დაჰკარგავდნენ და არ გაასალდათებდნენ, ერთი ორი-სამი წელიწადი მაინც დაიჭერდნენ ციხეში.

სოსიკამ აქვე სთხოვა დავითსა მართას გამოხსნის შესახებ და უამბო ყველაფერი, რაც როსტომმა ამათ საქმე დამართა. ამ ამბავზედ დავითი საშინლად აღშფოთდა და აღუთქვა, არათუ ამას მართას გამოხსნა, ყველა გლეხების შველაცა.

— ეხლა მაგაებს ვეღარ ინებებს ბიძაჩემი, რაც აქამდინ უნებებია.

მაგრამ უბედურება ეს იყო, რომ დავითი საქმეში არ იყო ისეთი ყოჩაღი, როგორც ენითა. იმას, მართალია, გული ეწოდა და გულითაც სურდა საქმის გაკეთება, მაგრამ, რაკი დრო საქმეზედ მიდგებოდა, იმასაც ის დღე ადგებოდა, რაც მომეტებულს ნაწილს ჩვენს ეხლანდელს ნასწავლ ყმაწვილკაცობას: იმას აღარა ჰქონდა თავი საქმეზედ საქმის მოყვანისა, — ლაპარაკისათვის რომ ყური დაგეგდოთ, ქვეყანას გადმოაბრუნებდა. ის ჩავარდა სასწავლებელში იმისთანა ხალხში, სადაც ისმოდა განკიცხვა ბატონყმობაზედ, სადაც ცხარედ ამტკიცებდნენ ამ მდგომარეობის უწესობაზედ და ბატონებისაგან ყმების უსამართლობაზედ. დავითისათვის ეს აზრები სრულებით ახალნი იყვნენ, ის უგდებდა ამათ ყურსა და როგორც კეთილი გულისა და გრძნობის ყმაწვილი, ცხადია ჩაიდებდა ამას გუნებაში, თუმცა თითონ აქამდი ფიქრათაც არ მოსვლია ამაზედ სჯა, და არც იცოდა: ბატონები არიან გლეხებისაგან შეწუხებულნი, თუ გლეხები ბატონებისაგან.

დაბრუნდა დავითი შინა და ნახა საშინელი ამბავი. როსტომს უდგა ზეკუცია სოფელში და სთხოვდა საშინელს გადასახადსა, როგორ გაბედეთ და გაექეცით გიორგის და იმის კაცებსაო. გლეხები ხროვა-ხროვა მოდიოდნენ დავითთან ცრემლით სახვეწრად, რომ ცოტასაც არის დახმარებოდა. დავითი აპირებდა ყოველ დღე თავის ბიძასთან მოლაპარაკებასა, წავიდოდა კიდეცა, მაგრამ რაკი ერთი დაინახავდა იმის ჟამს სახესა, ვეღარ ახერხებდა ვეღარაფრის თქმას. ბოლოს საშინელმა შეწუხებამ გააბედვინა იმას ბიძასთან ლაპარაკი.

— ბიძა ჩემო! — დაიწყო იმან დაბალის ხმით ცხვირში ლულლული: — ცოდონი არიან ე კაცები, ცოტაც არის შეღავათი უნდა მისცეთ.

— არც ბეწვის დანაფასევსა! — უპასუხა უკმეხად და გადაწყვეტით როსტომმა: — შენ არ იცნობ ჯერ მაგათ, რა ხალხია!..

— ეგენი ჩივიან, რომ არა გვაქვს რა, გავღარიბდითო... რომ...

— ჰოუ! ეგენი!.. აგერ, აგერ, შეხედე, ნახე, რას ჩადიან, როგორ სცემენ თავის ბატონსა... ჩვენ უარესს გვიზამენ...

აქ როსტომმა დაანახვა დავითს ჩხუბი და ჟრიამული, სადაც ოთხი ძმა გლეხკაცი სცემდა ერთს ამის სახლიკაცს, რომელთაც შუშანა უძახდა გვარის ბაიყუშებს.

დავითი კიდევ აპირებდა ლაპარაკსა, მაგრამ როსტომმა ყური არ უგდო და წავიდა სადღაცას.

დავითმა გლეხების თხოვნით კიდევ გაბედა ერთხელაც ამაზედ გამოლაპარაკება როსტომთანა. აქაც კიდევ როსტომმა ამის ლაპარაკი გროშად არ ჩააგდო და სრულებითაც ყური არ ათხოვა. ეს ითაკილა დავითმა და ამჯობინა გაცლა ამ ამბების ყურებას. იმ გამგზავრდა ისევ ქალაქისკენ და გამოუცხადა გლეხებს, რომ ვერა გავიყვანე რა როსტომთანაო.

ამ პასუხმა და დავითის გაცლამ წაართვა ყოველი იმედი როსტომისაგან შებრალებისა. რასაც სთხოვდნენ, იმის მიცემის ღონე არსად იყო.

XV

ბატონის სუსხი

ბევრჯერ ეცადნენ გლეხები საჩივარსა, ეგება სადმე მაინც ვიპოვოთ სამართალი, სიღარიბისა და შიმშილისაგან სულები არ ამოგვხდესო, ბევრჯერ შეეცადნენ, მაგრამ ყველგან და ყოველთვის იმათი ბატონი გამოდიოდა მართალი. ბოლოს იქამდინ გა-

მართლდა როსტომი, რომ ისინი, ვინც გლეხებს ქაღალდებს უწერდნენ, ცრუ საჩივრების წერისთვის გადაასახლეს სადღასაც შორს გუბერნიაში. ამასთან მოუვიდათ ბრძანება ნაჩალნიკს და დიამბეგებს, რომ მოეყვანათ როსტომ ტაბლაძისათვის მონობაში იმისი ყმები. გლეხკაცებმა იფიქრეს თავისი თავის სამართლის გათავება, მაგრამ რამდენჯერაც დააპირა ვინმემ: ზოგს მოუცდა სოსესავით, ზოგს შეეშინდა ერთი ბატონის დანახვაზედ, ზოგმა ვერ მოახერხა და ამრიგად ყველას გადაურჩა როსტომი და კი არ ფიქრობდა რამდენი ხიფათი სდევდა.

ყაზახები და იასაულები უწყალოდ უცვივდებოდნენ გლეხკაცებში, ბევრმა გადიწყვიტა გუნებაში, თუ ეს ცოცხალია, ჩვენი სიცოცხლე არ შეიძლებაო, მაგრამ ერთმანეთს კი ვერ ანდობდნენ ფიქრსა, რომ ვაი თუ გავიცნეთო.

რაკი დავითისგანაც იმედი გადიწყვიტეს, მაშინ ძალა იყო თუ ნება, ველარ დაუდგებოდათ ეს ფიქრი გუნებაში და უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის.

იმ დღეს, როდესაც სახლში ეგზეკუცია ჩაუდგათ როსტომის კაცებს, ისინი მომეტებული ნაწილი ბატონის სამკალზედ იყვნენ დაძახებულნი.

ყაზახები და იასაულები უწყალოთ უცვივდებოდნენ გლეხკაცებს სახლებში, ვისაც მოასწრებდნენ, სცემდნენ მათრახებით, გამოჰქონდათ და გამოჰყავდათ, რასაც ვისმე უპოვიდნენ. ვისაც შეეძლო, გაასწრო მინდორსა და ტყეში და დააგდეს სახლები მარტო დედაკაცების ამარა.

— ბერო! შენი სახლი ისე გამოზიდეს, რომ ნაცარიც აღარ გაუშვეს.

— შენ სახლს აწიოკებენ, გიგოლა, დედაშენი სულ კიწიწებით ათრიეს.

— თევდორე, თქვენ სახლს შეუცვივდნენ ასაკლებად და მამაშენი დაიჭირეს!

ჩამოჰქონდათ ამბავი სამკალში.

— წავიდეთ, ჩემო ძმაო, მივეპატრონოთ ჩვენს სახლსა, — იძახდნენ ისინი, მაგრამ ვერც თითონა ბედავდნენ და არც სხვები უშვებდნენ, ვისაც მოფიქრებული ჰქონდა, რაც დღე დაადგებოდა, თუ ჩაეშველებოდნენ.

თითონ სოფელში ისმოდა ალაგ-ალაგ დედაკაცების წყევლა.

— ღვთის მშობელო დედავ, წმიდა გიორგი პატიოსანო! შენ ამოაგდე ჩვენი ბატონი, როგორც ჩვენ იმან აგვაოხრა, შენ დააცარიელე ის შვილებიდან და ქონებიდან, როგორც იმან ჩვენი სახლი

დააცარიელა! შენ ჩააგდე უარესს ცეცხლში, რასაც ცეცხლში ჩვენ იმისაგანა ვართ ჩაცვივნული.

სოფელში რომ დედაკაცებს წყევლის მეტი აღარა გაეწყობოდათ რა და ისიც იქა, სადაც ვერ გაუგონებდნენ, სამკალში სხვა სახე მიიღო საქმემ.

იმათი ფიქრი და გონება იყო მიპყრობილი სოფელზედ და მუშაობისთვის იმათ არ სცხელოდათ. ყოველს ამბავზედ, რომ ამადაამის მამა დაიჭირეს, ამადაამის მამა შეჰკრეს და გაგზავნეს, ამა და ამის დედასა, რძალსა ან ცოლს სცემეს ყაზახებმა და იასაულებმა, ამა და ამის სახლი სულ აიკლეს, — ყველას უღელდებოდა გული და არ იცოდნენ, რა ექნათ. „რიღათი უნდა ვიცხოვროთ?“— ჰკითხავდნენ ისინი თავის თავს. „რიღათი უნდა გავცეთ ან ბატონს, ან ხელმწიფეს პასუხი?“ ამ ფიქრში იყვნენ ყველანი და ყველა ფიქრობდა თავისთვის.

საქმეზედ სრულებით აიღეს ხელი. ცოტ-ცოტათი მიდიოდნენ მუშები და ეყრებოდნენ გაჯავრებულს გუნებაზედ კაკლებს ქვეშ. დიდხანს ისმოდა მარტო ოხვრა და თითო-ოროლა ხმამაღლა დალაპარაკება, რომლითაც თავისთავსა ჰკითხავენ: რაღა ვქნათ! სულ დავღუპულვართო!

ბოლოს წამოჯდა ერთი შუატანის გლეხკაცი, რომელსაც ჰქონდა დაღვრემილი სახე და მღელვარე თვალები. ის აქამდის იწვა პირქვე ხელის გულებზედ დაბჯენილი და თითქო რაღაცას ფიქრობდა, იმან დაიწყო ცხარედ ლაპარაკი, გლეხკაცებმა სუყველამ წამოიწიეს და ცქვიტეს ყურები.

— ნინიკა ლაპარაკობს, ნინიკა! — ეძახდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა ბიჭები, რომელნიც უფრო მოშორებით იყვნენ, დაიძრნენ ისინიც სირბილით ამის ლაპარაკის გასაგონებლად.

— ჩვენი ბრალია, ჩვენი! — დაიწყო იმან. — ჩვენ ყოველთვის უნდა გვცოდნოდა, რომ ამ დღეს არ ავცდებოდით... ჩვენ კი თავზედ ლეჩაქები დავიხურეთ და იმ დღემდის მივაღწევინეთ ჩვენ თავსა!.. ჩვენ დიდი ხანია უნდა გვცოდნოდა, რომ ჩვენ მაგის ხელიდან არა გვიხსნის რა ერთის მეტი... ჩვენგანს ქველას რამდენჯერ მიუცია თავის თავისთვის ღვთის ფიცი, რომ გაიმეტოს თავისი თავი და გადაუწყვიტოს მაგასა... მაგრამ ჩვენ ღვთის ფიცსაც გადუდექით... მართალია, ჩვენ ხალხში არ დაგვიდვია ღვთის ფიცი, მაგრამ ღმერთისთვის სულ ერთია ფიცის გატეხა... ჩვენ მოგვიჭერდნენ — დავდებდით ფიცსა, ერთხელ და ერთხელ გადუწყვიტოთო; გავიდოდა ხანი, შევეჩვეოდით მუხრუჭსა, უარესს აღარ მოველოდით და ვივიწყებდით ჩვენს ფიცსა... იმიტომ რომ დედაკაცობა-

ზედ თავი დაგვიდვია... ყველას ვითმენდით, ყველას ვიტანდით: როზგქვეშ სირცხვილსა, ციხეში ჯდომასა, ცოლ-შვილის ცემასა, სახლის აოხრებასა და აკლებასა. ჩვენ თვალწინ ჩვენი ოფლით მოყვანილს სარჩოს თითქმის მუქთად უყრიდნენ ურიებსა და სომხებს იმ გადასახადში, რომლისაც პასუხის გაცემა არ შეგვეძლო, — ჩვენ ყველა მოვითმინეთ. რაღას ველოდით, რომ კაცმა გვკითხოს? რატომ არ გამოვდიოდით ჩვენი ცოლ-შვილის მოვალეობიდან და საცოდაობიდან?.. ჩვენ ვიღასგანაც ველოდით ჩვენს შველას... მაგრამ, რით ვერა ვნახეთ, რომ ჩვენზედ ყველამ ხელი აიღო... ჩვენი პატრონი ჩვენს მეტი აღარავინ დარჩა. მაშ არ უნდა ვუშველოთ ჩვენ თავსა? რას ვფიქრობთ: ვინ უნდა გვიპატრონოს ჩვენა?.. რატომ არ ვფიქრობთ: რიღათი უნდა ვიცხოვროთ? რაღა გვაქვს?.. ბალახი ვჭამოთ? მაშინ ცხვარივით ჩვენზედაც საბალახეს აიღებენ... მე გკითხავთ, კაცნი ვართ თუ არა? თუ კაცნი ვართ, მაშ რა არის ვაჟკაცის საქმე!

ყველა გატაცებით უგდებდა ამის ლაპარაკს ყურსა, ყველას უღელავდა გული.

— მართალია, ხალხნო! — შესძახეს. ერთ მხრივ წამოიწია სუყველამ ფეხზედ: — დედაკაცები ვართ, დედაკაცები!.. რითი უნდა ვიცხოვროთ... სხვა უჩვენო ვინ იცის, რას იზამდა!

— ჩვენ არამთუ არა ვუყავით რა და, როგორც გვეტყობა, კიდევაც არაფერს ვუპირებთ.

— უნდა მაგას ბოლო მოვუღოთ: — წარმოსთქვა რამდენიმე გამბედავმა კაცმა.

— უნდა მოვუღოთ ბოლო! — შესძახეს თითქმის ყველამ ერთხმად.

ამ დროს მოვარდა გაცხარებული ერთი ყმაწვილი ბიჭი და უამბობდა, რომ იმისი ორი ძმა და მამა დაიჭირეს და გაგზავნეს ნაჩალნიკთან. უამბობდა იმ საცოდაობას, რაც სოფელში ტრიალებდა.

— დედაკაცებს კაცებზედ უარესათა სცემენ. ბერუკაანთ ბებერს მათრახით თვალი გამოთხარეს და სისხლი თქრიალით სდის, ერთი საათი გულშემოყრილი უპატრონოდ ეგდო! — უამბობდა ის ბიჭი.

— ეხლა რაღას იტყვით? — შესძახა ნინიკამ.

— ეხლა გვაქვს დრო! — შესძახა ერთმა.

ყველამ ერთმანეთს შეხედეს, თითქო ჰკითხავდნენ: მართლა დროა, თუ არაო!

— ეხლაა სწორედ დრო! ამაზედ კარგ დროს ვერ ვიპოვნით!— შესძახა რამდენიმე ხმამ.

ერთმა გლეხკაცმა მოიხადა ქუდი და დაახეთქა.

— ასე პირქვე დაამხოს წმიდა გიორგიმ იმისი ოჯახი, იმისი ცოლ-შვილი, ვინც აქ ერთმანეთს უღალატოს... ვინც იმის ერთი მუჭი სისხლი არ დალიოს.

— ამ...ი...ინ! — შესძახა თითქმის ყველამ ერთ მხრივ.

აქ რომ ეს ამბავი იყო და ყველამ მიიღო მონაწილეობა ამ შეთქმულებაში, იმ დროს იმათში იყო აქამდის ჩუმად მხოლოდ ერთი შუახანს გადასული გლეხკაცი. ის აქამდის ამათ ყურს უგდებდა და რაკი ნახა, რომ ისინი აღარა ხუმრობენო, ის მოუბრუნდა ხალხს.

— ეგ რა საფიქრებელია, რომ მაგასა ფიქრობთ! ვინ უნდა მოკლათ? ბატონი? მაგისთანა ხელმწიფის დარი კაცის სისხლი უნდა დაღვაროთ?.. ღმერთი ჩვენ მაგას არ გვიყაბულებს... ეგ დღეს ჩვენი ბატონია, ჩვენი ღმერთია... ღვთისა და ბატონის ღალატს არავინ მოგვიწონებს... სულს დაუმძიმებთ, სულებს წავიწყმენდავთ მაგისთანა საქმითა...

— გაჩუმდი, მოსე, შენი საქმე არ არის? — გააწყვეტინა ლაპარაკი ნინიკამ: — შენ ადექ და წადი სადმე, ან დაუწყე ისევ ყანას მკა. ჩვენ ჩვენი ვიცით... შენ ამ ცოდოში არ გაგრევთ...

— მე კი წავალ, — ამბობდა შეწუხებული მოსე, — მაგრამ... რა ვიცი, ბატონია... ვი თუ ცოდო... ქნას...

— მაგისი ჩვენ ვიცით... შენ წადი მკე...

— რა ვიცი, ძმავ! — მიდიოდა და თან მილაპარაკობდა საწყალი მოსე: — ჯერ ძაღლის მოკვლა რა არის, და მერე ადამიანისა... ეხლა კიდევ რუსების ხელში ჩავარდნა უარესია...

მოსე იყო ალალ-მართალი, გონებით საწყალი გლეხი და იყო საშინელი მშიშარა, — ესე იგი მგლებისა, ეშმაკებისა და ავი კაცებისა კი არ ეშინოდა — ეშინოდა თავისზედ დიდი კაცებისა. სასამართლოს ხალხისა, დაწყებული უკანასკნელი იასაულიდან ნაჩალნიკამდის — ამაზედ ზევით მოსამართლეებს მოსე არ იცნობდა, — ეშინოდა ღმერთზედ უფრო ძლიერა. ეს იმათ სრულებით სხვა კაცებათა რაცხდა. ერთი იმათი დანახვა მოჰგვრიდა ხოლმე მოსეს ძრწოლასა და თაყვანებას. თავის ბატონს, როსტომს, რაცხდა ყველა მებატონეებზედ, ვინც სადმე იყვნენ, დიდკაცთა; როსტომი იმის გონებაში თითქმის ღმერთი იყო. იმისი ეშინოდა და დიდებითა და თაყვანებით შეჰყურებდა. „იმავ თაობითვე ეტყობოდა, ამბობდა ხოლმე მოსე, რომ ეს ხემწიფის დარი კაცი უნდა გამოსულიყო“.

მოსე იმავ სიყმაწვილითვე შეიყვანეს ბატონებმა შინ. ის ჯერ მეღორეთ დააყენეს, მერე ხაბაზობა ასწავლეს. მინამ ოცდახუთის წლისა არ შეიქნა, სულ შინა ჰყავდათ, მერე შეირთო ცოლი და

გავიდა ბატონებიდან. თუმცა ის მეტად მხნე კაცი იყო, მაგრამ თავის დღეში სიღარიბიდან არ ამოსულა. როდესაც ის ბატონის სახლში იყო, ვისაც კი ეზარებოდა საქმის გაკეთება, ყველას ამას ახვევდნენ თავზედა, — ერთი უბრალო დამუქრების მეტი იმას არ უნდებოდა-ხოლმე, რომ მაშინვე ეკისრებინათ სხვის გასაკეთებელი საქმე. შეირთო ცოლი, გამოვიდა სახლში და აქაც თავის სისაწყლე არ დაიშალა. დღე და ღამ სულ ფორფოტობდა, სულ საქმეში იყო და ხელში კი თავის დღეში არა ეჭირა რა. სოფელში იმას არაფერს სასოფლო საქმეში არ ურევდა და არც თითონ ეტანებოდა ამ საქმეებში გარევას. ამგვარად, რაღა თქმა უნდა, რომ იმისთანა გადაწყვეტილება, სულ გააოცებდა მოსეს, ამის გამო, რაკი იმისი ლაპარაკით არ დაიშალეს და დაითხოვეს კიდეც, იმან ამჯობინა გაცლა. „მე კი არ გავერევი მაგისთანა ცოდოში და!..“ ფიქრობდა ისა.

მოსეს არ გაევლო ერთი ხუთი ნაბიჯი, რომ ამ დროს გამოჩნდა როსტომი ცხენით. გლეხკაცნი, რომელნიც ისე თავგამოდებით იძახდნენ იმის ბოლოს მოღებასა, შეიცვალნენ სახეზედ, გადაჰკრათ ფერმა და დაჰკარგეს ყოველი სიმხნევე და გულადობა. შეშინებული მოსე გაიქცა.

— არიქა, თავს ვუშველოთ, თორემ სულ ცემით ამოგვხოცავს! — დაიძახა იმან.

სხვებსაც სულ დაავიწყდათ თავისი ქადილი და გადაცვივდნენ ბუჩქებში. ერთი შვიდიოდე კაცი დარჩა, რომელნიც უყურებდნენ ერთმანეთს და უერთმანეთოდ ვერ გაქცეულიყვნენ.

ნინიკა იდგა ბოძივით.

— რისხავდეს წმიდა გიორგი, ვინც ეხლა ამას დაუთმოს რამე!— წასძახა იმან დაშთენილს ამხანაგებს.

— ამინ! — უპასუხეს იმათ გაუბედავად.

ნინიკა გაემზადა, მაგრამ როსტომის მოახლოვებამ, ერთმა იმისმა მრისხანე სახემ და გაჯავრებულმა ხმამ დაუკარგა მომეტებულს ნაწილს დაშთენილებს გონება. იმათ დააპირეს გაქცევა. როსტომმა წაუშინა სეტყვასავით მათრახი. აქ კი სულ დაკარგეს მხნეობა და გაცვივდნენ ისინიც განზედ.

— ნუ გვაგდებ სისხლში! — უძახდა ნინიკა, რომელსაც წაუშინა ეხლა როსტომმა, რაკი მარტო ისღა შერჩა ხელში: — გეყო მაგდენი ჩვენი უსამართლობა...

როსტომმა უარესად მიაყარა მათრახი. ნინიკა გამოვიდა მოთმინებიდან, მივარდა ხის ძირას და აიტაცა ნამგალი. მაგრამ, რაკი დაინახა, რომ მარტო იყო დარჩენილი და ვერას გახდებოდა, ისიც გადახტა ბუჩქებში და მოეფარა.

როსტომი განრისხებული გაბრუნდა შინ.

— დამაცადეთ მე თქვენ რას გიზავთ!.. ჰყურობ ამ არამზადებსა, რაებს ჩადიან!.. საქმის მაგიერად, აქ დაყრილან და ლაზღანდარობენ... დამაცადეთ!..

რაკი როსტომი გაიგულეს, პატარა ხანს უკან დაიწყეს ისევ შეგროვება გაქცეულებმა და დაუწყეს ერთმანეთს გინება და ყვედრება.

— აბა, ჩემო ძმაო! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს, — კიდეც ემაგითი ვართ ქართველი ხალხი დაღუპული, რომ ერთი პირი არა გვაქვს...

— ეხლა მაინც რას ვუზამდით! — ამბობდნენ სხვები, — თოფი ჩვენ არა გვქონდა და სხვა იარაღი... გააჭენებდა ცხენსა და წავიდოდა.

— ჰოდა, შვილოსა, მაშ რაღას გავრბოდით?.. ისიც ჩვენსავით კაცი არ არის... ხო არ შეგვჭამდა!..

— თქვენ ვიღას ეუბნებით!.. თქვენ არ იყავით, ყველაზედ წინ გარბოდით!..

— მარა, შვილოსა, ყველანი გარბოდნენ და ჩვენც გავიქეცით... ჩვენ რაღა სასიკვდილო თავი გვქონდა...

— ეჰ! ძმავ! — გააწყვეტინა ნინიკამ სხვებს ლაპარაკი, — ყველანი უარესები ვართ... დედაკაცების ლეჩაქი რომ გვეხუროს, ისა სჯობს... ამაზედ კარგ დროს როდისღა ვიპოვიდით!.. მაგრამა ერთი იმისმა დანახვამ ყველას დავთარი დაგვიკარგა... ერთი სიტყვით სხვა არა დაგვრჩენია რა: უნდა დავიკრიფოთ გულხელი და გადავცვივდეთ ცოლ-შვილიანად წყალში.

— კვლავ იყვეს! — დაიძახა ერთმა ვიღამაცა.

— ჰო! კვლავ იყვეს, კვლავა სჯობიან! — დაუმატეს სხვებმა.

— როდისღა კვლავ?! — უპასუხა ნინიკამ, — კვლავაც ის თომა ვიქნებით, ის ტყავი გვესხმება... როდის ხანია სულ კვლავას ვიძახით... სულ როზგქვეშ ამოგვართმევენ სულსა, ციხეში დაგვალპობენ; ციმბირში ამოგვჟლეტავენ და ჩვენი სიტყვა სულ კვლავა იქნება...

აქ რომ ეს ლაპარაკი იყო, ამ დროს გამოჩნდა ერთი ღრმად მოხუცებული სოფლის პატივცემული დარბაისელი გლეხკაცი, სახელად სეხნია. მინამ ვიტყოდით იმას, რისთვისაც მოდიოდა აქ სეხნია, ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმის გასაცნობად.

სეხნია იყო თანამხლებელი როსტომის ბიძა პაპუასი, რომელიც თავის ვაჟკაცობით განთქმული იყო. სეხნია თვრამეტი წლიდან

დაწყებული ახლდა თავის საყვარელს ბატონსა, რომელსაც ეხლაც მწუხარებით მოიგონებდა ხოლმე, მინამ ის არ მოკლეს ყაზახებმა. მას უკან კი დაბრუნდა შინ სეხნია და დაიწყო მუშაობა. აქ სეხნიამ შეიძინა პატივისცემა და სიყვარული მთელი სოფლისა. ის რამდენჯერმე დააყენეს მამასახლისათა და გამოდგა სეხნია სამაგალითო მართალი კაცი და მართლის მთქმელი სოფელში. იმის დაუკითხავად არა სასოფლო საქმე და არა გასამართლებელი საქმე არ გათავდებოდა სოფელში. სეხნიას ეკითხებოდნენ და რჩევას ჰკითხავდნენ, არათუ მარტო გლეხკაცნი და თვით მებატონენიც ხშირად თავისი ბატონი გოგიაცა, როსტომის მამა, და იმისი შვილებიცა, რომელნიც დაიხოცნენ. სეხნიას ძალიან უყვარდა თავისი მებატონენი და ყოველთვის იმათი ერთგული ყმა იყო. მაგრამ როსტომი იმავე პატარაობითვე ეჯავრებოდა. რათ ეჯავრებოდა და რა იყო მიზეზი ამ სიძულვილისა, თითონაც არ იცოდა ამ გამოცდილმა მოხუცებულმა. პირიქით, როდესაც როსტომი ისე ამოძულებული ჰყავდათ სახლში, როსტომი ცდილობდა გლეხებში მაინც ეპოვა ამხანაგნი და ნუგეშნი, მაგრამ ის მიიღეს ამათ მტრულად და ამოიჩემეს. ამოიჩემა სხვათა შორის სეხნიამაც. ამოიჩემეს მხოლოდ იმისთვის, რომ ხედავდნენ ამას უძლურად, ხედავდნენ, რომ ეს იმათ ვერას დააკლებდა, ამოიჩემეს კიდევ იმისთვის თუ, რომ სხვა ბატონები უყვარდათ და იმათ ეს ეჯავრებოდათ; ან იქნება კიდევ იმისთვის თუ სძულდათ, რომ როსტომი პატარაობითვე ბუტუსურა იყო, იმის სახეზედ კაცი ღიმს ვერ დაინახავდა, იმისი თვალები სუყველას უნდობლად და ჯავრით უყურებდა, თითქო ყველა ამისი მტერიაო. სხვა ამის გარდა ცხადი მიზეზი არა ჰქონდათ რა, რომ ამოეჩემებინათ პატარა როსტომი. როსტომიც, რასაკვირველია, სხვა გლეხკაცებთან ერთად, რაკი წამოიზარდა და შეძლო რამე, არა ზოგავდა მოხუცებულს და პატივცემულ სეხნიასაც. სეხნიამ ეს ითაკილა და გაუძალიანდა როსტომს. როსტომმა პირველად ამას უჩვენა ციხის კარი თავისი უფროსი შვილით გიგოლათი, რომელმაც ითაკილა ესა და ჯავრისგან გათავდა ციხეშივე. შემდეგ ამისა, როდესაც სეხნიამ გაუწია მეორედ წინააღმდეგობა, როსტომმა დააწვინა ის როზგქვეშ. მას აქეთ აღარ უჩვენებია სეხნიას წინააღმდეგობა, მაგრამ გუნებაში დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „გამძღარიყო იმის სისხლით“, როგორც ამბობდა ხოლმე თითონ სეხნია. მაგრამ ამასაც სხვებივით ტყუილად შერჩა ყოველივე მეცადინეობა თავის განზრახვის შესახებ. რამდენჯერაც შეეცადა, იმდენი მოუცდა და ვეღარ მოეხერხებინა, როგორ მოეყვანა ეს აზრი აღსრულებაში. იმდენს ჯავრთან, სეხნია ახლა იმ დღესაც შე-

ესწრო, რომ იმის ცოლის წყევლის გულისთვის პერევოდჩიკმა აცემინა იასაულებს. სეხნიამ გაიგო აგრეთვე, რომ ბატონმა გაალახვინა როზგით მართა. ამ ამბავზედ ის გაცხარებული გაექანა ბატონის გზისკენ ხანჯლით ხელში, მაგრამ რაკი ვერსად მოასწრო, ეცომომკელებს.

— ჰაი, თქვე დედაკაცებო, თქვენა!.. თქვენ კაცი კი არ უნდა გერქვათ, უნდა დედაკაცის ლეჩაქი გეხუროთ თავზედა... თქვენ ცოლებსა, დედებსა და დებსა როზგითა სცემენ რუსივით ტიტველ ტანზედა და თქვენ კი ვირებივით გაშეშებულხართ!.. რაღა მოგივათ მაგაზედ უარესი, თქვე უნამუსოებო, თქვენა!.. შიმშილით სულები ამოგერთმევათ... რაკი სამსახურს ვეღარ შეიძლებთ, ციხეში და ციმბირის გზაზედ ამოგჟლეტავენ.. რაღა გაქვთ საფიქრელი!.. რატომ არ უპატრონებთ თქვენ თავსა და თქვენ ცოლ-შვილსა!..

— რაღას ველით? — დაიძახა ნინიკამ, — ეს არის ჩვენი უკანასკნელი დღე... თუ ლეჩაქები არა გვხურავს, ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ან ისა...

— ვინც ახლავე არ წავიდეს, — დაიძახა ერთმა გლეხმა: — დაექცეს ოჯახი...

და წამოავლო ნამგალს ხელი.

— სულ ერთიანად ამოვწყვიტოთ ცოლ-შვილითა, რომ იმის სინსილა აღარ დარჩეს! — დაიძახა მეორემა.

— სულ სახლ-კარით ამოვბუგოთ! — იძახდნენ სხვები და წამოავლო ყველამ ნამგალს ხელი.

— წავიდეთ! — დაიძახა ნინიკამ და გაუძღვა წინა.

— ჯერ ზეკუცია ამოვწყვიტოთ! — იძახდნენ გზაზედ გლეხები. მაგრამ რაკი მიატანეს სოფელსა და დაატყეს, რომ ეს საქმე სახუმარი აღარ არისო, ცოტა-ცოტათი დაიწყეს მალვა ვენახებსა და ბუჩქებში, ვისაც კი უფრო გაბედვა აკლდა. დანაშთენები მიდიოდნენ მხნედ, მაგრამ შეიტყეს, რომ ბატონი არ იყო შინა.

სოფელში დიამბეგის პერევოდჩიკი დადიოდა ყაზახებით და სიით ხელში, ვის რა ფული უნდა გამორთმეოდა და უსევდა სახლებში, ვისაც ფულის მიცემა არ შეეძლო.

წივილ-კივილი დედაკაცებისა ესმოდათ გლეხებს და გაეშურნენ სოფლისაკენ.

ყაზახებმა დაინახეს გაჩქარებით მომავალი გლეხები და ეცვალათ ფერი.

— Никак, ваше благородие, это вся азия идет на насъ? — დაიწყეს ყაზახებმა.

— Как смеютъ! — უპასუხა პერევოდჩიკმა: — это съ работы.

მართლაცა და, რაკი მოახლოვდნენ, გლეხებმა ვეღარა გაბედეს რა. კიდევ უფრო იმიტომ ვერ გაბედეს, რომ დაუშალეს სეხნიამ და ნინიკამ. იმათ მოისაზრეს, რომ ამითი ისინი რასაც არ წააგებდნენ, არას მოიგებდნენ.

— ეხლა სჯობს, რომ დავიშალოთ, — დაიწყო სეხნიამა, — ამაო რაც უნდა ვუყოთ, ჩვენი ბატონი რასაც არ მოიგებს, არას წააგებს... ჩვენ ისევ სხვა დროება ვიპოვნოთ.

გაცხარებულნი გლეხნი აღარ უგდებდნენ ამათს ლაპარაკს ყურს.

— არა, ბარემ რახან ეგრეა, დეე ჩვენც დავიხოცოთ და ეგენიცა! — იძახდნენ ისინი, — გვეყო ამდენი სირცხვილი!

ამ სიტყვით გლეხნი დაიძრნენ ეგზეკუციისაკენ, მაგრამ ამ დროს გადუდგა ნინიკა წინა.

— ვინც კაი ბიჭია და ფეხს მოიცვლის აქედან! — შესძახა ნინიკამ, — თუ კაი დედი თქვენი შვილები ხართ! — პირველი მე ავკაფავ ამ ნამგლით იმ ნაქებს ბიჭსა. განა ეხლა!.. ვინც მოსაკლავია იქ კი თვალებსა ხუჭავთ და აქ თვალები გაგიჭყეტიათ!..

გლეხები გაჩერდნენ.

— მაშ რა ვქნათ? — დაიწყეს პატარა ხანს უკან იმათ, — თუკი ბატონი შინ არ არის!..

— შინ არ არის და დავიშალნეთ.

— მერე?

— მერე და მერე! მერე რაც მოგვარდება, ის უნდა მოვაგვაროთ.

აქ გლეხებმა დაიწყეს დაშლა.

— ბიჭობაზედ სდებს თავსა, — ლაპარაკობდნენ ბუტბუტით გამწყრალი გლეხები ნინიკაზედ, — და თითონ კი სხვებზედ უარესად შეეშინდათ რუსებისა. აბა ეგ არის ჩვენი პირი, აი!..

ნინიკამ წაავლო სეხნიას ხელი და წაიყვანა. იმათ იარეს დიდს ხანს. ორივენი იყვნენ დაფიქრებულნი და არაფერს ამბობდნენ. ბოლოს ერთს ყრუ ადგილას, ორივენი უნებურად გაჩერდნენ და ორივენი პატარა რუს პირას დაეშვნენ მწვანე ბალახზედ. დიდს ხანს ისხდნენ ორივენი ჩუმად, ოხრავდნენ გულით, გააქნევ-გამოაქნევდნენ მწარედ თავსა და იყვნენ ისევ ხმაამოუღებლივ.

— ეჰ, შვილო! — დაიწყო ძლივს სეხნიამ: — უწინდელი დრო აღარ დაგვიბრუნდება! ისე ვიყავით ჩვენა და ბატონები, როგორც მე შენ მოგახსენო, თანასწორი კაცნი: ერთად ვისხედით, ერთადა ვჭამდით, ერთმანეთს მხარში ვუდექით. ერთი ძღვენი რომ მიგვერთმია, ერთიორად საჩუქარი გამოგვივიდოდა. სამსახურზედ გავყავდით ერთიორად პატივისცემა არ გვაკლდა. მაშინ კიდევაც ენატრებოდათ გლეხებს ბატონების ყოლა. რამდენი სახემწიფო კაცი

ჰყმობია ბატონსა, ოღონდ პატრონი მყავდესო. ამისთანა დრო რომა ყოფილიყო, ვინ იქნებოდა, თავი გაემეტებინა და დაეღუპნა... ეხლა კი ისეთი დრო დადგა, რომ ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან ღმერთი უნდა ვგმოთ და ბატონის სისხლში ხელი გავისვაროთ.

— ეჰ! ღვთის რისხვა მოგვდგომია რაღა თავსა!.. რაც არის — არის, უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავსა, ჩვენ ამისთვის უნდა ვიფიქროთ რამე, იმიტომ წამოგიყვანე აქა.

— ვიფიქროთ კი, მაგრამ ჩვენ მარტო რას ვიზამთ, თუ ამხანაგები არ ვიყოლიეთ... ჩვენ უნდა შევიმწყვდიოთ სადმე, რომ ან არ გაგვასწროს, ან კიდევ არ დავაცდინოთ.

— ეგ მართალია! მარტოებს თუ გაგვეწყო რამე, აქამდის იმისი სახსენებელიც აღარ იქნებოდა. უნდა ბევრნი შევიყარნოთ, უნდა შევითქვნეთ.

— შეთქმა სჯობიან. ყველას უნდა ღვთის ფიცი ჩამოვართვათ, რომ არ გვიღალატონ.

— შეთქმა კარგია, მაგრამ შეთქმა უნდა ჩუმად იყვეს, რომ ვინც ვერევით, იმათ მეტმა არავინ იცოდეს, თორემ სიტყვა გაგვივა და ისიც უვნებელი დარჩება და ჩვენც დავიღუპებით.

— მაშ ერთი ათიოდე კაცი დავიბაროთ, რომელნიც უფრო სანდონი იყვნენ და ისე შევითქვათ.

— მაშ მე ამაღამვე შევატყობინებ, რომ ხვალ ყველანი დათვის საბუდარაში მოვიდნენ დიდ ვახშმობისასა და იქ დავდოთ ფიცი.

— ამაღამვე, ამაღამვე!.. დახანება აღარ ვარგა.

— მაშ წავიდეთ, რომ არ დაინახოს ხალხმა და კიდევ მღვიძარეებს მივასწროთ.

— წავიდეთ! — დაატანა სეხნიამ.

და გასწიეს ორივემ.

XVI

დათვის საბუდარი

— რაღას ელით? თქვენ კაცობა გეთქმით?! — ელაპარაკებოდა ცხარეთ მართა სოსიკასა ბნელა ღამეში, ბაღჩის ბოლოზედ. — მე თავს აღარ ვიცოცხლებ ამ სირცხვილის უკან... მასწავლე თოფის სროლა, მე მოვუღებ ბოლოს ჩემის ხელითა...

— ამაღამ ყველას გადავწყვიტავთ: ან ჰო და ან არა!.. მშვიდობით! დამიგვიანდა... ყველანი დათვის საბუდარში ვიქნებით შეყრილი, სოსიკამ გასწია სიჩქარით.

— მშვიდობით! — მიატანა მართამა და გაბრუნდა შინისაკენ.

მართამ მოასვენა ბატონები და მღელვარეთ დაიწყო სიარული. პატარა ხანს უკან იმან ჩამოიღო თოფი და დაუწყო სინჯვა. თოფი ცარიელი იყო. ჩამოიღო დამბაჩა, ისიც ცარიელი დაუხვდა. იმან უცებ გადიგდო თოფი მხარზედ, გაირჭო წელში დამბაჩა, აიღო ხელში ხანჯალი და ჩუმად, სიფრთხილით გამოვიდა ოთახიდან.

ღამე იყო მარაგიანი, მთვარე ოდნავ ანათებდა, ჰაერი შეუძვრელად იყო გაჩერებული — ნამწეწი სიო არსად არ იძროდა, მხოლოდ ისმოდა ხუილი ცოფიანი მდინარე წყალისა, თითქო ქვეყანას წალეკვას ემუქრებაო, ისმოდა ყმუილი ტურებისა ჭალებში და ბაიყუშური ძახილი ალაგ-ალაგ ჭოტებისა. მხოლოდ ეს ხმები არღვევდნენ დათვის საბუდარაში სიმშვიდეს და ყოველი ჭოტის ძახილი მახვილივითა ჰგმირავდა ნინიკას და სეხნიას გულს, რომელნიც აქ ისხდნენ სულგანაბულნი და ელოდნენ ამხანაგებს. ორივენი, ნინიკაც და სეხნიაც, იყვნენ ჩუმათა და ვერა ბედავდნენ ლაპარაკს, თითქო ეშინოდათ, არავინ გაგვიგონოსო. ორივენი იყვნენ წამოწოლილნი ყრუ ტყის პატარა მოედანზედ, რომელიც ირგვლივ და ზევიდანაც იყო დაბურული ეკლითა და მიუდგომელის ბუჩქებით, ისრეთს მიუდგომელს ალაგას, რომელთანაც ძლივს გაივლიდა ერთი ქვეითი კაცი. ორივეს გული უცემდა, ორივენი ღრმა ყურადღებით უგდებდნენ ფეხის ხმას ყურს, ორივენი მძიმეთა ოხრავდნენ და დიდს ხანს ერთმანეთს ვერას ეუბნებოდნენ.

— რანაირ ატყდა ე ბაიყუში! — წარმოსთქვა ძლივს ნინიკამ.

— დეე ატყდეს... ალბათ ან ჩვენ გვიგებს ანდერძს, ან ჩვენს ბატონსა... მაგისთანა ატეხილ ბაიყუშის ძახილს უთუოდ ვისიმე უბედურება მოაქვს... ეგ ძველი კაცებისგანვე დაცდილია, — უპასუხა სეხნიამ.

— ვინ იცის! იქნება ჩვენს უბედურებას უფროც იძახის ეგა... ჩვენ იმისთანა ხალხნი ვართ, რომ მაგის მეტს არას უნდა მოველოდეთ ჩვენი თავისაგან...

— ბედიც არის, ნინიკა, ბედიცა, თორემ მაგას დიდი ხანია ბოლო მოეღებოდა. ბებერი სეხნია არავის გაასვრევინებდა მაგის სისხლში ხელსა. დიდი ხანია სეხნია გაძღებოდა მაგის სისხლითა თავისი გოგოლას უბედურად გადაგდებისათვის, თავისი მოხუცებული თავის სირცხვილისათვის... დიდი ხანია სეხნია გასთელავდა წიხლქვეშ მაგის ამძოვრებულს გვამსა... მაგრამ ბედი, ბედი აქვს... არც თოფი მიუდგა, არც დრო მომეცა... ერთი სიტყვით, მარტო კაცი მაგასთან ვერას გახდება...

— მგონი, მოდიან, — გააწყვეტინა ნინიკამ.

ორივემ წამოიწია ფეხზედ.

— სხვა კი არავინ იყვეს! — დაიწყო ისევ ნინიკამ.

— ვინ იცის!.. არა მგონია...

— როგორღაც ჩუმად მოიპარება.

— გადუხვიოთ ბუჩქებში.

— გადუხვიოთ, — და ორივენი გადვიდნენ.

დათვის საბუდარში სიფრთხილით შემოიპარა სოსიკა.

— სად არიან? — დაიწყო იმან დაბალის ხმით. ლაპარაკი.

ნინიკამ და სეხნიამ იცნეს სოსე.

— სოსე, შენა? — ჰკითხეს ორივემ ერთის ხმით და გამოვიდნენ.

— მე ვარ. მარტო თქვენა ხართ?.. სად არიან სხვები?.. მე მგონი ცოტა ადრე მოვედი.

— ადრე კი არა — დაიგვიანე. ჩვენ აქ იმედიც გადაგვიწყდა.

— ადრეა. ჯერ დიდ-ვახშმობა არ გადასულა. დიდ-ვახშმობა როცა გადავა, მაშინ მოვლენ. ყველა სოფლისა და ბატონის დაძინებას ელის.

— ნეტავი გარიგდეს მაინც რამე! — დაიწყო ნინიკამ, — მე მეშინიან: ვაითუ შეშინდნენ, ან წამოსცდეთ რამე, ან გამოძიების დროს გაგვცენ ყველანი და ამოდენა ხალხი დაგვღუპონ.

— როგორ შეუძლიანთ ეგეები, — უპასუხა სოსიკამ, — პირველად მაგგვარს კაცს მე დავკლავ ჩემის ხელითა.

— არა, ძალიან სიფრთხილე გვმართებს, — დაიწყო სეხნიამ, — თორემ სუყველანი დავიღუპებით. ჩვენ კიდევ არაფერი, — ცოლ-შვილი უპატრონოდ დაგვრჩებიან... შიმშილით ამოწყდებიან.

— ვიღეებიც მოდიან, — გააწყვეტინა კიდევ ნინიკამ.

ცოტა ხანს უკან დაიწყეს შეგროვება ყველა მოწვეულმა გლეხებმა და შეგროვდნენ ყველანი.

— ეხლა ჩვენი თავისთვის უნდა ვიფიქროთ რამე, — დაიწყო სეხნიამა, — ჩვენი საშველი გზა აღარსად არი... ერთი ესღა დაგვრჩენია, ან უნდა ყველანი დავიხოცოთ, ან ეს მოვიშოროთ, ვინც ასე გვაწუხებს და ამ დღეში გვაგდებს.

— უნდა ჩვენს ბატონს აუტეხოთ რამე, — დაიწყო ეხლა სოსიკამ, — ამოდენა ხალხის დახოცვას ერთი კაცის სიკვდილი სჯობია...

— უნდა მოვკლათ! — დაიწყეს სხვებმა.

— ეგ კარგი მოკვლა, მაგრამ ხემწიფე შეგვარჩენს! — წარმოსთქვა ორიოდემ: — მაშინ უფრო არ დავიხოცებით... ცოლ-შვილი

უპატრონოდ დაგვრჩება და ჩვენ უბატონოს არ გაგვიშვებენ... იქნება სხვები უარესები იყვნენ...

— ჩვენი ბატონი დავითი იქნება... იმას გლეხკაცები ებრალება, — წარმოსთქვეს შიგადაშიგ.

— ძაღლისა ბატკანი არავის უნახავს... მაგისი სიავეც არ გაგვეგონა, მანამ დიდი ბატონი ცოცხალი იყო... მაგრამ ეხლა ხომ ხედავთ!..

— მაშ რა ვქნათ?! — უპასუხა სოსიკამ, — შევეჭმევინოთ?

— მოვიფიქროთ რამე.

— მოფიქრებაც ეგ არის, რომ უნდა მოვკლათ! — უპასუხა ნინიკამ.

— აცა, ვიღაც მოდის... ბუჩქების შრიალი ისმის,— გააწყვეტინა ერთმა გლეხკაცმა.

— მართლა! — სთქვეს ერთმხრივ ყველამ.

— არიქა! უთუოდ გაგვცეს... ყაზახები იქნებიან...

გლეხები მიიმალ-მოიმალნენ და დაუწყეს ბუჩქებიდან ცქერა. მოედანზე გამოვიდა მართა. ის გაშტერებული დადგა.

— სად წასულან! — დაიწყო იმან, — ასე მალე გაათავეს?

— მართა! მართა! — დაიწყეს გლეხებმა და გაოცებულნი გამოვიდნენ ბუჩქებიდან.

— სწორედ მართაა... მე ვარ... თქვენ ჩემიც კი გეშინიანთ... ვისი არ შეგეშინდებათ?!. მასწავლეთ თოფის გატენა... მიჩვენეთ, როგორ უნდა ვესროლო და მე ამაღამვე გაგაგონებთ იმ ხმასა, თქვენ რომ ვერ გაგიბედნიათ. მიყურეთ მე დედაკაცსა... მიყურეთ, როგორ თავი გამიმეტნია... სირცხვილის შემდეგ მე სიცოცხლე აღარ მენანება თქვენსავითა... დღეს თქვენ ცოლებს დახადეს ჩიჩილები... თქვენ ცოლებს დაასხეს თავზედ ლაფი, თქვენი ქონება გაალაგეს და თოროზას ჩალის ფასად გადუყარეს... თქვენ კი გაჩუმებულხართ და შიშისაგან ტყესა და მინდვრებში იმალებით... მომყევით მე და მე მივალ პირველი მისი სისხლის დასალევად... მე, მე დედაკაცი გაგიძღვებით კაცებსა... თუ თქვენ დაიხურავთ ჩემს ლეჩაქს...

გლეხკაცნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს პირდაღებულნი. სოსიკა მივიდა მართასთან და ჩაავლო ხელი.

— ნუ გეშინიან, მართა, შენ სისხლს ჩვენ ავიღებთ... — სოსიკამ წაიყვანა მართა და რაღაც წასჩურჩულა.

— ამაღამ! — დაატანა მართამ.

— მე შეგატყობინებ.

მართა წავიდა.

— არც ეხლა! — დაიწყო ნინიკამ, — ერთმა უძლურმა დედაკაც-

მა ნახე, რა გვითხრა... დედაკაცი ბედავს!.. დედაკაცი იმეტებს თავსა და ჩვენ კი ვაჟკაცს გვეძახიან... მითხარით, რაღას უნდა მოველოდეთ ამაზედ უარესს! მოიხადეთ ყველამ ქუდები და ეხლავე უნდა დავდოთ ღვთის ფიცი, რომ ჩვენ ბატონს ბოლო მოვუღოთ და ერთმანეთს არ უღალატოთ... ვინც დაგვიდგება და უარს იტყვის ამ ფიცზედ, აქედან ცოცხალი ფეხს ვეღარ გადასდგამს, — აქ ნინიკამ ამოიღო ხანჯალი, — ვინც კაი ბიჭია და უარს იტყვის.

ყველამ მოიხადა ქუდი.

— ყაბული ხართ ყველანი? — ჰკითხა ნინიკამ.

— ყველანი, ყველანი! — დაიძახა ყველამ ერთხმივ.

— უნდა იმაზე დავდოთ ფიცი, რომ ჩვენ ბატონს უთუოდ ბოლო მოვუღოთ...

— უნდა მოვკლათ! — დაიძახა ყველამ.

— მაშ მიბრუნდით ჩვენი სალოცავისაკენ.

ყველანი მიბრუნდნენ აღმოსავლეთისაკენ.

— სეხნიავ, ეხლა შენ დაიფიცე, შენი სიტყვა უფრო გასაგონი სიტყვაა... შენ უფრო კარგად დაიფიცებ.

— არა, ნინიკა, შენ დაიფიცე, შენისთანა სიტყვის კაცი ჩვენში არ არის. მეც შენ სიტყვებზედ დავიფიცებ.

— მაშ, წმინდა გიორგი პატიოსანო, სვეტო ცხოველო და ჩვენო ყველა სალოცავო, შენ ამოწყვიტე ძირიან ფესვიანად ის კაცი, ვინც ამ ფიცს უღალატოს, დაიკრიფეთ ყველამ გულ-ხელი და დაიჩოქეთ.

ყველამ დაიკრიფა გულ-ხელი და დაიჩოქა.

— დაიწყეთ ახლა, რაცა ვთქვა, თქვით: წმიდა გიორგი გერისთვისაო.

— წმიდა გიორგი გერისთვისაო, — დაიწყო ყველამ ერთმხრივ

— ატოცისაო!

— ატოცისაო!

— ლომისისაო!

— ლომისისაო!

— ხახულის ღვთიმშობელო!

— ხახულის ღვთიმშობელო!

— და ყველა ჩვენო და ქრისტიანეთა სალოცავო! მიქელ და გაბრიელ მთავარ-ანგელოზებო, ჯვარო პატიოსანო და ყოველნო ხატნო და საყდარნო, თქვენ ამოწყვიტეთ ის კაცი ცოლ-შვილით, მისხის-მისხით და ყველა გასაგებითა და ნათესავით, ვინც უმტყუნოს ამ შეყრილობასა, ან ამ სიტყვასა, რაც ეხლა, აქ ყველამ გვავაჩინოთ.

გლეხკაცები ამ ნინიკას სიტყვას სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ.

— ამინ! — გაათავა ნინიკამ.

— ამი...ი...ინ! — დააყოლეს ერთმხრივ გლეხებმა და წამოდგნენ ფეხზედ.

— ეხლა, შვილო, — დაიწყო სეხნიამ, — ფიცი სახუმარო საქმე არ არის, ფიცის გამტეხს არც სააქაოსო და არც საიქიოს ალაგი არა აქვს. ეხლა ჩვენი ვალი ის არის, რომ რაც ეხლა საყოველთაოდ კადავწყვიტოთ, სუყველამ ხმაამოუღებლივ შევასრულოთ. არც სამართალში, არც ამხანაგობაში, არც თითონ ცოლ-შვილში ეს სიტყვა არ უნდა გაგვივიდეს და ვინც არ შეასრულებს ამას, ყველა ღვთისმგმობი და ფიცისგამტეხი იქნება.

— მართალია! — სთქვა თითქმის ყველამ ერთხმივ, — ყველა უნდა დაფარული იყვეს, რომ ჩვენს მეტმა არავინ იცოდეს.

— არავინ უნდა იცოდეს, — სთქვა სეხნიამ, — ეს ეხლა ყველამ კარგად უნდა დავიხსომოთ. ეხლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა შევუდგეთ ამ საქმეს. მარტო კაცი იმას ვერას აკლებს, ვერ უდგება, იმას თუ ბევრნი არ დაეხვივნენ, ვერას გააწყობს ერთი, — მთელს რუსეთს მაგისი მხარი უჭირავს, — თორემ წეღანაც ვეუბნებოდი ნინიკასა, მე თქვენ სისხლში აღარავის გავრევდი და დიდი ხანია გადუწყვეტდი მე მაგასა. ჩვენ ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ მაგას მარტოს ბევრნი შემოვერტყნეთ, ისე შევიპყროთ, რომ ვეღარ წაგვივიდეს. ჩვენ ეხლა ის უნდა დავაწყოთ, რომ გავიგოთ, რა დროს, ან სად იქნება ის მარტო, რომ ყველანი იქ მივიდეთ.

— მე უფრო კარგს ვიტყვი,—დაიწყო სოსიკამ,—მართა, თქვენც გაგეგონებათ, გუშინ ქალბატონს ჩემი გულისთვის შეუმწყვდევია ბნელს ოთახში და როზგით უცემია. ხომ ნახეთ ის რარიგად გულდამწვარია? ის ბატონისა და ქალბატონის ოთახში წევს ბავშვების მოსავლელად. მე მითქვამს იმისთვის, რომ, როცა ვადა დაუნიშნოთ, გაგვიღოს კარი. ისევ ისა სჯობს, რომ ჩუმად მოვკლათ და ჩვენი საქმეც შევასრულოთ და არც სამართლის ხელში ჩავარდეთ. იქ ამდენი ხალხი საჭირო არ ვიქნებით, ორნიც ვკმარივართ. ერთი მე ვიქნები და ერთიც სხვა ვინმე მომეცით — მეტი არავინ მინდა.

— მეორეც მე ვიქნები, — სთქვა ნინიკამ.

— ან მე! — ან მე! — ან მე! — შესძახა რამდენიმე ხმამ.

— არა, შენ არ იქნება, — უთხრა სეხნიამ ნინიკას, — შენ ცოლშვილიანი კაცი ხარ, ვინ იცის, როგორ იყვეს საქმე და შენი ცოლშვილი სულ უპატრონოდ დარჩება. ისევ უცოლშვილოები ამოვირჩიოთ: ერთი სოსიკა კარგი იქნება და ერთიც სხვა ვინმე.

რამდენიმე უცოლშვილო ყმაწვილი ბიჭი წამოდგა.

— აი, მე ვიქნები! — აი, მე! — აი, მე! — დაიძახეს იმათა.

— დათო კარგი იქნება, — სთქვა ისევ სეხნიამ, — მაგაზედ მარჯვე, სოსეს გარდა, არავინ მეგულება.

— დათო კარგი იქნება, — დაატანა სოსემ, — მე მეტი არავინ მინდა.

— მაშ კარგი!

— კარგი.

— ერთ თვეზე ადრე არ იქნება, — სთქვა სეხნიამ, — თორემ მიხვდებიან, რომ ჩვენ მოვკალით.

ნინიკა ჩაფიქრდა.

— სეხნი! ვაითუ მინამ როგორ იყვეს საქმე, დაიწყო ფიქრის შემდეგ იმან, — კიდევ არ დავცდეთ.

— არა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ყველანი ოჯახის პატრონები ვართ. რაც ფრთხილად მოვიქცევით ისა სჯობს.

— სჯობს! — მიატანა რამდენიმე ხმამ.

— ყაბული ხართ? — ჰკითხა სეხნიამ ყველას.

— ყაბული ვართ, — მიატანა ერთხმივ ყველამ.

— მაშ ეგრე — ერთს თვეს უკან — სთქვა სეხნიამ და წამოდგა.

— ერთს თვეს უკან, — სთქვა ყველამ და წამოიწიეს იმათაც.

— გახსოვდეთ ფიცი, — სთქვა ნინიკამ წასვლის დროს.

— ფიცის გამტეხი მოკვდება პირველი და თავის დღეში არ უნდა ვაცოცხლოთ, — დაატანა სოსიკამ.

— ეს ვა წავიდეთ, — სთქვა ვიღამაც.

— წავიდეთ, — მიატანეს სხვებმა და დაიშალნენ.

XVII

მომრევს მომრევი არ დააკლდება

შემდგომ იმ უბედურებისა და შერცხვენისა, როძელიც გიოროგიმ აჭამა, როსტომს არა ჰქონდა მოსვენება. იმას რაღაცა საძაგელი სევდა შემოაწვა გულზედა. ის შეაწუხა კიდევ უფრო ცუდმა სიზმრებმა. საშინელი მოუსვენარი სიზმრები და ფიქრები უფრო და უფრო უფრთხობდნენ ამას მოსვენებასა. ყოველი კაცი ამას სულ მტრად ეჩვენებოდა, აღარავისი ნდობა იმას აღარა ჰქონდა, ყველას ისე უყურებდა, თითქო დაფიცებულია ამის სიკვდილსაო, თითონ ცოლიც კი აღარ ეჩვენებოდა ამას გულით სანდოთა. ამასთან ამან შენიშნა, რომ მოსამართლე პირები, რომელნიც აქამდინ ამისათვის თავს დასდებდნენ, ეხლა როგორღაც ისე ცხარედ ვერ ეკიდებიან ამის საჩივარს; შენიშნა, რომ ეხლა ყველამ თავი მაღლა აიღო და

გაბედვით წამოესია ამას, და იგრძნო, რომ ყველას ამას ის ველარ გაუძლებდა. ამან არჩია გაცლა და ამის გამო იფიქრა ისევ სამსახურში შესვლა, ან ქალაქში ცხოვრება. „ხედავ როგორ ყველა წამომესია! როგორ ყველა, თვით მეგობრებიც კი გადამიდგნენ. იმდენი ხანი ვემსახურე, რამდენი რამ გადავიტანე თავსა, რამდენი საქმე შემემთხვა და ყველგან გამარჯვებული გამოველ და ეხლა კი ერთმა გუდამშიერმა რაზბონიკმა რა მიყო?!. ყველას სასაცილო გამხადა... მაგის ჯავრს ეგრე შევჭამ!..“ მოსდიოდა ესა და ამგვარი ფიქრები როსტომს თავში. ის აპირებდა სოფლიდან გაცლას, მაგრამ გიორგის ჯავრს საუკუნოდ გულში იყოლიებდა. „მართებულობა არას უზამს და მე თითონ მოვალ მაგის ოხტში!“ ფიქრობდა ისა და კიდეც განიძრახა გულში, რომ თუ ის სამართლით, როგორც ამას უნდოდა, არ დაისჯებოდა, მოეკვლევინებინა. იმან ამ განზრახვით კიდეც დაიყენა ერთი ოსი მოჯამაგირედ, აჩუქა მამულები, აჩუქა ცხენი, საქონელი, იარაღი და იმას ადევნებდა უკანა და აგონებდა სულ გიორგის მტრობას.

როსტომი დიდხანს ფიქრობდა ქალაქისაკენ წასვლას და ბოლოს გაუტყდა შუშანას. შუშანას ეს ამბავი ძალიან იამა.

— თუ არ გავეცალეთ აქაურობას, სულ ამოგვწყვეტენ. ხომ ხედავ, როგორ ყველას თვალები უბრმავდება ჩვენზედ, ქვეყანაში რათ არიან გამოსულნი ჩვენზედ მეტნიო... ერთ ღამეს რომ სულ ამოგვწყვიტონ, სამართალსაც არ მისცემენ ჩვენს პატრონებსა. აბა რა უყვეს მაგ სისხლში გასვრილს რაზბონიკსა!.. მაგას სახრჩობელეს აქეთ გზაღა ჰქონდა!.. მაგრამ ხედავ, როგორ ამაყად, დოინჯშემოყრილი გაგვიელის და გამოგვიელის ხოლმე წინ და უკანა. ქალაქში ამოწყვეტისა მაინც არ შეგვეშინდება.

ამ ამბის შემდეგ როსტომმა უცებ დაიწყო მზადება ქალაქს წასასვლელად. ამას როგორღაც ახირებულად მიუწევდა სოფლიდან გული. როსტომმა უბრძანა მხლებლებს, რომ ცხენები მოერთმიათ ამისთვის დილის ხუთს საათზედ. შუშანა უნდა დარჩენილიყო ჯერჯერობით აქა, მინამ ან სამსახურს იშოვიდა როსტომი, ან სხვაფრივ გადასწყვეტდა საქმეს.

ეს ამბავი გავარდა სოფელში და ელდასავით ეცათ შეთქმულებს გულში. სესხნია და ნინიკა ეცნენ სოსეს.

— მე მზადა ვარ, — უთხრა სოსემ, — თქვენ ორივენი ნინიკას ვენახში იყავით საღამოზედ დიდვახშმობიდან და დათოც იქ ჩაიყვანეთ და იქ შეგატყობინებთ ყველაფერს. ჩვენ ეგ ეხლა არ უნდა გაუშვათ ხელიდან, თორემ მერე სულ ველარას გავხდებით.

მთელი დღე სულ ეძებდა სოსიკა, რომ მართა როგორმე ენახა. დაღამდა და მართა არ ჩანდა. ღამე სოსე ჭურდულად გადიპარა ბატონის კარის ბაღჩაში და დაუწყო თვალიერება. მართა არა ჩანდა კიდევ. დიდხანს იყო სოსე აქ სულგანაბული. ბატონებს მიართვეს ვახშამი და მართა კიდევ არა ჩანდა. ბოლოს გამოჩნდა სოსეს ძმა.

— ქიტო! — დაუძახა გაპარებულის ხმით სოსემ.

ქიტომ იცნო სოსეს ხმა.

— რა გინდა?.. მანდ რას აკეთებ?

— აქ მოდი, საქმე მაქვს.

ქიტო მივიდა.

— ვახშამი რომ გაათავონ, მართას უთხარი, ჩუმად ჩამოვიდეს აქა, უთუოდ ჩამოვიდეს, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

— მე ვიცი, რაც საქმეა... სოსე, ცოდოში ნუ დგები, ტყუილად შენ თავს დაღუპავ და მაგას კი ვერას უზამთ...

— გაჩუმდი, თორემ მეტი არ შეშიძლიან, ზედ ამ ხანჯლის წვერზედ აგაგებ, — შეუტია სოსემ გულმოსულმა, რომ ამათი განზრახვა სხვებსაცა სცოდნიათ, — შენ ვინ გითხრა, ვინა, ჰა?!.

— მე განა ვერ გატყობ, რომ შენ დიდი ხანია დასდევ მაგასა, მაგისი სისხლი გწყურიან...

— გაჩუმდი! აღარსად წამოგცდეს, თორემ შენ ჩემი ხელიდან ვეღარსად წახვალ... ღორივით ყელს გამოგღადრი.

— ნეტავი გააწყოთ რამე, თორემ მეც ხელს მოგიმართავთ, — დაამშვიდა ქიტომ.

— შენი ხელის მომართვა არ მინდა, ოღონდ ძაღლები მაგრა დაამწყვდიე და ოსი მაგრა დააძინე, სხვა არა გვინდა რა.

— სხვა ხომ არა გინდა რა?

— სხვა არაფერი, მართა გამომიგზავნე აქა.

ქიტო ჩუმის ნაბიჯით წავიდა.

ქიტომ უთხრა მართას. მართა აენთო. იმას დაუწყო გულმა ცემა. ისა გრძნობდა, რისთვისაც ეძახოდნენ. იმას ეძლეოდა კიდევ შემთხვევა ზღვისა.

რადგან როსტომი ადრიან აპირებდა წასვლას, ამის გამო იმან მოისვენა ადრე. მართა ჩუმად ჩამოვიდა ბაღჩაში.

— მითხარ, მზადა ხარ თუ არა? — ჰკითხა მართამ, რაწამს დაინახა სოსე, — თუ კიდევ არა გაქვთ გული და გეშინიანთ, მე თქვენი შველა აღარ მინდა, მე ვისწავლე ეხლა კი თოფის ხმარება.

— მოიცა, მართა, შენი საქმე არ არის. ჩვენ ისე უნდა მოვაგვაროთ საქმე, რომ ეგ კიდევ არ წაგვივიდეს ხელიდან. შენ თუნდა ათასი თოფის ხმარებაც რომ ისწავლო, მაინც მარტო ვერას გახ-

დები. მარტონი ჯერ ვაჟკაცები ვერას გავმხდარვართ. შენ მარტო ესა ჰქენი, რომ, როგორც წინათ გითხარი, კარები ღია დააგდე და შენ მეორე ოთახში გადი, რომ ვინიცობაა როგორ იყვეს საქმე, შენ არ ჩავარდე სამართალში.

— ვინ და ვინ იქნებით?

— მე და ზუღიაანთ დათო.

— რომ ვერას გახდეთ კიდევა!

— ფიქრი არ არის!

— როდის მოხვალთ?

— შუაღამისას, რომ ყველა გულისძილში იყვეს. შენ არ დაიძინო.

— ფიქრი არ არის, ოღონდ ერთი იმისი ჯავრი ამომყარეთ.

ამ სიტყვებით მართამ გასწია ქალბატონისაკენ, რომ იმას ის არ მოეკითხნა. სოსე წავიდა ნინიკას ვენახში. ნინიკა, სეხნია და დათო საწნახელში მოელოდნენ სოსეს.

— ხომ არ გეშინიან? — ჰკითხავდნენ ნინიკა და სეხნია დათოს.

— მეშინიან კი არა და! რისა მეშინიან! — ეუბნებოდა ისა. მაგრამ გული იმისი სრულებით სხვას ამბობდა. მინამ საქმე საქმეზედ არ მიდგა, ის გულადაც იყო და, რაკი დრო მოვიდა, თუმცა სულ იმაგრებდა გულსა, მაგრამ რაღაც უნებურმა შიშმა და ფიქრმა არტანა ის.

მოვიდა სოსეც, რომელსაც ამდენი ხანი ისინი მოუთმენლად ელოდნენ.

— ეხლა კი დროა, — უთხრა მათ სოსემ, — დათო, წამოიღე შენი თოფი და ხანჯალი.

დათო და სოსე წამოვიდნენ.

— მარტო მაგათით არ იქნება, — უთხრეს ნინიკამ და სეხნიამ ერთმანეთს, — ვაითუ როგორ იყვეს და ჩვენც შორიახლოს ვიყვეთ სადმე, რომ კიდევ არ წაგვივიდეს ხელიდან.

— კარგი იქნება, — დაეთანხმნენ ერთმანეთს.

— ჩვენ მაგათ ბაღჩაში მოვუცადოთ, და იქიდან ყური ვუგდოთ, — სთქვა ნინიკამ.

— კარგი, მაშ ჩვენც წავიღოთ იარაღი.

ორივენი შეიარაღებულნი ჩასხდნენ ბაღჩის კარებში და ელოდნენ სულგანაბულნი სოსესა და დათოს მოსვლას.

XVIII

აღსასრული

მართა ამოვიდა თუ არა, გახადა ქალბატონს ტანთ და დააძინა. აკვნის ბავშვს, რომელიც ტიროდა და აფხიზლებდა ბატონებს, მისცა ბლომად ხაშხაში და გააჩუმა. გააქრო სანთელი. მხოლოდ ოდნავა ბჟუტავდა ხატების წინ პაწაწა კანდელი და ოდნავად ანათებდა დიდს ოთახს. დაიძინა ყველამ, დაწვა მართაც, მაგრამ ძილი ფიქრადაც არ მოსდიოდა. იმას დაუწყო გულმა ცემა და ეშინოდა, რომ არ გაეგონათ ბატონებს იმისი გულის რაკარუკი. მართა გადიქცა მთლათ ყურის გდებათა. ყოველს ფურცლის შრიალზედ, კატის ფათურზედ, სიოს შემობერვაზედ უწყებდა გულის ცემა მატებას და მოელოდა ყოველს წამს მკვლელებს, ერთი ნახევარ საათის ლოდინი იმას გადაექცა მთელ საუკუნედ. იმის გულში ირეოდა ათასნაირი გრძნობა: ჯავრის ყრისა, სიბრალულისა, შიშისა და სხვა ათასნაირი გამოუთქმელობანი. მოახლოვდა წუთი და მართას გულში სძლია ყველა სიბრალულის გრძნობამ. იმან ჩახუჭა ლოდინში თვალები, რომ უფრო მალე გაევლო დროს და აქ წარმოუდგა თვალწინ სისხლში მოსვრილი ბატონი, რომელიც სთხოვს მკვლელებს შებრალებას საცოდავის ხმით; წარმოუდგა თვალწინ ბრძოლა და ფორთხიალი ჭრილობისაგან დაუძლურებული მომაკვდავი ბატონისა. ის აიტანა ტირილმა. „ღმერთო! ღმერთო! რათ მიგვახწევინე იქამდის, რომ უნდა სისხლში ხელი გავისვაროთ, მერე ისიც ვის სისხლში?!. რა ენაღვლებოდათ პატარა ქრისტიანულად მოქცეულიყვნენ, რომ არც თითონ წაწყმედილიყვნენ და არც არავინ ცოდოში ჩაეყენებინათ...“ ამგვარმა ფიქრმა დასძლია მართა და განიზრახა გუნებაში, რომ მკვლელები დაებრუნებინა. „იქნება ეხლა, სამსახურში რომ შევიდეს, უფრო კარგად მოიქცნენ ბატონიცა და ქალბატონიც!..“ ამ ფიქრით მართა წამოდგა ზეზედ, გადიგდო კაბა და აპირებდა კარებზედ დახვედრას. ის მივიდა კარებთან, გააღო ჩუმად კარი და გავიდა გარეთ, მაგრამ პატარა ხანს უკან ისევ შემოვიდა „რას ჩავდივარ მე უგუნური! დამავიწყდა ჩემი სირცხვილი?! დამავიწყდა, რომ მე, დედაკაცს, სალდათივით დედიშობილასა მცემეს და ქვეყანას გამომასალმეს!.. მე ესეები უნდა შევარჩინო!!! არა! უნდა გავძლე მათი სისხლის სმის ყურებით!.. უნდა ვნახო, რომ ეგენი იღრიცებოდნენ მომაკვდავის სასით, თოფსა და ხანჯალს ქვეშა... უნდა ვუყურო, სოსე რომ ტარამდის შიგ გულში ჩაურჭობს მაგას ხანჯალსა და ხარბად ჯავრის ყრით მიატრ-მოატრიალებს გახეულს გულში და ჩასძახებს მორევულსა: ესეც ჩემი და ჩემი მართას სა-

მაგიეროო! უნდა ვნახო ერთი, რომ ჩვენ გამარჯვებულნი დავხარხარებდეთ მაგის გაცივებულს და მოუძლურებულს უსულო გვამს, და მერე თუნდა საკირეშიაც ჩამაგდონ. თავი აღარ მენანება... მოდით, მკვლელებო, მოდით, მართა თქვენთან არის და ესენი ვეღარ წაგვივლენ: ფანჯრები მაღლებია; კარები ჩაკეტილი... თქვენი სული ჩემს ხელთ არის, თქვე სულის მტრებო!..“ და აქ მართამ თვალების ბრიალით გადახედა მძინარე ბატონებს.

მართა რომ აქ ამ სატანჯველს ფიქრებში იყო და ხან ზღევას გაიძახოდა და ხან მიტევებას, სოსე და დათო თოფ-იარაღში ჩამსხდარნი მიდიოდნენ ბაკებზედ ამოკრულნი წყნარის ნაბიჯით და მოპარვით ბატონის სახლისკენ. ორივენი შიშით იყურებოდნენ აქეთიქით, ხომ არავინ გვიყურებსო. ყოველს ძაღლის ყეფაზედ, ყოველს ფათურზედ, ყოველს უბრალო ხმაურობაზედ ჩერდებოდნენ შიშით და სულგანაბულნი ეყუჟებოდნენ ბაკის ძირებს. სოსეც და დათოც იყვნენ გაფითრებულნი, ორთავეს გული უცემდათ ჩქარა და ძლიერათა, ორთავეს უბნელდებოდათ თვალთა და სულ ბატონი ელანდებოდათ.

— გამიგონე, სოსე! რას ჩავდივართ ჩვენ ამასა?! — დაიწყო დათომ, როდესაც დაიწყო კიბეზედ ასვლა, და გაჩერდა უცებ, — მე, ჩემო ძმაო, მეშინიან... ფეხთ მეკვეთება... გული ლამის შემიღონდეს... რათ ავყოლივართ ეშმაკის საფთხესა!..

— სსუ! რა დროს ლაპარაკია, არ გაგვიგონონ! — უთხრა სოსემ მთრთოლარეს ხმით: — მეც როგორღაცა ვარ. ჩემ დღეში ეს საქმე არ დამმართნია... რამდენ ომში ვყოფილვარ... მაგრამ...

— ნეტავი სეხნია და ნინიკაც წამოგვეყვანა... ჩვენ ვერას ვიზამთ... ისინი უფრო გამოცდილები არიან... ღონე სულ აღარა მაქვს... თავი ლამის გამისკდეს... თონესავით ამენთო... თვალით ვეღარას ვხედავ... სულ მიბნელდება... უთუოდ ცოდვისაგან მოგვდის... ღმერთი არ მოგვიწონებს...

— წავიდეთ... ჩუმად იყავი... ეხლა დრო აღარ არის... რაც მოგვვა — მოგვივა... საცაა მამლები იყივლებენ... წავიდეთ ჩქარა, — და აქ სოსემ წაავლო დათოს კალთაში ხელი, — ნუ გეშინიან, მე მომყე...

— მე არ შემიძლიან, სოსე... კაცის სისხლი, მერე ისიც ბატონის სისხლი, როგორ უნდა დავღვაროთ!.. შენ წადი მარტო... მე ჩემს დღეში ქათამიც არ დამიკლავს!.. ნურც შენ წახვალ... ცოდოში ნუ ჩავდგებით... ცოდო თვალს გვიხვევს...

დათო, რომელიც თითქმის ძალათი აათრია სოსემ ბალკონამდის, მზად იყო გამოსაბრუნებლად, რომ ამ დროს დაინახეს ვიღაც ორი

კაცი თავის უკან მოპარვით მომავალნი. შეშინებული დათო და სოსე აპირებდნენ პირდაპირ ბალკონის მოაჯირიდან გადახტომას, რომ იცნეს ხმა სეხნიასი და ნინიკასი. აქ ორივეს მიეცათ გული.

— რაღას ჩურჩულებთ, არ გაგიგონონ, — უთხრა იმათ ნინიკამ; — მიდით მალე და ჩვენც შიგ კარებში ვიდგებით, ვერსად წაგვცვა, თუ თქვენ ვერ მოეღევით.

მართა, რომელსაც ესმოდა ეს ჩურჩული და ფეხის ხმაურობა, კარების გაღების უმალვე გავარდა მეორე ოთახში და ჩაკეტა იქიდან კარი. სოსე და დათო შევიდნენ თვალებამღვრეულნი, ხელფეხის თრთოლით...

* *

სძინავს როსტომს ღრმად და ელანდება მოუსვენარი სიზმრები. ის ხედავს სიზმარში მკვდრებსა და ისიც რა მკვდრებსა? იმათა, რომელნიც ამისის მოწყალებით გამოესალმნენ სიცოცხლეს. ხედავს ეს: იმათ ამოუყვიათ საფლავიდან თავები, და საცოდავად ჯავრისა და მწუხარებისაგან ჩამოშხმარები შეჰყურებენ ამას იმ სახით, თითქო ეუბნებიან, რას გვემართლებოდიო?.. ზოგნი ვითომც უყოფენ ენას; ზოგნი თითებით „ჭიტას!“ ეძახიან. შეჰყურებს ამათ როსტომი და უკვირს: „დავიჯერო ეს ენი მართლა სულ მე დავხოცე! ფიქრობდა ისა: ღმერთო, ღმერთო! რამდენი ცოდო მადევს კისერზედ!.. რა ვქნა, რატომ აღარ მახსოვს, თუ მე დავხოცე ამოდენა ხალხი?..“ ბოლოს, ხედავს როსტომი სახრჩობელასა, სადაც ჰკიდია ორი კაცი, თეთრად სუდარაში გახვეულნი და უქნევენ მუქარით თავსა, და ესმის როსტომს იმათი სიტყვები, რომლითაც უქადიან უსამართლოებისათვის დასჯას. სცნობს როსტომი ამათა და აგონდება. რომ ისინი წავიდნენ უბრალოდ სახრჩობელაზედ იმიტომ, რომ ამას ქრთამი ვერ მისცეს. ხედავს როსტომი, რომ ეს მკვდრები თანდათან ამოდიან საფლავებიდან, ჩამოდიან სახრჩობელიდან და თან მრავლდებიან, ემატებიან და იზრდებიან ისე, რომ უანგარიშო სიმრავლე იკრიბება და თანდათან ერტყმიან გარშემო. ხედავს როსტომი, რომ მათ შორის გამოჩნდნენ თოფ-იარაღიანები და უცებ სად არის და სად არა, ამ მკვდრებში წამოდგა იმის მოსისხლე მტერი, გიორგი ტაბლაძე. „ყველა, ყველა! ფიქრობს როსტომი, და ეს რაღას მემართლება? ამან ხომ თავისი შეისრულა და წაიღო, მაგას რაღა უნდა?..“ აიტანა როსტომი შიშმა და კანკალმა. „ღმერთო დამიხსენ... უდაბნოში წავალ, ცოდვებს მოვინანიებ. ეკლესიებს დავდგამ, მღვდლებს და არქიელს საწირავებს მივცემ, რომ ყოველ წირვაზედ მომიხსენიონ, ოღონდ ეხლა გადამარჩინე

ამათ ხელსა... ღმერთო შენს მადლსა!..“ დებს აღთქმას როსტომი, მაგრამ ეს საშინელი მკვდრების ხროვა უფრო და უფრო ერტყმევა გარშემო და მეტადრე გიორგი არ ეშვება, გიორგი ხანჯლით პირში, ცალს ხელში დამბაჩით და ცალს ხელში თოფით იწევს ამისკენ, და დაასხა როსტომს ცივმა ოფლმა, გიორგი არ ეშვება, არ ისმენს არც როსტომის აღთქმას, არც ხვეწნას და მივარდება, მკვდრებიც ეხვევიან და როსტომი შეშინებული წამოხტება. „მიშველეთ!“ დაიძახებს ის სიზმარში შეშინებული. და ამ დროს გავარდება თოფი... როსტომი იგრძნობს დაჭრასა და იტაცებს თეძოში ხელს. სოსე და დათო შეშინებული გარბიან. ამ დროს შემოცვივიან ნინიკა და სეხნია ხანჯალამოღებულნი.

— სად გარბით, სადა?! — შესძახეს ნინიკამ და სეხნიამ ერთხმივ, — მოჰკალ! ეგ ქვეყნის მტერი ეგა!..

აქ სეხნიამ ჩამოჰკრა ფიცხად ხანჯალი. ხანჯალი გადუბრუნდა სეხნიას ხელში და დაჭრამ ვერ გასჭრა. ნინიკა ერთ წუთზედ სწვდა როსტომს და გადმოაგდო ტახტიდან.

— შენ ჩვენი ხელიდან ვეღარ წახვალ! მოვიდა შენი აღსასრულის დღე!

ნინიკამ ამოიდო ის ქვეშ, მაგრამ გამწარებული როსტომი წამოუვარდა და სტაცა ყანყრატოში ხელი.

— ხანჯალი ამასა! — დაიძახა ნინიკამ.

სოსიკამ შემოჰკრა ხანჯალი და როსტომი დასუსტებული, ბარბაცით მიეყუდა კედელს.

— ნუ მოჰკლავთ! — დაიძახა ამან განწირულებით, — სუყველას გაგანთავისუფლებთ...

— გაგვანთავისუფლებ!! — შესძახა მწარის დაცინვით ნინიკამ და ერთს წუთაზედ ჩაუსო გულში ხანჯალი და ბრაზით, თვალების ბრიალით მოატრიალა შიგ რამდენჯერმე, — გაგვანთავისუფლებ! გაგვანთავისუფლებ!.. აი ეხლა გაგვანთავისუფლე!.. სოსე შეუბრალებლად სცემდა ხანჯალს და თან იძახოდა: „მოკვდი! მოკვდი, შე სისხლით გაუმაძღარო!..“

შუშანას წივილ-კივილმა მიიპყრო გონება მარტო მთლად გამოშტერებული დათოსი. ის უაზროდ და გიჟივით იქნევდა ხანჯალს და ქალბატონის დაფეთებულს წივილსა და ხვეწნაზედ უცებ ეცა იმასა და შემოჰკრა ხანჯალი. დაჭრამ უფრო გაამწარა შუშანა და ეხვეწებოდა დათოს. დათოს არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. იმას ესმოდა მარტო წივილის ხმა და ამ წივილზედ ის ხმარობდა უგრძნობლად ხანჯალს. ამან ისევ უგონოდ მიუბრუნა ხანჯალი და უფეთქა ფერდებში. შუშანას გადმოუბრუნდა განწირულებით და სიმწარით თვა-

ლები, დაიღრიჯა სასიკვდილოდ და გადახედა რაღაცა გამოუთქმელის სანახაობით დათოს. ამ სანახავმა დათო უფრო არია. იმაი იტაცა ქოჩორში ხელი და გაბრუნდა გასაქცევად. შეხვდა ფეხებში გამწარებული, შეშინებული ოთხი-ხუთი წლის ბავშვი. დათომ ამასაც უგრძნობლად შემოჰკრა ხანჯალი. ბავშვი უსულოდ დაეცა. დათო სულ შეიშალა. ის დაეტაკა აკვანს, გამწარებით აიტაცა აკვანი და ბავშვიანად დაახეთქა ძირსა. „ცოდო! ცოდო!“ დაიძახა იმან სიმწარით და ეცა კარებს. „სისხლი! ცოდო!..“ იძახდა ისა და გარბოდა, თითონაც არ იცოდა საით და საით არა...

მართამ როდესაც დაინახა დასოცილნი თავისი გაზრდილები, ერთი შესძახა და დაეცა უგონოდ. ის შესცდა ჭკუაზედ...

დავითი სასტიკად გამოეკიდა საქმეს და რამდენიმე დღის უკან ყველა დამნაშავენი იყვნენ შეპყრობილნი.

დათო ერთ თვის უკან იპოვეს ტყეში მკვდარი, დაფლეთილი ნადირისაგან.

I

— ეხლა დამიგდე ყური, — დაიწყო ბესარიონ ვარგისაშვილმა, რომელსაც კვლავაც ბევრი რამ უამბნია ჩემთვის. — დიდ მარხვა იყო. რაკი ვიცოდი, არ ამცდებოდა, მარხვის პირველს კვირასავე დავიწყე მზადება საზიარებლად, რომ მინამ მოკლე დღეები იყო, უფრო მოვითმენდი მარხულობას. ბედნიერია ის კაცი, ვინც ასცდენია იმგვარს მარხულობას, რომელიც მე გამომივლია ჩემს სიყმაწვილეში. მთელი ორი კვირის განმავლობაში მოზარდს ყმაწვილს მარტო დღეში ერთხელ მაძლევდნენ პურის ჭამის ნებას, ისიც, თითქმის ყოველთვის, გიორგობის თვემდის ძლივს მიგვდევდა ხოლმე პური. პურის მაგივრად უნდა დავსჯერებოდით მჭადსა და ხშირად ნაცარკვერსაც, რაკი გამომცხობელი ყოველთვის არა გვყავდა, ლობიო და სხვა სამარხო დიდ მარხვამდის ძვირად თუ მიგვდევდა. მაშასადამე მთელი დიდ მარხვა უნდა გაგვეტარებინა ცარიელს მხალზედ, თუკი ან იმის გაკეთებას არავინ დაიზარებდა ან თუკი იყო ის ხოლმე ყოველთვის შემოსული. ამას დაუმატეთ ეხლა ის, რომ დღეში სამჯერ უნდა მდგარიყავ სასტიკი ხუცესის წირვა-ლოცვაზედ, რომელიც საკითხავი წიგნებიდან არც ერთ სიტყვას არ მოაკლებდა, რადგან დიდ ცოდოთა რაცხდა, და ამასთან არც ერთს სიტყვას არ გაგაგებინებდა, რადგან იმასაც და დიაკვანსაც ნიადაგ ერთისა და იმავე სიტყვების გამეორებით, მობეზრებოდათ ამათი კითხვა, რის გამოც ჩქარობდნენ ამათს გავლას და მხოლოდ გესმოდა ცხვირში დუდღუნით დაუსრულებელი „ამ ნუ, ნუ, ხუ, ნუ," და შიგა და შიგ გაჭიანურებით, ისიც გადაფურცვლის დროს „და ჰეე უფალო!" ან „და არარაიდგან იქმნეს რა" ან „და ღაღადჰყო ხმითა დიდითა... ჰხ! ხმითა დიდითა" და შემდეგ ისევ „ამ ნუ, ნუ, ნუ", ამდენ სიკეთესთან ჩვენი ხუცესი ცისკარსა რეკავდა თითქმის მამლის ყივილისას. ყოველივე ესე ჩემთვის იყო ძალიან ძნელი საქმე. უამისოთაც ნახევარზედ მშიერი, ეხლა მთელი ორი კვირა საზიარებლად

და ზიარების უკან მარხულობა დღეში ერთხელ ცარიელი მჭადის ჭამით და მთელი დიდ მარხვა მხოლოდ დღეში ორჯერ კიდევ ცარიელ მჭადზედვე ყოფნა. ამ შემთხვევაში ან მეცნიერება სტყუის, ან ქართველი კაცის სტომაქი! დღეს რომ შემომხედოს ვინმემ, ვინ დაიჯერებს, რომ ამას, იოანე მრისხანეს სასჯელებთან, ამდენი შიმშილიც გამოუვლიაო. მთელი თვეობით, ორთვეობით ცარიელი მჭადი და ათასში ერთხელ ცარიელი მხალი! დიახ! რომ უთხრა ფიზიოლოგებს, არ დაგიჯერებენ...

მოვიდა ზიარების ღამე. გახარებული ველოდი, რომ ხვალ ამ შემთხვევის გამო მოგვიმზადდება რამე შინ სადილად, ან მღვდელი მიმიწვევს სადილად ტაბლასა და კოლიოებზედ. ამ ტკბილის ფიქრებით მე წავედი ზიარების ლოცვის მოსასმენათ, რომელიც უნდა ვახშმობის დროს დაწყებულიყო და შემდეგ განახლებულიყო კიდევ შუაღამის ლოცვით. ყველა მაზიარებლები ვიყავით ერთს დიდს დარბაზში შეყრილნი ღამის სათევლათ, სადაც მღვდელს უნდა ეკითხნა ზიარების ლოცვები. დარბაზი იყო მაზიარებლებით სავსე, ასე რომ თითქმის ტევა აღარ იყო. მე, როგორც ბატონიშვილს, დამითმეს ცეცხლაპირას ალაგი. ცეცხლზედ, რომელიც ენთო შუაგულ დარბაზში, იყო ერთი უზარმაზარი ქაქლის კუნძი, წყლით გაჟღენთილი, და ქვეშ ამ კუნძს ეყარა რამდენიმე ნედლი ღერი წიფლის ხისა, ასე რომ, ანთების მაგივრათა, ეს კუნძი ჰბოლავდა და გვთხრიდა თავისის ბოლით თვალებსა. აქა-იქა თაროებზედ ენთო მკვრები, რომელთაც წამდაუწუმ უჟინჟღილებდნენ მაზიარებლები, რომ არ ჩამქრალიყვნენ, და ამ მკვრების ბოლი შავი ღრუბელივით ედებოდა შავად შეჭვარტლულს დარბაზს, რომელსაც კუნწულ-კუნწულად ჰქონდა ყოველს მხარეზედ ჩამოკიდებული მჭვარტლის ჯაგნები. ქანდარებზედ მსხდომი ქათმები და ინდაურები გაოცებული ამ უცნაურის იმათთვის ამბისაგან, ფთხრიალებდნენ ჰერქვეშ და კრუტუნებდნენ. პაწაწინა ხბო, რომელიც იყო ხელით შეგდებული თაროს ქვეშ, რომ არავის გაეჭყლიტა, შიგადაშიგ გამოიზმუოდა და თხოულობდა თავის დედის ძუძუსა, რადგან არ ერია ის ჩვენს მარხულობაში, თუმცა ლოცვების მოსმენა და ღამის თევა ამასაც ჩვენთან მოუხდა; კუთხეში მიყუჟული, სინათლისაგან შეწუხებული ბატები ხამუშ-ხამუშ ასტეხდნენ ფრთების ფრთხიალსა და მაღალის ხმით ყიყინს, თითქოს კიდევ რომი უნდა გადაარჩინონ მტრის შემოსევასო. მღვდელი, კისერზედ ერთი ძველის ოლარით, რომელიც უნდა ყოფილიყო ასის წლის ნახმარი მაინცა, და ერთი პაწაწა ჩალის სანთლით ხელში, ჩაჰყურებდა ლოცვანში და დუდღუნებდა ცხვირში ხრინწიანის ხმით ლოცვებსა. ჩემს

მახლობლად ისხდნენ ბევრი ყმაწვილი და გასათხოვარი ქალებიც. თითქმის ჩემზედ მოკრული იჯდა ერთი ახალი პატარძალი, რომელიც თუმცა თითქო ცდილობდა ჩემს დაშორებას, მაგრამ ვითომც ვიწროობისათვის თავი ვეღარ დაეღწია. სანახაობა ამ ქალისა სრულიად არავითარს სასოებას არ წარმოადგენდა. იმისი შავი, ცოცხალი, მარბენალი თვალები, იმისი უკმაყოფილოდ აფხეკილი ცხვირი და პატარა, ალისფერი, მაღლადაკრული ტუჩები ცხადად გამოსთქვამდნენ, რომ ამისი გული და სული სრულიად ერთმანეთზედ შორი-შორს იყვნენ. იმისი მაღალი ტანი, მსხვილი კავის ნაწნავები, კიტრივით გატიკნილი სავსე აგებულება, თეთრ ყირმიზად აყვავებული ლოყები, სწორედ გითხრა, მეცა და სხვა ჩემს ტოლს ბიჭებსაც სრულიად გვავიწყებდნენ, რისთვისაც ვიყავით აქ მოსულნი. მერე რაკი ისიც ვიცოდით, რომ ამისთანა მშვენიერს გოგოს ჰყავდა ერთი უხეირო ბაჯაჯღანა ქმარი. პატარძალი გრძნობდა ამასა და ხამუშ-ხამუშ მორცხვობით ცოტა არ იყოს უკვერდებოდნენ ლოყები, რომლებიც კიდევ უფრო ამშვენებდნენ იმასა; მაგრამ, როგორც სჩანდა, თუმცა მორცხვობდა ჩვენს ჩუმს გულის თქმათ, მაინც შიგადაშიგ ქვეშ-ქვეშ ისე გამოგვყურებდა თავისი მაცდური თვალებით, თითქო გვეუბნებოდა: ვაი თქვენი ბრალიცა, რა უხეიროები ხართო.

როდის-როდის მღვდელმა დაასრულა ღამის პირის ლოცვა. ღამის მთეველებმა, ძილი რომ არ მოსვლოდათ, დაიწყეს ერთმანეთში მასლაათი. ზღაპრების თქმა და სხვა ამბების მოგონება. ერთი ახალგაზრდა ბიჭი უამბობდა თავის ტოლებს თავის ჭიდაობასა.

— მოვიკიდე, ძმავ, და მე შენ გითხრა, კინაღამ ნაპარჭყუნები გამადინა. დაუსხლტა კიდევ ხელიდანა. დაუტრიალდი ერთიც კიდევ, დავიჩოქე და ეეჰჰეი! სწორედ საროზგე რუსი სალდათივით კი გადავშოტე... ამიტაცა, ბიჭო, ბატონის სიძემა და როგორც თავის ღმერთს ისე მკოცნიდა... ღმერთმა ადღეგრძელა, ერთი კაი ჭრელი მანათიც ჩამიდო ხელშია.

მეორედგან ერთი შუა ხანს გადასული გლეხი ელაპარაკებოდა თავის ტოლსავე გლეხსა.

— ამისთანა გასავერანებელი წელიწადი არა ყოფილა. მუჭაზედ დაყრა რა არი, მუჭაზედ დაყრა არ მომივიდა. ამოდენა ქულფათობა რითი უნდა გამოვკვებო, არ ვიცი. აქამდინაც რაღაც ღვთის მადლი ტრიალებდა, თორემ ეჰეი!.. ძაან გაჭირვებული ვიყავით... თესლი თესლათ დავლუპეთ... საქონელი გადასახადებში წაიყვანეს... მე შენ გითხრა, დიდი საცოდაობაა ჩვენ თავსა, რო დავფიქრდეთ... ზოგჯერა. ძმავ, მთელი დღე გავა ნაცარკვერი არ გაჩნდეს ჩვენ სახლში.

მესამედგან ისმოდა:

— აზნაური ჩვენოდენას ვერ აიტანს. აი, ძმავ, ზაალი, რაც მაგას ჯაფა გამოუვლია მარტო შვილების დაზრდაზედ (ის ლაპარაკობდა მამაჩემზედ), იმას ვერც ერთი აზნაური ვერ შესძლებს. სად შეუძლიან ზაალსა, რომ ჩვენოდონა ღამე გარეთ გდება გამოიაროს. თავი არ მომიკვდება, ისეთ ავდარსა და ყინვაში ვგდებულვარ გარეთა, რომ ცა ინგრეოდა. ჯერ მარტო შენ ისა თქვი, რაც გლეხკაცი ღამე მეხრეობაში ჯაფაშია... ზოგჯერ თითო კვირაობით ცარიელი მჭადის ამარა ტყეში გდიხარ. ერთხელ, ტივების საჭრელათ რო ვიყავით, მთელი კვირა ისეთი ტეხრა აგვიტყდა, რომ ჩვენი ძვალი და რბილი ვეღარათ ვერ გავათბეთ. ერთი უზარმაზარი ხე მოტეხა ქარიშხალმა, სამ-სამი კაცი კინაღამ ქვეშკნეთს ჩაგვიტანა, უღელი კამეჩი როგორც კვერცხი, ისე ჩასრისა. სად შეუძლიან აზნაურს ესეები.

მეოთხედგან ორი პატარძალი მისხდომოდნენ ერთმანეთს, ჩურჩულობდნენ და ხშირად იყურებოდნენ ჩუმად ჩვენსა და ჩვენს გვერდით მჯდომს პატარძალზედ დაცინვითა.

მკვრები ზოგან ჩაჰქრნენ და ზოგან ძლივსღა ბჟუტავდნენ. მე ვეღარ შევიმაგრე თავი და ჩამძინებოდა. კაკლის კუნძი, რომელიც ჩვენ ცეცხლობას გვიწევდა, ეხლა აღარც კი ღრჩოლავდა და მხოლოდ იჟღინთებოდა. დარბაზში არ იყო სიცივე, რადგან ამოდენა ხალხის ოშხივარი სრულიად საკმაო იყო, რომ გამთბარიყო ისა. იქის გამო მეძინა ტკბილათა და მელანდებოდა სიზმარში სულ კარგი ნაზუქები, ქადები, რომელიც ყველიერში მეჭამა, კარგი ღორის სუკები. მავრამ სიზმარშიაც მქონდა ჩანარჩუნებული, რომ თუ ამათა ვჭამდი, უნდა მომცდარიყავი...

ძილში უცებ შემომესმა მღვდლის ჯავრობა.

— თქვე ცოდვილებო, თქვენა! ერთი ღამე ვერ მოგითმენიათ და სხვა რა კეთილი უნდა გამოვიდეს თქვენგან! აკი ხეირიც იმიტომ გაყრიათ, რომ ღმერთზედაც და ხატზედაც ხელაღებულები ხართ!

ამ ხმაურობაზედ დაიწყეს შიგადაშიგ ადგომა და თვალების ფშვნეტა. გარდა ორიოდე ბებერი დედაკაცისა, რომელნიც საცაღას კუნჭულში მიმსხდარიყვნენ, ყველას ეძინათ მაგარის ძილითა.

მე წამოვიწიე ასადგომათა. ჩემს მახლობლად ჩემს მეზობელს პატარძალს ეძინა მაგრად და ხელები ჰქონდა ჩემს მუხლებზედ გადმოყრილი. გავსინჯე კარგად, სწორედ პატარძლის ხელები იყო, მსუქანი, ფაქიზი... ვიღაცამ წააჟინჟღილა ცეცხლი. მე ავიმართე უცებ. მღვდელმა აანთო ჩალის სანთელი. გაჩაღდნენ მკვრები. წამოიშალნენ ყველანი. გაჩაღდა შუაღამის ლოცვა. დედამთილმა შე-

ნიშნა პატარძლის ამგვარი მოურიდებლობა და ლანძღვით გადაათრია იქითა, ნამძინარევი პატარძალი, წითლად ლოყებდაკვერებული, კიდევ უფრო ჰშვენოდა...

გათავდა შუაღამის ლოცვაცა, მე კი სრულიად არ გამიგონია მღვდლის ის ლუღლუღიცა, რომელიც წინათ მესმოდა ხოლმე. ღამის მთევლებმა დაიწყეს ისევ ღაღანი და ლაპარაკი, რომ ძილი არ დარეოდათ. მე პატარძლის ფიქრში ვიყავი... ამასობაში დამძლია ისევ ძილმა და ამოვუშვი ფშვინვა. მძინავს და ვხედავ ჩემს თავს ერთ რაღაცა უდაბურს ყრუ ადგილას, ტყეში, რაღაცა წყლის პირას. ნაცნობი პატარძალი გამოდის ტყიდან დედიშობილა, მშვენიერი, სპეტაკი, სრული, გაშლილის კავებით, ათვალიერებს მორცხვათ აქეთ-იქით, ხომ არავინ მიყურებსო და დამშვიდებული ამ მხრივ, შედის მუხლამდის წყალში და ბანაობს. მე ვგრძნობ, რომ ვარ სიზმარში, რომ ცხადლივ ამას მე ვერა ვნახავდი...

როდესაც გამაღვიძეს ცისკარზედ წასასვლელად, ვგრძნობ, რომ ამ სიზმარმა მომაცდინა ზიარებასა. გულჩათუთქული დავბრუნდი შინა და უთხარ დედაჩემსა, რომ სიზმარმა მომაცდინა-მეთქი წმინდა საიდუმლოსა. დედაჩემის ღვთისმოყვარე გული აღაშფოთა ამ ჩემმა უწმინდურობამ.

— როგორც შენა ხარ ღმერთზედ ხელაღებული, აკი ღმერთიც ისე გიმართავს ყველაფერში ხელსა! რომ ჩემს წასაწყმენდათ არ გამჩენოდი და გამწყალებოდი მუცელში, ის არ მერჩივნა, შენ ჩემო სულთამხუთავო! თათარმაც კი იცის თავისი რჯული და ლეკმაც, — შენ ხომ ქრისტიანი ხარ, შე ქრისტესაგან არგასაშვებო! — გაათავა ამითი ჩემი ზიარების მოცდენა დედაჩემმა.

გამიხდა ხელმეორედ მოსამზადებლად საქმე. მე მეორე კვირასვე დავიწყე ისევ მზადება. გულში თანა ვჯავრობდი პატარძალზედ და თან კი სიზმრათაც მენატრებოდა იმის შეხვედრა. ზიარების ღამეს, რომ კიდევ რამე ამგვარი საქმე არ დამმართოდა, ისე გავიჭირე საქმე, რომ მთელი ღამე არ დამიძინია. ვეზიარე და თითქო რაღაც საპალნე ჩამომეშვა მხრებიდან. თუმცა მთელი ღამის უძილო ვიყავ, მაგრამ ვგრძნობდი როგორღაც თავს მსუბუქად. ამ დღეს ჩვენები ყველანი ეზიარნენ და ამის გამო გვქონდა კარგი სადილი: ლობიო შეჭამანდად და სირსვლად, ბაკლა, ჭინჭარი ნიგვზითა და, ასე გასინჯეთ, ხიზილალაცა, რომელსაც თუმცა ცოტა ხავსიცა ჰქონდა მოკიდებული და სიმძაღეც შესული სიძველის გამო, მაგრამ მაინც ხიზილალა ერქვა და აღვიძებდა ჩვენს მადას ახირებულად. გვქონდა ღვინოცა, რომელიც ერთი ნახევარი თუნგი გამოერთმიათ საცალას გლეხკაცებში. მჭადის მაგივრად გვქონოდა პური და ისიც გამტკი-

ცული. ერთი სიტყვით, შემდეგ ამდენის შიმშილისა, მე ამ სადილს ვრაცხდი შეუდარებელ სადილად და ამ დროს თვით ია ბუჭყიანშვილთანაც რომ დავეპატიჟნე ვისმე სადილად, არ წავიდოდი, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ ამაზედ უკეთესი სადილი ძნელად თუ ვისმე ექნებოდა. ამასთან ტკბილიც არის შენს სახლში მაძღრისად გემრიელი პურის ჭამა, როდესაც ამგვარი სადილები იშვიათია შენს შინაობაში.

მეორე დღეს კიდევ მჭონდა თავისუფლად პურის ჭამის ნება და მასუკან ისევ მარხულობა მთელი კვირა. მერე, თუმცა ზიარების მარხულობა არ მედო წინა, მაგრამ მაინც ისევ იმგვარი მარხულობა, რომ დღეში ორჯერ შეგეძლო პურის ჭამა. ყოველივე ესე იყო ჩემთვის მეტად სამძიმო და ვგრძნობდი, რომ ამგვარი დამშევით უფრო ბევრსა ვცოდავდი ღმერთსა.

მე იქნება კიდევ არ დამმძიმებოდა ეს ცხოვრება, რომ პატარაობითვე არ გადავჩვეულიყავ ამასა. პატარაობითვე მე ჩავვარდი ერთს სასწავლებელში მოშორებით ჩემის ქვეყნისა, სადაც, თუმცა არ იყო ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ მუცელი კი ამაზედ მაძღარი მჭონდა. ამასთან მე მატარებდნენ ყოველ თავისუფალს დროს ერთი დიდკაცის სახლში, რადგან იმათ ქალებს მოსწონდათ ჩემი უცხო ტომის სახე და ქცევა. ამ ცხოვრებაში მე დავყავ რამდენიმე წელი და თითქმის დამავიწყდა ჩემი ძველი გარემოებანი. მაგრამ, როგორც ქართველები იტყვიან: საწყალს კაცს არც გასთენებია და არც გაუთენდებაო, — სწორედ ისე მომივიდა მეცა და ჩემს მშობლებსაც. გაჩენებივრებული უცხო მხარის დიდკაცების სახლებში, უცებ დავბრუნდი შინა და მივადექ ჩემ საცოდავ ღარიბ დედ-მამას, რომელნიც მოელოდნენ ჩემსგნით დიდ საბოლოოსა და სიღარიბიდან ერთხელაც არის თავის დაღწევას. ამ უცნაურის ამბით ელდა იმათი იყო გამოუთქმელი. რამდენი წვალება, თრევა, უკანასკნელი სარჩოს გაყიდვა დასჭირდათ ჩემი ალაგას მიცემისათვის, და ეხლა, ასე უცებ, ყოველი ამაგი, ყოველი იმედი ერთბაშად მოესპოთ. იმათთვის იყო ელდა ჩემი დაბრუნება, მაგრამ ჩემთვის იყო ეს წმიდა წამება. როდესაც ისევ დავინახე ჩვენი ძველებური, თავიდან ბოლომდის შავად გაჭვარტლული დარბაზი, სადაც თავზედ გვეყარა პურის გოგროხები, პურის კიდობნები, ცომის ვარცლები თავისის ცხვრის ტყავებითა, სარეცხის ვარცლები, თაბახები, ხონჩები, გუდები, ტომრები, ჭილოფები, მთელი და დამტვრეულ-დალეწილი ქილები, ქოთნები, კოკები და სხვა ათასი ჩიხო-მახო; როდესაც დავინახე წიწილ-კრუხი, რომელიც ზედ თავზედ გვასხდებოდნენ, ძაღლები, ღორები, თხები, რომელთათვისაც ყოველთვის ღია იყო ჩვენი სახლი

და რომელნიც ჩვენ არც კი გვეკუთვნოდნენ, მე ამეშალა სევდა და წარმომიდგა დაკარგული ნეტარება. მე ჩემს თავს ვგრძნობდი უცხოობაში, მე ვერ წარმომედგინა, რომ ეს იყო ჩემი სამშობლო სახლი, სადაც პირველად დავინახე მზის ნათელი, სადაც პირველად შევისუნთქე ჰაერი, სადაც პირველად გავიგონე ტკბილი ალერსი და მწარე წყევლა ერთმანეთში არეული. მე მიდუღდა და მიჩუყდა გული, მე ვეძებდი მარტოობას, არც-კი მინდოდა გამეზიარებინა არავისთვის ჩემი სევდა, რადგან ვიცოდი, რომ ამ სევდას ვერავინ მიმიხვდებოდა, რადგან იმათ ამაზედ უკეთესი ცხოვრება არ ენახათ. ღავიხელებდი მარტო თუ არა თავსა, ვიქარვებდი სევდას ცხარის ცრემლებით. მე შემძაგდნენ ყველანი ჩემს გარშემო, რადგან ისინი არა ჰგრძნობდნენ და ცივად უყურებდნენ ჩემს მწუხარებას. მე ვუყურებდი იმათ, როგორც არაღირსთა და ამ სიღარიბეში ვხედავდი იმათ დამნაშავედ. ისინი ჰგრძნობდნენ ყველას ამას და მიყურებდნენ, როგორც მოკვეთილს ასოს.

ყველა ჩვენი სახლიკაცები, გარდა ერთისა, იყვნენ თითქმის ისეთივე ღარიბები, როგორც ჩვენა. გარჩევა ჰქონდათ ერთმანეთში ძალიან მცირე, მამაჩემი გააღარიბა კიდევ იმან უფრო, რომ მოუნდა შვილების სასწავლებელში მიცემას. სხვებს არც შვილები დაეზარდნათ. „მამა-პაპათ თუ არ უსწავლიათ, გაიძახოდნენ ისინი, მე თქვენ მოგახსენოთ, ვერც უცხოვრიათ!“ მამა-პაპანი, მართალია ცხოვრობდნენ, პურსა და ღვინოს მოჭარბებულები, მაგრამ ეს იმიტომ ჯერ რომ იყვნენ ცოტანი და მამულები ჰქონდათ საკმაო, რომელნიც წელიწად გამოშვებით მაინც ისვენებდნენ ხვნა-თესვისაგან; მეორეც იმიტომ, რომ თავის ბატონობას არაფრად აფასებდნენ და მუშაობას არა თაკილობდნენ. ეხლა კი სულ სხვა იყო. სადაც აქამდის ერთი პატრონი იყო, ეხლა გახდა ხუთი და ექვსი; მიწა, რომელსაც აღარ ჰქონდა დასვენება, თანდათან იღლებოდა და მოსავალს იძლეოდა ნაკლებად. ამასთან, ახლანდელი ბატონები თავის თავს უყურებდნენ ნამდვილ ბატონად და შრომა მიაჩნდათ სათაკილოდ. ამის გამო ცხოვრებაც იმათი ხდებოდა უკანასკნელი და ყოვლად გონების და გრძნობის დამხშობი იმათთვის, ვინც გარეშე ამ ცხოვრებისა არა ხედავდა სხვა უკეთესსა.

რაკი ამ ნაკლებულებაში ჩავვარდი, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, მე ახირებულად მიღრინავდა გული. ჩემ სახლში მოთმენა შეიქმნა შეუძლებელი. რაკი ერთი და ერთი დამატყეს, რომ ჩემი გული არ ურიგდებოდა ამ ცხოვრებას და სახსარი კი არა ჰქონდათ, რომ აქედან ვეხსენით, რადგან მამაჩემს აღარ მოსდევდა აღარც მუხლები და აღარც შეძლება ჩემს საქმეებზედ სათრევლად, შინაუ-

რებმა თანდათან შემაჩვიეს პირი. რამდენიც ისინი ჰკარგავდნენ ჩემს ხათრს და თავაზს, იმდენი მე უფრო ვღელდებოდი და ვაგრძნობინებდი ჩემს უკმაყოფილებას. რამდენიც მე ვაცხადებდი ჩემს უკმაყოფილებას, იმდენი ისინი მიდგებოდნენ ჯიბრში, და ბოლოს მექცეოდნენ სრულიად უკანასკნელად. ეს კიდევ უფრო მიწყლავდა გულსა და ხშირად მომდიოდა ფიქრი, რომ მოვრჩენოდი ამ ცხოვრებას, ერთხელ და ერთხელ ამეღო თავზედ ხელი და გამოვსალმებოდი წუთისოფელს. მაგრამ ამ დროს საიდამღაც გამომიტყვრებოდნენ ტკბილი იმედები და მიფანტავდნენ ამ სულმოკლე, ან, ვინ იცის, იქნება სულგრძელ აზრსაც.

ერთადერთი ნუგეში იყო ხოლმე ჩემი ამ ჩემს მდგომარეობაში დეიდაჩემის ეფემიას სახლი, რომელიც იდგა ჩვენი სოფლიდან ერთ ოცდაათს ვერსზედ.

დეიდაჩემი არ იყო ჩვენსავით ღარიბად, თუმცა ოჯახში მარტო ეს იყო გამგებელი, რადგან ქმარი, იოთამ ნაწრეტიშვილი იყო უფრო „ფილოსოფოსი“, ვიდრე მშრომელი კაცი. ის, — მუდამ ამოგანგლული ბუმბულებსა და ბურტყლებში, ტანისამოსით ლოგინში გდებისგან თავის ერთ ჯურღმულ ოთახში, — კარგა გრძელის თმით, რომელიც გარშემო კინკრიხისა ქოჩრის ქვეშ ჰქონდა გამოპარსული, იმერული, გრძელი, გაწკეპილი, ინით შეღებილი ულვაშებით,— ეძებდა ყოველს მარჯვე შემთხვევას ვისთანმე გაბაასებისას და ეპუსაიფებოდა ყოველს გამვლელს-გამომვლელს. იმას მეტადრე უყვარდა ბაასი მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ის თავის თავს რაცხდა მართლაც და სწავლულად, თუმცა თავის დღეში წიგნი ხელში არ აეღო და არ იცოდა არც კითხვა, არც წერა და არც გაურახს იქით სადმე წასულიყო, სადაც თავის ყმაწვილობაში ხლებოდა ერთს რომელღასაც სარდალს, თუ სარდლის შვილს ორბელიანს. ქალაქიც, თავის სიზარმაცის გამო, არ ენახა ერთხელის მეტად, ისიც თავის ყმაწვილობაში, უცოლობის დროს, სადაც ერთხელ დიდი სარდლისა და სარდლის შვილისთვის ეყიდნა ერთი მანეთის მთელი ჯორის საპალნე მწვანილი, რადგან მანეთის ხურდა არ ჰქონოდათ და მიეცათ მთელი მანეთი, იმ ფიქრით, რომ თითონ მიხვდებოდა და იყიდდა ხუთი გროშის ან შაურის მწვანილსა. მეცნიერებაზედ კი თავს უფრო იმისთვის სდებდა, რომ, როგორც თითონ ამბობდა, იყო დიდებულს სასახლეში გაზრდილი.

მამულები ჰქონდათ ამათ საკმაო. ესენი იყვნენ მონახევრენი რამოდენიმე ბიძაშვილისა, რომელთაგანაც ბევრნი რამდენსამე წილად იყვნენ გაყრილნი, და რომელნიც მომეტებული ნაწილი იყვნენ ძალ-

ზედ ღარიბები. ესენი ყველანი სახლობდნენ ერთს ალაგას და გაჰყურებდნენ ერთმანეთის ჯამსა და კოვზსა.

ყველა ამ სახლიკაცებს ჰყავდათ ერთი მონახევრე, ბაადურ ნაწრეტიშვილი, რომელიც მართლაცდა კარგი შეძლების პატრონი იყო. იმას ეყოლებოდა ორმოც კომლამდის კაცი, მრავალი ჰქონდა სახნავ-სათესი სამკვიდრო და ნასყიდობა, უზარმაზარი დიდი ზვარი, დიდი გაშლილი კარმიდამო, კარგს პლანზედ აშენებული დიდი სასახლე ზედ ციხეზედ მიდგმული, მრავალი გაცემული ფული, რომელიც ყაზახ-ბორჩალოში დიამბეგად ყოფნის დროს ეშოვნა. თითონ სუფთად ცხოვრობდა. შვილი ჰყავდა მარტო ერთი, რომელმაც ამ ორი წლის წინათ დაასრულა გიმნაზია და იყო წასული უნივერსიტეტში. ამათ მოსდევდათ მრავალი დიდკაცობა და მოსამართლენი. სახლიკაცებს სრულიად არ მისდევდა და უყურებდა თაკილითა. სახლიკაცობა და მეზობლობა უყურებდა ამის ცხოვრებას შურითა და ინადით და ყოველს შემთხვევაში ცდილობდნენ, რაშიაც კი მოასწრებდნენ, ჩუმჩუმად ამის ზარალსა და წყენას. ცოლად ამასა ჰყავდა ერთი თავადიშვილის ქალი, სახელად სიდონია, რომელსაც აგრეთვე მოჰყვა საკმაო ყმა და მამული მზითევში...

ამ ბაადურს გარდა ნაწრეტიანთში ყველაზედ კარგად იყო ქმარი დეიდაჩემისა, იოთამ. სხვები იყვნენ სულ წისქვილზედ დასაფქვავები.

მაშინ, როდესაც იოთამი უნდებოდა მარტო „ფილოსოფოსობას“, დეიდაჩემი იდგა მთელი დღე ფეხზედ, აკეთებდა თითონ საქმეს, ადგა მუშებს თავსა, აძლევდა თადარიგსა, გზავნიდა ტყეში, აბარვინებდა, ასხვლევინებდა, აღობინებდა, ალეწვინებდა. ერთი სიტყვით, ის იყო დაუცხრომელი და სასტიკი, ჯანიანი მუშა დედაკაცი. პატარა ხანს, ცოტა არ იყოს, ქმარს ძალას ატანდა, მუშას თავს დასდგომოდა და ეკეთებინა საქმე, მაგრამ, რაკი დაატყო ეს თავის „ფილოსოფიით“ მხოლოდ აცდენდა მუშებს, საქმის გაკეთების მაგივრად, მაშინ ამან შესცვალა თავისი აზრი და მიანება ქმარს სადავეები „საფილოსოფოსოდ“. მხოლოდ შიგადაშიგ კიდევ ვალათა რაცხდა დაეტუქსა უსაქმობისათვის და ძალა იყო თუ ნება ანდობდა წვრილმან საქმეებს, სადაც ვისთანმე ვერ „იფილოსოფოსებდა“ ესა.

ამათ, ერთის ქალის მეტი, სხვა შვილი არ მისცემიათ და ესეც მიეცათ სიბერის დროს. ეს იყო ეხლა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა და სიმხნევით სახიერი დედა. ეს ერთი ორიოდ-სამი წელიწადი ებარა კიდეც ზავედენიაში თუ ინსტიტუტში; მაგრამ შემდეგ, რაკი ფული ვერ შეჰქონდა იოთამს, ანუ უკეთა ვთქვათ, დეიდაჩემს, დაითხოვეს სასწავლებლიდან და დაბრუნდა შინა. კატოს — ეს იყო

იმის სახელი — გარდა თავის სიმხნევისა, საშინლად უყვარდა წიგნები. ძვირად იპოვებოდა ქართული წიგნი, რომ კატოს არ ჰქონოდა წაკითხული და თითქმის გაზეპირებული: „ვეფხისტყაოსანი“ იცოდა როგორც თავის ხელისგული. ყოველს მოცლილს დროს მოისვამდა ამას თავის მამა და აკითხებდა „ვეფხისტყაოსანს“, „მირიანს“, „დავრიშიანს“, „ამირან-დარეჯანიანს“, „ბეჟანიანს“, „ვისრამიანს“, „სირინოზიანს“ და მეტადრე უყვარდა „გიორგი მილორდის“ ამბავი, რომელიც არ მეგულებოდა, რომ ქართულს ენაზედაც ყოფილიყო გადმოღებული. ამათ გარდა საიდანღაც ჩავარდნოდათ ბაუმეისტერის ფილოსოფია, ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, სომხურიდან თარგმნილი ღვთისმშობლის ცხოვრება. აგრეთვე სომხურიდან ფრანგების „სამოთხის კარი“ და სხვადასხვა. გარდა ამ ქართულის წიგნებისა, ამათ სახლში იპოვიდით რუსულს წიგნებსაც, რომელიც დარჩა უშვილოდ ამოწყვეტილის. იოთამის ძმის, იოკიმე მღვდლის სიკვდილის შემდეგ, რომელიც იყო სემინარიაში გაზრდილი. თქვენ ნახავდით აქ „Кадмъ и гармония“ ხერასკოვისა, „Странствование Телемака“, „Путешествие Гулливера“ სვიფტისა, „Разсуждение о превосходстве Православной Кафолической веры“, „Гомилектика“, „Герменевтика“, „Догматика“ და კიდევ სხვანი. ესენი ყველანი გადაკითხული ჰქონდა კითხვის მოსიყვარულე კატოსა, თუმცა, თქმა არ უნდა, გომილეტიკიდან, გერმენევტიკიდან და სხვა ამგვარებიდან თავბრუდახვევის მეტი არა გამოჰქონდა რა. ამასთან კატო იყო საშინელი მოსიყვარულე გულისა და ლმობიერის ხასიათისა. იმისი სილამაზე იყო წმინდა ქართული სილამაზე: კილოიანი ცოცხალი და ცოტა ჩაფიქრებული თვალები, გრძელი და ყორნის ბოლოსავით შავი თმა, შავი თვალ-წარბი, სწორე, ცოტა მოგრძო, სუფთა, ოდნავ ნესტოებ უკან გაწეული ცხვირი, შაქრისფერი პირისახე, მაღალი და სრული ტანი, ალისფერი, მუდამ კმაყოფით მომღიმარი ტუჩები, გახსნილი და გადაშლილი შუბლი, რომელიც ძვირად თუ შეიჭმუხნებოდა. აუჩქარებელი სახის გამომეტყველებასა, ყოველს იმის მოძრაობასა და მოქმედებაში გამოსჭვიოდა იმედი თავის თავისა და დაბრკოლების მოურიდებლობა... ამისი თვალები დღესაც ცოცხლად მიდგია თვალწინ: ისინი პირველსავე შეხვედრაზედ თითქო გრძნობდნენ შენს მწუხარებას და იღებდნენ მონაწილეობას შენს სევდასა და გულის დარდებში და ამასთან თითქო გეუბნებოდნენ, რომ სამწუხაროა შენი სევდა, მაგრამ რამდენიც უფრო აჰყვები, უფრო დაგიმორჩილებენო. ლაპარაკიც ისეთი ჰქონდა, რომ მაშინათვე შეეკვეთებოდა კაცი, თითქო ამისთვის დაფარული არ არის რა, არავითარი

შენი გულის პასუხი, და ამათი განკურნება მხოლოდ ამას შეუძლიანო.

როდესაც ასე უწყალოდ მეჩაგრებოდა გული იმის საშინელი თავდაუღწეველი სიღარიბით, რომელიც გაიხსნა ჩემ წინ შემდეგ ჩემის სასწავლებლიდან შინ დაბრუნებისა, როდესაც მე ყველა და ყველას მე შევძაგდი, მაშინ მხოლოდ ამაში ვნახე ჩემი გულის შემატკივარი; მე მხოლოდ ამას დავუახლოვდი და მიყვარდა ამასთან ყოფნა. ჩვენ ვიყავით ტოლები და თითქმის ერთად შეზრდილები. იმასაც მართლაცდა ვუყვარდი, არა ჰყავდა ძმა და ჩემში ჰპოვებდა ძმის მაგიერსა. იმას უყვარდა ჩემი ლაპარაკი, ამბები იმ უცხო ქვეყნებისა, სადაც მე მევლო და მესწავლა, რომელთაც, თუმცა მეც ცოტას ვიცნობდი, მაგრამ იმაზედ მეტი ცნობა მაინც მქონდა. ერთი სიტყვით, იმას ჰქონდა სურვილი გაეგო რამე ქვეყნისა, შეეტყო, რომ არის კიდევ სხვა ქვეყანაცა, სხვა ცხოვრებაცა, გარეშე იმისა, რომელსაც ისა ჰხედავდა; და მხოლოდ ჩემის ტიკტიკით იკლავდა ამ წყურვილის ძალასა.

მე მიყვარდა კატო, მე მიყვარდა დეიდაჩემის სახლიცა, სადაც არ ვხედავდი არც ისეთს სიღარიბეს, არც ისეთს ვიწროობას, არც იმ კაცთა, რომელნიც ნიადაგ ჯიბრში მიდგნენ და მიწყლავდნენ ცხოვრებას. ამის გამო მე ვიყავი ხოლმე ამ სახლის ხშირი სტუმარი, სადაც ჩემი ყოფნა ჰქონდათ ყოველთვის სასიამოვნოდ.

სწორედ ეს დიდ მარხვა იყო, რომ მე აღარ დამიდგა გული შინა ამდენის უსიამოვნობისა და მოთმინებისაგან. მე გავეცალე ჩემს სახლს დეიდაჩემთან პატარა ხანს გულის დასამშვიდებლად და, სწორედ უნდა სთქვას კაცმა, მუცლის ამოსაყორათაც.

როდესაც შევედი შინა, კატო უჯდა ქარგასა და ჰკერავდა ოქრომკედის თავსაკრავს. ჩემს დანახვაზედ კატომ აგდო ქარგა და გამოექანა ჩემსკენ.

— ძლივს! — შესძახა იმან და გადამეხვია ყელზედ.

იმისი ასე სიხარულითა და წრფელის გულით მოგებებაზედ, მე თითქო რაღაცა მომეშვა გუნებაზედ.

— კარგი არის შენგან ესე ჩვენი დავიწყება? ვიღა გვყავს შენს მეტი, რომ შენც ეგრე გვივიწყებ. როცა შენ აქ არა ხარ, ისე მგონია, გულზედ რაღაც მომწყდა-მეთქი. დედაჩემი ხომ სულ კბილებს ილესავს შენზედ, რომ ამდენს ხანს აღარა გვნახაო.

მე, პასუხის მაგივრად, გავჩუმდი, რადგან არც კი ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, რაკი ჩემი წასვლა და აქ მოსვლის დაგვიანება წარმოსდგებოდა მხოლოდ ისევ ჩემი ამპარტავანის გულისაგან, რომ არ შემემჩნევინა ამათთვის მიზეზი ჩემი აქ ხშირად ყოფნისა და მასთან

არ მიმეღწია იქამდის, რომ ჩემი სტუმრობა გახდომოდათ სამძიმოდ.

დეიდაჩემი და იოთამი არ იყვნენ შინა. ერთი იყო ვენახში და აკეთებინებდა მწვანილის კვლებს, და მეორე იყო შუადღის ლოცვაზედ.

დამსვა თუ არა კატომ, ის მაშინვე გაექანა საკუჭნაოსკენ.

— შენ ხომ გიყვარს ჩემი გაკეთებული ჩურჩხელები! ასეთი ჩურჩხელები გაჭამო, რომ კიდე უფრო მოგეწონოს. ეხლა ნახე ყურძენი, როგორ ლამაზად შევინახე ხის ნახერხში, შენი წილი ყველაფერი ცალკე მაქვს შენახული. შენ კი აღარც კი გახსოვართ, რაკი ერთი თვალს მოგვაშორებ.

პატარა ხანს უკან კატომ შემომიტანა მშვენიერი თეთრი და რბილი ჩურჩხელები, სუფთად შემწვარი ჩამიჩი, მშვენივრად შენახული ჩირი და ტყლაპი, და ისეთი მშვენიერი ყურძენი, თითქო ეს არის ეხლა ჩამოუკრეფიათ ვაზიდანაო. მე სიამოვნებით დავუწყე ყველა ამას ჭამა.

— მინამ შენ მაგას შეექცევი, მე საჩქაროზედ კარგ სადილს მოგიმზადებ, რომ შენებურად მალე არ აიყაროო ჩვენზედ გული და კვლავინდებურად ერთი კვირის უკან არ გაგვექცე. ასეთი წნილები მაქვს შენახული, რომ მართლაცდა მოგეწონოს.

კატო დატრიალდა სათონეში, რომელიც აგრეთვე იყო სამზარეულოცა, მოახდევინა მარანში წნილები და დაბრუნდა ისევ საჩქაროზედ.

— რო იცოდე, რა მშვენიერი ამბავი მომივიდა ეხლა „ცისკარში“ დაბეჭდილი. ჩვენს მღვდელს უშოვნია სადღაც და მე გამოვართვი ეხლა, „მარიინ დელორმის“ ამბავი. ვაი ჩვენი ბრალიცა! ქვეყანაზედ ვინ იცის რა არა ხდება. ბევრი ვიცინე ძალიანა.

აქ კატო ავიდა ტახტზედ და ჩამოიღო განჯინიდან „ცისკრები“. სადაც ეს რომანი იყო დაბეჭდილი.

— ღმერთმა უშველოს ჩვენს მღვდელსა, ის, სადაც არა მგონია, შოულობს ამისთანა წიგნებსა და გვაძლევს ხოლმე. მამაჩემს უყვარს წიგნები, უნდა ჩვენც დაგვებარებინა, სადაც ეს წიგნები გამოდის, და ვერაფერი გავიგეთ-რა, როგორ უნდა დავიბაროთ.

მე ჩამოვართვი წიგნები და ვსინჯავდი, რომ ამ დროს გაიღო კარები და შემოვიდა ერთი ესე ოცდაორის, ოცდასამის წლის ყმაწვილი კაცი, საშინელი გამხდარი, მაგრამ ამ სიგამხდრეშიაც სჩანდა კიდევ ამ ყმაწვილის სილამაზე და შთაბეჭდილებიანი სახე. ის იყო ევროპიულად, სუფთად ჩაცმული, ოდნავ წელში მოხრილი, სათვალეებითა და ახლად ამწვანებულის წვერ-ულვაშით. ეს იყო ერ-

თადერთი შვილი ამათის მდიდარის სახლიკაცის ბაადურისა, ვასილ, რომელიც დაბრუნებულიყო უნივერსიტეტიდან ავადმყოფობის გამო.

იმან ჩამოგვართვა ორთავეს ხელი.

— თქვენ მაინც არა გვნახეთ, — დაიწყო ვასილმა, — და ისევ, რაკი ცოტა უკეთ შევიქენ მე, ავადმყოფი კაცი, წამოველ თქვენ სანახავად. საკვირველია, ისე გვერიდებით ყველანი, თითქო მგლები ვიყვეთ. თქვენგან მაინც ეს კარგი არ არის, ეკატერინე იათამოვნა, რომ თქვენი ყმაწვილობა აღარ მოიგონეთ და ერთხელ მაინც არის არ დამხედეთ. გახსოვთ ჩვენ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი ყმაწვილობისას? აი იქ, ვარდის ძირებში რომ მივიყუჟებოდით და ვჭამდით ხოლმე მოპარულს ხილსა! თქვენ ისევ ის ცოცხალი და მარილიანი კატო ხართ, რაც მინახავხართ. თქვენი სახე ისევ ხატივითა მაქვს დამახსოვრებული გულში. რამდენჯერმე ავადმყოფმა ბალკონიდან მოგკარით თვალი, მომაგონდა ჩვენი უდარდელი ბავშვობა. მინდოდა დამეძახნა თქვენთვის, მაგრამ, ვიფიქრე: ვაითუ ისევ თავისებური გული აღარა ჰქონდეს, გაამპარტავნებულიყვეს და უზრდელობაში ჩამომართვას ეს ჩემი გაკადნიერება-მეთქი, და ვეღარ გავბედე შეწუხება... მომაბეზრა თავი დედაჩემის ფარისევლობამ და მამაჩემის ნიადაგ ბრძანების კილოთი ლაპარაკმა, რომელიც ავადმყოფობასაც კი უწყრება. — სულ მენატრებოდა, ნეტა ერთი ისეთი სულიერი მაინც ვინმე მიჩვენა, რომ პატარა ჩემიც ეყურებოდეს-მეთქი... ჰა, კატო!.. ეხლა კიდევ უფრო გალამაზებულხართ, დამშვენებულხართ და, ვინ იცის, კიდეც გაამპარტავნებულხართ?!

— მერე აგრე უნდოდა, რომ პატარაობისას ისე გვიყვარდა ერთმანეთი და მასუკან კი, რაც თათრებიდან დაბრუნდით და სახლები დაიდგით, თვეობით მოსულხარ და ერთხელ აღარც კი მოგაგონდი!

— ეგ ისე ჩემი დანაშაული არ იყო, როგორც ჩემი დედ-მამისა. მაშინ მე ბავშვი ვიყავ და ვუჯერებდი იმათა. რაკი პატარა ფულები შეიძინეს და სახლები დადგეს, უცებ ამაღლდნენ თავის თვალში და არ უნდოდათ, რომ ჩვენ სხვაგვარი ცხოვრება გვენახა. ეხლა სულ სხვა არის. ეხლა შეეჩვივნენ და აღარც თითონ უკვირთ თავისი მდგომარეობა. მერე ამ ჩემმა ავადმყოფობამ ბევრში ჩემი ნება გახადა ეგენი.

ამ დროს შემოვიდა კატოს მამა, იოთამიცა, რომელიც ის იყო მოდიოდა შუადღის ლოცვიდან.

— შეგეწიოთ ლოცვის მადლი! ოჰ, ბესარიონ! ოჰ, ვასილ! ეგ როგორ მომხდარა, რომ გვიკადრე. მამაჩემი არ წამიწყდეს, რომ ეგ

ჩემი ბიძაშვილი, ბაადურ, ისე არათ გვაგდებს, როგორც ერთს უკანასკნელსა. როდი უნდა, შვილო, აგრე გადიდკაცება, „რომელმან აიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს— ამაღლდეს“. რაც უნდა დიდკაცობა მიიღოთ, მაინც ერთი სისხლი და ერთი ხორცი ვართ.

— რა გაეწყობა, ბიძაჩემო, წამოდგა და მივიდა ვასო ხელის ჩამოსართმევად, — რაკი ეგრეთის ხასიათისანი არიან, მაგათი გამოცვლა ეხლა ძნელია. ისინი თქვენ გემდურიან, რომ ამისთანა გაჭირვებაში ერთმა არავინ გადმოგვხედა და არ დაგვხედა, რა მოგვდისო.

— რა, შვილო, ღმერთს ერწმუნე, ისე დაჩაგრულები ვართ მაგისგანა, რომ ხმაც ვეღარ გაგვიცია... დიამბეგები მაგისკენ არიან და ნაჩალნიკები... ამოსვლა რო გვინდოდეს, ვერ გაგვიბედნია: ქოშებით ნუ შამოხვალთ, ნალებიანია და პოლს წაგვიხდენსო, წაღებით ნუ შამოხვალთო — პოლს გასვრითო, და, რაღა დროს ჩემ დროული კაცის ფეხშიშველა სიარულია! როდი უნდა გაიკვირვოს კაცმა სარჩო, ყველა ღვთის მოცემულია. ღმერთი ზოგს ართმევს და ზოგს აძლევს: ყველა იმისი ნებაა, იმისმა მადლმა.

ამ დროს შემოისმა გარედან ერთი საშინელი ძაღლის წკავწკავი და წკმუტუნი.

— ახა, ღმერთო, შენ დამიფარე! — შეიტია იოთამმა და გადიწერა პირჯვარი. — გაგონილა! მაგის შიშით ძაღლს ვეღარ გაუვლია კარმიდამოზედ.

იოთამი რომ ამ ჯავრობაში იყო, შემოისმა საშინელი გაცხარებული ჯავრობა და ძაღლის დევნა.

— ნძა, ნძა! შე რჯულძაღლო და შე გასავერანებელო, შენა! მე აგაწკმუტუნებ შენა! აააჰაი!

ამ ხმაზედ ერთი ძაღლი, რომელიც იწვა ოთახში, მაშინვე შეძვრა ღრმად ტახტქვეშ და მიიყუჟა. რამდენიმე ძაღლი, რომელნიც იყვნენ კარებზედ, დაიკუმშნენ და, რაც შეეძლოთ, გადაევლნენ ბაღის ღობეზედ. მხოლოდ ერთი მომცრო ტანის მწყემსის ძაღლი იქვე მიიყუჟა კარებთან და, რაწამს ჩამოიარა საშინელის კეტით ამ ძაღლების მდევნელმა, ის გაძვრა უცებ კარიდან, ეცა კანჭში, გამოაფლითა ხორცი და ერთის თვალის დახამხამებაზედ გაჰქრა. დაგლეჯილი ძაღლების მდევნელი იყო ბიძაშვილი იოთამისა, სოფრომ, ერთი ორმოცდაათი წლის კაცი. ამ ძაღლის კბენაზედ სოფრომმა მოიხედა უფრო გაშმაგებულმა, მაგრამ ვეღარ დაინახა ძაღლი.

— ერთი უყურე ამ ტიალსა, რა ქნა, ეე! სულ არ გამომაფლითა შარვალი. ამის მეტი შარვალი აღარც კი მაქვს. დაგლეჯას ვინ ინაღ-

ვლიდა! ნეტა, ე შარვალი!.. ვაი დედიჩემის ღმერთსა!.. — ის უცებ ღატრიალდა კარებთან და დაიწყო ყვირილი.

— გამოდი, გამოდი, იოთამ, თუ კაი დედიშენი შვილი ხარ! გამოდი-მეთქი და, მე გიჩვენებ, რაღაც ძაღლები არიან ე შენი ძაღლები! გამოდი, თორემ, ღმერთია შენი თავდები, სულ მუსრს გავადენ აქაურობას!..

იოთამი მიიყუჟა ბუხრის პირასა.

— ღმერთს ერწმუნე, რომ ერთს სისხლს შეგვამთხვევს, — დაიწყო იმან დაბალის ხმით, თითქო ეშინიან, არ გაუგონოს ლაპარაკიო.

ამ ყვირილზედ შეგროვდა კარებზედ ხალხი და დაუწყეს სოფრომს შოშმინი.

— გამიშვით! — იძახოდა სოფრომი, თანდათან უფრო გაცხარებული, — გამიშვით ერთი ზედ თავზედ დავანგრიო მაგათ ე სახლი, რომ ამოვბუგო დედაბუდიანათა!.. გამოდი, იოთამ, თუ შენი ცოლის ლეჩაქი არა გხურავს, გამოდი!

— უი ჩემს სიცოცხლესა! — მოისმა ქალის ხმა გარედან, — ეგ რა დაგმართვნია. — და შემოიკრა ამ ქალმა თავში. ქალი იყო ცოლი სოფრომისა, თუთალა.

— არა, შენი ძაღლებისგან ეს უნდა მომივიდეს, შე გოგოჩუა, შე ქაჩუა, შე ნაცარქექია ფილოსოფელო, შენა, ჰა?! ერთი გამოდი, ე შენი ძარის ბოძებზედ გიხალო თავი, — გაიძახოდა ისევ სოფრომი.

— უი შენს თუთალასა! — იცემდა სოფრომის ცოლი თავპირში, — თქვენი ჭირიმეთ, ახალი შეკერილი შარვალი! უი, შენამც დაგბრმავებია ე თვალები! არა, შე ბეხეკო, რას აჰყოლიხარ ძაღლებსა და, სადაც არა მგონია, დასდევ? რა შენი ტოლები არიან ძაღლები, რომ პატარა აღუცასავით შენი შიშით ძაღლები ვეღარ გამოჩენილან! აბა ეხლა დაგდგომია შენ თვალი, აი! შენმა სიცოცხლემა. ხვალ კიდევ ახალს შეგიკერავ! ექამდის არ იყო კანჭგადახვეწილი დაეთრეოდი მთელი წელიწადი! წამოდი, დაეგდო შენს ქოხში, რომ სამარცხვინოდ არ დაეთრეოდე! მაინც ღმერთს არ უქნიხარ და მაინცა, ისევ შენს ქოხში ეგდო, ტანისამოსს მაინც არ დაიფხრეწ. ხო ჰხედავ, რომ ყველას ჩვენზედ უბრმავდება თვალები.

თუთალამ წაავლო ხელი და წაათრია სოფრომი, რომელსაც სისხლის კვალი რჩებოდა უკანა, ქოში და პაჭიჭი სულ გაევსო სისხლითა.

— არა, ერთი გამოკიდეს და ვუჩვენო მაგას თავისი უნარი! — გაიძახოდა ცოლისაგან წათრეული სოფრომი, — ერთი, ერთი ძალი-

ან გავზურგო... ჰა! მაგისგან უნდა ეს დამემართოს!.. შარვალი და მერე რა შარვალი!..

სოფრომის ხმა კარგა გაშორდა კარმიდამოს. იოთამმა გაიხედა ფანჯრიდან. კარებზედ კიდევ ტრიალებდა დარჩენილი ხალხი. სოფრომი აღარა ჩანდა.

— უუ! ერთი უყურე, რა ყოფა აქვს მაგ ცოდვიანსა!—აქ იოთამი უცებ წამოხტა, ჩამოიღო კედლიდან ხმალი, იძრო და გავარდა. — გამიშვით ერთი, მაგ ცოდვიანსა და ცოდვიანის შვილსა! გამიშვით ერთი, გავძღე მაგის სისხლითა, რომ მაგისგნით მოსვენება აღარა გვაქვს და მაგის შიშით ძაღლები ვეღარ შეგვინახავს!.. გამიშვით!!

დამჭერი დიდხანს არავინა ჩანდა, მაგრამ ბოლოს როგორღაც შეებრალათ ამისი „გამიშვის“ ძახილი და განგებ წაავლო რამდენიმე ყმაწვილმა მოძალებულმა ბიჭმა ხელი.

— რათ გეკადრება, ბატონო, შენი ჭირიმე! თქვენც ხომ ჩვენსავით ბრიყვი გლეხკაცი არა ბრძანდებით! რათ აკადრებთ მაგისთანაებს თქვენს დიდკაცობასა! — ეუბნებოდნენ დამჭერი გლეხები იოთამსა.

იოთამი, რამდენსაც იჭერდნენ, იმდენი უფრო ცხარობდა და იწევდა.

— გამიშვით-მეთქი, თორემ ღმერთია თქვენი თავდები, თქვენ დაგკუწავთ და ერთ სისხლს შემამთხვევთ.

სოფლის დედაკაცებმა, რომელნიც იყურებოდნენ ბაკებქვეშ ამოყუჟულები, შეჰქმნეს ამ ხმლის დანახვასა და ქნევაზედ საშინელი წივილ-კივილი და თმის გლეჯა.

— უი! — გაიძახოდნენ შიგადაშიგ გულდახეთქილები — უშველეთ! უშველეთ!.. ვაი ცოდოს ბრუნვასა! — ცოდო დააბრუნეს... ცოდოი! — და იწეწდნენ, რაც შეეძლოთ კავებსა.

— კაი სიამოვნებაში კი უნდა იყოთ, აი, ამისთანა ამბებისაგან, — უთხრა ვასიკომ კატოსა.

— ასე შეჩვეული ვარ, შენმა გაზრდამ, რომ... ეგ ამბავი ხშირად არის ჩვენში. ეგრე გაუხტებიან ერთმანეთს, იფაფხურებენ და, თუ არავინ გეერია, თითონვე შეირცხვენენ და დაანებებენ ერთმანეთს თავსა. მაგრამ დღეს ძიელ გაცხარდა ბიძაჩემი ი შარვლის დახევაზედ. საწყალმა ძალუაჩემმა თავის ხელფასით ძლივს გამოურთვა ოსის დედაკაცებს მაგისთანა მშვენიერი შალის საშარვლე და ეხლა კი ასე უცებ და უბრალოდ დაეგლიჯა.

აქ ვასილი წამოდგა და გამოესალმა.

— მშვიდობით, კატო, იმედი მაქვს ეხლა თქვენცა მნახავთ. ჩვე-

ნებს ეხლა ჩემი უსიამოვნო არა შეუძლიანთ რა. მეც გასართობი არა მაქვს რა: წიგნების კითხვა ჯერობით ბევრი არ შეიძლება, და თუ შენ ჩვენ სიყმაწვილეს მოიგონებ და ჩვენს მეგობრობასა, მარტოკა არ გამიშვებ... რომ გიყურებ, ისევ ის კატო ხარ, ისევ ის ცოცხალი თვალები, აუჩქარებელი გული, ტკბილად მოღიმარი ტუჩები.

ვასილმა მაგრად მოუჭირა ხელი და გასწია.

იოთამი არა მშვიდდებოდა.

— ერთი უყურეთ ამ ქაჩუასა! — დაიძახა უცებ სოფრომმა და გამოვარდა კეტით, შარვალგახდილი! — ნახე, როგორ ენა წაიგძელა!

— ახა! წაიგძელა რომელია! — დაიწყო დაშოშმინებით იოთამმა და აპირებდა ისევ შინ შეძრომას, რომ ამ დროს სტაცა სოფრომს რამდენიმე კაცმა ხელი და მაგრა დაბოჭეს. ამაზედ იოთამი ისევ ისე გაცხარდა და დაიწყო ფაფხური. ხმალი ტრიალებდა და ელამდა შუადღის გაყუჩებულს მზეში. დედაკაცები იბდღვნიდნენ თმებსა და იმათი წივილ-კივილი ადიოდა ზეცასა.

ამ დროს გაჩნდა ეფემია, რომელიც მოდიოდა ვენახიდან.

— აი, შენი პატრონის ბრალიცა! ვითონ ამასაც შეუძლიან რამე! რაო, რა ყოფა გაქვს, ცრუ ფილოსოფოსო?! მოიტა ე ხმალი აქა, ნუ აჭუჭყიანებ! ვითომ ესეც ვაჟკაცია და ხმლის მოხმარება იცის!

— უ! ახა, ღმერთო! იცის რომელია! — ლაპარაკობდა იოთამი ამ მოულოდნელს ამბავზედ, რომელიც გულში ძალიან სასიამოვნოდ დარჩა.

აქ ეფემიამ სტაცა ხელი, წაართვა ხმალი და შემოაგდო შინა. მასუკან წაავლო თითონ იოთამსაც საყელოში ხელი, მოატრიალა კურტუკუღმა და შეაგდო ისიც შინა.

— არა, რო შეგეძლოს რამე, შე საცოდავო, კიდევ შეგშვენოდა ეგ ფაფხური და ხმლის ტრიალი, რო არა შეგიძლიან რა, რატომ არა დგები შენს ქერქში? აცლი და გაუხტები, რო ერთი დაგარტყას რამე და სული გაგანთხევინოს.

— გამანთხევინოს რომელია! ახა დიდება შენდა ღმერთო! გაგონილა! — არ იტეხდა კიდევ იოთამი ეხტიბარსა.

სოფრომიც შეათრიეს შინა.

II

დეიდაჩემისა და იმათი სახლიკაცების შენობებს შუა იყო პატარა მოედანივით ადგილი, რომლის გარშემო ყველა იმათგანს ედგა სასიმინდე ძარი. ამ მოედანზედ, რომელიც იყო საზოგადო კარმიდამო, ალაგ-ალაგ ეყარა ქვები, კაკლისა ან მუხის ხეები, თავხეები,

ჯირკვები და სხვ. აქ უყვარდათ ამ სახლიკაცობას შეყრა და ძუსაიფი ყოველ მყუდრო დღესა და თბილ საღამოსა. ერთი კარგი ზნე სჭირდათ ქმართა თუ რძალთა ამ გვარში: გუშინ რომ ერთმანეთი ცემით ამოეჟლიტათ, მეორე დღეს ეს მეიდანი ისევ შეარიგებდა: ყველანი აქ მშვიდობიანად შეიყრებოდნენ და დაიწყებდნენ მუსაიფს.

ერთს ლამაზ, მყუდრო მაისის დღეს, რომელიც დადგა რამდენიმე დღის ავდრის უკან, და როდესაც ყოველი ხვნა-თესვის პატრონი მიაშურებდა მამულებს, ვენახებს და ბოსტნებს, თითქმის ყველა ნაწრეტიანი შეიყარნენ ამ მოედანზედ და ჰქონდათ ბაასი. აქ იყო ვასოცა. ყველანი ნებიერად, მზეზედ ზურგმიშვერილნი ისხდნენ ერთს დიდს თავხეზედ და იმის წინ შენობისათვის დაყრილს ქვებზედ, რომელიც თუნდა ათი წელიწადია იყო მიზიდული და ჯერ აქამდინაც შენობა არა ღირსებოდა. ყველა გრძნობდა რაღაცა სიტკბოებას. მზე, გადაფარებული მსუბუქი ღრუბლებით, არ იყო ცხარე; ახლადამწვანებული და გაშლილი ხეხილის სურნელება აღვიძებდა უფრო კიდევ ნებივრულ სიტკბოებას კაცის სისხლში და მეტადრე ნაწრეტიანთ პოეტურს აგებულებაში. იოთამ იყო სრულიად თავის ქერქში: ტკბილი ბუნება, დამშვიდებული ჰაერი, ცოლი ვენახში, საიდანაც იმას არ შეეძლო წამოეყვედრებინა, რომ რატომ არას აკეთებო, ყველანი ერთად შეყრილნი, სადაც ამას შეეძლო დაეწყო ბაასი და მასლაათი. ერთი სიტყვით ის რაცხდა თავის თავს ყოვლად ბედნიერად. ასე გასინჯეთ, რადგან ამხანად ძაღლები საცაღას მიიმალნენ და არ უშფოთებდნენ გულსა, სოფრომიც კი დამშვიდებული იყო და უგდებდა ლაპარაკს ყურსა, რომელშიაც წაურევდა ხოლმე თავის სჯასაც ან „ნწუს“ ან „სწორეთის“ ან „კაი სიზმარი გინახავთ“-ის თქმით.

— ზღვას იქით ქვეყნებს რა უნდა, ერთი მამიშენის მზესა! — ელაპარაკებოდა იოთამი ვასოსა, რომელიც უამბობდა რომ ის ოდესაზედ გამოვლით მოვიდა უნივერსიტეტიდან ზღვითა. — ზღვას აქით ხომ იცის კიდეა.

— ეგ, ბიძაჩემო, მაშინდელი აზრია, როდესაც ზღვის პირს იქით არავინ წასულიყო. ჯერ აი ოდესა რა შორს არის, და ისიც კი შავი ზღვის გაღმაა, — ეუბნებოდა ვასო.

— მამაჩემი არ წამიწყდეს, რომ ახლანდელმა სწავლამ სულ გადარია ე ჩვენი დრო. თუ ი თქვენმა დელახტორებია თუ რაღაც პრაფესორები, იცოდნენ რამე, თავს ლაფი დამასხი. არა, ერთი დაფიქრდი, ი კარგი მამიშენის მზესა, ეგ რომ აგრე იყვეს, მაშ რაღაზედა დგას მაშინ ეს ამოდენა ცა. მაგის მოფიქრება როგორ არ უნდა

გქონდეთ. მაგრამ, რაკი თავში აღებული აქვთ, რომ ჩვენისთანად არავინ იცის და რაც უნდა ვთქვათ, დაგვიჯერებენო, როგორც უნდათ, ისე ლაპარაკობენ. მგონი, რომ თქვან, ღმერთი არ არისო, დაუჯერონ.

— დაჯერებული არ არის, თქვენი ჭირიმეთ, — დაიწყო თუთალამ, — თქვენმა მზემ, აი ე ჩვენს ლაწირაკებს ეხლაც რომ მივცეთ ნება მარხვის ჭამისა, მგონი წითელი პარასკევიც არ შეინახონ. აკი სჯერათ ყველაფერი, რაც ფრანციცებისა და ლემენცებისაგან ეყურებათ. ისე გასხვარჯულდნენ, თქვენმა მზემ, რომ ჩვენი ქრისტიანობისა სულ აღარა ეყურებათ რა.

— როგორც იმას ამბობენ, ედესია ზღვას გაღმა არისო! თქვენი ჭირიმეთ, რატომ არ გამიგონია! — დაიწყო ისევ იოთამმა, რომელსაც თუთალასავით ისე გადასხვარჯულება არ აღელვებდა, როგორც ისა, რომ სწავლას სწორე გზა დაუკარგავს. — ედესია იყო ეფესის ქალაქი მელქისედეკ მეფის სადგომი. აი საღვთო წერილში მაინც წაიკითხონ იმ თქვენმა ფილოსოფოსებმა. რა ენაღვლებათ, ისე გასწავლონ, როგორც არის საქმე. არა, ჩემო რძალო, ისე არ გვიწერს საღვთო წერილი? — მიუბრუნდა თუთალას, რადგან ის უფრო მცოდნედ ირიცხებოდა საღვთო წერილში.

— ვიღასა სჯერა ეხლა ან საღვთო წერილი ან წმიდანების სიტყვა, — დაიწყო თუთალამ. — საღვთო წერილის სიტყვას რომ მისდევდნენ, ხომ არც გათათრდებოდნენ და არც გაწარმართდებოდნენ. ნეტავი ჩვენც არ წაგვწყმიდოს მაგდენმა მაგათმა ღვთის წინააღმდეგმა საქმეებმა და ურწმუნობამ, თორემ სხვას ყველას ჯანი გავარდეს: რისაც ღირსნი არიან, ის მიეგებათ.

— ნწა! ნწა! შე გასაოხრებელო! — წამოვარდა უცებ სოფრომი, რომელმაც თვალი მოჰკრა ზედ თავის კარებზედ ერთს მეზობლის ძაღლსა. — აი, შენ დაურჩი ვერანათ შენს პატრონსა — აქ სოფრომმა წამოავლო ხელი ქვა მოხვდა თუ ლოდი მიაყარა ყველა ერთბაშად. რაწამს მოჰკრა ძაღლმა ყური სოფრომის ხმას, ერთი კი მოიხედა აქეთ გულგახეთქილმა და უცებ გადაევლო ბაკის ღობეზედ.

— მაცა, აგრე იყვეს, შე გაქუცულო შენა! — სოფრომს ყველა ძაღლისთვის ცალკე სახელი ჰქონდა დარქმეული თავის შესაფერი. — სოფრომი გამოეკიდა ძაღლსა, მაგრამ თვალიც ვეღარ მოჰკრა. ის მობრუნდა და ისევ დაჯდა დამშვიდებული.

— არა, ნეტა ვინ იყო... როგორც ის აეჟინებინა, რომ დედაშიწა მრგვალიაო... ჰო! აი ე ჩვენი თეოფანე მღვდლის შვილი, აკადემიაა თუ რაღაცა სემინარიაში გაზრდილი, — ბაასობდა კიდევ იოთამი, — აბა, ერთი იფიქრე იმ მეცნიერების უგუნურება, ვინც ამას ამბობს;

მრგვალი რომ იყვეს, მაშ რატო რაც ზღვაში წყალია არ დაიღვრება აქეთ-იქით, საითაც მიწაა დაქანებული? უფრო უარესებს ამბობდა ისა. დედამიწა მწვადივითა ბრუნავსო, ჰმ! — მეტი უგუნურება და კაცის დაბრმავება იქნება, თქვენი ჭირიმეთ!.. ეგ ადამიანის დაბრიყვება და დაცინვაა... ვაჟო, რატო ამას არავინ ეტყვის, თუ მართლა ამისთანა ახირებულს რასმე ისწავლიან, რომ, თუკი დედამიწა ბრუნავდეს, რატო ეს ამოდენა ხალხი თავქვე არ ვეკიდებით და ქვესკნელში არა ვცვივდებით?.. მაგრამ, რომ ვამბობ კაცი აღარ არის, რიგიანი მოფიქრება შეეძლოს-მეთქი — ეგ არის, სხვა არაფერი.

— სწორედ! — დაურთო სოფრომმა, რომელმაც ამ სიტყვის გათავებისთანავე სცქვიტა ყურები და გაიხედა თავის ბაკის კარისაკენ, სადაც ის იყო გამოყო თავი ერთმა ძაღლმა, და რა წამს შოჰკრა სოფრომს თვალი, იმწამსვე ისევ შეძვრა ღობეში და გავარდა.

— ჰა, ჰა, ჰაი! ძუნგელავ! შენა! მე გამოგაყოფინებ მაგ სახაფანგე თავსა! ერთი აქეთ გამოდი!

ეს სოფრომი რომ ასე მრისხანედ ემუქრებოდა ამ ძაღლსა, უცებ მოუარა ისევ იმ მწყემსის მომცრო ძაღლმა, რომელმაც ეს ადრევე დაგლიჯა, წამოუარა უკან ერთი სქელი თავხედან, რომლის ძირსაც იჯდა სოფრომი და რომელზედაც ჰქონდა ზურგი მიშვერილი, წამოუშვირა ცალი ფეხი და ერთის თვალის დახამხამებაზედ ჩაუშვა შიგ კისერში თბილი ნაკადული, სოფრომმა იგრძნო ეს მგრგვინარე სითბო და უცებ მიიხედა, მაგრამ მინამ ის ფიქრს მოვიდოდა, ძაღლი გაექანა და გავარდა ვენახებისაკენ.

— უ! ერთი დახედე ამ ვერანას, რა ქნა ე?! — აქ სოფრომი წამოვარდა საშინელი გამწარებული, აიკრიფა კალთაში ქვები და დაედევნა სულ დორბლის ყრით თავს უპატიურების მიმყენებელს ძაღლსა. — აბა თუ შენ დამემალები და მე კი კაცი არა ვყოფილვარ.

თუთალა გაჰყვა თან წუწუნითა და წყევლით.

— ეხლა კი გავეცალნეთ სოფრომს აქედანა, — სთქვა ერთმა სახლიკაცთაგანმა, — თორემ აქ აღარავის გეკდგომება. თქვენმა მზემა მაგისი ქათმებისა და თხებისაგან სახლში ვეღარა დაგვიყენებია რა და ბოსტნებში, და მაგის შიშით კი ძაღლს ვეღარ გაუვლია ამისთანა შიშიანობაში ჩვენს კარმიდამოზედ. თქვენმა მზემ, ერთს ღამეს რომ ოსები სახლში შემოგვიცვივდნენ და ყელები დაგვღადრონ, მყეფარი არ გვყავს, რომ ხმა ამოიღოს.

იოთამს ეცვალა ფერი ამ ამბავზედ, რადგან ის ძაღლი იყო ამისი ღამის მეხრისა.

— ეიჰ!.. ეიჰ!.. ეი!.. რას იზამ, ძმავ... უნდა შფოთსა და ბოროტს ერიდებოდეს კაცი, — სთქვა იმანა და გასწია შინისაკენ.

— შფოთი და ბოროტი თქვენა ხართ! — წამოესარჩლა სოფრომს იმისი ქვრივი რძალი, ზილახან, რომელიც ის იყო მოვიდა ამ აშბავზედ. — მაგ დროულ ადამიანს მაგისთანა წუპაკი ძაღლისაგან ეგ უნდა მოუვიდეს, რომ თქვენს დღეში ბოროტები ხართ და არ იშლით ბოროტებასა!?.

— მმ... მოჰკალით, ჩემო რძალო, წაწყმდეს ის კაცი, ვინც თქვენ მაგისი მოკვლა დაგიშალოთ... რა ვქნა, ეხლა ხომ სულ ვერ აშოვწყვიტავთ, რაც ძაღლები გვყავს... ქვეყანაა, ათასი ავკაცობაა... ღმერთი შენი თავდებია, აქამდინ რო ეს ძაღლები არა გვყოლოდა, თითონ ჩვენი გლეხკაცობა დაგვღადრიდნენ შუაღამისას ყელებსა.

— თქვენისთანა ბოროტებს რაც მოუვა, ყველაფერი ახია.

— რას იზამ, ძმავ! დედაკაცი ქმრის ხელში ამირანია და ქმარი რომ მოუკვდება — ამირანთ ამირანიაო: მაგის აყოლა რა ხელს მოგვცემს. — დაიწყო ბუტბუტი იოთამმა და შევიდა შინა, ისე ზილიხანის ბოროტების მორიდებით არა, როგორც იმის შიშით, რომ გაშფოთებული სოფრომი უცებ არ დაბრუნებულიყო.

ამ დროს გამოვიდა კატო შინიდან და მთხოვა, გავყოლოდი ზვარში, სადაც დეიდაჩემი ათოხნინებდა ბოსტანს.

კატო იმნაირად მომიბრუნდა ამ თხოვნით, თითქო ვასოსაც ეუბნებოდა: ნეტავი შენც წამოხვიდეო.

— იმედი მაქვს, რომ მეც მიმიწვევ, კატო, — უთხრა ვასილმა, რომელმაც აგრეთვე შენიშნა ეს კილო და რომელიც თითქმის ვეღარც კი სძლებდა უკატოოდ, რომელსაც უამბობდა სხვადასხვა ამბავსა და ცდილობდა ამის გონების გახსნას.

— თუ ისიამოვნებ ჩვენთან ყოფნას? — უთხრა კატომ და შეეტყო რაღაცა სიამოვნება, რომ ვასოც ჩვენი ამფსონი ხდებოდა.

— როგორ არ გრცხვენიან, კატო, რომ მაგას ამბობ? შენმა გაზრდამა, ჩემი საკუთარი და რომ მყავდეს, კიდევ შენთან ყოფნა უფრო სასიამოვნოდ მიმაჩნია. რამდენჯერ მინატრია ჩემს გუნებაში, ნეტავი კატო ჩემი საკუთარი და ან ძმა იყვეს-მეთქი, რომ საუკუნოდ იმას აღარ მოვშორდე.

— მაშინ შენისთანა კარგი ძმა მეყოლებოდა და რამდენს კარგს რასმე ვისწავლიდი. ეხლა ერთი ძმაც არა მყავს, რომ ის მაინც მიამბოს, რაც ქვეყანაზედ ამბავია. ჩვენზედ უსაცოდავესი ქვეყანაზედ არავინ არის. რამდენი სწავლაა, რამდენი ამბებია, და ჩვენ კი გალიაში გამომწყვდეულივით ვყრივართ, ამბის შემტყობიც არავინა გვყავს, ეხლა მე რომ ან შენი და ვყოფილიყავ, ან ძმა, თავს

მოვიკლავდი და წამოვიდოდი სასწავლებლად, სადაც შენ ისწავლიდი.

ამ ლაპარაკმა უცებ თითქო პასუხი მოუკვეთა ვასოს. ის გაჩუმდა და პატარა ხანს უკან ოდნავ ამოიოხრა.

ჩვენ წყნარის ნაბიჯით მივუახლოვდით ზვარსა და შევედით კიდეცა დიდი უზარმაზარი კაკლების ჩრდილებ ქვეშ. მშვენიერი სურნელება კაკლის ახლადგაშლილი ნორჩი ფურცლებისა ტრიალებდა ჰაერში, გაზაფხულის მშვენებით დამტკბარი ბულბულები შეუწყვეტლივ ტკრციალებდნენ ვარდის ბუჩქებზედ, რომელნიც უხვად იყვნენ ჩაყრილი ღობის ძირებზედ; გარშემო ბუნება იყო მწვანე ხავერდივით გაშლილი.

— წადი ერთი, გიჟო ბიჭო, — დამიძახა, დამინახა თუ არა დეიდაჩემმა. — ბურნუთის კოლოფი ჩამომიტანე, თორემ შინ დაგრჩენია.

მე მაშინვე გავექანე შინისაკენ.

კატო და ვასო გაჩუმებული მიდიოდნენ კარგა ხანს. ისინი მივიდნენ ერთს მყუდრო დაჩრდილულ ალაგას, სადაც ხასხას მწვანედ გადაშლილიყო წმინდა აბრეშუმივით ბალახი. ისინი უნებურად დაეშვნენ აქა და დასხდნენ. ვასო წამოწვა მხარ-თეძოზედ და ფიქრობდა. იმას ოდნავ, ნებიერის ცემით უღელავდა გული.

— წამოხვიდოდი, კატო, სასწავლებლად ჩემთან, რომ შეგძლებოდა? — დაიწყო იმან ოდნავის ხმის თრთოლით.

— შენ იმდენი რამეები მიამბე, იმდენი რამე ჩამაგონე და ისეთნაირი სურვილი გააღვიძე ჩემს გულში სწავლისა და ქვეყნის ცხოვრისა, რომ ქვეყნისა არა მრცხვენოდეს, დღესვე დავკრავდი ფეხსა და იმდენს ვივლიდი, მინამ არ მივიდოდი იმისთანა ადგილას, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო, მეც მესწავლა რამე და თქვენოდენა მეც შემძლებოდა.

ვასომ უცებ სტაცა კატოს ხელი ხელში და გაუყარა თვალი თვალში.

კატომ თავის მხრივ შეუჩერა თვალები.

— სწორედ, ვასოს მზემა! რაც კარგად გაგიცანი და რაც შენ გამაცანი სხვადასხვა აზრები და მცირეც არის აშიხილე თვალები, მე სრულიად აღარ მომდის ჩვენი ცხოვრება თვალში. რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება?! პირუტყვებივით გინდა უცხოვრია კაცსა, გინდა არა!.. მეტადრე ეხლა რომ შენ აქედან წახვიდე, კაცსაც ვეღარ ვიპოვი, ჩემი გულის პასუხი ვუთხრა, რომ მისცეს ჩემს გოხებას ისა, რომ ჩემს გულში და ფიქრში აღძრულა და კი არ შევსებულა. ეხლა ისე მგონია, აქამდის ძილში ვიყავ და ეხლა ვფხიზლდები-მეთქი.

თუ ამას იქით ჩემი ცოდნა არ წავა, რომ არ გამეცანი და არ გაგეღვიძებინა ჩემს თავში არაფერი აზრები, ის მერჩივნა, ხედავ ამ მოკლე ხანში, რარიგად შევიხარე? განა ასეთი ვიყავი, როდესაც შენ პირველად მნახე? დღე და ღამ სულ იმ ფიქრში ვარ, რათ გავჩნდი, თუკი მეც სხვასავით ადამიანური ცხოვრება არ ძიწერიამეთქი... ეხლა რომ კაცად მაქცევდეს ვინმე, ჩემს ქონებას და ჩემს ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი... ქალი რა გასაჩენი იყო, რომ უნდა ყველაფერში სხვის ხელის შემაცქერალი იყვეს!.. ტყვე იყვეს!.. ტყვეს კიდევ გაქცევა აიმედებს, ჩვენ ამ იმედსაც მოკლებული ვართ...

ამ ლაპარაკში კატო აენთო ცეცხლივით; ხმა უკანკალებდა და კილოში ჩანდა საშინელი გაბედულება და განწირულება.

ვასილმა უცებ გამოართვა ხელი ხელიდან. დაემხო პირქვე და ჩაიყო ცხვირ-პირი ორთავ თავის მუჭებში.

კატო მღელვარედ წამოდგა მუხლის თავებზედ და დაუწყო მახლობლად მდგომს ვარდის ფურცლებს წიწკნა.

პატარა ხანს უკან მე და დეიდაჩემიც მივედით მცირე სადილით, რომელიც აქ დაებარებინა დეიდაჩემსა.

ვასილი წამოდგა უცებ და წავიდა შინისკენ, ფიქრისაგან გატაცებული. ჩვენს თხოვნაზედ ის არ დადგა სადილად; კატო უფრო ჩაფიქრდა და თითქმის ძალად იტენდა საჭმელს პირში. პატარა ხანს უკან ის უცებ წამოდგა და შეერია ვენახის ბუჩქებში. იმას უჩუყდებოდა გული, ცრემლები ერეოდა თვალებში.

ვასილი, აღელვებული დაბრუნდა შინა, შევიდა თავის კოშკის ოთახში, სადაც იმას ჰქონდა გამართული თავისი საკუთარი საწოლი და დაემხო პირქვე მუთაქაზედ.

— საწყალი კატო! — ფიქრობდა ის საშინელის გულისცემით. — რატომ არა ხარ ჩემი ან და ან ძმა?! მაშინ მე ვიცოდი, როგორც გიპატრონებდი. სიკეთის მაგივრად, მე მხოლოდ დავურღვიე მშვიდობა. გავუღვიძე ცნობისმოყვარეობა, სწავლის სურვილი, გავატაცებინე მაგისი გონება ადამიანურს აზრებს და ეხლა საშველი კი არსად არის. — რა არის ჩვენი დედაკაცის მდგომარეობა!.. ჰქონდეს ადამიანად ქცევის სურვილი და კი არ შეეძლოს!.. მე სიკეთის ნაცვლად, ავაზაკობა გავუწიე... ვინ იცის, რა დაემართოს ამ სურვილის შეუსრულებლად?!. და როგორ უნდა შეისრულოს სურვილი?!. იმის კილოში სულ ის ისახებოდა — როგორც გამიღვიძე ცნობისმოყვარეობა, ისე კიდეც მიჩვენე გზა, რომ ეს სურვილი შევისრულო და კაცად ვიქცეო... ღმერთო! ნეტავი აგრეთი გონების პატრონი, აგრეთი მოსიყვარულე გულისა, აგრეთი მტკიცე და ძოუდრეკე-

ლის ხასიათისა მაინც არ იყვეს... მერე ვინ იცის, ვის და რომელს უშვერს კაცს უნდა ჩაუვარდეს ხელში, რომელიც უნდა უყურებდეს მაგას, როგორც გალიაში გამომწყვდეულს შოშიას, რომელსაც ინახავ მხოლოდ სათამაშოთა და თავის დასატკბობად!.. კატო, მაგისთანა გულისა და სურვილის პატრონი, უნდა გახდეს ნივთად უბრალო ბრიყვისა და მოუხეშავი ქმრისა, რომლის გულში, ვინ იცის, თავის დღეში არ გაღვიძებულა კაცური გრძნობა და ცნობიერს დედაკაცს უყურებს როგორც ღვთის წინააღმდეგსა!.. ნუთუ მართლა ეს ახდება როდისმე და კატო გახდება ამგვარ უშვერთა სათამაშო?!

აქ უფრო აჩქარებით დაუწყო გულმა ცემა. ის უგრძნობლად გადაბრუნდა გულაღმა და ეხლა გადიფარა თვალებზედ მკლავები. ფიქრი, რომ როდისმე კატოს პატრონი გახდება სხვა ვინმე, კიდევ უფრო და უფრო უწიწკნიდა ვასილს გულსა.

შეპყრობილი ამ ფიქრებისაგან, ვასილი უნებურად წამოდგა ფეხზედ და დაიწყო ოთახში სიარული წყნარის ნაბიჯით. შემდეგ ის გამოვიდა უცებ ოთახიდან, დაეშვა დაფიქრებული კიბეზედ და გასწია თავის მამის ზვარისაკენ. იმან იარა დიდხანს და მოქანცული დაეგდო დაფიქრებული ზვრის ბოლოზედ გაშლილს ველზედ, ერთი ძველი დიდი ვაშლის ძირას.

ვასილი ძლივს გამოერკვა მაშინ, როდესაც დაუძახეს სადილად. სადილზედ ის ცდილობდა გაექარვებინა ფიქრები და არ შეემჩნევინა თავის დედ-მამისათვის, მაგრამ მაინც ვერ დარეოდა თავის თავს. მისდა უნებურად უტრიალებდნენ თავში ფიქრები. კატოს სახე, იმის გამოცანასავით ლაპარაკი, იმისი საყვედურის კილო, რომ ეხლა შუა წყალში ვრჩებიო, იმისი ცოცხალი თვალების ბრიალი, იმისი განწირულებით ლაპარაკი თავის მდგომარეობაზედ და უღონობა ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა, — არა შორდებოდნენ თავიდან ვასილსა და უნებური ოხვრა ხდებოდა გულიდან.

დედამ ამისმა, სიდონიამ, რომელიც ადევნებდა ყოველს ვასილის სახის მოძრაობას თვალსა, შენიშნა ყოველივე ეს და დაიწყო ოხვრა. იმას წამდაუწუმ მოსდიოდა ცრემლები.

— რა ვქნა! რა ვქნა! — ბუტბუტებდა ის ვასილის ჩუმად და იცემდა კალთებში ხელებსა. — ჩამქოლეთ, ჩამქოლეთ, მე ძუძუ დამწვარი!

— რომ გეუბნები ნუ დადიხარ, იჯექი შინა-მეთქი, მტრობით ხომ არ გეუბნები, როგორ არ უნდა დაერიოს კაცი თავის თავსა და მოერიდოს იმას, რაც ავნებს. ე შანდა, ეხლა ისევ აგეშალა ე შენი ავადმყოფობა. ე დედაშენს კი თავისას დამართებ და! — დაუწყო ბაადურმა დიდკაცურის კილოთი ვასილსა.

— ღვთისმშობელიოოოო! — შეჰბღავლა უცებ სიდონიამ და გა-ნუპყრო ზედ შუა სადილზედ ღვთისმშობლის ხატს ხელები.

ვასილი გაცოფებული წამოვარდა.

— მე ერთხელვე მამიხსენებია თქვენთვის, რომ თუ გინდათ ჩემში აქ ყოფნა, დამანებეთ-მეთქი თავი! აბა რა ნახეთ, რაზედ იხეთქავთ გულებსა?! ისე მე არა ვარ ავადა, როგორც თქვენ თქვენის ქცევით მიწუხებთ გულსა და მიცხოვლებთ ავადმყოფობას! — აქ ვასილი გავარდა გაცხარებული მეორე ოთახში და მიიჯახუნა კარები.

— მომიწამლეს! მომიწამლეს! — იწეწდა კავებს სიდონია. მოშიწამლეს, ეგ ერთადერთი შვილი! ჩემი მშობლიური გული მაშინვე გრძნობდა, მაგრამ რომ იქ დაიწყო სიარული, მაგრამ ჩემში ვის ეყურებოდა!.. ვის ეყურებოდა!.. ვიჰ! ვიჰ! ვიჰ! — და აქ უარესად გაიწია და გამოიწია კავებსა. — ჩამაქვავეთ, თქვენი ჭირიმეთ, ჩამკირეთ! — გამოიძახოდა ხამუშ-ხამუშად.

ბაადურიც წამოვარდა სუფრიდან.

— კარგი ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! კაცს კი უნდა ყოვლისფერი ამოაშხამო და! აბა რა ნახე, რა იყო, რაზედ გაგვიმწარე სუფრა?! ბავშვი, ხომ ხედავ, კარგად არის... რა არის ერთხელორჯერ ამოიოხრა?!

— უი, დადექ, დადექ, ჩემო წამწყმედაო!.. სულ შენგანა ვარ დაღუპული და სახლში ნიათგამოლეული! რა უნდოდა, თქვენი ჭირიმეთ, ჩემს შვილს უნუსტეტში?.. რა სჭირდა, მაგას, თქვენი ჭირიმეთ, სასწავლებელი?! მაგისი საქმაო ქონება როგორ არ მოგვეპოვებოდა, რომ მაგასაც ჩვენთან ეჭამა ერთი ლუკმაპური?!.. იმისი არ იყვეს, როგორც შენ ამოსაწყვეტ სახლიკაცებს მოაწამვლინე... რათ აძლევდი, შენ ჩემი ცოდვით სავსე, იქ სიარულის ნებასა?! როგორ იმეტებდი მაგ ერთადერთ შვილს იმათში გასარევადა და რაზედა მჭრიდი ყელსა?!. ვუიჰ! ვუიჰ! ვუიჰ! ვუიჰ! ვუიჰ!

— ღმერთს ერწმუნე, ქვა და კლდე ვიყავი, რომ ეს ოცდახუთი წელიწადი გაგიძელ შენა!.. სულ შენმა ბაიყუშმა ქცევამ ამოიჭამა იმოდენა შვილობა... ქვეყნის სირცხვილს რა ვუყო და თავზედ ლეჩაქი როგორ მოვიხვიო, თორემ მე ვიცი შენი საკადრისი საქმეები. — შეუტია მრისხანედ ბაადურმა და გავიდა.

— გენაცვალეთ! წყეულიმც იყვეს ის დღე, რა დღესაც მე ჩავარდი ამ უგვაროების ხელში... არ იციან ამათ ადამიანის ყადრი... ამათ ტოლი კაცისშვილი უნდა ვიყვე, რომ შეშიფერონ... ვაი ჩემი ბრალიცა! ვაი ჩემი ბრალიცა! ქმრისგანაც და შვილებისგანაც უბედურსა!.. რა ვუყო შვილებსა, რა ვუყო შვილებსა, თორემ მე ვიცი, როგორც დავადგებოდი ამ უგვაროებს თავსა!..

ამ სიტყვებთან წამოდგა სიდონია, დაეშვა ხატების წინ მუხლის თავებზედ, განუპყრო ხელები და მდუღარე ცრემლებით შეჰღაღადებდა გულამოსკვნით.

— მამეცით მოთმენა! მამეცით მოთმენა!.. ნუ დამწვამთ მოუნელებელის ცეცხლითა, თქვენის მადლისა და სახელის ჭირიმეთ! ნუ მამასწრებთ ჩემს ვასილზედ გამწარებასააა!!

აქ რომ ეს ამბები ხდებოდა, ვასილი დაეშვა ისევ ვენახებისაკენ. აქედან ის გავიდა ჭალებში, სადაც დიდხანს იარა ყრუ ადგილებში. ბოლოს ის მიადგა ერთს მშფოთარე მდინარეს, რომელიც მთებში ავდრების გამო იყო თიხისფრად ამღვრეული, მოდიოდა ჭექა-ქუხილით, გახვეული გარშემო ატეხილ ყრუ ჭალებში, და მოჰქოხდა თან არემარე. ვასილი, მოქანცული, დაეგდო უნებურად ამ წყლის პირას და მის მრისხანე ხმებზედ, რომელიც თითქო რაღაცა სიმხნევეს უღვიძებდა კაცს გულში, გარინდული მიეცა ფიქრებსა.

იმის ახლადადუღებული ახალი აზრებისაგან ტკივილი, რომელიც მრავალი ხელის მოცრით და ჯერედ ცხოვრებასთან გამოუცდელი ბრძოლით არ გაფილისტრებულიყო და არ გაჰყოლოდა ცხოვრების ტალღებს, ვერ ინელებდა იმ აზრსა, რომ კაცი, რომელსაც ასე ცხარეთა ჰქონდა გაღვიძებული სწავლის და ქვეყნის ცნობის სურვილი, დარჩენილიყო იმ სურვილის შეუსრულებლად. ამასთან აძის გულში ლაპარაკობდნენ კიდევ სხვა გრძნობანიცა. ის, სიყმაწვილითვე წიგნებში თავჩაკრული და გამომწყვდეული სახელმწიფო ხარჯზედ სახელმწიფო სასწავლებელში, ვერ იცლიდა იმ ხალხში გასვლისათვის, სადაც ენახა ქალები და შესძლებოდა იმის გულს აძათს არჩევაში შესულიყო. ამის გამო, თითქმის პირველი ქალი კატო იყო, რომელსაც ეს ასე დაუახლოვდა. თავის მხრივ კატოსაც არა ჰქონდა შემთხვევა სხვის დაახლოვებისა და არც მიეცემოდა, რადგან უცხოს ამასთან არ მოუშვებდნენ და თუ ვასილი დაუახლოვდა, ესეც იყო ბრალი ნათესაობისა, რომელსაც აქ ძალიან პატივი ედვა და ირიცხებოდა დიდ საღვთო მოვლინებად. კატოს გულისთვის, როგორც საზრდო, ისე საჭირო გახდა ნიადაგ ვასილის ნახვა და ვასილი, რომელიც უამისოდაც იყო კატოს სახით გატაცებულ, რაკი ჰხედავდა იმის გულის გატაცებას ამისგან, კიდევ უფრო მიელტოდა იძისაკენ გული და გრძნობანი. ეს გრძნობანი კიდევ უფრო და უფრო აღვიძებდნენ ვასილის გულში კატოს სიბრალულს.

ის აქამდინაც ვერ გასტეხოდა ამ გრძნობას და ვერ წარმოედგინა, საიდან წარმოსდგებოდა ასეთი ცხარე გულის შემატკივრობა კატოზედ. ის ამაში ხედავდა მხოლოდ წრფელს მეგობრულს გრძნობას, რომელსაც აღვიძებდა ამაში კატოს გონიერება, ხასიათი

და ცუდი გარემოებანი, რომლიდანაც დაღწევა იყო თითქმის შეუძლებელი.

ვასილს ამ საშინელი მჭუხარე წყლის ხმაზედ, რომელიც თვისის სიჩქარით მოაქანებდა უზარმაზარ ქვებსა და გაჰქონდათ ჩახაჩუხი, — ელალებოდნენ ერთი ერთმანეთზედ ათასნაირი ფიქრები; იმას უთუთქავდა გულს, როგორც წარმოიდგენდა, რომ კატო შეიქნებოდა ქმრიანი და იქნებოდა სხვის ხელში. ფიქრები ტყვიასავით აწვებოდნენ და უმძიმებდნენ თავსა. მაგრამ ამ დამახშობელს წყლის მუსიკაზედ, როგორღაც უფრო მხნედ და იმედით ფეთქავდნენ ვასილის ფიქრები. ის უცებ წამოხტა ადგილიდან და დაიძახა..

— Решено!

ამ სიტყვებთან ის პატარა ხანს კიდევ იდგა გაშტერებული და შემდეგ საკმაოდ დამშვიდებულმა გასწია შინისაკენ, როდესაც კარგა გამოერკვა ფიქრებიდან, ვასილმა შენიშნა, რომ ბინდი მოტანებული იყო. იმან გამოაშურა შინისკენ, რომ არსად გაბმულიყო გაუტეხელს და გაუტანებელს ჭალის ძეძვებში; საღამოს ნიავი სააშურად უგრილებდა გულს, თავის გადაწყვეტილება აძლევდა უფრო მხნეობას და თან სიტკბოებას.

ვასილს შორს მოესმა რაღაცა ძახილი და ხმაურობა. წყლის ხმისაგან ის კარგა ვერ არჩევდა ხმასა. ის შევიდა ფიქრში, რადგან მაშინ ოსების ავკაცობის ხმა იყო გახშირებული. ის ფიქრობდა, რომ დაუხვდნენ ვისმეს და შველასა თხოულობენო. ვასილი გაეჩქარა მაგრამ ბილიკები აღარა ჩანდნენ, ძეძვები თანდათან უფრო და უფრო ედებოდნენ ფეხებში და უჭერდნენ ტანისამოსს. ხმაურობა ხან უახლოვდებოდა და ხან შორდებოდა. ვასილი იყო გაოცებული ამ ხმაზედ. ის ცდილობდა ჩქარა გაშორდებოდა იმ ადგილებს, სადაც აღარა ყოფილიყო ისე დამაყრუებელი ხმა საშინელის მდინარისა. მაგრამ ის უფრო და უფრო გაება ჭალებში, შევიდა საშინელს ყრუ, დაბურულსა და უკაცურს ადგილებში. იმან შენიშნა, რომ მუხლები ღალატობდნენ. დაატანა თავს ძალა და შეეცადა ყოვლის ღონით გზის გაკვლევას, მაგრამ ყოველივე იყო ამაო: საითაც გაუხვია, ყველგან უარესი დაბურული ჭალები დაუხვდა, ყველგან ერთმანათზედ გადახლართული ძეძვები და ეკლები აბამდნენ ამას თავის კლანჭებში. ვასილმა მისცა ხმა, რომ გაეგონათ მოყვირალთ მაინცა, რომელთაც ხმა იმას აქამდის ესმოდა; მაგრამ ის ხმაურობაც მისწყდა და სრულიად აღარსად ისმოდა. ის მოქანცული დაეგდო ველზედ დასასვენებლად, რომ ხელმეორედ შემოეკრიფა ღონე და გასდგომოდა გზის გაკვლევას.

ვასილის დაგვიანებაზედ შეექნათ შინ მოკითხულობა და ჯერ ისევ ნათელი იყო, რომ გაგზავნეს მოურავი ცხენით მოსაკითხად. მწყემსმა ბიჭებმა უთხრეს: ვასილი ჭალებში ვნახეთ და წყლისაკენ მიდიოდაო.

მოურავმა დიდხანს ეძება ცხენითა, უყვირა ჭალებსა და წყლის პირებზედ, მაგრამ ვერსად ნახა. კარგად ვახშმობა იყო მოტანებული, რომ მოურავი დაბრუნდა შინა იმ ფიქრით, რომ ვასილი უთუოდ თითონვე დაბრუნდებოდა შინაო.

ამ მოურავის მოსვლაზედ შეუდგათ შინ ერთი ამბავი და ალიაქოთი. მთელი სახლი დადგა ფეხზედ. სიდონია, თმაგაწეწილი და საშინელის წივილ-კივილით, გაექანა წყლის პირისაკენ. ბაადურმა შეისხა იარაღი, აანთებინა ფარნები, გაიძღოლა წინ ბიჭები, მოაჯდა ცხენს და გასწია ვასილის საძებნელად.

ამ ალიაქოთმა გადმოაღწია სახლიკაცებამდისაც. ყველანი დადგნენ ფეხზედ და ეცნენ ჭალებსა. ვასილი სახლიკაცებსაც ყველას მოსწონდა და უყვარდა, რადგან ის არავის არ ერიდებოდა და არა თაკილობდა, ყველასთან იყო თანასწორათა და ყველასთან, როგორც შინაურებთან, დაიარებოდა. ამ ამბავმა ყველა მართალის გულით შეაწუხა. ასე გასინჯეთ სოფრომმაც კი დაუწყო ძაღლებს ძახილი და პურის ყრა, რომ გაჰყოლოდნენ ჭალებში ვასილის საძებნელად.

ამ ხმამა მიაღწია კატომდისაც, რომელიც ის იყო აპირებდა დაწოლასა. ამ ხმაურობამ და საშინელმა მოძრაობამ კატოს სულ დაუბნია გონება. იმას სრულიად დაავიწყდა ყველაფერი და როგორც იყო ისე, ფეხთგახდილი, გაექანა მარტოდმარტო წყლის პირისაკენ. დეიდაჩემი და იოთამი კიდეც წასულები იყვნენ.

რაკი შევნიშნე ეს საშინელი ატაცება კატოსა, რომელსაც დიდი ხანია ვატყობდი, რომ ვასილი მთელს ქვეყანასა ერჩივნა, მე დავედევნე უკან, რომ არსად რა დამართოდა მარტოკასა. ის, ხმაგაკმენდილი, კრიჭაშეკრული და მუხლებმოდუნებული, თითქო აპირებდა გაფრენას, მაგრამ მუხლები სრულიად არ აძლევდნენ გაჩქარების ნებას.

ჩვენ სრულიად დავშორდით სხვებსა. მთვარემ ამოჰყო მოწმენდილს ცაზედ თავი მთის წვერებიდან და ცოტა არ იყო გაანათა ქვეყანა. ჩვენ გავებით ჭალებში, სადაც ყველგან ისმოდა ხმაურობა და ძახილი. კატოს არ ედო ადამიანის ფერი. წამდაუწუმ ეკვეთებოდა მუხლთა და ატანდა თავს ძალას... ჩვენ შევედით ერთ ყრუ ჭალის გაშლილს ველზედ, რომ უცებ ჩვენ წინ გადიხსნა ბუჩქები და მთვარის შუქზედ მოულოდნელად გამოყო ვასილმა თავი.

ამ მოულოდნელს ამბავზედ, კატო ვასილს და ვასილი კატოს ეცნენ სრულიად უნებურად და გადაეხვივნენ. მე მაშინვე ვეცი სხვებთან შესატყობინებლად, რომ ვასილი გამოჩნდა-მეთქი.

— ეს სულ შენი ბრალია! — უთხრა ვასილმა კატოს, — დღევანდელმა შენმა ლაპარაკმა ამაღელვა და ამ ფიქრებში დამიღამდა ამ ჰალებში და ველარ გამოვიგენ გზა. სულ იმ ფიქრში ვიყავ, რა ვუშველო-მეთქი ჩემს კატოს და მარტო ერთი ღონისძიება ვიპოვნე. მეტი ხსნა არ არის და, რაც მე გითხრა, უნდა შეასრულო, თუმცა იქნება შენ გეჩოთიროს ესა. მაგრამ ჩვენ უერთმანეთობა არ შეგვიძლიან.

კატოს გულმა დაუწყო ცემა და რაღაცა გრილმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ის თითქო ხვდებოდა, რაც უნდა ეთქვა ვასილს. ისინი დასხდნენ მწვანე ველზედ.

— რა ღონისძიება იქნება ისეთი, რომ მე შენთან ვიჩოთიროო?— უთხრა კატომ ხმის კანკალით და ლოდინით, რომ რაღაც უკანასკნელი ბედის გადამწყვეტი სიტყვა უნდა მოჰყოლოდა ამ კითხვას.

— რა და ერთბაშად თქმა, ვგონებ, შენი აზრებისთვის არ იყვეს კარგი, მაგრამ მეტი ღონე არ არის... არც არაფრის წინააღმდეგია რამე აქა, არც სინიდისისა, არც რჯულისა, თუ შენი ნება იქნება და ინდომებ იმ კაცის დაახლოვებას, რომელსაც შენ ურჩევნიხარ ყველას.

— თუ არაფრის წინააღმდეგი არ არის, მაშ რათა გგონია, რომ ჩემი გონება არ იყვეს მომზადებული იმგვარი საქმისათვის? რა უნდა იყვეს ისეთი ღონისძიება, რომ მე ვიქცე ადამიანად და ვიჩოთიროო!

— მომეცი სიტყვა, რომ თუ არ მოგეწონოს ეს აზრი და წინააღმდეგად გეჩვენოს, არ აიღებ ჩემზედ ხელსა და არ იფიქრებ არაფერს ცუდს ჩემს განზრახვაზედ, გარდა იმ სიკეთისა, რომელიც მსურს როგორც ჩემთვის, ისე შენთვის.

— არ ვიცი, რა უნდა იყვეს ისეთი და რა უნდა წარმოდგეს შენგან იმისთანა, რომ შენზედ ხელი ამაღებინოს და ცუდი რამ მაფიქრებინოს.

— ჩვენ უნდა საუკუნოდ ერთმანეთისანი გავხდეთ, — უთხრა საშინელის ხმის თრთოლით ვასილმა და შეხედა კითხვით თვალებში კატოსა.

კატო აენთო ცალკე ღელვით და ცალკე უცებ აშგვარის მოულოდნელი გადაწყვეტილებით. იმას საშინელი სიცხარით უცემდა გული, თითქო აპირებს გამოვარდნასაო. ეს გულისცემა და რაკა რუკი ეყურებოდა ვასილსაც.

ვასილმა ჩაავლო ხელში ხელი. ისა თრთოდა და კანკალებდა. ხან ხურდებოდა, ხან ცივდებოდა, თითქოს ყინულში ამოუვლიათო. უცებ ისინი მიეკვრნენ ერთმანეთს ტუჩებში და დიდსა და დიდ ხანს არა შორდებოდნენ. წამდაუწუმ ისინი იმეორებდნენ ერთმანეთის კოცნასა და ხვევნას, ჩუმად, ხმისაშოუღებლივ, რომლითაც უფრო სახავდნენ თავის გულისპასუხს და ბედნიერებას, ვიდრე იმით, რომ ქცეულიყო იმათი ბედნიერება სიტყვებისა და გამოთქმის ნაკადულად.

ისინი გამოარკვია ჩვენმა ხმაურობამ. ამ ხმაურობაზედ ვასილი და კატო წინ გამოგვეგებნენ.

III

მეორე დღეს ვასილი უჯდა რუსული წიგნით კატოსა და ასწავლიდა.

კატომ, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, წერა-კითხვა და ლაპარაკი რუსული კიდეც იცოდა, რომელიც არ დავიწყებოდა სასწავლებლის უკან, რადგან სახლშივე ეყარათ თითო-ოროლა რუსული წიგნი, რომელთაც ხშირად კითხულობდა, რადგან არ უნდოდა რუსულის დავიწყება.

ისინი დიდხანს უსხდნენ წიგნებს.

როდესაც დაიღალნენ სწავლით, დადეს წიგნი და პატარა ხანს, თითქო დაღალვისაგან, იყვნენ ჩუმად.

— ეხლა შენ ისა სთქვი: როგორ უნდა მოვახერხოთ ჩვენ ყოველიფერი ჩვენი დაწყობილობა? — დაიწყო პირველად კატომ.

— ჩემი განზრახვა ასეა და ამაზედ მეტი სხვაც არა მოგვარდება რა, — მიუგო ვასილმა, — მე აქ დავრჩები კიდევ თითქმის ექვსი თვე. ამ ექვს თვეში შენ ისე მოგამზადებ, რომ შენ თითონაც შეგეძლოს ზოგიერთა საგნის მომზადება. მე წავალ ისევ უნივერსიტეტში და ერთი ექვსი თვე ვცდი: ავიტან ჰავას თუ კიდევ არა. თუ ავიტან, მოვალ და აქ ჩუმად დავიწეროთ ჯვარი და წავიდეთ ერთად ისევ რუსეთში, სადაც შეგვიძლიან, მინამ სწავლაში ვიქნებით, და-ძმურად ვიცხოვროთ, ცალ-ცალკე. თუ არა და მაშინ მე ისევ აქ დავრჩები. მაშინაც მაინც დავიწეროთ ჯვარი და მე თითონ მოგამზადებ ყველაფერში. შენი გონების პატრონი, რასაც ერთს წელიწადს მოასწრებს, სხვები ორ-სამ წელიწადსაც ვერ იზამენ იმასა.

კატო აღტაცებით ისმენდა ამასა. დიდი ხანია ამისი სურვილი იყო უცხო ქვეყნების ნახვა და უცხო ხალხების გაცნობა. ეხლა ის ისახავდა თვალწინ იმ ბედნიერს დროს, როდესაც ეს უნივერსიტეტის

ქალაქში დაიწყებს სწავლასა, გაიცნობს ნასწავლსა და დაწინაურებულს ხალხსა, სადაც გაიგონებს ცხოველს სიტყვებსა და ნახავს ცხოველს საქმეებსა, სადაც, ერთი სიტყვით, იქნება ცხოვრებით სავსე გული და ამათ შორის ეს იქნება ვასილთან მოუშორებელი, რომლითაც ერთი ორად გაუადვილდება ყოველი საქმე და ყოველი სიძნელე.

ვასილი თავის მხრივ კატოზედ ნაკლებად აღარ ოცნებობდა.

— რაკი დავასრულებთ სწავლასა, დავბრუნდებით ჩვენს დაჩაგრულს ქვეყანაში, — ელაპარაკებოდა ის კატოსა, — გვექნება სწავლის მხრივ საკმაო მომზადება, და, ვინ იცის, რამდენი საქმე გვექნება წინა! რამდენი კარგი საქმე შეგვეძლება, რომ გავაკეთოთ აჰ ჩვენს ჯერეთ თავშეუდებელს და ხელშეუხებელს ქვეყანაში: სასწავლებლები, ამხანაგობები, ბანკები სოფლებისათვის. ეხლა როჰ საცოდავად მურტლები და ტიტვლები დაიარებიან ე საცოდავი გლეხის ბიჭები, იღლიაში სახრეამოჩრილები და სიცივისაგან წელში წაკუზულები, შეგვეძლება სწავლითა და სხვადასხვა დაწყობილებებით ამათი ამგვარი არაკაცური ცხოვრების შეცვლა. შეხედე აბა ჩვენს ბუნებას! უკეთესი განა ღმერთს კიდევ გაუჩენია რაჰე! აჰ ბუნებას უნდა ეხლა მცოდნე ხელი და შემძლებელი ხალხი. მაშინ უყურე როგორ ეხლანდელი წუმპეების მაგივრად ჩვენს კარმიდამოზედ რა სუფთა მოედნები იქნება, ჭვარტლიანი სადგომების მაგივრად, სადაც პირუტყვნი და კაცნი თითქმის ერთს საწოლზედა წვანან, იქნებიან სუფთად მოწყობილი, დიდფანჯრებიანი სუფთა სახლები თავისი მშვენიერი ბაღჩებით! ნახე რარიგ დამშვენდება მაშინ ჩვენი გლეხის დედაკაცი, რომლისაც ბუნებრივი მშვენიერება და ხასიათი სრულებით დახშულან სიმურტლისა, სიღარიბისა და უშვერებისაგან, — რაკი მოიცემს ქონებასა და ისწავლის ცხოვრების გასუფთავებას და შეიყვარებს წიგნსა და სწავლას, ამას ყველას უნდა მხოლოდ მხნე და თავგამოდებული, გულისშემატკივარი მომზადებული კაცები. რამდენგანმე რომ დაიწყოს ეს საქმეები, მხოლოდ რამდენგანმე, რაკი ნახავენ სხვები მაგალითს, ყველანი წაჰბაძავენ და ისწავლიან. მადლობა ღმერთს, ჩვენ ხალხს არც გონება და არც ხალისი არ აკლია, მხოლოდ უნდათ მაგალითის დანახვება და ერთხელ კვალში ჩაგდება. მერე ყველაფერი წყალივით და ჩარხივით დატრიალდება.

კატო აღტაცებით უგდებდა ამას ყურს, თვალები ელვასავით უბრიალებდნენ. ის ამჟამად ხედავდა ვასილში იმ კაცსა, რომლისაც მონატრული იყო ყოველთვის ამისი გული. ქალის გულს უნდა გმირი ცხოვრებისა, რომელიც ცხოვრებაში ირჩეოდეს სხვებისაგან,

სულერთია იმისთვის ეს გმირი ცხოვრებისა არის გმირი კარგის მხრივ, თუ ცუდის მხრივ, ოღონდ კი ამ გმირს ჰქონდეს რაინდული თვისებანი და არ იყვეს იმ ცხოვრების ჭუჭყმოცხებული, რომელიც ნიადაგ თვალწინ გვიბრუნავს, რომელიც ისე გვიწვრილებს გულს, გვიწყლავს სიცოცხლესა და თვისის დაუსრულებლობით სრულიად გვაბეზრებს თავსა. კატოს თვალში ვასილი იყო სრული გმირი. ამ ცხოველმა სიტყვებმა, რომელშიაც არა ჩანდა არც ნაშცეცი იჭვი ყოველისავე ამის შეუსრულებლობაზედ, რომელშიაც ჩანდა სრული სიწრფელე და წმინდა ცხარე ლტოლვილება ამ საქმეებისადმი. ისე აღავსო გული კატოსი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, შთანთქმიდა ან შთაენთქმევინებოდა ვასილსა, რომ გაბზდარიყო ერთსულ და ერთხორც და ამითი აღევსო სრულიად თავისი ნეტარება, თავისი სიყვარული, თავისი სიტკბოება.

გატაცებული ამ ტკბილის ფიქრებით, ვასილი და კატო საშინლათა ბეჯითობდნენ სწავლასა. ვასილი ყველაზედ მეტად უფრო ბეჯითობდა ფრანციცულს, რომ შესძლებოდა კატოს გონების ყოველ მხრივ გახსნა. კატო გასაოცებლად მალე ხვდებოდა ყველაფერს. რამდენიც ხედავდა კატოში ბეჯითობას და ნიჭიერებას, იმდენი უფრო ხალისობდა ვასილიცა და ბეჯითობდა კატოს სწავლას. კატოს მთელი დღე და ღამე ეჭირა წიგნები და რვეულები ხელში. დედ-მამა სრულიად არ უშლიდა ამასა. იოთამი პირიქით თითონაც ახალისებდა თავის ქალსა. ის, თითონაც „ფილოსოფოსი“, როგორცა ფიქრობდა, ყოველთვის მონატრული იყო, რომ შვილი სწავლული გამოსვლოდა.

— ისწავლე, შვილო, ისწავლე, მაინც ღმერთმა ვაჟიშვილი არ მომცა და შენ მაინც მიყავი მაგივრობა. სწავლა თავის დღეში ნაქები ყოფილა და არც ქალს აწყენს კაი სწავლა, — ეუბნებოდა იოთამი, როდესაც ხედავდა თავის ქალს ასე სწავლისაგან გატაცებულს.

მაგრამ სახლიკაცებსა და ბიძაშვილებში არ ისმოდა ამგვარი ქება კატოს სწავლისა.

— მაგან თუ შტო კაკოი ხაროში არ ისწავლა და რუსულათ არ იტიტინა, დიდი საჭიროა, — კიცხავდა თუთალა კატოსა.

— ნეტა ვიცოდე, ი დედ-მამას რაღა ყური წაუგდიათ, რომ იმოდენა ქალს აუღია საქმეზედ ხელი და ჩასჩიჩინებს რუსულ წიგნებსა! — უცემდა კვერს ქვრივი რძალი თუთალასი, ზილიხან.

— თქვენი ჭირიმეთ, რა ქალის საქმეა, და ისიც მაგოდენა ქალისა, რუსული წიგნები! სხვა ნასწავლი ქალებისა რა ხეირი უნახავთ, რომ ეხლა გასათხოვარ ქალს ასწავლიან რუსულსა ეგ თვალდამდგარები! — უმატებდა მაზლის ცოლი თუთალასი, ანუსია.

— შენ გენაცვალე-და, რაღა დროს მაგოდენა ქალის სწავლაა! — ასდევდა ფეხის ხმას თუთალას პურისმცხობელი გლეხის დედაკაცი, თითია. — ეხლა ეგეც უნდა გაგვირუსდეს!

— იმისი არ იყოს, როგორც შვიდი წლის გომბიო შეაგდეს რუსებში და მთელი სამი ოთხი წელიწადი ეგდო იქა! რა უნდა ისწავლოს რუსებშია არშიყობის მეტი! — ავრცელებდა თუთალა. — საღვთო წერილი ასწავლონ, ის კი არაო, და მოჰყოლიან რაღაცა მიქარვასა. მაგოდენა ქალია, რა რიგიანად ჯერ ხუცური წიგნი არ იცის.

— სწორედ! — უსვამდა ბეჭედს სოფრომი, რომელიც სთლიდა ერთ მოკლე კომბალს, რომ უფრო მარჯვე სასროლი ყოფილიყო ძაღლებისათვის.

ტოლებიც, რომელნიც აქამდის ამასთან ასე დამეგობრებული იყვნენ და უყვარდათ ამასთან დროს გატარება, რაკი ვეღარა ხედავდნენ ამას თავიანთში და ხედავდნენ, რომ ის სულ წიგნებს ჩასციებოდა და ესენი აღარ ახსოვდა, აიღეს ცოტ-ცოტათი შური და დაუწყეს კილვა.

— დიდი რამა ჰგონია იმას ის თავისი რუსული წიგნები! კნიაჟნა სასო კი არ იყო ისტეტუტში, რომ ეხლა ვეღარ გაუძლია შინა და სულ რუსის ჩინოვნიკებისთვის ოხრავს.

— მე ვიცი, მაგასაც ისე მოუვა, — იძახდა მეორე.

— მე ისიც მინახავს, რომ მაგ რუსულ წიგნებს გაეგიჟებინოს ადამიანი! — იძახოდა მესამე.

ამგვარად, კატო და ვასილი არც კი გრძნობდნენ, რა აზრები ისმოდა ამათზედ. მაინც იმათთვის სულ ერთი იყო. ამათ თუნდა გაეგონათ, ყურსაც არ უგდებდნენ. ესენი იყვნენ მომავლის ბედნიერებით და საქმეებით გატაცებულნი, ამათ სხვა არა ახსოვდათ რა.

რუსული სწავლის მეტი ჯერ საზოგადოებას კატოს და ვასილში არა აღელვებდა რა. ისინი სხვა რასმეს გუნებაშიაც ვერ გაივლებდნენ, რადგან ნათესაობა კატოსი და ვასილისა არ აძლევდა ამათ მიზეზს სხვაფრივ ამათის გაკილვისას.

IV

ხანი გადიოდა და ვასილის წასვლის დრომ მოატანა.

ვასილი სრულიად კარგად იყო. დედ-მამა აღარ აძლევდა ვასილს წასვლის ნებას, მაგრამ ვასილმა პირდაპირ გადუჭრა, რომ ამას აქ ვერა ძალა ვერ დააკავებს.

ქრისტიშობის თვეში წავიდა ვასილი და უთხრა კატოს, რომ პასუხს ელოდეს აპრილში.

შვილის წასვლის შემდეგ სიდონია მთელი კვირა დაჩოქილი იყო ხატების წინ და ბოსთქვამდა. ეკლესიის კარები იყო შოცვეთილი იმის მუხლისთავებისაგან.

ბაადურმა ვერ გაუძლო სიდონიას და გაეცალა მთელი ერთი კვირით ქალაქში.

— მინამ კიდევ ვისმე არ ამოიჭამ, შენ არ გაჩუმდები! — უთხრა ბაადურმა წასვლის დროს.

— რა გესმის, შე უბედურო! რა იცი, რა ამბავია ჩვენს თავსა! მისტირა უკან სიდონიამ ბაადურს, — და გასწია ეკლესიისაკენ.

უნივერსიტეტში დაბრუნებული ვასილი თავს კარგად გრძნობდა. რადგან პირდაპირ არ შეიძლებოდა მიწერ-მოწერა კატოსთან, ვასილი უგზავნიდა საკითხავსა და სასწავლებელს წიგნებს თავის მამის სახელობაზედ, რადგან ამის მეტმა ამათს გვარში არავინ იცოდა ფოსტის გზა, და ამ წიგნების ფურცლებში სდებდა წერილებს.

კატო გაგიჟებული კითხულობდა ამ წერილებს და ლოცავდა თავის ბედს, რომ ვასომ აიტანა ჰავა. ის მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როდესაც დაბრუნდებოდა ვასო და წაიყვანდა ამას. სანამ კატოს ბეჯითობას არა ჰქონდა საზღვარი.

აპრილის დამლევი იყო, კატოს სახელობაზედ კიდევ მოუვიდა ბაადურს კარგს მაგარს ყდებში ჩასმული რუსული სასწავლებელი წიგნები სურათებით. როგორც ჩანდა, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ზოოლოგიური და ფიზიოლოგიური წიგნები.

სიდონია სიამოვნებით დასცქეროდა ამ წიგნებს, რომელნიც, ვინ იცის, რამდენჯერ სჭერია ამის პაწაწკუნა ვასილსა. იმას არ მოუთმინა გულმა, გადახსნა გარედან მკვიდრად დაბეჭდილი და ძაგრად გადაკრული ტილო, დაუწყო შლა და კოცნა თითქმის ყველა ფურცელს ცალკე.

— შვილოო! ვინ იცის შენი თითები რამდენჯერ ცოდვილებულა ამ ფურცლებზედა და შენი ლამაზი ჟუჟუნა თვალები — (თუმცა სრულიად არ ჰქონდა ვასილს ჟუჟუნა თვალები) — რამდენჯერ ჩაჰფიქრებია!.. მოგიკვდეს დედა, რომ აგრე დაშორებული ჰყევხარ... შენ გენაცვალოს შენი სიდონიას თვალები, ჩემო პაწაწა გიყო ბიჭო, დედის ნებიერო...

ამ ფურცვლასა და ალერსში რომ იყო, უცებ ერთს ალაგს ფურცლებს შუიდან ამოიღო პატარა დაბეჭდილი წერილი. ნახა, კატოს სახელობაზედ იყო.

— ვნახო ერთი რასა სწერს ჩემი ბიჭი ამასა. ეს გოგოც შემაყვარდა ჩემი ვასილის გამო, რაკი ჩემს ვასილს უყვარდა და დროს ატარებინებდა.

აქ გახსნა ბეჭედი სიდონიამ და დაუწყო კითხვა.

წიგნში სხვათა შორის ეწერა, რომ კატო თიბათვეში მზადა ყოფილიყო და წაიყვანდა ჩუმად ქალაქში ღამითა და იქ ერთს ნავთლუღელს მღვდელს დააწერინებდა ჯვარს, პატარა ხანს უკან სიდონიას გავარდა ხელიდან წიგნი და დაიწყო ძახილი:

— წყალი!.. წყალი!

გამგონი არავინ იყო. ბაადურიც არ იყო შინა.

— ღვთისმშობელო! —შესძახა მან საშინელის განწირულებით. — ეს რა უცნაური ცეცხლი მომივლინე... მიშველეთ!.. ქრისტიანებო!.. ვკვდები... ჯიგარი... დამეწვა ჯიგარი... მიშველეთ!..

მაგრამ მშველელი მაინც არავინა ჩანდა.

სიდონია აქეთ ეცა, რომ ეპოვნა სადმე თავის მომშველებელი და მომსურიელებელი, იქით ეცა, მაგრამ მაინც ვერავინ იპოვნა ყველანი, თითქო განგებ, საცაღას გასულიყვნენ. რაკი ვერავინა ნახა, იმან სტაცა ხელი წიგნსა, ისე გაშლილი და გაფრიალებული დაიჭირა და გაექანა ეფემიასაკენ.

— ჰა!.. ეგ ჯადოქრები ეგენი!.. ჰა!.. ეგ თილისმიანები ეგენი!.. ჰა!.. ეგ კათაკმეველნი... ქრისტეს გამყიდველნი... არარჯულნი... ჰა!.. ეგ ქრისტიანობის წა!.. გამ... გამყრყვნელნი!.. ნათესაობაც აღარ დაინდეს!.. ნათესაობაი!..

ასე გააფთრებული შევარდა სიდონია პირდაპირ დეიდაჩემთან. ისინი ყველანი ისხდნენ სადილზედ. მეც ის იყო მივედი იმათსა, რაკი კატოს ეთხოვნა, რომელსაც ჩემს გარდა გული არავისთან ენდობოდა და თავის გულისპასუხს ვერავის უტყდებოდა.

— ჰა!.. ნახეთ! ნახეთ ე თქვენი ნამუსიანი ქალის ამბავი! — და მიაგდო ზედ ცხვირპირში ეფემიას წიგნი სიდონიამ. — ეშაგიტომ დაათრევდით ჩემს შვილს აქა?!. ე მაგიტომ აღარც დღე, აღარც ღამე აღარ უშვებდით ჩემ უმანკო, ჩემ ანგელოზ შვილს აქედან?!. ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. თქვე... თქვე... რჯულისა და ნათესაობის გაშამშრეტნო... ამამწყვეტნო... თქვე... თქვე... თქვე... ღვთის ფეხის მამჭმელებო...

კატო მაშინვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ესა და სულ მთლად გაშრა. ლუკმა გავარდა ხელიდან. ის შეიქმნა სრულიად უძრავი. ის თითქმის აღარა სუნთქავდა.

იოთამი თვალებგაჭყეტილი და გაოცებული უყურებდა გაცოფებულს სიდონიას, რომელიც ხან დოინჯს შემოიყრიდა, ხან იქხევდა

საშინლად ხელებსა და შესძახოდა და ყვიროდა პირიდან დორბლების ყრით.

— ღმერთი!.. ღმერთი! იმისმა მადლმა! ღმერთი! — გაიძახოდა ხამუშ-ხამუშ სიდონია.

ეფემია კითხულობდა წიგნსა და ხანა ყვითლდებოდა და ხანა წითლდებოდა. იმან გაათავა წიგნი და დასდო უნებურად ძირსა. იოთამი მოუთმენლად შეჰყურებდა ეფემიას, თუ რას იტყოდა იმისთანა საზარელს, რასაც ასე საშინლად აეშფოთებინა და აელელვებინა სიდონია.

ეფემია იყო ჩუმად.

სიდონიამ წამოავლო ხელი წიგნსა და გასწია.

— ემ წიგნს ჩემის ხელით პირდაპირ მივართმევ ეგზარხოსსა, მმართებელსა... მოჰრყვნეს-მეთქი ნათესაობა... შვილი გაძირყვნეს-მეთქი!..

აქ გავარდა სიდონია ხელში წიგნგაფრიალებული და გაიჯახუნა კარები.

— ჰა!.. თქვე თავზედ ლაფდასხმულებო!.. ბოზხანა გამართეთ განა თქვენს სახლში, რომ სხვაფრივ სული ვეღარათი მოიდგით! თქვენი ქვეყნის ნათრევი ქალით უნდა ჩემი შვილი საუკუნოდ დაგეღუპნათ! ჩემი ქონება შთაგენთქათ!.. ჰა!..

მიდიოდა მთელს მეიდანზედ და მიიძახოდა სიდონია. სახლიკაცობა და სხვა მეზობლობა გამოცვივდნენ და უყურებდნენ სიდონიას გაწცვიფრებულნი. სიდონია გადავარდა გაცოფებული შინ, სადაც დაუხვდა და ბაადურიც და ზოგიერთი გოგო-ბიჭებიც. სიდონია ჰყრიდა პირიდან ცოფებს, ეყრებოდა გულსა, ვეღარ იბრუნებდა სულს, მეტადრე რაკი დაინახა ბაადური...

— ან შენ აიყარე... ან შენ აიყარე აქედან, ან ძაგათი სინსილა არ იყვეს, სინსილა!.. ეგ როგორ არ შეგიძლიან მაგოდენა ხელმწიფის ნამსახურს კაცს, რომ ეგ ყარტლიანები, ეგ ჯადოქრიანები არ დაგვტრიალებდნენ ზედ ცხვირწინ ბაიყუშებივით თავსა!.. ე მაგას როგორ ვერ ითავებ, რომ სულ გადაასახლო ეგენი აქედანა... ჰა! შე ჩემო დამღუპაო!.. შე ჩემო დამღუპაო!.. შე ჩემო ნაცარზედ წყალის დამსხმელო!..

ელდასავით გავარდა ეს ამბავი იმავე თვალის დახამხამებაზედ მეზობლობასა და სახლიკაცობაში და შეიქნა ერთი საშინელი ღაღანი და მითქმა-მოთქმა.

— უი! ამ დღის მომსწრესა! — იცემდა თუთალა თავში, რომელთანაც შეიყარა თითქმის მთელი სახლიკაცობა და მრავალი მეზობელი გლეხის დედაკაცები თავში ცემით და მუხლების თქვეფით. —

თქვენი ჭირიმეთ, რატომ ცა თავზედ არ დაგვენგრევა... თქვენი ჭირიმეთ, რა მოხდა... რა ცოდის ბრუნვაა!.. მაგ ქალის პაპა და ვასილის პაპა ღვიძლი ბიძაშვილები იყვნენ... აი განათლება!.. აი რუსული ტიტინი... .ი! ღვთის მშობელო! რატო ერთი ცეცხლს არ მოუვლენ ქვეყანასა და არ გადასწვავ ამოდენა ცოდვების ბრუნვისათვისა?..

— გენაცვალე, ჩემო რძალო, — იძახოდა თუთალას ქვრივი რძალი, ზილიხან, ტუჩებზედ ხელმიდებითა, — და ბრმა შენიშნავდა იმ ამბავსა, რასაც ისინი ჩადიოდნენ... თქვენმა მზემ ე ქალი თითოს ზედა ვარდებოდა... მუხლებში უვარდებოდა... მარტოკანი ვინ იცის სად არ დადიოდნენ. გახსოვთ ერთხელ ვასილი რო დაიკარგა... ის როგორ მოხდა, რომ ისა და კატო ერთად ვიპოვნეთ?!. გიხახავთ ვისმე კატო იმ საღამოს შიხა?!. აბა, შენ გენაცვალოს ჩემი თვალები, და შუადღიდან შუაღამემდის ყმაწვილი ქალი რომ ყმაწვილ კაცთან მარტოდმარტო იმისთანა ჭალებში დაეთრეოდეს, სადაც ტურებისა და მგლების მეტი ვერა ქრისტიანი ვერა ჰბედავს სიარულსა, რა მოუვათ, თქვენი ჭირიმეთ, ათასი ცოდვისა და ბოროტის მეტი?!.

— გენაცვალე, ქალბატონო, და ასე მოგახსენებენ, რო ნაბიჭვარიც გაუგდია მაგ ქალსაო და ჩუმად თავის ვენახის ღობეში ჩაუგდია და იქ ღორებს შეუჭამიათო! — გაიძახოდა ერთი გლეხის ქვრივი დედაკაცი, ფეფელა, რომელსაც არა ჭორი არ გამოეპარებოდა და როდესაც ნახავდა, რომ ჭორები გამოილია, თითონ უცნაურს ჭორს დაჰბადავდა. და არ იყო ადამიანი, რომ ამის მოგონებაზედ იქვი შეეტანა, თუმცა კი ყველა ეძახდა მეჭორე დედაკაცსა.

— თქვენ გენაცვალეთ, ეს რა მესმის! — იცობდა თუთალა ყურებში თითებსა, — ნაბიჭვარიც გაუგდია?!. ვაი გვარის შერცხვენასა... ვაი ჩვენს ლაფის დასხმასა!.. ნაწრეტიანთ ერთი ე ნაშუსის ხმალა ჰქონდათ და ეხლა უნამუსოს მოწყალებით ეგეც შეგვირცხვა და მოგვეჭრა საქვეყნოდ თავი.

— კაი სიზმარი გინახავთ, — უთხრა სოფრომმა, რომელიც უგდებდა ამ ლაპარაკს ყურს და რომელსაც ძაღლების დანახვა უფრო აღელვებდა, ვიდრე გვარის შერცხვენა და თავზედ ლაფის დასხმა.

— მაგათი სახლი ყოველთვის ეგრეთი ბოროტი ყოფილა და ეგრე ბოროტათაც დარჩება, — დაუმატა სარიდან ნაწრეტიშვილმა, რომელიც ირიცხებოდა შემდეგ ბაადურისა და ამ გვარში დარბაისლად, რადგან ჰქონდა ყელის მედალი და თავის ყმაწვილობაში ახალი რუსობის დროს, რაღაცა ამორჩეულად ყოფილა სამსახურში, თუმცა არც მაშინ და არც ეხლა არ იცოდა წერა-კითხვა.

მინამ აქ ეს ამბავი და ღაღანი ასტყდებოდა, მინამ დეიდაჩემის სახლში უფრო სხვა ამბავი იყო. გავიდა თუ არა სიდონია, დეიდაჩემმა, რაღაზედაც დამსაქმა და გამიტყუა გარეთ. იმან ჩაკეტა კარები და უცებ, როგორც აფთარი, თვალებში საშინელის ცეცხლით, კრიჭაშეკრული და სულგამელებული ერთის თვალის დახამხამებაზედ ეცა კატოსა, სწვდა გრძელს, მსხვილს ნაწნავებში, აძოიდო ქვეშა, აგლეჯდა თმასა, სთელავდა წიხლებით, სცემდა მუშტებით, ათრევდა ფეხით, უხლიდა საშინელის გამეტებით კედლებზედ და მიწაზედ თავს და აგლეჯდა ხორცებს.

კატო იყო ჩუმად, ხმაამოუღებლივ. იმისი სურვილი ეხლა მხოლოდ ის იყო, რომ მოეკლათ. აღარც ტკივილს, აღარც სირცხვილს არაფერს ამ სურვილის მეტს, ის არა გრძნობდა.

ეფეშია, მოღალული ცემისა და ღელვისაგან, დაეშვა მთლად უღონოდ და დაუწყო გულმა ღონება. კატო იყო უგონოდ. იოთამმა, რომელიც აქამდის გამშრალი და გაშტერებული შეჰყურებდა ამ ამბებს და არ იცოდა, რა ექნა ან როგორ მიშველებოდა თავის ქალს, შეჰქმნა ყვირილი. ამ ყვირილზედ შევვარდი მე. კატოს ცხვირიდან, პირიდან, ხელებიდან, თავიდან თქრიალით სდიოდა სისხლი; ტუჩები დასიებული ჰქონდა: თმები ეყარა აქეთ-იქით; თავი ჰქონდა რამდენგანმე გატეხილი, ტანისამოსი ლუკმა-ლუკმა ნაქცევი. ის ეგდო უძრავად. დეიდაჩემი იდო გულაღმა გადამოტილი, ხელებგადაყრილი. ის იყო გულშეწუხებული. ამისთანა ჯანიანი, ამისთანა მხნე, მუშა დედაკაცი, რომელსაც ძვირად ნახავდა კაცი გაშფოთებულს, ეხლა ეგდო თითქმის უსულოდ.

მე და იოთამი მაშინვე მივცვივდით წყალს, ძმარს, არაყს და სხვა ამგვარს და ვუწყეთ მოსულიერება. ამ ხმაურობაზედ შემოცვივდნენ სხვანი მრავალნიც, რომელთაც გვიშველეს ამათი მოსულიერება.

კატო გავათრიე ცალკე ოთახში და შევიკეტე კარები, რომ დედას ამის დანახვაზედ კიდევ არ აშლოდა გულის შფოთვა და არა მოეხდინა რა საცოდაობა თავის თავსა და კატოს თავზედაც.

კატო შემცდარივით აცეცებდა თვალებს, რომელნიც საშინლად დასიებოდნენ ცემისა და კაწვრისაგან. ის დაემხო პირქვე მუთაქაზედ და არ უგდებდა აღარც ჩემს ლაპარაკს ყურს, აღარც არავის სხვის სიტყვებს.

ღამე არ გაუხდია იმას ტანთ.

მე ვერა ვშორდებოდი, რაკი ვიცოდი, რომ ისევ თუ ვისმე რას გაუგონებდა, გამიგონებდა მე.

მე ოდნავ ჩამთვლიმა.

რა წამს გადაეშვა კატო გადასახტომად, ამ დროს მე წამოვწვდი...

შუაღამე კარგა გადასული იყო, რომ უცებ გარეთა კარების ჭრიალი მოესმა.

მე მაშინვე გული შემიკრთა.

ვნახე... კატო აღარ იყო.

— არიქა, მიშველეთ, კატო გავარდა! — შევძახე შინა, და გავექანე მაშინვე წყლისაკენ, რაკი ვიცოდი, რომ კატოს გაშბედავი ხასიათი პირდაპირ ამ გზას უჩვენებდა იმ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რაშიც ეხლა ჩავარდა.

ღამე იყო მთვარიანი, კატო აღარა ჩანდა. მე საშინელის სიმალით, ფეხშიშველა გავრბოდი იმ გზაზედ, რომელსაც კატო არ ასცდებოდა. შორიახლო წყლისა, საურმე გზაზედ მოვკარი ჩრდილივით რაღაცას თვალი, რომელიც საშინელის სისწრაფით, თითქო მიფრინავსო, გარბოდა წყლისაკენ. მე შემოვიკრიფე ყოველი ძალი და ღონე და მოვუმატე რაც კი შემეძლო მუხლსა.

ახლად მოვარდნილი წყალი, აღელვებული, ისროდა საშინელს ზვირთებსა და ჰყრიდა საშინელს წინწკლებს და ქაფსა. ქვების ჩახაჩუხი აყრუებდა კაცს. მთვარე ანათებდა მოწმენდილს, დამშვიდებულს ცას. გარშემო იყო მყუდროება. შორს ისმოდა ჭოტის ხმა. ბულბულების ტკრცენა, შტიალი და სტვენა ედებოდა ჭალებს.

კატო წაადგა ერთს საშინელს ბორცვს, სადაც ერთად დარუებული საშინელის ღრიალითა და დამახშოვებელის შხუილით მიდიოდა მდინარე. იმან სასწრაფოდ გადიწერა პირჯვარი და... გადაეშვა...

V

რაწამს გადაეშვა კატო გადასახტომად, ამ დროს წამოვწვდი მე და ვსტაცე შიგ ნაწნავებში ხელი. ის სრულიად უგონოდ, წყლის მაგივრად, გადმოვარდა უკუღმა და დაეშვა ჩემს მკლავზედ. ძე გადავწვდი ქუდით წყალს და ვუწყე სულიერება. კატო მოვიდა გონს მხოლოდ შინ. იმან გადაგვათვალიერ-გადმოგვათვალიერა რაღაცა უცნაურის გაკიცხვის თვალით და თითქო ამბობდა, ეს უცნაურება როგორ მოხდა, რომ მე წყლის მაგივრად ჩემსავე სახლში ვარო, მიეცა დუმილებას, და პატარა ხანს უკან ისევ დაეშვა პირქვე მუთაქაზედ. იმას თვალებზედ გაუშრნენ ცრემლები, ასე გასინჯეთ, რომ ის წყალი, რომელიც ნიადაგა ბრწყინავდა იმის ცოცხალ თვალებში, ის წყალიც კი გაჰქრა იმის თვალებიდან. ეფემია თავის მხრივ უყურებდა ისევ მრისხანე და შეურიგებელი თვალით, იოთაში იყო უფრო ჩუმად და შიგადაშიგ უშვებდა ტუჩებიდან სტვენის

მსგავს ფშვენასა და იმეორებდა ხამუშ-ხამუშ „ჰე, ჰე და არა, არა!“

— აი, ეგეც მაგათი სწავლა! — გაიძახოდნენ იოთამის სახლიკაცები. — აი რა მოსდევს სწავლასა!

— უბედურები! — გაიძახოდა თუთალა, — აჰყვნენ ეგენიც ფეხის ხმასა, ვითომც ჩვენც არავისი ტოლი ვართო:.. საქვეყნოდ კი ლაფი დაისხეს და ქვეყანაში თავი მოგვჭრეს... რაზედ იჭერდნენ! რაზედ იჭერდნენ!.. დაეხრჩო თავი და მოვერჩინეთ ამითი ამოდენა სირცხვილსა, რო დაედევნენ მაშინვე უკანა!.. რაღა სასიცოცხლო იყო, თქვენი ჭირიმეთ, ამ ამბების შემდეგ!

ამ ამბებმა და ხმებმა მიაღწიეს ჩემი დედის ძმის ზაალ ამრეზაშვილამდინ, რომელიც ირიცხებოდა თავმომწონე დარბაისელ კაცად გარშემო მეზობლებში და იყო ნამსახური საცაღას პერევოდჩიკად თუ დიამბეგის პომოშნიკად. ის, საშინელი აღელვებული, დაიბარა მეორე დღესვე დეიდაჩემთან.

— სად არის ის ნამუსიანი ქალი?!. სადა ბრძანდება ის ჩვენი საქვეყნოდ თავზედ ლაფის დამსხმელი და ჩვენი საუკუნოდ შემარცხვენელი?! — შემოჰყო თუ არა თავი, იკითხა მრისხანედ და საშინელის განკიცხვით ზაალმა კატო.

კატო იყო მეორე ოთახში პირქვე დამხობილი, ორი დღის პურუჭმელი და ეყურებოდა ეს ყველაფერი. ამ ხმაზედ იმან წამოიწია მუთაქიდან, მოიხედა რაღაც გამოუთქმელი სახით, სახით, რომელიც ამბობდა საშინელს ამღვრევას, საშინელს შინაგანს ბრძოლას, საშინელს ღელვას, დაურეველს მწუხარებას და ძალას, რომელიც ცდილობდა ყოველი ამ მდგომარეობის დაფარვას. ის იყო ამრეზილი, ანთებული, ატაცებული; თვალები ჰქონდა ჩაცვივნული და დახშული.

ძმის დანახვაზედ ეფემიას გაეხსნა ცრემლების ნაკადული და აუჩუყდა გული. იმან მორთო ტირილი, ტირილი ცხარე, ტირილი გულიანი, რომელიც კვლავ არასოდეს არავის არ უნახავს ამისი. ეს „ქვის გულის პატრონი“, როგორც უძახოდნენ ამას ყველა მახლობელნი და ნაცნობნი, სტიროდა, როგორც ჭირისუფალი, რომელსაც დაუკარგავს საუკეთესო გულის საყვარელი.

კატომ ამ ამბავზედ იტაცა ორთავე საფეთქელში ხელი და დაეშვა ისევ პირქვე იმნაირის გულით, თითქო უნდა ამითი გახეთქოს მიწა და შთანთქას თავი ქვესკნელშიო.

— ტირილი კი არა, უნდა გაგეტიტვლებინათ დედისშობილა, შეგესვათ ვირზედ, დაგესხათ საქვეყნოდ ლაფი და გაგეგდოთ სახლიდან, — დაუწყო ზაალმა, — რა შესანახია მაგისთანა ნამუსზედ

ხელაღებული ქალი სახლში!.. რათ იჭერდით, თავს რომ იხრჩობდა?!. კი არ უნდა დაგეჭირათ — უნდა ქვა მოგებათ კისერზედ და ისე გადაგეგდოთ წყალში, რომ სულითაცა და ხორცითაც დაკარგულიყო... სად არის? სადა გყავთ, ერთი მაჩვენეთ — შევხედო იმას თავის პატიოსან თვალებში, ერთი თავის საკადრისად შევაქციო.

ამ ხმაურობაზედ უცებ წამოხტა კატო გიჟივით და დაუწყო კედელზედ თვალიერება. აქ ხშირად ეკიდა ხოლმე იოთამის იარაღი. კატო დაცეცებული თვალებით, სწრაფად ეძებდა იარაღს, იარაღი მე გავიტანე იმავ ღამესვე აქედან. რაკი ვერა ნახა რა კატომ, ის უცებ მიეშვა და დაასკდა პირქვე მუთაქას.

ზაალი გამოემართა კატოს ოთახისაკენ, მაგრამ იოთამმა შეაყენა. საწყალი მოხუცებული, იოთამი, ვერ იმეტებდა კიდევ თავის კატოს. იმას უკვდებოდა გული ისე შერცხვენისგან არა, როგორც იმაზედ, რომ კატო ამ საშინელს გარემოებაში ჩააგდეს. თუმცა ამაზედ არ უტყდებოდა თავის თავს და ცდილობდა თავის ცოლის წაბაძვას.

— კარგი, ზაალ, მამაშენი ნუ წაგიწყდება, დაბრძანდი, ერთი გვითხარი რამე ამ მწუხარე გუნებაზედ... კატო ეხლა რა სანახავია!.. მამაჩემი არ წაწყდეს, რომ ის თავის გონებაზედ აღარ იყვეს... ორი დღეა პურუჭმელია...

— ეჰ, კარგია ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყდება, იოთამ და! სულ შენგან არის ეგ ქალი გაფუჭებული! აცლიდი და ჩაუსვამდი წიგნებსა... წიგნები და წიგნები!.. შენ გინდა, რო ყველა შენსავით ფილოსოფოსი და მეცნიერი გამოვიდეს... მეცნიერებამ და ფილოსოფობამ ეგ იცის... ქვეყანაზედ კი აღარ გამოგესვლებათ და!..

აქ ზაალი დაჯდა. იმან აიყარა იარაღი და მისცა თავის ბიჭს, რომელიც ის იყო შემოვიდა ამასთან. ბიჭი ისევ გავიდა.

— ეხლა ტირილით და თავში ცემით აღარა მოემატება რა, — დაიწყო ზაალმა შემდეგ რამდენსამე სიჩუმისა; — ეხლა უნდა ვეცადოთ, რომ სანამ ეს ხმა მოედება ქვეყანას, ეგ ქალი მოვიშოროთ თავიდან და მივაჩეჩოთ, ვინც იყვეს, თორემ მასუკან, რაკი გაიგებენ მაგის ქალობას, მენახირეც აღარ შეირთავს.

— მეტი რა გზაა, შენ გენაცვალოს ეფემიას თვალები! — დაიწყო ეფემიამ დაშოშმინებით. — უნდა გამიწიო სამშობლობა და მიპატრონო რამე. შენს მეტი პატრონი არავინა გვყავს. შენს სიძეს რომ ყური მიუგდოთ, თქვენმა მზემა, თვალწინაც რომ ნაბიჭვარი გაუგდოს, ყურებსაც არ გაიბერტყს, ოღონდ კი ამეცნიერე და ალაპარაკე. მე ქალი ვარ და არავის ვიცნობ. ეხლა იმ საშინელს მდგომარეობაში ვართ, რომ; ოღონდ ამ სირცხვილს და ამოდენა სახლიკაცების საყვედურსა და ძრახვას მოვრჩეთ, თორემ დიდს

ვისმე, არც არავის კი გამოვეკიდებით. ასე რომ არ მოგვსვლოდა, მე ვიცოდი, როგორც ვაპირებდი, მაგრამ ეხლა არჩევანში შესვლა ძნელია... რა მომაფიქრებდა, რა მომაფიქრებდა!.. ყმაწვილს შვილივით ვუყურებდი... ყმაწვილი ძმად ეკუთნოდა... და ასე გამიმეტებდნენ... ასე თავს მომჭრიდნენ... ნეტა ჩემგნით ან წყენა ახსოვდეს, ან დაშლა რისამე... ვანებიერებდი... თითონაც სულ ჩემი თვალსა და პირში შემაყურებელი იყო... ჩემს სიცოცხლედ მაგასღა ვიგულებდი და ნახე!..

აქ ეფემიამ ამოიოხრა საშინლად და მორთო ისევ ტირილი.

— ეხლა გადასაგდებადაც გამიხდა ერთადერთი ქალი... ეხლა უნდა ავიღო და, თვალის ჩინივით გაზრდილი ქალი, ერთ უბრალო მენახირეს მივუგდო...

— რა გაეწყობა: — სცემდა ზაალი ეფემიას ნუგეშსა, — ჩვენ ჩვენი ვეცადოთ და ეგება ღმერთმა სრულიად არ აიღოს ჩვენზედ ხელი. ერთი-ორი რიგიანი მეგულება. თუ ვინმემ არ გადაგვიბირა და არ მიაღწია იმათამდინაც ამ ხმამ, ეგება ძოხერხდეს. აი თუნდა ილიკო კუდარიკიძე. შენმა მზემ კაი ყმაწვილი, სრულიად ბავშვი, კაი თვალადი, კაი ტანადი, კაი თავადიშვილი. ყმა და მამული თავისთვის საკმაო. ჩემთან ხშირად დაიარება. ხვალვე შევუდგები იმის გზასა და ამ დღეებში იმედი მაქვს მოვახერხო. თუ ის იქნება, ხო რა კარგი, თუ არა და, ვინც იქნება, ამ დღეებში უნდა მოხერხდეს.

ეს ლაპარაკი ყველა დაწვრილებით ესმოდა კატოს. ამ ლაპარაკზედ, თითქო გველმა დაუარა ტანშიო, იმას წამდაუწუმ შეათრთოლებდა და შეახტუნებდა.

ვახშმობა მოვიდა. ვახშამზედ კიდევ ილაპარაკეს კატოს საქმეებსა და თავიდან მოშორებაზედ. ვახშამს უკან მალე მიეცნენ ყველანი მოსვენებას, რადგან ზაალი იყო ნამგზავრი და დაღალული, ეფემია და იოთამი ნაღელვები ამ ორი დღის თავგადასახედისაგან. ღამე კატოს მაგრა დაუკეტეს გარს კარები, რომ წასვლა არსად შესძლებოდა. მე და ერთი გოგო გაგვიშვეს კატოს ოთახში. სანთელი მთელი ღამე ენთო, კატო ისევ ტანთგაუხდელი ეგდო.

გოგო, წინაღამის ნაღელვები და ნანჯღრევი, როდესაც გამოცვივნულიყვნენ კატოს საძებნელად, ის რომ წავიდა დასახრჩობად, ეგდო ჯირკივითა და ეძინა, როგორც მკვდარს.

მე არ მეძინებოდა, რადგან სადილ'უკას მეძინა ბევრი, და ვკითხულობდი რაღაცა წიგნს, რომელიც კატოსთვის მიეცა ვასილს.

შუაღამე გადასული იყო. სახლში და გარშემო იყო საშინელი სიყრუე, შორიდან ისმოდა მხოლოდ ჭოტის ძახილი და მოდიოდა

საშინელი ხრიალი და შხუილი იმ მღელვარე მდინარისა, რომლის მსხვერპლიც კინაღამ გახდა წინაღამეს კატო.

კატომ უცებ გამოიხედა შუბლქვეშ და დაგვათვალიერა. შენიშნა, რომ გოგოს ეძინა მკვდარივით. იმან უცებ მანიშნა ხელით, რომ ახლო მივსულიყავ. მე მივედი, ის უცებ მოძეხვია და ჩაძიკრა გულში, გადამდო თავი მხარზედ და მომაფარა ზურგს უკან თვალები, რომ არ შემენიშნა, რაც ხდებოდა იმის თვალებში. იმას წასკდა უცებ ტირილი, მისცა ცრემლს ნება და გადიქცა ცრემლის ნაკადულად, იმისმა ცრემლებმა გამატანა ახალუხქვეშაც.

— გიყვარვარ, განა, ჩემო ბესარიონ?! ხომ ხედავ რა დღეში ვარ! — დაიწყო იმან დიდი ხნის ტირილის შემდეგ, შემაგრებულის დაბალის ხმით. — შენ ვერ მიხვდები ჩემს ცეცხლსა, თორემ გუშინდამ მე არ გამიმეტებდი ამ ცეცხლში ჩასაგდებად და არ გადამარჩენდი!.. ვიცი — ეგ ჩემი სიყვარულით მოგივიდა, მაგრამ გესმის ეხლა უფრო რა ცეცხლი მელის?!. გესმოდა ბიძაჩემი ზაალის ლაპარაკი?!. რას მიპირებ, ბესარიონ? ჩემო ბესარიონ!!. ჩემი მისამართი შენს მეტი ქვეყანაზედ არავინ არის... გესმის თუ არა — უნდა ქმარი შემრთონ!!! ჰა!! ვასილი?!. ჩემი ვასილი?!.

და აქ უცებ მიიფარა კატომ თვალებზედ ხელები და ჩაძიყო თავი კალთაში. ის დიდსა და დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში. უნებური, შემაგრილებელი მწარე ქვითინი ჰხდებოდა ხამუშ-ხამუშ გულიდან. ბოლოს აიმართა ისევ და შემომხედა პირდაპირ თვალებში. კატოს თვალები ღელავდნენ ისევ თავისებური სიცოცხლით და ცეცხლით. იმათში გამოითქმოდა ცალკე განწირულება, ცალკე რაღაც სასოება.

— ბესარიონ! — დაიწყო ისევ იმან: — თუ გაქვს პატიოსნება, თუ გაქვს მცირეც არის ჩემი სიბრალული და არ გინდა საუკუნოდ ჩემი საცოდაობა ზიდო, უნდა ან გამიშვა და დამანებო თავი, რომ როგორც მიჯობდეს, მოვუარო ჩემს თავს, ან უნდა გამაქციო... ქალაქს... და აცნობო ეს საჩქაროზედ ვასილს.

ამ სიტყვებზედ გამიყარა კატომ თვალებში თვალები და მოუთმენლად მოელოდა პასუხს.

გაშვება ამისი თავისი ნებად — ნიშნავდა იმასა, რომ მიმეცა ნება თავის დახრჩობისა. ქალაქში წაყვანა! რა ადვილი საქმეა სხვებისთვის და რა ძნელი შესასრულებელია ჩვენთვის!

მე ჩავფიქრდი. გული მეთუთქებოდა, თითქო მდუღარე ვისმე დაუსხამსო, რომ არა მრცხვინებოდა, კატოზედ მე უფრო ტირილს მოვრთავდი. კატო, რომელიც თითქმის ქვეყანას მერჩივნა, კატო, რომელმაც მარტო მიიღო მონაწილეობა ჩემს მწუხარებაში და ასალ-

მუნებდა ჩემს გულს, ეს კატო იყო იმ საშინელ განწირულებაში, ჩემს მეტი შველა არსადა ჰქონდა, და მე კი ამისი შველა არ შემეძლო, საწყალი კატო! წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო. ის იყო წყალწაღებული და მე — ხავსი, რომელსაც იმისი შველა სრულიად არ შემეძლო. ქალაქს წაყვანა! გროში ფული არც მე, არც იმას არა გვქონდა; არც მე და არც იმას, არც ნათესავი და არც ნაცნობი არა გვყავდა, რომელსაც ან ერთი დღე მაინც არის შევენახეთ. სად, ვისთან და როგორ უნდა მიგვემართნა? მერე ვისა? მე, რომელიც სრულიად გამოუცდელი ვიყავი ამგვარს საქმეებში.

— რას დაფიქრდი? — შემეკითხა უცებ კატო საშინელის გაბედვისა და თან ხვეწნის კილოთი, — ვიცი უფულობა გაბრკოლებს, სხვა მე ვიცი, რომ ჩემის გულისთვის ვერა დაგიჭერს რა. ფულიც იქნება — ჩემი ნივთეულობანი, აი ყველა აქ არის, რაწამსაც მეტყვი, სუყველა ჩვენ ხელთ არის, ოღონდ მიშველე, შენი ძმობის ჭირიმე! — და აქ კატო უცებ დაეშვა ჩემ წინ მუხლებზედ.

ამ დროს გაიღო კარები და შემოვიდა იოთამი. იმასა ჰქონდა ნამტირალევი თვალები. ჩვენ ორივენი დავრჩით გაშეშებულნი. იოთამი მივიდა პირდაპირ, გადაეხვია კატოს და მორთო ჩუმად ტირილი. იმას მთელი ღამე არა სძინებოდა და მოეკრა ყური ჩვენი ლაპარაკისთვის. საწყალი მოხუცებული! იმას გაგიჟებით უყვარდა თავისი კატო და ვერა გაეწყო რა ამის ამ მწუხარებაზედ.

— სად უნდა წახვიდე? — დაიწყო ჩუმის სლოკინით იოთამმა. — ვილას ამარა უნდა გაუშვა შენი მოხუცებული მამა? ცალი ფეხი სამარეში მიდგია, შვილო! ჩემი სიცოცხლე შენ იყავ. ჯერ მე მომკლან და მერე შენი უსიამოვნო საქმე ისე ჩაიდინონ. ვის შეუძლიან შენს უნებურად შენი გათხოვება?!. რათ გინდა, შვილო, შენი მოხუცებული მამის სიკვდილი!.. რა წყენა მოგაგონდება... მე შენ არას ვეტყვი, თუკი გამიმეტებ სასიკვდილოთა.

კატოს აუჩუყდა გული, მოეხვია მამას ყელზე და მოუმატა ტირილსა.

— განა არ გამიმეტებ, მამაჩემო? განა ჩემს უნებურად არ მიმცემ არავისა და არ მოინდომებ ჩემს სიკვდილს?!

იოთამი მოეხვია კატოს და ჩაიკრა გულში.

ამგვარად ტკბილად ჩაკრულნი და წრფელის გულით ალერსით თავისი გულის პასუხის გამომთქმელნი მამა და შვილი მე აღარ შემხვედრია მასუკან.

დიდხანს იყვნენ ისინი ამგვარად. დიდხანსა სტიროდნენ ჩუმად, თითქო ამითი უნდა გამოეთქვათ თავისი სიყვარული. მასუკან იო-

თამი ჩუმად გამოვიდა, რომ არავის გაეგო ეს ამბავი და კატოც გულდამშვიდებით ძლივს მიეცა ძილსა.

მეორე დღეს ჩუმად ვაფრინე კატოს წიგნი ვასილთან ფოსტითა, რომელიც მე თვითონ ჩავიტანე ფოსტაში.

VI

მეორე დღეს ადრიანად, მინამ იოთამი და ეფემია გაიღვიძებდნენ, ზაალი წასულიყო კატოს გათხოვების თადარიგის დასაჭერად.

ილიკო კუდარიკიძე, რომელიც უნდოდა ზაალს კატოსთვის, იყო, მართლაცდა კარგი გვარის თავადიშვილი. ის იყო სწორედ ჩემხელა. მართლაცდა ლამაზი თვალად-ტანადი. მე იმას კარგად ვიცნობდი. ისა და მე ერთად მიგვაბარეს ერთს პოლკის სასწავლებელში, საიდამაც მე გადამიყვანეს ანუ გამგზავნეს ერთს უფრო მაღალ სასწავლებელში და ის ერთი წელიწადი კიდევ დარჩენილიყო იქა.

მამა ამისი, ბეჟანა კუდირიკაძე, იყო კარგი შემძლებელი თავადიშვილი. მამამ ბეჟანს დაუტოვა დიდი ყმა და მამული. იმას უდარდელად მოსდიოდა ცხოვრება სახლში და უდარდელადაც ატარებდა თავის დღეთა. ამან თავის სიყმაწვილეში შეირთო ერთი სოფლის დარდიმანდი ქალი ორასის თუმნის მზითვით, რომელიც მაშინ დიდ ფულს შეადგენდა. მაგრამ ამისმავე დარდიმანდმა ცოლმა მალე აშობინა ამ ფულს აქლემი. დარდიმანდობით ბეჟანი ცოლს და ცოლი ბეჟანს არ დაუვარდებოდნენ. აქ დადგა ვორონცოვობა. თავადიშვილობამ, რაც იყო და არ იყო, აიწია და დაუწყო ბაძვა ვორონცოვის ცხოვრებას. ჩაცმა-დახურვამ, სახლებმა, ძებელმა, ეკიპაჟებმა, გამოსვლამ უცებ შემოყვეს საშინელის მოთხოვნილებით თავი ჩვენი მაღალი წოდების ცხოვრებაში. გაიხსნა პრიკაზი. ფული გაგვიადვილდა და დაეწაფნენ ჩვენი თავადები ამ ფულებს, ბეჟანიც, რასაკვირველია, არ დარჩა შტატგარეთა. იმან ერთბაშად გამოიტანა ხუთასი თუმანი. რაკი ბეჟანმა ძოიგდო ფული ხელში, აღარ ახსოვდა, რომ ამ ფულს მოითხოვდნენ უკან სარგებლითა, ამ ფულსაც ამანა და ამისმა დარდიმანდმა ცოლმა აშობინეს აქლემი. პრიკაზმა დაგირავებული მამული შეასყიდვინა დაგირავებულ გლეხებს, რომელნიც გავიდნენ სახელმწიფოდ. დარჩა ბეჟანს ნახევარზედ ნაკლები თავისი ყმა და მამულისა. მაგრამ, რაკი შეეჩვია ის მდიდარ ცხოვრებას, ვეღარ ითმენდა ამათს დათმობას და გასდევდა ჩვეულებას. ამის გამო დაიწყო ურიებისა და სომხებისაგან ვალების კრეფა, რომელშიაც აძლევდა თითქმის მთელს მოსავალს სარგე-

ბელში. ბეჟანს აღარ მიჰყვა ზურგი ხშირად ქალაქში სიარულისა და ამან დაიწყო თავის დარდიმანდის ცოლით დღეობებში სიარული და შექცევა. ის არ იტეხდა ეხტიბარს თავის ტოლს თავადაზნაურებში და ცდილობდა ეჩვენებინა იმათთვის, რომ ნაკლებობას არაფერში არ ითმენს. იმისი ცოლი, კნეინა რიფსიმე, იყო დედოფალი ყველა დღეობისა. ყმაწვილი კაცები და ქალები ევლებოდნენ თავს. გარდა პურადობისა, რომელითაც იცოდა კნეინა რიფსიმემ მიზიდვა ახალგაზრდობისა, იმას ყოველთვის ჰყავდა თავისთან ლამაზი გასათხოვარი ქალები ან თავისი ან ქმრის ნათესაობიდან. ეს ყმაწვილკაცობის გარს ვლება და ამასთან ნიადაგ ტრიალი აძლევდა რაღაც სიამოვნებას კნეინა რიფსიმეს. დღეობებში მთელი გაშოჩენილი ყმაწვილკაცობანი იყვნენ ამისი სტუმარნი, რომელთაც შეაქცევდა საზანდრებითა და ზურნა-დაფით. უიმისოდაც ამის სახლში არ გამოილეოდა სტუმარი და შექცევა. ერთი სიტყვით, კნიაზიც და კნეინაც, რა დღესაც მოაკლდებოდნენ ამგვარს სიამოვნებას, აღარ ეგულებოდათ თავი ადამიანად. ამგვარს ცხოვრებას უნდოდა დიდი შეძლება და მხნეობა, კნიაზი და კნეინა კი ორივეს იყვნენ მოკლებულნი. მაშასადამე, რითიმე უნდა შეევსოთ ნიადაგ თავისი დეფიციტი. ამგვარს გაჭირვებაში კნიაზთან დაიწყეს საიდანღაც ცნობა და სიარული ოსებმა და თათრებმა. კნიაზს უჩნდებოდა უცებ საიდანღაც საჩუქრებად სულ არჩეული ცხენები და კამეჩები, რომელთაც ის თითქმის უფასურათა ჰყიდდა. მაინც ესეც არას გახდა. მიაღწია იქამდის საქმემ, რომ ხშირად სტუმრისათვის არამც თუ ცხვარი, ქათამიც აღარ ეშოვებოდათ, მაგრამ სტუმრები მაინც მაძღრები და ნასიამოვნები რჩებოდნენ. მხოლოდ გასაკვირველი ეს იყო, რომ ბოლოსა და ბოლოს დროს, რამდენიც ამასთან სტუმრები მოვიდოდნენ, იმდენი მეზობლებს ცხვარი, ღორი, ქათამი, ბატი, ინდაური აკლდებოდათ. კნიაზ ბეჟანზედ ვინ რას გაიფიქრებდა! კნიაზ ბეჟანი, რომელსაც მოსდევდა ნაჩალნიკი, სუდია, მარშალი, დიამბეგი; კნიაზ ბეჟანი, რომელიც დაიარებოდა ვარანცოვის ბალებში! მართალია, ეს კი იცოდნენ, რომ კნიაზ ბეჟან სჩაგრავდა სახლიკაცებს, სტაცებდა ბეგარას, საბალახეს და სხვა, რომელიც ამას ვაჟკაცობაშიაც ეთვლებოდა, რომ ძალასა ხმარობდა და არ ჩადიოდა ჩუმად. მაგრამ, რომ ამას ჩუმად ვისთვისმე წაეგვარა ქათამი, ინდაური, ბატი და სხვა, ამას ვერავინ მოიფიქრებდა. მართალია, დადიოდა ერთი რაღაცა უცნაური ხმა, მაგრამ კნიაზ ბეჟანი იყო მტყუანი თუ კნიაზ დარისპანი — არავინ იცის, რადგან ქურდობისა და ამგვარი ავკაცობის ხმა უფრო დარისპანს ჰქონდა, და რომ ამაში კნიაზ ბეჟანი არ უნდა ყოფილიყო მტყუანი, ეს იმითიც

დაუმტკიცა კნიაზ ბეჟანმა, რომ მეორე დღეს საშინელი ცილისთვის, დაჰხვია კნიაზ დარისპანს ბიჭები და კინაღამ მოაკვლევინა ცემით.

აი რაში მდგომარეობდა საქმე. ერთს ღამესაც კნიაზ ბეჟანს დაესხნენ სტუმრები. ამავე ღამეს კნიაზ დარისპანის ფარეხთან ატყდა ერთი საშინელი ძაღლის ყეფა. მეცხვარეები გამოცვივდნენ. კნიაზ დარისპანიც გამოვიდა და უცებ დაიჭირეს კნიაზ ბეჟანი ვრთის კარგის ჭედილათი, რომელიც იმას ჰქონდა შემოგდებული ცხენზედ და მოეჩქარებოდა შინისკენ. დარისპანმა და მეცხვარეებმა იცნეს ჭედილა თავისად; მაგრამ კნიაზ ბეჟანმა დაიმოწმა ვიღაც მეცხვარეები, რომ იმათ გამოვართვი საბალახეშიაო და არ დაანება ცხვარი. დარისპანმა დაჰყარა ხმა ბეჟანის ცხვრის მოპარვაზედ. ამ ხმამ მიაღწია ბეჟანამდის და ეს ითაკილა ბეჟანმა.

— როგორ თუ! — იძახდა ის გაშმაგებული. — მაგ ქურდმა, ქურდის შვილმა, მე უნდა ქურდობა შემწამოს! ჰა! აი მაგისი!.. სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ, მამაჩემი არ წამიწყდება!

ამ დროს გაიგო ბეჟანმა, რომ დარისპანი ვენახისაკენ მიდისო. ის დაუხვდა უცებ ბიჭებით, დაადებინა ადგილზედ საქვეყნოდ და იმდენი სცემა სულ რბილს ადგილებში, სინამ გულს ისრულებდა.

— როგორ თუ! — გაიძახოდა საქვეყნოდ ბეჟანი. — შენ ქურდობა ჰქენ და სხვას ცილსა სწამებ?! ვინ არის შენი ტოლი!.. შე ჩირქიანო! შე ქვეყნის ამომგდებო, რომ შენი შიშით ქათამიც კი გეღარავის გაუჩენია! ჰა! ჰა!.. მოჰკალით ეგ არამზადა მოუსვენარი ეგა!.. მოჰკალით და მაგის სისხლს მე ვზღამ! მოჰკალით!..

დარისპანი უგონოდ წაიღეს შინა.

მაგრამ აქ ერთი გარემოება იყო, რომელმაც შეაფიქრიანა კნიაზ ბეჟანი. ნაჩალნიკი იყო ახლად მოსული რუსი, რომლისაც ცნობა ჯერ არა ჰქონდა ამას. ამის გამო შესაძლებელი იყო, დარისპანის საჩივარი გასულიყო. კნიაზ ბეჟანმა აფრინა უცებ ნაჩალნიკთან ჭაღალდით თავის ცოლის ძმა, რომელიც ამასთან იყო საზანდრებით მოსული შესაქცევრად, რომ კნიაზ ბეჟან კუდირიკაძე მოაკვლევინა ცემით ბიჭებსა კნიაზ დარისპან კუდირიკაძემ, და სთხოვდნენ ექიმს შესამოწმებლად. მინამ დარისპანის სახლობანი გონს მოვიდოდნენ, მინამ ნაჩალნიკმა ექიმი კიდეც გამოგზავნა ბეჟანის შესამოწმებლად.

მინამ ექიმი მოვიდოდა, კნიაზ ბეჟანმა შეაწვევინა მოლურჯო სტაფილო ცეცხლში და უბრძანა იმითი რბილი ადგილების მაგრად დაზელა. კნიაზ ბეჟანი დაზილეს ღონივრად და დააჩნდა სტაფილოს სამღებრო ტანზედ წითლათა და ლურჯად. ბეჟანმა მიიკნავლა

ხმა და კვნესოდა მწარეთა. ექიმმა გახადა ტანთა. ტანთ ძლივსა ხდიდნენ, რადგან მტკივანს ადგილებს ძლივსა სძრავდა მეტად ნაცემი ბეჟანი. ექიმმა დაუწყო თითით სინჯვა. ყოველს თითის დაკარებაზედ ბეჟანი გაჰკიოდა ხრინწიანის მიკნავებულის ხმით. ის იყო მთლად დალურჯებული. ექიმი შეწუხებული იქნევდა თავსა და თან იძახოდა: „Вот зверство".

გასინჯვის შემდეგ, ექიმს მიაკრეს ერთი ხუთი თუმანიც ხელში, იმან მისცა საშინელი ნაცემობის მოწმობა და აცნობა ნაჩალნიკს ამგვარი უღმერთობა კნიაზ დარისპან კუდირიკაძისა. ნაჩალნიკი ღელავდა და შფოთავდა დარისპანზედ: სულ ციმბირს უპირებდა გაგზავნას. აქ ახლა იმისგანაც კაცი მოვიდა, რომ კვდება ბეჟანის ნაცემობისაგან და ექიმი გვიბოძეთო.

— Самъ чертъ васъ не разберетъ! — შესძახა იმან გაჯავრებულმა.—Нехай васъ бесы разбираютъ! убирайтесь вы... Этотъ на того, а тотъ на этого жалуются. Вот и разбирай!

ამგვარად, თუმცა ციმბირში აღარ გაგზავნა დარისპანი, მაგრამ მაინც იმის საჩივარს ყური აღარ უგდო, და გაუშვა ასე კნიაზ ბეჟანის საჩივარიცა...

მართალია, დარისპანის დაყრილმა ხმამ კინაღამ ააღებინა იჭვი კნიაზ ბეჟანის ქურდობაზედ, რადგან მეზობლებს დიდი ხანია უკვირდათ, რითი და როგორ გამოდიოდა ამოდენა სტუმრებში, მაგრამ ამის შემდეგ ფიქრათაც ვეღარავინ მოვიდოდა, რომ ბეჟანისაგან იმისთანა თავის დასამცრობი საქმე წარმოსდგებოდა, რომ ქათმებითა და ინდაურებით ჩუმად ესარგებლა ვისგანმე იმასა. არა ჰქონდათ ამაზედ იჭვი, ვიდრე ერთი კიდევ უარესი საქმე არ მოუხდა და რომელმაც კიდეც მოუღო ბოლო ამ სახელოვანს თავადიშვილსა.

რაღაცა დღეობიდან დაბრუნებულს, მთელი ერთი კვირა უდგა კნიაზ ბეჟანს სახლში სტუმრები. ამ ღამეებში მეზობლობას ზოგს ღორი ეკარგებოდა, ზოგს თხა, ზოგს ცხვარი, ზოგს ბატი, ზოგს ინდაური, ზოგს ქათამი და სხვა. ერთს მეზობელს, რომელსაც წინა ღამეს დაეკარგა ქათმები და ინდაური და ეგონა, რომ მგელმა ან მელამ მოიტაცაო, დაუგო შიგ საქათმეში მგლის ხაფანგი, რადგან ერთს ადგილას იყო საქათმე გატეხილი და გაკეთება ვეღარ მოასწრეს.

მიწყნარდა ფეხის ხმა, სოფელში ხმაურობა აღარ ისმოდა. ყველანი ტკბილს პირძილში იყვნენ; მთვარე გვიან იყო ამოსასვლელსა, ღამე იყო მარაგიანი. ამ დროს ერთი ვიღაცა, საშინელის სიფრთხილით მიიპარებოდა სწორედ ამ საქათმისაკენ. ის მივიდა და

ჯერ დაათვალიერა სახლი. ხმაურობა სრულიად არ ისმოდა. მაშინ გასწია გაბედვით საქათმის კარისაკენ, მაგრამ კარები დაუხვდა დიდის კლიტით დაკეტილი. იმას ახსოვდა გატეხილი ადგილი საქათმისა და გასწია იქითკენ. ამან აჰყარა კიდევ რამდენიმე წნელი იმ ადგილას და საჩქაროდ შეჰყო თავი შიგ შესაძრომათ. ამ დროს მოესმა რაღაც, ტკაცან! და ჩაუყარა მაგრა კნიაზ ბეჟანს ხაფანგმა რკალები.

ამ უცნაურს ამბავზედ, კნიაზ ბეჟანმა უნებურად შეჰყვირა საშინლად და გამოიწია უკან. ხაფანგი მოედო წნელსა. ბეჟანმა დაუწყო ცოდვილობა ხაფანგსა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა ახსნა. ხაფანგი უჭერდა კისერში და თითქმის ახრჩობდა, კნიაზ ბეჟანს დააწყებინა ზმუილი. ამ ხმასა და ზმუილზედ უცებ მოცვივდნენ საიდანღაც საშინელი ქოფაკი ძაღლები, გაცხარებული ყეფითა და სწვდნენ წადრეკილს ბეჟანს შიგ გაზებსა და დუმებში. ბეჟანმა არ იცოდა, რა ექნა, ხაფანგი მოეშორებინა თუ ქოფაკი ძაღლები. ამ ხმაურობაზედ გამოცვივდნენ სახლიდან კაციან-დედაკაციან კეტებით, თოხებით, ბარებით, ნიჩბებით და ეცნენ ამ ადგილას. კნიაზ ბეჟანი ზმუოდა. წადრეკილი ბეჟანი ზმუილსა და ხრიალში, საქათმის პატრონებმა მიიღეს მგლათა ან დათვად, და თოხი, კეტი, სარი, რაც კი მოხვდათ, დაუშინეს საშინლად. ძაღლები მოექცნენ ბეჟანს ზედ ქეჩოზედ და ჰღრღნიდნენ, რაც შეეძლოთ. ბოლოს ვიღამაც მოჰკრა ძლივს ყური კაცის ხმასა და ძახილსა. „მოვკვდი! ქრისტიანებო!.. თქვენს ღმერთს მიავალეთ!..“ ისმოდა ხრიალითა და თანა ცდილობდა ყელსა და რკალს შუა ხელები მიეცა, რომ არ დამხრჩვალიყო ხაფანგისაგან.

— დაიცა! დაიცა, კაცო! — დაიძახა ამ ყურისმომკვრელმა, — კაცია, — ადამიანი, ვიღაცა.

— კაცი კი არა! მოჰკალ! — გაიძახოდნენ შიგადაშიგ გაცხარებულნი და ადიოდა და დადიოდა კეტი თუ სხვა, რაც ხელში ეჭირათ.

ბოლოს ბეჟანმა ერთი საშინელი ზმუილი. ამოუშვა და დაეშვა ულონოდ. მაშინ სხვებმაც შენიშნეს, რომ კაცი იყო. იმათ საჩქაროდ გამოიტანეს კვარი. ნახეს, იცნეს — კნიაზ ბეჟანი!

— ვაი შენ ჩემო თავო და დედიჩემი ღმერთსა! — შემოიკრეს გლეხებმა თავში, — ე რა ღმერთი გაგვწყრომია! არიქა ბიჭებო, ჩქარა შეამტვრიეთ კარი!

ზოგნი ეცნენ კარსა, კარი იყო დაკეტილი. ეძგერნენ გასაღებს მოსაძებნელად.

— არა, გარეთ გამოსწი, გარეთა! — იძახოდნენ სხვები და სტაცეს ფეხებში ხელი გამოსათრევად, მაგრამ ხაფანგი მოედო ისევ წნელსა.

— ვაი დედი ჩემი ღმერთსა! — შესძახეს ფეხების მწეველთა, — ხაფანგში გაბმულა, ჩქარა კარი!

გასაღები საცაღას მიიმალა, ყველანი ეძებდნენ გასაღებს.

— მიშველეთ! — ხრიალებდა კნიაზ ბეჟანი, — დავიხრჩე!

ძაღლები ისევ იწევდნენ ბეჟანზედ და გლეხები ძლივს აგერებდნენ. ტანისამოსი ჰქონდა ნაფლეთებად ნაქცევი. სისხლი სდიოდა თქრიალით; დუმებისა და გაზების ნაფლეთები გამოსჩროდა დახეულს ტანისამოსში.

როდის, როდის ეპოვნათ და მოარბენინეს გასაღები, ახსნეს კნიაზ ბეჟანს ხაფანგი და თითქმის უგონოდ გამოათრიეს საქათმიდან.

— ვაი შენ ჩემო თავო, ბატონო კნიაზო, რა უკაცრაობა მოგვივიდა შენთანა! — იხდიდნენ გლეხები ბოდიშს, — შენი რისხვა და ღვთის რისხვა არა გვაქვს, დათვი გვეგონე, თორემ აგრე როგორ ღმერთი გაგვიწყრებოდა... ვაი დედი ჩემი ღმერთსა!.. დახე რა სიბრიყვე მოგვივიდა, ეე!..

ბეჟანს ამით სმენის თავი აღარ ჰქონდა, ის ცოცხალ-მკვდარი ძლივს ჩაათრიეს თავის სახლობაში დიდის ბოდიშის ხდითა, რომ უცაბედი მოგვივიდაო. ბეჟანმა იცოცხლა კიდევ რამდენიმე თვე, თუმცა არ იყო, რომ ამ ნაცემობისა და ნაკბენობისაგან ძოიხედა, მაგრამ სირცხვილი ვეღარ აიტანა ქვეყნისა, იავადა და გადაჰყვა აბ ამბავს თანა.

ამის შემდეგ კნეინა რიფსიმეც მოეშვა და აღარ ჰქონდა ის იერი ხალხისა და საზოგადოების თვალში. ის დღიურად ძლივს გამოდიოდა თავის ერთის შვილით, ილიკოთი.

ილიკო იზრდებოდა ამ გარემოებაში და ხედავდა ყველა ამ ამბებს. არასოდეს იმის თვალში არ გაუვლია ფიქრსა, თუ როგორ უნდა იცხოვროს, ან რითი და როგორ უნდა შეიძინოს სარჩო. ის ხედავდა ქეიფებს, არშიყობას, საზანდრებს, ქურდობას, დაუნდობლობას, და ყველა ეს ენერგებოდა ყრმა გულში. ამის აღზრდისთვის არავინა ფიქრობდა. ის კნიაზ ბეჟანმა მისცა პოლკის სასწავლებელში, სადაც ამას ახღენდა ცალკე საძაგელი მაგალითების ნახვა და ცალკე თავისი სილამაზე. ამ სასწავლებელში პირველი ღონე იყო ჯოხი, ჯოხს უნდა ექცია კაცად. ილიკო ყველა ამისი იყო ხამი და ცდილობდა სხვა რითიმე თავის მეუფროსეების გულის მოგებას. ამას გარდა ილიკო იყო დაჩვეული შექცევებსა, კარგს

სმა-ჭამას, მოსვენებას, აქ ყველა შეგირდი იყო ამას მოკლებული, და ილიკო ვერ ითმენდა ვერც უამათობას. იმან სცადა გაქცევა, მაგრამ ისევ მალე დააბრუნეს უკან და შეუჩვეველი დუმები მალე გააცნეს ამ ყოველი სენის გამკურნებელს მანეულის წკეპლებს. მაშინ ილიკომ მოიგონა თავისი დედისა და იმის გარს მყოფთა უნარები, კიდეც შენიშნა, რომ სილამაზის მუშტარნი იყვნენ აქ ბევრნი, და გაჰყვა იმათს პატიჟსა. ამან იხსნა ეს ყველა იმ მწუხარებათაგან, რომელშიაც იყვნენ სხვა შეგირდები. სადილ-ვახშმად ნახევარზედ ეს ბრძანდებოდა უფროსებში; ეცვა სხვა ყველაზედ სუფთად, წმინდა ტილოს საცვალი და კოხტა ყელსახვევები; სასუნებლები და პომადები უნდა ეხმარა დღეში რამდენჯერმე; შეჰყურებდა ნიადაგ თავის სილამაზეს, ხილი ჰქონდა გამოულეველი; დღესასწაულებში მიჰყავდათ ყოველთვის სახლებში; კლასში ჰყავდათ სხვებზედ დაწინაურებული, ერთი სიტყვით, ის იყო იმ ყოფაში, რომელსაც ნატრობდა, თუმცა მაინც და მაინც ამასაც შიხ დაბრუნებასა რჩეობდა. ამგვარად სრულიად გაწვრთნილს, ამას მოუკვდა იმ უბედური შემთხვევით მამა, და ის, რაკი წავიდა საორთვეოდ შინა, აღარ დაბრუნდა სწავლაში, რომლის გამოც გამორიცხეს სასწავლებლიდან. აქ ის გაჰყვა მალე დღეობებს, ქეიფებს, დარდიმანდობას. თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ბავშვმა დაიწყო ლოთობა და ქეიფი უცოლო ლაზღანდარა მოქეიფე ყმაწვილებში, დაიწყო თრევა უდროოდ ქალებში; გაჰყვა ბაზრის ბიჭებს ყომარბაზობასა და სალახანობაში, — ერთი სიტყვით, ის შეიქნა სრული ტიპი იმ ჩვენი შინა თავადაზნაურობის ყმაწვილკაცობისა, რომელსაც შეხვდები ჩვენს პროვინციის ბაზარ ადგილასა და დღეობებში და რომელთაც ეძახიან ჩიტო — მიტო — ნიკო — გვრიტებსა და რომელთაც იდეალად აქვთ აღებული კინტოები და ყოველი გარყვნილებითა და სიწამხდრით გადაუჭარბებია კინტოთათვის. ტოლებში ილიკოს ჰქონდა სიკეთის ხმა, რადგან მართლაცდა იცოდა ამხანაგების გატანა, იყო გულადი და შეუპოვარი, ცხენსა და მუშტში მარჯვე; ყოველ საამხანაგო საქმეში თავგადადებული.

ამგვარს ცხოვრებაში ატარებდა თავის ცხოვრებას ილიკო თითქმის იმ დღიდან, რა დღესაც დაბრუნდა სასწავლებლიდან შინა. შრომა, ჯაფა, ფიქრი იმისთვის ღმერთს არ გაეჩინა. ამისი სიმღერა, ამისი კილო რომ გაგეგონა, არ გინდოდა მოგეშორებინა ყური, ისეთნაირად ტკბილად, უდარდელად ცხოვრების კმაყოფილებით ამოსდიოდა გულიდან ჰანგები და თითონ შენც თითქო გიქარვებდნენ სევდას თავის უდარდელობით, თავის უზრუნველობით.

დედა ამისი, კნეინა რიფსიმე, რაკი ჩავარდა ამ დღეში და სხვა რჩენის ღონე აღარსად იყო, შეუდგა სახლის ბოვლის თადარიგსა და როგორც იყო გამოჰყავდა თავიც და შვილიც.

ილიკო არას დაგიდევდა. იმან იცოდა სახლის კარი ბზოლოდ მაშინ, რაკი ფულის სახსარს ვერსად გახდებოდა. აქ მომართავდა მაშინვე დედას; და თუ დედა ბაშინვე არ უშოვიდა, ის ეშუქროდა მამულების გაყიდვას, რომელნიც შიგადაშიგ კიდეც დაეყიდნა. ჩაიდებდა ფულს და გაჰკრავდა ისევ ტოლებსა, ზურნა-დაფისა და სონიჭკებისა და ხარუნკებისაკენ.

აი ეს არის სურათი იმ ყმაწვილის კაცისა, რომელიც უნდოდათ კატოსთვის საქმროდ.

VII

კატო მამის ამ იმედის მოცემით დაშოშმინდა და ყველა უბედურება და შერცხვენა, რაც გამოეცლო, თითქმის სულ გადიყარა გულიდან. წიგნიც გაგზავნილი ეგულებოდა ვასილთან. ის თითქმის მხიარულათაც იყო. მაგრამ კარში და მეორე ოთახში ბაინც არ გამოდიოდა, რომ არ შეხვედროდა იმ პირთ, რომელნიც ამას უყურებდნენ ცუდის თვალით, და აგრეთვე ერიდებოდა დედასაც, რომელსაც ვერასგზით ვერ მოენელებინა ამგვარი მოულოდნელი სირცხვილი. ეფემია იყო ისე აღელვებული, ისე გამწარებული და გატაცებული ფიქრებისაგან, რომ მთელი დღეობით იჯდა შინა და აღარა საქმისთვის არ მიუხედნია. იმის გულში თუ არ მეტი, ნაკლები ცეცხლი აღარა ტრიალებდა კატოს გულისგან. იმის ნუგეში, იმის სიცოცხლე იყო მხოლოდ ერთი — კატო; კატოსაგან მოელოდა სიცოცხლესა და სიამოვნებას, კატოს ბედნიერებით აპირებდა თავის სიბერის დღეთა განახლებას; კატო, ერთადერთი შვილი, კატო, და ეხლა უნდა ამოერიცხა ეს გულიდან და გადაეგდო ვინ იცის ვისთვის. კატომ, რომლისგანაც ეს მოელოდა ყოველს ბედნიერებას, რომელსაც ამან შესწირა თავისი დღენი, თავისი ჯანი და თავისი გული, ამ კატომ ასე გაიმეტა ესა და ასე შეარცხვინა სიბერის დროს, ასე გამოასალმა ქვეყანას. ეს საყვარელი და აბისი სული და გული კატო, რომლის მოშორებასაც ასე მალე არა ფიქრობდა ეფემია და რომელითაც ამაყობდა, ეხლა გაუხდა სამარცხვინოდ და უნდა ცდილიყო, რაც შეიძლებოდა მალე მოეშორებინა თავიდან. რომ ისიცა და თავისთავის ნამუსიც ამოეღო ქვეყნის ყბისა და კიცხვისაგან, რომ უარესად მისარყვნელად არ გაეხადნა იმისიცა და თავის სახელიც. ეფემია იჯდა მთელი დღე ჩუმად ბუხრის პირას, ხელებზე ნიკაპდაბჯენილი და ღელავდა მწარე ფიქრებით.

საღამო ჟამი იყო. კატო იჯდა თავის ოთახში. იმან ამოალაგა ვასილის მოწერილი წიგნები და კითხულობდა გულის მოსაჯარვებლად. ამ დროს უცებ მოვიდა ერთი ბიჭი და ისევ საჩქაროზედ გაბრუნდა. ეფემიას უცებ შეუდგა ფაცაფუცი. დაუწყეს სახლს დალაგება. შეუდგნენ სამზარეულოებს. ეფემიამ აფრინა აქეთ-იქით ბიჭები. კატოს ეს არაფერი არა გაუგია რა. ისა კითხულობდა ჩუმად ვასილის წიგნებსა და იკრავდა მხურვალედ გულში.

— უწიხ მიწასა ნახავ კატოს გულზედ, — ამბობდა კატო ამ წიგნების კითხვის დროს, — ვიდრე კატო შენს გარდა სხვას ვისჰეს შეირთავდეს... ღმერთო! როდის მაღირსებ კიდევ ვასილის ნახვასა... მაშინ ვეღარავინ დაგვიდგება წინა... რო იცოდეს ეხლა ჩემმა ვასილმა, რა ცეცხლში ვარ, რა მალე მომეშველებოდა და გამომიხსნიდა ამ უცნაურობისაგან.

ამ სიტყვებსა და ფიქრებთან კატო ხან გულში იკრავდა და ხან ცხარედ ჰკოცნიდა ვასილის წიგნებს.

— ყუთში რა ხელი აქვთ ამათა, რომ დაკეტილში შიყრიან, — წარმოსთქვა უცებ კატომ, — ესენი არიან ჩემი გულის ნუგეშნი და უნდა იყვნენ ჩემი გულის მცველად.

იმან გაახვია ის რაღაცა მძიმე ფარჩის ნაჭერში და აიკრა ზედ გულზედ.

კატო რომ ამ სიამოვნებაში იყო და არ ესმოდა, რაცა ხდებოდა სახლში, მე ამ ამბავზედ დამიწყო საძაგლად გულმა ცემა. მე ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი არაფერს კარგს არ მოასწავებდა, მე სრულებით ავირიე და დავიბენ. ასე უეცრად მე არაფერს არ მოველოდი, მაგრამ, როდესაც დავფიქრდი, მაშინ მომაგონდა, რომ კნიაზ ილიკო თავის კამპანიით და ზურნა-დაფით იყო იმ ქალაქის პაზარში, სადაც მე ჩავიტანე კატოს წიგნი ვასილთან გასაგზავნად. და ამ ქალაქშივე მიმავალი შემომხვდა ბიძაჩემი ზაალი.

ბინდმა ჰკრა, რომ მოგვესმა შორიდან ზურნა-დაფისა და ერთი საშინელი ღრიანცელის ხმა.

მე კინაღამ მუხლთ მოვეკვეთა. დაბნელის დამცემმა ზარმა დაბინარა თავიდან ფეხამდის... ესენი იყვნენ კნიაზ ილიკო თავისის კამპანიით.

— რა უნდა ვეთქვა კატოსთვის?!

ამ ხმის გაგონებაზედ, ეფემიამ უცებ შეაღო კატოს ოთახის კარი და შევიდა.

— მოემზადე! — უთხრა იმან გადაწყვეტილი კილოთი. — საბეფო მოდის.

ამ ხმის გაგონებაზედ, ერთი უცნაურად შეხედა კატომ დედას და დარჩა ისე დიდხანს თვალებდაჭყეტილი გაოცებისაგან.

— ამოუღეთ სოსანი ფარჩის კაბა თავისი სამკაულით, — უბრძანა ეფემიამ გოგოებს, — და მოუმზადეთ ყველა მოსართავი. ჩემ რძლებსაც ეხლავე ვთხოვ რომ უშველონ მორთვა.

— დედავ! — შესძახა ძლივს კატომ და წამოიწია დედის მუხლებზედ მოსახვევნათ, მაგრამ დედა აქ აღარ იყო, ის გავიდა საჩქაროდ... სხვა სამზადისებისათვის.

კატო დარჩა ისე დაჩოქილი და ხელებგანპყრობილი კარგა ხანს. მერე თანდათან მოეშვა მკლავები და მუხლები და ისე უგონოდ დაეშვა ცარიელს ადგილზედ.

ერთი წყლის შესხმა და კატოს მოსულიერება ერთი იყო. ის არა ჰგავდა თავისი ნერვებით იმ ქალთ, რომელთაც თაგვის დანახვაზედ გული მისდით და ისტერიკა ემართებათ. იმის გული, იმის ნერვები არა ტყდებოდნენ თვით ამ საძაგელს ტრაგიკულს მდგომარეობაშიც. ისინი უმაგრდებოდნენ თვით ამ საზარლობასაც საშინელის შეუპოვრობით.

მოიხედა თუ არა, კატომ დაუწყო ისევ თვალიერება დედას, მაგრამ მაინც დედა არსად იყო. კატო მიინძრ-მოინძრა, გაიმართა წელში და საშინელის გაბედულობით და თითქო ითხოვს ყველას საბრძოლველათაო, მიჯდა კუთხეში და გამოიჭიმა.

— კატოჯან! — დაიწყო შემკრთალმა კატოს გამდელმა. პირხავარდისამ.

— კრინტი! — შესძახა კატომ კრიჭამოჭერით და რაღაც ძრისხანის სახით. პირნავარდისას ჩაუვარდა ენა.

კატო ჭუშად, გაალმასებული, ძუ ვეფხვივით იჯდა კუთხეში და უყურებოდა ისე, თითქო ამბობდა: ვაი იმის ბრალი, ვინც პირველი ჰოვაო.

კარებზედ მეფიანი კიდეც მოვიდნენ ზურნა-დაფითა. ბიჭები ჰიეგებნენ ცხენების ჩამოსართმევად. ილიკო იყო ვერცხლსა და ხაკერდში ჩამჯდარი. ის თუმცა იყო ნასვამი, მაგრამ სიმთვრალე არ ეტყობოდა, რადგან ძალიან იტანდა ღვინოს. შეიარაღებული და მორთული, ის შვენოდა მშვენიერად. იმის შავად ჩანასკული თვალწარბი, წითელი ხასხასი ლოყები, წვრილი ბავშვური ძოყვანილი ჰხარბეჭიანი აგებულება, შავი ცოცხალი თვალები, გაძოქნილი და გამოქანდაკებული გულ-მკერდი, ყველა აძლევდა რაღაცა მშვენიერს მამაცურს სანახაობას. თუმცა ამის ჯერედ უბალნო სახე უფრო ჰგავდა ქალისას ვიდრე კაცისას. სოფლის ხალხს და სახლიკაცობას ზედ რჩებოდათ თვალი ამ მშვენიერს ყმაწვილზედ. გასა-

თხოვარი ქალები გულში შენატროდნენ კატოსა ამისთანა ბედნიერებისთვის. ზოგს შურიც შეუვიდა გულში.

პატარა დავაცადოთ, და შემოვიდნენ კატოსთან აქისი ძალუები თუთალა, ზილიხან, თალია და სხვანი და შემოიტანეს კატოს სადედოფლო ტანისამოსი, ფერ-უმარილი, სადაფი, პირშუშტაკი და სხვა კოსმეტიკური მოწყობილებახი.

— აბა, შვილო, მოემზადე, — დაუწყო თუთალამ, — შენმა გაზდამა დიდი ბედნიერება მოგადგა. ნეტავი ყოველს ჩეშს შოკეთეს მისცეს მაგისთანა ქმარი. დიდი თავადიშვილი, დიდი ყმისა და მამულის პატრონი, კარგი ნასწავლი, განათლებული ცხოვრების პატრონი და მშვენიერი თვალად-ტანადი.

— ვისაც გერჩივნოთ, თავს პატივი დაიდეთ! — უთხრა გადაწყვეტით კატომა, რომლითაც აგრძნობინა, რომ ყოველი ლაპარაკი ამაო იქნებაო.

ამასობაში მაყრიონი შემოლაგდნენ მეორე ოთახში, რომელიც ზალობასა სწევდა ამგვარს შემთხვევაში.

— მღვდელი! — დაიძახა უცებ ოხახიანად ზაალმა.

მღვდელი მზად იყო თავისი ოლარით.

— ნიშნის ხილი და შაქარი! — დაიძახა ისევ ზაალმა.

პატარა ხანს უკან ესეებიც მზად იყო, რომელიც მოეტანა თითონვე ბაზრიდან.

— რა იქნა სადედოფლო? მამაჩემი არ წაწყდეს, რომ ტარიელს და ნესტან-დარეჯანს რომ იტყვიან, სწორედ ე ჩემი სასიძო და დისწული იქნებიან: ორივენი სწორედ კალმით დახატულები არიან. მოიყვანეთ ჩქარა დედოფალი. დიდი მორთვა რა საჭიროა! განა თითონ სამეფომ არ იცის, რომ ეს უცებ მოხდა. ამას ქალი უნდა და არა იმისი მორთულობა.

ქალი იგვიანებდა. ქალს ყველა ესეები ეყურებოდა და შისდიოდა და მოსდიოდა ფერი. ის გრძნობდა, რომ ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა, სადაც ყოველი ძალა იყო წინააღმდეგს ძხარეზედ და აქისთვის არავინ და არაფერი, თავისი ჰირველობის მეტი. ის ფეთქავდა კიდევ მამის იმედით, რომელიც ცხარის ცრემლებით ჰპირდებოდა დაფარვას.

ზაალს დაეკარგა სასოება და შევარდა კატოს ოთახში.

— ეს რა ამბავია — შესძახა იმან შრისხანედ, როდესაც კატო დაინახა გაწეწილი კუთხეში.

აქ რომ ეს ამბავი იყო, შევიდა ერთი აშფსონთაგანი ილიკოსი. ტიტო კირიზელაშვილი, რომელიც რამდენიმე ხანი არ ჩანდა აქა და სხვების შეუნიშნავად გაიხმო ილიკო გარეთ.

პატარა ხანს უკან ვიღამაც დაიძახა: მეფიანი მიდიანო.

— როგორ თუ მიდიან! — შესძახა ერთხმივ სახლიკაცობამ ერთი ოთახიდან და ზაალმა კატოს ოთახიდან.

— ეეჰუუ! — დაიძახა სოფრომმა, რომელმაც იქვე სადღაც მოავლო კეტს ხელი და ჯერ ვალად რაცხა ეთავაზებინა ერთი ძაღლისათვის, რომელიც თავის წაუბედურად იქვე ფეხებში შეხვდა. ნახე! — მიაძახა ამან ძაღლსა, რომელიც წკმუტუნით გაძვრა ხალხის ლაჯებში; და აქ გადაევლო სოფრომი მეფიანთკენ. — როგორ თუ! — იძახოდა ისა. — ხედავ ამ უნარებსა!.. და აქ ერთის თვალის დახამხამებაზედ სოფრომმა უტაცა ილიკოსი და კირიზელაშვილის ცხენებს ხელი.

— არ გვინდა ე თქვენი ნაბიჭვრიანი ქალი! — იძახოდა კირიზელაშვილი. — ვინ არის თქვენი პოსატყუარი!

— აგრე არ არის თქვენი საქმე! — შესძახა სოფრომმა და დატრიალდა კიდეც კეტი. მინამ ილიკო და კირიზელაშვილი იძრობდნენ იარაღს, მინამ სოფრომმა გადმოყარა კეტით ორივენი ცხენიდან. ისინიც და სხვა მაყრებიც, რომელნიც გამოცვივდნენ გასაგებად, თუ რა ამბავი იყო და მოსაშველებლად თავისი აძხანაგებისა, შეიპყრეს ერთს წუთას სოფრომმა სხვა თავის სახლიკაცებით და მსახურებით, აჰყარეს იარაღი და შეასხეს შინა...

სოფრომი კიდევა ცხარობდა და აპირებდა კეტით ჟინის მოკვლასა, მაგრამ ზაალი მალე მოვიდა გონსა და დააშოშმინა ყველანი.

— მოიცადეთ, ყმაწვილებო, რა ამბავია? — დაიწყო იმან. — კნიაზ ილიკო როგორ იკადრებს მაგას! განა ილიკო აგრე მიცნობს მე და ჩემს ოჯახს! დღეს არ ვიცნობთ ერთმანეთს და გუშინ. განა ჩვენ სამაგისოდ საქმეს გავიხდით!.. დაბრძანდი კნიაზ ილიკო, ი კაი მამიშენის სულის მზესა, აბა როგორ გეკადრება! მტრის ენას როგორ უნდა აჰყვე. აბა ჯერ ერთი ნახე ქალი და თუ მერე კიდევ იფიქრო წასვლა, რაც უარესი იყოს, ის მითხარით. ვაი შენ ჩემო თავო! მაგას ვიფიქრებდი შენგანა!

რაკი პატარა დაშოშმინდა ხალხი, ზაალმა უცებ გაიხმო ტიტო კირიზელაშვილი, რომელიც უპირებდა ილიკოს გაპარებას.

— რა იყო, ყმაწვილო, რაზედა მჭრიდი, ერთი ი მამაშენი ნუ წაგიწყდება, თავსა! რაზედ აბრიყვებდი ი ყმაწვილსა? — დაიწყო ზაალმა.

— არ შეიძლება-მეთქი, ზაალ, შენმა მზემაცა და ი ზიარების მადლიც არ გამიწყრება, ჩვენი ცოცხალი თავითა! — იძახოდა კირიზელაშვილი. — ეგ ყმაწვილია, მაგრამ ჯერ არა ეყურება რა,

ცოლი ასე ჰგონია სათამაშო იყოს. ჩვენ მაგის მოვალეობაში ვერ ჩავდგებით: მაგის დედის საცოდაობით ვერც სააქაოს და ვერც საიქიოს ვერ ვიხეირებთ, ერთი ე თავის დედას ჩავაბაროთ, და მერე, თუ ის ნებას მისცემს, მაგისი თითონ იცის, ჩვენ ვალი აყრილი გვექნება. ქალს რამდენიმე ნაბუშარი გაუგდია და ჩვენს შეტი მოსატყუარი ვერავინ იპოვეთ!

— ტიტო! შენ რომ ჩემი კვიცი მოგწონდა, ხომ გავახედნინე!.. ეჰეი! რა ტარება გამოიტანა. ქარია, რაღა ქარი. როგორც ნავი ისე გარბის. ისეთსა ისვრის წინა ფეხებსა, როგორც ზვართები. რაკი შენ მოგწონდა. შენთვის მყავს შენახული. — შესცვალა უცებ ლაპარაკი ზაალმა. — როცა გინდოდეს, გამოგზავნე ბიჭი და წაიყვანე.

— მე აგრე კვიცი არ მამწონებია, მედა ჩემმა ღმერთმა! — მორბილდა ტიტოცა.

— შენ გაჩუმდი. რა გრჯის, კაი ქეიფი გასწიე! — დაატანა ზაალმა, — შეჯექ კაი კვიცზედა და იარე.

— გაჩუმდი რომელია! დღეს ჩემი ძმა-ბიჭია, ჩემ თავს ეგ მირჩევნია.

— თუ ეგ მართალი იყვეს, ტიტო, ე ჩვენმა წმიდა გიორგიმ ამომიწყვიტოს ცოლ-შვილი. მაგისთანა ქალი რო იყვეს, აბა მაგისთანა პატიოსან თავადიშვილს შევბედავდი, გაბრუნდი, შენ შენს ქერქში იყავი და მე ვიცი და მაგანა.

აქ ზაალმა სტაცა მხრებში ხელი და მიაბრუნა სახლისკენ.

ტიტო შევიდა და წასჩურჩულა ილიკოს.

— ჭორი ყოფილა.

— არა, ძმავ! — გაიძახოდა ილიკო, — ჩემი ცოცხალი თავით არ იქნება, რაც უნდა იყვეს, გინდა ცის ანგელოზი იყვეს. მე ამ უპატიურებას არ მოვითმენ. მე ამათგან უნდა გავილახო?! ამათგანა?!

— არა, შენ ამ ქალს გვიწუნებ?! ამ ქალსა?! — შემოვიდა ზაალი, დასტაცა პირდაპირ ილიკოს ხელი და თითქმის ძალათი წაათრია კატოს ოთახისაკენ.

კატო ისევ ისე მოქურუშული და ამრეზილი იჯდა კუთხეში ოთახი ძალზედ იყო განათებული. ამ სინათლეზედ წითლად ანთებული კატო კიდევ უფრო შვენოდა. გაწეწილი სქელი ნაწნავები ეყარა შავადგაშლილი მხრებზედ და ეს კიდევ უფრო უმატებდა აქის მშვენიერებას.

ილიკომ ჩაუყარა თვალები თვალებში და აუდუღდა სისხლი. ის მართლაც და არ მოელოდა ამ მშვენებასა.

— ერთი შეხედე და! — დაატანა ზაალმა და ისე საჩქაროზედ გამოაბრუნა ილიკო, რომ არ მოსულიყო კატო ერთბაშად ფიქრსა და არა ეთქვა რა ილიკოსთვის.

— აი, გრცხვენოდეს, — მიატანა ზაალმა ილიკოს, გაბრუნა თუ არა და გამოიყვანა ისევ დიდს ოთახში, — ისე გაუჭირე მაგისთანა ანგელოზ ქალს საქმე, რომ მზამზარეულად ჩაცმულს და მომზადებულს ისევ გაახდევინე ტანთა და ეგრე დააღონე.

ილიკომ ცოტა არ იყოს, მოიხედა. კატოს სილამაზემ ამის თავში გაღვიძა მხოლოდ პირუტყული ლტოლვილებანი. იმას უტრიალებდნენ თავში ცალკე საწოლი, კატო სრულს ამის ნებათა და ხელთა, რომელსაც როგორც უნდა, ისე ექცევა და სხვა ამგვარები.

— ნიშნობის დრო აღარ არის! — დაიძახა კვალად ზაალმა, — აბა გასწით თქვენ პირდაპირ ეკლესიაში კარგის მაყრებითა და დედოფალიც ემ წუთში იქ იქნება. აბა, სოფრომ! — ეხლა თქვენ და თქვენმა ნამუსმა იცით. — წასჩურჩულა მაყრების შეუნიშნავად ზაალმა სოფრომს, — როგორც მაგრა დაიჭერთ მეფიანთა და არ შეარცხვენთ გვარსა.

— უნარი ჩვენი იყვეს! — მიუგო სოფრომმა და აქ უცებ აშოჭკრა ჭიტლაყი ერთს ძაღლს, რომელსაც ვერ შეენიშნა ამდენს ხალხში სოფრომი და მიძვრებოდა იმის მახლობლად იოთამის ოთახში გასაძრომად.

გაიმართა მაყრული და გასწიეს მეფიანთ და სხვა შოწვეულთა ეკლესიისაკენ.

კატო იჯდა კუთხეში უქმად, უთქმელად და უძრავად.

ზაალი შევარდა გაშმაგებული.

— კიდევ არ იცვამ?! — შესძახა იმან კატოს და აქ უცებ სწვდა კავებში და გადაათრია. — შე ჩვენო ყელის გამომჭრელო! შე ჩვენო ლაფის დამსხმელო!.. ასწი ბიჭო ასე ციმციმა და წაიღეთ ეკლესიაში.

ბიჭები შემოცვივდნენ საჩქაროზედ და სტაცეს კატოს ხელი. ასწიეს ციმციმა. ეფემია ადგა თავს ჩუმად. იოთამი ტიროდა გულამოსკვნით.

— მამავ, მიშველე! — შეჰღრიალა საშინელის განწირულებით კატომ და განუპყრო იოთამს ხელები.

იოთამმა მიიფარა თვალებზედ ხელი და მიეშვა მუხლებმოკვეთილი ტახტზედ. ამაზედ მეტი იმან კატოს ვერ უშველა.

კატო წაიყვანეს ეკლესიაში და საუკუნოდ მოაშორეს თავის ლტოლვილებასა და ბედნიერებას.

VIII

რამდენიმე დღის შემდეგ მეც გამოვესალმე იქაურობას და წამოველ თბილისისაკენ ლუკმაპურის საშოვნელად. იქ ჩემს გულს აღარა იკრავდა რა. ერთადერთი ჩემი გულითადი მეგობარი კატოც აღარ მეგულებოდა ჩემს მახლობლად. მე გადავწყვიტე — ან სიკვდილი ქალაქში, ან თავისა რამე ღონით შველა.

არ გასულა მას უკან ერთი ათი თვე, რომ ერთს მთვარიანს ღამეში, როდესაც შუაღამე თითქმის გადასული იყო, მომესმა ყიჟინა პაჟარნებისა და დუდუკის ხმა. დუდუკზედ დამღეროდა რაღაცა ნაცნობი ხმა. მივუგდე ყური. ის იყო ხმა ილიკოსი. იმისი გულიანი სიმღერა, უდარდელი კილო შიგ გულში მეცა. მე თითონაც არ შეძინა მაშინ და ვკითხულობდი წიგნს. არ მომითმინა გულმა და გავიხედე გარეთ მოფარებითა, რომ იმას არ დავენახე.

ილიკო თავისის ამფსონებით მოუძღოდა წინ დუდუკსა და იყო ილიკოს სოფლის მახლობლად მყოფს ბაზარ ადგილას ყმაწვილი კაცების საყვლეფავად წასული. ის, ეშხში შესული, ტრფიალებით შემღეროდა ღვინისაგან გაბეთქილს გოგოსა, რომელსაც აღარ ედო აღამიანის სახე და გაჰქონდა აქეთ-იქით ბარბაცი; შემღეროდა და თან ყვიროდა: „შენი ჭირიმეე, ხარენკა-ჯან! ვიჰ!“ აქედან იმათ შეუხვიეს ერთს მიყრუებულს უხეირო ტრახტირში, საიდანაც გაისმოდა მთვრალი დაბნეული სიმღერა, რომელიც ძნელად გაირჩეოდა უხეირო ტირილში. გათენებამდის არ შეწყვეტილა აქ ზურნისა და დუდუკის ხმა. გათენებამდის აქა ლოთობდნენ ეს დარდიშანდები თავისი ხარენკათი.

რამდენიმე ღამე ამგვარი დუდუკით ვხედავდი აქ ილიკოს. მთვრალი ხარენკა იყო ამათი განუშორებელი.

ერთ ღამესაც ჩამოიარეს ამათ. ხარენკა აღარა ჩანდა. ისიხ უცებ შესდგნენ ჩვენს სახლთან.

— არა, ჩემო ძმაო, — დაიწყო ერთმა ამფსოხთაგანმა, რომელიც ეგრეთვე იყო თავადიშვილთაგანი, — ეხლა დავითხოვოთ, ფული აღარც ერთს აღარა გვაქვს.

— რას ამბობ, კაცო! — როგორ არ გვენდობიან. კალოზედ პურს მივცემთ, თუ უნდა ტკბილი წაიღონ.

— არა, კნიაზჯან, რო გაგვისტუმროთ ძე და ჩემმა სულმა, ისა სჯობიან, აგერ ერთი კვირაა არა გვძინებია, ცოლ-შვილი არ გვინახავს. — დაიწყეს მედუდუკეებმა, რაკი დაატყეს, რომ საქმე ხისიაზედ ვარდებოდა. — ჩვენ ჩვენი ალალი მოგვეცით, თქვენი თავი ღმერთმა თქვენ პატრონს მოახმაროს.

ამათ ამოალაგეს უკანასკნელი ფული და გაისტუმრეს მეზურნეები.

— ხვალ ადრიან წავიდეთ, თორემ ეს ქალაქია, დიდი მუცელი აქვს, — დაიწყო რამდენიმემ, — თორემ კიდევ გავყვებით რასმე და ერთს სირცხვილსა ვჭამთ.

მეორე დღეს მართლა აღარა ჩანდნენ ისინი. მაგრამ რამდენიმე დღის უკან ილიკოს ისევ მოვკარი თვალი. ის ერია ქალაქის პაჟარხ ბიჭებში და მიდიოდა ფაიტონით და ზურნა-დაფით ბაღებისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ ღამე მოვკარი თვალი, რომ ის ისევ იმ ტრაქტირში მოვიდა. პატარა დავაცადოთ და შემოისმა ისევ დუდუკის ხმა და ტკბილი გულიანი სიმღერა ილიკოსი. მე ვუგდე კარგა ხანს ყური და აღარ მომითმინა გულმა — ავდექ და წავედი ამ ტრაქტირში. ილიკო, თითონ მეტრაქტირე და რამდენიმე ქალაქის დარდიმანდი ბიჭი ისხდნენ ერთს ყრუ ოთახში, სვამდნენ ღვინოსა და შეექცეოდნენ დუდუკითა.

— შენი ჭირიმე, კნიაზჯან! — შესძახოდა მეტრაქტირე ეშხში შესული და აცეცებდა თვალებს ილიკოს, როგორც მსუნაგი კატა ძეხვებსა! — იმ ღმერთს კი ვენაცვალე, რამაც ღმერთმა ეგ წარბები გამონასკვა მაგ სპეტაკ შუბლზედ. ერთი პროშტი, შენი ჭირიმე და ნუ მამკალ უღაზათოდ.

მეტრაქტირე მოვიდა, პროშტნამ და კოცნამ გაიღო შოლტივით მაღალი და ვრცელი ტყლაშუნი.

— ვინა, კნიაზჯან! შენ უნდა წახვიდე ხვალ?! ვინ მამაძაღლი, მინამ ამ ჩემ ოხერ ტრაქტირში მოიპოვება რამე, შენ აქედან გაგიშვებ!.. ფული რომელია! მე ფული არა ვარ?! ე ტრაქტირი რა ოხრათ მინდა, თუ სულ შენ არ განაცვალე... ჩემი თავიც შენი ჭირის სანაცვლო იყვეს... ეი! ღვინო, რომელიც უფრო კარგი კახური იყვეს... აი, შენი არ არის ყველაფერი!..

აქ შემოიტანეს მართლაცდა ჩინებული კახური ღვინო. ღვინო იღვროდა წყალივით. პაჟარნები გაუგებრად ღრიალებდნენ; მედუქნეებს აღარა გაეგებოდათ რა. მეტრაქტირე ცხადად იპარავდა სმაში ღვინოს. ილიკოს თანდათან მოეკიდა ღვინო. მეტრაქტირე წამდაუწუმ მიდიოდა პროშტსა. მთვრალი პაჟარნები ძლივს წაიდნენ. მეტრაქტირემ მედუდუკეები გაისტუმრა, ილიკო უგონოდ მიეშვა იქვე ერთს პატარა ტახტზედ. მეტრაქტირემ შეიტანა ილიკოსთვისაც და თავისთვისაც ქვეშაგები და შეიკეტა კარები.

ილიკო მართლაცდა დარჩა ქალაქში. ბინა ჰქონდა ისევ აშ ტრაქტირში, ფულებსა ფლანგავდა ბზესავით, ხარენკასა და ხარენკას მსგავსებს იცვლიდა ყოველღამ. სახლ-კარი იმას აღარ ახ-

ხოვდა. ლოთობისა, ცუდად ცხოვრებისა და უძილობისგან დაეტყო სიგამხდრე და ჩამოყვითლდა სანთელივით.

აქ მოვიდა ამბავი, რომ ვაჟი გეყოლაო.

ამ ამბავზედ ილიკომ ყურიც არ გაიბერტყა და ფიქრათაც არ მოუვიდა ეხლა მაინც არის სახლის მოგონება. ის კიდევ დიდხახს დარჩებოდა ქალაქში, რომ არ ასჩენოდა საძაგელი სნეულება, რომელმაც მეტრაქტირეც კი შეაშინა.

— არა, კნიაზჯან! ეხლა შენ ცოლ-შვილსაც მიხედე, აგრე როგორ იქნება! კნიაზის მზემ, რომ ჩემი საქმეც ცუდად არის. დღეს თუ ხვალ ტრაქტირს დამიკეტენ, — გაუცხადა მაშინ ძლივს ტრაქტირემ.

აქ, მეტი ჩარა არ იყო, უნდა დაბრუნებულიყო ილიკო შინა

IX

ერთიც ვნახოთ კნეინა რიფსიმეს მიადგა თავისი შვილი ცოლიანად კარსა, მაყრებითა და ზურნა-დაფითა. ეს ჯერ შეკრთა: არ მოელოდა ამ ამბავსა, რადგან საცოლოდ ჯერ ყმაწვილი ეგულებოდა თვრამეტ-ცხრამეტის წლის ბავშვი. მაგრამ, როდესაც ნახა სასძლო, რომ ადამიანის სახე ედო და თითონაც რიფსიმეს ძალიან უყვარდა ლამაზი ქალები, დამშვიდდა და მეორე მხრივაც იმითი დაიმშვიდა გული, რომ იქნება ჩემმა ილიკომ მოაკვეთინოს თავისი ცუდი ყოფა-ქცევა და ეხლა მაინც არის სახლკარობას თავი დაუდოსო.

ილიკომ მართლაცდა რამდენიმე კვირა დაჰყო შინა. ცოლთან იყო ტკბილათა და ალერსითა, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ იმას შემოუარეს ამფსონებმა, გაიყოლიეს თანა და აქ გააცნეს ხარენკა, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იყო იქით მხარეს მისული ყმაწვილკაცობის საყვლეფავად, რადგან ქალაქში ბაზარი წახდომოდა. მასუკან დაიკარგა ილიკო სახლიდან და ბრუნდებოდა შინ ერთი-ორი ღამობით, რომ ფულები გამოერთმია დედისათვის. და შემდეგ ის იკარგებოდა კიდევ ახლად ფულების გამოლევამდის.

კატო, რაკი ჩავარდა ამ დღეში, არა რაცხდა ვალად თავის გამოავკაცებას: ის იყო ჩუმათა და ეს დადუმება თავის გრძნობათა და ტანჯვათა უფრო და უფრო ედებოდნენ ამის გულს ცეცხლივით. ის გახდა, მიტკნარდა და რამდენიმე თვის უკან რომ ენახა კაცს, ვეღარ იცნობდა ამაში იმ კატოს, რომელიც იყო გათხოვებამდის.

დედამთილი ცდილობდა ყოველის ღონისძიებით ამის სიამოვნებას და გართობას, მაგრამ ესეც არ იყო დიდი ხნით. კნეინა რიფსიმეს ყურამდინ მიაღწია კატოს წარსულმა ერთი ათასად გაზვიადებულმა.

ამ ხმას იქნება ვერ მიეღწია კნეინა რიფსიმემდის, თუ მაყარი და ამფსონი ილიკოსი, ტიტო კირიზელაშვილი, არა ყოფილიყო საიდანღაც ნათესავი სოფრომის ქვრივი რძლის ზილიხანისა.

— იცი რა! — გაიხმო ცალკე ზილიხანმა ტიტო, როდესაც ილიკო მოვიდა ჯვარის დასაწერად, — რაზედ აუბედურებთ მაგისთანა ჰატიოსან ყმაწვილსა! თქვენ იქნება არ გაგიგონიათ მაგ ქალის უნარები. თქვენმა მზემ, შინაური ბიჭი რა არის, შინაური ბიჭი არ გაუშვა. თავისი ღვიძლი ბიძაშვილი არ დაინდო. საცოდავი ბავშვი ძალათი შეაცდინა! ჯერ ვინ იცის რამდენი ნაბიჭვარი გაუგდია! მთელი სოფელი ცოდვით აგვავსო!.. ერთი მაგისი ნაბიჭვარი ღორებს გააგდებინეს სოფლის ბიჭებმა. ნეტავი, შენი სიცოცხლით. მოუნათლავები მაინც არ დაეხოცა და არ შეეჭმია ღორებისა და ნადირისათვის!.. მთელი ქვეყანაა და მაგაზედ ქათქათი და თქვენ რა დაგემართათ — ქვეყანაში არ ურევიხართ?.. მერე ბნედაცა სჭირს,..

გაიგო ეს ტიტომ, და ვითომც ქვეყანასა სცოდნია. ამგვარად ჩვენი ახალი შინა-ქართველების წარმომადგენელთ, სხვა სიკეთესთან, სჭირთ ზნე ქალების მორყვნაცა. ბრალი იმ ქალისა, რომელიც ჩავარდება ამათ პირში, ან გაუწყრება ღმერთი და ერთხელაც არის ამათ ან გააჯავრებს, ან დაუტკბება, ან მოეწონება. გააჯავრებს — საქვეყნოდ მორყვნიან, დაუტკბება — დაიწყებენ ამათზედ კვეხნასა, რომ ასე ვართ ამასთანა და ასეო, შინაგან ნიშნებსაც კი აგვიწერენ ამ ქალისას და ადგილებს, სადაც ვითომც ამათ იმათთან კავშირისთვის შეყრა ჰქონოდეთ; მოეწონებათ და კიდევ ცილები, კიდევ არშიყობა და თავის მოსაჭრელი ლექსები და საქვეყნოდ იმათი ცუდი სახელის მოფენა.

ამ თვისებამ არ მოათმენინა ტიტოსაც და იმან მოსდო ეს ხმა ქვეყანასა. ის ამისთანაებს არა მალავდა თვით ილიკოსთანაც და საზიზღარის სიტყვებით დასცინოდა იმის პირველს ღამეს და სასძლოს ცრუ ქალწულებასა. ილიკოც, რომელმაც უფრო კარგად იცოდა სიმართლე ამ საქმისა, არა თაკილობდა და თითქო საამურათაც ჰქონდა ამგვარი ლაზღანდარობა თავისავე ცოლზედ.

ამგვარად ამ ხმებმა მიაღწია კნეინა რიფსიმემდინაც, და ის აღელდა.

ვინ! ერთი აზნაურის ტყლაჩი შეატყუეს ამის ერთადერთს შვილს, და ისიც ამისთანა სახელგატეხილი!

— ვისი ტოლები არიან! — გაიძახოდა კნეინა რიფსიმე განრისხებული, — გლახა აზნაურებისაგან მე ეს უნდა მომივიდეს?! მე, ვორონცოვის ბალებში გაზრდილსა და განებივრებულსა? მე, დიდი კნიაზის კუდიკაძის კნეინას?!. როგორ! იმათ ჩემ სახლშიაც უნდა გაიარონ?.. წაიყვანონ თავისი უნამუსო ქალი!.. გამაცალონ!.. დღესვე გავაგდებ!..

მაგრამ გაგდება კატოსი იმან ვერ გაბედა, თუმცა გაცხარებული შევარდა იმის ოთახში. ის უპირებდა ერთი ამბის დაღწევას, მაგრამ ერთი კატოს დაწუნარებულის და შეწუხებულის სახის დანახვა და კნეინა რიფსიმეს ენის ჩავარდნა ერთი იყო.

— შენმა სამშობლომ ჩემ სახლში არ გაიარონ! — ერთი ესღა სთქვა კნეინამ და გავიდა.

კატომ აღარც კი გამოჰკითხა ამის მიზეზი. ის დიდი ხანია გამოესალმა სამშობლოსაც და სხვა ყველას, რაც იმის გულისთვის იყო ძვირფასი და რაც მოაგონებდა იმას თავის ბედნიერებას.

კნეინამ მისწერა საშინელი ლანძღვის წიგნი ეფემიას, რომელმაც თავის მხრივ არ დაზოგა კნეინა, და ამის უკან მოეკვეთათ ეფემიას და იოთამს თავის ქალის ნახვა და კატოს თავის მშობლებისა.

იოთამმა ვერ აიტანა ეს დღეები და გადაჰყვა თან. ეფემია, ის მშვიდი და აუჩქარებელი ეფემია, იქცა ღვარძლის გუდად. როგორც ეძახდნენ ბოლოს იმას. იმას აღარ მოსწონდა აღარც არავის გაკეთებული საქმე, აღარც არავის მოქმედება; იმას აღარ იამებოდა აღარავის არც ნახვა, არც ამბავი. ყოველი იმისი სიტყვა, ვისაცკი ამასთან საქმე ჰქონდა, იყო მწარე და კიცხვითი; ყოველი იმის მოქმედება მიემსგავსებოდა უფრო ჯიბრს, ვიდრე საქმეს.

ამ ხანებში კატოს მიეცა ვაჟი, ნუგეშად გულისა კატოს გაუჩნდა ესლა ეს თავისი ღვიძლით ნაშობი შვილი, ყოველი თავის იმედი დაამყარა ამაზედ და შესწირა ამას სიცოცხლე. ცოცხალი და მალხაზი ბავშვი, თითქო გრძნობსო თავის დედის გულის პასუხსა, შეჰხაროდა და შეჰფოფინებდა დედას თვალებში. კატოს დედობრივი გული უღელავდა სიამოვნებით და ნუგეშით ამ სანახაობაზედ.

კატომ ამ ახალს ცხოვრებაში, ცოტა არ იყოს ისევ მოიბრუნა გული და დაიწყო მოხედება. იმას მოუვიდა ცოტ-ცოტათი თავისი ფერი. ბავშვი რამდენიც იზრდებოდა და მოდიოდა გონს, იმდენი უფრო ცოცხლდებოდა, მალხაზდებოდა და ემკვლელებოდა დედას.

ამ ხანებში დაბრუნდა ქალაქიდან ილიკოცა; აჰკრიფა ცოტა ფულები და გაჰქრა ისევ, მინამ გამოელეოდა ფულები.

ამასობაში თანდათან გამოყვეს მოვალეებმა თავი და დაეწყო ილიკოს მამულებსა და სარჩოს ყიდვა. დადგა საშინელი გაჭირვე-

ბის ცხოვრება. კნეინა რიფსიმეს ამაყმა გულმა ვეღარ აიტანა ეს ამბები და უცებ მოკვდა ელდისაგან.

ილიკო ქვეიფობდა. დარჩა მარტო კატო.

დარჩა მარტო და გამოჩნდა ქმრისგან შეძღვნილი საბაგელი სენი. კატო დიდხანს არ უტყდებოდა თავსა და ვერც მოეფიქრა, რომ ეს იქნებოდა იმგვარი სნეულება. სნეულებამ დაუარა ტანში.

ბავშვმა დაიწყო უცებ ავადმყოფობა, დააყარა ტანზედ მუწუკებმა და რამდენსამე თვეში გადაიტანა თან.

მხოლოდ მაშინ მიუხვდნენ, რომ ეს სნეულება იყო ცუდი და თავისი ერთადერთი ნუგეში სიცოცხლეში, ერთადერთი სულიერი. რომელმაც ამას დაუბრუნა სიცოცხლე, მოსწამლა და მოჰკლა კატომ თავისივე საკუთარი ძუძუთი.

კატოს დაუწყეს წამლობა, მაგრამ გვიანღა იყო. იმას ყელიდან აუვიდა სნეულება ცხვირში და კატო, თავის ბავშვთან ერთად, გამოესალმა თავის სილამაზესაც. სნეულებამ გამოსჭამა ცხვირის ნესტოები და ძვალი. მისდა საუბედუროდ ის მოარჩინეს ამ დამახინჯების შემდეგ.

კატო დამახინჯებული წაიყვანა დედამ. ილიკომ დაყიდა უკანასკნელი ჭონება და დაფქული სნეულებისგან, ეგდო ავლაბარში მაიორშასთან საწამლებლად, რომელსაც ეს მადლიანი დედაკაცი უფრო სწამლობდა სამადლოდ, ვიდრე ფულების სიხარბით, რადგან ილიკოს დაყიდული მამულის ფულები კიდეც შეეჭამა, მინამ მოვიდოდა ამასთან საწამლებლად.

X

რა იყო ამ ხანებში ვასილის თავს?

ვასილი, როდესაც დაბრუნდა სასწავლებელში, დაიწყო საშინელი ბეჯითობა და სწავლა. ის მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც შეეძლებოდა თავის კატოს აქ მოყვანა.

მოვიდა დრო და მოსწერა კატოს, რომ ის მზადა ყოფილიყო. აქ უცებ მოუვიდა კატოს წიგნი, რომელშიაც სწერდა, რომ თუ დროით არ მომეშველე, ძალათი მათხოვებენო, ის მაშინვე გაემზადა წამოსასვლელად. ვიდრე აიღებდა ბილეთს, პოდოროჟნას, უცებ მიუვიდა ამბავი მამისა, რომ კატო გათხოვდაო.

საშინელი ზარი იყო ვასილისათვის ეს ამბავი. მთელი ერთი კვირა ის ვერ მოვიდა გონს. ეს იყო იმისი პირველი სიყვარული, ამაზედ ამყარებდა თავის ცხარე იმედებს და მომავალს მოქმედებას და უცებ ასე უცნაურად ჩაუწყვიტეს სადაველები. მოსწყვიტეს გული საუკუ-

ნოდ თავის პირველ სიყვარულთან და ჩაუკვეთეს თავისი პირველი ქრმა იმედები.

მას აქეთ აჰყარა ვასილმა გული სწავლასა და უწყო დევნა გულის ჯასართობ წიგნებს. ის შეეჩვია სხვადასხვა სამასლაათო მოსწავლე ახალგაზრდობათა საზოგადოებას, რომელნიც სწავლის მაგივრად, კვიროდნენ მაღალს საგნებზედ მაღალის ხმითა და ყოვლად გაუგებრად; საქმის მაგივრათა, ლესავდნენ ენას ჰოსაცა და არასაც დაჰტკიცებაზედ, რომლიდანაც, რაღა თქმა უნდა, სიმკვიდრე ამათს თავში არა რჩებოდა და პირველს შემთხვევაში ესენი იყვნენ ჰოცა და არაცა, რომელიც იყო დამოკიდებული იმაზედ, რომ რა კაცებმა დაასწრეს ამათ ან ჰო და ან არა, რომ ორივეს წინააღმდეგი ან დაემტკიცებინათ, ან ყოვლად მოუსაზრებლად კვერი დაეკრათ. ამ გამტაცებელმა სენმა, რომელსაც მოაქვს სარგებლობა მხოლოდ იმათთვის, ვინც ამ შარლატნებთან კიდეც საქმობს და სწავლობს, გაიყოლა ვასილიც. ის შეეჩვია ცარიელს სიტყვებზედ სჯასა და ბაასს, ბოლოს გადექცა ეს იმგვარ ჩვეულებათა, რომ ამაში ხედავდა ყოველი საქმის ბოლოსა. სიტყვები გახდნენ ამის ღმერთი. აქედან ძნელიც აღარ იყო სხვა საქმეების გაყოლაც. ის გაჰყვა ნაცნობობას. გაიცნო სახლობები. ამისი მარჯვე ლაპარაკი, რომელიმე ცოდნა, რომელიც ამას მეტი ჰქონდა სხვებზედ, რადგან ერთი-ორი წელიწადი მაინც ბეჯითობდა სწავლასა და წიგნებს, ამისი ნიჭიერება მოსწონდათ ყველგან. ეს ხედავდა ამას და ამან კიდევ უფრო გაიტაცა ეს საზოგადოებაში. ეს დაუახლოვდა რამდენსამე გასათხოვარ ქალსა, დაუწყო იმათ ქადაგება ახალს გზაზედ დასაყენებლად და არცა რჩებოდა ამისი მეცადინეობა უნაყოფოდ. მარჯვე ლაპარაკთან და რაოდენსამე ცოდნასთან, ამას შემწეობდა ამ ქალებთან თავის სახის ეშხიცა. ქალებიც გასდევდნენ ამის ქადაგებას, მაგრამ ამისი უბედური სნეულება ამათაც ედებოდათ. იმათი პირველი საქმე ხდებოდა ახალგაზრდა მოდური ლაპარაკი, მოდური წიგნებისა და მწერლების კითხვა და ამას იქით არ მიდიოდა იმათი მეცადინეობა, სწავლა და საქმე: ნიადაგ მასლაათი, ნიადაგ ბაასი და მუსაიფი. ამითი სრულდებოდა ყველაფერი.

ამ სახლებში სიარულსა და დაახლოებაში, ვასილს აღეძრა ხელმეორედ სიყვარული ერთი გასათხოვარი ქალისა, რომელმაც პირველმა უჩვენა ამას თავისი გული და სიყვარული. ამისი სისხლი აღელდა კვალად ძლიერებითა. ქალი იყო ყმაწვილი, ლამაზი, ჰქონდა ცოტა შეძლებაც, იყო მარჯვე მოლაპარაკე. ამათ წინ აღარა უდგა რა. ქალი იყო მემკვიდრე თავის დახოცილის ვაჭარი დედამამისა. იმათ დაიწერეს ჯვარი.

ეს ამბავი არავინ იცოდა ჩვენში, რადგან გაჯავრებული ვასილი არარა სწერდა დედ-მამას წიგნსა.

ვასილმა ვერ გასძლო რუსეთში და წამოვიდა საქართველოში თავისი ცოლით. იმან ვერ გასძლო თავისი მშობლების უნახაობა და გზად შემოუარა იმათ. ღამე იყო, რომ ვასილი მოვიდა.

კატო ჯავრისა, ტანჯვისა, სირცხვილისა და მწუხარებისაგან არარ იცნობოდა. ასე გასინჯეთ, რომ ტანშიაც კი იკლო და გაილია. იმისი მშვენიერი ცოცხალი სახის მაგივრად, ის იყო ეხლა მახინჯი და საძაგელის სანახაობისა.

ის იჯდა თავისთვის მარტოკა, იგონებდა თავის პაწაწინა ბავშვსა, რომელიც თავის უბედურებით მოსწამლა. ის იგონებდა თავის წარსულსა და ვინ იცის იმ ბედნიერ დროთაც, როდესაც ვასილი უჯდა იმას ამ ოთახში, ასწავლიდა და აღუთქვამდა მომავალ ბედნიერებას. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ვასილი თავისი ცოლით, რომელსაც შემოუძღვა ეფემია.

ამ უცნაურს დანახვაზედ კატომ ერთი შეჰყვირა, და დარჩა სახტად.

ვასილმა ვერ იცნო.

—თითქო მითხრეს—კატო აქ არისო?—ჰკითხა ვასილმა ეფემიას.

— ეგ არის ჩემი უბედური კატო! — უპასუხა იმან და მიუშვირა ხელი კატოზედ.

კატომ უცებ იტაცა საფეთქელზედ ხელები და გავარდა მეორე ოთახში.

ვასილმა ჩაიყო მუჭებში თავი და ერეოდა გული სატირლათა. მერე ის უცებ წამოხტა და მიუბრუნდა ცოლს.

— Поїдём душенька! — და გაიტაცა ცოლი, რომ ცრემლები არ შემჩნეოდა და გულის დუღილი ქვითინად არ გადაჰქცეოდა. ის ოთახი, ყოველივე ის არემარე აგონებდა იმ ბედნიერ დროს, როდესაც პირველ იცნა ამან სიყვარული, აგონებდა ყველა თავის მშვენიერს კატოსა, და მხოლოდ კატო აღარ აგონებდა თავის თავსა.

მეორე დღეს გავარდა ხმა — კატო შესცდაო.

რამდენსამე ხანს უკან კატო ჩამოიყვანა თავისმა საკუთარმა ბიძამ ხაალმა ქალაქის საგიჟეთში.

რა ჰქნა ვასილმა იმ თავის ცხარე აზრებისა, რომელსაც ისე მიელტოდა და რომლისთვისაც ისე აღუძრა კატოს გული?

ვასილი დატრიალდა ქალაქში. იმის სახლის კარი ღია იყო თავის ახალგაზრდა ამხანაგებისთვის. გარდა ამისა ვასილის სახლში იყო

ნიადაგ ცხარე ბაასი და მუსაიფი სხვადასხვა დაწინაურებულ აზნაურების მოძრაობაზედ, რომელიც თავდებოდა კარგის ვახშმით ან ქაღალდის თამაშით.

— Это все слова!—იძახოდნენ თვითონვე ეს ახალგაზრდები,— нам надо дело! Дело давайте, дело! და თითონ ეს „დელოს“ მთხოვნელები, როდესაც საქმე მიდგებოდა „დელოზედ“, რჩეობდნენ ისევ ლაპარაკს, რადგან ლაპარაკი და ბაასი უფრო ადვილიც არის და სასიამოვნოც. „დელოს“ კი უნდოდა გასჯა, გონებისა და სხეულის შეწუხება, ფიქრი, მეცადინეობა, ბეჯითობა და სხვა სამძიმო რამეები. ამის გამო делос-ს მძახებლები თითონვე ცეცხლვით ერიდებოდნენ საქმესა და, რაკი თითონ არ აკეთებდნენ არაფერს, დასცინოდნენ სხვის საქმის დაწყობასაც და ჰკიცხავდნენ იმ ახალგაზრდობას, რომლებიც შეძლებისდაგვარად შესდგომოდნენ საქმეს. ჰკიცხავდნენ სხვებსა, და თან თითონვე გაიძახოდნენ: „Дело давайте! дело нужно!“

ცოლი ამისი აგრეთვე ლაპარაკობდა ცხარეთა და კარგებისას. მაგრამ საქმით იმას ყველა დიდკაცის ცნობა, მიყოლ-მოყოლა და მდიდრული ცხოვრება ერჩივნა. გამოსული ვაჭრის სახლიდან ის დიდ ბედნიერებათა რაცხდა იმათთან დაახლოებას და კავშირსა, რომლის გამოც უმართებდა ხშირად წვეულებას და შექცევებს. ამას უნდოდა დიდი ხარჯი, ეს ამ სიამოვნების და ბედნიერების მოსაპოვებლად არ ერიდებოდა ხარჯს. ამის გამო ორი წლის შემდეგ იმათ შემოაკლდათ საფანელი და დაუწყეს ვალებს კრეფა. ვალებითაც შორს ვერ წავიდნენ, იმას უნდოდა გადახდა. ამის გამო სახლში დატრიალების მაგივრად ბანკებისა, სასწავლებლებისა, ამხანაგობებისა და სხვების დასაწყობად და გასამართავად, რომელიც ისე ადუღებდა და აღელვებდა ვასილის გულსა და ტვინს კატოსთან გაცნობის დროს, იმან დაუწყო ძებნა სამსახურს და შეყო თავი ერთს რომელსამე სასამართლოში, სადაც მიიღო რიგიანი ადგილი, და თანდათან ჰპოვა, რომ ჩინოვნიკობა არ არის ისე სათაკილო, როგორც წინათა ჰქონდა ჩაგონებული და, პირიქით, შეეჩვია იმ აზრსაც, რომ ჩინოვნიკობის გარე სხვაგან საქმე არ გარიგდებაო.

მასლაათის მოყვარე ახალგაზრდობა თანდათან გაშორდა ამას. რადგან დაატყეს, რომ ის ისე გულით აღარ ეკიდებოდა ამ მასლაათს, რადგან სხვა საქმეც გაუჩნდა ეხლა, და თანდათან დაუწყეს დაცინვა და კიცხვა, რომ გაჩინოვნიკდა და წინათ კი რაებს გაიძახოდაო, მაგრამ თითონაც სუნით ეძებდნენ, სადმე თბილს ადგილას შეყუოთ თავიო.

მასუკან ვასილი მიეცა თავის საქმეებს და ცოლ-შვილს, იმათ მისდევდა ეხლა მარტო დიდკაცობა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ამის ცოლს.

ვასილი ეს ქართველი ვასილი, რომელიც თავის შეწირვას უპირებდა თავის სამშობლოს, ეხლა სრულიად ქართველებსაც ძვირათა ხვდებოდა; და ამ თავდადებულ ქართველს შვილებიც ისე ეზრდებოდნენ, რომ ქართული ინჩიც აღარ იცოდნენ და საქართველოს ხალხი იყო იმათთვის ისეთივე უცხო, როგორც სპარსელები და იაპონელები. ამის ცოლს არ მოსწონდა ქართველები.

ლაპარაკი კი რომ შეგხვედროდა, ისევ ის ცხარე მოლაპარაკე ვასილი, ისევ ის მამულისა და ქვეყნის მოყვარე და ცხარე საქმის მეძებნელი ვასილი იყო, ოღონდ ეს საქმე იმას ვერ ეპოვნა, რადგან წინათ რასაცა ფიქრობდა, იყო მხოლოდ ილუზია, და ეხლა ჯერ პრაქტიკას გზა არ გაეკვლია. პრაქტიკა თავისთავად არა ჩნდებოდა არც აქ, როგორც არა ჩნდება სხვაგან, სადაც თავად კაცი არ ეძებს პრაქტიკას.

1873 წ. აპრილის 7-ს.

(ამბავი სახელმწიფო სოფლის ცხოვრებიდან)

I

მოვიდა ფოსტის ფულის გაწერის დრო. ჩვენ სოფლებში ფოსტის ფულს ისე კი არა ჰკრეფავენ, როგორც არის გაწერილი კაზიონი პალატიდან (სულზედ ან კომლზედ ამდენი და ამდენი). სოფელში თავისებურად ანაწილებენ ამ ფულს მცხოვრებლებზედ. სოფელი არის გაყოფილი ოთხ ნაწილად: ლიტრის კაცი, სამი ჩარექისა. ნახევარი ლიტრისა და ჩარექისა. ყველაზედ მეტს იღებს ლიტრის კაცი, მერე სამი ჩარექისა, მერე ნახევარ ლიტრისა და შემდეგ ჩარექისა. სახელმწიფო სოფელს ბრიყვეთიანში ცხოვრობს სახელმწიფო მამულზედ მდგომი გლეხი ოცი კომლი და უმამულო კაცი თორმეტი. კაზიონი პალატის განკარგულებით და კანონის ძალითაც უმამულო კაცზედ ნაკლებია და მამულიანს კაცზედ მეტია ხარჯი. მაგრამ მამულიანი ხალხი ბრიყვეთიანისა ამას არა ხედავდა თავის სასარგებლოდ და აღებინებდა უმამულო ხალხსაც იმ ხარჯს, რასაც თითონ იღებდნენ.

აქედან იწყება ჩვენი ამბავი.

ფოსტის ფულის გასაწერად შეიყარნენ ბრიყვეთიანის მოსახლეები და ხალხი. მოხელენი ბრიყვეთიანისა იყვნენ ამორჩეულნი სულ მამულიანი ხალხიდან, ამორჩევაში თუმცა ბევრს ეცადა უმამულო ხალხი, რომ თავის კანდიდატებიც გაეყვანა, მაგრამ მაინც მამულიანებმა დასძლიეს, რაკი იმათ უფრო მეტი ხმა ჰქონდათ ამათზედ.

— მამასახლისო და სოფლის ჯამაათნო! — დაიწყო ერთმა უმამულო კაცთაგანმა, ბერო ბურტყლაძემ, როდესაც გათავდა ფულის გაწერა და ესენიც მამულიანებში ჩააგდეს: — ეს რა ამბავია, რომ აგრე თქვენ სულზედ ხელს იღებთ და ჩვენ ასე უსამართლოთა გვღუპავთ! ერა, თითონ ი კამალარიაში არა სწერია, რომ უმამულო კაცს საძ მანეთზედ მეტს არ გამოართმევთო. რატო თქვენ ღმერთს არ შეხედავთ, შვილო, იქნება გეგონოთ თქვენს იქით სამართალი

არსად იყვეს. თავებს დავიხოცავთ და ჩვენი ცოცხალი თავით კი თქვენთან ხარჯს არ გავიღებთ.

—რჯულსაც გაგაგდებინებთ და ისე გაიღებთ, — უპასუხა ერთმა მამულიანმა გლეხმა, თევდორე ცეტიაშვილმა, — რასაც, შვილო, წელიწადში შენ არაყს გამოხდი, იმისი ფასი ვის რა გვაქვს აქა.

— არა, მე რალა მაქ, თქვე ულმერთოებო! თქვე ულმერთოებო!— დაიწყო გულამომჯდარმა ქიტესა ნაცარკვერაძემ; — თქვენ ღმერთი გაქვთ? აგერა, შვილო, ერთი თვე იქნება ჩემ სახლში თბილი საჭმელი არ გაკეთებულა, ამოდენა წვრილშვილის კაცი ქვეყნის სამადლოდ გამოვდივარ... არა, ღმერთი გაქვთ, თქვე ურჯულოებო, თქვე თათრებო, თქვენა?!.

— შენ, -ეი! ჯღანი-ჭამია! — შეუტიეს ქიტესას ოთხთა ძმათ ცეტიაშვილებმა. — შენ ისიც შეგრჩეს, რომ შენმა გოგო-ბიჭებმა ლამის ამოაგდონ ჩვენი ბოსტანი, რომ საბუდარში კვერცხებს აღარ გვიყენებენ! ასე გაგიგლით მაგ ცხვირსა, რომ სულ ბუზანკალი გეხვეოდეთ.

— ვისა! ვის გაუგლით ცხვირსა, თქვე ასეულო ძაღლებო, თქვენა! — უცებ მოადგათ თავს ქიტესას ცოლი მარინე, — თუ კაი დედი თქვენი შვილები ხართ და ხელს ახლებთ. თქვენ იქნება თქვენი ამარი დედიშვილები გეგონოთ ვინმე...

— დედაკაცო! შენ აქ რა გინდა?! აი დაგწყეველა ღმერთმა! არა. რა შენი საქმეა!.. შენ ვინა გკითხავს? წადი. დაიკარგე-მეთქი! — შეუტია ქიტესამ და სხვებმაც მარინეს.

— არა, ვინ არის ამარი დედის შვილი?! — მოადგა თევდორე ცეტიაშვილი მარინეს, — არა, ვინ არი ერთი მითხარი... არა, ვისა ჰხედავ აქ შენ ტოლსა, შე ბოგანოს ცოლო, შენა!.. ვინ არის! — და თევდორე თანდათან იწევდა მარინეზედ. აქ უცებ დატრიალდა ჰაერში ერთი კეტი და გადმოუვიდა თევდორეს თავიდან ძვარი.

— მომკლა ამ ოჯახდაქცეულმა! — დაიძახა თევდორემ და დაეშვა ძირს.

მინამ სხვები მოვიდოდნენ გონს, თევდორეს ძმები ეკვნენ მარინეს და ქიტესას და ერთი თვალის დახამხამებაზედ იდეს ქიტესა ქვეშ. მაგრამ მარინე კი ვერ წააქციეს და ეწეოდნენ რაც შეეძლოთ იმას. უიმისოდაც ჩხუბში დაგლეჯილს თმებს. ქიტესას წაეშველნენ გასაშველებლად უმამულო კაცები, მაგრამ ცეტიაშვილის სახლიკაცებმა, რომელნიც იყვნენ შვიდ კომლამდის, ეს წასარჩებლად მიიღეს და დაუშინეს ამათაც კეტები, მაშინ იმათაც გამოიღეს ხელი. გამოიღეს იმათ ხელი და ჩაერივნენ ამაზედ სხვა მამულიანებიც, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თითონ სუდია-მამასახლისმაც. პატარა ხანს

გაიმართა ძალიან კეტების ტრიალი, მაგრამ, რაკი იგრძნეს ცუდი ძალა მრავალის კეტით ცემისა და თვისი უძლურება, უმამულო ხალხმა ცოტ-ცოტა დააძვრინეს თავი ჩხუბს და მიიმალ-მოიმალნენ საბძლებსა და სხვა თავის მისაფარებელ ადგილებში.

— გამიშვით, გამიშვით! — იძახდა მარინე, რომელიც ეხლა კი ამოედოთ მუხლქვეშ ცეტიაშვილებს, — თქვენი ცოლების ლეჩაქს დაგხურამთ... თქვე წმინდი გიორგის გიჟებო, თქვენა! გამიშვით! — და რომ ვეღარას აწყობდა, ხელებ და ფეხებგაკავებული მარინე იკბინებოდა სიბრაზით.

პატარას ხანს უკან მარინეც და ქიტესაც მთლად სისხლში მოსვრილი და გონებამიხდილი მიჰქონდათ ჭილობებით სახლში.

მეორე დღეს ორივენი ხელებგაკრული და თავწეხვეულები სოფლის მოხელეებმა ჩაყარეს სამი დღით სატუსაღოში და დაადეს ხუთი მანეთი გადასახადი.

II

რამდენიმე დღის შემდეგ შეიყარა ბერო ბურტყლაძისას უმამულო ხალხი.

— დედაკაცო! აბა ერთი თითო ყანწი არაყი მოართვი ამ ხალხს, — უთხრა ბერომ თავის მეუღლეს.

თითო ყანწის მაგივრად ყველამ მიირთვა ორ-ორი და ზოგმა მესამეც მოითხოვა. ქიტესა ნაცარქვერაძემ მოითხოვა მეოთხე და ითხოვა პატარა ხახვის კვნიწაც.

— ხახვი ძაან კარგია არაყზედ, — დაუმატა იმან, — პატარა მჭადი, ან ნაცარკვერი ხო არ გახლდებათ ამ ხახვთან.

ქიტესას მოერთვა პატარა კეცის მჭადის ნატეხიც.

— ძაან კაი კეცის მჭადი არ იცი, ნათლიდედ, შენა! მე შენ მოგახსენო, ეს თუმცა გუშინდელი გამომცხვარია, მაგრამ ახალში ვერ გამოარჩევ... კაი რამა, მე არ ვიცი და არა ვხდი არაყს, თორემ სულ ვერას გავყიდდი, მე შენ მოგახსენო... ეხლა და ეხლა ძაან შემიყვარდა ეგ გასატიალებელი.

— ეხლა რა უნდა ვქნათ, ე რო ამითანა ანგარიშებია? — დაიწყო ბერომ: — უსამართლობა იქნება, კაცო, და ამითანა. კამალარიაში რა გვიწერია და ჩვენ რას გვახდევინებენ. ცეტიაშვილთან გაიღე ხარჯიო! აი, დიდება შენთვის ღმერთო; კაცს რო ღმერთი გაუწყრება, აბა ეგ არი. ცეტიაშვილს თხუთმეტი დღის ნაფუძარი კარებზედა აქვს გადაჭიმული, და მე იმასთან ხარჯი როგორ გავიღო? ქრისტიანობა არ არის?!.

— არა, შვილოსა, — დაიწყო ეხლა მოსე მწყერაძემ, — ჩვენ თუ სამართალს არ მივმართეთ, არ იქნება. ჩვენ, შვილო, თუ მაგათ უყურეთ — მაგათგან ხეირი არ იქნება. მამულსაც ეგენი სჭამენ და არც ხარჯის გაღება უნდათ. დეე თითო დღის მამული მოგვცენ და ჩვენც მაგათთან ყაბული გვაქვს.

— სწორედ სამართალს უნდა მივმართოთ, მეტი ჩარა არ არი. ჩვენ ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა არას გვარგებს, — დაიწყო რამდენიმე ხმამ.

— ეხლა უნდა მივმართოთ, თორემ საცაა ზეკუცია მოვა,—დაიწყო ისევ ბერომ.

— დროით უნდა მივმართოთ, მაგრამ რომ მივმართოთ, ვინც წავა, იმას ხარჯი არ უნდა? რითი წავა, შვილოსა, რომ ეხლა გროში არსად გვაქვს, რომ მივცეთ, ვინც წავა? ვალსაც ვეღარ ვიშოვნით — ამ დამშეულმა წელიწადმა ისე დაგვღუპა. აი ერთი კვირა მარტო მხალით გამოვდივართ, მე და ჩემმა ღმერთმა, — სთქვა ერთმა.

— ვინც წავა კი არა — ყველანი უნდა წავიდეთ, — დაუმატა რამდენიმე ხმამ: — ერთისა და ორის წასვლით როგორ იქნება.

— მე და ჩემმა ღმერთმა! — გაიმეორეს სხვებმა; — თუ წავალთ. ყველანი უნდა წავიდეთ, რომ უფრო გაგვიკითხავენ, ერთი რო წავიდეს და ორი — იტყვიან, რომ ხარჯის გაღება ეზარებათ და ტყუილად დაეთრევიანო. ბევრი რო ვიქნებით — ბევრს სხვა ანგარიში აქვს.

— წორედ! ყველანი უნდა წავიდეთ, — გაიმეორეს თითქმის ყველამ ერთხმივ.

— წავიდეთ კი, ყველანი წავიდეთ, — სთქვა რამდენიმე ხმამ,— მაგრამ რით, შვილოსა, რომ გავტყავდით ამ შიმშილობაში.

— ერთი და, ასე ვთქვათ, ერთი ხუთი-ექვსი დღე დავრჩეთ გზაში, თითომ ხუთი მჭადი გამოვიკრათ კალთაში და ისე წავიდეთ. მა ასე ხო არ გაუშვებთ საქმესა, უფრო ცუდი არ იქნება, რო ზეკუცია მოგვადგება და არა გვექნება რა, რომ მივცეთ.

— მაშ დღესვე წავიდეთ, — გაიმეორა ყველამ ერთხმივ, და დაიშალნენ.

— აბა, დედაკაცო, — ეუბნებოდა ქიტესა, დაბრუნებული ბეროდან, მარინეს, — არც ეხლა იშოვი მჭადებს? უნდა წავიდეთ კამალარიაში, და ასე მშიერი ხომ ვერ ვივლი?

— სად ამოწყვეტაში უნდა გიშოვნო და სად დანელებაში? შენ კიდევ გახეთქილხარ და აქ ქულფათი ბავშვები აგერ ერთი კვირაა

ცარიელ მხალზედ გამყავს. ე მხალიც გაწყდა ამ გვალვიან. გაზაფხულზედ.

— ვილუპებით-მეთქი, დედაკაცო, ქრისტიანი ხარ — დამიჯერე: აი, დიდება შენთვის ღმერთო! ამითანა რამე იქნება! დაღუპვა არ იცი, შე დასაღუპავის შვილო?!

— შენ დაგღუპოს ჩვენმა წმიდა გიორგიმ და ამოგაგდოს, რომ შენახვის თავი კი არა გაქვს და ამოდენა ცოლ-შვილის. ცოდო კი მოიხვიე კისერზედ".

— რა ვიცოდი, თუ ასე იქნებოდა, შე ქოფაკო, შე სულაძაღლებულიშვილო, შენა! ვაჰმე, როდის იქნება ერთი თქვენ თავს მოვრჩე, რომ ერთი კუჭი მაინც მქონდეს გამაძღარი!.. რომ მოკვდე, უნდა იშოვნო ერთი ხუთიოდე მჭადი საცა იყვეს, თორემ რჯულის მადლმა ისე გაგიხდით საქმესა, რომ თქვენი კბილით სჭამდეთ ერთმანეთს... ზეკუცია იცი? გეყურება?.. შიგ კრიჭაში ჩაგიყენებენ.

— რა ვქნა და რა დანელება ვუყო ამ ამოსაგდების შვილსა, — დაიწყო მარინემ თავისთვის. — შენ მითხარ, შე დასანელებელო. სად გიშოვნო ამისთანა ყისმათში, რომ აღარავის რა აბადია, და მერე ისე გაწყერი!

— როგორ სად მიშოვნო! დღეს ისეთი კეცი მჭადი ჰქონდა ბერუას ცოლ მაგდანასა, რომ იმითანა მე გამტკიცული პურიც არ მინახამს. აბა იმას უთხარი, თუ არ მოგცეს... შენ არა გაქ რა, თორემ ის სარისტიანი ადამიანია — იმას ყველაფერი აქ.

— სარისტიანი, შენმა ამოგდებამ, მზითევში მოჰყოლია. აბა შენც მიყიდე საარაყე ქვაბი, თუ იმაზედ უარესი ვინმე იქნება. ერთი ძროხა გვებადა — ისიც შიმშილობით მოკალი ამ ზამთრინდელი ზამთარი.

— დედაკაცო! რატო არ დადგები, შე ღვთის მტერო და ღვთის გარეგანო, შენ ქერქში? რაზედ შემომაკვდები, ან რაზედ მომაკვლეინებ თავსა?.. მე ჩემი ნებით მოვკალი, რომ მოვკალი?!. არა, რა უნდა მექნა, რატო არ იტყვი, ყელქოროტიანო, შენა! რამდენგან ვითხოვე საჭმელი, რო ვერსად ვიშოვნე.

— რატომ მუშაზედ არ იშოვნე, ხელები დაგემტვრეოდა, რომ საჭმელი მუშაზედ აგეღო? ყველაფერი შენი უთაურობით არი...

— აჰი! აჰი! გველო, გველო!.. შე ცოფიანო, შენა! ხო ხედავ, შე ყელძაღლო, შე საფლავძაღლო ვიჰიმე!.. აბა სადღა მაქვს ჩემთვის დრო... ამ ზამთარს აქამდის რომ გკვებეთ — სიმინდსა და ასლს მუშაზედ არ ვიღებდი. მარა შენი მზითვის ბაჯაღლოებითა ვყიდულობდი თუ?.. ეხლა მთელი მუშა დრო სულ სხვის კარეთად

უნდა ვიყვე... ეხლა ამ ზამთარ რიღათ უნდა გამოგკვებოთ, ჰა!.. ჰაი, შენი გამომცემისი... შენი!..

— ვაი შენ და დანელება, რომ არ გიყურებდეთ თვალითა! — აქ მარინემ წამოავლო ხის ჯამს ხელი და გასწია.

— მაგდანო, მაგდანო! — შესძახა მარინემ ბეროს ცოლს.

— შემოდი, ადამიანო, რა შორიდან იძახი,—გამოსძახა შიგნიდან მაგდანამ.

მარინე შევიდა.

— ვიშ, გენაცვა, მაგდანო! ვიძახი კი არა, და აი ჩვენი წმიდა გიორგის მადლმა, პირი მერცხვინება, რომ ისევ შენთან მოვდივარ... რა ვქნ და რა დანელება ვუყო იმ ჩემ კაცსა. ი, რაღაც კამალარია აიტეხეს, იქ მიდიან და აგერ ერთი კვირაა ჩვენ სახლში ნამცხვარი არა ყოფილა რა... რო გინდოდეს ერთი თითის წება გამოსაცხობი, რაც თქვენგან ადრევე ფეტვის ფქვილი არ წავიღეთ, მას აქეთ ჩვენ სახლში აღარა იპოვება რა. ერთი, შენ გეთაყვანოს მარინეს თვალები და შენი ორი შვილის მზესა, ე ჯამით ერთი რისაც ფქვილი უნდა იყვეს — ნუ დამიჭერ და რაზედაც უნდა დამავალე, თუნდა სამი დღე მოგეხმარები, გინდა არაყის ხდაზედ, გინდა რაზედაც მეტყვი.

— უი, შენმა მზემაცა და შენი სახის შვილებიც არ დამეხოცებიან, რომ ეს არის ეხლა, ვინც კამალარიაში მიდიან, ხუთმა-ექვსმა. რაც პატარა ქრთილის ფქვილი იყო, ისიც წაიღეს; ღმერთი შვილებს არ დამიხოცავს, თორემ ერთი ჯამი რაც უნდა იყვეს — რა დასაჭერია.

— რა ვუყო და რა წყალში გადავვარდე? — დაიწყო მარინემ დაღონებულმა. — ე წვრილი შვილები რომ არ მეგულებოდეს, აქამდის როგორც იქნებოდა, ჩემს თავს მოვარჩენდი ამდენი ცოდვის ყურებასა. მაგრამ რა ვუყო, უპატრონო შვილები დამრჩებიან.

— აი, თუ გინდა, ერთი ორიოდე ჯამი კიდევ არის საარაყეთ შენახული ქატოები ერთმანეთში არეული და თუ როგორმე მოიხმარებ, — როგორ დაგიჭერ ერთი, შენი შვილების მზესა.

— ვიჰ, ღმერთმაც გიშველოს! გინდ ქატო იყვეს, რაც უნდა იყვეს, ოღონდ კი ნამცხვარი ერქვას, რომ კაცი შიმშილით არ მოკვდეს, თორემ ვინ დასდევს, შენ გენაცვალე, მერე ამისთანა დროში.

აქ მარინემ სიხარულით მიიწყო: სიმინდისა, ფეტვილისა, ასლისა, ქრთილისა და სხვ. ქატო, რომელიც უფრო ჰგავდა სხვილად დახერხილს ხის ნახერხს, ვიდრე ხორბლეულის რისამე ქატოს.

მარინემ არ უთხრა ქმარს, შინ რომ სამი ჯამი ქატო მოიტანა იქნ ჩემი გამოაცხო ამ ქატოს ნაცარკვერები, ნახევარი მისცა სა-

მგზავროდ ქმარს და ნახევარი ჩუმად გამოუზოგა თავის პაწაწა შვილებს, რომელთაც ნამცხვარის დანახვაზედ შეჰქნეს ერთი სიხარული და ხტომა.

— დედი! დაუძახა პაწაწა გოგომ მარინეს, — აი სვიმონა ამბობს, რომ ხორცი უფრო გემრიელი არი ამ პურზედაო. ამაზედ გემრიელი ხორცი როგორ იქნება?

— იქნება, ღმერთმანი! — გუშინ დიაკვნიანთ ძაღლს მოეტაცნა ხორცი, მე გავაგდებინე — და ისეთი გემრიელი იყო, ისეთი, რო, როგორც თაფლი იმითანა, — დაიწყო პატარა სვიმონამ.

— ჰაი, შე სუნაგო, შენა! — დაუწყო მარინემ ჯავრობა სვიმონას. — მე არ გითხარი, მღვდლიანთკენ და დიაკვნიანთკენ ნუ გაივლი-მეთქი? ჯერ კიდევ მინახივხარ იქით — ემაგ სუნაგ ცხვირს მოგიგლი.

პატარა ხანს უკან მარინეს ბავშვები დაერივნენ თავის ტოლ ბავშვებში და შეჰკვეხოდნენ, „ასეთი პური გვქონდა ჩვენა, როგორც გამტკიცული. ჩვენმა მარინემ გამოგვიცხო. იცი, ხვალაც გვექნება“.

— ჩვენც გამოგვიტანეთ ცოტა, — ეხვეწებოდნენ მწარედ შიმშილისაგან მიხრწნეული ბავშვები.

III

მგზავრებმა ჩაიწყეს ხუთ-ხუთი მჭადი, ზოგმა სხვა ნამცხვარი და გაუდგნენ გზას. მესამე დღეს ისინი იყვნენ თბილისში და იმავე დღეს ეტუზნენ კაზიონი პალატის კარებზედ.

— ვინ გინდათ? — ჰკითხა ამათ სტოროჟმა, რომელმაც ძლივს მოიღო ამათზედ ყურადღება, რადგან ხედავდა, რომ ესენი აქ დიდხანს დგანან და რაღასაც ელიან.

— კამერალია გვინდა და არ ვიცით, როგორა ვნახოთ? — უპასუხა ბერომ და რამდენიმე სხვებმა.

— წამოდით აქ, — და გაუძღვა სტოროჟი.

სტოროჟმა ისინი შეიყვანა კამერალნი ნაწილში.

— რას იტყვით?—ჰკითხა ამათ კამერალის ნაწილის მეუფროსემ.

— რასა, შენი ჭირიმე, — დაიწყო ჩახველებით ბერომ,—ე ჩვენ რომ ამოდენა ხარჯი გვაწერია, იმითვინ გიახელით.

— ეგ პრედსედატელს მოახსენეთ. ხვალ მოვა და მაშინ ნახეთ.

— ეგ შენი ჭირიმე, — დაიწყეს ბეროს გარდა სხვებმაც, — კამარალიაში გახლავთ ყველაფერი.

— პრედსედატელის საქმეა, პრედსედატელს მოახსენეთ

გლეხები გამოვიდნენ.

— ეხლა, ბერო, — დაიწყო რამდენიმე გლეხმა. — ჩვენ, შვილო. ბუთი დღის ანგარიშით წამოვედით და ხვალაც რომ ვერ დავბრუნდეთ შინა, რა უნდა ვქნათ?

— მა რას ვიზამთ, რო ვერ დავბრუნდებით! მა, შვილო, რა ქარვასლის ქირები გვაქვს ასაკრეფი, მინამ ჩვენც პატარა მოუჭიროთ მუცელს, ჩვენ ქვეით არი, ჩვენ ზეით ხო არ არი.

მეორე დღეს ადრიანად ეს გლეხკაცები ეჭვინტნენ ისევ კაზიონი პალატის კარებწინ, პრედსედატელი მოვიდა, ჩამოართვა მთხოვნელებს ქაღალდები და გლეხები ისევ კარებზედ ეჭვინტნენ ცხარე მზის ქვეშ, მინამ ისევ იმავე სტოროჟმა არ მოიღო იმათზედ ყურადღება.

— ეხლა ვიღას ელით, კამერალიაში ხომ შეგიყვანეთ გუშინ?

— ეხლა პრეცანტი ნახეთო, იმათთან მიგვასწავლეს, — უთხრა ბეროშ, — და არ ვიცით, სად უნდა ვნახოთ.

— პრედსედატელი კიდეც მოვიდა და კიდეც გაისტუმრა მაჩივრები. სად იყავით აქამდის?

— აი, დილა რიჟრაჟის აქეთია, სულ აქა ვდგევართ და ჩვენ არც პრეცანტელი გვინახავს და არცა. მაშ ეხლა რა გვეშველება! თუ დღესაც ვერა ვნახეთ, სულ დავიღუპებით. შინ ცოლ-შვილი შიმშილით დაგვეხოცება.

— აი აქ მოიცადეთ კიბესთან და აქ ჩამოივლის პრედსედატელი და მაშინ მიართვით ქაღალდი.

— ქაღალდი რო არა გვაქვს, ისე სიტყვიერად უფრო მოვახსენებთ.

— თუნდა სიტყვიერად მანდ კი მოუცადეთ.

პატარა ხანს უკან ჩამოვიდა პრედსედატელიც და წავიდა შინისკენ.

— ემანდა პრედსედატელი არ იყო ეგა. რატო არა უთხარით რა. — უთხრა სტოროჟმა გლეხებს.

— კაცო, და ე რა ვქენით! — მიუბრუნდნენ სხვანი ბეროს,—რატო არა უთხარით რა! ხო დავიღუპეთ ეხლა და დავნელდით. ვაი დედი ჩვენი ღმერთსა!

— რა ვიცოდით, შვილოსა, თუ ეგ იქნებოდა პრეწანტელი, აბა რა უნდა შეატყო რომ ეგ არი პრეწანტელი: სხვებსაც სერთუკი აცვია და მაგასაც. ვაიმე დაღუპულებსა და დანელებულებსა! ვაი დედი ჩემი ღმერთსა... ეხლა როდისღა უნდა ვნახოთ. ხვალაც კიდევ აქ უნდა დავრჩეთ.

— რო დავრჩეთ, შვილო, რის ამარა უნდა დავრჩეთ,— დაიწყო მოსე მწყერაძემ და სხვებმა, — რაც საგძალი გვქონდა, სულ გამოგველია... აბა ჩვენი ოჯახის დაღუპვა ეხლა მოვიდა აი!..

— ვაი, ვაი, ვაი! რა მარჯვე დრო დავკარგეთ და რა კარგი! ამითანა ადგილას სადღა ვნახავდით! აქ სულ გაგვიგონებდა ჩვენ დარდსა... დავიღუპენით — ისე დაიღუპოს ჩვენი სუდია-მამასახლისის ოჯახი.

— ავდგეთ, შვილო, წავიდეთ შინისაკენ, — დაიწყო ქიტესა ნაცარკვერაძემ და ღვთისავარა ხრილიჭამიაშვილმა, — მინამ ე თითო ნაცარკვერა კიდევ გვაქ ვიაროთ, თორემ მერე მშიერი როგორღა ვივლით სამი დღის სავალზედა.

— რო წავიდეთ, სად უნდა წავიდეთ, თქვე ოჯახდაქცეულებო და საბლკარამოსაწყვეტებო! ხო აგვიკლო სოფელმა და დაგვანელა საშვილიშვილოთა. ფუი თქვენ კაცობასა!.. რო წახვიდე, ხვალ კიდევ ჩამოხვალ თუ!.. უფრო უარესი დღე არ დაგვადგება... იქ რაღა გამტკიცულები გაფუჭდებოდა... სოფელს რაღა პირით უნდა შევხედოთ, შვილოსა! მარტო სხვა არა იყვეს რა, ამას იქით უარესს გვიზამენ, ყელს გამოგვაჭრევინებენ.

— დავრჩეთ ეს ერთი დღეცა, — დაიწყეს სხვებმაც.—რაც მოგკივა — მოგვივა: იქ დახოცვასა, ისევ აქ დავიხოცნოთ სამართლის კარზედ — ის გვირჩევნია. ჩვენ სიმართლეს მაინც გავაგებინებთ მოსამართლეებს.

მეორე დღეს მოვიდნენ ადრიანად გლეხები და მიმართეს პირდაპირ თავის დამხმარებელს სტოროჟს. სტოროჟი არ დაუხვდათ იქ. სამსჯავრო დაკეტილი იყო, ჩინოვნიკები არა ჩანდნენ. გლეხკაცები ეტუზნენ ჯოხებზედ დაყუდებული კარებზედ და გაჰყურებდნენ ერთმანეთს დაფიქრებულები და უნებლიეთ ამოხდებოდა ხშირად იმათი გულიდან ოხვრა.

გავარდა ზარბაზანი და ჯერაც არავინა ჩანდა.

— ესეც ჩვენი ბედი, — დაიწყო ღვთისავარამ, — რომ აქამდინ არავინა ჩანს. კვლავ ადრე მოსულან და ეხლა აგერ შუადღე გადავიდა და არვინ არის...

— ვინ იცის ჩვენი ცოლ-შვილი ეხლა რა გაჭირვებაშია, — დაუმატა ვიღამაც.

— ცოლ-შვილს, შვილო, მხალი მაინც ექნება, მაგრამ ჩვენი საქმეა, რომ მთელი სამი დღე, მინამ შინ მივალთ, მშივრები უნდა ვიყვეთ — სთქვა მოსე მწყერაძემ.

— ერთი კარგი პირტი ეხლა კარგი არ არი! — დაუმატა ქიტესამ: — სულ გადაგვიყრიდა რაც ჯავრი გვაქ. ღმერთს რომ ეს სასმელი არ გაეჩინა, არ ვიცი, ძმავ, როგორ იქნებოდა ე ქართველი კაცის საქმე.

— თუ არა პირტი, ხრაკიან არაყს კი აღარ იკადრებ, — უპასუხა ფიქრით ბერომ: — რა გვესპირტება აქა ლამის ჯავრით გული გაგვისკდეს... როდის მობრძანდება ეხლა, ვინ იცის!

— შენ იცი, ბერო, როგორც შენებურად ყველას მოახსენებ. სუყველაფერი დაწვრილებით მოახსენე, რომ კარგა გაიგოს ჩვენი მწუხარება, — მიუბრუნდა ბეროს მოსე მწყერაძე, — ისიც მოახსენე, რომ სოფელს ისიც კი შურს, რომ პირში სული გვიდგია-თქო: აგერ რაც თავს მოვსწრებივართ, შენი ჭირიმე, ჩვენი შურიდანა და ინადიდან არ ამოდიან-თქო. ქათამს ველარ გაუვლია ჩვენსას იმათ კარებზედ და ბავშვებსა-თქო. ამითანები ყველაფერი მოახსენე, რომ ყველა ეშმაკობა და მოუსვენრობა გაიგოს იმათი.

— რა. შვილო, რაც კი გვაქ სათქმელი, რაღას დავზოგავ. ღმერთმან იცის, ეგ არა და რამდენი მაგაზედ უფრო უარესებია სათქმელი, — სუყველაფერი უნდა მოხსენდეს, — უპასუხა ბერომ.

ამ დროს მოვიდა საიდანღაც სტოროჟი. ამან გამოუცხადა, რომ ამ სამ დღეს უქმეებია და სამსჯავრო აღარ იქნებაო.

ამ სიტყვებზედ ისე შეიცვალნენ გლეხები, ისეთი .სახით შეხედეს ერთმანეთს, რომ გარეშე მნახველი შეფიქრდებოდა — დამბლა არ მოუვიდეთო.

— აბა ეხლა აშენებულა ჩვენი ოჯახი, აი! — სთქვეს იმათ და თავჩაქინდრულებმა გასწიეს.

ისინი მივიდნენ თავის ბინაზედ დახოცილებივით და დაეყარნენ. ისინი იდგნენ ერთ გომურის დერეფანში, სადაც, როცა შემოდგომაზედ ჩამოდიოდნენ — აყენებდნენ თავის საქონელს.

— ეხლა რა უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავსა?! — დაიწყო რამდენიმე გლეხმა. — რაღა პირით უნდა დავბრუნდეთ შინა?..

— აბა, შვილო, ღვთის წყრომას რომ იტყვიან — ეს არის! უნდა ავიღოთ თავი და სადაც ადიდებული წყალია — გადავცვივდეთ.

— ავდგეთ, შვილო, წავიდეთ, რაღას უდგევართ აქა, — დაიწყო ერთმა, — ეგ არი, ღმერთს ჩვენთვის ხეირი არა ნდომებია, და ჩვენ ცოლ-შვილს მაინც მივაშუროთ.

— დაიცადეთ, — დაიწყო ბერომ, — ეგრე საქმე არ გარიგდება. ჩვენ რო ეგრე ვქნათ, უფრო ცუდად მოვა საქმე... იცი მე რა ვიფიქრე! დღეს მოშეშა ურიას მოვკარი აქ თვალი... ეგება იმას ერთი ათიოდე მინანთულს ვესესხნეთ, მაინც შვილო, იმისი ისეც ბევრი გვმართებს, და იქნება ეხლაც მოგვინაცვლოს ამითანა გაჭირვებაში ხელი.

—ეგ კაი ფიქრია, მე და ჩემმა ღმერთმა, — უპასუხეს სხვებმა,— აბა ერთი მოვახსენოთ... ერთი კუჭებ მაინც გავიძლობთ...

— თავი არ მომიკვდება ი დუქნებთან რო გავივლით და საჭმელი სუნი მოგვდის — კინაღამ გული შეგვიღონდება ხოლმე.

ამ დროს მოვიდა გომურის პატრონი.

— ვა! ისევ აქა ხართ? ოხრებო! ეს თქვენთვის ხო არ არი გაკეთებული, საქონლისათვის არი... ვა! თუ დგეხართ, ქირას მაინც არ მოიცემით?.. თუ არა, აი ჩასტის ოფიცერს მოვიყვან და სულ პოლიციაში ჩაგყრით... ვინ იცის უბილეთო ვინმეებიცა ხართ...

— პარუნ პოლოს, განა არ მოგეხსენებათ ჩვენ ვინცა ვართ; ჩვენ სულ აქ არ გვიყენია ხოლმე საქონელი. ჩვენ ბრიყვეთიანელები ვართ.

— ვა! ბრიყვობა მეტი იქნება, ერთი კვირაა აქა ჰყრიხართ — გროში ფული არ ვიცი თქვენგან. არა, მამაჯან, გადით აქედან. საქონელს როცა დააყენებთ, მაშინ სხვა არის.

— ქირას მოგართმევთ, ქირასა, მაგაზედ როგორ გაწყეინებთ,— უპასუხა ბერომ, — აბა წავიდეთ ერთი, მოშეშა მოვნახოთ. — აქ ბეროს გაჰყვნენ სხვებიც მოშეშას საძებნელად.

IV

იპოვეს მოშეშა ურია.

— რა ვქნა, რომ თან ფული არ გამომყოლია, ეე! — დაიწყო იმან გლეხების ხვეწნაზედ.

— მოშეშ! ი ცოლ-შვილი ამოგვიწყდეს, ი წმიდა გიორგი კარწინ ნუ მიგვიყვანოს ცოცხალი, თუ შემოდგომაზედ საგიორგობოთ არ მოგართვათ. მარტო სხვა არა იყვეს რა სასულიერო საქმეა, ამითანა საქმისთვინ ჩამოვსულვართ და ამითანა გაჭირვებას ჩვენ ვეღარა ვნახავთ.

— სულ აგრე იძახით, როცა გიჭირთ და მერე კი თავის ოხერა ფულზედაც კაცი უნდა ალაპარაკოთ — ეე!

— რა ვქნათ, შე ქრისტიანო, — უპასუხა მოსე მწყერაძემ, — ბევრი რო გვქონდეს, ხომ შენც აღარ გესესხებოდით, რაც შენ სარგებელს გაძლევთ, იმ სარგებლითა ხაზინა გაკეთდებოდა. მანათზედ ორი და სამი მანათი კი მოგდის და გლეხკაცს რო ჭკუა ჰქონდეს,— იმას წყალს იქით გზა განა აქვს?

— არა, მოშეშ, ღმერთი გადღეგრძელებს, შენ იქით გზა არა გვაქვს, — ეუბნებოდნენ სხვა გლეხნი, — ამ ერთი გაჭირვებიდანაც უნდა გამოგვიხსნა და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა კაცობამ, როგორც გემსახურებით.

— აქ თუ ვისესხებ სადმე, თორემ, ჩემი რჯულის მადლმა, გრო-ში არა მაქ, ე! აქ სომხებისაგან უნდა ვისესხო და ვინ იცის რამდენი სარგებელი გამამართვან, ე, და ეხლა მეც თქვენ უნდა სარგებელი გამოგართვათ და თქვენ იმდენ სარგებელს არ მოიცემით, ე.

— სარგებელი რაც შენი ნება იყვეს, ჩვენ მაგაზედ რა უარი შე-გვიძლიან, — ოღონდ ერთი ჯი გვიშველე რამე.

— მაშ საღამოზედ მნახეთ ე და მინამ საცა იქნება ვისესხებ, ე. საღამოზედ მოვიდნენ გლეხნი მოშეშასთან.

— მთელი ქალაქი შევძარ ჩემი რჯულის მადლმა და რის ხვეწ-ნით ერთ ჩემ ნაცნობ სომეხს ძლივს გამოვართვი, ე. მაკარიობაა და ყველა უფულობას უჩივის, ე.

— აი, ღმერთმა გადღეგრძელოს ჩვენი ამ გაჭირვებიდან გამოხ-სნისათვის, თუ შენ არა — მე შენ მოგახსენო — დაღუპულები ვი-ყავით, ისე დაღუპულები, როგორც შარშანდელი თოვლი.

— ეს ერთი თუმანი მომცა და ამაში შემოდგომამდინ თხუთმეტი მანეთის ბარათი ჩამომართვა, ე, ეხლა უნდა თხუთმეტი მანეთის ბა-რათი დამიწეროთ შემოდგომამდის თავისის სარგებლითა, ე.

— ი ხუთი მანეთის სარგებელი რაღათ უნდა მოგცეთ. იმას ხომ არ იძლევი! — დაიწყო ისევ მოსემ.

— მაშ მე რომ დაუწერე სომეხს, მაშ ის მუქთი ხო არ იყო, ე! მე ხო უნდა იმას ერთ თუმანში თხუთმეტი მანეთი მივცე, ე!

— აი, დიდება შენთვის, ღმერთო! იმითანა ურჯულოობა იქნება! ხუთი მანათი სარგებელი რაღაში გერგება, შე ქრისტიანო?!.

— დაიცადე, შე ოჯახდაქცეულო, რა დროს ეგეებია! — გააჩუ-მეს გლეხებმა მოსე, — აბა შენი ჭირიმე, დაწერე როგორც თქვენი ნება იყვეს ბარათი და ჩვენ მოვაწერთ.

მოშეშა შევიდა დუქანში ბარათის დასაწერად.

— არა, შე ოჯახდაქცეულო, — დაუწყეს გლეხებმა მოსეს ჩხუ-ბი, — ამითანა იქნება, რომ კაცი ნავში იჯდეს და მენავეს ეჩხუბე-ბოდეს, არა ხედავს შენი თვალები, რომ ჩვენი სული მაგი ხელთ არი! რო მოინდომოს, ქრისტიანობის მადლმა, ერთ დღეს როგორც თხებს ისე ჩაგვრეკავს ბაზარში და ისე დაგვყიდის თავის ვალში.

— დაგვყიდოს კი არა, ბარემ რო დაგვხოცოს ის გვირჩევნია, ჩვენ კი აღარა ვართ, შვილოსა, და! საჭმელი ჩვენ არა გვაქვს, სასმე-ლი, ტანსაცმელი, ცოლ-შვილი დედიშობილა დაგვიდის, სახლი და ერთი, მერე, ვისაც მიგვყიდის — პურს მაინც გვაჭმევს, კუჭს მაინც გაგვიძღობს, თუ არა, შვილო, სულს იქით სულ მაგას მიაქ ჩვენი ოფლი: წურბელასავით გვწოვს სისხლს. რა, შვილო, მაშ ღმერთს

ჩვენი სული მაგითვის გაუჩენია და ჩვენი სუდია-მამასახლისისათვისა.

— აგრე არ იქნება, კაცო! — დაუწყო ბერომ, — ეხლა ეგ ერთი თუმანი ჩვენ იმითანა საქმეს გვიზამს, რომ იქნება კიდეც შემოგვნატროდნენ. ხუმრობაა, როცა ხარჯს გადავრჩებით! ეხლა, მარტო ის რადა ღირს, რომ სოფლის ჯაბრს არ შევჭამთ.

გამოვიდა მოშეშა და წაუკითხა ბარათი.

„ჩუ...წ. (ამა და ამ თვესა) ჩვენ სოფელ ბრიყვეთს მცხოვრებელთ (ამა და ამ გლეხთ) ავიღეთ შენ რაბინ მოშეშა ქებიაშვილისაგან თხუთმეტი მანეთი თეთრი ნაღდი რუსული სირმა ვერცხლი, რომელიც ამის ნახევარი იქს შვიდ მანეთსა და ათ შაურ წმინდა თეთრსა. ფული ესე ვალდებული ვართ ჩავაბაროთ საგიორგობოდ, ესე იგი ამ წლის გიორგობის თვის ათისთვის. და თუ ამ ვადაზედ ვერ ჩავაბარეთ, ვალდებული ვართ ერთი ამდენი, ესე იგი თუთხმეტი მანეთი თავისის სარგებლით შტრაფი გადვიხადოთ. სარგებელი ამისი უნდა ჩაგაბაროთ ამ წლის რთველში თუმანზედ სამი კოკა ტკბილი და თხუთმეტი მანეთისა ოთხ კოკა ნახევარი შენ მოშეშას საკუთარი თუნგითა, რომელზედაც ჩვენ ვაწერთ...“

გლეხებმა სთხოვეს მედუქნეს და მოაწერინეს ხელი.

მოშეშამ დაუთვალა ცხრა მანეთი და მისცა.

— ერთი მანეთიც ბარათის დასაწერი მივეცი და ეს ცხრა მანეთი ღმერთმა მოგახმაროთ, ე!..

— გადღეგრძელა ღმერთმა! — უპასუხეს ეხლა კი დაღონებულმა გლეხებმა. რაკი წაიკითხეს ეს ბარათი და ამასთან ერთ თუმანს ერთი მანეთიც დაუკლეს.

— აბა, შვილოსა, თუ უღმერთობა არ არის! მაგოდენა სარგებელი, მაგოდენა შტრაფი, ეხლა ი ერთი მანეთიცა. ერთი მანეთი ჩვენთვინ ეხლა ერთი მილიონი ღირს, — დაიწყო მოსემ: — აბა ეხლა ჩვენ ვალებს ეგღა აკლდა, აი!

— ერთი წავიდეთ ამ ჯავრიან გუნებაზედ თითო პირტი მაინც დავლიოთ, — დაიწყო ქიტესამ, — მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დავიღუპენით კია, მაგრამ რას იზამ, შვილო, ეგ ფული რომ არ შეგვსწრებოდა, მთლად შიმშილით დავიხოცებოდით. დღეს, შვილო, ნაწილი არ ჩასულა ჩვენ პირში. ამდენი წყლის სმამ დაგვწყვიტა. წყალსაც აღარავინ გვასმევდა.

— წავიდეთ მართლა, — სთქვეს სხვებმაც, — პატარა მუცელს მივძლიოთ რამე, თორემ ამ შიმშილმა ძალიან ძალა გვიყო.

პატარა ხანს უკან ისინი შევიდნენ ერთს საცოდავ დუქანში, მოითხოვეს საჭმელი, დალიეს თითო არაყი და შემდეგ მოითხოვეს პატარა ღვინოც.

იმათ ერთი თვალის დახამხამებაზედ გააქრეს მოტანილი საჭმელი და პური. ამ საჭმელმა უფრო გაუღვიძა იმათ მადა და კიდევ მოითხოვეს ერთი იმდენი.

— ჩვენ აქ ლამაზათა ვძღებით, — წარმოთქვეს ზოგიერთებმა— და ვინ იცის, ჩვენი ცოლ-შვილი რასა სჭამენ! ან სჭამენ რასმე, თუ არა, ისიც ღმერთმა იცის.

როდესაც მორჩნენ ესენი პურის ჭამას, მედუქნემ უანგარიშა ამათ დანახარჯი ხუთი მანეთი.

ამ სიტყვის გაგონებაზედ, ყველამ ერთმანეთს შეხედეს ელდა ნაცემებივით.

— კაცო, და რა ვჭამეთ, შვილოსა, ისეთი? — დაიწყეს იმათ მწუხარებით.

— ვა! რა ჭამეთ რომელია! ი მგელივით რო ილუკმებოდით, რატო მაშინ არ ამბობდით მაგას! მერე ამისთანა სიძვირე — ხო ხედავთ მამასისხლობაა!.. ეხლა რა ბევრია! მთელი ერთი პოლკი დამშეული მგლები შეყრილხართ და ხუთი მანეთი ბევრია!

აქ მედუქნემ დაათვლევინა გლეხებს ხუთი მანეთი.

— აბა, შვილო! რა შეუძლიან ფულსა. ეს რაც ფული გვქონდა, ეხლავე შევჭამეთ და მერე კიდე სავალებლად გაგვიხდება საქმე,— დაიწყეს შიგადაშიგ მწუხარებით.

— არა, ეს არის, — დაიწყო ბერომ, — ამას იქით ისევ ცარიელ პურზედ უნდა ვიყვეთ, თორემ არ გვეყოფა.

— მეტი რა გზაა, — სთქვეს სხვებმა და გასწიეს თავის, გომურისკენ, რომელსაც პატრონმა დასდო გომურში დგომისათვის სულზე დღეში ნახევარი შაური.

— ეგეც თქვენი ხათრისათვის, რომ სულ აქ აყენებთ ხოლმე თქვენ საქონელს, თორემ სხვებს შაურათაც არ დავაყენებდი, ჯერ მარტო წყალს დალევთ ნახევარ შაურისას.

V

გავიდა სამი დღე უქმეები და გასწიეს ჩვენმა გლეხებმა კაზიონი პალატისაკენ, იქ სტოროჟმა უჩვენა იმათ ადგილი, სადაც უნდა მოეცადნათ პრედსედატელისთვის.

— აბა, ბერო, შენ იცი და შენმა კარგმა ქართულმა, — ეუბნებოდნენ იმას ამხანაგები, — შენ იცი, როგორც არ დაგვიკარგავ ამო-



თუ სოფელი გაწუხებთ და მაგაზედ უჩივით, ეგ ჩემი საქმე არ არის...

დენა ამაგს, ყველაფერი ისე დალაგებით უნდა მოახსენო, რომ ყველა სიტყვა ყურში ჩააწვეთო, ეხლა, შვილო, ჩვენი სული მაგის ხელთ არი: უნდა გვაცოცხლებს, უნდა სულ ადიდებულ წყალს მიგვცემს.

მოვიდა პრედსედატელი, იმან ჩამოართვა ჯერ ჭისაც ქაღალდები ჰქონდა, მერე მიმართა, ვისაც სიტყვიერი რამ სათქმელი ჰქონდა. მივარდა რიგი გლეხკაცებზედაც. როდესაც მიატანა იმათ პრედსედატელმა და რჩებოდა უკანასკნელს მთხოვნელს, გლეხებმა დაუწყეს ბეროს ჯიჯგვირი, რომ წამდგარიყო.

— არ დაგვღუპო! — წასჩურჩულა ვიღამაც ბეროს ყურში.

ბერომ დაიწყო ჩახველება და მზადება სალაპარაკოდ, ბეროს წინათ გუნებაში ლამაზათა ჰქონდა ყველაფერი სალაპარაკო დამზადებული. რამდენი რამა ჰქონდა სათქმელი, ყველა მძივად ასხმული ჰქონდა გუნებაში შენახული და აპირებდა პრედსედატელის წინ წამოლაგებას, მაგრამ იქ იგრძნო ბერომ, რომ როგორღაც ყველაფერი აერია და როდესაც პრედსედატელი მიუახლოვდა, შემკრთალმა აღარ იცოდა, საიდან დაეწყო. იმას უნდოდა კიდევ ჩაეხედნა თავის გუნებაში და დალაგებულიყო, მაგრამ იმის გონება გუნებაში კი არა, პრედსედატელის მოძრაობას არა შორდებოდა.

— თქვენ რაღას იტყვით! — ჰკითხა ამათ პრედსედატელმა.

გლეხებმა შეხედეს ბეროს და მერე ერთმანეთს. ბერომ კიდევ ჩაახველა და ძლივს დაიწყო.

—ჩვენა, შენი ჭირიმე! ჩვენ გიახელით, შენი ჭირიმე, რომ აქ შენ წინ დავიხოცოთ თავები, იმითანა გაჭირება გვადგია ჩვენი სოფლისაგან. ლამის, შენი ჭირიმე, აგვყარონ სოფლიდანა.

— თუ სოფელი გაწუხებთ და მაგაზედ უჩივით, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ მიროვოი სუდიას უნდა სთხოვოთ და ეგეები იმის ხელთ არის. — აქ პრედსედატელი გაბრუნდა.

გლეხკაცებმა გაჰხედ-გამოჰხედეს ერთმანეთს.

— აკი გითხარით, შვილო, ეგ მირონის სუდის საქმეა-მეთქი,— დაიწყო ერთმა გლეხმა, რომელსაც ეძახოდნენ ცხრაქოთანა ჭენჭილოკიაშვილს, — ეხლა სუყველაფერი სამართალი მირონის სუდის ხელშია. გინდა დაგკარგავს, გინდა ჩამოგახრჩობს: ყველა იმის ხელთ არი, აბა, შვილო, ეხლა ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ. ჩემთვინ რო გაგეგონებიათ, ხო ასე არ დავიღუპებოდით; ეხლა ამოდენა ზარალში ვართ: იმითანა მუშა დროს ცალკე საქმესა და სახლს მოვცდით, ცალკე ამოდენა ვალი დავიდეთ, ეხლა აღარც კი გვაქ, შვილო, ფული, რომ წავიდეთ. რა უნდა ვჭამოთ ან გზაში, ან იქა, მირონის სუდთან რომ მივალთ!

— ფული ერთი სამიოდე აბაზი კიდევა გვაქ, და როგორც იყვეს უნდა იქამდის ვიკმაროთ, იქ ორ დღეზედ ადრე ვერ მივალთ.

— ორი დღე გზას მოუნდებით, მაგ ფულ გზაში შევეჭამთ, იქ რაღა ვჭამოთ? — დაიწყო მოსე მწყერაძემ. — არა, შვილო, წავიდეთ ისევ. ჩვენ სახლებს მივეპატრონოთ, რაც მოგვივა, მოგვივა.

— მიეპატრონო, შენი ოჯახის აშენებამა, შენმა ცოლ-შვილმა არ იცის, რა უყოს თავის ზინათებს, — შეუტია ბერომ, — ამოდენა შრომა გაგვიწევია და ეხლა უნდა ხელცარიელები დავბრუნდეთ შინა. ერთი დღე შიმშილ ვერ მოვითმენთ! ორ დღეს აქედან გზაში მოვუნდებით მირონი სუდიამდინა, მესამე დღეს მოვახსენებთ ჩვენ ანგარიშსა და იმავე დღეს ავალთ შინ. ერთი სიტყვით, რომ დავიხოცოთ, ხელცარიელები ჩვენი შინ დაბრუნება არ იქნება.

აქ გადაწყვიტეს გლეხებმა წასვლა თავის უეზდის ქალაქში, მიროვოი სუდიასთან.

იყიდეს ამათ სამ აბაზად თორმეტი პური და გაემგზავრნენ.

— დღეში ნახევარ პური უნდა ვიკმაროთ, — უთხრა ბერომ.

— მეტი რა ჩარაა, რომ არ ვიკმაროთ! — დაუმატეს სხვა გლეხებმა.

VI

მესამე დღეს მოჩვენებასავით შესუსტებულები შიმშილისაგან იდგნენ გლეხკაცები მიროვოი სუდიის კამერაში.

მოვიდა მიროვოი სუდია და დაიწყო ქაღალდებისა და პირადი საჩივრების ჩამორთმევა.

— ჰო! გაათავე და რაღა! — ეუბნებოდა ის ერთ გლეხს. — შენ იქნება გგონია შენს მეტი საქმე არ მჭონდეს, ხომ ხედავ ამოდენა ხალხი იცდის.

— მოგახსენებთ, შენი ჭირიმე, თუ არ გამირისხდები, — ეუბნებოდა ის გლეხი, — ეგ, შენი ჭირიმე, ჩვენი ბერუკა გახლავთ ჭინტიაშვილი...

— ჰო, მერე ჭინტიაშვილი! სხვა კი აღარა იცი რა?!.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ყველაფერ მოგახსენებ, თუ მიბრძანებ... ჩემი დარდები, შენი ჭირიმე, ზღვას შეაგუბებენ.

— წადი ქაღალდი შემოიტანე, თორემ შენსას თვით ქრისტე ღმერთიც ვერას გაიგებს. — შენა? — მიუბრუნდა მიროვოი სუდია ერთ გლეხკაცს.

— მე, შენი ჭირიმე?

— ჰო, შენა, მაშ ვისა!.. ხომ ხედავ, შენ გელაპარაკები.

— მე, შენი ჭირიმე!.. ერთი კარგად მამახსენებინე ე ჩემი საჩივარი... რო იცოდე, ბატონო, ჩემი მწუხარება. — აქ გლეხკაცმა გააქნივ-გამოაქნია თავი.

— სთქვი რაღა? — შეუტია მოუთმენლად სუდიამ.

— თუ ნებას მიბოძებ, ისევ ქაღალდით მოგახსენებ, თორემ ასე თქვენ საკადრისად ვაითუ ვერ გამოვიდეს.

— ქაღალდით! ქაღალდები ეხლა სხვებმა კი არ შემოიტანეს, რომ უნდა ისევ უკან დავუბრუნო, რადგან არა გაიგება რა.

— კვიმატიძე!— დაუძახა იმან ერთ ხაზინიდან გამოგდებულ მწერალს, რომელიც ადვოკატობდა ამ ნაწილში. — ერთი გაუგონეთ ამას საჩივარი, და თუ მართალი იყვეს — დაუწერეთ ქაღალდი.

ადვოკატმა სიხარულით თავი დაუკრა სუდიას.

— თქვენ რაღას იტყვით? — მიუბრუნდა ეხლა ის ისევ ჩვენ ბრიყვეთიანელებს.

— ჩვენ, შენი ჭირიმე, ბრიყვეთიანიდან გახლავართ.

— ვინა გკითხავთ ბრიყვეთიანიდანა ხართ, თუ ჯანაბელები! რა გაქვთ საჩივარი?

— საჩივარი, შენი ჭირიმე, ჩვენა გვაქვს, თორემ სხვა ვისა,— და ცოტა არ იყოს ამოუჯდა ბეროს გული.

— ეხლავე გეტყობა, რომ სტყუი! შენი ტირილით ვინ გინდა მოატყუო! სთქვი რაცა გაქვს სათქმელი. ხომ ხედავ რამდენი ხალხი იცდის!

— მოგახსენებ, შენი ჭირიმე, როგორ არ მოგახსენებ. ტირილს, შენი ჭირიმე, შენთან როგორ გავბედავთ...

— ჰო, აბა დაიწყე ადამიდანა და ევადან.

— არა, შენი ჭირიმე! ადამი კი არა, ჩვენი დარდი სულ სხვა გახლავთ. ჩვენ რო უსამართლობა გვადგია, ნუ იფიქრებ, ბატონო, რო ეს უსამართლობა და უჯიათი მისდგომოდეს ვისმე.

— ჰო, რა უსამართლობა!.. სთქვი ჩქარა.

— უსამართლობა მეტი იქნება! ჩვენ სოფელს ისე შურს ჩვენი ცხოვრება, რომ ისიც კი უნდა, რომ სულები ამოგვხადონ. იმავ თაობითვე სულ შურსა და ინადში გვიდგანან, ბავშვს ველარ გაუვლია ჩვენსას იმათ კარებზედ, ქათამსა და პირუტყვსა.

— მოკლედ! მოკლედ მოსჭერი და სათქმელი თქვი.

— სათქმელი, შენი ჭირიმე, იმაზედ მეტი რაღა იქნება,— რომ მთელი სოფელი ცდილობდეს ერთისა და ორი გლეხკაცის დედამიწასთან გასწორებასა, სულები ამოგვხუთეს... იასაული რა არი, იმასაც კი ჩვენ გვასტუმრებინებენ და რაც ქათამი გვყავდა, სულ გაგვიჩანაგეს.

— ეგ არი თქვენი საჩივარი?!

— მარტო ეს კი არა, შენი ჭირიმე, ჯერ სად არი. რამდენი მაგითანა სხვა გახლავთ.

— ქაღალდით შემოდით. თქვენ რაღა გნებავთ? — მიუბრუნდა ის ეხლა ერთ თავადიშვილს, რომელსაც მზად ეჭირა ხელში ქაღალდი, რომ ლაპარაკი არ მომინდესო.

— ჩვენა, შენი ჭირიმე, — დაიწყო ისევ ბერომა, — არ...

— ქაღალდით-მეთქი! — უთხრა გადაწყვეტით სუდიამ.

გლეხები გამოვიდნენ.

— ისევ კი ქაღალდითა ჯობიან, მუ და ჩემმა ღმერთმა,—დაიწყო ბერომ. — ასე პირათა, ჩემო ძმავ, ვერ მოვახსენებთ იმი საკადრისათა. ჩვენ რო ქართულ ვიტყვით, ამითანა ქართულს მაგისთანა დიდკაცს ვერ გააგონებ, მაგათი ქართული სხვა არი.

— რო დავაწერინოთ, ეხლა მუქთად ვინ დაგვიწერს! — დაიწყო მოსე მწყერაძემ.

— მუქთად რათა! — უპასუხა ბერომ, — იმ ქალაქში გვიჭირდა საქმე, თორემ აქ რამდენი ნაცნობი სომხობა გვყავს, ერთი ხუთიოდე მანეთი ვისესხოთ და ზოგისა ქაღალდი დავაწერინოთ, ზოგისა პური ვიყიდოთ. ხვალ ქაღალდ მივართვათ და წავალთ კიდეც შინა.

იმათ იმავე დღეს ისესხეს ხუთი მანეთი შემოდგომამდის კოკა ნახევარ ტკბილად სარგებელში და მიმართეს ერთს თავის ნაცნობ მწერალს, რომელსაც ოთხ მანეთად გაურიგდნენ ქაღალდის დაწერას.

— აბა რა გაქვთ საჩივლელი? — ჰკითხა იმან.

— ჩვენი საჩივარი ეს გახლავთ, — დაიწყო ბერომ, — რომ რადგან უმამულო გლეხები ვართ ჩვენა, კამალარიაში სამი მანათი ხარჯი გვაწერია და სხვა გლეხებსა, რაკი მამულები უჭირავთ — მეტი აწერიათ; ეხლა იმათ უნდა, რომ ჩვენც იმათთან გავიღოთ ხარჯი; ჩვენ ეხლა მაგას არ ჩავდივართ და ამაზედ ძალიანაცა გვცემეს და კიდეც გვ ხდევინებენ.

მეორე დღეს მიუტანეს სუდიას ქაღალდი. სუდიამ წაიკითხა.

— აბა გუშინვე რო ესე გეთქვათ, ხო გუშინვე მორჩებოდით და გაიგებდით საქმეს, რომ ლაპარაკის შნოც კი არა გაქვთ... ეს ჩემი საქმე არ არის, — ეს უეზდის ნაჩალნიკის საქმეა. რასაც სუდია მამასახლისს უჩივლებთ, კანონის ძალით, უნდა ნაჩალნიკთან უჩივლოთ და მე არ შემეხება.

— შენ როგორ არ შეგეხება, შენი ჭირიმე, შენზედ მეტი ვის შეუძლიან!.. შენ რო უბრძანო, სხვა მეტი კი არა უნდა რა... სუყვე-

ლაფერი სამართალი შენ ხელთ არი, გინდა დაარჩენ კაცსა, გინდა დაღუპავ, — დაუწყო ბეროძ.

— გეუბნებით ჩემი საქმე არ არი-მეთქი! ალბათ არ არი, თორემ რატომ სხვებს არ ვეუბნები. — აქ დაუბრუნა სუდიამ გლეხებს ქაღალდი.

— ნაჩალნიკთან ნდომებია ქაღალდი, — დაიწყეს გლეხებმა, როდესაც დაბრუნდნენ თავის ქაღალდის დამწერთან.

— ნაჩალნიკთან?! ჰო, ალბათ აგრეა, თორემ სუდიამ უფრო კარგად არ იცის, — უპასუხა იმან.

— მაშ ეგები შენ სადღეგრძელოდ ერთი ქაღალდი იმათანაც დაგვიწერო და ეხლა ეგებ ნაკლებს დაგვჯერდე.

— ახლა სამ მანეთ დაგჯერდებით.

— სამი მანეთი სულ რო გავიყიდნეთ, შენი რისხვა გვქონდეს, თუ გიშოვნოთ.

— ეხლა, თუ კარგი არზა გინდათ — სამ მანეთ ნაკლებ არ იქნება, თუ იმისთანა უბრალო რამ გინდათ და განა არ შეიძლება ათშაურიანიც დავწერო, სამ აბაზიანიცა. რა გამოვიდა! როგორც საქონელშია ავი და კარგი, ისე აქ ავი იაფია, კარგი — ძვირი.

— მაშ, შენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოდ, ეგება შემოდგომამდინ დაგვაცალო, თორემ ისე შენი მტერი დაიღუპოს, როგორც ჩვენ დავიღუპებით ამ საქმის დევნაში.

— შემოდგომამდის თუ დაგაცდით, ხუთ მანეთს ნაკლებ არ დაგჯერდებით თავისის სარგებლით.

— ღმერთი გადღეგრძელებთ, რაც წინათ გიბრძანებიათ — მოგართმევთ, ნუ ინებებთ ჩვენ დაღუპვას. ჩვენ დღესაც შენ ხელთა ვართ და ხვალაცა. ცოლ-შვილი სულ შიმშილით გვეხოცება, ვალით ყელამდისა ვართ გავსილი.

— არ ვიცი! თუ გინდათ ეგ არი, თუ არა სხვა მოძებნეთ.

გლეხები გამოვიდნენ, პატარა ხანს მოილაპარაკეს და ისევ დაბრუნდნენ.

— ხუთი მანეთი გახლდეს, შენი ჭირიმე, სარგებელს კი ნუღარ გვთხოვ. ჩვენი სულს იქითი სულ სარგებელში მიდის.

— მე რაც მითქვამს, ეგ არის!

— შენი ნება გახლდეს, ოღონდ ისეთი კი დაგვიწერე, რომ ნაჩალნიკმა მაშინვე გაგვისტუმროს, თორემ რაც იმ დღეს თქვენთვის ფული ვისესხეთ. — გამოგველია და ეხლა ისევ მშივრები ვყრივართ

პატარა ხანს უკან ეს გლეხკაცნი აწერდნენ ხუთი მანეთის ბარათზედ ხელს, რომელშიაც კალოზედ უნდა მიეცათ კოდნახევარი პური სარგებელში.

მეორე დღეს იყო რევიზია და ვერა ნახეს გლეხებმა ნაჩალნიკი. შიშმილმა დაატანა ძალა.

— ერთი შეხედე — ეუბნებოდა ქიტესა საღამოზედ თავის ამხანაგებს დუქნის ოთახიდან, — რა ლობიო უდგათ და ჰაშენ დუქანში მეტივეები. აბა, შვილო, ცხოვრებაც მაგათ დაიკვეხონ. თითო ტივს ზოგჯერ ოცად, ოცდაათ თუმნად ჰყიდიან, ისეთი დოლაბ-დოლაბი პურები უწყვიათ, რომ ყეენს ეკადრება საჭმელათა... ვაი ჩვენი ბრალიცა!..

— წამოდი აქეთა, შე ოჯახდაქცეულო! — შეუტია ბეროშ.

— ეხლა ხო აგრე არ იფიქრებენ ეგენი... ეს ერთი დღე აღარა გვაქ, ამასაც როგორ ვერ მოვითმენთ?!

ქიტესა წამოვიდა ისეთნაირად, თითქო არ უნდა, რომ იქაურობას თავი დაანებოსო.

— ეჰ, შვილო! — დაიწყო ვიღამაც, — ჩვენც ვიტყვით ქვეყანაზედა ვცხოვრობთ! რომელი ძაღლი იქნება, რომ ჩვენ არა გვჯობდეს. ძაღლი რაც უნდა ძაღლი იყვეს — ან მოიტაცებს, ან მოიპარავს, ან ძვლებს მაინც ვინმე გადუყრის, საყასბოში წელებს გადაუყრიან. ვინ შერცხვენილი, ეხლა რაც უნდა წელები იყვეს, არა სჭამდა, მაგრამ მერე სირცხვილით ვიღასთან გამოჩნდება... არა ვართ, არა! თორემ ჩვენ რომ კაცნი ვიყვნეთ და ქუდი გვეხუროს, უნდა აგვეტანა ესა: ერთი კარგი თოკი და ჩვენი ჯანი.

დუქნის მეორე ოთახში დაიწყეს შეზარხოშიანებულმა მეტივეებმა სიმღერა. პატარა ხანს უკან შემოვიდნენ ბაზრის ბიჭები, დასხდნენ დაზგაზედ, მოატანინეს ხმელი თევზი, ღვინო, მწვანილი და სხვა, შემოიყვანეს მედოლეები და დააღუღუნა ტკბილმა დუდუკმა, დაუკრა იმან ჩვენებური გულის მოსაკლავი და ჩვენი ისტორიის გამომხატველი ხმები. გლეხები ამ ხმაზედ მეორე ოთახში მიეყარნენ ცარიელ ადგილზედ, ვითომც დასაძინებლად, და მიეცნენ ათასნაირ ფიქრს, ვინ იცის რა არა ტრიალებდა იმათ გუნებაში, რა არ მოდიოდა ამათ თავში, აღეძრათ იმათ ათასნაირი არეული ფიქრი და გრძნობა, რომელიც ჩვენთვის, მკითხველო, სრულიად უცხოა, აღეძრათ ეს ფიქრები და არა ხედავდნენ ამ გრძნობების დამაბოლოებელს არავითარს გარემოებას, არც თვის ცხოვრებაში და არც თავის გარემო ვითარებაში. ქიტესა და ერთი კიდევ ვიღაც კიდეც ტიროდნენ, მაგრამ ჰფარავდნენ ამას ამხანაგებისაგან.

მეორე დღეს ნაჩალნიკმა მაშინვე გაისტუმრა ესენი და უთხრა, რომ დაიბარებს სუდია-მამასახლისს და გაიგებს ყველაფერს.

VII

— ნახე ჩვენი უნარი, — შეჰკვეხოდა ქიტესა მგზავრობიდან შინ დაბრუნებულ თავის მეუღლე მარინეს, — ბევრი ჯაფა გავწიეთ, ბევრი ვალი დავიდეთ, მაგრამ ჩვენი საქმე კი გავარიგეთ. ღმერთმა ადღეგრძელა ჩვენი ნაჩალნიკი, ძაან სიტყვები გვიბრძანა, სულ აქ დავიბარებ და თქვენ ამბავს ყველას შევიტყობო.

— ემაგისთვის იდებდით მაგოდენა ვალსა და ამდენი ხანი სცდებოდით თქვენს სახლ-კარსა, რომ რაც მოსავალი იყო, სულ ძაღლ-ღორმა შეჭამა... ვინ უნდა დაიბაროს ეხლა იქა?

— ვინ უნდა დაიბაროს და სუდია-მამასახლისი.

— სუდია-მამასახლისს უნდა ჰკითხოს თქვენი ამბავი?! თქვენზედ უკეთესად ვინ უამბობდა თქვენ ამბავსა? მა რისთვის იყავით იქა, თუკი თქვენ ამბავსაც არ უამბობდით? სუდია-მამასახლისი რათ ეტყვის თქვენზედ კარგს.

— დადექი-მეთქი, დედაკაცო, ნუ ხარ ე ავყია, თორემ, ღმერთია შენი თავდები, ერთ სისხლს შემამთხვევ. აი, დიდება შენთვის ღმერთო! მა რითვინ ვიყავით, შე ოჯახდანელებულო, თუკი ჩვენ ამბავსაც არ ვეტყოდით! შენითანები ვიყავით იქა, რო ჰკუას ისწავლებ! ამითანა ურწმუნო ადამიანი იქნება, როგორიც ეს ქოფაკი დედაკაცია... ეიჰ, ეიჰ, ეიჰ!

— იიჰ, მაშ მე ღმერთი გამიწყრეს, თუ თქვენ იქ გაარიგებდით რასმე. — აქ მარინე გავიდა გარეთ რაღაც საქმეზედ.

ქიტესამ ამ სიტყვებზედ ერთი გადაჰბღვირა მარინეს და რომ ვეღარა გააწყო რა, ჯავრისაგან ერთი ძალიან ჩაიკრა გულში მუშტი და მერე გაიქნივ-გამოიქნია.

— აბა, ჯღანი ჭამიავ, რა მოიტანეთ ქალაქიდან, რო ძალიან დაქადებულები წახვედით? — ეუბნებოდა ქიტესას მეორე დღეს თევდორე ცეტიაშვილი.

— შენი ოჯახის დანელება!.. დაიცადეთ, შვილოსა, ისე გაგიხადოთ საქმე, რომ იძახოდეთ, ნეტავი დედი ჩვენი მუცლიდან არ გამოვმძვრალიყავითო...

— ვისი ოჯახის დანელებაო, რა თქვი! — წამოესარჩლა თევდორეს მეორე ძმა და წამოვიდა ქიტესასაკენ.

— შენ ხო არ გელაპარაკები, ჩემო ძმავ, შენ რა გინდა, ბნედიანო, — და ქიტესამ დაიწყო უკან წევა.

— ვინ არის ბნედიანი! — შემოუტია მესამე ძმამ და აქ ქიტესამ მოცხრილა. სამივე ძმები გამოეკიდნენ ამას.

ქიტესა ეცა თავის სახლს, სადაც აპირებდა თავის შეფარებას, მაგ-

რამ დაუხვდა დაკეტილი. ის მიიყუჟა კარებთან და დაიწყო იმის მხრებზედ იფნის სახრეებმა ჟაპაჟუპი.

— მომკალით, შვილო, მომკალით! — იძახდა ქიტესა, — რაც გინდათ, მიყავით, — და თან თავპირზედ იფარებდა ხელებს, რომ სახრეები არ მოჰხვედროდა სახეში.

აქ უცებ დატრიალდა საიდანღაც კეტი და თევდორემ თავსისხლიანმა წაიჩოქა. ძმები მიეტანენ ამას ასაყენებლად, და, როდესაც ერთი იმათგანი დაიდრიკა, ერთი სავსე ქვაბი მდუღარე წყლით დაეშვა თავზედ.

— ჰაი, თქვე ბოროტებო, თქვენა! — დაჰკივლა ამათ თავს მარინემ, რომელსაც მღვდლის სათონედამ მოჰქონდა მდუღარე წყალი, რომ გამოეცხო ქერის ხმიადი, რომელიც ამან აიღო პურის საცხობში ერთი აზნაურისაგან. — შეგრჩათ განა იმ დღეს! — და ამან წამოავლო კიდევ კეტს ხელი მესამე ძმის სათავაზებლად, მაგრამ დაიჭირეს.

— ეს არის, ხო დაგვხოცეთ! ხო მომიკალით ეს ორ-ორი ძმა... შეგრჩეთ, შეგრჩეთ! — იმუქრებოდა მესამე ძმა.

თევდორე მალე მოსულიერდა და ისევ თავსისხლიანმა გასწია მამასახლისისაკენ. მეორე ძმას მდუღარისაგან სულ გასძვრა თავზედ ბალანი და წვერ-ულვაში.

— ეს კარგი ამბავია, — იძახდა ის, რამდენიც მოისვამდა ბალანზედ ხელს და ბალანი შერჩებოდა ხელში, — მაშ სამართალი აღარასადა ყოფილა! ერთმა წუპაკმა დედაკაცმა ეს უნდა გვიყოს. — და ამანაც მთელი სავსე ბღუჯა ბალნით ხელში გასწია მამასახლისისაკენ.

პატარა ხანს უკან მიაწიალებდნენ სატუსაღოში მარინესა და ქიტესას.

— სატუსაღოში დავლპები, ციმბირში წავალ და მაგათ კი თავს არ დავაჩაგვრინებ, — იძახდა გაბრაზებული მარინე, — ეგ წმიდა გიორგის გიჟები, ეგენი.

— აბა, შვილო, ან თქვენ რაზედ ცდებოდით, ან ჩვენ რაზედ მოგვაცდინეთ ამითანა სისხლი ღვრის დროს?! თქვენ გაჩენაში ღმერთი ურევია! — ეუბნებოდნენ ბეროს და სხვა უმამულო გლეხებს სუდია-მამასახლისი, დაბრუნებულნი ნაჩალნიკიდან. — გვიბრძანა: როგორც აქამდინ უღიათ, ახლაც ისე გაიღონო.

— აი დიდება შენთვინ ღმერთო! — გადიწერა ბერომ გაოცებულმა პირჯვარი, — ვაჟო, და რო გვიღია, ჩვენ ხომ აქამდის არ ვიცოდით კამალარიაში როგორ ვეწერენით. ეს, შვილო, წრეულს არ გავიგეთ: ღმერთმა ადღეგრძელოს, ი ხაზინადრის პოპოშნიკმა არ

გვიბრძანა თითონ. არ გეყოთ, შვილო, რაც აქამდინ მეტი ხარჯი გაძლიეთ.

— გვაძლიეთ,• თქვენი სახლ-კარის ამოწყვეტანა, სულ ჩვენ ჯიბეში მიდიოდა! ჩვენ რათ გვაძლიეთ, შვილო, გადასახადი იყო და გადიხადეთ. ჩვენ რა, რომ ჩვენზედ თავს იქნევთ?

— მაშ ოჯახი ამომიწყდეს, თუ ეგ მაგათი მოგღნილი არ იყვეს,— დაიწყო ქიტესამ, — ნაჩალნიკი მაგას რათ გიბრძანებდათ! მაგრამ სულ თქვენა ხართ, თქვენა. მინამ თქვენი სინსილა არ გაწყდება, ჩვენ ქვეყანაზედ არ გვებოგინება.

— აჰაი, ჯღანავ! აჰაი, ჯღანავ! შეგრჩა, განა! — შემოუტიეს ოთხთა ძმათ ცეტიაშვილებმა.

— შენ დადექი, შენ ვინა გკითხავს, შე ოჯახდაქცეულო! — შეუტია ბერომ ქიტესას.

— მკითხავს კი არა, ღმერთია შენი თავდები, სულ მაგათგანა ვართ დაღუპულები... აქა, შვილო, მე რა შემიძლიან! საიდან უნდა გავიღო მაგოდენა ხარჯი, ცოლ-შვილს ხო ვერ გავყიდი.

— რატო არ შეგიძლიან, შვილო? — დაიწყეს სუდია-მამასახლისმა, — ოროლი შვილი გყავს საშოვარზედა.

— საშოვარზედა! ღმერთმა მეტი საშოვარი ნუ შემოიტანოს თქვენ ოჯახში. ბიჭია ი რაღაც თუმან ნახევრად გვიდგია და ამი ფულით გამოვიკვებენით ამ სიძვირეში. გოგოა, შვილო, და რვა მანეთათა დგას, და რვა მანეთი რო თქვენ მოგცეთ, მე რიღას მოვაგლახე ვარ! რით უნდა ვირჩინო ამას იქით თავი... ერთი ბოჩოლა არა მყავს! ჰა!

— რო მოკვდე, უნდა ესე გაჭიმო ჭაპანი და ჩვენთანა სწყო უღელი, — დაიწყო თევდორე ცეტიაშვილმა.

— შენ, შენთვის დადექი, თევდორე... თორემ ვნახოთ!.. იმდღეანდელი ხო გახსოვს. აი, აჰაა! — აქ ქიტესამ მოისვა ულვაშებზედ ხელი.

— კვეხულობ კიდეცა შენი აშარი ცოლის უნარებს! დახე ამ არამზადას!.. — და აქ შემოუტიეს ოთხთა ძმათა.

ქიტესამ მიიხედ-მოიხედა და მარინე ვერსად დაინახა, ამჯობინა სხლიკუდი. სხვებმა დაიჭირეს გაჭირვეულებული ცეტიაშვილები.

— ეხლა აგვიშენებია აბა ოჯახი, აი! — დაიწყეს უმამულო გლეხებმა, როდესაც გაშორდნენ სხვა გლეხებს. — აბა რა გვრჯიდა, შვილოსა, ჩვენთვის ვმსხდარიყავით შინა. საწყალი კაცისთვის არც გათენებულა, არც გათენდება. იმოდენა წვალება წვალებად შეგვრჩა, ვალი ვალად დაგვედო, ამოდენა საქმეს მოვცდით, და ბოლოს კი ნახე რა გამოვიდა!..

— ეს სულ შენი ბრალია, მე და ჩემმა ღმერთმა, ბერო, აი, — დაიწყო ვიღაცამ. — სულ შენ აგვშალე, შვილოსა, ძალიან ჭკუაზედ თავსა სდებ, და ვერ კი გააგებინე სამართალს, რა გვინდოდა და რა არა.

— მა რა იყო, თუ არ გავაგებინე! ვერ გაიგონა შენმა ყურებმა, რაც მოვახსენე და რაც დავაწერინე.

— რა მოახსენე, შვილო!.. ქალაქში რაღად მიგვახეტებდი, თუკი ნაჩალნიკთან უნდა გვეჩივლა?! ჩვენ სულ ი ქალაქმა დაგვღუპა.

— რათ მოდიოდით, შვილო, თქვენთვის კი ღმერთს ჭკუა არ მოუცია? თქვენც გლეხკაცი ხართ — მეცა.

— ჩვენ, შვილო, რაც საჭირო იყო, ის კი არ დავაწერინეთ ქაღალდში და იმოდენა ფული კი ჩავღუპეთ, — დაიწყო ეხლა სხვამ.

— რა უნდა ჩაგვეწერინებინა?

— რა, და ისა, რომ უმამულონი ვართ და კამალარიაში ნაკლები ხარჯი გვაწერია-თქო.

— ღმერთმა ნუ რა გაგაგონოს რა! იქ არ იყავი, შე ოჯახდაქცეულო, რო ველაპარაკებოდი ქაღალდი დამწერს! სადა გქონდა, ე ყურები? მა სხვა რა უთხარი, თუ არ ეგ.

— ცარიელი სიტყვით ვინ დაგიჯერებდა!.. რატო კოპიო არ გამოვიტანეთ კამალარიიდანა?.. კოპიო უნდა გამოგვეტანა და წარგვედგინა.

— ეგ კია, მე და ჩემმა ღმერთმა! — დაიწყეს სხვებმა, — კოპიო რო მიგვერთმია, იქნება ესე არ დავნელებულიყავით. ნწუ, ნწუ, ნწუ!.. ვაი რა დავიღუპენით და დავნელდით.

— ეხლა შენღა შეუხვალ მარინეს შინა! — სთქვა ქიტესამ მწუხარებით, — ბერო, მაგდანა შინ არი?.. წავიდე ერთი პატარა დავლიო, თორემ ამდენ საცოდაობას რომელი ქრისტიანი ადამიანი გაუძლებს.

IX

მოვიდა ფოსტის ფულის აკრეფის დრო. სოფელში შეიქმნა ალიაქოთი. სოფელმა, სხვა უმამულო გლეხებს შორის, გამოუცხადა ქიტესა ნაცარკვერაძესაც, რომ, თუ რიგზედ არ შემოიტანს შეწერილს ფულს, სულ ერთიან გაუყიდიან, რაც აბადია.

— ოჯახი დაგექცეთ, თუ არ გაყიდოთ!.. რა მაქ, შვილო, რას გაყიდით. ეს ერთი აძაღლებული სული მაქ და...— აქ ქიტესამ ისეთი სიტყვები დახარჯა, რომ ჩვენ მკითხველებს არ მოჰლანდებიათ.

— შენ მაგი დარდი ნუ გაქ. სულ წმინდა ბაჯაღლო ოქროებ დაგათვლევინებთ, — ეუბნებოდნენ სუდია-მამასახლისი.

ქიტესამ გასწია ბეროს მეუღლე მაგდანასაკენ.

— მაგდანა, ერთი შენი დაძმობის ჭირიმე, ერთი ყანწი არაყი სადმე გექნება... არ ვიცი, ძმავ, სად გავეცალო ამ სოფელს. ...ერთი თქმით, ჩვენი დაღუპვა უნდათ, მაგ სახლკარ ამოსაწყვეტებსა... რით უნდა გავცე ეხლა პასუხი და რა ამოწყვეტა უნდა ვქნა... ჩვენ გაჩენაში ღმერთი ურევია?..

მაგდანამ მოართვა არაყი. ქიტესამ მეორეც მოითხოვა, შემდეგ მესამეც, და გასწია შინისაკენ.

— ეს ჯერ ექვსი მუშისაა შენზედ არაყი, აი, — უთხრა მაგდანამ მიმავალს ქიტესას.

— დიახ, დიახ! ჭეშმარიტი ბრძანებაა... შენ ამაგს როგორ დავივიწყებ, მე და ჩემმა სულმა... მე შენ მოგახსენო, თუ ე შენი არაყი არა... აქამდის არ ვიცი რა მომივიდოდა.

ქიტესა ცოტა შეზარხოშებული დაბრუნდა შინ.

— დედაკაცო, აბა ეხლა ე ამითანა გაჭირვების დღე რო დაგეგდგომია — რა უნდა ვქნათ!..

— მე რა ვიცი, რაც გინდა ქენი. როგორც ცოლ-შვილის აკიდება იცოდი, ისე კიდეც უპატრონე სხეებსაცა და შენ თავსაც.

— ეგება ერთი წახვიდე და ი გოგოს საჯამაგირო გამოართვა, რაღაც რვაოდე მანეთია.

— უი შენი თვალების დაბრმავებასა! სხვა კი აღარა გინდა რა... შენთვის არ გავიმეტე ი გოგო სახლიდანა... ი ფული აი ძროხის სასყიდლად მინდა, რომ ეგება სახლში ერთი ბოჩოლა გამოვზარდოთ. რაღა მიქნია, რომ ის ფულიც სახლიდან გაგატანიო.

— ახა, დიდება შენთვინა ღმერთო! მაშ რა ვქნა, დედაკაცო!.. ქრისტიანი სული არ გიდგია. შე ოჯახამოსაწყვეტო!.. მა საიდან უნდა მივცე... ერთი არ მეტყვი!..

— საიდანაც გინდა მიეცი... მე ამაზედ მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან... პურის საცხობს ვიღებ — შენ ვალებ უნდება, ბიჭის საჯამაგირო — ვალებს უნდება... ეხლა ი გოგოს ფული მე მინდა, რო სახლში ერთი ბღავანაც არის გავიჩინოთ... ჩვენს უსაცოდავესი ქვეყანაზედ ძაღლიც კი აღარ არის...

— დედი! — შემოვიდა და შემოსძახა კარებიდან პატარა სვიმონამ, — მარო მოვიდა და ისეთი ტირის, რო...

— ქა, მაროს აქ რა უნდა?!

— რა ვიცი! — და სვიმონა გავარდა.

მარინე გაჰყვა თან და პატარა ხანს უკან შემოიყვანა თავისი ერთი

თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგო, მარო. ძლივს მოსდევდა, გულ-ამომჯდარი ქვითინებდა და იფარებდა თვალებზედ მკლავებს.

— არა, რა გატირებს, არ იტყვი, შე დანელებულის შვილო, — ეუბნებოდა იმას მარინე.

მარო უფრო უმატებდა ტირილს.

— თქვი-მეთქი, ღმერთია შენი თავდები, — შეუტია ქიტესამ, — თორემ ეს არის გაგხეთქე კვახივით ზედ შუაზედ.

მარო ჩაჯდა ძირს, ჩაჰყო კალთაში თავი და უმატა უფრო ტირილს...

— თქვი, გოგო, რა მოხდა შენ თავს? — ეუბნებოდა მარინე.

მარო კიდევ ვერას ამბობდა.

— თქვი! თქვი-მეთქი, თორემ ეს არი მოგკალი, მოგკალი, შე გველისწიწილო! — დაუტრიალა თავის მუშტები ქიტესამ.

— მომკალით!.. რო მომკლათ ის არ მირჩევნიან... მაინც მკვდარი ვარ თქვენგანა და მაინცა... აი მომკალით! — და აქ გამწარებულმა მარომ წაუშვირა თავი.

— თქვი გოგო, ნუ მომკალ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან, — დაიწყო მარინემ.

— სთქვი!.. რამდენჯერ გითხარით წამიყვანეთ-მეთქი, რო არა შვრებოდით... დღეს ბატონმა გაიგულა ყველანი წირვაზედა... შემიმწყვდია მარტოკა და...

— ვუი, ჩემს ჩაქოლვასა! — და აქ მარინემ შემოიკრა თავში და ჩაიჩოქა, რამდენსამე ხანს თითქო ჩაუვარდა ენაო.

— მერე?! მერე?! — იძახდა ქიტესა, — წაგვწყმინდე?! გამოგვჭერ ყელი!..

— ვაი ამ დღის მოსწრებასა! — შემოიკრა მარინემ საშინლად თავში და გაიწეწა თმები და გადაჰხედა საშინელის განწირულებით მაროს, — მაშ დავიღუპეთ და მოგვეჭრა საქვეყნოდ თავი?!

მარომ განწირულებით მოუმატა ტირილს.

— ადექ, გადი, გადი! შენ არა ხარ ჩემი შვილი. მე შენისთანა შვილი არ მინდა.., წადი ჩემი სახლიდამა. — სტაცა მარინემ მაროს თმებში ხელი და აითრია ასე გარეთ გასათრევად.

მარო შემოეხვია მარინეს მუხლებზედ და შესტიროდა განწირულებით.

— მამკალი, დედილო! რაც გინდა მიყავ... — გასძახოდა ის.

ქიტესა გავარდა სახლიდამ.

— წავალ! — იძახოდა ის, — ხემწიფესთან წავალ... ღმერთამდინ ვიევლი, ღმერთამდინა... რაღად მინდა ქვეყანაში თავი ცოცხალი.

საღამოზედ ქიტესა დაბრუნდა შინ ძალზედ დამთვრალი არაყისაგან.

— ეჰეი! რა ცეცხლია, და! ამას რაღა მომაგონებდა... მოვიკლა თავი — როგორ მოვიკლა და სული როგორ წავწყმინდო! შვილი მოვკლა, და ეგ ხომ უარეს ცოდოში უნდა ჩავდგე... ჰა! მარინე! სად არი ერთი ი გოგო, მაჩვენე კიდევა... ერთი ვნახო ის ჩვენი დამღუპველი! — დაიწყო ქიტესამ ენა მოკიდებით.

— აი გაგხეთქა წმიდა გიორგიმა, რომ კიდევ გახეთქილხარ საცაღას!.. აბა, რა გინდა, შე შავდაუკუღმა. გადასაშენებელო! რაღა შე...

აქ მარინეს მოერია ცრემლები, რომელიც კვლავ იმას არასოდეს არ მოსვლია.

— მა რა ვქნა, დედაკაცო! რატო არ მეტყვი, შე ქითაბძაღლო!.. მა რა ვქნა, რო არც დავლიო? როგორ გაუძლო ამდენ დარდსა!.. ჰა!.. ვაი მეე!.. დედაკაცი განა გასაჩენი იყო! — და აქ ქიტესამ ცხარედ ჩაიკრა გულში მუშტი.

2 იანვარი, 1871 წ.

მოქმედნი პირნი:

დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე
ლუარსაბ II, ქართლის მეფე
თეიმურაზ I-ლი, კახეთის მეფე
შადიმან ბარათაშვილი
ზურაბ, არაგვის ერისთავი
თეიმურაზ, მუხრან-ბატონი
ნუგზარ, არაგვის ერისთავი
ქაიხოსრო, მუხრან-ბატონი
იასე, ქსნის ერისთავი
ბარათა ბარათაშვილი
მაკრინე, მოურავის დ.
გიორგი ქავთარაძე
შაჰ-აბას ყეენი
სულთან მურადი
დედოფალი
ბაადურ ციციშვილი
მელიქ-ათაბაგი
პაპუნა ვაშაყაშვილი
ქეთევან, დიდი მოურავის ქალი
თეკლე, დიდი მოურავის მეუღლე

მოქმედება პირველი

სცენა I

სცენა დიდი მოურავის სააკაძის სახლში.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ფიქრის შემდეგ). დიახ! დღეს მეფე ლუარსაბი მობრძანდება ჩემთან სადილად. რაც თათარხანს გადავარჩინე, მას აქეთ უფრო კაი თვალზედა მხედავს. კაი სადაეები უნდა. რომ ეგ ხელში დაიჭიროს კაცმა, მინამ ეგ რიგიანს ხელში არ ჩავარდება და რიგიანი კაცები არ ეყოლება მახლობლად, მინამ ხეირი არ იქნება, და ჩვენი ქვეყანა, უიმისოდაც დამხობილი, უარესად დაიმხობა და გახდება თათრების ლუკმა, ან ჩვენვე დავსჭამთ ჩვენისავე კბილით ერთმანეთს. შადიმანის მოწაფისაგან რა ხეირს უნდა მოელოდეს ქვეყანა. განა თუ შადიმან უჭკუოა! მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ჭკვიანია და ბოროტი. იმისი დაუნდობელი ხასიათი და ყოვლისფრის შიში—მეფეს არასდროს კარგ გზაზედ არ დააყენებს... შადიმანს თუ ერთი ბეწო გაუჭირდა, თავის შვებისათვის არა თუ მეფეს, და თვით საკუთარ შვილსაც არ დაჰზოგავს... (წამოდგება) ამისთანა დროში, — როცა ამდენი უწესოებით ლამის ქვეყანა დაიქცეს და. როდესაც ჩვენი ერთობაც ისე დარღვეულია, რომ ყველას მარტო თავისი თავიღა აბსოვს, საჭიროა მეფე... ჭკუა და სიყვარული არ აკლია ლუარსაბს და ვერც არავინ ვაჟკაცობას უძრახავს. მაგრამ აკლია იმისთანა ზნე, რომელიც ამ ჩვენს მდგომარეობაში, თითქმის, ყველაზე უფრო საჭიროა, არა აქვს მტკიცე ხასიათი და რიგიანი კაცებიც არა ჰყავს. იმის მახლობელთაც ეს უხარიანთ და ცდილობენ, რაც შეუძლიანთ, რომ მეფის უზრუნველყოფით თითონ დიდება და ქვეყნის ცხოვრება ხელთ იქონიონ. არა, მე უნდა მოვაშორო იმ ნაცარქექიათ, რომელთაც ხელში დაუჭერიათ ეგ მხოლოდ თავიანთ ბედნიერებისათვის. და თუ ეს ჩემი აზრი შევასრულე, მაშინ!.. მაშინ იმედი მაქვს — საქმე როგორც მინდა, ისე წავიყვანო. ცხარე იქნება ბრძოლა, მაგრამ... ღმერთია მოწყალე...

მ ა კ რ ი ნ ე — (მოდის). რატომ აგრე დაფიქრებული ხარ, გიორგი? შენ, მგონი, სულ ომების ფიქრში ხარ. საცაა მეფე თავს მოგვადგება, და ჯერ კიდევ ვინ იცის რამდენი რამ გვაკლია.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ფიქრი არ არის — ყველა იქნება და მეფეს უკადრისობას არას გავუწევთ... მაგრამ შენ რომ ეხლა ჩემთან შემოხველ, ძალიან კარგი ჰქენი.

მ ა კ რ ი ნ ე — მიკვირს! შენ როცა ფიქრში ხარ, თუ მაშინ შეგესწრო ვინმე, — ისე უყურებ იმას, თითქოს იმ ერთის შეხედვით მიწა უნდა გაჰხეთქო და შიგ ჩააძვრინოვო. ყოველთვის მეშინიან ხოლმე, როცა შენ ფიქრში ხარ, შენთან გამოჩენა, და ეს არის საკვირველი, რომ თავის დღეში კი ვერავინ მიხვდება რასა ფიქრობ.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მოდი, დაჯექ. შენი ნახვა მე ყოველთვის მიამება. ან კი შენ რა ფიქრს დამიშლი, როცა მე ფიქრი რისამე მინდა, მაშინ არა თუ შენ, ზარბაზანიც რომ ისროლონ — მე არას დამიშლის... ჩემთან ახლოს დაჯექ.

მ ა კ რ ი ნ ე — თუ დავჯექი—მე ვიცი მეტყვი, რასაც ფიქრობდი. ნეტავი ვიცოდე, რათა ხარ ეგრეთი დაფარული ხასიათისა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — აკი უთქვამს შადიმანს, რომ ეგ შურიანმა კაცმა იცისო.

მ ა კ რ ი ნ ე — საკვირველია, რათ ეჯავრები აგრე შადიმანს? თავად კინაღამ მეფეს შეგაძულა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი—აკი მაგისი პასუხი უთქვამს ქათალიკოზს: ორი შხამიანი გველი ერთს სოროში ვერ მოთავსდებიანო. ეს იქით იყოს, სხვა ვთქვათ რამე. მინდა, რაც გუნებაში მიძევს, ყველა გავათავო მეფის მოსვლამდის, რომ კარგს გუნებაზედ ვიყვეგებო, რომ ჩემი მხიარულება შეედრებოდეს დახვედრას. თორემ, ხომ იცი, მეფის გული ნებიერია.

მ ა კ რ ი ნ ე — (დაჯდება და დაეყრდნობა მოურავს). შენ გენაცვალოს შენი მაკრინეს ორივ თვალები. ნეტავი შენ ჩემგან რამე გიამებოდეს, თორემ შენზედ უკეთესს ვიღას ვაამებ.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ეგ ვიცი და კიდევაც იმედი მაქვს, რომ ყოველს ჩემს სურვილს აასრულებ და ჩემს გამოჩენის დღეს—გამომაჩენ; ეს დღეც არ არის შორს. დღეს მეფეს ისე უნდა მივეგებოთ და ყოვლისფრით ვასიამოვნოთ, რომ ეს დღე სახსოვრად ჰქონდეს და არა სთქვას, რომ საკაძე ჩემს საკადრისად ვერ დამიხვდაო. ხომ იცი, მეფე რარიგ ნებიერად არის გაზრდილი: იმას ყოველი შექცევით გული სავსე აქვს. ყოველი საკრავის სმენით ყური მობეზრებული აქვს. ამის გა-

მო, როგორიც მასპინძლობა უნდა გავუწიოთ, ისე ვერ ვასიამოვნებთ, როგორც ეკადრება. ის არის ყმაწვილი და სიამოვნების მოყვარე კაცი. იქნება ვერც ერთი გამარჯვებით, ვერც ერთი თავის განწირულებით და მაგისთვის თავის დადებით ისე ვერ მოვიგოთ მაგისი გული, როგორც ერთი კარგის შექცევით და მაგის მოლხენით. ამის გამო, რომ ყოველივე — სუფრა და სამსახური იყოს შემკობილი, უნდა შენ უმღეროს მეფეს სადილზედ, როგორც შენგან ვიცოდე. როდესაც გიორგი ქავთარაძე მოგიტანს სანთურს, არ უნდა გამობვიდე მეფის წინაშე ქალწულებრივის კრძალვიდან და უნდა უჩვენო თავი შენს მეფეს ისე, როგორც ეკადრებოდეს დიდი მოურავის დასა და ოჯახს.

მ ა კ რ ი ნ ე — როგორც შენი სურვილი იყოს, თუკი საძრახისი არ იქნება, რომ გასათხოვარმა ქალმა უმღეროს ყმაწვილს მეფეს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მეფეთა სამსახური არავისგან საძრახისი არ არის.

ქ ე თ ე ვ ა ნ — (შეჰოდის). რა ვქნა. შვილო, ლამის მეფე კარს მოგვადგეს და ჯერ კი წესზედ არა არის რა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ნუ სწუხარ, დედაჩემო, ყველაფერი იქნება, იმისთანა კაცები არიან წესის მიმცემნი, რომ არაფერს წაახდენენ.

მ ა კ რ ი ნ ე — აბა დედასაც ვკითხოთ, რასა ბრძანებს.

ქ ე თ ე ვ ა ნ — რისას?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — რასაკვირველია, ეგ საქმე დედის დაუკითხავად არ იქნება და, იმედი მაქვს, დედაჩემიც არ დამიწუნებს ამას.

ქ ე თ ე ვ ა ნ — რასა, შვილო? კვლავ როდის რა დამიწუნებია შენთვის, რომ ეხლა დაგიწუნო?!

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — რადგან დღეს მეფის წვეულება იქნება ყოველითურთ შემკობილი და ღირსსახსოვარი, მეფის შესაქცევად იქმნებიან გამართულნი საკრავნი: ორღანონი, წინწილანი, ბობღანნი და სხვანი,—მე მინდა, რომ ჩემმა მაკრინემ დაუკრას სუფრაზედ სანთური და დაჰმღეროს თავის მშვენიერის ნაზის ხმით, რომ ამით უფრო მოვალხინოთ ჩვენი მეფე, რომელსაც საკვირველად უყვარს ქალის სიმღერა.

ქ ე თ ე ვ ა ნ — (შეფიქრიანებული). ვიცი შვილო, რომ შენ უკადრისს და უშკუოს არას მოიფიქრებ, მაგრამ მე ცოტა მეშინ-ან... (მაკრინეს). გადი, შვილო, შენ იქ საქმეებს მიჰხედე (მაკრინე გადის). მერიდება მეფესთან მაკრინეს გამოჩენა.

დიდი მოურავი — შენ ნურაფრისა ნუ გერიდება.

ქეთევან — ცოტა არ არის, შვილო, რომ ჩემს მაკრინესაც ჩავარდნილი აქვს გული. რაც ამან ის ნახა ცხინვალში რომ თათარხანზედ გამარჯვებულს ხალხი მიეგება, მას აქეთ ხშირად არის ხოლმე მეფის ხსენებაში.

დიდი მოურავი — ეგ საკვირველი არ არის, მაკრინეს გარდა კიდევ ბევრი სხვა ქალი იქნება მეფის ხსენებაში, ვინც ნახა ის მაშინ ძლევამოსილი, — ისეთი კარგი სანახავი იყო და ისე შვენოდა მაშინ ლუარსაბი; მაგაში საძრახისი არა არის რა და არც რა მაკრინეს დასამცრობი საქმეა.

ქეთევან — არა, გენაცვალოს დედის თვალები! უწინამც დღე დაჰლევია მაკრინეს დედას, მინამ მაგისთანა რასმეს იფიქრებდეს ის თავის მაკრინეზედ.

მაკრინე — (შემოდის). დედილო, გამობრძანდით, მგონი, ვილაც სტუმრები მოდიან.

ქეთევან — (აჩქარებით). დროც არი, შვილო, ეხლა სტუმრები შეყრისა. (მიდის, თან მისდევს მაკრინე).

დიდი მოურავი — (მარტო). ერთი შეჰხედოს კაცმა მაგას, — რა მშვენიერება რამ არის. მაგის ბადალი ქალი ჯერ ლუარსაბს არ უნახავს, და მერე, ცოტა ეშხში შესულმა, თუ ერთი მაგი მშვენიერი სიმღერის ხმაც გაიგონა, მაშინ ნაძლევსა ვდებ, თუ მე და მეფეს დამოყვრება არ მოგვიხდეს. მაშინ!.. მაშინ იმედია მტერს ფრთები შევაკვეცოთ და ეგ მივიყოლო ჩემს განზრახვებში. მაკრინეაო მეფის ხსენებაში! ის კი არ იციან, რომ მას აქეთ მეფესაც მარტო მაკრინეღა აკერია ენაზედ...

თეკლე — (შემოდის). ბატონო, მამაჩემს შემოუთვლია,—ეხლა სარიდან შაბურიშვილი მოვიდა, — რომ მეფე მოდის და მალე მოემზადეო.

დიდი მოურავი — ნეტავი პატარა ადრე მოსულიყო მეფეზედ. ის უფრო გამოცდილი კაცია და ყველას რიგს მისცემდა.

თეკლე — იჰ, გენაცვა! რა იცის მამაჩემმა მაგისთანებისა: თავის დღეში ომისა და გარეთ სიარულის მეტი არა უცდიარა... რა ვქნა, რატომ აგრე ხარ? ჩემს თვალში თითქო დაფიქრებულსა ჰგევხარ, კვლავ კი იცი-ხოლმე ხალხში გამხიარულება და ეხლა კი, როდესაც შენი მხიარულება უფრო საჭიროა. ვერა ხარ გუნებაზედ. ხომ იცი, რაც უნდა კარგი მასპინძელი იყო, თუ თითონ მხიარული არ იქნები, — ყველა ამაო იქნება.

დიდი მოურავი — ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო თეკლე, როცა დრო მოვა, ნახავ, რომ ჩემზედ მხიარული არავინ იქნება. აბდულ ხანს როგორ ვერ გაიცან ჩემი ხასიათი.

თეკლე — შენს ხასიათს განა მიხვდება ვინმე? ოხ, გიორგი, როს იცოდე, რა რიგათა სწყლავს ჩემს გულს შენი გამოუთქმელობა! რომ იცოდე, რარიგად მინდა, რომ ჩამახედა შენს გუნებაში და მაცოდინა შენი ყოველი ფიქრის მოძრაობა...

დიდი მოურავი — თეკლევ, ჩემო დაუფასებელო თეკლევ! ყველაზედ ძვირად მიღირს შენი სიყვარული. — შენი სიყვარული მაძლევს ხშირად მხნეობას და მით მომწონს მე ქვეყანაში თავი. მაგრამ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაგაზედ ნურაფერს ნუ იწუხებ. ბევრი იმისთანა ხასიათია, რომ, რამდენიც უფრო ღრმად ჩაჰხედავ გულში, იმდენი უფრო დაგემალება ყოველი გულის პასუხი და ბინდისა და არეული გესლის მეტს ვერას დაინახავ. და ეს სანახავი არა თუ დაამშვიდებს, პირიქით, უარესს მოუსვენრობაში ჩააგდებს კაცს.

თეკლე — (მივა და დაეყრდნობა თავით მხარზედ). შენ გენაცვალოს შენი თეკლე! (პატარა ხანს უკან გადის).

დიდი მოურავი — საწყალი ჩემი თეკლე! რომ იცოდეს რა ალი ტრიალებს ჩემს გულში, რომ იცოდეს რამდენი არეული საშიშარი და განწირულების აზრი ბრუნავს ჩემს გუნებაში, მაშინ იქნება ისე სანატრელად აღარა ჰქონოდა ჩემს გუნებაში ჩამოხედება... დიახ! ძნელი გასავლელი და სახიფათო გზაა, რომელსაც მე დავდგომივარ, მაგრამ უიმედო კი არ არის. ძალა საკმაოა, მხოლოდ მეფის დაჭერაღა მაკლია. კახთ ბატონი ვერ გაგვიძალოვნდება. და იმერეთის დამორჩილებაც ადვილია; გურიელი და დადიანი ჰსმენ ერთმანეთის სისხლს და ორივენი იმერთა მეფისას. ვინიცობაა, შემდეგ ხონთქარმა მოინდომოს იმათი წასარჩლება, მაშინ იმერეთსაც ყეენის სახარჯოდ გავხდი და ყეენს თავს გამოვადებინებ... მერე პატარა ფრთები თუ შევისხით... მერე!.. ჰე! რა ადრე შევედი ამ ფიქრებში... ამაზედ შემდგომ ვიფიქრებ... უნდა ყველა ფიქრი გულიდან გადავიყარო, რომ მეფეს შეჭმუხვნილი არ დავხვდე.

პაპუნა ვაშაყაშვილი — (შემოდის). მეფის კაცი მოვიდა: მობრძანდებიანო.

დიდი მოურავი — მიმგებლები და მოსაკრავენი ხომ მზად არიან?

პაპუნა ვაშაყაშვილი — მზად გახლავან.

დიდი მოურავი — მომგვარონ ჩემი ლურჯა. (გადის მოურავი და გასდევს ვაშაყაშვილი).

ფარიკაობა დიდი მოურავისა, მორთული სხვადასხვა მძიმე ქსოვილებითა და განაყულებით, ერთს გრძელს ტახტზედ სხედან დედოფალი და ქალები, მეორე ჯხრივ — მეფე და სხვა დიდკაცობა. გარეთ ისმის საკრავებისა, სიმღერისა და თოფ-ზარბაზნების ხმა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი—(მოურავის დედას). ჩემი ლუარსაბი სულ თქვენი შვილის ხსენებაშია. ისე უყვარს იმას თქვენი გიორგი, თქვენმა მზემ, რომ იმაზედ მეტად ძმა და მამა არ ეყვარებათ.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი—(შადიმან ბარათაშვილს). შენ მეფესთან დაბრძანდი და როგორც შენგან ვიცოდე — ისე შემიქციე შენი გაზრდილი. ხომ იცი, რომ შენზედ სასიამოვნო მაგას გვერდს ვერავინ იახლება, და დარწმუნებული გახლავარ, რომ ეცდები ჩემი ოჯახის გაპატიოსნებას.

მ ე ფ ე ლ უ ა რ ს ა ბ — (მოურავის დედას). ბატონო, ბედნიერი ბრძანდებით, რომ ამისთანა შვილი გყავთ. ჩემი პირველი საყვარელი არის გიორგი. თითქმის ერთად ვართ შეზრდილნი. იმავ თაობითვე ყველა თავის ტოლებსა სჯობდა. მაგრამ ეხლა რომ გენახათ თათარხანის ომში, — გაგაოცებდათ ამისი ამბები. უნდა გენახათ მაშინ თქვენი გიორგი. ერთს წუთას. როგორც ლომი, გადაესეოდა მტრის დასში და ვაი იმათ. ვინც გაჰბედავდა გამაგრებას! — ერთს თვალის დახამხამებაზედ შეაყენებდა დახოცვილთ გროვას და გადასთელავდა შემუსვრილებს. მეორე წუთას გიორგი აძლევდა ბრძანებას და აწყობდა ჯარს. საითაც დაატყობდა, რომ ეს არის თათრებმა დასძლიესო, იცოდეთ, რომ გიორგი იქ გაჩნდებოდა თავისის მუქარე ხმით და დასცემდა ზარს ძლევამოსილებს. და შემდგომ მიეშველებოდა სხვაგან გაჭირვებულს ქართველობას. ჩვენც, ყველანი, თუმცა თავგამოდებით ვმხნეობდით და ვიბრძოდით, მაგრამ გიორგისთან სულ აღარაფრად ვჩანდით. მაგის მაგგვარი დაუცხრომელი მხნეობა ჩვენ უფრო გვამხნევებდა და გვაძლევდა გულს. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ არ გიორგი, ძალიან ძნელი იყო ჩვენი გამარჯვება. ნუგზარისამაც, ბარათაანთამაც, მუხრან-ბატონის ჯარმაც ბევრჯერ ადრიკეს თათრებს ზურგი და ველარას ღონისძიებით ველარ ვიმაგრებდით დაღალულს და დაძლეულს ჯარს, თუ გიორგის სიმხნევე და მოხერხება არა. არათუ მარტო თავის მხნეობით და ვაჟკაცობით იმაგრებდა და აბრძოლებდა ჯარებს, ამას გარდა, მრავალს ისეთს ოსტატობას ხმარობდა,

რომ არც ჩვენი და არც თათარხანის ჯარი არ მოელოდნენ. ყველას ერთ წუთას მოჰსაზრავდა და იმწამსვე აღასრულებდა. ჩვენ ეს გვიკვირდა. რომ ამ აშფოთებულს და გალომებულს კაცს, სადღა ჰქონდა მოფიქრებისა და მოსაზრების თავი. იმედი მაქვს, დედავ ქეთევან, რომ როგორც მაშინ გამიწია ერთგულება, ისე ყოველთვის იქნება ჩემი ერთგული და თქვენც, ვითარცა დედა, იქნებით ყოველთვის ამის ჩამგონებელი. დღეს ყველას ჩვენი მტერი შიშით შემოჰყურებს მაგის სახელს, და შემომნატრიან, რომ მაგისთანა ყმა მყავს.

(მეფე შუბლქვეშ დაუწყებს მაკრინეს ცქერას).

ქ ე თ ე ვ ა ნ — არ გახლავთ, მეფეო, ჩემი გიორგი ღირსი მაგგვარის თქვენის ქებისა, და თუ შეუძლიან რამე, მაგისი თავი გახლდებათ ყოველთვის თქვენის ჭირის სანაცვალო და თქვენს სამსახურში უნდა დალიოს თავისი დღენი, — ოღონდ თქვენ ბრძანდებოდეთ მუდამ მაგისი მწყალობელი. (შემოაქვთ ტაბლებით სუფრა და დგამენ).

მ ე ფ ე — (ცალკე). რა მშვენიერი რამ არის ეს მოურავის ქა! რამდენი ლამაზი ქალი მინახავს და მაგისი უმშვენიერესი არა მინახავს რა; მიხვრა-მოხვრა, თვალ-ტანადობა, ეშხი, სულ ერთმანეთზედ უფრო უკეთესი აქვს, ერთმანეთზედ უფრო უხდება.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მეფევ! სუფრა თქვენ გელით.

მ ე ფ ე — (მობრუნდება და გადააწყობს მოურავს ხელებს). გიორგი! დღეს მე და შენ ისე უნდა გავმხიარულდეთ, როგორც შეჰშვენოდეს თათარხანზედ გამარჯვებულებს. ჰყუროს მტერი როგორ გაგვიჩუმდა. შენ რომ შენს სამოურავოებში უფრო საჭირო არა ჰყოფილიყავ, მე მინდოდა, რომ შენ მე გვერდიდან არ მომშორებოდი. შენ როცა ჩემს გვერდით გხედავ და მესმის შენი რჩევა და ლაპარაკი, — ასე მგონია მთელი ხმელეთი მე მიპყვრია და როგორც მინდა, ისე ვაბრუნებ-მეთქი. შენი ნახვა და ჩემი გულის გამხნევება — ერთია-ხოლმე... და ვაი იმას, ვინც ამას იქით კიდევ მოინდომებს ჩვენს დაშორებას! (მეფე მოეხვევა მოურავს. ცრემლები მოსდის. სტუმრები უყურებენ. შადიმან და ზოგიერთი სხვები თავს ღუნავენ).

ნ უ გ ზ ა რ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი — (მეფეს). ერთი მობრძანდი, მამაშვილობასა, რა დროს ალერსია! ეგ ჩემი სიძე აქ არ იქნება, ხომ არსად გარბის, ვაჟო! ჩვენ მუცელი ვალალას გვაყრის და თქვენ მანდ ალერსს რასმე უნდებით.

მ ე ფ ე—ნუგზარი გაგვიჯავრდა, ნუგზარი. (მეფე საჩქაროდ ჯდება სუფრაზედ). ნუგზარ! მოდი, ჩემთან დაბრძანდი: ხომ იცი, შენი ლაპარაკი მიყვარს. როგორ იყო, ხევსურები რომ მოატყუე და ღამე სულ ბუჩქებისთვის ასროლინე და თქვენ რომ უკანიდან მოექეცით და ეშმაკები ეგონეთ? შენც კი ბევრი გადაგხედია, მაგრამ ეხლა შენ რომ შენი სიძე გჯობია — ეგ კი არაფერია.

ნ უ გ ზ ა რ — შენამც დღეგრძელი იყავ, თორემ მჯობთა მჯობი არ დაილევის. მინამ ბიჭობა მეთქმოდა — ჩემი ტოლი ვერა მჯობდა და ეხლა სირცხვილიც კი იქნება, რომ ეგ არა მჯობდეს. ნათქვამია: „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“. თუ ლაჩარი ვინმე ყოფილიყო, ერთს დღესაც არ დავაყენებდი ჩემს ქალს მაგასთან. (ჯდება მეფესთან. ყველანი სხდებიან).

მ ე ფ ე — გიორგი, შენა?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მე, შენი ჭირიმე, მასპინძელი გახლავართ და თქვენი ხლება მმართებს.

მ ე ფ ე — შენ არ მომიკვდე და მამაჩემიც არ წამიწყდეს, რომ მე შენ ეგ არ გიყაბულო: თუ ჩვენი სიამოვნება გინდა—შენ უნდა ჩვენთან იჯდე.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მორჩილი გახლავართ თქვენის ბრძანებისა.

მ ე ფ ე — აქ, ჩემთან, დაჯექ (მოურავი ჯდება). მოგვილოცავს ტოლუმბაშობა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — არა, შენი ჭირიმე, ჩემს სიმამრს მიულოცეთ.

ნ უ გ ზ ა რ — რას ჩააცივდი, ვაჟო, შენს სიმამრსა? ხომ ხედავ, კაცი დავბერდი! რადგან სუყველაფერში პირველს შენ გეძახიან, სმაშიაც შენ უნდა იყვე პირველი და ეხლა გამოგიჩნდება ბიჭობა.

მ ე ფ ე — მართალსა ბრძანებს ნუგზარი: ვნახოთ ღვინოშიაც გვჯობებ, თუ არა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მაშ ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი დიდებული დედოფალი და გააძლიეროს ისე, როგორც თავისი და ქვეყნის გული სთხოვდეს, (სვამს, ჰსმენ ყველანი). დიდებულო ხელმწიფევ, ბატონო ლუარსაბ! ღმერთსა ვთხოვ და ჩვენს სალოცავებს, რომ ყოველთვის ეგრე გამარჯვებით გატაროს, როგორც თათარხანზედ; მოგცეს შენი სამეფოს სიყვარული და დაგამშვიდობიანებინოს საქართველო, როგორც ამას საჭიროებდეს ქვეყანა; და ვინც ამაში ხელი არ მოგიმართოს,—წყეულიმც იყოს ღვთისაგანაც და ქვეყნისგანაც.

მ ე ფ ე — ამინ! (დგება. ეწოდება და ჰკოცნის მოურავს).

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ამინ!! (მესაკრავეები უკრავენ მრავალჟამიერს და ისმის გარედან შედლუხი).

შ ა დ ი მ ა ნ — დიდებულო და ძლიერო მეფეო! იმაზედ უკეთესს ვეღარას ვისურვებ თქვენთვის, რაც მოგეხსენათ, დღეს ჩვენში წარჩინებული, როგორც ვაჟკაცობით, ეგრეთვე მეტყველებით. დიდი მოურავის სააკაძისაგან. ამაზედ უსაჭიროესი არა არის რა ჩვენთვის, როგორც ქვეყნის დამშვიდება; და უკეთუ მონანი შენნი ვიქნებით ყოველთვის ისე ერთგულნი, როგორც თათარხანის ბრძოლაში, — ამას წინ აღარა უდგას რა — ამის გამო, იმ სიტყვებთან, რაც მოურავმან მოგახსენათ, ვისურვებ კიდევ, რომ ყმანი შენნი იყვნენ მარადის შენი ერთგულნი და მოსამსახურენი.

ნ უ გ ზ ა რ — ამინ! (მოიხდის ქუდს და დაახეთქებს). ასრე დაექცეს ოჯახბატონის ორგულს. (სვამს).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამიიიინ! (სმენ).

ნ უ გ ზ ა რ — (მღერის. მოურავი ეუბნება მოძახილს და სხვები — ბანს).

გვიბრძანე, ჩვენო ბატონო,
გახლავართ შენი ყმანია,
შენი მტრის სისხლში მრავალჯერ
ჩვენ ხელი დაგვიბანია:
მებრძოლსა შენსა ძლიერსა
დავაყრევინოთ თავია,
მოვღვაროთ სისხლისა ღვარი
ზღვათამცა შესართავია.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (აავსებს თასს). შადიმან! შენა ხარ, შემდგომ მეფისა და დედოფლისა, უძვირფასესი სტუმარი ჩემს სახლში. შენ ხარ გამზრდელი ჩვენი მეფისა და ამის გამო ძვირად ულირხარ ყოველს ქართველს. მაშ ღმერთსა ვთხოვ შენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს სასიამოვნოდ მეფისა და სასარგებლოდ ქვეყნისა. ალავერდი თქვენთან, ჩვენო სანატრელო სტუმარო და მეფეო, ლუარსაბ!

მ ე ფ ე — იახშიოლ! მაგრამ ვწუხვარ, თუ ამჟამად ვირაცხები შენს ოჯახში სტუმრად. (სვამს სავსე თასით შადიმანის სადღეგრძელოს). ალავერდი, ნუგზარ, შენთან. (მესაკრავენი უკრავენ საკრავებს და მომღერლები მღერიან მრავალჟამიერს).

ნ უ გ ზ ა რ — (სვამს). ალავერდი, რამაზ ბარათაშვილო.

მ ე ფ ე — ნუგზარ! ზმა. ზმა უნდა სთქვა.

ნუგზარ — ჯერ რამაზმა მოგახსენოთ და მერე მეც აღვკაზმავ ენასა.

მეფე — (იცინის, იცინიან სხვებიც). მაშ, აბა რამაზზედა სთქვი ზმა.

ნუგზარ — რა მაზა გახლავთ, თორემ მოგახსენებდით. (ყველანი იცინიან).

რამაზ — ეს მთიული გახლავსთ და მაგან უგზარიდოდ იცის სიარული.

მეფე — შენმა მზემ, ეგეც კარგი იყო. მაშადი მანგლისს და მოერიდე.

შადიმან — მეფეთა მტერი გახლავართ თქვენის ბრძანებისა.

დიდი მოურავი — ოჰ! შენმა მზემ, შადიმანს უფრო კარგი მოუვიდა. (მეფეს). ნება გვიბოძეთ, მეფეო გაახლოთ მზმელი და მუსიკი, რომ მოგახსენოთ თქვენი საკადრისი სიმღერა.

ყველანი — მოვიდეს, მოვიდეს.

დიდი მოურავი — გიორგი ქავთარაძე! მეფეს ჰსურს, რომ მოახსენო თავისი საკადრისი შემკობა.

გიორგი ქავთარაძე — (აიღებს წინწილს და დაიჩოქებს მეფის წინ. უკრავს და მღერის).

აგერ დამდგარა სისხლის ზღვა
ძმათა და შვილთა დაღვრილი,
და ქვეყნის წასალეკავად
არს მწარედ აღელვებული.
სისხლის მწყურვალნი და შმაგნი,
ხელთ სიკვდილ ამაროულები,
შიგა სცურავენ და სისხლით
არ ძღება მათი გულები.
ჰელავს და იბრძვის სისხლის ზღვა
და სისხლს თხოულობს სისხლშია,
სისხლსა დაერთვის სისხლისა
ნაკადი ყოველ პირშია.
ცოდვისა ლუწი ტრიალებს,
სწვავს და აღელვებს ყველასა,
და ზარდაცემულს ქვეყანას
მწარედ უდუნებს ენასა.
ბნელად იმეგობრადაწყვეტილი
ელის ქვეყანა იმ დღესა,
რომ სისხლისა და ცოდვის ზღვა
მრისხნად გადმოჰხეთქს კიდესა,
და ქვეყნად ბოლოდ დასტყვებს
გოდებასა და მოთქმასა.
მაშინ შორს ველი გამოჩნდა
შიგა ზის მეფე ლომგული,
სისხლის ზღვაზედა მცურავი,
ქვეყანისთვის თანაგაჭირავი,
მას დროშა ღამწვიდეისა,
აღუძართავია ველზედა,
და განწირულსა ქვეყანას
სევდა მოეფინა გულზედა.

ბარათა ბარათაშვილი — ჯან, გიორგი ქავთარაშვილო! გიორგი ქავთარაძეს გაუმარჯოს! (სცლის ყანწს). ალავერდი შენთან.

ქავთარაძე — (ჩამოართმევს). ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი დიდებული მეფე ლუარსაბი, რომლის იმედითაც ცხოვრობს ეხლა ჩვენი გაჭირვებული საქართველო. (უსუნთქლივ სვამს. გარედან ისმის საყვირისა და ნაღარის ხმა, ჯარების ყიჟინა და შედლუხი. ქავთარაძე დგება). დიდებულო მეფეო! რასაკვირველია. დღეს მოურავის

სახლში არიან თქვენს შესაქცევად და სადიდებლად მოწვეულნი პირველნი შემაქცევარნი და მომღერალნი. მაგრამ თვით მოურავის სახლში იმყოფება იმისთანა მშვენიერი ხმის მქონე და სიმღერის მცოდნე, რომლის წინაშე არც ერთი მომღერალი და არც ერთი მოსაკრავე არ გამოდგება. ეს გახლავთ მოურავის და — მშვენიერი მაკრინე.

მ ე ფ ე — ჩემთვის ყველა საკრავზედ და ყველა ხმაზედ სასიამოვნოა ქალის სიმღერა და უკეთუ მშვენიერი მაკრინე ღირს გვყოფს და გაგვაპატიოსნებს თავის მშვენიერი ხმის გაგონებით, ჩვენი პირველი სათხოვარი იქნება, რომ შეასრულოს იმან ჩვენი სურვილი.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ყოველი თქვენი ყმა უნდა იყოს მორჩილი თქვენი ბრძანებისა.

გ ი ო რ გ ი ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — (მიართმევს მაკრინეს სანთურს და დაიჩოქებს ცალის მუხლით). ჩვენი დიდებული მეფის სურვილია, რომ ყოვლითურთ შემკობილი სუფრა შეამკოთ თქვენის მშვენიერის ხმით.

შ ა დ ი მ ა ნ — (ეჩურჩულება რაღასაც ბარათა ბარათაშვილს. ბარათა წარბს შეიჭმუხნის და რაღაცას მწარედ იღიმება).

მ ა კ რ ი ნ ე — (ჩამოართმევს სანთურს და, შემკრთალი, ვერა ბედავს ჯერ დაკვრას. ამ დროს მესაკრავენი უკრავენ რაღაც ტკბილს ხმას. ამასობაში მაკრინე ემზადება და იმშვიდებს გულს. მესაკრავები გაჩუმდებიან. მაკრინე მთრთოლვარე ხმით დაიწყებს. ყველანი სულგაქმენდილები ისმენენ)

„შენგნით მოელის ქვეყანა
მწუხარებიდან დახსნასა,
თვალებზედ ცრემლის შეშრობას,
გულზედ სალმუნის დასხმასა.
გლოვისა ზარმა მოიცვა
ძაძა-მოსილი ქვეყანა:
სულ მუდამ ცრემლი და გლოვა. —
გლოვა და ცრემლი ყველგანა.
მთა ველსა ცრემლით გასტირის,
ველი მთას ეტყვის ცრემლით ბანს.
მიწა ცას ცრემლით შესტირის
და მიწას ცხელი ცრემლი ჰრწყავს.
შენგნით მოელის ქვეყანა
მწუხარებიდან დახსნასა,
თვალებზედ ცრემლის შეშრობას,
გულზედ სალმუნის დასხმასა.

(მაკრინე გაჩუმდა. რამდენსამე ხანს ყველანი გაძტერებულივით გაჩუმებულან სხედან).



მეფე თავს დაუკრავს მაკრინეს.

მეფე — გიორგი მოურავო! გამეგონა შენი დის სიმღერის ქება, და მართლაც, რომ საქები ყოფილა. მაგგვარი მშვენიერი ხმა და სიმღერა ჯერ ჩემს ყურს არ გაუგონია. უკაცრავად ვიქნები, რომ ამ ერთს შემთხვევაში ჩამოგართვა ტოლუმბაშობა. მე მინდა დავლიო შენი დის სადღეგრძელო და მსურს, რომ თასი გამივსოს თვით შენმა დამ თავისი მშვენიერი ხელებით.

დიდი მოურავი — თქვენი ბრძანების უარის თქმა ჩემს სახლში არავის შეუძლია. იახელ, მაკრინე, ჩვენს დიდებულ მეფეს.

მაკრინე—(ადგება, აიღებს ვერცხლის საღვინეს, დაიჩოქებს ცალს მუხლზედ და დაუსხამს მეფეს ღვინოს ოქროს თასზედ, რომელიც უჭირავს თვით მეფეს).

მეფე — მშვენიერო მაკრინე! დღეს მეფე შენი გხედავს შენ უღირსესად ყოველთა ქალწულთა და სვამს სადღეგრძელოს. (იწაფებს თასს და უსუნთქლივ სვამს). ალავერდი შენთან, შადიმან, ჩემო ერთგულო გამზრდელო.

შადიმან—(ჩამოართმევს სავსე თასს, რომელსაც ავსებს თვით მეფე და სვამს). მშვენიერო დაო მაკრინე! დღეს მრავალნი წარჩინებულნი ქალწულნი შემოჰნატრიან შენს დიდებას, ვინაიდან ასე მწყალობლად გიყურებს მაღალი და ძლიერი მეფე ჩვენი. ვისურვებ, რათა საფერისად დააფასო სითავდაბლე და წყალობა მეფისა.

მაკრინე—(ჯდება თავის ადგილას. ყველანი ჰსმენ მაკრინეს სადღეგრძელოს).

მეფე — (შეზარხოშებული). გიორგი მოურავო! უბრძანე მოსაკრავეთა და საზანდრებთ, რომ დაუკრან მაკრინეს შესამკობელი ხმები.

(მესაკრავები უკრავენ, გარეთ ისმის ჯარების ყიჟინა. ბუკისა და საყვირის ხმა, ამათ შემდგომ სუფრაზედ სტუმრები ამბობენ სუფრულს, მეფე ეუბნება ბანს).

დიდი მოურავი — (მესაკრავეებს).. სათამაშო! (უკრავენ სათამაშოს. მოურავი ადგება და თამაშობს. მერე თავს დაუკრავს მეფეს). ბატონო ლუარსაბ, თუ ეხლა არ ითამაშე, მე ისე ჩავაგდებ, ვითომც სრული გული არა გქონდეს ჩემს დახვედრაზედ.

მეფე — (დგება და თამაშობს. გაათავებს და თავს დაუკრავს მაკრინეს). იმედი მაქვს, როგორც სიმღერა გცოდნიათ მშვენიერი, ისე თამაშობაც გეცოდინებათ.

მაკრინე—(ვერ ჰბედავს, ჯერ მოურავი წაავლებს ხელს და აყენებს, მაკრინე თამაშობს. მეფე და სხვები უკრავენ ტაშს).

შადიმან — შენ ჰნახავ, ბარათავ, თუ რითი გათავდეს ეს ამბავი. მოურავი თავის გველობას და ოსტატობას არც აქ იშლის.

ბარათა — ეგ მაგას სულ წინათ ექნებოდა გამზადებული; ხომ იცი, რომ უანგარიშოდ ეგ ერთს ნაბიჯსაც არ გადასდგამს წინ.

მელიქ-ათაბაგი — ჩვენ მაგას თუ არა მოუგვარეთ რა, ეგ არ გვახეირებს ჩვენ. (თამაშობა გრძელდება. ყველანი აიშლებიან სუფრიდან. მეფე ათამაშებს შადიმანს, ბარათას, ნუგზარს და სხვა ყველა დიდებულთ).

ნუგზარ — (რა დაატყობს მეფეს დაღალვას). ეხლა, ჩვენო პატიოსანო ბატონო მეფეო, მე და შენ რომ პატარა მოვისვენოთ, ურიგო არ იქნება. თქვენთვის ცალკე ოთახი მზად გახლავს. თუ გნებავთ დედოფალთან გაბრძანდით. ისინიც წაბრძანდნენ მოსასვენებლად.

შადიმან — კარგი იქნება, ნუგზარი მართალს ბრძანებს... ახირებული მაგარი ღვინო იყო.

მეფე — ვასრულებ თქვენ სურვილს. (თავზედ ხელს ისვამს) — ე გიორგი, მოურავო! (მოურავი მივა მაშინვე) მე ისეთს გუნებაზედ ვარ, რომ თუნდ კიდეც არ გიამოს, ამაღამაც შენი წვეული ვარ. ეცადე, რომ ასე კარგად არ დამიხვდე, თორემ აღარც ხვალ წავალ.

დიდი მოურავი — მოკვდეს შენი გიორგი, თუ მაგის უკეთესს წყალობას შენ იმაზედ მოიღებდე. და მანამ ვიცოცხლო, მინამ ამაზედ უარესის გულით გიორგი შენ დაგიხვდებოდეს. (მოსაკრავეებს). მოსალოცი დაუკარით: მეფე ამაღამაც, ხვალაც ჩემი სტუმარია. თითონა ბრძანა და მეფის სიტყვა აღარ გატყდება (მესაკრავენი უკრავენ).

მეფე — (ეხვევა გიორგის და ჰკოცნის). აჰ, შენი ჭირიმე! ღმერთმა მომკლას, თუ ჩემს საყმოში შენზედ საყვარელი მე მყავდეს.

(მეფე გადის. გადიან სხვებიც).

სცენა III

ოთახი დიდი მოურავის სახლში, სადაც განისვენებს დედა მეფისა.

მეფე ლუარსაბ — (შემოაღებს ჩუმად კარს და შემოდის). დედა, არა გძინავთ.

დედოფალი — ოჰ, შვილო, შენა? მოდი ჩემთან, გენაცვალოს დედა, ეხლა როგორ ხარ?

მეფე — ეხლა ცოტა გამოვფხიზლდი. ბარათა, ნუგზარ, შადიმან. თეიმურაზ, ქაიხოსრო სულ ერთს ოთახში ჰყრიან და სძინავთ; უნდა დაგანახვათ ნუგზარ და სოსია როგორა ხვრინავენ, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ძლიან დაიხვრინებ-

სო. (ჯდება დედოფლის გვერდით და უწვება კალთაში. დედოფალი შუბლზედ ხელს უსვამს. მეფე ამოიოხრებს). გამოვფხიზლდი კი, დედილო, მაგრამ ღვინოზედ უფრო ეხლა სხვა რამე მომეკიდა. აქამდის ვიწვექ ჩემს ოთახში მარტოკა და ეს ფიქრი თავიდან არ გამომდიოდა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რა ფიქრი, შვილო? რა დროს შენი ფიქრებია. შენ გენაცვალოს დედაშენი. შენც რომ საფიქრელი რამე გქონდეს, მაშ ვიღა უნდა იყოს უფიქრელი.

მ ე ფ ე — რა ფიქრი, დედაჩემო, და დაფარვა ტყუილი იქნება, მაგრამ მეშინიან, ვაითუ შენ ჩემი აზრი არ მოიწონო და ამასაც კი მოგახსენებ, რომ თუ ეს არ შემისრულდა, სხვა ამგვარი სურვილი ჩემს გულში თავის დღეში აღარ გაივლის. ვიცი, რომ ჩემზედ უსაყვარლესი შენ არავინა გყავს და ამის გამო იმედი მაქვს, რომ ამ ჩემი გულის საქმეში ხელს არ მომიცრი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — უი, შვილო! თუ შენი სავნები საქმე არა იქნება რა — ღმერთი არ ჩამქოლავს, რომ შენ ხელი მოგიცარო. შენს მეტი ვიღა გამაჩნია: ერთი შენღა ხარ ჩემი სულის ჩამდგმელი (მოსდის ცრემლები).

მ ე ფ ე — შენ თითონ კარგად მოგეხსენება, დედოფალო, რომ დღეს მოურავზედ ძლიერი კაცი არ არის ჩვენს სამეფოში. ჯერ ეხლა ყმაწვილია და ქვეყანა-მაგას შესცქერის და ერთი თავისის სიტყვით როგორც უნდა ატრიალებს პირველი გვარის თავადებს და მთავრებს, და მერე რაც უფრო ხანში შევა და გამოიცდება, მაშინ ხომ ქვეყანა სულ მაგის ხელთ იქნება. აგრეთვე კარგად იცი, რომ მრავალი მეშურნენი ჰყვანან მაგასაც და მეც და ერთჟამად კიდეც ჩამოაგდეს ჩვენში შური. ქვეყანა ელის ჩემგან შველას. ქვეყანა იღუპება უპატრონობით. ასე რომ სიმღერაშიაც კი ამას მღერიან, და მე მარტო არაფერი არა შემიძლიარა. ამისთანა დროს ყველაზედ უფრო საჭირო ჩემთვის არის მოურავი. ამის გამო მე მსურს მოურავის დამოყვრება. იმისი და მაკრინე, რომელმაც დღეს ისე მიიზიდა ჩემი გული, რომ ჩემი თავი ჩემს ხელთ აღარა მგონია. არის ყველა ჩემს საცოლეებზედ ღირსი დედოფლობისა. თუ არ მაკრინეს, სხვას დედოფლად საქართველოს ტახტზედ არავის დავისვამ: ბერობას ვირჩევ, უმაკრინეობა კი არ შემიძლია. ამის გამო გთხოვ, დედაჩემო, რომ დღესვე მოელაპარაკო ვისიმე პირით მოურავის დედას, რომ ხვალ ან ამაღამვე დავიწერო ჯვარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (შეფიქრებული). დაიცა, შვილო, ცოტა მაინც მომაფიქრებინე, ან დავეკითხოთ ვისმე: ზოგს მამისოდენა ამაგი აქვს შენზედ, ზოგი სარდალია, ზოგი სისხლი და ხორცი. უიმითოდ როგორ იქნება. წინააღმდეგი ვის შეუძლიან, მაგრამ სამართალია, რომ იმათაც დავეკითხოთ, თორემ ქვეყანა რას იტყვის.

ქ ე ფ ე — ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეგ გახლავთ, რომ მოურავის და ხვალ ან ამაღამ უნდა შევირთო. ეხლა თქვენ იცით: გინდა ჰკითხეთ ვისმე, გინდა — ნუ. საქმე ამაღამამდის უნდა გადაწყდეს. თუ მალე არ დავიგულე ჩემად ჩემი მშვენიერი მაკრინე, — ჩემი თავის იმედი აღარა მაქვს. (გადის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (მარტო). ქა! გენაცვალეთ! ასე უეცრად! რა უნდა ვქნა ეხლა! ეგ ერთი აჟინებული ხასიათისაა, და უყაბულებენ პირველნი კაცნი უბრალო აზნაურის ქალის შერთვას?!..

შ ა დ ი მ ა ნ — (ოდნავ შემოაღებს კარს, შემოიხედავს და მერე შემოდის). ბატონო დედოფალო, ხომ არ განისვენებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ოჰ, შადიმან! მობრძანდი, ეს არის ეხლა შენთანა მქონდა ფიქრი. დაბრძანდი.

შ ა დ ი მ ა ნ — მე გიახელით, ბატონო დედოფალო, რომ გაგაფრთხილოთ ჩემი გაზრდილის შესახებ. აბა იფიქრეთ, რა უბედურება იქნება ჩემთვის და ქვეყნისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის თვალი მეფე რამე თავის დასამცრობს საქმეს შეემთხვეს! თქვენც შეჰნიშნავდით, დედოფალო, დღეს რარიგად შეიქნა მეფე მოურავის დისთვის. ჩვენ უნდა გავეჩქაროთ აქედან, რომ ამაღამის ლხინში ყმაწვილი მეფე უფრო არ აიტანოს ამ ქალის სურვილმა. ცხენები მზად არიან და წასვლის მეტი აღარა გვინდარა. მუხლმოდრეკით გევედრებით, რომ არ გაუშვათ თქვენი შვილი ამაღამ აქ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — აჰ, ჩემო შადიმან, მეც ეხლა ფიქრში ვიყავ და ამიტომ მინდოდა შენი ნახვა. შენი მტერი, რაც ჩემი საქმეა. არ ვიცი, რა წყალში ჩავარდე. ეს არი ეხლა იყო აქ ჩემთან ჩემი შვილი და დაშადგა: გინდა თუ არა, მოურავის და უნდა შევირთოთო, თუ არა და ბერად შევდგებიო. მოფიქრებაც არ დამაცალა, ისე ამიჟინა: გინდა თუ არა დღესვე მოელაპარაკე მოურავს და იმის დედას, რომ ამაღამვე უნდა ჯვარი დავიწეროო. რა ვქნა და რა წყალში ჩავარდე?

შ ა დ ი მ ა ნ — (ჩაფიქრდება და მერე ადგება). ოოუ! განა არ ვიცოდი მე სააკაძის გველური ხასიათი! იმას განგებ ჰქონდა გამართული დღევანდელი წვეულება; განგებ ჰყვანდა ქალები მოწვეული

და განგებ გამოაჩინა და ამღერა და. იმან იცოდა თავისი ღის მშვენიერება და მეფის ყმაწვილური ხასიათი, და ყველა ეს განგებ მოახდინა. ქავთარაძე არის მაგის კუდი და რაც მოურავს ჰნებავს—ის იმას სჩადის... რამდენჯერ მოგახსენეთ, დედოფალო, რომ მანამ გიორგი სააკაძე ცოცხალია, მანამ ქვეყანას კეთილს არ დააყრის და არავის მოასვენებს-მეთქი. ჯერ რომ გამდელიც არ ვიყო და ამოდენა ამაგიც არა მქონდეს მეფესა და იმის სახლზედ — ჩემს დროულს ადამიანს სიზმარიც დაეჯერება. აბა ეხლა რა უნდა ვუყოთ! ვიღა რას ჩააგონებს მაგას. ქვეყნის სამარცხვინოდ, თქვენი ჭირიმეთ, მეფე როგორ უნდა გაუხდეს სიძედ ერთ ვიღაც კუდა აზნაურს! მაგას თითონ ხელმწიფეები არ დაუჭერდნენ ქალს და დღეს სააკაძე უნდა დაიმოყვროს! რატომ არ გასკდება დედამიწა და არ ჩაიტანს მაგისთანა ბოროტს და ქვეყნის ამრევს კაცებს! რატომ ქვეყანა არ შეირყევა, რომ ყოვლად სჯაქართველოს მპყრობელი, მეფე საბარათიანოსი, ქსნისა, არაგვისა, ქრცხინვალისა, მუხრანისა და სხვათა—შეიქმნეს სიძედ ერთი უკანასკნელი აზნაურისა. ოო! დაინგრეს ის დღე და ის საათი, როდესაც გიორგი სააკაძე ჩამოთესლდა მეფის სასახლეში. დაიქცეს ის უკუღმართი საათი, როდესაც ეგ მეფემ და დედოფალმა დაინახეს კარგს თვალზედ. მაშინვე ეტყობოდა მაგას გველობა, მაგრამ ჩემი გამგონე ვინ იყო! (დაჯდება და დაფიქრდება. ადგება ისევ). დედოფალო! მე ერთს ფიქრზედ მოვედი და ამის მეტი სახსარი ჩვენ არა გვაქვს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — აბა, გენაცვალოს ჩემი თავი, მუდამ ჩემი ოჯახის ერთგული და დამცველი შადიმან.

შ ა დ ი მ ა ნ—მეფე ლუარსაბი ჯერ ახალგაზრდაა. მაგის გულის თქმა არის წუთის სურვილი, და თუ ეგ წუთის სურვილი შეუსრულდა, იმავე წამს ყოველივე ტრფიალება გულიდან გადაუვარდება და იქნება სიყვარული სიძულვილათაც გადაექცეს. ამის გამო, მე ვფიქრობ და იმედიცა მაქვს, რომ ის ქალი უქორწილოთაც გაურიგო და მაშინ მეფე ხვალ თითონვე განერიდება მაგ ქალს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — შადიმან, ღმერთმა კარგი მოგცეს, კარგი აზრი ეგ იყოს, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ეგ არის და გიორგი სააკაძისა.

შ ა დ ი მ ა ნ — რა! მე თქვენ მოგახსონოთ, გვარიშვილობა წაუხდება! თქვენ ვერ გიცვნიათ სააკაძე. ოღონდ მეფისგან გამოელოდეს რასმე, თორემ... მე მომანდეთ და მე მიკისრია.

დედოფალი — შენ იცი, შადიმან, ოღონდ სირცხვილში კი არა-ში ჩაგვაგდო.

შადიმან — სააკაძემ სირცხვილისა არა იცისრა... ჯერ საქართველოს ტახტი ისე არ დამცირებულა, რომ სააკაძის ქალი დედოფლად იჯდეს. (გადის).

სცენა IV

ოთახი დიდი მოურავისა.

დიდი მოურავი — მეფეს ძალიან გაუჯდა ჩემი დის სიყვარული, სადილსუკან ის იწვა მარტო ოთახში გულაღმა, მკლავები ჰქონდა თვალებზედ გადაფარებული და ორჯერ-სამჯერ მოვკარ ყური, რომ ბურანში ის მაკრინეს სახელს ახსენებდა და ოხრავდა. ღმერთმა ჰქნას მაგ ოხვრას მოჰყვეს ქვეყნის ლხენა.

ქეთევან — (უცებ შემოაღებს ოთახის კარს და შემოდის). აკი გითხარ, შვილო, რომ ჩემს მაკრინეს ნუ გამოვაჩენთ-მეთქი! რაზედ დამღუპე, რაზედ შემარცხვინე, რაზედ გამომჭერ ყელი, შე ჩემის ცოდვით სავსევ! (ტირის).

დიდი მოურავი — რა იყო დედაჩემო? რა მოხდა აგრეთი?

ქეთევან — რა მოხდა — და მეფეს ჩვენი შერცხვენა მოუნდომია... თქვენი ჭირიმეთ, რატომ არ ჩამქოლავთ ამ დღის მომსწრეს!

დიდი მოურავი — როგორ! ვინ გითხრა?

ქეთევან — თითონ მაკრინემ, იმ უბედურის და უკუღმართის დღის ნაშობმა. მეფეს ბაზიერი შემოუჩენია.

დიდი მოურავი — და ბაზიერსაც გაუბედნია მაგ ამბისა ჩემს ოჯახში შემოტანა?! (იტაცებს ხანჯალზე ხელს). სად არის ეხლა?..

ქეთევან — (უღობავს კარსა). შენ გენაცვალე, შვილო, ნუ გაშფოთდები. მე მომკალ, ნუღარ მაცოცხლებ და ამ ამბავს კი ნუღარ გამოაქვეყნებ.

დიდი მოურავი — ვაიმე, რომ ჩემს სახლში არიან, თორემ ჩავამწარებდი მაგ კადნიერებისათვის. ვინა! მეფე ლუარსაბ. რომელიც იცნობს ჩემს ამაყს გულს, მიბედავს მაგგვარს შეურაცხყოფას?!.. არა, ეს ლუარსაბის საქმე არ არის, ეს ხდება სხვების შეგონებით. და ვაი იმათს დღეს, თუ ეს მართალი გამოდგა. (გაიღებს კარებს). სთხოვეთ მუხრანის ბატონს, თეიმურაზს, რომ ერთს წუთას აქ შემობრძანდეს.

ქეთევან — ნუ აჩქარდები, შვილო, შენ გენაცვალოს დედიშენის თვალები, ნუ მომჭრი საქვეყნოდ თავს. (გადის).

დიდი მოურავი — ამ დღესაც მოვესწარ, რომ ჩემს სახლს ამ შეურაცხყოფას აყენებენ! ჯერ მოკვლას მექადდა — ვერ მოახერხა და ეხლა ესეებიც მონდომია! ოოუ, შადიმან! ვიცი სულ შენი ჰუნარებია ესეები და ავად გაუსწორდებით როდისმე მე და შენ ერთმანეთს. შენ, მგონი, დაგავიწყდა ის დღე, რომ საქვეყნოდ იარაღი აგყარე და დედაკაცის სახელი გიწოდე. ეტყობა საჭიროა, რომ ხშირად გაგიახლებდე ხოლმე ამ დღეებს.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი—(შემოდის). რა ამბავია, გიორგი?

დიდი მოურავი — დაბრძანდი, თეიმურაზ, და მოგახსენებთ. (დასხდებიან ორივენი). დღეს შენზედ დიდი კაცი, შემდგომ მეფისა, ჩვენში არავინ არის და შენზედ მახლობელიც მე არავინა მყავს. დარწმუნებული ვარ, თეიმურაზ, შენი ძმობისა და მეგობრობისაგან, რომ მე სიტყვა არ გამივა შენგან. მეფის სასიამოვნოდ და შესაქცევრად მოვიწვიე მრავალი დიდი კაცის სახლობანი, სადაც ბრძანდებოდა თქვენი სახლობაც, ვამღერე ჩემი და მაგის შესაქცევად და ვაახლე ღვინის დამსხმელად, — შევასრულე, რაც მეფის სურვილი იყო, და მაგან კი ჩემი სახლის შეურაცხყოფა მოინდომა. ნეტავი იცოდეთ: მეფეს ჩემის დისათვის ბაზიერი შეუჩენია!! ამაზედ მეტი შერცხვენა და ლაფის დასხმა რაღა იქნება? ამისათვის, გთხოვ, მიმეგზავნო მეფესთან და ჰკითხო: რას მემართლებოდა ამგვარის შეურაცხყოფით? ნუთუ ისე შერცხვენილად მიცნობს, რომ ჰგონია ყოველს შეურაცხყოფას ავიტან! შეუძლიან მომკლას, თავი გამაგდებინოს — ყველა მაგის ხელთ არის — მეფეა, წინააღმდეგი არავის შეუძლიან; მაგრამ მაგგვარს შეურაცხყოფას, მინამ ეს თავი მხრებზედ მაბია — არ მოვითმენ. დამდევ ვალად, შემიტყვე ეს ყველაფერი მეფისგან და ეხლავე შემატყობინე.

თეიმურაზ — ბატონი ბრძანდები. თუ ეგ მართალია, მამაჩემი არ წამიწყდეს, სწორედ საწყენია და კიდეც მიკვირს მეფის გონივრებისაგან. (თეიმურაზი გაღის და მოურავიც თან გასდევს).

მაკრინე—(შემოდის). სად წასულა, თქვენი ჭირიმეთ, აქაც არ არის! (დაეშვება ტახტზედ და მიიფარებს თვალებზედ ხელსახოცს). ღმერთო! რა შეგცოდე ასრეთი, რომ ამ სირცხვილში ჩამაგდე!.. რად მომეცი ეს სახიერება, თუკი ამითი მე ეს სირცხვილი და დამცრობა მეწერა! სად იყავ შავო ჭირო, რომ აქამდის არ მომკალ და არ მომარჩინე ამ ამბავს!! რატომ არ დამჩენჩეს და არ დამასახიჩრეს ამ საშინელმა ყვავილმა და წი-

თელამ, რომელნიც ისრე უწყალოდ მეყარნენ თავსა და პირზედ?! რათ უდგამდა დედაჩემი ამ ანგელოზთ ტაბლას და უკმევდა ბაზმას, რომ ჩემი მაკრინე არ დამისახიჩროვო, თუკი ჩემს უსახიჩრობას მოსდევდა ჩემი თავის მოჭრა!!..

თ ე კ ლ ე — (შემოდის). შენ გენაცვალე მაკრინე, მართალია, რაც ჩემმა დედამთილმა მიბრძანა?

მ ა კ რ ი ნ ე — აბა! რატომ არ ჩამქოლავ!! რასაც ერთს აიჟინებს ჩემი ძამია, ველარავინ გადაათქმევინებს; რა გამოჩენა გვემართა ჩვენ შესარცხვენათა.

თ ე კ ლ ე — ემანდა, ეგეც შენი მეფე! რომ აგეჟინებინა: ეგ იმისთანას არა ჰგავს, რომ გიორგი სასიკვდილოდ გაიმეტოსო. ემანდა ეხლა რას ჩადის.

ბ ა ზ ი ე რ ი — (შემოჰყოფს თავს კარებში. მაკრინე ამის დანახვაზედ შეჰკივლებს და გარეთ გავარდება. თეკლე თან გაჰყვება. ბაზიერი შემოდის). მოურავი აქ არა ყოფილა... ჰყურობ, როგორ შეჰკივლა და გაიქცა. თითქო აქ არა ამბავიარაო; და წელან კი კალთაში უვარდებოდა მეფესა, ნეტავი ეს ოხერი მეც ერთი დღე მაინც ვიყვე მეფე. ერთი დააცქერდეს კაცი რა მშვენიერი რამ არის და!.. ამაღამ, ჩემი უგუნური ფიქრით, მამაჩემი არ წამიწყდება. ჩვენ მეფეზედ ბედნიერი მეფე ცას ქვეშეთ არავინ იქნება... არც კი ეგ იქნება უბედური: ერთი ღამის დედოფლობაც კარგია! ძალიან უარი კი უტკეცია და!.. ეხლა ერთი ჩვენმოურავი ვნახო. პირად იმანაც კი იცის თაკილი, და გულში კი, მამაჩემი არ წამიწყდეს, რომ სიხარულით გაივსება. ბევრისთვის გაუწევია ჩვენს მეფეს სიძეობა. მაგრამ ოჯახდამექცეს, თუ იმას ჯერ ასრეთი დაბალი მოყვრები შეჰხვედროდეს... საკაძე! ერთი გუდამშიერი აზნაური!

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (შემოდის და თეიმურაზ მუხრან-ბატონიც თან მოსდევს). შენ აქ რას აკეთებ?! როგორ გაჰბედე, რომ ჩემს უნებურად ჩემს სამყოფს ოთახში შემოხველ?!

ბ ა ზ ი ე რ ი — (შემკრთალი უკან იწევს). ცოტა რამ მოსახსენებელი სიტყვა... თუ თქვენი ნებაც იქნ...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — აქვე ხარ! (სტაცებს საყელოში ხელს, წასჩხაპნის კარებში და გააგდებს ქიმუნჯით).

თ ე ი მ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — დამშვიდდი და მოისმინე. გიორგი, მეფემ რაც შემოთვალა. მამაჩემი არ წამიწყდება. მოსალოცი ხარ და კიდეც გილოცავ სულით და გულით. მეფემ საკვირველად გაიოცა ეს ამბავი და სთქვა: ეგ ამბავი

შეცდომა იქნებაო. შემოგითვალა, რომ გვეყო, რაც აქამდის ჩვენში შური იყოვო. ეხლა მე მრავლის შემთხვევით დავრწმუნდი, რომ შენისთანა ერთგული და საჭირო კაცი არა მყავსო. შენი დაც ძალიან მომეწონა და მსურს, რომ დავმოყვრდეთო. მეფეს ჰსურს რომ, თუ შეიძლებოდეს, ამაღამვე დაიწერონ ჯვარი, თუ არა და ხვალ მაინც და მაინც. შენმა მზემ. რომ ასე უცებ ბედნიერება ყოვლად მოულოდნელია და კიდეც დაიწყე მზადება ამაღამისთვისვე... რაკი შენ და მეფე დაჰმოყვრდებით — მტერი ვეღარას გიზამთ.

დიდი მოურავი — აბა, ჩემო თეიმურაზ, მეც მანდა ვარ. ღმერთმა კარგი მოგცეს — კარგი ღვთის წყალობა ეგ სხვისთვის იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის ეგეც სწორედ უბედურებაა, ჰხედავ ჩემი მტერობა რას ჩადის! ეს ჩემი გაუპატიურების მონდომა იმათი საქმეა — მეფეს არც კი გაუგია! ჩემთვის მტერი აქამდის კი არ იყო საშიშარი, ეხლა არის. თუ ჩემი და მეფეს მივეცი, აბა შური მაშინ გაიღვიძებს ჩემს მტრებში და ჩვენ ერთმანეთს შეგვახოცენ. ამის გამო ხელმეორედ შევაწუხებ, თეიმურაზ, დამავედრე მეფე, რომ ჩამომეხსნას. მე. ერთი უბრალო აზნაურიშვილი, არა ვარ ღირსი მაგის მოყვრობისა. ჯერ არა ყოფილარა და ჩვენი მეშურნები ეხლავე შეიბნენ. და რომ მოხდეს რამე, მაშინ რას უნდა ვეღლოდეთ!

თეიმურაზ მუხრან-ბატონი — ბატონი ბრძანდები, მაგრამ არა მგონია მეფე შენ მაგითი შეიჯერიო. ის იმნაირად ლაპარაკობდა, რომ თუ ნება არ იქნება, იქნება ძალაც იხმაროს.

დიდი მოურავი — თუ მეფემ არ ჰქნას, მაშინ დედოფალს შემახვეწე, რომ ჩამომხსნას ეს ხათაბალა და ნუ ინებებს ჩემს დაღუპვას. დადიანის ქალზედ ელაპარაკებიან და მაგისი შესაფერიც უფრო დადიანის ქალია და სილამაზითაც ჩემ დას ის არ ჩამოუვა... სწორედ მუხლმოდრეკით შემავედრე, რომ ჩამომეხსნან და მთელს ქვეყანას მტრად ნუ გამიხდიან.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი — შენი ნებაა. (გადის).

გიორგი ქავთარაძე — (შემოდის). რას სჩადიხარ, გიორგი, რათ უთვლი უარს? ძლივ საქმე როგორც გვინდოდა, ისე მოვიყვანეთ და ახლა უარზედა სდგეხარ!

დიდი მოურავი — ჩვენ უნდა საქმე მკვიდრად დავიჭიროთ. უამისოდ შეიძლება ჩვენი საქმენი და განზრახვანი უფრო წავახდინოთ, ეს უფრო მტრად აგვისევს მეფის მახლობელთ. თუ მეფეს კარგად არ დავიჭერთ ხელში.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — მეც ვფიქრობდი მაგაზედ... ერთი ფეხის გადაბრუნება და ჩვენი მტრების გამარჯვება ერთი იქნება. შადიმან კიდევ რაღაცას გველაძუობს...

მ ე ფ ე — (შემოდის. ქავთარაძე გადის). გიორგი, შენი ნახვა მინდა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მობრძანდი, შენი ჭირიმე. (მიეგებება). დაბრძანდით.

მ ე ფ ე — მამაჩემი არ წამიწყდება, გიორგი, რომ მიკვირს შენი ამბავი. მაშასადამე, შენ ჩემი დაახლოვება და დაკავშირება არა გდომებია და უნდა დავიჯერო, რასაც შენზედ აქამდის მეუბნებოდნენ. მე მეგონა ჩვენში ყველა უთანხმოება მოისპომეთქი, და ეხლა შენი ქცევიდან უნდა გამოიყვანო, რომ შენ ჩემზედ გული აქამდის არ გაგიწმენდია. შენი დის შერთვა იმიტომ უფრო მინდა, რომ შენი დაახლოვება მსურს, რომ მე და შენი გაყრა აღარა მტერს და აღარა ენას აღარ შეეძლოს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ბატონო მეფეო! ღმერთია გულთამხილველი რომ მე, თუ გიბედავ უარს და ვუშვებ ხელიდან ამ ბედნიერებას, ეს მომდის თქვენი ერთგულებით და არ მინდა ამაზედ უმეტესად შეგაძულონ ჩემი თავი ჩვენის დამოყვრებისათვის. შენ თითონ კარგად იცი, მეფეო, შური საქართველოს მრავალთა დიდებულთა, რომელნიც არც შენ მოგიწონებენ ჩემს დამოყვრებას, და მიგაღწევინებენ იქამდის, რომ შენ გამიმეტებ კვალად სასიკვდილოდ. ნუ გეწყინება, მეფეო, მართლის თქმა. შენ კარგად იცი გიორგი მოურავის ხასიათი, რომ ის ამოღებული ხმლის წინაც არ დაჰფარავს მართალს. შენ ჯერ ისევ ყმაწვილი ხარ, შენს ჭკუასა და ახოვნებას მრავალნი ხელმწიფენი ინატრებენ. მაგრამ, შენ არა ხარ ჯერ დამჯდარი ხასიათისა, არა გაქვს გამოცდილება, რომელიც არის საჭირო შენს მდგომარეობაში: არ იცნობ კაცსა და კაცის გულსა. და ამის გამო ადვილად ახლევ სხვის სიტყვას, რომლის გამოც ხშირად ვერ არჩევ ერთგულსა და ორგულს შენსას და შენი ქვეყნისას. შენ გახვევიან იმისთანა გვამნი, რომელნიც თავის სასარგებლოდ ჰხედავენ, რომ არ გამოგიყვანონ მაგ მდგომარეობიდან. გიფარავენ ცუდს და ყველას კარგის მხრიდამ გიჩვენებენ, გაქებენ პირში და იმისთანა ღირსებებს გიჩვენებენ შენში, რომელთაც შენს გულში ჯერ სრულებით არ გამოუღვიძნიათ, და, რაღა თქმა უნდა, ყველას, ვისაც ატყობენ, რომ უნდა შენი სიმართლის დანახვება, მტრად უყურებენ და უნდათ, რომ ავად იქნება თუ

კარგად, მოგაშორონ შენ იმათ. აი, ამისათვის არის, ხელმწიფეო, რომ მე ვუშვებ ხელიდან ამგვარს ბედნიერებას და მუხლმოდრეკითა გთხოვ (დაუჩოქებს), რომ განმარიდო მეცა და შენი თავიც იმ განსაცდელს, რომელიც მოგველის ჩვენი დამოყვრების შემდგომ.

მ ე ფ ე — (ააყენებს). ადექ, გიორგი... აბა, მეუბნები ხელი აიღეო! მაგ სიტყვებისა და სიმართლის მთქმელზედ ხელი ავიღო?! ამოდენა ხალხში მარტო ერთსა გხედავ, რომელიც მართალს მაგონებს, რომელიც მიხსნის თვალებს, და ისიც ისე არ დავიახლოვო, როგორც ჩემს გულს ჰსურს, როგორც ჩემთვისა და ქვეყნისათვის არის საჭირო! ჩემი სურვილია, რომ მე დღეის იქით ვიყო შენი ოჯახის შვილი და შენ — ჩემი ძმა. და ვაი იმათ, ვინც ჩვენ შუაში ჩაგვიდგება... თუ შენ უარს მეტყვი კიდევ, როგორც ქალის პატრონი, მაშინ მე გიბრძანებ შენ, როგორც მეფე თავის ყმას, რომ შენი და მაკრინე უნდა დაჯდეს დედოფლად საქართველოს ტახტზედ.

თ ე ი მ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — (შემოდის). აი, თვითონ მეფეც აქა ბრძანებულა და თითონვე გიბრძანებდა თავის პასუხს; დედოფალმაც ბრძანა, რომ ჩემი შვილის სურვილიაო და იმის სურვილის წინააღმდეგი მე არ შემიძლიანო.

მ ე ფ ე — არა, მამიშენის სულის მზეს, თეიმურაზ, სწორე ბრძანე. დღეს შენც ბაგრატიონთ გვარისა და ჩემი სისხლი და ხორცი ხარ. მოურავზედ უკეთესს ვისმე დავუმოყვრდები მე? ამაზედ უსაჭიროესი კაცი მყავს ვინმე მე დღეს? შენ თითონ კარგად მოგეხსენება, რომ დღეს მეორე მეფე ქართლისა არის—გიორგი მოურავი. გიორგი ვითომ მტრებსა შიშობს. ვიცი, რომ მაგასაც და მეც მრავალი მტერი გვყავს, მაგრამ ამან უფრო არ უნდა დაგვაკავშიროს, რომ ამით უფრო შევაშინოთ ჩვენი მტერი?!

თ ე ი მ უ რ ა ზ — თუ, მეფეო, ჩემი ძვირფასი მეგობარი გიორგი გამიგონებს, — მე სწორედ თქვენის აზრისა გახლავართ.

მ ე ფ ე — აბა, ჩემო გიორგი! ესეც რჩევა იმისთანა კაცისა, რომელიც ორივეს მოყვარე და ერთგული მეგობარია. შენი უარის თქმა ამას იქით და ჩვენი ერთმანეთის საუკუნოდ დაკარგვა — ერთი იქნება.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მე თქვენი ბრძანებისა და სურვილის უარი არ შემიძლიან და ჩემზე უბედნიერესი არავინ იქნება თქვენის დამოყვრებით. მაგრამ რადგან ყველა კაცს ძვირად უღირს თავისი სიცოცხლე და თავისი თავი, ამის გამო გაგიბედავ და

გთხოვ, რომ ამ მუხრან ბატონის დასწრებით მიბოძო საფიცრის წერილი, თქვენისა, მოძღვრისა და დედის თქვენის ბეჭდის დასმით, რომ მტრის ენით ამ ჩვენის დამოყვრებით მე შენგან არა მევნოს რა, და მაშინ ქორწილი, როდესაც თქვენი ნება იყოს — გვიბძანეთ.

მ ე ფ ე — ამაღამვე. თეიმურაზ, უბრძანე, შენს მზეს, ჩემს მდივანს ეხლავე დასწეროს საფიცრის წერილი იმ სახით, როგორც გიორგიმ ბრძანა. მაშ, მოურავო, მე და შენ სიძე-ცოლის ძმა ვართ ეხლა. ჩვენ თვით ეშმაკის ენაც ვეღარ გაგვყრის.

(ეხვევა მოურავს და ჰკოცნიან ერთმანეთს).

თ ე ი მ უ რ ა ზ — მოგვილოცავს. ღმერთმა ბედნიერი გყოთ. ამ მოკლეს ხანში საქართველოსთვის მაგისთანა კარგი არა გარიგებულა რა. მეფე და მოურავი რაკი ერთად არიან, ქვეყანას აღარა გაუჭირდება რა. (ეხვევა თითო-თითოდ და ჰკოცნის. ჰკოცნიან ისინიც. თეიმურაზ მასუკან გადის).

მ ე ფ ე — (მიაძახებს). თეიმურაზ! დედაჩემსაც აცნობე ჩემი ბედნიერება, მობრძანდეს და დაგვილოცოს გვირგვინი. გიორგი. შენ ჩემი სასძლო ეხლავე უნდა. ჩამაბარო. აცნობე კიდეც. რომ ქვათახვევს წინამძღვარი მოემზადოს, ამაღამვე დაგვწეროს ჯვარი.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — პაპუნა ჩივაძევ! სთხოვე დედაჩემს, ჩემს მეუღლეს, ჩემს დას და ყველა დარბაისელთ, რომ მობრძანდნენ. მოგვილოცონ. უბრძანე ჯარებს, რომ გამართონ შეძლებისამებრ, რომ დაჰკრან ბუკსა და ნაღარას. დღეს არის ჩვენი უბედნიერესი დღე: მეფე ირთავს ჩვენს ქალს, უთხარ აუშვან შუშხუნები და მოუკიდონ ჩირაღდნებს, გამოუშვან ღვინის შარავანდები და სვას ყველამ, ვისაც რამდენი ჰსურდეს. ეგრეთვე აცნობეთ ეხლავე წინამძღვარს, ნასიძეს. რომ მეფე ამაღამ ჯვარს იწერს-თქო, და ყველაფერი გაამზადეთ ქვათახვევს წასასვლელად.

მ ე ფ ე — აბა, ეგრე, ჩემო გიორგი, აი! მერწმუნე ღმერთს ჩემზედ უბედნიერესი აღარავინ არის. (გარეთ ისმის სროლისა, საკრავების და სიმღერების ხმა და ჯარების ყიჟინა. შემოდიან მოურავის დედა, პაპარინე, თეკლე და სხვანი).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (წაავლებს მაკრინეს ხელს და აბარებს მეფეს). დაო ჩემო, დღეს გეწვია შენ ბედნიერება და გისურვა საქართველოს დედოფლად ჩვენმან უძლეველმან და ყოველთა უმშვე-

ნიერესმან მეფემან ლუარსაბ, ღმერთმან შეგატკბოთ ერთმანერთს საბედნიეროდ თქვენდა და თქვენის ქვეყნისა. (შემოდიან დედოფალი და სხვანი მეფის ამალათაგან.)

მ ე ფ ე — დედოფალო! აი, შესრულდა ჩემი გულისწადილი და გთხოვ, რომ დაგვილოცო გვირგვინი მე და ჩემს ძვირფასს მაკრინეს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ღმერთმა ისე დაგლოცოთ, შვილო, როგორც ჩემი გული ესასოებოდეს უფალს. ბედნიერი იყოს თქვენი ქორწინება. ეხლა, შვილო, მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, რადგან მოვესწარ შენს ბედნიერებას (მოსდის ტირილი და ჰკოცნის ჯერ შვილს, მერე მაკრინეს).

ს ტ უ მ რ ე ბ ი — ამინ! ამინ!! (ყველანი ლოცავენ).

თ ე ი მ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — (შემოდის, შემოაქვს ხელწერილი და აძლევს მოურავს). სამივეს ბეჭედი აზის და ჩემი და ნუგზარის ხელიც აწერია.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ჩამოართმევს). მადლობელი გახლავარ. ეხლა აღარა მიჭირს რა.

მ ე ფ ე — შადიმან! შენ დღეს მამის მოადგილე ხარ ჩვენი და სამართალია ისე დაგვლოცო, როგორც შენი საკუთარი შვილები.

შ ა დ ი მ ა ნ — ღმერთმან ისე გაკურთხოთ, ვითარცა აბრაამ და სარა. ისააკ და რებეკა; ისრე შეგაბეროთ ერთმანეთს, როგორც ჰსურდეს ჩემს გულს. გიორგი მოურავო! სულითა და გულით გილოცავ შენცა და დედათქვენსაც. ამით უფრო ვარ მოხარული, რომ ეხლა უფრო მიზეზი გექნებათ თქვენცა და მეფესაც ერთმანეთთან დაახლოებისა და უმეტესის ერთგულების გამოჩენისაც (მოურავი და შადიმან ჰკოცნიან ერთმანეთს).

მ ე ფ ე — უბრძანეთ—ჩემთვის სამეფო და მაკრინესთვის სადედოფლო ტანისამოსი დაამზადონ საქვათახევოდ; მოგვართვან ტახტრევნები: ქორწილის ხალხი ამაზედ მეტი აღარ გვინდა. ჩვენ ყველა ესენი ერთად წავალთ (მიდის და ყველანი თან მისდევენ).

ბ ა ზ ი ე რ ი — (მარტოა). სააკაძის ქალი—საქართველოს დედოფალი! ვაი ქვეყნის დამცრობავ! ვნახოთ ბოლო რა იქნება!

მოქმედება მეორე

სცენა I

სცენა დიდი მოურავის სახლში.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ბეჭდავს ქაღალდებს). გესმის, გიორგი, ეს გურიელს მიუტანე, ეს დადიანს. გურიელი დაარწმუნე, რომ ყველა საჯავახო ადგილებს, რომელთაც ეხლა იმერთ მეფე ედავება, მივცემთ; დადიანს ლეჩხუმს დავანებებთ... ხომ ჰხედამენ, რომ მინამ იმერთა მეფე ზის ტახტზედ, იმათ არ ეომაენებს. ჩვენც ყოველთვის იმისგან თქვენსავით შეწუხებაში ვართ-თქო. ესეც იმერთ მეფეს მიეცი. თითონაც კარგად ჰხედავს, რომ მინამ ეს ორი სამთავრო ცალკე არის, მანამ იმერეთი სულს ვერ მოიდგამს. უნდა, ერთი სიტყვით, ყოველი ღონისძიებით ეცადო, რომ მაგათში აშლილობა არ დაზავდეს, თორემ ჩვენ ჩვენს აზრს ვერაფრით აღსრულებაში ვერ მოვაყვანთ. ერისთავებთან და მუხრანის ბატონებთან გვმართებს მაგრად კავშირი. იასე ერისთავი დიდებისმოყვარე კაცია და უნდა ყოველი დიდება აღუთქვათ. თეიმურაზი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები ქვეყნის ერთგულებაზე თავს სდებენ და უნდა ჩვენც ხელი მოვუმართოთ, მაგრამ ჩვენი ნამდვილი დაწყობილება არ უნდა იცოდნენ.

გ ი ო რ გ ი ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — ჩვენ უნდა დავაჩქაროთ, მანამ მეფე კარგს თვალზედ გვხედავს, თორემ, ხომ იცი, ბევრს ხანს მაგას თავის დადება არაფრისა არ შეუძლიან. ამასთან, შადიმანი, შადიმანი დააშორე მეფეს და კიდევ მელიქი. ჩემი სათქმელი სულ შადიმანი და მელიქი არის. შენ გეტყობა კიდევ ვერ გიცვნია შადიმანი.

მ ე ფ ი ს კ ა ც ი — (შემოდის და აძლევს წიგნს). მეფემ მოგართვათ.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (კითხულობს). კარგი, გიახლებით-თქო.

მ ე ფ ი ს კ ა ც ი — როდის მობრძანდებით?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ამაღამ იქა ვარ.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — რასა გწერს მეფე?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი—ყარაიაზედ მეპატიჟება სანადიროდ და მთხოვს დღესვე მივიდე, რომ ხვალ ადრიანად უნდა წავიდეთო.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — ესეც კარგი მარჯვე დრო. მინამ შენ მეფე მოამზადე, რომ ვინიცობაა, როგორ იყვეს საქმე.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — სწორედ, მარჯვე დროა. ფიქრი არ არის, დავიწეროთ პირჯვარი და შევუდგეთ გზას. შენ იქ დამეხმარე. სადაც მე არ ვიყვე, და ღმერთია მოწყალე, ჯერ ჩვენი საქმე კარგად მიდის.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — ყველაფერი შენზედ არის დამოკიდებული. შენს გარე — სხვას შველა აღარ შეუძლიან, და დაიღუპა ქვეყანა. მშვიდობით. მე ხვალ ადრიან გავუდგები გზას.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მშვიდობით. მე უნდა წავიდე. უთხარ, რომ ბიჭები მოემზადნენ და ჩემი ქორ-მეძებრები გაამზადონ სანადიროდ.

(გადიან ორივენი).

ს ც ე ნ ა II

მეფის სასახლეში არიან შეყრილნი მრავალნი დიდკაცობანი.

შ ა დ ი მ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — ხომ ჰხედავთ, საქართველოს დიდებულნო და დარბაისელნო, რომ ძლივს გავაბედვინეთ მეფეს მოურავის დაბარება და სიკვდილი. და ეხლა ისევ უარზედ დგას და ამბობს, თუ გინდათ ისევ იმის დას გავუშვებო. ღმერთმან ნუ ჰქნას, რომ მეფემ მოურავის და გაუშვას და მოურავი ცოცხალი დაარჩინოს, მაშინ აღარც ერთს აღარ გვაბოგინებს საქართველოში. ამის გამო, თუ ეხლავე არ მოვაკვლევინეთ მეფეს მოურავი, სხვა ამისთანა მარჯვე დროს ვეღარ ჩავიგდებთ. მოურავი ეხლა ხელში გვყავს. ის ამაღამ მეფის დაბარებით ჩამოვა აქ. ჩამოვა თუ არა — უნდა შევიპყრათ, და მაშინვე მოვაშოროთ თავის ბოროტს სიცოცხლეს. ამის გამო, დიდებულნო, ეხლა უნდა მეფეს გადაწყვეტილი მოვახსენოთ, რომ თუ ის ეხლაც არ მოჰკლავს მოურავს, ჩვენ ყველანი შემოვეცარცვებით და მივცემთ სხვას საყმოდ თავს. და მაშინ ვნახოთ მარტო მოურავი რასაც უზამს. თორემ. ჰხედავთ, ერთმა უბრალო აზნაურმა რარიგ დაიპყრა სადაველები და აღარა დიდი კაცის შვილს სწორად აღარ იხდის. მეტადრე რაც ის მეფეს დაუმოყვრდა, მეფე იმის დაუკითხავად აღარას აკეთებს და ჩვენს რჩევას და თხოვნას ისე აღარ

უგდებს ყურს, თითქო ერთი უბრალო დაბალი კაცის შვილები არიანო. თქვენ ყველანი კარგად შეჰნიშნავდით, რომ ამ მოკლე ხანებში მეფე თითქო კიდეც ერიდებოდა ჩვენს სამსჯავროს და თანდათან იახლოებდა იმ კაცთ, რომელნიც მოურავს იამებოდნენ. აქამდის ჩვენს სიტყვას მეფე ძვირად თუ ძირს დაუშვებდა, და ეხლა ჩვენი ერთგული — თავისიცა და ქვეყნისაც სასარგებლო რჩევა — სიცილადაც არ ჰყოფნის. აღარ იმეტებს აღარც ყმას, აღარც მამულს თავადიშვილებისათვის და სულ იმას გაიძახის, რომ გზები და სიმაგრეები უნდა გავმართოთო. აბა, მიბრძანეთ, ბატონებო, თუ თავადიშვილებს და მთავრებს შეძლება და ძალა არ ექნებათ, რა სიმაგრეებისა და გზების გაწყობა შეიძლება! ერთი სიტყვით, თქვენ ჰხედავთ აქ სულ მოურავის სიტყვას და საქმეს, იმას უნდა რომ ყველა გაასწოროს, და ჩვენგან ეს მოსათმენი არ არის, რომ ერთი უბრალო კაცი ასე ჰრევდეს ქვეყანას.

მ ე ლ ი ქ-ა თ ა ბ ა გ ი — დიახ, თქვენმა მზემ, რომ არ არის მოსათმენი; გუშინ ერთი გუდამშიერი აზნაური დღეს ჩვენ კაცათაც არ გვაგდებს. რასაკვირველია, რომ ამისთანა დროში ქვეყანას კეთილი არ დაეყრება.

ბ ა რ ა თ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — თქვენმა მზემ, რომ სულ მაგისაგან არის ქვეყანა არეული: ომიანობა გაჩნდება, სარდლობას არავის ანებებს და ყველაზედ მომეტებულს ვაჟკაცობას და ჭკუას ჩემობს; რჩევაა რისამე და ეგ თავის დღეში არავის არ მოიწონებს და იმისთანას იტყვის, რაც სხვას გუნებაშიაც არ გაუვლის. ერთი სიტყვით, მინამ ეგ ცოცხალია — არც თითონ მოისვენებს და არც სხვას მოასვენებს.

ფ ა რ ე შ ი — (შემოდის). ბატონებო, მეფე გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ იმასთან (გადის).

მ ე ლ ი ქ-ა თ ა ბ ა გ ი — ყველამ ერთპირად უნდა გადაწყვეტით ვუთხრათ, რომ თუ ეხლაც არ მოჰკლავს მოურავს — დღესვე ყველანი დავანებებთ მეფეს თავს. (გადიან ყველანი).

მ ა კ რ ი ნ ე — (შემოდის). ეს ამოდენა დიდკაცობა კიდევ უთუოდ ჩემი ძმის გულისთვის არიან შეყრილები. ბააკამ მითხრა, რომ მეფემ გიორგი მაინც კიდევ დაიბარაო. ღმერთო! ეს რა უბედურს ვარსკვლავზედ დავიბადე! ჩემის გულისთვის უნდა ეხლა ჩემმა ძმამ თავი დასდოს. არა! მეფე არავის რას დაუჯერებდა, თუ ჩემი სიყვარული მცირეც არის კიდევლა შეჰრჩენოდა. მაგრამ იმან აიყარა ჩემზედ გული და მას აქეთ კიდეც დაუგდო ყური ჩვენს მტრებს... ვინ იცის, რამდენი პირი შემოჰნატრის

ჩემს თავს — დედოფალია და ბედნიერიაო, და ის კი არ იციან, რომ ჩემზედ უბედური ჭიაც კი აღარ დაიარება დედამიწის ზურგზედ. დედოფალი მერქვას და მეფეს კი, რომელიც მთელს ცასა და ქვეყანას მირჩევნია, გული ჰქონდეს ჩემზედ აყრილი. გულის აყრას ვინ ინაღვლის, იქამდის დაჰკარგა ჩემი პატივისცემა, რომ მტრის ენით თავის ერთგულს და თავდადებულს ჩემს ძმას სასიკვდილოთაც იმეტებს, როდესაც იცის, რომ შემდგომ მეფისა—იმაზედ უკეთესი მე ქვეყანაზედ აღარა გამაჩნია რა. ნუ ჰგონია მეფეს, რომ, რაც უნდა ძლიერ მიყვარდეს ის, მივცე ჩემი ძმის სიკვდილის ნება. ჯერ ჩემი სიკვდილი ნახოს და მერე ის მოჰკლას... ნეტავი შენის სიცოცხლით ერთი კაცი მაინც მეგულებოდეს ამ სახლში იმისთანა ერთგული, რომ სიტყვა მიენდობოდეს, და შემეტყობინებინა როგორმე ჩემი გიორგისათვის, რომ არ ჩამოსულიყო აქა. შენი მტერი, თუ ვერ გაიგო გიორგიმ, და ამ დიდკაცობამ ისევ გაამეტებინა მეფეს ის სასიკვდილოდ. ვაი ჩემს დღეს, თუ ეს დიდკაცობა მართლა იმისთვის არის შეყრილი. ნეტავი ბააკა მაინც მაჩვენა. ერთი ისღაა ამ სასახლეში ჩემი და ჩემი ძმის ერთგული.

ბ ა ა კ ა — (შემოპარებით შემოდის). აქა ბრძანდებით, დედოფალო? (ათვალიერებს აქეთ-იქით. სხვა ხომ არავინ არისო). ვაი ამ დღის მომსწრეს! მეფე ისევ დაიყოლიეს გიორგის მოკვლაზედ და ჯვარზედ, ფიცი ჩამოართვეს, რომ აღარ გადასთქვამს. რაწამს ჩამოვა ამაღამ, მაშინვე უნდა შეიპყრან და მოჰკლან.

მ ა კ რ ი ნ ე — ჩამჭოლეთ! თქვენი ჭირიმეთ, რაღა უნდა ვუშველო ჩემს გიორგის!

ბ ა ა კ ა — აი ქვეყნის დაღუპვა!.. თქვენვე უნდა სთხოვოთ მეფეს, თქვენი თხოვნის მეტი აღარა გაეწყობა რა. მე არ გამცეთ. თორემ დავიღუპები, რადგან ამ საქმეს თქვენს ფარულად იწყობენ. მშვიდობით, დედოფალო!

მ ა კ რ ი ნ ე — თუ ვერას გავხდი, შენი ძმობის ჭირიმე. ბააკ, ისევ შენ უნდა მიშველო და შეატყობინო ჩემს ძმას და დაავალო შენს ღმერთს, შენს მეტი მისამართი მე არავინა მყავს. ჩემს მაგიერ ღმერთი გადაგიხდის ყველაფერს.

ბ ა ა კ ა — ეცადეთ მეფესთან. მშვიდობით! მეშინიან აქ არა მნახონ.

(გადის საჩქაროდ).

მ ა კ რ ი ნ ე — მშვიდობით, ბაბაკ! შენი ძმობის ჭირიმე.. ვიჰ, თქვენი ჭირიმეთ! წავიდე, სადაც იყვეს ვნახო ჩემი წამწყმედელი (გადის).

მ ე ფ ე — (შემოდის ამღვრეული სახით და დგას დიდხანს გაჩერებული). ჰმ! უნდა გიორგის სისხლში გავისვარო ხელი!.. უნდა გავისვარო იმიტომ, რომ სუყველას ასე ჰსურს... მაგრამ გიორგობას ვიღა მიზამს!.. გიორგი უნდა მოვკლა — გადაწყვეტილი საქმეა... არ მოვკლა, და მაშ რა უნდა ვქნა, თუ ყველანი ჩამომეცლებიან!.. რა უნდა ვქნა, ღ[illegible]ართო? სად არის შენი სამართალი?! რატომ არას მაგონებ. (ტირის. დაეშვება ტახტზედ დწაჰყოფს მუთაქაში თავს. პატარა ხანს უკან აიღებს ისევ თავს). ოხ, ნეტავი ერთი ცალკე კიდევ მენახა სადმე მაინც ჩემი გიორგი. იმისი ერთი ნახვა, ერთი სიტყვა ისე გამამხნევებდა და თვალს ამიხსნიდა ხოლმე. იმისი ერთი სიტყვა უფრო მიჯდებოდა ხოლმე ჭკუაში, ვიდრე ყველა ამოდენა ხალხის ლაპარაკი. ესენი სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან, რაც ყველგან და ყველასაგან გესმის; ის სულ სხვას ამბობდა და სხვასა ფიქრობდა, რომელიც მართლაცდა რომ საფიქრები და საზრუნველი იყო. ამისთანა კაცი ეხლა უნდა მოვკლა?!.. დავიჯერო, ამ დალოცვილმა ღმერთმა უნდა იქამდის მიმიშვას, რომ ამისთანა კაცის სისხლში ხელი გავისვარო? (შემკრთალი უცებ). აცა! მაკრინეს ხმა ისმის. მთრთოლარეს ხმით მკითხულობს და დამეძებს. ღმერთო!!! დავიჯერო იმანაც გაიგო ეს ამბავი?! ის იყო მივეცი ფიცი, რომ გიორგის არას ვერჩი-მეთქი, და დღეს კი უნდა დავარღვიო ის ფიცი, იმიტომ რომ ეხლა უფრო მძიმე ფიცი ჩამომართვეს.

მ ა კ რ ი ნ ე — (შემოდის მოწიწებით). მეფეო, აქა ბრძანდებით? სუყველა პალატი მოვიარე და ძლივს გიპოვნეთ. მოვედი, მეფეო. კვალად ცრემლთა მფრქვეველი წინაშე თქვენსა, რათა არ ინებოთ თქვენი ორ რიგი ფიცის დარღვევა. მუხლმოდრეკით გევედრები (იჩოქებს). რომ თუ შენ არ მიგაჩნია ცოდვად შენი ერთგულის და შენთვის თავდადებულის ყმის სიკვდილი, მე მაინც ნუ გამრევ ამ ცოდვაში და ჩემის მიზეზით ნუ გაისვრი უბრალო კაცის სისხლში ხელს; თუ მე არა ვარ ღირსი საქართველოს დედოფლობისა, მე მომეპყარი რიგორც უღირსს, შემცოდეს და წამწყმენდელს — თავი ჩემი იყვეს თქვენი და ქვეყნის სურვილის ნაცვალი. მაგრამ, რას ემართლებით გიორგის! თუ სიკვდილით უნდა გაიწმინდოს შერცხვენა და დამცრობა მეფის ტახტისა უბრალო აზნაურის ქალის გადედოფლებით, ჩემი სიკვდილი უპრიანია. თუ მარტო გიორგის სისხლი გწყურიათ, მაშინ მე გთხოვთ, ეი-

თარცა გვირგვინოსანი ცოლი და დედოფალი, — თუ ოდნავაც არის გაქვს პატივი შენის გვირგვინისა და მცირედ არის გახსოვს ის წმინდა სიყვარული, რომელიც ჰღვიოდა ერთხელ როდისღაც შენს გულში, — მაპატიო ჩემი ძვირფასის, ჩემი მამისოდენა ნაამაგდარის ძმის გიორგის სისხლი. თუ არა, ვფიცავ ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ უწინარეს დაჰღვრით ჩემს სისხლს, ვიდრე გიორგისას, და სისხლი ჩემი და ჩემი უმანკოდ მოკლულის ძმის სისხლი იყვეს იმათს თავს, ვინც... (წასჭდება ტირილი). მითხარ მეფეო, მითხარ, მეც ნუგეში, რომ ჩემი მიზეზით არ გაისვრი ჩემი ძმის სისხლში ხელს... მოიგონე ის ფიცი, რომელიც მიეც შენ იმას ჩვენი გვირგვინის დროს... რა პასუხი უნდა გასცე ჩვენს მეუფეს დიდი განკითხვის დღეს ჩვენი სისხლისათვის!.. ფიცის გატეხისათვის...

მ ე ფ ე — (ტირის). ჩემო მაკრინევ! ჩემო დედოფალო! (მოეხვევა კისერზედ. დაადებს თავს თავზედ და უმატებს ტირილს).

მ ა კ რ ი ნ ე — (იმედმოცემული). არ მოჰკლავ განა?! არ მოჰკლავ განა, ჩემო მეფეო, ჩემო გვირგვინო, ჩემს გიორგის?! შეიბრალებ იმის სისხლს?! (მეფე თანდათან უმატებს ტირილს). მხედავ მუხლზედ გეხვევი და ისე გევედრები. (ეხვევა მუხლზედ). აკი გიყვარდა ერთხელ შენი მაკრინე. გაიტარე კიდევ მცირეც არის სიბრალული შენთვის განწირულის უბედურის მაკრინესი. ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა. განა არ ვიცი, რომ მე ვამცრობ შენს დიდებას, შენს გვირგვინს... შემისრულე ეს სათხოვარი და მაშინ გავალ შენი სახლიდან, რომ ჩემი ულირსი ფეხი არა სტკეპნიდეს მაღალსა სამეფო ტახტსა და გულისთქმა ჩემი არა ჰბილწავდეს წმინდას სარეცელსა მეფისასა. შევწირავ ჩვენს მაღალს მეუფეს თავს და, ვიდრე ეს ცოდვილი სული მედგმის გვამში, ვიქნები მავედრებელი ჩემის მაღალის მეფისა (ტირის და იფარებს თვალებზედ ხელს).

მ ე ფ ე — (წამოდგება თვალცრემლიანი და აღელვებული). არა, მაკრინევ! არც შენა ხარ და არც გიორგი სიკვდილის ღირსნი. სასიკვდილო მე ვარ შენის ხელით. მე ჩავდექ შენს ცოდვაშიაც და გიორგის ცოდვაშიაც... მე ვარ ფიცის გამტეხი... აი ხანჯალი და მომკალ... ამის მეტი ღონე არა მაქვს... მაშინ შენც ცოცხალი იქნები და გიორგიცა. (ამოიღებს ხანჯალს და აძლევს).

მ ა კ რ ი ნ ე — (ადგება შემკრთალი). მეფეო, მოდი გონს. ნუთუ ისე გძლია წყეულმა მტრის ენამ და ეშმაკმა, რომ ცნობა დაგიკარგავს?!..

მ ე ფ ე — არა! ან უნდა მოკვდეს მოურავი, ან მე და ან ისინი ყველანი, ვინც მოურავის სიკვდილსა თხოულობენ... უმჯობესია ჩემი სიკვდილი. (იწვდის ხანჯალს გულში ჩასარჭობად).

მ ა კ რ ი ნ ე — (სტაცებს ხელს). მეფეო!.. თქვენი ჭირიმეთ!.. მიშველეთ!!! (შემოცვივიან დედოფალი და სხვანი მრავალნი. მეფე შემკრთალი, გაუშვებს ხანჯალს მაკრინეს ხელთ და გადის საჩქაროდ. ყველანი გასდევენ თან).

სცენა III

გათენების ჟამია. სცენაა კრწანისს, სადაც გიორგი სააკაძეა ჩამომხტარი.

ბ ა ა კ ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე — (შემოდის საჩქაროდ სცენაზედ, მიდის მოურავის საწოლის კართან, არახუნებს საჩქაროდ და ძლიერად). გიორგი მოურავო! გიორგი! გამოიღვიძე! ადექი ჩქარა!..

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (შიგნიდან). ვინ არის?

ბ ა ა კ ა — ჩქარა ადექ! გამოიხედე! მალე, გიორგი, თორემ დაიღუპე.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ბააკავ, შენა? ეხლავ. რა ამბავია?

ბ ა ა კ ა — ჩქარა, ჩქარა, უშველე შენს თავს! გამოიხედე.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (გამოვა ახალუხა, წუღებით, თავშიშველა). რა იყო, ბააკა? ასე ამ დროს რამ გაგსარჯა?

ბ ა ა კ ა — გამოდი! მოხურე კარი — არავინ დაგვინახოს. (მოურავი მოიხურავს კარს). უშველე შენს თავს, თორემ ეს არის ჯარი მოდის შენს დასაჭერად და ეხლავე გიპირებენ სიკვდილს მეფის ბრძანებით. მთელი ღამე სულ უძილოდ გელოდნენ. ეხლა გაიგეს შენი მოსვლა და მოდიან მრავალის ჯარით. ეხლავ გასწი, როგორცა ხარ, თორემ ველარასფერს მოისწრებ. ჯარები ფეხდაფეხ მომდევენ. მშვიდობით! ეხლა შენ იცი. აგეო ჯარების ფეხის ხმაც ისმის, ხომ ჰხედავ რა ახლო არიან.

(გავარდება საჩქაროზედ).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ჰყურობ!.. ვაიმე, ცხენებიც არა მყვანან აქა. მაგრამ ჩემი ლურჯა აქვე ბაღში აბია. (გაექანება ბაღისაკენ).

(სცენაზედ შემოდიან ჯარები თოფებითა და მშვილდ-ისრებით. შემოდის შადიმან, მელიქ-ათაბაგი, ბააკა ხერხეულიძე და სხვა მრავალი დიდკაცობა და ჯარების წინამძღოლნი).

შ ა დ ი მ ა ნ — შაამტვრიე, ბიჭო, კარები! (ჯარები აწვებიან კარებს და კარები ერთბაშად იღება). ეს რა ამბავია? ჰხედავ, როგორ, კარებსაც დაუკეტელს უშვებს!.. შეიპყარით ქვეშაგებშივე და თუ გაგიძალოვანდეთ, მაშინვე მოჰკალით. (ჯარი შედის სახლში).

რამოდენიმე ჯარისკაცი — (გამოდიან ოთახიდან). არა ჩანს აქ არსად, ბატონო.

ბააკა — კარგად მონახეთ, მაშ სად იქნება!

მელიქ-ათაბაგი — მიიმალებოდა სადმე, ჰაი, გიორგი მოურავო! არ ეკადრება შენისთანა ვაჟკაცს თაროს უკან დამალვა. სად დაიმალები, სადა?!

შადიმან — დაანგრიეთ! გადააქოთეთ მანდაურობა. სად წავა, სად?!

რამდენიმე ჯარისკაცი — (გამოდიან კიდევ სახლიდან). სულ გადავაქოთეთ იქაურობა და არსადა ჩანან.

შადიმან — დაიჭირეთ ყველანი, ვინც სახლში არიან და მოიყვანეთ აქ. (ამ დროს ჯარისკაცებს შემოჰყავთ მოურავის მსახურთუხუცესი და ორი მსახური). რა იქნა თქვენი ბატონი? სად არის დამალული ეხლავე სთქვით, თორემ ყველას თავებს დაგაყრევინებთ.

მსახურთუხუცესი — ჩვენ თქვენს ხელთ გახლავართ და რასაც გვიზამთ — თქვენი ნებაა. მე მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ, რაკი მოვასვენე ბატონი, მე გარეთ გიახელით დასაწოლად და იქ მეძინა. ეს არის ეხლა წამომაგდეს მძინარე და მომიყვანეს თქვენთან, რა იქნა ბატონი და რა არა, ღვთისა და თქვენი რისხვაცა მჭონდეს, თუ ვიცოდე ამის მეტი, რაც მოგახსენეთ.

შადიმან — გაიყვანეთ და გააგდებინეთ თავი. დეე ნუ იტყვის.

(ჯარისკაცებს გაჰყავთ).

მსახურთუხუცესი — ბატონო, ტყუილად ჩემი ცოლ-შვილის ცოდოში ნუ სდგებით. სადაცა გნებავთ ფიცს მივიღებ, რომ მე არ ვიცოდე, სადა ბრძანდება მოურავი.

შადიმან — გააგდებინეთ ეხლავე თავი (გაჰყავთ).

მსახურთუხუცესი — ბატონო, ცოდოს ტყუილად იდებთ.

შადიმან — (გაშმაგებული). გააგდებინეთ-მეთქი თავი!! (სხვებს). შეატყობინეთ მეფეს, რომ ეხლავე მოვიდეს თითონაც, სხვა ჯარებიც მოგვაშველოს. (მოურავის მსახურებს). თქვენ რაღას იტყვით?

ორივე მსახური — ჩვენ რაღა უნდა მოგახსენოთ!

რამდენიმე ჯარისკაცი — (შემოაქვთ მსახურთუხუცესის თავი და დაახეთქებენ შადიმანის წინ). ღმერთმა გამარჯვება ნუ დაგილიოთ.

მელიქ-ათაბაგი — (მსახურებს). ხომ ჰხედავთ ამას?.. თუ სწორეს არ იტყვით, თქვენც ამ დღეს დაგაყენებთ. სად არის თქვენი ბატონი?

1-ლი მსახური — თუ ვიცოდეთ და არ მოგახსენოთ, რაც თქვენი ნება იყოს, ის გვიყავით. ბატონს აქ ეძინა და ჩვენ — სამეჯინიბოს კარზედ, აბა ჩვენ საიდან გვეცოდინება, რა იქნა.

შ ა დ ი მ ა ნ — (მეორე მსახურს). შენ? შენ რაღას იტყვი?

მე-2 მ ს ა ხ უ რ ი — მეც მაგას მოგახსენებ. ჩვენი ბატონის კაცები ტყუილის თქმას დაჩვეულები არ გახლავართ.

შ ა დ ი მ ა ნ — დააყრევინეთ ამათაც თავები.

1-ლ ი მ ს ა ხ უ რ ი — დაგვაყრევინეთ! ერთ დღეს დავბადებულვართ და ერთ დღეს დავიხოცებით, მაგრამ გახსოვდეს, შადიმან, რომ თუ გიორგი მოურავი ცოცხალი დარჩა, ძვირად დაგისვამს ჩვენს სიკვდილს.

მე-2 მ ს ა ხ უ რ ი — ღალატით რომ მოხვედი, ეგ კი არ არის ბიჭობა! ეგ დედაკაცის საქადრისია.

შ ა დ ი მ ა ნ — (გაშფოთებული). გაიყვანეთ!

1-ლ ი მ ს ა ხ უ რ ი — ჩვენ თითონაც გავალთ, მაგრამ გრცხვენოდეს, რომ მძინარეებს თავს დაგვესხი და უიარაღოდ ეხლა თავებს გვაყრევინებ. მაგრამ შენგნით უკეთესი ვაჟკაცობა ვის უნახავს.

მე-2 მ ს ა ხ უ რ ი — ფუი! შე არაკაცო! ნაცარქექიავ! მელიქით და მეფითა გაქვს დიდი გული? (გასდევენ გარეთ ჯარებს).

მ ე ფ ე — (შემოდის ამალითა და ჯარებით). რაო, რა ამბავია?

შ ა დ ი მ ა ნ — მოურავი ველარ ვიპოვნეთ. თუ გაგვასწრო სადმე და დროით ვერ დავიჭირეთ, ჩვენი საქმე ცუდად არის... საქართველოში აღარ გვედგომინება. (შემოაქვთ მოურავის მსახურების თავები და ახეთქებენ შადიმანისა და მეფის წინ).

თ ა ვ ე ბ ი ს შ ე მ ო მ ტ ა ნ ე ბ ი — ღმერთმა ნუ დაგრჩიოსთ გამარჯვება!

მ ე ფ ე — ეს თავები რა ამბავია?

შ ა დ ი მ ა ნ — მოურავის მსახურების თავებია, რადგანაც არ გვითხრეს, სად არის მაგათი ბატონი დამალული. (რამდენიმე ჯარისკაცს შემოჰყავს ერთი ბებერი დედაკაცი).

შ ა დ ი მ ა ნ — ოჰ, ეგ სად იპოვნეთ?

1-ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — კრუხის საბუდარში ჩამძვრალიყო.

მ ე ფ ე — დედი! კრუხის გოდორში რა გინდოდა?

ბ ე ბ ე რ ი — მე თათრის ჯარები მეგონა, დედაშვილობამა, და თურმე ჩვენი ქართველები კი ყოფილან.

შ ა დ ი მ ა ნ — შენი ბატონი რა იქნა?

ბ ე ბ ე რ ი — არ ვიცი, დედაშვილობამ. თქვენი მოსვლის წინ კი ვილამაც დაურახუნა კარები და დაუძახა. გავიდა ბატონი და მერე აღარც შემოსულა და აღარცა, და თქვენც ხომ მაშინვე მობრძანდით.

შ ა დ ი მ ა ნ — ხომ არ იცი, ვინ დაუძახა?

ბ ე ბ ე რ ი — არ ვიცი, დედაშვილობამა! ერთი ეს კი გავიგონე რა

გინდა ბაკაკაო, ბატონმა ჰკითხა, სხვა არა ვიცი რა თქვენ სახის შვილები არ დაეხოცება.

შადიმან — გვარი ხომ არ უხსენებია ბაკაკასი შენს ბატონსა?

ბებერი — არა, დედაშვილობამა.

მელიქ-ათაბაგი — გაუშვით ეგა.

ბებერი — ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავი. ღმერთმა ინებოს თქვენი გამარჯვება და თქვენი დახმარება. (გადის).

შადიმან — (მეფის ყურში). ჰხედავ ბააკას? აკი მოგახსენეთ, რომ ეგ თქვენ ნუ გახლავთ-მეთქი. თქვენ შეჰნიშნეთ, რომ ეგ და დედოფალი როგორ სხვა თვალით უყურებენ ერთმანეთსა? აი, ეგრე ძნელი გახლავთ უგვარო, რომ მაგ ადგილას მიაღწევს. დედოფალი თავის გვირგვინს ხერხეულიძეს ანაცვალებს!.. სულ სინსილაც კი უნდა გავაწყოთ მოურავის მისადევარისაც, რომ თქვენი სახელი და თქვენი გვირგვინი გაიწმინდოს ასე დამცრო ბისაგან ..

მეფე — ასისთავებო! გაიყვანეთ ხერხეულიძე, აჰყარეთ იარაღი, მოსჭერით ცხვირი და ჩააგდეთ საკანში, (ბააკა გაჰყავთ).

ბააკა — თქვენსა და ქვეყნის ერთგულებს შადიმანებსა და მელიქების ხელში უკეთესი ბოლო არ უწერიათ და ელოდე, მეფეო, შენც მაგათგან მაგ ბოლოს (გაჰყავთ).

მელიქი — უბრძანეთ, რომ ეხლავე შეუკრან ყოველმხრივ გზები მოურავს, რომ საქართველოდან არსად გაგვასწროს, თორემ სულ დაჰლუპავს მთელს ქვეყანას.

მეფე — ბოქაულთუხუცესო! ახლავე გაგზავნეთ ყველგან კაცები, რომ შეუკრან ყველგან გზები მოურავს. ვინც ან შეიპყრობს, ან მოჰკლავს: თუ თავადი ან აზნაური იქნება, ას კომლ კაცს მივცემ, თუ გლეხი და — ას თუმანსა.

შადიმან — ჯარებო! აბა ყველანი მომყევით აქა! მოურავი ცოლშვილისაკენ წავიდოდა და თუ მარჯვედ მოვიქეცით, ვერსად წაგვივა (გადის. გასდევენ ჯარები საყვირისა და ნაღარის კვრით).

სცენა IV

ტყიან მთის წვერზედ არის პატარა ტიტველა სერი, სადაც შემოდიან: მოურავი ახალუხით და არტყია ხმალი, უჭირავს ორი პატარა თავისი შვილი; მოურავის ცოლი, რომელსაც უჭირავს ძუძუმწოვარა ბავშვი; მოურავის ორი მოზრდილი შვილი; მოურავის დედა, გამდელები ზოგი ბავშვებით და ზოგი ბოღჩებით, ორი ბიჭი წვრილმანი რაგინდარით. ყველანი არიან აწეწილები და დაქანცულები. სერზედ მოწყვეტილები დაეყრებიან. მოურავი გაჰყურებს სახლისაკენ და არის ჩუმად.

თ ე კ ლ ე — ვიშ! ჩვენი სამსახურის სანაცვლო! ცოფიანი ძაღლივით დაგვდევენ დასახოცად. ღვაწლმოსილო, წმიდაო ესტატევ, შენ მოგვხედე შენს მადლსა, და ნუ მაჩვენებ ჩემი წვრილ-შვილების უბედურებას.

ქ ე თ ე ვ ა ნ — რატომ არ მოვკვდი, მინამ ამ დღეს შევესწრებოდი. რა შევსცოდე მე წაწყმენდილმა ღმერთს ისეთი, რომ ასეთი უცნაური მომივლინა.

პ ა პ უ ნ ა ჩ ი ჭ ა ძ ე — (შემოდის). ძლივს არ მოგაგენით: მოგდევთ კრწანისიდან და ველარ მოგეწიეთ. ეს თქვენი იარაღი, (ძაღლევს მოურავს, რომელიც სულ ჩუმად არის). რაწამს თქვენ დამიძახეთ, მაშინვე გამოვიტანე სახლიდან, და სხვა კი ველარა მოვასწარი რა, რადგან ჯარი შემომერტყა. მეტისმეტი საცოდაობა ვნახე: თქვენს მსახურთუხუცესს ქვლივიძეს და ორს თქვენს მსახურთ: სოსეს და გაბრიელას თავები დააყრევინეს. ბააკას ცხვირი მოსჭრეს. მე იმისთანა ადგილას მიმიმწყვდიეს, რომ ვერ გამოვჩენილიყავ და ამას ყველას ვხედავდი. ბოლო, შემასწრეს თვალი და გამომეკიდნენ. ოთხი კაცი მომეწია, მაგრამ შენი თოფი ძალიან გამომადგა. ერთი თოფით მოვკალი, ერთი ისრითა, ერთი ხმლით ავკაფე... და ერთი კი გამექცა. იქიდან ნოსტეზედ გამოვეჩქარე და კიდეც შევიდა შადიმანის ჯარები შენს სასახლეში. პატარა ხანს ვუგდე ტყიდან ყური თქვენ სახლსა, მაგრამ თათარი არ იზამს იმ საქმესა, რასაც ჩვენი ქართველები სჩადიან. წაჰხვევიან ნაშოვარსა და ლამის ერთმანეთი გაჟლიტონ. ერთი შვიდიოდე ბიჭმა შემოიტანა ქალბატონის სკივრი ტყეში, მოუვიდათ გაყოფაზედ ჩხუბი და ამ ჩხუბში ორი ამხანაგი მოკლეს. ასეთი ამბავია, რომ ერთმანეთისა აღარა გაეგებათ რა (შემოდის ოთხი მსახური მოურავისა).

1-ლ ი მ ს ა ხ უ რ ი — აი ბატონო, ეს ერთი თქვენი ფულის ყუთი როგორც იყო გამოვასწარ, მძიმე კი გახლავთ და არ ვიცი ოქროა, თუ ვერცხლი. ასეთი ამბავი გახლავთ, რომ ერთიმეორედ მოსვლაა თქვენს სახლში. თქვენი ზვარი, თქვენი ბაღი სულ გაჰკაფეს. სვიმონ მეფის დროს რომ თათრები შემოვიდნენ, იმათ არ უქნიათ ეს ამბავი.

მე-2 მ ს ა ხ უ რ ი — მე კიდევ ეს ქალბატონის ტანისამოსი გამოვიტაცე. მსახურებმა ყველამ გამოვასწარით, მაგრამ თქვენი გამდელი მონავარდისა ჩაუვარდათ და მაშინვე ყელი გამოსჭრეს, ამისთანა უღმერთობას სჩადიან.

მე-3 მ ს ა ხ უ რ ი — მე თქვენი ზოგი იარაღი გამოვასწარ. ესეც ძა-

ლიან გამოგვადგება. ოცი ტყვია მეტი დამადევნეს, მაგრამ გადვურჩი, — მარტო ჩოხა გამიხვრიტეს სამგან. (უჩვენებს ჩოხას).

მე-4 მ ს ა ხ უ რ ი — მე მაშინვე ცხენებს ვეძგერე სათივეში, მაგრამ ორის მეტი ვერც ვიპოვნე და ველარც მოვასწარ. ყანებს ცეცხლი მოუკიდეს, სასიმინდეებს წყალი მისცეს და სათივეებში ცხენები შეუშვეს.

პ ა პ უ ნ ა ჩ ი ვ ა ძ ე — მგონია სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს ამ ურჯულოებმა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (წამოცვივიან). სასახლე იწვის მართლა! (ალი თანდათან ძლიერდება. ქალები დაიწყებენ წივილ-კივილს, კაცები ელდანაცემი წინა დგებიან და გაჰყურებენ პირგამშრალნი).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მშვიდობით, ამდენის წლის ნაამაგდარო სახლ-კარო და ჭონებავ! მშვიდობით, ჩემო ამაოდ დაღვრილო სისხლო და მწარე ოფლო! (გაბრუნდება და შევა ხშირს ტყეში).

ს ც ე ნ ა V

მცხეთის ხიდთან დგას სამოცი კაცი ყარაული. მტკვარი მოდიდებულია, ჩანან მცხეთის ეკლესიები. გარშემო მთებია. ყარაულები ჯგუფ-ჯგუფად უსხედან ანთებულს ცეცხლებს და ლაზღანდარობენ.

1-ლი ყ ა რ ა უ ლ ი — ვაჟო, რატომ არ მოგვდის ღვინო, ლამის შუაღამე გადავიდეს, გიჟია, ე მცხეთის მამასახლისი. ამ ცივ ღამეში რამ უნდა გაგვაძლებინოს. ჰყურობ ოხერი ზენა ქარი რარიგად წუწუნებს. თუ პატარა არ შევზარხოშდით, დიდ მოურავს არა და კოლოტაანთ ბებერსაც ვერ დავიჭერთ. ბერო, არაყი კი არ უთხარი?

მე-2 ყ ა რ ა უ ლ ი — როგორ არა, აგერა, მგონი კიდეც მოაქვთ, ვიღაცეებიც კი ჩანან ხიდს გაღმა და.

ყ ა რ ა უ ლ ე ბ ი ს უ ზ ბ ა შ ი — ბიჭო! გაღმა ვიღაებიცა ჩანან, ნახეთ: მოურავი ხომ არსაიდამ გაგვეპარა.

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ყ ა რ ა უ ლ ი — არა, მცხეთელები გახლავან ვახშამი მოაქვთ.

უ ზ ბ ა შ ი — ვახშამი!.. თქვენი ოჯახის აშენებამ, ვითომც საკაძეს თავი მიგირთმევიათ მეფისთვისა და ასი თუმანი ჯიბეში ჩაგიჩხრიალებიათ.

მე-3 ყ ა რ ა უ ლ ი — რატომა, შენი ჭირიმე, თავი დროზედ კარგი ვახშამიც კარგია. ხომ მოგეხსენება, ცარიელი ტომარა ზეზედ ვერ დადგებაო. მშიერ კაცს რა შეუძლიან.

(შემოდიან მცხეთელები, შემოაქვთ ვახშამი).

1-ლი მცხეთელი — აქა მშვიდობა, ეს მოგართვათ მცხეთიხ მამასახლისმა. ბოდიში მოიხადა: საჩქაროდ მეტი ვერა მოვასწარ რაო.

უზბაში — ღმერთმა ნურა დაანახოს რა თქვენს მამასახლისს!.. ამ ერთიბეწომ რა უნდა გვიყოს ამოდენა ხალხს: ყლაპი ვქნათ, ყლუპი აღარ გამოვა. ჯერ, შვილო, სამოცი კაცით რა უნდა გავხდეთ იმისთანა ვეშაპ კაცთან, და მერე ისიც მშიერ გუნებაზედ. შვილო, თუ ცოტა შეზარხოშებული არა ვართ და გული ღვინით არ გავიმაგრეთ, სულ თხებივით დაგვხოცავს, სვეტიცხოვლის მადლმა. იქნება იმან ჯერ არც კი იცის ვინა გვყავს დასაჭერი.

რამდენიმე ყარაულები — ღმერთმა ამოაგდოს მაგათი მამასახლისის ოჯახი, თუ პატარა ბლომად გამოეგზავნა ე ღვინო და არაყი მაინცა, მოვიდეს ეხლა, თუ კაი თავი დედიშვილია, და იმან დაიჭიროს სააკაძეი. თავი არ მომიკვდება, შესაჭმელად არ ვეყოფით.

უზბაში — განა, შვილო, მცხეთელებს ნამუსი გაქვთ! მოიტა ვჭამოთ, რაც არი — ეგ არი. რას იზამ, შვილო, სამოცი მშიერი კაცით რომელ მოურავს დაიჭერ. ამას სუყველაფერს ჩემი პირით მეფეს მოვახსენებ.

(ყარაულები გროვდებიან, სხდებიან და იწყებენ პურის ჭამას, ისმის ყოველმხრივ: „დიდებაა ღმერთსა, ღმერთო! შენ გაუმარჯვე აქა მბრძანებლებსა, გვაშოვნინე მოურავის თავი, ამოჰკლიტე ჩვენი მტერი და გაუმარჯვე საქრისტიანოსაა. ჩამოირიგებენ ორ-ორჯერ არაყს).

უზბაში—(ცოტა შეფიქრიანებული არყისაგან). ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს მეფეს, ბატონ ლუარსაბს. მე და ჩემმა ღმერთმა, მაგითანა უხვი გამცემი მეფე სულაც არ იქნება. შარშანწინ ერთმა შადიმანის მსახურმა გაქცეული ჯეირანი მოკლა ცხენდაცხენ და იმაში აზნაურობა უწყალობა და ათი კომლი კაცი აჩუქა. (სვამს ღვინოს, ყველანი სვამენ და მღერიან მრავალჟამიერს). ეგრე, თქვენი ჭირიმეთ, გამხიარულდით. როგორც იყვეს უნდა მეფის ბრძანება შევასრულოთ. ეგრე მოუვა ყველას, ვინც უგვაროდ დაიწყებს დიდკაცობას. აი სააკაძე ვინ არის, შვილოსა, განა არ ვიცნობთ: ჩვენზედ უფრო დაცემული აზნაური იყო მაგისი მამა. მაგის ბიძაშვილები არ არიან შიმშილით კუჭი უხმებათ, ვიზედ რა დიდი კაცია. ერთი ხუთი კომლი კაცი უშოვნია და მეფობასა ჩემობს... ეს ღმერთმა გაუმარჯოს, ვინც პირველი გაუტარებს სააკაძეს გულისპირში ხანჯალსა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამიინ! (სმენ).

1-ლი ყ ა რ ა უ ლ ი — ვაჟო! მოურავის მამა მამაჩემს არა სჯობდა, განა არ ვიცი რაც არიან. ეს არი მაგას, შვილო, კლავი უჭრის და იმისი დიდი გული აქვს, თორემ სააკაძე რა არი!

მე-2 ყ ა რ ა უ ლ ი — კიდეც ეგ არი, შვილო, რომ კლავი უჭრის: ჰხედავ როგორ ყველას ეშინიან მაგისი.

უ ზ ბ ა შ ი — ეშინიანთ რა, ერთი თავზედ ხელაღებულია და ეშინიანთ. აბა, შვილო, თუ კაი ბიჭია, რატომ ეხლა არ ეომება მეფესა.

უ ც ხ ო კ ა ც ი — (შემოდის). აქა მშვიდობა და გამარჯვება. აბა ეგრე. თქვენი ჭირიმეთ, ეგრე იფხიზლეთ აი. ეს არის ეხლა შეფემ გამომგზავნა და ბრძანა, რომ ვინც მოურავის თავს მომიტანს ას თუმანზედ კიდევ სამოცსაც სხვას დავადებო. კიდევ ბრძანა, რომ იმის ხარჯზედ კარგად დაგიხვდეთ ამაღამ და კარგი ქეიფი გაგაწევინოთ. მხოლოდ ეს დამავედრა, რომ ეს ერთი ღამე როგორც იყვეს ყველამ იფხიზლეთ და თქვენს სამსახურს მაინცა და მაინც არ დავივიწყებო. ღვინო გაქვთ სამყოფი, თუ არა?

რ ა მ ო დ ე ნ ი მ ე ხ მ ა — აღარ გახლავთ. მამასახლისს ცოტა გამოეგზავნა.

უ ც ხ ო კ ა ც ი — (ამოიღებს ჭისით ფულს). აჰა და იმდენი ღვინო და არაყი მოიტანეთ, რომ სულ თავზედ სასხმელი იყვეს. მეც ამაღამ თქვენი წვეული ვარ. მეფემ და შადიმანმა მიბრძანეს, რომ მე თითონ გაფხიზლოთ დილამდის.

ყ ა რ ა უ ლ ე ბ ი — (ყვირიან და მაღლა ქუდებს ისვრიან). ჩვენს დიდებულს მეფეს გაუმარჯოს!

უ ც ხ ო კ ა ც ი — ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ. მეფის ერთგული კაცი ყოველთვის გამარჯვებულია. უზბაშო, აბა მალე უბრძანე სასმელების მოტანა და სხვაც, რაც საჭირო იყვეს. ამაღამ რჯულზედ უნდა დავლიოთ.

უ ზ ბ ა შ ი — აბა, ბიჭებო, ამ დუქნიდანვე მოიტანეთ, ჩქარა (უცხო კაცს). მინამ, თუ უკაცრავად არ გახლდებით და გვიკადრებთ, ჩვენი ღვინო ძიერთვით.

უ ც ხ ო კ ა ც ი — დიდი სიამოვნებით. ღვინო სულ ღვინოა (უჯდება უზბაშს გვერდით).

უ ზ ბ ა შ ი — ბიჭო! ხანდახან ცხენებსაც მიჰხედეთ ხოლმე, რომ არ აეშვნენ და ვინიცობაა როგორ იყვეს, მაშინვე ზედ მოვასხდეთ. მედუქნეს უთხარით, თივა გამოგვიგზავნოს ე ჩვენი დიდებული მეფის ნაწყალობები ფულითა. ღმერთმა გაა-

ძლიეროს ჩვენი მეფე, თორემ იმის ერთგულსა და მოსამსახურეს არა გაუჭირდება რა თავის დღეში.

უცხო კაცი — ოღონდაც, უზბაშო, ისეთი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი მეფე, რომ თავის პირით მიბრძანა წამოსვლის დროს, რომ თუ ან დაიჭერენ, ან მოჰკლავენ მოურავს, აზნაური იქნება — თავადობას მივცემო, თუ გლეხი და — აზნაურობასო და ყმებსაც კიდევ ვაჩუქებო.

ყველანი — ღმერთმა გააძლიეროს!.. (შემოაქვთ ტიკებით ღვინო, არაყი, პური, ხმელი თევზი და სხვა).

უცხო კაცი — აბა შევექცეთ.

უზბაში — (ივსებს ჯამს). ეს ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი მწყალობელი ხელმწიფე ბატონი ლუარსაბი (სვამს).

ყველანი — (ყვირიან). გააძლიეროს (სმენ ჯამებით).

უზბაში — ალავერდი თქვენთან, ბატონო მეფის პირო. უკაცრავად, შენი ჭირიმე, რომ თქვენი სახელი არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია: რაკი მეფისაგანა ბრძანდები, მეფის თანასწორ უნდა გცეთ პატივი.

უცხო კაცი — იახშიოლ. პროშტი, შენი ჭირიმე, (ჰკოცნიან ერთმანეთს). ე მაგისთვის მიყვარს შენისთანა დარდიმანდი კაცი, აი! შენისთანა ერთი-ორი ძმაბიჭი რომ მომცა, მოურავს კი არა — ყეენს დავიჭერდი. (სვამს). ასე მტერი დაეცალოს ჩვენს მეფეს (ამხობს პირქვე ჯამს). აბა, ბიჭებო, სულ ესე უსუნთქლივ უნდა დალიოთ, აი!

ყარაულები — ბატონი მეფის წყალობა იყვეს, თორემ სმისა კი ჩვენ ვიცით. (ყველანი უსუნთქლივ სვამენ).

უცხო კაცი — (ისხამს ჯამზედ ცოტა ღვინოს). ეს ღმერთმა ადღეგრძელოს მეფის დედა-დედოფალი. თუ ის არა ყოფილიყო, ჩვენ დღეს ამისთანა მეფე არ გვეყოლებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა. (სვამს უსუნთქლივ). ალავერდი შენთან, უზბაშო. თავი მომიკვდეს, თუ ისეთი საქმე არ გიყო მე შენა, რომ თავის დღეში არ მოელოდე. მამაჩემი არ წამიწყდება, ისე გაგიკეთო მეფესთან საქმე, რომ შენს მეტი სალაპარაკო აღარავინა ჰყავდეთ. შენ იქნება არ მიცნობ მე, ვინცა ვარ, და როცა გაიგებ ჩემს ვინაობას, იტყვი, რომ ის სწორედ ის არა ყოფილა, ვინც მე მეგონაო. უყურე რა მადლობა გითხრას მეფემ ჩემი გულისთვის.

უზბაში — ღმერთმა მიდღეგრძელოს შენი თავიცა და ჩვენი მეფეცა, ვიცი, რომ—ერთი დაცემული აზნაური ვარ და—შეაბრალებ ჩემს თავს მეფეს. (ჩამოართმევს სავსე ჯამს და სვამს უსუნთქლივ).

ყარაულები — (სმენ, რაც შეუძლიათ სავსე ჯამებითა და შეზარხოშებულნი მღერიან).

სულ მთლად გაუოხრებიათ
გაღმა-გამოღმა სოფლები,
დედ-მამა დაუტყვევნიათ,
გაუქლეტიათ ობლები,
სახნავ-სათესი დაუწვამთ,
სისხლით დაურწყავთ მინდვრები...

უზბაში — (ავსებს ჯამს). ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ე მეფის დიდებული პირი, რომელმაც დღეს ჩვენ გვიკადრა და გაერია ჩვენში. აბა, ბიჭებო! უსუნთქ-ლავ! მე და ჩემმა ღმერთმა, ჩვენ ამდენ ღვინოსა და ამისთანა ვახშამს სულაც ვერა ვნახავდით, თუ ეს არა ბრძანებულიყო. (სმენ სავსე ჯამებს და ამბობს მრავალჟამიერს. ყარაულები სმენ და ბანს ეუბნებიან).

უცხო კაცი — ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მეფის ერთგული უზბაში. მოდი ერთი კიდევ ჩაგპროშტო, უზბაშო. (მოეხვევიან და ერთმანეთსა ჰკოცნიან). აბა პროშტი ამას ჰქვიან, აი. (სვამს ნახევრათ ჯამს და უსვებს უზბაშს. მერე მღერის).

ვთქვათ: ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია,
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია.

(უზბაში ეუბნება მიძახილს და რამოდენიმე ყარაული — ბანს).

უზბაში — (სვამს სავსე ჯამს). რომ გაიძახიან, მოურავიო! ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც მოურავს შეუშინდეს: ისიც ჩვენსავით ქართველი კაცი არ არის? ლეკი არ არის და თათარი!

უცხო კაცი — აბა ნეტავი კაცს მაინცა ჰგავდეს. სახელი აქვს ცარიელი.

რამდენიმე ყარაული — (მღერიან დამთვრალები).

აბა, ბიჭო და...
ბატონი დიდ-მოურავი
მუჭუჭი არის მტრისაო:
სადაც მტრის სახელს ყურს მოჰკრავს
სისხლში მოუგლის ცხვირსაო,
მაზედ ატირებს ცოლ-შვილსა,
და დედას გაგლეჯილსაო.
იმისი ბადალი კაცი
არ არის ქვეყნის პირსაო:
ქვრივ — ობოლ — გლახას იწყნარებს,
გლეხკაცისა სჯამს ჭირსაო.
იმის მტერი და მოშურნე
მოკლებულია ძილსაო,
სულ იმას ფიქრობს: „რაღა ვქნა,

რა უყო გიორგისაო“.
გიორგის ვერას დააკლებ
მკლავი მიუგავს გმირსაო,
და ალალო, ალალაალოო.

ერთი მომღერალთაგანი — ჩვენ რო მოურავი დავიჭიროთ მე შენ მოგახსენო, ძალიან ბიჭობა იქნება...

უზბაში — (დამთვრალი). თავი მომიკვდეს, თუ მოურავი ცოცხალი არ მივგვარო მეფესა. მე როგორღაც გული მითქვამს, რომ ჩემი ხელით უნდა დავიჭირო. იმისი ბიჭობაა გათქმული, მაგრამ ჯერ ჩემიც არ უნახავს იმასა. ვაი დედი ჩემი ღმერთსა! მეფის ბრძანება იყვეს და გაუშვა ხელიდან. ისე ღორივით უნდა მოვსჭრა თავი და ისე მივართვა მეფეს.

უცხო კაცი — აი, შენი იმედის ჭირიმე, შენი. ტყუილად კი არა ბრძანა მეფემ, ისეთი უზბაშიაო, რომ მარტო ისიც ეყოფა მოურავსაო.

უზბაში — აი, ვენაცავალე ი მეფეს შიგ სულშია. თუ ეგ ტყუილი იყვეს, თავი მომიკვდეს. მე შენ მოგახსენო, რომ მოურავი... სულ არაფერი...

უცხო კაცი — ეგრე მომეცი იმედი, აი!.. მოდი მე და შენ ერთი იმ ღმერთის სადღეგრძელო დავლიოთ, რომელმა ღმერთმაც შენ მაგისთანა ვაჟკაცის გული ჩაგიდო. ბიჭებო! ეს იმის სადღეგრძელო იყვეს, რამაც ღმერთმა ამისთანა უზბაში მოგვცა. (სვამს ჯამს ნახევრად). აი, ასე უნდა დასცალოთ, აი, (მოაქცევს ჯამს პირქვე). მე და ჩემმა ღმერთმა, ამისთანა უზბაშს თავის დღეში ვერ იშოვნიდით. სწორედ გავაკეთებინებ მეფეს ამას. ერთი კიდევ პროშტი (ჰკოცნის უზბაშს).

(ყარაულები სმენ, ყვირიან რაღასაც გაუგებრივ და აირევიან ზოგნი).

უცხო კაცი — (გაავსებს ჯამს). აბა ეხლა სამადლობელო დალიე.

უზბაში — დიახაცა და დავლევ. მეფის წყალობას რატომ არ დავლევ! დავლევ არა და ჯანსაც გავიგდებინებ... ეს ვისი სადღეგრძელო გახლავთ?

უცხო კაცი — შენი სადღეგრძელოა.

უზბაში — ღმერთმა ბევრი კარგი გათქმევინოს. მადლობა მომიხსენებია. (იწვაფებს ზიზღით, ძლივს სცლის და ძირს ახეთქებს ჯამს). ესე მტერი დაგეცალოს... აი, იმ ღმერთ კი ვენაცვალე, რამაც ღმერთმა შენ ჩვენთან... გესმის... გამოგგზავნა-მეთქი. (ეხვევა უცხო კაცს და ჰკოცნის). ერთი მომგვარე ი მოურავი აქა

და... გიჩვენებ რაც ბიჭი ვარ... ეი! მოურავო!.. გამოდი სალაცასა ხარ დამალული და... ვაი, შენი ღმერთების ჭირიმე!..

(ეხვევა კიდევ უცხო კაცს. ყარაულებში ისმის არეული სიმღერა, ამათში ზოგნი მთვრალნი იქვე ეყრებიან და იძინებენ, ზოგნი კიდევ სმენ).

უცხო კაცი — უზბაშო, ერთი სადღეგრძელო კიდევ გვაკლია მე და შენ, მე და ჩემმა ღმერთმა, სირცხვილია რომ დავივიწყეთ. იმის მამულში ვდგევართ, მეფის დარი კაცია და კი არ მოგვაგონდა. ბატონი ქათალიკოზის სადღეგრძელო. ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს სულიერს მამას ქათალიკოზსა. (იწაფებს ცარიელ ჯამს). ესე მტერი დაგეცალოს. ალავერდი შენთანა, უზბაშო.

უზბაში — მე! მე და ჩემმა ღმერთმა, რომ... ძაან... ეშხში... ეხლა უნდა მოურავი დავიჭირო...

უცხო კაცი — ქათალიკოზის ლოცვა-კურთხევა თუ არ გექნება, მოურავს არა, და იმის მსახურიც რო ხელში გყვანდეს — ხელიდან წაგივა... მეფეზედ კიდევ ქათალიკოზი უფრო საჭიროა ქვეყნისათვის.

უზბაში — სწორე ბრძანებაა. ქათალიკოზი! მე შენ მოგაბსენო. ძაან... კაცია... ჰმუ!.. სულიერი მეფეა. (ჩამოართმევს პირამდის სავსე ჯამს). ეს ღმერთმა ადღეგრძელოს... ღვთისმშობელი იყვეს ჩვენი... შემწე... არა... აღარ შემიძლია. ჰმუ, როგორ არ შემიძლიან!.. უნდა მოვკვდე და დავლიო. (იწაფებს, მოსვამს ცოტათი და დადგამს)... რომ ვამბობ აღარა-მეთქი. ჰმუ!.. (აღგება ბარბაცით). ეი მოურავო! გამოდი ერთი, შენი ღმერთების ჭირიმე... (უცხო კაცს). ნურას უკაცრავად, შენი ჭირიმე, თუ ჩემი უგუნური თავით... მეფისა და შენი წყალობა უხვად... ხომ მოგეხსენება... ძაან გუნებაზედა ვარ... ჰმუ! ჰმუ! ეი! ბიჭებო! მოურავი-მეთქი... (უცხო კაცს). შენმა მზემ, დიდებულო... მეფეო... ამაღამ უნდა მოურავი დავიჭირო... თავს მეფეს მივართმევ... ფეხებს შადიმანს... მე შენ მოგახსენო... რომ შადიმანიც არაფერი... ეიჰ! მოურავო!.. ბიჭო, ე ნაბადი მომიტა... უნდა პატარა თვალი მოვატყუო... (მიეგდება ბუჩქის ძირას ცარიელს ადგილზედ). ამაღამ არავინ უნდა დაიძინოთ.

(იძინებს).

(ყარაულებს ყველას სძინავს, ერთი რვაოდე კაცის გარდა. ამათში ზოგნი ფეხზედა დგანან და აპირებენ ისინიც სადმე ადგილის გამორჩევას, რომ დაიძინონ, ზოგნი ისევ სხედან, მღერიან და სმენ).

1-ლი ყარაული — დალიე, შვილოსა, მეფის წყალობაა...

მე-2 ყარაული — ჯერ, შვილო, შენც ჩემ ხელად მოიყარე... ორი გაკლია...

უცხო კაცი — (მიდის სადაც ყარაულების ცხენები აბია). აჰმუ! აჰმუ!.. (ახველებს. გამოდის სამი კაცი ტყიდან). ამოარჩიეთ, რომლებიც უფრო კარგი ცხენები იყვნენ. (არჩევენ და მიჰყავთ საჩქაროზედ). ეს რაც დარჩნენ, იმათაც ეხლავე დავაძინებ. ძალზედ მთვრალები არიან. ფონსაც ეხლავე გავსინჯავ. ხიდზედ არ გაისვლება, რადგან სულ ზედა სძინავთ, გათენებამდის უნდა წყალს გავიდეთ და გავასწროთ მძინარე მცხეთელებს, თორემ მერე სახიფათო იქნება. (ცხენოსნები შევლენ ტყეში).

1-ლი ყარაული—შვილოსა! ე რაღაცა ცხენის ფეხის ხმა მესმის. თითქო... ეგების მოურავი იყვეს.

მე-2 ყარაული — შენ ეხლა, ძმავ, ნეტავი წმიდა გიორგიც არ მოგელანდოს... მოურავიც რო იყვეს, შვილო, რა ძალა შეგიძლიან... მე შენ გითხრა, ნუ მოინდომებს მოურავი, თორემ... არ იციან ჯერ იმისი უნარები...

1-ლი ყარაული — შენ თუ გეშინიან, შვილო, იმისი... თორემ, თავი არ მომიკვდება, იქნება რომ სულაც არაფერი...

მე-3 ყარაული — ამაღამ სულ ასე უნდა ვსვათ... თუ ჩვენ მოურავი წაგვივიდა... მაშ ჩემი ბრალი იყვეს... ერთი უყურეთ!.. (უჩვენებს დაძინებულ ყარაულებზედ). როგორი ჭერეხებივითა ყრიან... მეფე წყალობას უშვრება და ესენი კი ძილს უნდებიან, თითქო ვეღარ მოესწრებიან!...

მე-4 ყარაული — გამიგონეთ... ძმავ... მოურავი რომ დავიჭიროთ მაგათ წილს ნუღარ დაუდებთ... დეე დაიძინონ.

მე-5 ყარაული — უთუოდ დავიჭერთ, თავი არ მომიკვდება... მე ისე მიცვნია, რომ უნდა დავიჭიროთ...

უცხო კაცი — (მიდის იმათთან). აბა, ბიჭებო! ეგრე იფხიზლეთ, თქვენი ჭირიმეთ, აი... აბა ერთი დამისხი, ეხლა ე თქვენი ღვინისა დავლიო. (აძლევენ სავსე ჯამს). აბა, ძმებო! ეს ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ, მოგცეთ მეფისა და ქვეყნის ერთგულება. (ჰსვამს).

1-ლი ყარაული — აი, შენი ღმერთის ჭირიმე!.. აბა ერთი, ბიჭო. ეხლა მე დამისხი. (უსხამენ და სვამს სავსე ჯამს. სმენ ყველანი და არეულად მღერიან მრავალჟამიერს).

უცხო კაცი — აბა ეხლა, მე რაღა დაგიშავეთ. ერთი ჩემი სადღეგრძელოც დალიეთ.

მე-2 ყარაული — მე და ჩემმა ღმერთმა!.. ჩვენი მასპინძელი დღეს

შენა ხარ. ეს ღმერთმა გადღეგრძელოს შენა, შენი და მეფის წყალობა ნუ მოგვაკლოს. (იწაფებს სავსე ჯამს და უჭირდება).

მე-3 ყ ა რ ა უ ლ ი — ასწი, ასწი, შვილოსა!.. ამისთანა კაცის სადღეგრძელო უსუნთქლივ უნდა დალიო...

მე-2 ყ ა რ ა უ ლ ი — ძაან... საქმე ქნა, მე შენ გეტყვი... მაგარი ღვინოა... მე ძეგვური მეგონა.

მე-3 ყ ა რ ა უ ლ ი — ასწი!.. ძეგვური კი არა—ხელმწიფის წყალობაა.

მე-2 ყ ა რ ა უ ლ ი—(იწაფებს ზიზღითა და ჰსვამს). ესე მტერი დაგეცალოს.

(წამოდგება და იქვე მიეგდება დასაძინებლად. ჰსმენ სხვებიც: ზოგი სავსეს და ზოგი ნახევრობამდის და რამდენიმე კაცი იქვე ეყრება დასაძინებლად).

1-ლი ყ ა რ ა უ ლ ი — ამაღამ თუ მოურავი არ დავიჭირო, ბიჭი არა ვყოფილვარ. (ეძებს დასაძინებლად ადგილს). ეი, ბიჭო! ე ცხენებს... არავინ დაგვპაროს... კარგად იფხიზლეთ, შვილოსა... ცხენები... მაგი მეტი რაღა გვაბარია... (მიწვება და იძინებს).

უ ც ხ ო კ ა ც ი — მოდი ერთი თითო კიდევ დავლიოთ, ღვთის მადლით მეფის წყალობა კიდევ ბევრი გვაქვს.

მე-5 ყ ა რ ა უ ლ ი — დიახაცა და დავლიოთ!.. ღმერთმა ნუ მოგვაკლოს მეფის წყალობა...

უ ც ხ ო კ ა ც ი — (ისხამს ნახევრობამდის ჯამს). ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმას, ვინც მოურავის თავს მიართმევს მეფეს (სვამს). ალავერდი შენთან (ავსებს ჯამს და აძლევს).

მე-5 ყ ა რ ა უ ლ ი —(ჩამოართმევს ჯამს). იახშიოლ! ეს ღმერთმა გადღეგრძელოს შენა. ვინც ხარ... ვინც უნდა იყვე, მე და ჩემმა... შენ, შვილო, თუ კაი კაცი იყვე — მე აღარა ვიცი რა... ჩვენ სუყველანი დავთვერით და შენ კი არა... შენ, შვილოსა, ან პაპუნა ჩივაძე ხარ, ან პაპუნა ვაშაყაშვილი... იქნება მოურავიცა ხარ... ვინ იცის... და განგებ დაგვათვრე... რამდენი ეშმაკობაა ქვეყანაზედ... ვინც უნდა იყვე, ღმერთმა გადღეგრძელოს, როგორც გვემართლებოდე. (იწაფებს, პატარას მოსვამს და ისევ მოიხსნის). თუ მოურავი ხარ, შვილოსა, სწორეთა თქვი... შორს ნუღარ წაგვიყვან... წეღანვე რომ დაგინახე — არ მომეწონე... ღვინო რომ არ მოგეტანინებინა... შენ, შვილო, კოჭებში გეტყობა... ქრისტიანი სული არ გიდგა... კაცს როგორ არ ვიცნობ... (იწაფებს კიდევ ჯამს და ისევ მოიხსნის). ამაღამ ასე იყვეს... ამას როგორც იქნება დავლევ... ხვალ კი მე და შენობა აღარ იქნება. (იწაფებს და სცლის ჯამს). ეს არის. (გადმოაბრუნებს და სწრეტავს). ასე არა თქვა, რომ ვერ დასცლიო (მიდის

დასაძინებლად). ეი, ბიჭებო!.. ჩვენ მოურავი ხელში გვყავს... დაჭერილი... ეხლა თქვენ იცით... მე ასე მითქვამს. (მიეგდება და დაიძინებს).

უ ც ხ ო კ ა ც ი — (დაათვალიერებს ყველას). კარგა სძინავთ. შენს მტერს ნუ გაუღვიძია — ხვალ შუადღემდის ამათ ვერ გაიღვიძონ. წავიდე ფონი დავათვალიერო. არ დაიგვიანონ მაინც, თორემ აგერ საცაა ინათლებს. ეს ერთი რატო ასე ამიტყდა! პაპუნა ჩივაძეო, რომა სთქვა, ვთქვი ეს არის მიცნა-მეთქი. სიმთვრალით მოუვიდა, თორემ ფხიზელი მაგას თავის დღეში ვერ იფიქრებდა... რასაკვირველია, ეხლა ეგენი მოურავს დაიჭერენ. აბა ეგრეა ქართველი კაცის საქმე: უღვინოდ არ ვარგა, თუ ღვინო ნახა და თავს შიგ ჩაიხრჩობს... (გადის).

სცენა VI

სახლი ნუგზარ ერისთავისა ბაზალეთს. სცენაზე არიან ნუგზარ და საამ კობიაშვილი.

ნ უ გ ზ ა რ ი — მელიქისა და შადიმანისაგან ეს უნდა მომივიდეს. მე ჩემი ფიქრით ვგონებდი, რომ მეფე შადიმანში არა, და მთლად ბარათაანთშიც არ გამცვლის-მეთქი. ეგ არის, მაშ ჩვენი ბატონყმობა და მამაშვილობა არა ნდომებია, და მაშ დეე ბარათაანთი და მელიქიანთ მეფე იყვეს მარტო. მე ჩემზედ მრისხანე ბატონს არ ვიბატონებ. ჩემი სიძის გაწყრომა — ჩემი გაწყრომაა, თუ ესმოდეს ეს იმასა. ალბათ ჩემზედაც ვრისხანე იქნება, რაკი გოგოჩუა შადიმანს უნებებია! მაშ ამას იქით რაც მოხდეს, ბარათაანთ ბრალი იყვეს. ეხლავე წადი შენა საამ, და შეჰყარე სულ კაცნი მთიულისანი, მოხევენი და გუდამაყარნი; დაჩიძახე ჩემს არაგველთა. უთხარ. რომ მართალია დაბერდა ნუგზარი, მაგარმ გული ისევ რვალისანი უდევან-თქო. შეჰყარე მთლად ჩემი საყმო: აზნაურნი და გლეხნი, მოხუცებულნი და ყმანი. უთხარი რომ თქვენმა ნუგზარმა კიდევ მოჰკიდა ხმალს ხელი მტერთა გასამუსრავათა-თქო. აგავსებთ ყველას ნადავლითა და ნაშოვრით-თქო. ნუ დავაჟანგებთ ხმალთა ჩვენთა, და ნუ დავემსგავსებით დიაცთა: არა ჰშვენის ჩვენებრ ვაჟკაცთა, რომ ამდენს ხანს არ ვაცნობდეთ თავსა მტერთა ჩვენთა-თქო. დავლიოთ სისხლი მტრისანი და მოვფინოთ მკვდარნი მათნი ველთა და მთათა მთლადა ცოლ-შვილის სავალალოთა, რომ სცნას ყვე-

ლამა, რომ ჩვენებრ გმირთა მტრად ასევა არავის ხელს არ მისცემს-თქო. შეჰყარე ყველანი და მაშინ ვაცნობებთ ვინც გაუხდიათ იმათ მტრათა...

დიდი მოურავი — (შემოდის) ჩემო სიმამრო, დავაჩქაროთ გაცლა, თორემ მე რომ შადიმანის ამბავი ვიცი, აქ მოგვიხტებიან და აღარავის დაგვზოგავენ.

ნუგზარი — მაშ შენ დედაკაცის ჩიქილა უნდა დამხურო, რაღა რომ ჩემი სახლიდან უსისხლოდ ვისმე გავეცალო, მოურავო! მე შენ ჩემ სიძედ ვეღარ გიცნობ. ისე როგორ უნდა დავიჯაბნეთ შადიმანისაგან, რომ იმისგან შეშინებულნი გავრბოდეთ.

დიდი მოურავი — ხომ გაგიგონია: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კაცისა მამაცისგანაო? დღეს შადიმანის დროა და უნდა გავეცალნეთ. ეხლა ჩვენ აღარა შეგვიძლიან რა. მინამ შენ შენს საყმოს დაუძახებდე, მინამ მეფის ჯარები ღორებივით თავებს დაგვჭრიან.

ნუგზარი — ისე არა მყავს ჩემი საყმო დაგეშილი, რომ სამს დღეზედ სულ ფეხზედ არ დავაყენო.

დიდი მოურავი — სამს დღეს კი არა, მე ყოველს წუთს მოველი აქ მეფის ჯარებს.

მსახური ნუგზარისა — (შემოვარდება დაქანცული) ბატონო ნუგზარ! უბედურება რამა გვწვევია, თუ არ უშველე შენს თავსა. მეფე შენზედ გარისხებული რასმე ყოფილა. შემოესია თმა უმრავლესი ჯარი მეფისა შენს საყმოს ნაოზას, და ვინც გაასწრო, ხომ ღმერთმა უშველა, ვინც არა და აღარავინ ცოცხალი არ გაუშვეს. ჯერ ააოხრეს მთელი სოფელი და გამოიტანეს რაც რამ მოიპოებოდა, მერე ადგნენ და სულ მთლად ცეცხლი წაუკიდეს და ჰლამობდნენ აქეთ წამოსვლასა.

ნუგზარი — მეფემ ჩემი ნაოზელები დამიწიოკა?! სად არის ჩემი ჯავარი? დამიძახეთ ჩემთა მსახურთა და ბაზალელებთა... ჩემი ნაოზის გაოხრება უნდა ვისმე შევარჩინო!

დიდი მოურავი — რა დროს ეგ არის... რას გაჰხდები შენის მსახურებით და ბაზალელებით... ვუშველოთ ჩქარა ჩვენს თავს... საამ, მანამ შენ ვინც შეგხვდეს, შეჰკრიბე და ეგება სადმე ვიწროებში ჩაუჯდე და როგორც შენგან ვიცოდე, გაისარჯე, ეგება რამდენსამე ხანს მაინც შეაყენო მეფის ჯარი. (ბიჭს) შენ გადი და უთხარი, რომ ეხლავე მოგვგვაროონ ცხენები. ქალები და ყმაწვილები შეიკრიბნენ საჩქაროდ.

საამ — მაშ საამ მოკვდეს, თუ თქვენი თავი უსიკვდილოდ დაანებოს ვისმე (მოუსვამს ხმალს ხელს).

დიდი მოურავი — პაპუნა ჩივაძე ნაოზისკენ იყო დასაზვერად. იქნება ისიც შეგხვდეს და თან წაიყვანე... ოჰო! აი პაპუნასთან ნამყოფი ბიჭიც! რაო თევდორე?

თევდორე — (მთლად სისხლში მოსვრილი მკლავჩამოვარდნილი შემოვარდება). ბატონო, ჩქარა უშველეთ თქვენს თავს, თორემ მოდის ჯარი. პაპუნამ მე თქვენთან გამომგზავნა შესატყობინებლად და თითონ კიდევ ჩაუჯდა ნაოზელებით ვიწროებში. შვიდი რვა ბიჭი მოგვიკლეს...

დიდი მოურავი — (საამს). აბა, საამ, შენი ჭირიმე, მიეშველე შენც პაპუნას. (საამ გარბის). თევდორევ, ჩქარა ცხენები. მსახური ნუგზარისა — (შემოდის). ცხენები მზად გახლავან. ქალები და ბიჭები შეგროვილები არიან და თქვენ გელიან.

ნუგზარი — უომარი უნდა გავიდე ჩემი საყმოდან და ჩემი ოჯახიდან!.. მაშ ნურც მომკვდარა მოხუცებული ნუგზარი, რომ არ გამაძლარიყვეს ერთი თავისებურად მაგათის სისხლითა... წამიყვანე, ჩემო სიძევ, სადაც გინდოდეს, — დღეს შენი ჭკუა სჯობიან ბებერი ნუგზარის ჭკუას. ჩემს ჭარმაგობაში მე ეგენი მაგას ვერ მიზამდნენ...

(ამ დროს ისმის შორიდან თოფის სროლის ხმა).

დიდი მოურავი — არიქა! ჯარი მოვიდა. (მიდის დიდი მოურავი, ნუგზარ მოისვამს ხანჯალზედ ხელს და მიდის).

(თოფების ხმა თანდათან ახლოს მოდის, ისმის ყიჟინისა, დაფდაფებისა და საყვირების ხმა. პატარა ხანს უკან შემოცვივიან სცენაზედ პაპუნა ჩივაძე და საამ კობიაშვილი სულ მთლად სისხლში მოსვრილები. ამათ შემოსდევენ თან მეფის ჯარები ყიჟინით. ისინი გარბიან მეორე კარით).

შადიმან — (შემოდის). დაჰხოცეთ, ვისაც მოასწროთ! ნურავის ნუ დაზოგავთ. რადგან მოურავსა და ნუგზარს გაუსწვრიათ, ჯარების წინამძღომელნო, შედით თქვენი ჯარებით ნუგზარის საყმოში და სულ მთლად მოაოხრეთ, რომ ნატამალი, ქვა ქვაზედ აღარ გაუშვათ. დაჰხოცეთ და გაჟლიტეთ, ვისაც მოასწროთ, რომ დაზოგვა არავისი აღარ იყვეს. ნადავლი სულ ჯარებისთვის მიწყალობებია. (ჯარები გადიან საყვირების ხმით, ყიჟინით და თოფების სროლით, გადის შადიმანიც).

მოქმედება მესამე

სცენა I

სცენა სწარმოებს მუხრანში. თეიმურაზ მუხრან-ბატონის სახლში არიან შეყრილები მეფე ლუარსაბი, თეიმურაზი, ქაიხოსრო და სხვა მუხრან-ბატონები; შადიმან, ბარათა, ხოსია, რამაზ და სხვა ბარათაშვილები; იასე, შანშე და სხვა ქსნის ერისთავები; ციციშვილები, ამილახვრები და სხვა თავადები. ყველანი არიან დავრდომილნი.

მ ე ფ ე ლ უ ა რ ს ა ბ ი — ესეც უბედურება ქვეყნისა. კახეთში ქვა ქვაზედ აღარ გაუშვესო. თეიმურაზის დედა და შვილები ღალატით დაუტყვევნია მძვინვარე შაჰ-აბაზს, და საცოდავს მეფეს მარტოს ძლივს გამოუსწვრია და ეხლა ჩემგან მოელის ნუგეშს. თავის დღეში საქართველო ღალატით ყოფილა დამხობილი. მოურავი, გუშინ ჩვენგან თაგვის სოროში ძვრებოდა შეშინებული და არ იცოდა სად შეეფარებინა თავი, და დღეს ჩვენ ვეღარა მოგვიგვარებია რა, როგორ დავიცვათ იმისაგან ჩვენი თავიც და ქვეყანაც. მარტო ჩვენს მტრობას აღარა სჯერდება ის და ჩვენის მიზეზით სხვებსაც აოხრებინებს და ამუსვრინებს... ქართველნო დიდებულნო! ასე როგორ უნდა წავხდეთ, ერთი ჩვენი უკანასკნელი მონისაგან, რომ ის ჩვენზედ გამარჯვებული ვატაროთ, ჩვენი ცოლი და შვილი გავაუპატიურებინოთ და მთლად ჩვენი ქვეყანა ავაოხრებინოთ! ნუთუ ჩვენში აღარა სდუღს მხურვალე სისხლი ჩვენი ქებული მამა-პაპისა! ნუთუ ჩვენ იმ ქართველთ დიდებულთ შვილნი არა ვართ, რომელნიც აბრძოლებდნენ მტერთა შემმუსვრელს ხმალს დიდის სვიმონ მეფისას?! ნუთუ გაიმეტებთ თქვენთვის თავდადებულს თქვენს მეფეს და მისცემთ სამტარვალოდ მისს ორგულს და მოღალატე მონას, რომელიც თავისი მეფის მტრობით აღარცა თქვენა გზოგავთ?! ვიბრძოლოთ, ვიდრე შეგვეძლება, და თუ შაჰ-აბაზ ყეენის უთვალავი ჯარებისგან ვიძლევით, მაშინ შევსწიროთ ღმერთს მადლობა და გავსწიროთ სულნი ქრისტესათვის.

ბაადურ ციციშვილი — მეფეო, შენი სიტყვა ჩვენ ყველასათვის საგრძნობელია. ვაჟკაცობა ქართველთ დიდებულთ ჯერ არა გვძრახვია და დღესაც ყველანი მზათა ვართ შენთვის და ქვეყნისათვის გავსწიროთ თავები. მტერზედ შემკდომნი აქ ყველანი ვართ, მაგრამ ჩვენში დღეს კაცი არ მეგულება, რომ შეეძლოს მტრის მოკვლა და მტრის ხელიდან ქვეყნის გამოხსნა. მძლავრს მებრძოლს, დიდს ჯარს უნდა მძლავრი წინააღმდეგი, რომელიც მტერს, თუ ჯარით ვერ ეწინააღმდეგება, — პასუხს გასცემს თვისის სიმარჯვით, ოსტატობით, ჭკუით, — ერთი სიტყვით თვისის გონებისა და მხნეობის ძალით. სად არიან დღეს ჩვენში, რომელთაც მცირეთი გამოიხსნეს საქართველო მძლავრის თათარხანისაგან?! სად არიან ისინი, რომელნიც მძლავრი ხელით იკავებდნენ მეფის ხელთ ყოველი მეფის და ქვეყნის წინააღმდეგთა?! სად არიან ისინი, რომელნიც ერთის ბრძანებით, ერთის რიხით, ერთის თავისის სიტყვით და გამოჩენით აძლევდნენ მხნეობას და გულს თვით დედაკაცთა და ყრმათაც, რომელნიცა თავისის გონივრულის დაწყობით, თითქმის უკაცოდ სძლევდნენ უთვალავთ მტერთა და აძლევდნენ ქვეყანას ერთობას?! მე ვკითხულობ: სად არის დღეს ჩვენი ჯავარი, ჩვენი თვალი, ჩვენი დამცველი — გიორგი სააკაძე? რათ არის — გკითხავთ მე ბარათაანთ, მელიქიანთ და სხვათ — რათ არის მოურავი დღეს მტრის გუნდში და არ არის ჩვენში და თავისებურად არ გვიწინამძღვრებს და არ განაგებს ჯარებს და ქვეყანას?! — არ ვიცნობთ კაცს, არ ვაფასებთ ერთგულებას, ავდევთ მტრის სიტყვას... და ეს არის მიზეზი, რომ ეხლა საქართველო და საქართველოს დიდებულნიც უნდა დაიღუპნენ და კიდეც დაიღუპებიან. არა გვყავს სააკაძე და არცა გვყავს ერთი რიგიანი მოთავე, რომელმაც არ გააოხრებინოს ქვეყანა მტერს. უთვალავი ჯარი, ჩინებულად შეიარაღებული და ომში სააკაძისა და შაჰ-აბაზის ხელთ გამოცდილი, კარს მოგვდგომია და ჩვენ ათასი კაციც არა გვყავს მზად, რომ ღართიკრის ვიწროების შეკვრა მაინც არის შეგვძლებოდა.

ბარათა ბარათაშვილი — მერწმუნეთ, რომ ბევრნი არიან თქვენს ნაქებს სააკაძეზედ უკეთესნი, მაგრამ გამგონე არავინ არის.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი — რატომ მოხდა, ბატონო, ბარათავ, რომ მინამ სააკაძე იყო ჩვენში, იმ ერთ უბრალო აზნაურს ყველანი უგონებდნენ, ჩვენ გულის ძილში ვიყავით

ხოლმე, რომ იმას გადაწყვეტილიც ჰქონდა ყოველიფერი გამგეობა და გათავებულიც და ჩვენ, უწარჩინებულესთ ქართველებში უფრო დიდი ხნის გამოცდილებს და დარბაისელთ არავინ გვიგონებს! ჩანს, რომ ბაადურის სიტყვა მართალი ყოფილა, რომ თუ გვინდა ქვეყანა გარეშე და შინაურის მტრისაგან დაცული გვქონდეს, უნდა ვაფასებდეთ იმისთანა კაცებს, ვისაც ესეები შეუძლიათ.

მელიქ-ათაბაგი — ამ ერთის კაცის დაღუპვა ქვეყნის სურვილი იყო, ალბათ არ იყო ქვეყნისათვის კარგი, რომ ქვეყანა იმის სისხლს თხოულობდა.

ბაადურ ციციშვილი — სულაც არა, თქვენმა მზემ! — თუ ქვეყანას ჰსურდა სააკაძის დაღუპვა, მეც მეცოდინებოდა ეს. თუ ვინმე იტყვის ჩვენში, რომ ქვეყანაში ვურევივართო, იმაში უთუოდ მუხრანის ბატონი, ერისთავი, ციციშვილი და სხვებიც ურევიან. როდის გაიგონეთ ჩვენგან, რომ მოურავის სისხლი გვინდაო. მეფე თუ თქვენ გიგონებდათ სიტყვას, — აი აქა ბრძანდება... ჩვენც უნდა დაგვკითხოდით. მაგისთანა მძიმე საქმეში და უნდა კაგეგოთ — ჩვენც ყაბულს ვიყავით სააკაძის და არაგვის ერისთავის დაკარგვისა თუ არა.

შადიმან — მინამ ჩვენ ყველას სურვილს შევიტყობდით, მინამ ხააკაძე თავისებურად ყველას სულ ერთმანერთს გვახლიდა და ერთმანერთის სისხლში ხელებს დაგვასვრევინებდა. თუ ქვეყნის სურვილი არა ყოფილიყო, მარტო ჩვენ ჩვენს თავზედ არ ავიღებდით მოურავის სისხლსა.

იასე ქსნის ერისთავი — ქვეყნის სურვილი კი არ იყო — შენი სურვილი იყო, შადიმან, და სხვებიც შენ გააბრიყვე. სულ შენი ბრალია ეს უბედურება და შენ უნდა გედოს კისერზედ ამოდენა ქვეყნის ცოდვა. აბა რატომ არა ჰშველით ეხლა თქვენ საქართველოს, სად არიან თქვენი ჯარები. მართალია, მე ჩემი ჯარით მივეგებე ყეენს, მაგრამ თუ საქართველო შეჰმართავს ხელს, მე ჩემის ჯარებით მზათა ვარ.

თეიმურაზი — სწორედ, რომ შენა გაქვს ამაში ბრალი, შადიმან. შენ გაატეხინე მეფეს ფიცი, რომელიც იმან მისცა ჩემი დასწრებით მოურავსა. მეფეც აქ ბრძანდება და ის წერილიც დღესაც აქა მაქვს მოურავისგან გამოგზავნილი. რას იტყვის ქვეყანა, რომ ეს წერილი გამოვაჩინო საქვეყნოდ? მოუწონებენ მეფეს ფიცის გატეხას?!

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — დიახ, ბატონო, შადიმან! იმავ თაობითვე შენი თავის მეტი სხვა არავინ გახსოვდა, და

ეხლაც ამოდენა ხალხი შენის მოზეზით უნდა დაიღუპოს. თავის დღეში შენი ხმალი ჯერ ქვეყნისათვის არ ამოღებულა და შენმა ენამ კი ლამის ქვეყანა ამოიჭამოს.

იასე ქსნის ერისთავი — იმიტომ რომ შადიმანისათვის ქვეყანა არ არსებობს, მაგის ქვეყანა არის მაგისი თავი, და თავისი მტრებისათვის მეფის ხმალსაც კარგად ხმარობს.

შადიმან — ვაი, შენ ჩემო თავო, რომ მეფის წინაშე ვართ, თორემ მაგისთანებს მე ქსნის ერისთავს და მუხრანის ბატონს არ ვაკადრებინებდი და ვუჩვენებდი, რომ შადიმანი მარტო ქვეყნის მტერზედ ხმარობს თავის ხმალსა.

იასე — ჰაი, შე გველო, შე ქვეყნის დამღუპველო, შენა! მაგითი გინდა უჩვენო ქვეყანას, რომ მეფის ხათრით ვერ იჩენ აქ შენს ბიჭობას! სადაც გიჯობდეს, იქ ვნახოთ მე და შენ ერთმანეთი. მეფის ჯარებს კი ნუ გამოიძღოლებ, მარტო მობრძანდი.

ბარათა — ეე-ჰუ! აგრე გახდა საქმე, რომ ჩემი გვარის კაცს ჩემ წინ მაგეებს უშვრებიან! მაშ დაჟანგებულა ბარათას ხმალი, რალა!

შადიმან — (ხმალზე გაისვამს ხელს). რადგან აგრეა, მაშ მე გაცნობებ შენ თავს.

იასე — (იძრობს უცებ ხმალს და შეუტევს შადიმანს. შადიმანი ხმალამოღებული უკან დაიწევს. შუაში უცვივიან). ჰაი შე ქალაჩუნავ, შენა?

ბარათა — (იშიშვლებს ხმალს). დამიდექ, იასევ. (შემოუქნევს ხმალს. იასე აუკრავს ხმლით ხმალს).

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — აგრე არ არის საქმე! (იძრობს ხმალს და შეუტევს ბარათას. ამ დროს ბარათაანი და მელიქები იძრობენ ხმალს და წაესარჩლებიან ბარათას და შადიმანს. ამის დანახვაზედ იძრობენ ხმალს მუხრანიანი, ციციანი და ერისთავები, თეიმურაზ მუხრან-ბატონს გარდა, და მიიწევენ ერთმანეთზედ. მეფე, თეიმურაზი და სხვა დიდებულნი უცვივიან შუაში და აშველებენ).

კოზმან კოზმანიშვილი — (შემოდის). მეფე თეიმურაზ გიახლებათ და მოკითხვა მოგახსენათ.

(ყველანი დაშოშმინდებიან. ჩააგებენ ხმლებს და გადგებიან განზედ. ბარათას და იასეს ისევ ამოღებული უჭირავთ ხმლები. მელიქ-ათაბაგს და ქაიხოსრო მუხრან-ბატონს უჭირავთ ნახევარზედ ჩაგებული ხმლები და შეჰყურებენ ერთმანეთს, თითქო კიდევ აპირებენ რასმეო).

ბარათა — ვაი, შენ ჩემო თავო! ბარათაშვილებს ეს უნდა გვეთქმოდეს ქართველთ დიდებულთაგან. მტერს შიგ კრიჭაში ვუდგევართ, მტრის შემოსევა და აოხრებაა—პირველი ბარათაანი

და საბარათაშვილო უნდა აოხრდეს, და დღეს ქვეყნის ორგულობას და მტრობას გვწამებენ... ვისთვის?! ერთი უბრალო მეტიჩარა და ქვეყნის ამამტუტებელი აზნაურისათვის!..

თ ე ი მ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — კმარა, ბატონებო! სირცხვილია! სხვა რომ არა იყვეს რა, მტერი კარზედ გვადგა და ჩვენ ლამის ერთმანეთის სისხლში ხელი გავისვაროთ. კახეთის ბატონი მობრძანდებაო, და იმის მაგივრად, რომ ჩვენ ერთის პირით იმის დაწყლულებულს გულს ნუგეში ვსცეთ, ჩვენ ერთმანეთის აშლით უფრო დაუწყლულებთ გულს.

მ ე ფ ე ლ უ ა რ ს ა ბ — აბა, დიდებულნო! ეხლა დრო არ არის ერთმანეთის შუღლისა. რაც მოხდა — მოხდა. ეხლა გვმართებს ყველას ერთი პირი... ჩვენ ეხლა უნდა ყველანი შევსხდეთ ცხენებზედ და ბატონს თეიმურაზს მივეგებნეთ. ჩვენ გვმართებს დიდი გლოვა და ტირილი იმის უბედურებისათვის. ყველასათვის სატირალია სანატრელი დედა ქეთევანი და მეფის მშვენიერი შვილები ალექსანდრე და ლევანი. (მეფე გადის და გასდევენ სხვები თან).

ბ ა რ ა თ ა — (ყველაზედ გვიან გადის). გუშინდელი აზნაური, ქსნის ერისთავი, რაღა თქმა უნდა თავს გამოიდებს თავის ტოლი კაცისათვის და არც ქვეყანას დაჰზოგამენ იმის გულისათვის. მე ვიცი რისთვისაც ეწვით მაგათ კუდი. მაგათ თავის დღეში არც მოუსვენიათ, არც მოისვენებენ. (გადის).

მ ე ძ ა ძ ა ვ ე — (შემოდის შავებით ხელში და აკრავს კედლებს). ჰაი დედასა, დიდებავ რა ხარ! კახთა ბატონს ცოლ-შვილი დაუტყვევესო — ყველამ შავები ჩაიცვეს და სახლსაც კი ძაძას აკრამენ. ქვეყანას იკლებენ თათრები, მთელი კახეთი აუყრია ყეენს და ცხვრის ფარასავით ირანისაკენ გაურეკია, ქვეყნის საცოდაობა ცამდის ადის, და იმათი მზრუნველი კი არავინ არის: აგერ, თითქმის ერთი კვირაა, რაც მეფე თავისის დიდებულებით აქა ბრძანდება და ჯერ ქვეყნისათვის არა უფიქრიათ რა. ყეენი და სააკაძე ქალაქს შემოჰსევიან და საცაა სამუხრანოშიაც გამოვლენ, ეგენი კი აქ ხან კახთა ბატონის შვილების ტირილს უნდებიან, ხან ტინის ტყეში ტახზედ ნადირობას. თუ არ უპირებენ ქვეყანას შველას, გახიზვნა მაინც უბრძანონ. ქვეყნის ცოდოში მაინც რათა დგებიან? ქვეყანას მაგათზედ აქვს სასოება; ქვეყანა შიშმა აიტანა, სამუშაოზედ ხელი აუღიათ და ჰფარავენ თოფს და იარაღს: აცა ეხლა დაგვიძახებენ, აცა ეხლაო, და ეგენი კი ერთმანეთის კამათსა და შეჩეცვას უნდებიან. მინამ ჯერ შიშისზარს არ აუტანია გლეხკაცი და

მტერი კარს არ მოგვდგომია, მინამ უნდა ჯარს დაძახება, რომ ერთად შეყრით უფრო გული მიეცეთ, თორემ თუ ერთი შიშისზარი დაეცა და გლეხკაცმა სცნა დიდებულთ უძლურება და მტრის ძალა, — მაშინ სრულებით ვეღარას გახდებიან, ისე მიიმალება ყველა მდაბიო ხალხი, რომ მეძებრებითაც ვეღარ იპოვონ. თავად ეხლაც ყველა თავის ცოლ-შვილს უნდება, რადგან ოსებმა და ქისტებმა ფრთები შეისხეს, ჩამოდიან და იტაცებენ საწყალი კაცის სარჩოს. სუყველა არეულია და აბღალულია. ზოგი გახიზვნას აპირობს, ზოგი არა; ზოგი ციხეებსა და კოშკებს იმაგრებს; ვინც უფრო ახლო არიან მტერზედ, მწუხარებისა და შიშისგან ხელებს იმტვრევენ და თმას იწეწენ — არ იციან რა ჰქნან. ბერები, უდაბნოები და ეკლესიები გაივსნენ საწირავით. ფეხშიშველა ქალები პატარა ძუძუთა ბავშვებით ხელში შეუწყვეტლივ მიდიან სალოცავებში და უკანასკნელს საკლავს და საწირავს აძლევენ მღვდლებს. ღმერთმა რომ თვალები აუბას შაჰ-აბაზსა და აღარ შემოვიდეს ჩვენს წასახდენად — თუ ამ ყოფაში პატარა ხანს კიდევ დარჩა ქვეყანა, ძეტიც აღარ გვინდა! ასე გატყავდებიან ყველანი, რომ ამ ერთ ხუთს წელიწადს ვეღარავინ მოიდგამს სულს. მაგათ კი რა ენაღვლებათ: წაუხდებათ რამე, ისევ საწყალი კაცის კისრიდან ამოიღებენ და თავისას არ მოიკლებენ. (ისმის გარედან გლოვის ზარი და ტირილი). ოჰ! აგერ კახთ ბატონიც მოვიდა. ეგება იმან მაინც აგონოს რაიმე ამ დიდკაცობას, ის უფრო დამწვარი და გამოცდილია. ქვეყანას ომი სწყურიან და მოთავე კი არავინ არის. (გადის).

თ ე ი მ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — (შემოდის ნამტირალევი). მობრძანდით, ჩემო სანატრელნო სტუმარნო. მინამ ამძვინებულს მტერს არ გაურეკნივართ აქედამაც, მინამ ამ სახლის ბატონი და მბრძანებელი თქვენს გარე არავინ არის. (შემოდიან მეფე თეიმურაზი და ლუარსაბი, აგრეთვე ქართლ-კახეთის დიდებულნი).

მ ე ფ ე ლ უ ა რ ს ა ბ — შემდეგ მაგ უბედურებისა, როგორ გიკითხოთ.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ჩემი დედისა და შვილების დაკარგვისა და ჩემის კახეთის მიწასთან გასწორების შემდეგ, ჩემი ამბავი რაღა საკითხავია. არ გაძღა სისხლით მძლავრი შაჰ-აბაზი, სიცრუით დამტყუა დედა და შვილები და სიმძლავრით ამიოხრა ქვეყანა. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ მე მაინც არის გამოვასწარ და გიპოვე შენ ისეთი მოყვარე, რომელიც თავის ჰერქვეშ თავს მაფარებინებ. ჩემი სახლი, ჩემი ჰირნახული

სულ მტვერთან გაასწორეს, და დღეს ვარ მეფე, რომელსაც საკუთარი ჭერი არა აქვს, რომ თავი შეაფაროს. მაგრამ თუ შენც არ უშველე შენს თავს, შენც ეგ დღე მოგელის.

მეფე ლუარსაბ — ჩვენც მაგის ზრუნვაში გახლავართ. აგერ ერთი კვირაა თითქმის ჩემის დიდებულებით აქა ვართ შეყრილნი და გვაქვს რჩევა, მაგრამ აქამდის ვერაფერს აზრზედ ვერ დავმდგარვართ.

ედიშერ ჩოლოყაშვილი — თუ მოიხსენებთ, მეფენო, ჩემი აზრი ეს გახლავთ, რომ რა ჯარიც მოვისწროთ, უცებ შევკრიბოთ და დავესხათ ყიზილბაშთ. ზოგი კაი ნარჩევი ვაჟკაცი აქა გვყავს, ზოგი აქედან გამოვა. ეხლა გაბედვის და სიმარდის მეტი არა გაეწყობა რა.

მელიქ-ათაბაგი — ჩვენთვის საშიში ისე შაჰი არ არის, როგორც სააკაძე, რადგან იმან ყველა ჩვენი ძალა, ყველა ქვეყნის სიმაგრე და ბილიკი იცის, და შიგაც მრავალი მომხრე ჰყავს. ის ისე უჩვენებს ქვეყანას თავს, ვითომც არაფერს საქმეში არ ერეოდეს; მაგრამ ამას მხოლოდ უჩვენებს, რადგანაც ჯერ საქმე არ უჭირთ, თორემ უიმისოდ რატომ აქამდის არ გაჰბედა აბაზმა საქართველოს წახდენა? მაგრამ იმის დაუზავებელი გული მინამ არ გაძღება სისხლითა და არ იყრის მთელს საქართველოზედ თავისი მტრების ჯავრს, მინამ არ დაცხრება.

იასე ქსნის ერისთავი — ვინ არის იმისი მომხრე ამ საქმეში, თუ მართლა მოურავი შეიქნა ქვეყნის მოღალატე და ქვეყნის ცოდვის კისერზედ ამღები?! ამას მხოლოდ იტყვის ის, ვინც არ იცნობს მოურავს და არ უნახავს მარტო ჩაფიქრებული და არ ჩაუხედნია იმის გულში. თუ მე, ჩემი მზა ჯარებით მზადა ვარ, რომ ყველაზედ წინ დავღვარო სისხლი საქართველოსათვის, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მოურავის ქცევასა და სიტყვებში. მაგრამ ეს კი იცოდეთ ყველამ რომ, თუ ასე გულხელდაკრეფილი ვუყურეთ, როგორც აქამდის, მე არ წავახდენინებ აბაზს ჩემს ქვეყანას, პირველი მივყვები და არ მოვაშორებ ჩემს ჯარს აბაზს ბოლომდის.

ბარათა ბარათაშვილი — ჩემი სათქმელიც სულ ეგ არის, რომ უომრობა არ იქნება-მეთქი. ან უნდა დავიხოცნეთ, ან ქვეყანას როგორმე ვუშველოთ.

ბაადურ ციციშვილი — აგერ ეს ერთი კვირაა ჩვენი ლაპარაკიდამ სულ ის გამოგვყავს, რომ უომრობა არ იქნება. ყველას უნდა ომი, ხალხიც მოუთმენლად მოელის ომს და

სწყურიან მტრის სისხლი: და აქამდის კი არცარა სადმე ბრძოლა ჩანს, არც სადმე ჯარები. მინამ ჩვენ ვილაპარაკებთ, მინამ მტერი კიდეც აოხრებს ქვეყანას. თუ ყველას ომი ჰსურს, მაშინ რაღა გვიდგას წინ. დღესვე გავეგებნეთ მტერს იმ ძალით, რაც ჯეროვნით ხელთა გვაქვს და მინამ სხვა ჯარსაც დავუძახოთ.

მეფე ლუარსაბ — ჩემი სურვილი — სწორედ ომია. ისევ მირჩევნია, რომ მოვკვდე, მინამ ვუყურებდე ჩემი ქვეყნის გაოხრებას.

მეფე თეიმურაზ — ჩემო საყვარელო და ძვირფასო ძმაო და მოყვარევ, ლუარსაბ! ნუ გეწყინება, თუ შენზედ უფროსი და გამოცდილი მეფე გაგიბედავ მართალს. შენ ჯერ გამოუცდელი ხარ. შენ ჯერ სისხლი გიდუღს და რასაც გული გითქვამს — იმას მისდევ. მაგრამ ამისთანა საქმეში უნდა გონების ხმის გაგონება. შენ კარგად იცი, რაც ჯარი ახლავს აბაზსა. ჯარი ახლავს იმისთანა, რომელიც გუშინდელმა შენმა მონამ სააკაძემ გააქეზა გამარჯვებებში ინდოეთის და ბაღდადის ომებში. ჯარი ისე არის შეიარაღებული და დამზადებული თოფ-ზარბაზნითა და ზამბურაკებით; მიუძღვის იმას უძლეველი შაჰ-აბაზი, და შაჰ-აბაზს ახლავს თან მოურავი. ჩვენ რაც უნდა ჯარები შევყაროთ, მესამედიც ვერ გამოიტანს თოფს და უნდა იომონ მშვილდ-ისრით. თუნდა კიდეც რომ ღმერთმა ინებოს და იძლიოს შაჰ-აბაზი, რითა ვართ დარწმუნებული, რომ შენი მოსისხლე მტერი, მძლეველი სინდისა და ბაღდადისა დამმონავებელი ავღანისტანისა, ზარის დამცემი აბაზის მტრებისა, იმის გვირგვინისა და ტახტის გამადიდებელი და მიღებული, შეწყნარებული იმისაგან, — გიორგი სააკაძე არ შემოგვმართავს ჩვენ ხელს! იმისთანა ძალის კაცი არავის არ შეარჩენს ადვილად მაგგვარს დევნას, რაც თქვენგან იმას მიჰყენებია. აბაზ რომ დამარცხდეს — სააკაძის ძლევა ჩვენში არავის არ შეუძლიან. ერთი იმის სახელის გახსენება და ქართველების გადგომა ერთი იქნება და პირველი ჩვენ მიგვცემენ იმას ხელში. ამის გამო ჩემი აზრი ეს არის, რომ ხალხს უბრძანოთ გახიზვნა და ჩვენ თავები დროებით შევაფაროთ იმერთა მეფეს.

შადიმან ბარათაშვილი — სრულებით ჭეშმარიტი ბრძანებაა ბატონის თეიმურაზის სიტყვები. აბაზის შებმა რომ შეძლოთ, მოურავთან ვერას გავაწყობთ და მაშინ უარესობა მოგვივა.

როსტია გედევანიშვილი — (შემოდის დაღალული და გულგახეთქილი, თან შემოსდევენ სხვა რამდენიმე აზნაურები, ეგრეთვე დაღალულნი და ქანცმიხდილნი). მეფენო და დიდებულნო! ჩვენ, მცხეთისა, საგურამოსი და სხვა მახლობელი სოფლების ხალხმა გამოგვგზავნა, რომ შევიტყოთ, რას უპირებთ ქვეყანას? ყეენი შემოვიდა თბილისს უომრად და სულ მტვერთან გაასწორა. იქიდან გამოვიდა ეხლა და იმისი ჯარი უშიშრად მოედო ყველა მხარეს. მოდიან გულ-ქართლში, და გზაზედ სტყვევნიან ხალხს: ვისაც შეუძლიან სიარული — მიჰყავთ, ვისაც არა და მთლად ჟლეტავენ; არ არის შებრალება არც მოხუცთ. არც უსუსურთ და არც სნეულთა. მოდის ჯარი და უკან აგდებს ცეცხლის კვალს. ქვეყნებს, ტყეს, მინდორს და ვენახებს ეგზნება ცეცხლი და გაცხოველებული ცეცხლის ალი ისე ახურებს ჰაერს, რომ თვით ჰაერი სწვავს და სტუსავს შორს დარჩენილთ ხეთა და ბალახთ. ხალხი ზარდაცემული არის განწირულებაში და მხოლოდ თქვენგნით მოელის ხსნას.

(ამ დროს გარეთ ისმის საშინელი არეული ხმაურობა ხალხისა, დედაკაცების წივილ-კივილი, ბავშვების ბღავილი და ისე ყვირილი).

რამდენიმე ხმა გარედან — მიგვიშვით მეფეებთან. გვაჩვენეთ მეფეები. (მსახურები დგანან კარებში და არ უშვებენ).

ბაადურ ციციშვილი — შემოუშვით! დეე ნახონ მეფეთ და დიდებულთ, რა გაჭირვებაშია ხალხი! უნდა მაგ ხალხს შველა, თუ არა! (მსახურები კიდევ არ უშვებენ და ხალხი აწვება).

მეფე ლუარსაბ — შემოუშვით. (მსახურები მისცემენ გზას. ხალხი შემოდის ჰედვით, ხალხში არიან მრავალი დედაკაცები ძუძუმწოვარა ბავშვებით, ნახევარზედ ტიტველ-შიშველნი).

რამდენიმე ხმა — რატომ არ უპატრონებთ ქვეყანას?! რაზედ სდგებით ჩვენსა და ჩვენი ცოლ-შვილის ცოდვაში. მცხეთა გაუოხრებიათ და ეხლა აქეთ დაძრულა ჯარები.

როსტია გედევანიშვილი — მცხეთაცა! ვაიმე ცოლ-შვილო, დაღუპულო! (იტაცებს თმაში ხელს და გარბის).

რამდენიმე ხმა — თქვენ უნდა ზიდოთ ჩვენი ცოლ-შვილის ცოდო, რომ თქვენგან ვართ ამ დღეში ჩაცვივნულები.

მეფე ლუარსაბ — დამშვიდდით, დამშვიდდით, ჩემო დედავ და ძმანო, მე უფრო გული მიკვდება ამ ქვეყნის საცოდაობაზედ.

რამდენიმე ხმა — (ხალხიდან) ჩვენ გულმტკივნეულობა კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა, რომ გამოგვიხსნათ მტრის ხელიდან. მტერი კარს გვადგია.

სხვა ხმები — ლამის ქვეყანა სვავებივით მუცელში ჩაიდოთ და ეხლა კი ქვეყნის საცოდაობასაც ყურს აღარ უგდებთ!! აქედან ფეხსაც არ მოგაცვლევინებთ... სადაც ჩვენ დაგვხოცვენ, თქვენც იქ უნდა დაიხოცნეთ.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი — ნუ გეშინიანთ, ძმებო! ქართველები არა ვართ! მომყევით აქ. დამიძახეთ მთლად სამუხრანოსა. უომრად ვინ გაგიშვებთ. (მიდის ხმალამოწვდილი).

ბარათა ბარათაშვილი — (იწვდის ხმალსა) მომყევით და მტერი ვერას გვიზამს. (მიდის და მისდევს თან ხალხი).

თეიმურაზ მეფე — (ლუარსაბს) ჩვენ გავეშურნეთ იმერეთს, თორემ თუნდა შაჰ-აბაზს რომ გავასწროთ, ამისთანა აღელვებულ ხალხთან ხუმრობა არ ვარგა, ესენი უარესს გვიზამენ. ქართველი კაცი თუ ერთი მოთმინებიდან გამოვიდა, ველარა შეიკავებს რა.

მეფე ლუარსაბ — სად უნდა წავიდე აქედან ჩემი ცოცხალი თავით?! ჰყურობ, რა საცოდავობაა ხალხისა! არა, მეც ამათთან უნდა მოვკვდე.

თეიმურაზ მეფე — წავიდეთ, შენ ხალხს ვერას უშველი და შენის სიკვდილით იმათ ვერას მოუმატებ. (ჰკიდებს ლუარსაბს ხელს, გადის და გაჰყავს თან. დიდებულნი გასდევენ).

იასე ქსნის ერისთავი — ეეჰუ! მაშ ეგ არის ანებებთ რაღა ქვეყანას თავს?! მაშ თქვენი მხლებელი არ გახლავარ. (თავის მოურავს) აცნობე ჩემს ჯარებს, რომ ყეენს არ დაშორდნენ. მუსრი მაგათ სახელს და მაგათ ერთგულთ!.. ჩემთვის ეს უკეთესია: ყეენს მე პირველმა დავუკარ ჩემი ჯარებით თავი... ყეენი დააფასებს ჩემს ერთგულებას. (შადიმანს) ეს სულ შენი ბრალია, მელავ. (გადის).

შადიმან — შენი მტერი, ეხლა იასეც თუ მიუდგა მოურავს, მე სულ აღარ მაბოგინებენ. მეც უნდა დავუკრა ყეენს თავი, თუ მოვახერხე, თორემ დავიღუპები. (გადის).

სცენა II

სცენა სწარმოებს გორში. ციხის მახლობლად, მტკვრისა და ლიახვის შუა, ხადაც დგას შაჰ-აბაზი ჯარებით; შაჰის კარავის წინ არის დიდი მოედანი, რომელსაც აქეთ-იქიდან მტკვარი და ლიახვი ჩამოუდის. შორიდან მოჩანს გარშემო ყოველ-მხრივ გაცხოველებული ცეცხლების ალი, რომლებიც უკიდია სოფლებს. ტყეებს, მოედანზედ დგანან ტყვეები, რომელთაც არტყვიან ჯარები. ტყვეები მომეტებული ნაწილი არიან ქალები და ყმაწვილები. მრავალნი დგანან განწირულებით გულხელდაკრეფილნი, მრავალნი ჩუმად ქვითინებენ და ჰგოდებენ. შაჰ-აბაზი დგას თა-

ვის ქარვის წინ მოედანზედ და გასცქერის ცეცხლწაკიდებულ სოფლებს. იმის მახლობლად დგას დიდი მოურავი. უკან უდგანან ხანები და სულთნები.

შ ა ჰ-ა ბ ა ზ — რა საამოა როდესაც დამარცხებული მტერი ფეხქვეშ გიპყრია და იმისი სარჩო-სამყოფი შენ თვალწინ იწვის და მიეცემა ჰაერს. (მოურავს) აბა, სააკაძე, შენ რომ გეკისრა სარდლობა, ეს გამარჯვება და ეს დიდება ხომ შენი იქნებოდა. ერთი შეხედე რა სანახავებია! შეხედე, ალაგ-ალაგ როგორ ცამდის ადის ცეცხლისა და ალის ტალღები, თითქო უნდათ, რომ ცასაც წაეკიდნონ... მე ასე მეგონა ყველა გურჯი მოურავზედ უარესია და იმათი ეშინიან იმასა-მეთქი.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ამგვარი დიდება და ძლევა, დიდებულო ხელმწიფევ, შეჰფერის მხოლოდ გვირგვინოსანთა, და არა მათს მონას.

შ ა ჰ-ა ბ ა ზ — თითქოს არ აპირებდნენ გურჯები დამონავებას?! დეე დღეის იქით სცნან, ვისაც უბედავდნენ წინააღმდეგობას.

ს პ ა ს ა ლ ა რ ი — (შემოდის). მაღალო მფლობელო ყოვლად ირანისაო. რას ისურვებთ ამ ტყვეებისათვის?

შ ა ჰ ი — სულ რაერთია ტყვე?

ს პ ა ს ა ლ ა რ ი — გუშინ გავისტუმრეთ ირანში ბორჯომის ხეობიდან დატყვევნილი რვა ათასი მოსახლეობა. ეხლა არის შვიდი ათასი მოსახლეობა მოყვანილი სურამისა და ალის ადგილებიდან, ექვსი ათასიც ეხლა მოჰყავთ გვერდის ძირიდან და სხვა ადგილებიდან. სულ დატყვევებულია და გასტუმრებული ერანს ოცდაათი-ათასი მოსახლეობა. მეტი ვერ მოვასწარით. რადგან გახიზნულან მიუდგომელ ადგილებში.

შ ა ჰ ი — მისწერეთ ყველა ჯარებს, რომ სადაც კი შეიძლებოდეს, ყველგან შეესივნენ და აღარა გაუშვან რა: სულ დასწვან, რაც არ წამოიღებოდეს, ვისაც სიარული შეეძლოს დაატყვევონ, ვისაც არა და მთლად გაჟლიტონ, რომ კაცი არ დარჩეს ამ ჩემს ურჩს გურჯისტანში. მისწერეთ ირანს ჩემთ დიდებულთ, რომ ამ ტყვეებიდან, რომელიც ყმაწვილი ბიჭი და ქალი მოეწონოთ — ან ჰარემისთვის, ან მსახურებად აიყვანონ, ვინც არა და დაასახლონ მტრის შემოსასევს საზღვრებზედ. ვინც პატარა ვარგოდეს ურმებით გაისტუმრეთ, სხვები ქვეითად, ვინც ვერ შესძლოს ქვეითობა — დახოცეთ. აბა ერთი დავათვალიეროთ ამ ტყვეებში — იქნება ჩემი ჰარემისათვისაც გამოდგეს ვინმე.

(მიდის ტყვეებისაკენ).

სპასალარი — ერთი შვიდიოდე ყმაწვილი არის, რომელნიც მოგეწონებათ და რომელნიც მე მაშინვე თქვენთვის დავასახელე.

შაჰი — (დადის ტყეებში და ათვალიერებს). აბა რომლები არიან?

სპასალარი — (არჩევს ოთხს თორმეტ-ცამეტის წლის ქალებს და იმავე ხნის ყმაწვილებს). ესენი გახლავან.

შაჰი — (სინჯავს). ჰმ! მართლა რომ კარგები არიან. გაგზავნეთ ეხლავე ჩემს აბანოში და მერე ჰარემში მიიყვანეთ. ეს ორი (უჩვენებს ორს სხვა ყმაწვილ ბიჭზედ) დაასაჭურისებინეთ. სხვა ტყვეები წაასხით და გაისტუმრეთ. (ტყვეები მიჰყავთ. ისმის ქვითინი და ტირილი ტყვეებში. მრავალნი ამათში ეცემიან მუხლებზედ და ევედრებიან აბაზს). ვინც არ წამოგყვეთ, ყველანი დახოცეთ, რომ დაბრკოლება არ იყვეს: გაირეკეთ (ჯარები სცემენ ტყვეებს თოფის ჯიგლიგებს და შუბის წვერებს და ერეკებიან. მრავალნი ტყვეებთაგანნი შუბის ძგერებით დაჭრილნი იქვე დაეცემიან. ჯარები ჰხოცენ დაცემულებს) დახოცილები წყალში ჩაჰყარეთ. (ჯარები ჰყრიან დახოცილებს მტკვარში!).

სპასალარი — ეხლა იმისას რაღას ბრძანებთ: გავამზადოთ ჯარები საიმერეთოდ, თუ არა? ეტყობა იმერთა მეფე ჩვენ არაფრად გვაგდებს, რომ არ გვანებებს ლუარსაბსა. საჭიროა, რომ თქვენი ძალა იმერელთაც აცნობოთ. მაინც მთელი სპარსნი სულ აქ არიან და ერთი იქაც ვადიდოთ თქვენი სახელი.

შაჰი — სწორეს ამბობ, ჩემო სპასალარო. გაეც ბრძანება, რომ მთლად შეიკრიბნენ ჩემი ჯარები და ხვალვე გავუდგეთ იმერეთის გზას. სადაც გურჯის სახელია, ეტყობა იქ თავხედობას არ დაიშლიან. შევანანებ გიორგი იმერელს ამ ურჩობას. მაგრამ საჭიროა, რომ სააკაძის აზრიც ვიცოდე, რადგან ყველაფერი გარემოება ამან უფრო იცის.

დიდი მოურავი — დიდებულო მფლობელო ყოვლისა ირანისაო, ჩემზედ უბედნიერესი კაცი არ არის, რომ ძლიერი ქვეყნის მფლობელი და მტერთა რისხვისა დამცემი და დამმონავებელი. შაჰ-აბაზი ისმენს ერთი უკანასკნელი თავის მონის რჩევას და იმედი მაქვს, ჯერ აქამდის ჩემი სიტყვა მაღალს ირანის ტახტის მფლობელს ცუდად არაოდეს არ დასჯდომოდეს. მე თქვენთან ხლებით გამიკეთებია სახელი; თქვენი დიდება არის ჩემი ბედნიერება და თქვენი ამაღლება — ჩემი იმედი; ჩემზედ უბედური აღარავინ იქნებოდა, რომ აქამდის უძლეველმა და ყოველთვის ამაღლებულმა ხელმწიფემ შაჰ-აბაზმა—ვერ სძლიოს მტერი და ამითი დაიმციროს თავისი სახელი. არ უწყით

მაღალო ხელმწიფეო, რა ადგილნი გვექნებიან საომრად, რომ კანჯარი ძლივსღა ხტის კლდიდამ-კლდეზედ; სადაც თითქმის ცის ძირას, მიუდგომელს ბორცვებზედ, დაფარულს და დაბურვილს ტყეებში სახლობენ მუდამ ომში გაჩვეულნი და გაგეშილნი მცხოვრებნი. არ იცით, ძლიერო შაჰო, რა ხალხი ახვევია იმერეთს: მდევთა მსგავსნი სვანნი, რაჭველნი, ქაჯნი და ალანნი გამოვლენ მთიდან და მარტო ერთის თვისი დანახვით დასცემენ ზარს ყოველ თვისთ მებრძოლთა; ქურციკთა უმჯარდესნი და უგრძნობლესნი აბხაზნი და მეგრელნი; გულშეუდრეკელნი და ამაყნი გურულნი, აჭარელნი და ქობულელნი სულ შეყრილი ეყოლება გონიერს იმერთა ბატონს გიორგის. ამასთან, ნახევარზედ მეტი ქართლი და კახეთი სულ იქ არიან გახიზნულნი, და გაშფოთებულნი, და რაც უნდა ძლიერი ჯარები გვყვანდეს, ჩვენ იქ გამარჯვება არ შეგვიძლიან, ამისთვის კადნიერად მოგახსენებთ, ხელმწიფეო, რომ მაგ თქვენს აზრზედ ცოტა ფრთხილად იყვნეთ და ნუ წაიკიდებთ გიორგი იმერელს.

შ ა ჰ ი — ეგეც ერთ შერცხვენასთან არის, რომ არ გვანებებს ლუარსაბს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მოუთმინეთ შადიმანს. მეფე უჯერებს შადიმანს, და რაკი შადიმან თქვენ ისე შეიწყნარეთ, შადიმან გადმოგგვრის ლუარსაბს. ჯერ მაინც ხანი არა გასულა რა, რაც შადიმან წავიდა მეფესთან. გიორგი მეფე აგრე ადვილად არ გამოუშვებს იმას. გიორგი ძალიან გამოცდილი კაცია და იმას კიდეც ენდომება, რომ ჩვენ გაგვიტყუოს იმერეთისაკენ და მერე შეგვიმწყვდიოს შუაში: აქედან ქართლ-კახეთს აგვისევს და თითონაც ჯარებს მოიხმარებს, იქიდან თითონ წამოგვესევა და იმისი განზრახვა ეგ იქნება.

ე ლ ჩ ი — (შემოდის). გურჯანისტანის მეფე ლუარსაბ გიახლებათ თავისი ამალით.

შ ა ჰ ი — აჰა! უბრძანე შეიკრიბოს ჯარები, მესაკრავენი და მთლად ჩემი ამალა. უნდა დიდის დიდებით მივეგებნეთ მეფე ლუარსაბს, როგორც შეჰშვენის ქართლის მეფეს და ჩემი ცოლის ძმას. (მოდის და გასდევენ ყველანი მოურავის გარდა).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (დიდხანს დგას მარტო გულხელდაკრეფილი და გაჰყურებს ცეცხლმოკიდებულ ქვეყნებს). დიდება შენს ძლიერებას, უფალო! ამოდენა ცრემლს, ამოდენა სისხლს, ამოდენა ქვეყნის საცოდაობას, სიცოცხლის გამოსალმებული ბებერივით შეჰყურებენ და კაცი არ გამოჩნდა ამოდენა უბედურების პატრონად.

ოო, გამოუცდელო ლუარსაბ! ოო, სულის მტერო შადიმან!!! თქვენ უნდა უგოთ პასუხი განკითხვის დღეს ამოდენა საცოდაობისა და ცოდვის გულისათვის... რა გენაღვლებოდათ, მეც მეჭამა ჩემს ქვეყანაში ერთი ლუკმაპური?! მაშინ ნახავდა აბაზი როგორ იაფად დაუჯდებოდა ეს კადნიერება და სისხლით გაუმაძღრობა... აგერ თითქმის ათი წელიწადია სისხლსა ვღვრი, დავკარგე ძმა და ვინ იცის რამდენი მოკეთე და ერთგული ყმა. ვისთვის? ჩემი ქვეყნის მტრისა და დამამხობელისათვის. ალაგი აღარ არის სპარსეთსა და იმათ მტრის ქვეყნებში, სადაც არ დაღვრილიყოს ჩემი და ჩემ საყვარელთა სისხლი და სულ იმიტომ, რომ მე ჩემს ქვეყანაში შადიმანი და ლუარსაბი არ მაყენებენ... შადიმანს აჰყევი, ლუარსაბ, და შადიმანივე გიღებს შენ ბოლოს... შენი თავი ძვირად გიღირდა ქვეყანაზედ, გაექეც გაჭირვების დღეს, მაგრამ იმოდენა ცოდო ყველგან მოგაგნებდა შენ... დაღუპულს მამულს მეფეც თავისივე მსგავსი ეკადრება, და მოსულა შენი აღსასრულის დღე... მოენდე აბაზის ფიცს და მლიქნობას და მერე თითონ იცის...

ი ა ს ე ქ ს ნ ი ს - ე რ ი ს თ ა ვ ი — (შემოდის). დრო ეხლა გაქვს, გიორგი, ლუარსაბი მოდის და შადიმანიც ხელთა გვყავს. არც ეგენი და არც სხვანი, ვინც მტრად გეგულება, არ უნდა გაუშვა ცოცხალი.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ისეც ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, ჩემო იასევ, და ამ სისხლს მიმატება აღარ უნდა.

შ ა ჰ ი ს ყ უ რ ი — (შემოდის). შაჰმა გთხოვათ, რომ თქვენც წამობრძანდეთ ლუარსაბის მისაგებებლად (გადის).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ეს აბაზის მიგებება ლუარსაბისა — ანდერძის აგება არის (გადის).

ს ც ე ნ ა III

სცენა სწარმოებს მცხეთას, სვეტიცხოველის გალავანში. რიჟრაჟის ჟამია. ეკლესიის ერთ კუთხეში ნაბადში გახვეული კაცია და აქეთ-იქით იყურება.

ნ ა ბ ა დ შ ი გ ა ხ ვ ე უ ლ ი. — ოჰ, მადლობა ღმერთსა! მოდის გიორგი, მგონი ის არის. ღმერთო, რარიგად გატეხილა, კაცი ვეღარ იცნობს... ვიჰ! რარიგად მიცემს გული... რამდენი ხანია აღარ მინახავს... იქნება ვეღარც კი მიცნოს... რაღას მიცნობს, კაცის სახე აღარ მადევს ამდენი ელდისა და მწუხარებისაგან.

დიდი მოურავი — (შემოდის და ათვალიერებს, თითქო ეძებს ვისმეს; ნაბდიან კაცს დაინახავს) შენ ვინა ხარ? რას აკეთებ აქ?

ნაბდიანი — (ხმის კანკალით) აქ მოდი! მე ისა ვარ, ვინც გთხოვა, რომ აქ ამ დროს მოსულიყავ. სხვა ხომ არავინ მოგდევს?

დიდი მოურავი — (მოდის ახლო) სხვა არავინ არის. (ორივენი დგებიან კუთხეში).

ნაბდიანი — (გადიხდის ნაბადს) გიორგი! მიცნობ?..

დიდი მოურავი — (ჩააკვირდება) მაკრინე, შენა?! (მოეხვევა).

მაკრინე — (ჩამოეკიდება მოურავს კისერზედ, თან ჰკოცნის და თან ტირის).

დიდი მოურავი — ჩემო ძვირფასო მაკრინე! ჩემო სიცოცხლე, მაკრინე!.. ჩემგნით გაუბედურებულო მაკრინევ!.. მე დაგღუპე შენ... მე ჩავდექ შენს ცოდოში, მე გაგაუბედურე შენცა და ჩემი თავიც... მაკრინევ, მაკრინევ!.. (ჰკოცნის ცხარედ და ტირის). რა მოგვაგონებდა ამ დღეს, როდესაც ნოსტევში ლხინი გვქონდა... სადღაა ჩემი ნოსტევი!.. სადღაა ჩემი საქართველო, რომლისთვისაც გაგწირე შენ!.. ყველა მტვერთან არის გასწორებული.

მაკრინე — დაჯექი, გავძლე შენი ყურებით, შენი კოცნით, მინამ გვაძლევს დრო და ქვეყნის ამამტუტებელი ჯარები არ არეულან მძოვრის მოძებარი ტურებივით. — დაჯექ, გიორგი, იქნება ეს იყვეს უკანასკნელი ჩვენი ერთმანეთის ნახვა... იქნება ვერ მოვესწრა შენს ნახვას, როგორც ვერ მოესწრა უბედური დედაჩემი... სულ შენს ხსენებაში ამოუვიდა სული: მიჩვენეთ ჩემი გიორგი და მიჩვენეთ გიორგიო... სადა ხარ, შვილო გიორგი! იძახოდა უბედური სულის განტევების დროს. (ტირის).

დიდი მოურავი — გიორგი კი ცოფიანივით განდევნილი თავის სამშობლოდან, ეძებდა თავის ქვეყნის მტრის ჰერქვეშ საფარველს, მშობელთა და სანატრელთ მოშორებული... ოჰ, დედაჩემო! ჩემს ნახევარს სიცოცხლეს მივცემდი, ვინც ერთხელ კიდევ გამოსასალმებლად მაინც მიჩვენებდა შენს თავს, რომ უკანასკნელად, სულის ამოფშვენის დროს დაგკონებოდი მშობელს გულს და ტირილით მესრულებინა გული (ტირის)... ჩემი ბრალია... მე ვერ ავსწონე კარგად ჩემი საქმე... მიუშვი მეფესთან ჩემი მტერსი და არაფრად ვაგდებდი მტრის ძალას, მეფის უხასიათობა კი სულ გონებიდან გამომივიდა.

მაკრინე — ვიჰ, გიორგი! ცუდად ნუღარ ახსენებ ლუარსაბს. ის უმანკოა ამ საქმეში... არ იცი რა გული აქვს ჩემი გულის მკვლელს, ჩემს უბედურს ლუარსაბს... ვერ იცნობ შენ ჩემს ლუარსაბს... და თუ შენ მცირეც არის ჩემი სიყვარული გქო-

ნოდა — აგრე არ უნდა გაგემეტებინა ლუარსაბი... მართალია, მე აღარ მადედოფლა, მართალია ჩემი ცოლქმრობა აღარ ინდომა და ამხადა თავიდან გვირგვინი... მაგრამ, არაფერში იმას მე არ ვამტყუნებ, და ჩემს უდაბნოში ყოველს საათს კიდევ იმის მავედრებელი ვარ წინაშე უფლის ჯვარისა... კიდევ იმისი სიცოცხლით ვცოცხალვარ და იმისი კარგად ყოფნა მიხარებს გულს... რა დღესაც იმის უბედურებას გავიგონებ, იმწუთას განვუტევებ მეც სიცოცხლეს... იმისმა უბედურებამ, იმისმა ტყვეობამ გამომიყვანა მე უდაბნოდან და გამაბედვინა ამ ტანისამოსის შემოსვა და ამოდენა განსაცდელით შენთან მოსვლა ამისთანა უდროო დროს. თუ გწამს და-ძმობა, თუ გიღირს რადმე დედიშენისა და მამიშენის სული, თუ მცირეც არის გაქვს სიბრალული შენი უბედური და შენგან შვილივით გაზრდილი დის მაკრინესი—შეიბრალე ჩემი ლუარსაბი, შენი მეფე, ნუ გაიმეტებ იმას საუბედუროდ. მე ვიცი ის სახეიროდ არ გამოიყვანა ყეენმა. ნუ გაისვრი ჯერ მეფისა და მერე შენი სიძისა და ძმის სისხლში ხელს... ეს არის უკანასკნელი ჩემი სავედრებელი შენთან. და თუ ამას არ შემისრულებ, ბაშინ არა გწამებია არც და-ძმობა და ჩემი მკვლელიც შენ იქნები. ...მშვიდობით!.. აგერ ისიც მოდის... უთუოდ, რომ უკანასკნელად შესწიროს მადლი თავის გაოხრებულს მამა-პაპის სალოცავს... თქვენი ჭირიმეთ, რას დაჰგვანებია... ლუარსაბ! ჩემი სულის მეფეო, ლუარსაბ!.. რა ახლოსა ვართ ღვთისგან ნაკურთხი გვირგვინოსანნი ცოლ-ქმარნი ერთმანეთზედ, ვინ იცის, რამდენს ხანს ვეღარ უნდა გავიგონო შენი ამბავი... იქნება საუკუნოთაც... და ამისთანა დროს უნდა ერთმანეთს ვემალებოდეთ და არ მივცეთ ერთმანეთს უკანასკნელად სალამი... ვერ უნდა ვისრულო შენს გულზედ ტირილით გული!.. ღმერთო! რატომ არ მომკლავ!.. (ჩამოეკიდება ხელმეორედ მოურავს გულზედ, ტირის მწარედ და დიდხანს არ შორდება გულიდან). მშვიდობით ძმაო გიორგი! მშვიდობით ლუარსაბ!.. მე მივალ ჩემს უდაბნოში. შენგან გაწირული და შენ, ვინ იცის ჯალათის ხმალ ქვეშ... (მოიხურავს ქვითინით ნაბადს, გავარდება იქიდან, მოახტება ცხენს და გასწევს).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ჩემო მაკრინე, ჩემო მაკრინე! მე გამოგჭერ ყელი ჩემი ხელით. ქვეყნისათვის გაგიმეტე და აი, სანაცვლოდ რა მოვიგე! შენი უბედურება არ აძლევს ჩემს გულს დამშვიდებას! მაგრამ იმ საქმეს, რა საქმესაც შენ შეგწირე, არ დაანებებს შენი გიორგი თავს და, ვიდრე ცოცხალია, კიდევ ბევრს

გაიმეტებს ამ საქმის შესრულებისათვის: ცოლს, შვილს, თავის ტოლ-ამხანაგს, უკეთეს მეგობართ ანაცვლებს და თავის ცოცხალი თავით არ მოეშვება ძაგას აგრე. (ლუარსაბი შემოდის გალავანში ფრთხილად. მოურავი დგება კუთხეში).

ლ უ ა რ ს ა ბ — (მიდის ეკლესიის კარებთან, იჩოქებს და კარგა ხანს ლოცულობს ხელგაპყრობილი, მერე დგება დაფიქრებული და ათვალიერებს გარშემო ქვეყნებს). ვაჰი, ჩემო ქართლო! რა ყოფაა შენი ყოფა?! რატომ არ მოვკვდი აქვე და რათ დაგანებე შენ თავი?!. რათ ავყევ თეიმურაზის სიტყვას და აგრე უსისხლოდ, უომრად გავაოხრებინე... რატომ არ მომკლა თავის ხელით იმ ხალხმა, რომელიც მთხოვდა შველას, და შველის მაგივრად მივეცი მტერს ხელში?!... უნდა მეც ჩემს ქვეყანასთან დავმარხულიყავი... ამოდენა ცეცხლმა, ამოდენა უმანკო ქრისტიანეთ სისხლმა და ცოდვის ლულმა არ გამოაღვიძა მოურავის გულში სიბრალული... ჩემი მტრობით ამოდენა ქვეყნის ცოდო იკისრა და ეხლა ისე უყურებს ყველა ამას, თითქო ჰიაც არ გაეჭყლიტოსო... სვეტიცხოველო! ჩვენთა მამათ და ყოველთა ქრისტიანეთა სასოვ და სავედრებელო, შენ მოსთხოვე ამოდენა ქვეყნისა და ჩემი ცოდოც ქვეყნის გამცემს და მოღალატეს და შენი სიწმინდის დამრღვეველს საკაძეს!..

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (გამოდის კუთხიდან საითაც ზურგი აქვს მეფეს მიქცეული) მაშინ მოჰკითხოს, თუ საკაძეს მანდ ბრალი ჰქონდეს; თუ არა და იმას მოჰკითხოს, ვინც საკაძე გააძევა ამ ქვეყნიდან და მით წაართვა ძალა, რომ ან თავი შეეკლა მტრისათვის, ან არ მიეშვა მტერი ასე ქვეყნის გასაოხრებლად... შენ და შენმა გამზრდელმა შადიმანმა უნდა ზიდოთ ეს ცოდო.

ლ უ ა რ ს ა ბ — (შემკრთალი) ძლივს არ შეგვყარა ღმერთმან პირისპირ ერთმანეთთან მარტონი... ეს სვეტიცხოველიც აქა გვყავს მოწმად... აბა შეჰხედე ამ ქვეყანას: რა იქნა იმოდენა ქართლი?!... სად არის ხალხი, რომელმაც შენ გაგზარდა და პური გაჭამა?! სად არიან სოფლები, სადაც შენ აღიზარდე და პირველად დაინახე მზის შუქი და შეისუნთქე ტკბილი საქართველოს ჰაერი?! სად არის სარჩო-საცხოვრებელი ხალხისა, რომელიც შენ, როდისღაც ღმერთად გხდიდა და ჰკოცნიდა შენთა ფერხთა ნატერფალსა?! რა პირით მოსულხარ ამ საქმეების მოქმედი სვეტიცხოველის კარწინ?! შეჰხედე, აბა რას ჰგავს გუმბათი და ზღუდენი წმიდის უფლის კვართის სასაფლაოსი? სად არის ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს კვართი, მხსნელი და მფარველი საქართველოს ერისა?!... ესეც კი არ დაინდე

შენ და მიეც უსჯულოთა ხელში... იქნება მოსულხარ გასაკიცხავად შენგნით დარღვეულის ტაძრისა!!.. გიტვირთნია ქვეყნის გაოხრება, შენი მეფის სისხლი და ამათ მოქმედს შენ აღარც ღვთისა და აღარც შენთა მამა-პაპათა სალოცავთა შეურაცხყოფა აღარად მიგაჩნია... უკეთეს დროს და უკეთეს ადგილას მე და შენ ვეღარა ვნახავთ. დღეს მე და შენ ბატონყმანი აღარა ვართ: მე ვარ ტყვე, და შენ — ფარხმალი შენის მამულის წარმტყვევნისა... და ვინც ჩვენ შორის იყოს მტყუანი — დეე აქვე, ამ სვეტიცხოველის კარწინ შესწიროს ღმერთს სული, რომ ამითი მაინც მოიპოვოს იმოდენა ხალხის ცოდვათა მიტევება. ამოიღე ხმალი! ხმალი შენი მაინც განთქმულია... (მეფე იძრობს ხმალს).

დიდი მოურავი — ეხლა ჩემი და მაკრინე იყო აქ და ამ ეკლესიაზედ დამარისხა, რომ შენს სისხლში ხელი არ გავისვარო. მაგრამ იცოდე, რომ ჩემს სისხლშიაც ადვილად არავის გავაბრევინებ ხელს.

ლუარსაბ — ხმალი, სააკაძევ, თუ მცირეც არის გაწევს შენი სინიდისი თავის მოყვარეობას და არა ხარ ქვეყნის გამცემი და მოღალატე!

დიდი მოურავი — კიდეც იმიტომ არ ვიღებ ხმალს, რომ ორივეს შენში ვხედავ. შენ ჰგრძნობ შენს ბოლოს და იმიტომა ხარ აგრე გულადად, თორემ მაგ გულს, მუხრანს რომ განწირვის დროს ხალხს გაექეცი, მაშინ გამოიჩენდი... მეც ვიცი შენი ბოლო და იმიტომ არ მინდა სხვებს გამოვსწირო შენი თავი.

ლუარსაბ — ჰო! გინდა სხვის ხელით ნარი მოჰგლიჯო. მაგრამ ქვეყანამ იცის შენი ოსტატობა და შენი მეფის სისხლს მაინც შენ დაგადებენ, და შვილითი-შვილამდე და უკუნითი უკუნისამდე იქნები ყოველთვის წყევლითა და შეჩვენებით მოხსენებული... ოჰ, ოსტატო! ოჰ, გულგაუწმენდელო!... რატომ ადრევე ვერ გიცან მე, რატომ მაშინვე არ დავუჯერე, მამისოდენა ნაამაგდარს შადიმანს, რომ შენი დის გამოჩენით კარგი არა გედო რა შენ გუნებაში...

დიდი მოურავი — დიახ! კარგი არა მედო რა გუნებაში! მინდოდა მხოლოდ სამი სამეფოს და ოთხი დიდი სამთავრო ტახტის მფლობელი გამეხადე, რომ აღარც შენა, აღარც შენს შვილსა და შვილიშვილს და ათასად გაგლეჯილს სამეფოებს ის დღე არ დასდგომოდათ, რაც ადგათ აქამდის. და თუ შენ შადიმანების სიტყვას არ აჰყოლოდი, — ეხლა არ იქნებოდი შაჰ-აბაზის ტყვე.

ლუარსაბ — შენ არა ხარ ღირსი შადიმანის სახელის ხსენებისა.

დიდი მოურავი — ჭეშმარიტად!.. მე არა თუ ჩემი სისხლისმსმელი და მამულიდან გამძევებელი მეფე და თვით იმისი ჩემზედ წამქეზებელი მონა და ქვეყნის ამამტუტებელი შადიმანიც ვერ გავიმეტე წასახდენად; და შადიმანმა კი ერთს ხალათში მისცა თავისი გაზრდილი და მწყალობელი მეფე იმის მტრებს სასიკვდილოდ.

ლუარსაბ — კიდეც მაგან დაღუპა საქართველო, რომ შენ, იმის მტერს, ხმალიც გიჭრის, ენაცა...

დიდი მოურავი — ხომ გჯერა, რომ ორიეში ვჯობდი შადიმანს! მაშ როგორ გამცვალე იმაში?!.. აი ეხლაც: შენ მეფე და მე — შენი ყმა. მომეც ხელი, ჩამომაცალე შადიმანები და შენ ბრა თუ ტყვეობიდან გამოხვალ, არამედ მთელი საქართველოს ბატონიც გახდები.

ლუარსაბ — რომ კიდევ შენი და დაუსვა ქართველებს დედოფლად. და ჩემს მაგივრად შენა სწევდე მეფობას, ვიდრე თავად არ დაიდგამ თავზედ გვირგვინს! ოო, გაუმაძღარო დიდების მოყვარეობავ! ერთი უბრალო აზნაური აღარა სჯერდება თითქმის მთელი ქართლის მოურავობას და უნდა კიდეც მეფეთაც გახდეს.

დიდი მოურავი — მაშ რაც მოხდეს, მე ხელი დამიბანია...

ლუარსაბ — შენ დიდი ხანია გაქვს ხელი დაბანილი... საქართველოსა და შენის მეფის სისხლში.

დიდი მოურავი — მკითხოს ამ სვეტმაცხოველმა, თუ შევარჩინო მე ყიზილბაშთ და შაჰ-აბაზს ქართველების სისხლი და ეს ქვეყნის გაოხრება, და სისხლი მეფისა ჰზღოს თვით იმან, ვინც არ მოინდომა, რომ ამ სისხლს გადარჩენოდა... მშვიდობით, ლუარსაბ! აგერ აქეთ მოდის შაჰ-აბაზი თავისი ამალით. ჩააგე შენი ხმალი! გიჯობდა ეგ ხმალი მაშინ ამოგეღო, როცა ცეცხლს უკიდებდნენ შენგნით ხელიდან წასულს ქვეყნებს. ეხლა შენი ხმალი შენს მეტს ვეღარავის გაჰკვეთავს (მიდის გასასვლელად).

ლუარსაბ — (ჩააგებს ხმალს და იტაცებს ორთავ ხელებს თმაში). ღმერთო! რაზედ ჩამაგდე ჩემი მონის ხელში!... სხვა მტრებს რაც უნდა ექნათ ჩემთვის... (შაჰის დანახვაზედ გადის საჩქაროდ).

შაჰ-აბაზ — (შემოდის და თან შემოსდევს თავისი ამალა, რომელთა შორისაც არიან: ყორჩი-ხან, სპასალარი, ზურაბ არაგვის ერისთავი, მოურავის შვილი, პაატა და სხვანი), აა, გიორგი! ეს არის ეხლა შენს ხსენებაში ვიყავი და შენც აქ დამიხვდი. ამბავი მომივიდა, რომ

ავღანისტანელნი შემოგვსევიან, რაკი გამოუგულებივართ აქეთ და ძალიან შეუწუხებიათ ირანი. ამის გამო, მე დღესვე უნდა გავუდგე გზას და, შენ და ზურაბიც უნდა წაგიყვანოთ თან. მე ჯარები აქედან არა მიმყავს რა, რადგან კახნი და ზოგნი ქართლელნიც დასცემიან კახეთს, ფეიქარ-ხანს და აქ ვუშვებ სპასალარს, რომ მაგ გაკადნიერებისათვის მთლად გასწყვიტოს კახეთი და ქართლი კი სულ გადმოასახლოს ირანს.

დიდი მოურავი — (ჩაფიქრდება დიდხანს) დიდებულო ხელმწიფევ! თქვენთავად სცადეთ, რა ძნელიც არის თქვენის ბრძანების ასრულება. შეიტყობენ თუ არა თქვენს ბრძანებას ქართლსა და კახეთში, მაშინვე გაიხიზნებიან იმისთანა ადგილებში, სადაც ვერა ჯარი ვერ მიუდგება. აქ საჭიროა ეხლა იმისთანა სარდლები, რომელთაც ეცოდინებათ ყველა სახიზნი ადგილები და ყველა ბილიკები, რომელნიც მიუდგებიან ამ ადგილებს, ამის გამო მე ვგონებ, რომ მე და ზურაბ ერისთავი აქ უფრო საჭირო ვიქნებით, ვიდრე ავღანისტანში. იქ მარტო ერთი ხერისდამცემი სახელი შაჰ-აბაზისა საკმაო იქნება მტერთა შესარისხავად და აქ კი უთქვენოდ გაძნელდება საქმე. ამასთან მე და ზურაბს შემთხვევაც გვექნება, რომ ვიყაროთ ჯავრი ქართველებზედ, რადგანაც ჩვენი სამსახური არ დააფასეს და გვდევდნენ სასიკვდილოდ. — დიდი ხანია ჩვენ გვწყურია ჰაგათი სისხლი, და ეხლა, რაც თქვენ დააკელით — ჩვენ შევუსრულებთ. სახიზნი ადგილები თითქმის სულ ჩემს საბოურაოსა და ზურაბის საყმოში არის, და ამის გამო ჩვენ იმისი ვერსად დაგვემალებიან. დრო არის, რომ იმდენი გურჯისტანის შეწუხებისაგან მოისვენოს ირანმა, თორემ ქართველნი არ ასვენებენ არც ერთმანეთს და არც სხვებს. მომეცით შემთხვევა, რომ ვიყარო ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხყოფისა და გაუპატიურების ჯავრი, რომ ვისრულო ქართველებზედ გული ჩემი სარჩო საცხოვრებლის განადგურებისათვის. უნდა გავანადგურო ქართველობა, რომ დასცხრეს ამათი ზღვევით სავსე შეურაცხყოფილი გული ჩემი მოყვრისა და ჩემის გაზრდილის ზურაბისა!

შაჰ-აბაზ — სწორედ მეც ეგ განზრახვა მქონდა, მაგრამ ვფიქრობდი, იქნება მოურავმა კიდევ არ იკისროს-მეთქი. მაშ ეგ უკეთესი იქნება, თუ შენ და ზურაბ აქ დარჩებით, რადგან უთქვენოდ სწორედ რომ გაჭირდებოდა ჩემი ბრძანების შესრულება. მაგრამ, რომ იჭვი არ მქონდეს თქვენს ერთგულებაზედ, მე წავიყვან მძევლად შენს საუკეთესო შვილს პაატას

და ზურაბის ცოლს. ვინიცობაა რამე ორგულობა თქვენი მსმენია ორივეს — ერთს შვილისას და მეორეს — ცოლის თავებს გამოგიგზავნით ჯილდოდ თქვენის საქმისა; და შემდეგ თქვენ თავებსაც გადმოვკიდებ თბილისის ციხეზედ ქვეყნისათვის საჩვენებლად. ხომ იცი შაჰ-აბაზის გულმა არ იცის, რა არის შებრალება... მაშ, ყორჩიბაშ სპასალარო, ეხლა შენი საქმე უფრო კარგად არის: ზურაბ და გიორგი ყველა საქმეს კარგად მოაგვარებენ.

დიდი მოურავი — (ცალკე) ჰყურობ! მძევალიო!.. ისიც ჩემი საუკეთესო და საიმედო შვილი... ჩემი პაატა!.. ამას რაღას მოველოდი... ღმერთო! რატომ ერთხელ ჩემკენაც არ მოიხედავ!

შაჰ-აბაზ — გამოესალმე, მოურავო, შენს შვილს. ჩვენ ეხლავე გავუდგებით გზას, სადილი თბილისს მიგველის (შაჰი გადის და ყველანი თან გასდევენ, მოურავისა და პაატას გარდა).

დიდი მოურავი — მშვიდობით, შვილო პაატა!.. შენ უნდა წაჰყვე ყეენს.

პაატა — რატომ აგრე ამღვრეული ხარ, მამავ? როცა ჩამოხვალ, მეც იქ არ დაგხვდები? თუ ჩემთვის სწუხარ, მე იქ კიდეც მირჩევნია: მე ვერ ვუყურებდი ქვეყნის ამდენ საცოდაობას. მე რომ აქ ვნახე ქართველების საცოდაობა, ტყვეებს რომ მიერეკებოდნენ, სულ გული მიკვდებოდა. ღმერთო, რა სანახავი იყვნენ... რარიგად ეკიდებოდნენ!.. ძაღლს არ გაიმეტებენ ისე სასიკვდილოდ, როგორც შიმშილისა, სიტიტვლისა და ქვეითობისაგან მოუძლურებულს და მოწყვეტილს ტუსაღებს იმეტებდნენ... ჩემთვის რა გაწუხებს...

დიდი მოურავი—არა, მე მაგას არა ვწუხვარ... მე გნახავ ისევ... მშვიდობით! (ეხვევა, იკრავს გულში დიდხანს, ჰკოცნის და ვეღარ იმაყრებს თავს ტირილისაგან) მშვიდობით, უბედურის მამის შვილო, პაატავ... შენ იყავ, შვილო, ჩემი იმედი, შენ ასალმუნებდი ჩემს ათასად გაგლეჯილს გულს... მშვიდობით!.. (პაატა ტირის). იტირე, შვილო, იტირე მამაშენის ბედი და დასწყევლე ის დღე, რა დღესაც შენ გამოესახე დედაშენს მუცელში... რა დღესაც საქართველო იქნა ათასად გაგლეჯილი...

პაატა — მშვიდობით მამა... მე ვიცი რაზედაც ტირი: შენ გენანება საქართველოს დაღუპვა... საწყალი საქართველო... ნეტავი შველა მაინც როგორმე შეიძლებოდეს... მშვიდობით! თორემ აგერ ჩემ დასაძახებლად მოდიან... უნდა დედასაც გამოვესალმო (გადის საჩქაროდ).

დიდი მოურავი — (მარტო) მშვიდობით, ჩემო პაწია პაატა! არ

იცი რა ატირებს მამაშენს... არ იცი რა გულით გესალმება შენ ის, და დეე ნურც გაიგებ, მინამ არ აიმართვის მძვინვარე აბაზის ხმალი შენს კისერზედ... მაშინ მოიგონე მამაშენი და ნუ შეაგინებ... ნუ შეაგინებ იმიტომ, რომ შენმა სიკვდილმა უნდა გამოიხსნას შენი სამშობლო ქვეყანა... (ტირის და ჩაფიქრდება) გავაუბედურე სულზე უფრო საყვარელი და ამაოდ... წაწყმედა ჩემი მაშინ იქნება, რომ შვილი გავსწირო და იმანაც ამაოდ ჩამიაროს... არა! ეხლა ისე აღარ იქნება... ღმერთი მაღალია და შეიწირავს და იკმარებს ერთი კაცისაგან ამოდენა მსხვერპლს.

გიორგი ქავთარაძე — (შემოდის) საშინლად აღელვებულია მთლად ქართლ-კახეთის ხალხი ამოდენა შევიწროებისაგან, ჰსურთ მტერთან ბრძოლა და ერთი მოთავე არა ჰყავთ. ასე შეშინებული და დაცემული დიდკაცობა საქართველოსი მე არ მინახავს, როგორც ეხლა. თვით დედაკაცნი მზად არიან საომრად რომ ერთი მოთავე ჰყვანდეთ. საშინელი გოდება და ტირილი ედება მთათა და ველთა და თვით ცამდინაც კი ადის ეს ქვეყნის საცოდაობა. უსაჭმელობით ხალხმა თიხას დაუწყო ჭამა და ამ ყინვა-ზამთარში ხალხი უბინაოდ ჰყრია გარეთ. აქამდის საქებური სახელი გიორგი მოურავისა, დღეს შეიქმნა ყველასაგან საწყევლი და საგინებელი. არავისა სჯერა, რომ შენ არ იყავ მოთავე ქვეყნის ამოდენა უბედურებისა.

ჯიდი მოურავი — მოვიდა ეხლა ჩვენი დრო. ეხლავე მოგცემ ქათალიკოზთან და წილკნელთან წიგნს და რაც შეიძლო მალე მიეც. ეცადე, რომ იმათ მოგცენ წიგნები ქართლ-კახეთის დიდკაცობასთან და მაშინვე შეუდექ საქმეს და ისე მოიქეც, როგორც მე გითხრა. როცა თავის თვალით ნახვენ დიდებულნი რა დღე მოელით, არც მაშინ გამოიღებენ ხელს?! ქართველთა ყველა თავადაზნაურნი უნდა შეიყარონ სამუხრანოში, ჩვენი ჯარების შორიახლოს.

სცენა IV

სცენა სწარმოებს მუხრანის არემარეზედ, სადაც დგანან ყორჩი-ხან და მოურავი სპარსთა ჯარებით. სცენაზედ ერთ მხარეს არიან მრავალი ტყვენი კახეთიდან; მეორე მხარეს ქართლიდან. აქვე არიან მრავალნი დაბარებულნი ქართლ-კახეთის თავადაზნაურნი, რომელნიც დგანან თოფ-იარაღში. ამათ სუყველას ახვევიათ გარშემო იარაღგაწოდებული სპარსთა ჯარები.

ყორჩი-ხან — დავიჯერო ამაზედ მეტნი არ შეიყარონ დაბარებული თავადაზნაურნი?

დიდი მოურავი — სულ მთამში არიან გახიზნულნი მიუდგომელ ადგილას. ჩვენ თითონ მოგვიხდება იქ ასვლა. ესრე წვრილ-წვრილად კიდეც სჯობია, თორემ თუ ბევრი შეყრილიყვნენ, ვაითუ ხელი გამოეღოთ: თუ ერთი გაღორდა ქართველი კაცი, ხომ იცით მაგათი ამბავი... მაშინ იქნება ვეღარც კი მოგვეყვანა აღსრულებაში შაჰის ბრძანება.

ყორჩი-ხან — ეგ კი მართალია! ჯერობით ესეც საკმაოა. ნეტავი ამათ აუვიდნენ ჩვენი ჯარები. (ჯარებს) აბა, აჰყარეთ თოფ-იარაღიანებს იარაღი. (ჯარები ეტანებიან ასახსნელად).

იარაღებიანი — (არ ანებებენ იარაღს) რათა?! რისთვისა გვყრით იარაღს?! თუ ბრძანებაა რამე ჩვენთვის გამოსაცხადებელი, განა ასე არ გამოგვეცხადება: ჩვენ ხომ არსად გავრბივართ?

ყორჩი-ხან — როცა იარაღს აიყრით, მაშინ გამოგიცხადებთ.

იარაღიანები — რათა, ასე გამოგვიცხადეთ! ჩვენი იარაღის დანებება არ იქნება. თუ ყეენი გვიბრძანებს რასმე, ჩვენ იარაღშიც იმისი ურჩობა არ შეგვიძლიან.

ყორჩი-ხან — (ჯარებს) აჰყარეთ სუყველას და ვინც ურჩი შეიქმნება — დაჰხოცეთ. (მრავალი თოფ-იარაღიანთაგანნი ნებით არ ანებებენ იარაღს).

იარაღიანები — როგორ თუ ძალათი აგვყაროთ!? ასე ღალატით დახოცვა იქნება!! (იძრობენ ხმლებს) ჩვენის ცოცხალის თავით იარაღს ვის დავანებებთ!! (ერთმანეთს) მაინც დაგვხოცვენ ეს ურჯულოები და მაინცა. დედა შეერთოს ცოლად, ვინც უსიკვდილოდ ამათ იარაღი დაანებოს. შევსწიროთ ქრისტეს სული და იარაღით ხელში დავიხოცნეთ (ჯგუფდებიან ერთად).

ყორჩი-ხან — თოფი მაგათ... სულ გაჟლიტეთ ეგ გიაურები!

(ჯარები დაუშენენ თოფებს. მრავალი თოფ-იარაღიანი ქართველი იქვე დაეცემა. შეიქმნა ჩოჩქოლი და ამ ჩოჩქოლით გადიან გარეთ. სხვა ტყეები დაიწყებენ ჟივილ-ხივილს და სულ ერთმანეთს ეყუჟებიან).

დიდი მოურავი — ჩვენ უნდა ეხლა ამ ტყეებიდან ერთი ორმოციოდე თავადაზნაურთაგანი გავუშვათ ქართლელები, რომ აცნობონ ქართველებს ძალა ყეენის ჯარებისა, რომ წინააღმდეგობა არავინ გაბედოს და შეიტყონ ყველამ, რაც დღე ადგებათ წინააღმდეგთ.

ყორჩი-ხან — ეგ ძალიან კარგი აზრია. მაგრამ ჯერ დეე სხვა სერიცა ნახონ. (ჯარებს) აიყვანეთ კახელობა და ყველას თავები დააყრევინეთ. მიიყვანეთ ქსანში და შიგ წყალში დასჭერით

თავები, რომ მაგათი თავები ჩაერთოს მტკვარს, და სცნას ქვეყანამ ძალა აბაზ ყეენისა და უძლურება იმის წინააღმდეგთა. (მრავალი ტყვეთაგანი ეცემა მუხლისთავებზე და განწირულებით შესტირიან მიტევებას). შებრალება ჩვენ შაჰის ბრძანებაში არ გვიწერია. გაირეკეთ ყველანი! (მრავალ ტყვეთაგანს მუხლი ეკეცება. ისმის საშინელი გოდება, მოთქმა და ხმამაღლივ ტირილი. დედები იკრავენ გულში შვილებს და არ უშვებენ. ზოგნი ჰკოცნიან ერთმანეთს და ესალმებიან; მრავალნი შესტირიან ღმერთს და ლოცულობენ. მრავალნი აგინებენ ყეენს, მოურავს, ყორჩი-ხანს და ზურაბ ერისთავს. ჯარები ხმამაღლა მიერეკებიან და მიათრევენ ჯიგლიგის ცემით ტყვეებს).

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — მე საშინლად მიყვარს ამგვარი სეირი. წავალ, რომ უფრო კარგად შეასრულონ ჯარებმა ბრძანება. (თან გასდევს ტყვეებს და ამას გასდევენ ხანები და სულთანები).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (გაჰყურებს დაფიქრებული და გადგება ცალკე). ნუთუ არც ეხლა გაიღვიძებს ქართველებში ერთობა! ნუთუ არც ეხლა გასწირავენ თავებს და არ შეასხმენ თავის გამწყვეტლებს უკანასკნელს სისხლის წვეთს!!. ნუთუ არც ეხლა გაჰბედავს ზურაბი საქართველოსთვის თავის გამოდებას და არც ეხლა დასთმობს ქვეყნისათვის ცოლს?! არა! ეხლა თუ არა იქნა რა, მაშ საქართველოში კაცი არ ყოფილა და ახი იქნება იმათი სახელის მოსრობა...

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ყ ვ ე ე ბ ი — გიორგი მოურავო! ზურაბ, არაგვის ერისთავო! მოიგონეთ ღმერთი, მოიგონეთ თქვენი ქრისტიანობა!.. თქვენ მაინც როგორა დგებით ჩვენს სისხლში?!. შეიბრალეთ ჩვენი ცოლ-შვილი. შეხედეთ ღმერთს!.. თუ ჩვენი ღმერთი არა გწამთ — შეჰხედეთ თქვენ ღმერთს... ნუ იდებთ ხალხის ამოდენა ცოდოს და ამოდენა სისხლს...

ე რ თ ი თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ი — გეყო, საკმაძევ, ამდენი სისხლი და ქვეყნის აოხრება... რაზედ აოხრებ ამოდენა ქვეყანას... რით ვერ გაძეხ ამდენი სისხლით!.. რას ემართლები ამოდენა უბრალო ხალხს... მოიგონე ღმერთიცა, რომელიც ჰხედავს ყოველ ჩვენს საქმეს... არ შეგარჩენს ღმერთი ამდენს ცოდოს....

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — (შემოდის და თან შემოსდევენ ხანები და სულთანები) ერთი შეხედე გიორგი იმ სერზედ, რა ჟრიამულია და როგორ გულით მუშაობენ ჩვენი ჯარები. (შორიდან ისმის საცოდაობის ჟივილ-ხივილი. ქართველი ტყვეები გაჰყურებენ და შეიქმნება აქაც განწირულებით შემაგრებული ტირილი. დედაკაცები იცემენ გულში ხელებს და იკრავენ გულში პაწაწინა შვილებს და სჰიდებენ მაგრა ხელებს).

ყ ა ზ ა ხ ი ს ხ ა ნ ი — შეჰხედეთ, როგორ გაწითლდა წყალი, ოჰ! რაოდენი თავები მოაქვს. (ყველანი უყურებენ. ქსანი ცოტა-ცოტათი მი-

იღებს წითელს ფერს და თანდათან უფრო ბევრი ადამიანის თავები და უთავო გვამები მოაქვს. ტყვეები უფრო შეშფოთდებიან და უფრო განწირულებით იწყებენ ტირილს).

ყორჩი-ხან — ესეც ხომ ნახეს ამათ, ეხლა ერთი ორმოციოდე კაცი გავუშვათ რომ აცნობონ ქართველებს, რაც დღე მოელით, თუ არ დაგვემორჩილებიან. სხვანი გავისტუმროთ ირანს.

დიდი მოურავი — არა, ორმოცი ცოტა იქნება. ვინ იცის რა ადგილებში არ არიან ქართველები გაფანტულნი და გახიზნულნი. ეგრე ცოტანი ვერ მიაწვდენენ ვერსად ხმას. გაუშვით ყველანი, რომ უფრო საჩქაროდ გაჰყარონ ეს ხმა და ყველა მალე აიტანოს შიშისზარმა, რომ ყველამ დააჩქაროს თავისთავად მოსვლა, თუ უნდათ რომ ეს დღე არ ნახონ.

ყორჩი-ხან — სწორე თქმაა. ჯერობით ისიცა კმარა, რაც ტყვეები გავისტუმრეთ. ესენი გავუშვათ ყველგან ამბის მოსაფენად.

დიდი მოურავი — ქართველებო! ყველანი გაგვინთავისუფლებიხართ. წადით და აცნობეთ ყოველ ქართველთა ყოველი თქვენის თვალით ნახული. დეე სცნას ყოველმა საქართველოს კაცმა, რაც დღეა იმათზედ მომდგარი და რასაც უნდა მოელოდნენ სპარსელებისაგან. უთხარით, რომ შებრალება იმათმა გულმა არ იცის-თქო. აცნობეთ ეს, მცირეთა და დიდებულთა, მღვდელთა და ეპისკოპოზთა, ძეთა და მამათა, უვიცთა და მეცნიერთა. მოჰფინეთ ეს ხმა ტყეთა და ველთა, ეკლესიათა და მონასტერთა; კლდეთა და ხეობათა, რომ თვით ქვათაც კი იგრძნონ, რაც დღეა საქართველოზედ მომდგარი.

ყორჩი-ხან — გაუშვით ეგ გურჯები (უშვებენ. ტყვენი გახარებულნი მიდიან. გადის ყორჩი-ხანიც და გასდევენ ყველანი, თან ღამდება).

დიდი მოურავი — ზურაბ, შენ შეიცადე. (რაკი დარჩებიან მარტონი, ჰკიდებს ზურაბს ხელს და მიჰყავს ყრუ მიფარებულს ადგილას და სხდებიან ერთად). გესმის, ზურაბ! დღეს არის ჩვენი განჩინების დღე. თუ ეხლაც მე და შენ არაფერს აზრზედ არ დავდექით, მაშინ საშვილიშვილოდ უნდა ვზიდოთ ამოდენა ქვეყნის ცოდო. გაიგონე დღეს ტყვეების სიტყვები? იგრძენ თუ არა იმ სიტყვების ძალა?.. რა გულით უნდა ვუყუროთ, რომ ურჯულო თათრები დედამიწასთან ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს თვალთ წინ ჰმუსრავდნენ ჩვენთა მეზობელთა და გამზრდელთა და ამოდენა ქვეყანა გადააჯილაგონ შეუწყალოდ თავისი მიწა-წყლიდან, თავისი სარჩო-სამყოფედან. შეჰხედე ერთი ქვეყნის საცოდაობას, დედებისა და ცოლების განწირულების ტირილს. თვით მაღლა ცამდის ადის ამოდენა საცოდაობის

ხმა, და თვით ცაც ირყევა ქვეყნის ამოდენა ცოდვით. დავიჯერო, მოგვიწონებს ამას ჩვენ ღმერთი!.. რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს მეუფეს იმ დიდს განკითხვის დღეს?! რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენ შვილთა და შვილიშვილთა და ამოდენა ქვეყანას?! ნუთუ შენ აღარა ხარ ის ზურაბი და მე ის მოურავი, რომლების სახელისაც კი ეშინიან არათუ სპარსთა — და თვით მძვინვარე აბაზსაც!.. ნუთუ დღეს, როდესაც ჩვენს მეტს აღარავის შეუძლია საქართველოს შველა, უნდა ამოვიღოთ ხმალი და დავუსოთ გულში ჩვენს მამა-ბიძებს, ჩვენს ძმებს, ჩვენ მიწა-წყლის შვილებს?!

ზ უ რ ა ბ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი — გიორგი, დავიჯერო შენს გაზრდილს ზურაბს აგრე იცნობ! იქნება გგონია და გჯერა, რომ ზურაბის გული არა კვდებოდეს და ზურაბის სისხლი არა შრებოდეს ქვეყნის ამოდენა საცოდაობით, მაგრამ რატომ მაშინვე არ მითხარ ყველაფერი, რომ ჩემი მშვენიერი ანა არ გამეშვა მძევლად. რა პასუხი უნდა გავცე ახლა ანას, რომელმაც სული თან გამომატანა და რომლის უბედურების მიზეზი უნდა გავხდე მე?!. მითხარ, რა ვუყო ანას, რომელსაც შეუბრალებელი აბაზ აღარ აცოცხლებს აღარც ერთს წუთს. რაკი გაიგებს ჩვენს ამბავს!?...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ზურაბ! გრცხვენოდეს, რომ ერთი ადამიანი ვერ გაგიმეტებია ამოდენა საქრისტიანო ქვეყნისათვის. დავიჯერო, ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი მშვენიერი პაატა მე ნაკლებად მიყვარს; მაგრამ დავთმე ქვეყნისათვის. პაატა და ანა ქვეყანას ვეღარ ჰშობენ და ქვეყანა კი კიდევ ბევრს ანასა და პაატას შობავს... თუ არ გითხარ მაშინვე ეს, იმ მიზეზით არ გითხარ, რომ მეშინოდა: შაჰი, ან ვინმე არ მიგვხვედროდა, რაკი დავიწყებდით მძევლებზედ ლაპარაკს.

ზ უ რ ა ბ — მაშ, აბა ეხლა რა უნდა ვქნა? ნეტავი დამცლოდა მაინც და რიგიანად გამოვსალმებოდი ჩემს სანატრელს ანას... რა პასუხი უნდა მივცე ან იმის განკითხვის დღეს, ან იმის მშობლებს, რომელთაც იმაზედ მეტი სხვა არა გააჩნიათ-რა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მართალია, ზურაბ, ცოლის დაკარგვა ძნელია, მაგრამ ეხლა მაგაზედ ლაპარაკი, ამისთანა დროს, — დრო აღარ არის. ამ წუთს იქით, შენ უნდა ყოველი სიბრალული ამოიღო გულიდან — ეხლა ჩვენი საფიქრელი არის ქვეყნის საცოდაობა. ცოლს მე უფრო ლამაზსა და დიდკაცის ქალს გიშოვნი; შეგრთამ მეფის ლუარსაბის დას — ლელას, და მაშინ უფრო ბედნიერი იქნები.

ზ უ რ ა ბ — კარგი! შემიწირავს ჩემი ცოლიც, ჩემი თავიც ქვეყნისათვის. ეხლა რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ჯერ, ზურაბ, მოდი, მე და შენ ფიცი დავდოთ რომ ერთმანეთს არ ვუღალატოთ და მერე ყველას გეტყვი.

ზ უ რ ა ბ — (ამოიღებს უბიდან ნაწილებს) ვაი შენ ჩემო თავო! გიორგი, რა ცუდად გიცნივარ! ჯერ ყველა იქით იყვეს, — რამ გაფიქრებინა, რომ ზურაბ გაჰბედავს როდისმე მოურავის ღალატს, რომელსაც მამაზედ მეტი ამაგი აქვს ჩემზედ და რომლის ხელითაც ვარ გაზრდილი. აი, ხომ ხედავ ამ ნაწილებს? ეს ნაწილები სიკვდილის დროს დამკიდა დედაჩემმა და ამ ნაწილებით დამილოცა ცხოვრების გზა მამაჩემმა. ვფიცავ ამ ნაწილებზედ, ამომეღოს მამაჩემი ნუგზარ საფლავიდან და გამეცეს ურჯულოს ხელთა სული დედიჩემისა, თუ მე გიღალატო საქვეყნო საქმეში. ვგონებ ეს ფიცი საკმაო იყვეს.

(ჰკოცნის ნაწილებს და იდებს უბეში).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ეხლა დამიგდე ყური. მე გავენდე ამ აზრს ქათალიკოზს და წილკნელს საიდუმლოდ, იმათის შემწეობით შევკრიბე თითქმის მთლად ერთიანად მრავალი მსახურებით ქართლ-კახეთის აზნაურობანი ტინის ტყეში, ვითომც რამე ყეენის წყალობის გამოსაცხადებლად და განგებ გავაშვებინე დღეს ის ტყვენი ყორჩიბაშს, რომ ყველაფერი ეს ამბები აცნობონ იმათ. შენც ეგრეთვე განგებ დაგაბარებინე შენი საყმო. ამ დღევანდელს ამბავზედ ერთი ნაპერწკალის გადაგდების მეტი აღარა უნდა რა. მეტადრე რაკი გაიგებენ რომ მე და შენ იმათკენ ვართ. გადი შენ, გამოუცხადე რომ ჩვენა ვართ იმათი წინამძღოლნი. ხვალ შუაღამისას უნდა მოხვიდე ჯარებით და შორიდამვე დაჰკარით ნაღარასა და დაფდაფს და ასტეხეთ ძლიერი ყიჟინა. მე, ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, პაატა ხერხეულიძე და ჩემი ზურაბ აქ დაგიხვდებით, და რაწამს თქვენ ჩამოერევით, ჩვენ მაშინვე დავხოცავთ ყველა თავ-სარდლებსა. მანამ დავყრით ხმას, ვითომც მეფე თეიმურაზ იმერლებითა და რუსის ჯარით მოდიოდეს... ეგ არის, გასწი და ეხლა შენ იცი, როგორ გაამხნევებ ქართველებს!

ზ უ რ ა ბ — მაშ ეგ არის! ერთი კარგად ვიბანოთ ამ ურჯულოების სისხლში. მშვიდობით! თქვენ აქ შიგნიდან გაისარჯენით, და გარედან ჩვენ ვიცით.

გიორგი ქავთარაძე — (შემოდის) აქა ხარ, გიორგი? მთლად ერთიანად ტყვეები დაიძრნენ ტინის ტყისაკენ, რომ ყველა თავის ნახული აცნობონ იქ შეყრილთ დიდკაცობათ. ყოველივე საქმე კარგად მიდის... რა ჰქენით შენ და ზურაბმა?

დიდი მოურავი — ღვთით, დავიყოლიე და გავისტუმრე იგი ტინის ტყისაკენ.

ქავთარაძე — არიქა, გიორგი, შენი ჭირიმე! მაშ ჩვენი საქმე გაჩარხულა!... მაშ საქართველოსაც ეშველება... (ეხვევა და ჰკოცნის)... ისევ შენა. თორემ შენს მეტი ღონე არ არის...

დიდი მოურავი — (ჰკოცნის). ჩვენ ასე დაგვიწყვია და ვნახოთ ღმერთი რას ინებებს... ახლა კი წავიდეთ, რომ აზრი არა აგვართვან რა ამ ურჯულოებმა... ეხლა დიდი სიფრთხილე გვმართებს (გადიან).

სცენა V

ქართლ-კახეთის აზნაურნი არიან შეყრილნი ყრუ ადგილას ტინის ტყეში.

ზურაბ არაგვის ერისთავი — დიდებულნო თავადნო და აზნაურნო ქართლისა და კახეთისანო! ეხლა ყველამ სცანით, რა საქმისათვისაც ვართ აქ ამოდენა ჯარებით სპარსეთიდან გამოგზავნილი. თქვენი კეთილი თვალი ჰხედავს, რა ურჯულოებას სჩადიან მაჰმადის რჯულის მჭირავნი ჩვენ საქრისტიანოზედ. თქვენ ნახეთ და მოესწარით იმ დღეებს, რომელნიც არა თქმულა მას აქეთ, რაც ცა და ქვეყანა დაარსებულა. თქვენ ნახეთ, რომ ჩვენი ღვაწლშემოსილი და დედა ყოველთა ქართველთა დედოფალი ქეთევან მიეცა საშინელს და კაცის გონებისაგან მოუფიქრებელს წამებას, არა წმიდათ ხელთაგან. ჩვენში არ იპოვება დღეს კაცი, რომ არა ტიროდეს ცოლს, ან ძმას, ან შვილს, ან სუყველას ერთად — ურჯულოთაგან დახოცილთ და წარტყვევნილთ. აქვე თქვენ თვალწინ, ხომ ნახეთ, რა უღმერთოდ გაჟლიტეს ყველა კახეთის ტყვენი. თქვენის თვალით ნახეთ, რარიგ ეკიდა მთლად ქართლ-კახეთს ცეცხლი და ჩვენ თვალწინ იწოდა ჩვენი სარჩო საცხოვრებელი, რომ ნატამალიც კი აღარ გაუშვეს... დღეს მოველით უარეს დღეს. „კახეთი გასწყვიტეთ და ქართლი აჰყარეთო“, ბრძანა მძვინვარე აბაზმა და მოგვისივა მაგისთვის ქვიშად უმრავლესი ჯარები... მე ვარ თვით მოურავისაგან მოგზავნილი თქვენთან. თვით მოურავი მოგვიძღვება წინ და ის იქნება ყველა საქმის დამწყობი. ქართველებო! დავიჯერო, ჩვენ აღარ გვიდგია სისხლი

მამა-პაპისა და უნდა ასე გულხელდაკრეფილი დავეხოცვინოთ და დავეტყვევინოთ ურჯულოთ?! დავიჯერო ჩვენ არ უნდა ამოვიღოთ სისხლი ურჯულოთაგან წამებულის დედოფლის ქეთევანისა?! დავიჯერო, უნდა შევარჩინოთ ამოდენა სისხლი საქრისტიანოსი მაჰმადიანთა?! დავიჯერო, უნდა შევარჩინოთ შეურაცხყოფა, გაცარცვა და დანგრევა ჩვენთა სალოცავთა და მონასტერთა?! ნუთუ ისე დაჩლუნგდა ქართველთა ხმალი, რომ აღარ გასჭრის ხორცს ჩვენთა წარმატყვეართა და მმუსრავთა?!.. ამოვიღოთ ხმალი, აღვმართოთ დროშა, გამოვიჩინოთ სიმხნე მამა-პაპათა და დავეცნეთ მტერს, იმათ სხვა მტერი აღარა უნდათ რა! მოურავი მიგვიძღვება წინ და ღმერთი მოგვიმართავს ხელს!

მ რ ა ვ ა ლ ნ ი — (აღტაცებით) ვინა?! ზურაბისა და მოურავისაგან გვესმის ეს?! გვითხარი ფიცით, ზურაბ, რომ შენგან და მოურავისაგან ჩვენ არა გვევნება რა, და მაშინ ჩვენ ვიცით. ჩვენ გვეშინოდა თქვენი ორისა და, თუ თქვენ ჩვენსკენ იქნებით, ვუჩვენებთ თათრებს, რაც შვილები არიან!..

ზ უ რ ა ბ — ვფიცავ ლომისის წმიდა გიორგის და ყოველთა ჩვენი მამა-პაპის სალოცავთა, რომ პირველი მოურავი და მე მიგიძღვებით მტერზედ შესამუსრავად. გვეყო ამდენი ქვეყნის გულხელდაკრეფილი ყურება... მოგვეცით მხარი, ქართველებო, რომ გავძღეთ ამდენი საცოდაობისათვის მტრის სისხლით.

ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ს ა რ დ ა ლ ი — (შემოდის დაღალული) საქართველოს დიდებულთ გაუმარჯოს! ზურაბ ერისთავს გაუმარჯოს! დიდებულნო, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ყველას ერთად ვხედავ ბატონ ზურაბ ერისთავთან. მე მოგიტანეთ ქათალიკოზისა და სხვა ეპისკოპოსთა წერილი. მოვიდა ეხლა ჩვენი დრო. უნდა საქართველომ ამოიღოს ხმალი ურჯულოთაზედ. ქათალიკოზნი და ეპისკოპოსნი გიგზავნიან ლოცვა-კურთხევას. აი იმათი წერილი (ამოიღებს ქაღალდს და კითხულობს). „ჩვენ, საქართველოს ქათალიკოზი და ეპისკოპოსნი გიგზავნით საქართველოს დიდებულთ და ყოველთა ქრისტესმმოსავთა ჩვენს ლოცვა-კურთხევას. გიხმობთ ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, აღიჭურვნეთ ყოვლითა თქვენის ძალითა, შესამუსრავად მტერთა ქრისტეს ჯვარისათა. გამხნევდით. იხმეთ ღმერთი შემწედ, მიჰყეთ ძლიერთა ქართველთა: მოურავსა და ზურაბს და შემუსრნეთ ჩვენთვის ჯვარცმულს მეფეს სულნი და გაგეღოს თქვენ კარი სასუფეველისანი. ლოცვა ჩვენი იყვეს თქვენდამი უკუნისამდე, ამინ!“

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამიიინ!... ამიინ!!... ჩვენს მოურავს გაუმარჯოს! ჩვენს ქათალიკოზს და ეპისკოპოსთ გაუმარჯოთ!!!.. გვიბრძანეთ, მიგვიძეხით, ბატონო! ერთი გავძლეთ მაგ ურჯულოთ სისხლით. გვეყო ამდენი სირცხვილი და ცოლისა და შვილების გლოვა.

თ ე იმ უ რ ა ზ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — მაშ ეგ არის, მოურავი ჩვენთან არის, რაღა?

ზ უ რ ა ბ — ის არის ყველაფრის მოთავე, და შუაღამის დროს ჩაგველის იქ. მინამ ჩვენ ჩავერეოდეთ, — დახოცილნი დაგვხვდებიან ყველა თათრის სარდლები.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამაღამვე, ამაღამვე ვიბანოთ ჩვენი ამაოხრებლის სისხლში.

ი ა ს ე ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი — დედა შეერთოს ცოლად, ვინც გაუმარჯვებელი ცოცხალი გამობრუნდეს იქიდან.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ! ამიიინ!..

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — ეხლაა, ქართველებო, ჩვენი ჯავრის ამოყრის დრო. ამაზედ მარჯვე დროს ჩვენ ვეღარ ვიპოვნით, აბა ქართველებო, ეხლა უნდა გამოვიჩინოთ თავი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ეხლავ! ეხლავ მიგვიძეხით!

ზ უ რ ა ბ — ეხლავე გავემგზავროთ და მინამ გავემზადებით და ჩავალთ, შუაღამე კიდეც გადავა. დრომ დაჰკრა, უნდა საქართველო განთავისუფლდეს ურჯულოთაგან... (იძრობს ხმალს და მიდის). საქართველოს გაუმარჯოს!!.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ბატონ მოურავს გაუმარჯოს!! ბატონ ერისთავს გაუმარჯოს! (იძრობენ ხმლებს, ატრიალებენ ჰაერში და მისდევენ ზურაბს) ვიბანოთ თათრების სისხლში... გავძლეთ თათრების სისხლით... საქართველოს გაუმარჯოს!!!... (სცენიდან გადიან და სცენის გარეთ კიდევ დიდხანს ისმის ყიჟინი).

ს ც ე ნ ა VI

სცენა სწარმოებს ყორჩი-ხანის კარავსა და იმის გარშემო ჯარების კარავთან. შუაღამე გადასულია. ძალიან შორს ისმის ბუკისა და ნაღარის ხმა. სცენაზედ შემოდიან შემკრთალი სახით თათრების რამდენიმე სულთანი და ხანები. და მიდიან ყორჩი-ხანის კარავთან

უ ს უ ფ-ხ ა ნ — (ყარაულებს) ჩქარა გააღვიძეთ ყორჩი-ხანი.

1-ლ ი ხ ა ნ ი — ყორჩი-ხან! ჩქარა გამოიღვიძე, გამოდი გარეთ, ჩვენს თავს რაღაცა აშავია.

1-ლ ი ს უ ლ თ ა ნ ი — (ყარაულს) ჩქარა გამოაღვიძეთ, ხომ გესმით ეს ბუკისა და ნაღარის ხმა. (ყარაული შედის კარავში).

მე-2 ხ ა ნ ი — ეს უთუოდ თეიმურაზ მეფე მოდის რუსისა და იმერლის ჯარით. ხმა დადიოდა ჯარებში ამათზედ და ჩვენ კი არ ვუჯერებდით.

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — (გამოდის კარავიდან და თან გამოსდევს თავისი შვილი, ვერდიბეგ) რას გაუსჯიხართ ამ დროს? უბედურება ხომ არა მოგვდგომია რა?

უ ს უ ფ-ხ ა ნ — თუ არ მოგვდგომია — ეხლა გვადგება. აგერ დაუგდე ყური, რა ბუკისა და ნაღარის ხმა მოდის, თითქო უთვალავი ჯარი მოდიოდესო.

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — მართლა! ეს რა ამბავია?

მე-2 ხ ა ნ ი — ხმები დადიოდა, რომ თეიმურაზი მოდის რუსისა და იმერლის ჯარებითაო და ვინ იცის, მართლა ისინი იყვნენ. მაშინ რა უნდა ვქნათ?!

ვ ე რ დ ი ბ ე გ — მეც გავიგონე, რომ მოდიანო, — ეგ უფრო კარგი, ეგება ერთი რიგიანი ბრძოლა ვნახოთ, თორემ ლამის ისე დავბრუნდეთ, რომ ომი არ გამოვცადოთ.

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — ეს საომარი საკრავების ხმა თანდათან ახლოს ისმის და ჩვენ კი სრულებით მზად არა ვართ. თუ მართლა თეიმურაზი არის ჯარებით — მაშინ ჩვენი საქმე ძნელია. თუ სააკაძემ არ გვიშველა. ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ გურჯისტანს მოეშველა ვინმე და პირი მოსცეს. თქვენ არ იცით, რა ხალხია ეს ხალხი, თუ ხელი გამოიღო. ხომ ჰნახეთ ინდოეთსა და ბაღდადში რომ მოურავთან ქართველები იყვნენ. დაუძახეთ ჩქარა მოურავს... აგერ იმის კარავშიაც სანთლები ანთია: უთუოდ იმანაც გაიგონა ეს ხმები. (ყარაულები მირბიან მოურავის დასაძახებლად).

მ ე-3 ხ ა ნ ი — დავკრათ დაფდაფსა და ავშალოთ ჯარები, თორემ ისინი ლამის შიგ ჯარებში შემოგვერივნენ.

ვ ე რ დ ი ბ ე გ — დავკრათ, ავშალოთ. ერთი ვიბრძოლოთ რიგიანად. მე ან უნდა მოვკვდე და ან თეიმურაზ მეფის თავი მივართვა ყეენს.

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — აბა ჩქარა აშალეთ ჯარები. (რამდენიმე ამათგანი მიდიან).

მ ე-3 ს უ ლ თ ა ნ ი — აგერ მოდის მოურავიც.

ყ ო რ ჩ ი-ხ ა ნ — ღმერთიც უშველის. თუ გვიშველის ჩვენ ეხლა — ეგა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (შემოდის, თან შემოსდევს თავისი შვილი ზურაბი, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე და ვაშაყაშვილი). რა ამბავია, დი-

დებულნო, რომ ესე ადრე აშლილხართ და მეც დაგიბარებივართ?

ყორჩი-ხან — გიორგი! გესმის ეგ ბუკისა და ჯარების ხმა? უთუოდ ერთი რამ უბედურება არის ჩვენს თავს. შენ უნდა გვიშველო. ამბობენ თეიმურაზი არისო რუსისა და იმერლის ჯარებით.

დიდი მოურავი — ისმოდა კი, რომ თეიმურაზი მოდისო და მე არა მჯეროდა. მაგრამ საკვირველი არ არის: თეიმურაზ ისეთი კაცია, რომ არ მოისვენებს თავის დღეში... ძალიან ახლო კი ისმის ეს საომარი საკრავები.

მე-3 სულთანი — აგერ, მგონი კიდეც შემოერივნენ ჯარებს. (ისმის ყიჟინა, აგრეთვე ისმის სპარსელების ჯარების ასაშლელი საკრავების ხმა და არეულობა).

ყორჩი-ხან — მაშ ეხლა რა უნდა ვქნათ?

დიდი მოურავი — (გაიწვდის უცებ შუბს. დაუსობს გულში და დასცემს ყიჟინას) აი რა უნდა ვქნათ... ხმალი ამათ!!. (ყორჩი-ხან დაეცემა მკვდარი. მოურავი გაისვამს ხმალს ხელს, შემოჰკრავს უსუფხანს და დასცემს). მოვიდა თქვენი გამუსვრის დღე! (ერთი თვალის დახამხამებაზედ შემოჰკრავს კიდევ ხმალს ერთს ხანს და დასცემს).

მოურავის შვილი და მხლებლები — (იძრობენ ხმლებსა და დასცემენ ყიჟინას). გავმუსროთ ეს ურჯულოები!

ვერდიბეგ — (იშიშვლებს ხმალს და მიჰვარდება მოურავს). აჰ! გიაურ! არც შენ დარჩები ცოცხალი.

მოურავის შვილი — (დაასწრებს ვერდიბეგს) სად წახვალ, სადა!.. (შემოჰკრავს ხმალს და დასცემს). თუ მამაჩემმა მამაშენი მოჰკლა, შენ მე მამაჩემს მოგაკვლევინებ?! (მოურავი, იმისი შვილი და მხლებლები ჰხოცავენ სხვა სულთნებსა და ხანებს, დასცემენ ყიჟინას და შეუტევენ ყარაულთა და სხვათ ამალათაგანს. ისინი ზარდაცემულნი ზოგნი გარბიან და ზოგნი ცვივიან კარავში დასამალავად. ამ დროს არევით შემოდიან სხვა თათრები სცენაზედ).

დიდი მოურავი — მომყევით, ბიჭო, აქ!.. (გადაერევა შუაგულს ჯარებში და ყველანი გადასდევენ თან) დაჰხოცეთ თხებივით ეს ურჯულოები! (თათრები არევით გარბიან. ესენი გასდევენ თან და ჰკლეტენ თათრებს).

(სცენის გარეთ, მეორე მხრივ ისმის საშინელი არეულობა და ყიჟინა. სცენაზედ შემორბიან არეული თათრის ჯარები, ერთი ერთმანეთზედ ელალებიან: აქცევენ ერთმანეთს, ზედ გადადიან და გარბიან. სცენაზედ თანდათან შემოდიან თათრები დაჭრილნი და სისხლში მოსვრილნი. ზოგნი ჭრილობისაგან იქ ეცემიან. ბოლოს შემოდიან თათრები ბრძოლით და თან მორბიან, ამათ შემოსდევთ თან ზურაბ ერისთავი ქართველი ჯარებით, ყიჟინითა და ცხარე ბრძოლით)



ქართველებს გაუმარჯოს,.., მუსრი ამ ურჯულოთა...

ზ უ რ ა ბ — (ხმალამოღებული მოაპობს თათრებს) გამუსრეთ, გამუსრეთ ურჯულოები! (ქართველები სცემენ ყიჟინას და ძიელალებიან. ძეორე მხრიდან შემოდის ახალი თათრის ჯარი და ყიჟინით ჩაერევიან ქართველობაში. ზურაბი და ქართველობა შეუტევენ ამათ და შეჩერდება ბრძოლა. თათრების ჯარებს ემატება).

ქ ა რ თ ვ ე ლ ჯ ა რ ე ბ შ ი — (ისმის) მოურავი, მოურავი!.. ჩვენ ბატონ გიორგი მოურავს გაუმარჯოს?!.. ბატონს მოურავს გაუმარჯოს!..

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (მოაპობს თათრებსა და შემოდის სცენაზედ თავისი მხლებლებით ხმალამოღებული). ქართველებს გაუმარჯოს!.. ეხლა ჩვენ ერთათა ვართ. ქართველებო!.. მუსრი ამ ურჯულოთა!.. მომყევით აქ!.. როგორ თუ გვიბედავენ გამაგრებას. (შეუტევს თათრებს, ქართველები მიჰყვებიან თან).

(თათრები აირევიან და შიშისზარდაცემულნი გარბიან. ისმის თათრებში: „მოურავ! მოურავ!“ ეს ძახილი თანდათან გაცხოველდება თათრებში. ისინი თან ამას იძახიან და თან ჰყრიან იარაღს და არევით გარბიან. ქართველები ჰყლეტენ და გასდევენ თან ყიჟინით. სცენის გარეთ კიდევ დიდხანს ისმის ყიჟინის და ბრძოლის ხმა).

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — (შემოდის დაღალული, თან შემოსდევს დასტა ქართველობა და შემოჰყვება დაჭრილები) არიქა, ბიჭებო, უშველეთ დაჭრილებს, წაიყვანეთ და სულ ამ ურჯულოების კარვებში დააწვინეთ: კარვები, ღვთის მადლით, ბევრი დარჩა. აბა საამ შემოჰკარ ჭუსლი და აცნობე შესვენებულ ჯარებს, რომ მოვიდნენ და მიჰყვნენ გაქცეულებს, თორემ ნაომარ ჯარებს აღარ შეუძლიათ: ძალიან დაიღალნენ. ჩქარა. (საამ კობიაშვილი გარბის).

ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — (შემოჰყავთ დაჭრილი. თან შემოსდევს რამდენიმე დაღალული, მთლად სისხლში მოსვრილი თავადობა). აი, შენი ჭირიმე, ზურაბ! აბა ბიჭობა მაგასა ჰქვიან, რაც დღეს შენ ჩაიდინე, აი!.. ეს ოხერი, რა უდროო დროს დამჭრეს. მაგრამ, ღვთით, არა მიჭირს რა, ისე ჭრილობამ არ დამასუსტა. როგორც დაღალვამ. ხმალიც გამიტყდა, შუბიც... ძალიან ქათლანი კი მოუვიდათ თათრებს, მგონი თავის დღეში არ მოელოდნენ ამ ამბებს... სადაც არ შეჰხედო. სულ ხროვა აყენია თათრების მკვდრებისა... რაკი მოურავის სახელს გაიგონებენ, როგორც თხები, ისე გარბიან.

ი ა ს ე ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი. (შემოდის და შემოსდევენ ჯარები. ყველანი დაღალულნი იქვე დაეშვებიან). ჰაი შენი ჭირიმე! ნახეთ მოურავის უნარები?! პა, პა, პა! რაც ჩარეულა ბრძოლაში, მინამ სუყველგან არ შესძრა და არ არია თათრები, ერთს წუთას არ შეუფერხნია. ახალ გაქცეულებს ახალი დასვენებული ჯარი

მიუსია და იმათაც ისე მიუძღვის, თითქო ჯერ ეხლა შევიდა ბრძოლაშიო.

(შემოდის ედიშერ ჩოლოყაშვილი. თეიმურაზ მუხრან-ბატონი და სხვა მრავალი თავადაზნაურობა და ჯარები).

ედიშერ ჩოლოყაშვილი — შენმა მზემ, ძალიან დავიღალე, მაგრამ გული კი ვისრულეთ. აგრე წამხდარი და შეშინებული ხალხი კი ჯერ•არ მინახავს... მოგეცა ღვთის წყალობა, რაც ჯავრი გვჭირდა — ჩვენ ვიყარეთ... მაგრამ, ჯერ სად არის!.. პატარა შევისვენოთ. ერთი არ უნდა გავუშვათ ცოცხალი, რომ მოამბეც აღარ მიუვიდეს ამძვინვარებულს აბაზს. ჰეეი! მოურავი რა ყოფილა... ცეცხლი ყოფილა სწორედ. აბა ბიჭიც ეგ არის და ვაჟკაცობაც მაგან უნდა დაიკვეხოს... მაგრამ, ღვთის წინაშე, ზურაბ, რომ შენც კი გეთქმის ბიჭობა... შენ რომ მოურავის გამოცდილება და ჯანი მოგცა, — ერთი სიტყვით უკეთესი არ უნდა, რომ შენა ყოფილხარ.

თეიმურაზ მუხრან-ბატონი — დღეს გამარჯვება — მაგორისაა... საქართველომ თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს მაგათი სამსახური... აგერ, მოურავიც მოდის. ჩვენს ბატონს, გიორგი მოურავს გაუმარჯოს!!!... (ისვრის მაღლა ქუდს).

ყველანი — (წამოდგებიან ფეხზედ, ისვრიან მაღლა ქუდებს და ჰყვირიან). ბატონ გიორგი მოურავს გაუმარჯოს!! გაუმარჯოს!!!

დიდი მოურავი — საქრისტიანოს გაუმარჯოს! საქართველოს გაუმარჯოს!!!

ყველანი — გაუმარჯოს! გაუმარჯოს!!!

დიდი მოურავი — მოგვილოცავს გამარჯვება... ყველა კუთხიდამ შიშისაგან ზარდაცემული თათრები აიშალნენ და გარბიან. ისინი იხოცებიან და ჩვენ ჯარებს კი თანდათან ემატება. საიდანაც არ მოველოდით, იქიდანაც კი გვეშველებიან ჯარები!! გავმხნევდეთ ქართველნო, და ღმერთია ჩვენი შემწე... ან სიკვდილი და ან სულ მთლად განთავისუფლება ურჯულოთაგან, — ეს არის დღეს ჩვენი გადაწყვეტილება... ვინც ქვეყნისთვის თავი გასწიროს — გაუმარჯოს!!.

ყველანი — საქართველოს ღმერთმა გაუმარჯოს!.. მოურავს გაუმარჯოს!!. ზურაბ ერისთავს გაუმარჯოს!.. ვინც ქვეყანას თავი შესწიროს — გაუმარჯოს!!

დიდი მოურავი — ბატონებო! ამ სიხარულთან უნდა წარმოვსთქვათ ჩვენი ძმობაც. ქართლი და კახეთი ღმერთს არ გაუყვია. სუყველანი ქართველნი ვართ, ამას იქით ქართლი და კახეთი

ერთად უნდა იყვეს და არა ცალ-ცალკე. ამის გამო მეფეც ერთი უნდა ვიყოლიოთ საუკუნოდ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ქართლსა და კახეთს გაუმარჯოს!!

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — მეფე თეიმურაზს, ქართლ-კახეთის ბატონს გაუმარჯოს!!

ქ ა რ თ ლ ე ლ ნ ი — ქართლ-კახეთის ბატონს, მეფე თეიმურაზს გაუმარჯოს!..

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — ორი სამეფოს ბატონს, თეიმურაზს გაუმარჯოს!!.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაუმარჯოს!!! (ისვრიან მაღლა ქუდებს და ჰკოცნიან ერთმანეთს).

(ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეოთხე

სცენა I

სცენა სწარმოებს ტაბახმელას, სადაც დგას თეიმურაზ I ქართლ-კახეთის ჯარით. თეიმურაზისას არიან შეყრილნი ზოგიერთნი თავადნი.

მეფე თეიმურაზ — რა იქნენ სხვები, სად არიან? დრო არის, რომ ეხლა ომის საქმე გადავწყვიტოთ. ამოდენა აურაცხველი ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომია, და თუ დროთი არა ვარჩიეთრა და ვიძლიეთ, მაშინ საქართველოსთანა უბედური ქვეყანა დედა-მიწის ზურგზედაც აღარ იქნება. ამძვინვებული თათრები ყორჩი-ხანისა და ფეიქარ-ხანის ჯავრს ცუდად იყრიან საქართველოზედ.

ნოდარ ჯორჯაძე — ყველანი მალე მოვლენ. მაგრამ მინამ ყველანი შეიკრიბებოდნენ, საჭიროა ეხლავე გადავწყვიტოთ აქ მყოფთა, რომ მეფის გარდა არავის არ ჩაჰბარდეს მთლად ჯარების გამგეობა ომის დროს. არიან ჩვენში დღეს ბევრნი, რომელთაც ჰსურთ, რომ სხვა სარდლებს ჩაჰბარდეს ჯარის გამგეობა; მაგრამ მე მომეტებულის ნაწილის აზრს მოგახსენებთ, რომ მეფე უნდა იყოს გამგე სრულიად ომისა.

ზურაბ ერისთავი — ვითომც ზოგი ამბობენ, რომ რაკი მოურავს სახელი აქვს, იმას ჩაჰბარდეს ომის გამგეობაო, მაგრამ, ვაითუ თავი არ დაუდონ ზოგიერთა დიდებულთ.

მელიქ-ათაბაგი — ნეტა რა ვქნა! რა გაგვიხდა ეს მოურავი, რომ იმის ბადალი აღარც მეფეა საქართველოში და აღარც დიდებულნი! ვაჟო, ვინ არის იმაზედ ნაკლები ვაჟკაცი. პირში ქებით არ გეტყვი, ზურაბ, და შენ რა იმაზედ ნაკლები ხარ?!. ვინც შენ გიცნობს, ყველა იმას გეტყვის, რომ ვაჟკაცად თუ უკეთესი არა, ნაკლები არა ხარ იმაზედ, — და გვარიშვილობა შენი კიდევ მეტია.

ბაადურ ციციშვილი — ვაჟკაცად მრავალნი ვართ განთქმულნი და ქვეყნისათვის თავდადებულნიცა, აი, თუნდა ბა-

ტონი ბარათა, დღეს ჩვენში უკეთესი სარდალი არ არის: სახელიც დიდი აქვს და ძალაც. რასაკვირველია, ბატონი ჩვენი მეფე თეიმურაზ, თავისის ვაჟკაცობით ყოველგნით განთქმული და ომის გამგეობაც მაგათი უპრიანია. მაგრამ, ბატონებო, ნუ დავივიწყებთ, რა დღეც არის ჩვენთვის ეს დღე. ჩვენი თვითეული საქმე ასჯერ უნდა იყვეს აწონილი და მერმე დაწყობილი. წეღან ბატონმა მეფემაც ბრძანა, რომ ამოდენა ჯარი ჯერ საქართველოს არ მოსდგომიაო; და თუ ეხლა საქართველო დამარცხდა, ქვას ქვაზედ აღარ გაუშვებენ თათრები. პირფერობა, თავმოყვარეობა, დიდობა და პატარაობა, გვარიშვილობა და უგვარობა უნდა გადავდოთ. ეხლა ერთი უნდა გვქონდეს ფიქრად, რომ დამარცხდეს მტერი. ამოდენა მტერის დამარცხება ჩვენში არავის შეუძლიან, მოურავის მეტს. მე არა ვარ მეგობარი და არც მოყვარე მოურავისა, მაგრამ დღეს. ვალი მაწევს, რომ სწორეთა ვსთქვა: ეხლა ბედი და უბედობა საქართველოსი ჩვენზედ არის დამოკიდებული. იქნება მოურავზედ ნაკლები ვაჟკაცნი არ იყვნენ აქ, მაგრამ, უნდა გავტყდეთ, რომ მოურავის ოდენა საქმე ჩვენში არავის უქნია. იმისი სახელი არა თუ მარტო საქართველოში და სპარსეთში,— ინდოეთში, საოსმალოში და თვით ხონთქრის კარამდინ არის მისული. ვინ არის ეხლა ჩვენში იმისთანა, რომ ქართველი მდაბიო გული მინდობოდეს და ერთის თავის სახელით ერთიორად მიუმატოს გული და ძალა? ვინ არის ისეთი რომ ერთის თვისის დანახვებით მოურავივით შიშისზარს დასცემდეს მტერს? ამის გამო — იმედი მაქვს მეფე არ მიწყენს, რადგან საქვეყნო საქმეა, — მე ვფიქრობ, რომ ომის გამგეობა უნდა მივცეთ მოურავს, თუ გვინდა, რომ ქვეყანა არ დაიღუპოს.

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — ეხლა რომ მეფეს დარჩება გამარჯვება, მაგაზედ იჭვი არ არის. კვლავ უფრო ცოტა ჯარებით გაგვიმარჯვნია, და ეხლა მთელი ქართლი და კახეთი ერთად ვართ შეყრილნი და როგორ შეუძლიანთ თათრებს, რომ გაგვიძლონ. ყორჩი-ხანის ომში პირველად სულ არ ვიყავით ექვსასი კაცი და ბოლოს ორი ათასი მეტი არ შეგვგროვებია, მაგრამ ქვა ქვაზედაც აღარ გავუშვით და სხვა დროსაც ესეცე ამბავი დაგვიყენებია თათრებისათვის. ეს არის მიზეზი, რომ არ გვინდა, რომ მოურავს ჩაჰბარდეს ეხლა ჯარების გამგეობა. თორემ, თუ ეხლა მოურავს დარჩა გამარჯვება, მაშინ იმის ბატონობას უფრო ვეღარავინ აუვა. თავად ეხლაც ისე-

თი აზვავებულია, რომ მთელს საქართველოს, როგორც უნდა ისე აბრუნებს.

მ ე ლ ი ქ ი — აბა, მეც მანდა ვარ. მადლობა ღმერთს, რომ კახელებსაც კი შეგინიშნავთ ეგ. აბა კახელები რომ მაგას ამბობთ, ჩვენ, ქართლელებმა, რა უნდა ვთქვათ!? თქვენმა მზემ, ისე აზვავებულია და ისე არად გვაგდებს, როგორც ერთს ვისმე უკანასკნელს. არათუ სხვანი, თვით მრავალი ჩემი სახლისკაცები და ბარათაანიც ისე უყურებენ მაგას, როგორც მეფეს. ეხლა რომ მაგაებს სჩადის, ღმერთმა ნუ ქნას და ეს გამარჯვებაც მაგას დარჩეს, მაშინ, თქვენმა მზემ, იქნება თვით ჩემმავე ძმებმა მიუტანონ და დაადგან სააკაძეს საქართველოს მეფის გვირგვინი.

შ ა დ ი მ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — ბატონო, ამოდენა ჯარების დაწყობა და ქვეყნის ცოდო, რომ მაგას მოვახვიოთ, რა ვიცით, რომ არ აიღებს თავისის ხელით და არ მიგვცემს ურჯულოებს ხელში. მე შენ მოგახსენო დაჩვეული არ არის. ყეენი დაჰპირდებოდა რასმე წყალობას, და ეხლა ადგება და ყეენს მიუდგება. ჯარების გამგე ამისთანა გაჭირვების დღეს უნდა იყოს სანდო კაცი. მითხარით, როგორ მივენდვეთ მაგისთანა გოროზს კაცს, რომელიც დღეს ჩვენია, ხვალ თქვენი, თავისი და სხვისა არ გააჩნია, დიდსა და პატარას ერთს ტომარაში სტენს. კაცი რომ მეფეებს არაფრად აგდებს — ვინ უნდა მიენდოს იმისთანა კაცს.

ბ ა ა დ უ რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — შადიმან! მე დიდი პატივის მცემელი გახლავარ თქვენი, მაგრამ სწორედ თქმა მიყვარს. სხვამ რაც უნდა სთქვას მოურავზედ, — შენ ხმა არ ამოგეღება და არც არა დაგეჯერება რა.

შ ა დ ი მ ა ნ — მე ხომ მარტო არ მოგახსენებთ. აი ამოდენა საპატიო და დიდებულნი სულ მაგას ჩივიან.

დ ა ვ ი თ ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — მოურავს ეკუთვნის ჯარების გამგეობა; მაგრამ იმას ბევრნი თავს არ დაუდებენ. ცხადად ვიცი, რომ ბევრნი თაკილობენ მაგის უფროსობას. თქვენ რასა ბრძანებთ, ზურაბ ერისთავო?

ზ უ რ ა ბ — მე რა უნდა მოგახსენოთ, მეფე ბრძანდება ჩემი სიმამრი და მოურავი — სიძე. მეფე არის — მეფე და ჩემი ბატონი, მოურავი — გამზრდელი. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, გამგეობა ამისთანა დღეს მეფეს ეკუთვნის... ვაითუ მართლა რომ მოურავს დარჩეს გამარჯვება, უფრო თავი აიწიოს და საქართველოში არეულობა მოხდეს. თუ აქამდის მოურავის ოდნობას

ვერავინ სჩადიოდა, იმიტომ, რომ არავის აცლიდა, და არც არავის ჰქონია იმისთანა დრო.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — სწორედ რომ მოურავს არ უნდა დარჩეს ეს გამარჯვება. მაშინ, უნდა გითხრათ, რომ მე მეფობა აღარ შემიძლიან. არავისი აზრი არ მოსწონს, სუყველას თითონ კისრულობს. თუნდა რომ არ გინდოდეს იმისი სიტყვის დაჯერება, ძალათი დაგაჯერებს. უნდა გაგიტყდეთ, ამოდენა ქართლ-კახეთის საპატიო კაცის შვილთა და დიდებულთ, რომ თვით მეც არაფრად მაგდებს, და რაც იმისი სურვილია, სულის უნდა რომ შევასრულო. ამასთან, ის კაცი, რომელმაც თავისი სიძე და მეფე არ დაინდო, მე სანდოდ არ მიმაჩნია. მეფის ლუარსაბის სისხლი არ ასვენებს მაგას.

შ ა დ ი მ ა ნ — ჭეშმარიტად, რომ მეფის გარდა ჯარების გამგეობა არავის ეკუთვნის; ვაჟკაცადაც მეფე სჯობია მოურავს და გამგეობაც უკეთ უწყის, ქვეყანასაც უფრო მაგაზედ აქვს გული, და გამარჯვებაც მეფისა უნდა იყვეს და არა მონისა. მეფის ლუარსაბის სისხლის დამღვრელი ვიღას დაინდობს, თქვენი ჭირიმეთ... ვაი, უმანკო სისხლო მეფისავ... (ოხრავს და თვალებს იწმენდს).

ხ ო ს ი ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — ბატონო! ჯერ ერთი უნდა ნახოთ სულ რა კაცები ჰყავს მაგას გამორჩეული, ერთი რიგიანი ოჯახიდან არავინ არის: პაპუნა ჩივაძეო, პაპუნა ვაშაყაშვილიო, გიორგი ქავთარაძეო, თამაზ ქარსიძეო, ელია დიასამიძეო და სულ ამისთანა მინაყარ-მონაყარნი. ეგ საქართველოს საპატიო კაცისათვის კარგს რათ მოინდომებს.

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — მეფემ უნდა განაგოს ჯარები, სხვას არავის არ შეუძლიან.

მ რ ა ვ ა ლ ნ ი — მეფემ! მეფემ!..

ბ ა რ ა თ ა — აგერ მოურავიც მოდის. აბა ნახეთ ეხლა რჩევა როგ შეგვექმნება — ის რაებს იტყვის. თავის დღეში ნუ იფიქრებთ, რომ ერთხელ ისა სთქვას, რასაც სხვები ამბობენ, და იმნაირად კი დაიწყებს ლაპარაკს, რომ თითქო ამის მეტს სხვას არავის რა ეყურებოდეს.

(შემოდიან მოურავი, მანუჩარ ათაბაგი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ჭაბუხოსრო მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სხვა მრავალი საპატიო კაცის შვილნი).

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ ი — (მოეგებება ათაბაგს და მოურავს) მობრძანდი, ბატონო ათაბაგო! მობრძანდი, ჩემო ძვირფასო გიორგი!..

მობრძანდით დიდებულნო. აი ეს არის ეხლა თქვენს ხსენებაში ვიყავით. ჩვენ გვქონდა ლაპარაკი ომის დაწყობილობაზედ. დიდებულთ ისურვეს, რომ ომის დამწყობი მე ვიყვე და მეც ვიკისრე.

ი ა ს ე ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი — ჩვენ ამ რჩევაში რომ...

მ რ ა ვ ა ლ ნ ი — (გააწყვეტინებენ) სსსუ! სსს!

ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — ჩვენც საპატი...

მ რ ა ვ ა ლ ნ ი — სსს!.. რა დროსია... რა დროსია!..

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ეხლა ჩვენ ყველამ უნდა ვარჩიოთ, თუ როგორ უნდა დავაწყოთ: იქ მივიდეთ, თუ აქ მოვუცადოთ. მე ვგონებ, რომ იქ მისვლა უნდა სპობდეს. იქ რომ მიუხდეთ, თათრები ვერ არიან კარგი გულისა და უფრო შეშინდებიან. ჩემი აზრი ეგ გახლავთ და თუ უკეთესს ვინმე იტყვის, მეც დავყაბულდები.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — რასაკვირველია, მეფეო, ამოდენა ჯარების გამგეობა უფრო არავის ეკუთვნის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამოდენა ჯარი, თითქმის არაოდეს არ დასხმია საქართველოს, და აქ არიან საუკეთესო სპარსთა სარდლები: ხოსრო, მირზა ისაკ-ხანი, ერევნის ბეგლარ-ბეგი და სხვანი.

ბ ა რ ა თ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — დიახ, ბატონო მოურავო, ეგ ყველაფერი მოისაზრა მეფემ და ჩვენი ყველას თხოვნით იკისრა ჯარების გამგეობა ომის დროს. ამაზედ ლაპარაკი ეხლა აღარ გამოდგება, ეხლა ის უნდა დავაწყოთ, სად მოხდეს ომი: ჩავუხტეთ ალგეთზედ, თუ აქ მოვუცადოთ. ჩემის აზრით აქ მოცდა არ იქნება იმიტომ რომ, რაკი ისინი შეიტყობენ, რომ აქ ამოდენა ქართველობა ვართ შეყრილნი, ჩვენზედ მოსვლას თავის დღეში ვერ გაჰბედავენ, და იქ დგომას არას ინაღვლიან, რადგან საგზალი ბლომადა აქვთ... ამისთვის მე ვფიქრობ, რომ იქ უნდა ჩავუხტეთ.

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — სწორედ რომ იქ უნდა ჩავუხტეთ. ისეც დიდი ხანია აქა ვდგევართ უომრად. კახელები მოუთმენლად თხოულობენ ომს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ბატონებო, თუ ჩემს აზრს მოიხსენებთ, მე მოგახსენებთ, იქ ჩასვლით დავიღუპებით. მართალია, ასე ერთად შეყრილი საქართველოს ხალხი დიდი ხანია არა ყოფილა, მაგრამ როგორც წეღანაც ვსთქვი, ამოდენა ჯარიც, მერე ასეთის კარგის სარდლობით, დიდი ხანია საქართველოს არ მოსდგომია: ჩვენი ჯარი იმათთან ისე არაფერი გამოჩნდება, როგორც ერთი კაცი ას კაცთან. ამას გარდა, ჩვენ აქ გვი-

ჭირავს კარგი მაგარი ადგილები. ასე რომ ამაზედ ცოტანიც რომ ვიყვეთ — ფიქრი არა გვაქვს. იქ კი თათრებს უჭირავთ მაგარი ადგილები, და თუ იქ ჩაუხტით, ისე ჯარებით არ გაგვიჭირებენ საქმეს, როგორც სიმაგრეებით. მეორეც ესა, სადაც თათრები დგანან, არის საშინელი ფიცხი ადგილები. ჩვენი ჯარი, თითქმის ნახევარი სულ მთის ხალხია და სიცხეს არ არიან დაჩვეულნი. იქ რომ ჩავუხტეთ, რაც უნდა გულადად მივიდეთ, თუ პატარა ხანს გაგვიმაგრდნენ, იმ სიცხეში არა თუ ჩვენი მთის ხალხი, და თვით ვაკელებიც ვერ შესძლებენ ომს. თათრებს კი, არა თუ მაგისთანა სიცხეს, და მაგაზედ უარეს სიცხეშიაც არა უჭირთ რა, რადგან თითონ ფიცხი ადგილისა და ცხელი ქვეყნის შვილები არიან. აი, ბატონებო, ამისათვის მოგახსენებთ, რომ იქ ჩასვლით დავიღუპებით-მეთქი. თუ გვინდა გამარჯვება და ქვეყნის აოხრებიდან გადარჩენა — ჩვენ აქედან არ უნდა დავიძრათ.

ზ უ რ ა ბ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი — ეგ ყველაფერი, რაც მოურავმა ბრძანა, ჭკუაზედ ახლოა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ თათრებს ზღვათააუარებელი საგზალი მოსდით და, რაკი იციან, რომ ჩვენ აქ მაგარი ადგილები გვიჭირავს და ერთობ ქართველები ვართ შეყრილი, არას დროს ადგილიდან არ დაიძვრიან. ამისათვის იქ გვირჩევნია ჩახტომა.

ბ ა ა დ უ რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — თუ არ მოვლენ აქ, და მაშინ ჩვენც აქ ვიდგეთ, მინამ აგრილდებოდეს. თუკი ეგენი სხვის ქვეყანაში თავს შეინახავენ, დავიჯერო, ჩვენ, ჩვენს ქვეყანაში თავს ვერ შევინახავთ! რაკი აგრილდება, მაშინ, როგორც იქნება, შევძლებთ იქ ბრძოლას. მინამდინ ჩვენ წვრილის თარეშებით ვაწუხოთ ისინი, ვტაცოთ საგზალი, შევუკრათ გზები, წყლები და ამითი კიდეც შევასუსტებთ, ან არა და მეტი ღონე არ ექნებათ, რომ აქ არ მოვიდნენ. იქ მისვლა კი იმ სიცხეში ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

ბ ა რ ა თ ა — ვისაც საღვთო უნდოდა, ცხვარს იძახდა, ვისაც გაძღომა — კამეჩსაო. ვაჟო! თუ ომია — ვიომოთ, თუ არა და ამოდენა ხალხს ოხრად უყრიათ ცოლ-შვილი — რაზედ ვაცდენთ თავის სახლ-კარს! მე მომიხსენებია, რომ თუ ეხლა ომი არ მოხდა, აღარც ერთი ბარათაშვილი არ დადგება აქ თავის ყმით და ყველანი წავლენ შინ თავის ცოლ-შვილის მისაპატრონებლად... თუ სიცხის ფიქრი გვაქვს, რა უგუნურები უნდა ვიყვნეთ, რომ სიცხეში შევებათ. მინამდინ დაცხება, მინამდინ გაქცეულები უნდა გვყავდნენ.

დიდი მოურავი — მე მაინც კიდევ მოგახსენებთ, რომ იქ ჩახტომა არ გვიჯობს. მარტო ვაჟკაცობა და ომის სურვილი არას გახდება. ამისთანა დროში ოსტატობა და მოთმინება არის პირველი გამმარჯვებელი. უწინ თუ გაუმარჯვნიათ ქართველებს მცირეთი მრავალზედ, იმიტომ, რომ სიმარჯვე ჰქონიათ. ეხლა კი ჩვენ იქ ჩახტომით არაფერი სიმარჯვე არა მიგვიძღვის რა.

მეფე — თქვენ რაღას ბრძანებ, ბედნიერო სტუმარო ბატონო მანუჩარ?

მანუჩარ ათაბაგი — მე ყოველთვის ისე გახლავარ ჩემის მესხებით ომს ჩვეული, რომ რაწამს ჯარს შევყრი, მაშინვე შევებრძვი მტერს: ჯარი თუ დიდხანს უომრად დგას — გული უხდება. თუ სხვა არა გაბრკოლებთ რა, დგომას ომი სჯობია.

მეფე — თითქმის ყველანი ომის მსურველნი არიან, მაშ, ბატონო, შუა ღამემდინ უნდა ავშალოთ ჯარები, რომ გათენებამდინ გაქცეულებიცა გვყვანდნენ თათრები. (ყველანი აიშლებიან და გადიან).

სცენა II

სცენა სწარმოებს მარაბდის მინდვრებზედ, სცენაზედ შემოდიან ორმოცამდინ ქართველები, სისხლში მოსვრილნი და ქანცმოწყვეტილები. ისინი უქლერად ეყრებიან წყლის პირას, და წყალში ჰყოფენ თავს. ზოგნი ზედ ისხამენ წყალს, ზოგნი კი ტანისამოსიანად ცვივიან წყალში.

1-ლი მხედარი — პა, პა, პა! დაგვხოცა ამ ოხერმა სიცხემ... გაიმუსრა, გაიმუსრა ამოდენა ქართველობა... სიცხისაგან როგორ თავბრუ ესხმოდათ და გულთ უღონდებოდათ... არაგველები! პა, პა, პა! ნახევარზედ მეტი სულ გაიმუსრა... ეხლა მარტო მოურავისა და ბარათას მეტი აღარავინ იბრძვის... თუ ისინი არა, აქამდის სულ ტაბახმელამდინ აგვრეკავდნენ.

მე-2 მხედარი — ვაჟო! ყათლანი მეტი იქნება: ცხრა ძმა ხერხეულიძენი ესე ერთ ადგილას დაიხოცნენ და ერთ ადგილასა ჰყრიან დახოცილები... სიცხემ დაგვღუპა, ძმავ, სიცხემ, თორემ, თავი არ მომიკვდება, ასე არ წავხდებოდით.

მე-3 მხედარი — სიცხემ, თავი არ მომიკვდება... ხუთჯერ ჩავიჩოქე სიცხისაგან... ცალკე მზის ლული, ცალკე ამოდენა ხალხი ერთად, ეხლა თოფ-ზარბაზნის კორიანტელი... ი ურჯულოები დაჩვეულნი არიან და არც კი ეტყობათ.

მე-4 მხედარი — რა შეეტყობა, ძმავ! ისინი ბევრნი იყვნენ: ერთი ხელობა რომ ერთი ჯარი იომებდა და გავაქცევდით, მე-

რე სხვა დასვენებულები ჩამოდიოდნენ. მოდი და შენ გაუძეღ ამოდენა ჯარს ამისთანა სიცხეში. ხომ ჰხედავ ქვეყანა იწვის ამისთანა სიცხით.

მე-5 მ ხ ე დ ა რ ი — დაიღუპა ეხლა ქვეყანა, თუ ბარათამ და მოურავმაც არა უშველეს რა. მთლად მთის ხალხი სულ გასწყდა... ბაადურ ციციშვილს ჯერ სამჯერ შესწუხებია გული... მოვა ჩაწვება წყალში და გადაერევა ისევ მტერში... ეხლა მარტო მოურავისა და ბარათას ჯარებიღა იბრძვიან... ქვეყანა იღუპება და მეფე დადის და დაჭრილებს სცემს ნუგეშს... რა დროს დაჭრილებია — დაწყობილება და გამხნევება უნდა ჯარებს!.. (შემოდის მრავალი ხალხი და შემოჰყავთ მოკლული თეიმურაზ მუხრან-ბატონი).

ქ ა ი ხ ო ს რ ო მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი — ჩაასვენეთ წყალში... იქნება მოსულიერდეს. (უშვებენ წყალში) ძმაო თეიმურაზ! შენი ჭირიმე! თეიმურაზ! მოიხედე... გაამხნევე შენი ქართველები... ამისთანა დროს როგორა მტყუნობ შენს საყვარელ ქვეყანას (შემოდიან სცენაზედ რამდენიმე თავადაზნაურნი და გლეხნი მთლად სისხლში მოსვრილნი. ამათ შემოჰყავთ მძიმედ დაჭრილი ზურაბ ერისთავი).

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა ხ ლ ა დ შ ე მ ო ს უ ლ ნ ი — უშველეთ თავს. სულ გაიმუსრა ქვეყანა... მთელი ქართველობა გარბის და ურჯულოები მოსდევენ უწყალოდ ჟლეტით.

(ყველანი აიშლებიან).

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — გამიშვით, აქ მოვკვდე... აქ დავიხოცნეთ ყველანი... დავიხოცნეთ — შინ მისვლას ის გვირჩევნია... რა პირით უნდა შევხედოთ ქვეყანას!.. დადექით, ძმებო, და დავიხოცნეთ ვაჟკაცურად...

(ისმის მახლობლად არეულობისა და ყიჟინის ხმა. სცენაზედ მყოფნი შეიკრებენ ღონეს, გაიტაცებენ მკვდარს თეიმურაზ მუხრან-ბატონს).

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — (რომელსაც მიათრევენ მხედარნი) გამიშვით, აქ მოვკვდე... (მიჰყავთ) ვაიმე, ვაი, ქვეყანავ დაღუპულო!..

(შემორბიან სცენაზედ მწარედ დაღალული და ქანცმოწყვეტილი ჯარები. ზოგს სიცხისა და დაღალვისაგან აღარ შეუძლიანთ სირბილი და ისე ტანისამოსიანად წვებიან წყალში, ზოგნი ეცემიან გზა-გზა და ჯარები გადადიან ზედ. ისმის თანდათან ახლოს ყიჟინა).

მ ე ფ ე — (შემოდის სცენაზედ, დაღალული შემკრთალისა და შეღონებულის სახით, უკან შემოსდევენ თავის ამალა და გამოქცეული ჯარები) არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმეთ! ნუ გეშინიანთ, აღსენეთ ღმერთი..

შემოიკრიბეთ ღონე... ერთი რომ შეუტიოთ, გაიქცევიან ეგ ურჯულოები. (ჯარები ზარდაცემულნი გარბიან წინდაუხედავად და ჰყრიან გზა-გზა იარაღს, გუდა-ნაბადსა; ზოგნი იხდიან ჩოხას და ახალუხებს, რომ იმით შეიმსუბუქონ თავი სიცხისა და სიმძიმისაგან. ისმის თათრების ჯარების ყიჟინა).

რამდენიმე ამალათაგანი — გავეცალნეთ, მეფევ,—ჰხედავთ როგორ მირბის ჯარი და რარიგად ჰხოცვენ.

ვეფე — სად არის მოურავი... არა, სად არის ბარათა!.. ის კიდევ იბრძვის... დავიჯერო ისიც ვეღარ გვიშველის... მოურავს ეხლა მტრობა უდევს გულში, თორემ ის როგორ არ გამოგვიხსნიდა ამ უბედურებიდან... ბარათას მიეშველენით...

რამდენიმე თავადი — მოვიდნენ, უშველეთ თავს... (თეიმურაზი გარბის, თან გასდევენ ვისაც კი შეუძლიან. შემოდის სცენაზედ ერევნის ბეგლარ-ბეგი ჯარებით. მეორე მხრივ შემოდიან მანუჩარ ათაბაგი და ბარათა ბარათაშვილი).

ბეგლარ-ბეგი — გამუსრეთ ეგ გიაურები, გამუსრეთ... ცოცხალი აღარავინ გაუშვათ.

ბარათა — არიქა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! (შეუტევს ჯარებით).

მანუჩარ-ათაბაგი — არიქა, მესხნო! ვასახელოთ ჩვენი თავი (ჩაერევა თათრებში).

ბეგლარ-ბეგი—(გადაეგებება მანუჩარს) სად მიხვალ მანუჩარ, სადა?!

მანუჩარ — შენზედ, შე ურჯულო შენა. (მანუჩარ შემოჰკრავს ხმალს, ბეგლარ-ბეგი დაეცემა, მანუჩარ უპირებს მოკვლას).

ბეგლარ-ბეგი — ჰაი შე უპურმარილო მანუჩარ... ემართლები განა შენს გამზრდელს!.. არამი იყვეს შენზედ ჩემი ამაგი. (მანუჩარ გამობრუნდება).

დიდი მოურავი — (შემოდის მეორე მხრივ მოურავი). ჰაი, თქვე ურჯულოებო, თქვენა, სად მიხვალთ, სადა!?.. მუსრი მაგათა! (ჩამოერევა თათრებში და პატარა ხანს გაცხოველდება ბრძოლა, მერე აირევიან თათრები და გარბიან ძახილით: მოურავ!) აბა, ბიჭებო, მიჰყევით, სულ ღმერთამდი მიჰყევით. (გასდევს თითონ თან. მოწყეტილი და მოქანცული სიცხისა და ომისაგან ქართველები შემოიკრიბავენ ღონეს და გასდევენ. პატარა ხანს უკან ისევ ბრუნდებიან ცოტა-ცოტათი და ცვივიან წყალში, ზოგი წყლის პირას. ბევრს მისდის სიცხისაგან გული, და ბევრნი იხოცებიან სიცხისაგან მოწყვეტილნი).

რამდენიმე მეომარი — ვიჰ, დედავ! დაგვხოცა სიცხემ... ვაჰ დედას მაგათსას, რომ ამისთანა სიცხე დაგვიდგა. (შემოდის მოურავი, ბარათა და მანუჩარ-ათაბეგი, მცირე ჯარებით).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — არიქა, ბიჭებო, ერთიც კიდევ, ერთიც კიდევ შევუტიოთ და ღმერთი გვიშველის.

ჯ ა რ ე ბ ი — ბატონო მოურავო! აღარ შეგვიძლიან... დაგვხოცა სიცხემ... ხმალს ვეღარ ვხმარობთ და ისარს...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ამოიღებს ხმალს, ჩაუსობს მიწაში, ჰკრავს წიხლს და გადაამტვრევს). ასე დაიქცეს იმათი ოჯახი, ვინც დღეს საქართველო დაჰღუპა. ღმერთო მაღალო, ნუთუ არ უყურებ ამოდენა ქვეყნის საცოდაობას!.. როდემდის უნდა სდიოდეს საქართველოს სისხლი... როდემდის უნდა იღუპებოდეს შურითა და უპირულობით! (დაიკრეფს გულხელს და გაჰყურებს).

ბ ა რ ა თ ა — ღმერთო! დაიღუპა ქვეყანა... საკაძეც, შენა ხარ პირველი კაცი... (იტაცებს თმებში ხელს და გადის).

პ ა პ უ ნ ა ვ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — (შემოდის საჩქაროდ) არიქა, ბატონო, ახალი ჯარი მოდის თათრებისა და გაქცეულებიც მოგვიბრუნდნენ...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — აბა, ადექით, ვისაც შეგიძლიანთ სიმაგრეები დავიჭიროთ. ეხლა მეც ვხედავ, რომ არც არავის ომი შეგიძლიანთ და ვერც არას მარტონი აქ გავხდებით... მაგრამ, ნუ გგონიათ, ურჯულონო, რომ მე იაფად დაგისვამთ საქართველოს აყრა და გაოხრებას... მინამ გიორგი საკაძეს თავი აბია მხრებზედ, მინამ ვერ შეასრულებთ თქვენ თქვენს ურჯულო განზრახვას!.. მომყევით, ძმებო!.. ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა გვიდევს წინ... კიდევ ბევრჯერ გაგაძლობთ მაგ ურჯულოების სიხლით... ღმერთი ძლიერია. (გადის და გასდევენ თან ჯარები).

სცენა III

სცენა სწარმოებს ზურაბ არაგვის ერისთავის სახლში. აქ არიან შეყრილნი მეფე და მრავალი ქართლ-კახეთის დიდებულნი.

მ ე ფ ე თ ე ი მ ურ ა ზ — მე საშინლად მაკვირვებს ასე უწყალოდ აზვავება და ჩვენი თავდაუდებლობა გიორგი მოურავისა. არ ვიცი, რა სწადიან რომ ასე იხიბლავს წვრიმალი თავადაზნაურობას და გლეხკაცობას. აშკარად ვხედავთ, რომ მეც ღალატს მიპირებს და ჰსურს კვლავად საქართველოს არევა, დიდებულნო! თქვენთვის გამომიცხადებია ესე ყოველისფერი. ვგონებ ჩემს მეფობაში ყოველთვის მჭონდეს ქვეყნის სიყვარუ-

ლი და კიდეც მცოდნოდეს ფასი საქართველოს დიდებულთა, რა უნდა ეხლა მოურავს ჩვენგან, ქართლია და ასე ჰრევს. თუ მეარ შემეკავებინა თავი, იმას უნდოდა, რომ მეც გავერიე ქვეყნის სისხლში. რა აზრი ჰქონდა მოურავს, რომ ამაგრებდა იმერეთის მხრივ ციხეებს!? იმის გულიდან ხომ არა ამოვა რა, მინამ საქმეს არ გაათავებს; და მაინც კიდევ წამოსცდა ეს თავისი აზრი. მე ისეთი ხარბი და გაუმაძღარი ვგონივარ, როგორც თითონ არის. ერთხელ მეუბნება: რა კარგი იქნება, რომ მესამე ტახტიც შენ დაიჭიროვო... ჩვენმა მზემ, მე რომ იმას ავყოლოდი, აქამდე იმერლების სისხლში ხელს გამასვრევინებდა და გადამკიდებდა გიორგი მეფეს მტრად, რომლისაც პურ-მარილი ჯერაც ყელში ამომდის.

შადიმან ბარათაშვილი — აკი მოგახსენეთ! თქვენმა მზემ, ერთს წუთას არ შეუძლიან მოისვენოს. ხულ სისხლი, სისხლი და სისხლი! იმისი გული სისხლით არა ძღება. თქვენი ჭირიმეთ, ემაგას ვიღა მოიფიქრებდა: თათრები ძლივს მოვიშორეთ, რომ ეხლა იმერლები მტრად გადვიკიდოთ!

ბაადურ ციციშვილი — მე არ ვიცი, უნდოდა მოურავს იმერლების სისხლი თუ არა, და ეს კი ვიცი, რომ, თუ არ მოურავი — საქართველო აქამდის მტვრად იქნებოდა ნაქცევი. შადიმანი ბრძანებს — ძლივს მოვიშორეთ თათრებიო, ვის მოწყალებით?! სხვა იქით იყვეს, ვინ იყო, ბატონებო, რომ მარტოდმარტო ებრძოდა მარაბდის ომის შემდგომ ისაკ-ხანისა, ხოსრო-მირზასი და ამირგურ-ხანის ჯარებს და საქართველოს ყოველს ნაბიჯს იცავდა თავისი საკუთარის სისხლით იმოდენა უთვალავის ჯარებისაგან?! ვიღას ეგონა, რომ საქართველო კიდევ გადარჩებოდა აყრასა და მთლად გამუსვრას. ჩვენ ყველანი, შიშისზარდაცემულნი დავიმალენით თაგვის სოროებში. თქვენ მეფეო, გააცალეთ თავი და აბრძანდით ხევსურეთში, საიდამაც აპირებდით რუსეთს წაბრძანებას. ზურაბ ერისთავმა უმუხლთა საქართველოსაც და მოურავსაც და შეუშვა არაგვზედ თათრების ჯარები. ყველანი მიიმალ-მოიმალნენ. ხოსია და ქაიხოსრო ბარათაშვილები დაუმეგობრდნენ ხოსრო-მირზას. მარტო მოურავი ებრძოდა ამოდენა უთვალავ ჯარს, და მარტო მოურავიღა ზრუნავდა თქვენი სამეფოებისათვის. მეფეო. ზოგჯერ თითქმის ცარიელი ხელით, სამოცი კაცის ამარა დარჩენილა და კიდევ არ დაუნებებია თავი თათრებისათვის. ამ ხანებში სააკაძე არათუ იბრძოდა, ის კიდევ ამასთან მარტოდმარტო ამაგრებდა ცი-

ხეებს, ჰკრავდა გზებს, და ბოლოს იქამდის მიაღწევინა, რომ გარეკა აქედან თათრები და საქართველო გადაარჩინა იმ საშინელს განსაცდელს, რომელსაც ყველა განწირულებით მოელოდა. ერთსა და იმავე დროს, მოურავი არათუ მარტო თათრებს უნდა ჰბრძოლოდა, უნდა ჰბრძოლოდა თვით ქართველთაც, რომელნიც გადასდგომოდნენ თავის ქვეყანას და აძლევდნენ ყოველრიგს შემწეობას თათრებს საქართველოს დასანთქმელად. და ის ქვეყნის მოღალატენი, მეფეო, დღეს შენ გახლავან გვერდით და გიჩვენებენ მოურავს ქვეყნის მტრად და თავის თავს ერთგულად... მოურავმა გააძლიერა საქართველო და თქვენი ხმალი, მეფეო. დღეს რომ ჩვენ ყველანი ჩვენ ჭერქვეშ პურსა ვჭამთ და ვლოცულობთ ჩვენ სალოცავებს — ეს სულ მარტო მოურავის მოწყალებით.

ზურაბ ერისთავი — კიდეც მაგან ააზვავა მოურავი, რომ მუხრან-ბატონისა, ერისთავისა და ციციშვილისთანა დიდებულნი, თითქმის მეფედ ჰსახავენ იმას. ჩემისთანად მოურავს ვერავინ იცნობს. მოურავი საპატრონ-ყმოდ აგრე ადვილად თავს არავის დაუდებს, რაც უნდა იყოს, დღეს მე მეფის სიძე და შვილი ვარ, მაგრამ თქვენმა მზემ, ისე არაფრად მივაჩნივარ, როგორც ერთი უკანასკნელი ვინმე. თავის პაპუნა ვაშაყაშვილს უფრო გაუგონებს, ვიდრე მე. მე კიდევ არაფერი. ეხლა, რაკი ჰხედავს, რომ მეფე აღარ ასდევს მაგის სიტყვას, სულ მეფის უმადურობას ლაპარაკობს; დაუწყო მეგობრობა იმერთა მეფეს. ეხლა ის ჩუმჩუმად რაღაებსაც ელაპარაკება იმერლებს, აქ ქართლში ხალხს იბირავს და იკვეთამს და თქვენა ნახავთ, მაგას რაც უდევს გულში. ან ქართლს იმერთა მეფეს მისცემს, რომელსაც როგორც უნდა ისე აკუნტრუშებს, ან თითონ მოინდომებს მეფობას. კიდეც გამეფდება, იმიტომ რომ ქართლის მდაბიო და წვრილმალი თავადაზნაურობანი და შიგადაშიგ დიდებულნიც მოურავს უფრო იცნობენ მეფეზედ და მეფის თავს მოურავი ურჩევნიათ.

შადიმან ბარათაშვილი — ბატონო, როგორ არ ვიცნობ გოროზს სააკაძეს! წყეულიმც იყოს ის დღე, რა დღესაც ჩვენ მაგის ხელში ჩაეცვივდით. განა არ ვიცი, რო მაგას მეფობის მეტი სხვა არა უძევს რა გულში. ჯერ გაადედოფლა თავისი და, რა არის ხალხი შეეჩვიოს ამასაო, და მერე თითონაც უნდოდა გამეფება. სააკაძე—საქართველოს მეფედ უჯდეს!.. რატომ არ გასკდება დედა-მიწა და ქვეყანას თან არ ჩაიტანს!

მელიქ-ათაბაგი — ბატონო, თუ მაგას მეფობა არ ედოს გულში, მაგ საქმეებს ჩაიდენდა? აი ეს ხოსია ბარათაშვილი, პირველი თავადიშვილი, პირველი კაცის შვილი და დღეს გამოჩენილი კაცი საქართველოში, — მთელი სამი წელიწადი ციხეში გამოალპო. რომელი მეფე იზამდა ამას! მეფეს არას ეკითხება; ჰკრებავს თავადაზნაურთაგან და ქვეყნისგან ხარჯს. მოჰყავს ბერძნები, უძახის მუშას, აშენებს, სადაც არა მგონია ციხეებს, გაჰყავს გზები იმისთანა ადგილებში, სადაც თავის დღეში ქვეითადაც არ გაუვლია კაცს; აჩეხინებს ტყეებს, გამოჰყავს მთიდან უმამულო ოსი და მთიელი და ასახლებს იქ. ერთი სიტყვით, არც ერთს მეფეს არ უქნია ეს საქმეები, რასაც ეგ სჩადის. რაკი პატარა არ შეისვენა საქართველომ მტრისაგან, ეხლა ვეღარ გაუძლია უსაქმურად და ხან რას იგონებს და ხან რას: რა არის, ქვეყანას უჩვენოს, რომ რაც არის ეგ არის. ლამის ქვეყანა აამტუტოს.

მეფე — აი, თქვენც ხომ ჰხედავთ, დიდებულნო, რაც საქმეების მოქმედია მოურავი. თქვენ თითონ ჰხედავთ, რომ, თუ მაგას არა მოუხერხეთ რა, — ქვეყანას არ მოასვენებს.

ბაადურ ციციშვილი — მეფეო! თუ მე მაგისთვის მომიწვიეთ, რომ სააკაძის უბედურებაში გამხვიოთ, ჩემი იმედი ტყუილად გაქვთ. დიდებულნო! დაფიქრდით კარგად: მინამ მოურავი ცოცხალია, მინამ მაგრად მოვკიდოთ ხელი და მივყვეთ, სადაც წაგვიყვანოს, თორემ, თუ მოურავი ხელიდან გავუშვით და მოურავმა საქართველო არ დაამყარა იმ დონეზედ, რომ საქართველოს თითონ თავის დაცვა შეეძლოს, — მოურავის უკან ჩვენ ვიქნებით ჩვენივე ხელით ჩვენივე საფლავის გამთხრელნი. თუ არა ეხლა, მერმე გვიანღა იქნება საქართველოს შველა. შეჰხედეთ აბა რას სჩადიან ოსმალნი; ჩვენი დავით აღმაშენებლის სამშობლო, ჩვენი რუსთველის სამშობლო სამცხე-საათაბაგო, ლაზი, აჭარა ლამის სულ დაათათრონ და ერთ ას წელიწადს უკან ეს ძირის ძირი ქართველები, რომელნიც აქამომდე იყვნენ საქართველოს რჯულისა და მეფეთა დამცველნი, აღარც კი იცნობენ თავს ქართველად და პირველნი ისინი დაუსობენ მომაკვდავს საქართველოს გულში ლახვარს.

ბარათა ბარათაშვილი — მოურავი პირველი კაცია დღეს საქართველოში.

მელიქ-ათაბაგი — არა. მოურავს უნდა მეფობა და არა ქვეყნის შველა. ეს ყველა იმის საქმეებიდან ჩანს.

შადიმან — ამას ყველა დაინახავს, ვისაც თვალები აქვს.

ედიშერ ჩოლოყაშვილი — მთელი კახელობა სულ მაგ აზრისანი ვართ. თუ მეფობა არ ედოს გუნებაში—ის ჩვენი ბრძენი მეფის ბრძანებაზედ ივლიდა.

ნოდარ ჯორჯაძე — ყველა საქმით ამტკიცებს ამას მოურავი. ჯერ საქართველოს დიდებულნი ისე არ დამცირებულან, რომ ერთი გუდამშიერი აზნაური მეფედ დაისვან.

ბაადურ ციციშვილი — გუდამშიერი აზნაური, რომელმაც მისცა რამდენჯერმე საქართველოს ცხოვრების სახსარი, და რომელმაც შეაერთა ქართლი და კახეთი და მისცა ერთს მეფეს.

ზურაბ ერისთავი — და რომელიც დღეს ამ მეფეს არ ემორჩილება და საქართველოს დიდებულთ არ არჩევს თავის ყმებისაგან.

მეფე — ვისაც ჰსურს ჩემი მეფობა — დამიდებს თავს, ვისაც არა და — სააკაძე ნდომებია მეფედ.

ბარათა — შენ მეფე ხარ, ბატონო თეიმურაზ, მე შენ მუხანათში ვერ ჩავდგები, და მოურავი ჩვენში პირველი კაცია და არც იმის გადადგომა შემიძლიან.

შადიმან — ღმერთი ისე არ დაჰლუპავს საქართველოსა, რომ სააკაძისთანა კაცები გაგვიმეფოს.

ბაადურ ციციშვილი — მაშ მე ვხედავ, რომ აქ სხვა არაფერია, ხელახლად კიდევ შეყრილან მოურავის მტერნი, რომ მეფესაც და სხვებსაც გაასვრევინონ იმის სისხლში ხელი. მე ვხედავ, რომ აქ მუშაობს შური, მტრობა, და არა საქვეყნო საქმე. კიდევ არიან ქართლში კაცნი, რომელნიც არ მისცემენ საქართველოს მტერთ ნებას, რომ დაჰლუპონ საქართველოს პირველი კაცი — აზნაური სააკაძე. მაგრამ გახსოვდეთ, ბატონებო, რომ თქვენ თქვენის შურით უთხრით საქართველოს სამარეს. აქამდინ არა გვჯეროდა მოურავის სიტყვა თქვენზედ მეფეო, და გვინდოდა დაზავება, ეხლა კი ვხედავთ რომ მოურავი არაში სტყუის... ბაადური არ გარეულა საქართველოს ღალატში და არც გაერევა, და ვაი იმათ. ვინც მოინდომებს საქართველოს დაღუპვას. (გადის).

იმერელი თავადიშვილი — (შემოდის) აქა მშვიდობა მეფეთა და დიდებულთ.

მეფე — მობრძანდი დიდებულო იმერო. როგორ განისვენებს მამად საგულებელი მეფე გიორგი?

იმერელი — რავა განისვენებს და მე შენ მოგახსენებ, თუ კაი ჯილდოს მიბოძებ. კი ჰღირს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, ჯილდოდ. თუ არა დეიღუპე, შენი მტერი დეიღუპოს.

მეფე — ბრძანეთ და, რისიც ღირსი იქნები, ყველას მოგანიჭებ.

იმერელი — მე, ბატონო, რავარც მოგახსენებ ყველაფერს, ჩემს ქვეყანაში აღარ მიმესვლება;—იმდენი წყალობა მაინც უნდა მეიღო, რომ ღირდეს ჩემი ყმა და მამულის დატოვება და ჩვენი ქვეყნიდან გადმოხვეწად.

მეფე — რასაც ისურვებ, ყველას შეგისრულებ... უთუოდ მძიმე რამ გაქვს სათქმელი.

ზურაბ ერისთავი — ნახავთ თუ მოურავის ღალატი არ იყვეს.

იმერელი — კი, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს. მისთანა საიდუმლოდ აქვთ მითქმა-მოთქმა მოურავს და მეფე გიორგის თქვენს დაღუპვაზედ, რომ ქრისტიანი კაცი ვერ გაიგებს. აპა და ჩემი სიდედრი გახლავთ გამზრდელი ბატონის პატარა შვილის. ის უნდათ აბა ქართლ-კახეთის მეფედ და მერე იმერეთიც ხომ იმას დარჩება. იმას უთქვამს ეს ჩემი სიდედრისთვის და მე მისგან გევიგე. რაკი თქვენი სიუხვე ვიცოდი, კი ვარჩიე თქვენი ცნობა ამ ამბის. ისინი სულ მზადებაში არიან და აპირებენ უცაბედ დასხმას.

ყველანი — (ერთხმით). აკი მოგახსენეთ!

სცენა IV

სცენა სწარმოებს მოურავის სახლში.

ზურაბ ერისთავი — მაშ ეგ არის, აღარ იშლი, მოურავო, გვითხოვ რაღა?

დიდი მოურავი — არა, ზურაბ! მე კიდევ ვერ დამიჯერებია გული, რომ შენ აგრე სამტროდ გაიმეტე საქართველო, რომელსაც შესწირე შენი საყვარელი ცოლი. არა მჯერა, რომ გაიმეტე სამტროდ შენი გამზრდელი გიორგი, რომელთანაც ამდენხანს გაგიწევია ძმურად ყოველივე ჭირნახული. განა იმისთვის ვკოცნიდი თეიმურაზს მუხლებზედ—ზურაბს ქალი მიეც-მეთქი რომ ბოლოს შენ და იმას ჩემ სამტროდ და საქართველოს დასაღუპად შეგეკრათ პირი?! მე თეიმურაზის იმედი არასოდეს არა მქონია და იმისთვის დაგამოყვრეთ შენ და ის, რომ ზურაბი კაი გზაზედ დააყენებს მეთქი, ის კი არა თუ შენ იმან აგიყოლია... როგორ მოვიფიქრებდი, რომ ზურაბ თავის დღეში ჩემთან თანამკვდარი არ იქნებოდა საქართველოსათვის...

გამიგონე, ზურაბ, აიღე ხელი შენს განზრახვაზედ, შეჰხედე საქართველოს მდგომარეობას, დააცქერდი, რა ბოლო ელის, თუ დღეს მე და შენ ერთმანეთს ვუმტყუნეთ. ვფიცავ მამიჩემის სულს, რომ ეხლავ კისერს მივუშვერდი თეიმურაზისა და შადიმანის ხმალს, თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ თეიმურაზი, შადიმანი და ის კაცნი, რომელნიც მეფეს ჩემს სამტროდ დაუახლოვებია, არათუ შეიძლებდნენ — ან კი იფიქრებდნენ საქართველოს საბოლოვოსათვის. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თუ დღეს თეიმურაზს დარჩა გამარჯვება, დარჩება შენი მიზეზით და შენ იქნები მაშინ იმავე საქართველოს დამღუპველი, რომელსაც შენ შესწირე შენი გულითადი საყვარელი და თვით შენი თავიც. მოდი, მოვხვიოთ ჩვენ ერთმანეთს ძველებურად ხელი და შევუდგეთ საქვეყნო საქმეს. ნუ ჩავდგებით ქვეყნისა და ჩვენი მომავლის ცოდოში. ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი ბედნიერება არ გამოგვიხსნის იმ სირცხვილისა და წყევლისაგან, რომელსაც მივეცემით ჩვენ ჩვენი შვილიშვილისაგან ჩვენის ცუდის საქმეებისათვის.

ზ უ რ ა ბ — ნუღარა გგონია, გიორგი, რომ შენი ცბიერის სიტყვებით კიდევღა მომხიბლო. მე თუ აქამდის გიჯერებდი და აგდევდი შენ, ეს ყმაწვილობით მომდიოდა. ეხლა, ღვთით, გიცანი, რომ შენ მარტო შენი დიდება გიდევს გულში, გინდა შენისთანავე დაცემული კაცის შვილები გამოიყვანო კაცად და დიდებულნი კი შთანთქა. გინდა, რომ შენ იყო მბრძანებელი და მპყრობელი ქვეყნისა და ის კაცნი, რომელთათვისაც ღმერთს მიუნიჭებია ძალა და დიდება, დაამცრო და გაუხდე მათ ბატონად, რომ მასუკან ქართლში დიდი დაპატარა გაასწორო. არა, ამას იქით გიორგი მოურავო, მე და შენობა აღარ იქნება, აღარ მოგაგლეჯინებ ჩემი ხელით ნარს და ამას იქით აღარ მოგყვები, რომ ჩემის შემწეობით ჰრევდე ქვეყანას. აი ეგ შენა და ეგ შენი იმერლის ჯარები. მობრძანდით! მე და მეფეც იქ დაგიხვდებით. შენ ნახავ, როგორც მოგიმართავს ღმერთი ხელს ამოდენა ქვეყნის შეწუხებასა და მეფის ორგულობაში. გიჩვენებ, რომ მე ვარ ნუგზარის შვილი და ჩვენი შემუსვრა ისეთი ადვილი არ არის, როგორც შენა გგონია.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — კიდეც იმიტომ არ მინდა შენი მტრობა, რომ შენი შემუსვრა არ მეადვილება... მე ვიცი, ზურაბ, რომ თეიმურაზის ფარხმალი შენა ხარ. მე ვიცი რომ ყველაზედ გასაფრთხილებელი ხარ შენ და კიდეც იმიტომ გეხვეწები, რომ ნუ

დგები ქვეყნის საცოდაობაში. გახსოვდეს, ზურაბ, რომ თეიმურაზი, რომელმაც არ დაინდო ქაიხოსრო სარდალი, არ დაინდო ადამ აბელიშვილი, არ დაინდო გიორგი სააკაძე, — ეს თეიმურაზი არ დაინდობს ზურაბ არაგვის ერისთავის შვილსაც. გახსოვდეს ეს სიტყვები და დანიშნე ეს დღე, რომ შენ და თეიმურაზს მტრობა არ აგცდებათ და რაც უფრო ბევრს სიკეთეს უზამ, იმდენი უფრო შურს აიღებს და თავისებურად ღალატით დაჰღვრის შენს სისხლს.

ზ უ რ ა ბ — ჰოი, გიორგი! გეყო მაგდენი ოსტატობა... ნუ გგონია. ზურაბი ისეთი უგუნური, რომ არ ესმოდეს შენი ლაპარაკი. მაგრამ ვერა, ვეღარ შემაცდენ შენ. თეიმურაზი მაშინ დაჰღვრიდა ჩემს სისხლს და მე იმისას, თუ მე შენ აგყოლოდი. მაგრამ გიცან და თუ ღმერთმა მოგვცა შენსა და იმერლებზედ გამარჯვება, მაშინ მე ვიცი ვისიც სისხლი დაიღვრება და ვისი სისხლის დაღვრაც არის საჭირო ჩვენი ქვეყნის დასამშვიდებლად. ეხლა მშვიდობით! ან ზურაბი და ან შენ, (მიდის).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ზურაბ! მოიცადე... დაფიქრდი, ზურაბ... ნუ აჰყოლიხარ გულისთქმას და თავმოყვარეობას... გახსოვდეს რომ მე და შენი გადაკიდება დაჰღუპავს საქართველოს... ზურაბ, შეჰხედე შენს ღმერთს, უსმინე ქვეყნის ცრემლს.... ნუ ჰმტყუნობ ამისთანა დროს ერთხელ შენგნით სიკვდილისგან დახსნილს საქართველოს.

ზ უ რ ა ბ — (შემობრუნდება) ამ ხმალმა გასცეს პასუხი, ვინც თავის ქვეყანას უმტყუნოს (იდებს ხმალზედ ხელს და გადის საჩქაროდ).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ღმერთო ძლიერო! რარიგ ეცრება ხელი ყველა ჩემ დაწყობილებას. თითქო მოთიქისმული და მოჯადოებული იყვესო ეს ქვეყანა... ღმერთო! ამოდენა ქვეყანაში რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს კაცი ვერავის გაანდობდეს — უბედურება მეტი რაღა იქნება... გაცემას რაღა მომაფიქრებდა!.. ნეტა ვინ იყო ის მუხანათი, ან როგორ გაიგო ეს ჩვენი აზრები... ეხლა მაგათ უფრო ბევრი ჯარები შეუყრიათ... თვით ჩემი გაზრდილი და გაწვრთნილი ამ საქმისათვის, ზურაბი, დღეს ამ საქმეში მღალატობს და უდგება იმ კაცს, რომელიც მარტო თვისის მუცლისა და სიამოვნებისათვის ზრუნავს... ეს არის, ზურაბს ვეღარაფრით ვერ მივიზიდავ... მე და ზურაბმა უნდა დავღვაროთ ერთმანეთის სისხლი... ეხლა უნდა ყოველი ჩემი ძალა და ღონე ვიხმარო, რომ ჩემი პაატას მსგავსი ზურაბის სიცოცხლე შევმუსრო, რომ გვეშველოს რამე... ღმერთო! რა მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა, უნდა გამარჯვებას ვცდი-

ლობდე, რომ ზურაბი დავღუპო, და უნდა ჩემივე დამარცხება მენატრებოდეს გულში, რომ ზურაბი სისხლში შემუსვრილი არა ვნახო.. ზურაბ! ზურაბ! რომ იცოდე, რარიგ უკვდება გიორგის გული შენი დაშორებით და შენი გამეტებით... მადლობა შენს განგებას, ღმერთო! ალბათ კიდევ ბევრი მსხვერპლი გინდა ჩემგან და ქვეყნისგანაც, რომ მიეცეს შენს ერს კეთილი ბოლო... ეხლაა ჩვენი განჩინება. თუ ეს ომი მოვიგეთ, იმერეთი და ქართლი შეერთდება. მასუკან კახეთის შეერთებაც ისეთი ძნელი აღარ იქნება: თეიმურაზ, რაკი ერთი დამარცხდება, თავისუფლად საითმე გაჰკურცხლავს და გაუშვებს თავის სამეფოს ღვთის ამარობაზედ... მაშინ სამი სამეფო შეერთებული იქნება... ღმერთო! რა მოუთმენლად მიცემს გული... ასე მგონია ერთი ათასი კაცის სიცოცხლე კიდევ დევს-მეთქი, იმ დრომდინ... აქამდინ უფრო მოთმინებით ველოდი ამ საქმეს... ეხლა ყოველი მოთმინება მეკარგება.

იასე ქსნის ერისთავი — (შემოდის) ზურაბი იყო აქა?

დიდი მოურავი — დიახ.

იასე ერისთავი — და კიდევ ცოცხალი გაუშვი ის აქედან?! მიკვირს გიორგი, შენგან ეს ამბავი: მტერი ხელთ გყავდეს და ხელიდან გაუშვა! შემუსრე მტერი, რითიც შეგეძლოს და როგორც მოასწრო! ზურაბი კიდევ დასაზოგიღაა ჩვენგან... სულ ეგ არის, რაც არის, უმაგისოდ თეიმურაზ ვერასფერს ვერ იკადრებდა.

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — (შემოდის) აბა, გიორგი, ყველანი მზად არიან. მრავალნი გადაგვიდგნენ და გავიდნენ ზურაბისაკენ, მრავალნიც ყოყმანში არიან. უნდა დავაჩქაროთ მისვლა. ყველა ჯარების წინამძღოლნი აქ არიან და უბრძანე გამგზავრება.

მოურავი — (ჩაფიქრდება).

ქაიხოსრო — რატომ აგრე დაფიქრებული ხარ, გიორგი? ვინ შენ და ვინ ეგ ამბები ამისთანა დროს?

დიდი მოურავი — ოხ, ქაიხოსრო! კვლავ რომ გვიომნია, ის სხვა ყოფილა; და დღეს ჩვენ მივდივართ ქართველის ჯარებით ქართველისავე სისხლის დასაღვრელად... ქართველი ქართველის სისხლსა ჰღვრის, ქართველი ქართველზედ აღჭურვილა ასე გამეტებით და ეხლა თვით ქართველებისაგანვე უნდა გადაწყდეს ბედი და უბედობა საქართველოსი. ერთ მხარეს დგას მოურავი, და მეორე მხარეს ზურაბი, რომელნიც ერთხელ.

როდესღაც, საქართველოს გულისთვის ერთად თავგანწირულნი ებრძოდნენ საქართველოს მტერს და დღეს — ერთმანეთს... იმავ საქართველოსათვის...

(დგება და მიდის. ჭაიხოსროც თან გასდევს).

სცენა V

სცენა სწარმოებს ბაზალეთის ტბასთან, სადაც დგას თეიმურაზ მეფისა და მოურავის ჯარები. შეყრილობაა თეიმურაზის ერთგულთ დიდებულთა,

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — აი, ბევრს რომ არა სჯეროდა მოურავისაგან ჩემი გადადგომა! ჰხედავთ, დღეს საომრადაც მოგვდგომია ჩვენ, ქართლ-კახეთის ბატონს, ერთი უბრალო აზნაური, სააკაძე!.. ნუთუ ქართლ-კახეთის დიდებულნი იზამენ და იკადრებენ იმას, რომ თავისი ცოცხალი თავით დღეს სააკაძეს დაანარჩუნოს მეფეზედ გამარჯვება და შემდგომ ამეფონ ერთი კუდა აზნაური?! ნუ გჯერათ, რომ მოურავი მართლა იმერთა ბატონს აძლევდეს ქართლს. მოურავი ეძებს დროს და მერე იმერთა მეფესაც ისე უმტრობს, როგორც მე და როგორც წამებულს ლუარსაბს, მინამ თითონ არ იგდებს ხელთ მეფობას. ჰხედავთ, ეხლაც როგორ მეფესავით უყურებს თითქმის მთელი ქართლი. მდაბიო ხალხი იქით იყვეს, რომელსაც ის ასე ჰხიბლავს! მუხრან-ბატონი, ქსნის ერისთავი, ციციშვილი, ამილახვარი და სხვა დიდებულნი მოურავს თითქმის მეფედ ჰხდიან და ყოველს იმის ბრძანებას ისე ასრულებენ, როგორც ყმანი... ნუ მიუშვებთ, საქართველოს დიდებულნო, რომ ქვეყნის სამარცხვინოდ სააკაძე გავამეფოთ ბაგრატიონთ ტახტზედ. ან მთლად დავიხოცნეთ აქ, და შევწიროთ ჩვენს მეუფეს სული, ან გავიმარჯვოთ მაგ ქვეყნის ამრევზედ, რომელიც მეფეთა და დიდებულთ არარად აგდებს და აპირებს მათს დამხობას.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — სიკვდილი ან გამარჯვება და შემუსვრა მოურავისა,— ეხლა ჩვენს გულში სხვა აღარა არის რა.

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — სწორედ, ან უნდა დავიხოცნეთ, ან გავიმარჯვოთ მოურავზედ! თუ გვინდა, რომ მოურავის წინააღმდეგთ ვიბოგინოთ საქართველოში. თუ აქამდის მოურავი ჰზოგავდა თავის მტერთ და არას ავნებდა, მაგის მიზეზი ის იყო, რომ უნდა თვით თავისი მტერნი დაეახლოვებინა, რომ უფრო უწინააღმდეგოდ დაეპყრო საქართველო და ბოლოს

მეფის გვირგვინი ეგდო ხელთ. ეხლა, რაკი ერთჯერ და ორჯერ სცადა, რომ მტრები მტრობას არ უშლიან, იცოდეთ, რომ გვარით და ნათესავით სულ ამოჰგვის ყველა თავის მტერს... ამასთან, ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ მოურავზედ გამარჯვება არ შეგვიძლიან, იმიტომ, რომ გლეხკაცისთვის ერთი იმისი სახელი მეხსა და ჭექვაზედ საზარელია. ამის გამო თითონ ჩვენ, თავადობამ უნდა მოვკლათ როგორმე ომში, პირდაპირ იყვეს, თუ როგორც მოვიხერხოთ.

ედიშერ ჩოლოყაშვილი — პირველი მე მივდივარ მოურავზედ და, ღვთით, ყველამ იცით, რომ ღონე და სიმარჯვეც შემწევს.

მრავალი ხმა — მეც! მეც!! მეც!!!

ზურაბ ერისთავი — ეხლავე უნდა დავაწყოთ მოურავის სიკვდილი. აი რა უნდა ვქნათ. ის, რაწამს გამოაპობს ჩვენს რაზმებს, მაშინვე მეფეს მიჰმართავს, უნდა მეფეს ვაახლოთ ერთი ოცი სულ კარგი თავადაზნაურიშვილი. ისინიც უნდა იყვნენ მიმალულნი მარჯვე ადგილას და როდესაც მეფეს მოურავი შემოუტევს, მაშინ უცებ უნდა შემოერტყან და მოჰკლან.

მეფე თეიმურაზ — სწორედ, ეგ კარგი სიტყვა სთქვი, ზურაბ. აბა მაშ, ზურაბ, შენ და ედიშერმა ამომირჩიეთ ერთი ოციოდე კარგი თავადაზნაური. ედიშერ, შენც ჩემთან იქნები. ზურაბ, შენ კი უნდა დუშეთის მხრივ იყვე, რომ იმ მხარიდან მოახდინო რაზმების დაწყობა და ომის გაძღოლა.

(ისმის შორიდან საომარი და საკრავების ხმა. რამდენიმე გზის მოდარაჯენი შემოცვივიან).

მოდარაჯენი — შეიძრა მოურავის ჯარები და მოდიან. ჩვენი მოწინავე ჯარები კიდეც გამოაქციეს.

ზურაბ — აბა ჩქარა გაამზადეთ ყველამ რაზმები და დაწყობით მიეცით მტერს, რომ ადვილად ვერ შესძლონ გაპობა. მეფევ, თქვენ წაბრძანდით და ეხლავე გაახლებთ იმ ოც კაცს; ედიშერ გიჩვენებს, სადაც უნდა დაიმალოს ის ოცი კაცი.

მეფე თეიმურაზ — აბა, თქვენი ჭირიმეთ, თავადებო, თქვენზეა ეხლა ჩემი თავი და ჩემი ცოლ-შვილის ბედი დამოკიდებული... ღმერთო აბრაამისა, ისააკისა და იაკობისო, ანეულთა მკურნალო, ტყვეთა მხსნელო და გლახათა შემწყნარებელო, ნუ დამტოვებ მონასა შენსა, მომაგებინე სიმართლისამებრ მოსაგებელი. (იჩოქებს და განაპყრობს ხელებს. ყველანი იჩოქებენ). ღმერთო და ყველა ჩვენო მამა-პაპათა სალოცავნო და საველრე-

ბელნო! თქვენი არს ძალა და დიდება და თქვენთვის ჩამიბარებია სული ჩემი. (დგება და გადის, ყველანი გასდევენ).

(სცენაზედ შემოდის მოწინავე ჯარების წინამძღოლი საამ კობიაშვილი, თავში დაჭრილი და შემოსდევს იმას ჯარები. ჯარები გარბიან).

საამ კობიაშვილი — მოდი და შენ ენდე ამ წუთისოფელს! ერთხელ, როდესაც ნუგზარის ბრძანებით მოურავის გულისათვის ნაოზიდან ბაზალეთს ბატონის სახლამდის სულ ხმალამოღებული ვომობდი მეფის ჯარებთან და ვინ იცის, რამდენი სისხლი დაიღვარა იმის გულისთვის ჩემი ძარღვებიდან: დღეს კი ნუგზარის შვილის ბრძანებით ვეომები იმავე მოურავს და ნაბრძანები მაქვს, რომ უეჭველად მოვკლა... მე და პაპუნა ჩივაძე ერთად ვიბრძოდით მოურავისთვის და ნუგზარისათვის, დღეს კი ის მოურავისთვის იბრძვის, მე ნუგზარის შვილისთვის! მკრა კოლოტი თავში და თავი გამიხეთქა. მოდი და ეხლა შენ გაიგე რამე: ან მე რაზედ ვიკლავ თავსა. ან ისა, ნეტავი გამაგებინა, ვინა სტყუის ჩვენში. ეხლა რომ პაპუნამ თავი არ გამიხეთქა, ეხლა მოვედი ფიქრსა, რომ ისიც მიჰქარავს და მეც: არც მე ვიცი, რაზედ ვიკლავ თავს და არც იმან. ძაღლს რომ მონადირე მგელს მიუსევს, ძაღლმა იცის, რომ თუ არ მიეტია მგელს, პატრონი პურს აღარ აჭმევს და ძაღლი შიმშილით მოკვდება. წაწყდეს ჩემი საყვარელი ბატონის ნუგზარის სული, თუ ჩვენი საქმეც ისე არ იყვეს. ჩვენ ერთმანეთს ვხოცავთ, რომ პატრონმა პური გვაჭამოსო, და ერთი ლუკმა პურისთვის, რაკი გვიბრძანებენ, ჩვენ აღარ ვარჩევთ — ვინ სტყუის, და ვინ მართალია. ჰაიგიდი, უმადლო წუთისოფელო! ზოგს კაცს ძაღლის ხელობას აძლევ და ზოგს კი მონადირისას. ღვთის რისხვა მქონდეს, თუ ზურაბი მე მჯობდეს, მაგრამ მე ძაღლი ვარ და ის მონადირე. (ისმის ჯარების ხმა) გავეცალო, თორემ ეს ერთი ჭკუა ხომ მასწავლეს, მერე სულ გამაბრძენებენ და ვინ იცის მეც ერისთავობა მოვინდომო, ან მეფობა მოურავისავით... მაგრამ გამიწყრეს ლომისის მადლი, თუ მოურავი ათასი არ იქნებოდა და მეფე ერთიც არა... მაგრამ ძაღლ-მონადირეობა ღმერთს ძალიან დაუწესებია — დაილოცა იმის სამართალი.

(გადის საჩქაროდ).

(სცენაზედ შემოდიან მოურავი, დავით გოგორიშვილი, ჭაიხოსრო მუხრან-ბატონი და სხვა მრავალნი თავადაზნაურნი).

დავით გოგორიშვილი — ბატონო, გიორგი! სწორედ რომ შენ არ უნდა შემოხვიდე ჯერ ომში. თორემ, როგორც წე-

ღან იყო ლაპარაკი, პირველად შენს მოკვლას ეცდებიან. მე მიბოძე შენი ცხენი, ჯაჭვ-ჩაჩქანი და მუზარადი. მაშინ მე ვეგონები თქვენი თავი და, გარწმუნებთ, რომ არც შეგარცხვენთ. იმედი მაქვს, რომ ვერ მომკლავენ და თუ მომკლეს, ისევ გოგორიშვილი მოჰკლან მოურავის სიკვდილს და ქვეყნის დაღუპვას ისა სჯობიან. თუ მოურავი არ იქნება ცოცხალი, საქართველო დაიღუპება, და მე რომ მოვკვდე, მარტო ჩემი ცოლ-შვილი დამისაკლისებს. მაგრამ, იმედი მაქვს, მოურავი ჩემს ცოლ-შვილსაც უნუგეშოდ არ გაუშვებს.

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — ნუ გეშინიან, დავით, არც შენ მოგაკვლევინებთ, თუ მშვიდობაა. უბოძე მოურავო შენი საომარი საცმელი და ცხენი, და, შენ მაშინ გამოჩნდი, როცა საქმე გაჭირდეს.

დიდი მოურავი — აბა, მაშ ჩაიცვი დავით და ფრთხილად იყავ, რომ უბრალოდ თავი არ წაახდინო.

პაპუნა ჩივაძე — (შემოდის) ძალიან მაგრა აქვს მეფესა და ზურაბს რაზმი გაწყობილი. ზოგიერთ ადგილზედ ჩვენსა და იმათ ჯარებს შეტაკება მოუხდათ და ვერა გავაწყეთ რა. დუშეთის მხარეს ძალიან გაცხარებული ბრძოლაა. იასემა და ბაადურ ციციშვილმა ეს ორჯერ შეუტიეს ზურაბსა, მაგრამ ორივეჯერ ზურაბმა გამოაბრუნა უკან და ეხლა თითონ ზურაბი უპირებს დაცემას. იასე თხოულობს, რომ ეგება მუხრანელობა მოგვაშველოთო. პირქარი და წვიმა უფრო გვიჭირებს საქმესა. ეს ოხერი აგერ სამი დღეა აკი არ შეწყდა ეს საშინელი წვიმა, მემრე, თითქო განგებ, საითაც წავალთ. სულ თვალებსა და პირში გვიშხაპუნებს, თვალთაგან ველარას ვარჩევთ.

დიდი მოურავი —აბა, ქაიხოსრო, მიაშველე იქ ცოტა შენი ჯარები და თქვენც მალე შეუტიეთ თეიმურაზის ჯარს და კახელობას, თორემ, რაკი ავიშალენით და ვიგვიანებთ — ეგ იმათ წააქეზებს. დავით, აგერ მოაქვთ ჩემი საცმელი და ცხენიც მოჰყავთ. ეხლა შენ იცი, როგორც იმოურავებ. მე ამ სერიდან გიყურებთ და რაწამს ერთი ბეწო გაჭირდეს, მაშინვე მაცნობეთ. (გადიან ყველანი. რჩება მარტო მოურავი, ელია დიასამიძე და რამდენიმე მსახური. მოურავი ჩაფიქრდება) რა დიდი მოწყალება იქნება ღვთისაგან, რომ მე აღარ მომინდეს ამ ბრძოლაში ჩასვლა... ამოდენა საქართველო შუაზედ გაყოფილა და ერთი ერთმანეთს ვჟლეტავთ... თუ ჩემს განზრახვას კეთილი ბოლო არა აქვს, ღმერთო, რატომ აქამდინ არ მომკალ და რათ

მიჩვენე ამდენი ქვეყნისაც და ჩემი უბედურებაცა! შვილი, დედა, ძმა, გაზრდილი, რამდენი გულით საყვარელი მეგობარი და ნათესავი შევწირე ამ საქმეს; დღეს ამის გულისთვის მთელი ჩვენი ქვეყანა ერთმანეთისათვის შემიხლია და, თუ არ არის, ღმერთო, შენი ნება საქართველოს ცხოვრებისა, რათ მიჩვენებ ამ დღეებს, და რად ჩამიმარხე გულში ეს დაუცხრომელი აზრები, რომელნიც არც დღე და არც ღამე არ მაძლევენ მოსვენებას; რატომ არ მომეც ისეთი გული, როგორც სხვებს, რომ ჩემი ქვეყნის უბედურებისათვის მეც იმათის თვალით მეყურებინა და მეც იმათსავით განსვენებით მეცხოვრა, რომ არ გავმხდარიყავ მიზეზი ტყუილად ამოდენა არევისა და ქართველებისაგან ერთიერთმანეთის სისხლის დაღვრისა. ღმერთო! რატომ არ მომეც იმდენიც არის მხედველობა, რომ მცირეც არის მცოდნოდა შენი განგებულება, რომ თუ ჩემს განზრახვებს არ ეწერათ კეთილი ბოლო, არც ერთი ქართველის სისხლი არ დამეღვარა და შესრულებულიყო უსისხლოდ ყოველი შენი ნება... დღეს მივნდობივარ ალალბედს, ჩემს გამბედაობას და მეცადინეობას, და სათუთო საქმეს ვწირავ ამოდენა სისხლს. (ჩაფიქრდება). რატომ აქამდინ არა მქონდა იქვი ჩემი აზრების შესრულებაზედ, როდესაც უარესს დღეში ვყოფილვარ მეცა და ჩემი სიცოცხლეც?! იქნება ღმერთი არ მიწონებს, რომ ამოდენა ქრისტიანთა სისხლს ვუპირებ დაღვრას?.. ნუთუ მე ამ სისხლს ვღვრი მართლა ამაოდ და არა ღირს ჩემი აზრების შესრულება ამოდენა ქართველების სისხლად?.. ნუთუ ვრცელი და დაუსრულებელი მომავალის ბედნიერება არა ღირს დღევანდელი დღის მოკლე უბედურებად, თუნდ რომ ამ უბედურებამ შთანთქას ნახევარზედ მეტი ქართველობა! ჩვენ არც მომავალს დროში, არც დღეს ბედნიერება არ მოგვველის, თუ ჩემი აზრები არ შესრულდა... ღმერთი არ უნდა იყვეს ამისი წინააღმდეგი, თუ უნდა ჩვენი ხეირი... სისხლმა და ჩვენმა გამარჯვებამ უნდა გაჰბანოს დღეს საქართველო ძველი ცოდვებისაგან და განაახლოს ჩვენი ცხოვრება... განვედით ჩემგან ცუდნო გულისთქმანო და იქვნეულებანო... ან გამარჯვება და ან მთლად ჩვენიცა და იმათიც გაჟლეტა... სულერთია, დღეს მოვკვდებით თუ ხვალ: დიდხანს წვალებით სიკვდილს, ერთს დღეს მოკვდეს სხეული, ისა სჯობიან.

ე ლ ი ა დ ი ა ს ა მ ი ძ ე — (რომელიც სხვა მხრივ გაჰყურებდა ბრძოლას სერიდან) ბატონო, ბატონო! ძალიან გაცხარდა ომი, რომ მეტი

ალარ იქნება. მთლად კახელობა ჩამოერია ომში და ამოდენა მეომარი სულ ერთს ადგილს შეიჯგუფა და არის ერთი საშინელი ტრიალი... არიქა! წამოიღეს ჩვენი ჯარები... იმერლობა გამოიქცა... გამოიქცნენ ყველანი... მივეშველნეთ!..

დიდი მოურავი—ჩქარა ჩემთვის ცხენი... უთუოდ მოკლეს გოგორიშვილი. (გადის საჩქაროდ მოურავი და გასდევენ ყველანი).

(ქართველობა და იმერლობა შემოცვივიან სცენაზედ და მოჰყავთ თავშ დაჭრილი თომა მაჭავარიანი, იმერლების სარდალი. ამათ თან მოელალებიან კახელობა და თეიმურაზის სხვა ჯარები და ცდილობენ მაჭავარიანის შეპყრობას. შემოდის დავით გოგორიშვილი მოურავის ცხენით და სამხედრო საცმელით და აგერებს მაჭავარიანს ჯარებს. ამ დროს შემოდიან მეფე თეიმურაზი, ედიშერ ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი თავადობა საშინელის ყიჟინით).

მეფე თეიმურაზ — არიქა, ჩემო თავადებო! აი ჩვენი სისხლის მსმელი მოურავი. ჩემი ნახევარი სამეფო მიმიცია, ვინც მე მაგის თავს მიშოვნის. (თითონ დგება ჯარებში).

ედიშერ ჩოლოყაშვილი — დადექ, მოურავო, დღეს არის ჩვენი განჩინება...

დავით გოგორიშვილი — აქ გახლავართ!.. დადექით კახელებო!.. არიქა, ჩემო ქართველობავ!.. ღმერთო და ჩვენო სიმართლევ!.. (შეუტევს თეიმურაზს და იმის მხლებლებს. თეიმურაზი იწევს კიდევ უკან. ყველანი იხევენ უკან. გოგორიშვილი გასდევს. აქ უცებ ერთ-ერთ ადგილიდან გამოცვივიან მრავალი თავადაზნაურები და შემოერტყმიან გოგორიშვილს, ის იბრძვის ცხარედ).

მეფე თეიმურაზ — არიქა, ბატონებო!.. მინამ მოეშველებოდნენ! (ამ დროს გოგორიშვილი დაეცემა დაჭრილი რამდენიმე ადგილას და დაჩოქილი იბრძვის). ეგ არის!.. აღარა შეუძლიან რა!..

ედიშერ ჩოლოყაშვილი — დაგვნებდი, მოურავო, თორემ ვეღარ წაგვიხვალ ცოცხალი.

მეფე თეიმურაზ—მოჰკალით, მოჰკალით ეგ სისხლით გაუმაძღარი. (გოგორიშვილი იბრძვის და თანდათან სუსტდება).

ედიშერ — დაგვნებდი მოურავო.

გოგორიშვილი — ისე არ დამცირდება ჯერ მოურავი. (ამ დროს დაიჭრება კიდევ და აპირებს წაქცევას).

მეფე თეიმურაზ — მაგის სიცოცხლე არ იქნება... ეგ უნდა მოკვდეს... დადექ, მოურავო, თუ რამე შეგიძლიან. (შემოუტევს. ჰკრავს კოლოტს თავში და გოგორიშვილი დაეცემა უსულოდ). მოკვდი ეგრე, მეფეთა და ხალხთა ამრევო!!. არიქა, ეხლა ჩვენია გამარჯვება!..

მრავალი თავადობა — (ყვირიან) მოკვდა, მოკვდა მოურავი! ბ. თეიმურაზ მეფეს გაუმარჯოს!..

ჯარები — ბატონ თეიმურაზს გაუმარჯოს!!.

მრავალი თავადობა — აბა ეხლა დადგნენ აი მოურავის ჯარები...

მეფე თეიმურაზ — გამუსრეთ, გამუსრეთ ყველანი, რომ სინსილა აღარ გაუშვათ მოურავის ჯარებისა. (ხმალგაწვდილი გადაერევა). მომყევით აქ... გამარჯვება ჩვენია. (მოურავის ჯარები გარბიან არევით. კახელობა შეიპყრობს თომა მაჭავარიანს) წაიყვანეთ ეგ მაჭავარიანი, მოსჭერით ცხვირი და ყურები და ისე გაუგზავნეთ იმერთა მეფეს... დაე სცნას, ვინც გაიხადა იმან მტრად. (თეიმურაზ გასდევს გაქცეულს ჯარებს თავისი ჯარებით, პატარა ხანს უკან სცენის გარეთ ისმის საშინელი არეულება. თეიმურაზი თავისი მხლებლებით შემობრუნდება ისევ უკან შემკრთალი) არიქა!.. უშველეთ!.. მოურავი!.. გაცოცხლდა... ცოცხალი ყოფილა... არიქა კახელებო. არიქა თავადებო, თქვენი ჭირიმეთ...

მდიმერ ჩოლოყაშვილი — ნუ გეშინიან, ბატონო! შენ შენი, მხლებლებით ისევ აქ დადექ და სხვა ამორჩეული თავადობა, ისევ თავის ადგილას მიიმალნენ, მე ჩამოვიტყუებ იმას აქამდინ და აქ უცებად დავესხათ... მინამ შენ გაამხნევე ჯარები... კიდევ ღმერთია მოწყალე... არიქა, კახელნო და ქართლელნო, მომყევით... მომყევით და გიჩვენებთ, რომ მოურავი არ არის ისეთი საშიშარი, როგორც ჰგონიათ... (გადაერევა ხმალამოღებული და მისდევენ მრავალი ჯარები. სცენის გარეთ კიდევ ისმის ბრძოლის ხმა და ყიჟინი, რომელნიც თანდათან ახლოვდებიან. ოცი თავადიშვილი იმალება ყრუ ადგილას. მებრძოლი ჯარი ხან შემოდის და ხან გადის გარეთ).

მეფის რამდენიმე მხლებელი თავადობა — (გაჰყურებენ მებრძოლთა). ჰოუ! პაპაპაპა!.. ეჰეიიჰა!.. წამოიღეს.:. ობოუ!.. მოურავი! მოურავი!.. სულ მკვდრების ხროვა შეაყენა... უბრალო ტანისამოსით არის... ეჰეი, შენი ჭირიმე, ედიშერ! რა კაცია და... შეაყენა მოურავი!.. ჰეჰეი!..წამოიღო მოურავმა... წამოიღო, წამოიღო!

მეფე თეიმურაზ — გაამხნევეთ, თქვენი ჭირიმეთ, გაამხნევეთ ჯარები... უბრძანეთ რომ ჩვენს მახლობლად ბევრი ჯარი იდგეს. არ დაიძრათ თქვენცა... რაწამ მოვიდეს, უცებ, უცებ მოჰკალითო...

რამდენიმე თავადი — ჰეი! პაპაპაპაპა!.. არია, წამოიღო მოურავმა... მორბიან...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — მე წავალ აქედან... კიდევ გავამხნევებ ჯარებს... წავალ ზურაბთან... ჯარებს მოგაშველებთ... თორემ მოურავი სულ გაგვმუსრავს... ჰხედავთ, რას სჩადის... ვაი თუ ეგეც სხვა მოურავი იყვეს...

ე რ თ ი თ ა ვ ა დ თ ა გ ა ნ ი — როგორ თუ ამისთანა დროს წახვიდე!.. დადექ... სადაც ამოდენა ქვეყანა იყვეს—იქ შენც იყავ...

ჯ ა რ ე ბ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ე ლ ნ ი — მიგვიძეხ. შენ მიგვიძეხ მეფეც წინა, თორემ გაგვიტყდა ჯარები...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — არიქა, თქვენი ჭირიმეთ... რჯულისა და ქრისტიანობისათვის... მიდით, ნუ გეშინიანთ...

რ ა მ დ ე ნ ი მ ე თ ა ვ ა დ ი — აგერ ზურაბიც მოდის ჯარებით... ეხლა ფიქრი აღარ არის... ბევრი ჯარი მოჰყავს ზურაბს... მოვიდა მოურავიც... სულ წინ გამოირეკა ჯარები...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — აბა კარგა მიიმალენით... უცებ... უცებ... მაშინვე მოჰკალით. (თითონაც ჩაიკრიფება მხლებლებში).

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — (შემოდის ბრძოლით).. მოდი, მოდი, მოურავო, ეს მე და ეს — შენ...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ელალება ედიშერს და იმის ჯარებს) დადექ, დადექ, ედიშერ!.. (დაიჭექებს საშინლად, გაიელვებს და წამოუძენს წვიმა მოურავის მხრებს).

ე დ ი შ ე რ — მოდი! ეხლაა შენი ბიჭობა. (ანიშნებს დამალულებს) არიქა, თქვენი ჭირიმეთ, კახელებო... ველარ წაგვივა მოურავი. (დამალულნი უცებ გამოდიან თავის ადგილებიდან და ერტყმიან მოურავს გარშემო).

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — მოჰკალით! მოჰკალით... უცებ, უცებ...

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ოჰ, თეიმურაზ, შენა?!.. სხვებს რათ უბრძანებ. შენც კაი ვაჟკაცი ხარ... (მიიწევს თეიმურაზისაკენ. რამდენიმე თავადი ეღობება. მოურავი გადმოჰყრის იმათ ცხენებიდან და წამოსწვდება თეიმურაზს, თეიმურაზ და მოურავი შეიბრძვიან: მოურავი ჰკრავს კოლოტს და გადმოაგდებს ცხენიდან).

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — (შემოდის უცებ ჯარებით) აბა, გიორგი მოურავო, დღეს არის მე და შენი განჩინება. (შეუტევს მოურავს ხმლით. მოურავი აუკრავს ხმალს. და აიცდენს. ჰკრავს კოლოტს და დასცემს. მოურავს ელალებიან ედიშერ ჩოლოყაშვილი და მრავალი თავადაზნაურობა, რომელნიც გამოდიან სამალავიდან).

ე დ ი შ ე რ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — აბა ეხლა მე და შენცა ვცადოთ გიორგი ერთმანეთი. (შეუტევს ხმლით. მოურავი აუკრავს ამასაც ხმალს, ჰკრავს კოლოტს და დასცემს. ედიშერ წამოხტება საჩქაროდ). ფიქრი არ არის, აქვე გახლავარ. (წამოავლებს ხელიდან გავარ-

დნილს ხმალს და შეუტევს. ზურაბ და მოურავი შეხელდახელდებიან. ამ დროს ედიშერი და სხვა რამდენიმე თავადი ჰკრავენ მოურავს ხმლებს. მოურავი წაიჩოქებს).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი—(წამოხტება საჩქაროდ) აგრე კი არ უნდა!.. (ჰკრავს კოლოტს ედიშერს, დასცემს და გადაივლის ზედ, ჰკრავს კოლოტს ზურაბს და დასცემს. ამ დროს სხვა თავადები წაუშენენ ხმლებს და სჭრიან მოურავს ფეხში და ხელში. მოურავი იბრძვის ცალი ხელით. ამ დროს ჩამოეშველებიან მოურავს რამდენიმე თავისი მხლებლები. აგრეთვე წამოესევიან ზურაბის ჯარებიც. მოხდება არეულობა. აქ მოჰხვდება ძოურავს გულში ისარი და უგონოდ დაეშვება ელია დიასამიძის და პაპუნა ვაშაყაშვილის ხელზედ. კიდევ იქექებს საშინლად ცა, ელავს და სცემს მოურავის ჯარებს პირქარი. მოურავის ჯარი გარბის, დიასამიძე და ვაშაყაშვილი გაიტაცებენ უგონო მოურავს).

ნ ო დ ა რ ჯ ო რ ჯ ა ძ ე — არიქა, კახელობაჲ! მოკვდა მოურავი ერთიც კიდევ და გათავდა... გამარჯვება ჩვენია...

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — (ეყრდნობა თავის ორს მხლებელს). არიქა, ჩემო არაგველებო!.. მოიგონეთ მამაჩემის ნუგზარის დრო... სააკაძისაგან როგორ უნდა ვჭამოთ სირცხვილი... (მიუძღვება ჯარებს). მოიყვანეთ ტახტრევანით დაკოდილი მეფე, როგორც იყვეს... ეხლა მოურავი მკვდარია... იმის ჯარებს ერთი შეტევის მეტი აღარა უნდათ რა... მეფის ნახვა ჩვენს ჯარებს გაამხნევებს. (შემოჰყავთ მეფე და უდებენ ტახტრევანზედ).

ნ ო დ ა რ ჯ ო რ ჯ ა ძ ე — ბატონს მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს... მოკვდა, ბატონო, შენი სისხლისმსმელი... მიუძეხ ჯარებს ეგრე ტახტრევანით... მოურავს ეხლა ვნება აღარა შეუძლია რა...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — წამიყვანეთ... მომყევით... გამუსრეთ და დაატყვევეთ... მკვდარი მოურავი არ დაანებოთ... შეიპყარით. (მიაქვთ მეფე წინ. ჯარები მისდევენ).

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ ი — მომყევით აბა, არაგველებო... მიჰყეთ და სულ ყლიტეთ... ბატონ მეფეს თეიმურაზს გაუმარჯოს!.. (იღებს ხმალს და მიუძღვება ჯარებს).

ჯ ა რ ე ბ ი — (გასდევენ ზურაბს). ბატონ მეფეს გაუმარჯოს!!.

ა რ ა გ ვ ე ლ ე ბ ი — ბატონ ზურაბს გაუმარჯოს!!.

კ ა ხ ე ლ ე ბ ი — კახელობას გაუმარჯოს!!.

ს ც ე ნ ა VI

სცენა სწარმოებს აწყურის არემარეზედ. მოურავი არის მარტო. დგას ორს ყავარჯენზედ დაყრდნობილი და ფიქრით გაჰყურებს ქართლის მხარეს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ეგ არის—ჩვენ დამარცხებულნი გავრბივართ

იმ ქვეყნიდან, რომლისათვისაც ასე თავგაწირულნი იმავ სიყრმითვე არ ვზოგავდით არავითარს დასათმობს... ჩვენ უნდა დავიღუპნეთ... ნუთუ მართლა უნდა დავიღუპნეთ?!.. საშველი აღარსად არის?! ვითომ მართლა აღარ არის?!. დავიჯერო მეტი ღონისძიება აღარ მოიპოვება იმის გარდა, რაც აქამდის მიხმარია საქართველოს შველისათვის!?. აოა! ღონისძიება არ დაილევა, თუ კაცი მოინდომებს... და, თუ მე აქ წყლულებსა და ჭრილობებს გადავრჩი, ჯერ იმედი არ გადამიწყვეტია. მე ვგრძნობ ჩემს თავში კიდევ ძალას, და სადაც ძალა არის, იქ ღონისძიებაც არ დაილევა. ღმერთი სულგრძელია... ალბათ თხოულობს ჩვენგან მოთმინებას, რომ უფრო მკვიდრი ბოლო მისცეს ჩვენს დაწყობილებას... ოღონდ ამ ჭრილობას გადავურჩე...

გიორგი ქავთარაძე — (შემოდის) რას ფიქრობ, გიორგი?.. ნუ დაუვარდები თავს... კაცი ის არის, ვინც უბედურებაში არ დაჰკარგავს სიმხნევეს!.. რომ ღვთის ბრძანებაც, უნდა თვით ღვთის ბრძანებას გადუდგე და შეუნახო შენი თავი საქართველოს...

დიდი მოურავი — რა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ. ეხლა მაგ ფიქრში ვიყავი და კარგი რომ ღმერთმა შენი თავი მაინც შემარჩინა იმავ სიყრმით სიბერემდინ. ჩვენი მისამართი ეხლა ხონთქრის მეტი აღარავინ არის. უნდა შენ გასწიო დღესვე და სულ დღე და ღამ იარო. ფაშასგან ფირმას მიიღებ... მიდი ხონთქართან. იმასთან, როგორც შენგან ვიცოდე, უნდა ეცადო, რომ პირისპირ მინახვინოს და ეს ამბავი უნდა მაცნობო რაც შეიძლებოდეს მალე. მინამ მე მოგიცდი ჩემის ჭართველობით არზრუმში.

გიორგი ქავთარაძე — ჩემს თავს იყვეს. მაშ მე ეხლავე გავსწევ ახალციხისაკენ, რომ ფაშა ვნახო და ფირმანი მივიღო, მშვიდობით. (ჰკოცნიან ერთმანეთს) მოვკვდეთ, თუ დავიხოცებით ქვეყნის სამსახურში... (უჩვენებს ქართლისაკენ) შეჰხედე ამ ხალხს... ამათ თავისი შესაფერი პატრონი და ცხოვრებაც ეკადრებათ, (გადის).

დიდი მოურავი — (მარტო). ნეტავი არ იქნებოდა, რომ შენსავით ბევრს სხვას ეყურებოდეს ეგ აზრი... მაშინ გიორგი მოურავი ასე შერცხვენილი, ასე გულმოკლული არ განიდევნებოდა სამშობლოდან... მაშინ ჩვენს ჰერქვეშ გვექნებოდა დამშვიდებული ცხოვრება და მოვრჩებოდით ამდენს გლოვასა და ცრემლა ... მაშინ არ გვექნებოდა სხვისი ცხოვრება სანატრელი.

იასე ქსნის ერისთავი — (შემოდის მკლავჩამობმული) გიორგი, კიდევ უნდა გამხნევდე და როგორც იყვეს შეიკრიბო ძალა და გავმგზავრდეთ, თორემ თეიმურაზი და ზურაბი ჯარებით მოდიანო... თეიმურაზს ქაიხოსროსათვის შემოუთვლია: დამნებდით და არას გერჩითო... მაგრამ, აბა იმას საპატრონყმოდ როგორ დავუდებთ თავს...

დიდი მოურავი — ვიცოდი თეიმურაზისაგან რაც ბოლო იქნებოდა, მაგრამ ზურაბისაგან მაგას არ მოველოდი. ჩემი სისხლის მსმელად დავამოყვრე მე ეგენი... მეტი გზა არ არის, უნდა გავეცალნეთ. დღეს თეიმურაზი გამარჯვებულია.

იასე — ჩემი სათქმელი სულ ის იყო, რომ თუ გინდა გამარჯვება, ვინც გზაში გადგიდგეს, ყველა უნდა გადასთელო-მეთქი. თუ ერთხელ დამარცხებულს მტერს ბოლო არ მოუღე საუკუნოდ, ის თავის დღეში მტრობას არ დაგიშლის, რაც გინდა სიკეთე უყო, რადგან კაცი წყენას და მეტადრე მარცხს ძვირად დაივიწყებს, და ცხადი იქნება, თუ მალვით, გავნებს რაც კი შეიძლება. მეორეც ეს, კაცის გული ისეთია, რომ თუ ერთხელ შერჩა ავკაცობა, კვლავ უარესს იზამს, შემდეგ ზნეთაც გადაექცევა, და მერე, თუნდა კიდეც რომ უნდოდეს, ვეღარ მოითმენს სიავკაცეს... თუ გინდოდა, რომ ჩვენ დღეს ასე შერცხვენილნი არა ვყოფილიყავით და დევნილნი ჩვენი ქვეყნიდან, ძალა შენს ხელთ იყო და შენი მტრების სინსილაც კი აღარ უნდა გაგეშვა ქვეყანაზედ. არა თუ ცხადი მტერი, და ისინიც კი უნდა გაგემუსრა, რომელნიც საეჭვონი იყვნენ, რომ მტრობას გაგიწევდნენ. სისხლის ღვრა არ არის კარგი, თუ კაცმა იცის, რომ უამისოდ ვნება არ მიეცემა, თუ არა, სისხლი პირველი წამალია.

დიდი მოურავი — ცხოვრება ბევრნაირია: კაცს ასეც მოევლება — ისეცა, ბოლო გარემოებაზედ ჰკიდია... და რა გარემოებას, რა ბოლო მისდევს — ის არავინ იცის, კაცის ხელთ მხოლოდ ცდა არის...

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — (შემოდის) თეიმურაზი და ზურაბი აქაც აღარ გვეშვებიან და მოგვდევენ ჯარებით... ჩვენ ქართველობას უნდა შენი ნახვა.

დიდი მოურავი — მობრძანდნენ. (ქაიხოსრო გადის) საწყალი ჩემი ქართველები, რარიგ არიან ჩემთვის თავდადებულნი!.. ვინ იცის ეხლა, რა დღე მოელით მაგათ ჩემის გულისთვის შინ როდ დაბრუნდებიან, და მე კი არა მაქვს იმდენი ღონე, რომ გუშველო მაგათ... მე უნდა იმ დროს სათათრეთში ვიყვე და

ვეძებდე ჩვენი პირველი დამამხობლისაგან შეწევნას; უნდა თავდამცრობილი, მუხლმოდრეკილი ვეხვეწებოდე ჩვენი სისხლის მსმელებს, რომ მოგვცენ საფარველი... (შემოდიან მრავალნი ქართლის თავადაზნაურნი). მობრძანდით, ბატონებო... დღეს მე შევიქმენ თქვენი უბედურების მიზეზი... მაგრამ იმედი მაქვს მიუტევებთ ამ უბედურებაში ჩავარდნილს მოურავს.

რამდენიმე თავადი — ბატონო გიორგი! შენთვის არც წინათ ვზოგავდით თავს და ეხლაც შენი გულისთვის რაც მოგვივა, შეგვიწირავს თავები... მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ თუ მოურავი ცოცხალია, არ გაუშვებს ჩვენს ცოლ-შვილს და ქვეყანას უნუგეშოდ... კიდევ შენს მეტი იმედი ჩვენ არა გვაქვს, და იმისათვისაც გიახელით, რომ ჩვენ სუყველას გვსურს შენი ხლება... სადაც შენ იქნები, ჩვენც იქ უნდა დავიხოცნეთ.

მრავალნი — შენთან სიკვდილი გვირჩევნია — სხვასთან სიცოცხლეს.

დიდი მოურავი — (მოსდის თვალებზედ ცრემლი) თქვენით ჰქონია ყოველთვის ჩემს დაწყლულებულს გულს!.. და ეხლა, ამ განწირულს ყოფაში უნდა გამოგეთხოვოთ და გაგშორდეთ... უნდა დასთმოთ ბედისაგან დევნილი გიორგი, ვიდრე კვალად ძალა და ღონე შეკრებილი, არ მოითხოვს თქვენს შემწეობას ქვეყნის გამოსახსნელად... მანამდინ კი ჩემი თხოვნა თქვენთან ის არის, რომ დაბრუნდეთ და მიჰხედოთ თქვენს დაობლებულს და უპატრონოდ გაშვებულს ცოლ-შვილს. მაგრამ გახსოვდეთ ყოველთვის, რომ მოურავი თქვენთვის და თქვენის სიმართლისათვის არის ამ დევნაში და კიდევ თქვენთვის დასდებს თავს... მინამ დაემორჩილენით თეიმურაზს და რომ იმისგან ვნება არა მოგეცეთ რა, მე ფაშას შევუყენებ იმას და უეჭველია, შიშით მაინც სცემს პატივს... მშვიდობით.

(ეხვევა და ჰკოცნის. ყველანი ჰკოცნიან მოურავს და მრავალნი ჰკოცნიან ხმალსა და ტანისამოზედ, მრავალნი სტირიან).

რამდენიმე თავადი — მშვიდობით. თუ ღმერთმა გვაღირსა კიდევ შენი თავი, ჩვენი თავიცა და ჩვენი ცოლ-შვილიც შენთვის შეგვიწირავს... ერთი შენი სახელი და ჩვენი თავი შენი ჭირის სანაცვლოდ გაგვიხდია.

პაპუნა ვაშაყაშვილი — (შემოდის) ბატონო, მალე ვუშველოთ ჩვენს თავს, თორემ თეიმურაზი და ზურაბი მოგვიახლოვდნენ.

მრავალნი — მოვიდნენ, მოვიდნენ! ბარემ აქვე დავიხოცავთ ბა-

ტონ მოურავთან თავებს და აღარა ვნახავთ იმ სირცხვილს, რომ თეიმურაზი და ზურაბი გაგვიბატონდნენ.

რამდენიმე თავადი — გვიბრძანე ბატონო გიორგი, გაგვიძეხ და გიჩვენებთ, რომ კიდევ ისე არ დავმცრობილვართ, რომ იმათთან ბრძოლა არ შეგვეძლოს...

დიდი მოურავი — არა, ბატონო! უშველეთ ეხლა თქვენს თავს... ასე მცირენი, მოწყვეტილნი და დაჭრილნი იმათს დასვენებულს და წაქეზებულს მრავალ ჯარებთან ვერას ვიზამთ,—ტყუილად დავიხოცავთ თავებს... მშვიდობით, თქვენი ჭირიმეთ... შეიბრალეთ თქვენი ცოლ-შვილი... და როცა საჭირო იქნება, გიორგი სააკაძე თითონ დაგიძახებთ თქვენ და იმედია ასეთს სირცხვილს აღარა ვჭამთ... მშვიდობით ბატონებო, მშვიდობით ჩემო ქვეყანავ!..

ყველანი — (უკრავენ ერთბაშად თავს) მშვიდობით! (გადიან ტირილით. რჩება მოურავი მარტო).

დიდი მოურავი—(ადის სერზედ და გადაჰყურებს საქართველოს მხარეს გულხელდაკრეფილი. სცენის გარეთ ისმის ქალის ხმით სიმღერა).

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“...

დიდი მოურავი — იმღერე, ჩემო ასულო, ეგ საგლოვი ხმები... მამიდაშენიც შენსავით მაგგვარს გულისსაკლავს ხმებს მღეროდა... და, ვინ იცის, შენც იმისავით გულსსაკლავი ბოლო გიწერია... გიორგი სააკაძის ბედისაგან გასაკვირველი არა არის რა. (ამბობს ჩაფიქრებით): „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!..“ და თუ კაცი თვით ღმერთისაგან არის გაწირული?!.. ასე კი არ ითქმის: „ხალხსა შენგან განაწირსა?!“ მე სულ იმ იმედზედა ვარ, რომ ღმერთი ხალხს არ გასწირავს... ბოლოს კარგს მისცემს... მაგრამ, ნუთუ ეს ხალხის გაწირვა არ არის, რომ დღეს ამოდენა ქვეყანა ამ დაუსრულებელს უბედურებაშია?!. ვთქვათ, ჩვენი შვილიშვილების მომავალი სწორედ კარგია... მაგრამ ჩვენ რომ წუთისოფელი ჩაგვმწარდა, ჩვენ რომ ჩვენი დღენი მწუხარებასა და ვაებაში დავაღამეთ, ნუთუ ჩვენ ხალხი არა გვქვიან?.. მაშასადამე, რა მიზეზია, რომ ღმერთმა ჩვენი მომავალნიც ჩვენზედ უარესად არ განწიროს?!. ჯერ რამდენიც წინ მივდივართ, იმდენი უარესს ვხედავთ... (ჩაფიქრდება) ჩვენ გვქვიან ღვთის ერი, ჯვარის თაყვანისმცემელნი... ჩვენ ასე ვუწოდებთ

ჩვენს თავს... სხვებს ვეძახით ღვთისაგან შეჩვენებულთ... თურქნი, სპარსნი არიან მაჰმადიანნი... ღვთისაგან შეჩვენებულნი... ესენი გვნთქამენ ჩვენ... ღმერთი არ გაუშვებს თავის ერს!!!... ჰმ!!!...

პაპუნა ვაშაყაშვილი — (შემოდის) მზად გახლავთ ყველაფერი, — თქვენ გელიან. (გადის ისევ).

დიდი მოურავი—მზად არისო!.. უნდა გამოვესალმო ჩემს მიწა-წყალს, ჩემს ქვეყანას, სადაც პირველად დავინახე მზე, სადაც ჩავღვარე ამოდენა სისხლი და ოფლი. (ისმის სცენის გარედან სიმღერა).

„არ გაგვიღიმა სოფელმა,
ტანჯვა გვიქცია ხვედრათა,
შავბედი გზათა დაგვიგო,
გლოვა გაგვიდო ხიდათა...
სამშობლოს მხარით გაგვტყორცა,
ტყვეთ მიგვცა უცხოს ალაგსა...
მშვიდობით, ტკბილო ქვეყანავ,
შორით გიგზავნით სალამსა...“

დიდი მოურავი — ოჰ, ჩემო სოფიო, მაგ შენს ტკბილს ხმებში თითქო იწურება ჩემი გულის მწუხარება... ნუთუ შენც გედება ამგვარი რამე ალი?!. იქნება შენ დაგრჩა ისეთი გულის სატრფო შენს სამშობლოში, რომელსაც შენ ვერავისთან გაამჟღავნებ და რომლისაც დაშორების მწუხარებას სახავ შენს გულისმომკვლელს სიმღერის ხმებში... ღმერთო რაზედ მიკვდება ასე გული ამ მოშორებაზედ?!. რატომ კვლავ არ უკვნესია ასე მტკივნეულად ამ ჩემს გულს?!. ასე მიკვნესოდა გული, როცა უკანასკნელად ვესალმებოდი ჩემს პაატას, ოჰ, ჩემო ტკბილო ქვეყანავ! შენ შემოგწირე ჩემი პაატა. და დღე მოვკვდე მეც შენს გზაზედ... კიდევ ვცდი ერთს ღონეს... ოოო! თუ იმედი არა მქონდეს კიდევ შენის შვილისა და ხსნისა, აქვე მოვკვდებოდი და შენ კი აღარ დაგშორდებოდი ამ სიბერის დროს, რომ ამ ჩემთ ძვალთა მაინც განესვენათ თავის სანატრელს ქვეყანაში... მშვიდობით საქართველო, (იჩოქებს და ტირის). მშვიდობით, შვილივით ნაამაგდარო ქვეყანავ... (ემხობა პირქვე და ჰკოცნის დედა-მიწას). მშვიდობით, ჩემო ალმზრდელო მიწავ. (იღებს ერთ მუჭა მიწას და იდებს უბეში). ეს ერთი მუჭა მიწა მაინც ჩამყვეს საფლავში, თუ არ მიწერია ჩემს ქვეყანაში დამარხვა... მშვიდობით! და ვაი იმათ, თუ გამარჯვებული დავბრუნდი შენს გამოსახსნელად, ვინც მე წინ დამიდგება... (დგება და საჩქაროდ გადის).

მოქმედება მეხუთე

სცენა I

სცენა სწარმოებს სტამბოლს, სულთანის სასახლეში. სულთანი და დიდი მოურავი არიან მარტონი.

სულთანი — მე დიდად გამიკვირდა, რომ ასე ჩვენი დაუმორჩილებელი და თავდაუდებელი გურჯისტანის სარდალი — საქაძე დღეს მოგვადგა კარს თავდაბლად და ისურვა ჩვენი თაყვანება.

დიდი მოურავი — ვინა არს ცათა ქვეშე მზირალი მზისა სხივთა, რომელი არა ჰმონებდეს ძლიერს მფლობელსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისას. მე, უკანასკნელს მონასა თქვენსა, ვითარ შემეძლო ისე დაღამება ჩემის სიცოცხლისა, რომ არ გავმხდარიყავ ღირსი მაღალის ხონთქრის თაყვანებისა, რომლისაც აღძვრით — აღიძვრის თვით დედა-მიწაცა.

სულთანი — მაგრამ როცა უძღოდი შაჰ-აბაზ ყეენის ჯარებს და იბრძოდი ბაღდადში, მაშინ ვგონებ აგრე არ ფიქრობდი. — შემდეგ იმ უკადრისობისა, რომელიც შენ მოგვაყენე ბაღდადისა და სხვა ადვილების წართმევით, შენ ჩვენს კარს რკინის პალოზედ აგების მეტის ღირსი არ იყავ; მაგრამ, რაკი თვით შესულხარ სინანულში, — პატივსა ვსდებთ შენს გმირობას, იმ იმედით, რომ ამ ჩვენს სულგრძელობას დაიმსახურებ ჩვენს წინაშე.

დიდი მოურავი — მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის, როგორც მოხდა ჩემი თქვენთან წინააღმდეგობა. თქვენც კი მოხსენებული გექნებათ, ვინაიდან არა არს ცათა ქვეშე დაფარულ, რომელი არა უწყოდეს მძლევთა მძლეველმან და ძლიერთა უძლიერესმან ქვეყნის მპყრობელმან სულთან-მურადმან, რომ როდესაც მეფემან ქართლისამან ლუარსაბ დამიწყო დევნა სასიკვდილოდ, ჩემი სურვილი იყო მაშინვე თქვენის საფარველისათვის მომემართა, მაგრამ შემიკრეს ყოველმხრივ გზა, რომ არ შემძლებოდა აქეთკენ გამოსვლა; და მაშინ მეტი გზა არ იყო, უნდა

გავცლოდი ჩემთა მდევართა საითაც გზა მიჩვენებდა. გზამ მომცა სპარსეთის მხარე გასასვლელად და სპარსთა ხელმწიფემან შაჰ-აბაზმა შემიწყნარა. რაკი იმან ისე შემიწყნარა, მასუკან ვაჟკაცის წესი არ იქნებოდა, რომ არ აღმესრულებინა სურვილი შაჰისა; თუმცა მაშინაც და ყოველთვისაც დარწმუნებული ვიყავ, რომ თქვენი წინააღმდეგობა არავის გამოადგებოდა და ყოველთვის ვეძებდი დროს, რომ მეჩვენებინა თქვენთვის ჩემი ერთგულება.

სულთანი — რომ არავის გამოადგება ჩვენი წინააღმდეგობა, ეგ იმითი დავამტკიცეთ, რომ რაც შენ სპარსეთიდან გამოხველ, ჩამოვართვი სპარსთა წართმეული ადგილები და ბევრი სხვაც კიდევ.

დიდი მოურავი — დიახ! ეგ გახლავთ მიზეზი, რომ დღესაც თქვენ და სხვას არავის, მიჰმართა სარდალმა სააკაძემ. ჩემი ხლების მიზეზი, გარდა პირისპირ თაყვანისცემისა, რომლისაც მონატრე ვიყავ ჩემს სიცოცხლეში, გახლავთ კიდევ ისა, რომ მიიღოთ თხოვნა, რათა შეიქნეს ხელმწიფე მთლად სრულიად საქართველოისა. მე ეს თქვენს შეუწუხებლივაც უნდა მომეხერხებინა და ვიხმე იმერთა და ათაბაგის ჯარები, რომ ქართლი და კახეთი მიმეცა იმერთა მეფისათვის, რომელიც არის თქვენის მფლობელობის ქვეშე, მაგრამ მარტო ჩვენის ძალით ვერას გავხდით. სპარსნი წაქეზდნენ ამ ჩვენის დამარცხებით და კიდეც შეიტყვეს, რათაც ვაძლევდი ქართლსა და კახეთს იმერთა მეფეს, ამის გამო ისინი ეცდებიან, რომ დაიპყრან იმერეთიც და ამითი დაამცირონ თქვენი ტახტი და თქვენი დიდება. მე კარგად ვიცნობ სპარსთა: ისინი არიან დაუძინებელი მტერნი და მეშურნენი თქვენის დიდებისა; ისინი ეძებენ ყოველს მარჯვე დროს, რომ თქვენ დაგამარცხონ და თვითონ აღმაღლდნენ ამით. იმათ ეხლავე აქვთ თქმულება თეიმურაზთან, რომ დაიპყრას იმერეთი და გამოგაცალოსთ თქვენ ხელიდან, რისთვისაც ჰპირდებიან დიდს შემწეობას და მე მოგახსენებთ ძლიერო ხელმწიფეო, რომ იმერეთის დაპყრობით მოიცემენ სპარსნი დიდს ძალას, რადგან, თქვენ უწყით, რა ვაჟკაცი ხალხიც ასხია იმერთა სამეფოს და სამთავროებს. მე გიახელით ჩემითაც და თვით იმერთა მეფის გიორგის მონდომებითაც, რომ გთხოვოთ შემწეობა სპარსთა და თეიმურაზის ძლევისათვის, რათა ერთგული თქვენი გიორგი მეფე შეიქნეს მპყრობელი ქართლ-კახეთისაც, რომ გაიხადოს მთლად ქვეყანა საქართველოსი საყმოდ და ამითი დაამარცხოს თქვენი

დაუცხრომელი მტერის სპარსეთის ტახტის ძალა. ვიცი, რომ სპარსნი არა'თუ თვით, თუ შეიძლებენ რასმე, აღაშფოთებენ თქვენს საკუთარ საყმოსაც. დიდი ხანია იმათ ჰქონდათ ლაპარაკი სოხასტასთან რომ აშლილიყვნენ ისინი და სპარსნი აღუთქვამდნენ ყოველგვარს შემწეობას. არ დაცხრებიან სპარსნი, ვიდრე იმედი აქვთ საქართველოს მხრივ. ამის გამოც და სპარსთა შესამუსრავად, იძღვენით, ხელმწიფეო, მთლად საქართველო და გვიბრძანეთ, რომ აღვასრულო ყოველი თქვენი ბრძანება.

ს უ ლ თ ა ნ ი — მომეწონა შენი სიტყვები. შენ სთქვი ისე, როგორც მე დიდი ხანია მიცვნია სპარსელები. შენი განზრახვა დიდი ხანია მეცა მაქვს, მაგრამ ამის აღსრულებას ვერ შევდგომოდი, რაკი ნახევარზედ მეტი საქართველოსი არ მიდებდა თავს და ეწეოდა სპარსთა ხელმწიფესა. ეხლა რაკი უწარჩინებულესი სარდალი გურჯისტანისა თვით მახლავს და მთხოვს საფარველს, უფრო ადვილია მაგ აზრის შესრულება. მაგრამ ჯერობით უფრო სხვაფრივ მიჭირს შენი თავი. ჯერ ჩემი ჯარები არიან სხვა საქმეზედ. ხომ იცი, რომ სოხასტის რამდენიმე ქვეყანა და ქალაქი აგერ კარგა ხანია აღარ გვიდებს თავს. მესმოდა და ეხლა შენი სიტყვითაც მტკიცდება, რომ ისინი არიან გაბრიყვებულნი სპარსთაგან და მოინდომეს ჩემი სამფლობელოდან განთავისუფლება. ჩემი პირველი ვეზირი და ჩემი საყვარელი დის ქმარი აგერ წელიწადზედ მეტია ადგია ერთს იმ ქალაქთაგანს ასი ათასის კაცით, და წარმოიდგინე შეუპოვრობა ჩვენი წინააღმდეგობისა, რომ აქამდის არ ემორჩილებიან ჩემს ჯარებს. ამის გამო შენ შენის ქართველებით უნდა წახვიდე ჩემს ვეზირთან და დაეხმარო განდგომილი ქვეყნის დასამორჩილებლად. თუ იქ დაგვიმტკიცებ შენს ერთგულებას და ვაჟკაცობას, რაწამს დავიპყრობთ იმ ქვეყნებს, მაშინვე მოგცემ ძალას, რათა ჩემი აზრიცა და შენი სათხოვარიც შევასრულოთ. დრო არის, რომ ჩვენ დაუდეგართ მტერთ — სპარსთა ვაცნობოთ ჩვენი ძალა და დავამციროთ ისე, რომ კვლავ აღარ განიზრახოს ჩვენი წინააღმდეგობა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — გახლავართ სრული მონა თქვენი ბრძანებისა და თქვენი სურვილისა. მიბოძეთ ფირმანი და მე უმალვე გიახლებით თქვენი ბრძანების შესასრულებლად.

ს უ ლ თ ა ნ ი — ეხლავე ვუბრძანებ, რომ მოგცენ ყოველი სამზადისი და ქაღალდსაც მივწერ ვეზირს. მასუკან შენ იცი.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მაღალო ხელმწიფეო! ესე ყოველი განზრახვა უნდა დარჩეს საიდუმლოდ, ვიდრემდის საქმეს საქმეზედ არ მივიყვანთ, თორემ ცბიერნი სპარსნი მოგვიცრიან ხელს და თითონ გაიკეთებენ საქმეს, როგორც უჯობსთ.

ს უ ლ თ ა ნ ი — სწორედ გონივრულად ამბობ; შენ სთქვი, რასაც მე ვფიქრობდი. ყოველივე იქნება დაფარული. მშვიდობით. (გადის).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ღმერთო!.. (გადის).

სცენა II

სცენა სწარმოებს საქართველოში, თეიმურაზ მეფის სასახლეში, გრემს. თეიმურაზი არის მარტო.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ეს ქართლ-კახეთი დავიმორჩილე. სვიმონ მეფის თავიც ხომ ძღვნად მომართვა ჩემმა ზურაბმა; მოურავიც გავიცალე. მტერი ბევრი აღარავინა მყავს. დეე მოურავმა იქ ოსმალებისთვის სთხიოს სისხლი. ძაღლს ძაღლური ცხოვრება ეკადრება... ყეენიც ვეღარა კადნიერდება აგრერიგად... ეს ერთი კარგი საქმე მიყო მოურავმა, რომ ზურაბს დამამოყვრა... რა საქმეები არ ჩაიდინა ჩემი გულისათვის ზურაბმა!.. ოო, ჩემო ზურაბ! დაუფასებელი ხარ შენ ჩემთვის... განა უშენოდ დღეს მე ასე თავისუფლად ვივლიდი ჩემს კახეთში... ეხლა რამდენი სხვა ქვეყნები დამიმონა....

კ ა ხ ე თ ი ს ე რ თ ი დ ი დ ი თ ა ვ ა დ ი — (შემოდის შეწუხებულის სახით). მე გიახელით, ბატონო მეფევ, თქვენთან ერთი საქმის გასამჟღავნებლად... მაგრამ...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — მაგრამ?!.

თ ა ვ ა დ ი — მაგრამ!.. არ არის ადვილი მოსახსენებელი, მეტადრე თქვენთან... მაგრამ...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — თქვი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! ხომ იცი, მე იჭვში ყოფნა მეჯავრება.

თ ა ვ ა დ ი — უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენცა და ქვეყანაც გამოგიხსნათ განსაცდელისაგან, თუმცა ვიცი, რომ თქვენ ეს ამბავი გაგაოცებთ და დაუჯერებელი გეჩვენებათ.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ბრძანე მამაშენის სულის მზესა! განა ისეთი რა მოხდა ჩემს თავს, რომ დასაჯერებელი არ იყვეს: მე ჩემის ბედისაგან ყველას მოველი.

თ ა ვ ა დ ი — მოგახსენებთ, თუ ჯერ ღვთის ფიცს დამიდებთ, რომ

ეს სიტყვები არ გამივა, თორემ მეც მევნება და თქვენ ხომ უარეს მოელოდეთ. ეს ამბავი იმისთანა კაცზედ გახლავთ, რომელსაც ყველაფერი შეუძლიან.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — (შემკრთალი). რა იყო? მოურავი ხომ კიდეა არაფერს გვიპირებს?

თ ა ვ ა დ ი — ჯერ ფიცი მიბრძანე, თორემ არ შემიძლიან მოგახსენო.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — მეგმოს წამებული დედაჩემის ქეთევანის სული, თუ ჩემგან შენ ეგ სიტყვა გაგივიდეს.

თ ა ვ ა დ ი — ბატონო ჩვენო და მწყალობელო! თქვენც შეიტყობდით, ზურაბ რარიგად არის აზავებული. ამდენმა ქებამ და დიდებამ სრულებით გაიტაცა ეგ. მოგეხსენებათ კიდეც — გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რათგან თქვენი ასულის ქმარი გახლავთ — რა მოდგმის კაციც არის. პაპა მაგისი იყო ერთი უბრალო ღატაკი აზნაურიშვილი და მამამან მაგისმან სისხლით შეიძინა, რაც დღეს ნუგზარის შვილებს უჭირავთ. მოგეხსენებათ კიდეც, რომ ნუგზარი მოკვდა მეფის ორგულობაში და მოურავის სამსახურში. ესეც ხომ გუშინ იყო, რომ ზურაბმა, რაკი დაატყო სვიმონ მეფეს ძალა, გადაგიდგათ თქვენ და მისცა ქართლი სვიმონს. შემდეგ დაგატყოთ, რომ ძალა თქვენსკენ იყო, მაშინ სვიმონ მეფეს მოტყუებით და ღალატით მოსჭრა თავი და მოგართვათ თქვენ... ნახეთ აგრეთვე, რომ ზურაბ მას აქეთ მეფობას ჩემობს და თქვენ, თითქმის საქვეყნოდ არად გაგდებთ. ამას შემდგომ არ ვიცი, მეფეო, სხვაც რამ შენიშნეთ ზურაბს, თუ არა?

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ჰო, ბრძანე, სხვაც ბრძანე მამაშენის სულის მზეს... იქნება კიდევ სხვაც რამა აქვს გუნებაში?!

თ ა ვ ა დ ი — გუნებაში კი არა, დიდებულო მეფეო, — და გადაწყვეტილიცა აქვს... აქვს გადაწყვეტილი და მოურავზედ უარესად უპირებს ქვეყანასაც და თქვენც დაღუპვას...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — მართლა მამაშენის სულის მზეს?.. მითხარ რა განუზრახავს ჩვენს დასაღუპავად... ზურაბი სახუმარი კაცი არ არის; დიდი ხანია ვხედავ, რომ მე იმისი გაფრთხილება მმართებს.

თ ა ვ ა დ ი — გაფრთხილება არა, ბატონო, და სხვა უარესიცა გმართებთ, თუ გინდათ თქვენი თავიც და ქვეყანაც უბედურებას განარიდოთ.. ზურაბს განუზრახავს საშინელება, რომელიც სათქმელადაც შესაზარავია ყოველის კახელის კაცისათვის. განუზრახავს თქვენი სიკვდილი და ქვეყნის დაღუპვა... ამაზედ

ის კიდეც განზრახვია სპარსთა... მეფეო! დაიხსენ ქვეყანა უბედურებისაგან; გვეყო ამდენი სისხლი და აოხრება.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ზურაბს განუზრახავს ჩემი სიკვდილი?!. ოო! განა არა, დიდი ხანია ცუდს განზრახვას ვატყობდი მე იმას. სწორედ წამებული დედაჩემის მადლი მიფარავს მე ბოროტი განზრახვთაგან... სად არის ნოდარი?.. სად არის ეხლა ზურაბი?

თ ა ვ ა დ ი — ნოდარი თქვენს სასახლეში გახლავთ და ზურაბი არაგვზედ. იქიდან აქვს ჩუმად მითქმა-მოთქმა სპარსებთან...

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ნოდარს როგორღა ჰხედავთ? ისიც ძლიერი კაცია.

თ ა ვ ა დ ი — ნოდარ კახელი კაცია და ჯერ თქვენი ერთგულების მეტი არა ეტყობა რა.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — ვიცი, დარწმუნებული ვარ ჩემს კახელებზედ, ჩემს ნოდარზედ... მივმართო ისევ ნოდარს... მე და ზურაბობა აღარ იქნება... (გადის).

თ ა ვ ა დ ი — (მარტო). დიდი ხანია ზურაბი ბოლო მოსაღები იყო და გვიან ეღება.

(შემოდიან რამდენიმე თავადი).

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ა დ ი — რა ჰქენ?

თ ა ვ ა დ ი — რა ვქენ?! დიდი ხანია ჩვენ ეს ღონე უნდა გვეხმარა... მე შენ მოგახსენო, ბატონი ადვილად არ დაიჯერებს... მერე ზურაბზედ რას არ დაიჯერებს; არ დაინდო თავისი მამისოდენა ნაამაგარი და სიძე მოურავი, არ დაინდო საკუთარი ძმები, არ დაინდო მეფე. სვიმონ, და რასაკვირველია, რომ თეიმურაზი თავის თავზედაც იჭვს შეიტანდა და დაიჯერებდა... იქნება მართლაცა და არც კი დაინდოს, თუ გაუჭირდა...

მ ე ო რ ე თ ა ვ ა დ ი — ოღონდა და!

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ა დ ი — ხომ დარწმუნდა?

თ ა ვ ა დ ი — აბა, რა! მაშინვე ნოდარისკენ გასწია: მე და ზურაბობა აღარ იქნებაო... ეხლა ნოდარმა იცის...

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ა დ ი — ხომ გააფრთხილე, რომ არ გაგცეს?!

თ ა ვ ა დ ი — რაღა თქმა უნდა!

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ა დ ი — უნდა მოკლას, თორემ თუ ცოცხალი დარჩა, ჩვენ ის კეთილს არ დაგვაყრის.

თ ა ვ ა დ ი — რასაკვირველია... მაშ გგონიათ ეხლა, თუნდა თავდები რომ მისცეს, კიდევ ენდოს ის ზურაბს... ეს არის გათავდა იმისი სიცოცხლე.

მეექვსე თავადი — დიდი ხანია ჩვენ ასე უნდა გვეფიქრა რამე... ჩვენ ორს ღმერთს ვერ ვემსახურებით... ჩვენ ორს ბატონს ვერ ვიყოლიებთ.

მეშვიდე თავადი — არაგველი კაცი რომ კახელებს გვებატონებოდეს, დიახაც და არ არის მოსათმენი...

მერვე თავადი — მეფესაც რომ არ ეკისრა, განა ჩვენ კაცები არა ვართ. ეგეც ხომ მოურავი არ არის, რომ ვერავინ რა გაუბედოს...

თავადი — არ იქნება... მერე მეფეც ჩვენ გაგვირისხდება, სხვებიც: და არაგველებს ხომ აქ ველარავინ დაუდგებით... ისევ სჯობს, რომ მეფის ბრძანებით მოვიშოროთ თავიდან.

მეცხრე თავადი — აგერ მეფე და ნოდარიც მობრძანდებიან. გავიდეთ და გარედან ვუგდოთ ყური რას ილაპარაკებენ.

(გადიან. შემოდიან მეფე და ნოდარ ჯორჯაძე).

ნოდარ ჯორჯაძე — მე თითონაც ვატყობდი ზურაბს რაღაც სხვანაირს ანგარიშებს, მაგრამ ვერ გამებედნა: ვაითუ მეფეს ეწყინოს-მეთქი... ეხლა აღარც კია ჩვენთვის საჭირო ზურაბი. ეხლა ჩვენ ზურაბის ძმები უფროც გვინდა. მოურავი საშიშ აღარ არის, რადგან თითქმის ყველანი გამოსცლიან და დაბრუნებულან შინ. ისეთია იასე ქსნის ერისთავი, რომ სულ კბილებს იმტვრევს... მოურავი თავისებურად ბატონობას და ჩუმჩუმაობას არ იშლიდა, საჩუქარი ხონთქრისაგან მარტო სულ თურმე იმას მოსდიოდა, და სხვის ხსენება კი არსად იყო. ეს, რასაკვირველია ქართველობას ვერ მოუთმენია და გამოსცლიან ზოგიერთ წვრიმანების მეტი. ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და ქავთარაძეც თურმე დროს ეძებენ, რომ გამოეცალნენ, იასე და სხვები ამ დღეებში გიახლებიან, თუ შეირიგებთ და გეყმობიან საუკუნოდ. შეურიგებლობა იმათ არ იქნება, რადგან ზურაბის საყმოს გადაკიდება მოგვიხდება. ამასთან ხომ იცით, რომ იმათაც დიდი ძალა უჭირავთ ხელთ.

მეფე თეიმურაზ — მე მაშინვე ვიცოდი, რომ მოურავი თავისას არ დაიშლიდა.. გარწმუნებ, რომ კიდევ ზურაბი უარესია მოურავზედ... მაგათი შერიგება გვიჯობს, ოღონდ გადასახად მოგვართვან.

ნოდარ — დიდი მოსართმევი აქვთ თქვენთვის მოტანილი.

მეფე თეიმურაზ — კეთილი, ეგეც ერთი, რომ ღმერთი ჩვენ ხელს გვიმართავს!.. ეხლა ზურაბის მოშორებაღა გვაკლია და პატარა გული მოგვისვენებს... აბა მაშ შეუდექ თავდარიგს, და

როგორც შენგან ვიცოდე, ჩემო ნოდარ, მოიგონე წამებული დედაჩემის ღვაწლი, იმისი მადლი იფარავს კიდევ ქვეყანას.

ნ ო დ ა რ — დარწმუნებული ბრძანდებოდე, მეფეო, რომ ნოდარ თვით თავის თავსაც არ დაჰზოგავს თქვენი დღეგრძელობისათვის; უნდა მოკვდეს ყოველი მეფის ორგული! (გადის).

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — და კიდეც მოკვდება. (გადის ისიცა).

სცენა III

სცენა სწარმოებს სოხასტის ერთ ქალაქში, მოურავის სადგომზედ. აქ არიან მარტო მოურავი და გიორგი ქავთარაძე.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — აი, გიორგი! გავათავე ყველა წერილები. ეს მოუტანე გიორგი მეფეს. რასაკვირველია, იასე და სხვანი მისულები იქნებიან საქართველოში. გააფრთხილე კიდევ შენათაც, რომ არ აჩქარდნენ და უდროო დროით არ მისცენ რამე მიზეზი თეიმურაზს და ზურაბს. როგორც იმათთვისაც მითქვამს, როცა დრო იქნება, მე თითონ ვაცნობებ იმათ ყველაფერს. შენც მდაბლად ეცი თაყვანი თეიმურაზს, ზურაბს რაც შეგეძლოს დაუახლოვდი. ერთი დრო იყო, რომ შენ ძალიან უყვარდი და გიჯერებდა სიტყვას. რაც შეიძლოთ ეცადეთ დაჰყაროთ ხმა ჩვენი გამარჯვებებისა, და ეცადეთ რომ ეს ხმა. უფრო და უფრო მოედოს ხალხს; მაგრამ დიდ პირებთან ერიდეთ ჩვენს ქებას. გამარჯვებებზედ კი ბევრი ილაპარაკეთ, მეფის ერთგულებთან მაგინეთ, როგორც მტრებმა და სხვებთან ერიდეთ ჩემს ურიგოდ ხსენებას. თუ მეგობარნი აგინებენ ხალხში კაცს, იმ კაცს ეხტიბარი უტყდება და ჰკარგავს რწმუნებას.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — სულთანი როგორ გაიმედებს, როდის იქნებაო?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ყოველივეს მაშინა სცნობთ, როცა მე შეგატყობინებთ. თვით გიორგი მეფემაც არ უნდა იცოდეს—როდის, ან როგორ რა იქნება, მხოლოდ თქვენცა და ისინიც უნდა ყოველ წამს მზად იყვნეთ... შენ ყოველივე ისე უნდა დააწყო. როგორც მითქვამს, თორემ ერთ სიტყვის გადაბრუნებას შეუძლიან ჩვენი საქმის წახდენა... მე რომ აწყურს ჩამოვალ, თქვენ მანამდინ ქოჩორას გადმოსულები უნდა იყვნეთ. ეცადეთ ალისა და სურამის ხალხი ჩვენსკენ იყოს პირველსავე დროს. ეს არც არის ძნელი, რათგან მე იმათ ძალიან ვუყვარდი. ქაიხოსროსაც, რაწამ დაბრუნდება სტამბოლიდან, მაშინ-

ვე გამოვგზავნი. ისიც მისული იქნება ეხლა სტამბოლს. მშვიდობით. სულ დღე და ღამ უნდა იაროთ.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — მშვიდობით. (ჰკოცნიან ერთმანეთს, ქავთარაძე გადის).

პ ა პ უ ნ ა ვ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — (შემოდის) ჩვენ მგონი აღარც კი მოვვინდება ამ უკანასკნელი განდეგილების სიმაგრესთან ბრძოლა.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — როგორ?

ვ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — რაკი სპარსეთის მხრივ გზები შეუკარით, სრულებით უსაზრდოოდ დარჩნენ და ძალიან გასჭირებიათ საქმე. მოციქულები გამოუგზავნიათ, რომ, თუ შეგვირიგებენ, დავემორჩილებით და თავს დავუკრავთო.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — შემოუშვი მოციქულები. (ვაშაყაშვილი მიდის) ეს კარგი საქმე მოდის, რომ თვითვე თხოულობენ შერიგებას. მე ამასაც ჩემი საქართველოს სასარგებლოდ მოვიხმარებ.

(შემოდის ვაშაყაშვილი და მოციქულები. მოციქულები ეცემიან მუხლისთავებზედ, იდებს ერთი იმათგანი თავზედ ქაღალდს და არიან ისე).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (აიღებს ქაღალდს და კითხულობს) კარგი. თუმცა ბრძანება მაქვს, რომ არამცა და არამც არ შეგირიგოთ, მაგრამ მე ვეცდები დიდებულს სულთანთა, რომ მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი. მხოლოდ სხვა გადასახადს გარდა, თქვენ უნდა ათასი კარგი შეიარაღებული ცხენოსანი მეომარი მოგვცეთ გურჯისტანისკენ საომრათა, თავისის საგზლით და ხვედრის ფულით.

მ ო ც ი ქ უ ლ ე ბ ი — (იდებენ გულზედ, ტუჩზედ და შუბლზედ ხელსა და დგებიან). ოღონდ ქალაქს ნუ წაგვიხდენთ და ხალხს ნუ გაგვიწყვიტავთ და ჩვენ მზათა ვართ ყოველრიგის სამსახურისათვის.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — მაშ ეხლავე დავაწერინებ პირობას, რომელზედაც მოვაწერთ ორივე მხარე ხელს, და მაშინ თქვენი ქალაქი დარჩება უვნებლად. (მოციქულები ჰკოცნიან მოურავს კალთის წვერებზედ და გადიან).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ეხლა ყველა გაჩარხულია, გამგზავრების მეტი აღარა გვინდა რა. ათასი კაცი ჩვენს ხელთ ათი ათასს სხვას უდრის (გადის).

სცენა IV

სცენა სწარმოებს სტამბოლს, სულთანის სასახლეში.

ს უ ლ თ ა ნ ი ს ე რ თ ი ც ო ლ ი — რა კაცი გამოგვადგა ეგ გურჯი სააკაძე, თითქმის სულ დაუპყრია განდეგილები. სულთანი

დიდს წყალობას უმზადებს... სულ იმის ქებასა და ლაპარაკშია.

სულთ. მეორე ცოლი — თუ არ საპაძე, განდეგილები აქამდის სტამბოლს აიღებდნენ. საკვირველს რასმე ამბობენ მაგ გურჯისა... განა თუ მარტო გურჯები იბრძვიან იმის ხელთ კარგათა, იმის ხელში ოსმალები კიდევ თურმე უკეთესად იბრძვიან...

მესამე ცოლი—მთელი სტამბოლია და საპაძეზედ ლაპარაკი. ჰე კი მაშინვე ვამბობდი, რომ თუ რასმე იზამს — ის იზამს-ეთქი. ჯერ ერთი ისე რომ შეჰხედო, იტყვი მარტო ის გაიტანს ათას კაცსაო. რომ დადის, თითქო დედა-მიწა ირყევაო.

ერთი მხლებელი ქალი — სტამბოლი დიდს სამზადისშია, რომ როცა დაბრუნდება საპაძე, — დიდ დახვედრას უპირებენ. სადაც არ შეხვიდე — ყველგან საპაძის ლოცვაში არიან. იმის მეტი სტამბოლში ეხლა სალაპარაკო აღარა არის რა.

მეორე მხლ. ქალი — თქვენმა მზემ, ღირს კიდეც სალაპარაკოთა. ათის კაცით თურმე ათასს ისე გამუსრავს, რომ თითქო აქ არა ამბავიაო.

მესამე მხლ. ქალი — ცხენიდან კაცს თურმე აიღებს და ისე ესვრის ერთმანეთსა. კედელს თურმე ერთი წიხლის მირტყმით ანგრევს.

სულთანის მეოთხე ცოლი—მუხის ხეებს თურმე ჰგლეჯავს ცალის ხელით.

დიდი ვეზირის ცოლი — თქვენმა მზემ, რაც არი და არ არის, ერთი ათასად აზვიადებენ. რაკი გურჯია, ეხლა იმისთვის ამბობენ აგრე, თორემ დიდი ვეზირის ცალი სულაც არა ბრძანდება. სირცხვილიც კია, რომ ამოდენა მართლმორწმუნე მარტო ერთს ვიღაცა გიაურზედ ლაპარაკობენ და სხვა სალაპარაკო ვეღარა უშოვნიათ რა.

ერთი სულთანის ცოლი — გიაურია თუ ვინც არის, დღეს იმან გააძლიერა სულთანის ტახტი და დიდება, და დიდი ვეზირი აქამდინაც იქ იყო, მაგრამ კი ვერა გააწყო რა.

მეორე მხლებელი ქალი — (შემოდის). გურჯის სარდალს გამოუგზავნია კიდევ მრავალი ტყვეები და ალაფი. ერთი პატარა ქალაქიღა დარჩენია ასაღები. ეხლა მოიყვანეს ტყვეები დიდებულს სულთანთან. მთელი სტამბოლი გარს ახვევია. წამობრძანდით და სანათურიდან უყურეთ.

ყველანი — (ვეზირის ცოლის გარდა). აკი მოგახსენეთ! ისევ გურჯე-

ბის სარდალი!.. თუ არ ისე, ვინ იცის რა მოგვივიდოდა. წავიდეთ ჩქარა ვუყუროთ (ყველანი მიდიან).

ვეზირის ცოლი — (მარტო). ჰმ! სულ სააკაძე და სააკაძე!.. ესეც კიდევ იმას გაუმარჯვნია... ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობს, ქვეყანა იმას აქებს და ჩემი ქმრის ხსენება არსად არ არის. მართლა, თუ ქალაჩუნა არ არი ჩემი ქმარი, აქამდის როგორ ითმენს ამდენს თავის დამცრობასა?! იმას რომ ვაჟკაცის გული ჰქონდეს, აქამდის იმას ცოცხალს გაუშვებდა? ჯერ ეს რამდენჯერ მიმიწერია, რომ მოჰკლას და გააწყოს სააკაძის სახელი; და ის კიდევ გულხელდაკრეფილი შესცქერის თავის შერცხვენას... რით იცის, რომ სულთანი ეხლა იმას არ დააყენებს პირველ ვეზირად... მემრე რაღათ მინდა თავი ცოცხალი, რომ ხელმწიფის და სახელმწიფოში პირველი კაცის ცოლი არ ვიყვე!.. ერთიც კიდევ მივსწერ წიგნსა, რომ მოჰკლას, თუ არც მაშინა ჰქნა, მასუკან ამიღია იმის ცოლქმრობაზედ ხელი... ჩემი ქმარი თუ სხვაზედ უარესი იქნება, არ მინდა... ან მოჰკლას სააკაძე... ან არა და მალე გავცვლი იმის თავს სააკაძეზედ... ჩემი ქმარი უნდა იყვეს პირველი კაცი... რადგან არ მოჰკლავს სააკაძესა... მაშინ სააკაძე ყოფილა ღირსი ჩემი ქმრობისა და არა ეგა... ეხლავე ვსწერ წიგნსა... ან მოჰკლას სააკაძე, ან ჩემი თავი დაუთმოს იმას... წავიდე, მე ამათი ყურება არ შემიძლიან. (გადის).

სულთანი — (შემოდის და უჭირავს წიგნი ხელში). ჰაი, გიაურ, ჰყურობ როგორ შინაც მიშფოთებენ სპარსნი ხალხსა! (კითხულობს) „თუ არ სპარსნი, განდეგილებს აქამდისაც დავიმორჩილებდით. მრავალი ჯარი სპარსთა შეშინებულნი, დაბრუნდნენ უკან... სპარსნი კვეხულობენ, ვითომც ისინი სჯობნიდნენ თქვენს უძლეველეს ჯარებსა და თქვენთვის ხარჯი დაეწეროთ...“ ჰაი, დონღუზ! დამაცადონ!.. მალე გამოვაცლი მე მაგას გურჯისტანს ხელიდან. (გააღებს კარსა). სთხოვეთ მობრძანდეს მუხრან-ბატონი. (შემოდის ქაიხოსრო მუხრან-ბატონი). მაშ ერთი პატარა ქალაქიღა დარჩათ?

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — დიახ, დიდებულო ხელმწიფევ.

სულთანი — სპარსნი ხომ ვეღარ მიეშველებიან?

ქაიხოსრო — სპარსნი სააკაძისაგან შეშინებულნი, დაბრუნდნენ.

სულთანი — დაბრუნდნენ? რად იკადრეს?! შიგ თეირნამდის უნდა მიჰყოლოდით... მოიცადონ... ეგ მაგათ ეგრე არ შერჩებათ...

ქაიხოსრო — დიდი დაბრკოლება მოგვცეს სპარსთა. მაგრამ უძ-

ლეველმან ჯარმან თქვენმა სრულიად სძლია იმათი ცბიერება. მოინდომეს სააკაძის მოსყიდვა, მაგრამ სააკაძემ მოჰკვეთა თავი მიგზავნილ კაცს, და გაუგზავნა უენს.

სულთანი — ჰმ! ჰყურობ!.. განა ისე მომკლავს ღმერთი, რომ იმათი ჯავრი შევჭამო... მადლობელი ვარ თქვენი ქართველებისა, რომ ეგ ყველა ამბები შემიტყვეთ. სააკაძის ყოველიფერ სათხოვარს შევასრულებ ისე, როგორც იმისი სურვილია, ოღონდ ის სპარსთა ჯავრს ნუ შამაჭმევს. ეხლა თქვენ განისვენეთ ამ ჩემ სასახლეში. ყოველიფერი მისაღები თქვენთვის აქ არის მზათა. (რეკავს ზარს, შემოდის მხლებელი). დამიძახე ვეზირს (მხლებელი გადის).

ქაიხოსრო — ჩვენი ვალი გახლავთ, რომ დიდებული სულთანის სამსახური ყოველიფერი შევასრულოთ.

ვეზირი — (შემოდის). რას უბრძანებს ყოვლისა ქვეყნის მპყრობელი თვისს უკანასკნელს მონას?

სულთანი — ამ დიდებულს ქართველს მიეცით ბინა ჩემს სასახლეში და ყოველი სამსახური სულ დაჩოქვილთ კარისკაცთ გაუწიონ და ემსახურებოდენ ისე, როგორც მე. ელოდეთ ჩემს სხვა ბრძანებას. (ვეზირი და მუხრან-ბატონი იდებენ გულზედ ხელს და გადიან).

სულთანი — სააკაძის შექრთამვაც რომ მოუნდომებიათ... ჰაი, გიაურ!.. ჰაი ასპიდო!.. აგიოხრებთ მე თქვენ ქვეყანას... შიგ თეირანის ქუჩების მოედანზედ ავატირებ თქვენს დედებს, თქვენს აყროლებულს მძოვრზედა... ჯერ ეგ გურჯისტანი გამოგაცალოთ ხელიდან.

სცენა V

იმერთა მეფის სასახლეში, სადაც არიან შეყრილნი იმერეთის მთავარნი და თავადობანი.

მეფე გიორგი — ისმინეთ, დიდებულნო მთავარნო და დიდებულნო თავადნო იმერეთისანო, რა განუზრახავს ჩვენზედ მოურავს სააკაძეს?!.. აპა, თურმე მართლა შერცხვენილი კაცი ყოფილა და ჩვენ სანდო კაცად მიგვაჩნდა იგი. გაუგულისებია ჩვენზედ ჩვენი დაუძინებელი მტერი ხვანთქარი და მოდის ჩვენზედ ძლიერის ჯარებით, რომ შემუსროს ჩვენი გვირგვინი, ჩვენი ხალხი და ყველანი მიგვცეს თათრობას. დიდებულნო! და რავა მოვითმენთ ჩვენ ამას სააკაძისაგან და რავა წავეხდინებით თათრებს. ამისთანა დღეს არვინ ჩვენთა-

განმა არ უნდა დაზოგოს თავი და თუ ვიძლევით მტრისაგან, სიკვდილი გვიჯობს შერცხვენილ სიცოცხლეს. აწი მისთვის მიხმია მე თქვენი თავი და თქვენ იცით, რავარც დაეხმარებით თქვენს თავსაც და თქვენს ქვეყანასაც. მე მზად ვარ, გვმართებს ყველას გამზადება და მტრისა მტრულად მიგებება.

გიორგი ქავთარაძე — მეფეო, მთავარნო და დიდებულნო! ყველამ იცით რა ცბიერი კაციც არის სააკაძე და რა ძალის პატრონია. თითქმის აღარ არის ქვეყანა, სადაც იმას არ ეომნოს და არ შეემოსოს ძლევა. ყოველი გამარჯვება იმისი არის დამოკიდებული ცბიერებაზედ. ხონთქრისაგან დაჭრთამული ის უპირებს მთლად იმერეთს დაღუპვას და ამის აღსასრულებლად ის ეცდება უცბად მოსვლას. ამისა გამო თუ გინდათ თქვენის თავისა და თქვენი ქვეყნის დაცვა, უნდა სულ გამზადებული იყვნეთ, რომ რაწამს ცნობა მიიღოთ, მაშინვე პირში მიეგებნეთ, რომ ის არც კი მოელოდეს ამ ამბავს, თუ არა — სააკაძეს აღარა გაუჭირდება რა და არცარა გაუკვირდება რა.

დადიანი — აჰ! რა მომაგონებდა, რომ გუშინ ჩვენი მეგობარი სააკაძე, დღეს ჩვენ მტრად აღგვიდგებოდა. კი გვმართებს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, გამზადება. სააკაძე სახუმარი კაცი არაა. მე ჩემის მეგრელებით ყოველ წამ მზად ვარ... ეგება არ ვჭამოთ თათრებისა და სააკაძისაგან სირცხვილი.

გურიელი — შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, გურულებს დღესაც დაძახების მეტი არ უნდოდეს. მაინც და მაინც რავა გვიბედავს სააკაძე ჩვენ მაგ ამბებს. აპა, ბატონებო, და აწი კი გვმართებს ერთი პირი, ყველა შურს და მტრობას თავი დავანებოთ, თუ არა თათრების სიმრავლე ხომ იცით: რამდენიც უნდა დახოცო, უფრო მრავლდებიან ჭინჭველის გორასავით.

შარვაშიძე — კი არ არის ჩვენი ქართველი კაცისგან მაგი საკადრისი. მიდის და თათრებზედ გვყიდის. შენ ნუ მოუკვდე, თათრებისთვის რომ არ შევიკრიბნეთ, ჯერ მარტო სააკაძეც არის მაგისთანა საქმისთვის ჩვენგან ავად მოსაკიდებელი. ჩვენ ერთმანეთს არ ვინდობთ და თათრებისაგან რავა დანდობა უნდა ვითხოვოთ! უნდა სულ ქუდზედ კაცი გამოვიდეთ და კაი გამზადებაც გვმართებს. მაგი არ არის ხუმრობა. თუ ერთი ვიძლიენით, მაგისთანა კაცი სულ აღარავის დაზოგავს.

ქავთარაძე — დაზოგავს კი არა, სწორედ იმ პირობით მოდის, რომ მთლად ქვეყანა იმერეთისა მოსპოს და გაასწოროს მიწასთან.

რამდენიმე თავადი — აწი და მაშ ჩვენ კაცნი არ ვყოფილვართ! მაშ ჩვენ ულვაში არა გვსხმია. თათრები კვლავაც კი გვინახავს, მარა ბარგაკიდებული გაგვისტუმრებია. აპა, და მოპარვა კი არაა ბიჭობა, მევიდეს ცხადლივ და მაშინ ნახავს რაცა ბრძანდება.

ქავთარაძე — კიდეც ეგ არის უბედურება, რომ ცხადლივ ამ მოვა სააკაძე. ამისთვის მოგახსენებთ, რომ ყოველს წუთას მზად იყვნეთ. მე სიყმაწვილითვე ვიცნობ სააკაძეს, ის ცხადლივ არაფერს აკეთებს... ყოველისფრით: კაცით, იარაღით საგზლით სულ მზად უნდა ვიყვნეთ, რადგან სააკაძე ისეთი ადვილი საძლევი არ არის, რომ ერთისა და ორის ომით გადვურჩეთ ჩვენ იმას.

სხვა რამდენიმე თავადი — კი! კი, შენ ნუ მოუკვდე! ყოველისფრით გვმართებს გამზადება და კიდეც განვემზადებით.

მეფე გიორგი — გამზადება და სიფრთხილე დიდი გვმართებს, ამისთანა გაჭირვება იქნება იმერეთს ჯერ თავის დღენი ან დასდგომოდეს; ჯარებს თურმე ძლიერს ამზადებენ და სააკაძეს და დიდს ვეზირს ჰგზავნიან, რომ ჩვენი სინსილაც კი აღარ გაუშვან. მე, თქვენს მოხუცებულს მეფეს, მიყურეთ და რავარც მე მოვიქცე, თქვენ უმეტესობა გმართებთ.

ყველანი — კი! კი! შენთან აწი ყველანი დევიხოცებით, ჩვენ ყველას შემოგვიწირავს შენთვის თავი. გვიბრძანე და შენს პირველს დაძახებაზედ სუყველანი ჩვენის ხალხით მზად ვართ. ჩვენი ცოცხალის თავით არ გაჭმევთ არც შენ და არც ჩვენს თავს სირცხვილს... ბატონს გიორგი მეფეს გაუმარჯოს!!. გაუმარჯოს!!..

გიორგი მეფე — ჩემთ დიდებულთ გაუმარჯოთ! თქვენგან მჭონია ყველგან ძალა და აწიც ვუჩვენოთ ჩვენს ძლიერს მტერს. რომ ჩვენ ისეთი უძლურნი არა ვართ, რავარც იმათა ჰგონიათ... აწი წამობრძანდით. სადილს შევექცეთ და მერე უფრო კიდევ კარგად დავაწყობთ.

ყველანი — ბატონს გიორგი მეფეს გაუმარჯოს!.. (გადიან).

სცენა VI

სცენა სწარმოებს მეფე თეიმურაზის სახლში. არიან ნოდარ ჯორჯაძე, რამდენიმე სხვა კარისკაცნი და ზურაბ ერისთავის ცოლი.

ზურაბის ცოლი — მითხარ, შენ გეთაყვანე, ჩემო ნოდარ, მითხარ რას უპირებს მამაჩემი ჩემს ზურაბს, ჩემს სიცოცხლეს?!..

მითხარ, რატომ არ მინახვინებს მამაჩემი?!.. რა შევცოდე, რა?!..

ნოდარ ჯორჯაძე — მეფემ ბრძანა, რომ ჩემი მოღალატის ცოლი ჩემი შვილი არ არისო და ბრძანა, რომ ეხლავე დაგითხოვოთ აქედან.

ზურაბის ცოლი — მე უნდა დამითხოვოთ?!.. მე არ მინახვინებს მამაჩემი, თავის საყვარელს ასულს?!.. სად წავალ აქედან, მინამ არ ვნახავ მამაჩემს! სადა?!.. დეე, თუ მოვძულებივარ, თუ მოღალატის ცოლი ვარ, მომკლას თავისივე ნაშობი თავის ხელით... იმისგნით მონიჭებული სიცოცხლე თითონვე წაიღოს... ნოდარ! მიშველე რამე, შენი ძმობის ჭირიმე — შენს იქით მე ილაჯი აღარსადა მაქვს,—ერთი მინახვინოს მამაჩემმა, ერთი მნახოს ამ სახით თავისი უბედური შვილი.

ნოდარ — არ შემიძლიან. ბრძანა თქვენი აქედან დათხოვნა...

ზურაბის ცოლი — ვერა, მე აქედან ვერავინ დამითხოვს, მინამ მამაჩემის ფეხქვეშ ან არ დავლევ სულს, ან არ გამოვაშვებინებ ჩემს საყვარელ ზურაბს... ჩემი ზურაბი არ არის დაჩვეული ბნელში ყოფნას... ჩემი ზურაბი ვერ აიტანს ორმოს სუნს და იმის ჩახშოებულ ჰაერს...

ერთი თავადიშვილი — (შემოდის) მეფემ ბრძანა თქვენიც დაპყრობა, რომ ცუდი არა განიზრახოს რა იმანაცაო. (ნოდარს) თქვენ გიბრძანათ, რომ ეხლავე გაისტუმროთ სატუსაღოში.

ზურაბის ცოლი — მეცა!.. ზურაბთან?!.. თუ ზურაბთან, ეხლავე წამიყვანეთ.

თავადიშვილი — არა — ცალკე. თქვენ ზურაბს ვეღარც თავის ბინაზედ ჰნახავთ. თქვენთვისაც ცალკე ყოფნა სჯობს.

ზურაბის ცოლი — როგორ თუ ცალკე?!.. მე, მეფის ასული, დედაკაცი, ლეჩაქდახურვილი, საპყრობილეში უნდა ჩამაგდოთ?!. არა, ეგ ქეთევან დედოფლის შვილის ნათქვამი არ იქნება... მიჩვენეთ ერთი, თითონ იმისგნით გავიგონო ეგ სიტყვები...

ნოდარ — არ შეიძლება... მეფის ბრძანება უნდა შევასრულოთ... წაიყვანეთ მეფის ასული ცალკე საპყრობილეში... ნუ იწუხებთ მეფის ასულო, თქვენ მანდილოსანნი გემსახურებიან. (ქარისკაცნი ჰკიდებენ ხელს და მიჰყავთ).

ზურაბის ცოლი — ერთი მაინც მიჩვენეთ ჩემი ზურაბის თავი... ნუ მომკლავთ იმის უნახავს...

მეფე თეიმურაზ — (შემოდის) რაო, მეფის ასულო!.. ზურაბის თავი გინდა ნახოო?..

ზურაბის ცოლი — (იჩოქებს). მამილო!.. მეფეო ჩემო... შეისმინე... შემხედე რასა ჰგავს შენი ასული...

მეფე თეიმურაზ — შევისმენთ... ზურაბის თავი გინდოდა და გაჩვენებთ... ერთი უჩვენეთ ამას ზურაბის თავი.

ზურაბის ცოლი — ეგრე, მამაო! შეიბრალე შენი ასული... შენთვის თავდადებული. (შემოაქვთ ზურაბის თავი სინით, სულ მთლად სისხლში გასვრილი, ზურაბის ცოლი ჩააცქერდება) ვუჰი!.. (დაეცემა უგონოდ).

მეფე თეიმურაზ — გაათრიეთ და ჩასვით საპყრობილეში, რომ არაგველები არ აშალოს მაგან (გააქვთ უგონოდ ზურაბის ცოლი). მაჩვენეთ აბა ეგ ბოროტი, რომელიც განიზრახავდა ჩვენს ამოწყვეტას. (მოაქვთ მეფესთან თავი). ეგრე მოეღების ბოლო ყოველს ჩვენს ბოროტის განმზრახველს... „სთხარა კაცმან თხრემლი და შთავარდა თვით კაცი იგი მას თხრემლსა შინა“; შენ გსურდა სხვის სიკვდილი, მუხანათო, მაგრამ სულმან წამებულის დედაჩემისამან შეაბრალა ჩვენს მეუფეს თავი ჩვენი და თვით მოგაგო იგი, რასაცა განიზრახავდი სხვისთვის. წაიღეთ ეგ ბოროტი თავი და შეამკეთ მაგითი სამეფო სუფრა ჩემი. (გააქვთ).

იასე ქსნის ერისთავი — (შემოდის) დიდებულო მეფევ, ბრწყინვალის ქეთევანის პირმშო შვილო, მტერთა შემმუსრავო და გლახაკთა შემწყნარებელო, დღეს თქვენს კარსა გხლებიათ ერთიც კიდევ მონანული, ჩემებრ მოტყუებული და ჩემზედ კიდევ უარესი ცრემლით მავედრებელი, აზნაური ქავთარაძე, რათა შეიწყნაროთ და მისცეთ ნება დააღამოს თავისი სიბერის დღენი თქვენს საფარველს ქვეშ, თავის სამშობლოსა და ნათესავთ შორის.

მეფე თეიმურაზ — ეგეც მოუძულებია მოურავს? „ძაღლი — ძაღლის ძვალს არ გასტეხსო!“ მაგრამ ეტყობა სააკაძე ისეთი ძაღლია, რომ არც თავისავით ძაღლებს ინდობს. ახი იყო, რომ არ შემეწყალა არც ერთი მოურავის ამყოლი კაცი, მაგრამ რა უყო ჩემს ღმერთს, რომელიც გვიბრძანებს ცოდვათა მიტევებას და გლახათა შეწყნარებას? ნოდარ, უბრძანეთ შემოუშვან აზნაური ქავთარაძე. მაგრამ, რადგანაც იმან ჩვენის მუხანათობით პირუტყვს ადარა თავი. ამის გამო ღირსი არ არის ჩვენთან ამართვით ხლებას და შემოიყვანეთ ჩემთან

ოთხით, ვითარცა პირუტყვი, რომ იცნოს ვისთანაც აქვს საქმე.

ნ ო დ ა რ — რისაც ღირსია, იგი მიეგება. (გადის).

ი ა ს ე — მაინც ვერ გაბედავდა თქვენთან ხლებას, თუ არ ჩოქვით და ყელზედ საბელჩამოგდებული. უმეტეს ყოველთა იგი ჰხედავს თქვენს წინაშე დამნაშავეთ თავს. მაგრამ ეხლა ერთ-რამ ისეთი მონდობილება აქვს, რომლისთვისაც მიეტევება ყოვლისფერი.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — (შემოჰყავთ ოთხით, ყელზედ თოკჩამოგდებული) დიდებულო და უძლეველო მეფეო თეიმურაზ, წინაშე შენსა შეძრწუნებულ არს სპარსეთი და მოდრეკილ არს ხონთქარი! ხონთქარი, რომელიც განიზრახავს იმერეთის დანთქვას, აპირებს თქვენთან დამეგობრებას და ზავს... და ვითარ გაჰბედა ერთმა უბრალო აზნაურმა, რომელიც არ არის ღირსი, რომ მძოვრთა თანა თქვენთასა სჭამდეს ნამცეცებს თქვენის ნასუფრალისას, თქვენი წინააღმდეგი და შეერთება თქვენთა უღირსთა მტერთათანა... დღეს უღირსი მონა იგი, მუხლმოდრეკით, კისერზედ თოკჩამოგდებული გხლებიათ კარსა და მოუნდვია სიცოცხლეცა და სიკვდილიც თვისი თქვენის დიდებისათვის; მოაგეთ თვისი მოსაგებელი, და რისაც ღირსი იყვეს; და ღირსია მხოლოდ სიკვდილისა, და მოჰკალით უღირსი მონა იგი, მხოლოდ ათქმევინეთ სიტყვა, რომელიც აქვს ამას თქვენთან, ვითარცა მოციქულს დაბარებული.

მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — აღსდეგ აზნაურო გიორგი, ვინაიდან საბარებაბრძანებს: მიუტევეთ, რათა თქვენცა მოგეტეოსთო. შენი გულწრფელი სინანული მოგანიჭებს კვალად სიცოცხლეს. (ქავთარაძე ჰკოცნის მუხლზედ და დგება). რა გაქვს სათქმელი იმერთა მეფისაგან, რომლისაგან დაკოდვილნი წყლულნი ჯერაც არ გაგვმრთელებიან?

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — რა, დიდებულო მეფევ, და ისა, რომ მოურავი მოდის თათრების ჯარებით იმერეთზედ, რადგანაც ხონთქარმა ინება იმერეთის წახდენა... მოურავს ჰსურდა თქვენი წახდენა, მაგრამ ხონთქარმა არა ჰქნა, რადგან არ უნდოდა სპარსელებთან ჩხუბი, რომლებსაც არ არის დიდი ხანი რაც შეურიგდა; და ამასთან, გაიგო თქვენი გაძლიერება, თქვენიც ეშინიან და უნდა კიდეც თქვენთან მშვიდობიანობა, და არცარა ცუდი მახსოვს იმისგანაო. რაკი ეს არ მოხდა და დიდი ხანია ჯავრი სჭირებია ხონთქარს გიორგი მეფისა, ეხლა ჰგზავნის მოურავს იმერეთზედ ასაკლებად; და იმერთა

მეფე, რომელსაც მე ვაცნობე ეს ამბავი, გთხოვთ შემწეობასა, რაკი მარტო თავის თავის იმედი არა აქვს. ერთის გვარისა და ტომისანი ვართო და ერთის ხალხის მეფენი და ნუ წამახდევინებ მტერსაო.

მეფე თეიმურაზ — ჰოო! ეხლა, რაკი უჭირს საქმე, ეხლა გვთხოვს: მტერს ნუ წამახდეინებო! როდესაც მოურავს აძლევდა ჯარებს ჩემი ტახტიდან გადასაგდებად, რატომ მაშინ არა ბრძანებდა მაგისთანა ტკბილ სიტყვებსა?!. აბა, მაშ წავიდეს და ვისაც ეგ აძლევდა ჯარებს ჩემს დასაღუპავად, იმათვე უშველონ. მე ჩემს მოსისხლე მტერს შველას ვერ მივცემ, ეგრე მოახსენე ბატონს გიორგი მეფესა.

იასე — ეს არის ხონთქრის გადაკიდება ბრძანე, თორემ მაგისთანა გაჭირვებაში თვით მტერიც შესაწყნარებელია.

მეფე თეიმურაზ — რათ გადვიკიდებ ხონთქარს მტრათა მაგის გულისათვის. თავის დღეში მე და ხონთქარი მოყვარენი ვყოფილვართ. იმედი მაქვს, რაც უნდა გამიჭირდეს, რომ ხონთქარი მიშველის და გიორგი მეფე კი მტრობის მეტს არას მიზამს... ეგ არის, მაგის მეტს პასუხს ჩვენგან გიორგი მეფე ნუ ელის. კარგა უნდა იცოდეს, რომ სააკაძემ თუ ორი თავისი მეფე არ დაინდო, არც მაგას დაინდობდა... სხვა შენ და სააკაძეს რაღად მოგიხდათ მტრობა? ვინ შენ და ვინ სააკაძესთან ჩხუბი.

ქავთარაძე — ამოდენა ხანია ერთათა ვართ და ეხლა ძლივს გავიცან რაც კაცი ყოფილა... იმის ბატონობას და ქვეშევრდომობას ვეღარავინ გაუძლო... ამასთან, მეფეო, მეც გავტყდი და ვიცან, რომ მეფის ორგულობა არავის გამოადგება. სიზმარში ვნახე, რომ ჩემი სული ეშმაკებს დაეჭირათ და ჯოჯოხეთში მიათრევდნენ და აწვალებდნენ, რომ მეფის ორგულ კაცს ყველას ასე დავსჯითო. მე, ამ სასწაულმნახველმა არ ვინდომე სულის წაწყმედა და ვიფიქრე: დავბრუნდები და ისევ ჩემი მეფის ფეხთა მტვერი შევიქნები და იმასთან მოვიკლავ მეთქი თავსა.

მეფე თეიმურაზ — ეგრეა! იცოდეთ, რომ მეფის ორგულობა არავის გამოადგება. ხომ ნახეთ, რომ მოურავი, რომელიც ჯერ არავისგან არ დამარცხებულიყო, ვითარ შემუსვრილ იქმნა თავის მეფისაგან ბაზალეთს! ეხლა საიქიოს რაც იქნება, ეგ სხვა არის. ყოველს მეფის ორგულს ცუდი ბოლო მოელის. ერთს მაგალითსაც ეხლა გიჩვენებთ (მხლებელს) აბა ერთი უჩვენეთ

ჩვენი მუხანათის თავი. (შემოაქვთ სინით ზურაბის თავი), გეცნობათ თუ არა ეს თავი?!

ი ა ს ე — ეს ზურაბი არ არის?! დიდი ხანია ეს ამის ღირსი იყო.

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — (შემკრთალი) ოჰ!.. ეს ვგონებ ის ზურაბი არის, რომელმაც შემუსრა მოურავის ძალა ბაზალეთს...

შ ვ ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ — და რომელმაც დღეს განიზრახა ჩვენი სიკვდილი და მის მაგიერ მიიღო ეგ ჯილდო, ყოველს ჩვენს ორგულს და მუხანათს მოელის ეგ დღე. მშვიდობით! ეს მიპატიებია დედაჩემის სულისათვის და ამას იქით თქვენც ამ დღეს მოელოდეთ, თუ შეგემჩნათ კიდევ ორგულობა. (გადის, გასდევენ სხვა თავის მხლებლები).

ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე — საწყალი ზურაბ! აღსრულდა მაგაზედაც მოურავის სიტყვები.

ი ა ს ე — აღსრულდა ისა სხვის ხელით, რაც მოურავს დიდი ხანია მაგისთვის უნდა ექნა... ეგ ერთი საშიშარი მტერიც მოგვაკლდა. ჩვენი საქმე ეხლა უკეთ არის... მალე და მალე დავაყენებთ ბევრს სხვებსაც მაგ დღეს... მშვიდობით სიბრალულო... ეხლა სისხლი, სისხლი და სისხლი! (გადის და გასდევს თან ქავთარაძე).

სცენა VII

სცენა სწარმოებს მოურავის კარავში.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ძლივს, თითქოს მოიხედა ღმერთმა ჩვენსკენ. რას გვემართლებოდა?!.. რამდენი ტანჯვა და ვაგლახი გამოვიარეთ, რათა და ვისთვისა?!.. რამდენი ქართველი კაცი დაიღუპა და ვეღარა ნახავენ თავის საყვარელს ქვეყანას და ობლად დატოვებულს ცოლ-შვილსა... რამდენი შევცოდე ღმერთსა, ბაზალეთიდან რომ დამარცხებული მოვდიოდი, რომ ალბათ ღმერთს ჩვენთვის კეთილი არ უნდა-მეთქი!.. ვენაცვალე იმის სამართალს: იმას უფრო კარგად სცოდნია, როგორ რა უნდა მოხდეს. ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის კიდევ საქმე როგორ გათავდებოდა ჩვენსა, ოსმალებსა და სპარსეთს შუა. სპარსნი საქართველოს შეერთებას ხონთქარს სხვაფრივ შეაგონებდნენ, — რაკი ხონთქარის დაუკითხავად საქმეს დავიჭერდით, — და უეჭველია, რომ საქმეს გაგვიჭირებდნენ. ეხლა ხონთქარი დავარწმუნე ჩვენს ერთგულებასა და იმის სასარგებლოდ ჩვენი სურვილის დაწყობაზედ ხონთქარსა და ყეენს შუა ისეთი ღვარძლი ჩავთესლე,

რომ გვიანობამდის ამ ღვარძლს ვერ მოინელებენ. უნდა თავისივე ჭონით თვალები დავთხარო იმათა. ხონთქარი დღეს ისეთ ერთგულად მიცნობს, რომ თავის თანასწორად წიგნსა მწერს. ჯარებიც რამდენიც გინდა წაიყვანე, ოღონდ ყეენის ჯავრი ამომყარეო ... ამოგყრი, რომ ბოლოს შენი ჯავრიც ამოვიყაროთ... ეხლა ჩემს ხელთ არის ძალა. ხვალ უცბად სამოცი ათასის საუკეთესო ჯარებით შევიძვრი ქართლისაკენ... იმერეთი სულ მზად არის... ეხლა ერთი წუთის საქმეა... ოო, ღმერთო, მაღალო!.. მემრე სიკვდილიც აღარ მიმძიმს... რა სიამოვნებით მიღელავს გული. ასე მგონია სასუფეველში ვარ მეთქი... რა გულით მომეგებებიან ჩემი თეკლე, ჩემი შვილები, რომელნიც ვინ იცის, რამდენს მწუხარე ფიქრში იქნებოდნენ ჩემი დაშორებით... რა ტკბილია ბევრი ტანჯვის შემდგომ ჭირნახულის მომკა... ეს პირველი ღამეა რომ მე გულდამშვიდებული დავიძინებ... სულთანის წიგნმა სრულად დამამშვიდა... რა არის კაცის ცხოვრება: სულთანი ასე გულით მენდობა, მეც მიყვარს ისა და პატივსა ვცემ; და ამისთანა კაცს, რომელმაც შემიწყნარა თავის სწორად, უნდა ახში ერთხელაც არის ვუმუხთლო... უნდა ვუმუხთლო იმიტომ, რომ უამისოდ, მოტყუებულად, იმოდენა ქვეყანა უნდა დაუსრულებელს უბედურებაში იყვეს... ეჰ! ეხლა რა დროსღა ეს ფიქრებია... ღმერთო რარიგად მეძინება...

ქაიხოსრო—(შემოდის და შემოსდევენ: ვაშაყაშვილი, ხერხეულიძე და დიასამიძე) აბა ეხლა ჩვენი ძილის დროც არის...

ხერხეულიძე — ყველა ქართველებმა დაიძინეს, რადგან ვუბრძანეთ რომ ადრე უნდა გავუდგეთ გზასაო.

ვაშაყაშვილი — ყარაულებისთვის მითქვამს, რომ თუ დაგვეძინოს, რაწამ ინათლოს — დაგვაღვიძონ.

დიასამიძე — ძლივს ეხლა ჩვენც ვიზამთ საქართველოსკენ პირსა. რარიგ გაეხარდებათ ჩვენს ცოლ-შვილსა და ნათესავებს.

ქაიხოსრო — რამდენიც აქ ტანჯვა გამოვიარეთ, ეხლა შინ რომ დავბრუნდებით, ვისიამოვნებთ. ეს სულთანის წყალობა სულ საშვილიშვილოდ გვეყოფა.

დიდი მოურავი — მცირე შრომა კიდევ გვიდევს წინა და მემრე გათავდა ყოველისფერი: სულ ქუდი ჰერსა ვკრათ ჩვენს ცოლ-შვილში, ჩვენს მწვანე ველებზედ, ჩვენი ანკარა წყლების პირას, ღია და მსუბუქს ჰაერში, ლამაზი დიდი კაკლების ჩრდილოებს ქვეშ... ჩამოვკრათ ტკბილად თარსა და დავძახოთ ჩვენი ტკბილი მამა-პაპური გულგასართობი ღიღინები...

ეხლა ვილოცოთ ხვალინდელის მგზავრობისათვის და ჩვენი ხელის მომართვისათვის. (იჩოქებს და ხელგანპყრობილი ლოცულობს. ყველანი დაჩოქილნი ლოცულობენ. ათავებს) ეხლა ღამე მშვიდობისათ, (წვება ცარიელს ხალიჩაზედ, იდებს თავით უნაგირს და იძინებს).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღამე მშვიდობისა! უკანასკნელია ჩვენი აქ ძილი. (წვებიან ცალ-ცალკე და იძინებენ).

ს ც ე ნ ა VIII

სცენა სწარმოებს დიდი ვეზირის კარავში.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი — (არის მარტო). შენი ხსენება არსად არისო! ჰაი, ქიოფაკ!.. ჩემს სახელს რა დააბნელებდა სტამბოლში, მაგრამ ეშმაკის გვერდი არ არის? ჰშურს, რომ რატომ მარტო ჩემს ქმარს არ აქებენ და სხვებსაც აქებენო... ჰაი, გიაურ!.. სულთანის და არ იყვე — შენს თავს დიდი ხანია ავაგებდი პალოზედ და ჩამოვატარებდი სტამბოლის ქუჩებზედ; მაგრამ ეხლა რა გიყო! შენ ქმარი ხარ და მე ცოლი... არ დაგიჯერო სიტყვა, ჩემს თავს გაახმობინებ სულთანს ლაყე კვერცხივით... დეე მოკვდეს სააკაძე! გიაურის მოკვლა, რასაც გზას არ გამიხსნის ცაში, ცუდი არაფერია, მაგრამ რათ უნდა მასწავლიდეს ქალი მე ჰკუასა!.. ეი. (შემოდის ერთი მსახური) რა იქნენ აქამდის ჯარების უფროსნი?.. როდის მე დავიბარე ისინი!

მ ს ა ხ უ რ ი — აგერ ისინიც გეახლებიან. (შემოდიან ათამდის ჯარების მეუფროსენი).

ვ ე ზ ი რ ი — (მსახურს) გადი შენ. (მსახური გადის).

1-ლ ი ჯ ა რ ი ს უ ფ რ ო ს ი — თქვენი ბრძანებით გეახელით აქა.

ვ ე ზ ი რ ი — რამდენი ქართველიღა ჰყავს სააკაძეს?

მ ე-2 უ ფ რ ო ს ი — ოცი. სხვები ზოგი დაეხოცა, ზოგი შინ დააბრუნა.

ვ ე ზ ი რ ი — სულ ერთს კარავში წვანან?

მ ე-2 უ ფ რ ო ს ი — სააკაძის კარავში ხუთნი წვანან, სხვები ცალკე სხვა კარავში.

ვ ე ზ ი რ ი — კარავები ახლო-ახლო უდგიათ?

მ ე-4 უ ფ რ ო ს ი — დიახ.

მ ე-5 უ ფ რ ო ს ი — რათა გნებავს?

ვ ე ზ ი რ ი — უნდა მოკვდეს ამაღამ ჩვენის ხელით სააკაძე.

მ ე-6 უ ფ რ ო ს ი — ქართველებს გარდა, ოსმალებიცა ჰყავს იმას ჯარები.

ვეზირი — ოსმალები ჩვენია და არა იმისი.

ვე-7 უფროსი — ისინი ისე ჰყავს დაწვრთნილნი და შეკვეთილნი, რომ იმისი გულისათვის სულ დაიხოცებიან.

ვეზირი — ვინა? ოსმალები გურჯის გულისათვის დაიხოცებიან?!

ვე-8 უფროსი — დიახ. ისე თავდადებულნი არიან, რომ რაც გამარჯვებები ჩაიდინა სააკაძემ, უფრო მაგათით ჩაიდინა. თითქმის ქართველებზედ უკეთ იბრძოდნენ.

ვეზირი — ვეზირის ხმა არ არისო სტამბოლში!.. მაშ ვისი ჯარებით გაიმარჯვა სააკაძემ?!!.. ვნახავთ ერთი მარტო ქართველებით რალაცას იზამდა!.. ისინი ახლო დგანან სააკაძეზედ?

ვე-9 უფროსი — არა, კარგა მოშორებით. მაგრამ თუ გაიგეს რამე, დროით შეუძლიათ რომ მოეშველნენ.

ვეზირი — მაშ ეხლავე წადით, შეკრიბეთ ყველა თქვენი ჯარები, ნახევარით იმ გურჯის ოსმალთ შემოერტყით და ნახევარი მე შემომყევით. ქვეყანა მაგას აქებს და ჩვენი ხსენება არსად არ არის. ამასთან ეს ამოდენა ჯარი სულ მაგას მიჰყევხართ და ვინ იცის, სად დაიხოცებით ან რისთვისა. ეგ ამალამვე უნდა მოკვდეს. წადით და არ გაამჟღავნოთ, თორემ ვეღარც ერთი ვეღარ იხილავთ ხვალ მზის ჩასვლას. (ყველანი გადიან.

სცენა IX

კარავი მოურავისა. სძინავს ყველას.


ქაიხოსრო — (უცებ შეხტება ძილში, და გაიღვიძებს). ოჰ! ეს რა ცუდს სიზმარში ვიყავი.

პაპუნა ვაშაყაშვილი — რა იყო, ბატონო ქაიხოსრო?

ქაიხოსრო — არაფერი. ეს ოხერი, კაცი რომ სიზმარში შეშინდება, ისე ხომ ცხადლივ არ შეშინდება, რაც უნდა იყვეს.

ვაშაყაშვილი — მეც ცუდ სიზმარში ვიყავი, მაგრამ გარკვევით ვერ დავიხსომე.

ქაიხოსრო — შენ ნუ მომიკვდები, საზარელი სიზმარი ვნახე. ჩვენ ყველანი სისხლის ზღვაში ვცურავდით და ვიხრჩობოდით. სისხლის ზღვა ისროდა საშინელს ტალღებს და რამდენიც ტალღა შეისროლა, იმდენი მოურავი ჩაიტანა თან და ჩაღუპა. ჩვენ ყველანი თან ჩვენს თავსა ვშველოდით და თან მოურავს ვეშველებოდით. მაგრამ, რამდენიც ვეშველებოდით, იმდენი სისხლის ღვრა იზრდებოდა და თანდათან ღელდებოდა და იტანდა მოურავსა და ჩვენცა. ბოლოს ერთი ტალღა წა-



რამდენიმე ტყვიით დაჭრილი მიეყრდნობა კარვის ბოძს.

მოვიდა საშინელის ქუხილით და ღელვით და ყველანი შთაგვნთქა ერთბაშად. აქ უცებ გამეღვიძა შეშინებულსა.

ჯ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — ღმერთმა კარგად აგიხდინოთ. ეგ სისხლის ზღვა ის არის, რომ გათავდა ამდენი სისხლში ცურვა და სისხლის ღვრა და ეხლა შინ წადით და დაისვენეთო... ჯერ მგონი კიდევ წასვლის დრო არ არის. მე ისევ მეძინება... ძილი ნებისა (იძინებს ისევ).

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (კვნესის და ღმუის ძილში).

ქ ა ი ხ ო ს რ ო — გიორგი, გადაბრუნდი გვერდზედ, ცუდად წევხარ, გულაღმა წოლა შეგაწუხებს.

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — (ღმუის კიდევ და უცებ თრთოლვით გაიღვიძებს). ოხ, ღმერთო ჩემო! (იწერს პირჯვარს). ჩვენთან არს ღმერთი!..

ქ ა ი ხ ო ს რ ო — რა იყო, რატომ აგრე შეჰხტი?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ოჰ, ქაიხოსრო, შენა? მადლობა ღმერთსა, რომ ეს სიზმარი იყო... ამისთანა საზარელი და გულის სახეთქი სიზმარი ჯერ არ მინახავს... მადლობა ღმერთსა, რომ სიზმარია.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — რა ნახე აგრეთი გულის სახეთქი?

დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი — ოჰ, ღმერთო! ამ სიზმარში ამეშალა სულ ჩემი წყლულები... ვნახე ჩემი დაუვიწყარი შვილი პაატა... ხო იცი, რარიგ არ გამოდის ის ჩემი გულიდან... ვნახე, ვითომც ის მრავლის ჭრილობისაგან დასნეულებული იდგა საცაღას ერთს უბედურს ადგილას. ყვავნი და ყორანნი და უმეტეს ორი დამშეული სვავი ადგნენ და სწიწკნიდნენ იმის დაიარავებულს ტანს. მოუძლურებული პაატა ძლივს იგერიებდა ამძვინებულთ სვავთა და ყორანთ, და ეტყობოდა, რომ თანდათან აკლდებოდა იმას ძალა. ამ დროს შევესწარ მე ხმალგაწვდილი და მოვინდომე ჩემი შვილის ხორცის მჭამლების განდევნა. მაგრამ დასნეულებულმა და სვავებისაგან ხორცდაფლეთილმა პაატამ ისეთი სუნი ამოუშვა წყლულებიდან, რომ რამდენიც უფრო მივუახლოვდი, იმდენი ამ სიმყრალემ შემიგუბა სული. ბოლოს, როდესაც ძლივს შევიკრიბე ძალა, სასუნებლებით თავი გავიმაგრე და ჩემგნით შეშინებულნი სვავნი და ყორანნი აპირებდნენ გაქცევას, ამ დროს უცებ წარმოსდგა პაატას წყლულებიდან ისეთი ჩირქი, რომ ამ ჩირქმა წარმიზიდა და შემიტანა ზღვაში. ზღვამ დამთქა მე. მე ვიყავ დამხრჩვალი, მაგრამ ვხედავდი კი ისევ პაატას სატანჯველს. სვავებმა და ყვავთა და ყორანთ უფრო და უფრო დაუწყეს გლეჯა ჩემს პაატას. ვუყურებდი ამას, მიკვდებოდა გული,

მაგრამ მკვდარი ვიყავი და არ შემეძლო შველა. ბოლოს პაატამ თითქო მოიხედა და ცოტა არ იყო, შიშიც მისცა თავის მგლეჯავებს. ამ დროს უცებ გაუჩნდა იმას მოსარჩლედ საშინელი ცხრათავიანი ვეშაპი. პაატამ სიხარულით, სვავებისაგან შეშინებულმა განუპყრა ვეშაპს ხელი. ვეშაპმაც წაავლო პაატას პირი და ისე ძლიერად გამოგლიჯა ის კლანჭებში დაჭერილ სვავებს, რომ მარჯვენა მხარე პაატასი შერჩა კლანჭში ერთს სვავს, და ეს მხარე შთანთქა კიდეც იმწამსვე სვავმა. სვავები ეტანებოდნენ კიდევ ვეშაპს პაატას წასართმევად და პაატა უფრო და უფრო ეკროდა ვეშაპს. ბოლოს, რომ სვავთ ვეღარ შეიძლონ ამისი გამოგლეჯაო, გაუღო ვეშაპმა პაატას პირი და შთანთქა იგი... პაატა მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა იმთქებოდა ვეშაპის გვამში და გამოაპყრო ჩემსკენ ხელი... მაგრამ მე ვიყავ მკვდარი, შველა არ შემეძლო და ამით უფრო მიკვდებოდა გული... (შემკრთალი) ეს რა ამბავია?... თითქო ჯარების ხმა ისმის.

ქაიხოსრო — სწორედ... ჩვენები ხომ არ არიან... უთუოდ წასვლის დროა და მოსულან... (ისმიხ თოფების ხმა).

ყარაული — (შემოვარდება) ბატონებო, არიქა, სულ გარშემო შემოგვერტყა ჯარები.

ქაიხოსრო — აბა? (წამოვარდება და მიდის კარვის კარისკენ; უცებ გაჩერდება თოფები და ქაიხოსრო დაეცემა მკვდარი).

დიდი მოურავი — ეს რა ამბავია?! (წამოხტება. სცენაზედ შემოცვივიან მრავალნი ოსმალნი და ისვრიან თოფებს).

ჰრაველი ხმა — მოკვდი გიაურ!

დიდი მოურავი — (რამდენიმე ტყვიით დაჭრილი მიეყრდნობა კარვის ბოძს. მოისვამს დამბაჩაზე ხელს და დასცემს ერთს ჯარების მეუფროსეს), მოვკვდები, მაგრამ მოკვდი შენცა (იშიშვლებს ხმალს. ოსმალები შემკრთალნი დაიხევენ უკან. მოურავი ჰხოცავს).

რამდენიმე მეუფროსე — მოჰკალით! მოჰკალით ეგ გიაური! (გავარდება რამდენიმე დამბაჩები და მოურავი კვალად რამდენგამე დაჭრილი მიეყრდნობა ბოძსა. მრავალნი წამოელალებიან ზედ).

ვაშაყაშვილი — ეგრე არ არის! ჯერ მე მომკალით. (ეღობება მოურავს და იბრძვის. რამდენიმე ოსმალები დახოცილნი და დაჭრილნი დაეცემიან ძირს).

რამდენიმე ხმა — მოკვდები შენც. (ეხვევიან, დაუშენენ ხმლებს, ვაშაყაშვილი დაეცემა მკვდარი).

დიდი მოურავი — მშვიდობით, ერთგულო პაპუნავ!.. ერთად ვიომეთ მე და შენა და ერთადვე დავიხოცებით. (იტაცებს უნა-

გორს, ოჭერს ცალს ხელში, იფარებს წინ და მარჯვენა ხელით იბრძვის. დიასამიძე და ხერხეულიძე მისდევენ თან ბრძოლით. ოსმალებს გაირეკენ კარვის გარეთ. ატყდება თოფის სროლა, დიასამიძე და ხერხეულიძე დაემიან მკვდრები).

თათრები — მოკვდით, მოკვდით, გიაურ! (ესვრიან მოურავს თოფებს).

ხიდი მოურავი — (დაჭრილი სასიკვდილოდ წამოვა ბარბაცით და თან აპირებს შემაგრებას, დაეცემა) ამიხდა სიზმარი!.. მშვიდობით, საყვარელო სამშობლო!.. (კვდება).

31 დეკემბერს, 1869 წელს

დასასრული.

ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში მეტად თავისებური მოვლენაა. იგი სამოციანი წლების მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელმაც მიზნად ეროვნულად და სოციალურად დაჩაგრული ხალხის სამსახური დაისახა ანტონ ფურცელაძე თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტით გულწრფელი გატაცებით იბრძოდა, რათა მეტი სარგებლობა მოეტანა ხალხისა და მშობლიური ლიტერატურისათვის. და მართლაც, ვინც გულდასმით გადაფურცლავს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესას, ის დარწმუნდება, რომ ანტონ ფურცელაძეს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უთამაშნია იმდროინდელ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის მოწინავე თაობასთან ერთად ანტონ ფურცელაძემ ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა მგზნებარე, მებრძოლი დემოკრატიული იდეები და ამით მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ქართულ პერიოდიკაში დაბეჭდილი ანტონ ფურცელაძის მოთხრობები, პოემები და ისტორიული ნარკვევები ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის დონესთან შედარებით არ იყო უნაკლო მოვლენა, მაგრამ ისინი თავისი მოწინავე პროგრესული იდეებით მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევდნენ.

ანტონ ფურცელაძე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისი წლების დიდი ისტორიული მოვლენების მოწმე და მონაწილე იყო. „ჩემს ცხოვრებაში ორ სანეტარო მომენტს მოვესწარი. — წერს ანტონ ფურცელაძე. — ერთი იყო ბატონყმობის უღლიდან გლეხების განთავისუფლება, ხოლო მეორე 1905 წლის რევოლუცია". ორივე ამ მოვლენის მიმართ ანტონ ფურცელაძეს მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლის პოზიცია ეჭირა. იგი მთელი თავისი შეგნებით იბრძოდა ხალხის ინტერესებისათვის, მშრომელთა განთავისუფლებისათვის. მართალია, ამ ბრძოლაზე მას ყოველთვის სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა, ნაროდნიკების და უტოპისტების ბრმად მიმდევრობა ზოგჯერ ხელს უშლიდა სწორად გარკვეულიყო საზოგადოებრივ საკითხებში, მაგრამ მას მუდამ ამოძრავებდა კეთილშობილური სურვილი, ხალხთა განთავისუფლების ღრმა რწმენა და რამდენადაც შეეძლო მტკიცედ ემსახურებოდა ამ დიდ მიზანს. სწორედ ეს გარემოება აკუთვნებს მას ხალხის მსახურის მაღალ სახელს.

* * *

ანტონ ფურცელაძე დაიბადა 1839 წელს სოფელ მერეთში (გორის რაიონი) ღარიბი აზნაურის — ნიკოლოზ ფურცელაძის ოჯახში. დედა ბარბარე გედევანიშვილი ძველი ქართული მწერლობის მცოდნე და დიდი მოყვარული იყო. პატა-

რა ანტონს წერა-კითხვა ოჯახში ასწავლეს; აქვე ჩაუნერგეს მას ქართული მწერლობის სიყვარული. 1851 წელს 11 წლის ანტონი ქ. ორიოლის კადეტთა კორპუსში მიაბარეს. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა რუსული მწერლობა და ენა. მესამე კლასში იყო, როცა ფიზიკური ვარჯიშის დროს ღერძიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. 1854 წელს იგი იძულებული ხდება თავი დაანებოს კადეტთა კორპუსში სწავლას და სამშობლოში დაბრუნდეს. 1858 წლამდე იგი თავის სოფელში ცხოვრობს. 1858 წელს გადმოდის თბილისში და დავრდომილთა თავშესაფარში ეწყობა გადამწერად, სადაც თვეში 5 მანეთს ღებულობს. ანტონ ფურცელაძე თვითგანათლების გზით იფართოებს თავის ცოდნას და ხელს კიდებს მწერლობას. 1862 წელს ანტონ ფურცელაძეს აღმზრდელის თანამდებობაზე იწვევენ თბილისის გიმნაზიაში. 70-იან წლებში ანტონ ფურცელაძე ხელს კიდებს ვექილობას, ბრუნდება სოფელში და ამ მხრივ ცდილობს მეფის თვითმპყრობელობისაგან დამონებული ხალხის დახმარებას. სულ მალე იგი განაწესეს ზუგდიდის სასამართლოს გამომძიებლად. 1869 წელს კვლავ ბრუნდება თბილისში და ახლად დაარსებული ჟურნალის — „მნათობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება. 1873 წლიდან იგი ხელმძღვანელობს გაზეთ „გუთნის დედის“ გამოცემას. 80-იან წლებში ის ბანკში იწყებს მუშაობას. ჯერ დამფასებლად, შემდეგ კი ბანკის დირექტორად.

1911 წელს ა. ფურცელაძე ტოვებს თბილისს და გადადის მუდმივ საცხოვრებლად სოფელ არბოში. ანტონ ფურცელაძე გარდაიცვალა 1913 წელს. დასაფლავებულია სოფელ მერეთში.

• •

ანტონ ფურცელაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა ჟურნალ „ცისკარში“ დაიწყო. მისი პირველი ნაწარმოები 1858 წელს გამოქვეყნდა. ჟურნალი „ცისკარი“ უმთავრესად არქაისტების ორგანო იყო. მაგრამ ამ პერიოდში „ცისკარი“ ერთადერთი ქართული ჟურნალია და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 60-იანი წლების ახალი თაობის წარმომადგენლებს პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე მოუხდათ გამოსვლა.

ილია ჭავჭავაძემ ამ ჟურნალში სრულიად ახალი შუქი, ახალი დემოკრატიულ-რევოლუციური იდეები შეიტანა. ილიასა და მისი თაობის მეოხებით ერთბაშად აფორიაქდა ის მყუდროება, რაც ამ ჟურნალში ძველ თაობას დაემკვიდრებინა. ანტონ ფურცელაძეს ამ ბრძოლაში რადიკალურ-დემოკრატიული პოზიცია ეჭირა. და უცნაური ის იყო, რომ, როდესაც ილიას თაობამ ახალი ორგანო „საქართველოს მოამბე“ დააარსა და ფართოდ გამოვლინდა ამ ახალი თაობის მოწინავე იდეები, ანტონ ფურცელაძე კვლავ „ცისკარში“ დარჩა. მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ანტონ ფურცელაძე როდი იყო მომხრე ჟურნალ „ცისკარის“ არქაისტული იდეებისა. პირიქით, ანტონ ფურცელაძეს „ცისკრის“ არათუ მემარჯვენე ფრონტი არ მოსწონდა, არამედ თვით სამოციანი წლების მწერალთა დემოკრატიულ პოზიციებსაც კრიტიკულად, მემარცხენე-დემოკრატის თვალსაზრისით აფასებდა. ჟურნალ „ცისკარის“ შესახებ იგი წერდა: „დაარსებიდან „ცისკარისა“ ამ დრომდი (1861 წლამდე ს. ჰ.) ეს ჟურნალი არ შეხებია არც ერთ იმისთანა საგანს, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება, ან რომელიც აღმოჩნდებოდა თვითონ ხალხის მდგომარეობაში. ბურანი აპატიისა ეხვია ამ ჟურნალს შესახებ ზემოხსენებული საგნებისა და ჩუმად თითქოს ამბობდა: „ეგ რა ჩემი ხელობააო“.

ანტონ ფურცელაძეს იმთავითვე არჩეული ჰქონდა რადიკალურ-დემოკრატიუ-

ლი მებარკლენე ხაზი. მას მუდამ ამოძრავებდა იდეას თაობის მებრძოლი იდეები. ხალხისა და მშრომელი ადამიანების ინტერესების დაცვას შესწირა მან მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება. მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით უდგებოდა იგი ხელოვნებას და ამ პოზიციებიდან აკრიტიკებდა განურჩევლად ყველას, ვისაც კი ოდნავ შეატყობდა დემოკრატიული ხაზიდან გადახვევას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ა. ფურცელაძის წერილი, რომელიც 1879 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „დროებაში“ „შეუსრულებელი სურათის“ სახელწოდებით. ამ წერილში ანტონ ფურცელაძე ზ. მოენიძის ფსევდონიმით თვით თავის ნაწარმოებს „სამის თავგადასავალს“ არჩევდა. „დროების“ რედაქტორის სამართლიანი შენიშვნით ეს წერილი ყურადღებას იპყრობდა უმთავრესად საინტერესო პრინციპული საკითხების დასმით. რედაქტორი წერდა: „სამის თავგადასავალი“ იმისთანა მოთხრობაა, რომ ჩვენის აზრით რიგიანი კრიტიკის ღირსი არ არის. ამისათვის ამ მოთხრობაზე ბევრი ლაპარაკი არც კი ღირს გაზეთში. ზემოთდაბეჭდილ სტატიას იმიტომ მივეცით ალაგი ჩვენს გაზეთში, რომ იმაში საზოგადოდ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და საზოგადოდ კარგი მიმართულებისაც არის“. მართლაც ანტონ ფურცელაძე ამ სტატიაში გამოდის, როგორც რეალისტურ-დემოკრატიული იდეების მედროშე. ის აკრიტიკებს ჟურნალ „ცისკარის“ არქაისტულ ნაწარმოებებს, „რომელნიც ტკბილ ბურანს აღძრავენ“ მკითხველში. ქება-დიდებას უძღვნის ნეკრასოვის ლექსებს, რომელსაც „ნამდვილი და მოსაზღრული სიყვარული აქვს თავისი მამულისა“, „რომელმაც მიაპყრო გონება თავის აღმზრდელ მასაზრდოებელ დაჩაგრულ ხალხს“. ამაზე კიდევ ადრე — ავტორის აზრით გრიბოედოვმა და გოგოლმა იწყეს პროზად გამოსახვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ბოლოს, დასძენს ავტორი, ყოველივე ამან „შეარყია პოზიცია იმ მწერლებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, „რომ ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებასა და არა ცხოვრებას“.

სტატიაში ანტონ ფურცელაძე ვრცლად ახასიათებს ქართველ 60-იანელებს, აღიარებს მათ რუსეთის მოწინავე 60-იანელთა მიმდევრებად. „რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელის რუსის მწერლობის სკოლაში, ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესოდენ სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც... ესევე მიმართულება აქვს ანტონ ფურცელაძის „სამის თავგადასავლებს“, რომლის მთავარი მომქმედი პირი არის სიმონ ბადალაძე“. ანტონ ფურცელაძე მაღალ შეფასებას აძლევს მის გმირს სიმონ ბადალაძეს. იგი მიაჩნია „ხალხისათვის თავგანწირულ“ ადამიანად. მართალია, ამგვარ „გმირებს ცუდი დღე ადგია, მაგრამ უმათოდ ხალხის ცხოვრება ბევრით უკეთესი არ იქნებოდა პირუტყვის ცხოვრებაზედა და არავითარი კაცობრიული არ გამოიღვიძებდა რა კაცში, თუ ესენიც დაემონებოდნენ თავის შემავიწროებელ ძალას. ამგვარი კაცები იშვებიან ხალხებისა და საზოგადოებების გასაახლებლად. ესენი რაკი ერთი დაიწყებენ საქმესა და ჩაყრიან თესლსა, — მერე თუმცა ძნელად თუ როდისმე ნახვენ თვითვე თავის დათესილ ნაყოფსა, მაგრამ მაინცდამაინც ამათი ჩაბნეული თესლი არასდროს არ იკარგება და დღეს არის თუ ხვალა ამოყოფს თავის ნაყოფი თავსა. ამათ იციან ესა და ამის გამო თავის განწირვა არ მიაჩნიათ სატანჯველად — ან უკეთა ვსთქვათ, თუმცა სატანჯველი სტანჯავს ამათა, მაგრამ ამ სატანჯველს იმით იგრილებენ, რომ იციან ამით სხვებს დაიხსნიან სატანჯველისაგანა“. ანტონ ფურცელაძე გარკვევით სვამს საკითხს, რომ მებრძოლ ადამიანს მართებს თავდადება და თავგანწირვა ხალხისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძე, მებრძოლი პიროვნებისაგან არა მარტო წიგნურ განათლებას მოითხოვს, არამედ ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებასაც. მწე-

რალი საყვედურით შენიშნავს: „მაშინ როდესაც ჩვენ გვეპირვება იმგვარი კაცები, რომელნიც ყოველ შემთხვევაში გამოსადეგნი იყვნენ, ჩვენს საუკეთესო ყმაწვილ თაობას შეუწირავს თავი მარტო წიგნებისათვის და წიგნების იქით არაფერში გამოსადეგნი არ არიან, ჩვენ ქართველებს მოგვაქვს თავი ვაჟკაცობითა და ვაჟკაცობა დღითიდღე გამოდის ჩვენი გულიდან და მალე ჩვენ თვითონ ჩვენივე ჩრდილისა გვეშინება... ჩვენ მარტო წიგნები ვერ გვაცხოვრებენ, როგორც ვერ ვიცხოვრებთ უწიგნოთაც,.. ამის გამო ჩვენი სამეცადინო მარტო წიგნი არ უნდა იყოს“.

ვინც ჩვენს მიერ ზემომოყვანილ ამონაწერს დაუკვირდება, აუცილებლად მიხვდება, რომ ანტონ ფურცელაძე აქ თანმიმდევრულად იცავს დიდი რუსი დემოკრატების ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მოწინავე იდეებს. ამავე გზით იგი ილია ჭავჭავაძის თაობის პროგრესიული იდეების დამცველად გამოდის. ამიტომაც ჩვენის აზრით ანტონ ფურცელაძის უთანხმოება ილიასთან და საზოგადოდ 60-იანი წლების ახალ თაობასთან უფრო პიროვნული განაწყენების ნიადაგზეა წარმოშობილი, ვიდრე იდეური, პრინციპიალური ხასიათის წინააღმდეგობებით. როგორც ცნობილია, ანტონ ფურცელაძეს გაცხარებული კამათი და უთანხმოება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, კიტა აბაშიძესთან, ალექსანდრე ყაზბეგთან და სტეფანე ჭრელაშვილთან. ამ გაცხარებული დავის შედეგად გულმოკლული ანტონ ფურცელაძე შენიშნავს: „ისე მაქვს ყური შეჩვეული ჩვენი მწერლებისაგან ჩემს ურიგო ხსენებაზე, რომ როდესაც წავიკითხე ის ქება, რომელიც ჭრელაშვილმა თავის ბიბლიოგრაფიულ წერილში მოათავსა შესახებ ჩემი მოთხრობისა „ჩვენებური საქმის ბოლო“ მომაგონდა ერთი ძველებურ ბერული თქმულება: „მოკითხვაც თქვენი მზაკვარ არს“... თვით „ივერიის“ ფურცლებზე შეხვდებით ჩემს ამგვარ შემკობას: „საჭიროა მოუარო ჩემს გონებას და წავიდე ბარკოსთან საწამლობლად; ვარ გზადაბნეული და არ ვიცი რა მინდა და რათა ვწერ; ვარ სრული უნიჭო და გავავსე ჩვენი ბაზარი ჩემი უნიჭო წერილებითა და სხვა ამგვარით“. ანტონ ფურცელაძის და სამოციანელთა შორის გამართულ კამათში ამ პიროვნულ მომენტს თუ დავივიწყებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძე ძალზე უახლოვდება 60-იანი წლების მოღვაწეთა განმათავისუფლებელ იდეებს. და მაინც ძნელია ანტონ ფურცელაძის მოთავსება ერთ რომელიმე მიმართულებაში. მას თანაბრად აქვს განცდილი სამოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ხალხოსნებისა და უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლების გავლენა. როგორც სამართლიანად შენიშნავს სოფრომ მგალობლიშვილი, „იგი ვერ შეჩერდა ერთ რომელიმე ლიტერატურულ დარგზე, მიმართულებაზე. მისი ტემპერამენტი ერთობ მღელვარე და დაუდეგარი იყო“. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძეს ამ გავლენების მიმართ ყოველთვის პროგრესული მწერლის პოზიცია ეჭირა.

ანტონ ფურცელაძე მის სიცოცხლეშივე ნიჰილისტად მონათლეს და პისარევის მიმდევრად გამოაცხადეს. ანტონ ფურცელაძის მემარცხენული პოზიცია უთუოდ იძლეოდა ამის საბუთს, მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი ანტონ ფურცელაძე პისარევის ორთოდოქსალურ მიმდევრად გამოგვეცხადებინა. თვით ანტონ ფურცელაძემ კიტა აბაშიძესთან კამათში სავსებით სამართლიანად უარყო ეს აზრი.

„კიტა აბაშიძე — წერდა იგი — მე მიწოდებს ქართველ პისარევათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვწერ პისარევის ბაძით, მის გავლენის ქვეშ. ბ-ნი კიტა რომ პამფლეტორის გავლენით არა სწერდეს თავის აზრებს, ეცოდინებოდა, რომ ჩემი პისარეობა იწყება იმ დროიდამ, როდესაც არამც თუ აქ, თვით რუსეთშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევს. სტატია, რომლისა დაწერის გამოც კიტა პისარევს მიწო-

დებს, არის დაწერილი 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გაეეგონა აქ პისარევი ვინ იყო. არამც თუ პისარევს, დობროლიუბოვსა და ჩერნიშევსკისაც — კი, რომელნიც იმაზედ ადრე იყვნენ ცნობილნი და მწერლობაში გამოსულნი, არ ვიცნობდით აქა, ვიცნობდით მხოლოდ ბელინსკის. და, თუ იყო ვისიმე გაელენა ამ მხრივ ჩვენზედ, ეს ბელინსკისა. ამასთან კიტა ამას ზიზღით ამბობს: მაგრამ მე დიდად სასახელოდ ჩავთვლიდი, თუ პისარევის აზრდილობაც არის შემძლებოდა ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სადაც სწორეთ პისარევის მსგავსი მწერალნი არიან საჭირო, რომ გამოაფხიზლონ და გამოარკვიონ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება".

ასეთი იყო ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულება პისარევთან. ანტონ ფურცელაძემ რეალიზმის პრინციპი წამოაყენა თავის პირველსავე სტატიაში. რეალიზმისა და დემოკრატიულ იდეებისათვის მას არასოდეს უღალატია. ანტონ ფურცელაძის მებრძოლი რეალიზმით უნდა აიხსნას მისი პირველი გატაცება „სურამის ციხით". ანტონ ფურცელაძე თავის ცნობილ სტატიაში „სურამის ციხე დანიელ ჭონქაძისა", რომელიც „ცისკარში" დაიბეჭდა 1863 წელს, ქერელი ბექას ფსევდონიმით, მედგრად იმაღლებს ხმას ბატონყმობის წინააღმდეგ. იგი პირველი გამოეკასარჩლა „სურამის ციხის" ავტორს და ეპოქალურ ნაწარმოებად ჩასთვალა მისი მოთხრობა. ავტორის აზრით ჟურნალმა უწყალოდ დავარდნილობას თავი პირველად დააღწია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის" დაბეჭდვით: „ამ თხზულებამ დასცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელები დავარდნილ ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა, ბატონები ოსმან-აღასა დარჩნენ პირღია. ჯერ დიდხანს ვერ მოვიდნენ ცნობას და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა, დახედეს, გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება, დაინახეს თავიანთი თავი. და ასტეხეს განგაში მის წინააღმდეგ". განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს ავტორი ოსმან-აღას თავგადასავალს. უნდა ვთქვათ, რომ „ამ თხზულებაში დრამატიული ხასიათი უფროა, ვიდრე რომანიული ან მოთხრობის საგანი და თვით „სურამის ციხის" ავტორში ჩანს რიგიანი ნიჭი დრამისა". ანტონ ფურცელაძე თავის პირველსავე სტატიაში გამოჩნდა, როგორც მებრძოლი, რადიკალურად მოაზროვნე მწერალი. ამ შეურიგებელი რადიკალიზმის ცეცხლი ანათებს მთელს მის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწერებს.

• •

ანტონ ფურცელაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი ავტორია მოთხრობებისა, პოემების, დრამების, ლირიკული ლექსების, პუბლიცისტური და კრიტიკული, ფილოსოფიური და პოლიტიკური წერილების, ისტორიული და საბუნებისმეტყველო ნარკვევებისა. ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უმთავრეს ყურადღებას მაინც მისი პროზა იპყრობს. მისი მოთხრობების მთავარი ღირსება ის არის, რომ იდეა, თემა ყოველთვის ეპოქის მოწინავე, აქტუალურ საკითხს ეხმაურება. სიუჟეტი მეტწილად დაძაბული, ცოცხალი ინტერესით ვითარდება. ეს კი იმდენად დიდი ღირსებაა, რომ ანტონ ფურცელაძის მხატვრული სტილის სუსტი მხარე — ენობრივი არქაიზმი და გაუმართავი სტილი — ვერ ანელებს მკითხველის ინტერესს მისი ნაწარმოებებისადმი.

ანტონ ფურცელაძის პირველი მოთხრობა „მართა" ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული. იგი უშუალოდ შთაგონებულია „სურამის ციხის" ავტორით. როგორც ზევითა ვთქვით, ანტონ ფურცელაძემ 1863 წელს ვრცელი სტატია უძღვნა „სურამის ციხის" გარჩევას და შემდეგ მოთხრობითაც გამოეხმაურა ამ თემას. თემატიკითაც და იდეურადაც აგრძელებს ანტონ ფურცელაძე „სურამის ცი-

ხის“ ავტორის ჩანაფიქრს. ამ მოთხრობაში აღწერილია ახალი გართულებული ცხოვრების, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ჰიდილის სურათები. როსტომ ტაბლაძის ხასიათში ანტონ ფურცელაძემ შესანიშნავად დახატა ხალხის მჩაგვრელი და მყვლეფავი, გულღვარძლიანი, ანგარებიანი მებატონის სახე.

მწერალმა სწორად შენიშნა ყმაგლეხობაში გამოღვიძებული მებრძოლი სულისკვეთებაც, რომელიც თანდათანობით მკვეთრ სახეს ღებულობდა. მართალია, როსტომს ზურგს უმაგრებს მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი, ქონებრივი მდგომარეობა, მაგრამ მშრომელი გლეხკაცობა მაინც აღდგება მათ წინააღმდეგ. ფსიქოლოგიურად კარგად არის დახატული ის მერყეობა, სულიერი ბრძოლის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, რომელიც მართასა და მის თანამებრძოლებს ახასიათებს. სისხლსა და ბრძოლას ისინი ჯერ ერიდებიან, მაგრამ, ბოლოს იძულებული ხდებიან ამ გზას დაადგნენ. მართას სახით მწერალმა შესანიშნავად დახატა, თუ როგორ თანდათან ყალიბდება დაჩაგრულ ქალში მებრძოლი ხასიათი. ქალი ასე მიმართავს შეთქმულ გლეხებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედიათ ბატონის მოკვლა: „მასწავლეთ თოფის გატენა, გიჩვენებთ, თქვენ რომ ვერ გაგიბედიათ, მიყურეთ მე დედაკაცსა, მიყურეთ როგორ თავი გამიმეტნია... სირცხვილის შემდეგ მე სიცოცხლე აღარ მენანება თქვენსავითა. დღეს თქვენს ცოლებს დახადეს ჩიქილები, თქვენს ცოლებს დაასხეს თავზე ლაფი. თქვენი ქონება გაალაგეს და თოროზას ჩალის ფასად გადაუყარეს... თქვენ კი გაჩუმებულხართ და შიშისაგან ტყესა და მინდვრებში იმალებით... მომყევით მე და მე მივალ პირველი მისი სისხლის დასალევად... მე, მე დედაკაცი წამოგიძღვებით კაცებსა... თუ თქვენ დაიხურავთ ჩემს ლეჩაქსა“. გლეხებში თანდათან იღვიძებს ადამიანურ უფლებათა დაცვის გრძნობა. სოსიკა გრძნობს, რომ საჭიროა არა მონური მორჩილება ბედისა, არამედ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის. მწერალი კარგად შენიშნავს „შერცხვენილი თავმოყვარეობა არ აძლევდა მათ მოსვენებას, ისინი თხოულობდნენ სისხლსა და ზღვევას შერცხვენისა და დამცირებისათვის“...

ცხოვრების ტიპიური სურათებია აგრეთვე დახატული მოთხრობებში „ქიტესა“, „თოთა“ და „მაცი ხვიტია“. სოფლის უუფლებო ხალხის ცხოვრება, მათი ჭირ-ვარამი ამ მოთხრობებში გადმოცემულია დიდი უშუალობითა და ცხოვრების ცოდნით. ანტონ ფურცელაძე ყველგან სიყვარულით ეკიდება სოფლის ხალხს და მთელი მისი სიმპათიები და თანაგრძნობა მშრომელი გლეხობის მხარეზეა.

ანტონ ფურცელაძემ სწორად შენიშნა აგრეთვე ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ცხოვრებაში მომხდარი ახალი სოციალური გადაჯგუფება. სოფლად გაჩნდა კაპიტალიზმის წარმომადგენლები ჩარჩ-ვაჭრებისა და კულაკების სახით. თვით გლეხობას გამოეყო ერთი ჯგუფი შეძლებული გლეხობის სახით. ეს დიფერენციაცია სოფლისა კარგად არის დახასიათებული მოთხრობა „ქიტესაში“. ანტონ ფურცელაძე საინტერესოდ ხატავს სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებას და გლეხების გაღატაკების სურათებს. ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ამხედრებულ ყაჩაღებს და ფირალებს მწერალი თანაგრძნობით ეკიდება.

ანტონ ფურცელაძე გლეხკაცის უუფლებო მდგომარეობის გვერდით გვიხატავს აგრეთვე ქალის მძიმე ხვედრსაც. მოთხრობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“ მწერალი წერს: „ქალი რა გასაჩენი იყო, რომ უნდა ყველაფერში სხვისი ხელის შემცქერალი იყვეს... ტყვე იყვეს. ტყვეს კიდევ გაქცევა აიმედებს, ჩვენ ამ იმედსაც მოკლებული ვართ“. ამავე მოთხრობაში ანტონ ფურცელაძემ სცადა მოეცა ინტელიგენტის სახე, რომელსაც მიზნად დაუსახავს მკურნალად მოევლინოს ხალხს. ანტონ ფურცელაძეს კარგად ესმოდა, რომ ხალხს სჭირდებოდა „მხნე, თავდადებული, გულშემატკივარი, მომზადებული კაცები“. მაგრამ ნაცვლად ასე-

ში თავდადებული, მტკიცე მებრძოლებისა, ხალხოსნების მსგავსად, ანტონ ფურცელაძესაც ხშირად გამოყავდა მონანიე აზნაურის ისეთი უნაკლო ტიპი, როგორიც „ჩვენებური საქმის ბოლოს“ მთავარი გმირი ვასილია.

ვასილი დახატულია როგორც მეოცნებე ადამიანი, ის ფრაზიორია, ბევრს ლაპარაკობს ხალხის განათლებაზე, თავისუფლებაზე, მაგრამ როცა პრაქტიკულად დადგება საკითხი, მაშინ სრულ უნიათობას იჩენს. მწერალი აკრიტიკებს ამ ცრუ ფრაზიორებს, რომლებიც ბევრს გაჰყვირიან „დელოზე“, მაგრამ პრაქტიკულად კი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ: „რადგან, — როგორც მწერალი შენიშნავს, — ლაპარაკი და ბაასი ადვილიც არის და სასიამოვნოც. „დელოს“ კი უნდოდა განსჯა, გონების და სხეულის შეწუხება, ფიქრი, მეცადინეობა, ბეჯითობა და სხვა სამძიმო რამეები. ვასილი, ეს ქართველი ვასილი, რომელიც თავის შეწირვას უპირებდა თავის სამშობლოს, ეხლა სრულებით არ ივიწყებდა თავს პრაქტიკულად მისთვის“. ანტონ ფურცელაძე მკაცრად აკრიტიკებს ამ ცრუ მეოცნებეებსა და ფრაზიორ ინტელიგენტებს.

ახალი, მებრძოლი ადამიანის პრობლემა ერთი მთავარი საგანთაგანი იყო ანტონ ფურცელაძის შემოქმედებისა. ამ საკითხებს მიეძღვნა „ჩვენებური საქმის ბოლო“, „ვაი მართალთა“, „სამის თავგადასავალი“ და სხვა. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ანტონ ფურცელაძე „სამის თავგადასავალში“ განიცდის ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გავლენას. ჩერნიშევსკის მებრძოლი იდეები ანათებენ ანტონ ფურცელაძის მოწინავე ინტელიგენტების ბრძოლის გზას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტია“. მწერალმა ამ საინტერესო ისტორიულ რომანში დაგვიხატა მე-17—19 საუკუნის ეპოქა, ბატონყმობის სურათი, ძველი დროის შავბნელი ხანა სამეგრელოს ცხოვრების ფონზე. ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც „ძმათა სისხლისღვრა გაუმართავს“ არის მიზეზი ხალხის დაკნინებისა. თავადაზნაურობის პარპაში და ჩაგვრა, უმწეო მდგომარეობა გლეხს ებიძგებოდა ქურდობისაკენ, ამით იგი თავისი ფიზიკური არსებობის გადარჩენას ცდილობს. ყოფაცხოვრების დეტალების ფონზე ნაჩვენებია ის მძიმე სოციალური ჩაგვრა, რომელსაც სამეგრელოს გლეხკაცობა განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში ბევრია გულუბრყვილო ეპიზოდი, ნაწარმოების საუკეთესო მაინც ოსტატურად ვითარდება. მწერალი სწორად აღწერს დადიანების და სხვა თავადებისა და აზნაურების მზაკვრობას, რომელმაც ხალხი უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა: „ოდიშის დაბალი ხალხის მდგომარეობამ მიაღწია უკანასკნელობამდის, ცალკე ნიადაგ მცარცველთა და ცალკე თავადაზნაურობის და მთავრობის სასახლის ამათ კისერზე დაწოლამ მოიყვანა ისინი განწირულებაში. გლეხკაცობა იყო სრული კუთვნილება თავის ბატონისა ან მთავრისა, იმას უნდა შეენახა ესენი სულიან ხორციანად. თვით ცოლნი და ასულნი ამათისა იყვნენ სრულს ბატონებისა და მთავრის უფლებაში უფრო, ვიდრე ამათსაში. გლეხკაცი ითმენდა ყველა ამას უნებლიეთ. მაგრამ ყველას თავის ბოლო აქვს. ისინი მივიდნენ უკანასკნელობამდის, მაგრამ კიდევ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ღონეს არ ხედავდნენ“.

ანტონ ფურცელაძის მებრძოლ გმირებს მეტ შემთხვევაში პერსპექტივა არ გააჩნიათ, მომავალი მათთვის ნათელი არ არის. ხალხოსნებისათვის დამახასიათებელი ეს განსაზღვრულობა მთელი სისრულით იჩენს თავს ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაშიც. ამავე გარემოებასთან გვაქვს საქმე „მაცი ხვიტიაში“.

ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ძლიერი პიროვნების. გამოჩენილი ადამიანის პრობლემას. სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი გან-

საკუთრებული სიყვარული გიორგი სააკაძისადმი. ანტონ ფურცელაძემ უდიდესი ენერგია და დრო მოანდომა ამ ისტორიული პიროვნების, გიორგი სააკაძის ცხოვრების დახატვას. ამ თემას უძღვნა მან დიდი მონოგრაფია „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს გადასარჩენად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ და ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია „დიდი მოურავი“. ანტონ ფურცელაძემ პირველმა მეცხრამეტე საუკუნეში კვლავ აღძრა საკითხი, რათა ჩამოეცხა სამშობლოს მოღალატის ლაქა გიორგი სააკაძისათვის და იგი დაეხატა როგორც მგზნებარე პატრიოტი, ფეოდალური პარტიკულარიზმის მოწინააღმდეგე და საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. ანტონ ფურცელაძე ხშირად იდეალიზირებულად გვიხატავს დიდი მოურავის ცხოვრებისა და პიროვნების დამახასიათებელ ეპიზოდებს და ეს ხელს უშლის მას იყოს პირუთვნელი ობიექტიური მხატვარი. ამისდა მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძემ ჩაუყარა მტკიცე საფუძველი გიორგი სააკაძის ტრაგიკული პიროვნების გამოკვეთას ქართულ ლიტერატურაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძე ამ სახეში მოხერხებულად იძლევა ნაციონალურ-რევოლუციურ სანგანმათავისუფლებელო იდეებს, ნაციონალურ-რევოლუციური საგანმათავისუფლებელო იდეები მოგვცა მწერალმა ჯერ კიდევ 1863 წელს გამოქვეყნებულ წერილში იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის გარიბალდის შესახებ. აქ ის აღტაცებულია გარიბალდის გმირობით, „სიმართლის დამცველის“ მოქმედებით და ოცნებობს საქართველოში ამგვარ გმირზე. ისტორიულ თემატიკას უძღვნა ანტონ ფურცელაძემ აგრეთვე „ცხრა ძმა“, „თამარ ღაზნელი“, „წყალობა“.

დამახასიათებელია ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულება წარსულთან. ანტონ ფურცელაძე ისტორიულ წარსულს უაღრესად რეალისტური მწერლის პოზიციით უდგებოდა. „წარსულის ბაძი ჩვენ ვერ წაგვიყვანს წინ, რადგან ყველა ხალხის წარსულში უფრო ცუდია ვიდრე კარგი, რომლის გამოც ვერ გამოიტანს ხალხი იქიდან თავის მომავლის წარმატების აზრსა. ამის გამო ხალხს კი არ უნდა უღრეცდეს კაცი კისერს საფლავისკენ, უნდა ახედებდეს იმას წინ, კი არ უნდა აჩვენებდეს იმას აკლდამის ძვლის ჩონჩხებსა, უნდა აჩვენებდეს ცოცხალს, მომავალს შემოსილს ნორჩი ხორცით და ცნობა-გონებით. და უკეთუ ხალხს უჩვენებ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, კეთილსა და თავის ხალხის სიმართლისთვის მომქმედს და თავგანწირულთ, იმისათვის კი არა რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ პირების მაგალითი აღვიძებდეს ხალხში მხნეობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზე უკეთესი მომავლის დასამყარებლად. კაცობრიობის წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ძველი ძველდება, ქრება, იკარგება და იმის ნაშთზე ამოდის ახალი“.

ანტონ ფურცელაძის ეს სიტყვები უაღრესად თანადროულად ჟღერს.

ანტონ ფურცელაძის მებრძოლი შემოქმედების დიდ ნაკლს წარმოადგენდა და წარმოადგენს მისი გაუმართავი სტილი. იგი მეტად დაუდევრად ეკიდებოდა ნაწარმოების მხატვრულ მხარეს, განსაკუთრებით სუსტია, ნატურალისტური მისი ენა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მას კარგად ჰქონდა შეგნებული დახვეწილი, ლიტერატურული ენის საჭიროება. აი რას წერს იგი „სურამის ციხის“ ავტორის ენის გამო: „ენის კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასე უკაცრავად არავინ გახლავთ ენაში, როგორც ჭონქაძე. კაცი რომ კითხულობს, გრძნობს ამ თხზულების სიმაღლეს, მაგრამ ენა თავის შეუმუშავებლობით კაცს გულს ურევს. ერთი სიტყვით ენაში კი ჭონქაძე ვერ წაუვიდა რჩეულოვსა და თითქმის რჩეულოვი კიდეც ჯობიან“. ანტონ ფურცელაძე მეტად მკაცრი იყო ამ შეფასებაში. სამაგიეროდ

ზედმიწევნით სწორად გამოხატავს ეს შეფასება თვითონ იმ პოზიციას, რომელიც ანტონ ფურცელაძეს ეჭირა ქართული ენის მიმართ.

სავსებით სამართლიანად წერდა სტეფანე ჭრელაშვილი ანტონ ფურცელაძის შესახებ: „როდესაც გავიხსენებ, რომ ქართველ ინტელიგენტისათვის განსაკუთრებით გაძნელებულია ლუკმა პურის შოვნა, და რომ ამ შოვნას უნდება უკეთესი დრო მისი და გამუდმებული მეცადინეობა, მაშინ აღარავის გააკვირვებს ის აზრი, რომ საზოგადოდ ჩვენი კაცი ძნელად ღა იცლის სამწერლოდ. ამ გარემოებას რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მწერლისათვის და მეტადრე მისი ნაწერებისათვის. ყოველად შეუძლებელია რომ ღირსება ქართველი მწერლის დღევანდელ ნაწარმოებისა იმ სიმაღლეზე იდგეს, რომელსაც უეჭველად მიაღწევდა იგი, უკეთუ ქართველი მწერალი გაინთავისუფლებდა თავს ყველა სხვა საქმისაგან, უმთავრესად საქმედ გარდიქმნიდა სამშობლო მწერლობას და მოეკიდებოდა მხოლოდ მას მთელის თავის ძალით და ღონით... და თუ მაინცდამაინც ასეთს უკუღმართს გარემოებაში ქართული ლიტერატურა არსებობს, აქ ჩვენი საზოგადოება მადლიერი უნდა იყოს მხოლოდ თითოროლა ადამიანისა, რომელსაც შერჩენიათ იმოდენა ძალა სულისა, ისეთი სიყვარული სამშობლოს სიტყვიერებისა, რომ თავიანთი თავისუფალი დრო, ლუკმა პურის ძიებას გადარჩენილი, შეუწირავთ მსხვერპლათ ქართულ მწერლობისათვის და ამასთანავე არა თუ სასყიდელი არა მიუღიათ რა, არამედ, პირიქით, თავიანთ სალიტერატურო შრომაზე კიდევაც დაუყრიათ სახარჯო ფული საკუთარის შეძლებიდგან. აი ამ მწერალთა განსაკუთრებულ გუნდს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული ანტონ ფურცელაძეც“. ეს ადგილი კომენტარს არ მოითხოვს.

ანტონ ფურცელაძემ სავსებით დამსახურებულად დაიკავა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთი საპატიო ადგილთაგანი.

სერგი ჰილაია

სარჩევი

	გვ.
მაცი ხვიტია	3
მართა	165
ჩვენებური საქმის ბოლო (ნაამბობი ბესარიონ ვარგისაშვილისა)	299
ჭიტესა (ამბავი სახელმწიფო სოფლის ცხოვრებიდან) . .	371
დიდი მოურავი (ტრაგედია) . . .	401
ს პილაია — ანტონ ფურცელაძე	545

რედაქტორი ილ. ხოშტარია
მხატვარი გ. გორდელაძე
პახატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორები: ნ. მიქელაძე, ნ. გოგსაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-63 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 34,75+1 ჩაკერა. სააღრ.-საგამომც. თაბახი 30.5. საავტორო თაბახი 30,06.

ტირაჟი 20,000. შეკვ. № 1405.
ფასი 1 მან. 10 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
პთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.